

ს. წერეთელი

ლობიკური  
კავშირის  
დიალექტიკური  
გუნების შესახებ



19-სახელგამი = 56



## შესავალი

საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტიის 'XX ყრილობის გადაწყვეტილებები წარმოადგენენ ჩვენს ქვეყანაში კომუნისტური საზოგადოების აშენებისათვის, მთელ მსოფლიოში მშვიდობის განმტკიცებისათვის, მარქსიზმ-ლენინიზმის დიადი იდეების გამარჯვებისათვის შემდგომი ბრძოლის პროგრამას.

საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტიის XX ყრილობის მუშაობაში დიდი ადგილი ეჭირა პარტიის იდეოლოგიური საქმიანობის საკითხებს. ყრილობამ ხაზგასმით აღნიშნა, რომ მარქსისტულ-ლენინური თეორიის „შემოქმედებითი“ განვითარება ჩვენი წარმატებითი წინსვლის გადამწყვეტ პირობას წარმოადგენს<sup>1</sup>. ყრილობამ სასტიკად გაილაშქრა დოგმატიზმისა და მედავითნიეობის წინააღმდეგ და მოითხოვა თეორიის საკითხების შემოქმედებითი დამუშავება პრაქტიკასთან მჭიდრო კავშირის საფუძველზე. ყრილობამ გადაჭრით მოითხოვა ანტიმარქსისტული თეორიების, რევალისტური ფილოსოფიის წინააღმდეგ შეუწელებელი ბრძოლა.

საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტიის XX ყრილობის გადაწყვეტილებები მარქსისტულ-ლენინურ ფილოსოფიაში მომუშავეებს ავალეებს აქტუალური პრობლემების შემოქმედებითად გამოკვლევა-გადაჭრას. ერთ-ერთ ასეთ აქტუალურ პრობლემას წარმოადგენს საკითხი დიალექტიკური ლოგიკის და ფორმალური ლოგიკის დამოკიდებულების შესახებ.

ლოგიკის მეცნიერების სწავლების შესახებ საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტიის ცენტრალური კომიტეტის 1946 წ. ცნობილი დადგენილების შემდეგ საბჭოთა ფილოსოფოსებისათვის აქტუალურ პრობლემად გადაიქცა საკითხი ფორმალური და დიალექტიკური ლოგიკის დამოკიდებულების შესახებ. როგორც ცნობილია, ამ პრობლემის ირგვლივ 1950—1951 წლებში ჟურნალმა—„Вопросы философии“ მოაწყო დისკუსია, რომელმაც აღნიშნული საკითხის

<sup>1</sup> ნ. ს. ხ რ უ შ ი ვ ი, საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტიის ცენტრალური კომიტეტის საანგარიშო მოხსენება პარტიის XX ყრილობას. გვ. 161.

მიმართ ჩვენი ლოგიკოსების, ძირითადად, ორგვარი თვალსაზრისი გამოავლინა. საბჭოთა ლოგიკოსების ერთი ჯგუფი ამტკიცებს, რომ ლოგიკა მხოლოდ ფორმალური ლოგიკაა, დიალექტიკური ლოგიკა კი მეთოდსა და შექმენების თეორიას წარმოადგენს და არა ლოგიკას, როგორც მოძღვრებას აზროვნების ლოგიკური ფორმების შესახებ. მეორე ჯგუფი ლოგიკოსებისა კი ფორმალურ ლოგიკას „დაბალ“ ლოგიკად თვლის და მოითხოვს დიალექტიკური ლოგიკის. როგორც „უმაღლესი ლოგიკის“, პრობლემების დამუშავებას.

დიალექტიკური ლოგიკის, როგორც ცნების, მსჯელობის და დასკვნის შესახებ მოძღვრების, მომხრენი, მართალია, მოითხოვენ ამ ლოგიკის პრობლემათა დამუშავებას, მაგრამ უნდა ითქვას, რომ ამ მხრით, ჯერჯერობით, ხელშესახები არაფერი გაკეთებულა. ამიტომაც, რომ ჟურნალები—„Коммунист“ და „Вопросы философии“ საბჭოთა ფილოსოფოსების წინაშე გადაუდებელ ამოცანად სახავენ დიალექტიკური ლოგიკის საკითხების დამუშავებას. დიალექტიკური ლოგიკისადმი ჩვენი ლოგიკოსების არასწორი დამოკიდებულების გამო ჩვენ, ჯერჯერობით, არა გვაქვს მონოგრაფიული გამოკვლევები შემეცნების ისტორიის განზოგადების, მატერიალისტური დიალექტიკის კატეგორიების შესახებ. „Нет ещё у нас и работ, раскрывающих диалектическую природу форм человеческого мышления (понятий, суждений, умозаключений) и исследующих процесс развития логических категорий, а также единство анализа и синтеза, соотношение логического и исторического в познании и т. д.“<sup>1</sup>.

დასახელებული ჟურნალები იმავე მოითხოვენ, რომ ლიკვიდირებულ იქნას თავის არიდება რთული საკითხების კვლევისადმი „სქოლასტიკაში“ და „ჰეგელიანიზმში“ ჩავარდნის შიშით, როგორც ამას ადგილი ჰქონდა ზოგიერთ ჩვენს ფილოსოფოსთან, როცა ისინი რთული პრობლემების ყოველმხრივ ანალიზს სქოლასტიკას და ჰეგელიანიზმს ეძახდნენ.

წინამდებარე შრომაში<sup>2</sup> ჩვენ მიზნად ვისახავთ გავაშუქოთ დიალექტიკური ლოგიკის ერთი ძირითადი საკითხი და ამით გარკვეული წვლილი შევიტანოთ აღნიშნული პრობლემის გადაწყვეტის საქმეში. ჩვენი შრომის მიზანს შეადგენს არა მთლიანად განხილვა იმ საკითხების, რომლებიც ფორმალური და დიალექტიკური ლოგიკის დამოკიდებულების პრობლემაში იგულისხმება, არამედ მხო-

<sup>1</sup> „Коммунист“, 1955, № 5, стр. 14.

<sup>2</sup> წინამდებარე ნაშრომი არის გადამუშავებული და შევსებული გამოცემა შრომისა, რომელიც 1952 წელს დაიბეჭდა „ფილოსოფიის ინსტიტუტის შრომებში“ ტ. მე-4 სათაურით: „ლოგიკურის მარქსისტულ-ლენინური გაგებისათვის“.

ლოდ იმის დახასიათება, თუ რას წარმოადგენს ლოგიკური, სახელდობრ, ლოგიკური კავშირი და ლოგიკური აუცილებლობა. ამ საკითხის გარკვევა მოგვეცემდა იმ მყარ საფუძველს, რომელზე დაყრდნობით შესაძლებელი გახდება ფორმალური და დიალექტიკური ლოგიკის დამოკიდებულების საკითხის გადაწყვეტაც. ჩვენ ვფიქრობთ, რომ ლოგიკური კავშირი, თავისი ბუნებით, დიალექტიკურია. ფორმალური ლოგიკა კი ამ კავშირის მხოლოდ ერთ მხარეს ემყარება და წარმოადგენს.

აქ აღნიშნული საკითხის გადაწყვეტის სრულიად მყარ და ნათელ საფუძველს წარმოადგენს მარქსიზმ-ლენინიზმის კლასიკოსთა სათანადო დებულებები. ჩვენც სწორედ ამ დებულებათა საფუძველზე უნდა გავარკვიოთ ლოგიკურის დიალექტიკური ბუნება.

ფ. ენგელსი სრულიად გარკვევით აღნიშნავს, რომ ფორმალური და დიალექტიკური ლოგიკა ერთმანეთთან ისეთ დამოკიდებულებაში არიან, როგორ დამოკიდებულებაშიც დაბალი და უმაღლესი მათემატიკა იმყოფებიან. „ელემენტარული მათემატიკა, — ამბობს ფ. ენგელსი, — მუდმივ სიდიდეთა მათემატიკა ფორმალური ლოგიკის ფარგლებში მოძრაობს, ყოველ შემთხვევაში საერთოდ და მთლიანად; ცვლად სიდიდეთა მათემატიკა, რომლის უმნიშვნელოვანეს ნაწილს უსასრულო მცირეთა აღრიცხვა შეადგენს, არსებითად წარმოადგენს მხოლოდ დიალექტიკის გამოყენებას მათემატიკური შეფარდებებისადმი“<sup>1</sup>.

აქ აღსანიშნავია დაპირისპირება მუდმივის და ცვალებადის, სასრულოსი და უსასრულოსი. ეს დაპირისპირება განსაზღვრავს, ფ. ენგელსის აზრით, ფორმალური და დიალექტიკური ლოგიკის განსხვავებას. ჩვენც ამ გარემოებას დავემყარებით ლოგიკურის ბუნების გარჩევის დროს ამ შრომაში. ისე როგორც მათემატიკა ერთი მეცნიერებაა, მიუხედავად დაბალი და უმაღლესი მათემატიკის ახლა აღნიშნული განსხვავებისა, ასევე ლოგიკაც ერთი მეცნიერებაა, მიუხედავად იმისა, რომ ფორმალური ლოგიკა ლოგიკური კავშირის მხოლოდ ერთ მხარეს სწავლობდა და სწავლობს.

ფ. ენგელსი იქვე აღნიშნავს, რომ „თვით ფორმალური ლოგიკაც, უწინარეს ყოვლისა, ახალი შედეგების გამოძებნის მეთოდს წარმოადგენს ცნობილიდან უცნობზე გადასასვლელად; იგივეა, მხოლოდ ბევრად უფრო მნიშვნელოვანი აზრით, დიალექტიკა, რომელიც უფრო ფართო მსოფლმხედველობის ჩანასახს შეიცავს, იმიტომ რომ არღვევს ფორმალური ლოგიკის ვიწრო ჰორიზონტს“<sup>2</sup>.

<sup>1</sup> ფ. ენგელსი. ანტი-დოურიანი. 1952, გვ. 160.

<sup>2</sup> იქვე. გვ. 160.

ჩვენი პრობლემისათვის აქ აღსანიშნავია ის, რომ: 1) დიალექტიკური ლოგიკა ფორმალური ლოგიკის ვიწრო ჰორიზონტს არღვევს. ფ. ენგელსს მოყავს დაბალი და უმაღლესი მათემატიკის დაპირისპირება სწორედ იმ გარემოების ნათელსაყოფად, თუ რაში მდგომარეობს „ვიწრო ჰორიზონტის“ ეს „დარღვევა“; 2) ფ. ენგელსის აზრით, ფორმალური ლოგიკაც გარკვეული მეთოდია ახალი შედეგების მიღებისა, და დიალექტიკაც, მაგრამ ეს უკანასკნელი მასთან შედარებით უფრო ფართო და სრულია.

ფორმალური ლოგიკა, როგორც ცნობილია, ძირითადად, ორინაწილისაგან შედგება: დედუქციური და ინდუქციური ლოგიკისაგან. აქ, ცხადია, არსებითია დედუქციური და ინდუქციური მეთოდები, რომლებიც შესაბამის დასკვნებში ხორციელდება. ეს დასკვნები, რამდენადაც ისინი სწორედ დასკვნები არიან, იმდენად ახლის მიღების, — გარკვეული წანამძღვრებიდან ახლის — დანასკვის მიღების ფორმებს წარმოადგენენ. და თუ დიალექტიკა, როგორც ამას ფ. ენგელსი გარკვევით აღნიშნავს, უფრო ფართო და სრული მეთოდია ახლის მიღებისა, მაშინ ახლის მიღება მარტო კვლევადიების აზრით კი არ უნდა გავიგოთ, არამედ ამავე დროს, დასკვნის, მოცემული დებულებებიდან ახალი დებულების მიღების აზრითაც. თუმცა აქ ისიც უნდა აღინიშნოს, რომ მეცნიერებებში ახლის აღმოსაჩენად გამოიყენება არა მარტო ინდუქციის მეთოდი (ინდუქციური კვლევის მეთოდები, რომლებიც ფორმალური ლოგიკის ყოველ კურსში განიხილება, მარტლაც კვლევის, ახლის აღმოჩენის მეთოდებია), არამედ დედუქციური მეთოდიც.

რომ ეს ასეა, ამას ისიც მოწმობს, რომ ფ. ენგელსი იქვე აღნიშნავს, რომ არ არის სწორი „დიალექტიკის სფეროში მოპოებული შედეგები ფორმალური ლოგიკის საშუალებით დაამტკიცონ“; მაშასადამე, საკითხი დასაბუთებასა და დამტკიცებასაც ეხება.

ამიტომ არ უნდა იყოს სწორი ის თვალსაზრისი, (რომელსაც, მაგ., პროფ. კ. ბაქრაძე იცავს), რომ თუ დიალექტიკა მეთოდია, ფორმალური ლოგიკა მეთოდს სრულიადაც არ წარმოადგენს. ვფიქრობთ, ფორმალური ლოგიკა არაფერია დედუქცია-ინდუქციის გარეშე, რომლებიც მეთოდებს წარმოადგენენ და თავისებურ დასკვნებში, ე. ი. საგანთა კავშირის ამსახველ აზრთა თავისებურ კავშირებში ხორციელდებიან. აქ მეთოდების ნაკლი განმსაზღვრელი იქნება შესაფერისი დასკვნების ნაკლოვანებისა. მეორე მხრით, დიალექტიკური მეთოდი, როგორც ასეთი, გამოყენებული ლოგიკაში, მოითხოვს დიალექტიკის ნიშნების გატარებას ცნება-მსჯელობა-დასკვნებში და არა მხოლოდ ასახვის მატერიალისტური

პრინციპის გამოყენებას (როგორც ამას იდგილი აქვს პროფ. კ. ზაქარაძის „ლოგიკაში“).

ის გარემოება, რომ დიალექტიკური ლოგიკა ფორმალურ ლოგიკაზე უფრო შორს მიდის, აღნიშნული აქვს ვ. ი. ლენინს შემდეგი სიტყვებით: „Логика диалектическая требует того, чтобы мы шли дальше“<sup>1</sup>. ეს გარემოება მხოლოდ იმას კი არ ნიშნავს, როგორც ეს ამ შრომაში გაირკვევა, რომ აქ „შორს წასვლა“ მხოლოდ შემეცნებითი შორს წასვლაა, — რომ ლოგიკას არ შეუძლია მქტი შორს წასვლა და ასეთ რაიმეს შემეცნების თეორია აკეთებს, არამედ იმასაც, რომ ფორმალური ლოგიკა მხოლოდ გარკვეულ სფეროში გამოიყენება და დიალექტიკური ლოგიკა (რომელიც, ამავე დროს, ვ. ი. ლენინის გაგებით, შემეცნების თეორიაცაა), სწორედ როგორც ლოგიკა, უფრო სრულია და, ცხადია, უფრო შორს მიდის.

ფ. ენგელსი დიალექტიკურ ლოგიკას, როგორც მართლაც ლოგიკას, განასხვავებს ფორმალური ლოგიკისაგან შემდეგნაირად: „დიალექტიკური ლოგიკა, წინააღმდეგ ძველი, წმინდა ფორმალური ლოგიკისა, არ კმაყოფილდება ამ უკანასკნელის მსგავსად იმით, რომ ჩამოთვალოს და ყოველგვარი კავშირის გარეშე ერთმანეთის გვერდით დააწყოს აზროვნების მოძრაობის ფორმები, ე. ი. მსჯელობათა და დასკვნათა ფორმები. მას, პირიქით, ეს ფორმები ერთიმეორიდან გამოყავს, იგი მათ შორის ნაცვლად კოორდინაციისა სუბორდინაციის დამოკიდებულებას ამყარებს და დაბალი ფორმებიდან უმაღლეს ფორმებს ანვითარებს“<sup>2</sup>.

უნდა აღინიშნოს, რომ ფ. ენგელსის ამ მითითების საფუძველზე ჯერ არცერთ საბჭოთა ლოგიკოსთაგანს კვლევა არ უწარმოებია. ჩვენი შრომის მიზანია ერთგვარი წვლილი შეიტანოს ფ. ენგელსის მიერ დასმული ამ ამოცანის ერთ-ერთი საკითხის გარკვევის საქმეში.

წინამდებარე შრომაში მიზნად ვისახავ გავარკვიო, თუ როგორია სინამდვილეში არსებული დიალექტიკის ამსახველი აზრების ლოგიკური კავშირი, — როგორია დიალექტიკურ-ლოგიკურის ბუნება; — ცვდილობ დავასაბუთო დებულება, რომ დიალექტიკური სინამდვილის ამსახველ აზრთა ლოგიკური კავშირი თვითონ უნდა იყოს დიალექტიკური; თუ აზრები და მათი კავშირები დიალექტიკური არაა, მაშინ ისინი დიალექტიკური სინამდვილის ასახვას ვერ შესძლებენ და ვერ მოახერხებენ. ამ დებულებათა დასაბუთებისათვის ვემყარები მარქსიზმ-ლენინიზმის კლასიკოსთა დებულებებს; — მაგალითად, ვ. ი. ლენინის შემდეგ დებულებებს: „Един

<sup>1</sup> В. И. Ленин, соч. т. 32, стр. 72.

<sup>2</sup> ფ. ენგელსი, ბუნების დიალექტიკა, გვ. 229.

все развивается, то относится-ли сие к самым общим понятиям и категориям мышления? — Если нет, значит, мышление не связано с бытием. Если да, значит есть диалектика понятий и диалектика познания, имеющая объективное значение“<sup>1</sup>.

და შემდეგ: „Человеческие понятия не неподвижны, а вечно движутся, переходят друг в друга, переливаются одно в другое, без этого они не отражают живой жизни. Анализ понятий, изучение их, „искусство оперировать с ними“ (Энгельс) требует всегда изучения движения понятий, их связи, их взаимопереходов“<sup>2</sup>.

მართალია, მოძრაობის ცნებებით გამოხატვა, ამბობს ვ. ი. ლენინი, არის ყოველთვის ოგრუბლენიე, ომერტვლენიე..., მაგრამ დიალექტიკის არსება გამოითქმება ფორმულით: „ერთიანობა დაპირისპირებულთა“<sup>3</sup>: — დიალექტიკური ბუნება ცნებებში თავისებურად, მაგრამ მაინც დიალექტიკურად ასახება („В понятиях человека своеобразие... диалектически отражается природа“<sup>4</sup>), სწორედ ამიტომ არის საჭირო „Универсальная гибкость понятий“, რომელიც დაპირისპირებულთა ერთიანობაზე მიდის<sup>5</sup>, რომ ამ სუბიექტურ დიალექტიკაში ასახულ იქნას ობიექტური დიალექტიკა. „ეგრეთწოდებული ობიექტური დიალექტიკა ბატონობს მთელს ბუნებაში, ხოლო ეგრეთწოდებული სუბიექტური დიალექტიკა, დიალექტიკური აზროვნება, მხოლოდ ასახვას მთელს ბუნებაში საყოველთაოდ გაბატონებული მოძრაობისა დაპირისპირებულთა გზით“<sup>6</sup>.

ამბობენ (მაგ., პროფ. კ. ბაქრაძე), რომ დიალექტიკა მხოლოდ სინამდვილეშია, ლოგიკური კი არაა დიალექტიკური, — დიალექტიკის კანონები მხოლოდ ბუნებასა და ისტორიაში მოქმედებენ, ლოგიკურ აზროვნებაში კი — მხოლოდ ფორმალური ლოგიკის კანონები და არა დიალექტიკის კანონები.

მართალია, ფორმალური ლოგიკის წესები და კანონები აზროვნების წესები და კანონებია, მაგრამ ეს არ ნიშნავს იმას, რომ აზროვნებაში დიალექტიკის კანონები არ მოქმედებდნენ (აზროვნება აქ აღებულია, ცხადია, იმ ლოგიკური თვალსაზრისით, რომელიც ისტორიულს ასახავს, და არა ფსიქოლოგიური თვალსაზრისით). ის

<sup>1</sup> В. И. Ленин, Философские тетради, стр. 259, 1947.

<sup>2</sup> იქვე, стр. 237.

იქვე, გვ. 243.

<sup>4</sup> იქვე, გვ. 266.

<sup>5</sup> იქვე, გვ. 84.

<sup>6</sup> ფ. ენგელსი. ბუნების დიალექტიკა, გვ. 215.



გარემოება, რომ დიალექტიკის კანონები აბსტრაქტირებულია ბუნების და საზოგადოების განვითარებიდან, სრულიადაც არ ამტკიცებს, რომ აზროვნებაში ეს კანონები არ მოქმედებენ. არსებობს აზროვნების დიალექტიკა როგორც საგანთა დიალექტიკის ასახვა. „Диалектика вещей создает диалектику идей, а не наоборот“<sup>1</sup>. ჰეგელისათვის კი, პირაქით, იდეათა — ცნებათა დიალექტიკა აირეკლება საგანთა დიალექტიკაში; მისთვის ნამდვილად მხოლოდ ცნებათა დიალექტიკა არსებობდა. ფ. ენგელსი პირდაპირ წერს, რომ: „...დიალექტიკის კანონები აბსტრაქტირებულია ბუნებისა და ადამიანთა საზოგადოების ისტორიიდან. ისინი სხვას არაფერს წარმოადგენენ, თუ არა ისტორიული განვითარების ამ ორივე ფაზის უზოგადეს კანონებს, ასევე თვით აზროვნების კანონებსაც. ისინი არსებითად სამ შემდეგ კანონზე დაიყვანებიან: რაოდენობის თვისობრიობაში და პირუკუ გადასვლის კანონი; დაპირისპირებულთა ურთიერთშერწყმის კანონი; უარყოფის უარყოფის კანონი. სამივე ეს კანონი ჰეგელმა განავითარა თავისებური იდეალისტური მანერით როგორც მხოლოდ აზროვნების კანონები“<sup>2</sup>.

მაშასადამე, დიალექტიკის კანონები აზროვნების კანონებიცაა. დიალექტიკის კანონები „დიალექტიკური აზროვნების კანონებაცაა“<sup>3</sup>. ჰეგელის შეცდომა იმაში კი არ იყო, რომ მან აზროვნების დიალექტიკურობა აღიარა, არამედ იმაში, რომ აზროვნება აიღო როგორც დამოუკიდებელი სუბსტანცია — აბსოლუტი და დიალექტიკის კანონები მხოლოდ ასეთი აზროვნების კანონებად წარმოიდგინა.

როგორც ცნობილია, მარქსიზმ-ლენინიზმის კლასიკოსები ერთიმეორეს უპირისპირებენ მეტაფიზიკურ და დიალექტიკურ წესს აზროვნებისა. რას ნიშნავს დიალექტიკური წესი აზროვნებისა? აზროვნების წესი, ამ შემთხვევაში, მხოლოდ ლოგიკური (და არა ფსიქოლოგიური, თუ სხვა რამ) წესი შეიძლება იყოს. ამ წესში სინამდვილის შესწავლის მეთოდიც იგულისხმება და, სწორედ ამის გამო, თვითონ აზროვნების ფორმაც. ფ. ენგელსი თავის „ანტი-დიურიინგში“ ამბობს, რომ დიალექტიკა „აზროვნების უმაღლესი, ფორმაა“<sup>4</sup>, რომ დიალექტიკა „აზროვნების უმნიშვნელოვანესი ფორმაა“<sup>5</sup>. „დიალექტიკურად აზროვნება“<sup>6</sup> მხოლოდ იმას კი არ ნიშნავს, რომ ჩვენ სინამდვილეში არსებულ საგნებს განვიხილავთ

<sup>1</sup> В. И. Ленин, Философские тетради, стр. 169

<sup>2</sup> ფ. ენგელსი, ბუნების დიალექტიკა გვ. 51.

<sup>3</sup> ფ. ენგელსი, ანტი-დიურიინგი, გვ. 18, 31.

<sup>4</sup> იქვე, გვ. 25.

<sup>5</sup> იქვე, გვ. 394.

<sup>6</sup> იქვე, გვ. 29.

მოდრაობასა და განვითარებაში, არამედ იმასაც, რომ სინამდვილის ამსახველი აზროვნებაა თვითონ დიალექტიკური. დიალექტიკა, ამ- ზობს ენგელსი, განიხილავს „საგნებსა“ და მათ გონებრივ ასახვათ“<sup>1</sup> ურთიერთკავშირსა და მოძრაობაში.

თუ სინამდვილეში არსებული საგნის განვითარებისათვის აუ- ცილებელია შინაგანი უარყოფა, ასე უნდა იყოს მისი ამსახველი აზროვნებისთვისაც. „ყოველი სახის საგნისათვის არსებობს განსა- კუთრებული, მისთვის დამახასიათებელი წესი ისეთი უარყოფისა, რომ ამ უკანასკნელიდან განვითარება წარმოსდგეს; იგივე ითქმის ყოველი სახის წარმოდგენება და ცნებებზე“<sup>2</sup>. ახლა კიღევ „... Диалектическая мысль, — წერს ენგელსი, — предполагает исследование природы самих понятий...“<sup>3</sup>. ეს იმას ნიშნავს, რომ თუ სინამდვილის განვითარებისათვის არსებითი შინაგანი წინააღმდე- გობაა, ამიტომ მისი ამსახველი „...აზროვნების სფეროშიც ვერ გა- ვეპქცევით წინააღმდეგობებს“<sup>4</sup>.

ის გარემოება, რომ აზროვნების დიალექტიკური წესი სწორედ ლოგიკაში უნდა იქნას განხილული და არა სხვა მეცნიერებაში, ნათლად აქვს გამოთქმული კ. მარქსს, როცა იგი შემდეგს ამბობს: „... რომ საერთოდ ს—ფ—ს არათუ ორ იზოლირებულ პროცესად დაიწლება, არამედ ამასთანავე მოძრაობაში მყოფ მათ ერთიანობასაც გამოხატავს, — აქედან იმ დასკვნის გაკეთება, რომ ყიდვასა და გაყიდვას შორის მხოლოდ ერთიანობა არსებობს და არა — გან- ცალკეება, ეს იქნებოდა აზროვნების ისეთი წესის გამომჟღავნება, რომლის კრიტიკა ეკუთვნის ლოგიკისა და არა პოლიტიკური ეკო- ნომიის სფეროს“<sup>5</sup>.

ეს გარემოება მხოლოდ იმას კი არ ნიშნავს, რომ აზროვნების დიალექტიკური წესი, როგორც დიალექტიკური მეთოდი უნდა იქ- ნას შესწავლილი ლოგიკის მიერ, არამედ, იმასაც, როგორც ეს ზე- მოთაყ აღვნიშნეთ, რომ ამ მეთოდის გამოყენება და გატარება აზროვნების ლოგიკურ ფორმებში ამ ფორმათა თავისებურ ბუნებას გამოავლენს და აზროვნების დიალექტიკური წესის ლოგიკურ წე- სად აუცილებელ არსებობასაც ნათელჰყოფს. წინამდებარე შრომის მიზანი სწორედ იმაში მდგომარეობს, რომ ლოგიკურის დიალექტი- კური ბუნება ნათელყოს, — დაამტკიცოს, რომ ლოგიკური კავ- შირი დიალექტიკური კავშირია.

<sup>1</sup> ფ. ენგელსი, ანტი-დიურიინგი, გვ. 28.

<sup>2</sup> იქვე, გვ. 169.

<sup>3</sup> К. Маркс и Ф. Энгельс, соч. т. XIV, стр. 430.

<sup>4</sup> ფ. ენგელსი, ანტი-დიურიინგი, გვ. 144.

<sup>5</sup> კ. მარქსი, პოლიტიკური ეკონომიის კრიტიკისათვის, გვ. 199, 1953 წ.

აზროვნების ის წესი, რომლის შესახებაც კ. მარქსი ახლახან მოყვანილ დებულებაში ამბობს, რომ იგი ლოგიკის სფეროს ეკუთვნის, როგორც ცნობილია, გატარებულია კ. მარქსის „კაპიტალში“. სწორედ ამის გამო ვ. ი. ლენინი აღნიშნავდა, რომ „Если Маркс не оставил „Логик“ (с большой буквы), то он оставил логику „Капитала“, и это следовало бы сугубо использовать по данному вопросу. В „Капитале“ применена к одной науке логика, диалектика и теория познания материализма (не надо 3-х слов: это одно и то же)...“<sup>1</sup>. კ. მარქსის „კაპიტალში“ გარკვეულია კაპიტალიზმის ბუნების ამსახველი კატეგორიები — ცნებები და სწორედ ამდენად შეიძლება აქ ლაპარაკი სრულიად თავისებური და გარკვეული ლოგიკის შესახებ. რომ „კაპიტალში“ არ იყოს მოხდენილი ცნებათა ანალიზი, რომ არ იყოს გარჩეული ამ ცნებათა გარკვეული კავშირები, მაშინ „კაპიტალის“ „ლოგიკის“ შესახებ ლაპარაკი შეუძლებელი იქნებოდა. ვ. ი. ლენინი სრულიად გარკვევით ამბობს, რომ „კაპიტალში“ მოცემულია „История капитализма и анализ понятий, резюмирующих ее“<sup>2</sup>. სწორედ ამიტომ უნდა ითქვას, რომ დიალექტიკური სინამდვილის ამსახველი ცნებები და მათი კავშირები, ვ. ი. ლოგიკური კავშირი დიალექტიკური ბუნების უნდა იყოს. ფ. ენგელსი სწორედ ამ აზრს გამოთქვამდა თავის რეცენზიაში კ. მარქსის შრომის შესახებ — „პოლიტიკური ეკონომიის კრიტიკისათვის“, როცა ის ამბობდა, რომ ლოგიკური ისტორიულის ასახვაა.<sup>3</sup> ჩვენი შრომის მიზანი სწორედ ამგვარი ლოგიკურის ერთი ძირითადი თავისებურების გარკვევაში მდგომარეობს. ვ. ი. ლენინის ანდერძის შესრულება „კაპიტალის“ ლოგიკის დამუშავების შესახებ საბჭოთა ლოგიკოსების გადაუდებელ ამოცანას უნდა წარმოადგენდეს.

შრომაში დაწვრილებით იქნება განხილული არა ყველა საკითხი ლოგიკისა, — არა ყველა საკითხი დიალექტიკური და ფორმალური ლოგიკის დამოკიდებულებისა, არამედ მხოლოდ ერთი საკითხი, სახელდობრ, საკითხი იმის შესახებ, თუ როგორია ლოგიკური კავშირის ზოგადი ხასიათი; მოცემულია ცდა იმის დამტკიცებისა, რომ ლოგიკური კავშირი, თუ ის სისრულით იქნება წარმოდგენილი, დიალექტიკური ბუნებისაა. ფორმალური ლოგიკა კი ამ კავშირის მხოლოდ ერთ მხარეს აქცევდა და აქცევს ყურადღებას. იგი ისტორიულად ადრე ჩამოყალიბდა და წინ უსწრებს დიალექტიკურ ლოგიკას, ისე როგორც მუდმივ და სასრულო რიცხვე-

<sup>1</sup> В. И. Л е н и н, Философские тетради. 215.

<sup>2</sup> იქვე.

<sup>3</sup> კ. მარქსი, პოლიტიკური ეკონომიის კრიტიკისათვის, გვ. 311.

ბის შესახებ მეცნიერება — „დაბალი მათემატიკა“ წინ უსწრებს „უმაღლეს მათემატიკას“, — ისე როგორც ნიუტონის მექანიკა წინ უსწრებს ქვანტურ მექანიკას, ანდა, — როგორც ევკლიდეს გეომეტრია ლობაჩევსკის გეომეტრიას უსწრებს წინ.

თუ დიალექტიკური სინამდვილის ამსახველი აზრები და მათი კავშირები, როგორც ითქვა, დიალექტიკური უნდა იყოს, მაშინ მასში დიალექტიკის ნიშნები და კანონები უნდა მოქმედებდნენ. მართლაც, „აზროვნების კანონები და ბუნების კანონები აუცილებელივ ერთმანეთს ეთანხმებიან, თუ ისინი სწორად არიან შემეცნებული“<sup>1</sup>. სუბიექტური აზროვნება და ობიექტური სამყარო ერთსა და იმავე კანონებს ექვემდებარებიან<sup>2</sup>.

რომ სინამდვილის და აზროვნების კანონები ერთიმეორეს გამორიცხავდნენ, რომ მათ შორის არ იყოს საერთო, ზოგადი რამ, მაშინ სინამდვილე ჩვენთვის აბსოლუტურად გაუგებარი იქნებოდა და აზროვნებას არავითარი ობიექტურობა არ ექნებოდა. ის გარემოება, რომ სინამდვილეში და აზროვნებაში ერთიდაიგივე კანონები მოქმედებენ, სრულიადაც არ ნიშნავს სინამდვილის და აზროვნების ჰეგელიანურ გაიგივებას, რადგან მარქსიზმ-ლენინიზმში აზროვნება გაგებულია, როგორც სინამდვილის. ასახვა. ასახვის პრინციპი აზრისა და არსის დამოკიდებულებაში საერთოსაც გულისხმობს და სპეციფიკურსა და განსხვავებულსაც. აზროვნების და სინამდვილის კანონები ერთიმეორეს ეთანხმებიან, რადგან აზროვნება სინამდვილის ასახვაა, მაგრამ უნდა ითქვას, რომ აქ ჩვენ ორი რიგის კანონები გვაქვს, „ესაა კანონების ორი რიგი, რომელნიც არსებითად იდენტურნი არიან, გამოხატულებით კი განსხვავდებიან...“<sup>3</sup>

აქ ლაპარაკია (როგორც აღინიშნა) დიალექტიკის კანონებზე. სახელდობრ, უზოგადეს კანონებზე, რომლებიც მოქმედებენ სინამდვილის ყოველ სფეროში: ბუნებაში, საზოგადოებაში და აზროვნებაში. ამ სამ სფეროს, რომელიც ორ სფეროდ — ობიექტური სინამდვილის და აზროვნების სფეროდაც — შეიძლება და უნდა იქნას წარმოდგენილი, თავისი სპეციფიკური კანონებიც გააჩნიათ, წინააღმდეგ შემთხვევაში, აქ არავითარ განსხვავებას არ ექნებოდა ადგილი. ზოგადი კანონები, რომლებიც ამ სფეროებში მოქმედებენ, თვითონ ამტკიცებენ მათი სპეციფიკურობის აუცილებლობას, წინა-

<sup>1</sup> ფ. ენგელსი, ბუნების დიალექტიკა, გვ. 231.

<sup>2</sup> ჭკვე, გვ. 275.

<sup>3</sup> კ. შიარქსი, ფ. ენგელსი. რჩეული ნაწერები, ტ. II, გვ. 465, (ფ. ენგელსის „ლ. ფოიერბახიდან“).

აღმდეგ შემთხვევაში ეს კანონები მათთვის ზოგადიც არ იქნებოდნენ.

ის გარემოება, რომ სინამდვილეში და აზროვნებაში დიალექტიკის ერთი და იგივე კანონები მოქმედებენ, იმას სრულიადაც არ ნიშნავს, რომ ამ კანონებს ამ სფეროებში თავისებურება არ ჰქონდეს; ისინი, როგორც ენგელსი ამბობს, გამოხატულებით განსხვავდებიან; მაგ., ურთიერთკავშირი არსებობს ბუნებაშიც და აზროვნებაშიც, მაგრამ ბუნებაში არსებული კავშირი სხვაგვარია, აზროვნებაში კი — სხვაგვარი: ბუნებაში თუ ორი საგანი ერთიმეორეს უკავშირდება, მაგ., თანახმად მიმზიდველობის კანონისა, აზროვნებაში ასეთი კავშირი სრულიადაც არა გვაქვს, მიმზიდველობის კანონი აზროვნებაში, ცხადია, არ მოქმედებს; აზროვნებაში არსებობს კავშირი თავისებური ხასიათის, მაგალითად, ცნებათა კავშირი, მსჯელობათა კავშირი და სხვ. ლოგიკური კავშირი მხოლოდ აზროვნებაში არსებობს და არა სინამდვილეში, მაგრამ ეს არ ნიშნავს, რომ დიალექტიკის უზოგადესი კანონები ლოგიკურში არ მოქმედებდნენ. ლოგიკური კანონის სპეციფიკურობა არ უნდა უარყოფდეს იმ ზოგადს. რამდენ სპეციფიკური გამოვლენაც ის არის. თუ, მაგ., დაპირისპირებულთა ერთიანობა სინამდვილის განვითარებისათვის ძირითადია, ეს არ ნიშნავს იმას, რომ ის აზროვნებაში, სახელდობრ, ლოგიკურში არ მოქმედებდეს; მისი მოქმედება აზროვნებაში, ცხადია, სპეციფიკური იქნება, მაგრამ ეს სპეციფიკურობა სწორედ მისი სპეციფიკურობაა და არა მისი უარყოფა.

დიალექტიკურ-ლოგიკურია. როგორც დიალექტიკური სინამდვილის ამსახველი და ამიტომ მისით განსაზღვრული ლოგიკური რადგან მართლაც დიალექტიკურია და ასეთი უნდა იყოს, ამიტომ მასში დიალექტიკის ნიშნები და კანონები უნდა მოქმედებდნენ. არ არის საკმარისი იმის ჩვენება, რომ ლოგიკური ფორმები, კანონები და წესები სინამდვილეს ასახავენ და ამიტომ ისინი ობიექტური ხასიათის არიან და ლოგიკის მეცნიერების საგანს შეადგენენ (ეს ასახვაც შეუძლებელი იქნებოდა აზრის დიალექტიკურობის გარეშე); ნამდვილი მატერიალიზმი მხოლოდ დიალექტიკური მატერიალიზმია და ამიტომ ნაჩვენები უნდა იყოს, აგრეთვე, ისიც, რომ დიალექტიკური სინამდვილის ამსახველი ლოგიკური თვითონ ექვემდებარება დიალექტიკის ნიშნებს და კანონებს; დიალექტიკური მეთოდის გამოყენება ცნება — მსჯელობა — დასკვნა — დასაბუთებაში მხოლოდ მაშინ შეიძლება, როცა ეს უკანასკნელნი თვითონ არიან დიალექტიკური ბუნების.

ჩვენ ვფიქრობთ, რომ დაპირისპირებულთა ერთიანობის კანონი არსებითი უნდა იყოს ლოგიკურისათვის, როგორც განსხვავებულთა,

არსებითად, დაპირისპირებულთა აუცილებელი კავშირისათვის. ვ. ი. ლენინი, ანვითარებდა რა ფ. ენგელსის დებულებებს, ამბობდა, რომ ყოველი მსჯელობა დაპირისპირებულთა ერთიანობაა. მაგ., მსჯელობა — „ცუგა არის ძალღი“ — ერთეულის და ზოგადის ერთიანობას, მათ აუცილებელ კავშირს წარმოადგენს და სხვ. ურთიერთკავშირი ყველაზე უფრო სრული და არსებითი სახით სწორედ დაპირისპირებულთა ერთიანობაში არსებობს. მართალია, დიალექტიკის მეოთხე ძირითად ნიშანში მთავარი „ბრძოლა“, მაგრამ ეს მომენტი თავისებური სახით არსებობს ლოგიკურში; მართალია, ცუგა და ძალღი, მსჯელობის სუბიექტი და პრედიკატი ერთიმეორეს არ ებრძვიან (მათ შორის ბრძოლის აღიარება დიალექტიკის ვულგარიზაცია იქნებოდა), მაგრამ ისინი ერთიმეორეს უპირისპირდებიან, და აუცილებელ დადებით კავშირშიც იმყოფებიან.

წინამდებარე შრომისათვის არსებითია ლოგიკურის ბუნების განხილვა შინაგანი წინააღმდეგობის, როგორც დიალექტიკური წინააღმდეგობის, თვალსაზრისით, — იმის დამტკიცება, რომ ლოგიკური კავშირი, არსებითად, შინაგან უარყოფას, შინაგან წინააღმდეგობას შეიცავს და იგი ერთიანობაა განსხვავებულთა და, არსებითად, — დაპირისპირებულთა.

თუ, მაგალითად, ფორმალურ ლოგიკაში A-ს და არა-A-ს წინააღმდეგობა გარეგანი წინააღმდეგობაა და არა-A გაურკვეველია, რადგან აქ მხედველობაშია მიღებული (მხედველობაში გვაქვს ყველაზედ უფრო დამუშავებული დასკვნა — კატეგორიული სილოგიზმი, რომელიც ცნების განაწილებას ემყარება) სიმრავლე, მოვლენათა სიმრავლე (მაგ. თეთრი და არა-თეთრი, ადამიანი და არა-ადამიანი), დიალექტიკურ ლოგიკაში, ამას გარდა, საგნის არსების მომენტთა დაპირისპირება უნდა იქნას მხედველობაში მიღებული და ლოგიკურად გამოთქმული. საგნის არსებას, მატერიალისტური დიალექტიკის თვალსაზრისით, შინაგანი წინააღმდეგობა წარმოადგენს, რომელსაც მხოლოდ ორი და ისიც სრულიად გარკვეული მხარე აქვს, რომელთაგან ერთი მეორეს და პირიქით უარყოფს და, ამავე დროს, როგორც ცნობილია, — გარკვეულ დადებით აუცილებელ კავშირშიც იმყოფებიან. საწინააღმდეგონი, თუ მართლაც ისინი ნამდვილი სრული აზრით, ყოველგვარი ენთიმემის გარეშე, არიან აღებული, საპირისპირო აზრის შემცველ დებულებებში უნდა იქნან გამოთქმული, რომელთა ერთიანობაც არა მარტო შესაძლებელი იქნება, არამედ, როგორც ეს შრომაში დაწვრილებით უნდა გაირკვეს, — აუცილებელიც.

ერთი სიტყვით, ჩვენი შრომა პასუხია ლოგიკური კავშირის, როგორც სინთეზური კავშირის, ერთ სიძნელეზე, სახელდობრ,

ლოგიკურში დაპირისპირებულთა ერთიანობის სიძნელეზე. თუ ფორმალურ ლოგიკაში დაპირისპირებულ აზრთა ერთიანობა შეუძლებლად არის მიჩნეული, დიალექტიკურ ლოგიკაში სწორედ ასეთი ერთიანობა უნდა იყოს არსებითი, რადგან მოძრაობა და განვითარებადი სინამდვილის ამსახველი აზრი დიალექტიკურ-ლოგიკური ბუნების არის და უნდა იყოს, იგი დიალექტიკის „ბირთვს“ უნდა ექვემდებარებოდეს.

წინამდებარე შრომაში დასაბუთებული იქნება ლოგიკური კავშირის, ცხადია, არა ყველა საკითხი, არამედ მხოლოდ ერთი. სახელდობრ, ის, რომ მოძრაობა და განვითარებადი საგნის არსების ამსახველი ლოგიკური კავშირი შინაგანი უარყოფის და შინაგანი წინააღმდეგობის, როგორც დიალექტიკური წინააღმდეგობის, შემცველი იქნება და თვითონ დაპირისპირებულთა ერთიანობას წარმოადგენს; ეს აზრი დასაბუთებული იქნება მხოლოდ რამოდენიმე, ჩვენი აზრით, ლოგიკურისათვის უძირითადესი შემდეგი საკითხების გარჩევის ბაზაზე:

1) კეშმარიტი აზრი მისგან დამოუკიდებლად არსებული საგნის განსაზღვრულობის გამოთქმაა. საგნის განსაზღვრულობა რეალური საფუძველია აზრის განსაზღვრულობისა. საგანი კონკრეტულია, მას მრავალი განსაზღვრულობა აქვს. მისი განსაზღვრულობანი მსჯელობებით გამოითქმებიან. კონკრეტული საგნის ასახვა მსჯელობათა კავშირით გადმოიცემა. მსჯელობათა კავშირის შედეგად შეგვიძლია ჩამოვაყალიბოთ საგნის არსების ამსახველი აზრი, რომელსაც ცნება ეწოდება. მეცნიერული კვლევის „შედეგები, რომლებშიც იგი თავისი ცდის მონაცემებს ანზოგადებს, ცნებებია“<sup>1</sup>. რადგან ყოველი მოძრაობა და განვითარებადი საგნის არსება, თანახმად მატერიალისტური დიალექტიკისა, შინაგანი წინააღმდეგობაა, ამიტომ ცნების განსაზღვრება, როგორც ცნების დადგენა-მიღება, შინაგანი უარყოფის საშუალებით სრულდება. ცნება და მისი განსაზღვრება დიალექტიკური ბუნებისაა, და შედეგია მსჯელობადასკვნისა როგორც ფაქტიურად. ისე ლოგიკურად, როგორც მათი ზოგადი აზრი.

ყალბია თანამედროვე ბურჟუაზიული ფილოსოფიის და ლოგიკის წარმომადგენელთა თვალსაზრისება, რომლებიც ცდილობენ ლოგიკა სინამდვილეს მოსწყვიტონ. თანამედროვე ბურჟუაზიული ფილოსოფია, კერძოდ, ლოგიკა სასტიკ შეტევას აწარმოებს არისტოტელეს „ორგანონის“ საფუძვლის — „სუბსტანციალური მეტაფიზიკის“ — წინააღმდეგ და დგას ვ. ი. ლენინის მიერ განადკურ-

<sup>1</sup> ფ. ენგელსი, ანტი-დიურიზმი, გვ. 18.

ბული „რელატივისტური იდეალიზმის“ საფუძველზე; მაგ., მიმართების ლოგიკა, რომელიც სრულიად ეთანხმება ამ იდეალიზმს და „рассматривает одну лишь мысль без ее реального объекта“<sup>1</sup>

უფრო შორს მიდის თანამედროვე „ლოგიკური პოზიტივიზმი“ (ლ. ვიტგენშტეინი, ნეირატი, რ. კარნაპი). რომელმაც ახალი დროის ნომინალიზმი უკიდურეს წერტილამდე განავითარა, რადგან სიტყვას ყოველივე მნიშვნელობა წაართვა და მთელი ლოგიკა და საერთოდ მეცნიერება უაზრო სიტყვების და სიმბოლოების თაშაშად გადააქცია.

2) წინამდებარე შრომაში განსაზღვრების ლოგიკური მნიშვნელობის გარკვევის საფუძველზე ნაცადია თვითონ ლოგიკურის, ლოგიკური აუცილებლობის განსაზღვრების მოცემა. ჩვენი აზრით, ფორმალური ლოგიკის მიერ მოცემული განსაზღვრება ლოგიკური აუცილებლობისა, რომ აუცილებელი არის ის, რომლის საწინააღმდეგო შეუძლებელია, — ემყარება დაბოლოებულის ცნებას. დაუბოლოებელის, საგნის არსების, შინაგანი წინააღმდეგობის ამსახველ ლოგიკურის განსაზღვრება უნდა წარმოადგენდეს: აზრს, რომ აუცილებელი არის ის, რომლის უარყოფა მას ასაბუთებს. დაბოლოებულის და დაუბოლოებელის დიალექტიკური ერთიანობის გარკვევის საფუძველზე მოცემულია ლოგიკური აუცილებლობის დიალექტიკური ბუნების დახასიათება. გაკრიტიკებულია დაუბოლოებელის უარყოფელი ანტიმეცნიერული თვალსაზრისები.

3) ლოგიკური კავშირის, ლოგიკური აუცილებლობის ბუნების გარკვევა, შეიძლება ითქვას, მისთვის დამახასიათებელი ძირითადი კანონის ბუნების გარკვევას უდრის. ლოგიკურის ძირითადი კანონი მხოლოდ ერთი შეიძლება იყოს, რადგან რამოდენიმე ძირითადი კანონის აღიარება თვითონ ძირითადი კანონის ცნებას ეწინააღმდეგება, წინააღმდეგ ფორმალური ლოგიკისა, რომელიც სამ და ოთხ ძირითად კანონს აღიარებს ლოგიკური აზროვნებისათვის.

შრომაში იგივეობის, დაპირისპირების და წინააღმდეგობის ცნებების გარჩევის საფუძველზე მოცემულია ცდა იმის გარკვევისა, რომ ლოგიკურის ძირითადი კანონი არის შინაგანი წინააღმდეგობის კანონი სპეციფიკური ფორმით; ფორმალური ლოგიკის ე. წ. „აზროვნების ძირითადი კანონები“ კი დაქვემდებარებული ხასიათის არიან და წინააღმდეგობის ერთიანობის მომენტებს ცალ-ცალკე წარმოადგენენ, რასაც ნათლად გვაჩვენებს „აზროვნების ძირითადი კანონებისათვის“ დამახასიათებელი ნაკლოვანებანი, რომლებიც შრომაში დაწვრილებითაა გარჩეული.

<sup>1</sup> Шарль Серрюс. Опыт исследования значения логики, стр. 53.



4) ლოგიკური ისტორიულ-რეალურის ამსახველი ლოგიკურია და საფუძველ-შედგის აუცილებელ კავშირში მდგომარეობს. არც სილოგისტური და არც ინდუქციური გაგება საფუძველ-შედგის კავშირისა არ იძლევა ისტორიულის ამსახველ ლოგიკურს, არამედ ამ უკანასკნელის მხოლოდ ერთმხრიობებს წარმოადგენენ. საფუძველ-შედგის დამოკიდებულება ორმხრივია და არა ერთმხრივი. არა მარტო საფუძველი განსაზღვრავს შედეგს, არამედ, პირიქითაც, — შედეგი საფუძველს, წინააღმდეგ შემთხვევაში შედეგი არ იქნებოდა სწორედ საფუძველის შედეგი. ისე როგორც ურთიერთ-მოქმედება შინაგანი მიზეზით განისაზღვრება, ასევე საფუძველ-შედგის ურთიერთმოქმედება განისაზღვრება შინაგანი საფუძველით, რომელიც მთელს წარმოადგენს და არა მის ერთ მხარეს, და ამიტომ ასახავს საგნის, ისტორიულ-რეალურის არსებას.

შრომში ნაცადია იმის დასაბუთება, რომ ყოველგვარი დასკვნის საფუძველს ზოგადის და კერძოს კავშირის სხვადასხვაგვარი გაგება წარმოადგენს. ამ თვალსაზრისით გაკრიტიკებულია დედუქციის, ინდუქციის, და რედუქციის თეორიები. გაკრიტიკებულია, აგრეთვე, ინტუიციის დასაბუთებაც საფუძველად გამოყენება და ნაჩვენებია ფორმალისტური თეორიების ძირითადი სიყალბე.

წინამდებარე შრომში მოცემულია იმის დახასიათება, რაც, ჩვენი აზრით, არსებითია დიალექტიკურ-ლოგიკურისათვის, რაც ლოგიკური აუცილებლობის ზოგად ბუნებას წარმოადგენს და რის საფუძველზედაც შეიძლება დამუშავდეს მსჯელობის და დასკვნის სპეციალური თეორიები.

ჩვენ გვგონია, რომ ლოგიკის მეცნიერების განვითარებას ერთადერთი სწორი გზა არის დიალექტიკური ლოგიკის პრობლემათა დამუშავების გზა. მეორე შესაძლებელი გზა მათემატიკური ლოგიკის ჩამოყალიბების გზაა, რომელიც არასწორ გზად უნდა ჩაითვალოს, რადგან „მათემატიკური ლოგიკა“ მათემატიკის ერთ-ერთი სპეციალური დარგია და ლოგიკას სრულიადაც არ წარმოადგენს, ე.წ. იგი ლოგიკის დაყვანაა მათემატიკაზე და ამდენად — თვითონ ლოგიკის მეცნიერების უარყოფაც.

თანამედროვე ლოგიკური პოზიტივიზმის „შემწყნარებლობას პრინციპზე“ აგებული ლოგიკური თეორიები არა მხოლოდ ლოგიკის, არამედ საერთოდ მეცნიერების უარყოფას წარმოადგენენ.

ლოგიკის და საერთოდ მეცნიერების აქსიომატური პრინციპი რელატივისტური პრინციპია, მხოლოდ პირობითობის აღიარებაა; ნამდვილი კატეგორიული ცოდნა მხოლოდ დიალექტიკური ლოგიკის საფუძველზე მიღებული და დასაბუთებული ცოდნაა.

„თვით ფორმალური ლოგია, — ამბობდა ფ. ენგელსი, — არის-  
ტოტელედან დაწყებული დღევანდლამდე, ცხარე კამათის ასპარე-  
ზად რჩება“<sup>1</sup>. ეს კამათი და ბრძოლა დღეს, შეიძლება ითქვას,  
უკიდურეს წერტილამდეა მისული. საქიროა ამ ბრძოლაში გამო-  
ყენებულ იქნას დიალექტიკური ლოგია, როგორც ერთადერთი  
ბასრი იარაღი თანამედროვე რეაქციული ბურჟუაზიული ლოგიკური  
თეორიების წინააღმდეგ საბრძოლველად.

ფ. ენგელსი აღნიშნავდა, რომ „აზროვნების ფორმების, ლოგი-  
კური კატეგორიების გამოკვლევა ძალიან სასარგებლოა და აუ-  
ცილებელიც...“<sup>2</sup> ჩვენი შრომაც ამ ამოცანის განხორციელებას  
ემსახურება, სადაც, მატერიალისტური დიალექტიკის კანონების და  
ზოგიერთი კატეგორიის ანალიზის საფუძველზე, გარჩეულ იქნება  
ლოგიკური კავშირის ბუნება.

---

<sup>1</sup> ი. ხ. ფ. ენგელსი, ბუნების დიალექტია, გვ. 32.

<sup>2</sup> იქვე, გვ. 247.

## თ ა შ ი პ ი რ ვ ე ლ ი

### სნაგის განსაზღვრების მნიშვნელობა ლოგიკური გაგებისათვის

1. საგნის განსაზღვრულობა და მისი ამსახველი აზრის შინა-არსი. მატერიალური სინამდვილე მრავალფეროვან მოვლენათა ერთიანობას წარმოადგენს. ეს ერთიანობა მრავალგვარი კავშირების სახით არსებობს. ზოგიერთი ამ კავშირთაგან არსებითი ხასიათისაა, ზოგიერთი კი არაარსებითი. მიუხედავად ამისა, ეს კავშირები, ისე როგორც სინამდვილის ყოველი მოვლენა, ობიექტურად არსებულია. მეცნიერება სხვას არათერს არ სწავლობს, თუ არა სინამდვილის მოვლენათა მოძრაობის და განვითარების ობიექტურ, ჩვენი ნებისყოფისაგან დამოუკიდებლად არსებულ კანონზომიერებას.

სინამდვილის ყოველი მოვლენა მრავალგვარი ნიშნებით ხასიათდება. ყოველი ნიშანი მოვლენის, საგნის განსაზღვრულობას წარმოადგენს. ნიშანი ანუ განსაზღვრულობა არის ის, რაც ერთ საგანს მეორისაგან განასხვავებს და რაც შეიძლება საერთო იყოს სხვადასხვა სათვის, მაგ. თეთრი, წითელი, განფენილი, სწორი და სხვ.

ბუნების, საზოგადოებისა და აზროვნების ყოველ მოვლენას გარკვეული განსაზღვრულობანი გააჩნია; სინამდვილის მოვლენები ხასიათდება თვისებებით, თვისობრიობით, რიცხობრიობით, კანონებით; მატერიალური სინამდვილის მრავალფეროვნებანი, განსაზღვრულობათა მრავალსახეობანი, არსებითად, მოძრაობის სხვადასხვა ფორმის მოვლენებს წარმოადგენენ. ყოველი მეცნიერება მოძრაობის ამა თუ იმ ფორმას სწავლობს. საგანი განსაზღვრავს მეცნიერებას. არა მარტო მეცნიერება განისაზღვრება იმით, რასაც ის სწავლობს, არამედ ყოველი აზრიც საგნით განისაზღვრება; არ არსებობს უსაგნო აზრი. აზრი არის აზრი საგნის შესახებ, რომელსაც მრავალი განსაზღვრულობა გააჩნია.

მატერიალური მოვლენები, საგნები ჩვენს ცნობიერებაში ასახებიან. ეს ასახვა ხდება როგორც ცოცხალი განქვერებით, ისე აბსტრაქტული აზროვნებით. საგნის გარეგან თვისებებს, მხარეებს, მოვლენათა გარეგან კავშირებს ჩვენ ვწვდებით შეგარძნებებით, აღქმებით; არსებით და ფარულ კავშირებს კი — აბსტრაქტული აზროვნებით.

საგნის განსაზღვრულობანი აზრობრივად გამოითქმის წარმოდგენით, ცნებით, კატეგორიით, მსჯელობით და ა. შ., ე. ი. ამათ შინაარსს რაიმე განსაზღვრულობა წარმოადგენს. მაგ., ვარდის განსაზღვრულობაა, ის, რომ ის არის წითელი ან თეთრი, ის არის მცენარე და ა. შ. იმპერიალიზმის განსაზღვრულობაა წარმოების კონცენტრაცია და მონოპოლია, საფინანსო კაპიტალის ბატონობა, კაპიტალის გატანა, მსოფლიოს გადანაწილება, პარაზიტის და სხვ. თუ, მაგ., კაპიტალიზმისათვის დამახასიათებელია ანტაგონისტური წინააღმდეგობა, სოციალიზმს ახასიათებს არაანტაგონისტური წინააღმდეგობა და სხვ. და სხვ. საგნის განსაზღვრულობა აზრის ამა თუ იმ ფორმით გამოითქმის. აზრის შემუშავება ხდება საგნის ამა თუ იმ განსაზღვრულობის შესახებ.

აზრის შინაარსს მის მიერ გამოთქმული საგნის რომელიმე განსაზღვრულობა წარმოადგენს. არ არსებობს უშინაარსო აზრი. თვით აზრის განსაზღვრულობა შეიძლება მეორე აზრის შინაარსი იყოს. აზრის შინაარსი არის მის მიერ ასახული საგნის განსაზღვრულობა თუ განსაზღვრულობანი. თვითონ აზრის ფორმებს, მსჯელობისა და დასკვნის ფორმებსაც აქვთ თავიანთი ლოგიკური შინაარსი<sup>1</sup>. რ ა ა ს ა ც რ ა ი მ ე წ ა რ მ ო ა დ გ ე ნ ს, ი ს ა რ ი ს მ ი ს ი შ ი ნ ა ა რ ს ი და გ ა ნ ს ა ზ ღ ვ რ უ ლ ო ბ ა .

აზრის შინაარსი შეიძლება იყოს არარსებული საგნის (ფრთხიანი ცხენი, კენტავრი და სხვ.) განსაზღვრულობა. არსებობს სინამდვილის არა მხოლოდ აღქვებური ასახვა, რომელიც ჰეგელიც ჰეგელიც წარმოადგენს, არამედ არააღქვებური, ფანტასტიკური და ა. შ. ასახვა, რაც შეცდომას წარმოადგენს. შემცდარი აზრი სინამდვილის ამა თუ იმ მხარეს როგორღაც მაინც ეყრდნობა.<sup>2</sup> არარსებულის არსებულად და პირიქით მიჩნევა შეცდომას გვაძლევს. მაგრამ არარსებულს მხოლოდ არსებულთ შეიძლება ჰქონდეს აზრი: 1) არარსებულს გარკვეული, სახელდობრ, პირობითი აზრი იმიტომ აქვს, რომ ის არსებულად არის მიჩნეული: არარსებულს არსებული აძლევს აზრს; 2) არარსებული რაღაც არსებულთან მსგავსებით

<sup>1</sup> K. M a r x. Das Kapital, 1867, S. 21.

<sup>2</sup> იხ. ვ. ც. ლენინი იდეალიზმის გნოსეოლოგიური ფესვების შესახებ შრომაში: „დიალექტიკის საკითხისათვის“.

არის აზრდებული. ასევე, შეცდომას ჰქმნის აქვს აზრი. მცდარი აზრი სინამდვილის რომელიმე მხარეს როგორაც ეყრდნობა. ფრთიანი ცხენის შესახებ აზრი ეყრდნობა ფრთიანი ცხოველისა და ცხენის წარმოდგენებს; ფრთიანი ცხოველისა და ცხენის არსებობა აძლევს აზრს იმას, რომ ფრთიანი ცხენის არსებობაზე ვილაპარაკოთ, ის არსებულად და მსჯელობის საგნად მივიჩნიოთ. ასე ითქმის ყოველი ფანტასტიკური არსების „არსებობის“ შესახებ. ასეთი „არსებობა“ ასე თუ ისე აზრდებულია ნამდვილად არსებული საგნის სხვადასხვა განსაზღვრულობით.

შეიძლება რაიმე არ არსებობდეს სინამდვილეში, მაგრამ ჩვენ იგი არსებულად მიგვაჩნდეს, — აზრი გვეჩვენებს მისი არსებობის შესახებ. ასეთ შემთხვევაში ჩვენი აზრი იქნება მცდარი. მაგ., ღმერთი არ არსებობს, მაგრამ მორწმუნეს ის არსებულად მიაჩნია, ე. ი. მას აქვს მცდარი აზრი. ფილოსოფიის ისტორიამ იცის მრავალი შემთხვევა აზრიდან მისი შესატყვისი საგნის არსებობის გამოყვანის ყალბი თეორიებისა.

ჩვენ აქ მხოლოდ იმის თქმა გვინდა, რომ აზრი განსაზღვრულობას გამოთქვამს, სულ ერთია ეს განსაზღვრულობა არსებული იქნება თუ არარსებული, მაგრამ ისე, რომ მხოლოდ ნამდვილად არსებულია გამოსავალი და პირდაპირ თუ არა პირდაპირ იმის განსაზღვრელი, რაც ჩვენი მსჯელობის საგანს წარმოადგენს. აზრი და მისი განსაზღვრულობანი საგნის და მისი განსაზღვრულობების ასახვას წარმოადგენენ და ამდენად მეორადი ბუნებისანი არიან. ამიტომ თუ რომელიმე აზრის საგანი სხვა რომელიმე აზრია და არა მატერიალური საგანი, ის მაინც, არაპირდაპირ ამ უკანასკნელით განისაზღვრება. მაგ., კოპერნიკის აზრი პტოლომეს აზრის შესახებ ეხება, დედამიწის და მზის დამოკიდებულებას და სხვ. მაშასადამე უნდა ითქვას, რომ ჩვენი აზრის საგანი არის ჩვენი ნება-სურვილებისაგან დამოუკიდებელი მოვლენების თუ საგნების სხვადასხვა განსაზღვრულობანი. ამ განსაზღვრულობათა გამოთქმა, მათი ასახვა აზრის შინაარსს წარმოადგენს. ამიტომ აზროვნების ლოგიკური ფორმების ერთადერთი სწორი, მეცნიერული გაგება მხოლოდ მატერიალისტურ, სახელდობრ, ასახვის მარქსისტულ-ლენინური თეორიის საფუძველზეა შესაძლებელი.

აქამდე ჩვენ ვლაპარაკობდით იმის შესახებ, თუ რა არის აზრის შინაარსი. ეს უკანასკნელი, როგორც ითქვა, საგნის განსაზღვრულობის ასახვაა. ახლა ვიკითხოთ, თუ როგორია საგნის ეს განსაზღვრულობა, როგორი ბუნებისაა იგი და როგორ უნდა იყოს მისი ამსახველი აზრის განსაზღვრულობა, აზრის შინაარსი?

2. განსაზღვრულობის დიალექტიკური ბუნება. განსაზღვრულობა აღნიშნავს იმას, რომ რაიმე არის ეს და არა სხვა. ეს გარემოება, ე. ი. თვით განსაზღვრულობა აზრით, მაგალითად, მსჯელობით, გამოითქმის; როცა ვამბობთ, რომ ადამიანი მოკვდავია, ყოველსაზოგადოებრივ ეპოქას მისი გარკვეული წარმოების წესი განსაზღვრავს და სხვა, ამით გამოთქმულია საგნის ესა თუ ის მხარე, მისი დამახასიათებელი რაიმე ნიშანი, მისი განსაზღვრულობა, გარკვეულობა.

მაგრამ, ამავე დროს, რაიმე საგნის რომელიმე ნიშნის გამოთქმა იმასაც გულისხმობს, რომ იგი არ არის სხვა; ეს სხვა, სხვა ნიშნის უქონლობასთან ერთად; საგანს ახასიათებს. მაგ., როცა ვამბობთ, რომ „ვარდი არის წითელი და არა სხვა ფერის“, ამით გამოთქმულია ვარდის დამახასიათებელი ნიშანი, ამ შემთხვევაში, — სიწითლე და ის, რომ იგი არ არის სხვა ფერის, ე. ი. არაწითელი. მაშასადამე, დებულება: „რაიმე არის ეს და არა სხვა“ ერთსა და იგივე ნიშანს გამოთქვამს: „რაიმე არის ეს“ და იმასაც გამოთქვამს. რომ „რაიმე არ არის სხვა“. ყოველი განსაზღვრულობა საერთოდ სხვასთან, კერძოდ მის უარყოფასთან აუცილებლობით არის დაკავშირებული. კაპიტალიზმი არ არსებობს მისი უარყოფლის, მესაფლავის გარეშე. ეს უარყოფელი სწორედ კაპიტალიზმის შინაარსს მის არსებაში გვაჩვენებს. წინადადების დადებითი და უარყოფითი ფორმები შეიძლება ერთსა და იგივე განსაზღვრულობას გამოთქვამდნენ.

საგნის ნიშან-განსაზღვრულობის დამოუკიდებლობის აზრს ადგა და ახლაც ადგია მეტაფიზიკური ლოგიკა; მას ყოველი განსაზღვრულობა დამოუკიდებლად აქვს წარმოდგენილი; საერთოდ, მეტაფიზიკური ლოგიკისათვის თუ რაიმე არის, არ შეიძლება ამავე დროს არც იყოს; თუ რაიმე გაჩერებულია, მაშინ შეუძლებელია იგი ამავე დროს მოძრაობდეს; თუ რაიმეს თავისუფლება ახასიათებს, ამავე დროს შეუძლებელია მას არათავისუფლება — აუცილებლობა ახასიათებდეს და ა. შ.

მაგრამ უნდა ითქვას, რომ რომელიმე განსაზღვრულობის დამოუკიდებლობის აღიარება იმას გულისხმობს, რისგანაც ის არის გამოყოფილ-დამოუკიდებლად წარმოდგენილი. რაიმეს დამოუკიდებლად წარმოდგენა არის მისი აბსტრაქცია; აბსტრაქციას აზრი აქვს იმით, რისგანაც აბსტრაქცია ხდება. ის, ვინც ცდილობს გაექცეს სახელმწიფოს კანონებს და თავი დამოუკიდებლად წარმოიდგინოს, უფრო დამოკიდებული ხდება სწორედ ამ სახელმწიფოს კანონებზე. მისი გაქცევა, სწორედ ამ კანონებისგან გაქცევაა და ამდენად მათით განისაზღვრება. სახელმწიფოსა ან საერთოდ სა-

ზოგადობისაგან გაქცეული მისგან კიდევ უფრო განსაზღვრულია: ასეთი თავისუფლების მიღების მსურველი სწორედ თავისი თავისუფლების უარყოფელი გამოდის. მან ან სახელმწიფო უნდა გარდაქმნას და ამით შექმნას ის, რასაც ის დაექვემდებარება აუცილებლობით, (რაც მისი თავისუფლების უარყოფელი კი არა, სწორედ დამსაბუთებელი იქნება), ანდა საკუთარი თავისუფლების შეზღუდვით გააბატონოს მხოლოდ აუცილებლობა, უკეთ: თვითონ შეუწყოს ხელი ასეთ გაბატონებას და თავის თავის უარყოფას. მეფის რუსეთის პირობებში არსებული საზოგადოებრივი წყობისა და სახელმწიფოს უარყოფელად გამოდიოდნენ კომუნისტებიც და ანარქისტებიც; ორივე თავისუფლებას მოითხოვდნენ, მაგრამ „თავისუფლების“ სხვადასხვა გაგებით. კომუნისტები არსებული წყობილების დამხობით ცდილობდნენ ისეთი საზოგადოების შექმნას, რომლის მკაცრი კანონებით განსაზღვრული ადამიანები იქნებოდნენ ერთადერთი ნამდვილი თავისუფლების მატარებელნი, რადგან თავისუფლება შეგნებული (შინაგანი) აუცილებლობაა, ანარქისტები კი აბსოლუტური თავისუფლების აღიარებით თვითონ უარყოფდნენ თავისუფლებას; მაშ, თავისუფლების განსაზღვრულობა უნდა გაეიგოთ შედარებითი და არა აბსოლუტური მნიშვნელობით. თავისუფლება, რომელიც აუცილებლობას უარყოფს, თავის თავის უარყოფელიც გამოდის. თავისუფლებას მხოლოდ აუცილებლობის მიმართ აქვს აზრი. ასე ითქმის ყოველი განსაზღვრულობის შესახებ; შემთხვევითობას აზრი აქვს აუცილებლობით, ეს უკანასკნელი პირველის გარეშე არ არსებობს; არსებას აზრი ეკარგება მოვლენის გარეშე და პირიქით და სხვ.

როგორც აღვნიშნეთ, სწორია აზრი: ვინც რაიმეს გაურბის, ის განსაზღვრულია ამ რაიმეთი. რაიმეს უარყოფელს უარსაყოფელით აქვს გარკვეული განსაზღვრულობა. ამიტომ ზემოთ მოყვანილ ფორმულაში: „რაიმე არის ეს და არა სხვა“, მართალია, მხოლოდ რომელიღაც ნიშანია აღიარებული, მაგრამ ყოველ ნიშანს აზრი აქვს სხვასთან შედარებით; ის არის ის, რითაც იგი სხვებისაგან განსხვავდება. კაპიტალიზმი მისი მესაფლავით განისაზღვრება. ყოველი საგნის არსება შინაგანი უარყოფით, შინაგანი წინააღმდეგობით განისაზღვრება. ამიტომ ყოველი განსაზღვრულობა გარკვეულ უარყოფას შეიცავს თავის თავში, წინააღმდეგ შემთხვევაში, ის არც იქნებოდა განსაზღვრულობა.

რადგან განსაზღვრულობა უარყოფის შემცველიცაა და ამით სხვა განსაზღვრულობასთან გარკვეულ კავშირს მიუთითებს, ამიტომ ის საგნის გარკვეული განსაზღვრულობაა, გარკვეულობაა. უარყოფის შემცველი ყოველი განსაზღვრულობა წინააღმდეგობრი-

ვი ბუნებისაა და დიალექტიკის მეოთხე ძირითადი ნიშნის მაგალითს წარმოადგენს.

აქ, ჭერჭერობით, საკმარისია აღინიშნოს უარყოფის ორი სხვადასხვანაირი ბუნება: 1) სხვის უარყოფა (აღამიანი არ არის ქვა), და 2) შინაგანი უარყოფა (წარმოება არის მისი უარყოფელი მოხმარება, თავისუფლება არის შეგნებული აუცილებლობა და სხვ.). მაგრამ სხვისი ყოველი უარყოფა, როგორც ვთქვით, განსაზღვრულობის შინაგანი ბუნებიდან გამოდის, ის სწორედ მისი დამაწასიათებელია. რაიმე რომ სხვა არ არის, სწორედ იმიტომ არის ის, და პირიქით: რაიმე რომ ესაა, ამიტომ არაა სხვა. „სხვა“ მის განსაზღვრულობას წარმოადგენს. ლოგიკურად სწორედ ამას აქვს მნიშვნელობა. ყოველივე არის რაიმე განსაზღვრულობა, რომელშიაც უარყოფა არ არის აბსოლუტური მნიშვნელობის. იგი შედარებათაა; სწორედ ამიტომ არსებობს განსაზღვრულობა; *Omnis determinatio est negatio*. განსაზღვრულობა, თავისი ბუნებით, შედარებით არსსა და შედარებით არარსს შეიცავს, იგი მათ მთლიანობას წარმოადგენს. ყოველი საგანი შინაგანი წინააღმდეგობის ბუნებისაა.

ამიტომ თუ ვიტყვით, რომ ყოველი განსაზღვრულობა მსჯელობით გამოითქმება, ისიც უნდა ვთქვათ, რომ ეს მსჯელობა თავისებური ენთიმემის ხასიათისა იქნება: „რაიმე არის ეს“ იმასაც გულისხმობს, რომ „ის არ არის სხვა“ და ამიტომ არის სწორედ ეს. ყოველ არსებულს ორი მხარე აქვს: დადებითი და უარყოფითი, მაგრამ ისე, რომ ორივე მხარე, არსებობს, ერთსა და იგივეს შეადგენს. ეს ასეა, რადგან ყველაფერი მოძრაობა-განვითარებაშია. მოძრაობა კი არის შინაგანი წინააღმდეგობა.

როგორც ცნობილია, უარყოფა, ლოგიკის ენაზე, სიტყვა „არა“-თი აღინიშნება, მაგ. „სახლის“ უარყოფა იქნება „არა-სახლი“, „აღამიანის“ უარყოფა — „არა-აღამიანი“, „წარმოების“ უარყოფა „არა-წარმოება“, „მოძრაობის“ უარყოფა „არა-მოძრაობა“ და სხვ.

უარყოფის და წინააღმდეგობის ბუნებას ჩვენ ამ შრომის მესამე თავში განვიხილავთ სპეციალურად, აქ კი მხოლოდ განსაზღვრულობის და გარკვეულობის დახასიათებას ვისახავთ მიზნად, რათა დავემტკიცოთ, რომ საგნის განსაზღვრულობა მისი ამსახველი აზრის განსაზღვრულობას გვირკევეს.

ელეატებიდან დაწყებული მატერიალისტური დიალექტიკის თეორიის ჩამოყალიბებამდე გადუწყვეტელ პრობლემებად რჩებოდა საკითხები: 1) როგორ შეიძლება რაიმეს მისგან განსხვავებული აუცილებლობით მივაწეროთ? 2) როგორ შეიძლება მოძრაობის ბუნება „ცნებათა ლოგიკაში“<sup>1</sup> გამოვთქვათ? ეს ორი რამ ერთსა და

<sup>1</sup> В. И. Ленин, Философские тетради. 1947, стр. 240.



აგივეს აღნიშნავს: როგორ შეიძლება არსებულის წინააღმდეგობრივი ბუნება აზროვნებაში გამოხატოს? ჩვენ ვფიქრობთ, რომ თუ აზროვნებაში წინააღმდეგობა უარყოფილ იქნა, მაშინ საგნის განსაზღვრულობის წინააღმდეგობრივი ბუნება აზრში გამოუთქმელი, ე. ი. გაუგებარი დარჩება. ზოგიერთი (ფორმალური ლოგიკის დამცველი და დიალექტიკური ლოგიკის, როგორც ცნება-მსჯელობა-დასკვნის შესახებ მოძღვრების უარყოფელი, მაგ. პროფ. კ. ბაქრაძე) იმ აზრისაა, რომ აზრი, რომელიც საგნის წინააღმდეგობრივი ბუნების ამსახველია, თვითონ არაა წინააღმდეგობრივი, თავის თავის გამბათილებელი, წინააღმდეგ შემთხვევაში აზრი კი არა და უაზრობა გვექნებოდა.

ჩვენ ამ თვალსაზრისს, ჯერჯერობით, შემდეგს ვუპასუხებთ: საგანი ან მისი განსაზღვრულობა, რომელიც შინაგან განსხვავებულობას ან დაპირისპირება-წინააღმდეგობას შეიცავს, მთლიანობასაც წარმოადგენს, წინააღმდეგ შემთხვევაში, საქმე ერთ საგანთან ან მის ერთ განსაზღვრულობასთან არ გვექნებოდა. ასევე ითქმის ამ საგნის ამსახველი აზრის შესახებაც. აზრი ასეთი საგნის შესახებ, ცხადია, ერთი მთლიანი აზრი უნდა იყოს, მაგრამ შინაგანი განსხვავებულობის, შინაგანი დაპირისპირება-წინააღმდეგობის მოაზრება სწორედ იმას ნიშნავს, რომ ჩემი აზრი არჩევს საგნის სხვადასხვა და საწინააღმდეგო მხარეებს, — ჩემი აზრი შედგება ისეთი ელემენტებისაგან, რომლებიც საგნის ამ მხარეებს ასახავს, წინააღმდეგ შემთხვევაში აზრში ყოველგვარი განსხვავებულობა იქნებოდა უარყოფილი, ე. ი. საგანი თავისი შინაგანი ბუნებით მოუაზრებელი დაგვრჩებოდა. როგორც საგანს მისი შინაგანი წინააღმდეგობა არ აბათილებს თავიდანვე, ასევე მის ამსახველ აზრსაც შეუძლია შინაგანი უარყოფის ტარება<sup>1</sup>.

ჩვენ აქ მხოლოდ ის გვინდა აღვნიშნოთ, რომ აზრის ფორმების შესაძლებლობა საგნის გარკვეულობა-განსაზღვრულობაშია; ასახული საგნის შინაარსი განსაზღვრავს აზრობრივი გამოთქმის შინაარსს და მის გარკვეულობას, ე. ი. ფორმასაც.

3. განსაზღვრულობა, როგორც სინთეზური კავშირი. ორდესაც ვამბობთ, რომ რაიმეს აქვს განსაზღვრულობა, მაშინ გარკვეულ კავშირთან გვაქვს საქმე, სახელდობრ, საქმე გვაქვს: ან განსაზღვრულობების კავშირთან (ისიც განსაზღვრულობაა, რაც უნდა განისაზღვროს და გამოითქვას; რაიმეს განსაზღვრულობა წინასწარ გულისხმობს იმას, რის განსაზღვრულობაც ის არის; უაბსტრაქტულესი განსაზღვრულობა ყველაზე უფრო გაშუალებულია იმით, რისგანაც ისაა აბსტრაქციამნილი და არაა უშუალო, როგორც ეს

<sup>1</sup> ამის შესახებ სპეციალურად ამ შრომის მესამე თავში იქნება საუბარი.

პეგელს ეგონა), ან განსაზღვრულობის შინაგან კავშირთან, როგორც გარკვეულ სინთეზთან. უკეთ: აქ ეს მეორე მომენტი არსებითი და პირველადი, რადგან განსაზღვრულობათა კავშირი განსაზღვრულობის შინაგან სინთეზურ კავშირს ემყარება და წინასწარ გულისხმობს. მაგ., კაპიტალისტურ საზოგადოებაში სამუშაო ძალა წარმოების საშუალებებს ისე უკავშირდება, რომ პირველი მეორესაგან აბსოლუტურად არის მოწყვეტილი. კაპიტალიზმის ამ არსებიდან გამომდინარეობს ის, თუ რა ხასიათისაა ერთი კაპიტალისტური ქვეყნის მეორე კაპიტალისტურ ქვეყანასთან და სოციალისტურ ქვეყანასთან კავშირი. მაშასადამე, განსაზღვრების ბუნების გარჩევის დროს უნდა გაირკვეს განსაზღვრულობის შინაგანი კავშირი, განსაზღვრულობის სინთეზური ბუნება და, ამაზე დამყარებით, — ერთი განსაზღვრულობის მეორესთან კავშირის, როგორც ახალი განსაზღვრულობის, ბუნებაც. ორივე მომენტი, არსებითად, წარმოადგენს განსხვავებულთა მთლიანობას; ყოველი განსაზღვრულობა განსხვავებულთა შინაგანი სინთეზური მთლიანობაა, რომელშიაც არსებითია შინაგანი უარყოფის მომენტი; განსხვავებულობას აზრი აქვს მხოლოდ შინაგანი უარყოფის მომენტით. ყოველი განსხვავებულობა შეიცავს მომენტებს, მხარეებს, რომელთაგან ერთი არის ის, რაც მეორე არაა. ამიტომ ყოველი სინთეზურობა, რამდენადაც ის სწორედ სინთეზურობაა, ე. ი განსხვავებულთა კავშირს წარმოადგენს, ამდენად უარყოფის მომენტის შემცველია.

მაგალითისათვის ავიღოთ სრულიად უბრალო განსაზღვრულობა: რაიმეს სიწითლე; ეს არ არის არც მხოლოდ სიწითლე, რადგან იგი იმას გულისხმობს, რის სიწითლესაც ის წარმოადგენს; ეს არ არის არც მხოლოდ რაიმე, რადგან საქმე გვაქვს არა მხოლოდ რაიმესთან, არამედ რაიმეს სიწითლესთან. ეს განსხვავებულთა ერთიანობაა. რა საგნის განსაზღვრულობაც არ უნდა ავიღოთ, უსათუოდ იგი განსხვავებულთა ერთიანობა იქნება. საერთოდ, არ არსებობს აბსოლუტური სიმარტივე არც სინამდვილეში, არც აზროვნებაში. ყოველი აზრი არის მთლიანობა განსხვავებულთა; ამ უკანასკნელის გარეშე არ არსებობს, ყოველ შემთხვევაში, ლოგიკური აზრი, რადგან ლოგიკური სწორედ აუცილებელ კავშირს ნიშნავს აზროვნებაში. საერთოდ, რომელიმე აზრი არის აზრი საგანზე, მაშასადამე, განსხვავებულს აუცილებლობით გულისხმობს, მის გარეშე იგი არაფერია. მეორე მხრივ, შინაგანი განსხვავებულობის შემცველი საგნის მოაზრებაც, აზრიც შინაგანი განსხვავებულობის შემცველი იქნება, როგორც ეს ზემოთაც აღვნიშნეთ.

როდესაც, მაგ., ჩვენ ვამბობთ, რომ „ცუგა არის ძალდი“, მაშინ ერთ მთლიან საგანში ვარჩევთ ორ სხვადასხვა მომენტს, რომ-

ლებიც საგნის იმ განსაზღვრულობას შეადგენენ, რასაც ჩვენ გამოვ-  
თქვამთ აღნიშნული მსჯელობით; ცუგა, როგორც აი ეს ძალღი, არ  
არის მხოლოდ თვალხილული, ერთეული საგანი, იგი, ამავე დროს,  
ისეთიცაა, რომელიც თვალთ არ დაინახება,—არ არის მხოლოდ „აი  
ეს“;—ცუგა, როგორც ერთეული საგანი, ამავე დროს, არც არის მხო-  
ლოდ ერთეული საგანი, ის ზოგადიცაა—ძალღია. ყოველი მსჯელობა  
საგნის ამა თუ იმ მხარეს, მის განსაზღვრულობას, როგორც განსხ-  
ვავებულთა ერთიანობას, აზრობრივად გამოსთქვამს, და თვითონაც  
არის განსხვავებულ მომენტთა ერთიანობა, სახელღობრ, იმ მომენ-  
ტების ერთიანობა, რომელთაგან ერთი არის ის, რაც არაა მეორე.  
ასეთი უარყოფის შემცველია მსჯელობით გამოსათქმელი ყოვე-  
ლი განსაზღვრულობა და თვითონ ეს მსჯელობაც. წინააღმდეგ  
შემთხვევაში, საქმე გვექნებოდა აბსოლუტურ განუსხვავებღობას-  
თან, აბსტრაქტულ იგივეობასთან და ტავტოლოგიურობასთან. მაშა-  
სადამე, ყოველი განსაზღვრულობა არის დაღებღითისა და უარყო-  
ფღითის ერთიანობა. ამიტომ რაიმე განსაზღვრულობა არის ისღიც,  
რაც არის გარკვეული სხვა. საქონელი არის ის, რაც არ არის ფუ-  
ღი, მაგრამ საქონელი არის ფუღიც, რამღენაღაც ყოველი საქო-  
ნელი ეკვივალენტად გამოღგება, რამღენაღაც ყოველი საქონელი  
საყოვეღღათა ეკვივალენტი შეიღღება გახღღეს, რამღენაღაც საქო-  
ნელს საყოვეღღათა ეკვივალენტის განსაზღვრულობა აქვს; წინააღმ-  
დეგ შემთხვევაში, არც ფუღი იქნება საქონელი.

შინაგანი უარყოფა, როგორც განსაზღვრუღღობის არსება, რო-  
გორც შინაგანი წინააღმდეგობა, შეიღღება მხოლოდ უარყოფღითი  
მსჯეღღობღით გამოიღღქვას,—სულ ერთღია ეს მსჯეღღობა ენობრივად  
დაღებღითი ფორმღით იქნება გამოიღღქმული თუ უარყოფღითი ფორმღით.  
წარმოება არის ის, რაც არ არის მოხმარება, მაგრამ წარმოება არის  
სწორედ ამ უარყოფღითი მომენტის — მოხმარების აუციღღებღობღით  
შემცველი, იგი მის გარეშე არ არსებობს; ამიტომ მსჯეღღობა:  
„წარმოება არის მოხმარება“ უარყოფღითიღა, რამღენაღაც აქ პრეღღი-  
კატი სუბიექტის უარყოფაღა. ამრიგად, თუ უარყოფღითი ფორმღით  
გამოიღღქმული უარყოფღითი მსჯეღღობა ერთგვარ გაურკვევეღღობას შე-  
იღღცავს, დაღებღითი ფორმღით გამოიღღქმული უარყოფღითი მსჯეღღობა  
სრულიად გარკვეულიად არის წარმოღღგენიღღი. ლოგიკური და გრამა-  
ტიკული ფორმები ერთიმეორეში არ უნღდა იქნეს არეული.

მაშასადამე, როგორც საგნის განსაზღვრუღღობა, ისე აზრის  
განსაზღვრუღღობა სინთეზურღია, მაგრამ ისე, რომ ერთი ასახავაღა,  
— პირვეღღაღა, მეორე — ასახვაღა, — აზრობრივი გამოიღღქმაღა.

**4. ცნების განსაზღვრება, როგორც საგნის არსების განსაზღვ-  
რუღღობის ასახვა. განსაზღვრუღღობისათვის არსებღითი შინაგანი უარ-**

ყოფა მასში არსებულ შინაგან წინააღმდეგობას ააშკარავებს. შინაგანა წინააღმდეგობა კი (იხე, როგორც საერთოდ წინააღმდეგობა) უარყოფის ორმაგობას წარმოადგენს; თუ ერთი მომენტი მეორეს უარყოფს, მაშინ მეორეც პირველის უარყოფას წარმოადგენს. აქ ურთიერთგანსაზღვრასთან გვაქვს საქმე, ანუ უკეთ: ერთსა და მეორე განსაზღვრულობას შეიძლება ორი ურთიერთგამომრიცხავი და ერთმეორის შემკვებები ნიშანი ან მომენტი ჰქონდეს. ასეთია ყოველი საგნის არსების განსაზღვრულობა, რადგან საგნის არსება, გვასწავლის დიალექტიკური მატერიალიზმი, საგნის განვითარებას წყაროა, მისი მამოძრავებელია; ასეთია შინაგანი წინააღმდეგობა, რომელსაც, როგორც ეს ვ. ი. ლენინმა გარკვევით დაასაბუთა, აბსოლუტური ხასიათისაა. კაპიტალიზმის არსება მისი შინაგანი წინააღმდეგობაა. სიცოცხლის არსება შინაგანი წინააღმდეგობაა, მაგ., ასიმილაცია-დისიმილაციის წინააღმდეგობა, მემკვიდრეობათის და შექმნილის წინააღმდეგობის ერთიანობა, მემკვიდრეობის და შეგუების ერთიანობა და სხვ.

ასეთი უნდა იყოს ყოველი განსაზღვრულობის არსება, მაგრამ ამით სრულიად არ არის გამორიცხული ის, რომ განსაზღვრულობას მრავალი ნიშანი ჰქონდეს; პირიქით, მრავალი ნიშანი ერთი და იგივეს უფრო სრული დახასიათება იქნება; ერთი და იგივე არსება შეიძლება მრავალგვარად დახასიათდეს, ანდა ერთი და იგივეს შეიძლება მრავალი შესაძლებლობა ჰქონდეს, მრავალი აუცილებელი მომენტი ახასიათებდეს; მაგ., წარმოების, დიალექტიკის, ერას, იმპერიალიზმის, ლენინიზმის და სხვ. ცნებებს რამდენიმე ნიშანი ახასიათებთ.

ჩვენ აქ ჭერჭერობით მხოლოდ ის გვინდა აღვნიშნოთ, რომ განსაზღვრულობის შინაგანი უარყოფა შედეგად შეიძლება რამდენიმე მომენტს, როგორც ნიშანს, გვაძლევდეს. რადგან ყველაფერი განვითარებაში იმყოფება, ამდენად აზრიც ვალდებულია ყველაფერი განვითარებაში განიხილოს, ამიტომ ერთი განსაზღვრულობა ან ერთი და იგივე საგანი შეიძლება თავის განვითარებაში რამდენიმე ნიშან-მომენტს იძლეოდეს, როგორც მისი განვითარების გარკვეულ საფეხურებს. ანუ სხვანაირად: რაიმე თავის განვითარებაში შეიძლება რამდენიმე განსაზღვრულობის სახით წარმოადგეს, იგი ერთი განსაზღვრულობიდან, უარყოფის საშუალებით, გადავა მეორეში მისი არსების ამოწურვამდე. ერთი განსაზღვრულობის მეორეში გადასვლა არის ახალი განსაზღვრულობის მიღება. რადგან ერთი განსაზღვრულობა არის ეს და არა სხვა, ამიტომ სხვაში გადასვლა, სხვის მიღება იმის მიღებაა, რაც პირველში არაა; ამ ახალი განსაზღვრულობის (და განსაზღვრულობების) აზრით, პირ-

ველი განსაზღვრულობა არარაობას შეიცავს, ე. ი. იგი უარყოფის შემცველია, მაგრამ აქ უარყოფითი დადებითობასაც წარმოადგენს, იგი ახალი განსაზღვრულობაა იმისა, რაც განვითარებაში იმყოფება; ყოველი ახალი განსაზღვრულობა არის ის, რაც არ არის პირველი (იგი ნამდვილად პირველის უარყოფას წარმოადგენს), მაგრამ იგი ის არის, რაც უნდა იყოს პირველი განსაზღვრულობა და ეხ „უნდა იყოს“ ხორციელდება; განვითარებაში მყოფი ახალ განსაზღვრულობას ღებულობს.

აქ ჩვენ გვაქვს განსაზღვრულობათა კავშირი, როგორც ახლა არსებულის და მისი მომავლის კავშირი, ე. ი. კავშირი იმისა, რაც არის იმასთან, რაც უნდა იყოს. ეს კავშირი არის რეალური საფუძვლის და მისი შედეგის ერთიანობა, როგორც განვითარების კანონი. (მაგ., თანამედროვე კაპიტალიზმის ძირითადი კანონი, სოციალიზმის ძირითადი კანონი და სხვა). მაშასადამე, განსაზღვრულობა, ერთი მხრით, შინაგან დაპირისპირებას შეიცავს და დაპირისპირებულთა აუცილებელ კავშირს წარმოადგენს, მეორე მხრით, რეალური საფუძვლის და მისი შედეგის კავშირი თვითონ არის კანონის განსაზღვრულობა, სახელდობრ, განვითარების კანონის განსაზღვრულობა. ცნების განსაზღვრება საგნის არსების განსაზღვრულობის ამსახველი აზრის განსაზღვრებას წარმოადგენს; ანუ: რაიმეს განსაზღვრება განვითარებაში მყოფი განსაზღვრულობების დახასიათებაა<sup>1</sup>.

მაშასადამე, ერთიმეორისაგან უნდა განვასხვავოთ, არსების და მოვლენის განსაზღვრულობანი. არსების განსაზღვრულობა მისი მომენტების ურთიერთგანსაზღვრავს წარმოადგენს და ასახული უნდა იქნას ცნებაში (და არა წარმოდგენაში). საგნის არსების ამსახველი ცნების დადგენა არის ის ოპერაცია, რომელსაც ლოგიკაში განსაზღვრებას (დეფინიცია) ეძახიან. რადგან საგნის არსება იმაშია, რაც ანვითარებს, რაც ამოძრავებს მას, და არსება თავის განვითარებაში გარკვეულ საფეხურებს, როგორც გარკვეულ განსაზღვრულობებს გაივლის, ამიტომ საგნის არსების ამსახველი ცნების განსაზღვრება საგნის არსების განვითარების ასახვას უნდა წარმოადგენდეს. ამიტომ საგნის არსების განვითარებისდა მიხედვით მისი ცნებაც უნდა იცვლებოდეს; ამიტომ განსაზღვრებაც ცვალებადია, როგორც არსებითი კავშირის ასახვა ჩვენს ცნობიერებაში. საგნის განსაზღვრულობას მსჯელობით ავსახავთ; მსჯელობა გარკვეულ მომენტთა აუცილებელი კავშირია, რადგან ასეთია მისი რეალური საფუძველი და მასში ასახული შინაარსი. ცნების განსაზღვრე-

<sup>1</sup> ფ. ენგელსი, ანტი-დიურინგი, გვ. 93,

ზა, როგორც მსჯელობა, ცხადია არსებითი კავშირის გამოხატულებას უნდა წარმოადგენდეს; თვითონ ეს გამოხატულება აზრთა აუცილებელი კავშირი უნდა იყოს.

განსაზღვრულობანი ერთი და იგივეს განსაზღვრებას უნდა შეადგენდნენ. განსაზღვრების პროცესი, კანსაზღვრულობები, მათი კავშირი, მათი ერთიმეორიდან გამოყვანა ერთსა და იგივე საფუძველს უნდა გულისხმობდეს; ისინი ერთსა და იგივეს უნდა წარმოადგენდნენ; ერთი და იგივეს გარეშე შეუძლებელი იქნებოდა სხვადასხვა, ერთი და იგივე სხვადასხვა განსაზღვრებით წარმოდგება და არსებობს. ამასთანავე განსაზღვრულობებმა უნდა ამოსწურონ განსასაზღვრი, წინააღმდეგ შემთხვევაში, ისინი იქნებოდნენ არა მისი შინაგანი განსაზღვრებები, არამედ მხოლოდ არაარსებითი, გარეგანი და შემთხვევითი. რაიმეს განსაზღვრულობანი ამ რაიმეს შედეგი არიან, რამდენადაც მათ მისით აქვთ აზრი, მაგრამ, მეორე მხრით, განსაზღვრულობანი განსასაზღვრეს გამოთქვამენ სისრულით, — მხოლოდ იმას გამოთქვამენ, რაც მათ საფუძველად ძევს, მას გამოხატავენ, მას წარმოადგენენ და მეტს არაფერს.

ეს იმას ნიშნავს, რომ განსაზღვრულობებმა და მათმა ურთიერთკავშირმა უნდა მიგვიყვანოს მათ საფუძველად მდებარე არსებამდე; როგორმე შედეგად უნდა მივიღოთ ის, რაც მათ ძირში ძევს. განსაზღვრებამ არსება უნდა გამოთქვას, განსაზღვრება არის არსების ლოგიკური გამოთქმა. შედეგებმა უნდა მოგვცენ მათი მთლიანობის საფუძველი, მთლიანობის არსება.

ასეთი ოპერაცია ლოგიკური შეცდომა იქნება, თუ საფუძველი იმგვარივე ხასიათის განსაზღვრულობა იქნა, როგორც მისი რომელიმე სხვა განსაზღვრულობაა. შეცდომა მაშინ იქნება თავიდან აშორებული, თუ განსაზღვრულობანი მათ დაპირისპირებაში, ე. ი. როგორც ბოლოვადი განსაზღვრულობები, იქნა წარმოდგენილი, რომელნიც, სწორედ ურთიერთგამორიცხვით ამოწურავენ რა თავიანთ დაბოლოებულ ბუნებას, აუცილებლობით მოგვცემენ მათ ამხსნელს, მათ მომხსნელს, როგორც განსასაზღვრ საფუძველს. განსაზღვრება უნდა იყოს სწორედ არსების განსაზღვრება. ლოგიკა მოითხოვს, რომ განსაზღვრება საგნის არსებას უნდა გამოთქვამდეს, და ამით ცნებას უნდა გვაძლევდეს; — არსებას ლოგიკურად უნდა გამოხატავდეს. ამ მოთხოვნის შესრულება განსაზღვრების მოცემას უდრის. არსებითი ნიშნების ჩამოთვლა საგნის ზედაპირზე დგომაა, საჭიროა იმ ერთის მოცემა, რომლის ნიშნების ჩამოთვლასაც ცდილობენ; საჭიროა ერთი არსების გამოხატვა.

ძველი ლოგიკა მოითხოვს, რომ დეფინიციამ საგნის არსება გამოხატოს, ე. ი. მოგვცეს ცნება, როგორც საგნის არსების ასახვა,

მაგრამ ნიშნების ჩამოთვლით დაკმაყოფილება, ცნების ნიშნების ერთობლიობად წარმოდგენა არსების ზედაპირზე, მის ერთმხრიობაზე შეჩერებას ნიშნავს. ძველი ლოგიკის მოთხოვნა უნდა შესრულდეს, მაგრამ ეს შესრულება, ამავე დროს, იმის უარყოფაც იქნება, რაც ხსენებული მოთხოვნის შესრულებად ძველმა ლოგიკამ ჩასთვალა.

ნათქვამიდან ჩანს, რომ განსაზღვრების სუბიექტურობის სახით წარმოდგენა არსებითად იგივე შეცდომა უნდა იყოს, როგორც მისი (განსაზღვრების) საგანთან გაიგივება; პირველ შემთხვევაში სუბიექტურ-იდეალისტური შეცდომა გვექნება, მეორე შემთხვევაში — ობიექტურ-იდეალისტური. ამ ორივე სიყალბის თავიდან აცილება და საკითხის სწორი, მეცნიერული გადაწყვეტა მხოლოდ ასახვის მარქსისტულ-ლენინური თეორიის საფუძველზე შეიძლება. განსაზღვრება უნდა იყოს ლოგიკური ასახვა საგნის არსებისა მის განვითარებაში. ცნების განსაზღვრება არის ასახვა საგნის განვითარების არსებისა.

განსაზღვრება უნდა წარმოადგენდეს ლოგიკურის, ე. ი. ასახვის ლოგიკის გარკვეულ ფორმას, რომელიც საგნის არსების გაგების გარკვეულობას უნდა უდრიდეს. ის უნდა იყოს ერთი მთლიანი აზრი, დამძლველი იმ ერთმხრიობებისა, რომლებიც ნიშნებად წარმოდგინება ხოლმე. ნიშან-განსაზღვრულობათა ერთიანობა, როგორც ერთი განსაზღვრება, როგორც შინაარსეული (არამოცულობითი) ზოგადი, ცალკეულ განსაზღვრულობათა ერთმხრიობის მომხსნელი და ამხსნელი იქნება. ერთმხრიობათა მომხსნელი ლოგიკური იქნება განსაზღვრება ნამდვილი, მატერიალისტურ-დიალექტიკური გაგებით. ასეთი ლოგიკური, ლოგიკურის ასეთი სახე, როგორც საგნის არსების ასახვა, თავისებური კანონების მქონე უნდა იყოს; ისინი ისეთ ლოგიკურ კანონებს თუ წესებს უნდა წარმოადგენდნენ, რომლებიც გვამცნობენ საგნის გაგების გარკვეულ სისრულეს. აქ უნდა იქნეს გარკვეული აზრის ის განსაზღვრულობა, საკუთარი თავისებურებით, რომელიც საგნის არსების განსაზღვრულობას წარმოგვიდგენს. ლოგიკურმა ისტორიულ-რეალური უნდა ასახოს. საგნის განვითარების განსაზღვრულობათა ურთიერთკავშირ-გადასვლებში წარმოდგენა იქნება განსაზღვრების მოცემა<sup>1</sup>.

როგორც აღვნიშნეთ, რაიმე განსაზღვრულობა უარყოფითობას შეიცავს თავის თავში, ე. ი. იგი შემცველია ნაკლის, არასრულია. უარყოფის მომენტი არის ის, რომელიც, როგორც ითქვა,

<sup>1</sup> იხ. მარქსი „პოლიტიკური ეკონომიის კრიტიკისათვის“, თავი მეთოდზე, და ენგელსის რეცენზია ამ წიგნზე.

განსაზღვრულობას ასეთად ხდის; ეს ნაკლი, ეს უარყოფა, — უკეთ: განსაზღვრულობა ამ ნაკლით მოითხოვს სხვა განსაზღვრულობას, თავისი საკუთარი სისრულისათვის; ეს სხვაში გადასვლის მოთხოვნა არის თავისებური აუცილებლობა, რომელიც ისტორიულობას წარმოგვიდგენს; სხვაში გადასვლის აუცილებლობა ლოგიკურად საფუძველ-შედეგის დამოკიდებულებას უნდა წარმოადგენდეს. ეს არის გარკვეული შუალობითი კავშირი, ერთიმეორის განსაზღვრა-გაშუალება. განსაზღვრა გაშუალებას ნიშნავს. ერთი განსაზღვრულობა მეორეს მოითხოვს უარყოფის საშუალებით; სწორედ ამავე საშუალებით სრულდება გადასვლა.

სპინოზას *omnis determinatio est negatio* იმ აზრით კი არაა სწორი, რომ თითქოს აქ საქმე უარყოფით თავდებოდეს; არა, ის არის განსაზღვრულობის დაბოლოებულობის გამოხატულება და მისი დაძლევის შესაძლებლობის წარმოდგენაც. განსაზღვრულობები, რომლებიც ერთიმეორეს გამორიცხავენ, ამავე დროს ერთიმეორეს კიდევ ამართლებენ, ერთიმეორის ერთმხრიობებს ხსნიან, ერთიმეორის გამორიცხვით იმ ერთს გამოაჩენენ აუცილებლობით, რომლის განსაზღვრულობის მხარეებსაც ისინი წარმოადგენენ და რასაც განსასაზღვრს უწოდებენ. განსაზღვრება, რომელიც გაშუალებას წარმოადგენს, განსაზღვრებათა მთლიანობას, როგორც გადასვლა-განვითარებას, გამოხატავს, და, თავის მხრივ, ერთგვარ მოძრაობას წარმოადგენს, რომლის არსებასაც, ცხადია, შინაგანი წინააღმდეგობა უნდა შეადგენდეს.

5. განსაზღვრება როგორც დაპირისპირებულთა ერთიანობა. ყოველი საგნის გარკვეულობა-განსაზღვრულობის წინააღმდეგობრივი ბუნება ასეთივე (წინააღმდეგობრივი) აზრით უნდა გამოითქვას, სახელდობრ, დაპირისპირებული მსჯელობებით: 1) „არის“ და „არ არის“ ერთი და იგივეა, 2) „არის“ და „არ არის“, არ არის ერთი და იგივე, უკეთ: განსაზღვრება დაპირისპირებული მსჯელობების მხოლოდ მთლიანობით გამოითქმება; თვითონ დაპირისპირებული მსჯელობები განსასაზღვრის ერთმხრიობებს წარმოადგენენ. ის, რის განსაზღვრული მხარეები დაპირისპირებული მსჯელობებითაა გამოთქმული, არ არის ამ მხარეთა შეერთებით მისაღები თუ მიღებული, არა, იგი სწორედ მათი ერთიანობაა. მოძრაობა გამოითქმება „არის“ და „არ არის“ ერთიანობით. მისი (მოძრაობის) ერთმხრიობაზე ან ერთმხრიობების ჯამზე დაყვანა მას სპობს: მოძრაობა ერთიანობაშია, იმაში, რაც დაპირისპირებულთა ერთიანობას წარმოადგენს. ეს უკანასკნელი დაპირისპირებულთა გაერთიანებას კი არ წარმოადგენს, არამედ ერთიანობის გაორებას. დაპირისპირებულნი ერთიანო-



ბის ნიადაგზე არიან შესაძლებელი (წინააღმდეგ შემთხვევაში, დიუ-რინგისეული ძალთა ანტაგონიზმი გვექნებოდა).

დაპირისპირებულ მხარეებს, როგორც ვთქვით, მსჯელობები გამოთქვამენ, დაპირისპირებულ მსჯელობათა ერთიანობას კი დასკვნა (როგორც აუცილებელი კავშირი) უნდა წარმოადგენდეს; სხვა-ნაირად: განსაზღვრულობას გამოთქვამს მსჯელობა, მაგრამ არა სისრულით, არასრულად; მისი სრული გამოთქმა საჭიროებს აუცილებლობით მეორე მსჯელობას; მაგრამ ორივე მსჯელობის აუცილებლობა, ანუ უკეთ: მათი, საპირისპირო მსჯელობების, ერთიანობის აუცილებლობა უკვე მსჯელობას აღარ წარმოადგენს, რადგან მსჯელობა, როგორც ერთმხრიობის ასახვა, ხსენებული ერთიანობის ელემენტი. მაშასადამე, დასკვნა უნდა წარმოვიდგინოთ, როგორც განსაზღვრების ბუნების სრული ლოგიკური გამომხატველი. უკეთ: განსაზღვრება, სახელდობრ, ცნების განსაზღვრება და თვითონ ცნება, როგორც საგნის არსების ასახვა-გაგება, დასკვნის შედეგად უნდა იქნეს მიღებული.

ეს ცხადია, არ ნიშნავს იმას, რომ ცნება, მისი განსაზღვრება და დასკვნა, ერთი და იგივეა; არა, აქ ლაპარაკია იმაზე, რაც საერთოა ცნება-მსჯელობა-დასკვნისათვის; აქ ლაპარაკია ლოგიკურის ბუნებაზე, რომლის ფორმათა ერთიმეორისაგან განსხვავება სპეციალურად უნდა იქნას განხილული. ჩვენ აქ მხოლოდ ის გვინდა ვთქვათ, რომ მსჯელობები საგნის არსების ერთმხრიობებს გამოსთქვამენ, მათი კავშირი კი მსჯელობათა კავშირია, ე. ი. დასკვნაა, რომლის, როგორც აუცილებელი კავშირის, ზოგადი აზრი ცნებაა, როგორც საგნის არსების ასახვა. ასეთია მოძრაობის, განვითარების ცნებების განსაზღვრება. ასეთი უნდა იყოს ყოველი საგნის არსების განსაზღვრება, რადგან ყველაფერი მოძრაობა-განვითარებაშია; საგნის არსება კი სწორედ მისი მოძრაობის და განვითარების არსებას უდრის.

როგორც განსაზღვრულობანი, ისე მათი გამომთქმელი მსჯელობები, როგორც ითქვა, აუცილებელ კავშირში უნდა იქნეს ერთიმეორესთან და, თანახმად განვითარების პრინციპისა, ისინი ერთიმეორეში უნდა გადადიოდნენ. ეს გადასვლა და აუცილებელი კავშირი უნდა გამოითქვას განსაზღვრებაში, როგორც საგნის არსების განსაზღვრაში. კავშირი და გადასვლა აუცილებლობით გულისხმობს კავშირში მყოფთ, რომელთა ბუნება კავშირის, გადასვლის ხასიათს განსაზღვრავს. გადასვლებში მყოფი ცნებები განისაზღვრებიან ერთიმეორისაგან ისე, რომ ასახონ განვითარებაში მყოფ მოვლენათა ურთიერთკავშირი.

ცნებათა მიერ ერთიმეორის მიმართ ადგილის დაჭერა არის ცნების სხვა ცნებისაგან გარკვეული განსაზღვრება. თუ დასაკავში-

რბელი ცნებები გვარკობა-სახეობით კავშირში არიან, მაშინ ასეთი ცნებები განსაზღვრავენ მათი კავშირისა და, მაშასადამე, განსაზღვრების ხასიათს. უახლოესი გვარისა და სპეციფიკური განმასხვავებელი ნიშნის მონახვა ამა თუ იმ ცნებისათვის მისთვის სხვა ცნებათა შორის გარკვეული ადგილის მონახვას ნიშნავს. ისეთი ცნებები, რომლებსაც არა აქვთ არც გვარი და არც სახე, ე. ი. კატეგორიებს წარმოადგენენ, განისაზღვრებიან ისე, რომ ყოველი ცნება-კატეგორიის განსაზღვრება მათ მიერ იმ ადგილის გარკვევას ნიშნავს, რომელიც მათ უკავიათ ცნებათა სისტემაში. სისტემაში კატეგორიის ადგილის დადგენა არის მისი განსაზღვრება. მაგ., „ფულის“ კატეგორიის განსაზღვრება არის მისი საქონელსა და კაპიტალს შორის შოთავსება, რაც თვითონ საქონლის, ფულისა და კაპიტალის კატეგორიების ბუნებით ირკვევა და სრულიადაც არ არის ჩვენს სუბიექტურ საქმიანობაზე დამოკიდებული. კატეგორიათა კავშირი, როგორც ამას ლენინი გარკვეულად ასაბუთებს, საგანთა ურთიერთკავშირის ასახვას წარმოადგენს; და სწორედ კავშირში შეუძლიათ კატეგორიებს ასახონ სინამდვილე<sup>1</sup>.

ვ. ი. ლენინი აღნიშნავდა, რომ მატერიის, როგორც, კატეგორიის, განსაზღვრება ჩვეულებრივი წესით შეუძლებელია; მატერიის ცნების განსაზღვრება ცნობიერებასთან დაპირისპირებით უნდა მოხდეს, — დაპირისპირების საშუალებით უნდა შესრულდეს, სახელდობრ, — იმის გარკვევით, რომ ის არის პირველადი, განმსაზღვრელი;<sup>2</sup> მატერია უნდა განისაზღვროს როგორც განმსაზღვრელი, — მას არაფერი არ განსაზღვრავს, მას არავითარი გვარი არა აქვს, თვითონ არის უმაღლესი ცნება, რადგან სწორედ მატერიაა ის, რაც ყველაფრის საფუძვლად მდებარეობს.

აქ ისიც აღსანიშნავია, რომ კავშირი არ უნდა იქნეს წარმოდგენილი ისეთ (მესამე) მომენტად, როგორცაა დასაკავშირებელნი, — წინააღმდეგ შემთხვევაში მივიღებდით ლოგიკურ შეცდომას, ერთ-ერთ უაზრობათაგანს, რომელსაც ბერძნები „ტრიტოს ანთროპოს“-ს ეძახდნენ. შეცდომას მივიღებდით დასაკავშირებელთა (განსასაზღვრის და განმსაზღვრელის) სრული იგივეობისა და მათი ერთიმეორისაგან დამოუკიდებლად არსებულ განსაზღვრულობებად წარმოდგენის დროსაც; ამ ორ შემთხვევაში, განსხვავების დროს იგივეობას და, პირიქით იგივეობის დროს განსხვავებას აზრი ეკარგებათ. ნამდვილად კი ყოველგვარი კავშირი აუცილებლობით თავისთავში შეიცავს როგორც განსხვავების, ისე იგივეობის მომენტებს.

<sup>1</sup> В. И. Ленин, Философские тетради, стр. 237 — 239.

<sup>2</sup> ვ. ი. ლენინი, თხზ., ტ. 14, გვ. 177.

ამიტომ განსაზღვრება უსათუოდ სინთეზურია თავისი ბუნებით. არა აუცილებელი სინთეზურობის შემთხვევებში შეუძლებელი იქნებოდა მსჯელობის არსებობა, მისი საშუალებით განსაზღვრულობის გამოთქმა, ე. ი. — განსაზღვრება, ცნების განსაზღვრება, როგორც ასეთი. მსჯელობა აუცილებელი სინთეზური ერთიანობაა, ის გამოთქვამს იმას, რომ ეს არის ასეთი, ან არ არის ასეთი; მაგრამ მსჯელობები გამოთქვამენ იმას, რომ რაიმე არის მისგან განსხვავებული, ე. ი. — რაც ის არაა; ყოველი მსჯელობა დაპირისპირებულთა ერთიანობას უნდა წარმოადგენდეს. ამიტომ განსაზღვრებაც უნდა იყოს დაპირისპირებულთა ერთიანობა, ზოგადად: ის უნდა წარმოადგენდეს განსხვავებულთა აუცილებელ ერთიანობას, როგორც სინამდვილეში არსებული აუცილებელი კავშირის ასახვას.

რადგან, როგორც აღვნიშნეთ, დაპირისპირებულთა ერთიანობას ერთი მსჯელობა ვერ გამოთქვამს, ამიტომ არც განსაზღვრება წარმოადგენს ერთ მსჯელობას, თუმცა იგი ერთი წინადადებით გამოითქმება. (წინადადებისა და მსჯელობის, სიტყვისა და აზრის ერთიმეორისაგან მოწყვეტა და გაიგივება იდეალისტური სიყალბეა). წინადადებაში — „ადამიანი არის იარაღის მკეთებელი ცხოველი“ — ადამიანის განსაზღვრებაა გამოთქმული, მაგრამ ნამდვილად ეს განსაზღვრება ორი მსჯელობის ერთიანობას წარმოადგენს, სახელდობრ, შემდეგი მსჯელობების ერთიანობას: 1) ადამიანი არის ცხოველი და 2) ეს ცხოველი (ადამიანი) იარაღის მკეთებელია (იარაღის მკეთებლობა ადამიანს საერთოდ ცხოველსაგან არსებითად განასხვავებს). ამ ორი მსჯელობის ერთიანობა ნათლად გამოჩნდება, თუ ხსენებულ წინადადებას შემდეგ სახეს მივცემთ: ადამიანი არის ცხოველი, რომელიც იარაღს აკეთებს. ადამიანის ამ განსაზღვრებაში ისაა მთავარი, ის აზრია მასში გამოთქმული, რომ ადამიანი არის ცხოველი, მაგრამ ის არის იარაღის მკეთებელი, ე. ი. არ არის ცხოველი; იარაღის კეთება ცხოველობის უარყოფაცაა. ადამიანი წინააღმდეგობის ერთიანობაა: ის არის ცხოველი, მაგრამ, იარაღის კეთებით, — ცხოველის უარყოფელი. ადამიანი მაშინ გახდა ადამიანი, ე. ი. გამოეყო ცხოველებს, როცა იარაღის კეთება დაიწყო. ამიტომ განსაზღვრება დაპირისპირებულთა ერთიანობას უნდა წარმოადგენდეს; ის არ გამოითქმება ძველი ლოგიკის ჩვეულებრივი ერთი მსჯელობით, არამედ იგი ორი საპირისპირო მსჯელობის ერთიანობას წარმოადგენს.

განსაზღვრების ბუნება კიდევ უფრო ნათლად გამოჩნდება, თუ მაგალითად რომელიმე კატეგორიის განსაზღვრებას ავიღებთ. მაგ., თავისუფლებას განვსაზღვრავთ, როგორც შეგნებულ აუცილებლობას. თავისუფლება აუცილებლობას, მართალია, უპირისპირდება

(ისინი საპირისპირო ცნებებია), მაგრამ არ გამოიციხავს, არამედ თავისში შეიცავს, როგორც მის შინაგან მომენტს. აუცილებლობის შეგნება იმას ნიშნავს, რომ აუცილებლობა ვიცით და ჩვენს შინაგანად მიგვაჩნია და ვიყენებთ (პრაქტიკული ინტერესებისათვის). თავისუფლების განსაზღვრება ერთი მთლიანი აზრია, რომელიც ცნებაში ყალიბდება და დაპირისპირებულთა ერთიანობას წარმოადგენს. ასე ითქმის სხვა კატეგორიების შესახებაც, რომელთა ბუნება, ცხადია, ჩვენთვის ცნობილია.

ძველ ლოგიკასაც განსაზღვრება განსხვავებულთა ერთიანობად მიაჩნდა (თუმცა ამას გარკვეულად არც ამტკიცებდა, პირიქით, ხშირად ეწინააღმდეგებოდა კიდევ, რამდენადაც ზოგიერთი ლოგიკოსი განსაზღვრების სიმარტივეზე მიუთითებდა), მაგრამ ეს განსხვავებულობა გაიგივებული იყო გვარისა და სახის განსხვავებასთან. უახლოესი გვარის ნიშანი და სპეციფიკური განსხვავების ნიშანი ერთიმეორისაგან განსხვავდებიან და განსაზღვრება მათ ერთიანობას წარმოადგენს. ამ გარემოების, ე. ი. ძველი ლოგიკის მონაპოვრის, უარყოფა არ შეიძლება, მაგრამ, ამასთანავე, უნდა აღინიშნოს ის, რომ განსაზღვრების აზრი დაპირისპირებულთა ერთიანობაშია, რომელშიაც უარყოფა არსებით როლს თამაშობს, გვარეობის და სახეობის განსხვავება კი სწორედ იმ ნიშნებს ემყარება, რომლებიც, უარყოფის საშუალებით, დადებით ერთიანობაშია. თვით გვარი და ხახე ნიშანთა განსხვავებით ყალიბდებიან და ეხებიან ცნების მოცულობას, რიცხობრივ მხარეს, მაშინ როცა განსაზღვრება სწორედ ნიშნების დახასიათებას უნდა წარმოადგენდეს. სწორედ ეს არაა მიზეზი იმისა, რომ უახლოესი გვარისა და სპეციფიკური განმასხვავებელი ნიშნის აღნიშვნა განსაზღვრების ხერხია და არა წესი ან კანონი. ჩვენ კი ის გვინდა აღვნიშნოთ, რომ განსაზღვრების კანონი არის დაპირისპირებულთა ერთიანობის კანონი. მართალია, ძველ ლოგიკაში განსაზღვრებად ნიშნების ჩამოთვლაა მიჩნეული, მაგრამ, როგორც ამას შემდეგ უფრო ნათელვყოფთ, განსაზღვრება მხოლოდ ერთიანობაა (ნიშნებისა); განსაზღვრებან ნიშნების ერთობლიობად არ შეიძლება ჩაითვალოს. ნიშნებით შეიძლება დახასიათდეს ის ერთი, რომელიც განსაზღვრებას წარმოადგენს და ნიშნებზე, როგორც მის შესაძლებლობებზე, სრულიადაც არ დაიყვანება. განსხვავებულ ნიშანთა ერთიანობის კანონი კი შეიძლება მხოლოდ დაპირისპირებულთა ერთიანობის<sup>1</sup> კანონი იყოს.

<sup>1</sup> დაპირისპირებულთა ერთიანობა უნდა გვესმოდეს, როგორც დაპირისპირებულთა აუცილებელი კავშირი, რომელიც დადებითი მნიშვნელობითაა გაკებული და არა უარყოფითი აზრით, როგორც ამას კანტის ანტინომიებში ჰქონდა ადგილი. როგორც ამას შემდეგ გავარკვევთ, ერთიანობა სრულიადაც არ უღრის იგივეობას

როდესაც ჩვენ გვინდა განვსაზღვროთ თუ რა არის, მაგალითად, კაბიტალიზმი, ჩვენ შეიძლება ჩამოვთვალოთ მისი არსებითი ნიშნები, მაგრამ მთავარი იქნება სწორედ ის ერთი, რომელიც კაბიტალიზმის არსებას წარმოადგენს და გარკვეულ შინაგან წინააღმდეგობაში მდგომარეობს. დიალექტიკის თვალსაზრისით, ყოველი საგნის არსება შინაგან წინააღმდეგობაშია, მაშასადამე, განსაზღვრება, როგორც არსების ლოგიკური ასახვა, წინააღმდეგობას უნდა გამოთქვამდეს, ეს კი შესაძლებელია, როგორც ითქვა, დაპირისპირებულ მსჯელობათა ერთიანობით.

6. განსაზღვრების სინთეზურობა. ამბობენ, რომ განსაზღვრება ანალიზური ბუნებისაა. თუ ეს ასეა, მაშინ, ცხადია, ჩვენი ზემოთ წარმოებული მსჯელობები თავიდან ბოლომდე მცდარი იქნება. მაგრამ საქმარისია ოდნავ მაინც გავამახვილოთ ყურადღება და აღვნიშნოთ რამდენიმე დებულება, რომ სრულიად დავრწმუნდეთ განსაზღვრების სინთეზურობაში (სინთეზურობა ანალიზურობას კი არ გამორიცხავს, არამედ შეიცავს).

განსაზღვრება (დეფინიცია) განსასაზღვრის ბუნების გამოთქმა უნდა იყოს და არა ჩვეულებრივი განმარტება. თუ განსასაზღვრ ცნებაში წინასწარ ვიგულისხმეთ ყველაფერი ის, რაც განსაზღვრებამ უნდა მოგვცეს (და უნდა ვიგულისხმოთ კიდევ), მაშინ განმსაზღვრელით მას ვერაფერს დაეუმატებთ და მოგვეჩვენება, რომ განსაზღვრებაში სინთეზურობა შეუძლებელია; ასეთ შემთხვევაში სინთეზურობას ვეძიებთ იქ, სადაც არ უნდა ვეძიოთ, და ასეთ ძიებაში ლოგიკურ შეცდომაში ვვარდებით.

სინთეზურობას ეძებენ წინადადების, ქვემდებარისა და შემასმენლის კავშირის მიხედვით, მაშინ როცა განსაზღვრების ორივე ნაწილი (ე. წ. განსასაზღვრი და განმსაზღვრელი ცნებები) ერთსა და იგივეს წარმოადგენენ, ისინი მხოლოდ სიტყვიერად და არა აზრობრივად განსხვავდებიან. ამის გამო ზოგიერთი ლოგიკოსი (მაგ., ზიგვარტი) ფიქრობს, რომ განსაზღვრება სიტყვის განმარტების მეტს არაფერს არ წარმოადგენს<sup>1</sup>. მართლაც, ჩვენ მიერ ზემოთ მოყვანილ განსაზღვრებაში — ადამიანი იარაღის მკეთებელი ცხოველია —

---

(მით უმეტეს თუ იგივეობა მეტაფიზიკურად იქნა გაგებული). ერთიანობა აუცილებელი კავშირია, რომელიც გაგებულია დადებითი მნიშვნელობით. კანტი დაპირისპირება — წინააღმდეგობის აუცილებელ კავშირს სცნობდა, მაგრამ ის შეცდომად მიაჩნდა, ამით ე. წ. უარყოფით დიალექტიკას იძლეოდა. ამას დაუპირისპირდა ჰეგელი თავისი დადებითი დიალექტიკით, მაგრამ ეს დიალექტიკა ყალბი, იდეალისტური იყო მხოლოდ მარქსმა და ენგელსმა ჩამოაყალიბეს ნამდვილი დადებითი დიალექტიკა.

<sup>1</sup> Chr. Sigwart, Logik, B. I, 1889, § 44 (S. 370 — 381).

ადამიანი (განსასაზღვრი) იმას წარმოადგენს, რასაც იარაღის მკეთებელი ცხოველი. ამ იგივეობას ძველი ლოგიკა ცნებათა მოცულობების იგივეობად თვლის, მაშინ როცა ამ ცნებებს შინაარსით (ნიშნებით) განსხვავებებს. ნამდვილად იგივეობრივი ცნებების მხოლოდ ნიშნებით განსხვავება არ არის სწორი, თუ იმას მივიღებთ (რასაც ძველი ლოგიკა აღიარებს), რომ დამოუკიდებელ ნიშანთა მიმატება-გამოკლებით იქმნება განსხვავებული მოცულობები (მაშ, აქ ძველი ლოგიკა თავის თავს არ ეთანხმება). თუ ადამიანის ცნებას სხვა ნიშნები აქვს, ვიდრე იარაღის მკეთებელი ცხოველის ცნებას, მაშინ ისინი, ეს ცნებები, სხვადასხვა ცნებები ყოფილან, არ ყოფილან იგივეობრივი ხასიათის, მიუხედავად იმისა, რომ ორივე ცნება ერთსა და იმავე საგნებზე ვრცელდება. თუ ადამიანს გავიგებთ, როგორც ღვთაებრივ არსებას, მაშინაც ეს ცნება იმ საგნებზე გავრცელდება, რომლებზედაც ვრცელდება იარაღის მკეთებელი ცხოველის ცნება, მაგრამ აქედან ვინ დაასკვნის, რომ ეს ორი ცნება, ერთი მხრით, ყალბი ცნება ადამიანისა, როგორც ღვთაებრივი არსებისა, და, მეორეს მხრით, იარაღის მკეთებელი ცხოველის ჭეშმარიტი ცნება ერთ და იმავე ცნებას წარმოადგენდეს. ცნებება აზრებია და აქ სწორედ სრულიად განსხვავებულ და არაიგივეობრივ აზრებთან გვაქვს საქმე.

საგანთა იგივეობა, ცხადია, არ ნიშნავს მათ შესახებ აზრთა — ცნებათა იგივეობას. ერთსა და იმავე საგანზე (საგნებზე) ხომ შეიძლება ორი აზრი (—ერთი ჭეშმარიტი, მეორე ყალბი) გვექონდეს? ადამიანების შესახებ რომ ორი ცნება შეიძლება გვექონდეს, რომელთაგან ერთი სწორია, მეორე კი — არა, განა ეს გარემოება (საგნის იგივეობა) თვითონ ცნებათა იგივეობას ნიშნავს? ცხადია, შეიძლება პირობით დავაჩქვათ იგივეობრივი ცნებები იმ ცნებებს, რომლებიც ერთსა და იგივე საგნებს შეეხებიან, მაგრამ ეს არ ნიშნავს თვითონ ცნებათა იგივეობას.

სინთეზურობა ე. წ. განსასაზღვრი და განმსაზღვრელი ცნებების ერთიანობა — კავშირში კი არ უნდა ვეძიოთ, რადგან ასეთი აქ არ არსებობს, არამედ — თვითონ „განსასაზღვრში“, — თვით განსასაზღვრის განსაზღვრულობაში. განსასაზღვრის განსაზღვრულობის სინთეზურობას არ უნდა შევეუცვალოთ ადგილი და, წინადადების გრამატიკული წყობის თანახმად, არ უნდა გადავიტანოთ „განსასაზღვრის“ და „განმსაზღვრელის“ მოჩვენებითი განსხვავებულობის გაერთიანებაში. ადგილის ასეთი შენაცვლება ლოგიკურ შეცდომას წარმოადგენს: სინთეზს ვეძებთ და თითქოს ვაკეთებთ იმის შემდეგ, რაც იგი უკვე წინასწარ, სისრულით ნაგულისხმევი გვაქვს; „განსასაზღ-

ვრში“ ყველაფერი გვაქვს ნაგულისხმევი და შემდეგ ვცდილობთ მას მიეუმატოთ მისგან განსხვავებული „განმსაზღვრელის“ სახით.

თუ იტყვიან, რომ: როგორ შეიძლება სინთეზი განსხვავებულთა ერთიანობის გარეშე, მაშინ ჩვენ ამას დავეთანხმებით და ვიტყვით, რომ ასეთი ერთიანობა სწორედ განსასაზღვრში უნდა ვეძიოთ; ჩვენ ხომ სწორედ მისი განსაზღვრება გვსურს, განსაზღვრების მიზანი ხომ სწორედ განსასაზღვრის ბუნების გამოთქმაშია.

მატერიალისტური დიალექტიკა გვასწავლის, რომ სინთეზი არ არსებობს ანალიზის გარეშე და პირიქით. ამ დებულების განსაზღვრების მიმართ გამართლება, ჩვენთვის საჭირო მხრით, იმაში გვეგონია, რომ განსასაზღვრის ანალიზი მოგვეცემს და გვაჩვენებს მის სინთეზურობას. თვითონ სინთეზურობა მის ნაწილთა გარჩევაში ჩანს, ისე როგორც, პირიქით, ანალიზი, ნაწილთა გარჩევა შესაძლებელია სინთეზში მყოფთა. ანალიზი და სინთეზი, მართალია, ჩვენი საქმიანობაა, მაგრამ ეს საქმიანობა ემყარება თვითონ საგნის ბუნების ანალიზურობა-სინთეზურობას, წინააღმდეგ შემთხვევაში, ჩვენი ეს საქმიანობაც არასაგნობრივი და მცდარი იქნებოდა.

თუ მაინც მოვიხმართ განსასაზღვრისა და განმსაზღვრელის ცნებებს, ისინი, ე. ი. განსასაზღვრი და განმსაზღვრელი, თვითონ „განსასაზღვრში“ უნდა ვეძიოთ და მათი კავშირი იქნება ის ერთიანობა, რომელიც თვითონ განსაზღვრულობაშია ნაგულისხმევი.

მაგრამ უნდა ეთქვას, რომ განსასაზღვრი და განმსაზღვრელი შედარებითი ცნებებია. რაც განისაზღვრება, ის თვითონ განსაზღვრავს. თუ განსაზღვრულობაში ორი მომენტი გაერთიანებული (ასე უნდა იყოს ყოველ განსაზღვრულობაში), მაშინ პირველი მეორით განისაზღვრება და მეორე პირველით, სულ ერთია ეს განსაზღვრანი ერთნაირი ბუნების იქნებიან, თუ სხვადასხვა ბუნებისა. ხომ შეიძლება A განისაზღვრებოდეს B-ს მიერ, ისე როგორც B A-ს მიერ; ანდა: A-ს განსაზღვრება B-ს მიერ სხვაგვარი იყოს, ვიდრე, პირიქით, B-ს განსაზღვრება A-ს მიერ? მიზეზი შედეგით განისაზღვრება და შედეგი მიზეზით, მაგრამ არა ერთნაირად, წინააღმდეგ შემთხვევაში, ორივე ერთი და იგივე იქნებოდა, მათ შორის განურჩევლობა გვექნებოდა. საწარმოო ძალები განსაზღვრავენ წარმოებით ურთიერთობებს, მაგრამ წარმოებითი ურთიერთობების აქტიური უკუმოქმედება საწარმოო ძალებზე მათ მიერ ამ უკანასკნელთა განსაზღვრებაა<sup>1</sup>,

<sup>1</sup> წარმოებით ურთიერთობათა საწარმოო ძალებზე უკუმოქმედების აქტივობა ორგანოა: 1) ისინი აქტიურად მოქმედებენ მაშინაც, როცა საწარმოო ძალების მუხრატის როლში გამოდიან და 2) მაშინაც, როცა საწარმოო ძალებს ანეითარებენ. ორივე შემთხვევაში, თუმცა განსხვავებულ, მაგრამ მაინც გარკვეულ განსაზღვრას-

მაგრამ ვინ იტყვის, რომ აქ ორივე შემთხვევაში ერთნაირი განსაზღვრებები გვაქვს? ერთნაირი განსაზღვრებების დროს განმსაზღვრელი და განსასაზღვრიც ერთნაირია, ერთი და იგივეა. საწარმოო ძალებისა და წარმოებით ურთიერთობების გაიგივება, ცხადია, შეუძლებელი და უაზროა, — ასეთი გაიგივება მათი ორივესი უარყოფა ანუ მათი გათიშვა იქნებოდა. მაგალითად, სიტყვისა და აზრის გაიგივება არის მათი გათიშვა. აზრის და საგნის გაიგივებაც ასეთივე გათიშვაა და სხვა.

როდესაც A ისე განსაზღვრავს B-ს, როგორც პირიქით, მაშინ ორივე ერთ როლს შეასრულებს და, განსაზღვრების თვალსაზრისით, მათ შორის განსხვავება არ იქნება და ამიტომ ლოგიკურ რკალს მივიღებთ; ასე, მაგალითად, მე-18 საუკუნის ფრანგი მატერიალისტებისათვის გარემო ისე განსაზღვრავდა აზროვნებას, როგორც პირიქით, ორივე ერთ როლს ასრულებდა განსაზღვრების თვალსაზრისით, ამიტომ ისინი გამოუვალ, „მოჯადოებულ წრეში“ ვარდებოდნენ. ასეთი ყალბი მდგომარეობა იქმნება მაშინ, როცა მთელის მომენტს მთელად გადავაქცევთ, როცა შედარებითს და დამოკიდებულს აბსოლუტურისა და დამოუკიდებლობის მნიშვნელობას მივანიჭებთ. ასეთი საქმიანობა კი სიყალბის მეტს არაფერს არ წარმოადგენს.

საქმე იმაშია, რომ ყოველ ურთიერთგანსაზღვრებაში არის გარკვეული ნაკლი, სწორედ ისეთი, როგორიც აღვნიშნეთ, მაგრამ ურთიერთგანსაზღვრება არ უნდა წარმოვიდგინოთ ცალკე, ვინაიდან, ასეთ შემთხვევაში, სიყალბეს მივიღებდით. ურთიერთმოქმედების ნაკლი, როგორც ცნობილია მატერიალისტურ დიალექტიკაში თვითმიზეზობრიობით აიხსნება (წინააღმდეგ ჰეგელისა, რომელიც ურთიერთმოქმედებას ცნებით ხსნიდა). ურთიერთმოქმედების კატეგორიის გამართლება თვითმიზეზობრიობის კატეგორიით ხდება. საერთოდ, კატეგორიების კავშირი და განსაზღვრებანი სწორედ ასე უნდა შესრულდეს და სრულდება კიდევ (გამოსარკვევი სწორედ ამ განსაზღვრების ბუნებაა).

საგნის არსებაში („განსასაზღვრში“) საპირისპირო, ერთიმეორის დამბოლოებელი მომენტებია, რომელთა არა ჯამი ან ერთობლიობა, არამედ სწორედ ერთიანობა წარმოადგენს მას, საგნის არსებას, თვითონ საგანს. რა არის კაპიტალიზმი? კაპიტალიზმის განსაზღვ-

---

თან გვაქვს საქმე: ძველი წარმოებითი ურთიერთობანი აფერხებენ საწარმოო ძალებს განვითარებას, ამ აზრით განსაზღვრავენ მათ; ახალი წარმოებითი ურთიერთობანი წარმოადგენენ მთავარ ძალას, რომელიც საკუთრივ განსაზღვრავს საწარმოო ძალების შემდგომ განვითარებას.



რება მისი არსების ჩვენებას უდრის. რას წარმოადგენს კაპიტალიზმის არსება? ეს არის სამუშაო ძალის წარმოების საშუალებებთან ისეთი ერთიანობა, სადაც სამუშაო ძალა აბსოლუტურადაა მოწყვეტილი წარმოების საშუალებებს. სამუშაო ძალის წარმოებების საშუალებებისაგან აბსოლუტური მოწყვეტა ის უარყოფა და წინააღმდეგობაა, რომელიც ჰქმნის წარმოების საზოგადოებრივი ხასიათისა და მითვისების კერძო ფორმის წინააღმდეგობას, ამით — კლასთა შორის ანტაგონიზმს, პროლეტარიატსა და ბურჟუაზიას შორის შეურიგებელ, ურთიერთგამომრიცხავ წინააღმდეგობას. მაგრამ ეს და ასეთი წინააღმდეგობა შეუძლებელია ერთიანობის გარეშე; პროლეტარიატისა და ბურჟუაზიის ურთიერთგამომრიცხავი და შეურიგებელი წინააღმდეგობა ერთიანი ეკონომიკის საფუძველზეა შესაძლებელი. პროლეტარიატი რომ არ არსებობდეს, არც ბურჟუაზია იარსებებს და პირიქით, თუმცა ისინი ერთიმეორეს შეურიგებლად გამორიცხავენ. კაპიტალიზმის არსების განსაზღვრება ამ ერთიანობის ხასიათის გაგებაში და ჩვენებაშია. პროლეტარიატი განსაზღვრავს ბურჟუაზიას და, პირიქით, ბურჟუაზია — პროლეტარიატს. სამუშაო ძალის მქონენი, რომლებსაც არავითარი საწარმოო საშუალება არა აქვთ, გულისხმობენ საწარმოო საშუალებათა მქონეთ, რომლებიც სამუშაო ძალას არ წარმოადგენენ და პირიქით, წინააღმდეგ შემთხვევაში, ისინი, არც ერთი და არც მეორე, არ იარსებებდნენ. მაგრამ ეს ურთიერთგანსაზღვრება შესაძლებელია თვითონ ერთი და იგივეთი, ამ შემთხვევაში ერთი და იგივე წარმოების წესით, სახელდობრ, კაპიტალისტური წარმოების წესით. მაგრამ ეს და ასეთი „მესამე“, როგორც აღინიშნა, არ არას კავშირში მყოფთა მსგავსი რამ, არამედ ის („მესამე“) სწორედ დაპირისპირებულთა აუცილებელ კავშირს წარმოადგენს, იგი არას ურთიერთგამომრიცხვით დაბოლოებულთა ერთიანობა, როგორც ურთიერთგამომრიცხავთა ამხსნელი არსება.

კაპიტალისტური საზოგადოების ძირითადი კლასები — პროლეტარიატი და ბურჟუაზია — ერთიმეორის გამომრიცხველი, ურთიერთუარყოფელი კლასებია, მაგრამ, როგორც ითქვა, ისინი ერთიმეორესთან აუცილებელ კავშირში, ერთიანობაში იმყოფებიან, წინააღმდეგ შემთხვევაში, კაპიტალიზმის არსებობაც შეუძლებელი იქნებოდა. კაპიტალიზმის არსების განსაზღვრულობა აქ გარჩეულ მსჯელობებში გამოითქმის (როგორც ითქვა მსჯელობა წინადადებასთან არ უნდა გაიგივდეს, თუმცა მსჯელობა წინადადებით გამოითქმის და იგი — მსჯელობა, როგორც აზრი, სიტყვიერი ფორმის, როგორც მისი მატერიალური გარსის, გარეშე არ არსებობს). ავიღოთ

პროლეტარიატის და ბურჟუაზიის ენგელსისეული განსაზღვრებანი: „ბურჟუაზიად იგულისხმება კლასი თანამედროვე კაპიტალისტებისა, საზოგადოებრივი წარმოების საშუალებათა მესაკუთრეებისა, რომელნიც დაქირავებულ შრომას იყენებენ, პროლეტარიატად იგულისხმება კლასი თანამედროვე დაქირავებული მუშებისა, რომელნიც, რადგან წარმოების საკუთარი საშუალებები არა აქვთ, იძულებულნი არიან გაჰყიდონ ხოლმე თავიანთი სამუშაო ძალა, რათა იცხოვრონ“<sup>1</sup>. მამსადამე, თითოეული კლასის განსაზღვრა აუცილებლობით მეორესაც გულისხმობს; თვითონ განსაზღვრება დიალექტიკურია, სინთეზურია, რადგან ასეთივე საგანს გამოხატავს. განსაზღვრება საგნის არსების ამსახველი მეთოდია, რომელიც ცნებას ადგენს. საგნის ბუნება განსაზღვრავს ცნებას და მის განსაზღვრულობას, რომელიც შესატყვისი განსაზღვრებით სრულდება.

7. განსაზღვრება როგორც სპეციფიკური ნიშნის ჩვენება. როდესაც რეალურ და ნომინალურ განსაზღვრებებს განასხვავებენ, მაშინ აღნიშნავენ, რომ ნომინალური განსაზღვრების დროს მხედველობაშია რომელიმე ცნების („განსასაზღვრის“) სახეთა ჩამოთვლა, ე. ი. გვარის გასაგებად ჩამოთვლიან მის სახეებს. ეს ნიშნავს იმას, რომ იმეორებენ გვარის ნიშანს; სახეების ჩამოთვლის დროს მხედველობაში აქვთ მხოლოდ გვარის ნიშანი და არა სახის დამახასიათებელი და განმასხვავებელი ნიშანი. მაგ., მეცნიერებას განმარტავენ ასე: ის არის ფიზიკა, მათემატიკა და სხვ. აღამიანს განმარტავენ მისი მაგალითებით. ასეთი განსაზღვრება სრულიადაც არ არის განსაზღვრება. აქ მხოლოდ შედარების გზით ახდენენ უცნობის გაგებას. აქ წარმოდგენის სფეროში ტრიალია და არა — ცნების, საგნის არსების გამომხატველი აზრის, განსაზღვრება; გვაქვს წარმოდგენა ფიზიკის, მათემატიკის, ბოტანიკისა და სხვ. შესახებ და ვამბობთ, რომ ასეთია მეცნიერება. აქ ანალოგიის ნიშნად გარკვეულ პედაგოგიურ მიდგომასთან გვაქვს საქმე.

ჩვენ აქ მხოლოდ ერთის აღნიშვნა გვინდა, სახელდობრ იმისა, რომ ნომინალური განსაზღვრება გვარისა და სახის განსხვავებას ემყარება. მაგრამ სწორედ ეს გარემოებაა დასაყრდენად გამოყენებული მაშინაც, როცა ე. წ. რეალურ განსაზღვრებას უახლესი გვარისა და სახის სპეციფიკური განსხვავებით იძლევიან. თუ ნომინალური განსაზღვრების დროს გვარის სახეებს ჩამოთვლიან, „რეალური განსაზღვრების“ დროს კი, პირიქით, რომელიმე სახის გასა-

<sup>1</sup> კ. მარქსი და ფ. ენგელსი, კომუნისტური პარტიის მანიფესტი გვ. 37. 1952 წ. ენგელსის შენიშვნა.

გებად გვარს ასახელებენ, — იმას, რაშიაც სახე შედის, და ამავე დროს — ამ სახის სპეციფიკურ ნიშანსაც. მთავარი, ცხადია, სპეციფიკური ნიშნის დასახელებაა, ამ ნიშნის, როგორც განსაზღვრულობის, გაგებაა; ის გარემოება კი, რომ რაიმე რომელიმე საგანთა ჯგუფში შედის, მეორადი მოვლენაა, შედეგია სპეციფიკური ნიშნისა. მთავარი სწორედ სპეციფიკური ნიშნის ხასიათის ჩვენება-გაგებაა, ამ გაგების ხერხი იქნება ყოველივეს განსაზღვრების ხერხი; ამ ხერხის თუ წესის მოძებნა თავიდან აგვაშორებს იმას, რაც, აღნიშნულთან დაკავშირებით, ძველ ლოგიკაში დაუძლეველად ითვლებოდა.

ძველი ლოგიკა აღიარებს თავის ნაკლს, როცა ამბობს, რომ ყოველი ცნების განსაზღვრება შეუძლებელია, რადგან გვარის დასახელება ყოველთვის არაა შესაძლებელი; ხომ არსებობს ცნებები, რომელთაც გვარი არ გააჩნიათ; კატეგორიების განსაზღვრების წესი ძველ ლოგიკას არ ჰქონდა. იმის განსაზღვრებაც შეუძლებლად არის მიჩნეული, რასაც სახე. არ აქვს, რაც ერთეულია. ნამდვილი ერთეული, ის, რაც ერთადერთია, არ განისაზღვრება გარკვეული წესით ძველ ლოგიკაში. მაშასადამე, აქაც გამოუყენებელია სახისა და გვარის განსხვავება-დამოკიდებულება. რაციონალური ძველ ლოგიკაში არის სპეციფიკური ნიშნის ცნება. სპეციფიკური ნიშნის მოთხოვნა უნდა იქნეს სისრულით წარმოდგენილი და ამით ძველი ლოგიკის აზრი განსაზღვრების ცნების მიმართ განვითარდება.

სპეციფიკური ნიშანი ამა თუ იმ საგნისა უნდა იყოს მისი არსება; განსაზღვრება ხომ საგნის არსებას უნდა გამოთქვამდეს, რადგან ცნების განსაზღვრება არის სწორედ საგნის არსების ცოდნა. მატერიალისტური დიალექტიკა გვასწავლის, რომ არსება არის ის, რაც ამოძრავებს საგანს, რაც ცვლის მას; ეს კი შინაგანი წინააღმდეგობაა. როდესაც ჩვენ მოვნახავთ ამა თუ იმ საგნის შინაგან წინააღმდეგობას, მაშინ ჩვენ ვიცით მისი არსება. ამა თუ იმ საგნის ცნება არის ამ საგნის შინაგანი წინააღმდეგობის ასახვა.

წ. ზოგადის ბუნება, ცნება და მისი განსაზღვრება. ერთიმეორისაგან უნდა განვასხვავოთ ხერხი, რომლითაც ჩვენ მივდივართ ცნების განსაზღვრებამდე, და თვითონ ცნების განსაზღვრება. განსაზღვრების ოპერაცია (definitio), რომლითაც ჩვენ ცნების გაგებამდე მივდივართ, ცხადია, სხვაა თვითონ ამ ოპერაციის შედეგის (definitum), ცნების ნიშნების, ცნების ბუნების ნაირობასთან შედარებით; თუმცა, როგორც აღვნიშნეთ, საგნის ბუნება ჩვენი მისაღმი

მიდგომის ბუნებასაც უნდა განსაზღვრავდეს (მეთოდი არის შინა-  
არსის განვითარების გაგების წესი).

თუ ცნების ქვეშ ჩვენ გვესმის ის, რის ბუნებასაც გვარეობა-  
სახეობის დამოკიდებულება წარმოადგენს, მაშინ ჩვენ ვეძებთ სა-  
ხის გვარს და სპეციფიკურ ნიშანს, არისტოტელეს სიტყვებით, —  
ἰδιότης ἐκ γένους καὶ διαφορῶν ἐστίν, — ე. ი. სხვა სახეებისა-  
გან განმასხვავებელს. თუ ჩვენ ცნების ქვეშ გვესმის საგნის არსე-  
ბის ასახვა, საგნის არსებად კი შინაგან წინააღმდეგობას ვთვლით,  
მაშინ ისეთი გზა უნდა ავირჩიოთ, რომელიც წინააღმდეგობის  
ერთიანობამდე მიგვიყვანს. მთავარია, თუ როგორ გვესმის ცნების  
ბუნება, სახელდობრ, ცნების ზოგადობა, ე. ი. ის, რის განსაზღვრა-  
საც ვცდილობთ, — თვითონ განსასაზღვრი; ჩვენ ხომ განსასაზღვ-  
რის განსაზღვრულობა გვაინტერესებს?

თუ ცნების ზოგადობა ცნების მოცულობის აზრით გვესმის,  
მაშინ, ცხადია, ძველი ლოგიკის წესს უნდა მივსდით, თუკი სხვა-  
გვარად წარმოგვიდგენია ცნების ზოგადობა, მაშინ სხვა წესი უნდა  
ავირჩიოთ. თუ არსებობს ცნების არამოცულობითი, შინაარსეული  
ზოგადობა, მაშინ თვით სპეციფიკური ნიშნის, არსების, განსაზღვ-  
რულობის ზოგადობა და მისი ჩვენება იქნება გადამწყვეტი.

წინასწარ შეიძლება ზოგადად განისაზღვროს ცნების ზოგადო-  
ბის ბუნება და ამით მიეუთითოთ განსაზღვრების ნამდვილ წესზე,  
რის გაგებაც გვიჩვენებს ცნების განსაზღვრების ძველი წესების  
ავკარგიანობას და, ამავე დროს, მოგვცემს საშუალებას საერთოდ  
ლოგიკურის დახასიათებისა.

სილოგისტური დასკვნის თვალსაზრისით, ცნების ზოგადობა  
მოცულობითი ხასიათისაა; ცნების განაწილება, რომელიც არსები-  
თია ამ დასკვნაში, სწორედ „ყველა“-ს წარმოადგენს, როგორც ზო-  
გადს; ზოგადი არის მთელი კლასი. საგანთა ერთობლიობა, მართა-  
ლია, აღებულია გარკვეული ნიშნის მიხედვით, მაგრამ ცნებათა მეტ-  
ნაკლები ზოგადობა მაინც „ყველა“-ს და „ზოგიერთი“-ს დამოკი-  
დებულებით გამოიხატება. ნამდვილად, „ყველა“, მაგ., „ყველა ადამიანი“,  
ნიშნავს ერთი და იგივეს უსასრულო განმეორებით მიღე-  
ბულ სიმრავლეს. ზოგადობად წარმოდგენილია „ყველა“, მაგრამ ეს  
მხარე შესაძლებელია იმით, რომ ერთი და იგივე მეორდება; ყოვე-  
ლი ადამიანის, როგორც იარაღის მკეთებელი ცხოველის არსება,  
ხომ ერთია? ნიშნის ზოგადობა ნიშნის ბუნებიდან კი არაა გამოყვა-  
ნილი, თუმცა იგი ნაგულისხმევია (წინააღმდეგ შემთხვევაში შეუძ-  
ლებელი იქნებოდა მრავალზე ერთის გავრცელება და ერთი სიმ-  
რავლე, ერთი გარკვეული კლასი), არამედ — მისი სიმრავლეზე

გავრცელებულობიდან. ნამდვილად კი სიმრავლეზე გავრცელებულობა, ის გარემოება, რომ რაიმე ნიშან-განსაზღვრულობა საგანთა სიმრავლეს იმორჩილებს, იქვემდებარებს, თვითონ ნიშნის ბუნებაზეა დამოკიდებული და მეორადი ხასიათისაა. ყველა ადამიანი ასეთი და ასეთია იმიტომ, რომ არსებითად ერთი ადამიანია ასეთი. ყველა ადამიანი იარაღის მკეთებელია, რადგან ერთი და თითოეული ადამიანია ასეთი, ადამიანის არსებაა ასეთი.

ადამიანის, როგორც იარაღის მკეთებელი ცხოველის, განსაზღვრულობა, როგორც აღენიშნეთ, გარკვეული შინაგანი წინააღმდეგობაა და ზოგადობა თვით ამ განსაზღვრულობაში უნდა იყოს; ის ნიშანგანსაზღვრულობა, რომელიც მრავალზე ვრცელდება, თვითონ უნდა იყოს ზოგადობის ბუნების. ერთი განსაზღვრულობა მრავალზე გავრცელების გამო კი არაა ზოგადი, არამედ. პირიქით, რადგან ის არის ზოგადი, ამიტომ ვრცელდება მრავალზე. ზოგადს მრავლის დაქვემდებარება სწორედ ამიტომ შეუძლია. ცხადია, თუ ზოგადს მრავალისათვის საერთოს ვუწოდებთ, მაშინ თვითონ სიმრავლე უნდა გვესმოდეს ზოგადობად, მაგრამ, რადგან სიმრავლის გარკვეულობა ნიშნის ბუნებით განისაზღვრება, ამიტომ ზოგადობა თვითონ ნიშნის ბუნების განსაზღვრულობა-გარკვეულობაში უნდა ვეძიოთ და არა მხოლოდ იმაში, თუ როგორ ვრცელდება და მეორდება იგი. თვითონ მხოლოდ სიმრავლის (აქ მოხმარებული გაგებით) ზოგადობად აღიარება ზოგადობის ერთეულობაზე დაყვანას, ე. ი. ზოგადის უარყოფას, წარმოადგენს. ერთეულები, თუგინდ ის იყოს უსასრულო სიმრავლისა, მაინც ერთეულებია და არა ზოგადობა; ერთეულების სიმრავლე თვითონ კი არაა ზოგადობა, არამედ ერთი და იგივეს მხოლოდ განმეორებას წარმოადგენს; ზოგადობა გასამეორებელშია და არა განმეორებაში.

როდესაც ამბობენ, რომ ზოგადობა საერთოა ერთეულებისათვის, მაშინ ერთეული ზოგადობის ერთმხრიობად, მის არასისრულედ და ნაწილობრიობად არის წარმოდგენილი; მეორე მხრივ, ცალკე აღებული ზოგადობა ერთეულებისა და ერთეულის ერთმხრიობად წარმოდგინება. ცნობილია, რომ არც მხოლოდ ერთეულია ერთეული, თუ ის ზოგადის ერთეულობად არ არის აღებული, და არც ზოგადობაა ზოგადობა, თუ ის ერთეულის ზოგადად არ არის გაგებული; ზოგადის გარეშე ერთეულიც ზოგადია, რადგან მხოლოდ ერთეულის აღიარება, მისი აბსოლუტურად წარმოდგენა მას ზოგადობად აქცევს, ხოლო ერთეულის გარეშე ზოგადი არაა ზოგადი, არამედ ის, როგორც ცალკე აღებული, ცალკეული და ერთეულია. მხოლოდ ზოგადისა და ერთეულის მთლიანობაში აქვთ მათ აზრი,

ცალ-ცალკე მათი აღება ორივეს უარყოფა და საწინააღმდეგოში გადასვლაა. თვითონ ეს უაზრობა, საკუთარი თავის მოხსნისათვის, მოითხოვს მათ განუყრელობას; და რადგან ერთეულობა და ცალ-კეულობა ერთმხრიობად შეიძლება იქნეს მიჩნეული, ამიტომ ნამდვილი ზოგადი იქნება ერთმხრიობათა ერთიანობა. არა ერთეულუბის ერთობლიობა, ან ერთეულთა ნიშნების ჯამი, არამედ ის, რაც საკუთარი მომენტების თუ მხარეების ერთიანობაა, და ერთეულთა არსებას წარმოადგენს. ზოგადი იქნება არა მხოლოდ საერთო სიმრავლეში, არამედ ერთეულში არსებული ის ერთიანობა, რომელიც დაპირისპირებულ ერთმხრიობებს თავისში შეიცავს და, ამ აზრით, აერთიანებს. უკეთ: ზოგადობა არის წინააღმდეგობის ერთიანობა, როგორც ერთეული საგნის არსება, როგორც კანონი; ზოგადი არის არსება, რომელიც განვითარების კანონს წარმოადგენს. ზოგადი არის კანონი, როგორც წყარო ერთეულთა ცვალებადობა-განვითარებისა. სიმრავლე ერთი და იგივეს ცვალებადობა-განვითარების შედეგია. სწორედ ის, რის შემდეგაც სიმრავლე დგინდება, იქნება ნამდვილი ზოგადობა.

განვითარების გარეშე სიმრავლისა და ერთეულის დამოკიდებულების გადაწყვეტა, როგორც ცნობილია, ყოველთვის შეუძლებელი ხდებოდა. საგნების სიმრავლე აღებული უნდა იქნეს არა მათ სტატიკურ მდგომარეობაში, როგორც ამას ადგილი ჰქონდა ძველ, ფორმალურ ლოგიკაში, არამედ განვითარებაში, როგორც ერთი და იგივეს განვითარების საფეხურები და მოვლენები, რომელთა ზოგადი არის განვითარების საფუძვლად მდებარე კანონი. კანონი კი, როგორც ენგელსი აღნიშნავს, არის ზოგადობის ფორმა<sup>1</sup>.

ჩვენ ორ ზოგადობას კი არ ვაღიარებთ, ეს ლოგიკური შეცდომაა. იქნებოდა, არამედ ერთ ზოგადობას, რომელიც იმ სიმრავლეშიც ვლინდება, რასაც ძველი ლოგიკა ზოგადობას ეძახდა, რამდენადაც მას ცნების მოცულობას უიგივებდა.

განვითარების არსებითი კანონი, წინააღმდეგობის ერთიანობის და ბრძოლის კანონი, როგორც არსება ყოველთა საგნისა, თვითონ არის ზოგადობა, სახელდობრ, კონკრეტული და შინაარსეული ზოგადობა. კონკრეტულია იგი, რადგან არსებით განსაზღვრულობათა — ურთიერთგამომრიცხავ განსაზღვრულობათა — აუცილებელ კავშირს, ერთიანობას წარმოადგენს, კონკრეტული მრავალი განსაზღვრულობის მქონეა.<sup>2</sup> დაბოლოებულის ბუნების ამომწურავი უარყოფა და ურთიერთგამომრიცხვა, თავისი უღრმესი სახით, წინა-

<sup>1</sup> ე. ენგელსი. ბუნების დიალექტიკა, 1950, გვ. 240.

<sup>2</sup> კ. შარქსი, პოლიტიკური ეკონომიის კრიტიკისათვისა გვ. 281, 1953 წ.

აღმდევობათა ერთიანობაშია, სადაც წინააღმდეგობა თავისი ნამდვილი ბუნებით, სისრულით არის წარმოდგენილი. საწინააღმდეგო მხარეები ერთმხრიობებს წარმოადგენენ, რომლებიც ერთიანობამდე ერთიმეორეს ავსებენ; ცნება სწორედ მათი ერთიანობის ასახვაა, დაპირისპირებულთა ერთიანობა, როგორც დაპირისპირებულთა აუცილებელი კავშირი, არის ზოგადობა; იგი არაა მესამე ერთმხრივი მომენტი, არამედ ის, რომ საპირისპირონი ერთიმეორეში არიან; თვითონ დაბოლოებულთა არსებაა ზოგადი, როგორც აუცილებელი კავშირი ურთიერთგამომრიცხავ მომენტთა. ცნება, როგორც ამას შემდეგ უფრო ნათელვყოფთ, ურთიერთგამომრიცხავ მომენტთა ერთიანობაა, (მაგ., წარმოება მისი მომენტების ერთიანობაა, რომელიც მრავალ წარმოებაში მეორდება) <sup>1</sup>.

ზოგადობის შესახებ აქ აღნიშნული საკმარისია იმისათვის, რომ გავიგოთ განსაზღვრების ბუნება, რამდენადაც საქმე ეხება იმას, თუ რას განესაზღვრავთ, თუ როგორ გვესმის ცნების ბუნება. თუ ცნება საგნის არსების, როგორც შინაარსეული და კონკრეტული ზოგადის ასახვაა, მაშინ მისი განსაზღვრება სრულიად სხვა წესებით უნდა შესრულდეს, ე. ი. იგი სრულიად სხვას უნდა წარმოადგენდეს, ვიდრე განსაზღვრება იმ ცნებისა, რომელიც გაგებულია როგორც მოცულობითი ზოგადობა, ე. ი. ის განსაზღვრება (დეფინიცია), რომელიც ძველ ლოგიკაში იყო წარმოდგენილი.

როგორც აღვნიშნეთ, ძველ ლოგიკაში ძირითადი წესი განსაზღვრებისა, სახელდობრ, ის, რომ განმსაზღვრელი და განსასაზღვრო ცნებები მოცულობით ერთიმეორეს უნდა უდრიდეს, არ არის არსებითად მართებული და თვით ძველი ლოგიკის აზრს ეწინააღმდეგება იმის შესახებ, რომ ნიშნები განსაზღვრავენ მოცულობას. ერთი და იგივე მოცულობის ცნებები ასეთნი უნდა იყვნენ სწორედ შინაარსის გამო; სხვადასხვა სახელი ნიშნებისა არ უნდა გვატყდინდნენ, ერთი და იგივე ცნებები სხვადასხვად მივიღოთ. ერთი და იგივე მოცულობები, ე. ი. ძველი გაგებით, ერთნაირი ზოგადობანი სხვადასხვა ნიშნებს ერთსა და იმავე მნიშვნელობას არ აძლევენ სწორედ ნამდვილი ზოგადობისა და ცნების თვალსაზრისით. ამიტომ განსაზღვრება ან სიტყვის განმარტებად უნდა მივიღოთ, ე. ი. განსაზღვრება შეეცვალოთ სხვა რამით, ანდა დაუშვათ ლოგიკური შეცდომა; როგორც აღვნიშნეთ, იგივეობრივი ცნებებით განსაზღვრება ერთი და იგივეს განმეორებაა, ასეთ შემთხვევაში, განსასაზღვრო წინასწარ გულისხმობს განსაზღვრების შედეგს, თვითონ განსაზღვრების პროცესი და მისი განსაზღვრულობა კი იკარგება.

<sup>1</sup> კ. მარქსი. პოლიტიკური ეკონომიის კრიტიკისათვის. შესავალი.

ძველი ლოგიკის წესები განსაზღვრებისა გამოდგება მოვლენათა მიმართ, საგანთა ერთობლიობის, კლასების მიმართ, როცა ნიშნის ბუნება წინასწარ ნაგულისხმევია გაურკვეველად და მის საფუძველზე მოხდენილია ცდა იგივეობრივი სიმრავლის აღებისა. თუ „განსასაზღვრი“ და „განმსაზღვრელი“ უნდა უდრიდნენ მოცულობებით ერთმანეთს, მაშინ შეცდომად უნდა იქნას მიჩნეული მათი მეტნაკლებობა, როგორც ვიწრო ან ფართო განსაზღვრება. მაგრამ როგორც ახლახან აღვნიშნეთ, საქმე იმაში კი არაა ერთი და იგივე მოცულობის ორი ცნება გვექნება თუ არა, არამედ იმაში, თუ როგორი ბუნებისაა ამათ საფუძველად, არსებად მდებარე განსაზღვრება.

9. ანალიზი როგორც განსაზღვრების წესი. ნამდვილად, განსაზღვრება, ცნების დადგენა, ე. ი. იმის გაგება, თუ როგორია საგნის არსება, უნდა წარმოადგენდეს თვითონ ამ არსების მიერ განსაზღვრულ ჩვენს აზრობრივ მოქმედებას. უნდა ანალიზის საშუალებით აღმოვაჩინოთ საგანში ურთიერთგამომრიცხავი მხარეები და მივიღეთ მათ ერთიანობამდე, ამით დავადგინოთ ცნება, საგნის არსების ასახვა ჩვენი აზროვნების მიერ. ეს წესი, ყოველგვარი გამონაკლისის გარეშე, გამოდგება ყოველი ცნების განსაზღვრებისათვის, კატეგორია იქნება ის, ერთეული ცნება, თუ სხვა; — მხოლოდ ცნება უნდა იყოს იგი და არა წარმოდგენა ან სხვა რამ.

ძველი ლოგიკის აზრით, ზოგადი, რომელიც მოვლენათა არსებას წარმოადგენს, მიიღება ინდუქციის გზით, რადგან მას (ძველ ლოგიკას) ზოგადობად და მოვლენათა არსებად წარმოუდგენია ის, რაც სიმრავლეს ახასიათებს, როგორც მისთვის საერთო. ნამდვილად კი საგნის არსება ერთ საგანში უნდა აღმოჩნდეს ანალიზის საშუალებით. ფ. ენგელსი ამტკიცებს, რომ, მაგალითად, 100.000 მანქანა ერთ მანქანაზე უფრო დამაჯერებლად ვერ დაამტკიცებს, თუ როგორ ზდება სითბოდან მექანიკური მოძრაობის მიღება. ანალიზი არაარსებითს და არსებითს განასხვავებს, გამოყოფს არსებითს და ძირითად „პროცესს წმინდა, დამოუკიდებელი, გაუყალბებელი სახით წარმოადგენს“<sup>1</sup>.

კ. მარქსმა სწორედ ანალიზის საშუალებით აღმოაჩინა კაპიტალიზმის უმარტივესი უჯრედი — საქონელი, რომელიც მთელი კაპიტალიზმის დიალექტიკის ჩანასახს წარმოადგენს. თვითონ „კაპიტალი“-ს დასაწყისის — საქონლის, საქონელთა გაცვლის ანალიზი მასში მთელი კაპიტალიზმის წინააღმდეგობათა ჩანასახს აღმოაჩენს, დაიჭერს კაპიტალიზმის განვითარებისთვის ზოგადს, იმ წინააღმდეგობას, რომელიც მთელი კაპიტალიზმის განვითარებას

<sup>1</sup> ფ. ენგელსი, ბუნების დიალექტიკა, გვ. 235.



არსებით ზოგადად გასდევს. საჯანის არსების, მისი წინა აღმდგენობრივი ბუნების გავება: ე. ი. საჯანზე ცნების შედგენა ანალიზის საშუალებითაა შესაძლებელი.

ძველი ღიაჯიკა არ არეკვებს ამ ფსიქოლოგიურ გზას, თუ როგორ ვადგენთ განსაზღვრების თან ზომიერებას. ადექვატურობას, არამედ პირდაპირ მივითითებს, თუ როგორი უნდა იყოს ცნების განსაზღვრება. დიალექტიკური ლოგიკაც არ ენება ჩვენს ფსიქოლოგიურ მოქმედებებს, მიხედვრის საზღვასზეა უნარს, მაგრამ მიუთითებს გზას, თუ როგორ მივდეთ-ათ ცნებებს დადგენამდე, საჯანის არსების გავება-მდე. ეს გზა, როგორც ვთქვით, ანალიზის გზაა. ანალიზი საფუძვლად აძლევს გულისხმობას: მთლიანობა. რომელსაც საჯანი წარმოადგენს. უნდა აღინახოს ერთმხრიობაზე, ერთიერთგანმომრიცხავ მომენტებად. დროცა დადგინდება ისეთი მომენტება, რომლებიც ერთიერთგანმომრიცხავ განსაზღვრებით ერთმეორეს ასახულებენ, მაშინ დადგინდება და აღმოჩნდება ატყალეზლობით მათი ერთიანობაც, ე. ი. ვიკებთ რა არის არსება, მივიღებთ აზრს ამ არსების შესახებ. ე. ი. ცნებას (სულ ერთია ეს არსება მრავალ საგანზე განვიორბება, თუ არა). ერთიულის არსება არის მისი ზოგადობა. ცოდნა მასზე კი არის ცნება.

მაგალითად, რომელზეც კაპიტალიზტურა წარმოების ანალიზის დროს ვამჩნევთ, რომ ერთი მხრით არიან სამუშაო ძალის მქონენი, რომლებიც მოკლებულნი არიან წარმოების საშუალებებს. მეორე მხრით კი არიან ამ წარმოების საშუალების მფლობელები, რომლებიც სამუშაო ძალას, როგორც აქონულს. ყიდულობენ. ეს აღმოჩენა ერთიმეორის გამომრიცხავი მხარეებისა იმის აღმოჩენაცაა, რომ ისინი ერთიანობაში არიან, ერთმეორის გარეშე არ არსებობენ, ერთიმეორეს სწორედ უპირადად საშუალებით ავსებენ ერთი წარმოების შესაძლებელ განსაზღვრის საფუძვლად. ამ გარემოების გავება კი არის ცნება კაპიტალიზმისა. ასეთი ცნებები ზანგაძლიერი კვლევისა და მეცნიერების განვითარების შედეგია.

საჯანის ნიშან-განსაზღვრულობებს ანალიზის საშუალებით აღმოგჩენთ. ეს ნიშნები უნდა იყვნენ ისეთი, რომლებიც ერთიმეორეს გამორიცხავენ, მაგრამ, ამავე დროს, ერთიმეორეს წარმოადგენენ და პირიქით. ასეთ ნიშნებს მომენტები ეწოდება. მომენტთა ანალიზი შედეგად იმას მოვცემს, რომ ერთი არის მისი საპირისპირო და პირიქით: ამ გზით დავადგენთ მათს ერთიანობას, რის ასახვაც ცნე-

1 იხ. В. И. Ленин, Философские тетради, стр., 328; აგრეთვე ვ. ენგელსი, „კ. მარქსი პოლიტიკურა ეკონომიის კრიტიკისათვის“, — მარქსის ამ წიგნის 1953 წ. ქართ გამოცემის გვ. 311, 312, 313.

ბას უდრის. მაგ., წარმოების ცნება არის მის მომენტთა ერთიანობა, სახელდობრ „გარეგადამწვდომი“ მომენტი. მარქსი წარმოების მომენტებად განიხილავს: თვითონ წარმოებას (საკუთრივ წარმოებას), განაწილებას, გაცვლა-გამოცვლას და მოხმარებას. წარმოება არის მოხმარება და პირიქით; ასე ითქმის სხვა მომენტებზეც (თუ როგორც არის ერთი მომენტი მეორე და პირიქით, ეს მსჯელობისა და დასკვნის შედეგის წესებს ეხება უშუალოდ). მომენტები ერთიმეორეს გამორიცხავენ, ერთიმეორეს უარყოფენ, ერთიმეორეს განსაზღვრავენ და ერთიმეორის პრედიკატებს წარმოადგენენ, მაგრამ ურთიერთგანსაზღვრება ახსნილია წარმოების მომენტით, რომელიც, საბოლოო ანგარიშში, ყველაფერს, ე. ი. ყველა სხვა მომენტს და თავის თავსაც, განსაზღვრავს. ეს თავისთავადი არის არსება, რომელიც წარმოებად იწოდება. ცნება სწორედ ასეთი თავისთავადის, ე. ი. არსების ასახვა-გაგება უნდა იყოს.

ჩვენ აქ მხოლოდ იმ წესზე გვინდა მივეუთითოთ, თუ როგორ უნდა დავადგინოთ ცნება; იგი, როგორც ახლა აღვნიშნეთ, დგინდება ანალიზის საშუალებით: საკუთრივ წარმოებაში აღმოვაჩინოთ შინაგან ნიშანს, რომელიც მისი უარყოფელია; ეს არის მოხმარება; ამ უკანასკნელში აღმოვაჩინოთ მის უარყოფელ არსებით ნიშანს — წარმოებას და ა. შ. მანამ, ვიდრე თავისთავადზე არ მივალთ, ვიდრე ერთგვარ რკალს არ შევასრულებთ, იმას არ მივიღებთ, რაც რკალს ასრულებს და ამავე დროს მას ხსნის — სპირალს ჰქმნის (წარმოება ახალი წარმოების წყაროა).

10. დიალექტიკური აბსტრაქცია როგორც განსაზღვრების ხერხი. ცნების დადგენისას, გადამწყვეტია გარკვეული, თავისებური აბსტრაქციის გზა და ხერხი. ძველ ლოგიკაში აბსტრაქცია რომელიმე საერთო ნიშნის გამოყოფას ნიშნავს; უკეთ: ის ნიშნავს ნიშნის იმისგან დამოუკიდებლად წარმოდგენას, რის ნიშანსაც იგი წარმოადგენს. მაგრამ ასეთ შემთხვევაში ლოგიკურად ყალბ მდგომარეობაში ვვარდებით. თუ ვარდის სიწითლეს ცალკე, ვარდისაგან დამოუკიდებლად წარმოვიდგენთ და მას მაინც ვარდის სიწითლედ ვთვლით, მაშინ არ გვექნება მისი ცალკე, აბსტრაქტულად წარმოდგენა. სიწითლის იმისაგან აბსტრაქცია, რის სიწითლესაც ის წარმოადგენს, მას დამოუკიდებლობას სრულიად არ აძლევს, ე. ი. აბსტრაქცია ვერ აღწევს მიზანს. აბსტრაქციაქმნილი იმით არის განსაზღვრული, რისგანაც ის არის აბსტრაქციაქმნილი. უზოგადესი ცნება ძველ ლოგიკაში უშინაარსოა; აქაც აბსტრაქციის შედეგი იმ შინაარსით არის განსაზღვრული, რისგანაც ის არის მიღებული; უშინაარსობა სწორედ შინაარსისაგან გაცლით მიიღება. ვარდის სიწითლეს თუ წაეართმევთ ვარდის ნიშანს და მივიღებთ სიწითლეს,

ეს სიწითლე იქნება მაინც რაღაცის სიწითლე; თვისება არ არსებობს იმის გარეშე, რის თვისებასაც ის წარმოადგენს. სიგრძე რაიმეს სიგრძეს ნიშნავს და ა. შ. ხუთი, ექვსი და ა. შ. რიცხვები რაიმეს გამომხატველია, საგნის გარკვეული მხარეა. მართალია, ხუთჯერ ხუთი არის ოცდახუთი, მიუხედავად იმისა, თუ რა არის ეს ხუთი, რა საგანია იგი, მაგრამ ეს გარემოება მხოლოდ იმას აღნიშნავს, რომ რიცხობრიობა და ზოგიერთი სხვა გარეგანი განსაზღვრულობა გულგრილია საგნის არსებისადმი. ამიტომ გეომეტრიას (გრამატიკაც ასეთია, რადგან იგი სწავლობს სიტყვებს, რომლებიც აზრის გარეგანი გარსია) შეუძლია ზოგადი შეისწავლოს კონკრეტული საგნის გარეშე (და არა მისი კერძოს გარეშე); მისი საგანი სწორედ გარეგანი განსაზღვრულობაა. მიუხედავად ამისა, ეს ზოგადი უნდა იყოს ის, რაც კერძოთა საფუძველს წარმოადგენს. ზოგადის აბსოლუტურად ცალკე, ე. ი. მეტაფიზიკური, წარმოდგენა მას აზრს ართმევს, მას იმ ცალკეულად აქცევს, რომელიც ზოგადს ისევ მოითხოვს, რადგან ცალკეული სწორედ ზოგადის ცალკეულია, და ა. შ. მივიღებთ სრულ ლოგიკურ სიყალბეს.

მაგრამ თუ მოხმარებას ავიღებთ წარმოების გარეშე, მაშინ ორივეს აზრი დაიკარგება: აღარც წარმოება გვექნება და აღარც მოხმარება. მოხმარება წარმოების მომენტია; მოხმარების ცალკე აღება არ ჰქარგავს წარმოებას: თუ აბსტრაქციის დროს შევინარჩუნეთ მოხმარება, სხვა კი არაფერია მისი მიზანი, მაშინ თან წამოგვყვება (თუ შეიძლება ასე ითქვას) წარმოებაც. უარყოფთ რა წარმოებას და ავიღებთ რა მოხმარებას, ამ აბსტრაქციის შედეგად გვექნება მოხმარება, რომელიც, სწორედ უარყოფის საშუალებით, დადებითად შეიცავს წარმოებას. წარმოებისაგან მოხმარების უარყოფა გვაძლევს წარმოებას, რომელიც მოხმარებაა. ეს გამოცალკეებანი აუცილებელია ერთმხრიობების გასაგებად, მაგრამ ერთმხრიობები თვითონ გაიგება ერთიანობის ნიადაგზე და, პირიქით, ერთიანობა — ერთმხრიობების ნიადაგზე. მარქსის მიერ გარკვეული ცნებები „წარმოებითი მოხმარების“ და „მოხმარებითი წარმოებისა“ სწორედ აქ მოყვანილ დებულებებს ასაბუთებენ. წარმოება, რომელიც არ არის იარაღების, ნედლი მასალის, სამუშაო ძალის მოხმარება, არ არის წარმოება. მოხმარება სწორედ ამიტომ არის წარმოება და პირიქით. ნათქვამიც საკმარისია, რომ დაეასკვნათ დიალექტიკური აბსტრაქციის ბუნების შესახებ. დიალექტიკური აბსტრაქცია კონკრეტულია; რომელიმე მომენტის გამოყოფა და სხვა მომენტის (ან მომენტთა) უარყოფა არის საშუალება სხვა მომენტის (ან მომენტების) შენახვისა, მისი არდაკარგვისა, ახლის მიღების დროს ძველის შენახვისა, ანუ: ძველის საფუძველზე ახლის მიღებისა.

ანდა, ავიღოთ კაპიტალიზმის ან მოძრაობის მაგალითები. კაპიტალისტური საზოგადოების ერთი მხარე — პროლეტარიატი ან ბურჟუაზია მეორესაც გულისხმობს; პროლეტარიატი უბურჟუაზიო და პირიქით არ არის არც ერთი და არც მეორე. პროლეტარიატის ცალკე გამოყოფა ისე, რომ არ დავკარგოთ იგი, ბურჟუაზიის შენახვასაც გულისხმობს; ბურჟუაზიის ცალკე გამოყოფა ისე, რომ არ დავკარგოთ იგი, ინახავს პროლეტარიატსაც<sup>1</sup>. ერთის აბსტრაქციის მეორეა — სპირისპიროთი აქვს აზრი; ერთი განსაზღვრულია მეორით არის შესაძლებელი და მისი შემცველი და შემნახველი, ე. ი. დიალექტიკურ-აბსტრაქტული და დიალექტიკური აბსტრაქცია კონკრეტულია.

ასევეა მოძრაობის მხარეების აბსტრაქციის დროს: მოძრაობაში „არის“ „არა“-საც გულისხმობს და პირიქით; ან უნდა უარვეთ აქ მოძრაობა, ანდა დიალექტიკურ-აბსტრაქტულის სისწორე მივიღოთ. ყველაფრის უარყოფაც იმიტომია შეუძლებელი, რომ იცნსწორედ ყველაფრის საფუძველზე და მისი საშუალებით უნდა ხდებოდეს, თუ მას ვინმე შეეცდება (მაგ., გიორგია); ასევე კემმარტიბის უარყოფელი იძულებულია თავისი დებულება გაასაღოს ჭეშმარიტად, და სხვა.

მართალია, ყოველი აბსტრაქტული იმით არის განსაზღვრული, რისგანაც აბსტრაქცია იღება, ე. ი. აბსტრაქცია, საბოლოოდ ანგარიშში, მხოლოდ დიალექტიკურია, მაგრამ ერთიმეორისაგან მაინც განსხვავდება ზერელე და გარეგანი აბსტრაქცია და აბსტრაქტული — კონკრეტული აბსტრაქციისაგან და აბსტრაქტულისაგან. გარეგანი ნიშნისა და განსაზღვრულობის აბსტრაქცია უნდა განვასხვავოთ არსების მომენტის აბსტრაქცია-აბსტრაქტულისაგან. წითელი შეიძლება წარმოვიდგინოთ ცალკე, მაგ. ვარდსაგან დასოფილებლად, ან რომელიმე რიცხვი იმისგან დამოუკიდებლად, ან მხარესაც იგი წარმოადგენს; მაგრამ მოხმარება წარმოებს გარეშე არ წარმოვიდგინება, ისე როგორც პირიქით; არსების მომენტი უსათუოდ თავის სპირისპიროს შეიცავს.

აქ აბსტრაქცია ორგვარი კი არაა, არამედ ერთია, რომელიც თავისებურად ელინდება არსების და მოვლენის მიმართ, ანუ უკეთ: — შინაგანის და გარეგანის მიმართ გამოყენების შიშობზე-ებში.

<sup>1</sup> იმიტომაც შეუძლებელი იყო შემარჯვენათა დებულების გამართლება, თითქოს კულაკი შეეზრდებოდა სოციალიზმს. კულაკური ბურჟუაზიის დატოვება საბოლოოდ პროლეტარიატსაც დატოვებდა ძველი გაგებით და სოციალიზმის აწინების პირობას მოსობდა.

ამიტომ ცნებას დადგენა, საგნის არსების ასახვის გარკვევა იმ ანალიზის საშუალებით ხდება, რომლის არსებასაც დიალექტიკური, კონკრეტული აბსტრაქცია წარმოადგენს.

11. არსებითის ბუნება და მისი აღმოჩენის ნიშანი. ყველაფერს ზემოთ თქმულ იმას არ ნიშნავს, რომ გარეგანის ცნება შეუძლებელია: არა, გარეგანი სწორედ შინაგანით არის აზრდებულა. ამიტომ ყოველი ცნება არსების ასახვას წარმოადგენს. ყველაფერს აქვს თავისი არსება და ყველაფერს ცნება შესაძლებელია. გარეგანი და შინაგანი, არსებითი და არაარსებითი, როგორც იმას ჭეშმთავე ენახავთ, შედაკებითი ცნებებია. სიწითლე გარეგანი ვარდის მიმართ, მაგრამ არა თავისთავად, მას თავისი არსება აქვს.

მაგრამ როგორ ვეცადილით არსებითი არაარსებითისაგან? ცნებას განსაზღვრება ხომ არსებითი ნიშნებს დადგენა იქნება? არსებითი ნიშნების დადგენა ერთი არსების, ერთი ნიშან-განსაზღვრულობის გარკვევა ხომ ცნებას მოგვცემს? არსებითის არაარსებითისაგან განურჩევლობა წააზოდგენებს ანალიზებს და არა ცნებებს. სხვანაირად: საგნის განსაზღვრულობათა ანალიზის დროს. დიალექტიკური აბსტრაქცია საუ უნდა შეჩერდეს? არსებობს თუ არა გარკვეული წესი იმისათვის. თუ საუ გაჩერდეს ანალიზის პროცესი? არსებობს თუ არა იმის წესი, თუ როდის ვერბულობთ არსებას, ი. როდის ვადგენთ ცნებას? ასეთი უსათუოდ არსებობს და, ჩვენ-აზრით, იგი შემდეგში მდგომარეობს.

არაარსებითი ნიშნის უარყოფა საგნის უარყოფას სრულდებითაც არ მოითხოვს: ვარდის სიწითლის უარყოფა არც ვარდის უარყოფას მოითხოვს და არც მისი სხვა ფერის უარყოფას: შეაძლება კი პირიქით: ავაძლი არ არის წითელი" ნიშნადგენს იმას, რომ იგი სხვა ფერია. რომ ვარდის სიწითლას უარყოფა ვარდს უარყოფდეს, ნიშან არსებითი იქნება ვარდისათვის.

მაგრამ შეიძლება A-ს უარყოფა B-ს უარყოფდეს, მაგრამ A მაინც არ იყოს B-ს არსება, მისი შინაგანი რეალური საფუძველი. გეოგრაფიული გარემოს უარყოფა. ცხადია, საზოგადოების არსებობას უარყოფს, რადგან ადამიანებს მხოლოდ გარკვეულ გეოგრაფიულ გარემოში შეუძლიათ არსებობა. მაგრამ ეს სრულიადაც არ ნიშნავს იმას, რომ გეოგრაფიული გარემო საზოგადოების შინაგანი მამოძრავებელი, არსებითი მიზეზი და ძალა იყოს. A მაშინ არის არსებითი B-სათვის. როცა A-ს უარყოფა B-ს უარყოფს და, პირიქით, B-ს უარყოფა A-ს უარყოფს იწვევს. მართალია, გეოგრაფიული გარემოს უარყოფა საზოგადოების უარყოფას იწვევს,

მაგრამ საზოგადოების არარსებობა სრულიადაც არ იწვევს გეოგრაფიული გარემოს, როგორც მართლაც გეოგრაფიულს, უარყოფას; ამიტომ არის იგი გულგრილი და გარეგანი საზოგადოებისადმი. სულ ერთია გეოგრაფიული გარემოსათვის, როგორც საერთოდ ბუნებისათვის, არსებობს მასში საზოგადოება თუ არა.

მაგრამ რამდენადაც გარემოს, როგორც ასეთს, აზრი აქვს მაშინ, როცა არსებობს ის, რის გარემოსაც იგი წარმოადგენს, ამდენად იგი არის ადამიანთა მატერიალური ცხოვრების არსებობის ერთ-ერთი აუცილებელი პირობათაგანი.

მაგრამ სულ სხვაა საზოგადოებისა და წარმოების წესის დამოკიდებულება; წარმოების წესი მამოძრავებელი და არსებითი, შინაგანი მიზეზია საზოგადოების განვითარებისათვის. წარმოების წესის უარყოფა თვითონ საზოგადოების უარყოფას ნიშნავს და პირიქით. „არა“ და „არის“ მომენტები მოძრაობაში ისეთია, რომ ერთის უარყოფა მეორეს უარყოფს და პირიქით, ორივე შემთხვევაში მოძრაობა არ არსებობს. წარმოების უარყოფა მოხმარებას უარყოფს და პირიქით; აუცილებლობის უარყოფა თავისუფლებას უარყოფს და პირიქით. მაშასადამე, ურთიერთუარყოფლობა აუცილებელი ნიშანია არსებითი მომენტებისა — ნიშნებისა.

მაგრამ აუცილებელია არა მარტო ურთიერთუარყოფლობა, არამედ ურთიერთდადგენაც. თავისუფლების უარყოფა იმ აუცილებლობას უარყოფს, რომელიც მისი დადგენის საფუძველს წარმოადგენს; თავისუფლების არსებობა ადგენს აუცილებლობას, როგორც მის შინაგან მომენტს, აუცილებლობის არსებობა კი — თავისუფლებას, რამდენადაც ნამდვილი აუცილებლობა თვითმიზეზობრიობას წარმოადგენს. ასევე, თუ არ არსებობს პროლეტარიატი, მაშინ არც ბურჟუაზია არსებობს და პირიქით. თუ არსებობს პროლეტარიატი, მაშინ ბურჟუაზიაც არსებობს და პირიქით. მაგნიტის ჩრდილო პოლუსი სამხრეთის გარეშე არ არსებობს და პირიქით. დადებითი ელექტრობა უარყოფითის გარეშე არ არსებობს და პირიქით. საერთოდ დადებითი და უარყოფითი ერთიმეორის გარეშე არ არსებობენ. ერთი მომენტის არსებობა-არარსებობა იწვევს მეორე მომენტის არსებობა-არარსებობას და პირიქით. ეს ოთხი მომენტი, როგორც ერთმხრივობანი, სრულად ახასიათებს იმას, რასაც არსებითი ჰქვია<sup>1</sup>.

---

<sup>1</sup> არსებითი განსაზღვრულობის ეს ოთხი მომენტი უნდა იყოს საფუძველი პირობით დასკვნებში ოთხი სწორი მოდუსის არსებობისა, მაგრამ ამ მოდუსების განხილვა აქ უშუალოდ არ გვხვება.

საგანში ურთიერთუარამყოფელი და ურთიერთდამდგენი მომენტების აღმოჩენა იქნება ის, რითაც ერთი საგანი (ან საგანთა ჯგუფი) განსხვავდება მეორე საგნისაგან (ან საგანთა ჯგუფისაგან); ეს განსხვავებულობა ჩვენ მიერ აღნიშნული მომენტების გარკვეული დამოკიდებულებაა. არსებითი მომენტების ეს დამოკიდებულება, როგორც გარკვეული კავშირი—ერთიანობა ვლინდება ნიშანთა განსხვავებაში, რომელსაც ძველი ლოგიკა ემყარება ცნების განსაზღვრების დროს. ძველმა ლოგიკამ, ამ შემთხვევაშიც, შედეგი და მოვლენა დაინახა, არსება და საფუძველი კი არა.

არსებითი მომენტი შეიძლება რამდენიმე იყოს; მაგრამ ერთ ცნებას ერთი უარსებითესი განსაზღვრულობა აქვს, სახელდობრ, ის, რასაც ეს ცნება წარმოადგენს. ჩვენ კი აქამდე, არსებითის დახასიათებისას, ყოველთვის ორი მომენტის დამოკიდებულებაზე ვლაპარაკობდით, მაგრამ საჭიროა ერთი არსებითის დახასიათება; ამას ისიც ამტკიცებს, რომ რამდენი მომენტიც არ უნდა გვექონდეს, მათი დამოკიდებულება, კავშირი მაინც ერთი იქნება.

მაგ., სოციალიზმის ძირითადი კანონი მხოლოდ ერთი კანონია, მაგრამ იგი განსხვავებულ მომენტებს შეიცავს, სახელდობრ, წარმოებას, როგორც საფუძველს და მთელი საზოგადოების მუდმივად მზარდ მატერიალურ და კულტურულ მოთხოვნილებათა მაქსიმალურ უზრუნველყოფას, როგორც წარმოების შედეგს; კანონი, ამ შემთხვევაში, საფუძვლის და შედეგის ერთიანობაა. ასე ითქმის კაბეტალიზმის ძირითადი კანონის და სხვ. შესახებ.

საბოლოოდ, უნდა ითქვას, რომ ყოველი მოძრაობის უძირითადესი კანონი შინაგანი წინააღმდეგობის კანონია; მას ორი მხარე აქვს, მაგრამ თვითონ სრულიად გარკვეული ერთი განსაზღვრულობა — გარკვეულობაა.

საქმე იმაშია, რომ რაიმე განსაზღვრულობა, როგორც აღვნიშნეთ, შინაგან უარყოფას შეიცავს. არსების განსაზღვრულობა უარყოფის საშუალებით დაკავშირებული ორი მხარის შემცველია. როდესაც A-ს დადგენა-უარყოფით დგინდება და უარყოფა B და პირიქით, მაშინ ეს ორი სხვადასხვა არსებობს ერთში, როგორც ამ ერთის განსაზღვრულობა. ამიტომ რაიმეს არსება შინაგანი უარყოფის საშუალებით დადგენილი განსაზღვრულობაა. წარმოება არის წარმოება მისი უარყოფის — მოხმარების საშუალებით და პირიქით. შეიძლება წარმოების ზოგადი განსაზღვრებაც, თანახმად ფორმალური ლოგიკის კანონებისა: „ყოველი წარმოება არას ბუნების საგნების მითვისება ინდივიდის მიერ გარკვეული საზოგადოებრივი ფორმის შიგნით და ამ ფორმის მეშვეობით“, მაგრამ აუ-

<sup>1</sup> კ. მარქსი. პოლიტიკური ეკონომიის კრიტიკისათვის, 1953, გვ. 262.

ცალეებელი ამ განსაზღვრების სიღრმის ჩვენება; ეს კი ხდება, როგორც ეს მარქსმა დაასაბუთა. წარმოების, როგორც მისი მომენტების ერთიანობის, გარკვევით. არსებითი სწორედ ის არის, რომ წარმოება აუცილებელია თავის უარყოფით არის ის, რაც ის არის. ასევე: მოძრაობა თვითონ არის შინაგანი წინააღმდეგობა, იგი განხორციელებული, ნამდვილად არსებული წინააღმდეგობაა. მოძრაობა არის „არის“ „არა“-ს (აუცილებელი კავშირი) საშუალებით და არა მხოლოდ „არის“ საშუალებით. არ არსებობს მოძრაობა ამ შინაგანი წინააღმდეგობის გარეშე, რომლის მომენტებიც შედარებითია და არა აბსოლუტური; უკანასკნელის შემთხვევაში მოძრაობა უარყოფილი გამოდის (რომლის საუკეთესო მაგალითსაც ელექტრიკური ძენონის არგუმენტები წარმოადგენენ). სამწიკლი მოძრაობა არის თვითმოძრაობა, საკუთარ საფუძველზე დამყარებული მოძრაობა. ასე ითქმის ყოველი ნამდვილი საგნის შესახებ, რადგან ყველ-ფერი მოძრაობს და მუდმივ ცვალებადობა-განვითარებაშია. თვითმოძრაობის მაგალითებს იძლევა ყოველი ძირითადი ფორმა მოძრაობისა (მაგ., საზოგადოების განვითარება, ორგანული პროცესი, ქიმიური პროცესი, აზროვნების მოძრაობა მსჯელობაში და სხვა).

მამასადამე, საგნის ნიშანთა ანალიზის დროს, როდესაც დავალთ ისეთ მომენტებამდე, რომელთაგან ერთის უარყოფა მეორე მომენტს წარმოადგენს, ამ მეორე მომენტის უარყოფა კი პირველს გვაძლევს, ე. ი. როცა არსება შინაგანი უარყოფით ღვინდება და აღარ არსებობს ამ გზით სხვა რაიმესაქენ გადასვლის აუცილებლობა, მაშინ ამ გარემოებით ნათელი ხდება, რომ აღმოვაჩინეთ არსება და დავედით არსებამდე.

მტკიცება-უარყოფა, რომლითაც ეხსახეთ არსების მომენტთა ერთიერთდამოკიდებულების დადებით-უარყოფითი მომენტება, იქნება მსჯელობები, რომელთა აუცილებელი კავშირი სრულ დიალექტიკურ ლოგიკურს წარმოადგენს.

ის, რაც მხოლოდ სხვით უარყოფა, ან ღვინდება, დაბოლოებული ანუ არაარსებითია; ის კი, რაც შინაგანი უარყოფით ღვინდება — დაუბოლოებელი ან არსებითია. ამიტომ ამბობენ. რომ დაბოლოებულის არსება დაუბოლოებელია (დაბოლოებულის და დაუბოლოებულის ის დამოკიდებულება მკმდეგ მეორე თქმის გაირკვევა).

მოვლენები დაბოლოებული ხასიათისაა, მათი არსება კი დაუბოლოებელია. რამდენადაც იგი აღებულია როგორც სწორედ მათი არსება და არა მათ გარეშე; უკანასკნელ შემთხვევაში, დაუბოლოებელი, არსება აღარ იქნებოდა დაუბოლოებელი და არსება.



იმპერიალიზმის, როგორც ღაბაღაი კაპიტალიზმის, არსება პრავალგვარ მოვლენებში ვლანდება, მაგ., ომში რომელიმე ხალხის წინააღმდეგ. მშვიდობიანობის თვალთმაქცურ აღიარებაში და სხვ., მაგრამ კაპიტალიზმის არსება ის თვისებებია, რომელიც მის თვითმოდრაობის არსებას წარმოადგენს. მ.წ.გ.წ. წინააღმდეგობა და ანტიგონიზმი ისეა გამწვავებული, რომ იგი კაპიტალიზმის თვითმოდრაობას დანგრევას უქადის. რათა საზოგადოებამ ახალი ნაბიჯი გადადგას წინ კაპიტალიზმისაგან (სივლს. მარქსიზმი). კაპიტალიზმის განადგურება პროლეტარიატსაც მოხსნის, როგორც პროლეტარიატს (როგორც წარმოების საშუალებებს მოკლებულ კლასს).

კაპიტალიზმა ერთ-ერთი უსაოლოებელი საფესურია საზოგადოების განვითარებაში. იგი სოციალიზმით უარყოფთ, მაგრამ მასში ბირთვადი არის ის წინააღმდეგობა, რომლის მარცხი ერთმეორეს უკან მსოფლიო უკეთესს უზრუნველყოფს. კაპიტალიზმი, როგორც დაბოლოებული, დაუბოლოებელს, როგორც არსებას წინააღმდეგობას, როგორც კანონს შეცდევას, რაც მისი არსებობის ანეოთარებას, მაგრამ, ბოლოს კიდევ დადგავს. არსება, დაბოლოებული არის სივლს. მარქსიზმის, წყარო და უარსებობის კანონი.

გაჩერებულობა მოძრაობის მოკლეა; ის არის მოძრაობის მოხეტიალე: „არის“; მისი ასეთივე მომენტია „არ არის“. ორივე ეს მოკლეა ცალკე უკან არ არის მოძრაობა. ისინი ერთმეორეს განორიკებავენ. მაგრამ მათი ურთიერთგანორიკებით მათივე დადგენა არის უსასრულო მოძრაობა, რომელიც არსება წინააღმდეგობის ბირთვადი მოძრაობის უარსებობა დაპირ-საზრებულთა ერთობაა.

12. განსაზღვრების ძირითადი წესის შესახებ. არსებობის ურთიერთგანსაზღვრების ხასიათის კიდევ უფრო შეტად გარკვევადი, ასევე უკვე შეგვიძლია ზემოთ თქმულად ჩამოვნიმე დასკვნა გავკეთოთ ძველ ლოგიკაში არსებულ განსაზღვრების ზოგიერ-წესის შესახებ.

ძველი ლოგიკის კვლევებში ნაიქვემო, რომ განსაზღვრება უნდა იყოს დადებითი, იგი არ შეიძლება უარყოფითი იყოს (გარდა თვითონ უარყოფითი ცნების განსაზღვრებისა). ჩვენ ამას შემდეგი უნდა დავუმატოთ, ანუ უკეთ. შემდეგით უნდა შევცვალოთ: განსაზღვრება უნდა იყოს დადებითი, მაგრამ შესრულებული შინაგანი უარყოფის საშუალებით. შინაგანი უარყოფის გარეშე არ არსებობს არსებითი (და სარტიოდაც) განსაზღვრულობა.

ძველი ლოგიკა აღიარებს, რომ განსაზღვრება არ უნდა იყოს წრე, იგი წრეს არ უნდა წარმოადგენდეს. ეს არის ნიშანი თვითონ განსაზღვრების (დეფინიციის) უარყოფითი განსაზღვრებისა, რაც მის (ძველი ლოგიკის) მოთხოვნასვე ეწინააღმდეგება. თუ ყოველი ცნება დადებითად უნდა განისაზღვროს, რაღა განსაზღვრების ცნება უნდა განესაზღვროთ უარყოფითად? მაგრამ მთავარი ისაა, რომ რადგან განსაზღვრებაში არსებითია სწორედ ურთიერთგანსაზღვრა, ამ აზრით, თვითგანსაზღვრა, ამიტომ განსაზღვრება ერთგვარ რკალს, სპირალს უნდა წარმოადგენდეს. რკალი, წრე მაშინ არის შეცდომა, როცა სრული დაბოლოებული მომენტები განსაზღვრავენ ერთიმეორეს ერთი და იგივე სიძლიერით; „გარეგაღამწველომი“ და დაუბოლოებელის მომენტი ხსნის რკალის მცდარობას. წარმოებას ვერ ანადგურებს ის, რომ მას უარყოფენ მისი მომენტები, პირიქით, თვით წარმოება აძლევს მათ ძალას უარყონ იგი, ე. ი. წარმოებას აქვს ძალა შექმნას შინაგანი უარყოფით თავის განსაზღვრულობა, სახელდობრ, ის, რაც ის არის, როგორც გარკვეული რამ. წარმოება შეიცავს შინაგან უარყოფას, იგი მის მომენტთა ურთიერთგანსაზღვრაზე „მეტია“, „გარეგაღამწველომი“ მომენტია, იგი განსაზღვრავს სხვას და იმასაც, რომ სხვები მას განსაზღვრავენ, ე. ი. თვით განსაზღვრავს თავის თავს,— აქედან — წარმოების ხელახალი განმეორებისა და განვითარების სრული შესაძლებლობა, — თვითმოძრაობა<sup>1</sup>.

შეიძლება თქვან, რომ თვითგანსაზღვრა ტავტოლოგიას წარმოადგენს, და ჩვენ ჩავდივართ იმ შეცდომას, რომელსაც ძველი ლოგიკა *idem per idem*-ს უწოდებს. ამისათვის შემდეგი პასუხიც საკმარისია: თვითგანსაზღვრა არის არა ტავტოლოგია, არამედ სინთეზური მთლიანობა, მართლაც თვითგანსაზღვრა, რადგან იგი სრულდება შინაგანი უარყოფის მომენტით; უნდა გაირკვეს სწორედ ის, თუ როგორ შეიძლება ერთი და იგივე იყოს ორი რაიმეს შემცველი, რომლებიც ერთიმეორეს უარყოფენ. რადგან უარყოფის მომენტი განსაზღვრებაში ძველი ლოგიკის მიერ უარყოფილია, რადგან მას განსაზღვრება ანალიტიკურად მიაჩნია, — განსასაზღვრი და განმსაზღვრელი ერთიმეორეს უდრის, ამიტომ *idem per idem*-ის შეცდომას თვით სჩადის. იგივეობა უსათუოდ არსებობს განსაზღვრებაში იმიტომაც კი, რომ განმსაზღვრელიც თავის მხრივ განსასაზღვრია და პირიქით, ისინი ერთიმეორეს განსაზღვრავენ; მაგრამ სწორედ უარყოფის მომენტს შეაქვს იგივეო-

<sup>1</sup> ე. მ ა რ ქ ს ი. პოლიტიკური ეკონომიის კრიტიკისათვის, შესავალი.

ბაში სხვაობა და დაპირისპირება, რომლის გარეშე ყოველგვარი განსაზღვრა ტავტოლოგიამდე დადის.

იმის მოთხოვნა, რომ განსაზღვრება უნდა იყოს ნათელი, ზედმეტია ლოგიკაში. განსაზღვრება თუ მართლაც არის განსაზღვრება, ე. ი. თუ იგი მართლაც გვაძლევს ცნების ნამდვილ განსაზღვრულობას, რომელიც ობიექტურია (კეშმარიტების ობიექტურობის აზრით), მაშინ ჩვენ ვართ ვალდებული ნათლად წარმოვიდგინოთ იგი. ჩვენ უნდა შევეთანხმოთ განსაზღვრებას და არა ჩვენს გაურკვეველ სუბიექტურ-ფსიქოლოგიურ სინათლეს შევეთანხმოთ იგი<sup>1</sup>.

13. უარყოფის მომენტი განსაზღვრებაში. ახლა განვიხილოთ ურთიერთგანსაზღვრის მომენტი განსაზღვრებაში უფრო ახლოს, კონკრეტულად.

არსება, არსებითი განსაზღვრულობა, როგორც აღვნიშნეთ წინააღმდეგობის ერთიანობაა, რომელშიაც საწინააღმდეგო მომენტები ერთიმეორეს კი არ უარყოფენ მხოლოდ, არამედ ადგენენ კიდევ.

აქ, უპირველეს ყოვლისა, აღსანიშნავია უარყოფის ბუნება და ხასიათი. უარყოფა ამ შემთხვევაში ნიშნავს განსაზღვრას. ბურჟუაზია პროლეტარიატის მიერ უარყოფა და განსაზღვრება და პირიქით; მოძრაობაში „არა“ და „არის“ ერთიმეორეს უარყოფენ და განსაზღვრავენ. ეს გარემოება მათ შედარებითობას ნიშნავს. წარმოება მოხმარებით არის განსაზღვრული, იგი მისი უარყოფა და განსაზღვრულობაა. ეს ნიშნავს იმას, რომ უარყოფა შინაგანია. წარმოების განსაზღვრულობა სწორედ მისი განსაზღვრულობაა, რომელიც უარყოფის საშუალებით გარკვეულ სხვაში, მოხმარებაში გადადის; არა მარტო გადადის, არამედ მასში მდგომარეობს; ეს გარემოება გამოითქმება მსჯელობით: წარმოება არის მოხმარება; რაიმე არის მისი საპირისპირო — გამომრიცხველი, ერთი განსაზღვრულობა მეორეს შეიცავს, მეორე — პირველს. ეს არის სწორედ მსჯელობის აზრი;<sup>2</sup> ერთეული არის ზოგადი, დაბოლოებული არის დაუბოლოებელი და სხვ. სინთეზური მსჯელობის, ე. ი. ნამდვილი მსჯელობის, მაგალითებია. მსჯელობა განსაზღვრულობის ლო-

<sup>1</sup> რაიმე აზრი ნათელი შეიძლება იყოს ორი გავებით: 1) ლოგიკური აზრით, როცა ზუსტად არის ძირითადი მომენტები და ნიშნები მოაზრებული, 2) ფსიქოლოგიური აზრით, როცა რაიმე ადვილად წარმოსადგენია, როცა ადვილად შეიძლება დავრწმუნდეთ რაიმეში. შეიძლება რთული აზრი ლოგიკურად ნათელი, ე. ი. ზუსტად დასაბუთებული იყოს, მაგრამ ვინმესთვის იგი ფსიქოლოგიურად არ იყოს მისაწვდომი სხვადასხვა მიზეზის, მაგალითად, სათანადო მომზადების არ ქონების გამო.

<sup>2</sup> ე. ი. ლე ნი ნი, დიალექტიკის საკითხისათვის.

ვიკუთი გამოაქმნა და ავიათონ არის აზრის განსაზღვრულობა, როგორც ვარკვეული ფორმა. ჩვენ აქ მხოლოდ ერთი გვინდა აღვნიშნოთ (სახელდობრ, მსჯელობის შესაძლებლობის პარობა: თვითონ მსჯელობის ბუნება კი სპეციალურად ცალკე უნდა იქნეს განხილული): ერთი განსაზღვრულობა მეორეს უარყოფს და პირიქით, მაგრამ ეს უარყოფა არ არის. ასე ვთქვათ, წმინდა, იგი არის არა მხოლოდ უარყოფა, არამედ შენახვაც<sup>1</sup>.

არსების მომენტები სწორედ ასეთ დამოკიდებულებებში არიან ერთმეორესთან, არა მხოლოდ ერთი მომენტი უარყოფს მეორეს, არამედ პირიქითაც: ასეთ შემთხვევაში, ორივე მომენტს არ შეიძლება არ ჰქონდეს დადებითი ხასიათიც. აქ კონტრარობის და კონტრადიქტორობის დაპირისპირება შეცდომას წარმოადგენს. თავისუფლებაც დადებითი შინაარსისაა და აუცილებლობაც. მაგრამ ისინი ერთმეორის საპირისპირო და ურთიერთგამომრიცხავი ცნებებია. ისე რომ ერთი მეორეს გულისხმობს და შეიცავს თავის თავში, როგორც თავს უარყოფელს. თავისუფლებისა და აუცილებლობის ანტინომია დიალექტიკამ სწორედ იმით გადაწყვიტა, რომ თავისუფლების შინაგან განსაზღვრებად აუცილებლობა აღმოაჩინა. ეს გარემოება გამოითქვა მსჯელობით: თავისუფლება არის (შეგნებული და შინაგანი) აუცილებლობა. მაგრამ ვინც მათ შორის დაპირისპირებას მოხსნის, იგი ტავტოლოგიადღე მივა; მ მსჯელობად შეგარელებასა უნდა აღიაროს, რომ მხოლოდ ტავტოლოგიური მსჯელობებია სწორი მსჯელობები. მსჯელობებს: თავისუფლება არის თავისუფლება, აუცილებლობა არის აუცილებლობა და სხვ. -- აზრი არა აქვთ, ისანი არავითარ განსაზღვრულობა გამოხატავენ.

მაშასადამე, სავსის განსაზღვრულობაში არსებული შინაგანი უარყოფის მომენტი განსაზღვრავს ამ განსაზღვრულობის ამსახველი მსჯელობა-განსაზღვრების უარყოფის მომენტს, რამდინაც ის პარობრივად გამოითქმება. სწორი იყო არისტოტელე, როცა ამბობდა, რომ ჭეშმარიტი მსჯელობა და აზრი საერთაოდ დაკავშირებულიად გამოსთქვამს იმას, რაც სინამდვილეში დაკავშირებულია, ვათიშულად გამოსთქვამს იმას, რაც სინამდვილეში ვათიშულია. ეს გარემოება იმას ნიშნავს, რომ საგანთა განსაზღვრულობა გან-

<sup>1</sup> უარყოფის და წინააღმდეგობის ბუნების განხილვა ქვემოთ მოხდება, მაგრამ ამ შემთხვევაში, განსაზღვრულობის ხასიათის გარკვევისათვის მასზე დაყრდნობაც აუცილებელია:

2 იხ. არისტოტელეს „მეტაფიზიკა“ IX, 10. 1051 b

სახდევანს არსამართლი მსჯელობას შინაარსს, არამედ იმ ფორმასაც, რადგან დავაში რეზიკა გათიშვა მსჯელობაში მსჯელობის დაღები-  
თი და უკუყოფითი ფორმებია. საგანი განსაზღვრავს აზრის შინა-  
არსს, რადგან აზრში საგანი იასახება. შინაარსი კი ფორმის განსა-  
ზღვრელობა რადგან ფორმა სწორედ შინაარსის გარკვეულობას ქვეყ-  
ნობა-დ, უკუყოფის მომენტი როგორც საგნის განსაზღვრუ-  
ლობის შინაგანი მომენტია, ისე აზრის განსაზღვრულობის შინაგან  
მომენტსაც წარმოადგენს. საშინალობდევო შემთხვევაში აზრი საგ-  
ნისგან სრულდავ მოწყვეტილი გადის.

აღნიშნული გარემოება სრულიად: არ ნიშნავს იმას, თუთქონ  
ჩვენს აზრს საგანთან ვიკავებდეთ, არამედ მხოლოდ იმას, რომ  
აზრის განსაზღვრულობას საგანი განსაზღვრავს (და უნდა განსაზღვ-  
რავდეს). აზრის ფორმის და შინაარსის განსახვევებლად მოყ-ვთ  
მაგალითები იმის შესახებ, რომ სხვადასხვა შინაარსის აზრები ერ-  
თ და იგივე ფორმით გამოიქმნება: მაგ. „მსჯელობა“ „ცუგა არის  
ძალი“ და „ღიბთონი ელექტრობის გამტარია“, სხვ დასხვა შინა-  
არსის აზრებია, მაგრამ მსჯელობის ერთი და იგივე, სახელდობრ,  
დაღებითი ფორმით გამოიქმნება. ეს გარემოება მხოლოდ რეკთი-  
თებს აზრის ფორმის და შინაარსის განსხვევებაზე. მაგრამ ეს განს-  
ხვევება არ უნდა იქნას გამოყენებული აზრის ფორმის შინაარსისა-  
გან მოწყვეტის დასახლებუბლად. როდესაც ჩვენ ვამბობთ, რომ  
რაოდენობის ყოველი ცვლა არ იწვევს თვისობრიობის ცვლას,  
ამით ვანსხვევებთ რაოდენობას თვისობრიობისაგან. მაგრამ საკითხი  
ამით არ ამოიწერება. რაოდენობის ცვლა, მართალია, არ ცვლის  
თვისობრიობას გარკვეულ მომენტამდე, მაგრამ ეს არ ნიშნავს,  
რომ იგი სავსეოდ არ მოქმედებს თვისობრიობაზე, ასეთ შემთხვე-  
ვაში. მათ შორის კავშირიც არ იარსებებდა. რაოდენობის ცვლა  
მხოლოდ განსაზღვრულ საფეხტრზე ცვლის თვისობრიობას და  
ამაში ჩანს მათი ერთიანობა. ატკლებელი კავშირი. ანალოგიურია  
აზრის შინაარსის და მისი ფორმის კავშირიც. ისინი განსხვევდე-  
ბიან ეთიმიფორისგან, მაგრამ ატკლებელ კავშირშიც იმყოფებ-  
ა. აზრის ფორმის რბიექტურობა მხოლოდ იმით შეიძლება დასაბუთ-  
დეს, რომ იგი შინაარსით განისაზღვრება, შინაარსი კი საგნის ასა-  
ხვეა ჩვენს აზროვნებაში. მსჯელობაში „ცუგა არის ძალი“ ერთეუ-  
ლის და ზოგადის კავშირია და იგი, ცხადია, საგნის ბუნებით განი-  
საზღვრება. ზემოთ მოყვანილი მსჯელობანი განსაზღვრებაში უარ-  
ყოფის მომენტის აუცილებელი არსებობის შესახებ სწორედ ამ  
აზრს ასაბუთებენ.

ის გარემოება, რომ მრავალი აზრი, განსხვავებული შინაარსით, მაგალითად ერთი დადებითი მსჯელობის ფორმით გამოითქმება, იმას ნიშნავს, რომ ყველა ამ აზრის შინაარსში დადებითობა არსებობს. ასე ითქმის უარყოფითობაზეც. სხვადასხვა შინაარსია მსჯელობებში: „ცუგა არის ძალი“ და „ლითონი ელექტრობის გამტარია“, მაგრამ ორივე შინაარსს ერთი საერთო — ზოგადი მხარე აქვს, ეს არის დადებითი კავშირი, რაც აზრის დადებით ფორმას განსაზღვრავს.

არსების მომენტთა ურთიერთუარყოფა ერთიმეორეს არ აუქმებს, რადგან ყოველი მომენტი მეორეს თავის განმსაზღვრელ საფუძვლად გულისხმობს, მათ შორის ერთიანობაცაა. ასეთი მომენტები ერთიმეორეში გადადიან უარყოფის საშუალებით, რადგან ერთიმეორეში არიან, უკეთ, ერთი არის მისი საპირისპირო.

ჩვენ აქ იმ უარყოფაზე კი არ ვლაპარაკობთ, როცა განვითარების ერთი საფეხური მეორის მიერ უარყოფა და შეინახება. აქ უარყოფის უარყოფის ცნობილ კანონზე არაა ლაპარაკი, არამედ წინააღმდეგობის ერთიანობის საწინააღმდეგო მომენტთა შორის არსებულ უარყოფაზე, — განსაზღვრულობის შინაგან უარყოფაზე.

ასეთი განსაზღვრულობა ახასიათებს ყოველივე თვითმოძრავეს, საკუთარი განვითარების კანონზომიერების მქონეს, სადაც მთელი განსაზღვრულობა, შეიცავს რა შინაგან უარყოფას, ცხადია; შემძლეა მისი შენახვისა, ე. ი. მეტია თავის უარყოფითობაზე, თავის დაბოლოებულ მომენტებზე, მეტია დაბოლოებულზე; წინააღმდეგ შემთხვევაში, ის არც იარსებებდა, გაუქმდებოდა შინაგანი უარყოფით. ეს ნიშნავს: ყოველი დაბოლოებული დაუბოლოებელს არსებულად შეიცავს. განსაზღვრულობა, ამიტომ, დაბოლოებულისა და დაუბოლოებულის ერთიანობის განსაზღვრულობაა, როგორც ცნების განსაზღვრების შინაარსი და, ამავე დროს, ფორმა, რამდენადაც შინაარსი განსაზღვრავს ფორმას.

არსების მომენტი (momentum) თავის საწინააღმდეგოსთან ერთიანობაში იმყოფება; ამიტომ არსების ნამდვილი ძირითადი მომენტი არის ის მომენტი, რომელიც „გარეგადამწვდომია“. ცნება არის „გარეგადამწვდომი“ მომენტის, როგორც უარყოფის შემცველი განსაზღვრულობის, ამსახველი აზრი. განსაზღვრება სწორედ მისი განსაზღვრებაა.

14. განსაზღვრება როგორც კანონის განსაზღვრება. ზემოთ გარჩეული გარემოება არსებითად ცნების ბუნების გარკვევას წარმოადგენს; ჩვენ აქ განსაზღვრების თავისებურებაზე ვლაპარაკობთ,

განსაზღვრება კი ცნების განსაზღვრებაა, ამიტომ განსაზღვრების გარჩევა სწორედ ცნების განსაზღვრების გარჩევას ნიშნავს. განსაზღვრება სწორედ ცნების განსაზღვრულობის წარმოდგენაა.

მარქსის მიერ გარჩევა წარმოების მომენტებისა, რომლებიც უარყოფენ, ხსნიან ერთიმეორეს, განსაზღვრავენ ერთიმეორეს, აღგენენ და აუცილებლობით ამქვეყნებენ „გარეგადამწვდომ“ მომენტს — წარმოებას, — ამ უკანასკნელის ცნების დადგენა განსაზღვრებას ნიშნავს<sup>1</sup>.

უარყოფის მომენტი განსაზღვრულობაში განვითარების საშუალებას წარმოადგენს. აქ ჩვენ ამ გარემოების მხოლოდ ერთი მხარე გვაინტერესებს, სახელდობრ ის, რომ უარყოფა ერთმხრიობას ახასიათებს და ამ ერთმხრიობის მოხსნა სისრულის მიღების საშუალებაა. როცა ერთი განსაზღვრულობა მეორით უარიყოფა და მეორეში გადადის, ამით იხსნება ერთმხრიობა, მაგრამ მხოლოდ ერთმხრივად; მაგრამ როცა პირუკუ უარყოფა და გადასვლა ხდება, მაშინ ერთმხრიობა იხსნება ორმხრივად, ე. ი. სრულად. აქ ორმხრიობა სისრულეს წარმოადგენს იმიტომ, რომ დაპირისპირება-წინააღმდეგობას (ერთიანობაში) მხოლოდ ორი მხარე აქვს. ერთმხრიობის მომხსნელ სისრულეს, როგორც ამხსნელს, კანონის ხასიათი აქვს; უნივერსალური კანონი კი სწორედ წინააღმდეგობის ერთიანობის კანონია. განსაზღვრება უნდა წარმოადგენდეს კანონის განსაზღვრებას, რამდენადაც ცნება საგნის არსებას, ე. ი. კანონის ასახვას, წარმოადგენს.

ეს იმას კი არ ნიშნავს, რომ ცნებებით მხოლოდ კანონებს ვიმეცნებთ და არა მოვლენებს; არა, კანონი მოვლენათა შინაგანი, არსებითი და აუცილებელი კავშირია და სხვა არაფერი; მოვლენის არსება არის სწორედ ის, რაც ვლინდება; მოვლენა არსებითია, არსება მოვლენითი და მოვლენადი. მხოლოდ მათი ერთიანობაა კანონი; მაშ., ცნების განსაზღვრებაც ამ ერთიანობას გამოთქვამს.

არსების განსაზღვრულობის მომენტებს არ შეიძლება აბსოლუტური მნიშვნელობა მიეცეთ, ისინი შედარებითი ხასიათის არიან; მაგრამ უარყოფით შესრულებული მათი ერთიანობა თვითონ არ არის შედარებითი; წინააღმდეგ შემთხვევაში, წმინდა რელატივიზმს და დიალექტიკის უარყოფას მივიღებდით. „დიალექტიკა შეიცავს რელატივიზმს, უარყოფის, სეპტიციზმის მომენტს, მაგრამ იგი რელატივიზმი როდია“<sup>2</sup>. ამ შემთხვევაში შედარებითობა, რელა-

<sup>1</sup> იხ. კ. მარქსი, „პოლიტიკური ეკონომიის კრიტიკისათვის“ შესავალი, და ჩემი წერილი — „დასკვნის პრობლემისათვის“ (ფილოსოფიის ინსტიტუტის შრომები, ტ. 1, 1949).

<sup>2</sup> ვ. ე. ლენინი. თხზ. ტ. 14, გვ. 165.

ტივობა ნაწილობრიობას, ერთმხრობას [იწინავს; ერთმხრობას აზრი აქვს სხვასთან მიმართებაში.

ამ აზრით უნდა განვასხვაოთ არსებითი და არაარსებითი „ნიშნებიც“, რომლებზედაც შემოთ გვექონდა საუბარი. არსებითი ნიშანი აზრის მქონეა მხოლოდ არაარსებითთან დამოკიდებულებაში. ისე როგორც არსება მხოლოდ მოვლენასთან დამოკიდებულებაში წარმოადგენს არსებას. ასე ითქმის მოვლენის შესახებაც. თუ მხოლოდ არსებით ნიშანს ავიღებთ და სრულიად უგულებელვყოფთ არაარსებითს, მაშინ არსებითსაც აზრი დაეკარგება და არაარსებითსაც. ასეთ შემთხვევაში არაარსებითიც არსებითი იქნება და არსებითი არაარსებითად იქნება მიღებული. არსებითი, რომელიც არსებითს არ ემორჩილება, არ არის არსებითი: არაარსებითი. რომელიც სრულიად ცალკე, აბსოლუტური მნიშვნელობით იქნება აღებული, არაარსებითი კი არა, არამედ სწორედ არსებითი იქნება.

მაგრამ თუ მხოლოდ არსებითი არ იქნა აღებული, მაშინ ცნება და წარმოდგენა აგვეტყუა ერთიმეორეში: ცნება სწორედ ცნების ასახულობაა; არსებითი, ზოგადი არის ცნების შინაარსი. საერთოდ, მეცნიერება ზოგადს სწავლობს, ის არის მისი საგანი. მაგ., გრამატიკას, ისე როგორც გეომეტრიას ზოგადი აინტერესებს და არა მხოლოდ კონკრეტული. ეს ზოგადი არის წესი, რომელიც კონკრეტულის ცვალებას უძევს საფუძვლად. მაშასადამე, ცნებამ უნდა ასახოს ზოგადი, როგორც არსება და საფუძველი არაარსებითისა და მოვლენის. ცნება, როგორც აღვნიშნავდით, უნდა იყოს კანონის ასახვა, ასახვა იმ ტენდენციისა, რომლის მიხედვით ვითარდება მოვლენები, მაგრამ მას არ ემთხვევა (მაგ., ღირებულების კანონი სასაქონლო მეტრეობაში). მაშასადამე, ცნების განსაზღვრება უნდა იყოს კანონის განსაზღვრება. კანონი კი არ არსებობს და უარსობას წარმოადგენს მოვლენებისა და არაარსებითის გარეშე. არსებითი და არაარსებითის შედარებითობა და ცნების, როგორც არსებითის ასახვის, სიძნელე წყდება არსების კანონად წარმოდგენით; კანონი მოვლენათა განვითარების წესია, მათ შორისაც, და მათი ამსხნელია და არა უარყოფელი. ამიტომაც, რომ კანონის ზოგადობა, როგორც შინაარსეული ზოგადობა, ამსხნელია, დამქვემდებარებელია ერთეულთა არაარსებითი ნიშნებისაც, თუმცა ამ უკანასკნელთ თავიანთ თავში არ შეიცავს. მოცულობითი ზოგადობა არაარსებითის უარყოფითა და გამორიცხვით არის მიღებული და ამიტომ შინაარსეულად



ღარბია; კანონის ზოგადობა კი არსებითაა სწორედ არაარსებითი-სათვის, იგი მის ამხსნელ საფუძველს წარმოადგენს.

არსებისა და კანონის აბსოლუტურად ცალკე წარმოდგენა პლატონისებური შეცდომაა, რომლის წინააღმდეგ არისტოტელეს ბრძოლას, როგორც ცნობილია, ვ. ი. ლენინი დიდად აფასებდა. ასეთი, პლატონისებური შეცდომის ცოდვა ძველ ლოგიკასაც მიუძღვის, როცა იგი ცნებას მხოლოდ არსებითი ნიშნების ერთობლიობად თვლის და სრულიად უგულებელყოფს არაარსებითს, თუმცა, მეორე მხრით, სწორედ სილოგისტურ დასკვნაში, ვ. ი. იქ, სადაც ცნება უნდა წარმოადგეს მთელი თავისი სისრულით, არ არჩევს არსებითს არაარსებითისაგან, ღებულობს ხშირად ისეთ მსჯელობას, რომლის სუბიექტი და პრედიკატი უბრალო წარმოდგენები და შეგარჩნით მიღებული ნიშნებია.

თუკი კანონს, თვითონ ცნებას, როგორც აზრის ვითომდაც აპრიორულ წესს, გავუიგივებთ, მაშინ მივიღებთ კანტიანურ, ყალბ თვალსაზრისს. მხოლოდ ასახვის მარქსისტულ-ლენინური თეორიის საფუძველზე შეიძლება ცნებისა და მისი განსაზღვრების ნამდვილი ბუნების გაგება. ცნება უნდა განისაზღვროს, როგორც მოვლენის ამხსნელი კანონის ასახვა ჩვენს აზროვნებაში.

15. განსაზღვრების მომენტთა შეფარდებითობა და აბსოლუტურობა. არსებითისა და არაარსებითის შეფარდებითობა მოქმედებს არსების მომენტებშიც, რომლებსაც ერთიმეორის მიმართ აქვთ აზრი; ისინი ერთიმეორის ამხსნელნი არიან. ერთის მეორით განსაზღვრა ამ უკანასკნელით პირველის დასაბუთებაა. ამხსნელი არსებითია, ახსნილი, მასთან შეღარებით, არაარსებითად შეიძლება წარმოვიდგინოთ; მაგრამ, მეორე მხრით, ურთიერთგანსაზღვრება გვიჩვენებს, რომ არაარსებითი არსებითად, განსაზღვრელად და ამხსნელად იქცევა, არსებითი კი — არაარსებითად. ის, რაც ერთ შემთხვევაში არსებითია, მეორე შემთხვევაში წარმოდგება, როგორც არაარსებითი. როცა წარმოებას განვიხილავთ, როგორც მოხმარების ამხსნელს, ის არსებაა მისი, ვ. ი. არსებითია; როცა მოხმარებას განვიხილავთ, როგორც წარმოების ამხსნელს, მაშინ წარმოება, აღნიშნული აზრით, არაარსებითია. ამიტომ საბოლოოდ უნდა ითქვას, რომ არსებითისა და არაარსებითის, ანუ არსების მომენტთა ერთიმეორესთან შეფარდებითობა არ არის წმინდა შეფარდებითობა; უკეთ: ნამდვილი არსება და კანონი აბსოლუტური ხასიათის უნდა იყოს<sup>1</sup>.

შეფარდებითობა ერთიმეორესთან და ერთიმეორეზე დამოკიდებულებაში ყოფნას ნიშნავს. ამიტომაც ნამდვილად არსებითი თვი-

<sup>1</sup> ვ. ე. ნ. გ. ე. ს. ი. ბუნების დიალექტიკა, გვ. 240 — 241.

თონ არაარსებითა დამოკიდებულებაშია, მათი მთლიანობაა და არა ამ მთლიანობის რომელიმე მხარე, ანუ უკეთ: არსებითი ის მომენტი, რომელიც „გარეგადამწვდომია“ (მაგ., წარმოება მის სხვა მომენტთა შორის).

ცალკეულის და ზოგადის დამოკიდებულებაში ნამდვილი ზოგადი ცალკეულთა, როგორც მომენტთა, ერთმხრიობათა მთლიანობაა (და არა ერთეულ საგანთა ერთობლიობა), და არა ამ მთლიანობის ერთი მხარე, რომელიც საერთოა სხვებისთვისაც; ამიტომაც ვამბობდით ზემოთ, რომ ნამდვილი ზოგადი შინაარსეული ზოგადია, რომელიც დაპირისპირებულთა ერთიანობას, როგორც მათ აუცილებელ კავშირს, უდრის. ამიტომ შედარებით მომენტთა დამოკიდებულება თვითონ აღარ არის შედარებითი, არამედ აბსოლუტურია, უკეთ: ისეთი შედარებითია, რომელიც, არსებითად, აბსოლუტურია.

ასეთი აბსოლუტური არის განვითარებაში და მოძრაობაში მყოფი საგნის უძირითადესი კანონი. შინაარსეული ზოგადობა კანონის ზოგადობაა. კანონი არის „შინაგანი და აუცილებელი კავშირი ორ გარეგნულად ერთიმეორის მოწინააღმდეგე მოვლენას შორის“<sup>1</sup>. კანონი მოვლენათა მიმართაა კანონი და მოვლენები ასეთია სწორედ კანონის მიმართ, ისინი შეფარდებითი ბუნების არიან, როგორც ცალკეული და შინაარსეული ზოგადი. აბსოლუტური მნიშვნელობის არის ზოგადი, როგორც კანონი და კანონი როგორც ზოგადი არა იმდენად, რამდენადაც ისინი მათი საპირისპირო მომენტითაა (თუ მომენტებითაა) განსაზღვრული, არამედ რამდენადაც ისინი (ზოგადი, კანონი) გარეგადამწვდომია, მსგავსად წარმოებისა მისი მომენტების მიმართ (როგორც ეს მარქსსა აქვს გარკვეული შრომაში „პოლიტიკური ეკონომიის კრიტიკისათვის“, „შესავალი“ და რაც გამოყენებულია და განვითარებული სახით არის წარმოდგენილი „კაპიტალში“).

რამდენადაც ერთიმეორეს ვუპირისპირებთ და ვადარებთ რელატურსა და აბსოლუტურს, იმდენად მათ შორის განსხვავება თვითონ არის შედარებითი: რელატურში არის აბსოლუტური<sup>2</sup>; მაგრამ ის გარემოება, რომ რელატური და აბსოლუტური დიალექტიკურ მთლიანობაში არიან, თვითონ ასეთი კავშირი (რამდენადაც აბსოლუტური არის გარეგადამწვდომი) არის აბსოლუტური ხასიათის, წინააღმდეგ შემთხვევაში, ხან იარსებებდა რელატურისა და აბსოლუტურის დიალექტიკური ერთიანობა, ხან კი არ იარსებებდა. ეს კი უაზრობაა.

<sup>1</sup> კ. მარქსი, კაპიტალი, ტ. III, ნაწ. I, გვ. 189.

<sup>2</sup> В. И. Ленин, Философские тетради, стр. 328.

შედარებითობა არსების მომენტებისა იმას კი არ ნიშნავს, რომ ეს მომენტები ერთიმეორისადმი განურჩეველი არიან, რომ ერთი მეორეს ისე განსაზღვრავს, როგორც პირიქით, არამედ იმას, რომ ამ მომენტებს მხოლოდ ერთიმეორის მიმართ აქვთ აზრი, ერთიმეორით არიან აზრდებულნი, რადგან ერთიმეორეს განსაზღვრავენ. პროლეტარიატი პროლეტარიატია, რამდენადაც ბურჟუაზიას უპირისპირდება და პირიქით. მათი საერთო საფუძველი, როგორც ეს ზემოთ აღვნიშნეთ, კაპიტალიზმის კანონია. ცალკეულს ზოგადის მიმართ აქვს აზრი და ზოგადს ცალკეულის, როგორც ერთმხრივის, მიმართ, მათი ერთიანობა (როგორც აუცილებელი კავშირი, — გარეგანამწვდომი) კი აბსოლუტური ხასიათისაა; იგი არის, ვიმეორებთ, ნამდვილი არსება, წინააღმდეგ შენთხვევაში, ასეთი ერთიანობა ხან იქნებოდა და ხან არა. აბსოლუტურია ქვემარტივება, როგორც შედარებითისა და აბსოლუტურის ერთიანობა (რამდენადაც აბსოლუტური გარეგანამწვდომია) და არა როგორც შედარებითთან მხოლოდ დაპირისპირებული.

აღვნიშნეთ, რომ შედარებით მომენტთა ერთიანობა არ არის თვითონ შედარებითი, დაბოლოებული; ის არის აბსოლუტური და დაუბოლოებელი. მაგრამ უნდა ითქვას, რომ არა ყოველი შედარებითი დამოკიდებულებაა ასეთი, არამედ მხოლოდ ისეთები, რომლებიც დაპირისპირებულთა ერთიანობას, როგორც აუცილებელ კავშარს, წარმოადგენენ, (ე. ი. არსებითად ყოველთვის ასეთი დამოკიდებულებაა). საგნის ყოველი თვისება სხვა თვისებასთან შედარებით დამოკიდებულებაში, ურთიერთგანსაზღვრებაშია, მაგრამ მხოლოდ არსების მხარეები, რომლებიც უარყოფა-წინააღმდეგობით დაბოლოებულის აზრს ამოსწურავენ, შეიცავენ ერთიანობაში აბსოლუტურ კანონს. სრულიად ზოგადად ეს აზრი გამოითქმება ასე: ყოველი არსებულის აბსოლუტური კანონი წინააღმდეგობის ერთიანობის კანონია. მხოლოდ წინააღმდეგობაში მყოფთა შინაგანი აუცილებელი კავშირია დაუბოლოებელის მომენტი.

აბსოლუტური ხასიათისაა არა ის აუცილებლობა, რომელიც თავისუფლებას უპირისპირდება, და არა ის თავისუფლება, რომელიც აუცილებლობას უპირისპირდება, არამედ სწორედ მათი ერთიანობა, რამდენადაც თავისუფლება სწორედ შეგნებული და შინაგანი აუცილებლობაა. აბსოლუტური ხასიათისაა არა საკუთრივ წარმოება, რომელიც სხვა მომენტებით განსაზღვრება, არამედ წარმოება, როგორც „გარეგანამწვდომი“ (მარქსის სიტყვით, *Übergreifende*), წარმოება, როგორც თავის თავის და სხვა მომენტების განსაზღვრელი, წარმოება, რომელიც სხვა მომენტების მიერ მის განსაზღვრებას განსაზღვრავს, ე. ი. საფუძვლად

უძევს,<sup>1</sup> მხოლოდ თვითგანსაზღვრებაშია არსებითი და აბსოლუტური. (ასეთი თვითგანსაზღვრელი არის ყოველი თვითმოძრავე და არა მხოლოდ აზრი, როგორც ეს ყალბად ჰქონდა ჰეგელს წარმოდგენილი. დიალექტიკური არა მარტო აზრია, არამედ, პირველ რიგში, მთელი სინამდვილე. რადგან დიალექტიკურია სინამდვილე, ამიტომ არსებობს მისი ამსახველი ცნებების დიალექტია).

16. განსაზღვრულობა როგორც მსჯელობის რეალური საფუძველი. არსების მომენტთა შედარებითობა მსჯელობის, როგორც განსაზღვრულობის ამსახველი აზროვნების გარკვეული ფორმის, საფუძველია. ეს საკითხი სპეციალურ გამოკვლევას მოითხოვს. აქ აღვნიშნოთ მხოლოდ ის, რომ საგნის განსაზღვრულობა არის მსჯელობის რეალური საფუძველი. მსჯელობის აზრი არსების მომენტთა განსაზღვრული და შედარებითი დამოკიდებულებით ექმნება. მაგალითად, ავიღოთ მარტივი წინადადება: „ივანე ადამიანია“; ეს წინადადება ორ მსჯელობას გამოსთქვამს იმისდა მიხედვით, თუ სად არის მახვილი დასმული: „ივანე“-ზე, თუ „ადამიან“-ზე; ეს მსჯელობებია: „ივანეა ადამიანი“ და „ივანე ადამიანია“. საგნის განსაზღვრულობა, როგორც აღვნიშნეთ, ორმაგი ბუნებისაა, ამიტომ მის არსებას, საგნის არსებითი განსაზღვრულობის ბუნებას ერთი მსჯელობა ვერ გამოთქვამს. ჩვეულებრივი, ტრადიციული ლოგიკის მსჯელობა ერთმხრივია და საგნის არსებით განსაზღვრულობას მხოლოდ ერთმხრივად გამოხატავს.

მაგ., მსჯელობა „ცუგა არის ძაღლი“ გამოსთქვამს იმას, რომ ცუგას ძაღლის ნიშანი აქვს, მაგრამ აქვე ნაგულისხმევია მეორე მხარე ერთი მთლიანი აზრისა, სახელდობრ, ის, რომ ცუგა და ძაღლი სხვადასხვა და ერთიმეორისადმი საპირისპიროა, როგორც ერთეული და ზოგადი. ამ განსხვავების გამოთქმას კი მეორე, სახელდობრ, უარყოფითი მსჯელობა სჭირდება. ამიტომ ვამბობთ, რომ ფორმალურ-ლოგიკური გაგებით აღებული მსჯელობა უარყოფის შემცველი განსაზღვრულობის ერთმხრივი გამოთქვაა.

შეიძლება სთქვან, რომ მსჯელობის ორი მხარის ორი მსჯელობით გამოთქმის ცდა ამ მსჯელობის მხარეთა გამოსათქმელად კიდევ ორ-ორი მსჯელობის მომთხოვნი იქნება და ასე შემდეგ უსასრულოდ, ე. ი. ასეთი ცდა ლოგიკურ სიყალბეს წარმოადგენს; ამის საპასუხოდ უნდა ითქვას შემდეგი:

1) აღნიშნული არგუმენტის ჩვენს წინააღმდეგ წამოყენება მხოლოდ იმას შეუძლია, ვინც მსჯელობის ბუნების გაგებაში მეტა-

<sup>1</sup> კ. მარქსი, პოლიტიკური ეკონომიის კრიტიკისათვის, შესავალი; გვ. 279 — 280.

ფიზიკური იგივეობის თვალსაზრისზე დგას და ნამდვილ მსჯელობად, მეგარელების მსგავსად, მხოლოდ ტავტოლოგიური მსჯელობა მიაჩნია. წინააღმდეგ შემთხვევაში, ის იძულებული იქნებოდა მსჯელობის სინთეზურობა მიეღო და ასეთი მსჯელობის ორმხრიობა აღეარებინა, ე. ი. ჩვენი აზრი გაეზიარებინა.

2) აღნიშნული არგუმენტი მხოლოდ ფორმალისტს შეუძლია წამოაყენოს, რადგან ფორმალისტის აზრით, თუ ერთი მსჯელობა ორ მხარეს შეიცავს, ამიტომ თითოეული მხარეც ორი მხარია შემცველი იქნება, რადგან ერთი მხარეც ხომ ერთია. აქ მხედველობიდანაა გაშვებული ის, რომ ყოველი, რაც ერთია არ არის ერთნაირი. თუ ერთი მსჯელობა ორ მხარეს შეიცავს, ეს არ ნიშნავს იმას, რომ მსჯელობის ერთი მხარეც ისეთივეა, როგორც მთელი მსჯელობა.

3) თუ ეს არგუმენტი სწორია, მაშინ ყალბი იქნება საერთოდ განსხვავებულთა ერთიანობის მიღებაც, ე. ი. დიალექტიკა მცდარად უნდა ჩავთვალოთ. ამიტომ, დიალექტიკის სისწორე აღნიშნული არგუმენტის მცდარობას ასაბუთებს.

4) მსჯელობა ორმხრივია (მაგ. „ცუგა არის ძალი“ — დაპირისპირებულთა ერთიანობაა, ე. ი. აქ დაპირისპირებაც არის და ერთიანობაც), ფორმალურ ლოგიკას კი იგი ერთმხრივად მიაჩნია, ე. ი. მას მსჯელობა, როგორც განსხვავებულთა ერთიანობა იგივეობის მომენტზე დაყავს; ამიტომ ვამბობთ, რომ აუცილებლად საჭიროა კიდევ ასეთი ერთმხრივი მსჯელობა, რათა სრულად გამოითქვას მსჯელობის ნამდვილი აზრი. სრული, ორმხრივი, მსჯელობის მხარეების გამოთქმა ორი — ერთმხრივად გაგებული მსჯელობით უნდა მოხდეს. ამით, ცხადია, ის არ არის ნათქვამი, რომ ერთმხრივი მსჯელობა თითქოს ერთმხრივი კი არაა, არამედ ორმხრივია; არა, ერთმხრივი სწორედ ერთმხრივია და არა ორმხრივი, ამიტომ ერთმხრივი კიდევ ორად აღარ იყოფა.

5) სრულად გაგებული მსჯელობის ერთი მხარე აუცილებლობით გულისხმობს ამ მსჯელობის მხოლოდ მეორე მხარეს, ეს კი — მხოლოდ პირველ მხარეს და არა სხვას, ამიტომ შეუძლებელია თითოეული ამ მხარის ორად გაყოფა, ე. ი. მის მიერ კიდევ სხვის გულისხმობა, ვიდრე ის გულისხმობს.

6) ერთმხრივის ორი განსაზღვრულობის მქონეთ წარმოდგენა სწორია მხოლოდ იმ აზრით, რომ მეორე საპირისპირო მხარე მასში კი არაა, არამედ მას განსაზღვრავს.

7) წინააღმდეგობას მხოლოდ ორი მხარე აქვს, რომლებიც, ერთიმეორესთან დაპირისპირებით, მსჯელობის აზრს, როგორც ბო-

ლოვადს, ამოსწურავენ. ამიტომ შეუძლებელია გაყოფის გაგრძელება.

მაშასადამე, მსჯელობა მხოლოდ ორ მხარეს შეიცავს, იგი დაპირისპირებულთა ერთიანობაა. ეს მხარეები ორს, ერთმხრივად გაგებულს, ე. ი. ფორმალურ ლოგიკურად გაგებულს, მსჯელობას წარმოადგენს, სახელდობრ, ისეთ მსჯელობას, რომელიც გამოყენებულია კატეგორიულ სილოგიზმში, თუმცა თვითონ ფორმალური ლოგიკისათვის ცალკე აღებული მსჯელობა გაურკვეველად ორმხრიობას შეიცავს.

ყველაფერი ეს ააშკარავენს განსაზღვრულობათა და მათ გამოთქმელ მსჯელობათა ურთიერთკავშირის შესაძლებლობას და აუცილებლობას. არასრული ცოდნა სრულ ცოდნას მოითხოვს და მასში, როგორც მთელში, გადადის<sup>1</sup>.

ლენინის მაგალითი „დიალექტიკური მატერიალიზმის“ და „ისტორიული მატერიალიზმის“ ტერმინთა შესახებ ჩვენს დებულებას სრულიად უდავოდ ხდის. არა მარტო წინადადება, არამედ რთული ტერმინიც სხვადასხვა აზრის გამოთქმელია: სხვას ნიშნავს „დიალექტიკური მატერიალიზმი“, და სხვას — „დიალექტიკური მატერიალიზმი“, ასევე: „ისტორიული მატერიალიზმი“ განსხვავდება „ისტორიული მატერიალიზმისაგან“, — მაშასადამე, სხვაა მათთან შედარებით „დიალექტიკური მატერიალიზმი“ და „ისტორიული მატერიალიზმი“. ასევე, „წინააღმდეგობის ერთიანობა“ განსხვავდება „წინააღმდეგობის ერთიანობისაგან“, ორივე კი — „წინააღმდეგობის ერთიანობისაგან“<sup>2</sup>.

როგორც ცნობილია, მარტივი ტერმინიც შეიძლება სხვადასხვა აზრს გამოთქვამდეს. ამიტომ მსჯელობის სუბიექტის გამოთქმელ სიტყვას არავითარი აზრი არა აქვს თვითონ მსჯელობის გარეშე. ამდენად ცნება შეიძლება იყოს მხოლოდ მსჯელობის შედეგი, მისგან დამოუკიდებლად იგი სიტყვა ან წარმოდგენაა. მაგრამ ეს აქ უშუალოდ არ გვანტერესებს.

არსების მომენტთა განსაზღვრულობების შედარებითობა—ერთმხრიობა (სრული ერთმხრიობა წინააღმდეგობის ერთიანობის ერთი მხარეა) მსჯელობის საფუძველს წარმოადგენს. დაბოლოებულისა და დაუბოლოებელის ერთიანობა სისრულით არ შეიძლება ერთი მსჯელობით გამოითქვას; მსჯელობა, როგორც აღვნიშნეთ, ერთმხრიობას გამოთქვამს. დაბოლოებულისა და დაუბოლოებელის ერთიანობის ერთმხრიობებია: 1) დაბოლოებული არ არის დაუ-

<sup>1</sup> ვ. ი. ლენინი. თხზ., ტ. 14, გვ. 120.

<sup>2</sup> იქვე. ტ. 14, გვ. 420.

ბოლოებელი, 2) დაბოლოებული არის დაუბოლოებელი და სხვ.<sup>1</sup> ასე ითქმის წარმოების და მოხმარების შესახებ<sup>2</sup>. წარმოების ყოველი ორი მომენტის კავშირი, როგორც გარკვეული განსაზღვრულობა, რამდენიმე მსჯელობით გამოითქმის, თუ, ცხადია, ერთიმე-მებს არ დაეჯერდებით და მათ გაშლილად, სრული სახით წარმოვიდგენთ. მსჯელობები: წარმოება არის მოხმარება, მოხმარება არის წარმოება, წარმოება არ არის მოხმარება და პირიქით — ერთიმეორეს აესებენ. არსებითი განსაზღვრულობა მსჯელობათა მთლიანობით გამოითქმება, თითოეული მსჯელობა ერთმხრიობას წარმოადგენს. ამ ერთმხრიობებს კი ერთიმეორით აქვთ ნამდვილი აზრი. ამიტომ მსჯელობის სახეებს მხოლოდ ურთიერთდამოკიდებულებაში ექნებათ აზრი (აქედან დასკვნის აუცილებლობა გამომდინარეობს). ამგვარად არ ესმოდა ძველ ლოგიკას მსჯელობის (ისე როგორც აზროვნების სხვა ფორმების) ბუნება. ცნების განსაზღვრება, როგორც მსჯელობა თუ მსჯელობათა ერთიანობა არსების განსაზღვრულობის აზრით გამოითქმას წარმოადგენს.

აქ საჭიროა შევნიშნოთ, რომ, მართალია საგნის ყოველი განსაზღვრულობა არის რეალური საფუძველი აზრის განსაზღვრულობისა, რომელსაც მსჯელობის ფორმა აქვს, მაგრამ ზემოთ წარმოებულ ანალიზი არსების და მისი მომენტების კავშირის განსაზღვრულობისა ეხება ისეთ მსჯელობებს, რომლებიც საგნის არსების ერთმხრიობებს გამოსთქვამენ და, როგორც ამას შემდეგაც ნათელვყოფთ, განსაკუთრებული დასკვნის ერთმხრიობებს წარმოადგენენ. საერთოდ უნდა ითქვას, რომ ცალკეულის და ზოგადის, არსების და მოვლენის კავშირი ლოგიკურის რეალური საფუძველია.

**17. არსების განსაზღვრულობა როგორც დასკვნის რეალური საფუძველი.** არსების მომენტთა დამოკიდებულება გამოითქმის საფუძველ-შედგის დამოკიდებულებით, ამიტომ იგი დასკვნისა და არა მხოლოდ მსჯელობის საფუძველს წარმოადგენს.

რადგან საფუძველს აზრი აქვს მხოლოდ როგორც შედეგის საფუძველს და შედეგს კი, — როგორც საფუძველის შედეგს, ამიტომ ისინი მთლიანობაში უნდა განვიხილოთ<sup>3</sup>. არსების მთლიანობაში მისი მომენტები, როგორც ითქვა, ერთიმეორის განმსაზღვრელნი

<sup>1</sup> იხ. ჩემი წერილი „დასკვნის პრობლემისათვის“. ფილოსოფიის ინსტ. შრომები, ტ. I.

<sup>2</sup> იქვე.

<sup>3</sup> ჩვენ აქ მხოლოდ ის ვვინდა აღვნიშნოთ, რაც განსაზღვრების ბუნებას უშუალოდ ეხება, საფუძველის ცნების შესახებ კი ლაპარაკი გვექნება ამ შრომის მეოთხე თავში.

არიან; ეს ნიშნავს იმას, რომ მათი დამოკიდებულებანი საფუძველ-შედგის დამოკიდებულებით გამოითქმიან. საფუძველი გახსაიდ-კრელია, შედეგი კი — განსაზღვრული. წარმოება განსაზღვრავს მოხმარებას (მარქსის თქმით, დანა-ჩანგლით და მათ გარეშე საკმ-ლის მიღებაც წარმოების ხასიათით განისაზღვრება) და პირიქით; ასევე განაწილება და გაცვლა-გამოცვლა განისაზღვრებიან და თვითონ სხვა მომენტებს განსაზღვრავენ ერთიანობამდე. თუ ერთი არსებობს, მაშინ მეორეც არსებობს და პირიქით. ეს გარემოება იმას ნიშნავს, რომ ერთი მეორის რეალური საფუძველია და პირი-ქით; საქონელს ორი ძირითადი განსაზღვრულობა აქვს: საცვლელი და სახმარი ღირებულება. საცვლელი ღირებულება (უკეთ: ღირე-ბულება, რომლის ფორმასაც საცვლელი ღირებულება წარმოად-გენს) სახმარი ღირებულების საფუძველზე არსებობს, სახმარი ღირებულება საქონელში საცვლელი ღირებულებით განისაზღვრე-ბა; ორივეს მთლიანობა კი საქონელს წარმოადგენს.

მოკლედ: როგორც აღინიშნა, არსება არის წინააღმდეგობის ერთიანობა, როგორც წინააღმდეგობაში მყოფთა აუცილებელი კავშირი, რომელშიც ერთმხრიობანი საფუძველ-შედგის დამოკი-დებულებაში არიან; წინააღმდეგობის ერთი მხარე მეორეს განსაზ-ღვრავს, მის საფუძველს წარმოადგენს და პირიქით, ისინი ურთი-ერთისადმი საფუძველ-შედგის დამოკიდებულებაში არიან, მაგრამ ორივე მათი ერთიანობით, როგორც შინაგანი აუცილებელი კავში-რით, განისაზღვრება; მაგრამ აღნიშნული ერთიანობა (წინააღმდე-გობის ერთიანობა) არ არის ისეთი მომენტი, როგორც დაპირის-პირებული მხარეებია; წინააღმდეგ შემთხვევაში, მივიღებდით ლოგი-კურ სიყალბეს: იარსებებდა დაპირისპირება თვითონ დაპირისპი-რებასა და ერთიანობას შორის და საჭირო გახდებოდა კიდევ ახალი ერთიანობა ამ დაპირისპირების — შესაძლებლობის ამხსნელად და ა. შ.

კაპიტალიზმში პროლეტარიატი და ბურჟუაზია ერთიმეორეს განსაზღვრავენ, ამდენად ერთიმეორის არსებობის რეალურ საფუ-ძველს წარმოადგენენ, მაგრამ მათი აუცილებელი კავშირი არ არის რაღაც მესამე კლასი, არც ხსენებული კლასების შედეგი, არამედ პირიქით; კაპიტალისტური წარმოების წესი განსაზღვრავს ბურ-ჟუაზიასა და პროლეტარიატს. რამდენადაც ბურჟუაზიის არსებობა განსაზღვრავს პროლეტარიატის არსებობას და პირიქით, ამდენად ისინი ერთიმეორის რეალური საფუძველი და შედეგი არიან. მაგ-რამ კაპიტალისტური წარმოების წესი განსაზღვრავს აქ აღნიშნუ-ლი საფუძველ-შედგის დამოკიდებულებას, რამდენადაც კანონი



მოვლენის განმსაზღვრელია. ამ აზრით, კანონიც გარკვეულ საფუძველს წარმოადგენს.

ამრიგად, შესაძლებელია ორგვარი რეალური საფუძველი და ორგვარი შედეგი, როცა საქმე გვაქვს არსებასთან, როგორც წინააღმდეგობის ერთიანობასთან (საწინააღმდეგოთა აუცილებელ კავშირთან). თვითონ ეს ერთიანობა — აუცილებელი კავშირი იმ მთლიანობას წარმოადგენს, რომელშიც ურთიერთგანსაზღვრა გვაქვს, მაგრამ ურთიერთობა ერთიანობით, როგორც გარკვეული რეალური საფუძველით, განისაზღვრება (როგორც ურთიერთობის კატეგორია თვითშიზოზობრიობით განისაზღვრება). აღნიშნულ მთლიანობაში, განსაზღვრის თვალსაზრისით, შემდეგნაირი განსაზღვრელი — საფუძველი და განსაზღვრული — შედეგი გვაქვს: ერთი — დაბოლოებული საფუძველი, როგორც დაპირისპირების ერთი მხარე და თვითონ მეორე მხარის შედეგი და, მეორე, დაპირისპირებულთა ერთიანობა (აუცილებელი კავშირი), როგორც დაბოლოებულთა — საპირისპირო მხარეთა — საფუძველი, დაუბოლოებელი საფუძველი, შინაგანი არსებითი კავშირი, როგორც კანონი<sup>1</sup>.

ყოველი დასკვნა რეალური საფუძველ-შედეგის დამოკიდებულებას ემყარება, სულ ერთია რეალური საფუძველის, ამსაბველი აზრი იქნება დასკვნის წანამძღვრად გამოყენებული, თუ რეალური შედეგისა; ორივე შემთხვევაში რეალური საფუძველ-შედეგის კავშირი აისახება დასკვნაში. რეალური შედეგის ამასხველი აზრის დასკვნის წანამძღვრად გამოყენების შესაძლებლობა ლოგიკური საფუძველ-შედეგის კავშირის ერთ-ერთი თავისებურებაა. ჩვენ აქ მხოლოდ იმის აღნიშვნა გვინდა, რომ რეალური განსაზღვრულობა (ამ შემთხვევაში, არსების განსაზღვრულობა) და მისი შინაგანი მომენტების კავშირი დასკვნის ანუ ლოგიკური კავშირის მიერ ასახავს საგანს და დასაყრდენს წარმოადგენს (და უნდა წარმოადგენდეს). რეალური საფუძველი განმსაზღვრელს ჰქვია და არა მხოლოდ მიზეზს. არგუმენტიც ხომ ფუნქციის განმსაზღვრელია და ამდენად მის საფუძველს წარმოადგენს, და სხვ.

18. განსაზღვრება როგორც განვითარება. თუ არსების მომენტები ერთიმეორეს განსაზღვრავენ და საფუძველ-შედეგის დამოკიდებულებით წარმოიდგინება, მაშინ უნდა ვიფიქროთ, რომ მათი ურთიერთკავშირი ერთგვარ განვითარებას წარმოადგენს. მაგალითისათვის ავიღოთ დიალექტიკის ცნების განსაზღვრება.

<sup>1</sup> ეს საკითხი უფრო დაწვრილებით ამ შრომის ბოლო თავში განიხილება. აქ ჩვენ მხოლოდ განსაზღვრების ბუნების აღნიშვნა გვსურდა. ე. ი. მხოლოდ ერთი მხარე გვინტერესებდა.

დიალექტიკის ცნების განსაზღვრება გვიჩვენებს, რომ დიალექტიკას ოთხი ძირითადი ნიშანი — განსაზღვრულობა აქვს. ამ ნიშნებს შორის გარკვეული კავშირი არსებობს; დიალექტიკის ნიშნები თვითონ არიან. დიალექტიკურ კავშირში, ე. ი. გარკვეულ განვითარებაში იმყოფებიან. ეს ნიშნები ყველა ძირითადია, მაგრამ ერთიმეორისაგან მაინც განსხვავდებიან მეტ-ნაკლები არსებითობით, მეტ-ნაკლები ზოგადობით, მეტ-ნაკლები კონკრეტულობით. პირველი — ურთიერთკავშირის — ნიშანი შემეცნებისათვის პირველია, იგი უფრო გარეგანია (სხვა ძირითად ნიშნებთან შედარებით, ისე კი ისიც ძირითადი ნიშანია), შემდეგი — მეორე ნიშანი უფრო ღრმაა და ა. შ., მეოთხე ნიშანი კი უარსებითესია. ურთიერთკავშირი, თავისთავად, მეორე ნიშნის გარეშე აღებული, შედარებით აბსტრაქტულია, ე. ი. დიალექტიკურობის, როგორც დიალექტიკურ-კონკრეტულის უარყოფელია, რადგან, განვითარების გარეშე, მკაცრი ურთიერთკავშირი დიალექტიკურობას არ წარმოადგენს. მაგრამ ეს პირველი ნიშანი შესაძლებელია მეორე ნიშნის საფუძველზე; ურთიერთკავშირი მხოლოდ განვითარებაშია ნამდვილი და სრული სახით წარმოდგენილი. პირველი ნიშანი (დიალექტიკისა) ნაკლს, ერთგვარ უარყოფას შეიცავს, რომლის განვითარება მეორე ნიშნით ხდება. ასევე მეორე ნიშანი მესამის გარეშე განვითარების მეტაფიზიკურ გაგებას იძლევა. განვითარება ახალი თვისობრიობის წარმოშობისა და ნახტომის გარეშე განვითარების დამახინჩებაა, განვითარების მხოლოდ ერთმხრიობაა. რიცხობრიობის თვისობრიობაში და პირიქით, ნახტომისებური გადასვლა, აღებული მეოთხე ნიშნის გარეშე, სასწაულის აღიარებაა. ამიტომ მესამე ნიშანს, თავის მხრივ, მეცნიერული აზრი აქვს მხოლოდ მეოთხე ნიშნის საფუძველზე, მასთან აუცილებელ კავშირში. არსებითად დიალექტიკა, ამბობს ლენინი, წინააღმდეგობის ერთიანობაა<sup>1</sup>, ე. ი. იგი ერთი, უარსებითესი, ნიშნით შეიძლება განვსაზღვროთ. (მაგ., აღამიანი შეიძლება ერთი ნიშნით განვსაზღვროთ, როგორც იარაღის მკეთებელი, თუმცა მას ერთზე მეტი არსებითი ნიშანი აქვს).

ურთიერთკავშირის საფუძველზე უარყოფის საშუალებით ვლდებულობთ მოძრაობა-განვითარების ნიშანს, რომელიც სხვა, თავისებური აზრით თვითონ არის. პირველი ნიშნის საფუძველი და ა. შ. მეოთხე ნიშნამდე ჩათვლით. მეოთხე ნიშანი განვითარებული

<sup>1</sup> В. И. Ленин, Философские тетради, 1947 г., стр. 194. Вкратце диалектику можно определить, как учение о единстве противоположностей. Этим будет схвачено ядро диалектики, но это требует пояснений и развития.

პირველი ნიშანია, რადგან დაპირისპირებულთა აუცილებელი კავშირი არის საერთოდ ურთიერთკავშირის არსება. პირველი ნიშანი ჩვენი შემეცნებისთვის არის საფუძველი, რათა უარყოფის საშუალებით უფრო მაღალი საფუძველი აღმოვაჩინოთ; ნამდვილად აქ საფუძვლისკენ წასვლა გვაქვს; ეს — შედეგიდან საფუძვლის მიღება — უარყოფილი იყო ძველი ლოგიკის პირობით-კატეგორიულ სილოგიზმში, თუმცა ძველი ინდუქციის აზრი სწორედ შედეგიდან მიზეზის აუცილებელ აღმოჩენაში მდგომარეობდა (აქ ძველი ლოგიკა სრულ გაურკვეველობაში იყო ჩავარდნილი).

ძველმა ლოგიკამ არ იცოდა ლოგიკურში შინაგანი უარყოფის, როგორც კავშირის, მომენტი. შესაძლებელია დიალექტიკის მეოთხე ნიშნამდე სხვა არაძირითადი ნიშნებიც დაეასახელოთ, მაგრამ წინააღმდეგობის ერთიანობის ნიშანზე უფრო ღრმა ნიშანი არ არსებობს, რადგან ის არის განვითარების წყარო, მას სხვა საფუძველი არა აქვს, იგი დიალექტიკის ნიშნებში „გარეგადაშვდომი“ მომენტია, რომელშიც, როგორც ვნახეთ, სისრულით არის წარმოდგენილი საფუძველ-შედეგის დამოკიდებულება<sup>1</sup>.

მაშ, დიალექტიკის ნიშნებს შორის არსებობს გარკვეული დიალექტიკურ-ლოგიკური კავშირი; ეს კავშირი განვითარებას წარმოადგენს შეშეცნებისა და ლოგიკურის თვალსაზრისით. იგი ისტორიულია, კერძოდ, შემეცნებით-ისტორიულის ლოგიკური ასახვაა; სინამდვილეში კი არ არსებობს ჭერ პირველი ნიშანი, შემდეგ მეორე და ა. შ., არამედ შეშეცნება, საგნის არსების წვდომის დროს, ანალიზის საშუალებით თანდათან უფრო ღრმად მიდის, ლენინის სიტყვით რომ ვთქვათ, პირველი რიგის არსებიდან მეორე რიგის არსებისაკენ და ა. შ., მაგრამ არსებობს ისეთი თავისთავადი (ამ აზრით დაუბოლოებელი) მომენტი წინააღმდეგობის ერთიანობის სახით, რომელსაც აღარ აქვს კიდევ სხვა საფუძველი (წინააღმდეგ ამ საკითხის ჰეგელიანური გაგებისა).

რადგან ყველაფერი განვითარებაში იმყოფება, ამიტომ დიალექტიკის ცნების განსაზღვრების ბუნება სამაგალითოა ყოველი საგნის ცნების განსაზღვრებისათვის. თუმცა ყოველი მაგალითი ერთნაირად არ გამოხატავს სამაგალითოს, მაგრამ, საბოლოო ანგარიშში, მაინც ის (სწორედ სამაგალითო, ამ შემთხვევაში, — დიალექტიკის ცნების განსაზღვრების ბუნება) განსაზღვრავს ყოველი სხვა ცნების (თუ ის მართლაც ცნებაა და არა წარმოდგენა) განსაზღვრების ბუნებას. ამას ისიც მოწმობს, რომ დიალექტიკის ყოვე-

<sup>1</sup> დიალექტიკის ცნების ნიშანთა შესახებ უფრო დაწერილებით და სხვა ასპექტში ლაპარაკი გვექნება შემდეგ, შრომის უკანასკნელ თავში.

ლი ნიშნის მაგალითი, საბოლოო ანგარიშში, წინააღმდეგობის ერთიანობას ემყარება; თუმცა იგი ყველგან უშუალოდ და სისრულით არ შეიძლება მოჩანდეს.

ფორმალური ლოგიკა, ცნების განსაზღვრების დროს, ჩამოთვლის ნიშნებს, ნამდვილად კი საჭიროა ამ ნიშნების ურთიერთკავშირის განსაზღვრულობის ჩვენება, წინააღმდეგ შემთხვევაში, ცნების ნამდვილ განსაზღვრებას ვერ მივიღებთ. არსებით ნიშან-მომენტთა ურთიერთკავშირის განსაზღვრულობა არის ცნების ნამდვილი განსაზღვრულობა.

ამიტომ არ შეიძლება, განსაზღვრების დროს, დაეკმაყოფილდეთ უახლოესი გვარობისა და სახეობითი განსხვავების ჩვენებით. ენგელსი გარკვევით ამტკიცებს, რომ ჩვეულებრივი დეფინიცია სრულიადაც არ არის საკმარისი<sup>1</sup>. ნამდვილი „რეალური“ დეფინიცია უნდა იყოს საგნის განვითარების განსაზღვრულობა-საფეხურების გარკვევა. საგნის განვითარებაში არსებული არსებითი განსაზღვრულობანი, აზროვნებაში ასახულნი, გვაძლევენ მისი ცნების განსაზღვრებას; ამიტომ მეცნიერების განვითარების მხოლოდ გარკვეულ საფეხურზე შეიძლება გვქონდეს მისი საგნის ცნების განსაზღვრება. მაგ., ამბობს ენგელსი, ჭერ არა გვაქვს სიცოცხლის ცნების სრული განსაზღვრება; ცოცხალი უჭრედის ხელოვნურად შექმნის შემთხვევაში გვეცოდინება იგი და მაშინ შევსძლებთ სიცოცხლის ცნების ზუსტ განსაზღვრებას.

რაიმე საგნის განვითარების განსაზღვრულობების გარკვევა იმ ერთის გარკვევას წარმოადგენს, რომელიც, როგორც აღვნიშნეთ, „გარეგადამწვდომია“ მისი მომენტებისადმი. ამიტომ ნიშნები ურთიერთკავშირში უნდა განისაზღვრონ, სახელდობრ, ისე, თუ როგორ ხსნიან ისინი ერთიმეორეს; უკანასკნელი განსაზღვრება იქნება ყველა დანარჩენის თავის მომენტებად შემცველიც, ე. ი. „გარეგადამწვდომი“ მომენტი, რომელიც ამოსწურავს საგნის არსებას, წარმოადგენს თავისთავადს და მისი შემდეგი განსაზღვრება სხვა, თვისობრივად სხვა, ახალ არსებაში გადასვლას იძლევა.

შეიძლება ვილაპარაკოთ რეალური მოხსნა-შენახვის გვერდით ლოგიკური მოხსნა-შენახვის შესახებაც. რეალური მოხსნა-შენახვისაგან ლოგიკური მოხსნა-შენახვა, სხვათა შორის, იმითაც განსხვავდება, რომ რეალურში მოხსნილი არ არსებობს, როგორც დამოუკიდებელი, ლოგიკურშიც მოხსნილი დამოუკიდებლობას ჰკარგავს, მაგრამ მოხსნელთან ერთად ერთდროულად არსებობს. ფეოდალიზმი ხსნის მონათმფლობელობას, კაპიტალიზმი — ფეო-

<sup>1</sup> ფ. ენგელსი, ანტი-დიურიგი, 1952, გვ. 98, 408.

დალიზმს, სოციალიზმი — კაპიტალიზმს. ისინი ერთდროულად, ერთსა და იგივე საზოგადოებაში ერთად არ არსებობენ. მაგრამ მათი ცნებები, ცხადია, ერთდროულად არსებობენ. კაპიტალიზმის დანგრევით და სოციალიზმის შექმნით, ცხადია კაპიტალიზმის ცნება არ ინგრევა და არ გვეკარგება. სოციალიზმი კაპიტალიზმს უარყოფს, მაგრამ მათი ცნებების დამოკიდებულება თავისებურია; კაპიტალიზმის ცნებისა და სოციალიზმის ცნების კავშირი არ ხსნის კაპიტალიზმის ცნებას. თუმცა კაპიტალიზმის ცნება-გაგება არის ისეთი, რომ ვამბობთ: კაპიტალიზმი ისტორიულად ამზადებს სოციალიზმს, მაგრამ ეს უკანასკნელი გვესმის ისე, რომ მის დროს უკვე აღარაა კაპიტალიზმი (თუ კაპიტალიზმის ნაშთებს არ მივიღებთ მხედველობაში). ცნება ხომ გაგებას ნიშნავს? ცნებათა კავშირი დაქვემდებარებისა და სუბორდინაციის კავშირია; მხოლოდ ამ აზრით არის აქ მოხსნა-შენახვა<sup>1</sup>.

იმის მეორე მაგალითად, თუ როგორ უნდა გაეიგოთ რომელიმე ცნების ნიშნები განვითარებაში, ავიღოთ ფულის ცნება მარქსის „კაპიტალი“-დან.

საქონელი, როგორც ღირებულება, არის ფული. ეს უკანასკნელი არის თავისებური საქონელი, სახელდობრ ისეთი, რომლითაც იზომება ყველა საქონლის ღირებულება. საქონელი — ოქრო არს ფული, იგი ფულადი საქონელია. უსასრულო რიცხვი საქონლებისა ერთ საქონელში — ოქროში, როგორც ფულში, არის დაჭერილი. ყოველი საქონელი ფულით ფასდება, მაგრამ, როგორც ზემოთ აღვნიშნეთ, ასეთ შემთხვევაში ღებულების შებრუნება არ შეიძლება, ფულს არა აქვს ფასი; ის არ არის ჩვეულებრივი საქონელი, ფული კონკრეტული ზოგადია, თუმცა არსებობს ერთეული საქონლის სახით. „... აუცილებელია, რომ ღირებულება, განსხვავებით საქონელთა სამყაროს აპრელებულ სხეულთაგან, განვითარდეს ამ ირაციონალურ-ნივთობრივ, მაგრამ, ამასთანავე მარტივ საზოგადოებრივ ფორმად“<sup>2</sup>. ასეთია ფულის პირველი განააზღვრულობა — ნიშანი.

<sup>1</sup> მაგრამ ტერმინი „მოხსნა-შენახვა“ არაზუსტი, გაურკვეველი და ბუნდოვანია, მის მაგიერ საჭიროა ისეთი ტერმინი, რომელიც აღმავალი განვითარების ბუნების ზუსტად გამომხატვრილი იქნება. საჭიროა ასეთი ტერმინის მოძიება.

ტერმინი „მოხსნა-შენახვა“ (aufheben, Aufheben) ჰაიკოს შემოღებული ტერმინია, რომელიც მატერიალისტურ დიალექტიკაში, განსხვავებით ჰეგელის იდეალისტური დიალექტიკისა, თავისებურად არის მოხმარებული; თუმცა ჰაიკელიანიზმი აზრებში შეიძლება იყოს და არა სიტყვა-ტერმინებში. მაგრამ მაინც საჭიროა ახალი ტერმინის მოძიება, — მით უმეტეს, რომ „მოხსნა-შენახვა“ ხელოვნურად შეკოწიწებული ტერმინია.

<sup>2</sup> კ. მარქსი, კაპიტალი, ტ. I, გვ. 131—132; 1954 წ.

„საქონელთა გაცვლის პროცესი წინააღმდეგობრივ და ერთიმეორის გამომრიცხველ დამოკიდებულებას შეიცავს“<sup>1</sup>. გაცვლის პროცესის განვითარება საქონლის ორმაგ ხასიათს ააშქარავებს იმით, რომ საქონელს ჰყოფს ორად: უბრალო საქონლად და ფულად; აქ არ ისპობა წინააღმდეგობა, არამედ იქმნება მოძრაობის გარკვეული ფორმა. ამ ფორმაში კიდევ ინახება წინააღმდეგობა და კიდევ იხსნება (როგორც მოძრაობის ელიფსურ ფორმაში კიდევ იხსნება და კიდევ ინახება მიზიდვა-განზიდვის წინააღმდეგობა). ფული უბრალო საქონელი კი არ არის, არამედ საქონლის გარკვეული მოძრაობაა, სახელდობრ, წრებრუნვა, იგი არის საშუალება მიმოქცევისა. ფული არის წარმომადგენელი როგორც გაყიდული საქონლის, ისე საყიდელი საქონლისა<sup>2</sup>; ფული არის ყველა საქონელი, წარმოდგენილი ერთში. ფული არ კმაყოფილდება მიმოქცევის სფეროთი, იგი ყოველი ხელშეკრულების საყოველთაო საქონელია. მას აქვს გადახდის საშუალების განსაზღვრულობა. მიმოქცევის შინაგან სფეროში შექმნილი ფულის განსაზღვრულობანი იხსნება და ფული კიდევ იღებს კეთილშობილი ლითონის ფორმას, როცა იგი გამოდის როგორც მსოფლიო ფული. ფული, როგორც მსოფლიო ფული, სავსებით ააშქარავებს თავის არსებას, როგორც საყოველთაო ეკვივალენტს და მისი ასახვა გვაძლევს ფულის ცნებას. ფული საქონლის წრებრუნვაა; საქონელი, ასრულებს რა წრებრუნვას, ე. ი. ასრულებს და უარყოფს რა თავის თავს, გადადის ფულში. ფული აკეთებს წრებრუნვას თავისი უკანასკნელი ნიშნით — გადახდის საშუალებით და ამით უარყოფს თავის თავს, გადადის კაპიტალში. კაპიტალი არის ფულის წრებრუნვა. ფულის წრებრუნვა შეუძლებელია არ შესრულდეს ღირებულების კანონის თანახმად, მაგრამ, ამავე დროს, შეუძლებელია იგი შესრულდეს ამ კანონის თანახმად. ფულმა შეიძლება მაშინ შეასრულოს თავისი როლი, თუ წრებრუნვაში მეტ ფულს მოიტანს. ეს კი შესაძლებელია მხოლოდ მაშინ, თუ საქონელი ახალ ღირებულებას შექმნის; ფულის წრებრუნვის საფუძველი სწორედ ასეთი საქონელია. ეს საქონელი კაპიტალისტურ მეურნეობაში არის სამუშაო ძალა, რომელიც ქმნის არა მარტო ღირებულებას, არამედ ზედმეტ ღირებულებასაც.

აქ მოკლედ მოხაზული ფულის ხასიათის ცოდნა არის ფულის ცნება, რომლის განსაზღვრება შეიძლება მისი განვითარების საფეხურების ცოდნით. რაიმეს ცნების განსაზღვრება ამ რაიმეს გან-

<sup>1</sup> კ. მარქსი, კაპიტალი, ტ. I., გვ. 135.

<sup>2</sup> იქვე, გვ. 143.

ვითარების არსების ასახვას უნდა წარმოადგენდეს, და თვითონ იმ მომენტების ერთიანობა უნდა იყოს, რომლებიც ერთიმეორეს გარკვეულად ექვემდებარებიან.

ძველი ლოგიკა, ცნების განსაზღვრების დროს, ასახელებდა ცნების მიერ ნაგულისხმევი საგნის არსებით ნიშნებს, მაგრამ მათ განვითარების გარეშე გახიზილავდა; არსებით ნიშნებს განვითარებაში და ურთიერთკავშირში კი არ არკვევდა, არამედ ერთი საგნის სხვა საგნებთან ანალოგია-შედარებასა და აბსტრაქტულად ნიშნების ჩამოთვლაში წარმოიდგენდა. ეს საგნის არსების ზერელე წარმოდგენას იძლევა. არსებითი, როგორც ვიცით, არის ის, რაც უარყოფის საშუალებით რაიმეს განვითარების თავისთავად წყაროს წარმოადგენს. ასეთი რაიმეს განსაზღვრება მისი განვითარების ნიშნების გარკვევით შეიძლება, სადაც ურთიერთგანსაზღვრება თავისთავადს ემყარება და არსებად შეიცავს.

10. ცნებათა განსაზღვრება როგორც ისტორიულის ასახვა. თვითონ განვითარების საფეხურები გარკვეულ ცნებებში აისახებიან და ამიტომ ეს ცნებები გარკვეულ სისტემაში მოექცევიან. თითოეული ამ ცნებათა განსაზღვრება იქნება იმის დადგენა, თუ როგორ განსაზღვრავს ერთი ცნება მეორეს, რათა ასახულ იქნეს განვითარების საფეხურთა კავშირი. ამდენად, რაიმე ცნების განსაზღვრება არის გარკვეულ სისტემაში, სახელდობრ, განვითარების სისტემაში მისი ადგილის მონახვა. ცნებათა ასეთი კავშირი რეალური სინამდვილის განვითარების ასახვა იქნება. საქონელი — ფული — კაპიტალი განვითარების საფეხურებია და, ამავე დროს, ეს კატეგორიებიც გარკვეულ ისტორიულ საფეხურებს ასახავენ. ფულის ცნება საქონლის ცნებას გულისხმობს, კაპიტალს ცნება კი — ფულის ცნებას, თუმცა ისინი (კაპიტალისტურ საზოგადოებაში) შებრუნებითაც განისაზღვრება: ყველაფერს კაპიტალი განსაზღვრავს, კერძოდ აქ, — ფულს, რაც საქონლის განმსაზღვრელია. ამ შემთხვევაში ორგვარი განსაზღვრება გვაქვს, რომელიც ყოველ ცნება-კატეგორიას ადგილს მოუნახავს სისტემაში. ცნების სისტემაში ადგილის მონახვა, როგორც ვნახეთ, არის მისი განსაზღვრება. პირველადობა და მეორადობა კატეგორიებისა მათი ურთიერთგანსაზღვრება-დაქვემდებარების აღნიშვნაა<sup>1</sup>.

განსაზღვრების ორმაგობა, ამ შემთხვევაში, იმას ნიშნავს, რომ განმსაზღვრელი თვითონ არის განსაზღვრული მისი გარკვეული შედეგით. ის, რომ განმსაზღვრელი არის მართლაც განმსაზღვრელი, ეს იქედან ჩანს, რაც მის შედეგს წარმოადგენს. განსაზღვრული,

<sup>1</sup> ვ. ი. ლენინი. თხზ. ტ. 14, გვ. 177 — მატერიის ცნების განსაზღვრების შესახებ.

რადგანაც მართლაც განსაზღვრულია, ამიტომ ნაკლისა და უარყოფის შემცველია, ამიტომაც ის გადადის სხვაში და თავისში არსებად შეიცავს იმას, რაც მის საფუძველს და განმსაზღვრელს წარმოადგენს. ყოველი შემდეგი ნიშანი თუ კატეგორია წინა ნიშნით თუ კატეგორიით განისაზღვრება, მაგრამ თვითონ განსაზღვრავს მას, როგორც ეს არსების მომენტთა საფუძველ-შედევობრივი ზემოგანხილული დამოკიდებულებიდან უშუალოდ გამომდინარეობს. საწარმოო ძალების განვითარება განსაზღვრავს წარმოებითი ურთიერთობების განვითარებას და პირიქით. საქონელი განსაზღვრავს ფულს, ფული კიდევ — კაპიტალს, რადგან ფული საქონლის წრებრუნვაა, კაპიტალი კი ფულის წრებრუნვას წარმოადგენს; მაგრამ კაპიტალის გარეშე კაპიტალისტურ საზოგადოებაში ფულს აზრი ეკარგება, რადგან სამუშაო ძალის, როგორც ღირებულებისა და ზედმეტი ღირებულების შემქმნელის, გარეშე შეუძლებელია ფულის წრებრუნვა — ღირებულების კანონის დარღვევით მისივე გამართლება; ფულის გარეშე კი შეუძლებელია საქონლის წრებრუნვა, ე. ი. თვითონ საქონელი, რადგან გაცვლა-გამოცვლა წრებრუნვაა, საქონელი კი ის პროდუქტია, რომელიც გასაცვლელად მზადდება.

ცნებათა (კატეგორიათა) კავშირის მიერ ისტორიულის ასახულობა არ უნდა გავიგოთ ისე, თითქოს აზრთა მსვლელობა ფეხდაფეხ მისდევდეს ისტორიულს მის განვითარებაში და მას ყოველმხრივ ასახავდეს; ლოგიკურისა და ისტორიულის დამთხვევა ჰეგელიანურ სიყალბეს წარმოადგენს, რადგან მათი განსხვავების გარეშე ორივეს აზრი ეკარგება. ისტორიულის ლოგიკურში ასახვან ისტორიულის არსების ლოგიკურ გამოხატვას ნიშნავს<sup>1</sup>. ისტორიულისა და საერთოდ განვითარებაში მყოფის არსება, როგორც ამას მატერიალისტური დიალექტიკა გვასწავლის, წინააღმდეგობის ერთიანობაა, დაპირისპირებულთა აუცილებელი კავშირია; მაშასადამე, წინააღმდეგობის ერთიანობის ამსახველი ცნების განსაზღვრულობა არის ისტორიულის არსების ასახვა და სწორედ ამ ასახვის ლოგიკურობა დაპირისპირებულთა კავშირის აუცილებლობაში მდგომარეობს; საერთოდ, წინააღმდეგობის ერთიანობას

<sup>1</sup> იხ. ფ. ენგელსის რეცენზია კ. მარქსის წიგნზე „პოლიტიკური ეკონომიის კრიტიკისათვის“. ისტორიულის და ლოგიკურის დამოკიდებულობა გარკვეული ასპექტით, საფუძველ-შედეგის დამოკიდებულების ასპექტით, ამ შრომის მეოთხე თავის დასაწყისში იქნება ახსნილი. აქ ჩვენ უფრო ზოგადი საკითხი გაინტერესებს, საჩქაობრ. ის, რომ ცნების განსაზღვრება, განვითარების თვალსაზრისით, ისტორიულის განსაზღვრულობა-გარკვეულობას გულისხმობს თავის საგნად და რეალურ საფუძველად.



ერთი ლოგიკური აზრი გააჩნია; ამიტომ, ძველი ლოგიკის წინააღმდეგ უნდა ითქვას, რომ წინააღმდეგობა ლოგიკურის ბუნებას სრულიადაც არ აყალიბებს; პირიქით, ლოგიკური მხოლოდ მაშინ არსებობს, როცა არსებობს აუცილებლობა, აუცილებლობას კი მხოლოდ მაშინ აქვს ადგილი, როცა საქმე გვაქვს განსხვავებულთა, უფრო ღრმად და არსებითად, დაპირისპირებულთა ერთიანობასთან. სწორედ ამ ერთიანობის აუცილებლობაა ნამდვილი ლოგიკური აუცილებლობა.

ამ შემთხვევაში, გადამწყვეტია „საშუალოს“ განსაზღვრულობა და მისი მონახვა-განსაზღვრება. შინაარსეულ (და არა მოცულობით) დაქვემდებარებაში (როგორც აღნიშნეთ, აქ აქვს ადგილი ნამდვილ ზოგადობას) მთავარია ის „საშუალო“, როგორც აუცილებელი კავშირი, როგორც ერთიანობა, როგორც გარეგანდამწყვდომი მომენტი, რომელსაც ორი განსაზღვრულობა აქვს; ეს ორი განსაზღვრულობა ორი დამოუკიდებელი განსაზღვრულობა კი არ არის, არამედ ისინი ერთისა და იგივეს, სწორედ „საშუალოს“, განსაზღვრულობანია; ამიტომაც არის შესაძლებელი ორის შუალობითი კავშირი, როგორც შინაარსი და რეალური საფუძველი მისი ლოგიკური ასახვისათვის.

ამ გარემოების აუცილებლობას ლოგიკის ისტორიაც მოწმობს; სწორედ საშუალო ცნების მონახვა იყო არსებითი არისტოტელეს ლოგიკისათვის, — სილოგისტური დასკვნისათვის, რომლის საშუალოსაც (არისტოტელეს აზრით) სწორედ ის წარმოადგენდა, რაც დეფინიციით მიიღებოდა (ამით იყო მოცემული ცდა დასკვნის „მეტაფიზიკასთან“ კავშირისა), როგორც საგნის არსების ცოდნა.

მაგრამ ლოგიკურში საგნის არსების ასახვა შეუძლებელი გახდა არისტოტელესათვის, რადგან მისთვის საგნის არსება („უსია“), საბოლოო ანვარიში, რაღაც მისტიკური ბუნების იყო. ჩვენთვის კი საგნის არსება შინაგანი წინააღმდეგობაა, რომელიც ლოგიკურით უნდა გამოითქვას.

20. ცნების განსაზღვრება როგორც დაპირისპირებულთა აუცილებელი კავშირის ასახვა. მრავალი ნიშნის ქონება საგნისათვის, რომელთა აღნიშვნა ცნების განსაზღვრებად არის ცნობილი, სრულიადაც არ ეწინააღმდეგება იმას, რომ ნამდვილი განსაზღვრება, რომელშიც საგნის არსება იქნება ლოგიკურად ასახული, ერთ განსაზღვრულობას წარმოადგენს. ჩამდენი ნიშანიც არ უნდა ჰქონდეს ცნებას, მასში, როგორც ერთ ცნებაში მაინც, ის ერთი განსაზღვრულობაა არსებითი, რომლის ნიშნების შესახებაც გარკვეული ცნება გვაქვს. ეს არის დაპირისპირებულთა ერთიანობა, რომელიც არსებას წარმოადგენს და განსაზღვრავს ნიშანთა დამოკიდებლობას. წერეთელი

დებულებას, სულ ერთია, თუ რამდენი ნიშანი იქნება ამ დამოკიდებულებაში. ცნება საგნის ნიშანთა ერთიანობის ასახულობაა, მათი დამოკიდებულების აუცილებლობა ერთსა და იგივეში — დაპირისპირებულთა აუცილებელ კავშირშია მოცემული.

დაპირისპირებულთა ერთიანობა<sup>1</sup> ერთი ნიშანია, ცნებაც არსებობად და ლოგიკურად ერთ ნიშანს უნდა წარმოადგენდეს. მაგრამ ეს არ ნიშნავს, რომ ერთი ნიშანი, რომელსაც ცნება წარმოადგენს, მარტივია. არ არსებობს წმინდა და მარტივი ნიშან-განსაზღვრულობა, მით უმეტეს, როგორ შეიძლება წინააღმდეგობის ერთიანობის ნიშანი იყოს მარტივი, როცა ის არის სწორედ წინააღმდეგობის ერთიანობა.

ჩვენ აქ მხოლოდ ის გვინდა აღვნიშნოთ, რომ წინააღმდეგობის ერთიანობა არ არის საწინააღმდეგო ნიშნების შესამე ნიშნით გაერთიანება; ასეთ შემთხვევაში სრულიად ყალბ მდგომარეობაში ჩავარდებოდით, რადგან, როგორც აღვნიშნეთ, საჭირო გახდებოდა ხსენებული სამის გაერთიანებისათვის კიდევ ახალი ორი ნიშანი და ა. შ. უსასრულოდ; არა, აქ ერთი არსებითი განსაზღვრულობა გვაქვს, რომლის მომენტები უწყვეტ მთლიანობაშია. ეს უწყვეტობა კიდევ არ ნიშნავს იმას, რომ ისინი (ხსენებული განსაზღვრულობის მომენტები) არ განსხვავდებოდნენ ერთიმეორისაგან. როგორც ვნახეთ, ისინი ერთიმეორისაგან არათუ განსხვავდებიან, არამედ უარყოფენ კიდევ ერთიმეორეს. მაგრამ ეს უარყოფა, როგორც ზემოთ გაიჩვენა, არის ის, რაც მათ უწყვეტად აერთიანებს, მათ უარყოფა აკავშირებს. ნამდვილი აუცილებლობის მქონე, სწორედ შინაგანი აუცილებლობით განსაზღვრული, არის ის, რაც თავის თავს განსაზღვრავს და აფუძნებს შინაგანი უარყოფით; შინაგანი უარყოფის შემცველი აუცილებლობა არის ნამდვილი აუცილებლობა. ასეთია ყოველი საგნის არსების ამსახველი ცნება.

ცნების განსაზღვრების შესახებ აზრის ნათელყოფისათვის განვიხილოთ საერთოდ დაპირისპირებულთა აუცილებელი კავშირის — ერთიანობის მომენტთა ურთიერთდამოკიდებულება. ეს მო-

---

<sup>1</sup> დიალექტიკის მეოთხე ძირითადი ნიშანი დაპირისპირებულთა ბრძოლის და ერთიანობის ნიშანია; არსებითი მოკარობა-განვითარებაში ბრძოლაა. ბრძოლა კი წინააღმდეგობის ერთი სახეა. როცა ჩვენ, მაგ., ცნებათა დაპირისპირებაზე ვლაპარაკობთ, მაშინ არ შეიძლება ცნებათა ბრძოლაზე ვილაპარაკოთ. კლასები და მსოფლმხედველობები ებრძვიან ერთიმეორეს, მაგრამ არა ცალკეული ცნებები, როცა, თანახმად გ. ი. ლენინის დებულებისა, ვამბობთ, რომ მსჯელობა, მაგ., ცუდა არის ძალი, დაპირისპირებულთა ერთიანობაა, მაშინ, ცხადია, არ შეიძლება ვილაპარაკოთ იმაზე, რომ ამ მსჯელობის სუბიექტი და პრედიკატი, ერთეული და ზოგადი ებრძვიან ერთიმეორეს; აქ არის დაპირისპირება და არა ბრძოლა.

პენტები აბსოლუტურად, ერთიმეორისაგან მოწყვეტილად და ამიტომ დამოუკიდებელ კანონებად იყო ცნობილი ძველ ლოგიაში, რომელთა შესახებაც ჩვენ ამ შრომის მესამე თავში გვექნება საუბარი, ახლა კი გავარჩიოთ ის, თუ როგორ განსაზღვრულობაში არიან დაპირისპირებულთა ერთიანობის მომენტები და რას წარმოადგენს მისი ცნების განსაზღვრება.

ჩვენი აზრით, ეს დაპირისპირებულთა ერთიანობის მომენტები გარკვეული აზრის მქონეა მხოლოდ მთლიანობაში, ურთიერთკავშირში, ცალკე აღებულნი კი მრავალ შეუძლებლობას და სიძნელეს შეიცავენ. ეს შეუძლებლობანი სწორედ იმას ამჟღავნებენ, რომ მათ დაქვემდებარებული მნიშვნელობა აქვთ, რომ ისინი ერთი მთელის განუყრელ მომენტებს წარმოადგენენ; თითოეულ მათგანს აქვს სხვა რაიმეში და სხვა რაიმეს საშუალებით გამართლება, და აქვთ საერთო საფუძველი. მათი დაქვემდებარებულობა და ურთიერთკავშირი მათ შედარებითობას ამჟღავნებს და წარმოადგენს, როგორც საერთოდ არსების მომენტების დამახასიათებელ შედარებითობას.

იგივეობა აუცილებელი მომენტია წინააღმდეგობის ერთიანობისა, როგორც მართლაც ერთიანობისა; იგივეობის გარეშე არ არსებობს ერთიანობა, მაგრამ მათი განუსხვავებლობა უსათუოდ შეცდომას წარმოადგენს. იგივეობა ერთიანობის მომენტია<sup>1</sup>. ლენინი აღნიშნავდა, რომ, გარკვეული აზრით, იგივეობა და ერთიანობა არ განსხვავდებიან ერთიმეორისაგან<sup>2</sup>. ამავე დროს, ყოველი მოწინააღმდეგე მხარე წინააღმდეგობის ერთიანობის ნიშან-განსაზღვრულობისა იგივეა თავის თავთან (მაგრამ არა მხოლოდ იგივე). თვითონ წინააღმდეგობა აღარ ეწინააღმდეგება თავის თავს, წინააღმდეგ შემთხვევაში ის

---

<sup>1</sup> არ არის სწორი ზოგიერთი საბჭოთა ფილოსოფოსის აზრი, თითქოს: 1) ერთიანობა და იგივეობა არ განსხვავდებიან ერთიმეორისაგან, 2) თითქოს „დაპირისპირებულთა იგივეობა“ ნიშნავდეს იმას, რომ დაპირისპირებულები გააგიჟებული არიან; 3) თითქოს ბრძოლა გამორიცხავს ერთიანობას, 4) თითქოს დაპირისპირებულთა ერთიანობა ჰეგელიანური აზრის გამოშტეპელი ტერმინია. საპასუხოთ უნდა ითქვას შემდეგი: 1) ტერმინის და აზრის გაიგივება თვითონ არის იდეალიზმი. 2) ჰეგელის და მარქსის დიალექტიკის მსგავსების იგივეობად მიღება რევიზიონისტული შეცდომაა. 3) ერთიანობის გარეშე მხოლოდ ბრძოლის და წინააღმდეგობის აღიარება დიურინგისეული ძალთა ანტაგონიზმია. 4) დაპირისპირებულთა იგივეობის გაგება მხოლოდ იგივეობად იგივეობის მეტაფიზიკური გაგებაა და დიალექტიკის სრული უარყოფა. დაპირისპირებულთა ერთიანობა დაპირისპირებულთა აუცილებელ კავშირს ნიშნავს. დასაბუთება ამ აზრებისა ტექსტშია მოცემული.

<sup>2</sup> В. И. Ленин, *Философские тетради*, стр. 327.

არაწინააღმდეგობა იქნებოდა და არა წინააღმდეგობა. წინააღმდეგობის ერთიანობა თავის თავთან იგივეობაშია, წინააღმდეგობის ერთიანობა არ ეწინააღმდეგება თავის თავს, რადგან ის სწორედ წინააღმდეგობის ერთიანობაა, მოიცავს წინააღმდეგობას, როგორც მის არსებით მომენტს. რომ წინააღმდეგობის ერთიანობა სხვა ასეთთან იყოს წინააღმდეგობაში და ერთიანობაში, მაშინ ორი წინააღმდეგობის ერთიანობა გვექნებოდა და არა წინააღმდეგობის ერთიანობის გაუქმება. მაშასადამე, იგივეობის მომენტი აუცილებელი მომენტია; იგივეობა აუცილებელია; მის გარეშე არც არაფრის არსებობა იქნებოდა შესაძლებელი და არც არაფრის მოაზრება.

მაგრამ იგივეობა სრულიადაც არ არის საკმარისი არც რაიმეს არსებობისათვის და არც რაიმეს მოაზრებისათვის. იგივეობა არ არის აბსოლუტური არც არსებობაში და არც აზროვნებაში. მხოლოდ იგივეობრივი არაფერი არ არსებობს.

როგორც ცნობილია, ძველი ლოგიკის პრინციპს, რომ ყველაფერი იგივეობრივია, ეწინააღმდეგება მისივე პრინციპი, რომ არაფერი არ არის იგივეობრივი (ლაიბნიცი). ამ ორი პრინციპის შორიგება ვერ მოახერხა ძველმა ლოგიკამ, — ეს იქნებოდა წინააღმდეგობის ერთიანობის აღიარება. ყოველი არსებული განსხვავებულთა და, არსებითად, დაპირისპირებულთა ერთიანობაა, ე. ი. მათი აუცილებელი კავშირია (გაგებული დადებითად და არა უარყოფითად, როგორც ეს კანტს ესმოდა თავის ანტინომიებში). მისი ყოველი ცალკეული ნიშანიც ასეთია, რადგან ის ნაწილობრივი და შედარებითია. ყოველი აზრიც განსხვავებულთა ერთიანობას წარმოადგენს; ასეთია ცნება, რომელსაც განსხვავებულნი ნიშნების ჩამოთვლით განსაზღვრავენ, რომელთაგან თითოეულს შედარებითა აზრი აქვს; ასეთია მსჯელობაც და დასკვნაც. თვითონ წინააღმდეგობის ერთიანობაც სრულიადაც არ არის თავის თავში მხოლოდ იგივეობრივი, რადგან იგი არის არა მხოლოდ ერთიანობა წინააღმდეგობისა, არამედ სწორედ წინააღმდეგობის ერთიანობა. წინააღმდეგობის ერთიანობა იგივეა თავის თავთან, მაგრამ წინააღმდეგობასაც შეიცავს, წინააღმდეგ შემთხვევაში, იგი არ იქნებოდა წინააღმდეგობის ერთიანობა. არა მარტო სინამდვილას საგანი არ არის თავის თავისადმი მხოლოდ იგივეობრივი, არამედ თვით იგივეობის ცნებაც განსხვავებულობის ცნებას აუცილებლობით გულისხმობს; იგივეობას აზრი ეკარგება არაიგივეობისა და განსხვავებულის გარეშე. იგივეობა სწორედ განსხვავებულთა იგივეობაა (წინააღმდეგ იგივეობის მეტაფიზიკური გაგებისა) და განსხვავებულობა მხოლოდ იგივეობრივია შესაძლებელი. რად-

გან იგივეობა მხოლოდ მომენტია ერთიანობისა, ამიტომ წინა-  
აღმდეგობის ერთიანობა უფრო ზუსტი გამოთქმაა, ვიდრე წინა-  
აღმდეგობის იგივეობა.

წინააღმდეგობაც მომენტია წინააღმდეგობის ერთიანობისა.  
წინააღმდეგობის შეუძლებლობა იმას კი არ ნიშნავს, როგორც  
ზოგიერთს წარმოუდგენია, რომ წინააღმდეგობა არ არსებობს და  
რომ მისი მოაზრება შეუძლებელია. წინააღმდეგობის მოაზრება  
რომ შეუძლებელი იყოს, მაშინ წინააღმდეგობაზე აზრი არ გვექ-  
ნებოდა და ვერ ვიტყვი, რომ წინააღმდეგობა შეუძლებელია.  
ყოველ შეცდომას ქეშმარიტებით აქვს აზრი და თუ წინააღმდეგო-  
ბა აზროვნებაში შეცდომაა, მაშინ იგი ახსნილ უნდა იქნეს ქეშმა-  
რიტებით. ეს კი მაშინ არის შესაძლებელი, როცა მთლიანი აზრის  
რომელიმე მომენტის ნაწილობრივ ქეშმარიტებაზე და ნაწილობრივ  
მცდარობაზე ვლაპარაკობთ. ამ აზრითაც წინააღმდეგობა მხოლოდ  
გარკვეული მომენტი უნდა იყოს. „წინააღმდეგობის შეუძლებლო-  
ბა“ ნამდვილად იმას უნდა აღნიშნავდეს, რომ წინააღმდეგობა  
არსებობს და წინააღმდეგობა შეურიგებელია; წინააღმდეგობის  
შერიგებულობის აზრი იქნებოდა სწორედ წინააღმდეგობის უარ-  
ყოფა როგორც ჰეგელთანა გვაქვს. ნამდვილი წინააღმდეგობა არის  
სწორედ შეურიგებელი წინააღმდეგობა (სულ ერთია ის ანტაგო-  
ნისტური თუ არაანტაგონისტური), რადგან იგი მართლაც წინა-  
აღმდეგობაა და არა მისი მოჩვენება.

როგორც ზემოთაც გავარკვევით, წინააღმდეგობა ერთიანობის  
საფუძველზეა შესაძლებელი, — იმ აზრით, რომ შინაგანი წინა-  
აღმდეგობა ეს არის ერთში წინააღმდეგობა, საგნის არსებაში  
წინააღმდეგობა, რომ საწინააღმდეგონი აუცილებელ კავშირში  
იმყოფებიან. ცალკე აღებული წინააღმდეგობა არ არსებობს.  
ბრძოლა შეუძლებელია, თუ რაღაც საერთო არ არსებობს. ორი  
რამ ერთიმეორეს ებრძვის რაღაც ერთის გამო. მეორე მხრით,  
დიალექტიკა ძალთა ანტაგონიზმი კი არაა, არამედ ერთიანის გა-  
ორება, შინაგანი წინააღმდეგობა<sup>1</sup>. ნამდვილ წინააღმდეგობას მხო-  
ლოდ ერთიანობაში აქვს აზრი. წინააღმდეგობის ერთიანობა წინა-  
აღმდეგობას კი არ ასუსტებს, არამედ მას, მთელი თავისი სრული  
აზრით, შეიცავს. წინააღმდეგობის ერთიანობა რომ წინააღმდე-  
გობის შერიგებას და მოსპობას ნიშნავდეს, მაშინ აღარც იარსებებ-  
და სწორედ წინააღმდეგობის ერთიანობა. ამიტომ შემცდარია წი-  
ნააღმდეგობის შეუძლებლობის აბსოლუტურ კანონად წარმოდგენა:  
უგი დაქვემდებარებული მნიშვნელობისაა.

<sup>1</sup> ეს საკითხი სპეციალურად განხილული იქნება III თავში.

ერთიანობაში არსებული წინააღმდეგობა არ ამართლებს სისრულით აზრს: ორი ერთიმეორისადმი საწინააღმდეგო დებულებიდან მხოლოდ ერთია ქვემარტივი, მეორე შეცდომას წარმოადგენს. წინააღმდეგობას ერთი მხარე აქვს, რომლის მიხედვით მართლდება აქ მოყვანილი აზრი. პროლეტარიატი არ შეიძლება, ამავე დროს, იყოს არაპროლეტარიატი, მაგრამ, მეორე მხრით, მისი ერთი განსაზღვრულობა — მხარე არის სწორედ ის, რომ იგი არ არსებობს არაპროლეტარიატის (ბურჟუაზიის) გარეშე. ეს საწინააღმდეგო, ამ აზრით, მის განსაზღვრულობას წარმოადგენს. წარმოება არ შეიძლება არ იყოს წარმოება, მაგრამ მხოლოდ იმის თქმა, რომ წარმოება არის წარმოება და არა, ამავე დროს, მისგან განსხვავებულიც, საპირისპიროც, — უაზრო ტავტოლოგია იქნებოდა.

როგორც ადვინშნავდით, ყოველი დებულება შედარებითა და ნაწილობრივი ბუნებისაა, ამიტომ თვითონ წარმოადგენს წინააღმდეგობის ერთიანობას, რადგან იგი, ერთი მხრით, სწორია და, მეორე მხრით, — არა. მხოლოდ ორი ამ მომენტის ერთიანობა არის მსჯელობის აზრის მქონე. მსჯელობა, როგორც ვთქვით, გამოთქვამს იმას, რომ რაიმე არის მისგან განსხვავებული და საპირისპირო; ეს იმას ნიშნავს, რომ სუბიექტი, ამავე დროს, არც არის მისგან საპირისპირო, წინააღმდეგ შემთხვევაში, არც იარსებებდა თვითონ სუბიექტი და მთელი მსჯელობაც. ჩვენი გამოთქმა: „წინააღმდეგ შემთხვევაში ეს ასე არ იქნება“ — ემყარება წინააღმდეგობის შეუძლებლობის ნიშანს, მაგრამ როგორც დაქვემდებარებულს, რადგან წინააღმდეგობა და უარყოფა ჩვენ უნდა გვესმოდეს, როგორც, უმთავრესად და არსებითად, შინაგანი. გარეგანი წინააღმდეგობის უარყოფა სრულიადაც არ უარყოფს წინააღმდეგობას საერთოდ, კერძოდ, შინაგან წინააღმდეგობას, არამედ, გარკვეული აზრით, ამტკიცებს კიდევ. გარეგანი წინააღმდეგობა სწორედ შინაგანს შეუძლია.

ამბობენ, რომ წინააღმდეგობას დრო ხსნის; ერთსა და იგივე საგანს ერთი და იგივე ნიშანი არ შეიძლება ეკუთვნოდეს და არც ეკუთვნოდეს მხოლოდ ერთსა და იმავე დროს, სხვადასხვა დროს კი შესაძლებელია შესრულდეს ეს გარემოება; ერთი და იგივე სხვადასხვა დროს შეიძლება ერთი და იგივე ნიშნის მქონე იყოს და არც იყოს. მაგრამ უნდა ითქვას: თუ რაიმეს შეუძლია სხვადასხვა დროს სხვადასხვა იყოს, ე. ი. თუ რაიმეს ერთ დროს ერთი ნიშანი აქვს და სხვა დროს ეს ნიშანი შეიძლება სრულიადაც არ ჰქონდეს, არამედ საპირისპირო ნიშნის მქონეც იყოს, მაშინ უნდა ითქვას, რომ რაიმე სხვადასხვა დროს სხვადასხვა შეიძლება იმიტომ იყოს, რომ იგ-

ერთსა და იმავე დროს შეიცავს სხვადასხვაობას, განსხვავებულობას, დაპირისპირებას (როგორც არსებითს) და ამიტომ ხდება იგი სხვადასხვა სხვადასხვა დროს. ერთ და იგივე დროში ახვადასხვაობად, სხვადასხვა მოვლენებად იშლება იმიტომ, რომ მის არსებაში თავიდანვე სხვადასხვაობაა, შეიძლება სხვა სახის სხვადასხვაობა. მაგრამ მაინც სხვადასხვაობა, არსებითად დაპირისპირებულობა, რომელიც შემდეგ მოვლენებში სხვადასხვა დროს გაიშლება.

არსება და მოვლენა არ უნდა იქნან გაიგივებული. მოვლენები. ცხადია, არსების მოვლენებია, მაგრამ მათ შორის განსხვავებაც აუცილებელია, წინააღმდეგ შემთხვევაში, არც მოვლენას ექნებოდა აზრი და არც არსებას. ერთი მოვლენა, ამავე დროს, არ არის არათუ საპირისპირო, არამედ არც საერთოდ სხვა მოვლენა, როგორც მოვლენა. პროლეტარიატი არ არის ბურჟუაზია და, პირიქით, ისინი სწორედ ერთიმეორეს გამორიცხავენ, მაგრამ მათი ერთიანი ეკონომიური საფუძველი კი ერთი და იგივეა. ის კი, რაც საწინააღმდეგოთა არსებას წარმოადგენს, არ შეიძლება თვითონ არ იყოს წინააღმდეგობრივი ხასიათის; სწორედ ეს წინააღმდეგობა იძლევა სრულიად სხვა შედეგს, — კაპიტალიზმის წინაგანი წინააღმდეგობა ანგრევს კაპიტალიზმს და საზოგადოების განვითარებაში სრულიად მის საწინააღმდეგოს (სოციალიზმსა და კომუნისმს) ქმნის.

დროის სხვადასხვაობა არ უარყოფს წინააღმდეგობას. მარქსი და ენგელსი ამტკიცებდნენ. რომ ერთ ქვეყანაში სოციალიზმი არ აშენდება, ვ. ი. ლენინმა კი ის დაასაბუთა, რომ ერთ ქვეყანაში სოციალიზმის აშენება არათუ შესაძლებელია, არამედ აუცილებელია; შეუძლებელია სწორედ ის, რომ ერთდროულად ყველა ან უმეტეს ქვეყანაში მოხდეს სოციალისტური რევოლუცია და აშენდეს სოციალიზმი. ეს ერთიმეორის გამომრიცხავი დებულებები ორივე სწორია, რადგან სხვადასხვა დროს ეკუთვნიან; დრო აქ ნიშნავს პირობებს, ე. ი. დებულებების განსაზღვრულობა-შედარებითობას. აღმავალი კაპიტალიზმის პირობებში ერთი დებულების წამოყენება შეიძლება, ლობადი კაპიტალიზმის — იმპერიალიზმის ეპოქაში კი პირველის საწინააღმდეგო დებულების წამოყენება არათუ შესაძლებელია, არამედ აუცილებელიცაა. ამიტომ ხსენებული ორი დებულება. მიუხედავად იმისა. რომ ისინი სხვადასხვა დროს ეკუთვნიან. მაინც ეწინააღმდეგება ერთიმეორეს. აქ ლაპარაკია არა მარტო რეალურ წინააღმდეგობაზე, არამედ სწორედ მათ ამსახველ „ფორმულებზე“, ე. ი. დებულებებზე და „დასკვნებზე“, სახელდობრ, ერთიმეორის საწინააღმდეგო „ფორმულებისა“ და დასკვნების სისწორეზე. მაშასადამე, როგორც ამას შემდეგ გავარკვევთ, აზრში წინააღმდეგობა სინამდვილის წინააღმდეგობით განისაზღვრება.

მარქსისა და ენგელსის დებულება ერთ ქვეყანაში სოციალისტური რევოლუციის გამარჯვების შესახებ სწორია, მაგრამ არა აბსოლუტურად, არამედ ერთმხრივად, შედარებით; იგი ყველა დროზე არ გავრცელდება, ისე როგორც ლენინის დებულება ერთ, ცალკე აღებულ ქვეყანაში სოციალისტური რევოლუციისა და სოციალიზმის გამარჯვების შესახებ. ყოველი პირობითი დებულება ორმაგი ბუნებისაა, დაპირისპირებას შეიცავს, იგი შეფარდებით ქეშმარიტება-შეცდომის დიალექტიკური მთლიანობაა<sup>1</sup>.

ამბობენ, რომ ერთი და იგივე წინააღმდეგობრივი შეიძლება იყოს მხოლოდ სხვადასხვა მიმართებით, სხვადასხვასთან დამოკიდებულებაში და არა ერთი და იგივე მიმართებით. ამ აზრის შესახებ უნდა ითქვას, რომ იგი მხოლოდ ნაწილობრივაა მართალი, რადგან სხვადასხვა დამოკიდებულებაში საპირისპირო ქონების შემძლე მხოლოდ ის შეიძლება იყოს, რომელიც თავის თავში, თავის თავის მიმართ შინაგან დაპირისპირებას შეიცავს; მხოლოდ ასეთ რაიმეს შეუძლია სხვადასხვაობა შექმნას, სხვადასხვასთან სხვადასხვა მიმართება დაამყაროს, სხვადასხვასთან მიმართებაში სხვადასხვა იყოს, სხვადასხვაგვარად მოვლინდეს. მოვლენებს და მათ სხვადასხვაობას არსება განსაზღვრავს.

მარქსი სწორედ ამგვარად იხილავს საკითხებს, სხვათა შორის, შრომაშიც „პოლიტიკური ეკონომიის კრიტიკისათვის“ (შესავალში). წარმოება მოხმარებაა და პირიქით, მაგრამ სხვადასხვა მიმართებით, ამიტომ განსხვავდება ორი რამ: საწარმოო მოხმარება და მოხმარებითი წარმოება. წარმოება სხვა აზრით არის მოხმარება, მოხმარება კი სხვა აზრით არის წარმოება; წინააღმდეგ შემთხვევაში, გვექნებოდა მხოლოდ ტაქტოლოგია. წარმოება არის მისი საპირისპირო მოხმარება და პირიქით, მაგრამ აქ, თუ საპირისპიროს გამოვრიცხავთ, მაშინ არც ის დაგვრჩება, რის საპირისპიროც გამოვრიცხეთ. სხვადასხვასთან მიმართების უღრმესი ძირი მოცემულია თავის თავთან დაპირისპირებით დამოკიდებულებაში. ერთი და იგივე სხვადასხვა-სხვადასხვა აზრით, რადგან თვითონ შეიძლება ერთი და იგივე აზრით იყოს წინააღმდეგობრივი. სხვადასხვასთან დამოკიდებულება შედეგი და მოვლენაა თავისთავისადმი წინააღმდეგობისა. აქაც არსებითია არსებისა და მოვლენის განსაზღვრულობათა განსხვავება სწორედ მათი აუცილებელი კავშირის საფუძველზე.

მაშასადამე, არც დრო და არც მიმართება წინააღმდეგობას არ ხსნის, პირიქით, მას ემყარება და მას წარმოადგენს, მის შედეგს და მის მოვლენას შეადგენს. არსება მოვლენის განსაზღვრულობას

<sup>1</sup> კ. მარქსი და ფ. ენგელსი, რჩეული ნაწერები, ტ. II, გვ. 466, 1950.



მომენტად შეიცავს, რამდენადაც ის მისი ამხსნელია. წინააღმდეგ შემთხვევაში, ორივეს აზრი დაეკარგებოდა.

წინააღმდეგობის შემცველი კავშირი, როგორც არსება, ერთი გარკვეული აზრისაა თავისთავის მიმართაც და სხვის მიმართაც. შინაგანი წინააღმდეგობა არსებობს და მოიაზრება როგორც ერთი გარკვეული რამ, მაგრამ როგორც სწორედ შინაგანი წინააღმდეგობა და არა მისი არარსებობა.

წინააღმდეგობას ორი მხარე აქვს, იგი მესამეს, როგორც ერთ-ერთ საწინააღმდეგო მხარეთაგანს, გამორიცხავს. მაგ., ავილოთ წმინდა კაპიტალიზმი (როგორც ამას მარქსი იტყოდა, თავის აბსტრაქციის მეთოდზე დამყარებულზე); მისი არსება ორი ერთიმეორის საწინააღმდეგო შედეგ-მოვლენის სახით ვლინდება; პროლეტარიატი და ბურჟუაზია შედეგები და მოვლენებია ერთი და იგივე არსებისა, ერთი და იგივე ეკონომიკისა. წმინდა კაპიტალიზმის არსება მესამე კლასს გამორიცხავს. მაგრამ რადგან მოვლენები არსების მოვლენებია და მის არსებობას აუცილებლად გულისხმობენ, ამიტომ არსებობს მესამე, „რაიმე“, როგორც საფუძველი და არსება დაპირისპირებისა. მაშასადამე, „მესამე“, როგორც მოვლენა, გამორიცხულია დაპირისპირებულთა მიერ, მაგრამ მესამე, როგორც კავშირი დაპირისპირებისა და უარყოფის საშუალებით დაბოლოებულიებისა, აუცილებლად არსებობს. ეს „მესამე“ არ არის მართლაც მესამე, როგორც ერთი საპირისპიროთაგანი. არამედ დაპირისპირებულთა მხოლოდ აუცილებელი კავშირია.

შემდეგ. წინააღმდეგობის ერთიანობაში, როგორც ითქვა, საწინააღმდეგო მხარეები ერთიმეორეს არა მართლ გამორიცხავენ, არამედ ერთიმეორეს ადგენენ კიდევ, ისინი ერთიმეორის საფუძველს წარმოადგენენ. ასეთი საფუძველი ბოლოვადი საფუძველია, რომლისაგანაც უნდა განვასხვავოთ დაპირისპირებულთა აუცილებელი კავშირი, სადაც ამოწურულია დაბოლოებულთა ბუნება და მოცემულია დაუბოლოებელის მომენტი დაბოლოებულში.

წინააღმდეგობის ერთიანობა, როგორც არსება, არსებითი განსაზღვრულობა არის ის, რომელიც მის შესახებ ცნების განსაზღვრების შინაარსს წარმოადგენს; ცნების, როგორც საგნის არსების ლოგიკური ასახულობის, განსაზღვრება არის სწორედ წინააღმდეგობის ერთიანობის ლოგიკური გამოთქმა. დაპირისპირებულთა ერთიანობის ზემოთ აღნიშნული მომენტები — ნიშნები, მისი (დაპირისპირებულთა ერთიანობის) განსაზღვრების შინაარსია. აქა გვაქვს ერთი გარკვეული ცნება და მისი განსაზღვრება, რომელშიც ერთი გარკვეული კანონია ასახული, აზრით გამოთქმული. ამრიგად, უნდა

ითქვას, რომ წინააღმდეგობის შოაზობა, ძისი ცნების განსაზღვრება შესაძლებელი და აუცილებელიცაა.

აქ ისიც უნდა ითქვას, რომ წინააღმდეგობის ერთიანობის ცნების განსაზღვრება სანიმუშო და დასაყრდენი უნდა იყოს ყოველი მოძრაი და განვითარებაში მყოფი საგნის ცნების განსაზღვრებისათვის; თუმცა თავისებურებათა დავიწყება, ცხადია შეცდომას მოგვცემს.

ამიტომ, ზოგადად უნდა ითქვას, რომ ყოველი საგნის არსების ამსახველი ცნების განსაზღვრება, საბოლოოდ, დაპირისპირებულთა ერთიანობის განსაზღვრებას უნდა წარმოადგენდეს.

საჭიროა აქ ანგარიში გაეწიოს იმ აზრს, რომელიც ლოგიკურის დიალექტიკურობას უარყოფს, წინააღმდეგობის ერთიანობის კანონს სინამდვილის მოვლენებისა და მათი შემეცნების კანონად აცხადებს, მაგრამ, ამავე დროს, მის ლოგიკურ კანონად გამოცხადებას ეწინააღმდეგება, ამტკიცებს რა, რომ წინააღმდეგობის ერთიანობის კანონი სინამდვილის კანონია, ლოგიკური კი ძველი ლოგიკის კანონებს ექვემდებარება, რადგან თუ მოსაზრებელში წინააღმდეგობის ერთიანობის კანონი ბატონობს, მისი მოაზრება არ შეიძლება თავის თავს ეწინააღმდეგებოდეს; ლოგიკური აზროვნება სწორი აზროვნებაა; ლოგიკური სისწორეში, გამომდინარეობაში, თანმიმდევრობაში მდგომარეობს, იგი გარკვეული, არაწინააღმდეგობრივი აზროვნებაა<sup>1</sup>.

ამ შეხედულების წინააღმდეგ, აქ, ჩვენი საკითხის გარკვევისათვის, საკმარისია აღინიშნოს შემდეგი. როგორც ცნობილია, სისწორის, არაწინააღმდეგობრიობის, გამომდინარეობისა და თანმიმდევრობის ცნებები სხვადასხვა ცნებებია და მათი გაიგივება არ შეიძლება. მათი ერთმხრივი და ნაწილობრივი დამთხვევა სრულიადაც არ ნიშნავს მათ იგივეობას.

როდესაც ვამბობთ, რომ გამომდინარეობა სწორია. მაშინ სისწორის პრედიკატი და ის, რის პრედიკატიც. ის არის, სრულიადაც არ უდრის ერთიმეორეს. გამომდინარეობა, რომელიც დასკვნას უდრის, როგორ შეიძლება ექვემდებარებოდეს იგივეობისა და სხვ. ცნობილ ლოგიკურ კანონებს? გამომდინარეობა შეიძლება მაშინ. თუ რაც გამოდის განსხვავებულთა მისგან, რისგანაც იგი გამოდის. განსხვავებულის გამოყვანის გარეშე გამომდინარეობა აზრს ჰკარგავს. ის, რაც მხოლოდ იგივეობრივია, ამავე დროს, განსხვავებულის შემეცნელიც არ იქნება. რაიმედან განსხვავებულის გამოყვანა შეიძლება განსხვავებულთა ერთიანობის კანონს დაექვემდებაროს

<sup>1</sup> კ. ბაქრაძე, ლოგიკა, რუს. გამოც. გვ. 68 — 85, 411 და შემდეგ. კ. ბაქრაძის აზრს იხიარებს ასმუსიც და ზოგიერთი სხვა საბჭოთა ლოგიკოსიც.

და არა მხოლოდ იგივეობის, წინააღმდეგობის შეუძლებლობისა დამორიციხული მესამის კანონებს. როგორც ცნობილია, სინთეზური დასკვნის პრობლემა ლოგიკის წინაშე საუკუნეების მანძილზე ღვას და დღესაც პრობლემას წარმოადგენს.

თუ იმას იტყვიან, რომ საგანს ახასიათებს წინააღმდეგობრიობა, მაგრამ მის ამსახველს არ შეიძლება იგი ახასიათებდეს, მაშინ ვუპასუხებთ, რომ ასეთი შეხედულება აზრს სინამდვილეზე მაღლა აყენებს; თითქოს სინამდვილეშია წინააღმდეგობა, აზრს კი იგი დაძლეული აქვს და ის არაწინააღმდეგობრივია, ამიტომ სინამდვილეზე მაღლა ღვას. ეს უსათუოდ მცდარი აზრია. ენგელსი სწორედ იმაზე მიუთითებდა, რომ აზროვნებისა და სინამდვილის კანონები არ შეიძლება ერთიმეორეს არ ეთანხმებოდნენ, ისინი ერთიმეორეს სრულიადაც არ ეწინააღმდეგებიან, წინააღმდეგ შემთხვევაში, შემეცნება, საგნის მოაზრება შეუძლებელი იქნებოდა! (როგორც ამას ფილოსოფიის ისტორიაში არსებული მრავალი მცდარი თვალსაზრისის არსებობა ნათელყოფს).

საქმე იმაშია, რომ საგნის შინაგანი წინააღმდეგობა გარეგან წინააღმდეგობას, ცხადია, უარყოფს (ამაშია გარეგანი წინააღმდეგობის აზრი). ასეთია აზრიც, როგორც საგნის, მისი არსების, წინააღმდეგობის ერთიანობის ცოდნა. წინააღმდეგობის ერთიანობის, როგორც ასეთის, მოაზრება არის ის აზრი, რომელიც თავის შიგნით საწინააღმდეგო მხარეებს შეიცავს, როგორც მთლიანობაში მოქცეულს, ამის გარეშე წინააღმდეგობის ერთიანობის გაგება არ გვექნებოდა; ცხადია, ასეთი აზრი გარეგან საწინააღმდეგოს უარყოფს. ძველი ლოგიკა ემყარებოდა გარეგან, წმინდა, აბსოლუტურ უარყოფასა და წინააღმდეგობას; მან არ იცოდა შინაგანი წინააღმდეგობა.

თუ ვინმეს ესმის რაა წინააღმდეგობის ერთიანობა, ე. ო. თუ მას აქვს მისი გაგება, მის შესახებ აზრი. თუ იგი მართლაც მოაზრებულნი აქვს, არ შეიძლება ითქვას (თუ თავის თავს არ უღალატებს), რომ ამ მის აზრში არ არის ერთიმეორის საპირისპირო მომენტები, რომლებიც ერთიანობაშია. ან უნდა უარყვით წინააღმდეგობის ერთიანობა საერთოდ, ანდა უნდა ვაღიაროთ იგი როგორც სინამდვილეში, ისე მის ამსახველ აზრშიც. ისე როგორც წინააღმდეგობის ერთიანობა არ აუქმებს თავის თავს, ასევე მისი ამსახველი აზრიც არ უარყოფს თავის თავს. მართალია, აზროვნების ლოგიკური კანონების სინამდვილის კანონებად გამოცხადება იდეალისტური შეცდომაა. მაგრამ სინამდვილის კანონებით ლოგიკური კანონების, როგორც სწორედ მათი ასახვის კანონების, ვან-

საზღვრის უარყოფა აგრეთვე მატერიალიზმის უარყოფას წარმოადგენს.

აზროვნებასა და სინამდვილეს ერთი აბსოლუტური კანონი აქვს, ეს არის წინააღმდეგობის ერთიანობის კანონი, რომელიც, საბოლოო ანგარიშში, სინამდვილის განვითარების ყოველ სხვა კანონს განსაზღვრავს, აგრეთვე აზროვნების ლოგიკურ წესებზეც ბატონობს. ამასთანავე, აზროვნებაში გადმოტანილი წინააღმდეგობის ერთიანობის კანონი თავისებური ხასიათისაა (ეს თავისებურება სწორედ მისი თავისებურებაა და არა უარყოფა). იგი საპირისპირო მსჯელობათა, ერთიანობაა და არა მარტო დროსა და სივრცეში არსებული საგნის საპირისპირო მხარეთა ერთიანობა. პროლეტარიატის ბუნების გამომთქმელი მსჯელობა, ცხადია, თვითონ არ არის პროლეტარიატი, არამედ მისი გაგებაა; ასეთივეა, ამ მხრით, ბურჟუაზიის გამომთქმელი მსჯელობაც; მათი — ამ მსჯელობათა — ერთიანობა კაპიტალიზმის არსების აზრობრივი გამომთქმა იქნება და, ცხადია, არა თვითონ კაპიტალიზმის არსება. პროლეტარიატი და ბურჟუაზია ერთიმეორეს გამოირიცხავენ, ასევე — მათი გამომთქმელი აზრები. აზრი, რომელიც პროლეტარიატის გაგებაა, არ არის აზრი, რომელიც ბურჟუაზიის გაგებას წარმოადგენს, ერთი არ არის მეორე. სწორედ ამიტომ პროლეტარიატის შეგნებული მომხრე ბურჟუაზიის მოწინააღმდეგე იქნება და პირიქით. რომ პროლეტარიატის მომხრის აზრი პროლეტარიატის შესახებ არ ეწინააღმდეგებოდეს მის აზრს ბურჟუაზიის შესახებ, ის მათ ვერც გააჩვენდა და არც ერთის შეგნებული მომხრე და არც მოწინააღმდეგე არ იქნებოდა. თუმცა წინააღმდეგობის შესახებ აზრი წინადადების დადებითი ფორმაშიც გამოითქმის, მაგრამ აზრი — გაგება და მისი ფორმა არ უნდა გავუიგივოთ წინადადებას და მის ფორმას (თუმცა ისინი ერთიმეორის გარეშე არ არსებობენ).

განსაზღვრება. სწორედ ამიტომ არის, როგორც ეს ზემოთ აღვნიშნეთ, სინთეზური. მისი სინთეზურობა შინაგანია; ცნება არის ერთიანობა განსხვავებულთა, რადგან ის ასეთის გაგება-ასახვაა.

ამბობენ, რომ იგივეობის და სხვ. კანონები გარკვეულობის კანონებია; ეს სწორია მხოლოდ ნაწილობრივ, — მოვლენათა ერთმხრიობის მიმართ (მოვლენათა სისრულესა და ყოველმხრიობას მხოლოდ მათი არსება იძლევა). არსების გარკვეულობა წინააღმდეგობის ერთიანობაშია და არა მხოლოდ იგივეობაში, და წინააღმდეგობის შეუძლებლობაში. წარმოება, როგორც მხოლოდ წარმოება, მოხმარებისა და სხვა მომენტების გარეშე, გაურკვეველობას წარმოადგენს. წარმოება, როგორც წმინდა იგივეობა თავის თავთან. სხვა მომენტების, სწორედ საპირისპირო მომენტების. გამო-

რიცხვით, არა მარტო გაურკვეველობაა, არამედ საერთოდ არც არსებობს. პროლეტარიატი, როგორც მხოლოდ პროლეტარიატი, მისი მოწინააღმდეგის გარეშე, გაურკვეველობაზე მეტია, ის არც არსებობს. მაშასადამე, ნამდვილი გაურკვეველობა წინააღმდეგობის უარყოფასა და მხოლოდ იგივეობაშია, ნამდვილი გარკვეულობა კი — სწორედ წინააღმდეგობათა ერთიანობაში. სწორედ ამიტომ გადადიან საწინააღმდეგონი ერთიმეორეში, ამ გადასვლით არკვევენ ერთიმეორეს და საერთოდ იძლევიან გარკვეულობას. ამრიგად, ნამდვილი განსაზღვრება სრული გარკვეულობის, წინააღმდეგობის ერთიანობის გამოძახატველია.

21. ცნება და მისი ნიშნები. არსებისა და მისი მომენტების განსაზღვრულობის ბუნების ზემოთ წარმოებული გარკვევის შედეგად უნდა ითქვას, რომ რომელიმე ცნების განსაზღვრება არ არის ჯამი მისი ნიშან-მომენტების განსაზღვრებათა, რადგან ამ უკანასკნელთა განსაზღვრებებიც ცნებებს მოგვცემენ. ცნების ყოველი ნიშანი არის ცნება; ცნება კი ცნებების კავშირად არ შეიძლება განსაზღვრულ იქნეს; თუ, ამ აზრით, ცნების განსაზღვრების დროს ისევ ცნებას (და ცნებებს) დავემყარეთ, მაშინ ლოგიკურად ყალბ მდგომარეობაში ჩავარდებით. რაიმეს განსაზღვრების დროს ამ რაიმეს წინასწარი გულისხმობა და გამოყენება, ე. ი. განსასაზღვრით განსაზღვრება, როგორც ცნობილია, ლოგიკურ შეცდომას წარმოადგენს.

თუ ეს ასეა, მაშინ როგორ უნდა წარმოვიდგინოთ ცნების მისი ნიშნებთან კავშირი? ჩვენ ზემოთ გავარკვიეთ, რომ განსაზღვრულობებს შედარებით მნიშვნელობა აქვთ და რომ ცნება კავშირია დასაკავშირებელთა და არა მხოლოდ დასაკავშირებელი; ეს უკანასკნელი შეიძლება თვითონ იყოს ცნება, თუ იგი დამოუკიდებლად იქნა წარმოდგენილი. იარაღის მკეთებელი ცხოველის ცნება, ცხადია, არის ერთი ცნება, მიუხედავად იმისა, რომ მისი ნიშნებიც ცნებებია, თუ ისინი ცალკე იქნენ წარმოდგენილი. ერის ცნების განსაზღვრება ერის რამდენიმე ნიშანს ითვალისწინებს, მიუხედავად ამისა, აქ ჩვენ გვაქვს ერის ერთი ცნება; მისი ნიშნები კი არაა დამოუკიდებლად აღებული, არამედ შეადგენენ ერთიანობას, რომელსაც ერის ცნება ეწოდება.

ერის ცნების თითოეული ნიშანი აუცილებელია ერის ცნებისათვის, მაგრამ სრულიადაც არ არის საკმარისი; მარტო ენის ერთიანობა ან ტერიტორიის ერთიანობა და სხვ. არ წარმოადგენს ერს. მხოლოდ ყველა ნიშნის ერთიანობა გვაძლევს ცნებას საერთოდ და, კერძოდ, ერის ცნებასაც.

ცნობილია მარქსიზმ-ლენინიზმის დებულება, რომ ერი ისტო-

რიულად ჩამოყალიბდა, სახელდობრ, მისი შექმნის პირობები კაპიტალიზმმა მოგვცა. კაპიტალისტურმა წარმოების წესმა, ეკონომიკამ შექმნა ერი; ერის ისტორიული ჩამოყალიბება იმას მოასწავებს, რომ მისი ზოგიერთი ნიშანი ერის ჩამოყალიბებამდე არსებობდა, მაგრამ ერს ვერ ქმნიდა. ერის ყოველი ნიშნის არსებობა ისტორიაში (მაგ., ენის ერთობის, ტერიტორიის ერთობის და სხვ.) ნიშნავს ერის არა ნამდვილ, არამედ მხოლოდ შესაძლებლობაში არსებობას. ამიტომ ერის ყოველი ნიშანი არის მხოლოდ შესაძლებლობა ერისათვის. ამიტომ შეიძლება გამოვთქვათ ზოგადი დებულება, რომ ცნების ნიშნები ამ ცნების მხოლოდ შესაძლებლობებს წარმოადგენენ; მათი სინამდვილედ გადაქცევა გვაძლევს ცნებას. თუ ცნების რომელიმე ნიშანს მიეცემა დამოუკიდებლობა და „სინამდვილე“, მაშინ იგი სხვა ცნება იქნება. შეიქმნება ერთი ცნება მეორის ნიშანს, ე. ი. შესაძლებლობას, წარმოადგენდეს. ნიშნები, რომლებიც ცნებას ახასიათებენ, თვითონ ცნება კი არაა, არამედ ის პაზა, რომელზედაც ჩამოყალიბდება ცნება, როგორც გარკვეული ერთიანობა. ცნების ნიშნები ამ ცნების მხოლოდ ელემენტებია. ერის ნიშნები, ელემენტები (ნიშანი, როგორც მთელის შემადგენელი, მისი ელემენტი), როგორც პოტენციები, კაპიტალისტური ეკონომიური ერთობის შექმნამ გადაიყვანა სინამდვილეში და ნამდვილად შექმნა ერი. სწორედ ამიტომ ისიც უნდა ითქვას, რომ პირველი ერების, ბურჟუაზიული ერების ბედი დაკავშირებულია კაპიტალიზმის ბედთან.

ერის ცნების განსაზღვრება არის ერის ზოგადი ცნების განსაზღვრება. ამ ცნებას თავისი სახეები აქვს; ისტორიულად ერის განვითარება ორ საფეხურად, ორ სახედ (განვითარების თვალსაზრისით, სახე არის საფეხური განვითარებისა) ჩამოყალიბდა: ბურჟუაზიულ ერად და სოციალისტურ ერად. ერის ზოგადი ცნების სახეები ზოგადის კონკრეტულად არსებობის საფეხურებს წარმოგვიდგენენ.

სოციალისტური ერი უფრო სრული ერია ბურჟუაზიულ ერთან შედარებით. უნდა ითქვას, რომ იგი საბოლოოდაც სრული ერია, რადგან მისი მიზანი ინტერნაციონალიზმის განხორციელებაა. ამ მიზნის განხორციელება კი ისტორიული აუცილებლობაა და არა მხოლოდ შესაძლებლობა.

შეცდომა იქნება, თუ რაიმეს განვითარების საფეხურებს, როგორც სახეებს, ერთ გროვად, განვითარების გარეშე, წარმოვიდგენთ (როგორც ამას ადგილი აქვს ძველ ლოგიკაში).

სინამდვილის განვითარების შემეცნების საფეხურები, გვასწავლის მატერიალისტური დიალექტიკა, ცნება-კატეგორიების სახით ყალიბდება. შემეცნების საფეხურები ერთიმეორეში დიალექტი-

კოლად გადადიან, მაგრამ ცნებათა განვითარება, მათ ურთიერთში გადასვლა არის არსება შემეცნების პროცესისა და მას, ცხადია, არ ემთხვევა. ლოგიკური პროცესი, როგორც განვითარება, არის ცნებითი აზროვნების აუცილებელი კავშირი. ის გარემოება, რომ ბურჟუაზიული ერი თავის განვითარებაში გადადის სოციალისტურ ერში, ცხადია, არ ნიშნავს და პირდაპირ არ ემთხვევა მათ ამსახველ ცნებათა ურთიერთში გადასვლას, წინააღმდეგ შემთხვევაში, ისტორიულისა და ლოგიკურის ჰეგელიანურ დამთხვევას მივიღებდით.

ისტორიულისა და ლოგიკურის როგორც დამთხვევა, ისე გათიშვა ერთსა და იგივე ლოგიკურ შეცდომას წარმოადგენს. A თუ B-ს გავუიგივეთ, მაშინ A მოვწყვიტეთ. B-ს, რადგან ვერ შევამჩნიეთ მისი თავისებურება და წარმოვიდგინეთ მხოლოდ B, ხოლო B-საგან განსხვავებული არ მივიღეთ მხედველობაში, ე. ი. მოვწყვიტეთ მას, თუკი, მართლაც, თავიდანვე მხოლოდ ერთსა და იგივესთან არ გვექონდა საქმე.

ბურჟუაზიული ერის ცნების სოციალისტური ერის ცნებაში (როგორც საერთოდ ერთი ცნების მეორეში) ლოგიკური გადასვლა ნიშნავს იმას, რომ ბურჟუაზიული ერის ცნება, როგორც ამ ერის ასახვა, თვითონ ერის ცნებას სისრულით არ იძლევა, შეიცავს ნაკლს, რომელიც მისი სხვა ცნებაში გადასვლის საშუალებას წარმოადგენს. ბურჟუაზიული ერების ერთიმეორესთან გამანადგურებელი ბრძოლა ხელს უშლის ერისათვის ენის ნიშნის სისრულეს, ეკონომიური ცხოვრების ერთობისა და სხვა ნიშნების სისრულეს, ამიტომ სრული სახით ერის ცნება სოციალისტური ერის ცნებაში წარმოდგება.

განვითარებაში ცნების განხილვა იხიი არსებითი განსაზღვრულობის გაგების ერთადერთი ნამდვილი მეცნიერული საშუალებაა; განვითარება თვითონ აჩვენებს ნაკლის დაძლევისა და რაიმეს სისრულით წარმოდგენის საშუალებას.

ჩვეულებრივი, ტრადიციული ლოგიკა კი ყველა საფეხურს განვითარებისა სტატიკურ მდგომარეობაში წარმოადგენს, როგორც ერთიმეორის გვერდით დალაგებულს, და ფორმალური აბსტრაქციის მეოხებით ცდილობს ზოგადი ცნება დაადგინოს; ეს ზოგადი საერთო ნიშნებია, ამოკრებილი სახეებიდან, მაშინ როცა თვით ეს ამოკრება საფუძვლად წინასწარვე გულისხმობს ცნებას, იმას, რის მიღებისათვის წარმოებდა ამოკრების ეს ზედმეტი საქმიანობა. ჩვენ აქ მხოლოდ ერთი გვინდა აღვნიშნოთ, სახელგანთხობი ის, რომ ცნების განსაზღვრების დადგენა ამ ცნების განვითარებაში განხილვას ნიშნავს და ეს განვითარება, როგორც ამას ახლავე ნათელყოფთ, ცნების მის ნიშნებთან გარკვეულ კავშირში ჩანს.

ძველი ლოგიკისეული დეფინიციის ნაკლის აღსანიშნავად აქ შეიძლება ის დავუმატოთ, რომ რომელიმე სახისათვის უახლოესი გვარისა და სხვა სახეებისაგან განმასხვავებელი ნიშნის დადგენა ცნების სრული განსაზღვრება კი არაა, არამედ სახის გვართან დამოკიდებულების დადგენა, — მოვლენათა სიმრავლის გარკვეული ჯგუფის, სხვა ჯგუფთან დამოკიდებულების გათვალისწინებით, უფრო ფართო მოცულობის ცნებაში მოქცევაა. ცნების განსაზღვრება უნდა იყოს თვითონ არსებითი ნიშნის განსაზღვრება და არა ამ ნიშნის მიხედვით საგანთა ჯგუფის სხვა ჯგუფის ნაწილად წარმოდგენა, ისიც ისე, როცა არსებითი განსაზღვრულობა განვითარების გარეშეა, ზერელედაა აღებული (არსებითობა მხოლოდ განვითარებაში იჩენს თავს).

მასასადამე. ცნება ნიშნების უბრალო, მექანიკური თავმოყრა, ჯამი კი არაა, არამედ ერთიანი აზრი საგნის, როგორც არსებით ნიშანთა ერთიანობის შესახებ, წინააღმდეგ შემთხვევაში, არც ერთი საგანი გვექნებოდა (დანაწილებული იქნებოდა ნიშნებად) და არც — ერთი აზრი ამ საგნის შესახებ. ამიტომაა, რომ ცნების განსაზღვრების დროს ხშირად საგნის ყველა არსებითი ნიშნის ჩამოთვლა არაა აუცილებელი. შეიძლება ერთი ნიშანიც საკმარისი იყოს რომელიმე ცნების განსაზღვრებისათვის, მაგალითად, ადამიანის განსაზღვრება, როგორც იარაღის მკეთებელისა, არსებითად, ერთ ნიშანზე, როგორც მთავარზე და უძირითადესზე, მიუთითებს (აუცილებელი და ძირითადი ან მთავარი არაა ერთი და იგივე. მაგ., გეოგრაფიული გარემო საზოგადოებისათვის აუცილებელია, მაგრამ წარმოების წესი ძირითადი და მთავარია). ამრიგად შეიძლება ერთმა ნიშანმაც გამოსთქვას ის, რაც ერთიან ცნებაშია ძირითადი. ასე არ ითქმის ყველა ცნების შესახებ, მაგრამ ყოველი ცნება არის ერთიანი, რომელიც შეიძლება ერთი ან რამოდენიმე ნიშნით დახასიათდეს. შეიძლება ისეთი ცნებაც, რომელიც ერთ ნიშანს გულისხმობს. კატეგორიები სწორედ ასეთი ცნებებია. კატეგორიას, რომ ერთზე მეტი ნიშანი ჰქონდეს, მაშინ ერთი მათგანი გვარი იქნებოდა. ასეთ შემთხვევაში კატეგორიაც არ იარსებებდა, რამდენადაც კატეგორიას გვარი არა აქვს.

ფორმალური ლოგიკა აღნიშნავს, რომ ცნებას თუ მივეუმატებთ რაიმე ნიშანი, მაშინ მივიღებთ მეორე ცნებას, როგორც პირველი ცნების სახეს. მაგ., ცხოველს რომ მივეუმატოთ იარაღის მკეთებლობის ნიშანი, მივიღებთ ადამიანს, როგორც ცხოველის სახეს. მაგრამ, ადამიანის სპეციფიკური ნიშანი ცხოველისათვის არ არის არსებითი, ის მისთვის ზედმეტია და შემთხვევითი. ადამიანი რომ არ არსებობდეს, ცხოველი მაინც იარსებებდა. აქ არა გვაქვს აუცი-



ლებელი კავშირი გვარსა და სახის სპეციფიკურ ნიშანს შორის, რამდენადაც გვარიდან გამოვლივართ. მაგრამ თუ სახე გაგებულ იქნება განვითარების თვალსაზრისით, როგორც საფეხური განვითარებისა, მაშინ სახის თავისებურება გვარის განვითარებაა და ის აუცილებელი შედეგია. სოციალისტური ერი ერის სახეა, როგორც მისი განვითარების საფეხური, რომელიც გარკვეული უარყოფის შედეგად მიიღება, მაშინ როცა ქართველი, რუსი თუ სხვა ერის სპეციფიკური ნიშნები ერის ცნებიდან არ გამოდის აუცილებლობით.

ერთ შემთხვევაში საქმე გვაქვს არსების განვითარებასთან, მეორე შემთხვევაში კი არსების ისეთ მოვლენებთან, რომლებშიც ერთი და იგივე არსება მეორდება. ცნების განვითარება, მისგან მეორე ცნებას მიღება საგნის განვითარებას ასახავს, ან შემეცნების განვითარების საფეხურებს უნდა წარმოადგენდეს და არა ცნების თვითმობრახობას, როგორც ეს ჰეგელის ობიექტურ იდეალიზმში გვაქვს. საქმე მხოლოდ იმით კი არ ამოიწურება, რომ საგნის განვითარების შესატყვისად, ან შემეცნების განვითარების მიხედვით ჩვენ სხვადასხვა დროს სხვადასხვა ცნებები გვაქვს, არამედ საჭიროა ავრეთვე იმის ჩვენებაც, რომ ცნებათა შორის ლოგიკური კავშირიცაა, რადგან ისინი ერთიმეორედან გამოდიან და სრულყოფილი ხდებიან<sup>1</sup>.

**22. ზოგადისადმი დაქვემდებარების ხასიათი.** როგორც აღვნიშნავდით, სისრულე ცნებაში მისი განსაზღვრულობებისა და ერთმხრიობათა ერთიანობაა. ამიტომ ცნების სისრულე სრულიადაც არ იქნება მრავალი განსაზღვრულობის უარყოფა, როგორც ეს ძველ, ფორმალურ ლოგიკას ესმის, როცა იგი ცნების სისრულეს ცნების მოცულობის სიფართოვს უიგივებს. მაგრამ ძველი ლოგიკისავე თვალსაზრისით. მაგ., ორი ცნება რომელთაც სრულიად იგივეობრივი მოცულობები აქვს, მაინც ორი ცნებაა, თუ ისინი, ამავე დროს, შინაარსით განსხვავდებიან. იგივეობრივი ცნებების ასეთი გაგება, როგორც ზემოთ აღვნიშნეთ, იმას ნიშნავს, რომ ცნებები არსებითად მხოლოდ შინაარსით განსხვავდებიან, მოცულობათა იგივეობა-განსხვავება ან გულგრილი, ან შედეგი გამოდის შინაარსისათვის. თუ მთავარია შინაარსი, ე. ი. განსაზღვრულობის სისრულე და სისრულე-მრავალფეროვნება, მაშინ, ცხადია, უფრო კონკრეტული ცნება უფრო სრულია. მაგ., კაპიტალი უფრო სრულია, ვიდრე ფული, ეს უკანასკნელი უფრო სრულია, ვიდრე საქონელი.

ამ მხრივ ჩვენ ვარჩევთ ორგვარ დაქვემდებარებას: შინაარსე-

<sup>1</sup> ამის შესახებ შემდეგ გვექნება საუბარი.

ულსა და მოცულობითს. პირველი დაქვემდებარება არის ერთი განსაზღვრულობის მეორე განსაზღვრულობის მომენტად არსებობა. კაპიტალი ფულს შინაარსობრივად იქვემდებარებს, ფული კი ასევე იქვემდებარებს საქონელს. წარმოება იქვემდებარებს მოხმარებას, განაწილებას და გაცვლა-გამოცვლას. ასევე იქვემდებარებს რომელიმე ფორმაციის ძირითადი კანონი არაძირითად კანონებს, რადგან ძირითადი კანონი არის ის კანონი, რომელიც საგნის განვითარების მთავარ მხარეებს, მის არსებას განსაზღვრავს, არაძირითადი კანონი კი საგნის განვითარების ცალკეულ მხარეს განსაზღვრავს. მოცულობითი დაქვემდებარება კი რიცხვს ემყარება; მაგ. ყველა ადამიანი ზოგიერთს იქვემდებარებს, ყველა წარმოება — ზოგიერთ წარმოებას; საქონელი, ერთი მხრით აღებული, იქვემდებარებს ფულს, რადგან მხოლოდ ზოგიერთი საქონელია ფული (მეორე მხრით კი საქონელს ფულის განსაზღვრულობა აქვს, რადგან ეკვივალენტობის გარეშე საქონელი არაფერია, ეკვივალენტობა საყოველთაობას შეიცავს თავის თავში, ფული კი საყოველთაო ეკვივალენტია).

რის საშუალებით ხდება ცნების უფრო მეტი სისრულის ნაკლებად სრულისაგან მიღება, ე. ი. — დაქვემდებარების მიღება? როგორც უკვე ვიცით, ასეთი საშუალება არის უარყოფა, სახელდობრ, შინაგანი უარყოფა.

მაგალითად, რიცხვის ცნების განზოგადების პროცესი დიალექტიკურია, — განვითარებას წარმოადგენს. მათემატიკას, უპირველეს ყოვლისა, საქმე აქვს ნატურალურ რიცხვებთან. ამ რიცხვებზე უმარტივესი ოპერაცია არის შეკრება. ეს ოპერაცია ამ რიცხვთა ფარგლებში ყოველთვის ხორციელდება. მაგრამ ასე არ ითქმის შეკრების შებრუნებულ ოპერაციაზე — გამოკლებაზე, რომელიც ყოველთვის არ ხორციელდება ხსენებულ რიცხვთა ფარგლებში. გამოკლება აფართოებს რიცხვის ცნებას; გამოკლების საშუალებით რიცხვის ცნებაში შემოდის ნული და უარყოფითი რიცხვები, ე. ი. ვლებულობთ მთელ რიცხვთა სიმრავლეს. ნატურალურ რიცხვთა არასაკმარისობა თვითონ ამ რიცხვებშია აღმოჩენილი; ეს რიცხვები თავისთავს უარყოფს, მაგრამ ისე, რომ ისინი მთელ რიცხვებში ნაწილს წარმოადგენს; ეს ნაწილი ახალ შინაარსს ღებულობს; ნატურალური რიცხვები მთელ რიცხვებში დადებითი რიცხვებია. ახალი რიცხვი უფრო რთულია თავისი სიმეტრიულობით, სიზშირით, სიმკვრივით. რიცხვის ცნების შემდეგი განზოგადობა გაყოფის საშუალებით სრულდება; — ვლებულობთ წილადებს, ე. ი. რიცხვის ცნება ფართოვდება რაციონალური რიცხვის ცნებამდე. შემდეგ ფესვის ამოღება და სხვ. ირაციონალური

როცხვის მოცემით, რიცხვის ცნებას ნამდვილ რიცხვამდე აფარ-  
აოუბს<sup>1</sup>.

ავიღოთ სხვა მაგალითი. მოხმარება, განაწილება და სხვ. უარ-  
ყოფის, სახელდობრ, ურთიერთუარყოფის საშუალებით, როგორც  
ენახაუთ, არკვევენ „გარეგაღამწველომ“ მომენტს; საქონელი უარყო-  
ფით, წინააღმდეგობათა დაძლევეთ გადადის ფულში, ასევე ეს უკა-  
ნასკნელი — კაპიტალში.

საქონელი შინაგან წინააღმდეგობას შეიცავს, იგი ერთიანობაა  
ღირებულებისა და სარგებლიანობის; ეს წინააღმდეგობა იხსნება  
იმიტ, რომ საქონელის ბრუნვის არსება იმაშია, რომ სახმარი ღი-  
რებულება თვითონ საცვლელ ღირებულებას უნდა დაემთხვეს.  
ფული არის ასეთი საქონელი, იგი საქონლის წრებრუნვას წარმოად-  
გენს. საქონელი არაა საქონელი, თუ არ იცვლება; გაცვლა მთელი  
სისრულით კი შეუძლებელია საყოველთაო ეკვივალენტის განსაზ-  
ღვრულობის ან შესაძლებელი ან ნამდვილი სახით არსებობის გა-  
რეშე. ფულის წრებრუნვაც მაშინ არის შესაძლებელი, თუ ეკვივა-  
ლენტური გაცვლა არსებობს და თუ ასეთი გაცვლა, ამავე დროს,  
შეუძლებელია. ამ წინააღმდეგობას კაპიტალი სწყვეტს.

ფული საქონელს უარყოფს, კაპიტალი — ფულს. აქ უარყოფა  
ანზოგადებს ცნებას; ფული ზოგადია, იგი იქვემდებარებს საქო-  
ნელს, ისე როგორც კაპიტალი ფულს (და ყველა კატეგორიას კა-  
პიტალისტური მეურნეობისა). ეს დაქვემდებარება, როგორც ნათ-  
ქვამიდან ჩანს, არ არის მოცულობითი ხასიათის, არამედ შინაარ-  
სეული ბუნებისა; ერთი განსაზღვრულობა მეორის ამხსნელია,  
როგორც მისი საფუძველი. უარყოფა, როგორც ერთმხრიობის დაძ-  
ლევა, და უარყოფა, როგორც წმინდა. ცარიელი უარყოფა, ერთიმეო-  
რისაგან არსებითად განსხვავდება. უარყოფის (რომელიც ლოგი-  
კაში ჩვეულებრივ სიტყვა — „არა“-თი გამოითქმება) ამ ორი  
მნიშვნელობის, ისე როგორც ორგვარი — მოცულობითი და შინა-  
არსეული — დაქვემდებარების, განსხვავება არსებითია ლოგიკუ-  
რის ბუნების გარკვევისათვის.

ერთიანობის განსაზღვრულობა ურთიერთუარყოფით მიიღება,  
ეს კი ნიშნავს სისრულის მიღებას, ერთმხრიობის დაძლევას თავის  
თავში. ამ აზრით, კერძოსაგან მიიღება ზოგადი, შინაარსეული,  
კონკრეტული ზოგადი და არა ცნების მოცულობის აზრით გაგე-  
ბული ზოგადი, რომლის მოხმარა დასკვნაში „ყველა“-ს და „ზო-  
გიერთი“-ს დამოკიდებულებას ქმნის, ემყარება რა მოვლენათა

<sup>1</sup> პროფ. ლ. გოკიელი, დიფერენციალური აღრიცხვა, 1932 წ., გვ. 1 და  
შემდეგ.

რიცხვს, ერთი ჯგუფის მეორეში მრთავება-არმრთავებას. ასეთი მოცულობითი ზოგადის მიღება, როგორც ცნობილია, განსაზღვრულობიდან გაღარიბებას წარმოადგენს. უარყოფის საშუალებით განსაზღვრულობის შექმნა შინაარსეულ ზოგადს, საბოლოო ანგარიშში, ე. ი. არსებითად, წინააღმდეგობის ერთიანობის განსაზღვრულობას გვაძლევს.

კატეგორიათა კავშირით მიღებული მსჯელობა — დასკვნები არ იცოდა ძველმა. ლოგიკამ; მათი გარკვევა კი; ჩვენი აზრით, გადაუღებელი ამოცანაა დიალექტიკური ლოგიკისათვის.

როგორც ზემოთ წარმოებულ მსჯელობებიდან ჩანს, შინაარსეული ზოგადის მიღება წარმოადგენს განსაზღვრულობათა დაღებითი კავშირის დადგენას, მაგრამ უარყოფის, შინაგანი უარყოფის საშუალებით შესრულებულს, სადაც ერთი არის მისი საპირისპირო. ე. ი. შესრულებულია მსჯელობის საშუალებით. უარყოფა კავშირის მომენტია.<sup>1</sup> მხოლოდ ასეთმა კავშირმა უნდა მოგვცეს ნამდვილი მსჯელობა და დასკვნა. ამიტომაც მსჯელობა და დასკვნა ერთეულისა და ზოგადის ერთიანობის ლოგიკური ბუნების მეტნაკლები სისრულით გამოხატულება<sup>2</sup>.

23. ცნება როგორც გარეგანდამწვდომი მომენტის ასახვა. დაპირისპირებულ მომენტთა ურთიერთში გადასვლა (აღებულის ზოგადი მნიშვნელობით), როგორც აღვნიშნავდით, შუალობითი ხასიათისაა. იგი ხდება უარყოფის საშუალებით; მაგრამ რადგან უარყოფა შინაგანია, ამიტომ არსების ერთი განსაზღვრულობის მეორეში უარყოფის საშუალებით გადასვლა სრულდება მთელში, ერთიანობის შიგნით, სახელდობრ; იქ, სადაც მეორე განსაზღვრულობის პირველში გადასვლა ხდება. ამიტომ შესაძლებელია ერთი განსაზღვრულობა მეორის პრედიკატი იყოს და პირიქით. თითოეული გადასვლა მსჯელობით გამოიხატება; ორივე მსჯელობის კავშირით მიღებული შედეგი, როგორც შუალობის და უშუალობის დიალექტიკური ერთიანობა, ცნებაში უნდა იქნას ასახული, გამოხატული.

ამ აზრის საუკეთესო მაგალითია მარქსის მაგალითი წარმოებისა და მოხმარების დამოკიდებულების შესახებ. 1) ერთი არის უშუალოდ მეორე, წარმოება უშუალოდ არის მოხმარება და პირიქით; 2) თითოეული არის მეორის საშუალება. წარმოება მოხმარების საშუალებით არის წარმოება და პირიქით; 3) „თვითეული მათ-

<sup>1</sup> В. И. Л е н и н. Философские тетради, стр. 197.

<sup>2</sup> მსჯელობის და დასკვნის სპეციალური გარკვევა უნდა მოხდეს ლოგიკურის ზოგადი დახასიათების საფუძველზე. ჩვენი შრომის მიზანი სწორედ ლოგიკურის ზოგადი დახასიათებაა.

განი არის არა მარტო უშუალოდ მეორე, არა მარტო ამეშვევებს მეორეს, არამედ თვითელი მათგანი იმით, რომ თვითონ სრულდება, ქმნის მეორეს, ქმნის თავის თავს, როგორც მეორეს“<sup>1</sup>. აქედან ჩანს, რომ უარყოფის საშუალებით, უკეთ, ურთიერთუარყოფის საშუალებით შესრულებული გადასვლა არის არა ერთმხრივი გადასვლა, არამედ ორმხრივი, ორმაგი გადასვლა; ეს ორმაგი გადასვლა, როგორც აღვნიშნავდით, ერთმხრიობას ხსნის; ორმაგი გადასვლით იხსნება ერთმხრიობა და დგინდება „გარეგადამწვდომი“ მომენტი, როგორც ნამდვილი საფუძველი ერთმხრიობათა, საბედობრ, დაპირისპირებულ მხარეთა; აქა გვაქვს ჩვენ ერთეულის, კერძოს (როგორც ერთმხრიობის) და შინაარსული ზოგადის (ერთიანობის) განუწყვეტელი მთლიანობა. სწორედ „გარეგადამწვდომი“-თ სდება გადასვლა და ურთიერთგადასვლა. გადასვლა, ერთი განსაზღვრულობისა მეორესი არსებობა და მათი არსება. როგორც გარეგადამწვდომი მომენტი, ერთი და იგივე საგნის განსაზღვრულობანია და მათი ცალკე საფეხურებად წარმოდგენა, ამ საფეხურების სინამდვილის განვითარების საფეხურებთან იმგვარი გაიგივება, რომ მხოლოდ უკანასკნელი მომენტი არის ცნება, როგორც სინამდვილის სუბსტანცია, ყალბი გაგებაა განსაზღვრულობისა და საერთოდ საგნის განვითარების ბუნებისა.

ეს სიყალბე არის ჰეგელის იდეალისტური ლოგიკის საფუძველი. ერთი მთლიანი განსაზღვრულობის დანაწევრება იმისათვის, რომ შექმნას მოჩვენება განვითარებისა, დამახასიათებელია ჰეგელის დიალექტიკისთვის.

ჰეგელისათვის ერთიმეორისგან განსხვავდება არსება, რომელიც მასთან გაგებულია როგორც რეფლექსია — კატეგორიათა ერთიმეორეში გამოჩენა, მათი ურთიერთგანსაზღვრა და ის ერთიანობა, რომელიც ამ ურთიერთგანსაზღვრებას საფუძვლად უდევს. ამ ერთიანობას ჰეგელის ლოგიკაში ცნებაჰქვია. ეს ორი რამ: ურთიერთგანსაზღვრება და ცნება განვითარების ორ განსხვავებულ საფეხურადაა წარმოდგენილი, ე. ი. არსება, როგორც დაპირისპირებულთა ერთიანობა, ორ საფეხურადაა განაწილებული. არსების ასეთი დარღვევა, დიალექტიკის მეტაფიზიკური გაყალბებაა და იგი იდეალიზმითაა გამოწვეული, ე. ი. შემეცნების განვითარების საფეხურების სინამდვილის განვითარების საფეხურებთანაა გაიგივებული; ამდენად როგორც შემეცნების, ისე სინამდვილის ბუნებაა ყალბად წარმოდგენილი. ნამდვილად საგნის არსება წინააღმდეგობათა ბრძოლა და ერთიანობა, როგორც დაპირისპირებულთა აუცილებელი

<sup>1</sup> კ. მარქსი, პოლიტიკური ეკონომიის კრიტიკისათვის, გვ. 270.

კავშირია; ცნება არის ასახვა საგნის არსებისა, რაშიც ერთიანობა შედარებითი ბუნებისაა, წინააღმდეგობა კი — აბსოლუტური ხასიათის, რადგან აბსოლუტური თვითონ მოძრაობა-განვითარებაა.

ნამდვილად, არსების ერთი განსაზღვრულობა მეორეშია და პირიქით; ერთმანრიობათა არსება მათი მთლიანობაა; დაპირისპირებულთა ეს ერთიანობა არის სწორედ საგნის არსება; ცნება სხვა არაფერია, თუ არა დაპირისპირებულთა ამ ერთიანობის, როგორც „გარეგადამწვდომის“ ასახვა ჩვენს აზროვნებაში; ასეთია, მაგ., წარმოების ცნება.

24. ცნების განსაზღვრებას და გაყოფის საერთო საფუძვლის შესახებ. ფორმალური ლოგიკა, როგორც ცნობილია, ცნების ორი მხარის — შინაარსისა და მოცულობის — მიხედვით ორ ლოგიკურ ოპერაციას არჩევს: — განსაზღვრებას და გაყოფას. როგორც ზემოთ გავარკვიეთ, ფორმალური ლოგიკისათვის, განსაზღვრება თუმცა ცნების შინაარსს უნდა ეხებოდეს, მაგრამ იგი მაინც მოცულობაზეა დამყარებული; ამ გარემოებას ნათელყოფს, როგორც აღინიშნა, განსაზღვრების ხერხი და ერთი ძირითადი წესი, რომლის მიხედვითაც განსაზღვრება შესაძლებელია მხოლოდ მაშინ, თუ აღებულია იგივეობრივი ცნებები. აქედან ნათელი უნდა იყოს განსაზღვრებასა და ცნების გაყოფას შორის საერთო. ლოგიკამ, რომელიც ზოგადობის ცნებას მოცულობის თვალსაზრისით დებულობს, ცხადია, ყოველი ლოგიკური ოპერაცია მას უნდა დაამყაროს, წინააღმდეგ შემთხვევაში, შეცდომებთან და ლოგიკურ სიძნელეებთან ექნება საქმე.

ცნების გაყოფაში, როგორც ცნობილია, არის ისეთი რამ, რომელსაც გაყოფა ემყარება და გაყოფის საფუძვლად იწოდება; ეს საფუძველი არის ნიშანი, რომლის მიხედვითაც ცნების სახეთა ჩამოთვლა ხდება. მაშასადამე, თუ განსაზღვრება, როგორც ეს ზემოთ გაიკვია, ცნების მოცულობას ემყარება და ამით ნათელი ხდება გაყოფისა და განსაზღვრების გარკვეული იგივეობა, მეორე მხრით, გაყოფა ნიშანს — შინაარსს ემყარება და, ამ მხრითაც, განსაზღვრებასთან გარკვეული იგივეობა გვაქვს, თუმცა ამავე დროს, ერთგვარ აღრევასთანაც გვაქვს საქმე: ის, რაც ცნების მხოლოდ შინაარსს უნდა ეხებოდეს, ცნების მოცულობას ემყარება, ის კი, რაც ცნების მხოლოდ მოცულობის შესახებ ოპერაციას წარმოადგენს, ცნების შინაარსს ემყარება.

თუ გაყოფის საფუძველი არის გარკვეული ნიშანი, მაშინ გაყოფა ნიშანს უნდა ეხებოდეს და არა მხოლოდ მის მიხედვით ხდებოდეს. ძველი ლოგიკა ცნების სახეებს ჩამოთვლის რომელიმე ნიშნის მიხედვით და მის საფუძველზე, ისე რომ გაყოფა თვითონ

ნიშანს, როგორც საფუძველს, არც ეხება, ე. ი. გაყოფის საფუძველი თვითონ გაყოფაში უშუალოდ არ მონაწილეობს; ამიტომ შეუძლებელია ისეთი ცნების გაყოფა, რომლის საგანიც ინდივიდუალურია, ერთადერთია; შეუძლებელი ხდება კატეგორიის გაყოფაც. ჩვეულებრივი გაყოფა არის იმ საგანთა დაჯგუფება, რომლებსაც გასაყოფი ცნების მოცულობა ითვალისწინებს, მაშინ როცა ცნება საგნის არსების ასახვა უნდა იყოს; ამ არსების სიმრავლე კი იგივეა, რაც მისი განმეორება, და, ამიტომ, მეორადი ხასიათისაა. იმ საგანთა სიმრავლე, რომელსაც ცნება ითვალისწინებს, არის ცნებით ასახავე ერთი და იგივე არსების სიმრავლე და არა თვითონ გასამეორებელი არსება, რომელსაც ცნება უნდა ასახავდეს. ლოგიკურობა მოითხოვს, იყოფოდეს თვითონ გაყოფის საფუძველი და არა მხოლოდ საგანთა სიმრავლე ნაწილდებოდეს ამ ნიშნის მიხედვით. ნიშნის გაყოფა შინაარსეულ გაყოფას წარმოადგენს, ამ უკანასკნელს შესახებ კი ძველმა ლოგიკამ არაფერი იცის; ყოველ შემთხვევაში იგი მას არ გაუჩვენებია, რადგან ზოგადობის ცნების მოცულობასთან გაიგივება სხვა შესაძლებლობას არ იძლევა და შინაარსეულ გაყოფას შეუძლებლად ჩათვლის.

ცხადია, გარკვეულ ფარგლებში ცნების როგორც ძველებური განსაზღვრება, ისე გაყოფა სრულიად სწორი ოპერაციებს წარმოადგენენ, მაგრამ ჩვენ აქ გვინდა მივეთითოთ მათ საერთო ძირსა და საფუძველზე. ანუ მათ ერთეერთკავშირზე, რომელიც ძველ ლოგიკას არ გაუჩვენებია.

ისე, როგორც განსაზღვრებაში იგივეობრივი ცნებებია აღებული. ე. ი. განსაზღვრების თანავე ნაწილი ერთმეორეს უდრის მოცულობის მხრით, ასევე გაყოფის დროსაც გასაყოფი ცნების მოცულობა უდრის გაყოფის წევრთა ჯამს, თანახმად ცნების გაყოფის ერთ-ერთი წესისა. მეორე მხრით, ისიც ნათელია, რომ გაყოფის წევრთა ნიშნები გასაყოფი ცნების შინაარსისათვის შემთხვევითია. რადგან საერთოდ სახის სპეციფიკური ნიშანი გვარში სრულიად არ არსებობს და იგი მისთვის შემთხვევითია. ლოგიკურობა მოითხოვს იმას, რომ როგორც ცნების მოცულობა იშლება — იყოფა სახეებად, ისე სახეთა, გაყოფის წევრთა ნიშნებიც აუცილებლობით უნდა გამომდინარეობდეს გასაყოფი ცნების შინაარსიდან. ისინი მასში როგორმე უნდა იტყვიანსებოდეს. მაშინ როცა ასეთი გოლისხმობა ძველი ლოგიკისათვის სრულიად დაუშვებელია, რადგან, ასეთ შემთხვევაში, გვარისა და სახის განუსხვავებლობას მივიღებდით. მოვლენების მიმართ ასეთი არაგანსხვავების დამყარება, ცხადია, შეუძლებელია, მაგრამ არსების მიმართ კი სხვაგვარი მიდგომაა საჭირო. სახეთა განმასხვავებელი

ნიშნები ერთი არსების განსაზღვრულობებს—მომენტებს უნდა წარმოადგენდნენ, წინააღმდეგ შემთხვევაში ისინი მისგან აუცილებლობით არ იქნებიან მიღებული, მასთან აუცილებლობით არ იქნებიან დაკავშირებული. ასეთი აუცილებლობის გარეშე ლოგიკური ოპერაციის შესახებ ლაპარაკიც დაუშვებელია. საფუძველი აღარ იქნება საფუძველი, თუ მისი შედეგები აუცილებლობით მისგან არ გამომდინარეობენ, შედეგებიც აზრს დაკარგავენ, თუ ისინი საფუძვლის შედეგები და მისი განსაზღვრულობანი არ იქნებიან. ჩვეულებრივი გაყოფის არც საფუძველი გამოდგება სახეთა ნიშნების საფუძველად და არც პირიქით. გვეგონია, რომ ეს ასეა, რამდენადაც ცნება არსებასა და მის განსაზღვრულობებს უნდა ასახავდეს.

სახეთა ნიშნები, როგორც გაყოფის წევრთა ნიშნები, გარკვეული შინაარსის „გაყოფის“ შედეგად უნდა იყოს მიღებული; გაყოფის წევრთა ნიშნები გაერთიანებულნი რომ არიან, ამას გაყოფითი მსჯელობისა და დასკვნის ბუნება ნათელყოფს. გაყოფითი მსჯელობისა და გაყოფითი დასკვნის შემადგენელი ნაწილების, როგორც მსჯელობების დამოკიდებულება, სუბიექტ-პრედიკატის დამოკიდებულება გარკვეულ ნიშანთა დამოკიდებულებაა, ამიტომ ვამბობთ, რომ გაყოფის წევრთა ნიშნები ერთი მთლიანობის შედეგებია.

გაყოფისათვის არსებითია (გაყოფის ერთ-ერთი წესი სწორედ იმას გამოთქვამს, რომ გაყოფის წევრები ერთიმეორეს უნდა გამოორიცხავენ) ან-ან-ის დამოკიდებულება, ან-ან-ის განსაზღვრულობა. სწორედ ან-ან-ი წარმოადგენს გაყოფას, მის, როგორც მართლაც არსების, გარეშე გაყოფას საერთოდ აზრი ეკარგება; მოკლედ შეიძლება ითქვას, რომ გაყოფა არის ან-ან, მაშასადამე, აქ გვაქვს ჩვენ ისეთი განსაზღვრულობა, რომელიც გამორიცხული მესამის კანონს ემყარება. ეს კანონი ამბობს, რომ „რაიმე არის ან A, ან არა-A მესამე გამორიცხულია“. მართალია აქ მესამე, როგორც პრედიკატი გამორიცხულია, მაგრამ საერთოდ მესამე არა თუ გამორიცხულია, არამედ სწორედ მის, როგორც სუბიექტის („რალაც“), შესახებ შესაძლებელია გამოითქვას საწინააღმდეგო პრედიკატები: A, ან არა-A<sup>1</sup>.

ცნობილია, რომ „ან-ან“ მართო ცნების გაყოფის წევრების მიმართ არ გამოიყენება; როდესაც, მაგალითად, ვამბობთ, რომ „საქონლის ან ერთი მხარე, ან მეორე, — ან სახმარი ღირებულება, ან საცვლელი ღირებულება...“ მაშინ ამ მხარეებს სრულიადაც

<sup>1</sup> В. И. Л е н и н, Философские тетради, стр. 112. იხ. ამის შესახებ შრომის III თავი.



არ წარმოვიდგენთ, როგორც გაყოფის წევრებს; ასეთ შემთხვევაში შეცდომაში ჩავარდებოდით — სიტყვიერ განოთქმას აზრს. გაუთვივებდით; სახმარი ღირებულება ღირებულება კი არა, არამედ სწორედ ღირებულების საპირისპიროა; ამიტომ აქ ღირებულების სახეები კი არა გვაქვს, არამედ საქონლის საპირისპირო განსაზღვრულობანი.

ან-ან-ი ცნების გაყოფაში, გაყოფით მსჯელობასა და დასკვნებში ისეთ „არა“-ს შეიცავს, რომ თავისთავად აღებული არ არის გაურკვეველობა; აქ არა — A გარკვეული შინაარსისაა, რადგან გაყოფის ყოველი წევრი თუმცა დაღებითი შინაარსისაა, მაგრამ კონტრადიქტორულადაც გამოირიცხავს მეორე და საერთოდ სხვა წევრებს. ამიტომ, ამ მხრითაც, ძველ ლოგიკაში ერთგვარი გაურკვეველობაა; ცნებების განწილვის დროს არა-A მხოლოდ A-ს უარყოფაა და მეტი არაფერი, ცნების გაყოფის მსჯელობისა და დასკვნების დროს კი — გარკვეული შინაარსის მქონეა. ამგვარად გაგებული გაყოფის წევრი ისეთი ხასიათისაა, როგორც არსების ერთი საპირისპირო მხარეთაგანი, როგორც საპირისპირო მხარეთაგანი დაპირისპირებულთა ერთიანობისა.

ამიტომ დიხტომიურ გაყოფაში საპირისპირო ცნება არ უნდა იყოს გაურკვეველი, იგი არა მარტო სხვას უნდა უარყოფდეს, არამედ თვითონაც დაღებითი შინაარსის უნდა იყოს. მართლაც, გაურკვეველობას, როგორც ცნობილია, ქმნის სახეთა სიმრავლე. მაგრამ თუ მხოლოდ ორი სახეა შესაძლებელი, მაშინ ხსენებული გაურკვეველობა მოიხსნება. ასეთი ორწევრიანობა ახასიათებს ერთიანის გაორებას, წინააღმდეგობის ერთიანობას, რომელიც შინაარსულ გაყოფას (თუ შესაძლებელია აქ სიტყვა „გაყოფა“ იქნეს ხმარებული) წარმოადგენს. მოძრავი საგნის არსება, რომლის ასახვასაც ცნება უნდა წარმოადგენდეს, ხომ შინაგანი წინააღმდეგობაა? წინააღმდეგობას კი ორი სრულიად გარკვეული მხარე აქვს, რომლებიც ერთიმეორეს გამოირიცხავენ ისე, რომ მესამე თვითონ საგანია, მათი ერთიანობაა, მათი აუცილებელი კავშირია და არა წინააღმდეგობის ერთ-ერთი მხარეთაგანი.

შინაარსულ გაყოფაში, ისე როგორც მოცულობით გაყოფაში, გაყოფის მხარეები სუბიექტ-პრედიკატის დამოკიდებულებით, ე. ი. მსჯელობებით გამოითქმება. ამიტომ ამ მსჯელობების აუცილებელი კავშირის, ე. ი. დასკვნის განსაზღვრულობის გარკვეულ მხარეებს, ერთმხრიობებს წარმოადგენენ; გაყოფითი მსჯელობაც, როგორც ცნობილია, გაყოფით დასკვნას უძევს საფუძვლად. დაპირისპირებულთა ერთიანობაშიც საპირისპირო მხარეების რო-

გორც იგივეობას, ისე განსხვავებას მსჯელობებით გამოვთქვამთ: ერთი არის შეორე და არ არის იგი.

შინაარსული გაყოფა, ერთი შინაარსის განსაზღვრულობებად დაშლა არის საფუძველი ცნებათა მოცულობების გარკვეული დამოკიდებულებისა, რადგან ყოველი მოცულობითი დამოკიდებულება, როგორც ცნობილია, სწორედ შინაარსით და მასში არსებული განსხვავებულობით განისაზღვრება.

მხედველობაში მისაღებია ის გარემოებაც, რომ ძველი ლოგიკა, როგორც ეს ზემოთ იყო აღნიშნული, ცნების სახეებს განვითარების შედეგად არ წარმოიდგენს, მას ისინი „გროვად“ აქვს წარმოდგენილი და ამიტომ სრულიად გაურკვეველად და არა აუცილებლობით არის მიღებული ცნების გაყოფის წევრთა ესა თუ ის რიცხვი. გაყოფის სახეების განვითარების გარეშე აღება ნიშნავს იმას, რომ ამ სახეთა სისრულე შემთხვევით, არააუცილებლობით და ხელოვნურად არის შესრულებული (ამიტომ ზოგიერთი ლოგიკოსი განასხვავებს ემპირიულ და სრულ ლოგიკურ გაყოფას). ყოველ შემთხვევაში, სრული თუ არასრული გაყოფის (არასრული გაყოფა არის კი გაყოფა?) დროს საფუძველად, სწორედ განვითარების საფუძველად (თუ სახეებს, როგორც ზემოთ აღვნიშნავდით, განვითარების საფეხურებად განვიხილავთ) შინაარსული გაყოფა, ერთიანის გაორება ძვეს.

მაშასადამე, შეიძლება დავასკვნათ, რომ განსაზღვრება და გაყოფა ერთი და იგივეა არსებაში, უკეთ: არსების განსაზღვრება იგივე გაყოფაა და პირიქით; მოვლენათა სიმრავლეში კი ისინი ერთიმეორისაგან განსხვავდებიან და ხასიათდებიან თანახმად ძველ ლოგიკაში მოცემული წესებისა. ამ უკანასკნელთა გაურკვეველობანი შინაარსული გაყოფის ბუნებით იხსნება და აიხსნება. ამდენად ფორმალურ-ლოგიკური მოვლენების ამსახველი ლოგიკურია, იგი დიალექტიკური ლოგიკურის ერთმხრიობას წარმოადგენს.

25. პრაქტიკის მნიშვნელობა ცნების განსაზღვრებისათვის. თუ ცნების განსაზღვრებასა და ამ უკანასკნელის მომენტებს — ნიშანგანსაზღვრულობებს განვითარებაში განვიხილავთ (სხვაგვარად მათი განხილვა მატერიალისტური დიალექტიკის საწინააღმდეგო, ე. ი. მეტაფიზიკური საქმიანობა იქნებოდა), მაშინ შემეცნების ისტორიისა და მეცნიერების ისტორიის (რომლის შედეგიც ცნება და მისი განსაზღვრება უნდა იყოს) თვალსაზრისით, განსაზღვრებაში პრაქტიკის მომენტიც უნდა შედიოდეს, როგორც ამას ვ. ი. ლენინი მოითხოვს.

ვ. ი. ლენინი წერს, რომ „ადამიანის მთელი პრაქტიკა უნდა შევიდეს საგნის სრულ „განსაზღვრაში“, როგორც კეშმარიტების

კრიტერიუმიც და როგორც პრაქტიკული განმსაზღვრელიც საგნის კავშირისა იმასთან, რაც ადამიანს სჭირდება“<sup>1</sup>. ანდა კ. მარქსის სიტყვებით, რომ ეთქვას, „საგანს, სინამდვილეს, გრძნობიერებას მხოლოდ ობიექტის ანუ განგვრების ფორმაში“ კი არ უნდა განვიხილავდეთ, როგორც ამას ადგილი ჰქონდა მარქსამდელ მატერიალიზმში, არამედ „როგორც ადამიანის გრძნობად მოქმედებას, პრაქტიკას., სუბიექტურად“. ადამიანის მოქმედება უნდა გვესმოდეს, როგორც „საგნობრივი მოქმედება“, როგორც „რევოლუციური“, „პრაქტიკულ-კარტიკული“ მოქმედება<sup>2</sup>. მაშასადამე, პრაქტიკის მომენტი განსაზღვრებაში, ცხადია, უნდა გვესმოდეს არა როგორც ლოგიკური მომენტი, არამედ შემდეგნაირად.

ადამიანი ბუნებას ებრძვის და იმორჩილებს; მისი პრაქტიკული საქმიანობისა და საქარობისა და მიზნით. ცნობიერებას საგნად სინამდვილის ესა თუ ის მხარე ხდება. შესამეცნებელი საგნის მოცემა პრაქტიკით განსაზღვრება. ამიტომ საგნის არსების შესახებ ცოდნის განსაზღვრებას ასეთი თუ ისეთი ჩამოყალიბება, საგნისა და მისი არსების სხვადასხვა მხარის გაგება პრაქტიკით არის განსაზღვრული; თვითონ პრაქტიკა საგნის გარდაქმნის დროს განსაზღვრავს ცოდნას საგნის შესახებ. სწორედ ამიტომ და ამ აზრით პრაქტიკა უნდა შეედგეს საგნის განსაზღვრებაში, მისი ამსახველი ცნების განსაზღვრებაში: საერთოდ, შემეცნება და ცოდნის ობიექტურობა სწორედ პრაქტიკით განსაზღვრება.

პრაქტიკის საფუძველზე ვაყალიბებთ საგნის, მისი არსების განსაზღვრულობა-ნიშნების შესახებ ცოდნას. ცნების განსაზღვრება არის სწორედ ცოდნა საგნის არსებისა, მისი შინაგანი, არსებითი განსაზღვრულობისა. სწორედ ამიტომ რომელიმე ცნების განსაზღვრება არის იმ ნიშანთა გარკვევა, რომლებიც საგნებს ახასიათებს. რომელიმე ცნების ნიშნები სხვა არაფერია, თუ არა ცოდნა საგნის ნიშნების შესახებ. თვითონ ეს ცოდნა პრაქტიკის პროცესში ვითარდება, უფრო და უფრო ღრმად ასახავს საგნის არსებას, — გადადის პირველი რიგის არსებიდან მეორე რიგის არსებაზე და ასე შემდეგ. ამრიგად პრაქტიკის განვითარებისა და მიხედვით ცნებებიც ვითარდებიან.

ცნებათა ეს განვითარება სხვადასხვანაირად უნდა გვესმოდეს: 1) როგორც საგნის განვითარების ასახვა, 2) როგორც შემეცნების განვითარების საფუძვრები და 3) როგორც, ამ ორ გარემოებაზე

<sup>1</sup> ვ. ი. ლენინი. თხზ., ტ. 32. გვ. 102 — 103.

<sup>2</sup> კ. მარქსი, ფ. ენგელსი. რჩეული ნაწერები. ტ. 11. გვ. 484. 1950 წ.

დამყარებული, ლოგიკური განვითარება, ლოგიკური კავშირ-დაქვე-  
მდებარება და გადასვლები ცნებების, კატეგორიების<sup>1</sup>.

26. საგნის შესახებ ცნების და ცნების, როგორც ასეთის, გან-  
საზღვრების შესახებ. ყველაფერი ზემოთქმული, ცხადია, იმას არ  
ნიშნავს, რომ საგნის განსაზღვრულობა და ცნების, როგორც  
ცნების, განსაზღვრულობა ერთი და იგივე იყოს; ეს სინამდვილისა  
და აზრის იდეალისტური გაიგივება იქნებოდა. საერთოდ, ცნებას,  
როგორც ცნების, ნიშანი ყველა ცნებისათვის ერთი და იგივეა,  
სახელდობრ ის, თუ რა არის ცნება, სხვადასხვა ცნების თავისებუ-  
რებათა მიუხედავად. ცნების, როგორც აზროვნების გარკვეული  
ფორმის, განსაზღვრულობა არის ის, რითაც იგი განსხვავდება და,  
ამავე დროს, უკავშირდება აზროვნების სხვა ფორმებს, სახელ-  
დობრ, მსჯელობასა და დასკვნას.

საგნის არსების ასახვა ჩვენს აზროვნებაში არის ცნება. ეს  
ასახვა ხდება საგნის არსების ნიშანთა გარკვევით, რომელიც  
მსჯელობით გამოითქმება. მსჯელობათა აუცილებელი კავშირი  
დასკვნას გვაძლევს. ასეთი დასკვნის ზოგადი აზრი იქნება ცნება,  
როგორც საგნის არსების ასახვა. ამიტომ ცნება მსჯელობების,  
დასკვნების და დასაბუთების პროცესის შედეგად მიიღება, რო-  
გორც ეს ზემოთაც აღინიშნა. თვითონ ცნება, როგორც აზროვნების  
ფორმა, მსჯელობათა აუცილებელი კავშირით მიღებული ზოგადი  
აზრია.

ამ გარემოების ნათელყოფა ჩვეულებრივი სილოგიზმითაც  
შეიძლება. მაგ., სოკრატეს მოკვდავობა, როგორც ცნება (გამოითქ-  
მება მსჯელობით „სოკრატე არის მოკვდავი“) არის ზოგადი აზრი  
მსჯელობების კავშირისა, რომელიც სოკრატეს ადამიანობის და  
მისი მოკვდავობის ერთიანობას წარმოადგენს.

მაშასადამე, ცნება არა მხოლოდ საგნის არსების შემეცნების  
პროცესის შედეგია, არამედ იგი არის ზოგადი აზრი მსჯელობისა  
და დასკვნის, როგორც აზროვნების ფორმებისა. თვითონ ცნების  
განსაზღვრების მომენტებს მსჯელობები შეადგენენ, რომლებშიც  
საგნის ნიშნებია გამოთქმული.

ამიტომ მსჯელობის და დასკვნის ბუნების გარკვევა, ცხადია,  
ცნების ბუნებას კიდევ უფრო ნათლად წარმოგვიდგენს; ცნებას  
სრულად დაგიხასიათებს ეს. რაც მას გვაძლევს. მხოლოდ მსჯე-  
ლობისა და მსჯელობების კავშირის შედეგად შეიძლება გვეჩონდეს  
ცნება, ცნების განსაზღვრება. მსჯელობისა და მსჯელობათა კავში-  
რის გარეშე ცნება კი არაა, არამედ მხოლოდ სიტყვა ან წარმოღვე-

<sup>1</sup> ეს უკანასკნელი მომენტი გარკვეულ იქნება შრომის მე-4 თავში საფუძველ-  
შედეგს დამოკიდებულების გარკვევის დროს.

ნა გვაქვს. მხოლოდ მსჯელობისა და დასკვნის ბუნების განხილვა ნათლად დაგვანახებებს ლოგიკურის ნამდვილ ბუნებას; ცნების განსაზღვრება გვიჩვენებს იმას, თუ რა არის საერთოდ ლოგიკური; მაგრამ თუ როგორია იგი, ამას ნათლად გვიჩვენებს მსჯელობა და მსჯელობათა კავშირი, რომელიც დასკვნას წარმოადგენს. მხოლოდ დასკვნის ბუნებაშია სრულად მოცემული ლოგიკური აუცილებლობა. ამიტომ აქამდე წარმოებულნი გამოკვლევა განსაზღვრების ბუნებისა მხოლოდ პირველი, ფუძემდებელი ნაწილია გამოკვლევისა, რომელიც დასკვნის ბუნების გაგებას ისახავს მიზნად. ჩვენი შრომის მიზანს შეადგენს არა მსჯელობის და დასკვნის ფორმებას სპეციალური განხილვა, არამედ ლოგიკურის ზოგადი ბუნების დასახილვება.

მართალია, ცნება და მისი განსაზღვრება, როგორც ითქვა, არ არის ერთი და იგივე, მაგრამ განსაზღვრება ცნების განსაზღვრულობის დადგენას; ის არის ცნების ბუნების კონკრეტული გამოხატულება, რაც საგნის არსების სტრუქტურით განისაზღვრება.

ცნების და საგნის გაიგივება, როგორც ითქვა, მათი ერთმანეთისგან მოწყვეტა და ეს ჰეგელის იდეალიზმისათვისაა დამახასიათებელი. ცნების და მისი განსაზღვრების ბუნებას ნამდვილად გვიჩვენებთ მაშინ, თუ ასახვის მატერიალურ-ლენინურ თეორიას დავემყარებით. ჩვენ სწორედ ამგვარად ვცალდებთ გავვეყო ცნების განსაზღვრების ხასიათი.

მსჯელობები (რომლებიც საგნის არსებას გეიხასიათებენ) შეიძლება შეინაარსოთ, ე. ი. გამოსატყვევლით განსხვავებულებად, მაგრამ ფორმით ერთიდაიგივეს წარმოადგენდნენ (შესაძლებელია პირიქითაც: განსხვავებული ფორმის მსჯელობებით ერთი და იგივე შეინაარსოთ გამოთქვით), მაგრამ, როგორც ითქვა, განსხვავებული გამოსატყვევლი შეინაარსები მხოლოდ განსხვავებულნი არ არიან, მათ ზოგადიც ახასიათებთ, სახელდობრ, გარკვეული კავშირი; აი სწორედ ეს შეინაარსი განსაზღვრავს აზრის, მაგალითად, მსჯელობის ფორმას (რომელიც შეიძლება სხვადასხვა ფორმის წინადადებით გამოითქვას). ასევე შეიძლება ითქვას აზროვნების ფორმების შესახებ, რომელთაც საკუთარი შეინაარსი გააჩნიათ<sup>1</sup>, სახელდობრ, ის, რასაც ისინი წარმოადგენენ. — რაც მათ განსაზღვრებაში იქნება მოცემული, მაგრამ ამ ფორმებს ის ზოგადი აქვს არსებად, რომლის ფორმებსაც ისინი წარმოადგენენ და რომლის ბუნების გამორკვევასაც ჩვენ ვცდილობთ.

განსაზღვრების ბუნების ზემოთ წარმოებული განხილვიდან

<sup>1</sup> კ. მარქსი, კაპიტალი, ტ. I. 1667 წ. გერმან. გამოც. გვ. 21.

ნათლად ჩანდა ის მომენტები, რომლებიც ზუსტ დახასიათებას საჭიროებენ, რათა ლოგიკურის ზოგადი ბუნება უფრო სრულად იქნეს წარმოდგენილი. ასეთებია საკითხები: დაბოლოებულისა და დაუბოლოებელის დამოკიდებულების, კერძოდ, დაუბოლოებელის განსაზღვრების საფუძველზე ლოგიკურის ზოგადი განსაზღვრების ჩამოყალიბების, აზროვნების ლოგიკური ძირითადი კანონის, საფუძვლის და შედეგის დამოკიდებულების ბუნების საკითხები. მხოლოდ მათი გარკვევის შემდეგ შეიძლება სრულად წარმოდგენა იმისა, რაც აქამდე იყო განხილული და რაც მსჯელობისა და დასკვნის სპეციალურ თეორიაში შეიძლება გაიშალოს.

ზოგადი დასკვნა, რომელიც შრომის პირველ თავში განხილული დებულებებიდან გამომდინარეობს, შეიძლება შემდეგნაირად ჩამოვაყალიბოთ:

1. ცნების განსაზღვრება მოძრავი და განვითარებაში მყოფი საგნის არსების ასახვის დადგენას წარმოადგენს. მოძრავი საგნის არსების შინაგანი უარყოფა, ე. ი. საგნის შინაგანი წინააღმდეგობა განსაზღვრებაში უარყოფის მომენტით გამოიხატება.

2. განსაზღვრება უნდა იყოს დადებითი, რომელიც შინაგანი უარყოფის შემცველია და ამიტომაც იგი გარკვეული განსაზღვრულობა. ამიტომ განსაზღვრება დიალექტიკური ბუნებისაა, როგორც ცნების შინაგანი გარკვეულობის გამოხატულება. ასეთი განსაზღვრება სრულდება დიალექტიკური აბსტრაქციის და ანალიზის საშუალებით, რამდენადაც ნამდვილი ზოგადი გაგებულება, როგორც შინაარსეული ზოგადი.

3. ლოგიკურისათვის განსაზღვრების მნიშვნელობა იმაშია, რომ იგი, დიალექტიკური აბსტრაქციით, უარყოფით და ანალიზით საგნის არსების შესახებ ცოდნის შედგენის გზით, აჩვენებს მსჯელობათა აუცილებელ კავშირს და ამ კავშირის ზოგადი აზრის — ცნების მიღებას წარმოადგენს. ამიტომ განსაზღვრების შესახებ მოძღვრება ლოგიკური პრობლემატიკის შესავალს შეადგენს.

## ლოგიკის განსაზღვრებისათვის

1. აზრის ლოგიკური სინთეზურობის პრობლემა. ცნების განსაზღვრების ბუნების განხილვამ ნათელყო, რომ მასში არსებია დაუბოლოებელი, როგორც დაბოლოებული საგნის არსების, განსაზღვრულობა. საკიროა ამ მომენტის უფრო ნათლად წარმოდგენა, დაუბოლოებელის არსების, მისი განსაზღვრების უფრო დაწვრილებით გარკვევა, რათა მისი ამსახველი ლოგიკურის თავისებურება გამოვარკვიოთ.

პარმენიდეს შემდეგ აშკარად გამოჩნდა ის სიძნელე, რომელიც სინთეზურობის ბუნებას ახასიათებს; სწორედ ელეატებზე დაყრდნობით მეგარელებმა ნაჭელობის სინთეზურობისა და მისი შესაძლებლობის საკითხი მთელი სიმკაცრით წარმოადგინეს. როგორ არის შესაძლებელი რაიმეს მისგან განსხვავებული მიეწეროს? ამ საკითხის დასმა-გადაწყვეტაში ლოგიკის ისტორიის ზოგიერთი წარმომადგენელი, ისიც ისტორიის საქმავ მანძილზე, პარმენიდეს მეტაფიზიკამ განსაზღვრა. ჭეშმარიტი ერთი, მეტაფიზიკური აზროვნებისათვის არის მხოლოდ ერთი, წმინდა ერთი და მას არ შეიძლება მისგან განსხვავებული მიეწეროს. ამიტომ მეგარელები ფიქრობდნენ, რომ ნამდვილი, ჭეშმარიტი მსჯელობა შეიძლება მხოლოდ ტავტოლოგიური იყოს: აღამიანი არის აღამიანი, მაგადა არის მაგიდა, ცხენი არის ცხენი და სხვ.

პარმენიდეს შემდეგ ფილოსოფიის ორიათასწლიანი ისტორია ნათელყოფს სინთეზის სიძნელეს. ცხადია, არა მარტო ერთისა და სიმრავლის დამოკიდებულების თვალსაზრისით, არამედ საერთო ლოგიკურის თვალსაზრისით, ლოგიკურში სინთეზის თვალსაზრისით. თვითონ მეტაფიზიკური აზროვნებისათვისაც ნათელი გახდა, რომ წმინდა ერთის, წმინდა რაიმეს აღება, მისი სხვასთან კავშირის გარეშე აღება სრულ შეუძლებლობას შეიცავს; ერთისგან მრავალი არ გამოიყვანება (დემოკრიტე, ლაიბნიცი და სხვ.); წმინდა ერთის

აღება მისი უარყოფა (პლატონის „პარმენიდე“), წმინდა არსის აღება და არარსის სრული უარყოფა (როგორც ამას ელევატები აღიარებდნენ) შეუძლებელია (იხ. პლატონის „სოფისტეს“-ი).

ანტიკური აზროვნების დიალექტიკურმა სტიქიამ არისტოტელეს მისცა საშუალება დიალექტიკური წესი აზროვნებისა მიეღო მსჯელობაში, ტავტოლოგიური მსჯელობები უაზრობად ჩათვალა და სინთეზური მსჯელობები აღიარებინა თავისი ლოგიკის საფუძვლად. მაგრამ სიძნელე სიძნელედ რჩებოდა, არისტოტელე, როგორც ამას ლენინი აღნიშნავს<sup>1</sup>, მხოლოდ თავს იმტკრევდა დაალექტიკის საკითხებზე.

ახალ დროში ასეთი „თავის მტკრევა“ ყველაზე ძლიერად წარმოდგენილ იქნა კანტის მიერ. რომელმაც სპეციალურად დასვა სინთეზის პრობლემა. ჯერ კიდევ შრომაში ნეგატიური სიდიდეებს შესახებ მან მთავარ საკითხად და მთავარ სიძნელედ წარმოიდგინა შემდეგი: როგორ არის შესაძლებელი რაიმეს მისგან განსხვავებული აუცილებლობით ეკუთვნოდეს<sup>2</sup>. ამ საკითხის გადაწყვეტა მან ვერ შეძლო და მხოლოდ „ბედნიერ თაობას“ უნდებოდა გადაეწყვიტა იგი. კანტი თავის „ანტინომიებში“ კი სინთეზურობას პრობლემას დაბოლოებულისა და დაუბოლოებელის დამოკიდებულების პრობლემის სახით წარმოადგენს. მისი აზრით, დაბოლოებულის სფერო მოვლენათა სფეროა; კატეგორიების ამ სფეროში მოხმარება კეშმარიტ შემეცნებას გვაძლევს. მხოლოდ დაბოლოებულ სფეროშია შესაძლებელი შემეცნება, რადგან მხოლოდ ამ სფეროში ვაყალიბებთ იმ სინთეზურ მსჯელობებს, რომლებაც მეცნიერების საფუძვლად გამოდგება. მხოლოდ დაბოლოებულის სფეროში გვაქვს ჩვენ უნარი ჩამოვაყალიბოთ ასეთი სინთეზური მსჯელობები, რომელთა მიმართ წინააღმდეგობის კანონი არ არის საქმარისი; ეს უნარი არის გრძნობადი ინტუიციის უნარი, რომლის გარეშეც სინთეზი არ არის შესაძლებელი ანდა იგი შემთხვევითია. რაც შიზება დაუბოლოებელის სფეროს. რომელსაც დასკვნის სფერო შეესატყვისება, მის მიმართ მეცნიერული შემეცნება შეუძლებელია; დაუბოლოებელის შესახებ მეცნიერება, მეტაფიზიკა, როგორც მეცნიერება, ამიტომაც სწორედ შეუძლებელი. შეუძლებელია სინთეზური დასკვნა, რადგან შეუძლებელია ადამიანისათვის არსებობდეს არაგრძნობადი ინტუიცია. თუმცა, კანტის აზრით, დაბოლოებული და დაუბოლოებული აუცილებლობითაა დაკავშირებული, ანტინომიური დებულებების კავშირი აუცილებელია, მაგრამ ასეთი რამ არა კეშმარიტებს,

<sup>1</sup> В. И. Ленин. Философские тетради, стр. 304 — 305.

<sup>2</sup> Kant's Werke, V, 1870, Kirchmann, S. 59.



არამედ შეცდომას, ილუზიას (Schein-ს) წარმოადგენს. სინთეზური დასკვნის უარყოფა იგივე გამოვიდა, რაც ჩვენგან დამოუკიდებელი დაუბოლოებელი სინამდვილის შესახებ მეცნიერების უარყოფა. მაშ., კანტმა საკითხი დასვა, სიძნელე სისრულით იგრძნო, მაგრამ იგი უარყოფითად გადაწყვიტა.

მხოლოდ დადებითი დიალექტიკის თეორიის ჩამოყალიბებამ მოახერხა სინთეზის პრობლემის, რომელმაც დაბოლოებულისა და დაუბოლოებელის ერთიანობის საკითხის სახე მიიღო, გადაწყვიტა. სინთეზის პრობლემა არსებითად დაბოლოებულისა და დაუბოლოებელის ერთიანობის პრობლემაა, რადგან რაიმე, დაბოლოებული, მისგან განსხვავებულს აუცილებლობით მხოლოდ დაუბოლოებელის, როგორც. მისი არსების, საფუძველზე შეიძლება დაუკავშირდეს. ჰეგელის დიალექტიკამ სცადა ამ პრობლემის დადებითი გადაწყვეტა და მისი დიალექტიკის „რაციონალური მარცვალი“ სწორედ აქ უნდა ვეძიოთ; მაგრამ ეს ცდა ცდად დარჩა სწორედ იდეალისტური. ყალბი საფუძვლის გამო (ჰეგელმა დაუბოლოებელი აბსოლუტური იდეას გაუიგივა). იდეალიზმმა, სინთეზის პრობლემის გაყალბებით, დასკვნის თეორიაც, საბოლოო ანგარიშში, მართალია რაციონალური მარცვლის მოცემით, მაგრამ მაინც გააყალბა.

ბურჟუაზიულმა ფილოსოფიამ თავისი განვითარების მწვერვალს ჰეგელში მიაღწია და დადებითი მომავალს ჰეგელის დიალექტიკის „რაციონალური მარცვლის“ სახით გადასცა. შემდგომი და თანამედროვე ბურჟუაზიული ფილოსოფია დაქვეითების მომასწავებელია. ჩვენი საკითხის გასწვრივ ეს გარემოება იმაში ჩანს, რომ სინთეზურის პრობლემას უარყოფენ, სინთეზები მხოლოდ ინტელექტუალური ინტუიციის პროდუქტებად აქვთ გაგებული<sup>1</sup> და დაუბოლოებელის ცნება ყალბ ცნებად არის მიჩნეული; თანამედროვე ბურჟუაზიული ფილოსოფიის მიერ უარყოფილია დაუბოლოებელის შესახებ მეცნიერება<sup>2</sup>. დიალექტიკის უარყოფა შედეგად ხსენებული პრობლემების უარყოფას იძლევა. ამდენად დაუბოლოებელის ცნების ბუნების ნამდვილი გაგება, ამავე დროს, დაუბოლოებელის უარყოფელთა განადგურებასაც წარმოადგენს. ამიტომ ამ პრობლემას აქტუალური მნიშვნელობა აქვს არა მარტო ლოგიკურის ბუნების გასაგებად, არამედ თავისთავადაც; მის გადაწყვეტას აქტუალური მნიშვნელობა აქვს თანამედროვე რეაქციული ბურჟუაზიული ფილოსოფიის (რომელიც დაუბოლოებელს უარყოფს და მხოლოდ დაბოლოებულს აღიარებს, ამდენად

<sup>1</sup> Ш. Серрюс, Опыт исследования значения логики, 1948.

<sup>2</sup> იხ. მაგ., ჰილბერტის წიგნი „გეომეტრიის საფუძვლები“, რუს. თარგმ.

მეცნიერებას უარყოფს და რელიგიას აბატონებს) კრიტიკისათვის ამ პრობლემის გარკვევა დიდი მნიშვნელობის მქონეა სპეციალურ მეცნიერებათათვის, რამდენადაც დაბოლოებული და დაუბოლოებელი დიალექტიკის, როგორც სპეციალურ მეცნიერებათა მეთოდოლოგიის, კატეგორიებია; — კერძოდ მათემატიკის დაფუძნების მეცნიერებისათვის (მათემატიკა არ არსებობს დაუბოლოებელის ცნების გარეშე), და სხვ.

ერთი სიტყვით, ჩვენ აქ გვინდა მხოლოდ აღვნიშნოთ ის, რომ სინთეზის პრობლემა, რომელიც არსებითად იგივე დაბოლოებულისა და დაუბოლოებელის ერთიანობის პრობლემას უდრის, ურთულეს პრობლემას წარმოადგენს ლოგიკაში (დაუბოლოებელის ამსახველი ლოგიკურის პრობლემა), შემეცნების თეორიაში (განსხვავებულის შემეცნების შესაძლებლობის, და აბსოლუტური ქეშმარიტების პრობლემა), სინამდვილის შესახებ მეცნიერებაშიც — მთელი ფილოსოფიის ისტორიის გასწვრივ. ჩვენ აქ მხოლოდ ხსენებული პრობლემა ლოგიკურის მხრით გვაინტერესებს, კერძოდ, ლოგიკურის ბუნების გარკვევის მხრით.

**2. დაბოლოებულის ცნებისათვის.** ჩვენ შეგარძნებებში და აღქმებში მხოლოდ დაბოლოებული საგნები, მოვლენები გვეძლევა; ამ მხრივ, ჩვენ შევიმეცნებთ მხოლოდ ბოლოვადს<sup>1</sup>. თანახმად მატერიალისტური დიალექტიკის პირველი ძირითადი ნიშნისა, ურთიერთკავშირში მყოფი მოვლენებიდან თითოეული მოვლენა სხვა მოვლენით არის გაპირობებული, ისე როგორც თვითონ სხვა მოვლენას აპირობებს. წინასწარვე შეიძლება ითქვას, რომ ყოველი მოვლენა, რომელიც სხვა მოვლენით არის გაპირობებული, დაბოლოებულ მოვლენად შეიძლება იწოდოს.

არა მარტო გაპირობებული მოვლენა არის დაბოლოებული, არამედ გამპირობებელიც, როგორც ასეთი, ამ გამპირობებელის გასაპირობებელთან დაპირისპირების აზრით, დაბოლოებულ მოვლენად უნდა იწოდოს. დაბოლოებული მოვლენები ურთიერთკავშირშია, ისინი ამ კავშირში ერთიმეორეს საზღვრავენ, ერთიმეორეს აბოლოებენ. როგორც ვთქვით, დაბოლოებული მოვლენის მაგალითებს კონკრეტული საგნები წარმოადგენენ: ხე, ქვა, ამინდი, მოსავალი, რევოლუცია, ომი და სხვა და მათი თითოეული მხარეც ასეთი დაბოლოებული ხასიათისაა. პროლეტარიატი ერთი მხარეა კაპიტალიზმისა, ბურჟუაზია კი — მეორე, დაბოლოებული მხარე. მთლიანად კაპიტალიზმი საზოგადოების განვითარების ერთ-ერთი დაბოლოებული ფორმაციაა, როგორც საზოგადოების გან-

<sup>1</sup> ფ. ენგელსი. ბუნების დიალექტიკა, გვ. 240.

ვითარების დაბოლოებული საფეხური, რომელიც სოციალიზმით უარიყოფა, ფეოდალიზმი კი მისი წარმოშობის აუცილებელი პირობაა. ყოველი მცენარე გარკვეულ პირობებში იზრდება და გარკვეული პირობები სპობს თუ ხსნის მას; ასეა ყოველი ორგანიზმი, თუ სხვა საგანი. ივანე, რომელიც გარკვეულ პირობებში წარმოიშვება, გარკვეულ პირობებშივე კვდება. ყოველი ცვალებადი საგანი (უცვლელი კი არაფერია) არსებობს სხვა გარკვეული მოვლენების საფუძველზე და ასევე ისპობა, როგორც გარკვეულ ფორმის არსებობის მქონე. მაშასადამე, დაბოლოებული არის ის, რაც სხვა მოვლენით მტკიცდება და რაც სხვა მოვლენით უარიყოფა, ისე როგორც თვითონ გამოდგება, როგორც დამდგენა და უარყოფელი სხვისი არსებობისა.

ისიც უნდა ითქვას, რომ აზრი, რომელიც სხვა აზრით არის განსაზღვრული, ე. ი. რომელიც სხვას გულისხმობს დამსაბუთებელ საფუძველად, ისე როგორც უარყოფლადაც, დაბოლოებულას ამსახველი აზრია, რადგან აზრთა კავშირი საგანთა კავშირით განისაზღვრება. ყოველი აზრი, რამდენადაც იგი აუცილებლად არის შედეგი და განსაზღვრული მისგან დამოუკიდებლად არსებული სინამდვილისაგან (სხვაგვარად კი იგი შეუძლებელია) დაბოლოებული აზრია. ამდენად დაუბოლოებელი აზრი არ შეიძლება არსებობდეს; მეცნიერებამ ასეთი აზრი არ იცის და არც შეიძლება იცოდეს; ყოველი აზრი საგნითაა განსაზღვრული, უსაგნო აზრა შეუძლებელია; შეცდომაც, მცდარი აზრიც რაღაც საგანს გულისხმობს აუცილებლობით, რადგან არსებობს საგნის არა მარტო სწორი, არამედ არასწორი ასახვაც. აზრი არის აზრი საგნის შესახებ.

დაბოლოებული აზრის აღიარებიდან არ უნდა დავასკვნათ, რომ თითქოს არსებობს დაუბოლოებელი აზრი, ეს ჰეგელიანურა სიყალბე იქნებოდა, არამედ მხოლოდ ის, რომ არსებობს დაუბოლოებელის ამსახველი აზრი; ადამიანის აზრი ყოველთვის დაბოლოებულია, რადგან ის, როგორც ასახვა მატერიალური სინამდვილისა, განსაზღვრულია სწორედ სინამდვილისაგან, მაგრამ სინამდვილე თვითონ არის დაუბოლოებელი და ამიტომ იგი ამ მხრივაც განსაზღვრავს აზრს, ე. ი. ჩვენ გვაქვს ცოდნა დაუბოლოებელი სინამდვილას შესახებ (დაბოლოებული დაუბოლოებელს თავისში შეიცავს).

როცა რაიმე, თავისი ბუნებით, არის ეს და არა სხვა, მაშინ ამბობენ, რომ ის თვისობრივად დაბოლოებულია. ყოველი საგნის თვისობრიობა, როგორც უმარტივესი შინაგანი განსაზღვრულობა,

დაბოლოებულია<sup>1</sup>. მაგიდა არის მაგიდა და არა სხვა რამ, კაპიტალიზმი სწორედ კაპიტალიზმია. და არა სხვა რამ, ამიტომ არიან ისინი დაბოლოებული საგნები და მოვლენები.

როცა ერთი მოვლენა მეორით არის განსაზღვრული, მაშინ ვამბობთ, რომ მათ შორის საზღვარია. ის, რაც ერთ საგანს მეორისაგან გამოყოფს, მის საზღვრად შეიძლება იწოდოს. ყოველი ზღვარდებული საგანი არის დაბოლოებული საგანი.

საზღვარი შეიძლება სხვადასხვანაირად წარმოვიდგინოთ; უკეთ: არსებობს სხვადასხვაგვარი საზღვარი. მაგიდა რომ არის მაგიდა და არა სკამი ან სხვა რამ, რომ კაპიტალიზმი არის კაპიტალიზმი და არა სხვა, ეს არის მისი თვისობრივი საზღვარი. მაგრამ თუ საგანი სიდიდეს წარმოადგენს, მაშინ მას რაოდენობრივი საზღვარიც გააჩნია. ის ფარგლები, სანამდეც მაგიდის სიდიდე მიდის და რომლის შემდეგაც მაგიდა არ არის, არის მისი რაოდენობრივი საზღვარი. თვითონ რომელიმე რიცხვიც რომ ავიღოთ, მაკ., თექვსმეტი, იგი არის განსაზღვრული თვისობრივადაც და რიცხობრივადაც; თვისობრივად თექვსმეტი სრულიად გარკვეული რიცხვია: ის არის 8. 2, 4. 4, 32 : 2 და სხვა, სხვა რიცხვი არ არის ასეთი. მაგრამ, მეორე მხრით, 16, როგორც გარკვეული სიდიდე, რაოდენობრივი საზღვრის მქონეცაა. წმინდა რიცხობრიობის წარმოდგენა ჰეგელიანურ შეცდომას წარმოადგენს<sup>2</sup>.

ყოველი დაბოლოებული გარკვეული რამ არის, იგი ისეთი გარკვეულია, რომ ძველი, ფორმალური ლოგიკა მხოლოდ მას თვლიდა გარკვეულობად; დაბოლოებულს და გარკვეულს აიკვირებდნენ; ორივეს განსაზღვრავდნენ ასე: რაიმე არის ეს და არა სხვა; ამგვარად არსებობა და არა სხვაგვარად არსებობა მიაჩნდათ გარკვეულობად და დაბოლოებულობად. მთელი ბერძნული ფილოსოფიისათვის დაუბოლოებლობა გაურკვეველობას ნიშნავდა; როგორც ნამდვილი არსებობა, ისე კეშმარიტი აზროვნებაც დაბოლოებულად იყო მიჩნეული, რადგან მხოლოდ დაბოლოებულ არსებობას და მის ამსახველ აზროვნებას თვლიდნენ გარკვეულ არსებობად და აზროვნებად.

ე. წ. „აზროვნების ძირითადი კანონები“ დაბოლოებულის ამსახველი აზროვნების კანონებია. არისტოტელეს ეს კანონები არსებულის გარკვეულობის კანონებად მიაჩნდა და, რადგან გარკვე-

<sup>1</sup> ეს არ ნიშნავს იმას, რომ, როგორც ეს ჰეგელს ეგონა, თითქოს თვისობრიობა მხოლოდ „არსში“ და უშუალობის და არაარსებობის სფეროში იყოს. არა, თვითონ არსებობა გარკვეული თვისობრიობა. თვისობრიობა გარკვეულობა კი არაა. როგორც ეს ჰეგელს ეგონა, არამედ არსებითი განსაზღვრულობა.

<sup>2</sup> ფ. ე. ნ. გ. ე. ლ. ბუნების დიალექტიკა, გვ. 266 — 267.

ული არსებობა ჰეშმარიტ აზროვნებასაც განსაზღვრავდა, ამიტომ ეს კანონები (პირველ რიგში, წინააღმდეგობის შეუძლებლობას კანონი) არსის და აზრის საერთო კანონებად იყო გაგებული. ამიტომ იყო ეს კანონები გარჩეული არისტოტელეს მიერ თავის „პირველ ფილოსოფიაში“.

იგივეობის კანონი რაიმეს თავის თავთან მხოლოდ იგივეობას აღიარებს. წინააღმდეგობის შეუძლებლობის კანონი რაიმეს საწინააღმდეგოს უარყოფს, გამორიცხული მესამის კანონი კი ორი ერთიმეორის საპირისპიროს შესაძლებლობას აღიარებს, მაგრამ მესამის შესაძლებლობას უარყოფს. თავის თავთან იგივე გამორიცხავს საპირისპიროს და, მისი შესაძლებლობის მიღებით, მესამეს შეუძლებელს ღდის. რაიმე, რომელიც თავის თავს უღრის და რომლის საწინააღმდეგო შეუძლებელია, დაბოლოებულად იწოდება, იგი გარკვეულია, რადგან საწინააღმდეგოა გამორიცხული; გაურკვეველობა საწინააღმდეგოთა შეერთება-შერევაშია. შეიძლება არა-A-ღ მივიღოთ ყველაფერა, რაც არ არის A, მაშინ A და არა-A იქნება ერთი დაუბოლოებელი, რომლის ერთი მხარე, სახელდობრ, A იქნება გარკვეული, არა-A კი გაურკვეველობის ბუნებისა იქნება, ძველ ლოგიკაში რაიმეს უარყოფა (როგორც არა-A) გაურკვეველობაა, თვითონ რაიმე კი — გარკვეულობა.

ე. წ. აზროვნების ძირითადი კანონები არა მარტო მიუთაავენ ბენ საგანთა და მათ შესახებ აზრთა ბოლოვადობაზე, არამედ თავისთავადაც ბოლოვადი ბუნებისანი არიან: 1) ისინი არ არიან საკმარისი ჰეშმარიტებისათვის, რადგან: ა) მცდარი აზრიც იგავეთავის თავთან, ბ) მცდარიც თავის საწინააღმდეგოს უარყოფს, გ) მცდარი ჰეშმარიტთან შესაძლო დაპირისპირებაში მესამეს ვამორიცხავს, დ) მცდარ აზრსაც რაღაც გარკვეული საფუძველი აქვს. ამ მხრით, „აზროვნების ძირითადი კანონები“ გულგრილია ჰეშმარიტება-შეცდომისადმი. მათი არასაკმარისობა ჰეშმარიტებასათვის მათ ნაკლს და ბოლოვადობას, არასისრულეს მოასწავებს და არა იმას, თითქოს ისინი მაღლა იდგნენ ჰეშმარიტება-შეცდომაზე, როგორც ეს ზოგიერთს ჰგონია, და ამიტომ მათ აზრის სისწორის კანონებად თვლიან, სისწორე კი ჰეშმარიტება-შეცდომაზე მაღლა მდგომად გამოსდით, მაშინ როცა როგორც სისწორეს, ასე შეცდომასაც მხოლოდ ჰეშმარიტებით აქვთ აზრი. აგრეთვე, სისწორეს მაშინ აქვს აზრი, თუ ის ჰეშმარიტი სისწორეა<sup>1</sup>.

<sup>1</sup> სისწორის და ჰეშმარიტების დაპირისპირებას ემზრობა პროფ. კ. ბაქრაძე. იხ. მისი ლოგიკის სახელმძღვანელოები რუსულ და ქართულ ენებზე. მართალია, სისწორე და ჰეშმარიტება არ არის ერთი და იგივე, მაგრამ ისინი ერთიმეორისადმი

2) „აზროვნების ძირითადი კანონები“ არასაკმარისი არიან. დასკვნისთვისაც, ისინი გამომდინარეობის, როგორც ამბობენ, სისწორის საკმაო კანონებადაც არ გამოდგებიან. გამომდინარეობას მხოლოდ მაშინ აქვს აზრი, თუ რაიმედან განსხვავებული აუცილებლობით გამომდინარეობს, — თუ საქმე გვაქვს განსხვავებულთა აუცილებელ კავშირთან; ასეთ შემთხვევაში კი მხოლოდ იგივეობა, წინააღმდეგობის შეუძლებლობა და ა. შ. კი არა გვაქვს, არაჰედ, პირიქით, იგივეობასთან ერთად განსხვავებაც. განსხვავებულთა, არსებითად, დაპირისპირებულთა აუცილებელი კავშირისათვის, რომელსაც დასკვნა უნდა წარმოადგენდეს, ცხადია, სრულიადაც არ არის საკმარისი „აზროვნების ძირითადი კანონები“. დასკვნის ბუნების, რომელსაც მხოლოდ სინთეზური ხასიათი უნდა ჰქონდეს (წინააღმდეგ შემთხვევაში, ერთი და იგივეს განმეორება გვექნებოდა), ასახსნელად საჭიროა დადებითი პირობა და არა მხოლოდ უარყოფითი, როგორსაც ხსენებული კანონები წარმოადგენენ.

მართლაც, მაგ., თუ სილოგისტურ დასკვნაში იგივეობა დაირღვა, მაშინ დასკვნა შეუძლებელია, მაგრამ მხოლოდ იგივეობის დაცვა დასკვნას არ მოგვცემს, რადგან დანასკვი უნდა განსხვავდებოდეს წინამძღვრებისაგან, ე. ი. დასკვნა განსხვავებულთა აუცილებელი კავშირი უნდა იყოს. ასე ითქმის წინააღმდეგობის და გამოორიციხულ მესამის კანონებზეც. ამიტომ აუცილებელია მოძებნილი იქნას ის საკმარისი, დადებითი ხასიათის კანონი, რომელიც დასკვნას გაამართლებს.

ძველი ლოგიკის მიხედვით, დაბოლოებული საგანიც და მისი ამსახველი აზრიც გარკვეულია, დაუბოლოებელი კი — გაურკვეველი.

სხვასთან აუცილებელ კავშირს, ყველაზე უფრო ნათლად საკმაო საფუძვლის კანონი მოითხოვს, რომელიც შეიძლება გამოითქვას ასე: A-ს აქვს აუცილებლად რაიმე, მისგან განსხვავებული, საფუძველი, რომლითაც ეს არის ეს და არა სხვა. მაგრამ ის გარემოება, რომ „რაიმე არის იმის საფუძველი, რომ A არის ეს და არა სხვა“, უკვე გამოთქვამს სხვას, რომელიც იგივე „რაიმე“-ა; თვითონ საფუძველია სხვა. წინააღმდეგობის კანონიც რაიმე საკანონისადმი განსხვავებული ნიშნის მიკუთვნების აზრს ემყარება; გამოორიციხული მესამის კანონი, გარდა იმისა, რომ „რაიმეს“, როგორც „მესამეს“, თვითონ ემყარება, ორი საპირისპიროს შესაძლებლობას მაინც აღიარებს. ამიტომ შეიძლება ითქვას, რომ თვითონ ე. წ. „აზროვნების ძირითადი კანონები“, როგორც გარკვეუ-

---

არც გულგრილია, არც დაპირისპირებული. სისწორე, როგორც ამას შემდეგ გავარკვევთ. ჭეშმარიტებით არის განსაზღვრული და მას ექვემდებარება.

ლობის კანონები, გაურკვეველობას შეიცავენ, ე. ი. მოითხოვენ იგივეობრივის განსხვავებულთან კავშირს სწორედ გაურკვეველობის თავიდან ასაცილებლად.

ასე ითქმის ყოველი დაბოლოებულის შესახებაც. დაბოლოებულის გარკვეულობად თუ იმას ჩავთვლით, რომ ის არის ეს და არა სხვა, მაშინ იგი, სწორედ ამ გარემოების გამო, გაურკვეველობას შეიცავს. სხვის უარყოფა და სხვით უარყოფა შესაძლებელი იქნება მხოლოდ იმ შემთხვევაში, ანუ ის გარკვეული იქნება მაშინ, როცა უარყოფადს შეუძლია (თუ შეიძლება ასე ითქვას) უარყოფილ იქნეს. რატომ შეიძლება რაიმე უარყოფა სხვამ? იმიტომ, რომ ამ რაიმეს თვითონ შეუძლია თავის თავი უარყოფა; თვითონ ამ რაიმეში რომ არ იყოს შინაგანი უარყოფა, მაშინ შეუძლებელი იქნებოდა. მისი სხვა რამით უარყოფა. თუ რაიმე სხვაზეა ისე დამოკიდებული, რომ მას მხოლოდ სხვის საფუძველზე შეუძლია არსებობა-არარსებობა, მაშინ ამ რაიმეს მხოლოდ მოჩვენებითი არსებობა შეიძლება ჰქონდეს (ასე ესმოდა ზოგიერთ რელიგიას საგნების ღმერთზე დამოკიდებულება, ან პლატონს — მოვლენების იდეებზე დამოკიდებულება).

რაიმეს შეუძლია უარყოფილ იქნეს სხვის მიერ, მაშინ როცა მას აქვს თავის თავში ამის შესაძლებლობა, ე. ი. შეუძლებლობა უარყოფილ არ იქნეს სხვის მიერ. ივანეს შეუძლია ტყვიით ან ტიფით მოკვდეს, იმიტომ რომ სწორედ შეუძლია; ორგანიზმს საკვდილი შეუძლია; სიკვდილი ორგანიზმის არსებიდან გამომდინარეობს; ის .მისთვის აუცილებელია; ამიტომ შეუძლია მას, რომ იგი სხვის მიერ იქნეს უარყოფილი. კაპიტალიზმი შეიძლება უარყოფილ იქნას სოციალიზმით, რადგან თვითონ კაპიტალიზმშია მასი შესაფლავე — შინაგანი უარყოფელი — პროლეტარიატი, რომელიც დაანგრევს კაპიტალიზმს და შექმნის სოციალიზმს. რაიმე სხვის მიერ დაფუძნებულ ან უარყოფილ შეიძლება იქნეს მაშინ, თუ ასეთი რამ ამ რაიმეს შეუძლია, ე. ი. თუ თვითონ მასში არის შინაგანი უარყოფა, ანუ თუ მას აქვს შინაგანი საზღვარი. გარეგანი საზღვარი შინაგანის შედეგია, რადგან გარეგანი უარყოფა შესაძლებელია შინაგანი უარყოფის საფუძველზე.

შინაგანი უარყოფის ქონება შინაგანი წინააღმდეგობის ქონებას უდრის; სწორედ შინაგანი წინააღმდეგობა ამოძრავებს საგანს, ის არის მისი მოძრაობა-განვითარების წყარო. შინაგან წინააღმდეგობას გაჰყავს საგანი თავის საზღვარს გარეთ, აქცევს მას სხვად. ასეთი რამ იწოდება დაბოლოებულად. ლენინი დაბოლოებულს სწორედ ამგვარად განმარტავს: **Нечто, взятое с точки зрения его имманентной границы, — с точки зрения его противоречия**

с самим собой, каковое противоречие толкает его (это нечто) и выводит его дальше своих пределов, есть конечное<sup>1</sup>. ანდა შემდეგ: Конечный? Значит, двигающийся к концу! Нечто — значит, не то что другое. მაშასადამე, ის, რასაც შეუძლია სხვით იქნეს დაფუძნებულ-უარყოფილი, რადგან მას თავის უარყოფა თავის შიგნით გააჩნია, არის დაბოლოებული<sup>2</sup>.

თუ შინაგანი უარყოფის მქონე საგანი არის დაბოლოებული, მაშინ ცხადია, რომ მისი გარეგანი უარყოფა შინაგანი უარყოფის მოვლენას წარმოადგენს. შინაგანი უარყოფა-წინააღმდეგობის საშუალებით იცვლება რაიმე და გადადის იგი ერთი სახიდან მეორეში. ერთი და იგივეს განვითარების მოვლენები სწორედ შინაგანი უარყოფის საშუალებით არიან შესაძლებელნი; სწორედ შინაგანი უარყოფის საშუალებით გადადიან და ურთიერთკავშირში არიან საგნები და მოვლენები როგორც ბუნებაში, ისე საზოგადოებაში (დიალექტიკის მეოთხე ძირითადი ნიშანი შეადგენს განვითარების დედაარსს).

განვითარებაში მყოფი დაბოლოებული საგანი იცვლება, სრულყოფილი ხდება<sup>3</sup> და გადადის თავისობრივად ახალ მოვლენაში. მაგრამ ერთის სხვით უარყოფა მისი განსაზღვრაა, მისი დაბოლოებაა, ე. ი. უარყოფის მომენტი ქმნის დაბოლოებულობას<sup>4</sup>.

<sup>1</sup> В. И. Ленин, Философские тетради, стр. 84.

<sup>2</sup> ეს სრულიადაც არ ნიშნავს იმას, რომ დაბოლოებულის ბუნება არარსს წარმოადგენდეს და, მაშ., მხოლოდ დაუბოლოებელი იყოს აბსოლუტური არსი, როგორც ეს ჰეგელს ეგონა, რადგან, ასეთ შემთხვევაში, დაბოლოებულიც უარყოფილი გამოვა, როგორც ამას ქვემოთ გავარკვევთ, და დაუბოლოებელიც, ე. ი. ჩაეარდებით უაზრობაში.

<sup>3</sup> აქედან ჰეგელს გამოჰყავდა დაბოლოებულის და დაუბოლოებელის მცდარი განმარტებანი: დაბოლოებული არის ის, რაშიც ცნება და არსი ერთიმეორისაგან განსხვავებულია, ერთიმეორისაგან განცალკევებულია; დაუბოლოებელი კი ისაა, რაშიც ცნება და არსი განუყოფელი და განუცალკევებელია (იხ. Wissenschaft der Logik, I, 5. 75. ლასონის გამოცემა).

აქ სიყალბე იმაშია, რომ დაბოლოებული, საბოლოო ანგარიშში, შეუძლებელი და არარსებული გამოდის (თუმცა სიტყვიერად იგი გარკვეული კატეგორიაა ჰეგელთან, თანახმად მისი დიალექტიკისა), ნამდვილი კი მხოლოდ დაუბოლოებელია, მხოლოდ ცნების და არსის იგივეობაა, იდეაა (წინააღმდეგ მისი დიალექტიკის მოთხოვნისა); განსხვავება იმასა, რაც არის, და იმას შორის, რაც უნდა იყოს, როგორც ენახავთ, არ არის განსხვავება დაბოლოებულსა და დაუბოლოებელს შორის, რადგან, რაც უნდა იყოს, ის შეიძლება არ იყოს არასოდეს (როგორც ამას მოითხოვს გერმანული იდეალიზმის ცნება Sollen-ისა), ე. ი. რჩება მხოლოდ დაბოლოებული.

<sup>4</sup> ჰეგელმა ეს უარყოფა აბსოლუტის ყოვლისშემძლე უნარად მიიჩნია და ამით საერთოდ დიალექტიკა და, კერძოდ, ლოგიკური მისტიფიკაციაქმნილი გასადა.



3. დაუბოლოებელის აუცილებლობა დაბოლოებულისათვის. განსაზღვრების ბუნების გარკვევამ ნათლად გვიჩვენა, რომ უარყოფა კავშირის მომენტი და საზღვარი, როგორც ეს ჰეგელმა კანტის წინააღმდეგ ბრძოლაში სამართლიანად ნათელყო, არის, ამავე დროს, კავშირი იმასთან, რაც საზღვარს იქით არის. სხვანაირად: როდესაც ერთი რაიმე უარიყოფა, ის მეორეში გადადის; დაბოლოებულის უარყოფა სხვას გვაძლევს.

მაგრამ საკითხავია, თუ რა არის ეს სხვა: ისევე დაბოლოებული, თუ დაუბოლოებელი? თუ სხვა ისევე დაბოლოებულია, მაშინ ის არსებითად იგივე იქნება, ე. ი. ისინი, როგორც დაბოლოებულნი, ერთიმეორისაგან არ იქნებიან განსხვავებული; მაგრამ თუ ეს სხვა დაუბოლოებელია, მაშინ ის სწორედ როგორც სხვა, ე. ი. დაბოლოებულის მიმართ სხვა და მის გვერდში მყოფი, არ იქნება დაუბოლოებელი. ამიტომ არ უნდა იყოს სწორი საკითხის ასეთი დასმა: დაბოლოებული რაში გადადის, დაბოლოებულში თუ დაუბოლოებელში? საკითხის ასეთი დასმა ნიშნავს დაბოლოებული დაუბოლოებლისაგან განცალკევებულად წარმოადგინო<sup>1</sup>, ე. ი. ჩავარდნე სრულიად ყალბ მდგომარეობაში, რადგან განცალკევებული არის დაბოლოებული და არა დაუბოლოებელი<sup>2</sup>.

დაბოლოებული, როგორც განვსაზღვრეთ, განვითარებაში მყოფი საგანია, რომელსაც შინაგანი უარყოფა ამოძრავებს და სხვად აქცევს; ასეთი საგანი ყველა სხვა საგანთან ურთიერთკავშირში იმყოფება. არ არსებობს არც ერთი მოვლენა არც ბუნებაში, არც საზოგადოებაში, რომ ის დაბოლოებული არ იყოს. ამ აზრით შეიძლება ითქვას, რომ მხოლოდ დაბოლოებული მოვლენები არსებობენ, არ არსებობს დაუბოლოებელი მოვლენა.

მაგრამ, მეორე მხრით, მხოლოდ დაბოლოებულის აღიარება არა მხოლოდ ლოგიკურადაა ყალბი მდგომარეობა, არამედ საერთოდ ანტიმეცნიერული და რელიგიის სამსახურში მყოფი თვალსაზრისია.

---

<sup>1</sup> ჰეგელს სწორედ ასეთი შეცდომა მოსდის, როცა დაბოლოებულის კატეგორიას ცალკე საფეხურად წარმოიდგენს, დაუბოლოებელს კი ცალკე საფეხურად, თუმცა ორივეს იღეაში გათქვეფავს; გათქვეფავს, რადგან დაბოლოებული და დაუბოლოებელი მასთან შედარებითი ცნებებია და არსის სფეროს ეკუთვნიან; ისინი არსის კატეგორიები არიან და არა არსების ან ცნების.

<sup>2</sup> მაგრამ ამ საკითხზე უფრო დაწვრილებით ქვემოთ გვექნება ლაპარაკი, როცა დაბოლოებულის და დაუბოლოებელის კავშირს განვიხილავთ, ახლა კი მხოლოდ იმას ვეხებით, რასაც დაბოლოებული წარმოადგენს.

თქმა იმისა. რომ ყოველი მოვლენა დაბოლოებულია და ამიტომ არ არსებობს დაუბოლოებელი, სიყალბის აღიარება იქნებოდა; მთელი სინამდვილე, როგორც სწორედ დაბოლოებულ მოვლენათა სინამდვილე, თვითონაა დაუბოლოებელი, დაუბოლოებელი სინამდვილე არსებობს უსასრულო დაბოლოებული მოვლენების სახით. მაგრამ მთავარი, სწორედ ჩვენი საკითხისათვის არსებითი, შემდეგშია.

საკითხს, როგორც აღვნიშნეთ, ერთი დაბოლოებულის მეორე დაბოლოებულში ან დაუბოლოებელში გადასვლა კი არ სწყვეტს, არამედ ის, რომ თვითონ დაბოლოებულში უნდა ვეძიოთ დაუბოლოებელი, როგორც მისი არსება, და ამის საფუძველზე ახსნილი იქნება ერთი დაბოლოებულის მეორე დაბოლოებულში გადასვლა, დაბოლოებულ საგანთა ურთიერთკავშირი.

საქმე იმაშია, რომ შინაგანი უარყოფის მქონე დაბოლოებული არ შეიძლება იყოს მხოლოდ დაბოლოებული. დაბოლოებული განსაზღვრულია; იგი წინასწარ გულისხმობს განმსაზღვრელსა და დამბოლოებელს. ამიტომ მოვლენათა ქვეყანა უსასრულოა. დაბოლოებულის ცნება წინასწარ გულისხმობს არადაბოლოებულსა და დაუბოლოებელს. დებულება, რომ ყველაფერი დაბოლოებულია, იმას ნიშნავს, რომ არაფერი არ არის დაბოლოებული, რადგან ეს ყველაფერი უსასრულოა და დამბოლოებელი ყოველი დაბოლოებულისათვის აუცილებელია. ყოველი დაბოლოებული მოვლენა დაუბოლოებელი სინამდვილის ერთ-ერთი (დაბოლოებული) მოვლენათაგანია, იგი ერთ-ერთია უსასრულო მოვლენათაგან.

დაბოლოებული არის ის, რომელსაც შეუძლია შინაგანი უარყოფა თავის განმსაზღვრელ არსებად შეინახოს თავის თავში. ასეთი რამ შედარებითი დამოუკიდებლობის მქონე უნდა იყოს, მას თავისთავადობაც უნდა ახასიათებდეს, წინააღმდეგ შემთხვევაში, იგი არც იარსებებდა, იგი მხოლოდ უარყოფა იქნებოდა<sup>1</sup>. ყოველი დაბოლოებული საგნის არსებობა იმას ნიშნავს, რომ ის, როგორც

<sup>1</sup> როგორც ეს ჰეგელს გამოუდის, წინააღმდეგ მისივე დიალექტიკისა. მეორე მხრით, სრულიადაც არ არის საჭირო და, ამავე დროს, სიყალბეცაა წინააღმდეგობის გაუქმება დაუბოლოებელის და კემპარიტების მისაღებად, როგორც ეს ჰეგელმა მოახდინა (ამით მან მეტაფიზიკას დიალექტიკაზე გაამარჯვებინა), — ეს დაბოლოებულის დამოუკიდებლობის გაუქმება იქნებოდა (აქაა ჰეგელის ლოგიკური ფატალიზმიც), — არამედ სრულიად საკმარისი (ამაზე მეტი მისი გაუქმება იქნებოდა) და ერთადერთი სწორი გზაა უარყოფის მომენტის მქონე მატერიალური საგნის არსებობის ფაქტის აღიარება (ამ მხრივ იყო სწორი არისტოტელეს ბრძოლა პლატონის იდეის სუბსტანციულობის წინააღმდეგ, რაზედაც ლენინი მიუთითებდა და მას (ამ ბრძოლას) მატერიალიზმის საერთოდ იდეალიზმის წინააღმდეგ ბრძოლად თვლიდა).

უარყოფის შემცველი და, მაშასადამე, გარკვეული აზრით, მისი დამძლე-შემნახველიც, დაუბოლოებელსაც შეიცავს, წინააღმდეგ შემთხვევაში, იგი არც იარსებებდა. მხოლოდ, წმინდა დაბოლოებულს არა აქვს აზრი, იგი არ არსებობს<sup>1</sup>. ასეთ შემთხვევაში დაბოლოებული არარაობად წარმოგვიდგება, როგორც ეს ჰეგელს მოუვიდა სწორედ აბსოლუტური იდეალიზმის წყალობით.

მაგალითად, თუ ვიტყვით, რომ კაპიტალიზმში არსებული შინაგანი უარყოფა ისეთი ბუნებისაა, რომ მას ვერასოდეს ვერ უძლებს იგი, მაშინ კაპიტალიზმი არასოდეს არ იარსებებდა, ე. ი. კაპიტალიზმი, როგორც დაბოლოებული რამ, ვერასოდეს ვერ შესძლებდა არსებობას. ამ გზით ყოველი დაბოლოებული საგანი გავვიქრებოდა და უძირო მისტიკაში გადავარდებოდით.

დაბოლოებულის ზემოთმოყვანილ ლენინურ განსაზღვრებაში სწორედ ის არის აღნიშნული, რომ თუ რაიმე აღებულია იმანენტური საზღვრის, მისი თავის თავთან იმ წინააღმდეგობის თვალსაზრისით, რომელსაც ის გაჰყავს თავის თავის გარეთ, ე. ი. — უარყოფის თვალსაზრისით, მაშინ ეს რაიმე არის დაბოლოებული<sup>2</sup>. მაშასადამე, აქ აღებულია რაიმე, ერთი „თვალსაზრისით“ („с точки зрения“) ერთი მხრით. დაბოლოებულობა საგნის მხოლოდ ერთი მხარეა. მთელი საგნის ამ მხარეზე დაყვანა მისი მხოლოდ უარყოფითობაზე დაყვანა იქნება (ამგვარი პროცესი კი კრატისებურ პროცესს მოგვცემს). რაიმეს, საგანს მეორე მხარეც აქვს (თუ შეიძლება მას „მხარე“ ეწოდოს), რომელიც ინახავს უარყოფას თავის თავში და თავისებურად ინახება ცვალებადობაში. სწორედ ამ აზრით უნდა გავიგოთ განვითარებაში საგანთა ურთიერთკავშირი. ყოველი საგანი, რომელიც სხვა, ასეთივე დაბოლოებულ, საგნებთან ურთიერთკავშირშია, დაბოლოებული საგანია, მაგრამ თვითონ ურთიერთკავშირი, როგორც გარკვეული კანონი, თავისი ბუნებით დაუბოლოებელია. დაბოლოებულ მოვლენათა განვითარების კანონი დაუბოლოებელია; იგი დაბოლოებულ საგანთა არსებაა.

ყოველი დაბოლოებული ასეთია, რადგან მას საზღვარი აქვს; მაგრამ შინაგანი უარყოფით ერთი საგნის მეორეში და ასე შემდეგ გადასვლა საზღვრის გადალახვაა (თვითონ საზღვარიც ხომ სხვას-

---

<sup>1</sup> ჰეგელის შეცდომა სწორედ ის არის რომ დაბოლოებულს. როგორც გარკვეულ საფეხურს განვითარების, წმინდა დაბოლოებულად წარმოადგენს, ამით მას წვეტს დაუბოლოებელისაგან, ე. ი. მეტაფიზიკურ შეცდომას სჩადის (როგორც ამას ადგილი აქვს მასთან რიცხობრიობას და თვისობრიობის დამოკიდებულების დროს).

<sup>2</sup> В. И. Ленин, Философские тетради, стр. 84.

თან კავშირია). საგანთა საზღვრები განვითარებით. გადაილახება; განვითარების წყარო კი არის ის შინაგანი წინააღმდეგობა, რომელიც ყოველი დაბოლოებულის არსებას წარმოადგენს. საგანი გარკვეული დადებითობაა, რომელსაც შინაგანი უარყოფა ახასიათებს. ყოველი საგანი არის დაბოლოებულის და დაუბოლოებელის ერთიანობა იმ აზრით, რომ დაბოლოებულის არსება დაუბოლოებელია. საგნის სხვა უსასრულო საგნებთან კავშირი მისი არსებაა. ის, რაც საგანს სხვა უსასრულო საგნებთან აკავშირებს, არას შინაგანი წინააღმდეგობა, როგორც საგანთა მოძრაობა-განვითარების წყარო, როგორც თითოეული საგნის არსება.

რამდენადაც ყოველი საგანი, შინაგანი უარყოფით სხვა საგანში გადადის და საერთოდ სხვა საგნებთან ურთიერთკავშირში იმყოფება, ამდენადაც დიალექტიკა ამბობს, რომ იგი ესეც არის და სხვაც. ეს არ ნიშნავს იმას, რომ თითქოს ერთი საგანი, მთელი თავისი კონკრეტული შინაარსით, იყოს ის, რასაც მეორე კონკრეტული საგანი წარმოადგენს. ეს უაზრობა იქნებოდა, და სწორედ ამ მხრით და ასეთ შემთხვევაში გამოიყენება წინააღმდეგობის შეუძლებლობის კანონი. ცხადია, რომ პროლეტარიატი არ არის მისი საპირისპირო ბურჟუაზია, კაპიტალიზმი არ არის მისი საწინააღმდეგო და გამომრიცხველი სოციალიზმი, საერთოდ მაგია არ არის მისგან განსხვავებული, მაგ., სკამი და ასე შემდეგ. წინააღმდეგობის შეუძლებლობის კანონი, როგორც აღინიშნა, საგანთა დაბოლოებულობას გამოთქვამს. მაგრამ ურთიერთკავშირი მხოლოდ უარყოფითი კი არ არის, არამედ დადებითია. ერთი საგანი მხოლოდ იმით კი არ უკავშირდება მეორეს, რომ ის არ არის მეორე. არა, მეორე მხრით, იგი არის მეორე — მისგან განსხვავებული და, საბოლოო, ანგარიშში, საპირისპირო. ამ მხრით, დაბოლოებული აუცილებლობით შეიცავს არადაბოლოებულს და დაუბოლოებელს.

ასე ითქმის, როგორც ეს ზემოთაც აღინიშნა, დაბოლოებულის ცნების შესახებ. ეს ცნება შეფარდებითია; დაბოლოებული დაუბოლოებელს გულისხმობს აუცილებლობით, არა იმიტომ, რომ ცნება დამოუკიდებელია, როგორც ეს ყალბად წარმოუდგენია ჰეგელს, არამედ იმიტომ, რომ ცნება სინამდვილის ასახვაა. დაბოლოებულას ცნება, ცხადია, ასახავს დაბოლოებულ საგანს, ე. ი. ისეთ საგანს, რომელიც უარყოფთა სხვის მიერ, რადგან თავისში შეიცავს უარყოფას: მაგრამ ასეთი აზრი საგნის შესახებ, როგორც ითქვა, სწორედ იმას გულისხმობს, რაც შეიცავს უარყოფას და არ უდრის მას. დაუბოლოებელი იქნება არა ერთ-ერთი ამ მხარეთაგანი, არამედ მათი დადებითი აუცილებელი კავშირი.

საგანი თავის განვითარებაში გადადის სხვაში, მაგრამ, რო-

გორც ცნობილია, — არა საეროდ ყოველგვარ სხვაში, არამედ გარკვეულ სხვაში. კაპიტალიზმი გადადის მაინცდამაინც სოციალიზმში, ეს უკანასკნელი — მხოლოდ კომუნიზმში; წყალი ორთქლად გადაიქცევა ან ყინულად და არა სხვა რამედ. ეს ნიშნავს იმასაც, რომ ყოველი საგანი სხვას როგორღაც თავისი შინაგანი განსაზღვრულობიდან იძლევა და თვითონ სხვაში თავისებური, მოხსნილი სახით ინახება.

ეს გარემოება ააშკარავებს იმას, რომ ყოველი საგანი თავის დაბოლოებულობაზე მეტია (ცხადია, არა რიცხობრივი აზრით), იგი დაუბოლოებელის შემცველი დაბოლოებული საგანია. განვითარებით საგნის საზღვარი, მისი განსაზღვრულობა კი არ ისპობა, არამედ გადაილახება; საგნის დაბოლოებულობის ეს გადალახვა აუცილებლობით არადაბოლოებულობისა და დაუბოლოებლობის რაღაც მომენტს შეიცავს.

მხოლოდ განვითარების თეორია არის ერთადერთი თეორია, რომელიც დაუბოლოებელს აგვიხსნის, ე. ი. ის დაბოლოებულობას ამხსნელი ერთადერთი თეორიაა. დაბოლოებული საგნის, თავისი შინაგანი უარყოფის საშუალებით, სხვაში გადასვლა მის ახსნასაც წარმოადგენს; არსებულში მოხსნა აზრისათვის ახსნის საფუძველია. კაპიტალიზმის არსება სწორედ მაშინ არის ახსნილი, როცა მისი მომხსნელი აღმოჩნდება. ასეთი აღმოჩენით 'მარქსმა და ენგელსმა დაასაბუთეს ერთდროულად როგორც კაპიტალიზმის მოხსნის, ისე, ამ გზით, სოციალიზმის დამყარების აუცილებლობა; ეს ორი რამ არსებითად ერთი და იგივე აუცილებლობაა. დაბოლოებული უარყოფს თავის თავს აუცილებლობით, აქედან გამომდინარეობს არადაბოლოებულისა და დაუბოლოებელის აუცილებლობა. დაბოლოებულის მიერ თავის თავის უარყოფა შეუძლებელია მასში მოქმედი დაუბოლოებელის მომენტის გარეშე. დაბოლოებული თავის თავის უარყოფას ვერ შეძლებს, თუ მასში დაბოლოებულზე მეტი არ არის, თუ მის არსებას დაუბოლოებელი არ შეადგენს. ამ მომენტის გარეშე შესაძლებელი იქნება მხოლოდ გარეგანი უარყოფა და არა შინაგანი; შინაგანი უარყოფა და შინაგანი წინააღმდეგობა შესაძლებელია მხოლოდ დაუბოლოებელის საშუალებით და მისი სახით. გარეგანი უარყოფა თვითონ არის შინაგან უარყოფაზე დამყარებული. მხოლოდ გარეგანი უარყოფის აღიარებაც მოითხოვს დაუბოლოებელის აღიარებას, მაგრამ მას ეს დაუბოლოებელი რაღაც მიღმურ, იმ ტრანსცენდენტურ ძალად, ღმერთად უნდა ჰქონდეს ნაგულისხმევი, რომელიც ფატალური აუცილებლობით განსაზღვრავს ყველაფერს და ამიტომ უარყოფაც, საბოლოო ანგარიშში, მხოლოდ მის შედეგს წარმოადგენს.

დაბოლოებული აიხსნება შინაგანი უარყოფით. მაგ., კაპიტალიზმის გაგება მხოლოდ იმას კი არ ნიშნავს, რომ ვიცით მისი ფუნქციონირების აუცილებელი წარმოშობა, არამედ — იმის ცოდნასაც, თუ როგორ და რა წარმოიშობა თვითონ კაპიტალიზმიდან. კაპიტალიზმის არსება მაშინ ვიცით, როცა მისი შინაგანი უარყოფელი ძალა მოგვინახავს და, ამის გამო, ის შედეგიც ვიცით, რომელსაც ეს ძალა თვით კაპიტალიზმის დანგრევით იძლევა. ყოველი განსაზღვრულობა, იზოლირებულად აღებული, გარკვეულობას კი არა და სწორედ გაურკვეველობას წარმოადგენს. რაიმეს გაგება, როგორც ეს ამ შრომის პირველ თავშიც აღინიშნა, სხვა მოვლენათა სისტემაში მისი ადგილის მონახვას ნიშნავს<sup>1</sup>.

თუ რაიმეს მასში არსებული განსხვავებულობის გარეშე ივილებთ, მაშინ იგი საფუძვლად დაედება ტავტოლოგიურ დებულებებს, ე. ი. მივიღებთ უაზრობებს. წმინდა იგივეობა, აღებული განსხვავების გარეშე, გაურკვეველობაა; იგივეობის გარკვეულობა და განსაზღვრულობა განსხვავების საშუალებით მიიღება და, პირიქით, განსხვავებულობა იგივეობის გარეშე შეუძლებელი და უაზროა; წინააღმდეგობა, იგივეობისა და ერთიანობის გარეშე, უაზრობას წარმოადგენს, რამდენადაც სწორედ ერთსა და იგივეს წინააღმდეგობაზე ვლაპარაკობთ. საპირისპირო და განსხვავებული მომენტები ერთიმეორეს არკვევენ. გარკვეულობა მხოლოდ ურთიერთკავშირში და არა იზოლირებულ მომენტებში არსებობს. დაბოლოებული აზრს ჰკარგავს დაუბოლოებელის გარეშე (როგორც ამას ქვემოთაც გავარკვევთ) და პირიქით. მაშასადამე, მხოლოდ დაბოლოებული არის გაურკვეველობა და არა გარკვეულობა, როგორც ეს ძველ, მეტაფიზიკურ ლოგიკას ეგონა.

გაურკვეველობას წარმოადგენს (როგორც ეს ზემოთაც აღნიშნეთ) ისიც, თუ მოვლენათა განხილვის დროს, დაბოლოებულიდან, მხოლოდ დაბოლოებულიდან დაუბოლოებელზე ან პირიქით გადასვლას მოვინდომებთ; რადგან ურთიერთკავშირი მოვლენებს შორის არ უნდა წარმოვიდგინოთ, როგორც ერთიმეორისაგან იზოლირებული მოვლენების დაკავშირება; დაბოლოებული და დაუბოლოებელი არ უნდა წარმოვიდგინოთ, როგორც ერთიმეორის გარეშე მდგომი, ერთიმეორისადმი გულგრილი და მხოლოდ შემდეგ დასაკავშირებელი. ასეთ შემთხვევაში ერთიდან მეორეზე გადასვლის ცდინ მოხდენა შეცდომა იქნებოდა. თვითონ გადასვლა<sup>2</sup> დაბოლოებულისა

<sup>1</sup> იხ. ფ. ენგელსი, ბუნების დიალექტიკა, 1950, გვ. 239.

<sup>2</sup> სიტყვა „გადასვლა“ არ უნდა გავიგოთ პირდაპირ, თითქოს ერთი მეორეში გადაღის და იქ იმყოფება, როგორც გადასული; „გადასვლა“ სინამდვილის მოვლენებში უნდა გვესმოდეს, როგორც ერთის საფუძველზე მეორის შექმნის აუცილებ-

დაუბოლოებელში, და პირიქით, წინასწარ გულისხმობს მათ ერთე-  
ნობაში არსებულად.

ამჟამად სიყალბესთან გვექნება საქმე, თუ დაბოლოებულის ცნე-  
ბიდან დაუბოლოებელის ცნების, ან პირიქით, გამოყვანის აუცი-  
ლებლობას არსებულის განვითარების საფეხურებად წარმოვად-  
გენთ (როგორც ამას ჰეგელთან ჰქონდა ადგილი). დაბოლოებულს  
ცნებამ აუცილებლობით გვიჩვენა კავშირი დაუბოლოებელთან.  
დაბოლოებულის ცნებამ დაუბოლოებელის ცოდნა აუცილებლობით  
მოითხოვა. შემეცნების დროსაც ჯერ დაბოლოებული საგნები გვეძ-  
ლევა და შემდეგ ვწვდებით მათ არსებას — დაუბოლოებელს. არსე-  
ბა ნამდვილად არის დაბოლოებულისა და დაუბოლოებელის ერთიან-  
ობა, როგორც აუცილებელი კავშირი დაპირისპირებულთა; სწო-  
რედ ეს კავშირია ნამდვილი დაუბოლოებელი, როგორც ეს ქვემოთ  
უფრო ნათლად იქნება ნაჩვენები. ამ ცნებათა ერთიმეორეში გა-  
დასვლა ასახავს მათ მიერ წინასწარ ნაგულისხმევ საგანს, როგორც  
დაუბოლოებელის არსებად შემცველს; ანტიკომ ამ ცნებათა ნამდვი-  
ლი კავშირი მხოლოდ მატერიალიზმის ნიადაგზე დგომით შეიძლება  
შესრულდეს. ეს კავშირი მხოლოდ მატერიალისტურ დიალექტიკა-  
ში საბუთდება; ჰეგელის იდეალისტური დიალექტიკა კი მას აყალ-  
ბებს, თუმცა „რაციონალურ მომენტსაც“ იძლევა, რამდენადაც  
დაბოლოებულის და დაუბოლოებელის დიალექტიკას მოითხოვს  
(ეს მოთხოვნა მასთან, როგორც ითქვა, ვერ სრულდება).

ყოველი საგანი თავის განვითარებაში სხვა საგნად იქცევა, მახ-  
ში, გადადის, ეს კიდევ სხვაში და ასე შემდეგ. ეს იმასაც ნიშნავს  
(და ეს არის მთავარი და არსებითი), რომ განვითარებაში მყოფ  
საგანს უარყოფითი დამოკიდებულება აქვს თავის საზღვართან,  
მასშია უარყოფის „მოთხოვნა“; აქ უნდა ვეძიოთ დაუბოლოებელს  
მომენტი (დაბოლოებულში). ეს საგანი არის გარკვეული რამ, მაგ-  
რამ, ამავე დროს ის სხვაც არის და სხვა უნდა იყოს; მასშია შესაძ-  
ლებლობის და შეუძლებლობის ერთიანობა; აქედან იწყება დაბო-  
ლოებული საგნის თავის საზღვარს გარეთ გასვლა. უკეთ: ერთი  
საგნის მეორეში და ა. შ. გადასვლა შედეგია იმ მომენტის, როპე-  
ლიც დაბოლოებული საგნის არსებას წარმოადგენს და რასაც ვაჰ-  
ყავს იგი საზღვარს გარეთ; ეს მომენტი არის შინაგანი უარყოფის  
მომენტი. იგი საგნის გარკვეულობაცაა და მისი სხვასთან დამაკავ-

---

ლობა: ცნებებს ერთიმეორეში „გადასვლა“, ცხადია, არ ნიშნავს ერთი ცნების  
პირდაპირ მეორეში მოთავსებას, ან გადაქცევას. არამედ — მათ შორის ისეთ აუ-  
ცილებელ კავშირს, როცა ერთი, როგორც ზოგადი, მეორეს, როგორც ნაკლებად  
ზოგადს იქვემდებარებს; — როცა ნაკლებად ზოგადი უფრო ზოგადს მოითხოვს  
აუცილებლობით (ამის შესახებ ქვემოთ გვექნება ლაპარაკი).

შირებელიც. დაბოლოებული დაბოლოებულში გადადის დაუბოლოებელის, არსების, როგორც შინაგანი წინააღმდეგობის, საშუალებით.

ყოველი დაბოლოებულის განსაზღვრულობა შინაგან უარყოფას შეიცავს; ამიტომ გადადის იგი გარკვეულ და არა საერთოდ სხვაში; მაგრამ რა უნდა იყოს დაბოლოებულის ეს გარკვეული სხვა, თუ არა დაუბოლოებელი? დაუბოლოებელი, როგორც დაბოლოებულის არსება, არის აუცილებლობა, რომლითაც დაბოლოებულები არიან ერთიმეორესთან დაკავშირებულნი.

ასეთი მდგომარეობა უნდა იყოს აზრშიც, რომელიც დაბოლოებულია დაუბოლოებელთან კავშირს ასახავს. გადასვლა ხდება უარყოფით, უარყოფა კი ცნებას აფართოებს, საფუძველს აუცილებლობით იძლევა, მაგ., რიცხვის ცნება, როგორც ვიცით, უარყოფით ფართოვდება.

არ არის სწორი აზრი, რომელიც ამბობს, რომ აზროვნებაში, სახელდობრ, ლოგიკურ აზრში შინაგანი წინააღმდეგობით აუცილებელი კავშირის შესრულება, ერთი მხრით, აზრს სწყვეტს სინამდვილეს, რამდენადაც აზრს შინაგანი წინააღმდეგობით თითქოს დამოუკიდებელი განვითარება შეეძლებინებოდა; — ამით კი ჰეკელიანიზმს მივიღებთ. მეორე მხრით, კი აზრის შინაგანი წინააღმდეგობის, როგორც აუცილებელი კავშირის შექმნის საფუძველი, აზრს სინამდვილესთან გააიგივებს, რადგან ორივე სფეროს ერთი და იგივე კანონი ექნება და აზრის სპეციფიკურობა დაიკარგება.

მართალია, აზრის დამოუკიდებლობის აღიარება ჰეკელიანიზმი, მაგრამ აზრისათვის ისეთი კანონების აღიარება, რომელიც გამოორიციხავს სინამდვილის კანონის მასზე ბატონობას, სწორედ აზრის დამოუკიდებლობის აღიარება იქნება. ნამდვილად, შინაგანი წინააღმდეგობა, რომელიც საგანში არსებობს, აისახება აზროვნებაში და ეს ასახვა წმინდა უარყოფას, წინააღმდეგობის შეუძლებლობას კი არ ნიშნავს, არამედ თავისებურ წინააღმდეგობას, სახელობრ, ცნებათა და მსჯელობათა გარკვეულ დაპირისპირებას<sup>1</sup>.

პროლეტარიატისა და ბურჟუაზიის ურთიერთუარყოფა მათ კავშირსაც გვაძლევს აუცილებლობით. ყოველი წინააღმდეგობის ერთიანობაში საწინააღმდეგო მხარეთა ურთიერთგამორიციხვა ამ მხარეებს დაბოლოებულ მხარეებად ხდის, მაგრამ ამავე დროს სწორედ ეს ურთიერთგამორიციხვა წარმოადგენს მათი (ხსენებულ მხარეთა) აუცილებელი კავშირის მიღების ერთადერთ საშუალებას; წარმოადგენს იმას, რომლითაც აუცილებლობით მიიღება ერთიანობა. სახელდობრ, ერთიანობა დაპირისპირებულთა.

<sup>1</sup> ამის შესახებ უფრო დაწვრილებით შრომის მესამე თავში.



4. დაუბოლოებელის ცნება მათემატიკაში. როგორც აღინიშნა, დაუბოლოებულის ბუნება ნათლად გვიჩვენებს იმას, რომ მასში არის დაუბოლოებელის მომენტი; დაბოლოებულის ცნება დაუბოლოებულის ცნებას აუცილებლობით გულისხმობს. ახლა გასარკვევია თვითონ დაუბოლოებელის ცნება. დაუბოლოებელის ცნების გარკვევებზე შედეგად კიდევ უფრო ნათლად წარმოგვიდგება მისი დაბოლოებულთან კავშირი, და შესაძლებლობა მოგვეცემა ზოგადად მაინც მოვხაზოთ ხასიათი იმ ლოგიკურისა, რომელიც დაუბოლოებელს ამსახველი იქნება.

არსებობს დაუბოლოებელის სხვადასხვაგვარი გაგება. ჩვენ არ შევეუდგებით ამ გაგებათა ანალიზს, მხოლოდ ზოგადად აღვნიშნავთ თითოეული გაგების ღირსება-ნაკლს ნამდვილი დაუბოლოებელის ცნების ზუსტი დადგენისათვის.

როგორც აღინიშნა, და ეს მატერიალისტური დიალექტიკისათვის სრულიად ელემენტარულ დებულებას წარმოადგენს, ყოველი საგანი გადადის სხვაში, ეს უკანასკნელი კიდევ სხვაში და ასე შემდეგ უსასრულოდ. მაშასადამე, განვითარების პროცესს არა აქვს ბოლო, იგი უსასრულოა.<sup>1</sup>

ამ აზრითაა ნატურალური რიცხვთა სიმრავლე უსასრულო: 1, 2, 3, 4 და ა. შ. აქ არსად არ არის დასასრული, მაგრამ არც უსასრულო რიცხვი არსებობს; უსასრულო რიცხვის მოთხოვნა უსასრულობის დასრულების მოთხოვნა იქნებოდა. რადგან არ არსებობს ბოლო რიცხვი ნატურალური რიცხვებისა, ამიტომ ის არის არადაბოლოებული სიმრავლე. არადაბოლოებული განსხვავდება დაუბოლოებელისაგან. თუკი მათ გავივიკებთ, მაშინ უარყოფითი, მხოლოდ ე. წ. პოტენციალური უსასრულობა უნდა ვაღიაროთ.

როცა თანამედროვე მათემატიკურ ანალიზში უსასრულობის შესახებ ლაპარაკობენ, მხედველობაში აქვთ ან უსასრულოდ დიდი, ან უსასრულოდ მცირე, ან ორივე ერთად. მაგრამ, ამ შემთხვევაში,

<sup>1</sup> შეიძლება პირობით ერთიმეორისაგან განვასხვაოთ ტერმინები: „დაუბოლოებელი“ და „უსასრულო“. (ქართულში ამ ორი სიტყვის არსებობა ამის საშუალებას იძლევა). მართალია, სიტყვიერად ორივე ეს გამოთქმა უარყოფითია, მაგრამ შეგვიძლია ერთი დადებითი მნიშვნელობით ავიღოთ და მეორე უარყოფითი მნიშვნელობით. ჩვენ შევედგებით სიტყვა -დაუბოლოებელი“ დადებითი მნიშვნელობით ვიხმაროთ, სიტყვა უსასრულო კი — უარყოფითი აზრით, ე. ო. ერთ შემთხვევაში დადებითი დაუბოლოებლობა გვექნება, მეორე შემთხვევაში კი უარყოფითი, სახელდობრ, არადაბოლოებული. მაშასადამე, ჩვენ აქ საერთოდ სამ შემდეგ ცნებასთან გვექნება საქმე: დაბოლოებული, არადაბოლოებული ანუ უსასრულო და დაუბოლოებელი. აგრეთვე, ისიც უნდა ითქვას, რომ მათემატიკაში იხმარება მხოლოდ სიტყვა უსასრულო და არა დაუბოლოებელი, ამიტომ ჩვენც იძულებული ვართ მათემატიკის სფეროში სიტყვა „უსასრულო“ გამოვიყენოთ.

უსასრულობის ცნება გამოყენებულ უნდა იქნეს თავისი ზოგადი მნიშვნელობით და სწორედ ამის საფუძველზე იქნება გამართლებული ან უარყოფილი დებულებანი უსასრულოდ დიდის ან უსასრულოდ მცირის შესახებ. თუ გვინდა აქტუალურად უსასრულოდ დიდის ცნებით შევცვალოთ საერთოდ უსასრულოს ცნება და უსასრულო მცირესაც უარყოფთ, მაშინ მივიღებთ იმ შემცდარ თვალსაზრისს, რომელსაც ქვემოთ გავარჩევთ ტრანსფინიტურის ცნების განხილვასთან დაკავშირებით. თუკი უსასრულობის ზოგად ლოგიკურ ხასიათს უსასრულოდ მცირეში მოვთავსებთ, ისე რომ უსასრულობის ზოგადი ლოგიკური ცნების დასრულებულ აზრს გავუიგივებთ უსასრულოდ მცირეს აქტუალური უსასრულო მცირის მისაღებად, მაშინაც შემცდარ თვალსაზრისზე დავდგებით. განვიხილოთ ჯერ მეორე, შემდეგ პირველი თვალსაზრისი<sup>1</sup>.

ა. უსასრულო მცირის ცნების შესახებ. მარჯამდე არსებული ზღვართა თეორიის მიხედვით, რომლის წინააღმდეგაც მარქსი გამოდის, „ზღვარი განხილული იყო, როგორც უსასრულობაში გადაკარგული, რომელსაც ცვლადი შეიძლება მხოლოდ ბევრად თუ ნაკლებად „მიუახლოვდეს“, და არა როგორც ლოგიკურად დასრულებულად დახასიათებულნი თვით ცვლადის საშუალებით“<sup>2</sup>. მარქსი პირდაპირ ამბობს, რომ „ზოგ თანამედროვესთან ზღვარი დამალულია კიდევ იმაში, რომ დიფერენციალური ნაწილაკები და დიფერენციალური კოეფიციენტები გამოთქვამენ მხოლოდ მიახლოებით მნიშვნელობებს“<sup>3</sup>.

ზღვრის ზუსტი განმარტება ასეთია: „ამბობენ, რომ  $x$  რიცხვი არის  $x$  ცვლადის ზღვარი, თუ ყოველ წინასწარ აღებულ დადებით  $\epsilon$  რიცხვისათვის  $x$ -ის ისეთი მნიშვნელობა არსებობს, რომ დაწყებული ამ მნიშვნელობიდან  $x$ -ის (ან მისი არგუმენტის, თუ ის ფუნქციას წარმოადგენს) ყველა შემდგომი მნიშვნელობანი შეადგენენ რიცხვთა უსასრულო სიმრავლეს და ამასთანავე ყველა მათთვის სხვაობა  $x - \epsilon$  აბსოლუტური სიდიდით  $\epsilon$ -ზე ნაკლებია“<sup>4</sup>. ეს იმას არ ნიშნავს, რომ ზღვარი არის ცვლადის მიღმა, „უსას-

<sup>1</sup> თუ როგორ უნდა გვესმოდეს უსასრულოდ მცირე და აქ მოხმარებული უსასრულობა, ამ საკითხის გარკვევისათვის დავემყარებით მარქსის „მათემატიკურ ხელნაწერებს“ (იხ. კ. მარქსი. მათემატიკური ხელნაწერები, თარგმანი და გამოკვლევა ლ. გოკიელისა 1947 წ.).

<sup>2</sup> იხ. დასახ. შრომა, გვ. 190 — 191 — პროფ. ლ. გოკიელის გამოკვლევიდან.

<sup>3</sup> იქვე, გვ. 47.

<sup>4</sup> პროფ. ლ. გოკიელი. დიფერენციალური აღრიცხვა, გვ. 24. 1932 წ. იხ. აგრეთვე კომის თეორემა და მისი დამტკიცება პროფ. ლ. გოკიელის „მათემატიკური ანალიზის შესავალში“, გვ. 74.

რულობაში გადაკარგული“, არამედ იმას ნიშნავს, რომ ზღვარი „თვით ცვლადის მიერ არის მოცემული“, „თვით ცვლადის ხასიათით არაის გამართლებული“<sup>1</sup>. „თვით ცვლადის ცვლების ხასიათით აღრევე გვეტყვის, აქვს თუ არა ამ ცვლადს ზღვარი, და რიცხვი, რომელიც ცვლადის ზღვრად გამოდგება, თვით ცვლადის საშუალებით შეიძლება აგებული იყოს“<sup>2</sup>. „კოშის დებულება გვიჩვენებს, რომ ზღვრის არსებობისათვის ცვლადი უნდა იყოს სრულებით მკაფიო თავისებურების მატარებელი“<sup>3</sup>. „აქ არავითარ ლოგიკურ მიახლოებაზე და მიუღწევლობაზე არ შეიძლება ლაპარაკი. ზღვარი, როგორც ასეთი, სავსებით და ლოგიკურად დასრულებულად განსაზღვრულია თვით ცვლადის საშუალებით“<sup>4</sup>.

ჩვენი აზრით, აქ საქმე გვაქვს ცვლადის რიცხობრიობის თვისობრივ განსაზღვრულობა-გარკვეულობასთან, რომელიც მისთვის შინაგანია და რომელსაც ცვლა ამართლებს ყოველი თავისი მნიშვნელობით. ჩვენი პრობლემისათვის სწორედ ისაა საინტერესო, რომ უსასრულობას სასრულობა თავის შიგნით აქვს, ისე როგორც უსასრულობა სასრულოს შინაგან არსებას უნდა წარმოადგენდეს.

რას ეწოდება უსასრულოდ მცირე? ჩვენი საკითხისათვის, საკმარისია მხოლოდ შემდეგის აღნიშვნა:  $x$  ცვლადის ნაზრდი  $\Delta x$  რამდენადაც ნულთანაა უფრო ახლოს, იმდენად ცვლება თანაბარს უახლოვდება; ასეთ შემთხვევაში შეიძლება საუკეთესო გამოსავ-

ლად ის ავირჩიოთ, რომ  $\Delta x$  ნულს გავეუტოლოთ და  $\frac{\Delta y}{\Delta x}$ -ის ნაცვ-

ლად ავიღოთ  $\frac{0}{0}$ ; მაგრამ ეს შეცდომას წარმოადგენს, რადგან  $\frac{0}{0}$

სრულიად განუსაზღვრელი სიდიდეა, ამიტომ საჭიროა,  $\Delta x$  ნულისაგან განსხვავებული იყოს და ცვლებით არათანაბრობის სიძნელეც ავიციდინოთ თავიდან.  $\Delta x$  უნდა განეხილოთ, როგორც ცვლადი სიდიდე, რომელიც ნულისაკენ მიისწრაფის, როგორც უსასრულოდ მცირე. ფუნქციის ნაზრდს ვერც ნულს გავეუტოლებთ და ვერც ნულისაგან განსხვავებულ რაიმე ფიქსირებულ სიდიდეს. ამ ორი რაიმეს მექანიკური შეერთება პირდაპირ წინააღმდეგობას მოგვცემს. მათი „გაერთიანება უნდა მოხდეს უმაღლეს საფეხურზე ასვლით, გარკვეული დიალექტიკური

<sup>1</sup> იხ. კ. მარქსის „მათემატიკური ხელნაწერები“-ს ზემოთ დასახელებული გამოცემა, გვ. 108.

<sup>2</sup> იქვე, გვ. 106.

<sup>3</sup> იქვე, გვ. 106 — 107.

<sup>4</sup> იხ. კ. მარქსის „მათემატიკური ხელნაწერები“-ს ზემოთ დასახელებული გამოცემა, გვ. 108.

განვითარების საშუალებით<sup>1</sup>. „ავილოთ რაიმე ისეთი უსასრულოდ მცირე  $\Delta x$ , რომელიც ნულისაგან განსხვავებულ მნიშვნელობებს.

გაივლის, მაგალითად,  $1, \frac{1}{2}, \frac{1}{3}, \dots, \frac{1}{n}, \dots$  ერთი მხრით,  $\Delta x$ -ზე გა-

ყოფა და, მაშასადამე,  $\frac{\Delta y}{\Delta x}$ -ის შედგენა ჩვენ შეგვიძლია, რადგან  $\Delta x$ -ის ყოველი მნიშვნელობა ნულისაგან განსხვავებულია; მეორე მხრით, რაგინდ მცირე სიდიდით არ უნდა ავილოთ,  $\Delta x$  თავისი ცვალებების პროცესში თავისი სიმცირის მხრივ მას გადააჭარბებს, ასე რომ თავიდან აცილებული იქნება ის სიძნელე, რომელიც დაკავშირებულია ამა თუ იმ ცალკეულ, თუგინდ ძალიან მცირე რიცხვზე შეჩერებასთან. ამგვარად, უსასრულოდ მცირის, როგორც გარკვეული სახის ცვლადის, ცნებაში დიალექტიკურად გაერთიანებულია ის, რისი გაერთიანება ცალკეული რიცხვის ფარგლებში არ შეიძლება<sup>2</sup>.

$\Delta x$  ნულისაგან განსხვავებული სიდიდეა, ის ნულის უარყოფაა; მაგრამ ის არაა რომელიმე აქტუალური, რომელიმე ცალკეული მნიშვნელობის სიდიდე; არა, ის ამის უარყოფაა. ეს უკვე მეორე უარყოფაა; ორმაგი უარყოფით ნულს კი არ ვღებულობთ, „არამედ-შინაარსით უფრო მდიდარ ცნებას, გარკვეული სახის ცვლად სიდიდეს, სახელდობრ, უსასრულოდ მცირეს“<sup>3</sup>. უსასრულოდ მცირე თვით ამ ცვლად სიდიდეში უნდა ვეძიოთ და არა მის ცალკეულ მნიშვნელობაში. „ცვლადი  $1, \frac{1}{2}, \frac{1}{3}, \dots, \frac{1}{n}, \dots$ —მთელი ეს ცვლა-

დია უსასრულოდ მცირე და არა მისი ცალკეული მნიშვნელობანი. არც ერთი მისი ცალკეული მნიშვნელობა ვერ გახდება ყოველ ადებულ რიცხვზე, კერძოდ თავის თავზე, ნაკლები. მთელი ცვლადისათვის კი შეგვიძლია ყოველ დადებით რიცხვისათვის მისი ისეთი მნიშვნელობა მოვნახოთ, დაწყებული რომლიდანაც ცვლადი ადებულ რიცხვზე ნაკლებია“<sup>4</sup>. უსასრულოდ მცირე ვერ იქნება უკანასკნელი მნიშვნელობა, რადგან ასეთი არ არსებობს“<sup>5</sup>.

ამიტომ შეცდომად უნდა ჩაითვალოს აქტუალური უსასრულოდ მცირის თვალსაზრისი (მაგ., ლაიბნიცის, ნიუტონის თვალსა-

<sup>1</sup> იხ. კ. მარქსის „მათემატიკური ხელნაწერები“-ს ზემოთ დასახელებული გამოცემა, გვ. 114.

<sup>2</sup> იქვე, გვ. 114 — 115.

<sup>3</sup> იქვე, გვ. 115.

<sup>4</sup> იქვე,

<sup>5</sup> იქვე, გვ. 116.

ზრისები), რომელსაც მარქსი მისტიკურს ეძახის. უსასრულოდ მცირე არ არის ფიქსირებული სიდიდე და უსასრულობის მიღმა მყოფი ზღვარი, რომელსაც ვერასოდეს ვერ მივალწვევთ (აღნიშნული აზრით იყო განსაზღვრული კანტი თავის „ანტინომიებში“). როგორც ცნობილია, აქტუალური უსასრულო მცირით, როგორც მისტიკური იდეალური საგნით, ცდილობდა ლაიბნიცი განუწყვეტლობის დასაბუთებას.

ზემოთ ნათქვამიდან ისიც ნათელია, რომ თუ ცვლადი მის რამელიმე მნიშვნელობას არ შეიძლება გავუტოლოთ, იგი არ შეიძლება წარმოვიდგინოთ არც როგორც ამ მნიშვნელობათა ჯამი. ეს იქნებოდა თვითონ ცვლადის, ცვალების და მოძრაობის უარყოფა (ამით უარიყოფა ძენონის არგუმენტები მოძრაობის წინააღმდეგ<sup>1</sup>. მოძრაობა უარყოფილ იქნება, თუ ის იქნა განხილული ჯამის თვალსაზრისით). ცვალება და მოძრაობა თვითონ არის უსასრულოსა და სასრულოს მთლიანობა და არა უსასრულოდ მცირეთა ჯამი; ეს უკანასკნელი სწორედ უსასრულობის უარყოფა იქნებოდა. უსასრულობის ერთი და იგივე აზრია გამოყენებული როგორც უსასრულოდ მცირეში, ისე უსასრულოდ დიდში.

ბ. უსასრულო დიდის ცნების შესახებ. განვიხილოთ უსასრულოდ დიდის ცნების ჩვენთვის საჭირო მხარე, კერძოდ, აქტუალური უსასრულოდ დიდის ხასიათი. მაგალითისათვის ავიღოთ გ. კანტორის თვალსაზრისის გარკვეული მხარე და გავაკეთოთ რამოდენიმე შენიშვნა.

გეორგ კანტორი ანხზავებს ა.-უ. (A.-U.) — აქტუალურ უსასრულობას სამგვარ დამოკიდებულებაში: 1) რამდენადაც ის განხორციელებულია უმაღლეს სისრულეში, in Deo, — ეს არის აბსოლუტური უსასრულობა, აბსოლუტი; 2) რამდენადაც ის გამომკლავნებულია დამოკიდებულ, შექმნილ ქვეყანაში და 3) რამდენადაც შეიძლება მას აზროვნება მისწვდეს in abstracto როგორც მათემატიკურ სიდიდეს, რიცხვს<sup>2</sup>. ორი უკანასკნელი მნიშვნელობით იგი ენათესავება სასრულო ა.-უ. და იწოდება Transfinitum-ად, ზესასრულოდ. მათ განიხილავს მეტაფიზიკა და მათემატიკა, აბსოლუტურს კი — სპეკულატური თეოლოგია<sup>3</sup>.

თვითონ ასეთი დაყოფა იმ ნაკლს შეიცავს, რომ აბსოლუტური

<sup>1</sup> იხ. კ. მარქსის „მათემატიკური ხელნაწერები“-ს დასახელებული გამოცემა, გვ. 163, 179, 183.

<sup>2</sup> იხ. Zeitschrift für Philosophie und philosophische Kritik, ტომი 91, 1887 წ., რუსულად — „К учению о трансфинитном“; Новая идея в математике, сб. № 6, стр. 90. იხ. ამის შესახებ Б. Вышеславцев „Этика Фихте“. стр. 174 — 209; С. А. Богомолов, „Актуальная бесконечность“.

<sup>3</sup> Новая идея в математике, сб. № 6, стр. 91.

უსასრულობა რწმენის სფეროშია გადატანილი, ე. ი. აღიარებულია მისი გონებით მიუღწევლობა, ორი დანარჩენი კი — დაბოლოებულთან ისეა დაკავშირებული, რომ ამ უკანასკნელის ნაკლის შემცველი უნდა იყოს; როგორც ვნახავთ, ეს მართლაც ასეა, და ამიტომ დაუბოლოებელის პრობლემა გადაუწყვეტელი რჩება.

კანტორის აზრით, უსასრულობა შეიძლება წარმოდგენილი იქნეს ორგვარად: 1) როგორც არასაკუთრივ-უსასრულობა (Uneigentlich-Unendliche) — პოტენციალური უსასრულობა, რაც უსასრულოდ იზრდება ან მცირდება, მაგრამ მაინც სასრულო რჩება (შდრ. კანტის I და II აქტიონომიას) და 2) საკუთრივ-უსასრულობა Eigentlich-Unendliche) — სრულიად გარკვეული ფორმით მოცემული უსასრულობა<sup>1</sup>.

არასაკუთრივ-უსასრულობა არის ცვლადი სასრულო; ასეთი უსასრულობა არაა აქტუალური. კანტორი აქტუალური უსასრულოდ მცირის შეუძლებლობამ მიიყვანა იმ აზრამდე, რომ უსასრულოდ მცირე მხოლოდ სასრულოა და იქ არაა ნამდვილი უსასრულობა. ეს უკანასკნელი აქტუალურად შეიძლება არსებობდეს მხოლოდ უსასრულოდ დიდის სახით, რომლის შესაძლებლობა, კანტორის აზრით, პირველის შეუძლებლობას ასაბუთებს<sup>2</sup>.

შეცდომად უნდა ჩაითვალოს კანტორის აზრი: თუ არსებობს უსასრულობა, მაშინ ის უნდა არსებობდეს აქტუალური სახით; ასეთი რამ არ არის უსასრულოდ მცირე, მაშ., უსასრულობა მხოლოდ აქტუალური უსასრულოდ დიდი შეიძლება იყოს; და ამით პრობლემა უსასრულობისა აქტუალურ უსასრულოდ დიდის პრობლემაზე დაიყვანება. აქ შეცდომა იმაშია, რომ უსასრულობის არსებობიდან სრულიადაც არ გამომდინარეობს ის, რომ იგი უნდა იყოს უსათუოდ აქტუალურად უსასრულო; და რადგან არ არსებობს აქტუალური უსასრულოდ მცირე, ამიტომ უსასრულობა აქტუალურ უსასრულო დიდს რატომ უნდა უდრიდეს? ხომ შეიძლება არც აქტუალურად დიდი არსებობდეს? ხომ შეიძლება რომ საერთოდ აქტუალური უსასრულობის ცნება იყოს ყალბი? თუ პოტენციალური უსასრულობა არაა უსასრულობა, მაშინ აქედან არ უნდა გამოვიყვანოთ აქტუალური უსასრულობის აუცილებლობა; მაგრამ განვიხილოთ კანტორისეული აქტუალური უსასრულოდ დიდის ბუნება.

ნატურალურ რიცხვთა რიგში ყოველი რიცხვი სასრულოა; ეს რიგი არის სასრულო რიცხვთა რიგი; საკითხავია, ამ რიგის უსას-

<sup>1</sup> იხ. *Новые идеи математике*, № 6. стр. 3 — 4, 5, 82 — 86, 102 — 104.

<sup>2</sup> იხ. *C. Cantor, Grundlagen einer allgemeinen Mannigfaltigkeitslehre*, 1883. რუს. თარგმ. „*Новые идеи в математике*“, № 6, стр. 129.

რულობაში გაგრძელება ხომ არ მოგვეცემს განსხვავებულ რიცხვს. ხომ არ მიიღება აქ აქტუალური უსასრულო დიდი?

კანტის ანტინომიების მთელი სიძნელე სწორედ ამაში მდგომარეობდა, იგი ამ კითხვას უარყოფითად პასუხობდა; კანტის აზრით, არსებობს მხოლოდ პოტენციალური უსასრულობა და არა აქტუალური. გეორგ კანტორი ცდილობს აქტუალურად უსასრულოდ დიდის საკითხი დადებითად გადაწყვიტოს, ამტკიცებს რა; რომ ნატურალური რიცხვების უსასრულობაში გაგრძელების შემდეგ ჩვენ გვექნება ახალი ბუნების რიცხვი, ტრანსფინიტური რიცხვი ( $\omega$  — პირველი ტრანსფინიტური რიცხვი). საკითხავია, რით განსხვავდებიან სასრულო და ტრანსფინიტური სიმრავლეები ერთმეორისაგან?

სასრულო სიმრავლეს კანტორი შემდეგნაირად განმარტავს: „სასრულო სიმრავლეს ქვეშ ჩვენ გვესმის სიმრავლე, მიღებული ერთი საწყისი ელემენტიდან ახალ ელემენტთან უწყითი თანდათან მიმატების გზით, რომ შეიძლება მივიღოთ ეს საწყისი ელემენტი პირიქით  $M$ -დან ელემენტთა თანდათან ჩამოცილების გზით“<sup>1</sup>. სხვანაირად ეს იმას ნიშნავს, რომ სიმრავლე მოცემული მოცულობის მიხედვით სასრულოა, რადგან მოცულობით მოცემულობა იმას ნიშნავს, რომ სიმრავლე პირდაპირ ჩამოთვლილია. ეს არის რიცხვთა პირველი კლასი: 1, 2, 3, ...,  $V$ ...

სასრულოს უსასრულობისაგან განსახვავებლად დიდ როლს თამაშობს სიმძლავრის ცნება. ორი სიმრავლე ერთი სიმძლავრისაა, თუ მათ ელემენტებს შორის შეიძლება დავადგინოთ ურთიერთცალსახა თანადობა, ისე რომ ერთი სიმრავლის თითო ელემენტს უპასუხებს მხოლოდ ერთი ელემენტი მეორისა (მაგ., ტოლძალოვანი არიან: ლუწ და კენტ რიცხვთა სიმრავლენი, წრეხაზის წერტილები და ცენტრიდან წამოსული ხაზები). წვერთა სიმძლავრე ერთსა და იგივე რიცხვს გამოხატავს<sup>2</sup>. „სასრულო სიმრავლის შემთხვევაში სიმძლავრე ელემენტთა რაოდენობას ( $Anzahl$ ) ემთხვევა“<sup>3</sup>. სიმძლავრე ( $Mächtigkeit$ ) სხვადასხვა უნდა იყოს სასრულო და უსასრულო სიმრავლეებისათვის. ამ მხრით, უნდა განვასხვაოთ სხვადასხვა კლასები. პირველი კლასი იქნება ნატურალური რიცხვები<sup>4</sup>. სასრულო ტოლძალოვანი სიმრავლენი ხასიათდებიან ერთი და იგივე რიცხვით (იქვე, გვ. 135: ცისარტყელას ფერები და მუსიკა-

<sup>1</sup> Новые идеи в математике, № 6, стр. 178.

<sup>2</sup> იქვე, გვ. 104. 6. 7.

<sup>3</sup> იქვე, გვ. 6.

<sup>4</sup> იხ. იქვე კლასების შესახებ, გვ. 6, 7, 10, 49, 58-9, 60, 61, 62, 66 და სხვ.

ლური ტონები—საერთო 7-ია; ორი ხელის თითები და წერტილები ეგრ. წოდ. არითმეტიკულ სამკუთხედში). სასრულო სიმრავლეთა უარსებითესი ნიშანი არის ის, რომ ისინი არ არიან ეკვივალენტური არც ერთი მათი ნაწილისა<sup>1</sup>.

აქტუალური უსასრულო სიმრავლე კი პირიქით: მისი ჩამოთვლა არ შეიძლება, იგი მოცულობით კი არაა მოცემული, არამედ შინაარსით, მისი გარკვეულობით ზოგადი ნიშანია მოცემული. სასრულო გარკვეული რიცხვია, მაგრამ ყოველი გარკვეული რიცხვი არაა უსათუოდ სასრულო. თუ ერთობლიობა (სიმრავლე) სასრულოა, ესე იგი არაა ტოლძალოვანი თავის ნაწილის მიმართ, მაშინ აქტუალური უსასრულო სიმრავლე ყოველთვის ისეთია, რომლის გარკვეული ნაწილი მისადმი ეკვივალენტურია<sup>2</sup>. ერთძალოვნება არაა იგივეობრიობა — ტოლობა; მაგ., ნატურალურ რიცხვთა სიმრავლე უფრო ფართოა, ვიდრე ლუწ რიცხვთა სიმრავლე. მაგრამ ისინი ერთი სიმძლავრის არიან, ჩადგან თითოეულ ნატურალურ რიცხვს შეესატყვისება ის ლუწი, რომელიც მასზე ორჯერ მეტია, თითოეულ ლუწს კი — ის ნატურალური რიცხვი, რომელიც მისი ნახევარია. ანდა: ნამდვილ რიცხვთა ერთობლიობა, რომელიც აკმაყოფილებს პირობებს:  $0 \leq Z \leq 1$  უფრო ფართოა, ვიდრე  $Z^1$ , რომელიც განსაზღვრულია უტოლობებით:  $0 \leq Z^1 \leq \frac{1}{2}$ , მაგრამ ორივე სიმრავლე ერთი სიმძლავრისაა. ასევე ითქმის ორი სხვადასხვა სიგრძის გარკვეული მონაკვეთების შესახებ (სიმძლავრე სხვანაირად კარდინალურ რიცხვად იწოდება).

სასრულო რიცხვები ემორჩილებიან კომუტატურ კანონს:  $\alpha + \beta = \beta + \alpha$ , მაგრამ თუ  $\alpha$  და  $\beta$  არ არიან სასრულო რიგობითი რიცხვები, მაშინ  $\alpha + \beta$  საერთოდ განსხვავებულია  $\beta + \alpha$ -საგან. თუ ავიღებთ მაგ., ჯამებს  $1 + \omega$  და  $\omega + 1$ , პირველ ჯამს არ ექნება ბოლო ელემენტი, მეორეს კი ექნება, ამიტომ:  $1 + \omega \neq \omega + 1$ ;  $1 + \omega = \omega$  და  $\omega + 1 \neq \omega$ .<sup>3</sup>

არისტოტელეს მოჰყავდა შემდეგი არგუმენტი უსასრულობის წინააღმდეგ: რომ არსებულები უსასრულო, მაშინ სასრულო მისით დაინგროდა; ამას გ. კანტორი პასუხობს შემდეგნაირად: თუ ჩვენ ავიღებთ რომელიმე უსასრულო რიცხვს, რომელიც მოაზრებულია, როგორც განსაზღვრული, მაშინ მას შეიძლება მივუმატოთ სასრუ-

<sup>1</sup> Новые идеи в математике, стр. 179. იხ. აგრეთვე, Гарский Введение в логику и мелодологию дедуктивных наук, 1948, стр. 120.

<sup>2</sup> იხ. იქვე, გვ. 121.

<sup>3</sup> Новые идеи в математике, № 6 стр. 23 — 24, 118.



ლო რიცხვი და ამით უკანასკნელი არ მოისპობა (პირიქით, ამით უსასრულო რიცხვი შეიცვლება). შესაყრებთა შებრუნებული მიმდევრობა კი მოსპობს სასრულო რიცხვს<sup>1</sup>. სასრულო სიმრავლეებში სიმძლავრე და რიგობითი რიცხვი ერთმანეთს ემთხვევიან, უსასრულო სიმრავლეებში კი ერთიმეორისაგან მკაცრად განსხვავდებიან<sup>2</sup>.

ამის შემდეგ არ უნდა ითქვას ის, რომ  $\mathbb{W}$  გაურკვეველია, — არა, იგი პირიქით, არავითარ გაურკვეველს ცვალებადს, პოტენციალურს არ შეიცავს; ის არაა  $\aleph_1$  არამედ  $\aleph_{\aleph_1}$ ; ასე ითქმის ყველა ტრანსფინიტურ რიცხვზე<sup>3</sup>.

ხომ არ შეიძლება განვიხილოთ  $\omega$  როგორც ზღვარი ყველა სასრულო რიცხვისა? ამ კითხვაზე კანტორი პასუხობს ასე:  $\omega$  გარკვეული აზრით შეიძლება განხილულ იქნეს, როგორც ზღვარი, რომლისადმი მიისწრაფვის ცვლადი მთელი რიცხვი  $V$ , მაგრამ მხოლოდ იმ აზრით, რომ  $\omega$  არის უმცირესი ტრანსფინიტური რიცხვი; ის მკაცრად გარკვეული რიცხვია, რომელიც ყველა სასრულო  $V$  რიცხვზე მეტია. ამის ანალოგიურად,  $\sqrt{2}$ -ც არის ზღვარი ცვლად რაციონალურ რიცხვთა, მხოლოდ იმ განსხვავებით, რომ განსხვავება  $\sqrt{2}$ -სა და ამ მიახლოებულ წილადებს შორის უსასრულო მცირე ხდება, მაშინ როცა  $\omega - V = \omega$ , მაგრამ  $\omega$  ისევე გარკვეული და დასრულებულია, როგორც  $\sqrt{2}$ ; ასევე,  $\omega$  შეიცავს მისკენ მსწრაფ რიცხვთა ისევე ნაკლებ კვალს, როგორც  $\sqrt{2}$  შეიცავს რაიმეს რაციონალური წილადებისას. ტრანსფინიტური რიცხვები, გარკვეული აზრით, არიან ახალი ირაციონალური რიცხვები. ჩინი ისეთივე უფლებით არსებობენ, როგორც ირაციონალური რიცხვები<sup>4</sup>.

პოტენციალური უსასრულო არის გარკვეული ცვლადი სასრულო სიდიდე, აქტუალური უსასრულო კი უცვლელი, გარკვეული, მუდმივი სიდიდე და, მეორე მხრით, აღემატება ყოველ სასრულო რიცხვს, მაგ., ყველა სასრულო დადებითი რიცხვის ერთობლიობა. ეს სიმრავლე არის რომელიღაც საგანი თავისთვის<sup>5</sup>. პოტენციალურ უსასრულობას დამოკიდებული რეალობა აქვს, ის მიუთითებს აქტუალურ უსასრულობაზე, რომლის ძალითაც ის არის შესაძლებელი; ამიტომ სქოლასტიკოსები პოტენციალურ უსასრულობას ახასიათებენ ეპითეტით:  $\aleph_{\aleph_1}$ .

<sup>1</sup> Новые идеи в математике. № 6. стр. 10.

<sup>2</sup> იქვე, გვ. 94.

<sup>3</sup> იქვე, გვ. 110.

<sup>4</sup> იქვე, გვ. 114.

<sup>5</sup> იქვე, გვ. 122.

აქედან არ გამოდის ის, რომ A.-U. არ დიდებოდეს. არ დიდება მხოლოდ Absolutum<sup>1</sup>. ტრანსფინიტური; თავის მხრივ, იძულებით მიუთითებს აბსოლუტურზე, „კეშმარიტ უსასრულობაზე“, აბსოლუტურ მაქსიმუმზე, რის მიწვდომაც ადამიანური აზროვნების ძალას აღემატება<sup>2</sup>. კეშმარიტი უსასრულობა მხოლოდ ღმერთშია<sup>3</sup>.

ამიტომ, რომ გ. კანტორი თავის თვალსაზრისს ავგუსტინეს უკავშირებს. ამით დახასიათებულია ის ნაკლიც, რომელიც ტრანსფინიტურის შესახებ მოძღვრებას აქვს. ტრანსფინიტური არის სასრულოდან ღმერთზე გარდამავალი მისტიკური საფეხურის მაგვარი რამ. გაუგებრობას ისიც ქმნის, თუ როგორ შეიძლება ღმერთი უსასრულო სიდიდედ წარმოვიდგინოთ; თუკი უსასრულობა მხოლოდ სიდიდე არ არის და ღმერთს სიდიდედ არ წარმოვიდგენთ, მაშინ არც ტრანსფინიტური იქნება მხოლოდ რიცხვი; იგი უსასრულო სიმრავლის გარკვეული თვისობრიობის არასწორ აღნიშვნას უნდა წარმოადგენდეს. მაგრამ კანტორთან ასეთი თვისობრიობა გამორიცხებულია; იქ მხოლოდ სიმრავლეზეა ლაპარაკი.

თუ ა, გარკვეული აზრით, ზღვარია მზარდი ბოლოვადი რიცხვისა V, მეორე მხრით. ისიც უნდა ითქვას, რომ ეს ბოლოვადი რიცხვი არასოდეს არ მიუახლოვდება მას; ნებისმიერად დიდი რიცხვი ისევე შორსაა ა-დან, როგორც უმცირესი სასრულო რიცხვი<sup>4</sup>.

სასრულო სიმრავლეთათვის მტკიცდება, რომ თუ სამი სასრულო რიცხვიდან a, b და c -უკანასკნელი პირველი ორი ჯამის ტოლია:  $a + b = c$ , მაშინ c არასდროს არ შეიძლება რომელიმე შესაკრებთაგანს ეტოლებოდეს. თუ ამ რიცხვთა სასრულობას უარყოფთ, მაშინ უარყოფილი იქნება ეს წესიც; როგორც ვნახეთ, უსასრულო თავისი ნაწილის ეკვივალენტურია. ამაშია, კანტორის აზრით, უდიდესი განსხვავება სასრულო და უსასრულო რიცხვებს შორის.

კანტორს ეს განსხვავება მიჰყავს იქამდე, რომ ტრანსფინიტური სასრულოსაგან სრულიად მოწყვეტილი გამოდის. აქტუალური უსასრულო, მისი სიტყვებით, არის „სრულიად ახალი რიცხვითი სახე“<sup>5</sup>. იგი „სრულიად გარეშეა უსასრულო რიცხვითი რიგისა I, 2,

<sup>1</sup> Новые идеи в математике, № 6, стр. 163 — 184.

<sup>2</sup> იქვე, გვ. 124.

<sup>3</sup> იქვე, გვ. 21.

<sup>4</sup> იქვე, გვ. 126.

<sup>5</sup> იქვე, გვ. 81.

3.4 და ა. შ.<sup>1</sup>. „ეს არ არის უსასრულო რიცხვთა მ.ქსიმუმი“ (ასეთი მაქსიმუმი საერთოდ არ არსებობს) — ის არის მინიმუმი ტრანსფინიტურ რიცხვთა სიმრავლეში (აქ იგი ეკმათება Fontenelle-ს, რომელიც ტრანსფინიტურს ეძებდა 1, 2, 3...  $\sqrt{\dots}$  რიცხვთა რიგში). აქ აღნიშნული მომენტი ანგრევს კანტორის თეორიას (ამაზე კიდევ ქვემოთ).

ზოგიერთი, კანტორის თეორიის საფუძველზე, ცდილობს გადაწყვიტოს ისეთი პრობლემები, როგორცაა კანტის ანტინომიების პრობლემა და ძენონის აპორიები<sup>2</sup>. ეს გარემოება სრულიადაც არ არის შემთხვევითი. კანტი იღგა პოტენციალური უსასრულობის საფუძველზე. კიდევ მეტი, როგორც ამას კანტორიც აღნიშნავს, კანტი თავის ანტინომიებში უსასრულობის ცნებას ყოველგვარი წინასწარი კრიტიკის გარეშე ხმარობს. კანტს უსასრულობის ცნება (თუკი შეიძლება აქ ცნებაზე ლაპარაკი, აღნიშნავს კანტორი) სრულიად ბუნდოვნად და გაურკვეველად აქვს წარმოდგენილი; მაგრამ კანტის მიერ ამ პრობლემის დასმამ მაინც დიდი როლი შეასრულა და შემდეგ კანტის ანტინომიებს დიდი ყურადღება მიაქციესო. კანტის დროიდან, განაგრძობს იგი, ფილოსოფოსებში განმტკიცდა შეხედულება, თითქოს აბსოლუტური არის სასრულოს იდეალური საზღვარი, ნამდვილად კი სასრულოს საზღვარი მხოლოდ ტრანსფინიტურია<sup>3</sup>.

ვუნდტმა სპეციალური გამოკვლევა დაწერა კანტის ანტინომიებისა და უსასრულობის პრობლემის შესახებ<sup>4</sup>, სადაც იგი აკრიტიკებდა კანტორის თვალსაზრისს. კანტორის აზრით, ვუნდტმა სრულიად ვერ გაიგო მისი თეორია<sup>5</sup>. ვუნდტი ნათლად ვერ არჩევს პოტენციალურ უსასრულობას აქტუალური უსასრულობისაგან. წინააღმდეგ შემთხვევაში, ის ორივე უსასრულობას ზღვარად არ გამოაცხადებდაო. ამბობს კანტორი<sup>6</sup>.

კანტორის აზრი მხოლოდ იმდენად შეიძლება სწორად ჩავთვალოთ, რამდენადაც პოტენციალური უსასრულობა, მართლაც, არ წარმოადგენს ნამდვილ უსასრულობას. მაგრამ აქედან, როგორც აღვნიშნეთ და შემდეგ უფრო ნათლად გავარკვევთ, სრულიადაც არ გამომდინარეობს აქტუალური უსასრულობის სისწორე, ის, რომ

<sup>1</sup> Новые идеи в математике № 6, стр. 126.

<sup>2</sup> იხ: С. А. Богомолов. Актуальная бесконечность. 1923.

<sup>3</sup> Новые идеи в математике № 6, стр. 87.

<sup>4</sup> Wundt. Kants kosmologische Antinomien und das Problem der Unendlichkeit. Philosophische Studien, Bd. II. S. 495 - 538. 1885; Wundt, Logik, Bd. II, S. 128 - 129.

<sup>5</sup> იხ. Новые идеи в математике, № 6, стр. 88.

<sup>6</sup> იქვე, გვ. 111, 113.

აქტუალური უსასრულობა არის ნამდვილი, კემმარიტი უსასრულობა.

კანტორი აკრიტიკებს ჰეგელის თვალსაზრისსაც უსასრულობის შესახებ. იგი აღნიშნავს, რომ არასაკუთრივ-უსასრულობა არ შეიძლება იწოდებოდეს „ცუდ“ უსასრულობად, რადგან იგი „ძალიან კარგი“ გამოდგა მათემატიკაში და ბუნებისმეტყველებაში<sup>1</sup>. აქ ზრული გაუგებრობაა: არც ჰეგელი და არც სხვა ვინმე უსასრულობის მიმართ სიტყვა „ცუდს“ არ ხმარობდა „კარგის“ საწინააღმდეგოდ და ამ სიტყვის პირდაპირი მნიშვნელობით. „ცუდი უსასრულობა“. ჰეგელისათვის, არის „არაჰემმარიტი უსასრულობა“, იგი უარყოფითი უსასრულობაა.

კანტორის აზრით, ჰეგელმა არ იცის არავითარი არსებითი განსხვავება აქტუალურ უსასრულობაში<sup>2</sup>. ჰეგელი, ამბობს კანტორი, არავითარი განსაკუთრებული ყურადღების ღირსი არაა, როგორც ამას ვუნდტი სჩადისო, რადგან იგი ბნელი, ბუნდოვანი, წინააღმდეგობრივია<sup>3</sup>. კანტორს არ სურს გაიგოს ის, რომ თავისებური წინააღმდეგობრიობა არსებითია ჰეგელის დიალექტიკისათვის; ჰეგელმა, მიუხედავად მისი მისტიციზმისა და აბსოლუტური იდეალიზმისა, მაინც მოგვცა „რაციონალური მარცვალი“ უსასრულობის გაგებაშიც.

უნდა ითქვას, რომ ჰეგელის დიალექტიკა გაცილებით მალა დგას, ვიდრე კანტორის მეტაფიზიკური თვალსაზრისი. კანტორი ცდილობს უსასრულო წარმოიდგინოს ცალკე, ამით იგი მის უარყოფამდე მიდის, როგორც ამას შემდეგ უფრო ზუსტად გავარკვევთ (უსასრულობა სასრულოს გარეშე თვითონ არის მხოლოდ სასრულო) და, მეორე მხრით, რიცხვად გადააქციოს ის, რაც თვისობრიობას წარმოადგენს (და რაზედაც ჰეგელი გარკვეულად მიუთითებდა). კანტორის მაგალითზე ჩვენ მხოლოდ ის გვსურდა, რომ ნათელგვეყო მათემატიკური აქტუალური უსასრულობის ცნების, კერძოდ, აქტუალური უსასრულო დიდის ცნების სიყალბე, და, რაც მთავარია, გვეჩვენებია უსასრულობის დადებითი განსაზღვრება მათემატიკაში.

ის წინააღმდეგობა, რომელიც დამახასიათებელი აღმოჩნდა ტრანსფინიტურ რიცხვთა თეორიისათვის, პირველად იტალიელმა მეცნიერმა ბურალი-ფორტიმ აღნიშნა, რაც მოკლედ შემდეგში მდგომარეობს. კანტორის მიხედვით არსებობს ყველა ტრანსფინიტურ რიცხვითი რიცხვის უსასრულო რიგი: 1, 2, 3, ...  $\aleph_1, \dots, \aleph_{\alpha+1}, \dots, \aleph_2, \dots, \aleph^2, \dots, \aleph$  აქ ჩვენ გვაქვს სავესებით დალაგებული

<sup>1</sup> Новая идея в математике. № 6, стр. 16.

<sup>2</sup> იქვე, გვ. 88.

<sup>3</sup> იქვე, გვ. 111.

სიმრავლე, რომლის ტიპი ავლნიშნოთ  $\Omega$  საშუალებით. ეს  $\Omega$  აქნება ახალი რიგითი რიცხვი. იგი მეტი იქნება ჩვენი რიგის რიცხვზე. თუ  $\Omega$ -ს ერთს მივუმატებთ, მივიღებთ:  $\Omega + 1 > \Omega$ , ჩვეულ რიგის რიგი შეიცავს ყველა რიგით რიცხვს, მაშ.,  $\Omega + 1$ -საც და გვექნება:  $\Omega + 1 < \Omega$ . ეს კი ანკარა წინააღმდეგობაა.

პროფ. ლ. გოკიელს ბურალი-ფორტის პარადოქსი ასე აქვს გამოთქმული: "განხილულია სიმრავლე ყველა ორდინალურ რიცხვთა როგორც სასრულო, ისე უსასრულო; მტკიცდება, რომ ეს სიმრავლე არის ნორმალურად დალაგებული. როგორც ნორმალურად დალაგებულ სიმრავლეს, მას უნდა ჰქონდეს თავისი ორდინალური რიცხვი. ამავე დროს, ეს უკანასკნელი, როგორც ორდინალური რიცხვი, ადრევე უნდა მონაწილეობდეს ამ ყველა ორდინალურ რიცხვთა სიმრავლეში, ე. ი. მასში, რის საშუალებით თვითონ ის პირველად განსაზღვრულია და, ამგვარად, თავისივე განსაზღვრას უნდა უსწრებდეს" (როგორც გამოიჩვენა, ეს პარადოქსი თვითონ კანტორს ჰქონია აღმოჩენილი 1895 წ.).

ანდა ავიღოთ რასელის პარადოქსი, სადაც ლაპარაკია ისეთ სიმრავლეებზე, რომელნიც თავის თავს, როგორც ელემენტს, არ შეიცავენ; კლასი „აღამიანი“ არ არის აღამიანი, ნატურალურ რიცხვთა სიმრავლე არაა ნატურალური რიცხვი. ავიღოთ სიმრავლე, რომელიც იმ სიმრავლეებისაგან შედგება, რომლებიც თავის თავს, როგორც ელემენტს, არ შეიცავენ, და დავსვათ საკითხი: შეიცავს თუ არა ეს სიმრავლე თავის თავს, როგორც ელემენტს? თუ ის შეიცავს თავის თავს, როგორც ელემენტს, მის შემადგენლობაში თვითონ ეს სიმრავლეა, ე. ი. — ისეთი სიმრავლე, რომელიც თავის თავს, როგორც ელემენტს, შეიცავს. ასეთ სიმრავლეებს კი ჩვენი სიმრავლე არ უნდა შეიცავდეს. თუ ის არ შეიცავს თავის თავს, როგორც ელემენტს, მაშინ ის სწორედ იმ ტიპის სიმრავლეა, რომელსაც ის უნდა შეიცავდეს და, მაშ., უნდა შეიცავდეს თავის თავს, როგორც ელემენტს. ორივე შესაძლებლობა წინააღმდეგობას ქმნის<sup>2</sup>. ასეთ წინააღმდეგობაში ჩავარდა კანტორის სიმრავლეთა თეორია.

ჩვენ აქ დავემყარებთ პროფ. ლ. გოკიელის მიერ მოხდენილ კრიტიკას კანტორის თეორიისა. ეს კრიტიკა ზოგადად შემდეგში მდგომარეობს: ნატურალურ რიცხვთა სიმრავლე 1, 2, 3, 4... — დაუსრულებელია; ტრანსფინიტური კი უფრო ძლიერია, ე. ი. იგი უფრო ძლიერია, ვიდრე უსასრულობა. ის უფრო ძლიერია „უბრალო“ უსასრულობაზე, მაგრამ თავის ძალას სწორედ უსასრულობიდანღებულობს. ა რიცხვი ნატურალურ რიცხვთა სიმრავლის შემდე-

<sup>1</sup> იხ. ლ. გოკიელი, სიმრავლეთა თეორიის დაფუძნების საკითხები, 1934, გვ. 7.

<sup>2</sup> იქვე, გვ. 78.

გია, მაშინ როცა ნატურალურ რიცხვთა უსასრულო რიგს შემდეგი არა აქვს. აქ შემდეგის არსებობის ფაქტის ცარიელი აღნიშვნა მიღებულია. როგორც „ახალი საბუთი ამ შემდეგის გამოჩენისათვის“<sup>1</sup>. „Бесконечность, выступившая вместо арены для различных процессов и изменений, в роли самого объекта этих изменений, потребовала новой арены для своего развития“<sup>2</sup>. ტრანსფინიტურის შემოყვანა არა თუ აძლიერებს უსასრულობის ცნებას, არამედ, პირიქით, ასუსტებს და ასრულებს მას<sup>3</sup>. ნამდვილად, ვინც ყველა რიცხვს 1, 2, 3, ...,  $\pi$ , ... ცნობს, სწორედ ამითვე ცნობს მათ უსასრულო სიმრავლეს. უსასრულობა უნდა ვეძიოთ აქ და არა ამ სიმრავლას არარსებული უქანასკნელი რიცხვის სახით<sup>4</sup>.

„აქტუალური უსასრულობის“ თვალსაზრისისათვის, სიმრავლის ელემენტების გვერდით გვაქვს ჰიპოსტაზირებული სახით აღებული თვითონ სიმრავლე, როგორც განსაკუთრებული დამატებითი შეკრებილობა სათანადო ობიექტების ერთობლიობისა... არის, ერთი მხრით, ელემენტთა სიმრავლე და, მეორე მხრით, თვით ჰიპოსტაზირებული სიმრავლე და ელემენტების ყოფნა სიმრავლეში წარმოვიდგება. როგორც განსაკუთრებული დამოკიდებულება მათ შორის, ნაცვლად იმისა, რომ საქმე გვქონდეს უბრალოდ თვით ცნებასთან საგანთა გარკვეული სიმრავლისა“<sup>5</sup>. „არ შეიძლება უსასრულობა, როგორც ასეთა, წარმოვიდგინოთ ნაადრევად დამთავრებული და ვილაპარაკოთ შემდგომ საფეხურზე ტრანსფინიტურის სახით“<sup>6</sup>.

უსასრულობის ასეთი გაგების ნიადაგზე ძენონის ერთ-ერთი აპორიის აზრი ასე ესმის პროფ. ლ. გოკიელს: „ის, რასაც ძენონის მსჯელობა ობიექტურად ასაბუთებს, შეიძლება ასეთნაირად გამოითქვას: თუ მოძრაობას წარმოვიდგენთ როგორც უძრაობის მდგომარეობათა ჯამს და უსასრულობას — როგორც აქტუალურ დაგროვებას სათანადო ელემენტების, მაშინ მოძრაობას მთელი გზის გავლისათვის ლოგიკურად უნდა უსწრებდეს მოძრაობა ამ გზის ნახევრის გავლისათვის და ა. შ., შედგენას აღებულ უსასრულობისა უნდა უსწრებდეს ლოგიკურად მისი უსასრულო

<sup>1</sup> იხ. ლ. გოკიელის სიმრავლეთა თეორიის დაფუძნების საკითხები, გვ. 5.

<sup>2</sup> Л. П. Гокпели. О трансфинитных числах. Труды второго все-союзного математического съезда, стр. 429, 1936. (მოხსენება, წაკითხული 1934 წ.)

<sup>3</sup> იხ. ე. ბარქსის მათემატიკური ხელნაწერები, ქართ. გამოც., გვ. 103.

<sup>4</sup> იქვე, გვ. 116.

<sup>5</sup> იქვე, გვ. 159.

<sup>6</sup> იქვე, გვ. 174.

ნაწილების შედგენა და ამ გზით მივღებთ უსასრულობაში რეგრესს<sup>1</sup>. ძენონის აპორიის აზრი და მისი კრიტიკა უნდა წარმოვიდგინოთ სწორედ ამგვარად და არა ისე, როგორც ამას კანტორის აქტუალური უსასრულობის თვალსაზრისი მოითხოვს<sup>2</sup>.

სიმრავლეთა თეორიის ზემოთ მოყვანილ სიძნელეთა თავიდან ასაცილებლად უაიტჰედმა და რასელმა<sup>3</sup> შექმნეს „ტიპთა თეორია“. კლასის ელემენტები არიან ობიექტები ერთი ტიპისა, მათგან შედგენილი კლასი კი — სხვა მაღალი ტიპის ობიექტია. სხვადასხვა ტიპის ობიექტები ერთმანეთის აღვილს არ იკავებენ. ამიტომ კლასის შესახებ არ შეიძლება დავამტკიცოთ არც ის, რომ ის არის წევრი თავის თავისა, და არც ის, რომ ის არაა წევრი თავის თავისა.

ჩვენ სრულიად სამართლიანად მიგვაჩნია პროფ. ლ. გოკიელის მიერ წარმოებული კრიტიკა რასელის ტიპების თეორიისა. ზოგადად ეს კრიტიკა შემდეგში მდგომარეობს: რომელიმე ტიპის ყველა საგანზე მსჯელობის დროს, სიტყვა „ყველა“ თავიდანვე ზოგადი აზრითაა მოხმარებული. — „ყველა“ აქ ტიპობრივი შეზღუდვის გარეშეა განხილული; მას მხოლოდ ამგვარად აქვს აზრი. ტიპობრივი შეზღუდვის გარეთ უკვე გამოვდივართ „ყველა“-ს საშუალებით, ამიტომ ზედმეტია „დაყვანის აქსიომა“, რომელიც ამ როლს უნდა ასრულებდეს რასელთან. ტიპებზე ლაპარაკის დროს, აგრეთვე, მოცემულია ნატურალური რიცხვის ცნება გარეშე ტიპობრივი შეზღუდვისა. რასელთან შეცდომა გვაქვს ტიპების განსაზღვრის დროსაც: პირველ ტიპში ისეთი საგნები შედიან, რომელთა განსაზღვრის დროს არ უნდა მივმართოთ ამ საგანთა სიმრავლეს. ეს გამოორიცხვა გამოსარიცხავს გულისხმობს და ეს „არ უნდა მივმართოთ“ უკვე მიმართვაა, რადგან აქ გულდაგულ გამოორიცხვაა გარკვეული საგნებისა. ამიტომ რასელთან, ასეთი განსაზღვრების დროს, ლოგიკურ წრესთან გვექნება საქმე. *Circulus vitiosus* ცარიელ შეუძლებლობას გამოთქვამს, ის უარყოფითი მნიშვნელობისაა. რასელთან კი იგი — გამოორიცხვა დადებითი მნიშვნელობისაა ტიპების განსაზღვრებისათვის. „*Circulus vitiosus*-ის პრინციპი ითხოვს, იმას, რომ საგნის განმარტებაში თვითონ ამ საგნის ცნება გამოყენებული არ იყოს. უამისოდ ეს საგანი უფრო აღრე დაგვეჭირებოდა, ვიდრე ის გვაქვს, იმისათვის, რომ ეს საჭიროება კიდევ უფრო აღრინდელი გახდეს და ასე შემდეგ უსასრულოდ“<sup>4</sup>. მაშასადამე, მივიღეთ, რომ

<sup>1</sup> იხ. კ. მარქსის მათემატიკური ხელნაწერები, ქართ. გამოც., გვ. 179.

<sup>2</sup> იხ. С. А. Богомолов. Актуальная бесконечность (Закон Эйнштейн II Георг Кантор), 1923.

<sup>3</sup> Whitchard and Russell. Principia Mathematica — I (1910, 1925), II (1912, 1927). III (1913, 1937).

<sup>4</sup> იხ. ლ. გოკიელი. სიმრავლეთა თეორიის დაფუძნების საკითხები, 1934, გვ. 14 — 19.

(სხვა გარემოებებს რომ თავი დავანებოთ) ტიპების თეორია სწორედ იმით არის დაავადებული, რისგან თავის დაღწევისათვისაც ის იყო მოგონილი. უსასრულობის ცნება მაინც სრულიად გაურკვეველი და სიძნელენი მოუგვარებელი დარჩა.

ზემოთ მოყვანილი საბუთები მიმართული იყო, საერთოდ, აქტუალური უსასრულობის და, კერძოდ, აქტუალური უსასრულოდ დიდის წინააღმდეგ. ახლა ვიკითხოთ, როგორ განსაზღვრავს უსასრულოდ დიდს თანამედროვე მათემატიკა? ეს განსაზღვრება შემდეგია: „ $x$  ცვლადის შესახებ ამბობენ, რომ ის არის დადებით უსასრულოდ დიდი, თუ ყოველ დადებით  $a$  რიცხვისათვის  $x$ -ის ისეთი მნიშვნელობა არსებობს, რომ დაწყებული ამ მნიშვნელობიდან ცვლადის ყველა მნიშვნელობისათვის  $x$  მეტი იქნება  $a$ -ზე“<sup>1</sup>. მაგ., ცვლადი — 1, 4, 6, 8, ...  $2n$  უსასრულოდ დიდია.  $x$  რომ დადებითი უსასრულობისაკენ მიისწრაფვის, ეს აღინიშნება ასე:  $\lim x = \infty$ . სიმბოლო  $\infty$  „რაიმე დამოუკიდებელ საგანს, რაიმე რიცხვს  $k$  არ წარმოადგენს, არამედ მხოლოდ გამოთქმის ფორმაა, იმ მიზნით შემოღებული, რომ საშუალება გვქონდეს გამოვთქვათ ის ფაქტი, რომ მოცემული ცვლადი არის უსასრულოდ დიდი“<sup>2</sup>. აქ ზღვრისაკენ მისწრაფება არა გვაქვს, რადგან ცვლადი ზემოდან შემოსაზღვრული არაა. „ $\lim x = \infty$ -ში გვაქვს მხოლოდ ერთი საგანი: ცვლადი  $x$  და სიმბოლო  $\infty$  არის მხოლოდ  $x$ -ის ცვლილების გარკვეული ხასიათის გამომხატველი და არა რაიმე საგანი, რომლის მიმართ ეს  $x$  გარკვეულ დამოკიდებულებასა“ ( $\lim x = a$ -ში  $k$  გვაქვს: ორი საგანი — ცვლადი სიდიდე  $x$  და რიცხვი  $a$  და მათ შორის გარკვეული დამოკიდებულება)<sup>3</sup>. დადებითი უსასრულოდ დიდის მსგავსად განიმარტება უარყოფითი უსასრულოდ დიდიც. ცვლადი, რომელიც არის ან დადებითი, ან უარყოფითი უსასრულოდ დიდი, უსასრულოდ დიდად იწოდება. „უსასრულოდ დიდს  $x$  საერთოდ ახასიათებს ის, რომ  $x$  დაწყებული გარკვეული მნიშვნელობიდან ერთსა და იმავე ნიშანს ინარჩუნებს და აღებულ დადებით  $a$  რიცხვისათვის  $x$ -ის ისეთი მნიშვნელობა არსებობს, დაწყებული რომლიდანაც  $|x| > A$ “<sup>4</sup>.

აქტუალური უსასრულოს თვალსაზრისის უარყოფა არ ნიშნავს „პოტენციალური უსასრულობის“ თვალსაზრისზე დგომას. პოტენციალური უსასრულობის ამლიარებელი ამას მსხვერპლად სწირავს უსასრულო სიმრავლის ცნებას საერთოდ, რადგან აქ

<sup>1</sup> იხ. პროფ. ლ. გოკიელის მათემატიკური ანალიზის შესავალი, 1938 გვ. 86.

<sup>2</sup> იქვე, გვ. 87.

<sup>3</sup> იხ. იქვე.

<sup>4</sup> იქვე, გვ. 88.



შესუსტებულია უსასრულობის შინაარსი. „უსასრულობა შეცვლილია უსასრულობის პოტენციით“. როგორც აქტუალური უსასრულობის, ისე პოტენციალური უსასრულობის თვალსაზრისებისათვის დამახასიათებელია ერთი და იგივე — „რეგისტრაციული“ მიდგომა<sup>1</sup>.

„აქტუალური უსასრულობის კონცეფცია — უსასრულო სიმრავლის გაგება უძრავი ობიექტების აქტუალური გროვის სახით — წარმოადგენს სიმრავლის ჰიპოსტაზირების თვალსაზრისის გამოვლენას უსასრულო სიმრავლის პირობებში. ამ კონცეფციისათვის მთელი სიმრავლის განსაკუთრებულ დაგროვებას უნდა უსწრებდეს დაგროვება, კერძოდ, მისი რაიმე უსასრულო ნაწილისა და ა. შ. უსასრულოდ. აქ ჩვენ გვაქვს უსასრულობაში რეგრესი, რომლისაკენაც მიგვიყვანს აღნიშნული კონცეფცია, და არა დადებითი მსვლელობა, რომელიც გადაგვაბიჯებინებს უსასრულობის ზღუდეს და აღნიშნავს სხვადასხვა ტრანსფინიტურ საფეხურებს. აღებული სიმრავლის უსასრულო ნაწილის განხილვა ხდება სიმრავლის და უსასრულობის მთლიანი ცნების ფარგლებში, და არ ნიშნავს იმას, რომ აღებული სიმრავლის სახით გვაქვს სიმრავლე სიმრავლის შემდეგ და უსასრულობა უსასრულობის შემდეგ. თვითონ სიმრავლე არ შეიძლება გაგებულ იყოს. როგორც ახალი და გაგრძობა: მისივე ელემენტების მიმართ. ტრანსფინიტური საფეხურების თვალსაზრისი გამოხატავს სასრულოს და უსასრულოს მეტაფიზიკურ დაპირისპირებას: „... პოტენციალური უსასრულობა იგივე ლოგიკურ რკალს შეიცავს. „უსასრულო სიმრავლე, როგორც ასეთი, განხილულია ელემენტების აქტუალური გროვის სახით, მაგრამ რადგან ჩვენ არ შეგვიძლია უკანასკნელთან საქმე გვექონდეს, მოვახდინოთ ელემენტების მთელი უსასრულობის რეგისტრაცია და მიმოხილვა, მიმოხილვის ეს პროცესი შენელებულია, უსასრულობა შეცვლილია უსასრულობაში პოტენციით და ერთგვარად უარს ამბობენ თვით უსასრულო სიმრავლის ცნებაზე, მისი აქტუალური შემოწვდომის შეუძლებლობასთან დაკავშირებით (ეს კრიტიკა გამოსადეგია კანტის წინააღმდეგაც. ს. წ.). ნამდვილად უსასრულობა უნდა ვეძიოთ და მოვნახოთ იქ, სადაც ის არის, და თუ გვაქვს, მაგალითად, უსასრულო პროცესი, უსასრულობა აქაც გამოყენებულია თავის სრული და ნამდვილი მნიშვნელობით და არა წინასწარვე დამუშავებული თავის მონაწილეობით მოცემულ გამოთქმაში; უსასრულო პროცესი სრულიად არ ნიშნავს „პოტენციალურად“ უსასრულო პროცესს და არ უნდა ვიფიქროთ, რომ უხას-

<sup>1</sup> იხ. კ. მარქსის „მათემატიკური ხელნაწერების“ ზემოთ მითითებული გამოცემა, გვ. 161 — 162, შენიშვნა.

რულობა მოცემულია აქ პოტენციალური უსასრულობის სახით და ჯერ კიდევ ელის განხორციელებას. კიდევაც რომ დავავალოთ უსასრულო პროცესს ემსახუროს უსასრულო დადგინებას იმისა, რომ თვით უსასრულობასთან გვექონდეს საქმე, მაშინაც ძალაუნებურად მასთან გვექნება საქმე“. აქტუალური და პოტენციალური უსასრულობის თვალსაზრისები რადგან ერთი და იგივე სტატიკურ მიდგომას წარმოადგენენ, ამიტომ უსასრულობის ნამდვილი ცნების მიღება არ უდრის მათ „დიალექტიკურ მთლიანობას“; უსასრულობის დიალექტურობა „დაკავშირებულია მთლიანობასთან ზოგადის და ცალკეულის, ერთეულის და მრავალის, სასრულოს და უსასრულოს და ა. შ.“<sup>1</sup>.

პროფ. ლ. გოკიელის მიერ სწორად არის მითითებული მათემატიკურ უსასრულოს ცნებაზე, რომ თვით სიმრავლე 1, 2, 3..., n..., და არა სხვა რამ, არის უსასრულობა, მაგრამ „დასრულებული აზრი უსასრულოს ზოგადი ლოგიკური ცნებისა“ მაინც არაა მასთან განსაზღვრულ-განმარტებული. საქმე იმაშია, თუ უსასრულო ცვლად სიმრავლეს რა დაიქერს. ეს იქნება არა რიცხვი, არამედ თვისობრიობა, მისი გარკვეულობა, კანონი, უარყოფითი უსასრულობის მომხსნელი და ამხსნელი. ცვლადი უსასრულო სიმრავლე არ არის ნამდვილი უსასრულო და მეტია სასრულოზე. გასარკვევია დაუბოლოებელის ცნება, რომელიც ასე თუ ისე ნაგულისხმევი აქვს ყოველ თეორიას როგორც სასრულოს, ისე სხვადასხვა უსასრულოს შესახებ. როგორც აქტუალური, ისე პოტენციალური უსასრულობის ცნებები, რომელთა ყალბი ხასიათი პროფ. გოკიელს ღრმად აქვს დახასიათებული, თვითონ მიუთითებენ, როგორც ამას ქვემოთაც ვნახავთ, ნამდვილი დაუბოლოებელის ცნებაზე, რომლის ზუსტ ლოგიკურ განსაზღვრებასაც ქვემოთ შევეცდებით. ზემოთ განხილული დებულებები მხოლოდ მასალაა იმისათვის, რომ დავადგინოთ დაუბოლოებელის ზუსტი განსაზღვრულობა და განსაზღვრება. მატერიალისტურ დიალექტიკამდე არსებული ყოველი ცდა დაუბოლოებელის განსაზღვრისა მარცხით დამთავრდა.

ყველაზე უფრო მნიშვნელოვანი, რაც გაირკვა მათემატიკაში მოხმარებული უსასრულობის გარჩევასთან დაკავშირებით, ეს არის უსასრულობის ცნება და მისი დადებითი განსაზღვრება მათემატიკაში, რასაც გადამწყვეტი მნიშვნელობა აქვს ლოგიკაში დღემდე გაბატონებული აზრის წინააღმდეგ, რომ უსასრულობის

<sup>1</sup> იხ. საქ. სსრ მეცნ. აკადემიის ფილოსოფიის ინსტიტუტის მეორე სამეცნიერო სესიის (1947 წ., 26 — 27 დეკემბ.) თეზისები პროფ. ლ. გოკიელის თემაზე: „აქტუალური და პოტენციალური უსასრულობა“.

თუ დაუბოლოებელის დადებითი განსაზღვრება შეუძლებელია, რადგან თვითონ ეს ცნებებია უარყოფითი; უარყოფითი ცნება მხოლოდ უარყოფითად განისაზღვრება. მაგრამ, როგორც ვნახეთ, მათემატიკამ მოახერხა, უსასრულობა დადებითად განესაზღვრა, სახელდობრ, შემდეგნაირად: უსასრულო რიცხვი არის ისეთი რიცხვი, რომელიც თავისი ნაწილისადმი ექვივალენტურია. აქ მოცემულია ის არსებითი, რომელიც უსასრულობის არსებით განსაზღვრულობას წარმოადგენს. ის, რაც მათემატიკაში გაკეთდა უსასრულობის დადებითი განსაზღვრების სახით, უნდა განზოგადდეს და გამოყენებულ იქნას ლოგიკისათვის, რომელმაც უნდა მოკვცეს საერთოდ დაუბოლოებელის დადებითი განსაზღვრება. დაუბოლოებელის, როგორც ფილოსოფიური კატეგორიის, დადებითი გაგება შეიძლება შემდეგ გამოყენებულ იქნას არა მხოლოდ ლოგიკურის ანუ ლოგიკური აუცილებლობის ბუნების გასაგებად (რაც ჩვენი შრომის მიზანს შეადგენს), არამედ ყოველ სპეციალურ მეცნიერებაშიც.

აქვე უნდა აღინიშნოს ისიც, რომ უარყოფითი შეიძლება სიტყვა არსებობდეს, მაგრამ არა ცნება, რადენადაც ეს უკანასკნელი საგნის არსების ასახვას წარმოადგენს. ცნების განსაზღვრულობას აქვს უარყოფის მომენტი, მაგრამ ეს არ ნიშნავს მის უარყოფითობას. ამიტომ დაუბოლოებელიც არ არის უარყოფითი ცნება, ე. ი. დაბოლოებულის მხოლოდ უარყოფა, — არადაბოლოებული, არა. იგი დადებითია და მისი განსაზღვრებაც დადებით უნდა იყოს.

**5. თვისობრივი დაუბოლოებელის აუცილებლობა.** დაუბოლოებელის ცნების სიძნელე არ უნდა იქნეს გამოყენებული ამ ცნების უარსაყოფად. სიძნელე დაძლეულ უნდა იქნეს და არა ხელაღებით უარყოფილი. დაუბოლოებელის სიძნელის გამო მხოლოდ დაბოლოებულის მიღება დაუძლეველ სიძნელეს შეიცავს, რადგან არსებობს უსასრულობა დაბოლოებულთა. დაუბოლოებელის უარყოფა შეუძლებელია დაბოლოებულისათვის და მისი აღიარებით.

თანამედროვე ბურჟუაზიული ფილოსოფია უარყოფს დაუბოლოებელს და მხოლოდ დაბოლოებულს აღიარებს; ეს უკანასკნელი კი, როგორც ცნობილია, ადვილი შესათავსებელია იდეალიზმთან და რელიგიასთან.

მაგალითისათვის ავიღოთ ჰილბერტის თვალსაზრისი. მისთვის დაუბოლოებელი არ არსებობს არც სინამდვილეში და არც აზროვნებაში; იგი, თანახმად კანტის ფილოსოფიისა, მხოლოდ იდეაა<sup>1</sup>. მაგრამ პოტენციალური უსასრულობის უარყოფა, ცხადია,

<sup>1</sup> Д. Гильберт, Основания геометрии. 1948, стр. 364.

არც პილბერტს შეუძლია და არც ცდილობს, რადგან ასეთი უსასრულობა არის არა მართლაც დაუბოლოებლობა, არამედ არსებობა — სასრულობა, დაბოლოებულობა. ის კი, ვინც პოტენციალურ უსასრულობას აღიარებს, ვალდებულია როგორმე მიიღოს დაუბოლოებელის ცნება; პოტენციალური უსასრულობა აუცილებლობით მოითხოვს თვითონ დაუბოლოებლობას, მის გარეშე იგი არ არსებობს. დაუბოლოებელის ცნების აუცილებლობა იმაში კი არაა, რომ თითქოს დაუბოლოებლობა იდეას წარმოადგენს, არამედ თვითონ სინამდვილეა დაუბოლოებელი და ცხადია მისი ცნებაში ასახვაც დაუბოლოებელის ცნების აუცილებლობას მოგვცემს. რიცხვთა უსასრულობა აუცილებლობით მოითხოვს იმას, რომ მისი ამსახველი ცნებაც იყოს სწორედ უსასრულობის ცნება და სხვა არაფერი. ის გარემოება, რომ „სინამდვილეში ჩვენ ვერსად ვერ ვბოლოობთ უსასრულობას“<sup>1</sup>, იმას კი არ ასაბუთებს, რომ არ არსებობს უსასრულობა, არამედ იმას, რომ უსასრულობის სასრულოდ ნახვა არ შეიძლება; უსასრულობას რომ ვერსად ვნახულობთ სინამდვილეში, სწორედ ეს ამტკიცებს ამ „ნახვის“ ცდის სიყალბეს. უსასრულობა არ უნდა გავუთიფივოთ სასრულოს. დაუბოლოებელი განვითარებაში მყოფი სინამდვილეა და არა მისი რომელიმე ნაწილი. რომელიმე საგანი, როგორც დაუბოლოებელის არსებად, მთელი განვითარების პროცესის ამხსნელ კანონად, წყაროდ შემცველი უნდა იყოს დაბოლოებულის და დაუბოლოებელის ერთიანობა. მათემატიკური უსასრულო სიმრავლე, ცხადია, არ იქნება რომელიმე და სადმე სანახავი სასრულო.

როგორც ზემოთ გაიჩვენა, არც აქტუალური უსასრულოდ მცირე არსებობს და არც აქტუალურად უსასრულო დიდი. ორივე შემთხვევაში ყალბი ცნებები გვაქვს. მაგრამ თვითონ უსასრულო სიმრავლის უარყოფა შეუძლებელია იმის საფუძველზე, რომ არ არსებობს არც აქტუალურად უსასრულო მცირე და არც ასეთი უსასრულოდ დიდი. ამ უკანასკნელთა მცდარობა თვითონ ასაბუთებს საერთოდ უსასრულო სიმრავლის ცნების სისწორეს. რიცხობრივი უსასრულობა უსასრულო პროცესია, იგი არ არის აქტუალური ჯამის სახით არსებული უსასრულობა; უსასრულო პროცესი ყოველთვის სასრულოცაა, მაგრამ არა მხოლოდ სასრულო; იგი ამიტომ, წინააღმდეგობის გამოხატულებათა, რომელიც (წინააღმდეგობა) არასოდეს არ დაიძლევა, ამიტომაც ყოველთვის სასრულო გვაქვს.

წინააღმდეგობის დაძლევა თუ მის გაუქმებად წარმოვიდგინეთ, მაშინ აქ პროცესის შეწყვეტა გვექნება და სრულიად დაბოლოე-

<sup>1</sup> Д. Гильберт, Основания геометрии, 1948, стр. 351.

ბულის თვალსაზრისზე დაედგებოდით. წინააღმდეგობის დაძლევა მაშინ გვაძლევს დაუბოლოებელს, როცა ამ დაძლევას წარმოვიდგინთ როგორც ერთიანობას, წინააღმდეგობის აუცილებელ კავშირს. ამიტომ დაბოლოებულთა პროცესი თვითონ გულისხმობს დაუბოლოებლობას და მას ახორციელებს. დაუბოლოებელი პროცესის სახით არსებობს. უკეთ: დაუბოლოებელი პროცესის კანონია; იგი სრულიად გარკვეული საფუძველია, როგორც არსება, უსასრულო პროცესისა<sup>1</sup>.

რიცხობრივი დაბოლოებული (მაგ., რომელიმე ნატურალური რიცხვი) ისეთია, რომლის საზღვარი მას სხვასთან არ აკავშირებს (განსხვავებით თვისობრივი დაბოლოებულისაგან), არამედ მხოლოდ მას იმეორებს; ერთი და იგივეს უსასრულოდ განმეორება გვაძლევს უსასრულო სიმრავლეს, რომელსაც ერთიანობა აკლია, თუ იგი თვისობრიობის გარეშე, წმინდად წარმოვიდგინეთ. ერთიანობა, რომელსაც რიცხობრიობა ვერასოდეს ვერ ასრულებს, თუმცა მას აუცილებლობით გულისხმობს და მოითხოვს, ე. ი. დაბოლოებული დაუბოლოებელს გულისხმობს და მოითხოვს, აი, სწორედ ეს ერთიანობა და დაუბოლოებლობა არის რიცხობრივი უსასრულობის გარკვეულობა, მისი თვისობრიობა.

ამიტომ მატერიალისტური დიალექტიკა გვასწავლის, რომ ნამდვილი დაუბოლოებლობა და შედარებითი დამოუკიდებლობა არც თვისობრიობას ეკუთვნის მხოლოდ და არც მხოლოდ რიცხობრიობას, არამედ მათ მთლიანობას; თვითონ საგანია შედარებითი დამოუკიდებლობის არსებად შემცველი; საგანი ამ არსებით არის სწორედ სხვასთან დამოკიდებულებაში და ურთიერთკავშირში მყოფი. არსების თვისობრივი ან რიცხობრივი, ერთმხრივი, განსაზღვრულობანი კი არ არიან დამოუკიდებლობის მქონე, არამედ მხოლოდ თვითონ არსება, როგორც დაუბოლოებელი, რომლის ასახვაც დაუბოლოებელის ცნებას მოგვცემს.

ამიტომ ყალბად უნდა ჩაითვალოს როგორც აზრი, რომლის მიხედვითაც დაუბოლოებლობა მხოლოდ რიცხობრიობაშია<sup>2</sup>, ისე ის აზრიც, რომ დაუბოლოებლობა თვისობრიობაშია ისე, რომ ნამდვილი დაუბოლოებლობა მხოლოდ ღმერთია (ჰეგელი). როდესაც ბოლცანო ჰეგელს აკრიტიკებდა იმაში, რომ დაუბოლოებელი თვისობრიობაა და იგი არის მხოლოდ ღმერთი, იქ ბოლცანო თვითონ ღმერთსაც უსასრულო სინამდვილედ, სახელდობრ, „ყველა შემართებათა“ სიმრავლედ წარმოიდგენდა<sup>3</sup>, ამიტომ ბოლცანო

<sup>1</sup> ამის შესახებ უფრო დაწერილებით იხ. ქვემოთ.

<sup>2</sup> მაგ. Bolzano, Paradoxien des Unendlichen. § 11.

<sup>3</sup> იქვე.

ასკენიდა, რომ არსებობს მხოლოდ რიცხობრივი დაუბოლოებლობა. მაგრამ აქ ორი შეცდომაა ერთდროულად დაშვებული: 1) მხოლოდ რიცხობრივი უსასრულობა პოტენციალური და უარყოფითი უსასრულობაა, ე. ი. ის ნამდვილად არ არის დაუბოლოებლობა. 2) თვისობრიობის მხოლოდ დაბოლოებულად წარმოდგენა მთელ სინამდვილეს ასეთად წარმოიდგენს და ამით სწორედ ღმერთისათვის რჩება ადგილი. მხოლოდ დაბოლოებულის აღიარება მეცნიერებას ეწინააღმდეგება და მხოლოდ იდეალიზმისა და რელიგიისათვის არის ხელსაყრელი.

რიცხობრიობის თვისობრიობასთან განუწყვეტლობა იმაშიც ჩანს, რომ ყოველი რიცხობრივი განსაზღვრულობა, ამავე დროს, როგორც ეს ზემოთაც აღინიშნა, თვისობრივ განსაზღვრულობასაც წარმოადგენს. „რიცხვი არის წმინდა რაოდენობრივი განსაზღვრა, რომელიც კი ჩვენ ვიცით. მაგრამ იგი სავსებით შეიცავს თვისობრივ განსხვავებებს“<sup>1</sup>. ჰეგელის შეცდომა სწორედ ის იყო, რომ იგი რიცხობრიობას წმინდა სახით წარმოიდგენდა; ენგელსისათვის კი რიცხვი თვისობრივ განსაზღვრულობასაც შეიცავს; მაგ., „16 არის არა მარტო თექვსმეტი ერთეულის შეჯამება, არამედ იგი არის აგრეთვე 4-ის კვადრატი და 2-ის ბიკვადრატი. უფრო მეტიც. მარტივი რიცხვები მათგან სხვა რიცხვებზე გამრავლების გზით მიღებულ რიცხვებს მიანიჭებენ ხოლმე ახალ, სრულიად გარკვეულ თვისებებს: მხოლოდ ლუწი რიცხვები იყოფა ორზე; ანალოგიურია განსაზღვრა 4-ისა და 8-თვის. 3-ზე გასაყოფად ჩვენ გვაქვს ციფრთა ჯამი, რომელთაგანაც მოცემული რიცხვი შედგება. ასევეა 9 და 6-ის მიმართ, როდესაც იგი უერთდება აგრეთვე ლუწი რიცხვის თვისებას. 7-თვის განსაკუთრებული კანონი არსებობს. ამაზეა დაფუძნებული სხვადასხვა ფოკუსები რიცხვებზე, რომელიც ამ საქმეში ჩაუხედავ ადამიანებს მიუწვდომელი ჰგონიათ. ამიტომ სწორე არ არის ის, რასაც ჰეგელი ამბობს... არითმეტიკის აზრობილებულობის შესახებ“. „ლაპარაკობს რა მათემატიკა უსასრულოდ დიდისა და უსასრულოდ მცირეს შესახებ, მას ისეთი თვისობრივი განსხვავება შემოაქვს, რომელსაც გადაულახავი თვისობრივი დაპირისპირების ხასიათიც კი აქვს: ჩვენ გვაქვს რაოდენობანი, რომლებიც ეგზომ დიდად განსხვავდებიან ერთმანეთისაგან, რომ ყოველგვარი რაციონალური ურთიერთობა, ყოველგვარი შედარება მათ შორის სწყდება, რომ ისინი რაოდენობრივად უთანაზომონი ხდებიან. ჩვეულებრივი უთანაზომობა, მაგალითად, წრეწირისა და სწორი ხაზის უთანაზომობაც ასევე წარმოადგენს დიალექტიკურ

<sup>1</sup> ფ. ენგელსი. ბუნების დიალექტიკა, გვ. 266.

თვისობრივ განსხვავებას; მაგრამ აქ სწორედ ერთგვაროვან სიღიღეთა რაოდენობრივი განსხვავება თვისობრივ განსხვავებას უთანაზომობამდე ზრდის“<sup>1</sup>.

ყოველი გარკვეული რიცხვი სწორედ იმიტომ არის გარკვეული, რომ თვისობრიობის განსაზღვრულობის მქონეა. რიცხობრივი უსასრულობა სწორედ მისი გარკვეული თვისობრიობის გამოა სრულიად გარკვეული. ეს მისი გარკვეულობა არის თვისობრიობა, რომლის ბუნებაც გამოითქმის დაუბოლოებელის ცნებით. თუ, როგორც ზემოთ აღვნიშნეთ, ცვლადის ბუნება განსაზღვრავს მის ზღვარს, რომ ზღვარი სწორედ ცვლადის გარკვეული თავისებურების აღნიშვნაა, მაშინ უსასრულობა თვითონ არის ის, რაც უსასრულო რიცხობრივი პროცესით გამოიხატება. უსასრულობა უსასრულო პროცესის არც შედეგია და არც ისეთი საფუძველი, რომელიც მანამდე არსებობს; არა, იგი არის მისი შინაგანი საფუძველი. ამიტომ უსასრულოს და სასრულოს მხოლოდ დიალექტიკური ერთიანობის აღიარება არის მათი ერთადერთი ქეშმარიტი გაგება.

როგორც ახლა აღინიშნა, შემცდარია ჰეგელი, როცა იგი წმინდა რიცხვის არსებობას აღიარებს; მეორე შეცდომა მას რიცხობრიობის თვისობრიობაში გადასვლის დროს აქვს დაშვებული; ეს წმინდა რიცხობრიობა რომ არის სწორედ ეს და არა სხვა, — ეს არის მისი თვისობრიობა; ასეთია ჰეგელთან თვისობრიობაში გადასვლა. მაგრამ რაც გადასვლამდე არის, იმის გამოთქმა ჯერ კიდევ გადასვლა ვერ იქნება, აქ მოხმარებულია სოფისტური ხერხი გადასვლის სიძნელის<sup>2</sup> დასაფარავად: ჰეგელს წმინდა აზრის ნიადაგზე. არ შეეძლო სხვაგვარად მოქცეულიყო. მან დიალექტიკისათვის სანიმუშო მეტაფიზიკურად გააყალბა სწორედ იდეალიზმის გამო.

6. დაუბოლოებელი როგორც კანონი. როგორც გაირკვა, რიცხობრივი უსასრულობის თვისობრიობა არის დაუბოლოებელი, თვითონ დაუბოლოებლობა. მაგრამ ცხადია, რომ არა ყოველი თვისობრიობა არის დაუბოლოებლობა. დაუბოლოებლობა არსების თვისობრიობაა. დაბოლოებული საგანიც გარკვეული თვისობრიობაა. მისი თვისობრიობა იმ შინაგან უარყოფას შეიცავს, რომლითაც ის გარკვეული რამ არის და რომლის საშუალებითაც იგი თავის თავს უარყოფს, თავის თავის გარეთ გადის, ჩაბმულია სხვა საგანთა კავშირში. მაშასადამე, დაბოლოებულის განსაზღვრება მის თვისო-

<sup>1</sup> ფ. ენგელსი. ბუნების დიალექტიკა, გვ. 266 — 267.

<sup>2</sup> В. И. Ленин, Философские тетради, стр. 89 და სხვ.

ბრიობას გამოსთქვამს. ასე უნდა გამოითქვას დაუბოლოებელიც, ე. ი. აუცილებელია ამ უქანასკნელის განსაზღვრება.

მატერიალური საგნის არსებობის ფაქტი იმას ნიშნავს, რომ ის არსებითად თავის თავზეა დამყარებული, რადგან სხვასთან კავშირი მისთვის შინაგანია; ამდენად იგი დამოუკიდებელია, უკეთ: ის არის შედარებით დამოუკიდებელი, წინააღმდეგ შემთხვევაში, არც იარსებებდა, როგორც გარკვეული რამ.

მაგალითად, მიჩურინული ბიოლოგია გვასწავლის, რომ ასიმილაცია-დისიმილაციის წინააღმდეგობა შინაგანია ორგანიზმისათვის, ამის გარეშე იგი არც იარსებებდა, მაგრამ ეს დამოუკიდებლობა შედარებითია და არა აბსოლუტური, წინააღმდეგ მორგან-მენდელის თვალსაზრისისა. ორგანიზმში ცოცხალი უჯრედების შექმნა შეუძლებელია სიკვდილის გარეშე, რადგან ასიმილაცია მოითხოვს ენერჯიას, რომელიც მიიღება ცოცხალი უჯრედების დაშლით — დისიმილაციით. ამიტომ ამბობდა ენგელსი, რომ სიცოცხლე სიკვდილს გულისხმობს, „სიცოცხლის უარყოფა არსებითად თვითონ სიცოცხლეშია, ასე რომ სიცოცხლე ყოველთვის იაზრება (ე. ი. ცნებებშიც ისეთივე დიალექტიკური დამოკიდებულებაა, როგორც მათ მიერ ასასახავ მოვლენებში. ს. წ.) იმ თავის აუცილებელს შედეგთან, სიკვდილთან მიმართებაში, რომელიც მასში მუდამ არის ჩანასახის სახით. სიცოცხლის დიალექტიკური გაგება მეტი სხვა არაფერია“<sup>1</sup>. „სიცოცხლე უწინარეს ყოვლისა, ჭწორედ იმაში მდგომარეობს, რომ ესა თუ ის არსება ყოველ წუთს იგივე-ცაა და მაინც სხვა. მაშასადამე, სიცოცხლე აგრეთვე თვით საგნებსა და პროცესებში არსებული, თავის თავის მუდამ დამდგენი და გადამწყვეტი წინააღმდეგობაა“<sup>2</sup>. („ასევე, — ამბობს იქვე ენგელსი, — აზროვნების სფეროშიც ვერ გავქცევით წინააღმდეგობებს“). „თავისთვის მუდამ დამდგენი და გადამწყვეტი წინააღმდეგობის“ შემცველი. ცხადია, შედარებით დამოუკიდებელი იქნება, რამდენადაც იგი არსებობს, როგორც გარკვეული საგანი.

თვითონ სიცოცხლის პროცესი, როგორც გარკვეული თვისობრიობა, არის შედარებით დამოუკიდებელი — შინაგანი, საკუთარი არსების მქონე. თუ სიცოცხლისადმი, როგორც მემკვიდრეობისა და შეგუების ერთიანობის პროცესისადმი, გამოვიყენებთ კატეგორიებს „დადებითი“ და „უარყოფითი“, მაშინ „მემკვიდრეობის და შეგუების მუდმივი განუწყვეტელი ბრძოლა“ დახასიათდება შემდეგნაირად: „მემკვიდრეობა შეიძლება გაგებულ იქნეს რო-

<sup>1</sup> ფ. ენგელსი, ბუნების დიალექტიკა, გვ. 305.

<sup>2</sup> ფ. ენგელსი, ანტი-დიუჩინგი, გვ. 144.



გორც დადებითი, შემნახავი მხარე, ხოლო შეგუება — როგორც უარყოფითი, მემკვიდრეობითი ნიშნების მუდმივ დამანგრეველი მხარე; მაგრამ ამდენადვე შეგუება შეიძლება განხილულ იქნეს როგორც შემოქმედი, აქტიური, დადებითი მოქმედება, ხოლო მემკვიდრეობა — როგორც წინააღმდეგობის გამწევი, პასიური, უარყოფითი მოქმედება. მაგრამ, მსგავსად იმისა, როგორც ისტორიაში პროგრესი არსებული წესწყობილების უარყოფის სახით გამოდის, ასევე აქაც წმინდა პრაქტიკული მოსაზრებებით უკეთესია შეგუება უარყოფით მოქმედებად იქნეს გაგებული<sup>1</sup>. მაშასადამე, შინაგანი უარყოფის მქონე, როგორც განვითარებადი რამ, შედარებითი დამოუკიდებლობის მქონეა.

საგნის დამოუკიდებლობა შედარებითია და არა აბსოლუტური, რადგან არც ერთი საგანი არ არსებობს სხვა საგნებთან დამოკიდებულების გარეშე; აბსოლუტური დამოუკიდებლობა მხოლოდ ერთ რამეს ეკუთვნის, ეს არის მთელი მატერიალური სინამდვილე, აღებული მთლიანად მთელს მის განვითარებაში. ის გარემოება, რომ საგანი ყოველთვის სხვასთან კავშირშია და გარკვეული პირობებით არის განსაზღვრული, იმას კი არ გვეუბნება, რომ საგნის არსებობა აბსოლუტურად სხვით არის განსაზღვრული, აბსოლუტურად სხვაზეა დამოკიდებული, რომ მას თითქოს არავითარი დამოუკიდებლობა არ გააჩნია. ასეთი გაგება ღმერთის აღიარებამდე მიგვიყვანდა; არა, ასეთ შემთხვევაში, საგანი არსებობსა და სხვასთან დამოკიდებულებასაც ვერ შეძლებდა; იგი არც იქნებოდა სხვისთვის საჭირო; სხვა საგანიც ხომ ასეთი იქნებოდა და მთელი სინამდვილე მოჩვენებად წარმოგვიდგებოდა.

ის გარემოება, რომ საგანი მხოლოდ სხვასთან დამოკიდებულებაში არსებობს, არ სპობს მის დამოუკიდებლობას, პირიქით, მისი დამოუკიდებლობა სწორედ იმაში ჩანს, რომ მას შეუძლია არსებობდეს სხვასთან დამოკიდებულებაში და სხვისთვის იგი აუცილებელია. მას შეუძლია მიიღოს სხვებისაგან განსაზღვრულობა, სხვათა ზემოქმედებას ღებულობს და აზრსაც აძლევს ამ ზემოქმედებას, იგი მათ მოითხოვს და პირიქით.

საგნის სხვასთან კავშირი, სხვაში გადასვლა შინაგანი წინააღმდეგობით არის შესაძლებელი, რაც თვისობრივი დაბოლოებულობისათვის დამახასიათებელია. ის, რითაც საგანი არსებითად გარკვეულია, არის ის, რომლითაც იგი სხვასთან არის აუცილებლობით დაკავშირებული, ამიტომ საგნის არსება უნდა იყოს ზოგადი, რომელიც დაპირისპირებულთა ერთიანობას წარმოადგენს;

<sup>1</sup> ფ. ენგელსი, ბუნების დიალექტიკა, გვ. 215 — 216.

ეს ზოგადობა შინაარსეული ხასიათისაა და მის ერთ მხარეს, მის გამოვლენას მოვლენათა სიმრავლეში გაშლა წარმოადგენს; ამიტომ რომელიმე ცნების მოცულობითი ზოგადობა მეორადი ხასიათისაა, იგი შედეგია შინაარსეული ზოგადობის.

დიალექტიკის პირველი ძირითადი ნიშანი იმას კი არ აღნიშნავს, რომ ყოველ საგანს მხოლოდ გარეშე პირობებით შეუძლია ისე არსებობა, რომ მას არავითარი შედარებითი დამოუკიდებლობა არა აქვს. არა, შედარებითი დამოუკიდებლობა, როგორც ითქვა, აუცილებელია ურთიერთკავშირისათვის. მიჩურინის მოძღვრების მენდელ-მორგანის მოძღვრებასთან დაპირისპირება და წინააღმდეგობა იმაში კი არაა, რომ, უკანასკნელი მოძღვრების საპირისპიროდ, იგი ყველაფერს მხოლოდ, ე. ი. აბსოლუტურად, გარეგანით განსაზღვრავს; არა, მატერიალისტური დიალექტიკის თანახმად, როგორც ცნობილია, მხოლოდ გარეგანი მხოლოდ შინაგანია და პირიქით; გარეგანს შინაგანის გარეშე და პირიქით აზრად ეკარგება. გარეგანის შინაგანად გადაქცევა აუმჯობესებს ჯიშს, გარეგანისა და შინაგანის დიალექტიკური ერთიანობა არის განვითარების პირობა და შესაძლებლობა.

დიალექტიკის პირველი ძირითადი ნიშანი მხოლოდ იმას კი არ აღნიშნავს, რომ რაიმეს არსებობა მხოლოდ გარკვეულ პირობებსა და სხვასთან გარკვეულ კავშირშია შესაძლებელი, არამედ იმასაც, რომ ეს რაიმე მხოლოდ სხვასთან აუცილებელ კავშირში გაიგება; — და რომ გასაგები სწორედ ის საგანია, რომელიც არსებობს სხვასთან ურთიერთკავშირში. ურთიერთობაც არ არის ყველაფრის მთქმელი, რადგან აქ საგნები, რომელიც ურთიერთკავშირში არიან, დაიკარგებოდნენ (როგორც ეს „მიმართების ლოგიკას“ გამოუღდის). ურთიერთკავშირი წინასწარ იმას გულისხმობს, რაც ამ ურთიერთკავშირში იმყოფება. ურთიერთობა და მისი ბუნება საგნის არსებიდან გამომდინარეობს. საგნის არსებიდან გამომდინარე არსებითი კავშირი არის განვითარების კავშირი, — ერთის შინაგანი ბუნებით მეორეში, ე. ი. მეორე საფეხურზე გადასვლა; ამიტომაც განვითარება ურთიერთკავშირის დედაარსი, მისი შინაარსი. ერთი და იგივეა საგნისა და განვითარება-ურთიერთკავშირის არსება.

დაბოლოებული საგანი გადადის მეორე დაბოლოებულ საგანში, ერთი მეორედ ხდება და ასე უსასრულოდ. მოვლენები დაუსრულებელი განვითარების პროცესში იმყოფებიან. ასეთ პროცესში მყოფ საგანს, როგორც დაბოლოებულს, ცხადია, ბოლო აქვს, მაგრამ როგორც მუდამ პროცესში, მუდამ გადასვლაში მყოფს არა აქვს ბოლო, რადგან იგი სრულიად სახეშეცვლილი, მაგრამ მაინც, აგრძელებს არსებობას, როგორც პირობა და ელემენტი

სხვისი არსებობის. დაბოლოებული დაუბოლოებელ პროცესშია ჩაბმული; დაუბოლოებელი პროცესი მის დაბოლოებულობას კი არ სპობს, არამედ მხოლოდ დიალექტიკურად ხსნის და აუცილებლობით გულისხმობს.

მარქსიზმ-ლენინიზმის კლასიკოსები დიდ მნიშვნელობას აძლევდნენ დაბოლოებულის და დაუბოლოებელის კატეგორიების გამოკვლევას, დიალექტიკის როგორც მეთოდის და შემეცნების თეორიის, შექმნა-დამუშავების საქმეში.

წინასწარ უნდა აღინიშნოს, ჯერ ერთი, — მატერიალისტური დიალექტიკის ელემენტარული დებულებაა, რომ თვისობრივად დაბოლოებული საგნები ცვალებადობის პროცესში იმყოფებიან, რომ თვალჩინა საგნები ყველა ბოლოვადია და მუდმივ ცვალებადობას განიცდიან.

მეორე. ამ პროცესს არა აქვს საზღვარი, ის უსაზღვროა. სინამდვილის განვითარება-ცვალებადობის პროცესი უსაზღვროა, რადგან მას არც დასაწყისი აქვს და არც ბოლო. „უსასრულობა — ამბობს ფ. ენგელსი, — რომელსაც დასასრული აქვს, მაგრამ დასაწყისი კი არა, არა მეტად და არა ნაკლებად დაუსრულებელია. ვიდრე უსასრულობა, რომელსაც დასაწყისი აქვს, მაგრამ დასასრული კი არა“<sup>1</sup>.

მესამე. ამ უსაზღვრო პროცესს რომ ბოლო არა აქვს; ეს იმას ნიშნავს, რომ იგი არ არის დაბოლოებული, ე. ი. ეს პროცესი არადაბოლოებულია; ფ. ენგელსის თქმით, ეს პროცესი „დაუსრულებელ, დროსა და სივრცეში დაუსრულებლად გაშლილ პროცესს წარმოადგენს“<sup>2</sup>. მაშასადამე, შეიძლება ითქვას, რომ დროისა და სივრცის პროცესი არასასრულო პროცესია. მაგალითად, ასეთია რიცხვთა რიგის უსასრულობა, როგორც უსასრულო პროცესი, სადაც არ არსებობს უსასრულო დიდი გარკვეული რიცხვი, ე. ი. სადაც ყოველი რიცხვი სასრულოა.

მეოთხე. მაგრამ საკითხავია ასეთი არასასრულო პროცესი უდრის თუ არა ნამდვილ უსასრულობას, დაუბოლოებელს? ამ კითხვაზე ფ. ენგელსი შემდეგნაირად პასუხობს: „ბუნებისა და ისტორიის ეს უსასრულო მრავალფეროვნება სივრცისა და დროის უსასრულობას — ცუდ უსასრულობას — შეიცავს როგორც მხოლოდ მოხსნილ, თუმცა არსებითს, მაგრამ მაინც როგორც არაუპირატეს მომენტს“<sup>3</sup>. მაშასადამე, დროისა და სივრცის უსასრულობა მოხსნილი სახით იგულისხმება ბუნებისა და ისტორიის ნამდვილ უსას-

<sup>1</sup> ფ. ენგელსი, ანტი-დიურინგი, გვ. 61, 1952 წ.

<sup>2</sup> იქვე, გვ. 62.

<sup>3</sup> ფ. ენგელსი, ბუნების დიალექტიკა, გვ. 244. 1950 წ.

რულობაში, დაუბოლოებელში, ამიტომ ეს ორი რამ ერთიმეორეს არ უდრის.

ამრიგად, როგორც ეს ზემოთაც აღინიშნებოდა, ერთიმეორისაგან უნდა გავარჩიოთ სამი ცნება: 1) დაბოლოებული, 2) არადაბოლოებული, უსასრულო, დაუსრულებელი, ე. ი. ისეთი უსაზღვრო, რომელიც ყოველთვის დაბოლოებულია, მაგრამ ბოლო არა აქვს, ე. ი. მეტია დაბოლოებულზე, როგორც არადაბოლოებული, მაგრამ განსხვავდება 3) ნამდვილი უსასრულობისაგან — დაუბოლოებელისაგან.

ახლა ვიკითხოთ, როგორია ნამდვილი უსასრულობა, დაუბოლოებელი, რომელიც, როგორც ფ. ენგელსი აღნიშნავს, უსასრულობას (დროისა და სივრცის უსასრულობას) მოხსნილი სახით თავის თავში შეიცავს?

უპირველეს ყოვლისა, უნდა აღინიშნოს, რომ დაუბოლოებლობა, ფ. ენგელსის აზრით, არის წინააღმდეგობა, — „უსასრულობა წინააღმდეგობაა და იგი აღსაყვება წინააღმდეგობებით“<sup>1</sup>. რა უნდა იყოს ეს წინააღმდეგობა? თავისთავად ცხადია, რომ ეს წინააღმდეგობა არის წინააღმდეგობა დაბოლოებულსა და დაუბოლოებელს შორის. დაუბოლოებლობას მხოლოდ დაბოლოებულობა უპირისპირდება და ეწინააღმდეგება. ამიტომ ფ. ენგელსი იქვე ამბობს, რომ: „წინააღმდეგობაა უკვე ის, რომ უსასრულობა მარტო დასრულებული სიდიდეებისაგან უნდა შედგებოდეს, ეს კი სწორედ ასეა“<sup>2</sup>. და შემდეგ: „უსასრულობა წინააღმდეგობაა, იგი დაუსრულებელ, დროსა და სივრცეში დაუსრულებლად გაშლილ პროცესს წარმოადგენს. წინააღმდეგობის მოსპობა უსასრულობის ბოლო იქნებოდა“<sup>3</sup>. მაგრამ. ენგელსის აზრით. როგორც ეს ზემოთაც ითქვა, სივრცის და დროის ეს უსასრულობა „ცუდი უსასრულობაა“, რომელიც მოხსნილი სახით შენახულია ნამდვილ უსასრულობაში.

მართალია, დაუბოლოებლობა წინააღმდეგობაა და ეს წინააღმდეგობა, პირველ რიგში, იმაში მდგომარეობს, რომ დაბოლოებული და დაუბოლოებელი ერთიმეორისადმი საპირისპირო და საწინააღმდეგო, მაგრამ არ ნიშნავს იმას, რომ დაუბოლოებელი დაბოლოებულისაგან იყოს მოწყვეტილი. ვ. ი. ლენინი წერს, რომ დაუბოლოებლობა, წარმოდგენილი დაბოლოებულის გარეშე „ცუდი დაუბოლოებლობაა“, — „Дурная бесконечность“ — бесконечность, качественно противоположная конечности, не связанная с ней, отгороженная от нее, как будто конечное было посторонним,

<sup>1</sup> ფ. ენგელსი, ანტი-დუერინგი, გვ. 62.

<sup>2</sup> იქვე.

<sup>3</sup> იქვე.

ა ბесკონეჩნოე პოტუსტორნიმ, კაკ ბუდო ბესკონეჩნოე სტოიტ ნად კონეჩნым, ვნე ეგო... ნა დელე ჟე ინი სუტ (კონეჩნოე ი ბესკონეჩნოე) ნერაძედელნი. ინი — ედინო სუტ“<sup>1</sup>.

მაშასადამე, დაბოლოებული და დაუბოლოებელი განუწყვეტელ ერთიანობაში იმყოფებიან.

მაგრამ საკითხავია, თუ როგორია ეს დამოკიდებულება. დაუბოლოებელი დაბოლოებულის მიმართ რას წარმოადგენს? ამ კითხვას ფ. ენგელსი სრულიად გარკვეულად პასუხობს, რომლიდანაც ნათლად ჩანს, რომ დაუბოლოებელის დაბოლოებულთან დამოკიდებულებას ერთი აზრი აქვს, მაგრამ შეიძლება სხვადასხვა ასპექტით იქნას განხილული.

ავიღოთ საკითხი ჯერ შემეცნების ასპექტში. ფ. ენგელსი წერს: „ჩვენ შეგვიძლია მხოლოდ სასრულოვანის შემეცნება და ა. შ.“ ეს იმდენად არის სავსებით მართალი, რამდენადაც ჩვენი შემეცნების სფეროში მხოლოდ სასრულოვანი საგნები გვხვდებიან; მაგრამ ეს დებულება ამასთანავე დამატებას საჭიროებს: „არსებითად ჩვენ მხოლოდ უსასრულოს შემეცნება შეგვიძლია“. ფაქტიურად ყოველგვარი ნამდვილი, ამომწურავი შემეცნება მხოლოდ იმაში მდგომარეობს, რომ ჩვენს აზრებში ერთეულადს ერთეულობიდან კერძობამდე, ხოლო ამ უქანასკნელიდან ზოგადობამდე ავამაღლებთ; იმაში მდგომარეობს, რომ უსასრულოს სასრულოვანში, ხოლო სამარადისოს წარმავალში აღმოვაჩინოთ და დავადასტურობთ“<sup>2</sup>. მაშასადამე, დაუბოლოებელი დაბოლოებულში არსებობს, როგორც ზოგადობა. დაბოლოებულის შემეცნების დროს, არსებითად, დაუბოლოებელს, როგორც ზოგადობას, ვიმეცნებთ.

ამრიგად, დაბოლოებულის და დაუბოლოებელის დამოკიდებულება ერთეულის და ზოგადის დამოკიდებულებაა. ამავე დროს, ზოგადობა გაგებულია, როგორც არსება. ამიტომ, შეიძლება ითქვას, რომ დაუბოლოებელი ის შინაარსეული ზოგადია, რომელიც უსასრულო პროცესში ვლინდება და მის შესაძლებლობას თავის თავში შეიცავს. შინაარსეული ზოგადის მისგან განსხვავება, რაც მის მოვლენას — მოცულობით ზოგადს წარმოადგენს ისეთივეა, როგორიცაა განსხვავება დაუბოლოებელისა უსასრულობისაგან, ნამდვილი უსასრულობისა „ცუდი უსასრულობისაგან“.

ფ. ენგელსი სრულიად გარკვევით ამბობს, რომ ზოგადობის ფორმა შინაგანი სისრულის ფორმაა და ამით იგი დაუბოლოებელის ფორმას წარმოადგენს; სიტყვა-სიტყვით: „ზოგადობის ფორმა

<sup>2</sup> В. И. Ленин. Философские тетради. стр. 86.

<sup>1</sup> ფ. ენგელსი. ბუნების დიალექტიკა. გვ. 240. 1950 წ.

შინაგანი დასრულებულობის და, მაშასადამე, უსასრულობის ფორმაა; იგი არის მრავალი სასრულოვანის უსასრულობად გაერთიანება<sup>1</sup>. (Но форма всеобщности есть форма внутренней завершенности и тем самым бесконечности; она есть соединение многих конечных вещей в бесконечное)<sup>2</sup>.

აქ უნდა აღინიშნოს, რომ, ჯერ-ერთი, დაუბოლოებელში გაერთიანებულ დაბოლოებულთა სიმრავლე თვითონ შეიძლება იყოს ან სასრულო, ან უსასრულო (მაგ. პლანეტები სასრულო რიცხვისაა, ადამიანები, სამკუთხედები, თუ სხვა კი უსასრულო რიცხვის). შემდეგ. დაბოლოებულთა უსასრულო რიცხვის დაუბოლოებელში გაერთიანების მოთხოვნა უაზრობის მოთხოვნა იქნებოდა, რომ დაუბოლოებელი უსასრულობად, „ცუდ დაუბოლოებლობად“ მივიჩნიოთ. არ შეიძლება უსასრულოს, როგორც დაუთვლელის, დათვლა, ეს მისი სასრულოდ გადაქცევა იქნებოდა, — ეს იქნებოდა „დათვლილი ურიცხვის წინააღმდეგობა“<sup>3</sup>, რომელიც შეცდომას წარმოადგენს და თავიდან უნდა იქნას აცილებული. მაშ., როგორ შეიძლება უსასრულო ერთეულები გაერთიანდეს დაუბოლოებელში, რომ მივიღოთ შინაგანი დასრულებულობა, შინაგანი სისრულე? ეს შეიძლება მხოლოდ მაშინ, თუ დაუბოლოებელს იმ ზოგადობად წარმოვიდგენთ, რომელიც საგნის არსებას წარმოადგენს. მაშასადამე, დაუბოლოებელი ისეთი რამ არის დაბოლოებულში, რომელიც დაბოლოებულთა უსასრულო სიმრავლეს მოიცავს, არა მოცულობის თვალსაზრისით, არამედ შინაარსეულად, ე. ი. ისე, რომ დაბოლოებულში არსებული შინაგანი სისრულე, როგორც დაუბოლოებელი, უნდა იყოს უსასრულო დაბოლოებულთა ამხსნელი.

ეს კი შესაძლებელია მხოლოდ მაშინ, თუ დაუბოლოებელი გავგებულ იქნება, როგორც კანონი მოძრაობა-განვითარებისა, ე. ი. ის კანონი, რომელიც მოძრაობა-განვითარების ამხსნელია, რომელიც უსასრულო მოძრაობა-განვითარებას გვიხსნის და ამ აზრით დასრულებულად შეიცავს მას, რაც უსასრულოა. ენგელსი პირდაპირ ამბობს, რომ ზოგადობის ფორმა, რომელიც უსასრულობის ფორმას წარმოადგენს, არის კანონი; „ზოგადობის ფორმა ბუნებაში კანონია“<sup>4</sup>, ხოლო „მოძრაობის ფორმათა ცვლის კანონი უსასრულოა, თავის თავში ჩაკეტილია“<sup>5</sup>. („Закон о смене форм движения является бесконечным, замыкающимся в себе“)<sup>6</sup>.

<sup>1</sup> ფ. ენგელსი, ბუნების დიალექტიკა, გვ. 240, 1950 წ.

<sup>2</sup> Диалектика природы, стр. 186, 1950 г.

<sup>3</sup> ფ. ენგელსი, ანტი-დიურინგი, გვ. 57, 1952 წ.

<sup>4</sup> ფ. ენგელსი, ბუნების დიალექტიკა, გვ. 240.

<sup>5</sup> იქვე, გვ. 245.

<sup>6</sup> Ф. Энгельс. Диалектика природы, стр. 189.

ამრიგად, დაუბოლოებელი ზოგადობაა, ის არის კანონი. ის არის წყარო, ამხსნელი დაუსრულებელი მოძრაობა-განვითარებისა; იგი მისი არსებაა და არა ისეთი რამ, რომელიც გადაკარგულია უსასრულო პროცესს იქით, რომელსაც ვერასოდეს ვერ მივალწევთ. დაუბოლოებელი არ არის სასრულოსათვის მიღმური, როგორც ამას ვ. ი. ლენინი, ჩვენს მიერ ზემოთ მოყვანილ დებულებაში, გარკვევით აღნიშნავს.

მაშასადამე, დაბოლოებული საგნები ცვალებადობის, მოძრაობა-განვითარების პროცესში იმყოფებიან. ეს პროცესი არ არის დაბოლოებული, ის ბოლოს არმქონე პროცესია. ნამდვილი უსასრულო, დაუბოლოებელი კი ამ პროცესის ამხსნელი კანონია, რომელიც ცვალებადი დაბოლოებულის არსებას, მის ზოგადობას წარმოადგენს.

გასარკვევია, თუ უფრო ზუსტად რაში მდგომარეობს დაბოლოებულის ეს არსება, მასში არსებული ზოგადობა, მისი მოძრაობის ამხსნელი კანონი. მატერიალისტური დიალექტიკა გვასწავლის, რომ უსასრულო მოძრაობის და განვითარების შინაგანი ზოგადობა, მისი არსება, მისი წყარო, ეს არის შინაგანი წინააღმდეგობა, დაპირისპირებულთა ბრძოლა და ერთიანობა. ეს კანონი დასრულებული და ხრული კანონია, მაგრამ, ამავე დროს, ის არის დაუსრულებელი მოძრაობა-განვითარების ამხსნელი. დაუსრულებელი პროცესი დასრულებული კანონის სახით არის დაქვრილი. ამ აზრით ამბობს ენგელსი, რომ სივრცის და დროის უსასრულობა მოხსნილია ნამდვილ უსასრულობაში.

იმის გასაგებად, თუ რას წარმოადგენს დაბოლოებული საგნის არსება, საჭიროა დაბოლოებულის გაგება და მისი განსაზღვრება. ზემოდ მოვიყვანეთ ვ. ი. ლენინის მიერ დაბოლოებულის შემდეგი განსაზღვრება: „**Нечто, взятое с точки зрения его имманентной границы, — с точки зрения его противоречия с самим собой, каковое противоречие толкает его (это нечто) и выводит его дальше своих пределов, есть конечное**“<sup>1</sup>. მაშასადამე, დაბოლოებულისათვის არსებითი, მისი არსება შინაგანი წინააღმდეგობაა, რომელიც მას სცვლის და ამოძრავებს.

მართალია, დაბოლოებულის ეს განსაზღვრება ვ. ი. ლენინმა შეასრულა ჰეგელის „ლოგიკის“ კითხვის დროს და ეთანხმება ჰეგელის ერთ-ერთ (მხოლოდ ერთ-ერთ) აზრს დაბოლოებულის შესახებ,

<sup>1</sup> В. И. Ленин, *Философские тетради*, стр. 84.

მაგრამ იგი (დაბოლოებულის ეს განსაზღვრება) ლენინურია და აბა ჰეგელიანური. ჰეგელის დიალექტიკის ის დებულება, რომ ყველაფერი შინაგანი წინააღმდეგობით იცვლება, „რაციონალური მარცვალი“ მის დიალექტიკაში; მართალია, ჰეგელმა, იდეალიზმის საფუძველზე გააყალბა შინაგანი წინააღმდეგობის აზრი (წინააღმდეგობის შერჩევა და სხვა)<sup>1</sup>, მაგრამ ეს არ ნიშნავს, რომ მასში არ იყოს „რაციონალური მარცვალი“. ჰეგელი ეწინააღმდეგება თავის თავს დაბოლოებულის გაგებაშიც. ერთი მხრით, სიტყვიერად იგი სწორ აზრს გამოსთქვამს, რომ დაბოლოებული საგნის არსება შინაგანი წინააღმდეგობაა (თუმცა თვითონ დაბოლოებული მატერიალურ საგნად კი არ მიაჩნია, არამედ აბსოლუტის განვითარების საფეხურად), მაგრამ იგი, ჰეგელი, მის „ლოგიკაში“, საბოლოოდ, დაბოლოებულს გებულობს არარად, დაბოლოებული არარაობამდე დაყავს და მხოლოდ უსასრულო აბსოლუტს აღიარებს, ამით ის უარყოფს მისივე დიალექტიკის მოთხოვნას, ამ შემთხვევაში, მოთხოვნას დაბოლოებულის და დაუბოლოებელის აუცილებელი, დიალექტიკური ერთიანობის შესახებ.

როგორც ცნობილია, ბევრი დებულება მატერიალისტური დიალექტიკისა ჰგავს ჰეგელის იდეალისტური დიალექტიკის დებულებებს, მაგრამ ეს მსგავსება მათ იგივეობას სრულიადაც არ ნიშნავს; პირიქით, ისინი, მარქსის თქმით, ერთიმეორის დიამეტრალურად საწინააღმდეგონი არიან. ნამდვილი მეცნიერული დიალექტიკა მხოლოდ მატერიალისტური დიალექტიკაა.

მაშასადამე, შინაგანი წინააღმდეგობა, გვასწავლის მატერიალისტური დიალექტიკა, მატერიალურ საგანთა არსებაა, როგორც მათი მოძრაობა-განვითარების წყარო და ამხსნელი. ეს არსება, როგორც ზემოთ გაირკვა, სხვანაირად იწოდება დაუბოლოებლად, რომელიც დაბოლოებულის არსებას, როგორც ზოგადობას, მის კანონს წარმოადგენს.

7. დაბოლოებულის და დაუბოლოებელის ურთიერთდამოკიდებულება. როგორც აღინიშნა, დაუბოლოებელი პროცესი წინააღმდეგობის ბუნებისაა; იგი დაუბოლოებელია, მაგრამ ყოველთვის მაინც დაბოლოებულია. ასეთი დაუბოლოებელი უარყოფითი ხასიათისაა, ის არის ბოლოს გარეშე დაბოლოებული, ე. ი. — დაბოლოებული, რომელსაც ბოლო არა აქვს. აზრი, დაუბოლოებელის ასეთი გაგების დროს, წარმოიდგენს, თითქოს დაუბოლოებელი არის მიუღწეველი, მიღმა მყოფი. — ის, რაც უნდა იყოს და რაც არასოდეს არ არის და არც იქნება. მაგრამ, დაუბოლოებელის ასეთი გაგების დროს, თვით დაბოლოებულს ეკარგება აზრი, რადგან იგი წინასწარ აუცილებლო-

<sup>1</sup> იხ. ამის შესახებ ამ შრომის მეხამე თავში.



ბით გულისხმობს დაუბოლოებელს. არასასრულო პროცესი უსაძრულობის გარეშე, ცხადია, ვერ იარსებებს. დაბოლოებული არ არსებობს დაუბოლოებელის გარეშე (ისე როგორც პირიქით, მაგრამ ამაზე ქვემოთ).

ერთი დაბოლოებული საგანი მეორეში გადადის, მაგრამ ეს მეორეც ხომ დაბოლოებულია და ა. შ. უსასრულოდ. ამდენად ყოველთვის დაბოლოებულობა გვაქვს და არასოდეს დაუბოლოებულობა. ამიტომ უნდა ითქვას, რომ უარყოფითი დაუბოლოებელი იგივეა, რაც დაბოლოებულობა. მაგრამ იგი მაინც მეტია, ვიდრე მხოლოდ დაბოლოებულობა. რადგან საქმე გვაქვს სწორედ დაუსრულებელ პროცესთან, არა დაუბოლოებლობასთან, პროცესთან. რომელსაც ბოლო არა აქვს. ამიტომ განასხვავებენ დაუბოლოებლობას, როგორც ასეთს. იმისგან, რომელსაც ბოლო არა აქვს. უკანასკნელს პირველს გულისხმობს გამმართლებელ საფუძვლად. უარყოფითი უსასრულობა არის დაბოლოებულის და დაუბოლოებულის ერთიმეორესთან დამაკავშირებელი. იგი ამქვეყნებს, რომ დაბოლოებულის არსება დაუბოლოებელი უნდა იყოს. თვითონ დაუბოლოებელი პროცესის შესაძლებლობა დაბოლოებული საგნის არსებაშია. დაუბოლოებელი პროცესის არსება არის შინაგანი წინააღმდეგობა, როგორც მისი წყარო<sup>1</sup>.

თვისობრივად დაბოლოებული არის საგანი, რომელსაც გარკვეული საზღვარი აქვს: ეს საზღვარი არის მისი უარყოფა და ამავე დროს, აკავშირი სხვასთან. საზღვარი, ერთსა და იმავე დროს. ერთიმეორისაგან სთიშავს ორ რაიმეს და კიდევ აკავშირებს მათ. თვისობრიობაში საზღვარს დაბოლოებული სხვაში ვადაძყავს. მაგ., სოციალისტური რევოლუციით მთავრდება კაპიტალიზმის განვითარება და იწყება სოციალისტური ერა კაცობრიობის ისტორიაში. ეს რევოლუცია არის კაპიტალიზმის საზღვარი. რაც მას სოციალიზმთან. როგორც მის უარყოფასთან აკავშირებს. სოციალისტური რევოლუცია კაპიტალიზმის უარყოფაა. ეს უარყოფა, როგორც მისი საზღვარი აკავშირებს სოციალიზმთან. სოციალისტურ რევოლუციას საზოგადოების განვითარების ერთი — კაპიტალიზმის საფუძვლიანი გადაყავს მეორე — სოციალისტურ საფუძვლად.

თვისობრიობის თვალსაზრისით, დაბოლოებული და დაუბოლოებული ერთიმეორისაგან არსებითად და სწორედ თვისობრივად განსხვავდებიან: მათი გამომხატველი ცნებები ერთიმეორისადმი საპირისპირო, ურთიერთგამომპირიკველი ცნებები არიან. რაც შეეხება, საზღვრის მხრით, რიცხობრივ დაუბოლოებლობას, უნდა ითქ-

<sup>1</sup> როგორც ეს ზემოთ გაიხილა და შემდეგაც იქნება ნათელყოფილი.

ვას, რომ აქ დაბოლოებული და დაუბოლოებელი, უსასრულო სიძრავლე, როგორც რაოდენობანი, თვისობრივად ერთიმეორისაგან არ განსხვავდებიან. დაბოლოებული რიცხვის მიმართ სხვა ასეთი არის გულგრილი, საზღვარი არაა უარყოფა და განურჩეველია. მხოლოდ თვითონ უსასრულობა, როგორც ასეთი, არის, როგორც აღენიშნეთ, გარკვეული თვისობრიობა. ამიტომ ნამდვილი დაუბოლოებელი თვისობრიობის, სახელდობრ, არსების თვისობრიობის სფეროში უნდა ვეძიოთ<sup>1</sup>.

დაბოლოებული და დაუბოლოებელი, როგორც ითქვა, ერთიმეორისაგან თვისობრივად განსხვავდებიან; ისინი ერთიმეორეს გამორიცხავენ; მაგრამ ის საზღვარი, რომელიც მათ ერთიმეორისაგან სთიშავს, არის, ამავე დროს, მათი დამაკავშირებელი. ეს არის ის, რაც მათ ერთიანობას, როგორც კანონს, წარმოადგენს. ამიტომ მართო დაუბოლოებელი, ე. ი. ის, რაც დაბოლოებულს უპირისპირდება, არ არის ნამდვილი დაუბოლოებელი; ნამდვილი დაუბოლოებელი არის დაბოლოებულისა და მისი საპირისპირო დაუბოლოებელის ერთიანობა<sup>2</sup>.

თუ ჩვენ რიცხობრივ უსასრულობას სასრულოს მოვწყვეტთ და მას აბსოლუტურ არსებობას მივანიჭებთ, მაშინ სრულიად ყალბ მდგომარეობაში ჩავარდებით. ასეთი აქტუალური უსასრულობა, როგორც აღინიშნა, მისტიკურობის მეტს არაფერს არ წარმოადგენს. თუკი თვისობრივად დაუბოლოებელს სრულ დამოუკიდებლობას მივანიჭებთ, მაშინაც მისტიკის სფეროში ჩავარდებით, რადგან ასეთი აბსოლუტურად აქტუალური თვისობრივად დაუბოლოებელი მხოლოდ ღმერთი შეიძლება იყოს, რომლის უაზრობასაც, ამ შემთხვევაში, ის წარმოადგენს, რომ დაუბოლოებელი, რომელიც მოწყვეტილია დაბოლოებულისაგან (როგორც ამას ქვემოთაც გავარკვევთ), თვითონ არის არა დაუბოლოებელი, არამედ დაბოლოებული. (სწორედ ასეთი შეცდომაა დამახასიათებელი ჰეგელისათვის).

ნამდვილი დაუბოლოებელი არ უნდა იყოს არც მხოლოდ რიცხობრივი დაუბოლოებელი, რადგან ასეთი თვისობრიობაში არსებობს, და არც მხოლოდ თვისობრივი დაუბოლოებელი ცვალებადობა, რადგან აქაც ყოველთვის დაბოლოებულობა გვაქვს; არა, ის უნდა იყოს ორივეს ამხსნელი, კანონის აზრით განმსაზღვრელი. იგი ორივეს ერთსა და იგივე არსებას უნდა წარმოადგენდეს, ე. ი.

<sup>1</sup> და არა იქ, სადაც მას ჰეგელი ეძებდა, სახელდობრ, უშუალობის, „არისის“ სფეროში.

<sup>2</sup> ამის შესახებ იხ. ქვემოთ.

იგი დაბოლოებული საგნის (რიცხობრიობის და თვისობრიობის ერთიანობის) არსებაა.

რიცხობრიობის და თვისობრიობის ერთიანობა, რომელიც საგანს წარმოადგენს, არსებითად, წინააღმდეგობის ერთიანობაა. ამ ერთიანობაში ერთი მეორეს განსაზღვრავს და ერთი მეორეს აფუძნებს. წინააღმდეგობის ერთიანობაში (როგორც ეს ზემოთ ითქვა და ქვემოთ სპეციალურად გაიკვევება) არსებითი უარყოფის მომენტია. ეს მომენტი არსებითია არა მხოლოდ საგნის არსებაში, როგორც წინააღმდეგობის ერთიანობაში, არა, იგი არსებითი უნდა იყოს, სწორედ ამის გამო, მის ამსახველ აზრთა მთლიანობაშიც.

თუ ბურჟუაზია და პროლეტარიატი ერთიმეორეს თვისობრივად განსაზღვრავენ და ურთიერთს გამორიცხავენ, ამით, ამ უარყოფის საშუალებით, ისინი ერთიმეორესაც ადგენენ, ერთიმეორეს აზრს აძლევენ; წინააღმდეგობა აქ ერთიანობამდე მიდის; მათ, როგორც საპირისპიროთ, არსებობა მხოლოდ ერთიანობის, საეჭვლოდ, ერთიანი ეკონომიკის საფუძველზე შეუძლიათ. სწორედ ეს ერთიანობა დაპირისპირებულთა, როგორც კანონი განვითარებისა, იქნება კაპიტალიზმის, როგორც საპირისპირო მხარეთა ერთიანობას, არსება. ეს არსება უნდა წარმოადგენდეს დაუბოლოებელის იმ მომენტს, რომლის გარეშე დაბოლოებულებს, ე. ი. იმათ, რომლებიც ერთიმეორის უარყოფით არიან განსაზღვრულნი, აზრი არ ექნება. ყოველგვარი დაბოლოებული, როგორც შედარებით თავისთავადი—თავისებური მოძრაობის ფორმის მქონე, ამიტომ თვისობრივად განსხვავებული, თავისთავაში შეიცავს დაუბოლოებელს, როგორც კანონს განვითარებისა.

ჩვენთვის არსებითია არამხოლოდ სინამდვილეში არსებული დაბოლოებულის და დაუბოლოებელის კავშირი, არამედ ამ კავშირის ამსახველი აზრთა კავშირი, როგორც ლოგიკური კავშირი; სინამდვილის დიალექტიკის საფუძველზეა შესაძლებელი აზრთა დიალექტიკა, როგორც ამას ლენინი გარკვევით ასაბუთებდა<sup>1</sup>.

თუ ცნებათა დიალექტიკურ კავშირს დამოუკიდებლობა მივანიჭებთ, მაშინ ჰეგელიანიზმს მივიღებთ, თუკი ეს კავშირი საგანთა დიალექტიკური კავშირის ასახვით გავიგეთ, მაშინ დიალექტიკურ-ლოგიკურთან გვექნება საქმე. აქ ეს კავშირი ირკვევა კერძო მაგალითზე, სახელდობრ, დაბოლოებულის და დაუბოლოებელის კაჟირის მაგალითზე, რომელსაც არსებითი მნიშვნელობა ექნება ლოგიკურის განსაზღვრებისათვის.

დაუბოლოებელს, როგორც ვნახეთ, სხვადასხვა მხრით განილავენ. მაგრამ მისი წარმოდგენა დაბოლოებულის გარეშე სიყალბეს

<sup>1</sup> ამის შესახებ ქვემოთ.

იძლევა. მისი გაიგივება დაბოლოებულთან იგივე შეცდომაა, როგორც მხოლოდ დაბოლოებულის აღიარება, რადგან დაბოლოებულ დაუბოლოებელს წინასწარ გულისხმობს: ასევე, მხოლოდ დაუბოლოებელის აღიარებაცაა ყალბი მდგომარეობის შემქმნელი, რადგან დაუბოლოებელი წინასწარ გულისხმობს დაბოლოებულს. თვითონ გამოთქმა „დაუბოლოებელი“ უარყოფითი ხასიათისაა; მას, ამ მხრით. დადებითი დაბოლოებულობით აქვს გარკვეული აზრი. დაბოლოებული და დაუბოლოებელი შედარებითი ცნებებია და ამიტომ მათი ცალ-ცალკე წარმოდგენა ორვეს დაუკარგავდა აზრს. დაბოლოებულისათვის, აბსოლუტური აზრის მიცემა იგივეა, რაც დაუბოლოებულისათვის აბსოლუტური მნიშვნელობის მინიჭება. ამიტომ, დადებითი დაუბოლოებელის ცნების შედგენისათვის, აუცილებლად საჭიროა. კიდევ უფრო კონკრეტულად წარმოვიდგინოთ დაბოლოებულის და დაუბოლოებელის ერთიანობის ბუნება, მათი აუცილებელი კავშირის ხასიათი.

ცვალებადობა-განვითარებაში ერთი საგანი მეორეში გადადის და ა. შ. უსასრულოდ. დაბოლოებული საგნის მოხსნით მეორე დაბოლოებული საგანი იქმნება და ა. შ. უსასრულოდ. ეს უსასრულობა, ერთი მხრით, დაბოლოებულის მოხსნაა, მაგრამ ყოველთვის — მხოლოდ დაბოლოებულობის მიღება. ეს პროცესი, ამ მხრით, არადაბოლოებულობაა, მას ბოლო არა აქვს, მაგრამ, როგორც აღინიშნა, ყოველთვის დაბოლოებულია. აქედან ხშირად ასეცნიან, რომ „საგანობის მხოლოდ დაბოლოებული და „მხოლოდ დაბოლოებული ნიშნის“<sup>1</sup> ვინც დაბოლოებულის დაუბოლოებელთან კავშირს უარყოფს, ე. ი. ვინც მხოლოდ დაბოლოებულს აღიარებს, იგი ნამდვილად თავის თავს უარყოფს, რადგან დაბოლოებული აბსოლუტური მნიშვნელობით ესმის; მხოლოდ დაბოლოებულის აღიარება მისი დაუბოლოებელის სახით წარმოდგენაა. მხოლოდ დაბოლოებული დაუბოლოებელია. ამიტომ მხოლოდ დაბოლოებულის აღიარებელი, მისდა საწინააღმდეგოდ, დაუბოლოებელის აღიარებელიცაა. დაბოლოებული აუცილებლობით მოითხოვს დაუბოლოებელს; დაბოლოებულის კავშირი დაუბოლოებელთან აუცილებელია.

ეს გარემოება სრულიადაც არ ნიშნავს იმას, რომ თითქოს აღიარებული უნდა იქნეს მხოლოდ დაუბოლოებელი და დაბოლოებული კი უნდა უარყვოდ. ასეთ შემთხვევაში ისევ ყალბ მდგომარეობაში ჩაქარდობდით. აქ ლოგიკური სიყალბე იმაშია, რომ მხოლოდ დაუბოლოებელის აღიარება მხოლოდ დაბოლოებულის აღიარებაა: დაუბოლოებელი. დებულები დაბოლოებულს გარეშე, თვითონ არის დაბოლოებული. დაუბოლოებელი, როგორც მხოლოდ ასეთი, თავის

<sup>1</sup> ვ. ე. ნ. გ. ე. ს. ბუნების დიალექტიკა, ქართ. გამოც., გვ. 240

თავის უარყოფელია. თუ დაუბოლოებელს ავიღებთ, როგორც დაბოლოებულისაგან სრულიად მოწყვეტილს, მის მიღმა და მის ზე-  
 ეით მყოფს, მაშინ თვით ნამდვილ დაუბოლოებელს უარყოფთ, მივიღებთ იმას, რასაც უარყოფითი დაუბოლოებლობა, უსასრულო-  
 ბა შეიძლება ვუწოდოთ. ლენინის ზემოთ მოყვანილი აზრი, რომ:  
 „Дурная бесконечность“ бесконечность, качественно проги-  
 коположенная конечности. не связанная с ней, отгороженная от  
 нее. как будто конечное-было посторонним, а бесконечное  
 потусторонним, как будто бесконечное стоит над конечным,  
 вне его...“<sup>1</sup>. სწორედ აღნიშნულ გარემოებას ახასიათებს.

მაშასადამე, შეცდომას ვღებულობთ მაშინ, როცა დაბოლოე-  
 ბულს ვაღიარებთ და დაუბოლოებელს უარყოფთ, და მაშინაც,  
 როცა დაუბოლოებელს ვაღიარებთ და დაბოლოებულს უარყოფთ,  
 და, ბოლოს, მაშინაც, როცა ორივეს ვაღიარებთ, მაგრამ ერთიმეო-  
 რისაგან მოწყვეტილად, ერთიმეორისაგან კავშირის გარეშე. მართ-  
 ლაც, როგორც ვნახეთ, თუ მხოლოდ დაბოლოებულს ვაღიარებთ,  
 მაშინ ნამდვილად ის დაუბოლოებლად მიგვაჩნია, ე. ი. მხოლოდ დაუ-  
 ბოლოებელს ვაღიარებთ (თავის თავს უარყოფთ): თუ მხოლოდ  
 დაუბოლოებელს ვაღიარებთ. მაშინ ამით დაუბოლოებელს ვაბო-  
 ლობთ. ე. ი. მხოლოდ დაბოლოებულს ვაღიარებთ; აქაც თავის თა-  
 ეის უარყოფა გვაქვს. ეს ორივე მომენტი ერთდროულად და ერთი-  
 მეორის გვერდით გვაქვს მოთავსებული. როცა ორივეს ვაღიარებთ,  
 მაგრამ როგორც ერთიმეორის გარეშე მყოფს, ერთიმეორისაგან  
 მოწყვეტილს. ამ შემთხვევაშიც ორი დაბოლოებული გვექნება და  
 არა დაუბოლოებელი. ამიტომ ერთადერთა, ლოგიკურად სრულიად  
 გამართული, თვალსაზრისი გვექნება მაშინ. თუ ვიტყვით, რომ და-  
 ბოლოებული და დაუბოლოებელი განუწყვეტელ, აუცილებელ  
 მთლიანობაში არიან. რომ ისინი არსებობენ ერთსა და იგივეს, სახელ-  
 დობრ, თვით საგანს, შეადგენენ. როგორც ითქვა, ვ. ი. ლენინი,  
 ახლახან მოყვანილი ადგილს შემდეგ. ასკენის, რომ на деле же  
 они суть (конечное и бесконечное) нераздельны. Они  
 едино суть<sup>2</sup>.

მართლაც, თუ დაუბოლოებელს დაბოლოებულის საზღვარს  
 იქით, მიღმა წარმოვიდგენთ, მაშინ იგი, როგორც დაბოლოებულით  
 განსაზღვრული და სადღაც გადაკარგული, შეიძლება მხოლოდ და-  
 ბოლოებული იყოს; მეორე მხრით, დაუბოლოებელი, როგორც მიღ-  
 მა მყოფი, და ახლახან აღნიშნული დაბოლოებულიად მყოფი „დაუ-  
 ბოლოებელი“. მაშ., ორივე, როგორც დაბოლოებული, თუ ყველა-

<sup>1</sup> В. И. Ленин. Философские тетради. стр. 86.

<sup>2</sup> იქვე.

ფერს ამოსწორავენ და შეიცავენ, ე. ი. სხვით განსაზღვრული არ არიან, არ ყოფილან დაბოლოებული, არამედ — დაუბოლოებელი. ამიტომ დაბოლოებულის და დაუბოლოებელის ურთიერთ-აუცილებელი კავშირის უარყოფა ერთსაც აზრს უკარგავს და მეორესაც; ასეთი კავშირის აღიარება კი ორივეს აზრიანს და ზუსტად გარკვეულს ხდის. დაბოლოებულსაც არსებობს და დაუბოლოებელსაც, მაგრამ ისინი დიალექტიკურ მთლიანობაში არიან; ერთიმეორის საპირისპირონი ერთიანობაში არსებობენ.

ყალბია ჰეგელის გაგება, თითქოს დაბოლოებული არის ის, რაც მის ცნებას არ შეესატყვისება, დაუბოლოებელი კი, პირიქით, არის ის, რაც მის ცნებას შეესატყვისება<sup>1</sup>, რადგან, ასეთ შემთხვევაში, დაბოლოებული დაბოლოებული აღარ გამოდის; დაბოლოებულის ცნება სწორედ დაბოლოებულს უნდა შეესატყვისებოდეს (არა პირიქით) და არა სხვა რამეს. თუ დაბოლოებული არის ის, რაც თავის ცნებას არ შეესატყვისება, მაშინ დაბოლოებულის ცნება ხომ ასეთი ყოფილა, ხომ ახლა გამოთქმული მსჯელობით მიიღება მისი ცნება და როგორ შეიძლება, რომ ეს ცნება დაბოლოებულს არ შეესატყვისებოდეს? დაბოლოებულის ჰეგელისეულ განსაზღვრაში არის მოთხოვნა, რომ დაბოლოებულია თვითონ დაბოლოებულის არსებაც; ეს არის დაბოლოებულის მოხსნა; დაბოლოებული მას მართლაც უარყოფითად აქვს მიჩნეული და იგი გათქვეფილი ჰყავს დაუბოლოებელში; ასეთი აბსოლუტური დაუბოლოებელი კი ღმერთად აქვს წარმოდგენილი. თუ დაბოლოებულის არსებაც დაბოლოებულია, მაშინ არც არსება გვექნებოდა და არც ის, რის არსებაც ის არის. შემდეგ: 1) დაბოლოებულის განსაზღვრება მასთან უარყოფითია და არა დადებითი (რადგან თვითონ დაბოლოებულობა უარყოფითობად მიაჩნია), 2) განსაზღვრელი, როგორც მასშტაბი, წინასწარვეა ნაგულისხმევი და 3) თვითონ საგანი, როგორც ნამდვილად არსებული, განსაზღვრებაში არსებად არაა მიღებული. ჰეგელის ცდა დაუბოლოებელის დაბოლოებულისაგან განთავისუფლებისა თავის თავთან გამოუვალ წინააღმდეგობაშია ჩავარდნილი (რადგან იგი სიტყვიერად ებრძოდა დაუბოლოებელისა და დაბოლოებულის ერთიმეორისაგან მოწყვეტის თვალსაზრისს, რამდენადაც მასთან დიალექტიკის „რაციონალური მარცვალი“ არსებობს).

ერთი სიტყვით, ლოგიკურად სრულიად გარკვეული აზრი დაბოლოებულის და დაუბოლოებელის შესახებ მხოლოდ იმ შემთხვევაში გვაქვს, როცა მათ აუცილებელ ერთიანობას ვაღიარებთ; სა-

<sup>1</sup> Hegel. Wissenschaft der Logik I. S 75<sup>o</sup> და შემდეგ (ლასონის გამოცემა)

წინააღმდეგო შეხედულება კი ლოგიკურად სრულიად ყალბ მდგომარეობას წარმოადგენს. დაუბოლოებელის ცნება არის აზრი, რომელიც, ნამდვილად, დაბოლოებულის და დაუბოლოებელის კავშირის აუცილებლობას წარმოადგენს და ასახავს. ამიტომ შემცდარი და ყალბია თვალსაზრისი, რომელიც მხოლოდ დაუბოლოებელს აღიარებს და დაბოლოებულს ნამდვილ არსებულად არ თვლის, ყალბია ის თვალსაზრისიც, რომელსაც მხოლოდ დაბოლოებული მიაჩნია არსებულად და დაუბოლოებელი კი — რაღაც მიუწვდომლად. ამბობენ, თითქოს ადამიანის გონებისათვის გაუგებარია ამ საპირისპიროთა ერთიანობა; ნამდვილად კი გასაგებია არც ერთი, არც მეორე ცალ-ცალკე, არამედ მხოლოდ მათი დიალექტიკური ერთიანობა, ერთიანობა, რომელიც ურთიერთგამომრიცხავ მომენტებს შეიცავს.

თუ არსებობს დაბოლოებულის და დაუბოლოებელის აუცილებელი ერთიანობა, ამის აღიარება კი, როგორც ვნახეთ, აუცილებელია, მაშინ, გარკვეული აზრით, დაბოლოებული არის დაუბოლოებელი და, პირიქით, დაუბოლოებელი დაბოლოებულია. მათ შორის ასეთი იგივეობა მხოლოდ იმ პირობით არის შესაძლებელი, თუ ისინი ერთიმეორეს გამორიცხავენ; დაუბოლოებელი მხოლოდ მაშინ შეიძლება იყოს დაბოლოებული, თუ ის დაბოლოებულის მიერ ზღვარდებულად წარმოვიდგინეთ, თუ ის დაბოლოებულისაგან განსხვავებულად წარმოვიდგინეთ. ასეთა წარმოდგენა ერთმხრივია, როგორც აღვნიშნეთ, მაგრამ ეს ერთმხრიობა აუცილებელია მთლიანობისათვის. თუ არ არსებობს განსხვავება, არსებითად კი დაპირისპირება, დაუბოლოებელსა და დაბოლოებულს შორის, მაშინ უაზრობა იქნებოდა მათ ერთიანობაზე ლაპარაკი; იგივეობასაც მხოლოდ განსხვავების დროს აქვს გარკვეული აზრი. თუ ვიტყვით იმას, რომ დაბოლოებული არის დაუბოლოებელი, მაშინ ისიც უნდა ითქვას, რომ დაბოლოებული არ არის დაუბოლოებელი. ასევე: დაუბოლოებელი, გარკვეული აზრით, დაბოლოებულია, მაგრამ, გარკვეული აზრით არ არის დაბოლოებული. განსხვავების გარეშე ერთიანობასა და იგივეობას აზრი ეკარგება და, პირიქით, იგივეობა და ერთიანობა მხოლოდ განსხვავებულთა შეიძლება.

მაშასადამე, დაბოლოებულის და დაუბოლოებელის ერთიანობას შემდეგი ერთიმეორისაგან განსხვავებული, ერთიმეორისადმი საპირისპირო განსაზღვრულობანი გააჩნია: 1) დაბოლოებული არ არის დაუბოლოებელი, რადგან დაბოლოებულის მის საპირისპიროსთან — დაუბოლოებელთან გაიგივება შეცდომაა; 2) დაბოლოებული არის დაუბოლოებელი, რამდენადაც დაუბოლოებელი მისი არსებაა და იგი მის გარეშე არ არსებობს; 3) დაუბოლოებელი არ არის და-

ბოლოებული, რამდენადაც იგი მისგან განსხვავებულია და მისი საპირისპიროა: 4) დაუბოლოებელი არის დაბოლოებული, რამდენადაც მისგან განსხვავებულია და მისით ზღვარდებულია. ანუ სხვანაირად: 1) თუ დაბოლოებული არის, მაშინ არ არის დაუბოლოებული; 2) თუ დაუბოლოებული არის, მაშინ არ არის დაბოლოებული; 3) თუ დაბოლოებული არ არის, მაშინ არის დაუბოლოებული; 4) თუ დაუბოლოებული არ არის, მაშინ არის დაბოლოებული; 5) თუ დაბოლოებული არის, მაშინ არის დაუბოლოებულიც; 6) თუ დაუბოლოებული არის, მაშინ არის დაბოლოებულიც; 7) თუ დაბოლოებული არ არის, მაშინ არ არის არც დაუბოლოებული; 8) თუ დაუბოლოებული არ არის, მაშინ არ არის არც დაბოლოებული.

ყოველ აქ მოყვანილ დებულებას აზრი აქვს დანარჩენ სხვასთან კავშირში: ისინი ერთმხრივი განსაზღვრულობანია, რომლებიც ერთიმეორეს ავსებენ მთლიანობამდე. ეს მთლიანობა არის დაბოლოებულისა და დაუბოლოებელის მთლიანობა. მათი აუცილებელი დადებითი კავშირი, როგორც კანონი. აზრი ამ ერთიანობის შესახებ ხსენებულ ერთმხრიობებს შეიცავს, ამიტომ ერთმხრიობების ერთიმეორისაგან დამოუკიდებლად წარმოდგენა. მათთვის აბსოლუტური მნიშვნელობის მიცემა უსათუოდ სიყალბეს მოგვცემს.

ვინც იმას იტყვის მხოლოდ, რომ დაბოლოებული არსებობს და ამიტომ დაუბოლოებელის არსებობა დაუშვებელია, როგორც აღინიშნა. სიყალბეს დაუშვებს. რადგან მას ამით დაბოლოებული ჰყავს დაუბოლოებლად გამოცხადებული. თუ ისა ვთქვით, რომ დაუბოლოებელის არსებობის დაშვების დროს დაბოლოებულის დაშვება შეუძლებელია. მაშინ იმ შეცდომას ვუშვებთ, რომ დაუბოლოებელს უარყოფთ, მას ვაბოლოებთ. ვწყვეტთ რა დაბოლოებულს. მიუხედავად ამისა, თითოეულ ამ გამოთქმას გარკვეული ერთმხრივი სისწორე ახასიათებს. მართლაც. რამდენადაც დაბოლოებული არსებობს, იმდენად ეს დაბოლოებული არსებობს სწორედ და არა დაუბოლოებელი, ისინი ერთიმეორეს გამორიცხავენ. რამდენადაც დაუბოლოებელის არსებობაზე ვლაპარაკობთ, ცხადია, მასზე ვლაპარაკობთ და ამდენად გამოვრიცხავენ დაბოლოებულს. ასე ითქმის სხვა განსაზღვრულობების შესახებაც: თუ დაბოლოებული არ არის, მაშინ დაუბოლოებელი უნდა ვაღიაროთ, დაბოლოებულის უარყოფელი შეიძლება დაუბოლოებელის ამლიარებელი იყოს, და პირიქით: თუ დაუბოლოებელი არ არსებობს, მაშინ დაბოლოებულის არსებობა უნდა მივიღოთ, რადგან დაუბოლოებელის უარყოფელი შეიძლება სწორედ დაბოლოებულის არსებობას ემ-



ყარებოდეს; თუ დაბოლოებული არის, მაშინ, ცხადია, დაუბოლოებელიც უნდა იყოს; თუ დაუბოლოებელი არის, მაშინ ცხადია, დაბოლოებულიც იქნება; თუ დაბოლოებული არ არის, მაშინ არც დაუბოლოებელია, რადგან როგორ შეიძლება დაბოლოებული არ იყოს და დაუბოლოებელი არსებობდეს? თუ დაუბოლოებელი არ არის, მაშინ არც დაბოლოებული იქნება, რადგან უკანასკნელი პირველს გულისხმობს აუცილებლობით და მის გარეშე იგი თვითონ არის დაუბოლოებელი.

დებულებების ეს რვაგვარი დამოკიდებულება საგნის არსების მხარეთა აზრობრივი გამოთქმება და მეტო არაფერია. ეს დამოკიდებულებანი ამტკიცებენ, მაგ., იმასაც, რომ ფორმალურ ლოგიკაში მიღებული კავშირი საფუძველს და შედეგს შორის ერთმხრივია და არა სრული. ფორმალური ლოგიკა ამბობს, რომ საფუძველის მიღებით შედეგაც მიიღება. შედეგის უარყოფით კი საფუძველი უარყოფა. ორი დანარჩენი მოდუსი აუკლებ იმით არაა დასაბუთებული, რომ შეიძლება ერთ მოვლენას რამდენიმე საფუძველი ჰქონდეს. მაგრამ როცა არსების მომენტებთან გვაქვს საქმე, მაშინ საფუძველთა ასეთი გაურკვეველი სიმრავლე აღარა გვაქვს და ამიტომ ასეთ დამოკიდებულებაში არა მარტო ოთხი მოდუსია სწორი, არამედ, როგორც აქ მოყვანილი მაგალითიდან ჩანს, ამ ოთხი მოდუსის შებრუნებული მოდუსებიც სწორია, რამდენადაც თითოეული მხოლოდ შეფარდებითი აზრის მქონედ იქნება წარმოდგენილი. ამრიგად, ის, რაც რაციონალურია ძველ ლოგიკაში, დიალექტიკაში სრულყოფილი სახით წარმოგვიდგება.

მაშასადამე, თითოეულ ამ განსაზღვრულობას თავისი აზრი გააჩნია, იგი. ერთი მხრით, სწორია, ხოლო მეორე მხრით კი მცდარი, ე. ი. თითოეულ მათგანს შედარებითი და არა აბსოლუტური აზრი და მნიშვნელობა აქვს. საგნის არსებითი განსაზღვრულობა სწორედ ამ ერთმხრიობათა ერთიანობაში უნდა იყოს, სახელდობრ, დაბოლოებულ განსაზღვრულობათა ამ ერთიანობაში. რომელიც დაუბოლოებელს წარმოადგენს: საგანი დაბოლოებულისა და დაუბოლოებელის ერთიანობაა; დაბოლოებულ საგნის არსება დაუბოლოებელია, როგორც ერთმხრივ ურთიერთგამომრიცხავ მხარეთა „გარეგადამწედი“ მომენტი. ლოგიკურმა სწორედ ეს გარემოება უნდა ასახოს. გასარკვევი სწორედ ამ ლოგიკურის ბუნებაა; რომელიც ფორმალურ-ლოგიკურის უარყოფაა, რამდენადაც ფორმალურ ლოგიკაში საფუძველის და შედეგის დაპირისპირება დაუშვებელია. მაშინ როცა დიალექტიკურ-ლოგიკური, როგორც ეს ზემოთ განხილული მსჯელობებიდან ჩანს, ასეთ დაპირისპირებას აუცილებლობით გულისხმობს. ცნებათა დიალექტიკა.

საგანთა დიალექტიკას ასახავს. ცნებათა დიალექტიკის უარყოფა საგანთა დიალექტიკის უარყოფაცაა, რამდენადაც ცნებათა დიალექტიკა საგანთა დიალექტიკის გაგებაა და ამ გაგების უარყოფა ნიშნავს იმას, რომ არ ვალიართ საგანთა დიალექტიკა.

ზემოთ აღვნიშნავდით, რომ შეცდომაა დაბოლოებულის დაუბოლოებელში და პირიქით გადასვლის აღიარება, რამდენადაც ჩვენ სინამდვილის მოვლენებს განვიხილავთ, რადგან სინამდვილეში არ არსებობს დაბოლოებული დაუბოლოებლობამდე ან პირიქით. მაგრამ ზემოთ ისიც აღინიშნა, რომ ასეთ გადასვლაზე ლაპარაკი შეიძლება მაშინ, როცა დაბოლოებულის და დაუბოლოებელის ცნებათა კავშირი, როგორც საგნის არსების გამომთქმელ-ამსახველი კავშირი. გვაქვს მხედველობაში. როგორც ახლახან აღინიშნა, დაბოლოებულის ცნება აუცილებლობით მოითხოვს დაუბოლოებელის ცნებას, ისინი ერთიმეორეს ამართლებენ და, ამ აზრით, ერთიმეორეში გადადიან.

დაბოლოებულისა და დაუბოლოებელის ზემოთ გარჩეული დამოკიდებულებიდან ჩანს, რომ ისინი ერთიმეორის გარეშე არ არსებობენ. — ერთიმეორეს აძლევენ აზრს, თუმცა ერთიმეორის უარყოფელნიც არიან. ამიტომ უნდა ითქვას, რომ დაბოლოებული და დაუბოლოებელი შედარებითი, რელატიური ბუნების არიან: დაუბოლოებელს აზრი აქვს, რამდენადაც დაბოლოებული არსებობს და პირიქით.

მაგრამ ამ ცნებათა რელატიურობის აღიარება სხვადასხვაგვარი შეიძლება იყოს და მისი (ამ ცნებათა რელატიურობის) ყოველგვარი გაგება არ შეიძლება ჭეშმარიტად ჩაითვალოს. მაგალითად, ჰეგელსაც რელატიურად მიაჩნია დაბოლოებულის და დაუბოლოებელის ერთიმეორესთან დამოკიდებულება. მასთან არსის სფეროში, ე. ი. იქ, სადაც ბატონობს არა რეფლექსია, არა განვითარება, არამედ გადასვლა, იქ, სადაც საზღვარი და უარყოფა სხვასთან კავშირია და არა თავის თავთან, დაუბოლოებელი დაბოლოებულისათვის სხვაა, ის მის საზღვარს გარეთ არის და მათი ცნებები სრულიად რელატიური არიან; დაუბოლოებელს მხოლოდ ასეთ სფეროში. მოთავსება მას გარეგნულ და უშუალო კატეგორიად ხდის. აბსოლუტურობა მხოლოდ იდეაშია, ჰეგელის ლოგიკის თვალსაზრისით. მასთან, საბოლოო ანგარიშში, და მისი დიალექტიკის მოთხოვნა: საწინააღმდეგოდ, დაუბოლოებელი შთანთქავს დაბოლოებულს. მაგრამ ასეთი დაუბოლოებელი, როგორც ვნახეთ, უკვე აღარ შეიძლება დაუბოლოებლად ჩაითვალოს, რადგან დაბოლოებულის გამაუქმებელი თვითონ მხოლოდ დაბოლოებული შეიძლება იყოს. ასეთი გამორიცხვა დაუბოლოებელს აბსოლუტურად აქცევს, მაგ-

რამ, როგორც ვთქვით, ეს გარემოება თვითონ ამ აბსოლუტურობას აუქმებს. ამიტომ რელატურსა და აბსოლუტურს შორის განსხვავება თვითონ არის რელატური ხასიათის<sup>1</sup>.

ლენინის დებულება, რომ დიალექტიკაში შედარებითია რელატურსა და აბსოლუტურს შორის განსხვავება, იმას გამოთქვამს, რომ ისინი ერთიმეორის საპირისპირო ცნებებია, ერთიმეორეს გამოიციხავენ, მაგრამ ერთიმეორეს ავსებენ; ნამდვილი აბსოლუტური არის თვითონ ეს ერთიანობა საპირისპიროთა, ასევე დაბოლოებულისა და დაუბოლოებელის ერთიანობაა ნამდვილი დაუბოლოებელი. ამიტომ ისინი ტოლფასოვანნი სრულიადაც არ არიან; დაუბოლოებელი „გარეგადამწვდომი“ მომენტია. ამ აზრით, უნდა ითქვას, რომ სინამდვილე დაუბოლოებელია, ის არ არის დაბოლოებული, მაგრამ არსებობს დაბოლოებულ მოვლენათა სახით. აქ ის არის მთავარა, რომ სინამდვილე, როგორც განვითარებაში მყოფი დაუბოლოებლობა, როგორც ზემოთ ითქვა, დაქერილია სრულიად დასრულებულ და სრულ კანონში — შინაგანი წინააღმდეგობის, როგორც სწორედ უსასრულო მოძრაობა-განვითარების ამხსნელ კანონში. როგორც აღვნიშნავდით, ყალბია თანამედროვე ბურჟუაზიულ-რეაქციული თვალსაზრისი, რომელიც ქვეყნის მხოლოდ დაბოლოებულობას აღიარებს და დაუბოლოებელს უარყოფს.

მაგალითისათვის ავიღოთ შედარებითი და აბსოლუტური ქეშმარიტების დამოკიდებულების ლენინური გაგება. შედარებითი ქეშმარიტება და აბსოლუტური ქეშმარიტება ერთიმეორეს უპირისპირდება, მაგრამ ქეშმარიტება მხოლოდ ერთი შეიძლება იყოს, შედარებითობა და აბსოლუტურობა ამ ერთი ქეშმარიტების მხოლოდ ნიშნები—განსაზღვრულობანია. ქეშმარიტება არის შედარებითის და აბსოლუტურის ერთიანობა, ქეშმარიტება, როგორც მხოლოდ შედარებითი, არაა ქეშმარიტება; წმინდა რელატივიზმი სუბიექტივიზმია და ქეშმარიტების უარყოფას წარმოადგენს; ასევე წმინდა აბსოლუტური ქეშმარიტება არ არსებობს, ის მიუღწეველია, რადგან ყველაფერი განვითარებაშია, და ქეშმარიტება, როგორც სინამდვილის ადეკვატური ასახვა, მხოლოდ პროცესი შეიძლება იყოს; იგი ყოველთვის გარკვეული პირობებით არის განსაზღვრული. ამიტომ აბსოლუტური მხოლოდ კავშირი შეიძლება იყოს იმისა, რაც შედარებითია, იმასთან, რაც აბსოლუტურია. უკეთ: ქეშმარიტება ისეთი შედარებითია, რომლის არსებასაც აბსოლუტური წარმოადგენს; ის ისეთი აბსოლუტურია, რომელიც მხოლოდ შედარებითშია შესაძლებელი. ასევე დაუბოლოებელი არის დაბოლოებულის არსება, ის

<sup>1</sup> В. И. Ленин, Философские тетради, стр. 328.

მხოლოდ დაბოლოებული სახით არსებობს, დაბოლოებული კი დაუბოლოებელის დაბოლოებულობაა. დაუბოლოებელი სინამდვილე მხოლოდ დაბოლოებულ მოვლენათა სახით არსებობს. დაუბოლოებელის, როგორც არსების, სიღრმე უსასრულო მოვლენათა შეაძლებლობის ამხსნელია. დაუბოლოებელის ცნება-გაგება ამ დაპირისპირებია ერთიანობაში მოაზრებას წარმოადგენს. დაპირისპირების გარეშე ერთიანობა და მისი ცნება-გაგება შეუძლებელია.

რადგან დაბოლოებული და დაუბოლოებელი ურთიერთს განააზღვრავენ, ურთიერთგამორიცხვის საფუძველზე ავსებენ ერთი-პეორეს აუცილებელ მთლიანობამდე, ამიტომ აბსოლუტური მხოლოდ მათი ერთიანობაა: უკეთ: აბსოლუტური არის წინააღმდეგობა-დაპირისპირების აუცილებელი კავშირი. როგორც კანონი და არა მხოლოდ ამ კავშირის ერთი მხარე.

ეს გარემოება აგვიხსნის ნამდვილი დაუბოლოებელის ბუნებას: აწორედ დაპირისპირებულთა ერთიანობის კანონი აგვიხსნის იმ სიძნელეს, რომელიც დაუბოლოებელის ცნებასთანაა დაკავშირებული და რაც მხოლოდ მატერიალისტური დიალექტიკის თეორიამ გაარკვია, მანამდე კი დაუძლეველ პრობლემას წარმოადგენდა.

ზემოთ წარმოებულ მსჯელობებიდან, თითქოს ასეთი დებულება მივიღეთ: დაუბოლოებელი არის დაბოლოებულის და დაუბოლოებელის ერთიანობა, რამდენადაც, როგორც აღვნიშნეთ, დაბოლოებულის საპირისპირო დაუბოლოებელი, აღებული ცალკე, თვითონ არის დაბოლოებული. წინადადება: დაუბოლოებელი არის დაბოლოებულის და დაუბოლოებელის ერთიანობა, — უსათუოდ შეცდომას შეიცავს, რამდენადაც იგი აზრს სიზუსტით არ გამოსთქვამს: ეს არასიზუსტე იმაში მდგომარეობს, რომ აღნიშნული წინადადებას ქვემდებარე შემასმენელში ანუ პრედიკატშია განმეორებული და. ამ მხრით, თითქმის ტავტოლოგიურობა გვაქვს. ასეთი ტავტოლოგიურობა მაშინ გვექნება, თუ აქ სიტყვიერ და აზრობრივ გამოთქმას გავიგივებთ, რაც, ცხადია, შეცდომას წარმოადგენს. ქვემდებარე — „დაუბოლოებელი“ ნამდვილად არ არის ის, რასაც პრედიკატი შეიცავს. როცა ვამბობთ, რომ დაუბოლოებელის ქვეშ დაბოლოებულის და დაუბოლოებელის ერთიანობა უნდა გვესმოუქვას: მაშინ დაბოლოებულის საპირისპიროდ დაუბოლოებელს ვასახელებთ; დაბოლოებულისადმი საპირისპირო დაუბოლოებელი კი თვითონ არის დაბოლოებული. ამდენად დაუბოლოებელი გამოდის, როგორც ორი დაბოლოებულის ერთიანობა. ეს ახალ სიძნელეს წარმოადგენს. რადგან, როგორ შეიძლება ორი დაბოლოებულის ერთიანობა დაუბოლოებელი იყოს?

დაუბოლოებელის გაგება, როგორც დაბოლოებულთა ერთი-

ნობისა, ორგვარად შეიძლება: 1) დაბოლოებული, თავისი შინაგანი უარყოფით. გადადის მეორე დაბოლოებულში, როგორც სხვაში, ვ. მეორე კი მესამეში და ასე შემდეგ უსასრულოდ. დაბოლოებულ უსასრულო პროცესი დაუბოლოებელია იმ აზრით, რომ მას ბოლო არა აქვს; აქ ჩვენ გვაქვს დაბოლოებულის და არა-დაბოლოებულის ერთიანობა. ამ აზრით აღებული არა-დაბოლოებული, ე. ი. ის დაბოლოებული. რომელსაც ბოლო არა აქვს, როგორც ვნახეთ, არ არის ნამდვილი დაუბოლოებელი. იგი თვითონ არის დაბოლოებული, ანუ — უარყოფითი დაუბოლოებელი, უსასრულო. ამ აზრით დაუბოლოებელი დაბოლოებულთა, სახელდობრ, უსასრულო დაბოლოებულთა ერთიანობად. როგორც კანონად; ექნება გაგებული. ამ შემთხვევაში, დაბოლოებულის ქვეშ გაგებულია ცვალებადი საკვანა და ეს ჰქმნის თავისებურებას.

2) შეიძლება დაბოლოებული გაგებულ იქნას. როგორც საგანში არსებული შინაგანი წინააღმდეგობის ერთი მხარე, მაშინ დაუბოლოებელი იქნება ორი ერთმხრიობის. როგორც დაბოლოებულთა ერთიანობა. აუცილებელი კავშირი. როგორც კანონი.

მაშასადამე, ორივე გაგება არსებითად ერთი და იგივეა. რადენადაც დაუბოლოებელი გაგებულაა. როგორც კანონი, მაგრამ განსხვავება იმაშია, რომ ერთ შემთხვევაში დაბოლოებულად აღებულია ერთეული მოვლენა, მეორე შემთხვევაში — ამ მოვლენის ერთ მხარე.

მაგრამ, რადგან უსასრულო პროცესი თვითონ დაბოლოებულის ბუნებიდან გამომდინარეობს. რადგან თვითონ დაბოლოებულს შეუძლია უსასრულო პროცესის წყარო იყოს. ამიტომ ამ დაბოლოებულში უნდა იყოს ის. რაც დაუბოლოებელ პროცესს აგვიხსნის: დაუბოლოებელი პროცესი არის უსასრულო დაბოლოებულობის მხოლოდ მოსპობის პროცესი. იგი თვითონ დაბოლოებულის არსებიდან გამომდინარეობს. მაგრამ არა ისე, თითქოს დაბოლოებულს, ნამდვილად. არასას წარმოადგენდეს (როგორც ეს ქვეყნს ჰქონდა. საბოლოო ანგარიშში. წარმოდგენილი). ასეთ შემთხვევაში დაბოლოებულის უაზრობით დაბოლოებულთა უსასრულო პროცესიც აზრს დაჰკარგავდა. — არა, თვითონ დაბოლოებულის არსებაშია დაჭერილი უსასრულო პროცესის ამხსნელი.

მატერიალისტურმა დიალექტიკამ სრულიად ნათელი გაგება მიიღო. მისი რომ უსასრულო პროცესი უსასრულებელი დაბოლოებულში არსებული შინაგანი უარყოფით. შინაგანი წინააღმდეგობით. ამიტომ ნამდვილი დაუბოლოებელი არის დაბოლოებულში არსებული წინააღმდეგობის ერთიანობა. რომლის ერთი მხარე — წინააღმ-

დეგობრიობა — დაბოლოებულობას უდრის, ამ წინააღმდეგობის ერთიანობა კი — დაუბოლოებელს დაბოლოებულში.

თვითონ დაბოლოებულში არსებული დაუბოლოებელის მომენტი თუ ცალკე იქნა წარმოდგენილი, მაშინ იგი დაბოლოებული იქნება და არა დაუბოლოებელი. დაბოლოებული დაუბოლოებელის ძალით არსებობს და დაუბოლოებელი კი — დაბოლოებულის ძალით; მაშასადამე, ნამდვილი დაუბოლოებელი არის დაბოლოებულთა გარკვეული ერთიანობა.

მაგრამ როგორი უნდა იყოს ეს ერთიანობა? დაბოლოებულთა ერთიანობა ხომ მართლაც დაბოლოებულთა ერთიანობა იქნება და არა დაუბოლოებელი? როგორ შეიძლება დაბოლოებულთა ერთიანობამ დაუბოლოებელი მოგვეცეს? დაბოლოებულთა უსასრულო პროცესი არადაბოლოებული პროცესია და არა დაუბოლოებელის დადებითი სახით მომცემი. ჩვენი აზრით, დაბოლოებულთა ერთიანობა მაშინ წარმოადგენს ნამდვილ დაუბოლოებელს, როცა ეს ერთიანობა ურთიერთგამორიცხვით, უარყოფით არის შესრულებული, ე. ი. როცა იგი (ერთიანობა) გაკებულია, როგორც დაპირისპირებულთა ერთიანობა, როგორც მათი — ურთიერთგამომრიცხავთა ერთი და იგივე განმსაზღვრელი (რამდენადაც მოვლენა კანონით განისაზღვრება); დაბოლოებულისა და დაუბოლოებელის ერთიანობა კი გაკებულ უნდა იქნეს, როგორც ერთიანის გაორება, გაორებულთა ერთიანობა. მხოლოდ უარყოფის მომენტი აფართოებს დაბოლოებულს დაუბოლოებლობამდე, მას მიეყვართ დაბოლოებულის არსების სიღრმეში. დაბოლოებულის არსებად დაუბოლოებელის წარმოდგენა სწორედ აქ აღნიშნულ გარემოებას წარმოადგენს. დაუბოლოებელის ბუნების ნათელი წარმოდგენისათვის წინააღმდეგობის და უარყოფის ბუნების ზუსტი გაგებაა საჭირო<sup>1</sup>. აქ შეიძლება მხოლოდ ზოგადი აღნიშვნით და მაგალითების მოყვანით დავკმაყოფილდეთ.

დაბოლოებულის და დაუბოლოებელის განსაზღვრულობანი ერთიმეორის უარყოფელნი არიან, მაგრამ არა ისე, რომ მესამე იყოს შეუძლებელი; შეუძლებელია მათგვარი დაბოლოებული მესამე, მაგრამ უარყოფით სწორედ მესამე, ნამდვილი დაუბოლოებელი, როგორც ურთიერთგამომრიცხავთა ერთიანობა, აუცილებლად დადგენილია. ერთი განსაზღვრულობა არის მეორე განსაზღვრულობაც და, პირიქით, იმით, რომ ისინი ერთიმეორეს გამორიცხავენ. სწორედ უარყოფა აძლევს თითოეულს იმას, რასაც მისი განსაზღვრულობა წარმოადგენს; უარყოფის თავის თავში მოთავსება კი, ე. ი. დაპირისპირებულთა ერთიანობა აუცილებლად დაბოლოებულთა — სა-

<sup>1</sup> ამის შესახებ იხ. შემდეგ თავში.

პირისპიროთა დაძლევა იმ აზრით, რომ არჩებობს მათი ერთიანობა, როგორც მათი აუცილებელი კავშირი, ამ აზრით — განმსაზღვრელი საფუძველი.

ურთიერთუარყოფა დაბოლოებულის არსებაში დაბოლოებულს ამოსწორავს, მათი კავშირი კი დაუბოლოებელია. ეს კავშირი უარყოფის საშუალებითაა შესრულებული. დაუბოლოებელი კანონია (და არა პირიქით), სახელდობრ, უარსებითესი კანონი მოძრაობა-განვითარებისა. საგანში მისი არსება, როგორც დაუბოლოებელი, როგორც შინაგანი დაპირისპირების აუცილებელი კავშირი, კანონი, დაპირისპირების ერთმხრიობათა, როგორც დაბოლოებულთა, აუცილებელი კავშირია, ამიტომ საგანი არის დაბოლოებულის და დაუბოლოებელის ერთიანობა, მაგრამ კანონის მოვლენასთან კავშირი თვითონ კანონის ბუნებას გამოსთქვამს და ამ აზრით ეს კავშირი არის დაუბოლოებელი, როგორც გარეგადამწვდომი მომენტი.

პროლეტარიატი და ბურჟუაზია ერთიმეორეს გამორიცხავენ ე. ი. მათ შორის არსებობს შეურიგებელი წინააღმდეგობა, მაგრამ ისინი შესაძლებელი არიან ერთიანი ეკონომიკის საფუძველზე, დაკავშირებული არიან ერთ საზოგადოებაში. მათ შორის ყოველგვარი ეკონომიური ურთიერთობის შეწყვეტა ნიშნავს ყოველგვარი წარმოების შეწყვეტას, საზოგადოების დაღუპვას, თვით კლასების დაღუპვას.

ის აზრი, რომ წინააღმდეგობა ერთიანობას არ შლის, არამედ იგი ერთიანობაშია შესაძლებელი, არის საფუძველი დაბოლოებულისა და დაუბოლოებელის ერთიანობის გაგების ჩვენ მიერ წარმოებული ცდისათვის.

საქონელი დაპირისპირებულთა ერთიანობაა, მასში დაპირისპირება სახმარი და საცვლელი ღირებულებისა ერთიანობის საფუძველზეა შესაძლებელი. წარმოების მომენტები (საკუთრივ წარმოება, განაწილება, გაცვლა, მოხმარება) ურთიერთგამომრიცხავი მომენტებია; თვითონ წარმოება კი მათი ერთიანობაა. ეს ერთიანობა შედეგი კი არაა, ე. ი. ის გაერთიანება კი არაა, არამედ ისაა, რომელიც ორდება და თვითონ არის მომენტი, მაგრამ „გარეგადამწვდომი“.

ასეა თვითონ წინააღმდეგობის ერთიანობაში ერთიანობის მომენტი. მისი ცალკე წარმოდგენა მას დაბოლოებულად ხდის, მაგრამ წინააღმდეგობასთან კავშირში ის მომენტი, მაგრამ არა ისეთი, როგორც წინააღმდეგობაში მყოფი მხარეები, არამედ როგორც სწორედ მათი ერთიანობა. კაპიტალისტური წარმოების წესი განსაზღვრავს როგორც ბურჟუაზიის, ისე პროლეტარიატის ბუნებას.

ჟე მოყვანილი მაგალითები იმას გვიჩვენებენ, რომ დაბოლოე-

ბულის ბუნების ამომწურავი არის შინაგანი წინააღმდეგობა, ურთიერთგამორიცხვა, რომელიც ერთიანობაში, აუცილებელ კავშირშია: აი ეს კავშირი არის საგნის არსება, როგორც უარსებითესი კანონი, — დაუბოლოებელი, როგორც დაბოლოებულის ბუნების ამომწურველის შემცველი.

აქედან ის კი არ უნდა დავასკვნათ, რომ რადგან აღნიშნულ მაგალითში საერთო არსებობს, სახელდობრ, არსებობა შინაგანი წინააღმდეგობა. თითქოს ეს მაგალითები ერთიმეორისაგან არ განსხვავდებიან; არა. შინაგანი წინააღმდეგობა ყოველ მოძრავ საგანშია, მაგრამ თავისებურებასაც შეიცავენ. შინაგანი წინააღმდეგობაა კაპიტალიზმშიც, წარმოებაშიც, საქონელშიც და სხვა, მაგრამ ისინი თავისებურებებსაც შეიცავენ. ლოგიკურისათვის ეს გარემოება შეიძლება გამოითქვას ასე: თუ, მაგ., წარმოების მომენტებს შორის არსებული წინააღმდეგობა. ამავე დროს, შესაძლებლობას იძლევა ერთი მომენტი მეორის პრედიკატი იყოს. ასეთი დამოკიდებულება ბურჟუაზიასა და პროლეტარიატს შორის, ცხადია, შეუძლებელია. მაგრამ, როგორც ეს ზემოთ აღვნიშნეთ. მსჯელობა, რომელიც ბურჟუაზიის განსაზღვრებას წარმოადგენს აუცილებლობით გულისხმობს პროლეტარიატს; ამ უკანასკნელის განსაზღვრებაში ბურჟუაზია. როგორც მისი მოწინააღმდეგეც იგულისხმება.

უნდა აღვნიშნოს ისიც, რომ დაპირისპირებულთა კავშირი, რომელიც საგნის არსებას წარმოადგენს. ცხადია. სრულიად სხვა ბუნებისაა, ვიდრე ის კავშირი, რომელიც ერთი თვისობრიობის მეორეში გადასვლას ეუბნება: აქაც საწინააღმდეგონი გარკვეულ კავშირში არიან. — აქაც არის დაუბოლოებელის მომენტი დაბოლოებულში, მაგრამ ამით ამ ორი რაიმეს გაიგივება, ცხადია. სიყალბეს მოგვცემდა. ყველაფერს რომ შინაგანი წინააღმდეგობა ანვითარებს. ეს განა ამ მოვლენათა იგივეობაა? იგივეობრივის მომენტის არსებობა მოვლენებში, ცხადია, არ სსნის მათ შორის განსხვავებას.

**ჩ. დაბოლოებულის და დაუბოლოებულის ცნებათა განსაზღვრება.** ყველა ზემოთ თქმულის შემდეგ შეიძლება ჩამოვაყალიბოთ ზუსტი განსაზღვრება. როგორც დაბოლოებულის დაუბოლოებულის ცნებებია.

როდესაც რაიმე სხვა ასეთით (პრედიკატი ან თვისობრიობა) განსაზღვრება, მაშინ ვლავარავით, რომ ის არის დაბოლოებული. რომელიც რიცხვი გარკვეული რამა თვისობრივადაც და სწორედ ამიტომ არ არის ის სხვა რიცხვი. ის სასრულოა თავისი ბუნებით. ასეთია ყოველი რიცხვი. ასევე. განვითარებაში მყოფის ყოველი თვისობრიობა მეორე. ახალი თვისობრიობით უარყოფა და ამიტომ იგი დაბოლოებულია. ის, რაც სხვით უარყოფა, დაბოლოებულად



უნდა იწოდოს; ასეთია განვითარების ყოველი საფეხური; ასეთია მთლიანი საგნის ყოველი მომენტიც.

მეორე მხრით, დაბოლოებული ასეთია მეორე დაბოლოებულის ზაფუძველზე; ხუთი ოთხის შემდეგ და შედეგად არის მხოლოდ შესაძლებელი. სოციალიზმი მხოლოდ კაპიტალიზმის შემდეგ და შედეგად არის შესაძლებელი.

ამიტომ უნდა ითქვას, რომ ყოველი ის, რაც სხვით დგინდება ან უარყოფა, არის დაბოლოებული.

მაგრამ დაბოლოებულის სხვა ასეთით დადგენა ან უარყოფა, როგორც ზემოთ აღვნიშნეთ, და ეს უშუალოდ მოცემულია ლენინის მიერ დაბოლოებულის განსაზღვრებაში, შესაძლებელია მხოლოდ შინაგანი უარყოფით, რომელიც ყოველ არსებით განსაზღვრულობის დამახასიათებელია. ლენინი ჩვენს მიერ ზემოთ მოყვანილ დებულებაში გარკვეულად აღნიშნავს, რომ დაბოლოებული თავისი შინაგანი უარყოფით თავის თავის გარეთ გადის. ამიტომ დაბოლოებულის საბოლოო განსაზღვრება შეიძლება შემდეგნაირად ჩამოვყალიბოთ: დაბოლოებული არის ის, რაც შინაგანი უარყოფით თავის თავის გარეთ გადის. ანუ სხვანაირად: დაბოლოებული არის ის, რაც შინაგანი უარყოფით უარყოფა. ამიტომ შეიძლება ყოველი დაბოლოებულის სხვით უარყოფაც და სხვით დადგენაც. მაშ., დაბოლოებული არის ის, რაც სხვით დგინდება და უარყოფა.

დაბოლოებულია, მაგ., ბურჟუაზია, მისი დამბოლოებელი და უარყოფელი პროლეტარიატია; პროლეტარიატიც დაბოლოებულია ბურჟუაზიით; ისინი ერთიმეორეს უარყოფენ. წარმოება მოხმარებით „ნადგურდება“, იგი მისით ბოლოვდება, ისე როგორც პირიქით. საქონელში სახმარი და საცვლელი ღირებულებანი ერთიმეორეს უარყოფენ და ერთიმეორეს აბოლოებენ. მოძრაობაში მისი მომენტები: „არის“ და „არ არის“ ერთიმეორეს უარყოფენ და ერთიმეორეს აბოლოებენ; სწორედ ამის გამო შეიძლება ითქვას ის, რომ, რაც გაჩერებულია, ის არ მოძრაობს და, რაც მოძრაობს, ის არ არის გაჩერებული, ანუ სხვანაირად: რაიმე ან მოძრაობს, ან გაჩერებულია. ანუ კიდევ: რაიმე ან მოძრაობს, ან არ მოძრაობს; და სხვ.

ყოველი ნატურალური რიცხვი სასრულოა, მაგრამ ნატურალურ რიცხვთა და საერთოდ რიცხვთა სიმრავლე კი — უსასრულო. უსასრულო სიმრავლე არის ის, რაც სასრულო არ არის, მაგრამ სასრულოს გარეშე იგი, როგორც აღინიშნა, ისევ სასრულოა და არა უსასრულო. ამ გარეშეობის საფუძველზე დაუბოლოებელის მხოლოდ უარყოფა შეუძლებელია, რადგან ამ უარყოფის დროს ისევ დაუბოლოებელი დგინდება, როგორც საფუძველი (და არა როგორც შედეგი). თუ დაუბოლოებელს დაბოლოებულის შემდეგ და მის გარეშე

წარმოვიდგენთ, მაშინ მას უარყოფთ, მაგრამ ამ უარყოფის დროს სწორედ მის ცნებას ვემყარებით. როგორც აღინიშნა, უსასრულო ღილის და უსასრულო მცირის გარკვეულ რიცხვად წარმოდგენა მათი მისტიკური გაგებაა, ანუ სწორედ უსასრულოს უარყოფაა. ეს გარკვეობა უსასრულოს არა თუ არ უარყოფს, არამედ, პირიქით, მას ემყარება, მას მოითხოვს თავის საფუძვლად. ყოველი სასრულო რიცხვი არის უსასრულო სიმრავლის რომელიმე ნაწილი (რომელიც მისაღმი არაეკვივალენტურია).

ასე უნდა ითქვას თვისობრივი დაუბოლოებლობის შესახებაც. პროლეტარიატი და ბურჟუაზია ერთიმეორეს აბოლოებენ იმით, რომ ერთიმეორეს უარყოფენ; მაგრამ, ამასთანავე, ისინი ერთიმეო-რესაც ადგენენ: პროლეტარიატის გარეშე არ არსებობს ბურჟუა-ზია და, პირიქით, პროლეტარიატი, როგორც მართლაც ასეთი, არ არსებობს ბურჟუაზიის გარეშე. ისინი ერთიმეორეს კიდევ უარყოფენ და კიდევ ადგენენ. რამდენადაც ისინი ერთიმეორეს უარყოფენ, ან რამდენადაც ისინი ერთიმეორეს ადგენენ, ამდენად. როგორც უთქვა, დაბოლოებულნი არიან.

მაგრამ ამგვარად გაგებული დაბოლოებული თვითონ ამკვლე-ნებს იმას, რაც მასშია, მაგრამ მეტია, ვიდრე თვითონ დაბოლოებუ-ლი. პროლეტარიატი იმიტომ არის დაბოლოებული, რომ მას უარ-ყოფს ბურჟუაზია და თვითონ ბურჟუაზიის უარყოფელია; მეორე მხრით, იგი იმიტომ არის დაბოლოებული, რომ ის, როგორც მართ-ლაც პროლეტარიატი — წარმოების საშუალებებს მოკლებული კლას-ია, არსებობს მხოლოდ ბურჟუაზიის არსებობის დროს და პირობებ-ში. მაგრამ პროლეტარიატი თავისი უარყოფელის უარყოფით არსებობს. ის, რომ მხოლოდ ისეთი იყოს, რომელიც აბსოლუტუ-რად სხვაზეა დამოკიდებული, მაშინ არც იარსებებდა, მაშინ მას არ შეეძლებოდა ბურჟუაზიის უარყოფა. თავის მხრივ, ბურჟუა-ზია იძულებულია იარსებოს თავისი მესაფლავის საფუძველზე, სხვაგვარად არსებობა მას არ შეუძლია. ამიტომ ორივეს არსება მათი აუცილებელი კავშირია, რომელიც შესრულებულია უარყოფის საშუალებით. ეს კავშირი, ეს ერთიანობა—კანონი არ არის დაბოლო-ებული, ე. ი. ისეთი, როგორც ურთიერთგამომრიცხველი მხარეებია, რომლებიც, სწორედ ურთიერთგამომრიცხვით დაბოლოებული საგნის ბუნებას ამოსწურავენ, და აღნიშნულ კავშირში. როგორც დაუბო-ლოებელში, იმყოფებიან. პროლეტარიატი და ბურჟუაზია ერთი-ქორეს გამომრიცხავი, შეურიგებელი მოწინააღმდეგე მხარეებია ერთი და იგივე მთელის, სახელდობრ, კაპიტალიზმისა; ეს უკანასკნე-ლი, როგორც მთელი, არსებობს შინაგანი უარყოფის საშუალებით; იგი შინაგანი უარყოფის საფუძველზე არსებული განსაზღვრულობაა.

როგორც ცნობილია, და ეს ზემოთ საკმაო სისრულით იქნა გად-  
აოცემული, ყოველი დაბოლოებული საგანი მოძრაობს და ვითარ-  
დება შინაგანი წინააღმდეგობის გზით. შინაგანი წინააღმდეგობის  
არსებითი მომენტი არის უარყოფის, შინაგანი უარყოფის მომენტი;  
ამიტომ შინაგანი წინააღმდეგობა არის იგივე, რაც შინაგანი ურთი-  
ერთუარყოფა. მაგალითად, კაპიტალიზმი არ არსებობს ძისი მესაფ-  
ლავის — პროლეტარიატის გარეშე; კაპიტალიზმის არსებას შინაგა-  
ნი წინააღმდეგობა, ამ არსების მომენტების ურთიერთუარყოფა  
წარმოადგენს, რამდენადაც ეს ურთიერთუარყოფა, ამავე დროს,  
გარკვეული დადებითი აუცილებელი კავშირიცაა. არავითარი მოძ-  
რაობა არ არსებობს შინაგანი გაჩერებულობის მომენტის გარეშე.  
ფეოდალიზმი, კაპიტალიზმი და სხვ. მხოლოდ დაბოლოებული მოვ-  
ლენები კი არ არიან, მხოლოდ სხვით კი არ დგინდებიან თუ უარი-  
ყოფიან, არამედ დაუბოლოებელს, როგორც უზოგადეს კანონს თა-  
ვისში შეიცავენ. ყოველი საგანი დაბოლოებულის და დაუბოლოე-  
ბელის ერთიანობაა. ყოველ დაბოლოებულ მოვლენაში მის არსებას  
დაუბოლოებლობა, როგორც მოძრაობა-განვითარების უზოგადესი კა-  
ნონი წარმოადგენს. ამიტომ ყოველი საგანი დადებითსაც შეიცავს  
და უარყოფითსაც, ე. ი. მისი არსება შინაგან წინააღმდეგობაში  
მდგომარეობს. ამ შინაგან წინააღმდეგობას დადებითი აზრი აქვს  
(და არა უარყოფითი, როგორც ეს კანტს ჰქონდა თავის ანტინომიებ-  
ში წარმოდგენილი).

შინაგანი უარყოფა, მართალია, უარყოფაა, მაგრამ, ის, როგორც  
მართლაც შინაგანი, საგნის გარკვეულობას წარმოადგენს. ის რომ  
მხოლოდ უარყოფა, აბსოლუტური უარყოფა იყოს, მაშინ საგანი  
არც იარსებებდა და ეს უარყოფაც შეუძლებელი იქნებოდა. კაპი-  
ტალიზმი არ იქნებოდა კაპიტალიზმი, რომ მასში არ იყოს მისი მე-  
საფლავე — პროლეტარიატი, ორგანიზმის სიცოცხლე შეუძლებელი  
იქნებოდა, რომ მასში ასიმილაციასთან ერთად დისიმილაციაც არ  
არსებობდეს. ამიტომ შინაგანი უარყოფის მომენტი აუცილებლობით  
უკავშირდება დადებითს; ეს უარყოფითი მომენტი თავისთავად, და  
განვითარების თვალსაზრისით, ნამდვილ დადებითობას წარმოადგენს  
(მაგ., პროლეტარიატი კაპიტალიზმში). ამრიგად, არსებობს დადე-  
ბითის და უარყოფითის აუცილებელი კავშირი საგანში. მის არსე-  
ბაში.

შინაგანი უარყოფა, მართალია, საბოლოოდ, საგნის უარყოფას  
იწვევს, მაგრამ ერთადერთი, რაც საგანში ამ უარყოფით დგინდება,  
არის შინაგანი წინააღმდეგობის მხარეთა ურთიერთუარყოფა-და-  
დგენის კავშირი, ანუ უფრო მარტივად: — დადებითისა და უარყო-  
ფითის აუცილებელი და საკმარისი კავშირი: ეს კავშირი ისეთი და-

დებთია, რომელიც აღარ უპირისპირდება სხვა უარყოფითს, როგორც ერთი მხარე წინააღმდეგობისა; წინააღმდეგ შემთხვევაში, დადებითის და უარყოფითის წინააღმდეგობა არ იქნებოდა სრული; ნამდვილად ეს წინააღმდეგობა სრულია, საგნის დაბოლოებულობის ამომწურავია და ამიტომ მათი კავშირი ისეთი დადებითობაა, რომელიც ერთიანობას წარმოადგენს და არა ერთიანობის ერთ მხარეს.

ამრიგად, საგნის არსება, როგორც დაუბოლოებელი, არის ურთიერთუარყოფელთა აუცილებელი კავშირი. დაუბოლოებლობა არის არსების შინაგანი ურთიერთუარყოფა-დადგენის აუცილებელი დადებითი კავშირის დადგენა. ამიტომ და ამ აზრით, სწორედ ის, რაც შინაგანი უარყოფით დგინდება, არის დაუბოლოებელი; ის, რის უარყოფაც მასვე ადგენს, დაუბოლოებელია. თუ რაიმეს უარყოფა მასვე არ ადგენს, ან დაბოლოებული იქნება, ან არარსებული. ასეთი უნდა იყოს დაუბოლოებელის სრული ლოგიკური განსაზღვრება.

კაპიტალიზმის უარყოფა, სწორედ მისი უარყოფაა და არა მისი დადგენა, ამიტომ კაპიტალიზმი დაბოლოებული საგანია, ერთ-ერთი საფეხურთაგანია საზოგადოების განვითარებაში. მაგრამ, ამავე დროს, კაპიტალიზმის შინაგანი უარყოფა ადგენს დაპირისპირებულთა აუცილებელ კავშირს, რომელიც კაპიტალიზმის მოძრაობის არსებას წარმოადგენს, ამიტომ კაპიტალიზმი მარტო დაბოლოებული კი არა, არამედ დაუბოლოებელის არსებად შემცველიც არის. ასეთია ყოველი განვითარებადი საგანი, რომლებშიც სპეციფიკურად ვლინდება საერთოდ მოძრაობა-განვითარების უძირითადესი კანონი — შინაგანი წინააღმდეგობის კანონი.

დაუბოლოებელის ეს განსაზღვრება უშუალოდ (პირდაპირ) გამოსტეჯამს მის ბუნებას. მართლაც, დაუბოლოებელის უარყოფა, როგორც ზემოთ ითქვა, თვითონ ადგენს მას, როგორც საფუძველს, — მისი უარყოფა მეორადია მასთან შედარებით და ისეთი ბუნებისაა, რომ დაუბოლოებელის აუცილებლობას გვიჩვენებს. ვინც უარყოფს დაუბოლოებელს, იგი ვალდებულია ასე თუ ისე მიიღოს იგი, ე. ი. მას აუცილებლობით დაემყაროს. მაშ., დაუბოლოებელის განსაზღვრების პირველი მაგალითი, თვითონ დაუბოლოებელია, რომელიც სამაგალითოცაა. ასევე: წინააღმდეგობის უარყოფა თვითონ არის წინააღმდეგობა; უარყოფის უარყოფაც მასვე ასაბუთებს; ჰემმარტივების უარყოფა მასვე ამტკიცებს; კერძოს უარყოფა ისევ კერძოს გვაძლევს; ზოგადის უარყოფა ისევ ზოგადს ემყარება და მას, როგორც საფუძველს, ასაბუთებს, და სხვ.

დაბოლოებულისა და დაუბოლოებელის ცნებათა ზემოთ მოყვანილი განსაზღვრებანი, როგორც ჩანს, ერთიმეორის საპირისპირო

განსაზღვრებანია; ეს არ ნიშნავს იმას, რომ ურთიერთგამომრიცხავი დებულებებიდან მხოლოდ ერთი იყოს ჭეშმარიტი და მეორე მცდარი; არა, ორივეს მათ თავისი შედარებითი ჭეშმარიტება აქვთ, ორივე სწორია შედარებითი და არა აბსოლუტური აზრით. როგორც ზემოთ გაიჩვენა, ყალბია აბსოლუტურად წარმოდგენა როგორც დაბოლოებულისა, ისე დაუბოლოებელის.

დაბოლოებულის და დაუბოლოებელის ზემოთ მოყვანილი განსაზღვრებანი ერთ სიძნელეს შეიცავენ. ეს სიძნელე შეიძლება ასე გამოითქვას: თუ დაუბოლოებელი არის ის, რომლის უარყოფაც მას ადგენს, მაშინ დაბოლოებულის განსაზღვრებაც ხომ ასეთი გამოდის? დაბოლოებული ხომ ის არის, რომლის უარყოფით ისევ დაბოლოებული მიიღება? თუ აქამდე ის იყო თქმული, რომ დაბოლოებულის და დაუბოლოებელის განსაზღვრებები და ცნებები ერთიმეორის გამომრიცხველნი, უარყოფელნი არიან, ახლა ის ირკვევა, რომ ორივეს განსაზღვრება ერთი და იგივე ყოფილა. ეს, მართლაც, წინააღმდეგობაა და, ერთი შეხედვით, სრულიად გამოუვალი და გადაუწყვეტელი, ე. ი. — შეცდომა.

მაგრამ ნამდვილად აქ დაპირისპირებულთა ერთიანობასთან გვაქვს საქმე და არა გამოუვალ წინააღმდეგობასთან, საქმე გვაქვს ნამდვილ ჭეშმარიტებასთან და არა შეცდომასთან. ეს უკანასკნელი მთელის ერთმხრივად და ერთმხრივის მთელად წარმოდგენაშია<sup>1</sup>. ის, რაც მთელის ერთმხრიობას წარმოადგენს, ცხადია, ერთი მხრით, უსათუოდ ნაკლის შემცველი იქნება, წინააღმდეგ შემთხვევაში, იგი ერთმხრიობაც არ იქნებოდა.

საქმე იმაშია, რომ დაბოლოებულის განსაზღვრების დროს ნათქვამია ის, რომ დაბოლოებულის უარყოფა გვაძლევს დაბოლოებულს, მაგრამ არა იმავე დაბოლოებულს, რომელიც უარიყოფა, არამედ სწორედ სხვას: ერთის უარყოფა მასვე კი არ გვაძლევს, არამედ სხვას; ეს სხვა, ცხადია, ისეთივე, მაგრამ სწორედ სხვა დაბოლოებული იქნება.

ის გარემოება, რომ დაბოლოებულის უარყოფა ისევ დაბოლოებულს გვაძლევს, არის გამოთქმა ასეთი უარყოფის უსასრულოდ შესრულებისა, რადგან ყოველი შემდეგი დაბოლოებულიც ხომ ისეთია, რომლის უარყოფაც სხვას მოგვცემს და ასე შემდეგ უსასრულოდ. ეს გარემოება ნათელყოფს იმას, რომ დაბოლოებული დაუბოლოებელს უსათუოდ უნდა შეიცავდეს და დაბოლოებულის გარეშე დაუბოლოებელი არ შეიძლება იყოს. თვითონ დაბოლოებულის განმარტება მიუთითებს დაუბოლოებელის აუცილებლობაზე.

<sup>1</sup> ე. ი. ლეხინი. დიალექტიკის საკითხისათვის (იდეალიზმის კოსმოლოგიური ფესვების შესახებ).

დაბოლოებულის უარყოფა რომ არაფერს გვაძლევდეს, მაშინ გვექნება დაბოლოებულის მეტაფიზიკური გაგება, მისი დაუბოლოებლობისაგან მოწყვეტა, მაგრამ ამდენად მისი აბსოლუტურად მიჩნევა. ე. ი. მივიღებდით ზემოთ აღნიშნულ შეცდომას. მაგრამ რადგან დაბოლოებულის უარყოფა სხვას გვაძლევს და ამით დაბოლოებული სხვით დგინდება, ამიტომ დაბოლოებული თვითონ არის დაპირისპირებულთა ერთიანობა. აი, სწორედ ეს აუცილებელი კავშირი არის დაუბოლოებელის მომენტი დაბოლოებულში. სწორედ ამ გარემოების გამო დაბოლოებულს უსასრულო პროცესში ვაშლა შეუძლია, ე. ი. უსასრულო პროცესი მისგან გამოდის, მასშია დაჭერილი მისი კანონი; უსასრულობა დასრულებულ კანონშია დაჭერილი. აქაა სწორედ დაბოლოებულის და დაუბოლოებელის დიალექტიკური ერთიანობა.

მეორე მხრით, თვითონ დაუბოლოებელის განსაზღვრებაშია დაბოლოებულის აზრი მოცემული, წინააღმდეგ შემთხვევაში, წმინდა დაუბოლოებელი გვექნებოდა, ე. ი. — ისევ დაბოლოებული და არავითარ შემთხვევაში დაუბოლოებელი. დაუბოლოებელის განსაზღვრულობა, როგორც ზემოთ აღნიშნული მისი განსაზღვრებიდან ჩანს, იმ უარყოფას შეიცავს, რომელიც დაბოლოებულს წარმოადგენს. როცა ვამბობთ, რომ „დაუბოლოებელი არის ის, რის უარყოფაც...“, აი სწორედ ეს უარყოფა იძლევა დაბოლოებულობას: მაგრამ რადგან უარყოფით რაღაც არა მხოლოდ უარყოფა, არამედ კიდევ დგინდება, ამიტომ ეს ურთიერთუარყოფით დადგენილი არის სწორედ დაუბოლოებელი. ამდენად არსებობს დაბოლოებულებიც, როგორც უარყოფის შემცველი, როგორც გარკვეული დადებითი განსაზღვრულობა (დაბოლოებულის უარყოფითად აღებაა, როგორც ეს ზემოთაც აღინიშნა, ჰეგელიანური შეცდომა იქნება).

ამიტომ შეიძლება ითქვას, რომ დაბოლოებულის და დაუბოლოებელის ცნებათა განსაზღვრებებიც ურთიერთ აუცილებელ კავშირში არიან. აუცილებელ კავშირში არიან: 1) დაბოლოებული და დაუბოლოებელი, რადგან ეს უკანასკნელი პირველის არსებაა; 2) დაბოლოებულის და დაუბოლოებელის ცნებები და მათი ლოგიკური განსაზღვრებანი, როგორც დაბოლოებულის და დაუბოლოებელის ერთიანობის ასახვანი, ამ ერთიანობის აზრობრივი გამოთქმანი. ლოგიკური კავშირი რეალური კავშირის ასახვაა და განისაზღვრება იმით, რაც მასში აისახება, აზრით გამოითქმება. დიალექტიკურ სინამდვილეს დიალექტიკურ-ლოგიკური ასახავს.

რამდენადაც „დაუბოლოებელი არის ის, რომლის უარყოფა“. ამდენად სწორედ ის უარყოფა არის ის, რომელიც წინა დაუბოლოებელს და ადგენს დაბოლოებულს: მაგრამ, რამდენადაც

„დაუბოლოებელი არის ის, რომლის უარყოფა მას ადგენს“. ამდენად, ამ ხაზგასმულობის გამო, იხსნება დაბოლოებული და დგინდება დაუბოლოებელი; მეორე მხრით, დაბოლოებულის დადგენით დაუბოლოებელი დგინდება, ფუძნდება და, პირიქით, დაუბოლოებელი დაბოლოებულის არსება და განსაზღვრელი საფუძველია. დაბოლოებული ხსნის და ინახავს დაუბოლოებელს და, პირიქით, დაუბოლოებელი — დაბოლოებულს. აქ ეს თავისებურად „მოხსნა-შენახვა“ ახალი საფეხურის მიღება კი არაა, არამედ უარყოფა-დაფუძნება და დადგენა, ურთიერთგანსაზღვრა — დაქვევდება, რომელსაც წინააღმდეგობის ერთიანობაში აქვს ადგილი. უკეთ: ნამდვილი დაუბოლოებელი არის წინააღმდეგობათა აუცილებელი კავშირი — ერთიანობა და ეს ერთიანობა სწორედ დაბოლოებულის არსებაა. ამიტომ სრული განსაზღვრულობა როგორც დაბოლოებულის, ისე დაუბოლოებელისა სწორედ დაუბოლოებულის განსაზღვრებაში ჩანს; დაბოლოებულის განსაზღვრებაში კი დაუბოლოებელი უარყოფითად არის წარმოდგენილი: იქ დადებითად ნაჩვენებია უარყოფითი უსასრულობა.

ამ „ურთიერთმოხსნა-შენახვას“ არ შეიძლება სწორხაზობრიობა ახასიათებდეს; იგი პირდაპირ მიუთითებს წრიულობა-რკალისებურობაზე. ეს გარემოება დაუბოლოებელის განსაზღვრებაში უშუალოდ ჩანს: „დაუბოლოებელი არის ის, რომლის უარყოფა არის მიიწვევად დადგენა“. აქ უარყოფა დაბოლოებულს იძლევა, მაგრამ, რადგან დაბოლოებულის უარყოფით საპირისპირო მომენტი ირკვევა. ამიტომ ნამდვილი დაუბოლოებელი, ანუ მთელი, დაბოლოებულის და მისი საპირისპიროს ერთიანობა დგინდება, ლოგიკურში კი — საბუთდება; ეს მთელი იგივე ერთიანობაა (და არა მთელი, რომელიც ნაწილს უპირისპირდება; აქ ერთიანობის, და მისი მომენტის დაპირისპირება გვაქვს და არა მთელის და ნაწილისა).

9. დაუბოლოებელი როგორც რკალი. თუ რაიმეს ცვალებადობას დროს მხოლოდ უკან დაბრუნება გვაქვს, ე. ი. თუ რაიმესაგან სხვა რაიმე მივიღეთ, აქედან კი — ისევე პირველი, მაშინ მხოლოდ ერთი და იგივეს გამეორება გვექნება. ასეთი რამ დამახასიათებელია დაბოლოებულისათვის. მაგ. დღე ღამეს მოსდევს, ღამე — დღეს. ზამთარი — ზაფხულს, ზაფხული — ზამთარს, პლანეტები ერთი და იგივე გზით მოძრაობენ მზის გარშემო და სხვ. მაგრამ, თუ რაიმესაგან სხვა რაიმე მივიღეთ, აქედან კი ისეთი, რომელმაც „მოხსნა და შეინახა“ პირველი, ე. ი. თუ აღმავლობასთან გვაქვს საქმე, მაშინ. უხადია, აქ დაუბოლოებელის მომენტიც არსებობს.

ჩვენ ამ გარემოების მხოლოდ ერთი ასპექტი გვიანტერესებს, ანუ უკეთ: მისი იმ სახით წარმოდგენა. როცა დაბოლოებული საგან-

ნი თავის უარყოფას თვითონ უარყოფს და ამიტომ არსებობს, როგორც მთელი. თავის თავის უარყოფი, როგორც გარკვეული არსებობის მქონე საგანი, არ შეიძლება მხოლოდ დაბოლოებული იყოს, იგი დაუბოლოებელის მომენტს, როგორც მის არსებას, შეიცავს აუცილებლობით. კაპიტალიზმის მესაფლავე სწორედ კაპიტალიზმის უარყოფელია არა მხოლოდ ისე, რომ ეს უარყოფა სოციალისტური რევოლუციის დროს ხდება, არამედ ამ უკანასკნელის შესაძლებლობა თვითონ კაპიტალიზმშია. კაპიტალიზმს დაღუპვა მოელის არა გარედან, არამედ სწორედ შიგნიდან, შინაგანი წინააღმდეგობის გამო. კაპიტალიზმი მისი უარყოფის, მისი მესაფლავის გარეშე არაფერია, იგი სწორედ მისით არსებობს; იგი არსებობს იმდენად, რამდენადაც მასში არსებობს შინაგანი ურთიერთუარყოფა და ურთიერთდაღვევა, ე. ი. რამდენადაც შინაგანი წინააღმდეგობა ერთ მთელს ჰქმნის. აქ რაღაც თავისთავადობა არსებობს, როგორც მომენტი დაუბოლოებელისა დაბოლოებულში, რომლის გარეშე არავითარი თვითმოძრავე საგანი არ არსებობს; ამიტომ მისი ბუნება ერთგვარი წრიულობის ხასიათისაა. წრიულობა თავისთავადობის მომენტისათვისაა დამახასიათებელი; თვითმოძრაობას არა აქვს აზრი შინაგანი საფუძვლის—თვითსაფუძვლის გარეშე. ეს თვითსაფუძველი არსებითია დაბოლოებულში, რომელიც მის გარეშე არ არსებობს და რის ასახვასაც ცნება და საერთოდ არსების ამსახველი ლოგიკური უნდა წარმოადგენდეს. ასახვა იმით იქნება განსაზღვრული, რის ასახვასაც იგი წარმოადგენს. ასახვის განსაზღვრულობა უნდა გამოისახოს ლოგიკურად, ეს მის ცოდნას, გაგებას ნიშნავს. ცნება გაგებაა; ასეთია დაუბოლოებელის ცნებაც, (ცნება ცოდნაა და არა ცარიელი სიტყვა ან სიმბოლო).

წრიულობა თუ მართლაც წრიულობაა კარჩაკეტილობის აზრით, მაშინ საგანთა ურთიერთკავშირთან არ გვექნება საქმე,—თუ ამ ურთიერთკავშირს უარყოფითად არ გავიგებთ, ე. ი. ისე, რომ კარჩაკეტილობას ყველასთვის ზოგადობად არ გამოვაცხადებთ, მაგრამ საქმე სწორედ იმაშია, რომ „კარჩაკეტილობას“ შინაგანი უარყოფა არღვევს, რომლის საფუძველზეც არა მარტო რაიმეს არსებობაა სრულიად გარკვეულ-განსაზღვრული, არამედ — სხვაში აუცილებელი გადასვლაც, რომელიც უსასრულოდ შეიძლება განმეორდეს. კაპიტალიზმი თავისი შინაგანი უარყოფით არა მარტო არსებობს როგორც კაპიტალიზმი, არამედ იგი გადადის სხვაში, მისი მოხსნით ექმნება სხვა, სახელდობრ, სოციალიზმი და კომუნისმი. ასევე, წარმოების ურთიერთგამომრიცხავი მომენტების, „გარეგადაამწვდომი“



მომენტი ქმნის წარმოების განახლება-განვითარების დაუსრულებელ შესაძლებლობას<sup>1</sup>.

ის გარემოება, რომ დაუბოლოებელი არის რეალისებური და, ამავე დროს, არადახშული რამ, ნათელია იმით, რაც ზემოთ ითქვა დაუბოლოებელის როგორც ზოგადის და კანონის ენგელსისებური გაგების გადმოცემის დროს (რის მომენტებსაც ეწაა ცალ-ცალკე ვახასიათებთ), სახელდობრ, — იმით, რომ დაუბოლოებელი არის სრული რაღაც, რომელიც დაბოლოებულში არსებობს ზოგადობის და კანონის სახით. „მოდჩაობის ფორმათა ცვლის კანონი უსასრულოა, თავის თავში ჩაკეტილია“<sup>2</sup>. „ზოგადობის ფორმა შინაგანი დასრულებულობის და, მაშასადამე, უსასრულობის ფორმაა“<sup>3</sup>. მაგრამ, ამავე დროს, ეს კანონი სწორედ დაუსრულებელი განვითარებამოდჩაობის კანონი და ამხსნელია.

10. დაუბოლოებელი და სინთეზურობა. განსაზღვრულობის ნამდვილი სინთეზურობა არსების სინთეზურობაა, დაბოლოებულისა და დაუბოლოებელის ერთიანობის სინთეზურობაა, რადგან, როგორც ახლა აღვნიშნეთ, განსხვავებულთა და დაპირისპირებულთა ერთიანობას თავისთავადი მომენტი ახასიათებს; თვით განსაზღვრულობა წარმოადგენს აუცლებელ სინთეზს დაპირისპირებულთა. მაგ., წარმოებითი ურთიერთობა განისაზღვრება საწარმოო ძალებით; მაგრამ საკითხავია, თუ რა განსაზღვრავს თვითონ საწარმოო ძალებს. თუ მათ გარეგანით, მართლაც, სხვა რამით განსაზღვრულად წარმოვიდგენთ, მაშინ უნდა ვთქვათ, რომ საწარმოო ძალები განისაზღვრება გეოგრაფიული გარემოთი, — მივიღებდით „გეოგრაფიულ მატერიალიზმს“; ანდა უნდა გვეთქვა: საწარმოო ძალები მეცნიერებით განისაზღვრება, ე. ი. აზროვნებით განისაზღვრება; ეს უკვე იდეალიზმი იქნებოდა. ასეთი, კაუტსკიანური, თუ კიდევ სხვაგვარი შეცდომა აუცილებელია თვითმოდჩაობის და, მაშ., თვითსაფუძვლის უარყოფის შემთხვევაში. საზოგადოების განვითარება შინაგანი ძალით ხდება, ეს ძალა საწარმოო ძალებისა და წარმოებითი ურთიერთობების გარკვეულ დამოკიდებულებაში მდგომარეობს. საწარმოო ძალები წარმოებით ურთიერთობებს განსაზღვრავენ, წარმოებითი ურთიერთობები კი — საწარმოო ძალებს. ამ ურთიერთგანსაზღვრაში გარეგანამწვდომ მომენტს საწარმოო ძალები წარმოადგენენ. გარეგანამწვდომი, როგორც მთელი არის თავისთავადობა, დაუბოლოებელის მომენტი.

<sup>1</sup> კ. მარქსი. პოლიტიკური ეკონომიის კრიტიკისათვის. გვ. 271 272. 279

<sup>2</sup> ფ. ენგელსი. ბუნების დიალექტიკა, გვ. 245.

<sup>3</sup> იქვე, გვ. 240.

ეს გაოგნება უველგან მოქმედებს, — მოქმედებს როგორც ანტაგონისტურ საზოგადოებაში, სადაც წარმოებითი ურთიერთობა, საბოლოოდ, საწარმოო ძალების ბოკილებად იქცევა (თუმცა საწარმოო ძალების განვითარება იმას მოითხოვს, რომ მას წარმოებითი ურთიერთობა შეესატყვისებოდეს), და იქაც, სადაც ისინი ერთიმეორესთან ყოველთვის სრულ შესატყვისობაში არიან (სოციალიზმის დროს). მაგრამ ეს სრული შესატყვისობა არ არის აბსოლუტური; იგი წინააღმდეგობას შეიცავს; ეს შინაგანი წინააღმდეგობა კი განვითარების მამოძრავებელია.

ნამდვილი სრული სინთეზურობა სწორედ მაშინ არსებობს, როცა დაპირისპირებულები, რომლებიც ურთიერთგამორიცხვით დაბოლოებულის ბუნებას ამოსწურავენ, აუცილებელ ერთიანობაში იმყოფებიან.

წარმოება, როგორც აღინიშნა, გარეგანად წვედომი მომენტია მის საკუთარ მომენტთა შორის, ის გარეგანით კი არ განისაზღვრება, არამედ არის თავისთავადი, დაუბოლოებელის მომენტი. თუ სამუშაო ძალა მოკლებულია წარმოების საშუალებებს, მაშინ მისი პროდუქტიულობა სხვისი კერძო საკუთრების გადიდების წყაროდ ხდება, და, საბოლოოდ, დგება მომენტი, როცა საწარმოო ძალებმა უნდა დაანგრეონ ასეთი წარმოებითი ურთიერთობა, რათა თავის განვითარებას უსასრულო ასპარეზი და გასაქანი მისცენ. საწარმოო საშუალებების მქონე თავისუფალი სამუშაო ძალა უძლეველი და თავისუფალი ისტორიის შემოქმედი ძალაა. პროლეტარიატი უძლეველ ძალას წარმოადგენს, რომელიც ანგრევს კაპიტალიზმს, ანთავისუფლებს თავის თავს, გარდაქმნის თავის თავს და ქმნის თავისუფალ ადამიანთა ნამდვილ ისტორიას!

ნამდვილ აუცილებელ სინთეზს სწორედ თავისთავადი, დაუბოლოებელის მომენტი ქმნის; დაბოლოებულ განსაზღვრებათა ერთიანობას მხოლოდ იგი წარმოადგენს; ნამდვილი სინთეზი სწორედ ის არის, რომელიც უარყოფის, სწორედ შინაგანი უარყოფის საშუალებით არის შესრულებული. ნამდვილი სინთეზური ერთიანობა, საბოლოოდ, არის წინააღმდეგობათა ერთიანობა. რაიმე უკავშირდება სხვას იმით, რომ იგი თვითონ განსხვავდება თავისთავისაგან, როგორც შინაგანი უარყოფის შემცველი, როგორც ის, რაც შინაგანი უარყოფით კიდევ დგინდება და კიდევ იხსნება და გადადის სხვაში.

ამიტომ ლოგიკური, რომელიც დაუბოლოებელის გამოძახატველ-ამსახველი იქნება, თვითონ უნდა ექვემდებარებოდეს წინააღმდეგ-

<sup>1</sup> იხ. კ. მარქსის და ფ. ენგელსის „შინდა ოჯახი“ და მისი კონსპექტ-ლენინის „ფილოსოფიურ რევოლუბში“ — პროლეტარიატის შესახებ.

გობის ერთიანობის კანონს, ის ამ კანონის, როგორც უხივერსალუო კანონის, ბუნებისა უნდა იყოს. ეს მართლაც ასეა, რადგან ის, რაც უარყოფის საშუალებით თავის თავს განსაზღვრავს, მხოლოდ საპირისპირო მსჯელობათა ერთიანობით უნდა იქნას გამოხატული. ამ ლოგიკურის რომელიმე ერთმხრიობის გამომხატველი ლოგიკური კი დაბოლოებული ამსახველი იქნება. ასეთი იყო ძველი ლოგიკური, მაგრამ იმ გახსხვავებით, რომ ძველ ლოგიკას იგი ერთმხრიობად კი არ მიაჩნდა, არამედ — აბსოლუტური მნიშვნელობის მქონედ. მაგრამ ერთმხრივის და შედარებითის აბსოლუტურად წარმოდგენა შეცდომას წარმოადგენს.

არ არის სწორი აზრი, თითქოს თუ სინამდვილეში და აზროვნებაში — ორივეგან დიალექტიკის კანონების არსებობას ვაღიარებთ, მაშინ მათ თითქოს ერთიმეორესთან ვაიგივებთ. ყოველი საგნის მოძრაობის წყარო შინაგანი წინააღმდეგობაა, მაგრამ განა ეს ამ საგანთა იგივეობას ნიშნავს? აზროვნება, როგორც სინამდვილის ასახვა, სინამდვილის კანონს ექვემდებარება, მაგრამ სპეციფიკურობაც ახასიათებს. თუ, მაგ., ანტაგონისტურ საზოგადოებაში კლასთ. წინააღმდეგობა გვაქვს, აზროვნებაში შეიძლება აზრთა, მაგ., მსჯელობათა დაპირისპირება გვექონდეს; თუ საზოგადოებაში ისტორიული აუცილებლობა ბატონობს, აზროვნებაში ლოგიკურ აუცილებლობასთან გვაქვს საქმე. სხვადასხვა სფეროში ზოგადი კანონის არსებობა ამ სფეროთა სპეციფიკურობას და მათში ზოგადის თავსებურ არსებობას სრულიადაც არ უარყოფს. პირიქით, თვითონ სპეციფიკურობანი იქნება შეუძლებელი ზოგადობის გარეშე. სპეციფიკურობანი რალაც საერთო საფუძველზე არსებობენ და გაიკებიან.

ამიტომ არ არის სწორი არც ის აზრი. რომელიც ამბობს, რომ შინაგანი წინააღმდეგობის აღიარება აზროვნებაში ამ უკანასკნელს მოწყვეტს სინამდვილისაგან. მართალია. თუ აზროვნების შინაგანი წინააღმდეგობა აბსოლუტურად გავიკვებთ. მაშინ აზროვნება მოწყდება სინამდვილეს, მაგრამ თუ აზროვნების დიალექტიკას სინამდვილის დიალექტიკის ასახვად გავიგებთ, მაშინ აზროვნება და მისი კანონი გაკებული იქნება როგორც სინამდვილით განსაზღვრული და ამავე დროს არც სპეციფიკურობა დაგვეკარგება. სინამდვილის განვითარება-მოძრაობის კანონის მომენტთა სინთეზური კავშირი განსაზღვრავს და უნდა განსაზღვრავდეს მის ამსახველ აზრთა სინთეზურობას.

**11. დაუბოლოებელის დადებითობა.** ამბობენ, რომ დაბოლოებული დადებითი ბუნებისაა, დაუბოლოებელი კი უარყოფით ცნებას წარმოადგენს. ეს ასეა მართლაც. თუ აზრს სიტყვიერი გამოთქმის

ჴორმას გავუიგივებთ; გამოთქმა „დაუბოლოებელი“ იმას ნიშნავს, რაც დაბოლოებული არ არის, — რაც არადაბოლოებულია. არადაბოლოებული კი მხოლოდ ბოლოვადი, დაბოლოებადი შეიძლება იყოს. ასეთი რამ, როგორც აღინიშნა, უარყოფითი დაუბოლოებელია; ის არის დაბოლოებული, რომელსაც ბოლო არა აქვს. მაგრამ ის, რაც დაბოლოებულია და მაინც ბოლო არა აქვს, წინააღმდეგობას წარმოადგენს, როგორც ამას ფ. ენგელსის შრომებიდან ჴემოთ მოყვანილი ადგილებიც ადასტურებენ. როგორ შეიძლება დაბოლოებული ბოლოს არმქონე იყოს? ეს წინააღმდეგობა შეიძლება მხოლოდ პროცესის სახით არსებობდეს, იგი დაუსრულებელი პროცესია. მაგრამ დაუსრულებელი ხომ მაინც უარყოფითი ხასიათისაა?

ეს უსათუოდ ასეა, მაგრამ, როგორც ვიცით, მატერიალისტური დიალექტიკა იმასაც გვასწავლის, რომ შინაგანი წინააღმდეგობა მხოლოდ ერთიანობაში, აუცილებელ კავშირში არსებობს. ეს ერთიანობა კი არ შეიძლება დადებითი ბუნების არ იყოს (წინააღმდეგე კანტის თვალსაზრისისა წინააღმდეგობის აუცილებელი კავშირის შესახებ). ეს დადებითობა იმაშია, რომ შინაგანი წინააღმდეგობის მხარეები ერთიმეორეს არა მხოლოდ ეწინააღმდეგებიან, უარყოფენ, არამედ ერთიმეორეს მოითხოვენ, ერთიმეორის აუცილებლობას ადგენენ. განვითარების პროცესი უსასრულოა, მაგრამ მისი კანონი სრულიად დასრულებული სახით არსებობს, უსასრულობა არსებობს დასრულებული და დადებითი სახით, როგორც კანონი.

ყოველი დაბოლოებული საგანი თავის განვითარებაში გადადის სხვა დაბოლოებულ საგანში, ეს გადასვლა არ უქმდება და ნამდვილ განვითარებაში თავის თავთან სრული დაბრუნება არ არსებობს<sup>1</sup>. მართალია, იხსნება გადასვლაც და თავის თავთან დაბრუნების მომენტიც არსებობს, რადგან ყოველი საფეხური განვითარებისა სრულიად გარკვეული რამ არის, მაგრამ მთელი განვითარება დაბოლოებულ საგანთა უსასრულო პროცესია, რომელსაც სრულიად გარკვეული კანონები გააჩნია, რომელთაგან უძირითადესი წინააღმდეგობის ერთიანობის კანონია. როგორც ჴემოთ გაირკვა, აი, ეს კანონი განვითარებისა, რომელიც ყოველი დაბოლოებულის არსებაა.

<sup>1</sup> ჴეგელისათვის: 1) დაბოლოებული იკარგება დაუბოლოებელში (იხ. W. d. L. 1, S. 126) 2) დაბოლოებული უკან ბრუნდება დაუბოლოებელში, სადაც ყველაფერია წინასწარე ნაგულისხმევი, 3) დაბოლოებული და დაუბოლოებელი „არსშია“. გარეგანშია; ნამდვილი დაუბოლოებელი ცნება-დასკვნა-იდეაში კი არ გამოიხატება, არამედ ცნება-იდეა თვითონ არის ნამდვილი დაუბოლოებელი, აბსოლუტი; — ასეთი მისტიკა ჴეგელთან ხშირად სწორად დასმულ საკითხს სრულიად აუალბებს. ჴეგელთან საბოლოოდ სრული უკან დაბრუნება ხდება და იხსნება განვითარება.

უნდა იწოდებოდეს დაუბოლოებლად. ამიტომ დაუბოლოებელი დაბოლოებულის ზევით კი არაა, არამედ მისი არსება, მისი დადებითი ბუნებაა. ნამდვილმა ლოგიკურმა სწორედ ეს არსება უნდა გამოხატოს, და ამ არსების ბუნების უნდა იყოს.

როგორც გაიკვია, დაუბოლოებელი წინააღმდეგობის ერთიანობაა როგორც უარყოფის საშუალებით დაბოლოებულთა ერთიანობა, ამ აზრით — დაბოლოებულის და დაუბოლოებელის, მოვლენის და არსების ერთიანობა. უკეთ: მათი ერთიანობა წინააღმდეგობის ერთიანობა კი არაა მხოლოდ და არც მხოლოდ წინააღმდეგობის ერთიანობა (ესენი ორივე დაბოლოებულობის ბუნებისანი არიან, თუ ისინი ცალ-ცალკე იქნენ აღებულნი და განაწილდნენ), არამედ სწორედ წინააღმდეგობის ერთიანობა. ეს არის კანონი და არსება როგორც დაბოლოებულის, ისე დაუსრულებელი განვითარებისა. ამიტომ, არსებითად, ერთი და იგივე დადებითი ბუნებისაა როგორც დაბოლოებული, ისე დაუბოლოებელი; მათ ხომ მხოლოდ მთლიანობაში აქვთ აზრი და არა ცალ-ცალკე.

დაბოლოებული რომ დადებითი ბუნების არ იყოს (წინააღმდეგ ჰეგელის გაგებისა), მაშინ არც დაუბოლოებელს ექნებოდა აზრი. ასევე ითქმის დაუბოლოებელის შესახებაც; დაუბოლოებელის დადებითი ბუნების გარეშე არც დაბოლოებული იქნებოდა ასეთი ხასიათის, ე. ი. დადებითი ბუნებისა. ის გარემოება, რომ ისინი ერთიმეორის გარეშე არ არსებობენ, ორივეს დადებით ხასიათს ასაბუთებს; მაგრამ, რამდენადაც ისინი ერთიმეორის საპირისპირო ცნებებია, რამდენადაც ერთიმეორეს უარყოფენ, ამდენად ერთიც უარყოფითია და მეორეც. უკეთ: როგორც დაბოლოებულს აქვს დადებითი და უარყოფითი მხარეები, ისე დაუბოლოებელსაც; წინააღმდეგ შემთხვევაში, მათი, როგორც დაპირისპირებულთა, ერთიანობა შეუძლებელი იქნებოდა. ამ ერთიანობის გარეშე კი არც ერთია შესაძლებელი და არც მეორე, რადგან ისინი ხომ სწორედ არსებით ერთიანობაში არიან. დაბოლოებულის არსებაა დაუბოლოებელი, ეს უკანასკნელი სწორედ პირველის სახით არსებობს. დაუბოლოებელი სინამდვილე უსასრულო ბოლოვად საგანთა სახით არსებობს და დაქვრილია დასრულებულ, უსასრულო პროცესის ამხსნელ დასრულებულ კანონში. ყოველ არსებას შეუძლია დაუბოლოებელ მოვლენათა სახით არსებობა; მოვლენის თუ მოვლენათა გარეშე მას აზრი არა აქვს.

დაბოლოებულის და დაუბოლოებელის შედარებითობა მათი აუცილებელი კავშირით აიხსნება. ეს უკანასკნელი კი, როგორც წინააღმდეგობის ერთიანობის კანონი, აბსოლუტურია.

12. დაუბოლოებელის ზოგადობა. თქმულიდან ისიც ჩანს, რომ დაუბოლოებელი, როგორც დაბოლოებულისა და განვითარების მთელი უსასრულო პროცესის არსება, ზოგადია თავისი ბუნებით.

დაბოლოებულის და დაუბოლოებელის განსაზღვრებანი, როგორც აღვნიშნეთ, ერთმანეთთან ისეთ დიალექტიკურ მთლიანობაში არიან, როგორც თვითონ დაბოლოებული და დაუბოლოებელი; რომ ეს განსაზღვრებანი ერთიმეორეს აბსოლუტურად გამორიცხავენ, მაშინ ორივე დაბოლოებულის განსაზღვრებანი იქნებოდა და დაუბოლოებელის განსაზღვრება შეუძლებელი გახდებოდა. როგორც ვნახეთ, დაბოლოებულის განსაზღვრებაც შეიცავს დაუბოლოებულის ნიშანს და დაუბოლოებელის განსაზღვრებაც — დაბოლოებულის ნიშანს, წინააღმდეგ შემთხვევაში, მათში აუცილებელი შინაგანი უარყოფის მომენტი აზრს დაჰკარგავდა; უარყოფა დაბოლოებულობას გამოხატავს, უარყოფის შემცველი დადებით კავშირის მომენტი კი დაუბოლოებელის მომენტი დაბოლოებულში.

უარყოფა და მისი მოხსნა-შენახვა ორგვარ და ორმაგ უარყოფას წარმოადგენს; უკეთ: თვითონ დიალექტიკურში არსებობს ორგვარი, ორნაირი უარყოფა: 1) უარყოფა, რომელიც დაბოლოებულის აზრის მომცემია, და 2) უარყოფა, რომელიც მას ხსნის და ინახავს; ეს არის უარყოფა, რომელიც დაუბოლოებელს აძლევს აზრს; უარყოფის მოხსნაც ხომ უარყოფაა, ის არის უარყოფის უარყოფა თვითონ არსებაში, მაგრამ ისეთი უარყოფის უარყოფა, რომელიც გარკვეულ დადებით შედეგს იძლევა, — რომელიც გარკვეულ დადებით განსაზღვრულობას წარმოადგენს. უარყოფის და წინააღმდეგობის ეს დადებითი შედეგი, ანუ უკეთ: მისი ნამდვილი საფუძველი, როგორც ერთიანობა, არის სწორედ ის, რაც დაუბოლოებელის მომენტს წარმოადგენს.

ჩვენ აქ იმ უარყოფის უარყოფის შესახებ კი არ ვლაპარაკობთ, რომელიც „ტრიადის“ სახელითაა ცნობილი, და რომელსაც ჰეგელის სისტემისათვის უნივერსალური მნიშვნელობა ჰქონდა, მატერიალისტური დიალექტიკისათვის კი დიალექტიკის ძირითადი ნიშნებისადმი დაქვემდებარებული მნიშვნელობისაა, არამედ იმ უარყოფის უარყოფაზე, რომელსაც არსების წინააღმდეგობის აუცილებელი კავშირი წარმოადგენს, სადაც საპირისპირო მომენტები ერთიმეორეს უარყოფენ, ეს ურთიერთუარყოფა კი აუცილებელ დადებით კავშირს ჰქმნის, რაც ის დადებითობაა, რომელიც საპირისპირო მხარეთა შემქნელ უარყოფას მოხსნილი სახით შეიცავს თავის თავში, როგორც მომენტს; უარყოფა ამიტომაც, როგორც ამას ვ. ი. ლენინი ამბობდა. კავშირის მომენტი. ეს არის „...отрицание,

как момент связи, как момент развития, с удержанием положительного...“<sup>1</sup>.

უარყოფის უარყოფის მთელი სიძნელე. როგორც ამას კ. მარქსი აღნიშნავს, იმაში მდგომარეობს, თუ როგორ მიგვიყვანს იგი „ნამდვილ შედეგამდე“<sup>2</sup>. რაც ურთიერთგამორიცხვის შედეგად მიიღება, ნამდვილად, არის ის, რის საფუძველზედაც თვითონ ურთიერთგამორიცხვა არის შესაძლებელი; წინააღმდეგობა ერთიანობის, როგორც დადებითი აუცილებელი კავშირის, როგორც უძირითადესი კანონის, საფუძველზეა შესაძლებელი. ის კი, რითაც ამ ერთიანობამდე მივდივართ, არის წინააღმდეგობა, რადგან ეს უკანასკნელი მას მოითხოვს და მასში მართლდება, ასე ვთქვათ, ფუძნდება.

მაგალითად, ბურჟუაზია და პროლეტარიატი და მათი ბრძოლა განისაზღვრება ერთი და იგივე კაპიტალისტური წარმოების წესით, სახელდობრ, იმით, რომ სამუშაო ძალა აბსოლუტურად არის მოწყვეტილი წარმოების საშუალებებს; ერთიანი ეკონომიკის გარეშე არ იარსებებს არც პროლეტარიატი და არც ბურჟუაზია, — შეუძლებელი იქნება საერთოდ კაპიტალიზმის არსებობა. თუ წარმოების საშუალებებს მოწყვეტილი წარმოების მუშაკი როგორმე არ დაუკავშირდა წარმოების საშუალებებს, შეუძლებელი იქნება კაპიტალისტური წარმოება, ამიტომ კაპიტალისტური საზოგადოებაც. ეს დაკავშირება, როგორც ცნობილია, იმით სრულდება, რომ წარმოების საშუალებებს მოწყვეტილი მუშაკი ბაზარზე ყიდის თავის სამუშაო ძალას, როგორც საქონელს; მყიდველი. ამ შემთხვევაში, არის ის, რომელიც ფლობს წარმოების საშუალებებს, მაგრამ სამუშაო ძალის გარეშე წარმოებას ვერ ქმნის. სამუშაო ძალის წარმოების საშუალებებთან დაკავშირება, გარკვეული კავშირი შეიცავს თავის თავში უარყოფას, სახელდობრ სამუშაო ძალის წარმოების საშუალებებისაგან აბსოლუტურ მოწყვეტას.

საბოლოო ანგარიშში, კაპიტალიზმს შინაგანი უარყოფა დაანგრევს, მაგრამ სანამ კაპიტალიზმს შეუძლია არსებობა და განვითარება, მანამ დადებითი აუცილებელი კავშირი, რომელიც უარყოფის მომენტს შეიცავს, მის არსებას შეადგენს და შინაგანი წინააღმდეგობის კანონის, როგორც უნივერსალური კანონის, კონკრეტულ გამოხატულებას წარმოადგენს. საქონელიც შინაგანი წინააღმდეგობის შემცველი საგანია; სოციალიზმის არაანტაგონისტური წინააღმდეგობაც რომ ავიღოთ, აქაც,

<sup>1</sup> В. И. Ленин, Философские тетради, стр. 197.

<sup>2</sup> კ. მარქსი. მათემატიკური ხელნაწერები, 1948 წ., ქართ. გამოც. გვ. 6.

ცხადია, დიალექტიკა ბატონობს, ე. ი. განვითარების კანონი აქაც უარყოფის შემცველი დადებითი კავშირია. დიალექტიკა არ არის მხოლოდ წინააღმდეგობა, არამედ — წინააღმდეგობის აუცილებელი დადებითი კავშირი. წინააღმდეგობის საშუალებით უნდა აღმოვაჩინოთ ის კავშირი, რომელიც, როგორც კანონი, საწინააღმდეგო მხარეების განმსაზღვრელია.

წინააღმდეგობის ერთიანობის თითოეული მხარე არის დაბოლოებული, როგორც ეს დაბოლოებულის განსაზღვრებიდან ნათლად ჩანს, დაბოლოებული არის ის, რაც უარიყოფა და დგინდება მეორე დაბოლოებულით; ასეთია წინააღმდეგობის თითოეული საწინააღმდეგო მხარე წინააღმდეგობის ერთიანობაში. დაბოლოებული, ერთმხრივი და კერძო აქ ერთი და იგივე აზრით უნდა იხმარებოდეს.

ძველი ლოგიკა, ამ შემთხვევაში, იტყვის, რომ ეს ორი დაბოლოებული ერთიმეორეს გამორიცხავს ისე, რომ მესამე შეუძლებელია (მაგ., რაიმე არის ან თავისუფალი, ან აუცილებელი, მესამე გამორაცხულია, რადგან აუცილებელი არის აქ ის, რაც არა-თავისუფალი). ეს აზრი სწორია, მაგრამ მხოლოდ იმდენად, რამდენადაც აქ არ არსებობს ისეთი მესამე დაბოლოებული, როგორცაა ურთიერთგამომრიცხავი დაბოლოებულები, როგორცაა წინააღმდეგობის ერთიანობის საპირისპირო მხარეები, ერთი მთელის ურთიერთგამომრიცხავი და ურთიერთდამდგენი მომენტები; მაშასადამე, ასეთ შემთხვევაში, არ არსებობს მესამე კერძო, ერთმხრივი საპირისპირო მხარეთაგანი; ამიტომ ასეთი დაპირისპირება-წინააღმდეგობა დაბოლოებულის სფეროს ამოსწურავს.

მაგრამ რომ ამ საპირისპირო და ურთიერთუარყოფელ მომენტთა გარდა სხვა არაფერი არ არსებობდეს, მაშინ დაბოლოებული მხოლოდ უარყოფითობა იქნებოდა, შეუძლებელი იქნებოდა თვითონ დაბოლოებულის გარკვეული არსებობა; რომ მხოლოდ ურთიერთგამომრიცხვა გვექონდეს, მაშინ შედეგად ნულს მივიღებდით, ერთიმეორის გამბათილებელი „ნამდვილ შედეგს“, ცხადია, სრულიად ვერ მოგვეცემა. მატერიალური ერთეული საგნის არსებობა იმას მოასწავებს, რომ ამ საგნის შინაგანი წინააღმდეგობა ერთიანობაშია, რომ არსებობს ერთი აუცილებელი დადებითი კავშირი მისი ურთიერთგამომრიცხავი მხარეებისა, წინააღმდეგ შემთხვევაში, თვითონ შინაგანი წინააღმდეგობაც შეუძლებელი იქნებოდა.

ამიტომ უნდა ითქვას, რომ ნამდვილი „მესამე“, ე. ი. ის სხვა, რომელიც ურთიერთგამომრიცხავ მხარეებს შესაძლებლად ხდის, არის მათი ერთიანობა, რომელიც სრულიადაც არ არის მესამე დაბოლოებული მომენტი, თუ მას ცალკე არ წარმოვიდგინოთ, ე. ი. თუ



მას აზრს არ დაეუქარგავთ. აი, სწორედ ეს ერთიანობა არის ზოგადობა, რომელიც ცალმხრიობების ურთიერთსაპირისპირო მხარეთა სწორედ ერთიანობას, მათ აუცილებელ დადებით კავშირს, როგორც კანონს, წარმოადგენს. ასეთი ზოგადობა შინაარსეული და კონკრეტული ზოგადობაა; იგი დიალექტიკური აბსტრაქციით მიიღება.

ეს ზოგადობა, მამასადამე, სრულიადაც არ არის მოცულობითი ზოგადობა, სიმრავლის აზრით აღებული ზოგადობა. იგი არის დაუბოლოებელის მომენტი დაბოლოებულში. დაუბოლოებელი არის არსება და ზოგადობა დაბოლოებულისა. მოვლენათა და ერთეულ საგანთა სიმრავლე სწორედ ერთეულის ამ არსების განმეორებაა, მეორადი ხასიათისაა და მოვლენას წარმოადგენს; სულ ერთია ეს გასამეორებელი სასრულო რიცხვით იქნება აღებული, თუ უსასრულო ბევრის სახით,—ლოგიკური ბუნება ცნებისა მაინც იგივე იქნება (ამით მოიხსნება ძველი ლოგიკის სიძნელე ერთეული ცნების და კატეგორიის, როგორც ცნების, შესახებ).

მამასადამე, როგორც ეს ზემოთაც (თავისებურ ასპექტში) გავარკვევით, დაუბოლოებელი იმას კი არ ჰქვია, რაც არ არის დასრულებული, არამედ იმას, რაც დასრულებულია, მაგრამ არა გარეგანით, არამედ შინაგანით, სახელდობრ, შინაგანი უარყოფით. დაუბოლოებელი არის შინაგანად დასრულებული. სწორედ ამ დაუბოლოებელის ფორმა არის ზოგადობა. „ზოგადობის ფორმა შინაგანი დასრულებულობის და, მამასადამე, უსასრულობის ფორმა“ (*Die Form der Allgemeinheit ist aber Form der Insichabgeschlossenheit damit Unendlichkeit*)<sup>1</sup>. ასეთი დაუბოლოებელი უსასრულო სიმრავლის უარყოფას კი არ წარმოადგენს, არამედ, როგორც მისი არსება, „იგი არის მრავალი სასრულოვანის უსასრულობად გაერთიანება“<sup>2</sup>. ჩვენი აზრით, ეს ერთიანობა არის ის, რომლის მოვლენებს უსასრულო სიმრავლე წარმოადგენს. ენგელსი იქვე აღნიშნავს, რომ ზოგადობის და უსასრულობის ფორმა არის კანონი. უნივერსალურ კანონს ყოველგვარი განვითარებისა კი, როგორც ცნობილია, წინააღმდეგობის ერთიანობის კანონი წარმოადგენს.

მამასადამე, დაპირისპირებულთა ერთიანობა, როგორც აუცილებელი კავშირი, არის შინაარსის ზოგადობა, განსაზღვრულობათა, სახელდობრ, საპირისპირო განსაზღვრულობათა ზოგადობა, წინააღმდეგ სილოგიზმის ზოგადობისა, სადაც ზოგადობას ცნების მოცულობის აზრი აქვს. ნამდვილ შინაარსეულ ზოგადობაში აუცილე-

<sup>1</sup> ფ. ენგელსი. „ბუნების დიალექტიკა“ M. E. G. A-ში, გვ. 475 — 476. ქართული გამოც., გვ. 240.

<sup>2</sup> იქვე.

ბელია შემდეგი ნიშნები: ორი ერთიმეორის საპირისპირო ნიშანი (დაბოლოებულის ნიშანი) და „მესამე“ (თუ შეიძლება ასე ითქვას) არის ერთიანობის ნიშანი, რომელიც არ არსებობს და არც მოიაზრება საპირისპირო ნიშნების გარეშე, რადგან იგი სწორედ მათ ერთიანობას წარმოადგენს; საპირისპირო ნიშნები არ არსებობენ და არც უნდა მოიაზრებოდნენ ერთიანობის გარეშე, მაგრამ ისინი, როგორც ეს მეცნიერების ისტორიამ აჩვენა, შეიძლება წარმოდგენილ იქნენ ცალკე, დამოუკიდებლად; სწორედ ამიტომ იქნა შესაძლებელი წინააღმდეგობის შეუძლებლობის კანონის ჩამოყალიბება, ამ კანონის, რომელიც მოვლენათა აზრში ასახვის სფეროს ეხება და თვითონ შესაძლებელია არსების, წინააღმდეგობის ერთიანობის საფუძველზე, როგორც მისი აუცილებელი მომენტი. ნამდვილი ზოგადობა შინაარსეული ზოგადობაა, იგი დაპირისპირებულთა ერთიანობის, როგორც კანონის ზოგადობაა, რომელიც აზრს აძლევს მის მოვლენათა სიმრავლით ზოგადობას, ე. წ. მოცულობით ზოგადობას, და, აგრეთვე, იმგვარ მოვლენებსაც, როგორსაც მთელის საპირისპირო მხარეები წარმოადგენენ.

ზემოთ გარკვეული შინაარსეული ზოგადობა ნათლად გვაჩვენებს, რომ ის არის კავშირის ზოგადობა; კანონი ზომ უზოგადეს კავშირს წარმოადგენს, ასეთი ზოგადობის ბუნების იქნება ცნებები, რომლებიც კატეგორიებად იწოდებიან. კავშირი კი ყოველთვის ურთიერთკავშირს წარმოადგენს. დიალექტიკის, როგორც მის ძირითად ნიშანთა ერთიანობის, განსაზღვრება აშკარად ცხადყოფს, რომ ურთიერთკავშირი ნამდვილი სახით მხოლოდ მოძრაობა-განვითარებაში არსებობს. განვითარება არის ურთიერთკავშირი განსხვავებული თვისობრიობისა, მათი ერთიმეორეში გადასვლა, რომლის დედაარსსაც წინააღმდეგობის ერთიანობის ნიშანი, როგორც უარსებითესი კავშირის ნიშანი, წარმოადგენს. მაშასადამე, წინააღმდეგობის ერთიანობა, როგორც კავშირი, არის სწორედ ის არსებითი კავშირი, რომელიც შინაარსეულ ზოგადობას უნდა წარმოადგენდეს და კიდევ წარმოადგენს.

რადგან საგნის არსება წინააღმდეგობის ერთიანობაა, სწორედ ამიტომ შეუძლია მას სხვასთან კავშირი, სხვაში გადასვლა. სწორედ ამასი ჩანს ისიც, როგორც ეს ზემოთ აღინიშნა, რომ საგანს შედარებითი დამოუკიდებლობა ახასიათებს; ურთიერთკავშირში არსებული ეს შედარებითი დამოუკიდებლობა დამახასიათებელია შინაარსეული ზოგადობისათვის. შედარებით დამოუკიდებლობაში განსაზღვრულობა თავის თავთან გარკვეულ კავშირშია, განსაზღვრულობის თავის თავთან კავშირი, რომელიც უარყოფით არის შესრულებული. იმას მოასწავებს, რომ ეს განსაზღვრულობა დაუ-

ბოლოებელის განსაზღვრულობაა, იგი არის შინაარსეული ზოგადის განსაზღვრულობა.

ვ. ი. ლენინი ამბობს, რომ: „Вкратце диалектику можно определить, как учение о единстве противоположностей. Этим будет охвачено ядро диалектики...“<sup>1</sup>. განვითარების, როგორც თვისობრიობისა და რიცხობრიობის ურთიერთში გადასვლის, დედაარსს წინააღმდეგობის ერთიანობის ნიშანი წარმოადგენს. რიცხობრიობისა და თვისობრიობის ერთიანობა თვითონ საგანია, რომელშიც მოხსნილია ერთმხრიობანი თვისობრიობისა და რიცხობრიობის განსაზღვრებათა, და ამით გარკვეულია შედარებითი დამოუკიდებლობა საგნის არსებობისა. შინაარსეული ზოგადობა სწორედ ამ საგნის არსებაა, რომელიც მოვლენებში სხვადასხვანაირად განმეორდება.

ამიტომ უნდა გავარჩიოთ არსების დაუბოლოებლობა მოვლენების უსასრულობისაგან. პირველი მეორის რეალურ და არსებით საფუძველს წარმოადგენს, რადგან არსების განმეორებანი, მისი არსებობის სხვადასხვა ფორმები გვაძლევენ მოვლენათა მრავალფეროვნებას. ადამიანის არსება შეიძლება უსასრულოდ მრავალი სახით მოვლინდეს, ისე როგორც კაპიტალიზმის არსება შეიძლება მრავალფეროვანი სახით არსებობდეს და სხვ. არსების დაუბოლოებლობა, როგორც ითქვა, შინაარსეული ზოგადობაა; მოვლენათა უსასრულობა კი რიცხობრივი ხასიათისაა, რადგან იგი არსების სიმრავლეს, მის მრავალნაირ განმეორებას წარმოადგენს. ამიტომ მოვლენათა უსასრულობა არსების დაუბოლოებლობისაგან გამომდინარეობს და მისით აიხსნება. ლოგიკურმა სწორედ ეს ვარემოება უნდა ასახოს, წარმოადგინოს.

13. დაუბოლოებელის და დაბოლოებულის დამოკიდებულება როგორც საფუძველ-შედეგის დამოკიდებულება. წინააღმდეგობის ერთიანობის, როგორც არსების განსაზღვრულობის, ბუნებიდან ჩანს, რომ დაბოლოებულსა და დაუბოლოებულს შორის დამოკიდებულება რეალური საფუძველ-შედეგის სრულიად გარკვეულ დამოკიდებულებას წარმოადგენს, რომელიც ლოგიკური საფუძველ-შედეგის თავისებურ დამოკიდებულებაში უნდა იქნას ასახული. არსების განსაზღვრულობის მომენტთა საფუძველ-შედეგობრივი დამოკიდებულება გაგებულ უნდა იქნეს დაბოლოებულისა და დაუბოლოებელის დამოკიდებულების, როგორც საფუძველ-შედეგის დამოკიდებულების, სახით.

დაბოლოებულისა და დაუბოლოებელის ერთიანობის სხვადა-სხვა მომენტების ერთიმეორესთან ზემოთ გარჩეული რევანაირი და-მოკიდებულება ნათელყოფს, რომ თითოეული ამ მომენტთაგანი მეორის (და საპირისპირო მომენტის) საფუძველს წარმოადგენს. თუ დაბოლოებული არის, მაშინ არის დაუბოლოებელი და პირიქით და სხვ. ყოველი მომენტი ხსენებული დამოკიდებულებისა არის არა მარტო საფუძველი მეორისა, არამედ მისი შედეგიც. ურთიერთ-განსაზღვრების ცნება სწორედ ასეთ დამოკიდებულებას გულისხ-მობს შედეგისა საფუძველთან და პირიქით. ამაში უნდა ვეძიოთ შედეგის და საფუძვლის ცნებათა შეფარდებითობა.

თუ დაბოლოებულის არსება დაუბოლოებელია, მაშინ ეს უკა-ნასკნელი, როგორც მისი ამხსნელი, მის საფუძველს წარმოადგენს. მაგრამ, რადგან დაუბოლოებელი არ არსებობს დაბოლოებულის გარეშე და რადგან დაბოლოებულის არსებობა აუცილებელია და-უბოლოებელის არსებობისათვის, ამიტომ დაბოლოებული, თავის მხრივ, დაუბოლოებელის თავისებურ საფუძველს წარმოადგენს. გარკვეული აზრით, მოვლენაც საფუძველია არსების და არსებაც. — მოვლენის. დაპირისპირებულთა ერთიანობაში მყოფნი ერთიმეორეს არა მარტო უარყოფენ, არამედ, ამ უარყოფით განსაზღვრავენ რა ერთიმეორეს, სწორედ ამით ურთიერთის საფუძვლადაც გამოდიან. ასეთი დამოკიდებულება საფუძველ-შედეგისა არის დაბოლოებული დამოკიდებულება და დაბოლოებულის აზრით წარმოდგენა რო-გორც ერთის, ისე მეორესი. პროლეტარიატის არსებობას არა მარტო გამორიცხავს ბურჟუაზია (და პირიქით), არამედ სწორედ მას ემყა-რება, მის საფუძველზე არსებობს. ურთიერთგაპირობება, დიალექ-ტიკის პირველი ნიშანი სწორედ ასეთ დამოკიდებულებას წარმო-ადგენს.

მაგრამ დაუბოლოებელის ბუნების ნათელსაყოფად მთავარია არა მარტო საპირისპირო — დაბოლოებულ მხარეთა საფუძველ-შედეგობრივი კავშირის გაგება, არამედ ამ კავშირში დაუბოლოე-ბელის მომენტის განსაზღვრულობის თავისებურების ნათელყოფა. დაბოლოებულ — საპირისპირო მხარეთა ურთიერთგანსაზღვრა-დაფუძნება წრეში ტრიალს მოგვცემს და სიყალბეს მივიღებთ, თუ ამ წრის ამხსნელი და გამმართლებელი არ აღმოჩნდა; ასეთი რამ, როგორც ეს ზემოთ რამდენიმეჯერ აღინიშნა, არის „გარეგადამწვდო-მი“ მომენტი. წარმოების მომენტები, როგორც ვნახეთ, ურთიერთს აფუძნებენ, მაგრამ უარყოფის საშუალებით გარეგადამწვდომ მო-მენტს, როგორც მათ არსებას, გამოავლენენ. პროლეტარიატი და ბურჟუაზია ურთიერთუარყოფით ერთიმეორეს აფუძნებენ და გა-მოავლენენ იმ ერთ გარკვეულ წესს, როგორც საფუძველს, რომელიც

მათი — საპირისპირო შედეგების ამხსნელი არიან. ერთიანი ეკონომიკა და ერთი წარმოების წესი არის ის, რომელიც პროლეტარიატისა და ბურჟუაზიის ურთიერთდაფუძნება — უარყოფის საერთო საფუძველი — არსებაა. აი, ასეთი საფუძველი არის საპირისპირო საფუძველ-შედგის პირველი საფუძველი (რადგან აქ ერთიანის გაორება გვაქვს) და, როგორც ასეთი, ე. ი. როგორც წინააღმდეგობის აუცილებელი დადებითი კავშირი, დაუბოლოებელის მომენტი დაბოლოებულში.

ურთიერთგამომრიცხავი საფუძველ-შედგები მათი ზოგადი საფუძვლის მოვლენებს წარმოადგენენ. ამ გარემოებას ნათელსკუფს მარქსიზმ-ლენინიზმის დებულებები პროლეტარიატის, ბურჟუაზიის და მათი ერთიანი ეკონომიკის დამოკიდებულების შესახებ. ეს მოვლენები ისეთ დამოკიდებულებაში არიან ერთიმეორესთან, რომ მათ შესახებ მსჯელობის დროს ძალაშია წინააღმდეგობის შეუძლებლობის კანონი; ეს იმას ნიშნავს, რომ აქ ჩვენ მხედველობაში გვაქვს მხოლოდ ერთი მომენტი წინააღმდეგობის ერთიანობისა, სახელდობრ, წინააღმდეგობის მომენტი, რომელიც მთელი თავისი სისრულით და ნამდვილი სახით მხოლოდ წინააღმდეგობის ერთიანობაში არსებობს (შინაგანი წინააღმდეგობა არის წინააღმდეგობა ერთიანში).

მართლაც, პროლეტარული არ შეიძლება ბურჟუაზიული იყოს და პირიქით, წინააღმდეგობა შეუთავსებელია. მაგრამ, როგორც გაირკვა, შინაგანი წინააღმდეგობა თვითონაა შესაძლებელი ერთიანობის, როგორც შინაგანი აუცილებელი კავშირის საფუძველზე. აი, ეს საფუძველი არის სწორედ წინააღმდეგობის ერთიანობა და ამიტომ მის მიმართ არ გამოიყენება წინააღმდეგობის შეუძლებლობის კანონი. ეს უკანასკნელი მასზე დაქვემდებარებული მომენტი. (როგორც ამას ამ შრომის მესამე თავში გავარკვევთ, არა მარტო წინააღმდეგობის შეურიგებლობაა წინააღმდეგობის ერთიანობის აუცილებელი მომენტი, ამიტომ მასზე დაქვემდებარებული, არამედ თვითონ კანონი წინააღმდეგობის შეუძლებლობისა დაქვემდებარებულია წინააღმდეგობის აუცილებლობის ანუ ერთიანობის კანონზე).

ჩვენ ურთიერთდაწინააღმდეგებით მივიღივართ საერთო საფუძვლამდე, რომელიც, როგორც «გარეგადამწვდომი», თვითსაფუძველს, როგორც მთელს (და არა მის ცალკე მხარეს), წარმოადგენს. აი, სწორედ ეს თვითსაფუძველი არის დაუბოლოებელის მომენტი დაბოლოებულში. საპირისპირო საფუძველი და შედეგი, როგორც ითქვა, შეფარდებითი, ე. ი. პირობითი, რელატური ხასიათის არიან; მათი საშუალებით, როგორც ახლა ითქვა, დაუბოლოებელის

მომენტი აღმოჩნდება შეფარდებითში. ამ გარემოებაზეა დამყარებული, მაგ., შედარებითი და აბსოლუტური ქვემარტივების დამოკიდებულება ასახვის ლენინურ თეორიაში<sup>1</sup>.

აქ აღნიშნული შეიძლება საკმარისად მივიჩნიოთ დაუბოლოებელის ცნების გაგებისათვის (თვითონ საფუძვლის ცნება და ლოგიკურ ასპექტში საფუძველ-შედგების დამოკიდებულება კი, აქ გარკვეულის საფუძველზე, სპეციალურად ამ შრომის უკანასკნელ თავში გაირკვევა).

მაგრამ დაუბოლოებელის, როგორც თავისთავადის და თვით-საფუძვლის თუ თვითმიზეზის, წინააღმდეგ შეიძლება წამოაყენოს დებულება, რომ თვითმიზეზი და თვითსაფუძველი უაზრობაა, რადგან თვითმიზეზის და თვითსაფუძვლის აღიარება იმას ნიშნავს, რომ რაიმე თავის თავს უსწრებს წინ; თუ რაიმე თავის თავის მიზეზია ან საფუძველია, მაშინ იგი თავის თავამდე არსებულა, რაც დაუშვებლად უნდა იქნეს მიჩნეული. ასეთი აზრი ჩვენი დებულების წინააღმდეგ რომ სწორი იყოს, მაშინ შემცდარად უნდა ჩავთვალოთ თვითმოდრობის ცნება და საერთოდ დიალექტიკა. მართლაც, აქ ხსენებული ანტიდიალექტიკური დებულება დიდხანია იცის ფილოსოფიის ისტორიამ და დიალექტიკის თეორიის ჩამოყალიბება მისი დაძლევა-უარყოფის ფაქტსაც წარმოადგენდა. თვითმიზეზის და თავისთავადის დაბოლოებულში აღმოჩენის ფაქტები ფილოსოფიის ისტორიაში, როგორც ცნობილია, დიალექტიკის ნიმუშებად ითვლებიან.

ჩვენ ზემოთ გავარკვიეთ, რომ თუ დაუბოლოებელს დაბოლოებულის გარეთ წარმოვიდგენთ, მაშინ თვითონ დაუბოლოებელს უარყოფთ, და მხოლოდ დაბოლოებულის აღიარებით ისევ დაუბოლოებელის აუცილებლობას ვაღიარებთ, ე. ი. ვვარდებით სრულიად ყალბ ჰედგომარეობაში (როგორც ამას ადგილი აქვს, მაგალითად, კანტორის, რასელის ტიპების თეორიასა და სხვ. თვალსაზრისებში). თუკი დაუბოლოებელს დაბოლოებულის არსებად და მასში არსებულად წარმოვიდგენთ, მაშინ აუცილებელია თვითმიზეზის თუ თვითსაფუძვლის და საერთოდ თავისთავადის (შედარებითი თავისთავადის, შედარებითი დამოუკიდებელის) აღიარება.

თუ უარყოფელს ან დამდგენს ყოველთვის გარეგან უარყოფლად ან დამდგენად წარმოვიდგენთ, მაშინ ან უსასრულო რეგრესს მივიღებთ, ე. ი. ჩავარდებით უაზრობაში, ანდა რეგრესული პროცესი ხელოვნურად უნდა შევაჩეროთ, ე. ი. სიძნელის წინაშე უძლურად გამოვაცხადოთ თავი. ამიტომაც (სხვათა შორის)

<sup>1</sup> ამის შესახებ იხ. მე-4 თავი.

აუცილებელია შინაგანი უარყოფის აღიარება. შინაგანი უარყოფა შინაგან განსაზღვრულობას წარმოადგენს. შინაგანი უარყოფის მქონე განსაზღვრულობა კი უსათუოდ თავის საკუთარ საფუძველს ემყარება (იხ. ზემოთ განხილული წარმოება და მისი მომენტები, კაპიტალიზმის შინაგანი წინააღმდეგობა, საქონელი და სხვ.). მაგრამ ეს თვითსაფუძველი მთელის რომელიმე მხარე კი არაა, არამედ თვითონ მთელია.

თუ რაიმე თავის თავის უარყოფას თავის თავში შეიცავს, სწორედ მაშინ არსებობს იგი, სწორედ მაშინ აქვს შედარებითი დამოუკიდებლობა, მხოლოდ გარეგანი დადგენა-უარყოფა კი რაიმეს არსებობას შეუძლებელს ხდის.

ვინც იმას იტყვის, რომ თვითსაფუძველის და თვითმიზეზის მქონე შეუძლებელია, რადგან ის, ასეთ შემთხვევაში, თავის თავის წინ არსებულად უნდა წარმოვიდგინოთ, იმ შეცდომას სჩადის, რომელიც დაუბოლოებელის დაბოლოებულზე დაყვანაში მდგომარეობს, ე. ი. დაუბოლოებელის უარყოფას წარმოადგენს, რადგან ცდილობს მთლიანობა დაარღვიოს და დაბოლოებულში არსებული დაუბოლოებელის მომენტი გარეთ გაიტანოს და იგი ამით დაბოლოებულად წარმოიდგინოს; ასეთ შემთხვევაში, აუცილებელია რეგრესი უსასრულობაში, ე. ი. — ლოგიკურად სრულიად ყალბი მდგომარეობაა.

მაშასადამე, თვითსაფუძველი არის მთელი და არა ცალკე აღებული საფუძველი. მაგალითად, წარმოება როგორც მთელი თვითსაფუძველია, მისი მხარეები კი ურთიერთს განსაზღვრავენ. საწარმოო ძალები განსაზღვრავენ წარმოებით ურთიერთობათა განვითარებას; ახალი წარმოებითი ურთიერთობანი კი მთავარი მამოძრავებელი ძალაა საწარმოო ძალების განვითარებისა. მაგრამ საწარმოო ძალები, როგორც ყველაზე უფრო რევოლუციური ელემენტი არა მარტო წარმოებით ურთიერთობათა განმსაზღვრელია, არამედ ისინი წარმოებით ურთიერთობათა მათზე უკუმოქმედებასაც განსაზღვრავს; ამიტომ საწარმოო ძალები „გარეგანადმწვდომი“ მომენტია და მთლიანობას, როგორც თვითსაფუძველს, ადგენს და აყალიბებს. ასე ითქმის ყველა თვითმოდრავის შესახებ. თვითმოდრავის გარეშე კი დიალექტიკა არ არსებობს.

14. დაუბოლოებელის ცნებასთან დაკავშირებული ზოგიერთი ლოგიკური სიძნელის გადაწყვეტის ცდა. მატერიალისტური დიალექტიკის ისეთი ქატეგორიების გარკვევა, როგორიცაა დაბოლოებულის და დაუბოლოებელის კატეგორიები, როგორც ითქვა, მიზნად ისახავს ლოგიკურის ბუნების გაგებას, და ემსახურება ფორმალური ლოგიკის და დიალექტიკური ლოგიკის დამოკიდებულების აქტუა-

ლური პრობლემის გადაწყვეტას. ამ გარემოებას დიდ სამსახურს ვაუწყებს ისიც თუ ჩვენ მოვახერხებთ ზოგიერთი ისეთი ლოგიკური სიძნელის გადაწყვეტას, რომელიც საუკუნეების განმავლობაში გადაუწყვეტელ პრობლემად იყო მიჩნეული. დღეს კი მის გადაწყვეტაზე ბევრი რამ არის დამოკიდებული ისეთ მეცნიერებაში, როგორცაა, მაგ., მათემატიკის დაფუძნების მეცნიერება. ჩვენ აქ მხოლოდ გარკვეულ ცდას ვიძლევი და არ ვაცხადებთ ზემოთ აღნიშნული და ქვემოთ გარჩეული საკითხების სრული გადაწყვეტის პრეტენზიას.

ვფიქრობთ, რომ ჩვენ მიერ ზემოთ მოყვანილი დაუბოლოებელის განსაზღვრების საფუძველზე, შეიძლება გადაწყვიტოთ ის სიძნელენი, რომელნიც ანტიკური დროიდან პარადოქსების სახელით არიან ცნობილნი.

აქ აღსანიშნავია როგორც ლოგიკური, ისე სიმრავლეთა თეორიის პარადოქსების ის ღრმა და ყურადსაღები განხილვა და გადაწყვეტა, რომელიც მოცემული აქვს პროფ. ლ. გოკიელს<sup>1</sup>. ჩვენ არ შევეხებით პროფ. ლ. გოკიელის თეორიას, მხოლოდ აღვნიშნავთ დასკვნას, რომელიც მას პარადოქსების თავისებური გაგებიდან გამოჰყავს.

პროფ. ლ. გოკიელის აზრით, პარადოქსალური დებულებების სახელით ცნობილი დებულებები, მაგ., „ცრუ“-ს შესახებ პარადოქსი და სხვა, არა იმიტომ არიან პარადოქსალური, რომ წინააღმდეგობრივი ბუნებისანი არიან, არამედ იმიტომ, რომ ისინი სრულიადაც არ არიან გაფორმებული დებულებები. მათი გაფორმების ცდას კი მივყავართ უსასრულო რეგრესში. ლოგიკურად ყალბი მდგომარეობა ე. წ. „პარადოქსებისა“ სწორედ ამაში მდგომარეობს და არა დასრულებული დებულების წინააღმდეგობრივ ბუნებაში<sup>2</sup>. დებულება, რომელსაც უსასრულო რეგრესამდე მივყავართ, არასოდეს არ შეიძლება დაყვანილ იქნეს წინააღმდეგობაზე, რადგან ეს უკანასკნელი გარკვეული რამ არის, პირველი კი გაურკვეველი და გაუფორმებელია. ამბობენ, რომ დებულებას: „ის, რასაც ახლა გამოვთქვამ სიცრუეა“ — მივყავართ წინააღმდეგობამდე: თუ მას ჰემარიტად მივიღებთ, მაშინ სიცრუე იქნება, თუკი სიცრუედ მივიღებთ, მაშინ ჰემარიტება გამოვა. მაგრამ ნამდვილად, აღვნიშნავს პროფ. გოკიელი, ეს ასე არ არის, არამედ საქმე შემდეგში მდგომარეობს: სურთ მიუთითონ გამოსათქმელის სიცრუეზე, მაშინ როცა

<sup>1</sup> Л. П. Гокнели. Парадоксы теории множеств. Философии и логике, т. 1, стр. 199 — 236.

<sup>2</sup> იხ. იქვე, გვ. 227 და შემდეგ



თვითონ გამოსათქმელი სწორედ მისი სიცრუის ჩვენებაში მდგომარეობს. ამიტომ, когда я говорю: то, что я сейчас говорю — ложно, поскольку я говорю именно о ложности высказываемого, то придется исправить задним числом и сказать: ложно то, что то, что я сейчас говорю, ложно; но придется опять исправить сказанное и провозгласить и его ложность и т. д.<sup>1</sup>. ამიტომ „პარადოქსალურ დებულებას“ მივყავართ უსასრულობაში, ის არც არის გაფორმებული დებულება, რომელზედაც შეიძლება გვეთქვა, რომ იგი ან ქეშმარიტია, ან მცდარი. ამიტომ აქ წინააღმდეგობას და, ამ აზრით, პარადოქსალობას სრულიადაც არა აქვს ადგილი.

სიმრავლეთა თეორიის პარადოქსები დაკავშირებულია ისეთი საკითხების განხილვასთან, როგორცაა ყველა სიმრავლის სიმრავლის, ყველა ცნების ცნების და სხვ. საკითხები. პროფ. ლ. გოკიელის აზრით სიძნელეს ისა ქმნის, რომ ცდილობენ სიმრავლის შექმნისათვის მისი ელემენტები წინასწარ მოიმარაგონ; ამიტომ სიმრავლის მიღებამდე უკვე ხელთა აქვთ სიმრავლე. უსასრულობის ტრანსფინიტური გაგება და სიმრავლის ჰიპოსტაზირების თვალსაზრისი ერთნაირად ყალბი თვალსაზრისებია. პროფ. გოკიელის აზრით, სიმრავლის მიღებისათვის სრულიადაც არაა საჭირო მისი ელემენტების წინასწარი შექმნა, საქმე უბრალო შესატყვისი ობიექტთა სიმრავლეში მდგომარეობს; ამიტომ არალოგიკურია კითხვის დასმა: სიმრავლის ელემენტებს რა პირობებში შეუძლიათ წარმოშვან სიმრავლე<sup>2</sup>.

ჩვენ ვფიქრობთ, და ამით ვცდილობთ წარმოვადგინოთ პარადოქსების გადაწყვეტის ცდის ერთი ვარიანტი, რომ „პარადოქსები“ შედეგი არიან და წარმოადგენენ იმ ყალბ მდგომარეობას, როდესაც: 1) ან დაუბოლოებელს წარმოიდგენენ დაბოლოებულად, 2) ანდა დაბოლოებულს დაუბოლოებლად. პირველ შემთხვევაში თავისთავადს აუქმებენ, მეორე შემთხვევაში კი დამოუკიდებლობას აძლევენ იმას, რაც დამოკიდებულია. მართლაცდა, აქტუალურად უსასრულოდ მცირის და დიდის ცნებები ყალბი ცნებებია, რადგან ისინი სიმრავლისა და პროცესისაგან ცალკე წარმოიდგინებიან. რასელის ტიპების თეორიაც არსებითად იგივე სიყალბის მქონეა,

<sup>1</sup> Л. П. Гокнели. Парадоксы теории множеств. Ученоскопийის ინსტიტუტის შრომები, ტ. I, გვ. 227.

<sup>2</sup> იქვე, გვ. 233.

რადგან ის, რაც ზოგადია სიმრავლისათვის, ცალკე საფეხურად არის გამოყოფილი და ა. შ.

თუ ყველა სიმრავლის სიმრავლე ისე გავაორეთ, რომ მისი შედგენა ყველა სიმრავლისაგან მოვიხდომეთ ე. ი. თუ ვთქვით, რომ ყველა სიმრავლის სიმრავლე თვითონ არის ერთ-ერთი ელემენტი სიმრავლისა, რადგან ისიც სიმრავლეა და რომ აქ დაპირისპირებასთან გვაქვს საქმე, მაშინ ყალბ მდგომარეობაში ჩავარდებით: რაც დაუბოლოებელია, იმას დაბოლოებულად ვაქცევთ. ყველა სიმრავლის სიმრავლე სწორედ ეს არის და იგი სრულიადაც არ უპირისპირდება ყველა სიმრავლეს. დაპირისპირების ერთ-ერთი მხარეთაგანი, როგორც ითქვა, სასრულოს წარმოადგენს. უსასრულო სასრულოდ არ უნდა წარმოვიდგინოთ.

თუ იმას ვიტყვით, რომ ყველა ცნების ცნება თვითონ არის ერთ-ერთი საპირისპიროთაგანი ყველა ცნების სიმრავლის მიმართ, მაშინაც ანალოგიური მდგომარეობა გვექნება. თუ ყველა ცნების ცნება ერთ-ერთი მხარეა დაპირისპირებისა, მაშინ იგი ყველა ცნების ცნება აღარ იქნება.

ცნება არის მხოლოდ ერთი ფორმა ლოგიკურისა. რა არის ცნება? ამ კითხვაზე სწორი პასუხი არის მხოლოდ ერთი და იგი საერთოა ყველა ცნებისათვის, ის კანონია ცნებათა სიმრავლისათვის. დაუბოლოებლად მრავალი ცნების არსება თითოეულის არსებაცაა, დაუბოლოებელი მხოლოდ დაბოლოებულშია. როცა ცნებას, როგორც ასეთს, როგორც აზროვნების გარკვეულ ფორმას, განვმარტავთ, მაშინ ერთი რამ გვექნება, რომელიც მეორე ასეთს არ საპირისპირებს (და არც არის შესაძლებელი).

ასე ითქმის ყველა ქეშმარიტების ქეშმარიტების შესახებაც. ქეშმარიტებანი საგანთა ასახვანია და თუ რა არის ქეშმარიტება, ამ კითხვაზე პასუხი არის სწორედ ყველა და საერთოდ ქეშმარიტებინ განსაზღვრება; ყველა ქეშმარიტების ქეშმარიტება სწორედ ეს არის და არა ყველა ქეშმარიტების საპირისპირო მხარეთაგანი.

ავილოთ ძველი ბერძნული პარადოქსი „ცრუ“, (რომელსაც თანამედროვე პოზიტივისტები მატერიალისტური ასახვის თეორიის წინააღმდეგ იყენებენ). ერთი კრეტელი ამბობდა, რომ ყველა კრეტელი ცრუობსო. მაგრამ ის თვითონაც ხომ კრეტელია, მაშ., თვითონაც ცრუობს; თუ თვითონ ცრუობს, მაშინ სწორი არ ყოფილა მისი დებულება ყველა კრეტელის სიცრუის შესახებ; მაშ., კრეტელები არ ცრუობენ; ასეთ შემთხვევაში არც ის კრეტელი ცრუობს, რომელიც ამბობს, რომ ყველა კრეტელი ცრუობსო და ა. შ. წრემოტრიალი არასოდეს არ შეწყდება. სად არის გამოსაყალიბი?

ამ პარადოქსში პარადოქსალურობას სწორედ ის ქმნის, რომ ყველა კრეტელის შესახებ გამოთქმული აზრი მიყენებულია იმის მიმართ, ვინც ეს აზრი გამოთქვამს. კრეტელის აზრი სხვა კრეტელებს ეხება და არა თვითონ მას. აქ ერთ საპირისპიროს მეორე საპირისპიროდ ვაქცევთ, მათ ერთიმეორეში ვუკრევთ, ერთ დაბოლოებულს მეორედ წარმოვიდგენთ, მაგრამ ისე, რომ ორივეს ვაერთიანებთ: დაპირისპირების მოხსნას ერთში ვცდილობთ, — ერთი მეორისათვის ისეთ აუცილებლობად მიგვაჩნია, როგორიც რაიმეს თავის თავისადმი აუცილებლობაა. ამრიგად დაბოლოებული დაუბოლოებლად არის წარმოდგენილი, პირობითი (სხვა კრეტელებზე ნათქვამი) უპირობოდ არის აღიარებული. ეს იგივეა, როგორც ეს ზემოთ გაიკვია, რაც უპირობოს პირობითად და დაუბოლოებელის დაბოლოებულად გახდომა. დაბოლოებულს გადავაქცევთ დაუბოლოებლად, თუ დაუბოლოებელს დაბოლოებულად ეს ერთსა და იგივეს ნიშნავს. მათ შორის განსხვავების გაუქმება მათ ერთიმეორისაგან სრულ გათიშვას მოასწავებს.

შეცდომას მხოლოდ მის მიერ უარყოფილის, ჭეშმარიტების მეოხებით აქვს აზრი. შეცდომა არც არის შეცდომა და იგი უბრალო გაუგებრობაა, თუ იგი ჭეშმარიტებით არ არის გაზომილი. ჭეშმარიტება-შეცდომის დიალექტიკაში ჭეშმარიტება არის გარეგანდამწვდომი მომენტი და, თუ ამ მომენტს ცალკე წარმოვიდგენთ და შემცდარი აზრების სიბრტყეზე დავსვამთ, სწორედ მაშინ მივიღებთ პარადოქსალურ მდგომარეობას: ის იქნება შეცდომა, მაგრამ ჭეშმარიტებაც; შეცდომის შედეგად ჭეშმარიტებას მივიღებთ და ჭეშმარიტების შედეგად შეცდომას.

თუ მე ვამბობ, რომ რასაც ვამბობ მცდარია, მაშინ ერთ დაბოლოებულ აზრს ვუკრევ მეორეში, პირობითს და დაბოლოებულს უპირობოდ ვაცხადებ და პირიქით. ჩემ მიერ გამოთქმულს ვანიჭებ ძალას მომისპოს ყოველივე გამოთქმის შესაძლებლობა.

ბერძნულ პარადოქსში „კრუ“-ს შესახებ უხერხულობას ის ქმნის, რომ აღებულია სიმრავლე და ეს პარადოქსი ერთგვარ დაპირისპირებას მაინც უშვებს აზრში ერთი კრეტელისა და სხვა კრეტელების შესახებ. ეს ბერძნული პარადოქსი მხოლოდ ერთი მხრით არის ანტინომიური და პარადოქსალური: თუ კრეტელის აზრი, რომ ყველა კრეტელი ცრუობს, ჭეშმარიტია, მაშინ ყველა კრეტელი მართლაც ცრუობს და ამ კრეტელის ნათქვამიც სიცრუეა; ამ შემთხვევაში აქვს ადგილი ანტინომიას. მაგრამ თუ კრეტელის აზრი, რომ ყველა კრეტელი ცრუობს, მცდარია, მაშინ აქედან არ გამოდის ის, რომ ყველა კრეტელი (მაშ., ესეც) ჭეშმარიტებას ამბობს, ე. ი. ამ შემთხვევაში ანტინომია არ იქნება.

თუ დებულებას თავის თავის მიმართ გამოვთქვამთ (როგორც ამას თანამედროვე პოზიტივისტები აკეთებენ, ასწორებენ რა აღნიშნულ პარადოქსს), მაშინ ორივე მხრივ ანტინომიურობა გვექნება: თუ დებულება: „ის, რასაც ახლა გამოვთქვამთ სიცრუეა“, სიცრუეს წარმოადგენს, მაშინ იგი ჭეშმარიტი ყოფილა, რადგან ხომ ვამბობ, რომ რასაც ვამბობ, სიცრუეა. მაგრამ თუ აღნიშნული დებულება ჭეშმარიტია, მაშინ ის სიცრუეს წარმოადგენს, რადგან სწორი ყოფილა ის, რომ მე სიცრუეს ვამბობ.

პარადოქსალობას ჰქმნის ის, რომ აზრი თავისთავის მიმართ არის გამოთქმული, ისე რომ არ არის აღებული ორი აზრი. პარადოქსალობა მოიხსნება მაშინ, თუ ერთი აზრი მეორეს დაუპირისპირდება და თუ ერთი მეორის მიმართ გარკვეული აზრით გამოითქმება. წინააღმდეგობა აღარ იქნება ანტინომია და პარადოქსალობა, თუ იგი ერთიანობაშია. წინააღმდეგობის ერთიანობის გარეშე დებულება გაურკვეველი რჩება. ჭეშმარიტების ბუნება, მართლაც, წინააღმდეგობრივია: ჭეშმარიტება არის აზრში ის, რაც აზრისაგან დამოუკიდებელია. მაგრამ აქ არავითარ პარადოქსალობას არა აქვს ადგილი.

ახლა ავიღოთ პარადოქსი „დალაქი“; დალაქი პარსავს მას. ვინც თავის თავს არ პარსავს. თუ ამ დებულებას თვითონ ამ დალაქს მივეყენებთ, მაშინ მივიღებთ პარადოქსალურ მდგომარეობას: თუ ის პარსავს თავის თავს, მაშინ არ პარსავს თავის თავს და თუ არ პარსავს თავის თავს, მაშინ პარსავს თავის თავს. საქმე იმაშია, რომ პირველ დებულებაში: დალაქი თავს პარსავს იმას, ვინც თავის თავს არ პარსავს, — არ არის თვითონ ეს დალაქი ნაგულისხმევი, არამედ მხოლოდ სხვა, რომელსაც დალაქი უპირისპირდება, როგორც გამპარსველი. პარადოქსალურ მდგომარეობას სწორედ ის ქმნის, რომ ერთ საპირისპიროს (დალაქს) მეორე საპირისპიროდ (გასაპარსად) გადავაქცევთ, მასში ავურევთ: ერთ დაბოლოებულს მეორედ წარმოვიდგენთ, მაგრამ საბოლოოდ ისე, რომ ორივეს ვაერთიანებთ: ერთს მეორისათვის აუცილებელს ვხდით ისე, როგორც რაიმეს თავის თავისადმი; ერთში ვაუქმებთ დაპირისპირებას (გასაპარსს და გამპარსველს); სხვანაირად: დაბოლოებულს დაუბოლოებლად წარმოვიდგენთ. ასეთი რამ, როგორც აღვნიშნეთ, არის სიყალბე და ამიტომ ჩვენი გაგება დაუბოლოებლობისა გვიხსნის ხსენებული პარადოქსის პარადოქსალობას.

ასეთია შედეგი დაბოლოებულისა და დაუბოლოებელის დიალექტიკური ერთიანობის გაგების ერთ-ერთი გამოყენებისა.

**15. ლოგიკური აუცილებლობის განსაზღვრება.** ზემოთ განხილულია დაუბოლოებელის ცნების ბუნება, ე. ი. თუ როგორ უნდა

გვემოძღვრეს დაბოლოებული და უსასრულო ერთიანობა, ნამდვილი დაუბოლოებელი. ამით უკვე ნათქვამია ის, თუ როგორი უნდა იყოს დაუბოლოებელის გამომთქმელი ლოგიკური, ჩვენმა ლოგიკურმა აზროვნებამ როგორ და რა ფორმით უნდა ასახოს დაბოლოებული საგნის არსება, დაუბოლოებელი, რას წარმოადგენს ლოგიკური აუცილებლობა, როგორია მისი ბუნება. ჩვენი აზრით, პასუხი ამ კითხვაზე იქნება არსებითი ლოგიკისათვის. ამიტომ აქ მხოლოდ იმ ზოგად მითითებებს დავჭერდებით, რომელთაც შემდეგ უფრო დავწვრილებით გავარკვევთ. ჭერჭერობით კი მთავარი ლოგიკური აუცილებლობის განსაზღვრებაა.

როგორც ეს ზემოთ გარკვევით ითქვა, დაბოლოებულისა და დაუბოლოებელის ერთიანობის, ნამდვილი დაუბოლოებელის გაგება-შემეცნების შესახებ ფ. ენგელსი ამტკიცებს შემდეგს: სინამდვილის შემეცნებისას ჩვენ, უპირველეს ყოვლისა, საქმე გვაქვს დაბოლოებულ საგნებთან; ჩვენი შემეცნების სფეროში მხოლოდ ბოლოვადი საგნები ხვდებიან; ამიტომ უსათუოდ სწორია დებულება, რომ ჩვენ მხოლოდ დაბოლოებულს შევიმეცნებთ. ეს დებულება უსათუოდ კეშმარიტი დებულებაა, მაგრამ იგი არ წარმოადგენს აბსოლუტურ კეშმარიტებას. იგი მხოლოდ ერთი მხრით არის კეშმარიტი, ანუ უკეთ: — კეშმარიტების მხოლოდ ერთ მხარეს გამოხატავს; ამიტომ ხსენებული დებულება საჭიროებს დამატებას, შევსებას არა საერთოდ განსხვავებული დებულებით, არამედ სწორედ საპირისპირო დებულებით, სახელდობრ, შემდეგით: „არსებითად ჩვენ შეგვიძლია შევიმეცნოთ მხოლოდ დაუბოლოებელი“. მაშასადამე, შემეცნება იმაში მდგომარეობს, რომ დაბოლოებულში დაუბოლოებელი შევიმეცნოთ. დაბოლოებულში დაუბოლოებელის შემეცნება იგივეა, რაც ერთეულში ზოგადის შემეცნება. კეშმარიტებას ზოგადობის ფორმაში ვწვდებით. ზოგადობის ფორმა კი ენგელსის თქმით, არის შინაგანი დასრულებულობის და ამით დაუბოლოებლობის ფორმა. ბუნებაში ზოგადის ფორმა არის კანონი. „ბუნების ყოველგვარი კეშმარიტი შემეცნება არის მარადიულის, დაუბოლოებელის შემეცნება და ამიტომ ის არსებითად აბსოლუტურია“. ისე როგორც შესამეცნებელი მასალის დაუბოლოებლობა შედგება მხოლოდ ბოლოვადი საგნებისაგან, ასევე დაუბოლოებლობა შემეცნებელი აზროვნებისა შედგება ბოლოვად ადამიანურ თავთა უსასრულო სიმრავლისაგან, რომლებიც ვარდებიან ათასგვარ შეცდომებში, ცალმხრიობებში და არაპირდაპირი ხაზით მიდიან კეშმარიტებისაკენ<sup>1</sup>.

<sup>1</sup> ფ. ენგელსი. „ბუნების დიალექტიკა“ M. E. G. A-ში გვ. 475.- 476. ქართ. თარგ. გვ. 240 — 241.

ქვემდებარეობის შექმნება და აზროვნება, როგორც ეს ახლახან აღნიშნული დებულებიდან ჩანს, ყალიბდება გარკვეულ დებულებებში, გარკვეულ მსჯელობებში, რომლებიც ერთიმეორესთან დიალექტიკურ კავშირში არიან, ისე როგორც მათ მიერ ასახული სინამდვილეა დიალექტიკური. სინამდვილის, როგორც დაბოლოებულია და დაუბოლოებელის ერთიანობის, ასახვა საპირისპირო მსჯელობების ერთიანობაში ხდება. შეიმეცნება მხოლოდ დაბოლოებული, რამდენადაც შესამეცნებლად სწორედ დაბოლოებული საგნები გვეძლევიან; მაგრამ ამ დაბოლოებულ საგანთა არსება დაუბოლოებლობაა, ამიტომ არსებითად მხოლოდ დაუბოლოებელი შეიმეცნება.

აზრი, რომელიც ასახავს დაბოლოებულ საგნებს, და აზრი, რომელიც დაუბოლოებელს, — სწორედ დაბოლოებულთა დაუბოლოებელს ასახავს, ერთიმეორეს ავსებენ; ისინი თუმცა ერთიმეორეს უპირისპირდებიან, მაგრამ მხოლოდ მათი მთლიანობაა ქვემდებარეობა. „შეიმეცნება მხოლოდ დაბოლოებული“ და დებულება: „შეიმეცნება მხოლოდ დაუბოლოებელი“ — ერთიმეორეს გამორიცხავენ, მაგრამ მხოლოდ მათი ერთიანობაა ერთადერთი ქვემდებარეობა თავისი ნამდვილი, სრული ბუნებით.

ამ საპირისპირო დებულებათა ერთიანობა მათი გაერთიანების შედეგი კი არაა, ამ სიტყვის პირდაპირი მნიშვნელობით, არამედ მათი ნამდვილი საფუძველია. თითოეულ მათგანს ერთმხრიობის აზრი აქვს და არსებობს მხოლოდ ორი ერთმხრიობა, რადგან დაპირისპირებას და წინააღმდეგობას მხოლოდ ორი დაბოლოებული — საპირისპირო და საწინააღმდეგო მხარე აქვს. ის, რაც საპირისპირო ერთმხრიობებით ივსება და ამოიწურება, ცხადია, მათ საფუძველს წარმოადგენს. ეს საფუძველი ორდება ხსენებულ დებულებებად, იგი, ამიტომ, მათ ერთიანობას შეადგენს.

აქედან ჩანს, რომ ერთმხრიობები მსჯელობებით გამოითქმება, ე. ი. დაბოლოებულის ლოგიკური გამოთქმის სრულ აზრობრივ ფორმას მსჯელობა წარმოადგენს. საპირისპირო ერთმხრიობათა ერთიანობა კი გამოიხატება საპირისპირო მსჯელობების ერთიანობით, რომელიც მსჯელობას უკვე აღარ წარმოადგენს, არამედ — მსჯელობათა აუცილებელ კავშირს, ამ აზრით — დასკვნას.

დაბოლოებულისა და დაუბოლოებელის ერთიანობის, ე. ი. ნამდვილი დაუბოლოებელის ბუნება განსაზღვრავს მის ამსახველ აზრს და ამ აზრის ფორმებს. დაუბოლოებელის ბუნებამ უნდა განსაზღვროს ლოგიკური აუცილებლობის ბუნება.

ჩვენ ზემოთ გავარკვეეთ დაბოლოებულისა და უსასრულობის ერთიანობის, ე. ი. ნამდვილი დაუბოლოებელის ბუნება და მისი

მომენტები. როგორც აღნიშნულიდან ჩანს, დაუბოლოებელს რეპნაირი განსაზღვრულობა აქვს, — დაბოლოებულისა და დაუბოლოებელის დამოკიდებულება რეპნაირ პირობით მსჯელობაში გამოიხატება<sup>1</sup>. რეაგვარი საპირისპირო მსჯელობები ლოგიკურად გამოხატავენ დაუბოლოებელის დაბოლოებულ მხარეებს; მათი ერთიანობა კი მოგვცემს იმ აუცილებელ კავშირს, მსჯელობათა იმ ერთიანობას, რომელსაც შეიძლება დაუბოლოებელის ლოგიკურად ამსახველი დასკვნა ეწოდოს.

ასეთ დასკვნაში ლოგიკური აუცილებლობა სრულიად სხვაგვარი ბუნების იქნება, ვიდრე ის აუცილებლობა, რომელიც ძველ ლოგიკას ჰქონდა გათვალისწინებული. ძველი ლოგიკა ბოლოვადი აზროვნების ლოგიკა იყო. მისთვის აუცილებლობა ასე განიმარტებოდა: აუცილებელი არის ის, რის საწინააღმდეგო შეუძლებელია. ასეთი გაგება აუცილებლობისა დამყარებულია დაბოლოებულის თავისებურ გაგებაზე. თუ დაბოლოებული არის ის, რომელიც საწინააღმდეგოთი უარყოფა, და თუ საწინააღმდეგო შეუძლებელია. ე. ი. უარყოფაა შეუძლებელი, მაშინ აუცილებელია ის, რომლის უარყოფელიც და უარყოფაც შეუძლებელია. დაუბოლოებელის ზემოთ გარკვეული განსაზღვრება კი ლოგიკური აუცილებლობის სრულიად ახალ გაგებას მოგვცემს. რადგან დაუბოლოებელი არის ის, რის შინაგანი უარყოფაც მას ადგენს, სწორედ ამის ამსახველი იქნება მისი შესატყვისი ლოგიკური აუცილებლობაც, თვითონ ლოგიკურის ბუნებაც. მაშასადამე, დაუბოლოებელის შესატყვისი ლოგიკურად აუცილებელი შეიძლება შემდეგნაირად განისაზღვროს: აუცილებელი არის ის, რომლის შინაგანი უარყოფაც მას ასახუთებს. ლოგიკური აუცილებლობა კი იქნება თვითონ ის კავშირი, რომელიც შინაგანი უარყოფით საბუთდება. როგორც დაპირისპირებულთა კავშირი.

ფორმალური ლოგიკის დებულება, რომ „აუცილებელი არის ის, რის საწინააღმდეგო შეუძლებელია“, მართებულია გარკვეულ ფარგლებში, სახელდობრ, — იმ აზრით, რომ რომელიმე მოცემული დებულებიდან თუ დებულებებიდან რაიმე სხვა დებულების მიღება გამორიცხავს სხვა—საწინააღმდეგო დებულების მიღებას. მაგ. მსჯელობა: „ივანე მოკვდავია“ აუცილებლობით გამოდის მსჯელობებიდან, რომ „ადამიანი მოკვდავია“ და „ივანე ადამიანია“; ამ უკანასკნელი ორი დებულებიდან შეუძლებელია მიღებულ იქნას დანასკვი, რომ „ივანე უკვდავია“. თუ სამუშაო ძალა აბსოლუტუ-

<sup>1</sup> პირობითი მსჯელობები შეიძლება კატეგორიული მსჯელობების სახით გამოითქვას, მაგრამ ეს საკითხი უშუალოდ აქ არ გვინტერესებს.

რად არის მოწყვეტილი წარმოების საშუალებებს, მაშინ წარმოებინს და საერთოდ საზოგადოებისათვის აუცილებელია სამუშაო ძალის. როგორც საქონლის, გაყიდვა და მისი ყიდვა წარმოების საშუალებების მესაკუთრესაგან. სხვანაირად: კაპიტალიზმის ცნებიდან აუცილებლობით გამომდინარეობს ის, რომ უნდა არსებობდეს პროლეტარიატი და ბურჟუაზია,— შეუძლებელია არ არსებობდეს პროლეტარიატი და ბურჟუაზია. ყველა ადამიანის მოკვდაობიდან აუცილებლობით გამომდინარეობს ზოგიერთი ადამიანის მოკვდავობა; თუ ივანე ცოცხალია, ის, ცხადია, მკვდარი არ იქნება, და სხვა და სხვა.

ამბობენ, რომ ლოგიკურად აუცილებელი არის ის, რომლის უარყოფა წინააღმდეგობას ე. ი. შეცდომას ჰქმნის. მაგ., ვედენსკი წერს: „Логически необходимо то, чего нельзя отрицать без появления противоречия в наших мыслях“<sup>1</sup>. ანუ სხვანაირად: ლოგიკური აუცილებლობა არის ის აუცილებლობა, რომელიც იქმნება თანახმად წინააღმდეგობის შეუძლებლობის და გამორიცხული მესამის კანონებისა. მაგ., აუცილებელია კვადრატის მართკუთხედობა, რადგან ამის უარყოფა შეუძლებელია: კვადრატის არა მართკუთხედობის აღიარება თვითონ კვადრატის ცნებას ეწინააღმდეგება. მაგრამ: თქმა იმისა, რომ აუცილებელი არის ის, რის უარყოფა წინააღმდეგობას იწვევს, ტავტოლოგიური დებულების მოცემაა. კვადრატის საწინააღმდეგოს მიღება, ცხადია, კვადრატს ეწინააღმდეგება. თუ წინასწარ მივიღებთ კანონად, რომ წინააღმდეგობა შეუძლებელია, მაშინ, ცხადია, აუცილებელი იქნება, რომ წინააღმდეგობის მიღება შეცდომად ჩავთვალოთ. აქ ანალიზურობა და ტავტოლოგიურობა ლოგიკური აუცილებლობის ბუნებას აყალბებს, რადგან აუცილებლობა მხოლოდ მაშინ, შეიძლება გვეჩინდეს, თუ რაიმედან განსხვავებული გამომდინარეობს, რაიმესთან განსხვავებულია დაკავშირებული; წინააღმდეგ შემთხვევაში ერთიმეორის განმეორებასთან გვექნება საქმე. ფორმალური ლოგიკის აზრი ლოგიკური აუცილებლობის, როგორც ანალიზურობის შესახებ, რუსულ ლოგიკურ ლიტერატურაში, ყველაზე უფრო გარკვევით ვედენსკისა აქვს გამოთქმული. იგი უარყოფს სინთეზურ ლოგიკურს, იმეორებს რა კანტის აზრს ლოგიკური აუცი-

<sup>1</sup> А. И. Введенский, Логика как часть теории познания, 1917 г., стр. 297.



ლებლობის შესახებ; თუმცა კანტი სწორედ იმას იკვლევდა, თუ როგორ შეიძლება სინთეზური იყოს აუცილებელი.

ცხადია, რომ რომელიმე საგნის უარყოფა, ან მისი დადგენა, სწორედ ამ საგნის უარყოფა, ან დადგენაა. მოძრავი საგანი რომ, მაგ., A წერტილშია, ან ის არ არის ამ წერტილში, ჭეშმარიტი დებულებებია, მაგრამ თვითონ მოძრაობა მართლაც უარყოფილი გამოვლა, თუ მის შინაგან უარყოფას მისთვის — მოძრაობისთვის აუცილებლობად არ მივიჩნევთ. მოძრავი საგანი A წერტილშიცაა და ამავე დროს არცაა ამ წერტილში, — სწორედ ეს დაპირისპირებული მსჯელობების აუცილებელი კავშირი გამოსთქვამს თვითონ მოძრაობას.

ივანე ცოცხალია, ან ივანე არაა ცოცხალი, ორივე შეიძლება სწორი იყოს სხვადასხვა დროს; ერთდროულად ამ მსჯელობების ჭეშმარიტებად გამოცხადება წინააღმდეგობას — შეცდომას მოგვცემს. მაგრამ წინააღმდეგობა ყოველთვის არაა შეცდომა. თვითონ სიცოცხლე არის წინააღმდეგობრივი, ის ასიმბლაცია-დისიმბლაციის პროცესია, ე. ი. სიკვდილ-სიცოცხლის პროცესია. ამიტომ სწორია ისიც, რომ თვითონ სიცოცხლის და სიკვდილის ცნებები ერთიმეორეს აუცილებლობით გულისხმობენ.

ფორმალური ლოგიკის ცნებებსა, მსჯელობებსა და დასკვნებში მოხმარებულია უარყოფა გარეგანი უარყოფის აზრით: არა-A ნიშნავს იმას, რაც A-ს გარეთაა. მსჯელობა S არ არის P, იმას ნიშნავს, რომ S-ში არაფერია ისეთი, რაც P-ს წარმოადგენს, ე. ი. P არის S-ის გარეთ. დასკვნაში: არც ერთ იმპერიალისტურ სახელმწიფოში არ არსებობს ნამდვილი დემოკრატია. N სახელმწიფოში ნამდვილი დემოკრატიაა, მაშ, N სახელმწიფო არაა იმპერიალისტური, — მოხმარებულია სწორედ გარეგანი უარყოფა. დადებით მსჯელობებსა და დასკვნებში ერთი ნიშანი მეორეს, ან საგანს მიეწერება ან უშუალოდ, ან შუალობით, მაგრამ ისე, რომ უარყოფის მომენტი სრულიად არ არის მხედველობაში მიღებული, თუმცა განსხვავებულთა ყოველი კავშირი უარყოფის მომენტს აუცილებლობით გულისხმობს, წინააღმდეგ შემთხვევაში, არავითარი განსხვავებულობა არ იარსებებდა და კავშირიც აზრს დაკარგავდა.

ამიტომ შეიძლება ითქვას, რომ ზემოთ მოცემული განსაზღვრება დაბოლოებულია, რომ დაბოლოებული არის ის, რაც სხვით დგინდება ან უარყოფა, საფუძვლად უძევს ძველი ლოგიკის მიერ აღიარებულ აუცილებლობას. ჩვენს მიერ ზემოთ მოცემული განსაზღვრება დაუბოლოებელისა კი შინაგან უარყოფას შეიცავს და მოითხოვს, რომ დაუბოლოებელის, როგორც არსების, ამსახველი ლოგიკური შინაგანი უარყოფით იყოს შესრულებული. შინაგანი

უარყოფის შემცველი აუცილებლობა კი, როგორც აღინიშნა, სრულად თავისებური ბუნებისაა.

დებულებები: 1) „უარყოფა არ არსებობს“, 2) „ქვეშარიტება არ არსებობს“ და სხვ. ნამდვილად თვითონ ამტკიცებენ იმას, რომ: 1) უარყოფა არსებობს, რადგან ამის უარყოფა ხომ თვითონაა უარყოფა? 2) ქვეშარიტების უარყოფელი დებულება თვითონ არის ქვეშარიტ დებულებად აღიარებული. თვითონ ქვეშარიტების განსაზღვრებაც წინააღმდეგობრივია: ქვეშარიტება არის აზრში ის, რაც აზრისაგან დამოუკიდებელია. კაპიტალიზმი სოციალიზმით უარიყოფა, მაგრამ კაპიტალიზმის შინაგანი უარყოფა, მისი შინაგანი წინააღმდეგობა, თვითონ კაპიტალიზმის არსებას წარმოადგენს.

თვითონ განსაზღვრება დაუბოლოებელისა: „ის, რაც შინაგანი უარყოფით დგინდება, არის დაუბოლოებელი“ — მთელი თავისი სისრულით დასკვნას წარმოადგენს, რომელშიც ორი მხარეა აუცილებლობით გაერთიანებული: 1) რაიმეს უარყოფა, 2) ამ უარყოფით ამ რაიმეს დადგენა. ეს ორი რამ ერთმხრიობებს წარმოადგენენ იმ მთელისა, რომელიც დაპირისპირებულთა აუცილებელ კავშირს წარმოადგენს.

კ. მარქსის „კაპიტალის“ ცენტრალური ადგილი — კაპიტალის ფულიდან წარმოშობა — მხოლოდ მაშინ გაიგება, თუ დაპირისპირებულ მსჯელობათა ერთიანობას ვაღიარებთ. კაპიტალი წარმოიშობა მიმოქცევიდან, რადგან აუცილებელია სამუშაო ძალის ყიდვა, მაგრამ იგი არ წარმოიშობა მიმოქცევიდან, რადგან მიმოქცევაში არ იქმნება ზედმეტი ღირებულება. კაპიტალი წარმოიშობა წარმოებიდან, რადგან სწორედ წარმოებაში იქმნება ღირებულება, მაგრამ იგი არ წარმოიშობა წარმოებიდან, რადგან საჭიროა სამუშაო ძალის ყიდვა მიმოქცევაში. აქ მხოლოდ წინააღმდეგობა კი არაა, არამედ ერთიანობაც; (წარმოების ერთი მომენტი გაცვლას და ამიტომ მიმოქცევა არაა მოწყვეტილი წარმოებას); კაპიტალი არის ფულის წრებრუნვა.

დაუბოლოებელისა და მისი შესატყვისი ლოგიკურის უფრო ნათლად წარმოდგენისათვის საჭიროა, როგორც ეს დაუბოლოებელის ცნების განხილვიდან ჩანს, გაირკვეს ლოგიკური აუცილებლობის ძირითადი კანონის ბუნება და კიდევ უფრო ზუსტად, სპეციალურად დახასიათდეს უარყოფისა და წინააღმდეგობის ცნებები.

შრომის ამ მეორე თავში განხილული დებულებების შედეგად შეიძლება შემდეგი დასკვნები ჩამოვყალიბოთ:

1. დაბოლოებული, გარეგანი უარყოფით განსაზღვრული ერთმხრიობა, ფორმალურ-ლოგიკური აუცილებლობით გამოისახება.

2. შინაგანი უარყოფის შემცველი აუცილებელი კავშირის, ე. ი. დაუბლოღებელის გამომხატველი ლოგიკური შეიცავს შინაგან უარყოფას და სინთეზურია თავისი ბუნებით.

3. შინაარსეულ ზოგადზე დამყარებული აუცილებლობა თავის ერთ მხარედ შეიცავს იმას, რაც გარეგანი უარყოფით განისაზღვრება.

## ლოგიკური აზროვნების ძირითადი კანონის შესახებ

1. მეცნიერების კანონის ბუნება. ლოგიკის, როგორც მეცნიერების საგანს აზროვნების ლოგიკური ფორმები, კანონები და წესები შეადგენს; ლოგიკური კანონების ბუნების გაგებისათვის აუცილებელია საერთოდ მეცნიერების კანონთა ზოგადი დახასიათება, რომელიც დაწყებულ უნდა იქნას ამ კანონთა ისეთი ნიშნის გარკვევით, რომელსაც ობიექტურობა წარმოადგენს.

ა) მეცნიერების კანონთა ობიექტური ხასიათი. მატერიალისტური დიალექტიკის პირველი ნიშანი გვასწავლის, რომ მატერიალური სამყარო ერთ მთლიანობას წარმოადგენს, სადაც მოვლენები ორგანულად არიან ერთიმეორესთან დაკავშირებული, დამოკიდებული არიან ერთიმეორისაგან, განაპირობებენ ერთიმეორეს. ეს იმას ნიშნავს, რომ მატერიალურ სინამდვილეში ობიექტურად არსებობს კანონზომიერება. მატერიალურია არა მხოლოდ საგნები და მოვლენები, არამედ მათში არსებული შინაგანი კანონზომიერებაც, რომელიც სხვას არაფერს არ წარმოადგენს, თუ არა მატერიის მოძრაობის და განვითარების კანონზომიერებას, რომელიც ჩვენი ცოდნის, მეცნიერების საგანს შეადგენს. მატერია ობიექტური რეალობაა, რომელიც ჩვენი გრძნობის ორგანოებზე მოქმედებს. ამ რეალობის შინაგანი კანონზომიერება, ცხადია, ობიექტურია, ჩვენი ნებისა და სურვილებისაგან სრულიად დამოუკიდებლად არსებობს. მეცნიერების ქვეშ უნდა გვესმოდეს ცოდნა მატერიის მოძრაობის და განვითარების ობიექტური კანონზომიერების შესახებ. ეს ცოდნა სინამდვილის რევოლუციურად გარდამქმნელი ადამიანის მიერ გამოიყენება, როგორც გარკვეული ძალა. ობიექტური კანონზომიერების გარეშე შეუძლებელია მეცნიერება და შეგნებულის პრაქტიკული საქმიანობა.

ყალბი და ანტიმეცნიერულია თვალსაზრისები, რომელთა მიხედვითაც მატერიაში არსებული კანონზომიერება არ არის მისთვის

მინაგანი, არამედ მასში შეტანილია ზებუნებრივი ძალის მიერ (ობიექტური იდეალიზმი): ყალბია სუბიექტურ-იდეალისტური თვალსაზრისები, რომლებიც უარყოფენ მეცნიერების საგნის ობიექტურობას, — უარყოფენ ობიექტურ კანონზომიერებას ან 1) იმ საბუთით, რომ თითქოს ადამიანი პასიურია, მას არ შეუძლია შეიმეცნოს სინამდვილე; ამიტომ, შემეცნების თვალსაზრისით, თითქოს არც სინამდვილე არსებობდეს ჩვენგან დამოუკიდებლად და არც მისი ობიექტური კანონზომიერება, როგორც ჩვენი ცოდნის საგანი; ან 2) იმ საბუთით, რომ თითქოს ადამიანი აბსოლუტურად აქტიურია და ის ჰქმნის ცოდნის საგანს, ამ საგნის კანონზომიერებას, — იგი თითქოს აწესრიგებს სინამდვილეს. ასეთი თვალსაზრისები დღეს, როგორც ცნობილია, იმპერიალისტური ბურჟუაზიის სამსახურში დგას.

ყალბია ობიექტური კანონზომიერების და მეცნიერების კანონთა ფეტიშისტური გაგებაც, — თითქოს ადამიანები ობიექტური აუცილებლობის მონები არიან. ნამდვილად კი, ადამიანს შეუძლია შეიმეცნოს ობიექტური კანონზომიერება, „მოთოკოს“ ის, გამოიყენოს საკუთარი ინტერესებისათვის და გაბატონდეს ბუნებაზე, საერთოდ სინამდვილეზე.

ერთიმეორისაგან განასხვავებენ ორგვარ კანონებს: ობიექტურ კანონებს და ნორმატიულ კანონებს; — მით უმეტეს მაშინ, როცა საკითხი ეხება ლოგიკის კანონთა თავისებურებას. როგორც ცნობილია, მრავალი ლოგიკოსი იმ აზრისაა, რომ ლოგიკის კანონები ნორმატიულია და არა ობიექტური ან — ბუნებრივი. საჭიროა გაირკვეს ამ ორგვარ კანონთა განსხვავება და ურთიერთდამოკიდებულება.

მეცნიერების კანონები, ობიექტური კანონები სწორედ იმიტომ არიან ობიექტური, რომ ისინი ადამიანის ნებისყოფის და ნება-სურვილებისაგან სრულიად დამოუკიდებელი არიან. შესაძლებელია ობიექტური კანონი „მოვთოკოთ“, მას გარკვეული მიმართულება მივცეთ, მაგრამ შეუძლებელია იგი „შევქმნათ“ ან „გარდავქმნათ“, — სულ ერთია ეს კანონი სინამდვილის რომელი სფეროს კანონიც არ უნდა იყოს. მაგ., არც ერთ სხეულს არ შეუძლია დაარღვიოს და არ დაექვემდებაროს მიმზიდველობის კანონს. შეუძლებელია შევქმნათ კაპიტალიზმის და სოციალიზმის კანონები. შესაძლებელია ამ კანონთა მხოლოდ შემეცნება და პრაქტიკული ინტერესებისათვის გამოყენება, — მათთვის მიმართულების მიცემა და ბრძოლა მათი განხორციელებისათვის. მაგ., საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტიის მე-20 ყრილობის დირექტივები სსრ კავშირის სახალხო მეურნეობის განვითარების 1956 — 1960 წლების მეექვსე ხუთწლიანი გეგმის შესახებ ეყრდნობიან სოციალიზმის ობიექტურ კანონებს და მათი მოთხოვნების განხორციელებას ისახავენ მიზნად.

ნორმატიული კანონები კი ისეთი კანონებია, რომელთაც იურიდიული ძალა აქვთ; ნორმატიული კანონების შექმნაც შეიძლება და გარდაქმნაც, ამდენად ისინი ობიექტური ხასიათის არ არიან. ნორმატიულ კანონებს მთავრობები ჰქმნიან და აუქმებენ. შესაძლებელია, რომ რომელიმე ადამიანმა ნორმატიული კანონი დაარღვიოს კიდევ; მაგ., კანონი კაცის კვლის აკრძალვის შესახებ, კანონი ქურდობის აკრძალვის შესახებ რომელიმე ადამიანმა შეიძლება დაარღვიოს და სწორედ ამიტომ დაისჯება იგი. შეიძლება მეტიც ითქვას. ნორმატიული კანონების დარღვევა რომ შეუძლებელი იყოს, მაშინ მთავრობები ასეთ კანონს არც გამოსცემდნენ. რომ შეუძლებელი იყოს ქურდობა, კაცის მოკლა, მაშინ, ცხადია, სრულიად ზედმეტი იქნებოდა მათი ამკრძალავი კანონების გამოცემა, და ზედმეტი იქნებოდა ასეთი კანონების დაცვის მოთხოვნა.

მართალია, მეცნიერების კანონი ობიექტურია, იგი არსებითად განსხვავდება ნორმატიული, იურიდიული ძალის მქონე კანონისაგან, მაგრამ აქედან არ უნდა დავასკვნათ, თითქოს ობიექტური კანონის ნორმად გამოყენება არ შეიძლებოდეს. მაგ., მიმზიდველობის კანონი ბუნებაში მოქმედი სრულიად ობიექტური კანონია, მაგრამ მას ვთქვათ, სახლის მშენებელი ინჟინერი ნორმადაც იყენებს, როცა იგი ცდილობს, რომ, მაგ., კედლები სრულიად ვერტიკალურად აიყვანოს, რათა სახლი არ დაინგრეს. აქ კანონის დაცვა მიზანია, ე. ი. მოქმედება უნდა წარმოებდეს იმის მიხედვით, რასაც ობიექტური კანონი მოითხოვს. ნორმატიულობა, როგორც ცნობილია, ამ „უნდა“-თი გამოიხატება.

მაშასადამე, ობიექტური კანონი შეიძლება ნორმად იქნას გამოყენებული ჩვენი მოქმედებისათვის, ე. ი. ობიექტური კანონის მოთხოვნის განხორციელება ჩვენს მიზანს უნდა შეადგენდეს; მაგრამ ეს გარემოება, ცხადია, სრულიადაც არ სცვლის კანონის ობიექტურობას, სახელდობრ, იმას, რომ იგი ჩვენგან დამოუკიდებელია, — რომ მისი არც შექმნა და არც გარდაქმნა ჩვენ არ შეგვიძლია, წინააღმდეგ შემთხვევაში, ჩვენს მოქმედებას ობიექტური საფუძველი არ ექნებოდა. მაგ., სოციალიზმის ძირითადი კანონი, უმაღლესი ტექნიკის ბაზაზე სოციალისტური წარმოების განუწყვეტელი ზრდისა და სრულყოფის გზით მთელი საზოგადოების მუდმივად მზარდ მატერიალურ და კულტურულ მოთხოვნილებათა მაქსიმალური დაკმაყოფილების უზრუნველყოფის კანონი სრულიად ობიექტური, ჩვენი ნება-სურვილებისაგან დამოუკიდებელი კანონია, მაგრამ საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტიის მე-20 ყრილობის მიერ ჩვენი ქვეყნის მრეწველობისა და სოფლის მეურნეობის მკვეთრი აღმავ-

ლობისათვის დასახული ამოცანების გადაწყვეტა ამ ობიექტური კანონის მოთხოვნის განხორციელებას წარმოადგენს.

ასეთივე მდგომარეობასთან გვაქვს საქმე სინამდვილის შემცენების დროსაც. ჩვენი აზროვნება, რომელიც ქვეშაობიექტების მიწვდომას ისახავს მიზნად, სრულიად გარკვეულ კანონებს ექვემდებარება; ეს კანონები ობიექტური ხასიათის არიან, რადგან აზროვნების კანონები სინამდვილის კანონთა ასახვას წარმოადგენენ, მაგრამ ისინი, ამვე დროს, ნორმადაც გამოდგებიან, ნორმის როლსაც ასრულებენ, როცა ჩვენ ვესწრაფით დავიცვათ ისინი, რათა შეცდომაში არ ჩავარდეთ. შეცდომაში ჩავარდნა ამ კანონთა დარღვევა კი არ არის, არამედ მხოლოდ იმას ნიშნავს, რომ ჩვენ ვერ ავმალღლით ამ კანონთა მოთხოვნამდე. ობიექტური კანონის დარღვევა, ამ შემთხვევაში, მაშინ გვექნებოდა, რომ ქვეშაობიექტების მიღწევა აღნიშნული კანონების დარღვევის დროსაც იყოს შესაძლებელი.

მაშასადამე, ობიექტურ კანონს ნორმის მნიშვნელობაც შეიძლება ჰქონდეს.

მეორე მხრით, ის გარემოება, რომ ნორმატიული კანონის შექმნაც შეიძლება და გაუქმებაც, არ ნიშნავს იმას, თითქოს ნორმატიულ კანონს არავითარი ობიექტური მნიშვნელობა არ ჰქონდეს. მაგ., სამართალი ზედნაშენია; ზედნაშენი ბაზისით განისაზღვრება; სამართლის ნორმები, სახელმწიფოს მიერ გამოცემული კანონები გაბატონებული კლასის პოლიტიკით განისაზღვრება; პოლიტიკა კი ბაზისით, ეკონომიკით არის განსაზღვრული და უნდა იყოს განსაზღვრული. ნორმატიული კანონების შექმნა გარკვეული პირობების შესაბამისად უნდა ხდებოდეს და ხდება კიდევც. ეს კანონები, მართალია, მთავრობათა ნებაზეა დამყარებული, მაგრამ ეს გარემოება იმას სრულიად არ ნიშნავს, თითქოს ისინი თვითნებურ კანონებს წარმოადგენდნენ. მართალია, შეიძლება თვითნებური კანონებიც არსებობდნენ, და, მართლაც, ვინ იცის რამდენი დესპოტის და ავანტურისტის თვითნებურ კანონებს უარსებნია ისტორიაში, მაგრამ ნორმატიული კანონები, საბოლოო ანგარიშში, ეკონომიკით არიან განსაზღვრული, და ამიტომ მათ გარკვეული ობიექტური მნიშვნელობა ახასიათებთ; ისინი გარკვეული პირობების მიერ იქმნებიან და გარკვეულ პირობებს ემსახურებიან. გარკვეული პირობები ნორმატიულ კანონებს სწორედ იმიტომ ჰქმნიან, რომ მათ ემსახურონ, ისე როგორც საერთოდ ზედნაშენს ბაზისი იმიტომაც ჰქმნის, რომ მას ემსახუროს.

მაშასადამე, ობიექტურობა და ნორმატიულობა სხვადასხვა რამ არის, მაგრამ ისინი, ერთიმეორისაგან არ არიან მოწყვეტილი. ობი-

ექტური კანონი ნორმადაც გამოიყენება და ნორმატულ კანონს ობიექტური მნიშვნელობაც აქვს.

ის გარემოება, რომ რომელიმე კანონი ნორმად გამოიყენება, სრულიადაც არ არის საბუთი ამ კანონის ობიექტურობის უარსა-ყოფად. თუ, მაგ., დასკვნის პროცესში დასკვნის თითოეული ტერმი-ნი ერთი და იგივე მნიშვნელობით უნდა იხმარებოდეს, ე. ი. თუ აუცილებელია იგივეობის კანონის დაცვა დასკვნის შესრულებისა-თვის, მაშინ ამ კანონის ასეთი — ნორმატიული აზრით გამოიყენება სრულიადაც არ ამტკიცებს მის არაობიექტურობას. როგორც ცნო-ბილია, სწორი აზროვნება არის ფაქტი, რომელსაც თავისი ობიექ-ტური კანონი აქვს. აღამიანები სწორად აზროვნებენ, მიუხედავად იმისა, რომ მათ შეიძლება არც იცოდნენ სწორი აზროვნების ლოგი-კური კანონები.

გამოთქმა: „კანონი ობიექტურია“ ორი მნიშვნელობით იხმარე-ბა: 1) კანონი, როგორც მოვლენათა შორის აუცილებელი კავშირი, ობიექტურად არსებობს; 2) კანონი, როგორც ჩვენი აზრი, როგორც ჩვენი ფორმულა ობიექტურად არსებულ კანონზომიერებას ასახავს. ერთ შემთხვევაში კანონი ასახავია, მეორე შემთხვევაში კი — თვითონ ასახვა. ეს ორი რამ ერთიმეორეში არ უნდა აურიოთ, რად-გან ერთ შემთხვევაში აზრის საგანთან გვაქვს საქმე, მეორე შემ-თხვევაში კი — ამ საგნის ამსახველ აზრთან; თუმცა აქ საქმე გვაქვს არა ორ კანონთან, არამედ ერთსადაიმეორე კანონთან: ერთ შემთხვე-ვაში — ობიექტურად არსებულ კანონთან, მეორე შემთხვევაში კი — იმის აზრობრივ გამოთქმასთან, რაც ობიექტურად არსებობს. მაგ., სოციალიზმის ძირითადი კანონი ჩვენი ნება-სურვილებისაგან დამო-უკიდებლად — ობიექტურად არსებობს, მაგრამ მისი გამოთქმელი ფორმულა კი ჩვენი აზრია, რომელიც გამოთქვამს სწორედ სოცია-ლიზმის ძირითად კანონს და არა სხვა რაიმეს.

„ობიექტურის“ ერთ მნიშვნელობასთან გვექნება საქმე, თუ ვიტყ-ვით, მაგ., რომ მაგიდა ობიექტურად, ჩვენგან დამოუკიდებლად არსებობს. „ობიექტურის“ მეორე მნიშვნელობასთან გვექნება საქ-მე, თუ ვიტყვით, რომ მაგიდის შესახებ ჩემი აზრი — ცნება ობიექ-ტურია, რადგან იგი ობიექტურად არსებული მაგიდის ასახვას წარ-მოადგენს. სწორედ ასეთი მნიშვნელობით იხმარება გამოთქმა „ობიექტური ჭეშმარიტება“. როცა აზრის რომელიმე განსაზღვრუ-ლობა ჩვენზე კი არაა დამოკიდებული, არამედ ობიექტურად არსე-ბული საგნით განისაზღვრება, მაშინ ვამბობთ, რომ ეს აზრი ჭეშმა-რიტია, რადგან მისი შინაარსის გარკვეულობა საგნის განსაზღვრუ-ლობის ასახვა-გამოთქმა-გაგებაა და არაა სუბიექტური ნების შე-დეგი.



მეცნიერების კანონი, როგორც ჩვენი აზრი, როგორც ობიექტური კანონის ასახვა, ცხადია, მეორადია; პირველადი კი მის მიერ გამოსათქმელი კანონია; საგანთა და მოვლენათა აუცილებელი კავშირი განსაზღვრავს აზრს, რომელიც მას გამოთქვამს. მაგრამ აზრის მეორადობა მხოლოდ ასეთ მეორადობაზე არ დაიყვანება. აზრის მიერ გამოთქმული კანონი სწორედ ის კანონია, რომელიც სინამდვილეში გარკვეული კავშირის სახით არსებობს, აზროვნებაში კი სხვა — გარკვეული მსჯელობის, თუ ფორმულის სახით, თუმცა აქ ერთსადაიგივე კანონთან გვაქვს საქმე. ის კანონი კი, რომელიც მხოლოდ აზროვნებაში არსებობს და არა სინამდვილეში, ე. ი. აზროვნების სპეციფიკური კანონი უსათუოდ მეორადია, მაგრამ თავისებური აზრით, სახელდობრ, იმ აზრით, რომ საერთოდ აზროვნება სინამდვილის ასახვაა, სინამდვილითაა განსაზღვრული, მეორადია, ამიტომ მისი ყოველი კანონი სინამდვილით იქნება ასე თუ ისე განსაზღვრული. ლოგიკური აზროვნების კანონები და წესები აზროვნების სპეციფიკას უნდა გამოხატავდნენ, მაგრამ, ამავე დროს, ობიექტური ხასიათისაც უნდა იყვნენ, წინააღმდეგ იმ შემთხვევაში, როგორც მეცნიერება, არც იარსებებდა.

მაგალითად, კატეგორიული სილოგიზმის მეორე ფიგურის ერთი სპეციალური წესი ამბობს, რომ ამ ფიგურით მხოლოდ უარყოფითი დანასკვი მიიღება. ეს წესი ემყარება მეორე ასეთივე წესს, რომელიც ამბობს, რომ ამ ფიგურაში ერთ-ერთი წინამძღვარი უსათუოდ უარყოფითი უნდა იყოს. ეს წესები მატერიალურ საგანთა და მოვლენათა წესები და კანონები კი არ არიან, არამედ მხოლოდ აზროვნების ლოგიკური წესებია. მაგრამ ეს გარემოება სრულიადაც არ ნიშნავს, თითქოს ეს წესები თვითნებური ან ჩვენს ნება-სურვილზე დამოკიდებული წესები იყვნენ და არ იყვნენ ობიექტური ხასიათისა. მართალია, ისინი მატერიალურ, აზროვნების გარეშე არსებულ სინამდვილეში არ მოქმედებენ, მაგრამ საგანთა გარკვეული კავშირის ამსახველნი კი არიან; საგანთა გარკვეული კავშირი განსაზღვრავს ამ წესებს და ამიტომ არიან ისინი, თუმცა მეორადი, მაგრამ მაინც ობიექტური ხასიათისა.

აზრის ნათელსაყოფად ავიღოთ კატეგორიული სილოგიზმის მეორე ფიგურის მაგალითი: იმპერიალისტურ ქვეყნებში არ არსებობს დემოკრატია; პოლონეთში არსებობს დემოკრატია; მაშასადამე, პოლონეთი არ არის იმპერიალისტური ქვეყანა. აქ დანასკვი უარყოფითია, რადგან ერთი წინამძღვარია უარყოფითი. დასკვნა გარკვეული, ზემოთ აღნიშნული წესებითაა შესრულებული, მაგრამ ის წესები, რომელთა მიხედვითაც მსჯელობები ამ დასკვნაში გარკვეულად არიან დაკავშირებული, ე. ი. წესები, რომლებიც მხოლოდ

ამ დასკვნაში მოქმედებენ და აზრთა გარკვეულ კავშირს გამოხატავენ, საგანთა გარკვეული დამოკიდებულებით განისაზღვრებიან: პოლონეთი არ შედის იმპერიალისტურ ქვეყნებში, რადგან დემოკრატია, რომელიც იმპერიალისტურ ქვეყნებს არ ახასიათებს, პოლონეთს ახასიათებს.

მაშასადამე, ლოგიკური კანონები და წესები აზროვნების სპეციფიკური კანონები და წესებია, მაგრამ ისინი ობიექტური ხასიათის არიან, რადგან საგანთა დამოკიდებულებას ასახავენ, თავისებურად გამოხატავენ. ლოგიკური კანონები და წესები ჩვენს ნება-სურვილს კი არ ექვემდებარებიან, არამედ, პირიქით, ჩვენი აზრები სწორედ მათ ექვემდებარებიან; ისინი ობიექტურნი არიან, რადგან განისაზღვრებიან იმით, რაც ჩვენგან დამოუკიდებელია.

როგორც ითქვა, ის კანონები, რომლებიც ჩვენი ნების მიხედვით იქმნებიან, არ არიან ობიექტური კანონები, მაგრამ თვითონ ნებისყოფა ობიექტურ კანონებს ექვემდებარება, წინააღმდეგ შემთხვევაში, ფსიქოლოგიაც არ იქნებოდა მეცნიერება.

კანონთა ობიექტურობა არ ნიშნავს მაინცდამაინც იმას, თითქოს ეს კანონები ყოველთვის გარეგანი და არა შინაგანი კანონები იყოს. მთელ მატერიალურ სინამდვილეში მხოლოდ შინაგანი კანონები მოქმედებენ და არა გარეგანი, ეს სინამდვილე თავისთავზეა დამყარებული, მის გარეშე არაფერი არ არსებობს, რადგან ის უსასრულო და დაუბოლოებელია. საზოგადოების განვითარება თავისი სპეციფიკური კანონების მქონეა; ეს კანონები მისთვის შინაგანია, მაგრამ სრულიად ობიექტური. აზროვნების ლოგიკური კანონები შინაგანია, მაგრამ ამავე დროს ობიექტური. აზროვნება სხვა არაფერია, თუ არა განვითარებული, ორგანიზებული მატერიის — ტვინის თვისება და, მეორე მხრით, ქეშმარიტი აზროვნება ადექვატური ასახვა სინამდვილისა. ამიტომ მას ობიექტურობაც ახასიათებს.

ვინც უარყოფს აზროვნების კანონთა სინამდვილით განსაზღვრულობას და ამ აზრით ობიექტურობას, იგი სუბიექტიზმში (აპრიორიზმში, ან ფსიქოლოგიზმში) ან მისტიკაში (ობიექტური იდეალიზმი) ჩავარდება.

მაშასადამე, რომელიმე კანონის მეორადობა მის ობიექტურობას არ უარყოფს.

ამრიგად, ყოველი მეცნიერების კანონები ობიექტური ხასიათის არიან, სულ ერთია ეს მეცნიერება ბუნებას სწავლობს, საზოგადოებას, თუ აზროვნებას. კანონთა სხვადასხვაობა მათ ობიექტურობას არ ეხება; არ არსებობს კანონთა სხვადასხვა ობიექტურობა. ობიექტურობა ერთი და იგივეა მეცნიერების ყველა კანონისათვის.

შეიძლება ეს აზრი მართებულ აზრად არ მიიჩნიონ და სთქვან, რომ აზროვნების კანონების ობიექტურობა და ბუნების კანონთა ობიექტურობა არ არის ერთი და იგივე, რადგან აზროვნების კანონების არსებობა ბუნების კანონთა არსებობაზეა დამყარებული და არა პირიქით, აზროვნების კანონების არ არსებობა არაფერს არ აკლებს ბუნების კანონებს.

ჩვენ ვფიქრობთ, რომ აქ საკითხი სხვა რაიმეს ეხება და არა კანონთა ობიექტურობას. თუ აზროვნების კანონი არსებობს, მაშინ ის ობიექტური იქნება, ისე როგორც ბუნების კანონები, თუმცა აზრის კანონი მეორადია, ბუნების კანონი კი პირველადი. მაშასადამე, კანონთა ერთიმეორეზე დამოკიდებულების საკითხი სხვა საკითხია, მათი ობიექტურობის საკითხი კი სხვა საკითხი. ლოგიკა აზრის კანონებს, მეორად კანონებს სწავლობს, მაგრამ ის ამით არ არის ნაკლებად მეცნიერება, ვიდრე რომელიმე ბუნებისმეტყველური მეცნიერება.

კანონის მეორადობა იმასაც ნიშნავს, რომ ერთი კანონი მეორე კანონით არის განსაზღვრული, სულ ერთია ეს კანონები სად არსებობენ, მატერიალურ სინამდვილეში თუ აზროვნებაში. მაგ., გეგმაზომიერი განვითარების კანონი სოციალიზმის ძირითადი კანონით განსაზღვრება, ამიტომ ის არაძირითადია და, ამ აზრით, მეორადი, მაგრამ ორივე ობიექტურია<sup>1</sup>.

მეცნიერების კანონის ობიექტურობა მისი არსებითი ნიშანია, მაგრამ იგი ამ ნიშნით არ ამოიწურება. ობიექტურად არსებობს მოვლენაც, ე. ი. ის, რაც კანონი არ არის. ამიტომ საჭიროა გარჩეულ იქნას კანონის სხვა ნიშნებიც, რათა კანონის ბუნება ნათლად იქნას წარმოდგენილი, რის გარეშეც აზროვნების ლოგიკური კანონების ბუნების გაგება შეუძლებელია.

ბ) აუცილებლობა როგორც მეცნიერების კანონის არსებითი ნიშანი. ყოველი მოვლენა გარკვეულ პირობებში წარმოიშობა და მათგან გარდუვალად გამომდინარეობს. ყოველ მოვლენას თავისი გარკვეული მიზეზი აქვს. არ არსებობს უმიზეზო მოვლენა ბუნებასა და საზოგადოებაში. დედამიწის მოძრაობა თავისი ღერძის და მზის გარშემო შედეგად დედამის და ზამთარ-ზაფხულის ცვალებადობას იწვევს. დედამიწა და მთვარე იმგვარად მოძრაობენ, რომ ამის შედეგად გარკვეულ დროს წარმოიშობა ისეთი მოვლენები, როგორიცაა მზის და მთვარის სრული და ნაწილობრივი დაბნელება. პირველყოფილი თემური წყობის დროს საწარმოო ძალების განვითარებამ აუცილებლობით წარ-

<sup>1</sup> კანონთა დამოკიდებულების საკითხი ქვემოთ იქნება გარკვეული

მომწვა კლასობრივი, სახელდობრ, მონათმფლობელური ფორმაცია; მონათმფლობელური ფორმაციის განვითარებამ კანონზომიერად წარმოშვა ფეოდალიზმი; ასე ითქმის კაპიტალიზმის ფეოდალიზმიდან წარმოშობის, კაპიტალიზმიდან სოციალიზმზე გადასვლის შესახებაც. გადასვლა-გამომდინარეობა მოძრაობა-განვითარებაში აუცილებლობით ხორციელდება. ეს აუცილებლობა იმას ნიშნავს, რომ მოძრაობა-განვითარება კანონზომიერია.

მაშასადამე, მოძრაობა-განვითარების კანონზომიერებას, ბუნებას და საზოგადოების კანონებს ობიექტურობის გარდა აუცილებლობის ნიშანიც ახასიათებს. ის გარემოება, რომ ერთი მოვლენის გარეშე მეორე მოვლენა არ არსებობს და არ წარმოიშობა, რომ მოვლენა, გარკვეული პირობების გამო, გარდუვალია, აი, სწორედ ასეთი კავშირი და ეს გარდუვალობა აუცილებლობის ბუნებისაა. აუცილებლობის ნიშანი მეცნიერების კანონის არსებითი ნიშანია. თუ მოვლენათა მოძრაობა-განვითარებაში აუცილებლობა არ არსებობს, მაშინ ასეთი მოვლენები ქაოსს ჰქმნიან და ისინი მეცნიერების ობიექტი არ შეიძლება გახდნენ. არ არსებობს ქაოსი არც ბუნებაში, არც საზოგადოებაში.

მოვლენათა კანონზომიერების, მისთვის დამახასიათებელი აუცილებლობის უარყოფა, რასაც სუბიექტური იდეალიზმი აღიარებს, მოგვცემდა მეცნიერების ლიკვიდაციას, რადგან მას უსაგნოდ დასტოვებდა, და ჩაგვაგდებდა შემთხვევითობისადმი მონურ დამოკიდებულებაში, — შესაძლებლობას დაგვაკარგვინებდა არა თუ გავვეგო, არამედ თუნდაც გავრკვეულიყავით შემთხვევითობათა ქაოსში. მაშასადამე, აუცილებლობის უარყოფა შემთხვევითობათა ქაოსისადმი დამონებას იწვევს, — აუცილებლობის უარყოფა მონურ მდგომარეობაში გვაგდებს, ე. ი. უარეს აუცილებლობას გვიქვემდებარებს. აუცილებლობის უარყოფა თვითონ მოითხოვს საფუძვლად აუცილებლობის არსებობას, ამიტომ და ამგვარად აუცილებლობის უარყოფა მასვე (აუცილებლობასვე) ამტკიცებს (აქაა დაუბოლოებელის მომენტი), ე. ი. აუცილებლობის უარყოფა შეუძლებელია.

მაშასადამე, აუცილებლობა მეცნიერების კანონის არსებითი ნიშანია.

რომ სინამდვილის ამსახველ აზრებში არ არსებობდეს აუცილებელი კავშირი და რომ აზრები ერთიმეორიდან ლოგიკური აუცილებლობით არ გამომდინარეობდნენ, მაშინ ლოგიკა, როგორც მეცნიერება შეუძლებელი იქნებოდა. მაგ., მსჯელობა როგორც დანასკვი, აუცილებელი შედეგია წანამძღვრებისა და თვითონ საგნის შესახებ გარკვეულ ორ აზრს აუცილებლობით აკავშირებს. მსჯე-

ლობა: „რკინა ელექტრობის გამტარია“ „რკინას“ აუცილებლობით უკავშირებს მის ნიშანს „ელექტრობის გამტარობას“, რასაც იმით ასაბუთებს, ე. ი. რაც აუცილებლობით გამოყავს იქიდან, რომ „ლითონი ელექტრობის გამტარია“ და „რკინა ლითონია“. თუ ამ ორი უკანასკნელი დებულებიდან გამოვიყვანეთ დანასკვი, რომ რკინა კარგი სააღმშენებლო მასალაა, მაშინ ასეთი „გამოყვანა“ მოჩვენებითი და მცდარი იქნება. შეცდომა საგანთა კავშირის არ ახასიათებს, არამედ შეიძლება მხოლოდ აზრს ახასიათებდეს, სახელდობრ, იმ შემთხვევაში, როცა ჩვენ ვერ ვწვდებით ობიექტურ აუცილებლობას, საგანთა და საგნის მხარეთა აუცილებელ კავშირს.

მატერიალური სინამდვილის საგნებსა და მოვლენებს შორის არსებული აუცილებლობა სრულიად სხვაგვარი ხასიათისაა, ვიდრე აუცილებლობა, რომელიც აზრთა ლოგიკურ კავშირში არსებობს. თუ, მაგ., ივანეს სიკვდილის მიზეზი არის ტიფი, ან ტყეის მოხვედრა, მისი მოკვდაობის ლოგიკურ საფუძველს ის წარმოადგენს, რომ ის ადამიანი, რომელიც მოკვდავია. რომ ლოგიკური აუცილებლობა თავისებური არ იყოს, რომ ლოგიკური კავშირი თავისებურ კავშირს არ წარმოადგენდეს, მაშინ ლოგიკის მეცნიერება ზედმეტი აქნებოდა. მაგრამ ეს არ ნიშნავს იმას, რომ ლოგიკური კავშირი მოწყვეტილი იყოს სინამდვილეში არსებული კავშირისაგან, — რომ ეს უკანასკნელი მას არ განსაზღვრავდეს; წინააღმდეგ შემთხვევაში, ლოგიკურ აუცილებლობას ობიექტურობა არ ექნებოდა და ლოგიკა, როგორც მეცნიერება, შეუძლებელი იქნებოდა.

გ) მეცნიერების კანონის შედარებითი დეტალურობა. მატერიალისტური დიალექტიკა გვასწავლის, რომ სინამდვილეში ყველაფერი განუწყვეტელ პროცესში იმყოფება, და, როგორც ჰერაკლიტე იტყოდა, ყველაფერი მიმდინარეობს, არაფერი არ არის უცვლელი, მოძრაობა-განვითარების გარეშე; მაგრამ ეს ცვალებადობა არ არის კრატისისებური, — არ არის ისეთი, რომლიდანაც გამორიცხული იყოს ყოველნაირი სიმყარე, შედარებითი გაჩერებულობა. ცვალებადობაში მყოფი საგნები გარკვეული თვისობრიობის არიან, წინააღმდეგ შემთხვევაში, ისინი არც იარსებებდნენ და გაუგებარი იქნებოდა თვითონ ცვალებადობაც.

მეორე მხრით, ცვალებადობა, მოძრაობა, განვითარება ქაოტიური კი არაა, არამედ სრულიად გარკვეული ხასიათისა. ეს გარკვეულობა იმაში მდგომარეობს, რომ მოძრაობა-განვითარება სრულიად გარკვეული კანონზომიერების შინამქონეა. მოძრაობა-განვითარებას სრულიად გარკვეული კანონები აქვს. ამიტომაც, რომ მასში შედარებითი სიმყარეც არსებობს, მოვლენათა ცვალებადობა-განვითარე-

ბაში არსებულ შედარებით სიმყარეს კანონი წარმოადგენს: კანონი არის შედარებით მყარი, შედარებით მუდმივი, შედარებით იდენტური რამ მოვლენათა ცვალებადობა-გახვითარებაში<sup>1</sup>.

მაგ., მოვლენები ერთიმეორეს წარმოშობენ, ისინი მიზეზობრივ კავშირში იმყოფებიან, მაგრამ თვითონ მიზეზობრიობა მოვლენათა ცვალებადობაში იგივეობრივი, მყარი და მუდმივია. ვინ იცის, თუ რამდენი მოვლენა ექვემდებარება მიმზიდველობის კანონს, მაგრამ ის გარემოება, რომ მიმზიდველობა გარკვეულადაა დამოკიდებული მასასა და მანძილზე, აი, სწორედ ეს დამოკიდებულება, ეს კავშირი ერთი და იგივეა ყველა — მიმზიდველობას დაქვემდებარებულ — მოვლენაში. ვინ იცის, თუ რამდენაირი მოვლენის სახით არ შეიძლება კაპიტალიზმის არსება, მაგრამ კაპიტალიზმის განვითარებაში, თავიდან ბოლომდე, ერთი ძირითადი კანონი ბატონობს. ასე ითქმის ყოველი საზოგადოებრივ-ეკონომიური ფორმაციის შესახებაც. შედარებითი იდენტურობა არამხოლოდ ძირითადი კანონისთვისაა დამახასიათებელი, არამედ ყოველი კანონისთვისაც.

კანონის შედარებით იგივეობრიობას ორი მხარე აქვს: 1) კანონი, როგორც აუცილებელი კავშირი, იგივეობრივია მოძრაე, ცვალებად და განვითარებად მოვლენებში; 2) ის არის იგივეობრივი მომენტი არაიგივეობრივთა; ამ უკანასკნელის უარყოფა პირველის უარყოფასაც მოგვცემს. აბსოლუტური იგივეობრიობა არც არსებობს და არც მოიაზრება. იგი შედარებითი ხასიათისაა. კანონი, როგორც იდენტური კავშირი, ასეთია მხოლოდ მოძრაეში, ცვალებადში, განვითარებადში, არაიგივეობრივში. ამ გარემოების მაგალითად ყოველი კანონი გამოდგება, სულ ერთია ეს კანონი სინამდვილის რომელ სფეროშიაც არ უნდა მოქმედებდეს.

ეს იმას ნიშნავს, რომ აუცილებელი კავშირი და აუცილებელი გამომდინარეობა მხოლოდ განსხვავებულთა კავშირი და განსხვავებულის გამოყვანა, ე. ი. მხოლოდ სინთეტური შეიძლება იყოს; წინააღმდეგ შემთხვევაში, აუცილებლობა აზრს დაკარგავდა. ასეთ კავშირშია კანონის ორი ნიშანი: აუცილებლობისა და ინდენტურობის ნიშნები.

ასეთივე მდგომარეობა გვაქვს ლოგიკურ სფეროშიც. აქ კიდევ უფრო ნათლად ჩანს კანონის იდენტურობა. მთელი რიგი ლოგიკოსებისა იმ აზრის იყვნენ და ახლაც არიან, რომ ლოგიკურისათვის აბსოლუტური იგივეობის კანონი არსებობს.

<sup>1</sup> В. И. Ленин, Философские тетради, стр. стр. 126, 127, 128, 250, 251.

თუ ჩვენი მსჯელობის პროცესში რომელიმე ცნება ერთი და იგივე მნიშვნელობით არ ვიხმარეთ, თუ მსჯელობის პროცესში რომელიმე ტერმინის ორაზროვნება დაეუშვით, მაშინ, როგორც ცნობილია, ლოგიკურ შეცდომასთან გვექცება საქმე. თუ, მაგ., მსჯელობებიდან: „ყოველ კანონს საკანონმდებლო ორგანო დაადგენს“ და „მსოფლიო მიმზიდველობა კანონია“, გამოვიყვანთ მსჯელობას: „მსოფლიო მიმზიდველობა დადგენილია საკანონმდებლო ორგანოს მიერ“, მაშინ ლოგიკურ შეცდომაში ჩავარდებით, რადგან სიტყვა „კანონს“ ორგვარი მნიშვნელობით ვხმარობთ და არა ერთი და იგივე მნიშვნელობით. ამიტომ ამბობს ფორმალური ლოგიკა, რომ იგივეობის კანონი აზროვნების ძირითადი კანონია; მისი დაცვა აუცილებელია სწორ აზროვნებაში; მისი დარღვევა კი სწორი აზროვნების დარღვევას, ე. ი. ლოგიკურ შეცდომას მოასწავებს.

მაგრამ აქ ისიც უნდა აღინიშნოს, რომ კანონი აუცილებელი კავშირია და არა დასაკავშირებელი, როგორც ასეთი<sup>1</sup>. როცა დასკვნა გაგებულა როგორც გამომდინარეობა, ე. ი. როგორც პროცესი, მაშინ, ცხადია, იგი არაიგივეობრივსაც შეიცავს, წინააღმდეგ შემთხვევაში, გამომდინარეობის პროცესი არ იარსებებდა, და დასკვნა შეუძლებელი იქნებოდა. ყოველი აუცილებელი კავშირი უსათუოდ განსხვავებულთა აუცილებელი კავშირია; იგი არ არსებობს განსხვავებულის გარეშე. დასკვნის პროცესში, როგორც ითქვა, ყოველი ცნება იგივეობრივი მნიშვნელობით უნდა იხმარებოდეს, მაგრამ ეს ცნებები კი არ წარმოადგენენ დასკვნას, ან კანონს დასკვნითი პროცესისა, არა, ისინი მომენტებია თვითონ პროცესის, ისინი დასაკავშირებელია დასკვნაში. მართალია, დასკვნის კანონი, როგორც აუცილებელი კავშირი (დასკვნა თვითონ არის განხორციელებული კავშირი), იგივეობრივია, მაგრამ იგი არის სწორედ განსხვავებულთა აუცილებელი კავშირი. დასკვნა თვითონ არის მთელი, რომელშიც განსხვავებული მომენტებია. ასეთია მსჯელობაც. რომელიმე მსჯელობა თუ დასკვნა თავისთავისაგან კი არ განსხვავდება, არამედ თავისთავში შეიცავს განსხვავებას. როდესაც კანონს განსხვავებულობათა გარეშე წარმოადგენენ, მაშინ იგი კანონის აზრს ჰკარგავს. როცა, მაგ., დროულ-ვრცეული მოვლენების კანონს როგორც იგივეობრივს, დროისა და სივრცის გარეშე წარმოადგენენ, მაშინ, როგორც ცნობილია, მისტიკის სფეროში ვარდებიან; შეიძლება კანონი მარადიული იყოს, მაგრამ ეს მის ზებუნებრიობას, ზედროულობას კი არ ნიშნავს, არამედ იმას, რომ ის ყოველ დროსაა.

<sup>1</sup> თუშეა შეიძლება ზოგადი კანონი უფრო ნაკლებ ზოგად კანონებსაც აკავშირებდეს. ამის შესახებ იხ. ქვემოთ.

მაშასადამე, კანონი არის შედარებით-იდეალური ხასიათის.

დ) კ ა ნ ო ნ ი ს შ ი ნ ა გ ა ნ ო ბ ა და ა რ ს ე ბ ი თ ო ბ ა. საგან-  
თა და მოვლენათა კავშირი ორგვარია: გარეგანი და შინაგანი, არა-  
არსებითი და არსებითი. საგანთა და მოვლენათა ერთიმეორის გვერ-  
დით, ან ერთიმეორის შემდეგ არსებობა, ე. ი. სივრცითი და დროი-  
თი კავშირები მოვლენებისა სრულიად გარეგნული ხასიათის კავ-  
შირებია. მაგ., მხოლოდ დროული თანმიმდევრობა სრულიადაც არ  
არის აუცილებლობა; ამიტომ შეცდომაა თქმა იმისა, რომ: „ამის  
შემდეგ, მაშასადამე, ამის გამო“ (post hoc, ergo propter hoc). მხო-  
ლოდ ცრუმორწმუნე იტყვის, რომ თუ სადამოზე ცის სიწითლეს  
რამდენჯერმე ცუდი ამინდი მოჰყვა, ამიტომ ყოველთვის ასე გან-  
მეორდება, ე. ი. — აქ აუცილებელი და არსებითი კავშირია. ერთი-  
მეორის გვერდით — სივრცეში და ერთიმეორის შემდეგ — დროში  
შეიძლება სრულიად სხვადასხვა ბუნების საგნები არსებობდნენ,  
სახელდობრ, ისეთი საგნები, რომლებიც ერთიმეორისაგან არსები-  
თად განსხვავდებიან.

იუმის ფილოსოფიის გამგრძელებელი თანამედროვე პოზიტი-  
ვიზმი უარყოფს მოვლენათა შინაგან ობიექტურ კავშირს და ყო-  
ველგვარი კავშირი გარეგან თანმიმდევრობაზე დაყავს; ამით იგი  
უარყოფს საერთოდ მეცნიერებას, მას უსაგნოდ სტოვებს.

ყალბია გარეგანის, არაარსებითის შინაგანად და არსებითად  
მიჩნევა. გარეგანის შინაგანად მიჩნევა არა მარტო თეორიული  
შეცდომაა, არამედ იგი შეიძლება რეაქციული პოლიტიკის საფუძე-  
ლადაც იქნეს გამოყენებული. მაგ., ადამიანისათვის კანის ფერი  
გარეგანი და არაარსებითი ნიშანია, რადგან ფერისდამიუხედავად  
ადამიანი მაინც ადამიანია; სულ ერთია ადამიანი, რა ფერისაც უნ-  
და იყოს, იგი იარაღის მკეთებელი ცხოველი მაინც იქნება; ადამიან-  
ისათვის არსებითი იარაღის მკეთებლობის ნიშანია და არა, მაგ.,  
კანის ფერი, თავის მოყვანილობა თუ სხვა. ამ უკანასკნელ ნიშნებს  
რასისტული თეორიები ადამიანისათვის არსებითად მიიჩნევენ და  
არა მარტო მსჯელობენ მათ მიხედვით სრულფასოვან და არასრულ-  
ფასოვან ადამიანებზე, არამედ შესაბამისი პოლიტიკის პრაქტიკაში  
განხორციელებასაც ცდილობენ. ასეთი თვალსაზრისით იბრძოდნენ  
გერმანელი ფაშისტები, რომელთა დამარცხებაშიც გარკვეული რო-  
ლი მათმა ასეთმა თვალსაზრისმაც ითამაშა.

მაშასადამე, ერთიმეორისაგან ზუსტად უნდა განვასხვაოთ,  
სიღრმისეული ძალები ანუ შინაარსი და ზედაპირული პროცესები,  
ზედაპირული მოვლენები, როგორც გარეგანი სახე — ფორმა.  
თვალსაზრისი, რომელიც მხოლოდ ზედაპირულ მოვლენებს, გარე-



გან ფორმას ემყარება ფორმალური თვალსაზრისია, რომელსაც უპირისპირდება მარქსისტული თვალსაზრისი, რომელიც ზუსტად ანსხვავებს შინაარსს და მის ფორმას (ამ შემთხვევაში — გარეგან ფორმას) და მათი დამოკიდებულების გარკვევის საფუძველზე სწორ დასკვნებს აკეთებს. მხოლოდ ზედაპირულ მოვლენებზე დაყრდნობა კი ხშირად არასწორ დასკვნებამდე მიგვიყვანს.

ამასთანავე უნდა აღინიშნოს ისიც, რომ მოვლენათა ზედაპირზე ყოფნა, მხოლოდ მასზე დაყრდნობა მხოლოდ აღწერის შესაძლებლობას იძლევა და არა ახსნისა. ამიტომ იყო, რომ ყოველი დროის წმინდა ემპირიზმი და პოზიტივიზმი მეცნიერების უარყოფამდე მიდიოდა. ეს გარემოება ყველაზე უფრო აშკარად ჩანს თანამედროვე ემპირიზმის მაგალითზე. ჩვენ აქ ის გვინდა აღვნიშნოთ, რომ ზერელე იგივე აღწერილობითია და მეცნიერება, რომელიც თავისი საგნის ფორმებს მხოლოდ აღწერს, ის მის არსებას ვერ წვდება. ამიტომ საჭიროა არსებითი ზუსტად განვასხვაოთ იმისაგან, რაც ზერელე და აღწერილობითია.

ამიტომ შეიძლება ითქვას, რომ როცა, ენგელსის თქმით, ფორმალური ლოგიკა მხოლოდ აღწერს აზროვნების ფორმებს, სახელდობრ, მსჯელობის და დასკვნის ფორმებს, მაშინ იგი ვერ სწვდება ამ ფორმათა არსებას; დიალექტიკური ლოგიკა კი სწვდება ამ არსებას, რადგან იგი ამ ფორმებს სუბორდინაციაში განიხილავს

მაშასადამე, შეიძლება ითქვას, რომ კანონი მოვლენათა კავშირია, რომელიც შინაგანია, არსებითია და არა გარეგნული და ზედპირული.

კანონი რომ მოვლენათა ზედაპირზე მოჩანდეს, მაშინ მეცნიერება არ იარსებებდა, და მეცნიერული კვლევა-ძიებაც სრულიად ზედმეტი საქმიანობა იქნებოდა. ღირებულების კანონი, კ. მარქსის თქმით, დაფარულია მოვლენებში და მათ ზედაპირზე სრულიად არ მოჩანს. მიმზიდველობის კანონი დაფარულია მოვლენებში, რომლებიც შეიგრძნობიან, თვითონ კანონის შეგრძნება კი შეუძლებელია. არცერთ კანონს არა აქვს არცერთი გრძნობადი თვისება, რომელიც მოვლენებს ახასიათებს.

მაშასადამე, კანონი მოვლენათა შინაგანი, არსებითი და აუცილებელი კავშირია. იგი, როგორც ასეთი, თვითონ არის სრულიად გარკვეული ფორმა, შინაგანი და არა გარეგანი ფორმა. კანონი არის ის ფორმა, თუ როგორაა შეერთებული შინაარსის ელემენტები, თუ როგორია შინაგანი აუცილებელი კავშირი.

აი, სწორედ ასეთი კანონია ცნებითი აზროვნების საგანი; საგნის შინაგანი კავშირის, როგორც მისი არსების ასახვა ცნებითი აზ-

როვნების შინაარსს წარმოადგენს. ამიტომ აუცილებელია ერთიმეორისაგან განვსხვაოთ ის, რაც არსებითია და ის, რაც არ არის არსებითი, რომ გავერკვეთ იმაში, თუ როგორი უნდა იყოს ლოგიკური აზროვნება და მისი კანონები.

ზემოთ წარმოებული მსჯელობებიდან ნათლად ჩანს ისიც, რომ მოვლენა და არსება, გარეგნული და სიღრმისეული ძალები ერთიმეორის საწინააღმდეგონი არიან, თუმცა მოვლენა სწორედ არსების მოვლენას წარმოადგენს. კანონმა სწორედ ეს წინააღმდეგობა უნდა აგვიხსნას. მატერიალისტური დიალექტიკა გვასწავლის, რომ ყველაფერს შინაგანი წინააღმდეგობა ამოძრავებს. შინაგანი წინააღმდეგობა თვითონ არის უნივერსალური კანონი. საწინააღმდეგონი ერთიმეორეს გამორიცხავენ, მაგრამ, ამავე დროს, ერთიმეორესთან აუცილებელ კავშირშიც იმყოფებიან. ამიტომ კანონის კიდევ უფრო ზუსტი განსაზღვრება იქნება შემდეგი: კანონი არის „შინაგანი და აუცილებელი კავშირი ორ გარეგნულად ერთიმეორის მოწინააღმდეგე მოვლენას შორის“<sup>1</sup>. მაგალითად, კაპიტალისტურ ბაზარზე კონკურენცია ბატონობს, მაგრამ საქონელთა გაცვლა-გამოცვლას ერთიდაიგივე ღირებულების კანონი უდევს საფუძვლად. „კონკურენციაში ყველაფერი უკულმა ჩანს“<sup>2</sup> ამბობს მარქსი.

შინაგან წინააღმდეგობაში ერთიმეორის საწინააღმდეგო მხარეები აუცილებელ კავშირში იმყოფებიან. ეს კავშირი არსებითი და აუცილებელია. კანონი არის არსებითი, აუცილებელი კავშირი, მრავალფეროვანი, ერთიმეორის საპირისპირო მოვლენების ამხსნელი კავშირი.

ვ. ი. ლენინი, როგორც ეს ამ შრომის შესავალში აღინიშნა და შემდეგ უფრო დაწვრილებით გაიკვევა, ფორმალურ ლოგიკასა და დიალექტიკურ ლოგიკას სწორედ იმით განასხვავებს ერთიმეორისაგან, რომ ფორმალური ლოგიკა ეყრდნობა იმას, რაც „наиболее объектно или что чаще всего бросается в глаза“, დიალექტიკური ლოგიკა კი მოითხოვს „чтобы мы шли дальше“<sup>3</sup>, ვ. ი. დიალექტიკური ლოგიკა ემყარება არსებას, რომელიც მოაოჟნის ამხსნელია: ის ითვალისწინებს არსების და მოვლენის ერთიანობას.

ეს იმას არ ნიშნავს, რომ აქ მხოლოდ მეთოდზე, სახელდობრ, შემეცნების მხოლოდ მეთოდზეა ლაპარაკი, არა, ვ. ი. ლენინს გათვალისწინებული აქვს მთლიანად ლოგიკის სფერო.

<sup>1</sup> კ. მარქსი, კაპიტალი, ტ. III, ნაწ. 1, გვ. 189.

<sup>2</sup> იქვე, გვ. 174.

<sup>3</sup> В. И. Ленин. Соч. т. 32, стр. 72.

საკითხის უფრო ნათლად წარმოსადგენად ავიღოთ მაგალითები იმისა, თუ რას ემყარება ფორმალური ლოგიკა და რას დიალექტიკური ლოგიკა, და მოკლედ ვაჩვენოთ პირველის შეზღუდულობა და მეორის სისრულე. მაგალითები ავიღოთ უშუალოდ ლოგიკის პრობლემატიკიდან.

ცნება, როგორც ითქვა, საგნის არსების ამსახველი აზრია. ამ დებულებას ფორმალური ლოგიკაც აღიარებს, თუმცა ვერ იცავს, რადგან არ ანსხვავებს საგნის არსებით და არა არსებით მხარეებს, უმთავრესად, მსჯელობისა და დასკვნის სფეროში, სადაც იგი წარმოდგენას ცნებისაგან არ არჩევს.

საგნის არსება, მატერიალისტური დიალექტიკის მიხედვით, არის საგნის მამოძრავებელი შინაგანი წინააღმდეგობა, რომლითაც ერთი საგანი მეორეში გადადის; სწორედ მოძრაობაშია დაკავშირებული საგნები ერთიმეორესთან და საგნის განვითარების განსაზღვრულობანი ერთ მთლიანობაში არიან სწორედ იმით, რაც მოძრაობის არსებას წარმოადგენს. მაშ., მთავარია, თუ როგორ გამოითქმება ლოგიკურ აზროვნებაში მოძრაობა; ვ. ი. ლენინის სიტყვებით რომ ვთქვათ, მთავარია გამოვჩაბოთ მოძრაობა ცნებათა ლოგიკაში. ეს საკითხი იდგა სწორედ ძენონთან და იგი დიალექტიკის თეორიის შექმნამდე გადაუწყვეტელი დარჩა. ძენონის საკითხი ეხებოდა მოძრაობის ცნებებში გამოხატვას, „...вопрос не о том, есть ли движение, а о том, как его выразить в логике понятий“<sup>1</sup>.

ყოველი მეცნიერების საგანს მოძრაობის ესა თუ ის ფორმა წარმოადგენს; ამიტომ არსებითია საკითხი, თუ როგორ შეიძლება მოძრაობის ცნებებში გამოხატვა. აქ ლოგიკის საკითხი და მეთოდოლოგიის საკითხი განუწყვეტელ ერთიანობაშია.

მოძრაობა გამოითქმის სიტყვით „მოძრაობა“, რომელიც გარკვეულ აზრს გამოხატავს. მაგრამ ამ სიტყვას ყველა ხმარობდა მიუხედავად იმისა, ესმოდა მას მოძრაობის ბუნება თუ არა. მსჯელობა: „A საგანი მოძრაობს“, სწორედ A საგნის მოძრაობის გამოთქმაა მსჯელობაში, მაგრამ ეს მსჯელობა სისრულით ვერ გამოსთქვამს მოძრაობის არსებას, არამედ გულისხმობს იმას, რაც მთავარია და გამოუთქმელი რჩება ამ მსჯელობის მიერ. მსჯელობა: „მოძრაობს A საგანი არის B წერტილში“ — გამოსთქვამს მოძრაობის ერთ მხარეს და პირდაპირი მნიშვნელობით იგი (აღნიშნული მსჯელობა) A საგნის B წერტილში გაჩერებულობას უფრო გამოსთქ-

<sup>1</sup> В. И. Ленин. Философские тетради, стр. 240.

ვამს, ვიდრე მოძრაობას. ეს მსჯელობა, რომელიც შედგენილია ფორმალური ლოგიკის წესების დაცვით, საჭიროებს დამატებას, რომ მოძრაობის ბუნება აზრში გამოითქვას; ეს დამატება შემდეგი მსჯელობაა: „მოძრავი A საგანი არ არის B წერტილში“: ამ ორი საპირისპირო მსჯელობის ერთიანობა დაუშვებელია ფორმალური ლოგიკის წესების მიხედვით, რადგან საწინააღმდეგო მსჯელობათა ერთიანობა, თანახმად ამ წესებისა, მხოლოდ შეცდომას მოგვცემს. დიალექტიკური ლოგიკის მიხედვით სწორედ აღნიშნული დაპირისპირებული მსჯელობების ერთიანობა გამოხატავს მოძრაობის არსებობას და ის არის სწორედ ჭეშმარიტება. ამიტომ ზოგადი მსჯელობა, რომელიც ყოველგვარი გულისხმობის გარეშეა აღებული, კი ვერ გამოხატავს მოძრაობის არსებას და მის უძირითადეს კანონს, არამედ მხოლოდ დასკვნა, როგორც დაპირისპირებულ მსჯელობათა ერთიანობა, — მთელი, როგორც ერთმხრიობათა ერთიანობა. მაშასადამე, ფორმალურ-ლოგიკური დიალექტიკურ-ლოგიკურის ერთი მხარეა, და თუ ამ მხარეს აბსოლუტური და არადაქვემდებარებული მნიშვნელობა მივანიჭებთ, მაშინ შეცდომაში ჩავარდებით, მაგ., — მოძრაობის უარყოფამდე და ამით მეცნიერებათა უარყოფამდე მივალთ.

ყოველი საგნის არსება, როგორც შინაგანი წინააღმდეგობა, სისრულით დაპირისპირებულ მსჯელობათა ერთიანობით გამოითქმება. ამიტომ არსება და მისი ერთი მხარე, როგორც სხვადასხვა შინაარსი, ლოგიკურ ფორმას განსაზღვრავს<sup>1</sup>.

როდესაც სილოგიზმი ცნების განაწილებას ემყარება, მაშინ არსებითია „ყველას“ და „ზოგიერთის“ ცნებები, ე. ი. მოვლენათა სიმრავლე და არა არსება მოვლენისა, რომელიც სიმრავლეში მეორდება. საჭიროა და აუცილებელი ის, რომ გაირკვეს სწორედ მოვლენის არსებას შესატყვისი ლოგიკური, რომელსაც, მაგ., კატეგორიული სილოგიზმის ლოგიკური დაექვემდებარება.

როცა, როგორც აღინიშნა, ფორმალურ ლოგიკაში A და არა-A ერთმეორეს უპირისპირდება, მაშინ არა-A გაურკვეველია, სწორედ მოვლენათა სიმრავლის გამო, არსებაში, როგორც შინაგან წინააღმდეგობაში, რომელსაც ორი მხარე აქვს, არა-A სრულიად გარკვეულია.

მაშასადამე, ის გარემოება, რომ კანონი არსებითია, გადაწყვეტი მნიშვნელობის მქონეა ლოგიკისთვისაც და არა მარტო სპეციალური მეცნიერებებისათვის.

<sup>1</sup> და არა ყოველი განსხვავებული შინაარსია განმსაზღვრელი ლოგიკური ფორმის, როგორც ეს ამ შრომის პირველ თავშიც გაირკვა.

ე) კ ა ნონის ზოგადობა. მეცნიერებს კანონთა ისეთი ნიშნები, როგორცაა აუცილებლობა და შედარებითი იდენტურობა პირდაპირ მიუთითებს კანონის ისეთ ნიშანზე, რომელსაც ზოგადობა წარმოადგენს. კანონი, როგორც მოვლენებში არსებული იდენტური, ცხადია, ამ მოვლენებისათვის ზოგადს წარმოადგენს. მოვლენათა შორის არსებული აუცილებლობა, სწორედ იმას გამოსთქვამს, რომ მოვლენებში არსებობს რაღაც ზოგადი. აუცილებელი კავშირი, ცხადია, სხვადასხვას კავშირია; ეს კავშირი საერთოა სხვადასხვასათვის. მრავლისათვის საერთო და იგივეობრივი არის ის ზოგადი, რომელიც კანონის ერთ-ერთ არსებით ნიშანს წარმოადგენს. რომ კანონი მრავალი მოვლენისათვის ზოგადი არ იყოს, მაშინ მას აზრი დაეკარგებოდა, იგი კანონი არ იქნებოდა. მაგ., მიზეზობრიობა ან მიმზიდველობა რომელიმე ერთი მოვლენით რომ ამოიწურებოდეს და სხვა მოვლენებზეც არ ვრცელდებოდეს, მაშინ, ცხადია, ისინი კანონები კი არა და ერთეული მოვლენები იქნებოდნენ. რომ კაპიტალიზმის, ან სოციალიზმის რომელიმე კანონი მხოლოდ ერთი მოვლენით ამოიწურებოდეს, მაშინ ისინი კანონებიც არ იქნებოდნენ. მათ კანონის აზრი სწორედ ზოგადობის გამო აქვთ.

მოვლენები ერთეული და კერძო ხასიათის არიან. კანონები კი ზოგადი ბუნებისანი არიან სწორედ მოვლენების მიმართ. მოვლენების და კანონის დამოკიდებულება კერძოს და ზოგადის დამოკიდებულებაა. სწორედ ეს დამოკიდებულებაა არსებითი არა საერთოდ მეცნიერებისათვის. არამედ ლოგიკისთვისაც; დედუქციური და ინდუქციური დასკვნები, როგორც ცნობილია, ზოგადის და კერძოს დამოკიდებულების მხარეებს ემყარებიან.

არა მარტო ის უნდა ითქვას. რომ კანონი ზოგადია, არამედ შეიძლება ამ დებულების შებრუნებაც: ზოგადი არის კანონი; „Родовое понятие есть „сущность природы“ (ე. ი. არსების ასახვაა). есть закон...“<sup>1</sup>. (აქ გვარი გააგებელია როგორც არსება და არა როგორც მხოლოდ საერთო). მოვლენებში ზოგადობაა სწორედ ის, რაც აუცილებლობას წარმოადგენს; აუცილებლობა, ამბობს ვ. ი. ლენინი, არის „всеобщее в бытии“<sup>2</sup>.

მეცნიერების მიზანი სწორედ იმაში მდგომარეობს, რომ ერთეულ და კერძო მოვლენებში ზოგადი, კანონი აღმოაჩინოს. ასეთი ზოგადის არსებობის გარეშე შეუძლებელი იქნებოდა მეცნიერება და საერთოდ შეგნებული და მიზანდასახული მოქმედე-

<sup>1</sup> В. И. Ленин, Философские тетради. стр. 250.

<sup>2</sup> იქვე, გვ. 248.

ბაც; — შეუძლებელი იქნებოდა ყოველგვარი წინასწარხედვა. რომ არ არსებობდეს ზოგადი, მაშინ, მაგ., ვერ ვიტყვოდით, რომ ხვალ მზე ამოვა, რომ სოციალიზმი აუცილებლად დამყარდება კაპიტალიზმის შემდეგ. კ. მარქსმა და ფ. ენგელსმა სწორედ საზოგადოების განვითარების ზოგადი კანონების და კაპიტალიზმის სპეციფიკური კანონების აღმოჩენის საფუძველზე დაასაბუთეს კაპიტალიზმის დამხობის და სოციალიზმის დამყარების აუცილებლობა. საბჭოთა კავშირის კომუნისტურმა პარტიამ სწორედ ობიექტურად არსებული ზოგადი კანონების ცოდნის საფუძველზე განჭვრიტა წინასწარ, რომ, მაგ., საბჭოთა კავშირის დიდო სამამულო ომი გერმანიის ფაშიზმზე გამარჯვებით დამთავრდებოდა. სწორედ ზოგადი კანონების აღმოჩენით დასაბუთდა კომუნიზმის აშენების თავისებურებანი; სოციალიზმიდან კომუნიზმში გადასვლის გზები ობიექტურ და ზოგად კანონებს წარმოადგენენ. კანონი სწორედ ის გზაა, რომლითაც მოვლენა, მოვლენები ვითარდებიან. კანონი მოვლენის განვითარების ტენდენციას, ამბობდა მარქსი; უფრო ზუსტად: მარქსის თქმით, „ყოველი ზოგადი კანონი ხორციელდება ყოველთვის მხოლოდ როგორც გაბატონებული ტენდენცია“<sup>1</sup>. მართალია, მარქსი ამ დებულებას კაპიტალისტური წარმოების განხილვასთან დაკავშირებით გამოსთქვამდა, მაგრამ, ვფიქრობთ, ეს დებულება სწორია საერთოდაც; იგი აღებული უნდა იქნას ზოგადი მნიშვნელობით.

კანონი განვითარების ტენდენციაა ორი მნიშვნელობით: ა) მოვლენები კანონს არ ემთხვევიან, არამედ მისით აიხსნებიან: საქონლები იყიდებიან იმ ფასით, რომელიც მათი ღირებულებით განისაზღვრება, მაგრამ მას არ ემთხვევა, არამედ მის გარშემო ტრიალებს და ამქადავებს როგორც საკუთარ ტენდენციას. ბ) განვითარების კანონი, როგორც მისი წყარო, განვითარების ტენდენციაა, როგორც განვითარების პროცესის ძირითადი განსაზღვრულობა, მისი არსება, რომლის სიღრმეს განვითარების საფეხურები, როგორც მოვლენები, უფრო და უფრო ავლენენ.

მამასადამე, შეიძლება ითქვას, რომ კანონი არის მოვლენათა განვითარებაში გაბატონებული ტენდენცია, ამ განვითარების გზა, აუცილებელი, შინაგანი კავშირი არსებულსა და მომავალს შორის, რომელსაც ზოგადი ხასიათი აქვს. აუცილებელი კავშირი არ შეიძლება ზოგადი არ იყოს.

<sup>1</sup> კ. მარქსი. კაპიტალი, ტ. III, ნაწ. 1, გვ. 130. 1932 წ. ქართ. გამოცემა.

კანონი და მისი ზოგადობა არ იარსებებდა, რომ არ არსებობდეს გარკვეული სიმრავლე, რომელშიც იგი არსებად ვლინდება და ამიტომ — აგვისხნის კიდევ. ეს სიმრავლე მოვლენების სიმრავლეა. რაც ერთსა და იგივე არსებას გამოავლენს.

მოვლენები სამგვარია: 1) ერთგვარ მოვლენათა სიმრავლე, მაგ., ადამიანები, წარმოებები, კაპიტალისტური სახელმწიფოები თუ საზოგადოებები, რომლებშიც ერთიდაიგივე კანონი მოქმედებს; სიმრავლე, რომლის ერთეულები ერთსადაიგივე არსებას შეიცავენ და მის მაგალითებს წარმოადგენენ. სწორედ ასეთ სიმრავლეს ემყარება კატეგორიული სილოგიზმის საფუძველი — ცნების განაწილება, თვითონ ცნების მოცულობა, ზოგადის და კერძოს ფორმალურ-ლოგიკური გაგება; ასეთი — სიმრავლის აზრით აღებული — ზოგადი უძევს საფუძვლად ტრადიციული ლოგიკის ინდუქციასაც, რომელიც ერთეულებიდან ზოგადობის აღმოჩენისაკენ მიდის.

2) მეორეგვარ მოვლენათა სიმრავლეს და მეორეგვარ მოვლენებს წარმოადგენენ რაიმეს განვითარების საფეხურები, ეტაპები. რომლებიც ერთ არსებას გამოავლენენ, ისე რომ უფრო და უფრო აღმოჩნდება კანონის სიღრმე, უფრო და უფრო გამოვლინდება — გამოააშკარავდება იგი. მაგ., საზოგადოების განვითარების საფეხურები — საზოგადოებრივ-ეკონომიური ფორმაციები, რომლებიც ისეთი ზოგადი კანონით აიხსნებიან, ისეთ ზოგად კანონს გამოავლენენ, როგორაცაა, მაგ., წარმოებით ურთიერთობათა საწარმოო ძალებისადმი სავალდებულო შესაბამისობის კანონი. ასე ითქმის კაპიტალიზმის თუ სოციალიზმის ძირითადი კანონების და სხვ. შესახებაც; კაპიტალიზმის ძირითადი კანონი განსაზღვრავს ყველა უმნიშვნელოვანეს მოვლენას წარმოების წესის განვითარების სფეროში, — მისი წინააღმდეგობრივი განვითარების პროცესს. ამ კანონის ასეთი მნიშვნელობა სწორედ მის ბუნებას, როგორც ზოგადობას წარმოგვიდგენს; ეს კანონი კაპიტალიზმის განვითარებას გვიხსნის, ის ამხსნელია განვითარების იმ საფეხურების, რომლებიც მის სიღრმეს თანდათანობით ააშკარავენ და ავლენენ (და ბოლოს ამოსწურავენ კიდევ).

განვითარების საფეხურთა სიმრავლისათვის არსებითი, ამხსნელი ზოგადობა არის ამ განვითარების კანონის ზოგადობა. შინაგანი წინააღმდეგობა, როგორც უსასრულო განვითარების ამხსნელი კანონი, როგორც უსასრულო განვითარების წყარო, ზოგადობის

ბუნებისაა. კანონის ზოგადობა განვითარების წყაროს ზოგადობას ხასიათისაა.

3) მესამეგვარი მოვლენები და ამ მოვლენათა სიმრავლე არის ერთიდაიგივეს მხარეები, მომენტები, სხვადასხვა პროცესები ერთსა და იგივე საგანში, მაგ., კაპიტალიზმში, წარმოებაში და სხვ. წარმოება ზოგადობაა, ის არის ერთიანობა მისი მომენტებისა: საკუთრივ წარმოების, განაწილების, გაცვლის და მოხმარების. ეს სიმრავლე, როგორც ერთიანი წარმოების მომენტები, ცხადია, სხვაგვარია, ვიდრე წარმოებები, როგორც სიმრავლე, ან წარმოების განვითარების საფეხურები.

კანონის ზოგადობა თავისებური ხასიათისაა. ის არ არის მრავალი და, შეიძლება, უსასრულოდ მრავალი მოვლენისათვის მხოლოდ საერთო; ასეთი შეიძლება არაარსებითი ნიშანიც იყოს. კანონი არსებითი ხასიათის ზოგადია. კანონის ზოგადობა, როგორც ითქვა, მარტო იმაში კი არა ჩანს, რომ ის არსებითია მოვლენათა სიმრავლისათვის, მაგ., ყოველი ქვეყნის კაპიტალიზმში კაპიტალიზმის არსებას შეიცავს როგორც მათთვის ზოგადს, — ყოველი წარმოება წარმოების არსებითი განსაზღვრულობის მატარებელია, — არა, კანონის ზოგადობა იმასაც ნიშნავს, და ესაა მთავარი, რომ ერთი და იგივე საგანი მრავალი განსაზღვრულობის, ერთი და იგივეს მრავალი არსებითი მომენტის ერთიანობაა, როგორც ამ პროცესების, მხარეების თუ მომენტების ერთიანობა. ამიტომაც ზოგადი კონკრეტული — მრავალსახეობის ერთიანობა<sup>1</sup>.

კანონის ზოგადობა საგნის ბუნების ზოგადობაა, არსების სიღრმის ზოგადობაა, და არა მხოლოდ მოცულობითი ზოგადობა. მაგალითად, წარმოების (ამიტომ ყოველი წარმოების) ბუნება იმაშია, რომ ის არის ერთიანობა საპირისპირო მომენტებისა — საკუთრივ წარმოების, განაწილების, გაცვლის და მოხმარების მომენტებისა, რომლებშიც, მარქსის თქმით, გარეგანდამწვდომ მომენტს წარმოება წარმოადგენს<sup>2</sup>.

მაგალითად, კაპიტალიზმის ძირითადი კანონი სწორედ იმიტომ არის ძირითადი, რომ იგი განსაზღვრავს კაპიტალისტური წარმოების განვითარებას, კაპიტალისტური წარმოების არსებას. კანონის ზოგადობა ასეთ ძირითადობაშია (არა ძირითადი კანონიც ასეთია მის სფეროში), ის არის არსების ძირითადი განსაზღვრულობის ზოგადობა.

<sup>1</sup> კ. მარქსი, პოლიტიკური ეკონომიის კრიტიკისათვის, გვ. 281. იხ. კონკრეტულის განმარტება.

<sup>2</sup> კ. მარქსი, პოლიტიკური ეკონომიის კრიტიკისათვის. შესავალი.



კანონის ზოგადობის ამგვარი გაგების საფუძველზე უნდა ითქვას, რომ, ამ შემთხვევაში, მოვლენა არის მთელის ერთი მხარე. ასეთი მხარეა, მაგ., წარმოებაში მოხმარება, დიალექტიკაში მისი რომელიმე ნიშანი, დაპირისპირებულთა ერთიანობაში მისი ერთი მხარე და სხვ.

მაშასადამე, არსებობს სამგვარ მოვლენათა სიმრავლე და მათი შესატყვისი ზოგადობანი. ეს არ ნიშნავს, რომ არსებობს სამი ზოგადი, ასეთ შემთხვევაში, მეოთხე — მათი გვარიც იარსებებდა, და მივიღებდით ლოგიკურ შეცდომას. ზოგადობა, როგორც საგნის არსებით მომენტთა ერთიანობა, როგორც გარკვეული აუცილებელი კავშირი, როგორც კანონი განვითარების საფეხურებისა, ის არის მთელი განვითარების არსება; განვითარების საფეხურები გარკვეული სახით გამოავლენენ მათ არსებას. ერთიმეორის გვერდით არსებულ ერთგვარ საგანთა სიმრავლე, არსებითად, ერთი საგნის არსებას, როგორც მის მომენტთა ერთიანობას იმეორებს. მაგ., მრავალი წარმოება ერთი წარმოების ბუნებას იმეორებს; მრავალი ადამიანი სწორედ ადამიანის არსების განმეორებული მოვლენებია, — ყოველი ადამიანი ერთნაირია იმაში, რომ იგი იარაღის მკეთებელი ცხოველია.

ამრიგად, კანონის ზოგადობა, არსებითად, საგნის არსების მომენტთა ერთიანობაა. ამიტომ არ შეიძლება ის მარტივი იყოს. კანონი, გარკვეული აზრით, არის რთული. კანონის სირთულე ზოგადობის მომენტს კიდევ უფრო ღრმად წარმოგვიდგენს.

ვ) კ ა ნ ო ნ ი ს ს ი რ თ უ ლ ე და შ ი ნ ა გ ა ნ ი ზ ო გ ა დ ო ბ ა. კანონის ზოგადობა, როგორც ითქვა, იმაში მდგომარეობს, რომ იგი (ეს ზოგადობა) საგნის არსების მომენტთა, მხარეთა, როგორც მოვლენათა, ერთიანობაა. მოვლენათა სიმრავლეში ერთი კანონის არსებობა სრულიადაც არ ნიშნავს ამ კანონის სიმარტივეს. არაფერი არ არსებობს აბსოლუტურად მარტივი და არც კანონია ასეთი. კანონი შინაგანი მომენტების შემცველია და, ამ აზრით, არის რთული (და არა იმ აზრით, თითქოს ის იყოს შედგენილი, აგრეგატი).

კანონის სირთულე ორ რამეში მდგომარეობს: 1) ის არ არის წმინდა, თავისუფალი მოვლენებისაგან, რომელთა კანონსაც ის წარმოადგენს; არა, იგი სწორედ ამ მოვლენების კავშირია, რომელიც სწორედ მოვლენების ბუნებიდან გამომდინარეობს; მიმართება იმაზეა დამყარებული და იქედან გამოდის, რა საგანთა მიმართებასაც ის წარმოადგენს (წინააღმდეგ იმ აზრისა, რომელსაც მი-

მართების ლოგიკა ემყარება). 2) თვითონ კანონი საკუთარი, შინაგანი მომენტების მქონეა. კანონი განსხვავებულ და, არსებითად, დაპირისპირებულ მომენტებს შეიცავს თავისთავში. იგი ამ მომენტთა, როგორც მოვლენათა დადებით აუცილებელ კავშირს, ერთიანობას წარმოადგენს. ერთიანობა კი არ შეიძლება მარტივი იყოს, ის არ არის იგივეობა, მით უმეტეს, — წმინდა.

კანონი, როგორც ითქვა, აუცილებელი კავშირია; კავშირი კი უსათუოდ გულისხმობს სხვადასხვაობას. ამ სხვადასხვაობის გარეშე კავშირს არა აქვს აზრი. სხვადასხვაობა, რომელიც კანონში არსებობს, იმით არის შექმნილი, რომ კანონი განსხვავებულ მოვლენათა კავშირია. მაგ., ერთი მოვლენა მიზეზია მეორე მოვლენისა. მიზეზობრიობა განსხვავებულ მოვლენათა აუცილებელი კავშირია, მაგრამ, ამის გამო, თვითონ კანონია სხვადასხვა მომენტების კავშირი, ერთიანობა. არ არსებობს მიზეზის კანონი ან შედეგის კანონი, არამედ მიზეზობრიობის კანონი. კანონი ერთია, მაგრამ მის მომენტებს შეადგენს მიზეზი და შედეგი. კანონი, როგორც აღინიშნა, ზოგადია; ასეთია მიზეზობრიობის კანონიც; მისი მომენტებიც ზოგადობის მომენტებია და თვითონაც ზოგადობის ხასიათისაა; მიზეზი და შედეგი, როგორც მიზეზობრიობის მომენტები, რომელიმე — კერძო მოვლენები კი არაა, არამედ — საერთოდ მიზეზი და შედეგი. მიმზიდველობის კანონი აუცილებელი კავშირია ორ მოვლენას შორის, ამიტომ თვითონ მიმზიდველობაც შინაგანი განსხვავების შედეგია; ეს მომენტები ერთიმეორის საპირისპიროა: მიმზიდველობა არ არსებობს გამზიდველობის მომენტის გარეშე; კანონი სწორედ ამ ორი საპირისპირო მომენტის ერთიანობაა. ეს ერთიანობა დადებითი ხასიათისაა და უარყოფის მომენტს შეიცავს, რადგან განსხვავებულობა და დაპირისპირება, რომელსაც კანონი შეიცავს, უარყოფის მომენტის გარეშე შეუძლებელია.

კანონის სირთულე კიდევ უფრო ნათლად მოჩანს საზოგადოების განვითარების კანონთა მაგალითზე. მაგ., სოციალიზმის ძირითადი კანონის მომენტებია: 1) საზოგადოების მოთხოვნილებათა დაკმაყოფილება, — ესაა სოციალისტური წარმოების შედეგი და ამავე დროს მიზანი; 2) უმაღლესი ტექნიკის ბაზაზე სოციალისტური წარმოების სრულყოფა, — ესაა საფუძველი და საშუალებაც მიზნის მისაღწევად. მაშასადამე, გარკვეული საფუძველი და ასეთივე შედეგი სოციალიზმის ძირითადი ეკონომიური კანონის მომენტებია. (ასეთი მომენტები გააჩნია კაპიტალიზმის ძირითად კანონსაც). ერთი მომენტია ის, რაც უნდა შეიქმნას, მეორე მომენტი კი ისაა, რის საფუძველზედაც და რითაც უნდა შეიქმნას რაიმე. აქ აღნიშნული

კანონის ერთი მომენტი ის რეალური საფუძველი, რომლის საშუალებითაც უნდა შესრულდეს მეორე მომენტი. კანონში ერთგვარი მოთხოვნაა, რის სახითაც მასში გარკვეული ამოცანა არსებობს: მაგრამ კანონი საფუძვლის და შედეგის აუცილებელ კავშირს წარმოადგენს.

მაშ., კანონი საკუთარი და გარკვეული მომენტების ერთიანობაა. ზოგადობა სწორედ ამ ერთიანობაში მდგომარეობს. ეს ერთიანობა არის შინაგანი ზოგადობა, თვითონ კანონის შიგნით არსებული ზოგადობა, რომელიც ნამდვილ შინაარსეულ ზოგადობას წარმოადგენს.

ის გარემოება, რომ კანონი მხოლოდ იმას კი არ გვიჩვენებს და გვიხსნის, თუ რა იყო და რა არის, არამედ იმასაც, თუ რა იქნება (წინააღმდეგ შემთხვევაში იგი ზოგადი არ იქნებოდა), მოითხოვს იმას, რომ თვით კანონის ბუნება იყოს ასეთი, — რომ კანონის მომენტები უნდა გვეუბნებოდნენ, თუ რა იქნება, რის საფუძველზე და რის საშუალებით. კანონი, ყოველ შემთხვევაში, ძირითადი კანონი, როგორც აღინიშნა, თავისი ბუნებით აჩვენებს იმას, თუ რა იქნება, რა უნდა იყოს და რის საფუძველზე. კანონი შეიცავს ერთგვარ შინაგან დაპირისპირებას. ეს გარემოება ყველა კანონში შეიძლება არ ჩანდეს. იგი იმდენად უფრო აშკარაა, რამდენად კანონი ძირითადია, რამდენადაც ახლოა საჯნის არსებასთან. თვითონ უნივერსალური კანონი კი დაპირისპირებულთა ერთიანობაა. საჯნის განვითარების ერთი მხარე, კერძო პროცესები შეიძლება შეიცავდნენ ისეთ კანონს, რომელშიც აშკარად არ ჩანდეს არსებისათვის დამახასიათებელი დაპირისპირება. მოვლენა არსებას არ შეიძლება დაემთხვეს.

ამრიგად, კანონი, თავისი შინაგანი ბუნებით, მიუთითებს იმაზე, თუ როგორ წარმოიშობა ახალი და როგორ გადადის შესაძლებლობა სინამდვილეში. ამიტომაცაა იგი გარკვეული ტენდენცია განვითარებისა, და განვითარების ზოგადობა. კანონის ზოგადობა, როგორც საკუთარი მომენტების აუცილებელი კავშირი, ერთიანობა მოკლედ აჩვენებს იმას, რასაც განვითარება წარმოადგენს.

კანონთან დაკავშირებით მიზანზე და საშუალებაზე ლაპარაკი შეიძლება მხოლოდ ადამიანის ცნობიერების მიმართ. თვითონ კანონებში, ცხადია, არავითარ მიზნობრიობას ადგილი არა აქვს. ბუნებაში მიზნის არსებობის აღიარება იდეალისტური თვალსაზრისია (მაგ. არისტოტელეს და სხვ. თვალსაზრისები). კანონებში არსებული შინაგანი მომენტები მიგვიითებენ იმაზე, თუ რა არის და რა იქნება — რა მოყვება მას შედეგად; განვითარების კანონი.

ცხადია, არსებულს და მომავალს შორის კავშირს წარმოადგენს და გამოხატავს.

მატერიალისტური დიალექტიკა გვასწავლის, რომ ყოველგვარი მოძრაობის უძირითადესი კანონი არის ის, რაც მოძრაობის წყაროს წარმოადგენს. ეს არის შინაგანი წინააღმდეგობის კანონი. დაპირისპირებულთა ბრძოლა შეადგენს განვითარების არსებას. ყოველ საგანში არის ორი რამ, რომლებიც ერთიმეორეს უპირისპირდებიან, ერთიმეორეს ეწინააღმდეგებიან, ე. ი. ებრძვიან, მაგრამ რადგან ისინი ერთ საგანში, ერთიანში არიან, ამიტომ, ცხადია, აუცილებელ კავშირშიც იმყოფებიან. თვითონ ბრძოლაც, წინააღმდეგობაც აერთიანებს ერთი და იგივე საგნის დადებითს და უარყოფით მხარეებს, ახალსა და ძველს, წარსულსა და მომავალს. ეს კავშირი, როგორც კანონი, უარყოფის საშუალებით შესრულებული კავშირია. შინაგან წინააღმდეგობას, როგორც წინააღმდეგობას, ცხადია, ორი მხარე აქვს; მათი, როგორც მართლაც წინააღმდეგობის, კავშირი არის კანონი.

ამავე დროს, შინაგანი წინააღმდეგობა, როგორც განვითარების წყარო, ახალსა ჰქმნის, ახალს მოითხოვს, რომელიც წინააღმდეგობას გადაწყვეტს; ეს ახალი, თავის მხრივ, ახალი წინააღმდეგობის ბუნების იქნება. შინაგანი წინააღმდეგობა ჰქმნის განვითარების საფეხურებს, რომელთაც ამხსნელად ერთი კანონი გასდევს. რომელიც თავისებურებას იძენს ყოველ ახალ საფეხურზე, და თავის მხრივ, სხვა — არაძირითად და სპეციფიკურ კანონებს განსაზღვრავს, როგორც მათი სრულიად გარკვეული რეალური საფუძველი.

შეიძლება სთქვან, რომ კანონი კი არ შეიცავს საპირისპირო და საწინააღმდეგო მომენტებს, არამედ საგანი. მართალია, რომ საგანი, საგნის არსებაა დაპირისპირებულთა ერთიანობა, და რადგან ასეთია მოძრაობა-განვითარებაში მყოფი ყოველი საგანი და თვითონ მოძრაობა-განვითარება სწორედ განხორციელებული წინააღმდეგობაა, ამიტომ ობიექტურად არსებული კანონი დაპირისპირებულთა აუცილებელი კავშირია, რომელიც უზოგადესია, ცხადია, თავისი მხარეებითურთ. კანონი, როგორც ობიექტურად არსებული კანონის აზროვნებაში ასახვა, არის აზრი, რომელიც, ცხადია, არჩევს კანონის მხარეებს და ასახული აქვს მათ შორის როგორც წინააღმდეგობა, ისე აუცილებელი დადებითი კავშირი. ობიექტურად არსებული კანონის სრულ ასახვას მივიღებთ მაშინ, თუ მისი მომენტები გარჩეულად არის გამოთქმული და ერთიანობაც დადგენილი და დასაბუთებულია.

დაპირისპირებულთა ერთიანობის კანონის მაგალითს წარმოადგენს ისეთი კანონი, როგორცაა საწარმოო ძალთა და წარმოებით ურთიერთობათა ერთიანობის კანონი; ეს კანონი არის სწორედ დაპირისპირებულთა ერთიანობის კანონი, რადგან საწარმოო ძალებსა და წარმოებით ურთიერთობათა შორის ყოველთვის არის წინააღმდეგობა: ანტაგონისტური — სოციალიზმამდე, არაანტაგონისტური — სოციალიზმში.

როგორც ეს ამ შრომის მეორე თავში გავარკვევით, უსასრულო განვითარება დაბოლოებულად კანონის სახით არსებობს, — სახელდობრ დაპირისპირებულთა ერთიანობის სახით. ამიტომ ეს კანონი თვითონ არის დაბოლოებულის და უსასრულოს დიალექტიკური ერთიანობა, რომელიც ნამდვილ შინაგან ზოგადობას წარმოადგენს. ფრ. ენგელსის აზრით, როგორც ეს ზემოთ დაწვრილებით გავარჩიეთ, „ზოგადობის ფორმა შინაგანი დასრულებულობის და, მამასადამე, უსასრულობის ფორმაა“. „ზოგადობის ფორმა ბუნებაში კანონია“<sup>1</sup>.

ამრიგად. უნდა ითქვას, რომ კანონის ზოგადობა, უპირველეს ყოვლისა. შინაგანი ზოგადობაა; იგი არსებითად დაპირისპირებულთა აუცილებელი კავშირის. ურთიერთუარყოფის საშუალებით შესრულებული კავშირის ზოგადობას წარმოადგენს.

აი, სწორედ ეს ზოგადობა არა აქვს გათვალისწინებული ფორმალურ ლოგიკას. იგი მხოლოდ სინრაქლეს ემყარება; ცნების მოცულობას ზოგადობა. რომელიც როგორც სოციალისტურ დასაინს. ისე ინდუქციურ დასკვნებსაც უძევს საფუძვლად. იმის განმეორებას ემყარება, რომლის შინაგანი ზოგადობა ყურადღების გარეშეა დატოვებული. აღნიშნული შინაარსებული ზოგადობის შესატყვისი ლოგიკური კავშირის პრობლემა უნდა გადაწყვიტოს დიალექტიკურმა ლოგიკამ. ამით ფორმალ-ლოგიკურიც კპოვებს თავის საბოლოო ახსნას და გამართლებას.

ყოველი მეცნიერება შვისწავლის ერთეულ ფაქტებში არსებულ ზოგადს (ასე უნდა ითქვას ლოგიკის შესახებაც). მეცნიერების საგანი არის ზოგადი. მაგ., გრამატიკა იკვლევს სიტყვათა ცვალებადობის წესებს და წინადადებათა შედგენის წესებს, რომელთაც ზოგადი ბუნება აქვთ. გრამატიკა იკვლევს საერთოდ სიტყვებს, საერთოდ ყოველგვარ წინადადებას. იგი იღებს იმ ზოგადს, რაც საფუძვლად უძევს სიტყვათა ცვალებადობას და შეკავშირებას. ასე იქცევა გეომეტრიაც, რომელიც განიხილავს საერთოდ გეომეტრიულ სხეუ-

<sup>1</sup> ფ. ენგელსი, ბუნების დიალექტიკა, გვ. 420.

ლებს. ყოველი მეცნიერების საგანი არის ზოგადი და არა კონკრეტული, ერთეული მოვლენები. მაგრამ ეს აზრი შემდეგნაირად უნდა გვესმოდეს.

ზოგადი კერძოსაგან დამოუკიდებლად კი არ არსებობს, როგორც ეს ობიექტურ იდეალისტებს (პლატონს და მის მსგავსთ) წარმოუდგენიათ, ასეთ შემთხვევაში, ზოგადი უარყოფილი გამოვიდოდა: განცალკევებული, ერთეულთაგან დამოუკიდებლად არსებული ზოგადი ზოგადი კი არაა, არამედ — სწორედ განცალკევებულ და ერთეული; ზოგადი არსებობს მხოლოდ ერთეულებში, ის ერთეულების ზოგადია. აი, სწორედ ასეთი ზოგადია მეცნიერების საგანი.

ზოგადი კერძოებისა და კონკრეტულის ზოგადია; კერძო კი, თავის მხრივ, ზოგადის კერძოა; ისინი ერთიანობაში არსებობენ. ზოგადის და კერძოს დიალექტიკური ერთიანობა საფუძველია ყოველი მეცნიერების, მათ შორის ლოგიკისა; დედუქციური და ინდუქციური დასკვნები სწორედ ამ ერთიანობის სხვადასხვა მხარეებს ემყარებიან; თვითონ ზოგადის და კერძოს დიალექტიკური ერთიანობა ისეთ ლოგიკურს საჭიროებს, რომელიც დედუქციას და ინდუქციას, მათ ურთიერთკავშირს გაამართლებს, და მისი ბუნება ლოგიკისათვის, ჭერჭერობით, პრობლემას წარმოადგენს.

კანონის ზოგადობა, წესის ზოგადობა თავისებური ბუნებისაა, ის განსხვავებულია იმ ზოგადობისაგან, რომელიც ცნების მოცულობის სახით წარმოიდგინება ფორმალურ ლოგიკაში.

წესის ზოგადობის და ფორმალურ-ლოგიკური გვარის ზოგადობის განსხვავების შესახებ თავისებური თეორია აქვთ ნეოკანტიანელებს, რომელთა აზრი აღნიშნული საკითხის შესახებ მოკლედ შეიძლება ასე წარმოვადგინოთ: ზოგადობა არის წესი; იგი ცნებაა, რომელიც შთაბეჭდილებათა მრავალსახიანობას აერთიანებს. ზოგადი, ცნება, წესი ერთი და იგივეა და აპრიორულია, წმინდა სუბიექტურია. ის არის კანონი, რომელიც ჩვენ შეგვაქვს ბუნებაში; ამით ჩვენ ვქმნით სინამდვილეს. ნამდვილი ზოგადობის მქონე ცნება არ არის ცნება საგნის შესახებ, როგორც ეს არისტოტელეს და მთელ ტრადიციულ ლოგიკას ჰგონია, სადაც ზოგადობა ნიშნების გამოკლებით მიიღება და ამიტომ სიცარიელემდე მივდივართ, საიდანაც უკანდაბრუნების საშუალება არა გვაქვს, რადგან ზოგადიდან არაზოგადი არ გამოიყვანება. ზოგადი უნდა იყოს ის, რომელიც არა მარტო ინახავს ყველა კერძო შემთხვევას, არამედ საიდანაც ყველა ეს შემთხვევა გა-

მოიყვანება.<sup>1</sup> ასეთი ზოგადი არის ცნება მიმართებისა, ფუნქციონალური ცნება. მაგ., რიცხვთა რიგი გარკვეული კანონით აიგება; ყოველი რიცხვი სხვა რიცხვების ფუნქციაა; მიმართება ჰქმნის რიცხვს. ის კანონი, რომელიც ყველა ერთეულს შეიცავს, არის განტოლება. ყველაფერი მათემატიკურ განტოლებებზე დაიყვანება.

ვ. ი. ლენინმა დაასაბუთა, რომ როცა „ჩებიან მხოლოდ განტოლებანი“, მაშინ „მატერია ქრება“, საქმე გვაქვს ნამდვილ იდეალიზმთან.<sup>2</sup> ყველაფრის მათემატიკურზე, რაოდენობრივზე დაყვანა, ცხადია, ისეთ ზოგადს მოგვცემს, რომელიც ყველა ერთეულს გულისხმობს, რადგან იგი ერთეულისაგან არც განსხვავდება. ზოგადი კვადრატი და ერთი კვადრატი ერთი და იგივეა. ყველაფრის მიმართებაზე დაყვანა კი საგნებს სპობს და ცხადია საგნის ბუნების განუმხატველ ზოგადობას ვერ მოგვცემს.

სრულიად სხვაა, როცა ჩვენ იმ კანონის ზოგადობაზე ვლაპარაკობთ, რომელიც მატერიალური სინამდვილის განვითარების, მოძრაობის კანონს წარმოადგენს. ეს კანონი არის მოვლენათა აუცილებელი, შინაგანი, სწორედ მათი ბუნებისაგან გამომდინარე კავშირი. ამიტომაც რომ მოვლენებს სხვადასხვა კანონები აქვს, რომ კანონებს მოძრაობის ფორმები განსაზღვრავენ და ამიტომ არსებობენ სხვადასხვა მეცნიერებანი.

კანონის ზოგადობა, როგორც აღვნიშნეთ, საგნის არსების მომენტთა ერთიანობის ზოგადობაა, საბოლოოდ, დაპირისპირებულთა ერთიანობის ზოგადობაა, მოძრაობის წყაროს, არსების, დაუბოლოებელის ზოგადობაა, რომელიც აგვისნის ერთმხრიობებს, როგორც მოვლენებს (რომელთა გარეშე ის არ არსებობს, რადგან ის მათი ერთიანობაა) და ერთეული მოვლენების სიმრავლეში მეორდება და იძლევა იმას, რასაც ცნების მოცულობის ზოგადობა ითვლისწინებს.

ზ) კ ა ნ ო ნ ი ს გ ა ნ ს ა ზ ლ ე რ ე ბ ა. როგორც აღვნიშნეთ, კანონს ობიექტური ხასიათი აქვს. ობიექტურობის უარყოფა კანონზომიერების და კანონის უარყოფას წარმოადგენს. სწორედ ობიექტური კანონის არსებითი ნიშანია აუცილებლობა. მოვლენები, თავიანთი შინაგანი ბუნებით, ერთიმეორეს აუცილებლობით უკავშირდებიან. ეს კავშირი აუცილებელია, არ არსებობს იზოლირებული საგნები და მოვლენები. თვითონ კანონი, როგორც კავშირი, აუცილებლობის ხასიათისაა. ეს აუცილებლობა არ იარსებებდა, რომ

<sup>1</sup> იხ. ვ. კასირერის „შემეცნება და სინამდვილე“, რუს. თარგმ. გვ. 32.

<sup>2</sup> ვ. ი. ლენინი, მატერიალიზმი და ეპიპრიოკრიტიციზმი, თხზ. ტ. 14. გვ. 391.

მოვლენებს შორის რაღაც შედარებით მყარი და იდენტური არ არსებობდეს. კანონი გარეგანი კავშირი კი არაა, არამედ შინაგანი, არსებითი კავშირია, რომელიც მოვლენათა და არაარსებითთა ამხსნელია და დამკავშირებელი. კანონი თავისი ბუნებით არის ზოგადი; ზოგადობის გარეშე არ არსებობს არავითარი კანონი და კანონზომიერება და შეუძლებელია სხვათაგან მეცნიერება. კანონი რადგან მოვლენათა აუცილებელი კავშირია, ამიტომ ის შინაგან სირთულესაც შეიცავს, რომელშიც არსებობს შინაგანი ზოგადობა. მოვლენების მიერ განსაზღვრული საგნის არსების მომენტების ერთიანობა არის ის, რაც კანონს წარმოადგენს. ამიტომ კანონი შინაგანი მომენტების ერთიანობაა. უკეთ: იგი ამ ერთიანობის, როგორც ზოგადობის, ფორმას წარმოადგენს. კანონი მოვლენათა განმსაზღვრელია, მაგრამ თვითონ განისაზღვრება მოვლენებით, რადგან ის მათი აუცილებელი დადებითი კავშირია. მაგ. კაპიტალისტურ მოვლენებს კაპიტალიზმის ძირითადი კანონი განსაზღვრავს, მაგრამ კაპიტალიზმის მოსპობასთან ერთად ქრება მისი კანონებიც. სოციალიზმი თავისი მოვლენებით თავისებურად უკავშირდებიან ერთიმეორეს და ამიტომ აქ თავისებური კანონები ბატონობენ. საბოლოოდ, კანონი არის უარყოფის შემცველი აუცილებელი კავშირი მოვლენებს შორის.

აქ ჩვენ ჩამოვთვალეთ კანონის ის ნიშნები, რომლებიც ზემოთ დავახასიათეთ და სრულიად საკმარისი არიან კანონის განსაზღვრებისათვის, რომელიც შეიძლება შემდეგნაირად ჩამოყალიბდეს კანონი არის მოძრაობა-განვითარებაში მყოფ მოვლენათა ობიექტური, აუცილებელი, არსებითი კავშირის ზოგადობის ფორმა. უძრითადესი კანონი კი, თანახმად მარქსის მიერ კანონის განსაზღვრებისა, არის დაპირისპირებულ მოვლენათა შინაგანი, აუცილებელი დადებითი კავშირი, ერთიანობა.

თ) კ ა ნ ო ნ თ ა კ ა ვ შ ი რ ი ს შ ე ს ა ხ ე ბ. რთული და მრავალმხრივი მოვლენები განსაზღვრავენ იმას, რომ მათში არა ერთი. არამედ მრავალი სხვადასხვა კანონი ბატონობს. ერთი მთლიანი სინამდვილის ობიექტური კანონზომიერება, როგორც მოძრაობის და განვითარების კანონზომიერება, ცხადია, ზოგადი: ბუნებისაა, რადგან, ამავე დროს, არსებობს ამ ზოგადის სპეციფიკური ფორმებიც. მოძრაობა და განვითარება მრავალი ფორმისაა. დიალექტიკური მატერიალიზმი გვასწავლის, რომ მოძრაობის ფორმები მეცნიერებათა საგანს შეადგენს. არსებობს მოძრაობის სხვადასხვა ფორმები: მექანიკური, ბიოლოგიური, სოციალური და სხვ. და ამიტომ



არსებობენ მათ შესახებ სხვადასხვა მეცნიერებანი. თუ მატერიალისტური დიალექტიკა არის მეცნიერება ბუნების, საზოგადოების და აზროვნების მოძრაობა-განვითარების უზოგადესი კანონების შესახებ (მაგ. დიალექტიკის კანონები და კატეგორიები), სპეციალურ მეცნიერებათა საგანს მოძრაობის სხვადასხვა ფორმები შეადგენს.

ყალბია მოძრაობის ფორმათა სპეციფიკური კანონების უარყოფა,— მათი მოძრაობის უზოგადეს კანონებზე დაყვანა, რადგან, ასეთ შემთხვევაში, სპეციალურ მეცნიერებათა უარყოფას, ფილოსოფიაში მათ გათქვეფას მივიღებდით და ფილოსოფია წარმოგვიდგებოდა მეცნიერებათა-მეცნიერებად. ფილოსოფიის ასეთი გაგება, როგორც ცნობილია, უარყოფილ იქნა მარქსისა და ენგელსის მიერ.

სრულიად ყალბ მდგომარეობაში ჩავარდებოდით მაშინაც, თუ შევეცდებოდით უარგვეყო მოძრაობა-განვითარების უზოგადესი კანონები და მიგველო მხოლოდ სპეციალურ მეცნიერებათა არსებობა. ერთი მხრით, ეს იქნებოდა ფილოსოფიის როგორც მეცნიერების, და მოქმედების მეთოდოლოგიის და მსოფლმხედველობას უარყოფა, რასაც ყოველთვის ცდილობდნენ მარქსიზმ-ლენინიზმის მტრები; მეორე მხრით, ზოგადი კანონების უარყოფის პრინციპი, საბოლოოდ, საერთოდ მეცნიერების უარყოფამდე მიგვიყვანდა, როგორც ამას მრავალჯერ ჰქონდა ადგილი ისტორიაში და დღეს ამ თვალსაზრისს დიდი გასაქანი აქვს იმპერიალისტურ ქვეყნებში, რადგან მეცნიერების უარყოფა და რელიგიით ხალხის დამონება იმპერიალისტებისათვის იარაღია არსებობის შენარჩუნებისათვის.

ზოგადი კანონი და კანონის ზოგადობა, ცხადია, ერთიმეორისაგან უნდა გაეარჩიოთ. ყველა კანონი, როგორც აღინიშნა, ზოგადია; არაზოგადი კანონი კანონს არ წარმოადგენს; მაგრამ როცა კანონებს ერთიმეორესთან დამოკიდებულებაში განიხილავთ (ეს კი აუცილებელია, რადგან ყველაფერი მთლიანობაშია, ასეა კანონებიც), მაშინ ნათელი გახდება, რომ ერთი კანონი მეორის მიმართ ზოგადია, ერთი კანონი მეორეს იქვემდებარებს, როგორც ამხსნელი საფუძველი — შედეგს. ზოგად კანონებს უპირისპირდება სპეციფიკური, ამ აზრით, კერძო კანონები. მაგალითად, ყოველგვარი მოძრაობის უზოგადეს კანონებს, როგორც ცნობილია, დიალექტიკის კანონები წარმოადგენენ. მოძრაობის სხვადასხვა ფორმებში არსებული კანონები კი სპეციფიკური კანონებია. ბუნების კანონები თავისებურია, საზოგადოების კანონები კი სხვაგვარ კანონებს წარმოადგენენ. აზროვნების ლოგიკური კანონები აუცილებლად სპე-

ციფიკური უნდა იყვნენ, წინააღმდეგ შემთხვევაში, მათ შესახებ შეცნირება არ იარსებებდა.

ზოგადი კანონები ყოველგვარი განვითარებისა იმიტომ არიან ზოგადი, რომ განსაზღვრავენ სპეციფიკურ კანონებს. დიალექტიკა ბატონობს ყოველგვარ მოძრაობაში, ამიტომაც რომ ყოველგვარი მოძრაობის უზოგადესი კანონები შეისწავლება იმ მეცნიერებაში, რომელსაც მატერიალისტური დიალექტიკა ჰქვია. მოძრაობის ფორმათა სპეციფიკური კანონები დიალექტიკურია, ექვემდებარებიან უზოგადეს კანონებს. არ არსებობს არადიალექტიკური სფერო სინამდვილისა. ამიტომ ბუნებაშიც დიალექტიკა ბატონობს, ამიტომ არსებობს „ბუნების დიალექტიკა“; საზოგადოების განვითარებაც დიალექტიკურია, რომელსაც ისტორიული მატერიალიზმი შეისწავლის. აზროვნებაშიც დიალექტიკა ბატონობს და ამიტომ მას დიალექტიკური ლოგია სწავლობს.

საზოგადოების კანონები განსხვავებულია ბუნების კანონებისაგან, ამიტომ ორივე სფეროში სპეციფიკური კანონები ბატონობენ. ამ სპეციფიკური კანონებიდან ზოგიერთი ზოგადია, ზოგიერთი არაზოგადი, ამ აზრით და თავის მხრივ, — კიდევ უფრო სპეციფიკური. მაგ., საზოგადოების განვითარების მთელ უსასრულო მანძილზე ბატონობს საზოგადოებისათვის სპეციფიკური, მაგრამ ყველა ფორმაციისათვის ზოგადი კანონები, — როგორცაა: საწარმოო ძალების ხასიათისადმი წარმოებით ურთიერთობათა აუცილებელი შესაბამისობის კანონი და სხვ. მაგრამ ამავე დროს ყოველ ფორმაციას თავისი სპეციფიკური კანონები აქვს, რომლებიც ასეთი არიან ზოგად კანონებთან შედარებით, მაგრამ ზოგადი არიან ფორმაციისათვის. მაგ., კაპიტალიზმის ძირითადი კანონი და სოციალიზმის ძირითადი კანონი ზოგადი კანონებია ამ ფორმაციებში არსებული სხვა კანონების მიმართ. ხოლო სპეციფიკურია საზოგადოების განვითარების ზოგად-სოცოლოგიური კანონების მიმართ. „ზოგადი“ და „სპეციფიკური“ შეფარდებითი ხასიათის არიან. ზოგადი არ ნიშნავს არასპეციფიკურს ყოველმხრივ, ისე როგორც სპეციფიკური არაა არაზოგადი ყოველმხრივ.

კანონები ერთიმეორეს უკავშირდებიან, როგორც ძირითადი და არაძირითადი. რომელიმე საგნის განვითარებას ძირითადი კანონი მხოლოდ ერთი შეიძლება ჰქონდეს.

ერთი ვარკვეული საგნისათვის რამდენიმე ძირითადი კანონის აღიარება თვითონ ძირითადი კანონის ცნებას ეწინააღმდეგება, ე. .ი. უაზრობას წარმოადგენს.

ასე უნდა ითქვას „აზროვნების ძირითადი კანონის“ შესახებაც;

არ უნდა იყოს სწორი იმის აღიარება, რომ აზროვნების ძირითადი ლოგიკური კანონები სამია, ან ოთხი, როგორც ამას ტრადიციულ ლოგიკაში აქვს ადგილი. აზროვნების ძირითადი ლოგიკური კანონიც ერთი უნდა იყოს.

ასლა საკითხავია, თუ როგორ კანონს ეწოდება ძირითადი და როგორს — არაძირითადი? რაიმე საგნის განვითარების ძირითადი კანონი ამ განვითარების არსების განმსაზღვრელი კანონია. ეს არის ის, რაც საგნის განვითარების შინაგან მამოძრავებელს წარმოადგენს. ასეთი კანონი ყოველგვარი მოძრაობა-განვითარებისათვის არას წინააღმდეგობის კანონი, რომელიც ყოველი მოძრაობის ფორმაში თავისებურად გამოვლინდება. არაძირითადი კანონი კი ის კანონი იქნება, რომელიც საგნის განვითარების რომელიმე ცალკეული მხარის განმსაზღვრელია.

ძირითადის და არაძირითადის ცნებები შეუდარლებითი და არა აბსოლუტური ხასიათის ცნებებია. ის, რაც, მაგ., რომელიმე ფორმაციისათვის ძირითად კანონს წარმოადგენს, არაძირითადია საერთოდ საზოგადოების განვითარებისათვის. ამ უკანასკნელს თავისი ძირითადი კანონი გააჩნია და სხვ.

ძირითადი და არაძირითადი კანონების განსაზღვრებიდან უშუალოდ გამომდინარეობს, რომ მათ შორის დამოკიდებულება ისეთია, როგორიცაა ზოგადის და ცალკეულის კავშირდამოკიდებულება (ცალკეულს მხოლოდ ზოგადი უპირისპირდება). ამიტომ, გარკვეული აზრით, ძირითადი კანონი რომელიმე საგნის განვითარებისათვის ზოგად კანონსაც წარმოადგენს. ძირითადი კანონი არაძირითადის დამჭევმღებარებელი საფუძველია. მაგ. თანამედროვე კაპიტალიზმის ძირითადი კანონი კაპიტალიზტური წარმოების საფუძველზე, მაქსიმალური მოგების უზრუნველყოფის კანონია, რომელსაც ექვემდებარებიან ისეთი კანონებო, როგორიცაა: კონკურენციის, ანარქიის, არათანაბარი განვითარების, ღირებულების და სხვ. კანონები. სოციალიზმის ძირითადი კანონი კი სოციალისტური წარმოების საფუძველზე მთელი საზოგადოების მოთხოვნილებათა დაკმაყოფილების კანონია, რომელსაც ექვემდებარება არაძირითადი კანონები, მაგ., გეგმაზომიერი (პროპორციული) განვითარების კანონი და სხვ.

არა მარტო ზოგადი და სპეციფიკური კანონები არიან ერთმეორესთან ისეთ დამოკიდებულებაში, როგორი დამოკიდებულებაცაა ზოგადსა და კერძოს შორის, არამედ ძირითადი და არაძირი-

თაღ კანონებიც ასეთავე კავშირში იმყოფებიან, თუმცა, ამ უკანასკნელ შემთხვევაში, ზოგადობა თავისებურის მქონეა.

ძირითადი კანონი, რამდენადაც იგი საგნის განვითარების ყველა მხარეს, ე. ი. საგნის არსებას განსაზღვრავს, არის ზოგადი ამ მხარეთა განმსაზღვრელი არაძირითადი კანონების მიმართ, მაგრამ — „ყველას“ არაფორმალურ-ლოგიკური გაგებით, არამედ შინაარსეული და შინაგანი ზოგადობის გაგებით, რაც ზემოთ იქნა ზოგადად დახასიათებული, აქ კი კონკრეტულად არის წარმოდგენილი. ჩვეულებრივი, ცნების მოცულობის მიხედვით გაგებული, ზოგადი საერთოა იმ სიმრავლისათვის, რომლის ერთეულებშიც იგი ერთნაირად მეორდება; ძირითადი კანონის ზოგადობა კი ერთიანი იგივეს სხვადასხვა მხარეების ერთიანობას წარმოადგენს, ე. ი. მას, რაც განმსაზღვრელი საფუძველია ცალკეულ მხარეებში მომქმედი კანონებისათვის — არაძირითადი კანონებისათვის.

ძირითადი და არაძირითადი კანონის კავშირ-დამოკიდებულების ხასიათის ნათელსაყოფად მაგალითისათვის ავიღოთ სოციალიზმის ძირითადი კანონის და გეგმაზომიერი განვითარების კანონის კავშირი.

სახალხო მეურნეობის გეგმაზომიერი, პროპორციული განვითარების კანონი, მართალია, სოციალიზმისათვის სპეციფიკურია, მაგრამ იგი არ არის ძირითადი კანონი, რადგან ეს კანონი თავისთავად ვერაფერს მოგვცემდა, თუ უცნობი ან არა ნათელი იქნებოდა ის ამოცანა, რისთვისაც ხდება სახალხო მეურნეობის გეგმიანი განვითარება. სწორედ ამ ამოცანას მიუთითებს სოციალიზმის ძირითადი ეკონომიური კანონი. მაშასადამე, გეგმაზომიერი განვითარების კანონის საფუძველს სოციალიზმის ძირითადი ეკონომიური კანონი წარმოადგენს.

მაშასადამე, ძირითადი კანონი არაძირითადი კანონის დასაყრდენი საფუძველია. ასეთია კავშირი ძირითად და არაძირითად კანონებს შორის.

ყველაფერი, რაც ზემოთ ითქვა, მოხმარებულ უნდა იქნას ლოგიკური კანონების ბუნების გასაგებად. ლოგიკის სპეციფიკური კანონები, თანახმად ზემოთ თქმულისა, უნდა ექვემდებარებოდნენ ისეთ ზოგად კანონებს, როგორცაა დიალექტიკის ცნობილი კანონები, და თვითონაც, ცხადია, დიალექტიკური ბუნების უნდა იყვნენ. ლოგიკის სპეციფიკური კანონები კერძო კანონებია, ისინი სწორედ დიალექტიკის ზოგადი კანონების კერძოს წარმოადგენენ. მეორე მხრით, თვითონ ლოგიკის კანონებში უნდა იქნას აღმოჩენი-

ლი ერთი ძირითადი კანონი, რომელსაც სხვა კანონები დაექვემდებარებიან. თვითონ ეს დაქვემდებარება გაგებულ უნდა იქნას, როგორც საფუძველ-შედგენის გარკვეული დამოკიდებულება. ამის მიხედვით საჭიროა გაირჩეს ის დაქვემდებარება, რომელიც არსებობს ცნების მოცულობის ზოგადობასა და მის კერძობას შორის, „ყველას“ და „ზოგიერთს“ შორის, რასაც ემყარება არა მარტო დედუქციური დასკვნები, არამედ (თავისებურად), ინდუქციური დასკვნებიც; და ამ დაქვემდებარების ნაკლთან ერთად საჭიროა გარკვევა შინაარსეული დაქვემდებარებისა, რომელიც ძირითადის და არაძირითადის ზემოთ გარჩეული კავშირის ბუნებისა იქნება<sup>1</sup>.

2. წინააღმდეგობის ბუნების ზოგიერთი საკითხი. როგორც აღინიშნა, ძირითადი კანონი ყოველგვარი მოძრაობისა წინააღმდეგობის კანონია. არისტოტელეს ლოგიკის ძირითადი კანონი კი წინააღმდეგობის შეუძლებლობის კანონს წარმოადგენს. ამიტომ აზროვნების ძირითადი კანონის ბუნების გასაგებად უნდა გაირკვეს ზოგიერთი ისეთი საკითხი, რომელიც წინააღმდეგობის ბუნებას ეხება.

განსაზღვრულობის იგივეობრივი და სპირიტუალური-საწინააღმდეგო მომენტების დახასიათება არ უნდა გავაიგივოთ თვითონ იგივეობისა და დაპირისპირება-წინააღმდეგობის დახასიათებასთან. ერთია იგივეობისა და წინააღმდეგობის საშუალებით განსაზღვრების ბუნების გაგება, მაგრამ სხვაა განსაზღვრების ბუნებაზე დაყრდნობით თვითონ იგივეობისა და წინააღმდეგობის გაგება. ეს, ცხადია, არ ნიშნავს იმას, რომ ისინი ერთიმეორესთან მჭიდროდ არ იყვნენ დაკავშირებული; პირიქით, იგივეობის და წინააღმდეგობის ბუნების გაგებას განსაზღვრულობის ბუნება, როგორც მისი შინაარსი, უდევს საფუძვლად. უარყოფის და წინააღმდეგობის ხასიათი განსაზღვრების დაბოლოებულის და დაუბოლოებელის მომენტების ბუნებით განისაზღვრება. ლოგიკურის ბუნების გაგება მოითხოვს წინააღმდეგობისა და უარყოფის ცნებათა ზუსტად წარმოდგენას, ამიტომ — მათ სპეციალურ და გამოყოფილად დახასიათებას.

ა) უ ა რ ყ ფ ის ც ნ ე ბ ის ა თ ვ ი ს.

საგანთა თუ აზრთა შორის ყოველგვარი განსხვავება ორ მომენტს გულისხმობს: ერთია უარყოფის მომენტი, მეორე, კი — იგივეობრივის მომენტი. განსხვავება უარყოფის გარეშე შეუძლებელია. თუ ერთი საგანი მეორისაგან განსხვავდება, ეს იმას ნიშნავს,

<sup>1</sup> იხ. ზემოთ შინაარსეული დაქვემდებარების შესახებ.

რომ ერთი არის ის, რაც არ არის მეორე. განსხვავება უარყოფას აუცილებლობით შეიცავს. მაკალითად, წითელი და შავი ერთიმეორისაგან ფერით განსხვავდებიან. მართალია, შავი არ უარყოფს წითელს და პირიქით. მაგრამ თვითონ მათ შორის განსხვავება უარყოფის მომენტს შეიცავს. საგანთა შორის განსხვავების სრული გამოთქმა ლოგიკურად იმას მოითხოვს, რომ აზრმა უარყოფის კატეგორია მოიხმაროს; აზრში უარყოფის მომენტი აუცილებელია საგანთა განსხვავების სისრულით გამოსახატავად.

მაგრამ როცა რაიმეს უარყოფაზე ვლაპარაკობთ, მაშინ ეს რაიმე იგივეობრივად გვესმის. ერთმანეთისაგან განსხვავებულად იგივეობრივად უნდა გვესმოდეს. წითელი მაგიდა განსხვავდება შავი მაგიდისაგან, წითელი მაგიდა არ არის შავი მაგიდა. წითელი მაგიდა სწორედ წითელი მაგიდაა და შავი მაგიდაც სწორედ შავი მაგიდაა და არა სხვა რამ. ისინი იგივეობრივი მნიშვნელობით უნდა გვესმოდეს, რომ ერთი მეორისაგან განკვასხავთ: ანდა როცა ერთი საგანი მეორეს უარყოფს, მაშინ ეს საგნები იგივეობრივია თავისთავად და იგივეობრივადაც უნდა გვესმოდეს. სოციალიზმი კაპიტალიზმს უარყოფს; ამ უარყოფას სოციალიზმიც თავის თავთან იგივეობრივად აქვს წარმოდგენილი და კაპიტალიზმიც. სოციალიზმი სწორედ კაპიტალიზმს უარყოფს და კაპიტალიზმი სწორედ სოციალიზმისაგან უარყოფს. ასევე ერთი მეორეს უპირისპირდება სიცოცხლე და სიკვდილი, თავისუფლება და აუცილებლობა, მიზეზი და შედეგი და სხვა და სხვა...

იგივეობრივი მომენტის გარეშე არაფერი არ არსებობს. ამ მომენტის გარეშე არაფრის მოაზრებაც არ შეიძლება. კაპიტალიზმი ვერ იარსებებს, თუ მართლაც ის კაპიტალიზმი არ არის. მაგიდა როგორც ასეთი. მაშინ იარსებებს, თუ ის მართლაც მაგიდაა და სხვა არაფერი. კეშმარიტება სწორედ კეშმარიტებაა და არა შეცდომა. შეცდომაც იგივეობრივია თავისთავთან. ყოველი გარკვეული არსებობა იგივეობრივი მომენტის გარეშე შეუძლებელია გარკვეული არსებობა იყოს. გაურკვეველობაც თავისთავად იკვირა, წინააღმდეგ შემთხვევაში, ის გარკვეულობა იქნებოდა. მოძრაობაც სწორედ მოძრაობაა და სხვა არაფერი. ასეთია უძრაობაც.

მაშასადამე, შეუძლებელია იგივეობრივის უარყოფა. რასაც უარყოფთ. ის იგივეობრივად უნდა გვესმოდეს, წინააღმდეგ შემთხვევაში. უარყოფაც შეუძლებელი იქნება.

მაგრამ ყველათერი ეს არ ნიშნავს წმინდა, აბსოლუტური იგივეობის აღიარებას. წმინდა იგივეობა, მხოლოდ იგივეობა ისევე შეუძლებელია, როგორც იგივეობის სრული უარყოფა. როდესაც იგივე-

ობაზე და იგივეობრივზე ლაპარაკობენ, მაშინ განსხვავება და განსხვავებული აქვთ ნაგულისხმევი, წინააღმდეგ შემთხვევაში იგივეობის შესახებ აზრიც არ გვექნებოდა. იგივეობის შესახებ აზრი განსხვავებას აუცილებლობით გულისხმობს. აზრი არა აქვს, მაგალითად, ისეთ მსჯელობებს, ხადაც სუბიექტი და პრედიკატი ერთი მეორისაგან არ განსხვავდებიან. მსჯელობები: ადამიანი არის ადამიანი, ცოცხალი არის ცოცხალი, წარმოება არის წარმოება, საქონელი არის საქონელი და სხვა ტავტოლოგიურ მსჯელობებს, ე. ი. უაზრობებს წარმოადგენენ.

მაგრამ როცა რაიმე საგნის იგივეობრივი მომენტის გამოთქმა გვინდა, მაშინ ხშირად ვხმარობთ ისეთ მსჯელობებს, რომელთა სუბიექტი და პრედიკატი ერთი და იგივე სიტყვებითაა გამოთქმული, მაგ., მსჯელობა: „ადამიანი ადამიანია“ აზრის მქონეა, თუ აქ გამოთქმულია აზრი. რომ ადამიანი მართლაც ადამიანია და არა სხვა რ.მ: აქ სხვასთან დაპირისპირება. სხვისაგან განსხვავებაცაა ნაგულისხმევი და ისიც, რომ ამ მსჯელობის პრედიკატი ჰემანურობას ან სხვა რაიმის გამოსატყვამს სუბიექტის მიმართ. ე. ი. სუბიექტი და პრედიკატი შეიძლება ერთი და იგივე სიტყვებით იყოს გამოთქმული, მაგრამ სხვადასხვა აზრს შეიცავდეს. ამ აზრით ვამბობთ, მაგალითად. რომ „ომი ომია“, ან: „კლასი კლასია“ და სხვ.

მაშასადამე, იგივეობის შესახებ აზრი თავისებური ენთიმემური აზრია, ე. ი. ისეთი აზრი, რომელიც განსხვავებას აუცილებლობით გულისხმობს. კაპიტალიზმი კაპიტალიზმია, მაგრამ სწორედ იმიტომ, რომ იგი თავის მესაფლავეს თავის თავში შეიცავს; მოძრაობა მოძრაობაა. მაგრამ სწორედ იმუნად. რამდენად შედარებითი უძრაობის მომენტს და მოძრაობის გარკვეულ კანონს თავისთავში შეიცავს: სიცოცხლე სიცოცხლეა, მაგრამ იგი შედარებითი სიკვდილის მომენტსაც შეიცავს. რამდენადაც სიცოცხლის პროცესი ასიმბალანსის მიმდინარეობის პროცესია.

არა მხოლოდ ყოველი იგივეობრივი საგანი შეიცავს და გულისხმობს განსხვავებას აუცილებლობით, არამედ თვითონ ცნება იგივეობისა შეუძლებელია განსხვავების ცნების გარეშე. იგივეობა განსხვავებას უპირისპირდება, მაგრამ იგივეობაზე აზრი მხოლოდ განსხვავების შესახებ აზრით არის შესაძლებელი. მხოლოდ ისეთი იგივეობაა ჰემანური იგივეობა, რომელიც განსხვავებას შეიცავს. „ჰემანური, კონკრეტული იგივეობა თავის თავში შეიცავს განსხვავებას, ცვლილებას“. ... ბუნების მკვლევართა უმრავლესობას წარმოუდგენია, რომ იგივეობა და განსხვავება შეურიგებელ დაპირ-

რისპირებებს წარმოადგენენ და არა ცალმხრივ პოლუსებს, რომლებსაც მხოლოდ მათს ურთიერთზემოქმედებაში, იგივეობაში განსხვავების ჩართვით გააჩნიათ ქეშმარიტება“<sup>1</sup>.

იგივეობის აღიარება აუცილებელია როგორც სინამდვილის, ისე აზრის ყოველ განსაზღვრულობისათვის, მაგრამ ეს იგივეობა არ შეიძლება იყოს წმინდა, აბსოლუტური იგივეობა, მხოლოდ იგივეობა. იგივეობა, აღებული განსხვავების გარეშე, აბსტრაქტული იგივეობაა. მაგრამ აბსტრაქტული იგივეობის დროსაც, განსხვავება გაურკვეველად, მაგრამ მაინც არის ნაგულისხმევი. იგივეობა, რომელიც განსხვავებისაგან არის აბსტრაპირებული, მაინც გულისხმობს ამ, მისგან განსხვავებულს. ყოველი აბსტრაქტულად აღებული იმით არის გაშუალებული და განსაზღვრული, რისგანაც ის არის აბსტრაქციაქმნილი. მოხმარებიდან აბსტრაქციაქმნილი წარმოება მაინც გულისხმობს მოხმარებას, რადგან წარმოებიდან მოხმარების აბსოლუტური გამორიცხვა წარმოებასაც უკარგავს აზრს; წარმოება არაფერია იარაღის და ნედლი მასალის მოხმარების გარეშე. პროლეტარიატის აბსტრაქცია, მისი ცალკე აღება მაინც გულისხმობს მის საპირისპიროს — ბურჟუაზიას; წინააღმდეგ შემთხვევაში, აღარც პროლეტარიატი გვექნება. პროლეტარიატი, რომელიც ბურჟუაზიისაგან არის აბსოლუტურად მოწყვეტილი, პროლეტარიატს არ წარმოადგენს. პროლეტარიატის მიერ სხვა კლასების მოსპობა მასაც, როგორც კლასს, სპობს. არც წმინდად აღებული ბურჟუაზია არის ბურჟუაზია. პროლეტარიატი და ბურჟუაზია ერთი მეორეს შეუთრეგებლად გამორიცხავენ, მაგრამ ერთიმეორის გარეშეც არ არსებობენ.

მაშასადამე, იგივეობის უარყოფა ისეთივე შეცდომაა, როგორც მხოლოდ იგივეობის აღიარება. ამიტომ არც მხოლოდ იგივეობის<sup>1</sup> პრინციპია აბსოლუტური მნიშვნელობის და — არც მხოლოდ განსხვავების პრინციპი. იგივეობის და განსხვავების აუცილებელი ერთიანობა მოითხოვს ისეთ პრინციპს, რომელსაც იგივეობის და განსხვავების ცნობილი პრინციპები დაექვემდებარებიან.

იგივეობა და განსხვავება აუცილებელ ერთიანობაში არიან. იგივეობა და განსხვავება ამ ერთიანობის მხოლოდ ერთმხრიობებს წარმოადგენენ. თვითონ იგივეობის და განსხვავების ერთიანობა, მართალია, თავისთან იგივეა, მაგრამ ისეთია, რომელიც თავისში განსხვავებას შეიცავს და არ არის ერთი მხარე ერთიანობისა, — ისე როგორც დაპირისპირებულთა ერთიანობა არ არის ერთი მხარე ამ ერთიანობისა, წინააღმდეგ შემთხვევაში, მისთვის მეორე საპირისპირო

<sup>1</sup> ფ. ენგელსი, ბუნების დიალექტიკა, გვ. 220.



მხარეც გახდებოდა აუცილებელი ახალი ერთიანობისათვის, და მივიღებთ ლოგიკურ შეცდომას, სახელდობრ, რეგრესს უსასრულობაში.

როცა, მაგ., ვამბობთ, რომ „აბსტრაქტული იგივეობა საკმარისია მხოლოდ შინ სახმარებლად“, მაშინ, ვფიქრობთ, იგივეობის ასეთ მოხმარებას აზრი აქვს იმიტომ, რომ განსხვავება გვაქვს ნაგულისხმევი (თუმცა გაურკვეველად); — „საზღვრები, რომელთა ფარგლებშიც ის გამოდგება, თითქმის ყოველი შემთხვევისათვის განსხვავებული არიან და საგნის ბუნებით არიან განპირობებული“<sup>1</sup>. აბსტრაქტულ იგივეობას აზრი აქვს მხოლოდ იმდენად, რამდენადაც ის განსხვავებას გამოუთქმელად გულისხმობს. ასეთი იგივეობა, როგორც ითქვა, ერთმხრიობაა და, ცხადია, ერთმხრიობის გათვალისწინების შემთხვევაში, სწორედ მასზე უნდა ვილაპარაკოთ; მაგრამ ისე, რომ მისი ერთმხრიობა არ დავივიწყოთ და ერთმხრივი მთელად არ წარმოვიდგინოთ.

როგორც ცნობილია, მათემატიკა საგანთა რაოდენობრივ მხარეს შეისწავლის; რაოდენობა კი საგანთა არაძირეულ განსაზღვრულობას წარმოადგენს. ამიტომ შეიძლება რიცხვთა აბსტრაქტული აღება; — შეიძლება ვილაპარაკოთ 5-ზე, 6-ზე და ა. შ. და გარკვეული საგნები მხედველობაში არ მივიღოთ და მხოლოდ ვიგულისხმოთ.  $5 \times 5 = 25$ , სულერთია, თუ რა საგნებია აქ ნაგულისხმევი. ამიტომ „აბსტრაქტული იგივეობა და მისი დაპირისპირება განსხვავების მიმართ შესაძლოა მხოლოდ მათემატიკაში — აბსტრაქტულ მეცნიერებაში, რომელსაც საქმე აქვს აზრობრივ საგნებთან, თუმცაღა მაინც რეალობის ანასახებთან, და აქაც კი მაინც განუწყვეტლივ იხსნება იგი“<sup>2</sup>.

ეს მოხსნა ნათლად ჩანს უმაღლეს მათემატიკაში, რასაც ცვლად სიდიდეებთან აქვს საქმე, ცვლადი კი, ცხადია, აბსტრაქტულ იგივეობად არ შეიძლება წარმოდგენილ იქნას. თვითონ ზღვარი ცვლადისა მხოლოდ ამ ცვლადის დახასიათება შეიძლება იყოს და არა ცვლადის იქით არსებული რაღაც ფიქსირებული (იხ. წინა თავი). თვითონ რომელიმე რიცხვი, როგორც ამას ფ. ენგელსი აღნიშნავს, არ არის წმინდა რიცხვი, იგი თვისობრიობასაც წარმოადგენს<sup>3</sup>.

თვითონ აბსტრაქტულს, როგორც ასეთს, ცხადია, თავისი საკუთარი შინაარსი გააჩნია, სახელდობრ, ის, რომ იგი ერთმხრივია; ამიტომ მას კონკრეტული იგივეობით აქვს აზრი. აბსტრაქტული

<sup>1</sup> ფ. ენგელსი, ბუნების დიალექტიკა, გვ. 220.

<sup>2</sup> იქვე, გვ. 219.

<sup>3</sup> იქვე, გვ. 266 — 267.

მხოლოდ კონკრეტულის საფუძველზეა შესაძლებელი. აბსტრაქტულს მხოლოდ კონკრეტულის საფუძველზე აქვს გარკვეული აზრი და გამართლება.

ამბობენ, რომ იგივეობის გარეშე არ არსებობს გარკვეულობა არც სინამდვილეში და არც აზროვნებაში; იგივეობა წარმოადგენს გარკვეულობას, არაიგივეობრიობა კი გაურკვეველობაა. ეს აზრი უხათუოდ სწორია, მაგრამ მხოლოდ ნაწილობრივ და არა აბსოლუტურად. მართლაც, რომ საგანი ან აზრი თავის თავის მიმართ იგივეობრივ მომენტს არ შეიცავდეს, მაშინ იქ გარკვეულობას არ ექნებოდა ადგილი. ადამიანი მართლაც ადამიანია, პროლეტარები მართლაც პროლეტარებია, კაპიტალისტური წარმოების წესი სწორედ ეს წესია, სოციალიზმის ძირითადი კანონი იგივეობრივი და სრულიად გარკვეული რამ არის და სხვა. იგივეობა გარკვეულობაა და სრულიად არ უდრის იმ არაფერს, რომელსაც ტაქტოლოგია წარმოადგენს, როგორც ეს ჰეგელს ეგონა. ჰეგელთან იგივეობის ბუნება გაყალბებულია არაფრის გამომთქმელი წინადადების არსებულთან გაიგივებით. იგივეობის არაფრად მიჩნევა შეცდომაა, რადგან იგივეობა გარკვეულობას ჰქმნის, იგივეობა გარკვეულობისათვის აუცილებელი რამ არის.

მაგრამ, მეორე მხრით, როგორც აღინიშნა, მხოლოდ იგივეობა ერთმხრიობას წარმოადგენს და დამოუკიდებლობა არ გააჩნია. დამოუკიდებლად აღებული იგივეობა არ არსებობს. ერთმხრიობის არა ერთმხრივად მიჩნევა ცალმხრიობის შეცდომად უნდა ჩაითვალოს. ერთმხრიობა, სახელდობრ, მხოლოდ იგივეობა თუ დამოუკიდებლად იქნა აღებული, სრულიად არ არის გარკვეულობა, იგი ნამდვილ გაურკვეველობას წარმოადგენს. მაგ., პროლეტარიატი, როგორც ასეთი, თუ ცალკე იქნა აღებული, როგორც ითქვა, არ არის პროლეტარიატი; იგი არაფერია მისი საპირისპიროს, მისი უარყოფელის გარეშე. აქ იგივეობა ახასიათებს გარკვეულობას მხოლოდ იმდენად, რამდენადაც იგი უარყოფით განისაზღვრება. რაიმე გარკვეულია, როგორც განსაზღვრულობა. ამ უკანასკნელს კი უარყოფის მომენტი ჰქმნის. *Omnis determinatio est negatio*. გარკვეულობა მოძრაობის და განვითარების რომელიმე მომენტის ფიქსირებულად აღება კი არაა, არამედ თვითონ მოძრაობა და განვითარება წარმოადგენს ნამდვილ გარკვეულობას.

მართლაც, ფილოსოფიის ისტორიაში არსებობს მრავალი მაგალითი მოძრაობა-განვითარების უარყოფისა იმის საფუძველზე, თითქოს აქ იგივეობასთან არა გვაქვს საქმე და ამიტომ აზრისათვის გაურკვეველობას წარმოადგენს (პარმენიდე, ძენონი, პლატონი და

სხვა). აქედან ასკვნიდნენ, რომ მხოლოდ იგივეობრივი, უცვლელი და უძრავი არის ნამდვილად არსებული და აზრის ნამდვილი ობიექტი.

მაგრამ უძრავობას, გაჩერებულობას შედარებითი აზრი აქვს და არა აბსოლუტური. მოძრაობა შეუძლებელია შედარებითი უძრავობის გარეშე და, პირიქით, მოძრაობის გარეშე არ არსებობს უძრავობის მომენტი. მოძრაობა არის ნამდვილი გარკვეულობა, როგორც მისი საპირისპირო მომენტისაა, ერთიანობა. თითოეულს ამ ორი მომენტისაგან, როგორც ერთმხრივს, მხოლოდ მათ ერთიანობაში აქვთ აზრი; ამ ერთიანობის გარეშე ისინი გაურკვეველობას წარმოადგენენ და არც არსებობენ. მოძრაობის და განვითარების გარკვეულობა ყველაზედ უფრო ნათლად იმ კანონში ჩანს, რომლის მიხედვითაც ისინი ხორციელდებიან. მოძრაობის და განვითარების კანონი სწორედ მოძრაობის და განვითარების გარკვეულობაა და სხვა არაფერი.

გარკვეულობა მთლიანობაშია. გაურკვეველობა კი ერთმხრივობის ცალკე აღებაში. ე. — ცალმხრივობაში მფლობარეობს. მხოლოდ ზოგადს რომ ავიღებთ ცალკე, ერთეულისაგან დამოუკიდებლად, მაშინ ვღებულობთ გაურკვეველობას, რადგან მხოლოდ ზოგადის აღიარება, მისი ერთეულისაგან დამოუკიდებლად, ცალკე აღება არის სწორედ ზოგადის უარყოფა და ცალკეულის აღიარება, ისე როგორც ცალკეულს აზრი აქვს მხოლოდ ზოგადთან კავშირში; ცალკეული ზოგადის ცალკეულია და სხვას არაფერს არ წარმოადგენს; ამიტომ ნამდვილი გარკვეულობა მათ, როგორც დაპირისპირებულთა ერთობლიობაშია, მხოლოდ თავისუფლება, აღებული აუცილებლობის გარეშე, არ არის თავისუფლება. აუცილებლობა აღებული შემთხვევითობის გარეშე, იგივე შემთხვევითობას წარმოადგენს<sup>1</sup>, სახელდობრ, იმ შემთხვევითობას, რომელიც აუცილებლობის არსებობის ფორმაა და მის გარეშე არ არსებობს: მიზეზი მხოლოდ შედეგის მიზეზია და პირიქით; ისინი ერთიმეორის გარეშე არ არსებობენ. ..იგივეობა და განსხვავება — აუცილებლობა და შემთხვევითობა — მიზეზი და მოქმედება — აი მთავარი დაპირისპირებანი, რომლებიც, თუ მათ ცალ-ცალკე განვიხილავთ, ერთიმეორეში გადადიან“<sup>2</sup>.

ამბობენ, რომ იგივეობის კანონი აზროვნების გარკვეულობის კანონია. მართლაც, იგივეობის გარეშე სწორი აზროვნება შეუძლებელია, მაგრამ სწორი აზროვნების გარკვეულობას მხოლოდ იგივეობა კი არა ჰქმნის, არამედ იგივეობის და განსხვავების ერთიანობა.

<sup>1</sup> ფ. ენგელსი, ბუნების დიალექტიკა, გვ. 224.

<sup>2</sup> იქვე, გვ. 221.

აზროვნების გარკვეულობა თვითონ არის იგივეობა-განსხვავების ერთიანობა; მაგ., ყოველი მსჯელობა განსხვავებულია, არსებითად კი — დაპირისპირებულთა ერთიანობაა. „ის ფაქტი, რომ იგივეობა შეიცავს განსხვავებას, გამოხატულია ყოველ წინადადებაში, სადაც შემასმენელი ქვემდებარისაგან აუცილებლად განსხვავებულია. მთის შროშანა არის მცენარე, ვარდი არის წითელი, სადაც ან ქვემდებარე, ან შემასმენელი არის ისეთი რამ, რაც შემასმენელის ან ქვემდებარის მიერ ვერ იფარება“. „თავისთავად გასაგებია, რომ თავისთავთან იგივეობას თავიდანვე უკვე აუცილებლად აქვს შესავსებად განსხვავება ყველა სხვა დანარჩენისაგან<sup>1</sup>. ვ. ი. ლენინი სრულიად გარკვეულად ასაბუთებს, რომ ისეთი მარტივი მსჯელობები, როგორცაა: ხის ფოთლები მწვანეა, ივანე ადამიანია, ცუგა არის ძაღლი და სხვა. დაპირისპირებულთა, სახელდობრ, ერთეულის და ზოგადის, ერთიანობას წარმოადგენენ<sup>2</sup>.

მართალია, ყოველი მსჯელობა, როგორც განსხვავებულთა და დაპირისპირებულთა ერთიანობა, თავისთან იგივეა, მაგრამ ეს იგივეობა სწორედ ისეთია, რომ განსხვავებას და დაპირისპირებას თავის თავში შეიცავს, ე. ი. ყოველი მსჯელობა შინაგან უარყოფას შეიცავს თავის თავში, წინააღმდეგ შემთხვევაში, მსჯელობა, ტავტოლოგიურობის გამო, აზრს დაკარგავდა. ყოველი მსჯელობა დიალექტიკურად გაგებულ იგივეობას წარმოადგენს.

ასე ითქმის დასკვნის შესახებაც. თუ დასკვნა მსჯელობიდან ან მსჯელობებიდან ახალი მსჯელობის აუცილებელი გამოყვანაა (როგორც ამას დასკვნის ზოგად განსაზღვრებაში გამოთქვამენ), მაშინ დასკვნა, როგორც ლოგიკური კავშირი, განსხვავებულთა აუცილებელი ერთიანობაა, რომელიც უარყოფის მომენტს თავის თავში შეიცავს. სწორედ უარყოფა ანგრევს ტავტოლოგიურობას და ამით აზრს აძლევს იმ ერთიანობას, რომელსაც მსჯელობა თუ დასკვნა წარმოადგენს. შინაგანი უარყოფის მომენტის გარეშე არ არსებობს არც მსჯელობა და არც დასკვნა.

მართალია დასკვნის ყოველი ტერმინი იგივე უნდა იყოს თავის თავთან, მაგრამ ამ ტერმინთა კავშირი არის განსხვავებულთა კავშირი, რომელიც შინაგან უარყოფას აუცილებლობით შეიცავს თავის თავში. ეს შინაგანი უარყოფა გარეგან უარყოფას გამოორიცხავს. დასკვნა (თუ მსჯელობა) თავის თავთან იგივეა, მაგრამ იგი განსხვავებას და შინაგან უარყოფას თავის თავში შეიცავს.

<sup>1</sup> ფ. ენგელსი. ბუნების დიალექტიკა, გვ. 219.

<sup>2</sup> В. И. Ленин, Философские тетради, стр. 329.

ფორმალური ლოგიკა არ არჩევს და არ ითვალისწინებს ამ ორგვარ უარყოფას. მისთვის უარყოფა მხოლოდ გარეგანია და ამიტომ დადებითი მსჯელობა და ასეთი მსჯელობისაგან შემდგარი დასკვნა უარყოფის მომენტს არ შეიცავენ; უარყოფითი მსჯელობა კი მხოლოდ გარეგანი უარყოფის აზრისაა. ფორმალური ლოგიკისათვის მსჯელობა: „ვარდი არის მცენარე“ იმას გამოსთქვამს, რომ მცენარე ვარდის ნიშანია, მაგრამ ის რომ ამ მსჯელობის სუბიექტსა და პრედკატს შორის განსხვავება, მაშ., უარყოფის მომენტი არსებობს, მხედველობის გარეშეა დატოვებული, ამით კი მსჯელობის ბუნება ზერელედაა წარმოდგენილი: გათვალისწინებულია მხოლოდ ერთი მხარე, მეორე კი — უგულებელყოფილია, ისე რომ ამ ორი მხარის — დადებითის და უარყოფითის — შეერთება შეუძლებლად არის მიჩნეული, და საერთოდ შინაგანი უარყოფა შეცდომის მომასწავებლად არის წარმოდგენილი.

ფორმალურ ლოგიკაში კატეგორიული სილოგიზში შუალობითი დასკვნის სანიმუშო სახეობად ითვლება, მაშინ როცა მისი ის მოდუსი, რომელიც ამ დასკვნის სხვა მოდუსებსაც აზრს აძლევს, უარყოფის მომენტს სრულიადაც არ შეიცავს; შუალობითი ლოგიკური კავშირი Barbara-ში უარყოფის მომენტის გარეშეა წარმოდგენილი; „ადამიანი მოკვდავია, ივანე ადამიანია, მაშ, ივანე მოკვდავია“ — არ შეიცავს უარყოფას, სახელდობრ, შინაგანი უარყოფის მომენტს. დანასკვის „ივანე“ ის „ადამიანია“, რომელიც „მოკვდავია“, უკეთ: მოკვდაობა გამოითქმის სწორედ იმ ადამიანზე, რომელიც ივანეა; ადამიანის ივანესაგან განსხვავება კი აქ არ არის მოცემული და არც საჭიროდ მიჩნეული. მოკვდაობაშიც სწორედ ის არის აღებული, რაც ივანეს ეკუთვნის. მაშ., აქ არსებითად, წმინდა იგივეობასთან გვაქვს საქმე. ასეთად გაგებულნი დასკვნა შეუძლებელი და უაზროა: მაგრამ თუ ასეთ უაზრობას სილოგისტური დასკვნა მაინც არ წარმოადგენს, ეს იმიტომ, რომ მასში ტერმინთა იგივეობას აუცილებლობით აქვს ნაგულისხმევი, რომ ისინი ერთიმეორისაგან განსხვავდებიან. დასკვნას ამ განსხვავებულობის გულისხმობა აძლევს აზრს, თუმცა იგი აღნიშნულ დასკვნაში არ არის ლოგიკურად მოცემული, და ასეთი რაიმე ძველ ლოგიკას შეცდომადაც კი მიაჩნია. ნამდვილი ლოგიკური კავშირი კი მაშინა გვაქვს, როცა აღნიშნულ გულისხმობას (თავისებურ ენთიმემურობას) ადგილი არა აქვს და აზრი ლოგიკურად სისრულით არის წარმოდგენილი. ეს გარემოება შესრულდება მაშინ, თუ ლოგიკური კავშირი შინაგანი უარყოფის მომენტის შემცველად იქნება წარმოდგენილი და დასაბუთებული. უარყოფა არის

კავშირის მომენტი<sup>1</sup>. ასეთია დიალექტიკურ-ლოგიკური, რომლის ერთ მხარესაც ფორმალურ-ლოგიკური წარმოადგენს. ამიტომ დიალექტიკური ლოგიკა „უფრო შორს მიდის“ ფორმალურ ლოგიკასთან შედარებით.

ფორმალურ ლოგიკაში A-ს უარყოფა არის არა-A, რომელიც A-ს — მიმართ გარეგანია. მსჯელობაში S არ არის P. პრედიკატი სუბიექტის მოცულობის გარეთ წარმოიდგინება, სხვანაირად: — იმას გამოთქვამს, რომ P არ არის S-ის ნიშანი. მსჯელობა: „დამიანი არ არის ოთხფეხა ცხოველი“ სწორედ ასეთი — გარეგანი უარყოფის შედეგადაა მიღებული. დასკვნა, რომელიც უარყოფით დანაკვეთს გვაძლევს, იმიტომ რომ წინამძღვარიც უარყოფითია, მხოლოდ ვარეგან უარყოფას ემყარება.

არა-A მხოლოდ A-ს უარყოფას ნიშნავს, ის მხოლოდ გამორიცხვაა და თავისთავად გაურკვეველია, ე. ი. გაურკვეველია, თუ რას წარმოადგენს თავისთავად აღებული არა-A, მაგ., არა-თეთრი თეთრის უარყოფაა, მაგრამ თვითონ გარკვეულ ფერს კი არ წარმოადგენს, არამედ ყველაფერს, გარდა თეთრისა. გაურკვეველობას აქ სიმრავლე (ფერთა) ჰქმნის. ეს სიმრავლე მოვლენათა სიმრავლეა, რომლის გამოსათქმელად წარმოებულ მსჯელობებში და ამ მსჯელობათა გარკვეულ კავშირებში, როგორც დასკვნებში, მოისმარება არა-A, ის უარყოფა, რომელიც ერთადერთ უარყოფად იყო მიჩნეული ფორმალური ლოგიკის მიერ.

მაგრამ თუ არსების ლოგიკურ გამოთქმას მოვინდომებთ, მაშინ უარყოფის მომენტი თავისებურად უნდა გვესმოდეს და ასეთი უარყოფის შემცველი ლოგიკურიც თავისებური იქნება. მატერიალისტური დიალექტიკა გვასწავლის, რომ ყოველი საგნის მამოძრავებელ ძალას შინაგანი წინააღმდეგობა წარმოადგენს. შინაგან წინააღმდეგობას მხოლოდ ორი მხარე აქვს, რომლებიც ერთი მეორეს უარყოფენ, თუმცა ორივე გარკვეულია, ე. ი., ამ შემთხვევაში, წინააღმდეგობა და დაპირისპირება ერთი მეორეს უდრის. მაგ., საქონელში არა-სახმარი ღირებულება ღირებულებაა, არა-ღირებულება კი — სახმარი ღირებულება. „საქონელი არის სახმარი ღირებულება“, მაგრამ იგი არის ამავე დროს „არა-სახმარი ღირებულება“, ე. ი. საცვლელი ღირებულება, ანუ უკეთ — ღირებულება<sup>2</sup>. წმინდად აღებული კაპიტალისტური საზოგადოება (როგორც ამას მარქსი იტყობდა) მხოლოდ ორ კლასს — ბურჟუაზიას და პროლეტარიატს გულისხმობს და იქ არა-პროლეტარიატი ბურჟუაზიაა, არა-ბურ-

<sup>1</sup> В. И. Ленин. Философские тетради, стр. 157.

<sup>2</sup> ე. მარქსი, პოლიტიკური ეკონომიის კრიტიკისათვის, გვ. 38. 1957

ქუაზია კი — პროლეტარიატი. ასევე, მოძრაობაში ორი მომენტია: საკუთრივ მოძრაობა და შედარებითი უძრაობა; აქ არა-მოძრაობა უძრაობაა, არა-უძრაობა კი — მოძრაობა. არა-დაბოლოებული დაუბოლოებელია, არა-დაუბოლოებელი კი — დაბოლოებული. არა-შემთხვევითობა აუცილებლობაა, არა-აუცილებლობა კი — შემთხვევითობა, თუმცა ისინი აუცილებელ ერთნაირობაში იმყოფებიან.

მაშასადამე, არსებაში არა-A გარკვეული დადებითი ხასიათისადაც, თუმცა იგი A-ს უარყოფას წარმოადგენს. ფორმალური ლოგიკის არა-A ისეთ უარყოფას ნიშნავს, რომელსაც ნოაზროვნე სუბიექტი ასრულებს A-ს მიმართ და არ ჩანს A-ს მაგვარი მისი უარყოფელი. ნამდვილად კი არა-A ისეთი ობიექტური უნდა იყოს, როგორც უარსყოფელი A-ა: ასეთ შემთხვევაში, ორივე დადებითი მნიშვნელობის იქნება, თუმცა ერთი მეორეს უარყოფელიც. ასეთი მდგომარეობა დადებითის და უარყოფითის განუწყვეტელ ერთიანობას ამჟღავნებს და ცხადყოფს.

თუ უარყოფელი (არა-A) არ არის, ამავე დროს, დადებითი ხასიათის, მაშინ მას უარყოფაც არ შეეძლებინება. ის გარემოება, რომ B A-ს უარყოფს, იმას ნიშნავს რომ B-ს შეუძლია რა A-ს უარყოფა, მასზე მეტია (არა რიცხობრივი მნიშვნელობით); მაგრამ რადგან A-ც უარყოფს B-ს, ამიტომ ისიც, თუ შეიძლება ასე ითქვას, მეტია B-ზე. ეს წამეტებელი ია ერთი რამ არის, რომელიც უმოძრაოდგენს დაპირისპირების საფუძველს, სახელდობრ, იმას, რომელიც ერთობრიობაა დაპირისპირებულთა. ეს ერთიანობა ისეთი აუცილებელი დადებითი კავშირია, რომელიც უარყოფას თავის თავში შეიცავს. პროლეტარიატი და ბურჟუაზია ერთი მეორეს უარყოფენ, მაგრამ ეს ურთიერთუარყოფა ერთიანი ეკონომიკის საფუძველზეა შესაძლებელი. დაბოლოებული და დაუბოლოებელი ერთიმეორეს უარყოფენ, ისინი საპირისპირო ცნებებია, მაგრამ არ არსებობს მხოლოდ დაბოლოებული და მხოლოდ დაუბოლოებელი. ისინი აბსოლუტურად არ გამოირიცხავენ ერთიმეორეს, არამედ ერთიმეორეს კიდევ ავსებენ ერთიანობამდე. თავსუფლება და აუცილებლობა ერთი მეორეს უპირისპირდება, მაგრამ თავისუფლება სხვა არაფერია. თუ არა აუცილებლობა, რომელიც შევსებული და გამოყენებულია, და სხვა.

შეიძლება თქვან. რომ არა-A მხოლოდ A-ს უარყოფაა და მისი დადებითად მიჩნევა ლოგიკურად არ არის გამართლებული, რადგან არა-A-ს დადებითობა მისი ცნებიდან კი არ გამოდის. მას მისი ცნება კი არ გულისხმობს, არამედ მოტანილია სხვა ცოდნა-

დან, სახელდობრ, იქიდან, რომ ჩვენ ვიცით არსების, როგორც შინაგანი წინააღმდეგობის, ორი გარკვეული მხარე, რომლებიც ერთმეორეს უარყოფენ, თუმცა ერთი მეორესაც აფუძნებენ, ე. ი. ერთიანობაშიც არიან. ამ აზრის საწინააღმდეგოდ უნდა ითქვას შემდეგი.

არსების ურთიერთუარყოფელი მომენტები არა მარტო სინამდვილეში არიან გარკვეული დადებითი ხასიათისა, არამედ არსების ამსახველ ლოგიკურშიც, — უარყოფის ცნებიდან გამოსვლაც არა-A-ს დადებითობას მოითხოვს. თუ ჩვენ უარყოფის ცნებიდან გამოვალთ, მაშინ ნათელი იქნება, რომ იგი (უარყოფა) გულისხმობს უარსაყოფელს. როგორც სრულიად გარკვეულს და უარყოფელს, როგორც, აგრეთვე, სრულიად გარკვეულს. უარყოფელი ისეთივე ერთი გარკვეული რამ არის, როგორც უარსაყოფელი. უარყოფელის გაურკვეველობა (ფორმალურ-ლოგიკური არა-A-ს გაურკვეველობა) ლოგიკურ გარემოებას კი არ ემყარება, არამედ ფაქტიურს, სახელდობრ, არა-A-ში ნაგულისხმევ მოვლენათა სიმრავლეს (მაგ. არა-თეთრი, არა-აღამიანი, არა სამკუთხედი და სხვა).

მაშასადამე (და უფრო ზუსტად): არა-A გაურკვეველია მოვლენათა სიმრავლის გამო; იგი გარკვეულია მაშინ, როცა არსების მომენტებთან, ან ე. წ. წყვილ კატეგორიებთან გვაქვს საქმე. სხვანაირად რომ ვთქვათ, — შინაგანი უარყოფა გარეგანი უარყოფის ამხსნელია. შინაგანი უარყოფა არსებაში მყოფი უარყოფაა და ის არის ამხსნელი მოვლენებისა და ამ მოვლენებში არსებული ყოველგვარი გაურკვეველობისა.

ფორმალურ-ლოგიკური არა-A ერთმხრივი უარყოფაა, ის არის A-ს უარყოფა. არსებაში არსებული უარყოფა კი ორმხრივია: A-ს B უარყოფს და B-ს კი — A; პროლეტარიატი ბურჟუაზიას უარყოფს, ბურჟუაზია — პროლეტარიატს. მოძრაობა უძრაობას უარყოფს და უძრაობა კი — მოძრაობას. აქ, მაშასადამე, ურთიერთ-უარყოფა გვაქვს; აი, ეს ურთიერთუარყოფა არის ის, რასაც წინააღმდეგობა ეწოდება.

წინააღმდეგობაში მისი ორივე მხარე ერთი მეორეს უარყოფენ, წინააღმდეგ შემთხვევაში, წინააღმდეგობაც შეუძლებელი იქნებოდა. პროლეტარიატი უარყოფაა ბურჟუაზიის, ე. ი. იმის, რაც მის უარყოფას წარმოადგენს; მაშასადამე, პროლეტარიატი მისი უარყოფის უარყოფაა; ასე ითქმის ბურჟუაზიაზეც. აქ გვაქვს ორმხრივი უარყოფის უარყოფა (ცხადია, არა უარყოფის უარყოფის კანონის აზრით), რომელიც შინაგან წინააღმდეგობას წარმოადგენს.



ასეთი ურთიერთუარყოფა შესაძლებელია ერთიანობის საფუძველზე, ე. ი. მაშინ, როცა ერთიმეორის უარყოფელნი არა მხოლოდ უარყოფენ ერთიმეორეს, არამედ ერთიმეორესაც აღგენენ, ერთიანობაშიც იმყოფებიან. ეს ერთიანობა აუცილებლობით თავისში შეიცავს წინააღმდეგობას. ამიტომ ის არ არის საერთოდ იგივეობრივი მომენტი.

ძველი ლოგიკა დაპირისპირებული ცნებების განხილვის დროს აღნიშნავდა მათ გვარს, როგორც იგივეობრივს. თუ არ არსებობს იგივეობრივი, მაშინ დაპირისპირებაც შეუძლებელია, მაგრამ ეს იგივეობრივი გაგებული იყო, როგორც გვარი, რომელიც სრულიად არ გულისხმობდა საპირისპირო ცნებების ნიშნებს, წინააღმდეგ შემთხვევაში, იგი არც იქნებოდა გვარი. აქ იგივეობრივად წარმოდგენილია ის ნიშანი, რომლითაც განისაზღვრება გარკვეული კლასის სახეები, რომლებიც საპირისპირო სახეების შემცველი არიან. თვითონ იგივეობა კი არ შეიცავს დაპირისპირებას, არამედ მის გარეთაა, — საპირისპირო ნიშნებისადმი გულგრილია, როგორც გვარი — სახისადმი. საპირისპირო ნიშნები, ე. ი. სახის ნიშნები, კი შემთხვევითია გვარისათვის, სწორედ ამ გარეგან იგივეობრივისათვის. იარაღის მკეთებელი ცხოველი და იარაღის არამკეთებელი ცხოველი, როგორც ცხოველი, ერთი და იგივეა, მაგრამ იარაღის მკეთებელი და იარაღის არა-მკეთებელი იგივეობრივნი არიან იმ მესამეში, რომელიც მათ გარეთ არის, თუმცა ის მათი საერთო ნიშანია. ორივეს მათ აქვთ ცხოველობის ნიშანი; ამ აზრით ეს ნიშანი შინაგანია სახეებისათვის, რადგან ცნების ნიშნები მის შინაარსს წარმოადგენენ. მაგრამ ფორმალური ლოგიკის მიერ ლოგიკური ისეა გაგებული, რომ დამახასიათებელია გვარის და სახის, როგორც „ყველას“ და „ზოგიერთის“ დამოკიდებულება (სწორედ ასეთი დამოკიდებულებაა გადამწყვეტი კატეგორიული სილოჯიზმისათვის, რომელიც ცნების განაწილებას ემყარება). მაგრამ გვარის ნიშანი ისეა წარმოდგენილი, რომ მისთვის შემთხვევითია მისგან განსხვავებული რომელიმე სახის ნიშნები. აქ იგივეობრივისათვის განსხვავება გარეგანია, ამიტომ იგივეობაც გარეგანია.

ჩვენ, ცხადია, იმის უარყოფა კი არ გვინდა, რომ არსებობს ასეთი გარეგანი იგივეობრივი მომენტი, არამედ — მხოლოდ იმის აღნიშვნა, რომ ასეთ იგივეობრივს არსებითი ნაკლი ახასიათებს: ამ ნაკლს და მისი მოხსნის აუცილებლობას თვითონ გვარის და სახის, სწორედ საპირისპირო სახეების დამოკიდებულება გვაჩვენებს. ის გარემოება, რომ გვარი, როგორც საერთო და გარეგანი იგივეობრივი მომენტი, ამავე დროს, თითოეული სახის შინაარსშიც არის აუცი-



საერთოდ ს — ფ — ს არა თუ ორ იზოლირებულ პროცესად დაიშლება, არამედ ამასთანავე მოძრაობაში მყოფ ერთიანობასაც გამოხატავს, — აქედან იმ დასკვნის გაკეთება, რომ ყიდვასა და გაყიდვას შორის მხოლოდ ერთიანობა არსებობს და არა განცალკევება, ეს იქნებოდა აზროვნების ისეთი წესის გამომქლავნება, რომლის კრიტიკა ეკუთვნის ლოგიკისა და არა პოლიტიკური ეკონომიის სფეროს“<sup>1</sup>.

მართლაც, აღნიშნული აზროვნების წესი, როგორც აზროვნების წესი, სად უნდა განიხილებოდეს, თუ არა ლოგიკაში? აზროვნების წესი, რომლის მიზანი ქვეშაირიტების მიღწევაა, მხოლოდ ლოგიკაში შეიძლება და უნდა იქნეს განხილული.

აზროვნების დიალექტიკური წესის მიხედვით, ყოველი კავშირი, მათ შორის ლოგიკური კავშირიც, ისეთ ერთიანობას წარმოადგენს, რომელიც უარყოფის მომენტს, როგორც შინაგან მომენტს თავის თავში შეიცავს, რადგან კავშირი არ შეიძლება განსხვავებულთა კავშირი არ იყოს, სადაც დადებითი და უარყოფითი, ერთიმეორეს კი არ უსწრებენ წინ (ასეთ შემთხვევაში, საბოლოო ანგარიშით, მივიღებდით ან: არარაობიდან რაიმეს სასწაულებრივ მიღებას, ან წინააღმდეგობის მიღებას იქიდან, სადაც არ არის წინააღმდეგობა, როგორც ეს ჰეგელს წარმოედგინა), არამედ ერთიანობაში არიან, მაგრამ ისე, რომ ეს ერთიანობა, მართლაც ერთიანობაა და არა მხოლოდ ურთიერთმოქმედება. შინაგანი უარყოფა (რომელიც გარეგან უარყოფას შესაძლებლად ხდის), ისეთი უარყოფა, რომელიც დადებითში არსებობს, როგორც ითქვა, საგნის განსაზღვრულობას ჰქმნის.

იგივეობის, ერთიანობის და უარყოფის მომენტები, როგორც აუცილებელი კავშირის მომენტები, ჰეგელს ყალბად ჰქონდა წარმოდგენილი იდეალიზმის საფუძველზე დგომის გამო, თუმცა იგი „რაციონალურ მარცვალსაც“ იძლეოდა, რადგან აღნიშნული მომენტების დიალექტიკის მოცემას ცდილობდა.

ჰეგელთან უარყოფა შედეგია აბსოლუტის უცნაური ძალის მოქმედებისა; სწორედ ეს ძალა ახდენს თავისთავის უარყოფას და ჰქმნის თავისთავისადმი დაწინააღმდეგებას, რათა დასძლიოს წინააღმდეგობა და შეიმეცნოს თავისი თავი. მატერიალისტური დიალექტიკის თვალსაზრისით კი, წინააღმდეგობას მოძრაობა-განვითარებაში მყოფი საგანი თავიდანვე შეიცავს და, მეორე მხრით, მისი ანალიზი მიგვიყვანს იმ ობიექტური კავშირის აღმოჩენამდე, რომე-

<sup>1</sup> კ. ქარქიაი, პოლიტიკური ეკონომიის კრიტიკისათვის, გვ. 119. 1953.

ლიც უარყოფას თავის თავში შეიცავს, როგორც მის შინაგან და აუცილებელ მომენტს. აქვე აღმოჩნდება ის იგივეობის მომენტი, რომელიც აუცილებელია განსხვავებულთა თუ დაპირისპირებულთა ერთიანობისათვის, როგორც სრულიად გარკვეული საფუძვლისათვის. ჰეგელისათვის კი ორი განსხვავებული განსაზღვრულობა ერთი და იგივეა (იგივეობრივი მომენტის შემცველია) იმით, რომ თითოეულ მათგანზე ითქმის ერთი და იგივე, სააელღობრ, ის, რომ: ერთი არის ის, რაც არ არის მეორე. ეს არის იგივეობრივის მიღების სოფისტური ხერხი, რომელიც საერთოდ ჰეგელის იდეალისტურ დიალექტიკას ახასიათებს.

ნამდვილად, როგორც ეს შრომის პირველ თავშიც გაირკვა, რადგან ერთი განსაზღვრულობა თავის არსებაში არის სხვაც, მისი საპირისპიროც, მისი უარყოფელი, ამიტომ ამ უარყოფის ძალით, არის იგი გარკვეული განსაზღვრულობა; სწორედ ეს უარყოფა ქმნის მასში იგივეობრივ მომენტს. მაგ., წარმოება არის მოხმარება და პირიქით. წარმოება სწორედ მისი საპირისპიროს გამოა წარმოება, ისე როგორც — მოხმარება. წარმოება და მოხმარება იმიტომ კი არ არიან იგივეობრივი მომენტის მქონე, რომ თითოეულ მათგანზე ითქმის ერთი და იგივე: ერთი არის ის, რაც არ არის მეორე, — არამედ სწორედ უარყოფა ქმნის გარკვეულობის იგივეობრივ მომენტს. წარმოება სწორედ მოხმარების საშუალებით არის წარმოება და პირიქით. კაპიტალისტური წარმოების წესი არის ეს წესი სწორედ მასში არსებული წინააღმდეგობის საშუალებით. კაპიტალიზმი სწორედ კაპიტალიზმია, რადგან მასში არსებული მისი მესაფლავე მის განსაზღვრულობა-გარკვეულობას ქმნის. საგნის გარკვეულობას მისი შინაგანი უარყოფა ქმნის.

ასეთი შინაგანი უარყოფა საგანს მისი განვითარების გარკვეულ საფეხურზე, კიდევ დაანგრევს, მაგრამ ეს არ ნიშნავს იმას, რომ საგანს შინაგანი უარყოფის ატანა საერთოდ არ შეუძლია. ასეთ შემთხვევაში არ იარსებებდა თვითონ საგანიც, რომლის მამოძრავებელ წყაროსაც შინაგანი წინააღმდეგობა წარმოადგენს.

შინაგანი უარყოფის მქონე საგნის ლოგიკურად გამომთქმელი მსჯელობები და მათი ერთიანობა, ცხადია, უარყოფის მომენტსაც უნდა გამოთქვამდნენ და ამ აზრით, თვისში შეიცავდნენ სრულიად გარკვეულად და არა მხოლოდ გაურკვეველი გულისხმობის სახით; წინააღმდეგ შემთხვევაში, სრული ლოგიკური კავშირიც შეუძლებელი იქნებოდა. ასეთი კავშირი კი არ შეიძლება დიალექტიკური არ იყოს. სრული ლოგიკური კავშირი უსათუოდ დიალექტიკურია, რად-

გან ეს კავშირი ის ერთიანობაა, რომელიც შინაგანი უარყოფის მომენტს თავის თავში აუცილებლობით შეიცავს.

ბ) ლოგიკურში შინაგანი წინააღმდეგობის შესახებ. ჩვენ აქამდე ვარკვევდით, უმთავრესად, უარყოფის ბუნებას. მხოლოდ ამდენად შევეაეთ იგვევობასაც, დაპირისპირებასა და წინააღმდეგობასაც. ცხადია, სავაკვარად უარყოფის ცნების გარკვევა შეუძლებელი იქნებოდა. უარყოფის ბუნების გაგება უშუალოდ გაგვაგებინებს იმას, თუ რას წარმოადგენს წინააღმდეგობა როგორც საგნის არსებაში, ისე მის მიერ ამსახველ ლოგიკურში. წინააღმდეგობის ბუნების გაგებაში, როგორც ვნახავთ, მთავარი იქნება „მესამის“. პრობლემა; ამ პრობლემის დადებითი თუ უარყოფითი გადაწყვეტა გაგვირკვევს იმას, თუ წინააღმდეგობა როგორ უნდა წარმოვიდგინოთ: უნდა უარყოფით იგი, თუ აუცილებლობით მისაღებად ჩავთვალოთ? ანუ სხვანაირად: წინააღმდეგობა შეცდომას წარმოადგენს ლოგიკურში, თუ კემმარტიებას? რა შემთხვევაში გვაძლევს წინააღმდეგობა შეცდომას და რა შემთხვევაშია იგი კემმარტი? ლოგიკურის სრული და არასრული წარმოდგენა როგორ კავშირშია წინააღმდეგობის ბუნებასთან?

უარყოფითი მსჯელობა, ცხადია, მსჯელობის უარყოფას არ უდრის. უარყოფითი მსჯელობის ფორმა თვითონ არის ერთ-ერთი დადებითი სასეთაგანი მსჯელობისა. მსჯელობა, რომელიც მეორე მსჯელობას უარყოფს, თუგინდ ის დადებითიც იყოს, მსჯელობათა ამ ურთიერთკავშირის თვალსაზრისით, უარყოფითია, ის არის დადებითიც და უარყოფითიც, — ორივე ამ მომენტის ერთიანობას წარმოადგენს<sup>1</sup>. დაპირისპირების და წინააღმდეგობის ბუნების გარკვევა მხოლოდ მსჯელობათა ურთიერთობაშია შესაძლებელი. მაგრამ რადგან მსჯელობა აზრია, რომელიც გარკვეულ საგანს გამოთქვამს და უნდა გამოთქვამდეს, ე. ი. რადგან აზრის განსაზღვრულობა საგნის განსაზღვრულობის ასახვა უნდა იყოს, ამიტომ სპეციალურად უნდა გაირკვეს ის, რაც ზემოთ გაკვრით იყო აღნიშნული, მაგრამ უარყოფის ბუნების გარკვევას იგი სრულიად ზუსტად ჰქონდა ნაგულისხმევი, სახელდობრ, თუ როგორია რეალურ და ლოგიკურ წინააღმდეგობათა ურთიერთკავშირი.

თუ იმას ვიტყვით, რომ დაპირისპირება ნიშნავს ერთის მიერ იმის უარყოფას, რასაც მეორე ამტკიცებს, მაშინ რატომ უნდა განვასხვაოთ დაპირისპირების ორი სახე, სახელდობრ, ლოგიკური და

<sup>1</sup> ამიტომ და ამ აზრით მსჯელობა უნდა გვესმოდეს როგორც დანაკვი. მაგრამ ეს საკითხი სპეციალურ გამოკვლევას მოითხოვს, რაც დასკვნის თეორიაში უნდა მოხდეს.

რეალური დაპირისპირება, იმით, რომ პირველ შემთხვევაში დაპირისპირებულნი არაფერს გვაძლევენ, მეორე შემთხვევაში კი ნულს, რომელიც გარკვეულ რიცხვს წარმოადგენს, რომელზე უმცირესი უსასრულოდ მრავალი რიცხვია შესაძლებელი<sup>1</sup>. ერთი სიტყვით, დაპირისპირება თუ ერთის მიერ იმის უარყოფაა, რასაც მეორე ამტკიცებს, მაშინ ორის დამოკიდებულებასთან გვაქვს საქმე, სულ ერთია ეს დაპირისპირება რეალური იქნება თუ ლოგიკური. შეიძლება ორის დაპირისპირება შედეგად არაფერს გვაძლევდეს, მაგრამ დადებითი თვითონ ამ ორის დაპირისპირებაა. მართალია, ძველი ლოგიკა წინააღმდეგობის კანონის აზრს იმაში ხედავდა, რომ აქ ერთი და იგივე საგნის შესახებ რაიმე ერთდროულად კიდევ მტკიცდება და კიდევ უარყოფა და ამიტომ მის შედეგად მიიღება სრული არარა, სახელდობრ უარყოფითი არარა, როგორც წარმოდგენელი ( *nihil negativum irrepraesentabile*), მაგრამ განა ეს დაპირისპირებას არ წარმოადგენს,— იმ დაპირისპირებას, რომელიც უსათუოდ ორის გარკვეული, სახელდობრ, უარყოფითი, დამოკიდებულებაა? ამიტომ ასეთ შემთხვევაში (როგორც ეს კანტთანაა), დაპირისპირების გაგება საერთოდ და მის ერთ სახეობად წინააღმდეგობის კანონის აღება, ერთიმეორეს არ ეთანხმება; მით უმეტეს, რომ წინააღმდეგობის კანონი ორს კი არ უპირისპირებს ერთიმეორეს, არამედ აღებული აქვს ერ-

---

<sup>1</sup> პირველად ეს პრობლემა, სახელდობრ რეალური და ლოგიკური დაპირისპირების პრობლემა და მისი საძნელენი, გაარკვია კანტმა შრომაში: *Versuch, den Begriff der negativen Grössen in die Weltweisheit einzuführen*. 1763. სიძნელე, რომელიც კანტთან იყო გარჩეული და რომლის გადაწყვეტასაც კანტი მომავალ „ბედნიერ თაობას“ უთმობდა, წყდება მხოლოდ იმ ბედნიერი თაობის მიერ, რომელიც დაუფლებულია მატერიალისტურ დიალექტიკას. მხოლოდ მატერიალისტური დიალექტიკის შემქმნელებმა შეძლეს მისი გადაწყვეტა. ჩვენ, სწორედ მარქსიზმ-ლენინიზმის კლასიკოსების დებულებათა საფუძველზე, ვცდილობთ გავაკრიტიკოთ კანტის დებულებები; სიძნელისა და პრობლემის დასმის მხრით, კანტს უსათუოდ ანგარიში უნდა გავწიოს. კანტს თავის უსისტემო მოძღვრებაში ბევრი რამ საინტერესო ჰქონდა დიალექტიკის ისტორიის თვალსაზრისით, როგორცაა, მაგალითად, „ციხ თეორიის“ პრობლემა, რომლის დაყენებასაც ენგელსი აქვდა, მოძღვრება უარყოფითი სიდიდეების შესახებ, სინთეზის პრობლემა და ანტინომების საკითხი. კანტმა დაწერა არა მარტო წმინდა ფორმალური ლოგიკის კურსი, რომელიც მას არც გამოუყია, არამედ შრომა — „წმინდა გონების კრიტიკა“, რომელიც შინაარსეული ლოგიკის შექმნის ცდას წარმოადგენს; ეს ცდა, მიუხედავად აპრიორიზმისა და იდეალიზმისა, შედეგად მაინც უარყოფით დიალექტიკას იძლევა, რაც ისტორიულად ბიძგად გამოდგა იმ იდეალისტური, მაგრამ დადებითი დიალექტიკისა, რომლის „რაციონალური მარცვალი“ ისტორიულად აუცილებელი პირობაა მატერიალისტური დიალექტიკის ჩამოყალიბებისათვის.

თი და მისი უარყოფა, მაშინ როცა ერთი რაიმე და მისი უარყოფა სწორედ ორის გარკვეული დამოკიდებულებაა.

როგორც ზემოთ აღვნიშნავდით, წინააღმდეგობას სრულიადაც არ აქვს აზრი და არც არსებობს, თუ ერთი მეორეს არ გამორიცხავს და ეს ორი ერთსა და იგივე სფეროში არ არის მოთავსებული. წინააღმდეგობის დროს ორი მსჯელობა უნდა გამორიცხავდეს ერთმეორეს, მათ ჩვენთვის ობიექტური მნიშვნელობა უნდა ჰქონდეთ და არა ისე, რომ მოცემული იყოს მხოლოდ ერთი მსჯელობა და მისი უარყოფა კი სუბიექტურ მოქმედებას წარმოადგენდეს. ეს უარყოფა, ვიმეორებთ, ისეთივე ობიექტური მნიშვნელობის უნდა იყოს, როგორც უარსაყოფელი დადებითი მსჯელობაა და მათ დამოკიდებულებას ჩვენ წინააღმდეგობის სახით უნდა წარმოვიდგენდეთ, სახელდობრ, ისე, რომ უარსაყოფელიც უნდა აწარმოებდეს უარყოფას, რომელსაც ურთიერთუარყოფაში აქვს ნამდვილი აზრი.

წინააღმდეგობის ამგვარი გაგების დროს, როგორც აღვნიშნა, წინააღმდეგობის შეუძლებლობას დაქვემდებარებული აზრი აქვს, რადგან წინააღმდეგობისგან მიღებული არაა შესაძლებელია მხოლოდ ურთიერთუარყოფელი დადებითი მომენტების დამოკიდებულების ერთი მხარის სახით. წინააღმდეგობის შეუძლებლობა გაგებულ უნდა იქნას ამ გამოთქმის არა პირდაპირი მნიშვნელობით, არამედ, როგორც საწინააღმდეგოთა შეუთავსებლობა, ე. ი. იგი წინააღმდეგობის ბუნებას უნდა გამოსთქვამდეს და არ უარყოფდეს.

კანტს ლოგიკური წინააღმდეგობის მაგალითად მოყავს შემდეგი: სხეული, რომელიც მოძრაობაში იმყოფება, არის რაღაც; სხეული, რომელიც მოძრაობაში არ იმყოფება, აგრეთვე არის რაღაც, წარმოსადგენი (cogitabile); მაგრამ სხეული, რომელიც იმყოფება მოძრაობაში და ამავე დროს, იმავე აზრით, არც იმყოფება მოძრაობაში, არის არაფერი, არაა, წარმოუდგენელი<sup>1</sup>. მართალია, რომ თუ რომელიმე სხეული მოძრაობაშია, მაშინ, ამავე აზრით, არ შეიძლება ვთქვათ, რომ ის არ არის მოძრაობაში და პირიქით, მაგრამ აქ ხომ მოძრაობის მოვლენაზეა ლაპარაკი, — იმის შესახებ, რომ მოძრაობა არის მოძრაობა და არა უძრაობა. აქ, ცხადია, მოქმედებს წინააღმდეგობის შეუძლებლობის კანონი, მაგრამ ვიკითხოთ, როგორ არის შესაძლებელი თვითონ წინააღმდეგობის შეუძლებლობა. როგორ არის შესაძლებელი ის უაზრობა, რომელსაც ერთი. დებულების და სწორედ მისივეს უარყოფის შეერთება გვაძლევს.

მართალია, საგანი არ შეიძლება ერთდროულად კიდევ მოძრაობდეს და არც მოძრაობდეს, მაგრამ თვითონ მოძრაობა კი სწორედ

<sup>1</sup> Kant's Werke, V, 1870, Kirchmann, S. 25.

შეიცავს ასეთ საპირისპირო მომენტებს; მაგალითად, სივრცეში მოძრავე სხეული „ერთსა და იმავე ადგილზე იმყოფება და არც იმყოფება“<sup>1</sup>, ე. ი. თვითონ მოძრაობა არის ერთიანობა მომენტებისა — „არის“ და „არ არის“; მაგრამ, ცხადია, თვითონ ეს ერთიანობა არ შეიძლება იყოს ერთიანობაც და არც იყოს ერთიანობა, რადგან მას ცალკე არ წარმოვიდგენთ, რადგან ეს ერთიანობა არის სწორედ დაპირისპირებულთა ერთიანობა და არა ერთ-ერთი მხარე დაპირისპირებისა.

თვითონ მოძრაობა რომელიმე საგნისა (ცხადია, მექანიკურ მოძრაობაზეა ლაპარაკი) იმაში მდგომარეობს, რომ საგანი მოძრაობის პროცესში კიდევ არის რომელიმე წერტილზე და არც არის. ამ მდგომარეობას გამოვთქვამთ მსჯელობებით: „საგანი არის ამ წერტილზე“ და „იგი არ არის ამ წერტილზე“. ამ ორის ერთიანობა თვითონ მოძრაობას გამოსთქვამს. ცხადია, ამ ერთიანობის ორივე საპირისპირო მომენტი უნდა არსებობდეს და ის გამოითქმოდეს ჩვენს საპირისპირო მსჯელობებში, წინააღმდეგ შემთხვევაში, როცა რომელიმე მათგანი არ არის, მაშინ, ცხადია, მოძრაობა არ იქნება. ცალ-ცალკე აღებული ეს მომენტები, ის, რომ საგანი არის ამა თუ იმ წერტილში და შემდეგ არ არის აქ, ანდა ერთდროულად არსებობა-არარსებობის ერთიანობის ცალკე საპირისპირო მხარეები შედეგებია იმ არსების, რომელსაც მოძრაობა წარმოადგენს; შეცდომა სწორედ მოძრაობისა და მისი შედეგების და ცალკეული მხარეების ერთიმეორესთან არევაშია. ძენონმა სწორედ ასეთი შეცდომა დაუშვა. ლენინი კი გვასწავლის, რომ: 1) არ უნდა გავაიგივოთ ერთიმეორესთან თვითონ მოძრაობა და მოძრაობის რეზულტატი; 2) უნდა ვაჩვენოთ მოძრაობის შესაძლებლობა და 3) მოძრაობა არ უნდა წარმოვიდგინოთ, როგორც ჯამი, როგორც გაჩერების მდგომარეობათა კავშირი, ე. ი. დიალექტიკური წინააღმდეგობა; არ უნდა დავფაროთ, არამედ უნდა გამოვაჩინოთ<sup>2</sup>.

მაშასადამე, რამდენადაც წინააღმდეგობა სინამდვილესა და აზროვნებაში მართლაც წინააღმდეგობაა, ამდენად მოწინააღმდეგეთა ისეთი შეერთება, როცა წინააღმდეგობა შეცდომას არ გვაძლევს, შეუძლებელი რამ იქნებოდა, ე. ი. იგი შეუძლებელი იქნებოდა, რომ წინააღმდეგობის შესაძლებლობა თვითონ წინააღმდეგობის მომენტზე მეტი არ იყოს.

თუ იმას ვიტყვი, რომ წინააღმდეგობა შეუძლებელია, რადგან იგი მრუაზრებელია, მაშინ თვითონ წინააღმდეგობის კანონსაც დავ-

<sup>1</sup> ფ. ენგელსი, ანტი-დიურინგი, გვ. 143.

<sup>2</sup> В. И. Ленин, Философские тетради, 1947, стр. 242.



კარგებოდა აზრი. ამ კანონს მაშინ აქვს აზრი, როდესაც ესმით, თუ რა არ არის დასაშვები, — რას კრძალავს იგი. და როცა მე მესმის წინააღმდეგობის აზრი, მაშინ შემძლია ავკრძალო წინააღმდეგობის დაშვება. წინააღმდეგობის დაშვება თუ დაუშვებელია, თუ ის შეცდომაა, მაშინ ამ შეცდომის შეფასების დროს უკვე უფრო მაღალ საფეხურზე ვდგევართ. შეცდომა მხოლოდ ქვემარტებით გაიგება. შეცდომა მხოლოდ ნაკლი შეიძლება იყოს ქვემარტებისა; ქვემარტება ყოველთვის შედარებითია, ე. ი. აბსოლუტური ყოველთვის ნაწილობრივ არის წარმოდგენილი, ამიტომ მისი ცალმხრიობა შეცდომასაც შეიცავს. აქაც წინააღმდეგობის ერთიანობაა, რომლის ერთ მომენტსაც სწორედ წინააღმდეგობა წარმოადგენს, მაგრამ მხოლოდ ერთ მომენტს.

აზროვნებაში შეცდომაა გადაუწყვეტელი წინააღმდეგობა, მხოლოდ წინააღმდეგობა, — წინააღმდეგობა ერთიანობის გარეშე და არა წინააღმდეგობა, როგორც ერთიანობაში არსებული, როგორც წინააღმდეგობის ერთიანობის მომენტი.

წინააღმდეგობის შეუძლებლობის დებულება უარყოფითი დებულებაა, ამიტომ მას აზრი აქვს დადებითით, რომელიც მის მიერ ნაგულისხმევი. ამავე დროს, წინააღმდეგობის შეუძლებლობას თვითონ წინააღმდეგობა, ე. ი. ის, რის შეუძლებლობასაც იგი უარყოფს, აქვს ნაგულისხმევი. იგივეობაც ხომ განსხვავების შოგულისხმევა. ამიტომ იგივეობა და წინააღმდეგობა თავისებური ენთიმემური ხასიათისანი არიან (ლოგიკურად ენთიმემური და არა ჩვეულებრივ, სიტყვიერად ენთიმემური).

თუ იმას ვიტყვი, რომ მოძრავი საგნის A წერტილში არსებობა, და მისი ამ წერტილში არ არსებობა, ცალ-ცალკე მოაზრებელი და დასაშვებია, მაგრამ მათი ერთიანობა არ არის დასაშვები, მაშინ არა მარტო ლოგიკური წინააღმდეგობა უნდა ჩაითვალოს შეცდომად, არამედ შეუძლებლად უნდა მივიჩნიოთ რეალური წინააღმდეგობაც, სახელდობრ, თვითონ მოძრაობის არსებობაც უნდა უარყვით. რადგან საგნის მოძრაობა თვითონ შეიცავს შედარებითი უძრაობის მომენტს, ამიტომ უაზრობას მივიღებთ, თუ შედარებით მომენტს აბსოლუტურად წარმოვიდგენთ და შეუთავსებლად დაეუპირისპირებთ იმას, რის მომენტსაც იგი შეადგენს. ამ აზრით კი უაზრობაა საგნის მოძრაობის და მისი უძრაობის ერთდროული დაშვება.

მართალია, დებულებები მოძრავი A საგნის შესახებ: „A არის B წერტილში“ და „A არ არის B წერტილში“ ერთიმეორის საპირისპირო დებულებებია, მაგრამ მათ ერთიანობის გარეშე არც ექნებათ აზრი, ისე როგორც მოძრაობის გარეშე მის მომენტებს არ აქვთ აზრი.

რამდენადაც მსჯელობები: „A არის B წერტილში“ და „A არ არის B წერტილში“ A საგნის სხვადასხვა წერტილში ყოფნას გამოხატავენ, ცხადია, ამდენად მათი ერთი და იგივე წერტილის მიმართ მიყენება შეუძლოა იქნებოდა. ამ გარემოებას გამოხატავს წინააღმდეგობის შეუძლებლობის კანონი. ერთი მოვლენა, ცხადია, არ იქნება მეორე მოვლენა. მაგრამ თვითონ ეს გარემოება, რომ ერთი მოვლენა არ არის მეორე, იმას ემყარება, რომ ერთსა და იგივეს შეუძლია სხვადასხვაგვარად არსებობა, რომ ამ მოვლენათა ერთი არსების შესახებ იგივე მსჯელობების წარმოება არ შეიძლება. მოძრაობის შედეგები და თვითონ მოძრაობის შესაძლებლობა, როგორც ეს აქ ნათქვამიდან აშკარად ჩანს, აზრობრივად ერთნაირად არ გამოითქმება.

წინააღმდეგობას, როგორც ასეთს, ერთი და იგივე ხასიათი უნდა ჰქონდეს, სულ ერთია, თუ სად არსებობს იგი. მაგრამ წინააღმდეგობის სხვადასხვა სფეროში არსებობა, ცხადია, მას იმგვარად არ შეეცვლის, რომ იგი ერთ სფეროში იყოს და მეორეში შესუსტდეს ან საერთოდ გაუქმდეს.

რეალური წინააღმდეგობა ლოგიკურში ასახვის სახით არსებობს; წინააღმდეგობა, რომელსაც საგანში აქვს ადგილი, უნდა გამოთქვას ერთიმეორის გამომრიცხავმა დებულებებმა. ურთიერთგამორიცხავა ორივეგან არსებობს, მაგრამ ერთ შემთხვევაში საგნის მხარეები გამორიცხავენ ერთიმეორეს, მეორე შემთხვევაში კი — მსჯელობები ან ცნებები. ლოგიკურ წინააღმდეგობას აზრი აქვს მხოლოდ მაშინ, თუ ის გამოთქვამს საგანში არსებულ წინააღმდეგობას. არ არსებობს უსაგნო აზრი, წინააღმდეგობის შესაძლებლობა-შეუძლებლობაზე ლაპარაკი არ ნიშნავს აზრის საგნის არსებობა-არარსებობის აღიარებას. თუ წინააღმდეგობის გამომთქმელი დებულოგიკაში<sup>2</sup>. მოძრაობა არის წინააღმდეგობა, არის წინააღმდეგობის არ არსებობას, რადგან წინააღმდეგობა შესაძლებლობის სახითაც შეიძლება არსებობდეს. შემცდარი აზრი, ე. ი. არარსებულ საგანზე აზრი, ანუ აზრი იმ საგნის არსებობაზე, რომელიც არ არსებობს, არის აზრი, რომლის საგანი შეიძლება არსებობდეს და შეიძლება არც არსებობდეს; წინააღმდეგ შემთხვევაში, თვითონ აზრი იქნებოდა შეუძლებელი.

თუ წინააღმდეგობას დაპირისპირების ერთ სახეობად, სახედლობრ, ლოგიკურ დაპირისპირებად ჩავთვლით და, მისგან განსხვავებით, რეალურ დაპირისპირებას იმაში დავინახავთ (როგორც ეს კანტსა აქვს წარმოდგენილი), რომ ერთი და იგივე საგნის ორი პრედიკატიდან ერთი გამორიცხავს იმას, რასაც მეორე ადგენს, მაგრამ მიუხედავად ამ დაპირისპირებისა, მათი შედეგი არის რაღაც, წარმო-

სადგენი<sup>1</sup>, მაშინ ეს შედეგი არ შეიძლება (წინააღმდეგ კანტის აზრისა) იყოს შედეგი წმინდა ურთიერთგამორიცხვისა; რამდენადაც მაგ. საპირისპირო ძალები ერთიმეორეს აბათილებენ, ამდენად არაფერს არ იძლევიან. საგანი, რომელზედაც ორი ერთიმეორისადმი საპირისპირო, ურთიერთგამომრიცხავი ძალებია მიყენებული, გაჩერებაშია. ეს გაჩერება არ შეიძლება წარმოვიდგინოთ როგორც ურთიერთგამორიცხვის შედეგი (წინააღმდეგ კანტის აზრისა), რადგან ურთიერთგამორიცხვა ურთიერთგაბათილებაა და გაჩერება უნდა იქნეს წარმოდგენილი არა როგორც მათი მოქმედების, არამედ სწორედ მათი უმოქმედობის შედეგი; უკეთ: საპირისპირო ძალები ერთიმეორეს აბათილებენ, ე. ი. ისინი შედეგად უმოქმედობას იძლევიან; საგანი კი გაჩერებულია, რადგან მასზე არც ერთი ძალა არ მოქმედებს. საგანს შეუძლია გაუძლოს ორივე ძალის მოქმედებას ისე, რომ არ გადაყვეს მათ წინააღმდეგობას. საგანში კაბათილებული ორი საპირისპირო ძალა კი არ ქმნის საგნის გაჩერებულობას, არამედ ამ ძალებს აღარ შეუძლიათ (თუ შეიძლება ასე ითქვას), რომ საგანი არ იყოს გაჩერებული.

კანტი აღნიშნავს, რომ საგანზე მიყენებული ორი საპირისპირო ძალა ერთდროულად შეიძლება განხილულ იქნეს, როგორც საგნის პრედიკატები, სახელდობრ, საპირისპირო პრედიკატები, ესე იგი აქ დაპირისპირება შეუძლებელი კი არაა, არამედ შესაძლებელია.

მაგრამ, უნდა ითქვას, რომ რამდენადაც საგანზე მიყენებულია საპირისპირო ძალები, იმდენად ისინი ერთიმეორეს აბათილებენ და საგანში არაფერს არ ცვლიან. თუკი საპირისპირო ძალებს საგნის გარეგან ძალებად არ ჩავთვლით, ე. ი. მათ საგნის შინაგან ძალებად მივიჩნევთ, მაშინ, ცხადია, მასში ორივე არსებობს და ისიც ერთიანობაში; ისინი და მათი მოქმედება ერთი ძირის მქონეა და ერთის „პრედიკატებს“ მართლაც წარმოადგენენ. ასეთი საგნის არსება უნდა გამოიხატოს სწორედ საპირისპირო მსჯელობათა აუცილებელი კავშირით, როგორც მათი დიალექტიკური ერთიანობით. საქმე სწორედ იმაშია, ამბობს ლენინი, რომ მოძრაობა გამოვხატოთ „ცნებათა ლოგიკაში“<sup>2</sup>. მოძრაობა არის წინააღმდეგობა, არის წინააღმდეგობათა ერთიანობა“, სახელდობრ, „მოძრაობა არის განუწყვეტლობის (დროის და სივრცის) და წყვეტადობის (დროისა და სივრცის) ერთიანობა“<sup>3</sup>. მართალია, *Изображение движения мыслью, есть всегда огрубление, омертвление, — и не только мыслью, но и ощущением, и не только движения, но и всякого понятия.*

<sup>1</sup> იხ. კანტის ზემოთ დასახელებული შრომა, იქვე.

<sup>2</sup> В. И. Ленин, *Философские тетради*, стр. 240.

<sup>3</sup> იქვე, стр. 241.

И в этом суть диалектики. Эту-то суть и выражает формула: единство, тождество противоположностей<sup>1</sup>.

მაშასადამე, ფორმულა, რომელიც მოძრაობის ბუნებას გამოხატავს, არის ფორმულა წინააღმდეგობის ერთიანობისა, რომელიც ლოგიკურად გამოხატავს იმას, რაც წინააღმდეგობრივია. სრული გამოთქმა შინაგანი წინააღმდეგობისა, წინააღმდეგობის ერთიანობისა შესაძლებელია მხოლოდ საპირისპირო მსჯელობათა ერთიანობით. წინააღმდეგობის ერთიანობის კანონი არის კანონი როგორც არსებულის, ისე ლოგიკურისაც.

მართალია, შეიძლება სინამდვილეში არსებული წინააღმდეგობა, მაგ., მოძრაობის შინაგანი წინააღმდეგობა, ლოგიკურად ისე გამოვთქვათ, რომ ამ ლოგიკურში წინააღმდეგობა სრულიად არ ჩანდეს, მაგრამ ასეთ შემთხვევაში წინააღმდეგობა უნდა ვიგულისხმოთ, ე. ი. თვითონ ლოგიკური არა სრულად წარმოვადგინოთ. ლოგიკისათვის კი სწორედ სრული ლოგიკურის დახასიათებაა აუცილებელი.

კანტისათვის არა მარტო ის გახდა გაუგებარი, თუ როგორ არის შესაძლებელი სინთეზურ-ლოგიკური, თუმცა მთელი „წმინდა გონების კრიტიკა“, არსებითად, სწორედ ამ პრობლემას შეეწირა (კანტთან სინთეზურ აპრიორული მსჯელობისათვის სრულიადაც არ არის საკმარისი წინააღმდეგობის შეუძლებლობის კანონი. ეს კანონი არ არის საკმარისი არც ანტინომიებისათვის, რამდენადაც იქ წინააღმდეგობის აუცილებლობასთან გვაქვს საქმე), არამედ ისიც, თუ თვითონ რეალურში როგორ არის შესაძლებელი კავშირის სინთეზურობა. კანტმა იგრძნო სიძნელე, მაგრამ შეჩერდა შემდეგი საკითხის წინაშე: როგორ უნდა გავიგო, რომ იმის ძალით, რომ რაღაც არის, იყოს აგრეთვე რაღაც სხვა (Wie soll ich es verstehen, dass weil etwas ist, etwas Anderes sei)<sup>2</sup>. კანტს, რომ ეს საკითხი გადაეწყვიტა, ამით პირველი საკითხის გადაწყვეტასაც შესძლებდა, რადგან ლოგიკური რეალურის გარკვეული გაგებაა.

თუ კანტმა ვერ მოაგვარა საკითხი რეალურში დაპირისპირებულთა ერთიანობის შესახებ, მაგრამ მაინც თავის Versuch-ში მოიყვანა მაგალითები ამ ერთიანობისა (დადებითი ამავე დროს უარყოფითიც არის და პირიქით. და სხვა), ჰეგელმა იდეალისტურად, მაგრამ მაინც დადებითად, გადაწყვიტა რეალურში დაპირისპირებულთა ერთიანობის არსებობის საკითხი. დაპირისპირებულთა ერთიანობის ლოგიკურში არსებობა კი, თუ კანტს შეუძლებლად

<sup>1</sup> Р. И. Ленин, Философские тетради, стр. 243.

<sup>2</sup> კანტის Versuch... (Kant's Werke, V, 1870, Kirchmann), S. 59.

მიიჩნდა (ამიტომ ანტინომიების გადაწყვეტის დროს საბოლოოდ მეტაფიზიკა გააბატონა), ჰეგელმა სრულიად იოლად გადაწყვიტა საკითხი, რადგან მან ლოგიკური და რეალური ერთიმეორეს გაუიგივავა. ასეთი გადაწყვეტა საკითხისა ნამდვილად გადაწყვეტას, კი არ წარმოადგენს, არამედ მის გაუქმებას. რეალურისა და ლოგიკურის ხელაღებით გაიგივება ხელაღებითვე ხსნის ლოგიკურის თავისებურებებსაც და ამიტომ თვითონ პრობლემასაც, თუ როგორ არის შესაძლებელი ლოგიკურში წინააღმდეგობის ერთიანობა.

ნამდვილად ეს საკითხი თავის გადაწყვეტას მხოლოდ ასახვის მარქსისტულ-ლენინურ თეორიაში პოულობს. მხოლოდ მატერიალისტურ დიალექტიკურ ლოგიკურში ჩანს წინააღმდეგობის ერთიანობის ნამდვილი ლოგიკური ბუნება. წინააღმდეგობის ერთიანობა სისრულით გამოისახება, როგორც ეს რამდენიმეჯერ აღვნიშნეთ და ზენც საბოლოო მასანიც ამ გარემოების გარკვევაშია, საწინააღმდეგო მსჯელობების ერთიანობით. მაგ., მოძრაობის ბუნება სხვა არა არის რა, თუ არა „არის“ და „არ არის“ მომენტთა ერთიანობა. ეს მომენტები უსათუოდ საპირისპირო მსჯელობებით უნდა გამოიზატოს, მათი ერთიანობა კი იქნება ასახვა მოძრაობის ბუნებისა.

საპირისპირო განსაზღვრებანი, ანუ განსაზღვრებაში დაპირისპირება, „ერთი მხრით“ ნულს იძლევა იმ აზრით, რომ ერთი მეორეს გამორიცხავს, უარყოფს; მაგრამ, „მეორე მხრით“, ამავე დროს, ისინი, რადგან ერთიმეორის უარყოფის შემძლენი არიან, უძლებენ ერთიმეორეს, უკეთ: ერთიმეორეს მოითხოვენ საკუთარი თავის გამართლებისათვის, ამიტომ ისინი ერთიმეორის მიმართ ერთიანობის მომენტსაც შეიცავენ და მას ემყარებიან (დაპირისპირება ერთიმეორის საფუძველზეა შესაძლებელი); ანუ სხვანაირად: მათში ერთიანობის დამოკიდებულებაა, რომელიც დაპირისპირებისადმი კი არაა გულგრილი (როგორც ეს ჰეგელს ეგონა და სპირიტებოდა დაპირისპირებულთა შერიგებისათვის), არამედ დაპირისპირებულნი გადადიან ერთიმეორეში, რაც ააშკარავებს იმას, რაც დაპირისპირების შესაძლებლობას იძლევა და არაა დაბოლოებული იმ აზრით, როგორსაც ერთ-ერთი საპირისპირო მხარეთაგანი წარმოადგენს. ურთიერთუარყოფა თვითონ ქმნის განსაზღვრულობის დადებით მომენტს, ამიტომ არსებობს ერთიანის გაორება. ეს უკანასკნელი კი, როგორც ნათქვამიდან ჩანს, დაბოლოებულია და დაუბოლოებელის ერთიანობას უნდა წარმოადგენდეს, სადაც დაბოლოებულობა დაპირისპირებაშია, დაუბოლოებელი კი — მათ ერთიანობაში. ამ ორ მომენტს ერთიმეორის გარეშე, ცხადია,

აზრი დაეკარგება. დაპირისპირებულნი ერთი და იგივეთი აშუალებენ ერთიმეორეს.

ანტინომიური დებულებები (მაგ., კანტის ანტინომიები) გადაწყდებიან იმ „მესამეში“, რომელიც დაპირისპირების ურთიერთაშუალებას წარმოადგენს. თუ, ერთი მხრით, ქვეყანა დაბოლოებულია და, მეორე მხრით, თუ ის აუცილებლობით დაუბოლოებელია, მაშინ ორივე ისეთ მესამეში მოექცევა, სადაც ერთი და იგივე ქვეყანა ორივე საპირისპირო განსაზღვრების შემცველი იქნება, ამდენად, — ნამდვილი დაუბოლოებელიც. ლოგიკურად, ცნების მიხედვით აქ არსებული სიძნელე ადვილი გადასაწყვეტია, რადგან დაბოლოებულის და დაუბოლოებელის ცნებები ერთიმეორეს არა მარტო უარყოფენ, არამედ მოითხოვენ კიდევ და ამიტომ მთლიანობაში არიან. ნამდვილი დაუბოლოებელი დაბოლოებულის და უსასრულოს ერთიანობაა. ეს გარემოება არსებობს არა მარტო სინამდვილეში, არამედ მის ამსახველ აზროვნებაშიც. მთავარი სიძნელე იმაშია, თუ როგორ ასახავს ცნებათა დამოკიდებულება საგანთა დიალექტიკას. თუ ცნება-მსჯელობას საგნის განსაზღვრულობათა ასახვად გავივებთ (ეს სწორედ ასეც უნდა იქნეს გაგებული), მაშინ კეშმარიტების ბუნების შესახებ სიძნელეც გადაწყდება.

აუცილებელი კავშირის თვალსაზრისით, ყოველგვარი წინააღმდეგობა, როგორც ცნობილია, არ ითვლება სრულად; ყოველგვარი წინააღმდეგობის დროს ვერ ვიტყვით, რომ ერთიდან მეორე გამოდის აუცილებლობით — ვერ ვიტყვით, რომ — თუ ერთი მცდარია, მეორე კეშმარიტი იქნება და სხ. ამიტომ არჩევენ კონტრადიქტორულ წინააღმდეგობას კონტრარულისაგან. აზრი ჭერ მაგალითზე გავარკვით, შემდეგ კი დასკვნები გავაკეთოთ. სამაგალითოდ ავიღოთ ის, რაც წინააღმდეგობის შესახებ ზემოთქმულს ეხება და ჩვენს პრობლემასაც ისტორიულადაც უკავშირდება. ავიღოთ წინააღმდეგობის საკითხის ახლა აღნიშნული მხარე კანტის ანტინომიებში და მივცეთ მას შეფასება.

როგორი წინააღმდეგობაა კანტის ანტინომიებში — კონტრარული თუ კონტრადიქტორული? მაგალითად, თუ წამოვაყენებთ ორ საწინააღმდეგო დებულებას: „ის ადგილი, სადაც მსოფლიოა მოთავსებული, განსაზღვრულია“ და „ის ადგილი, სადაც მსოფლიოა მოთავსებული, განუსაზღვრელია“, მაშინ მივიღებთ ისეთ წინააღმდეგობას, სადაც ორივე დებულება ერთდროულად მცდარი იქნება, რადგან ყველა ადგილი მხოლოდ მსოფლიოში არსებობს, თვითონ მსოფლიო კი არავითარ ადგილში არ იმყოფება (რადგან ის დაუბოლოებელია). „ყოველ სხეულს: !არგი სუნი აქვს“ და „ყო-

ველ სხეულს ცუდი სუნი აქვს“ — ორივე ეს მსჯელობა მცდარია, აქ არაა კონტრადიქტორული წინააღმდეგობა, რადგან შესაძლებელია მესამეც: — სხეულს სრულიად არ აქონდეს სუნი. ასეთ შემთხვევაში მცდარი სწორედ წინააღმდეგობის საფუძველი და წინააღმდეგობა არ არსებობს.

კანტი გარკვევით აღნიშნავს, რომ თუ ქვეყანა განფენილობის მიხედვით ან დაუბოლოებელია, ან არადაუბოლოებელი, მაშინ, პირველის მცდარობის დროს, მეორე — მისი საწინააღმდეგო ქეშმარიტია. მეორე შემთხვევაში ხდება უსასრულო ქვეყნის მხოლოდ უარყოფა და არა, მის სამაგიეროდ, სხვისი — ბოლოვადი ქვეყნის დადგენა<sup>1</sup>. დაუბოლოებელი და არადაუბოლოებელი კონტრადიქტორული ცნებებია; კონტრადიქტორული მსჯელობებიდან ერთ-ერთი უსათუოდ ქეშმარიტი იქნება, მეორე კი მცდარი. დაუბოლოებელი და დაბოლოებული კი კონტრარული ცნებებია, ამიტომ მსჯელობები: „ქვეყანა დაუბოლოებელია“ და „ქვეყანა დაბოლოებულია“, — ორივე მცდარია.

ასეთია სწორედ ანტინომიები; ამიტომ გამოდის, რომ, თვითონ კანტის აზრით, მისი „ანტინომიები“ არ ყოფილა ნ.მღვილი წინააღმდეგობა, ე. ი. „ანტინომიები“ არ ყოფილან ანტინომიები.

მაგრამ კანტის მიერ ანტინომიის თეზისისა და ანტითეზისის დასაბუთების დროს ეს განსხვავება არაა მხედველობაში მიღებული. პირველი ანტინომიის თეზისი ამბობს: „ქვეყანას აქვს დასაწყისი დროში და განსაზღვრულია აგრეთვე სივრცის მიხედვით“ (*Die Welt hat einen Anfang in der Zeit und ist dem Raum nach auch in Grenzen eingeschlossen*) ე. ი. ქვეყანა დაბოლოებულია. სივრცის შესატყვისი ნაწილის შესახებ თეზისის დასაბუთების ბოლოს პირდაპირაა ნათქვამი, რომ: *Eine Welt ist folglich der Ausdehnung im Raume nach nicht unendlich, sondern in ihren Grenzen eingeschlossen*). ანტითეზისშიც არადაბოლოებული და დაუბოლოებელი იგივეობრივად არის გაგებული: *Die Welt hat keinen Anfang und keine Grenzen im Raume, sondern ist sowohl in Ansehung der Zeit, als des Raums, unendlich*. რასაც არა აქვს დასაწყისი და საზღვარი, ის არადაბოლოებულია და არა დაბოლოებული.

ანდა კიდევ: მესამე ანტინომიის თეზისში ნათქვამია, რომ უნდა დაშვებულ იქნეს თავისუფალი მიზეზობრიობა; ანტითეზისში კი

<sup>1</sup> Kant, Kritik der reinen Vernunft<sup>2</sup>, S. 531 — 532.

ერთნაირად არის ნახმარი თავისუფლების არარსებობის ცნება და ბუნების კანონების თანახმად არსებობის ცნება და სხ.

საკითხავია, რატომ ჩაიღინა კანტმა ცნებათა ასეთი აღრევა? იმიტომ ხომ არა, რომ ჩვეულებრივი გონება ურევდა ამ ცნებებს და ამიტომ ვარდებოდა იგი წინააღმდეგობაში, და კანტი ამ გარემოებას აღნიშნავდა? (ჩვეულებრივი გონება ხომ არ ჰქონდათ სხვებსაც — მაგ., არისტოტელეს „ტოპიკაში“, მოსე მაიმონიდს და სხვ. — მხედველობაში ქვეყნის დაუბოლოებლობის და დაბოლოებულობის პრობლემის გადუწყვეტლად მიჩნევის დროს?).

ორივე დებულება: „ქვეყანა დაუბოლოებელია“ და „ქვეყანა დაბოლოებულია“ — მცდარია, თუ ქვეყანა სრულიად არაა მოცემული, როგორც საგანი თავისთავად, — არაა მოცემული არც როგორც დაბოლოებული და არც როგორც დაუბოლოებელი. ასეთ წინააღმდეგობას კანტი ეძახის დიალექტიკურ წინააღმდეგობას; კონტრადიქტორული წინააღმდეგობა კი. მისი აზრით, ანალიტიკური წინააღმდეგობაა. კანტი აღნიშნავს, რომ დიალექტიკური წინააღმდეგობა არის ისეთი, სადაც ორივე საწინააღმდეგო მსჯელობა შეიძლება მცდარი იყოს, რადგან ერთი არა მხოლოდ ეწინააღმდეგება მეორეს, არამედ გამოთქვამს იმაზე მეტს, რაც აუცილებელია წინააღმდეგობისათვის<sup>1</sup>. მაგრამ ეს წინააღმდეგობა ხომ კონტრარულად იწოდებოდა ძველ ლოგიკაში, და რად იყო საჭირო ახალი სახელწოდების — დიალექტიკური წინააღმდეგობის შემოღება? ხომ არ შეიძლება ვიფიქროთ, რომ კონტრარული დაუბოლოებელის მიმართ სხვა ხასიათისაა, ვიდრე ძველ ლოგიკაში არსებული კონტრარული, როგორც დაბოლოებულისადმი გამოყენებული ცნება?

თუ კანტი ხსენებულ წინააღმდეგობას მის უარსაყოფად ახასიათებს, მაშინ ამ უარყოფის შეუძლებლობამ, ბოლოს და ბოლოს, უნდა მიგვიყვანოს დიალექტიკურ დადებით წინააღმდეგობამდე, უარყოფითი დიალექტიკა უნდა გადაიქცეს დადებით დიალექტიკად.

კანტის აზრით, ვინც ორ შემდეგ მსჯელობას: „ქვეყანა თავისი სიდიდით დაუბოლოებელია“ და „ქვეყანა თავის სიდიდის მიხედვით დაბოლოებულია“ კონტრადიქტორულ მსჯელობებად ჩათვლის, მას ქვეყანა მიაჩნია საგნად თავისთავად. მაშასადამე, ქვეყნის თავისთავად არსებობის მიღების დროს დაბოლოებული და დაუბოლოებელი ერთმეორის მიმართ საწინააღმდეგო ცნებებია; მსჯელობები: „ქვეყანა დაბოლოებულია“ და „ქვეყანა დაუბოლოებელია“ ერთმეორის მიმართ არა მარტო კონტრარული, არამედ

<sup>1</sup> Kant, Kritik d. reinen Vernunft, <sup>2</sup> S. 532.



კონტრადიქტორული მსჯელობებიცაა, რადგან მესამის შესაძლებლობა არ არსებობს. მესამედ შეიძლება ის მივიჩნიოთ, რომ ქვეყანა თავისთავად არ არსებულად ჩავთვალოთ, როგორც ამას კანტი სწავლის, მაგრამ თვითონ აქ მოყვანილი მსჯელობების აზრი ამ გარემოებას უარყოფს. მსჯელობა „ქვეყანა დაბოლოებულია“, ან მისა საპირისპირო მსჯელობა სწორედ ქვეყნის განსაზღვრულობებს გამოთქვამს და, ცხადია, ქვეყნის არარსებობის დროს ეს მსჯელობები შეუძლებელი იქნებოდნენ; რომ არ არსებობდეს ქვეყანა, ამ მსჯელობებს აზრი მაინც მით ექნებოდათ, რომ ისინი მას არსებულად მიიჩნევდნენ. ამ მსჯელობებისათვის, ლოგიკური თვალსაზრისით, სულ ერთია, თუ როგორ და რა ხასიათისად გვაქვს ქვეყანა წარმოდგენილი; მათთვის სულ ერთია ქვეყანა არსებობს როგორც მოვლენა (როგორც ჩვენგან დამოუკიდებლად არსებული და არა კანტისებური გაგებით), თუ როგორც საგანი თავისთავად (როგორც მოვლენის არსება). ორივე შემთხვევაში იგი არსებობს და ამიტომაც ეს მსჯელობები შესაძლებელი.

კანტის აზრის ლენინური კრიტიკა, ე. ი. მისი მარცხნით კრიტიკა მოგვცემს შედეგს: კანტის სუბიექტივიზმის უარყოფით შიილება დებულება, რომ ქვეყანა, რომელიც თავისთავად არსებობს, იძლევა შესაძლებლობას მასზე ორი კონტრადიქტორული მსჯელობის გამოთქმისა. ეს გარემოება იმასაც ააშკარავებს, რომ კონტრადიქტორულ და კონტრარულ მსჯელობებს შორის, გარკვეულ სფეროში, არც ისეთი განსხვავება ყოფილა, როგორც ეს ძველ, ფორმალურ ლოგიკას ჰქონდა მიჩნეული.

მაგრამ ყველაზე უფრო მნიშვნელოვანი შემდეგი გარემოებაა: მართალია, ორი ხსენებული მსჯელობა ერთიმეორეს ისე გაპოროცხავენ, რომ მათგარი მესამე შეუძლებელია, და ამიტომ არსებობს მათ შორის კონტრადიქტორობა, მაგრამ ეს გარემოება არ არის საერთოდ მათგან განსხვავებულის, თავისებური „მესამის“ უარყოფა. წინააღმდეგობის აუცილებლობას თვითონ კანტიც აღიარებს და ესაა სწორედ არსებითი დიალექტიკური ლოგიკურის თვალსაზრისით. როგორც ეს ზემოთ მრავალჯერ აღინიშნა, წინააღმდეგობის, აუცილებლობა მხოლოდ ერთიანობაშია შესაძლებელი. ახლახან აღნიშნული „თავისებური მესამე“ სწორედ ეს ერთიანობაა წინააღმდეგობისა და არა ერთ-ერთ საწინააღმდეგო მხარეთაგანი. მაშასადამე, თუ ორი — ზემოთ მოყვანილი — საწინააღმდეგო მსჯელობების შესაძლებლობა მხოლოდ მაშინ გვაქვს, როცა დაშვებულია ქვეყნის თავისთავად არსებობა, მაშინ სწორედ ეს ქვეყანა ყოფილა

ის მესამე, რომლის საპირისპირო განსაზღვრებებიც მოყვანილ მსჯელობებშია გამოთქმული; იგი ძვეს წინააღმდეგობის საფუძვლად და ქმნის მის აუცილებლობას. ამიტომ ეს საწინააღმდეგო მსჯელობები ერთიმეორეს არა მხოლოდ გამორიცხავენ, არამედ, ამავე დროს, ავსებენ ერთიმეორეს „მესამემდე“, ნამდვილ დაუბოლოებლობაძდე, რომელიც მათ არსებას უნდა წარმოადგენდეს და ქვეყნის არსებას ლოგიკურად გამოხატავდეს.

მართლაც, დაბოლოებულის საპირისპირო დაუბოლოებელი ავითონ არის დაბოლოებული; იგი გამორიცხავს დაბოლოებულს და ეს უკანასკნელი — მას; მაშასადამე, ნამდვილი დაუბოლოებელი მხოლოდ მათი ერთიანობა შეიძლება იყოს. ეს ნამდვილი დაუბოლოებელი არის ქვეყანა, რომლის საპირისპირო მხარეები ზემოთ მოყვანილ კონტრადიქტორულ მსჯელობებშია გამოთქმული, და ნამდვილად აღნიშნავს იმას, რომ ქვეყანა მხოლოდ დაუბოლოებელია, მაგრამ მხოლოდ დაბოლოებული მოვლენების სახით არსებობს. ამიტომ მხოლოდ ნამდვილი დაუბოლოებელი, როგორც ერთიანობა, როგორც საფუძველი, „მოხსნის“ წინააღმდეგობას, ე. ი. დაბოლოებულის სფეროს შესაძლებლობას და არსებას მხოლოდ იგი წარმოადგენს. ეს „მესამე“, როგორც წინააღმდეგობის ერთიანობა, არ უნდა გავიგოთ როგორც წინააღმდეგობის ან შეერთება, ან გადაწყვეტა ახალი თვისობრიობის და მასში ახალი წინააღმდეგობის შექმნის თვალსაზრისით. ხსენებული „მესამე“, როგორც ერთიანობა დაპირისპირება — წინააღმდეგობისა, არ არის წინააღმდეგობის გარეშე, რაღაც მეტალოგიკური (წინააღმდეგობის სფერო კი ლოგიკური); ასეთ შემთხვევაში, იგი და წინააღმდეგობის სფერო თვითონ ჩავარდებოდნენ წინააღმდეგობაში და მივიღებდით ლოგიკურად ყალბ მდგომარეობას, სახელდობრ, რეგრესს უსასრულობაში და, კერძოდ, „ტრიტოს ანთროპოსის“. ამ „მესამის“ დაწინააღმდეგება წინააღმდეგობისადმი სწორედ მას დააბოლოებდა, ამით კი დაუბოლოებელი საერთოდ უარყოფილი გამოვიდოდა; დაუბოლოებელის უარყოფა, როგორც აღნიშნულიდან ჩანს, იწვევს სწორედ ახლა აღნიშნულ ლოგიკურ სიყალბეს.

მაშასადამე, დაბოლოებულის არსება არის დაუბოლოებელი; მათი ერთიანობა წინააღმდეგობის ერთიანობას წარმოადგენს. ამიტომ მისი ამსახველი ლოგიკური უნდა იყოს თავისებური ხასიათის, არა ისეთი, როგორიც ძველ ლოგიკას ჰქონდა წარმოდგენილი; ლოგიკური წინააღმდეგობის ერთიანობას კი არ უნდა გამორიცხავდეს, არამედ სწორედ მას უნდა ასახავდეს; ასეთი ლოგიკური უნდა მდგომარეობდეს დაპირისპირებულ და საწინააღმდეგო მსჯელობების ერთიანობაში, ისეთ დადებით აუცილებელ კავშირში, რომლის ნიმუშ-

საც ზემოთ გარჩეულ დაპირისპირებულ მსჯელობათა ერთიანობა წარმოადგენს.

როგორც აღინიშნა, კანტს „მათემატიკურ ანტინომებში“ ძიხნად ისა აქვს დასახული, რომ ორივე საწინააღმდეგო მსჯელობა მცდარ მსჯელობებად ჩათვალოს, ქვეყნის უარყოფით წინააღმდეგობა უარყოს და ამით გადაწყვეტოს ანტინომია. მაგრამ ჩვენ შიერ ზემოთ წარმოებული კრიტიკა კანტისა იმას გვეუბნება, რომ ამ ანტინომიების გადაწყვეტა წინააღმდეგობის უარყოფით კი არ ხდება, არამედ წინააღმდეგობის ერთიანობით. ეს სხვანაირად ასე გამოითქმის: საწინააღმდეგო მსჯელობები მცდარნი კი არ არიან, არამედ ორივე, ერთმანეთი აზრით, კეშმარიტ დებულებებს წარმოადგენენ, ორივეს გარკვეული კეშმარიტი აზრი აქვთ, რადგან ისინი ერთიანობის ერთმანრობებს შეადგენენ, შედარებითი ბუნებისანი არიან და არა აბსოლუტური. რამდენადაც ერთი მათგანი მეორეს გამორიცხავს, ამდენად, ცხადია, ერთის კეშმარიტება მეორის შეცდომას მოასწავებს, მაგრამ რამდენადაც ორივე ერთიმეორეს ავსებენ შესამემდე, ამდენად ორივე კეშმარიტია, სახელდობრ, ნაწილობრივ კეშმარიტი, შეფარდებითად კეშმარიტი.

მაგრამ ორივე საპირისპირო მსჯელობის კეშმარიტების აღიარებით ანტინომიის გადაწყვეტას ეწინააღმდეგება კანტის აზრი მესამე და მეოთხე ანტინომიის შესახებ. ამ ანტინომიების გადაწყვეტას კანტი სწორედ იმით ცდილობს, რომ საწინააღმდეგო მსჯელობების კეშმარიტება დაასაბუთოს; მესამე და მეოთხე ანტინომიებში, კანტის აზრით, ორივე საწინააღმდეგო მსჯელობა კეშმარიტია, რადგან ისინი სხვადასხვა სფეროს (საგნის და მოვლენის სფეროებს) ეხებიან და ამიტომ წინააღმდეგობა არ არსებობს, იგი მხოლოდ მოჩვენებითია. ორივე საწინააღმდეგო მსჯელობის ერთდროული კეშმარიტება, თანახმად ძველი, ფორმალური ლოგიკისა, რომლის ნიადაგზედაც კანტი დგას, თვითონ წინააღმდეგობის გამაუქმებელია.

ნამდვილად კი, როგორც ახლა აღინიშნა, საპირისპირო მსჯელობები ნაწილობრივად კეშმარიტნი, შედარებითნი არიან, ხაწილობრივად კი მცდარნი, ამიტომ მათი არც მცდარობა და არც ასეთი კეშმარიტება არ არის წინააღმდეგობის მომხსნელი; თვითონ შედარებითობაც წინააღმდეგობრივი ბუნებისაა და ეს გარემოება თვითონ მსჯელობას, ცხადია, არ აუქმებს, პირიქით, მის დახასიათებას წარმოადგენს (ისე როგორც ძენონის მიერ აღმოჩენილი წინააღმდეგობრივი ბუნება მოძრაობისა მას, მოძრაობას კი არ აუქმებს, არამედ სწორედ მის არსებას ახასიათებს). დებულებათა კეშმარიტების ახ

მედარობის აბსოლუტურად წარმოდგენა ყოველთვის არ არის სწორი. კანტთან სწორედ ამ არასისწორესთან გვაქვს საქმე.

თვითონ პრობლემის დასმა: ქვეყანა დაბოლოებულია თუ დაუბოლოებელი, წინასწარ გულისხმობს იმას, რაც შესაძლებლობას იძლევა ამ დაწინააღმდეგებისა. თუ ვიტყვით იმას, რომ აქ არ არის წინააღმდეგობა, რადგან დაბოლოებულს დაუბოლოებელი მხოლოდ უპირისპირდება, რომ წინააღმდეგობა მხოლოდ დაუბოლოებელსა და არადაუბოლოებელს და დაბოლოებულსა და არადაბოლოებულს შორის არსებობს, მაშინ უნდა აღინიშნოს შემდეგი: 1) კანტიანური გადაწყვეტა თვითონ შეიცავს წინააღმდეგობას: ემპირიული პროგრესული სინთეზი დაბოლოებულიცაა და, ამავე დროს, რადგან არსად არ ჩერდება, ამიტომ არადაბოლოებულიც (ეს უკანასკნელი კი დადებითი დაუბოლოებელის ცნების ნიადაგზეა შესაძლებელი); 2) ქვეყნის მხოლოდ თავისთავად არსებულ საგნად აღიარება იძლევა შესაძლებლობას მოხდეს დაწინააღმდეგება დაბოლოებულსა და დაუბოლოებელს შორის. მაშასადამე, ქვეყნის თავისთავად აღიარების, ე. ი. მხოლოდ მატერიალიზმის თვალსაზრისით, დაუბოლოებელის და არადაუბოლოებელის დაპირისპირება უდრის დაუბოლოებელისა და დაბოლოებულის დაპირისპირებას, ე. ი. აქ დაპირისპირება წინააღმდეგობას ემთხვევა. დაუბოლოებელის საპირისპირო და საწინააღმდეგო ერთი და იგივეა; ეს არის დაბოლოებული. არადაუბოლოებელი შეიძლება მხოლოდ დაბოლოებული იყოს.

თუ იმას იტყვიან, რომ დაბოლოებული შინაარსითაა ძეტი არადაბოლოებულზე, ე. ი. ის მეტს შეიცავს, ვიდრე საჭიროა წინააღმდეგობისათვის, მაშინ უნდა ვუპასუხოთ შემდეგი: იქ, სადაც დაუბოლოებელს მხოლოდ არადაუბოლოებელი უპირისპირდება, წინააღმდეგობა სუბიექტის საშუალებით სრულდება; სუბიექტი ხელოვნურად აჩერებს საქმეს და არ მიდის იქამდე, რასაც შეუძლია უარყოს დაუბოლოებელი (თუ დაბოლოებული). არადაუბოლოებლობის გაურკვეველობას არ ექნება ძალა დაუბოლოებელის უარყოფისა, ის არ არის უარყოფელის შემცველი (ის მის მიმართ გულგრილია და არა უარყოფელი). აქ თვით სუბიექტია უარყოფელი და, ამავე დროს, თავის თავს არ თვლის უარყოფლად და ღებულობს მხოლოდ ცარიელ უარყოფას, ფორმალურ უარყოფას, უარყოფლის მხოლოდ შედეგს.

რას შეუძლია უარყოფის წარმოება, გარდა სუბიექტისა? მხოლოდ იმას, რაც უარსაყოფელს ობიექტურად უარყოფს. ობიექტურად უარყოფელი უსათუოდ დადებითი ნიშნის შემცველია და არა ცარიელი უარყოფა. უარყოფელი, ცხადია, მეტია, ვიდრე ცარიელი უარყოფა. მსჯელობების მხოლოდ ლოგიკური ფორმებიც რომ ავი-

დოთ, მაშინაც, როგორც ეს ზემოთაც აღვნიშნეთ, დადებითი მსჯელობის უარმყოფელი მსჯელობა მხოლოდ უარყოფა არ იქნება, რადგან უარყოფითი მსჯელობის ფორმა სულ სხვა და სწორედ საპირისპიროა მსჯელობის დადებითი ფორმისადმი.

მაშასადამე, ობიექტურად განხილული დაუბოლოებელისა და დაბოლოებულის ცნებების დაპირისპირება, ამავე დროს, წინააღმდეგობაცაა; ისინი ერთიმეორეს უდრიან არსებაში, დაუბოლოებელში. დაუბოლოებელი მხოლოდ ერთი შეიძლება იყოს და მისი უარმყოფელი სრულიადაც არაა გაურკვეველობა, ისიც მხოლოდ ერთია, სახელდობრ, დაბოლოებული, და პირიქით: დაბოლოებულის უარმყოფელი არის მხოლოდ დაუბოლოებელი, სხვა ყველაფერი ისევ ის დაბოლოებული იქნება, რომელსაც დაუბოლოებელი უარყოფს. დაუბოლოებელის ნიადაგზე არა-A-ს გაურკვეველობა იხსნება.

თვითონ ძველი, ფორმალური ლოგიკა ხსნის არა-A-ს გაურკვეველობას, როცა ის ცნებებიდან გადადის მსჯელობა-დასკვნებზე, სახელდობრ, გაყოფით მსჯელობა-დასკვნებზე, სადაც ცნების სახეები ერთიმეორის არა მხოლოდ უარმყოფელნი არიან, არამედ დადებითი ბუნებისაც. მიუხედავად ამისა, დასკვნები სწორად სრულდება, მაშასადამე, თვითონ ფორმალურ ლოგიკაშია გაურკვეველობა. კონტრარობისა და კონტრადიქტორობის დამოკიდებულების მიმართ.

კონტრარობის და კონტრადიქტორობის განსხვავებას მხოლოდ იქა აქვს აზრი, სადაც სიმრავლე გვაქვს, სახელდობრ, სადაც „ყველა“ „ზოგიერთს“ უპირისპირდება. კონტრადიქტორულია მსჯელობები: „ყველა S არის P“ და „ზოგიერთი S არ არის P“, მაგრამ სადაც „ყველა“ და „ზოგიერთი“ არა გვაქვს, ე. ი. გვაქვს მხოლოდ ერთის ერთთან დაპირისპირება, არსებაში კი სწორედ ასეა, აქ წინააღმდეგობა და დაპირისპირება ერთიმეორეს უდრის.

ზემოთ წარმოებული მტკიცებებიდან, კერძოდ იმ მტკიცებებიდან, რომელთაც მაგალითისათვის მხედველობაში კანტის ანტიზომიების პრობლემის გარკვეული მხარე ჰქონდათ, შეიძლება შემდეგი დასკვნები გავაკეთოთ: 1) არსების წინააღმდეგობის აუცილებლობა ამ წინააღმდეგობის ერთიანობაში მდგომარეობს; 2) წინააღმდეგობისათვის მესამე არის ერთიანობა, როგორც აუცილებელი დადებითი კავშირი, და არა საწინააღმდეგოთა ნაერთი; 3) არსებაში წინააღმდეგობა იგივე დაპირისპირებაა და პირიქით; არა მარტო დაპირისპირებისათვის არის აუცილებელი „რალაც მეტი, ვიდრე ეს საპირისპირო უარყოფისათვის“, არამედ ამას ადგილი აქვს წინააღმდეგობის დროსაც; 4) წინააღმდეგობის ერთიანობისათვის აუცილებელია არსებობის მომენტი, ამიტომ თავისებურად საბუთდება ჩვენგან

დამოუკიდებელი ქვეყნის შესახებ მეცნიერების შესაძლებლობა და აუცილებლობა; 5) ამ გარემოებას ისიც ამტკიცებს, რომ შესაძლებელია სინთეზური დასკვნები, რომლებსაც კანტი უარყოფდა და რომლებიც შინაგანი საფუძვლის — თვითსაფუძვლის შქონენი არიან, ე. ი. დაუბოლოებელის ამსახველ დასკვნებს წარმოადგენს. წინააღმდეგობის ერთიანობის გამომხატველი მსჯელობითი კავშირი სრული სინთეზური ბუნებისაა.

ეს დასკვნები ახსნას კიდევ საკიროებენ, მაგრამ ჩვენ აქ უშუალოდ დაპირისპირების და წინააღმდეგობის ბუნება გვაინტერესებს და არა სხვა, მასთან დაკავშირებული საკითხები, რომლებიც სპეციალურ გამოკვლევებს მოითხოვენ.

დაპირისპირება, არსებითად, წინააღმდეგობას წარმოადგენს. როგორც აღვნიშნავდით, დაპირისპირება (კონტრარობა) და წინააღმდეგობა (კონტრადიქტორობა) სხვადასხვაა მაშინ, როცა მხედველობაში მოვლენათა სიმრავლე გვაქვს; ისინი ერთ და იგივეს წარმოადგენენ, როცა ერთსა და იგივეში განიხილებიან; ერთსა და იმავე განსაზღვრულობაში, ერთსა და იმავე საგანში არსებული დაპირისპირება წინააღმდეგობას წარმოადგენს. განსაზღვრებაში უარყოფა არის საკუთარი თავის გარიცხვა და რადგან ის მასშივეა, ამიტომ იგი დამოუკიდებელია. დამოუკიდებელ საპირისპიროებს შორის წინააღმდეგობა არსებობს; მაგრამ რაც უფრო გამოკვეთილია ეს წინააღმდეგობა, ეს დამოუკიდებლობა, მით უფრო ხათე-ლია ერთიანობის აუცილებლობა<sup>1</sup>.

თუ საგანს ეკუთვნის დაპირისპირება, მაშინ ეს საგანი თავის თავთან წინააღმდეგობაში იმყოფება. ასევე ითქმის აზრის, როგორც ამ საგნის გამოხატვის, შესახებაც, მაგ., საგანი რჩება იგივე და ამავე დროს განუწყვეტლად იცვლება; „მყარობის“ და „ცვალების“ ამ დაპირისპირებაში მდგომარეობს წინააღმდეგობა: „Противоположность, — если вещи присуща противоположность, то эта вещь находится в противоречии с самой собой; то же относится и к выражению этой вещи в мысли. Например, в том, что вещь остается той же самой и в то же время непрерывно изменяется, что она содержит в себе противоположность между „устойчивостью“ и „изменением“, заключается противоречие<sup>2</sup>.

<sup>1</sup> ამიტომ სწორია აზრი, რომ უკიდურესობამდე მიყვანილი განსჯის საწინააღმდეგო განსაზღვრებანი ერთმანეთში გადადიან, ერთიანობაში არიან; ამით ჰქონდა აზრი კანტის ანტინომიებში არსებულ აუცილებლობას, რომლის ბოლომდე მოაზრება მან ვერ მოახერხა.

<sup>2</sup> Ф Э н г е л ь с. Анти-Дюринг. 1948. стр. 327.

აქ ორი გარემოებაა მნიშვნელოვანი: 1) გარკვეული აზრით, წინააღმდეგობა და დაპირისპირება ერთი და იგივეა, სახელდობრ, მაშინ, როცა რაიმე თავის თავში შეიცავს თავის უარყოფას; თვით-უარყოფაში წინააღმდეგობა და დაპირისპირება ერთიმეორეს უდრის. უარყოფა წინააღმდეგობას წარმოადგენს. მაგრამ თვითუარყოფა მეტია, ვიდრე მხოლოდ უარყოფა, საწინააღმდეგოებს დადებითი შინაარსიც გააჩნიათ და, კიდევ მეტი, ერთიანობაში არიან. ასეთია ყოველი თვითმობრაობა. სინამდვილის არსება კი თვითმობრაობაში მდგომარეობს, გვასწავლის მატერიალისტური დიალექტიკა.

2) დაპირისპირების და წინააღმდეგობის ეს იგივეობა ეხება არა მარტო საგნის ბუნებას, არამედ მისი ამსახველი აზრის ბუნებასაც. მართლაც, როგორც ენგელსი აღნიშნავს, როცა ვამბობთ, რომ საგანი იგივე რჩება, მაგრამ ამავე დროს განუწყვეტლად იცვლება. ე. ი. იგივე არ რჩება, მაშინ არა მარტო იმას აღენიშნავთ, რომ საგანში არსებული დაპირისპირება „მყარობასა“ და „ცვალებას“ შორის არის წინააღმდეგობა, არამედ თვითონ ამ საგნის წინააღმდეგობრივი ბუნების ამსახველი აზრის ბუნებასაც, სახელდობრ, მის წინააღმდეგობრივ ბუნებასაც ვააშკარავებთ. საგნის წინააღმდეგობრივი ბუნების გამოთქმას მსჯელობებით ვაწარმოებთ: 1) საგანი იგივე რჩება, ანუ ის „მყარია“ და 2) საგანი განუწყვეტლად იცვლება, ე. ი. არ რჩება იგივე. უკეთ: საგნის წინააღმდეგობრივ ბუნებას გამოვთქვამთ არა ორი მხოლოდ საპირისპირო მსჯელობით, არამედ ორი საპირისპირო მსჯელობის ერთიანობით.

თუ ამ ორ მსჯელობას ერთიმეორისაგან მოვწყვეტთ და მათ აბსოლუტურ მნიშვნელობებს მივცემთ, მაშინ, ცხადია, წინასწარ გამოვრიცხავთ მათ შეთავსებას და შემდეგ მათ შეუთავსებლობაზე ლაპარაკი, როგორც ამას ძველ, ფორმალურ ლოგიკაში აქვს ადგილი. ძალიან დაგვიანებული იქნება. ისინი, როგორც ამას ენგელსი ამბობს, ერთდროულად არიან მნიშვნელოვანი, ე. ი. კუშმარიტნი, რადგან ერთი და იგივე საგნის საპირისპირო და საწინააღმდეგო მხარეებს გამოთქვამენ, გამოხატავენ, ასახავენ. ისე, როგორც ერთი და იგივე საგნის საპირისპირო მხარეებს ერთიმეორით აქვთ აზრი, თუმცა სწორედ ერთიმეორეს უარყოფენ, ასევე ითქმის მათი ამსახველი მსჯელობების შესახებაც. აქ ორი საპირისპირო-საწინააღმდეგო მსჯელობის შეერთება კი არა გვაქვს, არამედ ერთიანობა, ერთიანის გაორება.

თუ საპირისპირო მსჯელობების შეერთება შეუძლებელია, მათი ერთიანობა კი უსათუოდ აუცილებელია. შესაძლებელია ორივე ამ გარემოების ერთგვარი მნიშვნელობათ ხმარებაც, როდესაც საქმე არსებას ეხება და არა არსებიდან გამომდინარე შედეგებს, თუმცა

ერთმხრიობანი სწორედ შედეგებია ერთი და იგივე არსებისა, რომელიც შინაგანი უარყოფით ამ მხარეებს და, მაშ., თავის თავსაც აღგენს.

ჩვენ იმას კი არ ვამბობთ, რომ ცვალებადობა, მოძრაობა და უცვლელობა, უძრავობა ერთი და იგივეა (ეს უაზრობა იქნებოდა, რასაც კარგად გამოხატავდა ძველი ლოგიკა), არამედ იმას, რომ თვითონ ცვალებადობა-მოძრაობაში და მის ამსახველ აზრშია ერთიმეორის საპირისპირო მხარეები. ამიტომ უნდა ითქვას, რომ საგნის შინაგან წინააღმდეგობას ისეთი დასკვნითი კავშირი გამოხატავს, რომლის მხარეებსაც საპირისპირო მსჯელობები, ერთმხრიობის გამომხატველი აზრები წარმოადგენენ. აქ დაპირისპირება ისეთ წინააღმდეგობას უდრის, სადაც არ გვაქვს ერთ-ერთი საპირისპირო მხარის მსგავსი მესამე (ასეთი მესამე გამორიცხულია), ე. ი. დაბოლოებული სფერო ამოწურულია, ერთიანობის მომენტი კი, რომლის საფუძველზედაც თვითონ წინააღმდეგობაა 'შესაძლებელი, დაუბოლოებელის მომენტს, არსებას წარმოადგენს დაბოლოებულში.

შეიძლება თქვან, რომ ახლახან გარჩეული მსჯელობები საპირისპირო მსჯელობებია და არა საწინააღმდეგო, იმიტომ რომ წინასწარ არ უნდა იქნეს მიღებული მოძრავი საგნის არსებობა. თუ მოძრავი საგნის არარსებობას მივიღებთ, მაშინ ორივე აღნიშნული საპირისპირო მსჯელობა მცდარი იქნება და წინააღმდეგობას არ ექნება ადგილი.

როგორც ზემოთაც აღვნიშნეთ, აქ შემდეგი უნდა ითქვას: რადგან აქ დაპირისპირებისა და წინააღმდეგობის გაიგივება შეიძლება მხოლოდ მოძრავი საგნის არსებობიდან გამოსვლით, ამიტომ სწორედ ეს გაიგივება მხოლოდ მატერიალიზმის საფუძველზეა 'შესაძლებელი და ლოგიკის ამ საკითხშიც უარყოფილ უნდა იქნეს იდეალისტური თვალსაზრისი, როგორც ყალბი.

შემდეგ. თვითონ მსჯელობებს ეკარგება აზრი მოძრავი საგნის არსებობის უარყოფის დროს და ამით არათუ წინააღმდეგობა უარიყოფა, არამედ დაპირისპირებაც, რომლის მიღებასაც ცდილობენ ასეთ შემთხვევებში; კიდევ მეტი: უარიყოფა ყველაფერი, არაფერი არ გვრჩება და ამით ვვარდებით ყალბ მდგომარეობაში.

როდესაც ჩვენ ვამბობთ, რომ ცვალებადი საგანი იგივეც რჩება და, ამავე დროს, არც რჩება იგივე, ამით (ე. ი. მსჯელობებით: „საგანი იგივეცაა“ და „საგანი არცაა იგივე“) უკვე გამოვთქვამთ საგნის ცვალებადობის წინააღმდეგობრივ ბუნებას; ცხადია, აქ საგნის, სწორედ ცვალებადი საგნის შესახებაა ლაბარაკი, მისი არსებობა ამავე მსჯელობებშივეა გამოთქმული; არსებობის მომენტს არ სჭირდება დამატებითი მსჯელობა, ასეთ შემთხვევაში, მივიღებდით ლოგიკუ-



რად ყალბ მდგომარეობას, რადგან არსებობის მომენტის საგანთან კავშირის არსებობის შესახებ კიდეც დაისმებოდა საკითხი და ა. შ. უსასრულოდ.

თუ საგნებს ერთიმეორეს გვერდით და ერთიმეორის შემდეგ, მოძრაობის გარეშე განვიხილავთ, მაშინ ჩვენ ვერ ვამჩნევთ მათში არსებულ შინაგან წინააღმდეგობას. ასეთ შემთხვევაში, ჩვენ ეხახულობთ საერთო თვისებებს, განსხვავებულ და საწინააღმდეგო თვისებებსაც; ეს საწინააღმდეგო თვისებები განაწილებულია სხვადასხვა საგანში და ამიტომ თვითონ საგნები შინაგან წინააღმდეგობას არ შეიცავენ; ვამჩნევთ გარეგან წინააღმდეგობას და არა შინაგან წინააღმდეგობას. ამ ფაგლებში ჩვენ შეიძლება იოლად წავიდეთ აზროვნების ჩვეულებრივი, მეტაფიზიკური წესით, ამტკიცებს ფ. ენგელსი.

ფ. ენგელსი წერს: „სანამ ჩვენ საგნებს ისე განვიხილავთ როგორც უძრავსა და უაიცოცხლოს, თითოეულს თავისთავად, ერთიმეორის გვერდით და ერთიმეორის შემდეგ, მართლაც არავითარ წინააღმდეგობას არ წავაწყდებით მათში. ჩვენ აღმოვაჩენთ განსაზღვრულ თვისებებს, რომლებიც ნაწილობრივ საერთო, ნაწილობრივ განსხვავებულია, კიდეც მეტი, ერთი მეორის საწინააღმდეგოა, მაგრამ ამ შემთხვევაში სხვადასხვა საგნებს შორისაა განაწილებული და, მაშასადამე, თვით არავითარ წინააღმდეგობას არ შეიცავს. სანამ გახხილვის საგანს ეს სფერო წარმოადგენს, ჩვენ შეგვიძლია აზროვნების ჩვეულებრივი მეტაფიზიკური წესით დავკმაყოფილდეთ“<sup>1</sup>.

მაგრამ თუ ჩვენ საგნებს მოძრაობა-ცვალებადობასა და ურთიერთმოქმედებაში განვიხილავთ, მაშინვე წავაწყდებით წინააღმდეგობას. მოძრაობა, ამბობს ენგელსი, თვითონ არის წინააღმდეგობა. მოძრაობის უმარტივესი ფორმა, მექანიკური მოძრაობა ხორციელდება იმის ძალით, რომ სხეული დროის ერთსა და იმავე მომენტში იმყოფება მოცემულ ადგილზე და ერთდროულად — მეორე ადგილზე, რომ იგი იმყოფება ერთსა და იმავე ადგილზე და არც იმყოფება მასში. ამ წინააღმდეგობის წარმოშობა და იმავდროული გადაწყვეტა არის ის, რასაც მოძრაობა ჰქვია; ფ. ენგელსის სიტყვებით: „მაგრამ სულ სხვაა, როცა ჩვენ საგნებს მათ მოძრაობაში, მათ ცვალებადობაში, მათ ცხოვრებაში, მათ ურთიერთზეგავლენაში განვიხილავთ. აქ მაშინვე წინააღმდეგობებს წავაწყდებით. თვით მოძრაობაც წინააღმდეგობაა; თვით მარტივი მექანიკური ადგილგადანაცვლება შეიძლება მოხდეს მხოლოდ ისე, რომ სხეული დროის ერთსა და იმავე მომენტში ერთ ადგილზეცაა და იმავე დროს მეორე

<sup>1</sup> ფ. ენგელსი, ანტი-დოურიზმი, გვ. 143.

ადგილზეც, ერთსა და იგივე ადგილზე იმყოფება და არც იმყოფება. და მოძრაობა სწორედ ამ წინააღმდეგობის მუდმივი დადგინება და იმავდროული გადაწყვეტაა<sup>1</sup>.

ასეთი ამონაწერების მოყვანა უამრავი შეიძლება მარქსიზმ-ლენინიზმის კლასიკოსთა ნაშრომებიდან. ჩვენ აქ ის გვინდა აღვნიშნოთ, როგორც ამას ენგელსი იქვე არკვევს, რომ აზროვნებაშიც ამგვარი მდგომარეობა გვაქვს; „აზროვნების სფეროშიც ვერ გავექცევით წინააღმდეგობებს...“<sup>2</sup>

ასეთი წინააღმდეგობაა, მაგალითად, წინააღმდეგობა შემეცნების განსაზღვრულ უნარსა და შემეცნების ნამდვილ უსასრულო განხორციელებას შორის; ანდა: შეიმეცნება მხოლოდ დაუბოლოებელი... ნამდვილი შემეცნება არის დაბოლოებულში დაუბოლოებელის შემეცნება<sup>3</sup>. ანდა ავიღოთ წრფე და მრუდი. მეტაფიზიკური გონებისათვის „წრფე შეუძლებელია მრუდი იყოს, ხოლო მრუდი — წრფე. მაგრამ, ჭანსალი ადამიანური გონების ყოველი პროტესტის მიუხედავად, დიფერენციალური აღრიცხვა განსაზღვრულ პირობებში ათანაბრებს წრფესა და მრუდს და ამით აღწევს ისეთ წარმატებებს, რომელთაც ვერასოდეს ვერ მიაღწევდა ჭანსალი ადამიანური გონება, რომელიც გაჭიქდებოდა წრფისა და მრუდის იგივეობის უაზრობაზე“<sup>4</sup>. „თუ მოძრაობის უმარტივესი ფორმა, — აღნიშნავს ენგელსი, — არის შესაძლებელი შინაგანი წინააღმდეგობით, რატომ მატერიის განვითარების უმაღლეს ფორმას არ უნდა ახასიათებდეს იგი“<sup>5</sup>: რატომ უმაღლესად ორგანიზებული მატერიის თვისებას — აზროვნებას არ უნდა გააჩნდეს იგი? აზროვნება ხომ ასახვას უნდა წარმოადგენდეს, ის გაგებას უნდა ნიშნავდეს. თუ მოძრაობა შინაგანი წინააღმდეგობის შემცველია, რატომ მისი ამსახველი აზროვნება არ უნდა იყოს ასეთი?

როგორც აღინიშნა, მოძრაობას გამოთქვამს ერთიანობა საპირისპირო მსჯელობებისა: 1) სხეული იმყოფება ერთ ადგილზე და, ამავე დროს, 2) სხეული არ იმყოფება ამ ადგილზე; ანუ, უკეთ, ერთი და იგივე სხეული ერთსა და იმავე დროს, ერთსა და იმავე ადგილზე კიდევ იმყოფება და არც იმყოფება. ძენონი სწორედ იმ აზრით კი არ უარყოფდა მოძრაობას, როგორც ამას ლენინი აღნიშნავდა, რომ მის ობიექტურ არსებობას ვერ ხედავდა (როგორც ამას დიოგენე ფიქრობდა), არამედ იმ აზრით, რომ მისი (მოძრაობის)

<sup>1</sup> ფ. ენგელსი, ანტი-დიურინგი, გვ. 143.

<sup>2</sup> იქვე, გვ. 144.

<sup>3</sup> ფ. ენგელსი, ბუნების დიალექტიკა, გვ. 240.

<sup>4</sup> ფ. ენგელსი, ანტი-დიურინგი, გვ. 143.

<sup>5</sup> იქვე, გვ. 144.

ცნებებში ლოგიკურად გამოხატვა ვერ მოეხერხებინა. Вопрос не о том, есть-ли движение, а о том, как его выразить в логике понятий<sup>1</sup>. — მეტაფიზიკური აზროვნება უარყოფს მოძრაობას იმიტომ, რომ უძრაობის ცნებას ვერ უკავშირებს მოძრაობის ცნებას, უძრაობის ცნებიდან ვერ გადადის მოძრაობის ცნებაზე. „მეტაფიზიკურად მოაზროვნე გონებას აბსოლუტურად არ შეუძლია უძრაობის აზრიდან მოძრაობის აზრზე გადავიდეს, იმიტომ რომ აქ მას ზემოთ აღნიშნული წინააღმდეგობა გზას უღობავს. მისთვის მოძრაობა სრულიად გაუგებარია, იმიტომ რომ იგი წინააღმდეგობაა, და რადგანაც იგი მოძრაობის გაუგებრობას ამტკიცებს, თავისდა უნებურად თვითონვე აღიარებს ამ წინააღმდეგობის არსებობას, მაშასადამე, აღიარებს, რომ წინააღმდეგობა თვით საგნებსა და პროცესებში არსებობს ობიექტურად, რომ ეს წინააღმდეგობა ამასთან ფაქტიურ ძალას წარმოადგენს“<sup>2</sup>.

ვფიქრობთ, რომ ფ. ენგელსის ამ დებულებებში არსებითად გადაწყვეტილია ჩვენთვის საინტერესო პრობლემა, სახელდობრ კემმარტი ლოგიკური წინააღმდეგობის შესაძლებლობის პრობლემა. ფ. ენგელსის ახლა მოყვანილი დებულებები შემდეგ აზრებს შეიცავენ: 1) მოძრაობა წინააღმდეგობაა, რომლის გაგებაც წინააღმდეგობრივია; ეს წინააღმდეგობრიობა მეტაფიზიკოსს შეცდომად მიაჩნია, ამიტომ იგი მოძრაობასაც უარყოფს; 2) იმის მტკიცებით, რომ მოძრაობა გაუგებარია, მეტაფიზიკოსი ამ წინააღმდეგობის არსებობას აღიარებს; ამრიგად, 3) თუ მოძრაობა, რომელიც წინააღმდეგობაა, არსებობს, მისი მოაზრება კი წინააღმდეგობას იწვევს თვითონ აზროვნებაში, რასაც მეტაფიზიკოსი შეცდომად თვლის (და ამიტომ იგი მოძრაობასაც უარყოფს), მაშინ აზროვნების ეს წინააღმდეგობა, როგორც მოძრაობის წინააღმდეგობრივი ბუნების ასახვა — გაგება, ისეთი ლოგიკური წინააღმდეგობაა, ანუ: ისეთი წინააღმდეგობაა ლოგიკურში, რომელიც კემმარტიტებას წარმოადგენს და არა შეცდომას.

მაშასადამე, როგორც ეს ენგელსის აქ მოყვანილ დებულებაშია გამოთქმული, შეცდომას, უაზრო წინააღმდეგობას წარმოადგენს აზრი აღიარო მოძრაობის მიუწვდომლობა იმის გამო, რომ მასი ცნებებში გამოთქმა ვერ მოახერხო, ე. ი. უარყო ლოგიკურში კემმარტი შინაგანი წინააღმდეგობა, და, მეორე მხრით, უაზრობაა წინააღმდეგობა არსებულად, ნამდვილ ძალად მიიჩნია — და, ამავე დროს,

<sup>1</sup> В. И. Ленин, Философские тетради, стр. 240

<sup>2</sup> ფ. ენგელსი. ანტი-დიურინგი, გვ. 144.

არ აღიარო წინააღმდეგობა ლოგიკურში, როგორც ქეშმარიტი კავშირი აზრებისა.

თუ ვაღიარებ, რომ სინამდვილეში არსებობს შინაგანი წინააღმდეგობა, რომ სინამდვილის განვითარების უნივერსალური კანონი წინააღმდეგობის ერთიანობის კანონია, ე. ი. თუ მესმის და გაგებულნი მაქვს მოძრავ საგანთა არსება, და, ამავე დროს, ვამბობთ, რომ აზროვნებაში შინაგან, დიალექტიკურ-ლოგიკურ წინააღმდეგობას არ უნდა ჰქონდეს ადგილი, რომ ლოგიკურის აბსოლუტურ კანონს წინააღმდეგობის შეუძლებლობის კანონი წარმოადგენს, მაშინ, როგორც ეს ახლა აღინიშნა. ვვარდები შეცდომაში, გამოუვალ, უაზრო წინააღმდეგობაში. წინააღმდეგობის გაგება იმას ნიშნავს, რომ აზრი მას ასახავდეს, მის სურათს წარმოადგენდეს, ე. ი. მას წინააღმდეგობრივი დებულებების ერთიანობით გამოთქვამდეს. ცხადია, მხოლოდ წინააღმდეგობა, ერთიანობის გარეშე აღებული წმინდა წინააღმდეგობა უაზრობას წარმოადგენს, სახელდობრ იმ უაზრობას, რომელსაც წინააღმდეგობის ერთიანობა ხსენის.

საგანთა დიალექტიკა ჰქმნის ცნებათა დიალექტიკას<sup>1</sup>. წინააღმდეგობის ერთიანობამდე მისული ცნებათა მოქნილობა<sup>2</sup> ასახავს საგანთა დიალექტიკას. ამიტომ დიალექტიკა არის აზროვნების უმაღლესი ფორმა. ცხადია, „დიალექტიკა როგორც აზროვნების უმაღლესი ფორმა“<sup>3</sup>, აზროვნების სწორედ. ლოგიკური ფორმაა. თვითონ წესი აზროვნებისა, სახელდობრ დიალექტიკური წესი აზროვნებისა, მხოლოდ ლოგიკური წესი შეიძლება იყოს<sup>4</sup>.

მეტაფიზიკოსისათვის, ამბობს ენგელსი, საგნები და მათი აზრობრივი გამოხატულებანი, ე. ი. ცნებები არიან განცალკევებულნი, უცვლელნი, ერთხელ და სამუდამოდ მოცემულნი, რომლებიც ერთიმეორის შემდეგ და ერთიმეორისაგან დამოუკიდებლად განიხილებიან. მეტაფიზიკოსის აზროვნება ერთნაირად გაუშუალებული დაპირისპირებებით აზროვნებაა; ის ემყარება დებულებას: ჰო — ჰო, არა — არა. მისთვის საგანი ან არსებობს ან არ არსებობს, საგანი არ შეიძლება იყოს დასეთი და სხვანაირი; დადებრივი და უარყოფითი ერთიმეორეს აბსოლუტურად გამორიცხავენ.

რადგან ზოგიერთი საბჭოთა ლოგიკოსი (მაგ. პროფ. კ. ბაქრაძე) ამტკიცებს, რომ თითქოს, მარქსიზმ-ლენინიზმის კლასიკოსების

<sup>1</sup> В. И. Ленин, Философские тетради, 169.

<sup>2</sup> მარქსი, ფ. ენგელსი, რჩეული ნაწერები, ტ. II, გვ. 465.

<sup>3</sup> В. И. Ленин, Философские тетради, стр. 84.

<sup>4</sup> ფ. ენგელსი, ანტი-დღურინგი, გვ. 25.

<sup>5</sup> კ. მარქსი. პოლიტიკური ეკონომიის კრიტიკისათვის. გვ. 118

აზრით, დიალექტიკა მხოლოდ სინამდვილეშია და არა ლოგიკურ. აზროვნებაში, ამიტომ საჭიროდ მიგვაჩნია მოვიყვანოთ ფ. ენგელსის აზრი მისივე სიტყვებით. იგი წერს: „მეტაფიზიკოსისათვის საგნები და მათი აზროვნებითი ასახვანი, ცნებანი, წარმოდგენენ კვლევადიების განცალკევებულ, ერთი მეორის მიყოლებით და ერთიმეორის დამოუკიდებლად განსახილველ, მყარ გაქვავებულ, ერთხელ და სამუდამოდ მოცემულ საგნებს. იგი აზროვნებს ამკარა უშუალო დაპირისპირებით, ის ამბობს: „ჰო — ჰო, არა — არა, ამას გარდა ყოველივე ბოროტებაა“. მისთვის საგანი ან არსებობს, ან არ არსებობს; აგრეთვე შეუძლებელია საგანი ერთსა და იმავე ღრის თავისთავი იყოს და სხვა. დადებითი და უარყოფითი აბსოლუტურად გამორიცხავენ ერთმანეთს; მიზეზი და შედეგიც ერთიმეორისადმი გაქვავებულ დაპირისპირებანია“<sup>1</sup>. ასე, ასეთი წესით მოქმედებს „სალი ადამიანური განსჯა“, აზროვნება ოთხ კედელს შუა<sup>2</sup>.

მეტაფიზიკური აზროვნება, ენგელსის აზრით, სწორი და აუცილებელიცაა გარკვეულ სფეროში, მაგრამ გარკვეული საზღვრების იქეთ ცალმხრივი ხდება და იხლართება გამოუვალ წინააღმდეგობებში, რადგან ცალკეულ საგნებს იქეთ ვერ ხედავს მათ ურთიერთკავშირს, მათი არსებობის იქით — მათ წარმოშობა-მოსპობას. მათი უძრაობის გამო ივიწყებს მოძრაობას, ხეებს იქით ვერ ხედავს ტყეს. ფ. ენგელსის სიტყვებით „მეტაფიზიკური მსოფლმხედველობა (метафизический образ мышления), თუმცა მართებულია და აუცილებელიც გარკვეულ სფეროებში საგნის ბუნების მიხედვით მეტნაკლებად ფართო ასპარეზზე, ადრე თუ გვიან აღწევს იმ ზღუდეს, რომლის იქით იგი ცალმხრივი, შეზღუდული, აბსტრაქტული ხდება და გადაუჭრელ წინააღმდეგობებში იხლართება, იმიტომ რომ იგი ცალკეულ საგნებში მათ კავშირს ივიწყებს, მათ მყოფობაში მათს ქმნადობას და წარმავლობას, მათი უძრაობის იქით მათს მოძრაობას, ხეებს ხედავს და ტყეს ვერა“<sup>3</sup>. დიალექტიკოსი კი, ამბობს ენგელსი, ლებულობს „საგნებსა და მათ გონებრივ ასახვათ არსებითად მათს კავშირში, მათს გადაჯაჭვაში, მათს მოძრაობაში“<sup>4</sup>.

მაშასადამე, დაპირისპირებულნი და წინააღმდეგობაში მყოფნი უნდა განხილულ იქნენ ურთიერთგამუთალებაში როგორც სინამდვილეში, ისე აზროვნებაში. ისტორიულის ამსახველი ლოგიკურიც დიალექტიკურია, თუ ხეებს იქეთ ტყეს დავინახავთ, ე. ი. თუ მოვ-

<sup>1</sup> ფ. ენგელსი, ანტი-დოჰინგი, გვ. 27.

<sup>2</sup> იხ. იქვე.

<sup>3</sup> იქვე, გვ. 27 — 28.

<sup>4</sup> იქვე.

ლენების ზედაპირზე არ შეეჩერდებით, თუ მოვლენების სიმრავლე არ ამოსწურავს ჩვენს აზროვნებას, როგორც ეს ძველ, ფორმალურ ლოგიკას მოსდის, იმ ლოგიკას, რომელსაც ნამდვილი, სრული ლოგიკურის მხოლოდ ერთმხრიობა ჰქონდა მხედველობაში. იგი აუცილებლად უნდა ისწავლებოდეს იქ, სადაც ძნელია არსების ახსნა, სადაც საჭიროა მხოლოდ მოვლენებით დაკმაყოფილდე იმისათვის, რომ შემდეგ შეიჭრა არსებაში; ჯერ ხეები უნდა ისწავლო და შემდეგ ტყე, ცხადია, არა ხეების გარეშე. პირველი მეორეშია მოხსნილი და მეორის დროს პირველს მხოლოდ დაქვემდებარებული აზრით შეუძლია არსებობა. ერთმხრივის აბსოლუტურად მიჩნევა კი, რაც მეტაფიზიკურ აზროვნებას ახასიათებს, უნდა იქნეს უარყოფილი. ამიტომ დიალექტიკა უპირისპირდება და აბსოლუტურად გამორიცხავს მეტაფიზიკას.

ზემოთწარმოებული მტკიცებანი სრულიადაც არ გვეუბნებიან იმას, რომ სინამდვილეში არსებული დამოკიდებულება და ლოგიკურში არსებული დამოკიდებულება თითქოს უნდა გავაიგივოთ; ასეთ შემთხვევაში მივიღებდით ჰეგელიანურ სიყალბეს, წარმოვიდგენდით საგანთა დამოკიდებულებას, როგორც წმინდა ლოგიკურ დამოკიდებულებას. ის გარემოება, რომ საგნის არსება და მისი ამსახველი აზრის არსება ერთი წესით, სახელდობრ დიალექტიკური წესით, არსებობს, სრულიადაც არ ნიშნავს მათ იგივეობას. სინამდვილეც დიალექტიკურია და აზროვნებაც, მაგრამ ეს მათ იგივეობას სრულიადაც არ მოასწავებს.

არც სინამდვილესა და აზროვნებას შორის განსხვავება აუქმებს მათ ერთიანობას; ის გარემოება, რომ ლოგიკური პროცესი სხვა ბუნებისაა, ვიდრე სინამდვილის რეალურ-ისტორიული პროცესი, სრულიადაც არ ნიშნავს იმას, რომ ლოგიკურში არ არსებობდეს სინამდვილით განსაზღვრული დამოკიდებულება, ობიექტური დამოკიდებულება, სადაც არსებითი უარყოფის მომენტი, როგორც განსაზღვრულობის შინაგანი მომენტი. ცნებათა დიალექტიკაც არსებობს, რადგან იგი სინამდვილის, საგანთა დიალექტიკის ასახვაა.

ის, რაც ჰეგელის იდეალისტურ დიალექტიკას ხელს უწყობდა ცნებათა დიალექტიკური დამოკიდებულების გარკვევისას, ნამდვილად ხელის შემშლელია მეცნიერული თეორიის ჩამოყალიბებისათვის ცნებათა დამოკიდებულების შესახებ. არა აბსოლუტის უცნაური უნარი, არამედ თვით სინამდვილეში არსებულ საგანთა განსაზღვრულობანი, რომელნიც, როგორც თვითმომძრაობის განსაზღვრულობანი, აისახებიან და გამოითქმიან და ამიტომაც განსაზღვრავენ ცნებათა დამოკიდებულებას, საერთოდ ლოგიკურის ბუნებას, სწო-

რედ ობიექტურ-ლოგიკურის ბუნებას. ლოგიკური, როგორც აზრი, სუბიექტურია, მაგრამ, როგორც სინამდვილის ასახვის გარკვეულობა, ობიექტურია. სუბიექტურის განსაზღვრულობა, რამდენადაც ის სინამდვილის შედეგია, ობიექტურის, საგნის ბუნებითაა განსაზღვრული, იმდენად ჩვენგან დამოკიდებულია (და არა ჩვენგან დამოუკიდებლად არსებული).

ლოგიკურის ფორმათა რეალური საფუძველი (და არა ლოგიკური საფუძველი) სინამდვილის, საგნის გარკვეულობაა. ლოგიკურში მოცემულია ცოდნა საგანთა და მათ განსაზღვრულობათა დამოკიდებულების შესახებ. კიდევ ვიმეორებთ, რომ არ არსებობს უსაგნო აზრი; აზრი არის აზრი საგნის შესახებ. ლოგიკური გაგებულ უნდა იქნეს მისი შინაარსის პრინციპით; და რადგან, როგორც ეს ზემოთ გავარკვიეთ, შინაარსი არის განსაზღვრულობა, რომელშიც არსებითია შინაგანი უარყოფა და შინაგანი წინააღმდეგობა, ამიტომ ლოგიკურის ბუნების გაგება მისი შინაგანი წინააღმდეგობის გაგებას ნიშნავს. ლოგიკური, რადგან საგნის არსებას, დაპირისპირებულთა ერთიანობას უნდა ასახავდეს, ამიტომაც თვითონაც მას უნდა წარმოადგენდეს. დაპირისპირებულთა ერთიანობის ლოგიკური გამოხატვა კი, როგორც ეს ზემოთაც აღინიშნა, დაპირისპირებულ მსჯელობათა ერთიანობას, ე. ი. დიალექტიკურ დასკვნით კავშირს უნდა წარმოადგენდეს; სწორედ ეს დასკვნა, როგორც აზრთა აუცილებელი კავშირი, უნდა იყოს ასახვის არსებითი, ძირითადი ფორმა.

მაშასადამე, მცდარია ზოგიერთი ლოგიკოსის აზრი რომ: 1) თუ ჩვენ სინამდვილის დიალექტიკის აღიარებასთან აზროვნების, სახელდობრ, ლოგიკური აზროვნების დიალექტიკასაც ვადიარებთ, მაშინ მათ ერთიმეორესთან ვაიგივებთ; 2) აზროვნებაში დიალექტიკის არსებობა მას სინამდვილისაგან დამოუკიდებელს გახდიდა და ამით არსის და აზრის გათიშვას მივიღებდით. მაგრამ, როგორც ითქვა, სინამდვილის დიალექტიკა აზრთა დიალექტიკურ კავშირს ჰქმნის; ფ. ენგელსის და ვ. ი. ლენინის თქმით (როგორც ეს ზემოთ აღინიშნა და შემდეგ კიდევ უფრო დწვრილებით გაიკრევეა), თუ აზრთა კავშირი არაა დიალექტიკური, მაშინ იგი სინამდვილის დიალექტიკას ვერ ასახავს (მაგ. მოძრაობის აზრებით გამოხატვა, როგორც ითქვა, აუცილებლობით იწვევს აზრთა დიალექტიკურ კავშირს); სწორედ ასეთ შემთხვევაში მოწყდება აზროვნება სინამდვილეს. დიალექტიკის კანონები უზოგადესი კანონებია მოძრაობის ყოველგვარი ფორმისათვის, მაგრამ ეს გარემოება, ცხადია, ამ ფორმათა სპეციფიკურობას სრულიადაც არ აუქმებს; წინააღმდეგ შემთხვევაში, დიალექტიკის კანონებიც დაკარგავდნენ თავიანთ ზოგადობას.

როგორც ზემოთ აღვნიშნავდით, მოძრაობის ფორმათა ბუნების გაგებისათვის მთავარია ის, თუ როგორია წინააღმდეგობის ბუნება. წინააღმდეგობის ბუნება წინასწარვეა ნაგულისხმევი მისი ამა თუ იმ სახეობისა და განხორციელების მიერ; უკანასკნელნი პირველის საფუძველზე გაიგებიან. თავისებურება და განსხვავება ერთიანის საფუძველზეა შესაძლებელი და გასაგები.

როგორც ზემოთ აღვნიშნეთ, ძველი ლოგიკის თანახმად, დაპირისპირება იმიტ განსხვავდება წინააღმდეგობისაგან, რომ ლოგიკურ წინააღმდეგობაში არა-A არის A-ს მხოლოდ უარყოფა; დაპირისპირების დროს კი უარყოფელი რაიმე დადებითსაც წარმოადგენს. ჩვენ კი ვფიქრობთ (როგორც ითქვა), რომ წინააღმდეგობაც ისეთივე მომენტებისაგან შედგება, როგორც დაპირისპირება. მართლაცდა, თუ რაიმეს უარყოფა მხოლოდ უარყოფაა, მისი უარყოფელი არაა გარკვეულად, და საერთოდაც, დადგენილი (ე. ი. თვითონ განსაზღვრული და უარყოფილი უარსაყოფის მიერ), მაშინ უარყოფელი გამოდის სუბიექტი, რომელიც საგნებზე მსჯელობას და აბსტრაქციებს აწარმოებს. უარყოფელი, ასეთ შემთხვევაში, არაა ობიექტური, ე. ი. არ არსებობს ისე, როგორც უარსაყოფელი არსებობს. ამგვარი გზით მივიღებთ თვითონ უარყოფისა და წინააღმდეგობის უარყოფას, რადგან უარსაყოფელი და უარყოფელი სრულიად სხვადასხვა სფეროში იქნებოდა მოთავსებული.

თუ არა-A-ში A-ს გარდა ყველაფერი იგულისხმება, ე. ი. — A-ს გარდა მთელი სინამდვილე, მაშინაც ასეთი წინააღმდეგობის შემქმნელი გარეკანი, ხელოვნური და სუბიექტური ძალა იქნებოდა. ამ შემთხვევაშიც დაიკარგებოდა ლოგიკურობა, განსხვავებულთა და დაპირისპირებულთა აუცილებლობას, მათი კავშირის აუცილებლობას ადგილი არ ექნებოდა. თუ წინააღმდეგობას სუბიექტში მოვაქცევთ და სინამდვილეში მის არსებობას უარყოფთ (როგორც ამას ადგილი ჰქონდა, მაგ., კანტთან) ანდა, პირიქით, აზროვნებაში წინააღმდეგობას გვაუქმებთ და მხოლოდ სინამდვილეში ვალიარებთ მის არსებობას, მაშინ საკითხი მხოლოდ ადგილს მოინაცვლებდა და ლოგიკურისათვის, სიმძნელის მხრით, მდგომარეობა სრულიადაც არ შემსუბუქდებოდა. ლოგიკურისათვის არ არის არსებითი, თუ სად იქნება განხილული წინააღმდეგობა; მისთვის მისი ბუნების და არა ადგილსამყოფელის გარკვევაა მთავარი. ლოგიკურში დიალექტიკური წინააღმდეგობის, როგორც სინამდვილეში არსებული წინააღმდეგობის ასახვის, გაგება ერთადერთ მეცნიერულ გაგებად უნდა ჩაითვალოს.



ვისთვისაც დიალექტიკურ წინააღმდეგობას აზროვნებაში აქვს ადგილი, იგი ვალდებულია სინამდვილეშიც წინააღმდეგობის არსებობა მიიღოს, სწორედ ამდენად ჰქონდა ჰეგელის ფილოსოფიაში ადგილი „რაციონალურ მარცვალს“, იგი „მიხვდა“, „მხოლოდ მიხვდა“ (угадаи) საგანთა დიალექტიკას<sup>1</sup>. ვინც დიალექტიკური წინააღმდეგობის მხოლოდ სინამდვილეში არსებობას აღიარებს, ის იძულებულია აზროვნებაშიც აღიაროს ასეთი წინააღმდეგობა, წინააღმდეგ შემთხვევაში, როგორც ზემოთ აღინიშნა, იგი უაზრო წინააღმდეგობაში, ყალბ მდგომარეობაში ჩაეარდება. ვინც სინამდვილეში წინააღმდეგობის არსებობას უარყოფს, ის აზროვნებაშიც უარყოფს მის არსებობას. ანუ უკეთ: მას მხოლოდ შეცდომად თვლის; წინააღმდეგობა მისთვის შეუძლებელია; სწორედ ამ გარემოებას გამოთქვამს ძველი, ფორმალური ლოგიკის კანონი, სახელდობრ წინააღმდეგობის შეუძლებლობის კანონი.

ამიტომ ყალბია აზრი, თითქოს წინააღმდეგობა მხოლოდ აზროვნებაში იყოს და არა სინამდვილეში, — თითქოს სინამდვილეში წინააღმდეგობის აღიარება „უაზრობას კლასიკურ მავალთს წარმოადგენდეს“<sup>2</sup>; თითქოს „რეალურად აღიარებული წინააღმდეგობა უაზრობის მწვერვალს წარმოადგენდეს“, როგორც ამას დიურინგი აღიარებდა და რასაც ფ. ენგელსი ებრძოდა და ანადგურებდა<sup>3</sup>.

ყალბია ის თვალსაზრისიც, რომლისთვისაც წინააღმდეგობა მხოლოდ სინამდვილეშია და არა აზროვნებაში; ამ შემთხვევაში, აზროვნება სინამდვილეზე მაღლა მდგარად წარმოგვიდგება. რაც არამეცნიერულ შეხედულებას წარმოადგენს, რადგან ვინც იმას იტყვის, რომ მატერიალური სინამდვილე დიალექტიკური წინააღმდეგობის შინაჰქონეა, აზროვნება კი მისი მოაზრების დროს აღარაა დიალექტიკური (და არა ყოველგვარი) წინააღმდეგობის შემცველი, — იგი წინააღმდეგობისაგან თავისუფალია, მაშინ — ამის მთქმელი. — აზროვნებას მატერიალურ სინამდვილეზე მაღლა აყენებს, — მატერიალური სინამდვილისაგან მის განსაზღვრულობას უარყოფს. — და რადგან საერთოდ უფრო მაღალი დაბალს განსაზღვრავს, ამიტომ, ამ შემთხვევაშიც, აზრი სინამდვილის განმსაზღვრელად წარმოგვიდგებოდა, რაც. ცხადია, იდეალიზმის მეტს არაფერს წარმოადგენს.

<sup>1</sup> В. И. Ленин. Философские тетради, стр. 167.

<sup>2</sup> Д. Гильберт. Основания геометрии, 1948, стр. 341. აგრეთვე. Husserl, Logische Untersuchungen, I. არაომრებები ზილის წინააღმდეგ.

<sup>3</sup> ფ. ენგელსი - აზრი იურინგისა და ...

მაგ., არისტოტელესთვის არსიც და აზროვნებაც წინააღმდეგობის შეუძლებლობას ემყარება; მისი აზრით, სინამდვილე გარკვეულობაა, გამორიცხავს წინააღმდეგობას და განსაზღვრავს შესაძლებლობას, რომელიც წინააღმდეგობის შემცველია (ის არსებობის ისეთი ხარისხია, რომელიც შეუძლებლობასაც შეიცავს)<sup>1</sup>. „ნამდვილი სინამდვილე“ კი არისტოტელესთვის „ფორმის ფორმა“ ანუ „აზროვნების აზროვნებაა“. ასევე ყალბია სინამდვილისა და ლოგიკურის წინააღმდეგობათა გაიგივება.

მხოლოდ ასახვის მარქსისტულ-ლენინური თეორიის საფუძველზე შეიძლება ამ პრობლემის სწორი, ნამდვილი მეცნიერული გადაწყვეტა, — სინამდვილისა და ლოგიკურის შინაგან წინააღმდეგობათა ერთიანობა-განსხვავების ნამდვილი გაგება.

გ) დ ი ა ლ ე ქ ტ ი კ უ რ ი წ ი ნ ა ა ლ მ დ ე გ ო ბ ა და „აზროვნების ძირითადი კანონები“.

1) წინააღმდეგობის შეუძლებლობის კანონის შესახებ. ეხლა ვიკითხოთ, შეიძლება თუ არა წინააღმდეგობის უარყოფა, მისი შეუძლებლობის აღიარების გამართლება და რაში მდგომარეობს წინააღმდეგობის შეუძლებლობის პირობები, როგორია წინააღმდეგობის შეუძლებლობის, თუ შეიძლება ასე ითქვას, შესაძლებლობა?

წინააღმდეგობის შეუძლებლობის საკითხი, არსებითად, ჩვენ მიერ უკვე გარკვეულია. წინააღმდეგობის შეუძლებლობის ამლიარებელი აბსოლუტური იგივეობის ამლიარებელია; აბსოლუტური იგივეობის ცნების სიყალბე ზემოთ გამოვანაშკარავეთ სწორედ წინააღმდეგობის ბუნების გაგების თვალსაზრისით.

როგორც ვნახეთ, არ არსებობს სინამდვილეში წმინდა აბსოლუტური იგივეობა; მას არ აქვს ადგილი აზროვნებაშიც; არც ერთი გარკვეული აზრი (მით უმეტეს გაურკვეველი, თუკი შეიძლება ასეთი რამ ლოგიკურში არსებობდეს) არაა თავის თავთან აბსოლუტურად იგივე, იგი ყოველთვის განსხვავებულთა ერთიანობას წარმოადგენს. ამიტომ დაპირისპირება — წინააღმდეგობის შეუძლებლობა ეწინააღმდეგება როგორც სინამდვილეს, საგანთა ბუნებას, ისე აზროვნებას და მის კანონებს. შინაგანი წინააღმდეგობა წყაროა მოძრაობისა როგორც სინამდვილეში, ისე აზროვნებაში.

წინააღმდეგობის შეუძლებლობა იმას კი არ უნდა ნიშნავდეს, რომ წინააღმდეგობა არ არის შესაძლებელი და მხოლოდ იგივეობა არსებობს. არა, წინააღმდეგობის შეუძლებლობა იმას მოასწავებს, რომ მოწინააღმდეგეთა შერიგებაა შეუძლებელი. წინააღმდეგობის

<sup>1</sup> იხ. არისტოტელეს „მეტაფიზიკის“ მე-9 წიგნი.

შეუძლებლობა მის (წინააღმდეგობის) შესაძლებლობას წინასწარვე გულისხმობს, ისე როგორც ყოველ უარყოფითს დადებითთ აქც-აზრი.

თუ წინააღმდეგობა შეუძლებელია, მაშინ მისგან დაცვაც არ იქნებოდა საჭირო. წინააღმდეგობა რომ შეუძლებელი იყოს, მაშინ წინააღმდეგობის საწინააღმდეგო კანონით მოქმედებაც არ იქნებოდა აუცილებელი. ის, რომლის წინააღმდეგაც გარკვეული კანონით მოქმედებენ, ცხადია, შესაძლებელია და ნამდვილადაც არსებობს, წინააღმდეგ შემთხვევაში, ქარის წისკვილებთან ბრძოლა გვექნებოდა. წინააღმდეგობის შეუძლებლობა თვითონ ნათელყოფს წინააღმდეგობის შესაძლებლობას და აუცილებლობას; რაც შესაძლებელია, ის ნამდვილ საფუძველსაც გულისხმობს. წინააღმდეგობა თვითონ მოითხოვს ერთიანობას, რომელშიც მას არსებობა შეუძლია. მხოლოდ წინააღმდეგობის და მისი ერთიანობის საფუძველზე შეიძლება ლაპარაკი წინააღმდეგობის შეუძლებლობის შესახებ.

მაგრამ შეიძლება თქვან, რომ წინააღმდეგობის შესაძლებლობა შეცდომის შესაძლებლობას უდრის და სხვას არაფერს. ლოგიკა კრძალავს წინააღმდეგობას იმიტომ, რომ მისი აზროვნებაში დაშვება შეცდომაა, ე. ი. შეუძლებელია წინააღმდეგობრივი სწორი აზროვნება. ამიტომ წინააღმდეგობის შეუძლებლობა წინააღმდეგობის შესაძლებლობის უარყოფაა და არა — მისი დამშვები.

ძველმა ლოგიკამ, ცხადია, კარგად იცის, რომ შეცდომა შესაძლებელია და არსებობს, და, თუ შეცდომის დაშვება შეიძლება, მაშინ წინააღმდეგობაც შეიძლება არსებობდეს. მაგრამ ფორმალურ ლოგიკას შეცდომის ფაქტი სწორ ლოგიკურ მდგომარეობად კი არ მიაჩნია, არამედ სწორედ მის უარყოფად. შეცდომის ფაქტი რომ ძველ ლოგიკას ლოგიკურ მდგომარეობად მიაჩნდეს, მაშინ ვერ ილაპარაკებდა წინააღმდეგობის შეუძლებლობაზე. ლოგიკურ მდგომარეობად მას სწორედ წინააღმდეგობის შეუძლებლობა მიაჩნია. ჩვენ სწორედ ლოგიკურის გარკვევა გესურს და არა სხვა რაიმესი.

თუ ლოგიკურს სისწორეს გაუიგივებთ, მაშინ არასისწორე არ იქნება ლოგიკური და ლოგიკური შეცდომა შეუძლებელიც კი გამოვა. ფორმალურ ლოგიკას ჯერაც არ გაურკვევია ის, რომ ლოგიკური შეცდომა როგორ არის შესაძლებელი, — „ლოგიკური შეცდომა“ მართლაც ლოგიკურია, თუ სხვა რამ.

თვითონ შეცდომის ფაქტიდანაც რომ გამოვიდეთ, მაშინაც უნდა ვთქვათ წინააღმდეგობის შესახებ ის, რომ წინააღმდეგობის შეუძლებლობა წინასწარ თვითონ წინააღმდეგობას გულისხმობს:

1) რაიმეს შეუძლებლობაზე ლაპარაკი ამ რაიმეს ლოგიკურად წინასწარ გულისხმობს; 2) შეცდომას აზრი არა აქვს ქეშმარიტების

გარეშე. შეცდომის საზომი, მასშტაბი თვითონ კემშარიტებაა, რომელსაც თავისი საზომი საზოგადოებრივ პრაქტიკაში აქვს. საზოგადოებრივი პრაქტიკა გვიჩვენებს იმას, თუ რა არის კემშარიტი და რა შემცდარი, მაგრამ ისე, რომ პირველადობა კემშარიტება-შეცდომის შეფარდებაში კემშარიტებას ეკუთვნის. შეცდომას და კემშარიტებას მათ დიალექტიკურ ერთიანობაში აქვთ აზრი და გარკვეულობა, რადგან ყოველი კემშარიტება შედარებითია. ყოველი კემშარიტი დებულება თუ დასკვნა, როგორც აღენიშნავდით, სინთეზური უნდა იყოს. არსებითად დაპირისპირება-წინააღმდეგობის ერთიანობა:ს. უნდა წარმოადგენდეს.

წინააღმდეგობის ფაქტი თუ შეცდომას წარმოადგენს (ერთიანობის გარეშე აღებული და მისი არმქონე წინააღმდეგობა, მართლაც, ასეთია), მაშინ მისი არსებობა და ხასიათი ისეთივე იქნებოდა, როგორც კემშარიტება. თუ შეცდომა იმაშია, რომ წინააღმდეგობის ფაქტი შეუძლებელია და ჩვენ ის შესაძლებლად მიგვაჩნია, მაშინ ლოგიკას შეცდომასთან არ უნდა ჰქონდეს საქმე და არ უნდა იყოს განსაზღვრული იმ უარყოფითით, რომელიც თავის მხრივ დადებითს წინასწარ გულისხმობს და ამიტომ მისით აქვს აზრი.

მართლაც, „წინააღმდეგობის შეუძლებლობა“ უარყოფითი ცნებაა და წინასწარ გულისხმობს „წინააღმდეგობის შესაძლებლობას“, რომელსაც ის უარყოფს, როგორც რაღაც დადებითს. უარსაყოფელი აძლევს მას აზრს და მასშია მოცემული. უარყოფითი და დადებითი შეფარდებითი ცნებებია, ისინი ერთიმეორეს გულისხმობენ აუცილებლობით. ამიტომ უნდა ითქვას, რომ ერთადერთი გზა არის არა წინააღმდეგობის უარყოფა, რადგან წინააღმდეგობის ცნების გარეშე ამ უარყოფასაც აზრი დაეკარგებოდა. არამედ მისი გადაწყვეტა; წინააღმდეგობა უნდა გადაწყდეს და არ უნდა იქნეს უარყოფილი. წინააღმდეგობის შესაძლებლობა-შეუძლებლობის საკითხი, ცხადია, წინასწარ არცერთნაირ გადაწყვეტას არ გულისხმობს როგორც უკვე შესრულებულს, ამიტომაც სწორედ საჭირო წინააღმდეგობის ბუნების გარკვევა და არა ხელის აღება ასეთი გამოკვლევისაგან.

თუ იმას ვიტყვით. როგორც ამას ძველ ფორმალურ ლოგიკაში აქვს ადგილი, რომ საწინააღმდეგოთაგან მხოლოდ ერთი არის, მეორე კი, ამავე დროს, შეუძლებელია (ამ გარემოებას ეძახიან სწორედ წინააღმდეგობას), მაშინ ჩვენ თვითონ ჩვენს თავს უარგყოფთ (და ამ უარყოფაზე შორს წასვლა არ შეგვიძლია), რადგან სწორედ საწინააღმდეგოს შეუძლებლობა არის ის მომენტი, რომელიც რაიმეს განსაზღვრულობას და ამით მასში თავის არსებობასაც ასახულებს.

წინააღმდეგობის შეუძლებლობა თვითონ წინააღმდეგობის შე-

საძლებლობას ასაბუთებს, რადგან წინააღმდეგობა არ იქნებოდა წინააღმდეგობა, რომ აქ შეუძლებლობას არ ჰქონდეს ადგილი. კაპიტალიზმში პროლეტარიატი და ბურჟუაზია ერთიმეორეს ეწინააღმდეგება, შეუძლებელია მათი მორიგება, შეუძლებელია ის, რომ ისინი ერთიმეორეს არ გამოირიცხავდნენ. (ეს წინააღმდეგობა, საბოლოოდ, თავისებურ ეაზრობას წარმოადგენს; მართლაც, ეაზრობაა მთელი სიმდიდრის შემქმნელი შიმშილით კვდებოდეს. ამ ეაზრობას. ე. ი. ძველი საზოგადოებრივი წყობის ნაკლს, სოციალისტური რევოლუცია ხსნის. მსმასადამე, ლოგიკურს რეალური საფუძველი სინამდვილეში აქვს).

მაგრამ შესაძლებელია ლოგიკურის რეალური საფუძველი სინამდვილეში ეძიო. მაგრამ მაინც არასწორ გზას დაადგე. ეს შესაძლებელია მაშინ, თუ სინამდვილე არ არის სწორად გაგებული. მაგ., არისტოტელემ წინააღმდეგობის შეუძლებლობის კანონი ჰერაკლიტეს დიალექტიკის წინააღმდეგ ბრძოლაში ჩამოაყალიბა. იგი „პირველ ფილოსოფიაში“ გააჩვეა და შემდეგ მოინმარა ლოგიკაში. არადიალექტიკურად გაგებული სინამდვილე არ შეიძლება ლოგიკურის სწორ რეალურ საფუძველად გამოდგეს.

არისტოტელე წინააღმდეგობის შეუძლებლობის კანონს გამოსაქვამდა შემდეგნაირად: ერთიდაიგივე ერთსადაიგივეს, ერთსა და იმავე დროს და ერთსადაიმავე დამოკიდებულებაში არ შეიძლება კიდეც ეკუთვნოდეს და არც ეკუთვნოდეს<sup>1</sup>. ეს კანონი არისტოტელესათვის არსის და აზრის ძირითად კანონს წარმოადგენდა.

უნდა ითქვას, რომ ჯერ ერთი, წინააღმდეგობის შეუძლებლობის არისტოტელესეული განსაზღვრება არ შეიძლება მივიჩნიოთ როგორც ძირითადი კანონის განსაზღვრება. რამდენადაც იგი უარყოფითი ხასიათისაა. თვითონ ძველი ლოგიკის თვალსაზრისითვე კანონი დადებითი ხასიათის უნდა იყოს და დადებითად (ზოგადდადებითი მსჯელობით) უნდა გამოიქმოდეს. კანონის განსაზღვრება უნდა გვეუბნებოდეს იმას, თუ რა არის და რა შეიძლება იყოს და არა იმას, თუ რა არ არის და რა არ შეიძლება იყოს, როგორც ეს წინააღმდეგობის შეუძლებლობის კანონის არისტოტელესეულ განსაზღვრებაშია მოცემული.

შემდეგ, მასში ლაპარაკია იმის შესახებ, რომ ერთსა და იგივე საგანს ერთი და იგივე ნიშანი... და სხვ., მაგრამ აუცილებლად ნაგულისხმეია ის, რომ ნიშანი საგნისაგან განსხვავებულია; მასმასადამე, ეს კანონი გულისხმობს იმას, რომ საგანს მისგან განსხვავებული ნიშანი მიეწერება თუ მართლაც მიეწერება, თუ არა და არ

<sup>1</sup> იხ. არისტოტელეს „მეტაფიზიკა“, 1005 h 40.

მიეწერება, ერთდროულად არ შეიძლება კიდევ ეკუთვნოდეს და არც ეკუთვნოდეს.

მაშასადამე, აქ გამოთქმულია აზრი, რომელიც სრულიადაც არ არის იგივეობის კანონის თანახმად შედგენილი, ამიტომ, ამ აზრით, არ შეიძლება ითქვას, რომ ეს კანონი იგივეობის კანონის უარყოფითი ფორმაა (იგივეობის კანონის წინააღმდეგობის შეუძლებლობის კანონის შებრუნებული ფორმაა, თუ აღნიშნულ ნაგულისხმევს არ მივიღებთ მხედველობაში) და ამიტომ თითქოს მათი ერთიმეორეზე დაყვანა შეიძლებოდეს. აქ გამოთქმულია სხვა მომენტი, რომელიც იგივეობას ავსებს და იგივეობა მას ავსებს; ერთიმეორის ნაკლს ავსებენ სინთეზურ ერთიანობამდე; ორივე ერთმხრიობებს გამოსთქვამენ და ამიტომ არც ერთი მათგანი ძირითად კანონს არ წარმოადგენს.

ამასთანავე, ისიც უნდა ითქვას, რომ რამდენადაც წინააღმდეგობის შეუძლებლობის კანონი ზემოთ აღნიშნულ სინთეზურობას გულისხმობს, ამდენად იგი არა მარტო იგივეობის კანონს ეწინააღმდეგება, არამედ თავის თავსაც, ვინაიდან, როგორც ეს ზემოთ გაირკვა, სინთეზურობა უსათუოდ გულისხმობს უარყოფის მომენტს, რომელსაც იგი თავის თავში შეიცავს.

შემდეგ. წინააღმდეგობის შეუძლებლობის კანონის არისტოტელესეული ფორმულირება დროის მომენტს აღნიშნავს. ეს გარემოება, როგორც ცნობილია, დავას იწვევს ლოგიკოსებს შორის, რადგან ლოგიკურში დროული თანმიმდევრობა არ შეიძლება გეჰონდეს.

არისტოტელე აღიარებს, რომ რაიმეს საწინააღმდეგო პრედიკატები არ შეიძლება ერთდროულად მიეწეროს, — მაგრამ ნაგულისხმევი აქვს, რომ რაიმესადმი საწინააღმდეგო პრედიკატების მიწერა სხვადასხვა დროს შესაძლებელია, ე. ი. დრო ხსნის წინააღმდეგობას; მაგრამ როცა აღნიშნული კანონი ერთდროულობას უსვამს ხაზს, მაშინ არაერთდროულობასაც გულისხმობს, წინააღმდეგ შემთხვევაში, არც ერთდროულობას გაუსვამდა ხაზს, იმით არ განსაზღვრავდა წინააღმდეგობის და შეცდომის შესაძლებლობას. ამასთანავე ისიც უნდა აღინიშნოს, რომ თუ დრო წინააღმდეგობას ხსნის, მაშინ შეუძლებელი უნდა იყოს გამოთქმა: „ერთსადაიგივეს საწინააღმდეგო პრედიკატები შეიძლება სხვადასხვა დროს მიეწეროს“.

როგორც ცნობილია (და ეს ზემოთაც გაირკვა), თანახმად მატერიალისტური დიალექტიკისა, სხვადასხვა დროს არსებული წინააღმდეგობა, რომელიც ერთ საგანს ეხება, შედეგი და გამოვლინებაა იმ არსებისა, რომელიც საგნის შინაგან წინააღმდეგობას (ცხადია, ერთდროულ წინააღმდეგობას) წარმოადგენს. კაპიტალიზმის საწინააღმდეგო სოციალიზმი წარმოიშვება იმის შედეგად, რომ თვი-

თონ კაპიტალიზმშია შინაგანი წინააღმდეგობა, მართალია, არა წინააღმდეგობა სოციალიზმსა და კაპიტალიზმს შორის, მაგრამ ისეთი წინააღმდეგობა, რომელიც კაპიტალიზმიდან მის საწინააღმდეგო სოციალიზმს წარმოშობს. ამიტომ არისტოტელეს აღნიშნული კანონი მოვლენებს გულისხმობს. დიალექტიკა კი შორს მიდის და არსებას გამოხატავს.

მაშასადამე, დრო არა ხსნის წინააღმდეგობას, არამედ გულისხმობს მას.

ასე ითქმის მიმართების მომენტზედაც, რომელიც წინააღმდეგობის კანონში იგულისხმება. სხვადასხვასთან მიმართება მხოლოდ იმას შეუძლია, რაც თავის თავში და თავის თავის მიმართ არის სხვადასხვაობის მქონე; ასეთია ყოველი საგნის მამოძრავებელი არსება. დაპირისპირებულთა აუცილებელი კავშირი, ცხადია, თავისთავს არ აუქმებს, მაგრამ თავის თავში შეიცავს დაპირისპირებას. კაპიტალიზმი მხოლოდ სხვის მიმართ კი არ არის წინააღმდეგობის შემცველი, არამედ — თავის თავის მიმართ; იგი თავის თავის უარყოფას — პროლეტარიატს შეიცავს.

ლოგიკას, ცხადია, საქმე აქვს ცნება-მსჯელობების წინააღმდეგობასთან. როგორც აღინიშნა, ლოგიკურში წინააღმდეგობა რეალური წინააღმდეგობის ასახვას უნდა წარმოადგენდეს და, როგორც ენგელსის ზემოთ მოყვანილი დებულებიდან ჩანს, თავის თავს ეწინააღმდეგება, გამოუვალ და უაზრო წინააღმდეგობაში ვარდება ის, ვინც აზროვნებაში წინააღმდეგობას უარყოფს და სინამდვილეში არსებული წინააღმდეგობა კი ესმის და გაგებული აქვს; მთავარი სწორედ წინააღმდეგობის გაგებაა. თუ გვესმის და გაგებული გვაქვს დიალექტიკური წინააღმდეგობა, მაშინ უკვე გვიანაა აზროვნებაში წინააღმდეგობის არარსებობაზე ლაპარაკი; ასეთი ლაპარაკი, ამავე დროს, სწორედ არსებულის უარყოფაცაა (როგორც ეს ზემოთაც ითქვა), რაც შეუძლებელია.

საქმე იმაშია, რომ წინააღმდეგობის შეუძლებლობაზე ლაპარაკი ის ფაქტია, რომელიც ნათლად ამტკიცებს იმას, რომ წინააღმდეგობის მოაზრება შეიძლება, წინააღმდეგ შემთხვევაში წინააღმდეგობის შეუძლებლობაზე აზრიც არ იარსებებდა. წინააღმდეგობის მოაზრება რომ შეიძლება ამიტომ და მხოლოდ ამის შემდეგ შეგვიძლია ვილაპარაკოთ იმის შესახებ, თუ რომელი წინააღმდეგობაა შეცდომა. თვითონ წინააღმდეგობის მოაზრება კი შეცდომას არ წარმოადგენს, წინააღმდეგ შემთხვევაში, იგი მცდარი აზრის შეფასების დროს საფუძვლად და შემფასებლად ვერ იქნებოდა გამოყენებული. წინააღმდეგობის ის მოაზრება, რომ-

ლს საფუძველზედაც ჩვენ შეგვიძლია ერთიმეორისაგან გავარჩიოთ წინააღმდეგობრივი როგორც მცდარი და არა-წინააღმდეგობრივი როგორც სწორი. თვითონ არ შეიძლება შეცდომას წარმოადგენდეს. ამ შემთხვევაში საქმე ვეაქვს წინააღმდეგობის იმ მოაზრებასთან, რომელსაც კატეგორიის ხასიათი აქვს. შეცდომა საწინააღმდეგო-ტან ერთის მეორედ მიჩნევაშია და არა იმაში, თითქოს წინააღმდეგობის მოაზრება, როგორც ქვეშაირი და სრულიად სწორი აზრი, შეუძლებელი იყოს.

საუკეთესო მაგალითი იმისა, თუ როდის და რა აზრით არის წინააღმდეგობა ქვეშაირი, რომელსაც მსჯელობები, სწორედ ერთიმეორის გამომრიცხავი ქვეშაირი მსჯელობები, გამოთქვამს, და რაში მდგომარეობს ის შეცდომა, რომელიც დაპირისპირებულთა ერთ-ერთამ უნდა მოხსნას და გადაწყვიტოს, არის შემდეგი მაგალითი კ. მარქსის „კაპიტალიდან“, სახელდობრ, — ფულის კაპიტალში გადასვლის მაგალითი.

კ. მარქსი გარკვეულად ასაბუთებს (ამ დასაბუთებას ჩვენ აქ არ მოვიყვანთ, რადგან იგი სწორედ დასაბუთებას ეხება და არა მხოლოდ წინააღმდეგობის საკითხს), რომ „კაპიტალი არ შეიძლება მიმოქცევიდან წარმოიშვას და ასევე არ შეიძლება მიმოქცევიდან არ წარმოიშვას. იგი უნდა წარმოიშვას მიმოქცევაში და ამავდროს არა მიმოქცევაში“<sup>1</sup>. მსჯელობები: კაპიტალი მიმოქცევის პროცესიდან წარმოიშვება და კაპიტალი მიმოქცევის პროცესიდან არ წარმოიშვება. ანუ მარქსის სიტყვებით: „კაპიტალი არ შეიძლება მიმოქცევიდან წარმოიშვას“ და „არ შეიძლება მიმოქცევიდან არ წარმოიშვას“, ცხადია. ერთიმეორის გამომრიცხავი მსჯელობებია, მაგრამ ორივე ქვეშაირია. ისიც ცხადია. რომ ამ წინააღმდეგობაში წინააღმდეგობის შეუძლებლობის მომენტიც არის, წინააღმდეგ შემთხვევაში წინააღმდეგობა სრულიად არ იარსებებდა (წინააღმდეგობის უარყოფა კი თვითონ არის წინააღმდეგობა). წინააღმდეგობის ეს შეუძლებლობა იმაში კი არაა, რომ საერთოდ უნდა იქნეს უარყოფილი აქ მოყვანილ დებულებათა წინააღმდეგობა. — რომ ნათკან ერთ-ერთი უნდა იქნეს აღებული, მეორე კი უარყოფილი, — არამედ იმაში. რომ ორივე საწინააღმდეგო დებულებას გარკვეული შედარებითი და არა აბსოლუტური აზრი აქვს. დებულებას: „კაპიტალი მიმოქცევაში არ წარმოიშვება“ ის აზრი აქვს, რომ მიმოქცევა

<sup>1</sup> K. Marx, Das Kapital, I, 1832, Moskau, S. 173: Kapital kann also aus der Zirkulation entspringen und es kann ebensowenig aus der Zirkulation nicht entspringen. Es muss zugleich in ihr und nicht in ihr entspringen.



კი არ ქმნის კაპიტალს, არამედ წარმოება; წარმოებაში იქმნება საერთოდ ღირებულება და თვითმზარდი ღირებულება, ზედმეტ ღირებულება. დებულება, რომ „კაპიტალი მიმოქცევაში წარმოიშობება“, მცდარია, რამდენადაც პირველი დებულება სწორია. მაგრამ იგი ქვეშაირითა, რადგან თვითონ პირველი დებულების შინაარსში შედის მისი საპირისპირო: გაცვლა-გამოცვლა წარმოებას მომინტს წარმოადგენს<sup>1</sup>, — და ფულის ტრიალის გარეშე კაპიტალს არ შეიძლება ადგილი ჰქონდეს; სამუშაო ძალის, როგორც საქონლის, ყიდვა-გაყიდვის გარეშე კაპიტალი და კაპიტალიზმი არ არსებობს. ერთი სიტყვით: თვითონ წინააღმდეგობა წარმოადგენს შეუძლებლობას. მაგრამ ამით კი არ უნდა იქნეს უარყოფილი წინააღმდეგობა, არამედ იგი უნდა გადაწყდეს.

ფულის კაპიტალად გადაქცევის გამოსავალი უნდა იყოს ეკვივალენტების გაცვლა, ე. ი. ზედმეტი ფულის მიღება უნდა აიხსნას იმით, რაც ზედმეტი ფულის მიღებას შეუძლებლად ხდის: ეკვივალენტების გაცვლა ზედმეტს არასოდეს არ მოგვცემს. როგორც ეს „კაპიტალში“ დაწვრილებითაა დასაბუთებული. ფულის მფლობელმა საქონელი მისი ღირებულების მიხედვით უნდა იყიდოს. მისი ღირებულების მიხედვით უნდა გაყიდოს და ბოლოს. მიუხედავად ამისა, პროცესის დასრულდა მტეი ღირებულება მიიღოს. ვიდრე შიგ მოათავსა<sup>2</sup>. წინააღმდეგობა იმით წყდება და სრულიადაც არ უარყოფია. რომ კაპიტალიზმის პირობებში არსებობს ისეთი საქონელი, რომლის ყიდვა-გაყიდვა ეკვივალენტების გაცვლას წარმოადგენს. მაგრამ ეს საქონელი თვითონ ქმნის ღირებულებას და ზედმეტ ღირებულებას. ეს საქონელი არის სამუშაო ძალა: სამუშაო ძალის როგორც საქონლის. გარეშე არ არსებობს კაპიტალიზმი.

მაშასადამე. წინააღმდეგობა კი არ უნდა გაუქმდეს, არამედ უნდა გადაწყდეს არა, მაგ., ერთიერთაწინააღმდეგო დებულებათა უარყოფით, არამედ იმის მონახვით, რის ერთმხრიობებსაც ეს საწინააღმდეგო დებულებები წარმოადგენენ.

აქ მრავალი რამ არის საყურადღებო. სახელდობრ შემდეგა: 1) საგანი წინააღმდეგობის ერთიანობას წარმოადგენს, მაგ.. კაპიტალი ფულის ისეთი წრებრუნვაა, რომელიც ზედმეტ ფულს იძლევა ეკვივალენტების გაცვლის საფუძველზე; 2) ერთი საგნის მეორეში გადასვლაც წინააღმდეგობის ერთიანობას და, ამ აზრით, წინააღმდეგობის გადაწყვეტას წარმოადგენს: მაგ.. კაპიტალი იქმნება მი-

<sup>1</sup> კ. მარქსი. პოლიტიკური ეკონომიის კრიტიკისათვის, შესავალი.

<sup>2</sup> კ. მარქსი. კაპიტალი, ტ. I, გვ. 213.

მოქცევაშიც და არც იქმნება მასში. ეს წინააღმდეგობა არის მარტივი სასაქონლო მეურნეობის განვითარების შედეგი. მარტივი სასაქონლო მეურნეობა გადადის კაპიტალისტურში ხსენებული წინააღმდეგობის გადაწყვეტით, სახელდობრ იმით, რომ შეიქმნება საქონელი, რომელიც თვითონ ქმნის ღირებულებას და ზედმეტ ღირებულებას; 3) ასეთი ერთიანი ძირის მონახვა წინააღმდეგობისათვის თვითონ წინააღმდეგობის საშუალებით ხდება. ურთიერთწინააღმდეგობა აღმოაჩენს თავის არსებას, იმ ერთიანობას, რომლის საფუძველზედაც ისაა შესაძლებელი. 4) წინააღმდეგობის ერთიანობას საწინააღმდეგო მსჯელობების ერთიანობა გამოსთქვამს; კვებარითება, ამ შემთხვევაში, სწორედ საწინააღმდეგო მსჯელობების გარკვეულ ერთიანობაში მდგომარეობს, შეცდომა კი—მათგან მხოლოდ ერთის მიღებასა და მეორის უარყოფაში. 5) წინააღმდეგობის უარყოფა შეუძლებელიცაა, რადგან თვითონ უარყოფა ქმნის წინააღმდეგობას. წინააღმდეგობის აბსოლუტურობა<sup>1</sup> ლოგიკურად სწორედ ამგვარად შეიძლება დასაბუთდეს. ის გარემოება, რომ წინააღმდეგობის უარყოფა თვითონ მას ასაბუთებს, დაუბოლოებელის შესანიშნავ მაგალითს წარმოადგენს<sup>2</sup>. ყველა ეს და ასეთი გარემოებანი გამომდინარეობენ წინააღმდეგობის ბუნებიდან, თავისთავად კი განსაკუთრებული გამოკვლევის ღირსნი არიან.

წინააღმდეგობის ბუნების გაგებისათვის აუცილებელია შემდეგის გათვალისწინება: თუ A-ს უარყოფა არის არა-A, მაშინ A-ს, როგორც გარკვეულის, უარყოფელი უსათუოდ გარკვეული შინაარსისა იქნება (უარყოფის ფორმა კი ხომ თავისებური და სრულიად გარკვეული ფორმაა); მასში იქნება ნაგულისხმევი A-ს შინაარსი და მისი უარყოფა, ანუ: A-ს შინაარსი უარსაყოფად იგულისხმება, და ამიტომაც შეიძლება ამ უარყოფის, ამით კი უარსაყოფელზე მალა დგას; ამრიგად, A-ს უარყოფა დადებითი შინაარსისაც უნდა იყოს (როგორც ამას ზემოთაც აღვნიშნავდით).

რადგან ორი ერთიმეორის საწინააღმდეგოთაგან, ერთიმეორის უარყოფის დროს, თავის საპირისპიროზე ძლიერია და, თუ შეიძლება ასე ითქვას, მეტია; ამიტომ: 1) წინააღმდეგობა აფართოებს ცნებას. 2) ორივე საპირისპიროს წამატებული ერთი და იგივეა, რადგან წინააღმდეგობაში არ ითქვიფება, ამ აზრით, მეტია, ანუ უკეთ: საწინააღმდეგოებს ერთი და იგივე აერთიანებს; ერთი თავის თავში შეიცავს წინააღმდეგობას; წინააღმდეგობა მის არსებას წარმოადგენს, და თვითონ იგი, ცხადია, წინააღმდეგობაზე ზემოთ და

<sup>1</sup> იხ. В. И. Ленин. Философские тетради, стр. 328.

<sup>2</sup> იხ. დაუბოლოებელის ცნების განსაზღვრება ამ შრომის მეორე თავში.

მალა არ დგას, თუმცა არც ერთ-ერთი მხარეა მისი (წინააღმდეგობის); იგი დაუბოლოებელის მომენტი დაბოლოებულში და არ არსებობს მისგან დამოუკიდებლად, რადგან, ასეთ შემთხვევაში, თვითონ იქნებოდა დაბოლოებული და წინააღმდეგობის ერთ-ერთი მხარე და მაინც წინააღმდეგობის ერთიანობას დაექვემდებარებოდა.

ის „მესამე“, რომლის მხარეებსაც საწინააღმდეგო დებულებები გამოხატავენ, არ არის მართლაც მესამე, რაღაც დაბოლოებული მესამე; ასეთი რამ წინააღმდეგობის მიერ არის გამორიცხული, რადგან წინააღმდეგობას, როგორც ეს ზემოთ გავარკვიეთ, ურთიერთგამორიცხვაში აქვს აზრი. ის დაპირისპირება, სადაც მესამეა შესაძლებელი, არ არის წინააღმდეგობა, როგორც ამას ძველი ლოგიკა ნათლად გამოთქვამდა. ძველი ლოგიკის მიხედვით დაპირისპირება დაბოლოებული მესამის შესაძლებლობას შეიცავს, მას ემყარება, წინააღმდეგობა კი — არა. როგორც აღვნიშნავდით, წინააღმდეგობა და დაპირისპირება ერთიმეორეს უღრის, თუ მათ არსებაში განვიხილავთ. ერთი და იგივე საგნის არსებაში დაპირისპირება იგივეა, რაც წინააღმდეგობა; თავის თავის უარყოფა დაპირისპირებაცაა და უარყოფა-წინააღმდეგობაც.

აქ ნათქვამიდან ის გამომდინარეობს, რომ უნდა გავარჩიოთ წინააღმდეგობა დაბოლოებულსა და დაუბოლოებელში არა წინააღმდეგობის ადგილის აზრით, არამედ თვითონ წინააღმდეგობის, სახელდობრ, ნამდვილი და მოჩვენებითი თუ შეუძლებელი წინააღმდეგობის გარჩევის აზრით. აქედან გამომდინარე, აუცილებელი გახდება წინააღმდეგობისათვის მესამის ბუნების გარჩევა თვითონ—წინააღმდეგობის დასახასიათებლად; დაბოლოებული მესამის არსებობის დროს წინააღმდეგობა ან არ იარსებებს, ანდა მის თავისებურ გამოვლენასთან გვექნება საქმე; გასარჩევი იქნება დაუბოლოებელის, როგორც წინააღმდეგობისათვის მესამის, საკითხი, რაც, თავის მხრივ, საფუძველ-შედგენის დამოკიდებულების საკითხამდე მიგვიყვანს და ამიტომ ლოგიკურის ბუნებას, თუმცა ზოგადად, მაგრამ მაინც სრულიად ნათლად, წარმოგვიდგენს.

ძველი ლოგიკის მიხედვით, დაპირისპირება დაბოლოებული მესამის შესაძლებლობას შეიცავს და მას ემყარება. წინააღმდეგობა კი კიდევ ემყარება მესამეს და კიდევ გამორიცხავს ყველაფერს გარდა ერთისა, რადგან თვითონ წინააღმდეგობაა შეუძლებლად მიჩნეული. თეთრის და შავის დაპირისპირება კიდევ სტოვებს დაბოლოებულ მესამეს, მაგ., წითელს და სხვა; ეს დაპირისპირება არ ამოსწურავს ფერის ცნებას, მის სფეროს; ამიტომ ასეთი დაპირისპირება არ იძლევა საშუალებას ლოგიკური აუცილებლობის გარკვევისათვის, არ იძლევა საშუალებას თვითონ ლოგიკური აუცილებ-

ლობისათვის; არათუთრიდან ვერ დავასკვნით მაინცდამაინც შავზე და პირიქით: თუ რაიმე თეთრი არ არის, ის არ შეიძლება აუცილებლად შავი იყოს და პირიქით. თეთრის და არათეთრის დაპირისპირება კი, ე. ი. წინააღმდეგობა, ამოსწურავს ცნების, ამ შემთხვევაში, ფერის ცნების სფეროს: ამიტომ წინააღმდეგობა დასკვნის აუცილებლობას ქმნის: თუ რაიმეს ფერი აქვს და ის არ არის წითელი, მაშინ ის არაწითელი იქნება: მაგრამ არ შეიძლება იგი წითელიც იყოს და არაწითელიც. იგი მხოლოდ ერთი რამ იქნება. სხვა ყველაფერი, რასთანაც მას წინააღმდეგობაში ყოფნა შეუძლია, გამორიცხებულია; ამიტომ წინააღმდეგობა შეუძლებელია. ამავე დროს, წინააღმდეგობა რომ შესაძლებელი არ იყოს, აღნიშნული დასკვნის გაკეთება შეუძლებელი იქნებოდა. თვითონ წინააღმდეგობაა საშუალებად გამოყენებული, როცა ერთის მიღებიდან მისი საწინააღმდეგოს უარყოფაზე ვასკვნით (წინააღმდეგობა, ამიტომ, კატეგორიას წარმოადგენს და ცხადია ჭეშმარიტებაა და არა შეცდომა).

ამიტომ არსებითად, წინააღმდეგობა დაპირისპირებას უდრის იმ აზრით, რომ შესაძლებელია საწინააღმდეგოსაც დადებითი შინაარსი ჰქონდეს. ე. ი. წინააღმდეგობა მხოლოდ უარყოფას კი არა, არამედ მასზე მეტსაც უნდა წარმოადგენდეს. გაურკვეველობას სიმრავლე, მრავლის შესაძლებლობა ქმნის. იქ კი, სადაც მხოლოდ ორწევროვანი გაყოფაა შესაძლებელი, წინააღმდეგობა და დაპირისპირება ერთიმეორეს აშკარად დაემთხვევიან.

ჩვეულებრივად გაგებული წინააღმდეგობა მესამეს. გვარს გულისხმობს, სახელდობრ, იმას, რომლისთვისაც საწინააღმდეგოთა დამახასიათებელი რომელიმე ნიშანი (რომლის გარეშეც წინააღმდეგობა შეუძლებელია) შემთხვევითია; როგორც ცნობილია. გვარი რომელიმე სახის სპეციფიკური ნიშნისადმი გულგრილია. წითელი საერთოდ რომ არ არსებობდეს, ფერი მაინც იქნება. საერთოდ, ყველა ფერის უარყოფა შეუძლებელია, თუ თვითონ ფერიც არ იქნა უარყოფილი. ეს ორი რამ ერთი და იგივეა. ერთი სიტყვით, წინააღმდეგობა აღნიშნულ შემთხვევაში იმ მესამეს (გვარს) გულისხმობს, რომელიც გულგრილია წინააღმდეგობისადმი, თუმცა მის გარეშე წინააღმდეგობა შეუძლებელია; ე. ი. წინააღმდეგობა საერთოდ შეუძლებელია. თუ საფუძვლად რაღაც ერთიანობა არ იქნება აღებული. დაბოლოებულში წინააღმდეგობა ან მოჩვენებითი გამოდის და წინააღმდეგობა შეუძლებლად არის მიჩნეული, ანდა მისი არსებობის დაშვება ერთიანი საფუძვლის შეუძლებლობას უნდა ემყარებოდეს. ნამდვილად კი წინააღმდეგობის არსებობა ერთიან საფუძველს აუცილებლობით მოითხოვს.

თუ იმას ვიტყვით, რომ წინააღმდეგობა შეუძლებელია, მაშინ ისიც უნდა ვაღიაროთ, რომ საწინააღმდეგონი ერთიმეორეს აუცილებლობით არ იწვევენ, და, ცხადია, წინააღმდეგობისათვის რაღაც გვარის ძიება დაუშვებლად უნდა მივიჩნიოთ, სწორედ წინააღმდეგობის არარსებობის გამო. ასეთ შემთხვევაში გაყოფით მსჯელობას და დასკვნას აზრი არ შეიძლება ჰქონდეთ. მაშასადამე, თუ გაყოფით მსჯელობას და დასკვნას მივიღებთ და ამჟღად დროს წინააღმდეგობის შეუძლებლობას ვაღიარებთ, მაშინ აშკარა გამოუვალ და უაზრო შეუსაბამობაში ვვარდებით.

თუ წინააღმდეგობა შეუძლებელია, მაშინ წინააღმდეგობის აუცილებლობაზე ლაპარაკი შეუძლებელი იქნება; შეუძლებელი იქნება ვილაპარაკოთ არა მარტო იმაზე, რომ ერთი მის საწინააღმდეგოს აუცილებლობით გულისხმობს, არამედ იმაზეც, რომ წინააღმდეგობის საფუძველზე ერთ-ერთი საწინააღმდეგოთაგანი მივიღოთ და მეორე უარყოთ; წინააღმდეგობის გარეშე ასეთ ოპერაციას აზრი არ ექნებოდა; სწორედ წინააღმდეგობის აზრს ვემყარებით, როცა ერთს მივიღებთ და აუცილებლობით მის საწინააღმდეგოს უარყოფთ, ანდა, საწინააღმდეგოს უარყოფით რაიმეს, სწორედ წინააღმდეგობის საშუალებით, მივიღებთ. წინააღმდეგობის მხოლოდ ერთი მხარის მიღება და მეორის უარყოფა. წინააღმდეგობის მიღებით და მის საფუძველზეა შესაძლებელი, — წინააღმდეგობის აუცილებლობის აღიარებაა.

ამასთანავე, წინააღმდეგობის მხოლოდ ერთი მხარის მიღება და მეორე მხარის უარყოფა წმინდა დაბოლოებულში ყოფნაა. თუ საწინააღმდეგონი ერთიმეორეს მხოლოდ გამორიცხავენ ისე, რომ წინააღმდეგობა შეუძლებლად არის მიჩნეული. მაშინ არც ექვონია წინააღმდეგობა, არამედ მხოლოდ მისი მოჩვენების სფეროში ვტრიალებთ, დაბოლოებულისათვის დამახასიათებელია წინააღმდეგობის შეუძლებლობის აღიარება, — რაიმეს უარყოფით მისი საწინააღმდეგოს მიღება. ბოლოვადი ის არის, რაც სხვით უარიყოფა ან მტკიცდება. მაგრამ, როგორც ახლახან აღინიშნა, ეს გარემოება უკვე გულისხმობს სხვას, საწინააღმდეგოს, წინააღმდეგობას და მის აუცილებლობას, მის ერთიანობას, ე. ი. დაბოლოებული მის არსებას, დაუბოლოებელს აუცილებლობით გულისხმობს.

დაბოლოებულში რაიმე აუცილებელია, თუ მისი საწინააღმდეგო შეუძლებელია; დაბოლოებულში წინააღმდეგობასთან დაკავშირებული აუცილებლობა უარყოფითი ხასიათისაა; რაიმეს მიღება მისი საწინააღმდეგოს უარყოფაა და საწინააღმდეგოს უარყოფა რაიმეს მიღებას წარმოადგენს. ამიტომ აქ წინააღმდეგობა შეცდო-

მად არის გამოცხადებული; აქ ამ გარემოებას, როგორც ჩანს, სრული გამართლება აქვს.

მაგრამ, თუ წინააღმდეგობა არაა აუცილებელი, ცხადია, მისი ასეთად აქ წარმოდგენა და გამოჩენა შეცდომა იქნება. ამით წინააღმდეგობის ერთიანობა კი არ უარიყოფა, არამედ წინააღმდეგობის იქ დადგენა, სადაც ის შეუძლებელია. შეცდომა შეუძლებელი წინააღმდეგობის შესაძლებლად მიჩნევაშია, ანდა აუცილებელი წინააღმდეგობის იმგვარად წარმოდგენაში, როცა წინასწარ გამოირიცხებულია ამ წინააღმდეგობის აუცილებელი საფუძველი. მაგრამ ეს ხელოვნური და ყალბი საქმიანობაა, რადგან წინააღმდეგობა უარიყოფა, წინააღმდეგობა შეუძლებლად ცხადდება იმის შემდეგ, როცა წინააღმდეგობის შესაძლებლობაა უარყოფილი.

წინააღმდეგობა შესაძლებელია ერთიანობის საფუძველზე; ამიტომ წინააღმდეგობა ერთიანობას მოითხოვს აუცილებლობით; ამ მოთხოვნის შესრულების ხელოვნური შეჩერება და შეწყვეტა, ცხადია, შეცდომას წარმოადგენს და, ასეთ შემთხვევაში, წინააღმდეგობა, აშკარაა, შეუძლებლად იქნება მიჩნეული და წინააღმდეგობის დაშვება კი — შეცდომად.

მართალია, ბოლოვად, წინააღმდეგობით განსაზღვრულ მოვლენათა სფეროში ერთი მოვლენა არ არის მისი საწინააღმდეგო და პირიქით, მაგრამ არსების სფეროში, ე. ი. იმ სფეროში, სადაც საწინააღმდეგო მოვლენები აიხსნებიან, წინააღმდეგობის ერთიანობის კანონი ბატონობს. პროლეტარული არ შეიძლება იყოს ბურჟუაზიული და პირიქით, მაგრამ ორივე ამ დაბოლოებულ სფეროს ერთი არსება აქვს, სახელდობრ, მათ ერთი წარმოების წესი განსაზღვრავს. ეს ერთი არსება ორდება საწინააღმდეგო მხარეებად, ამიტომაც წინააღმდეგობა არა უარსაყოფელი, არამედ გადაწყვეტადი და გადასაწყვეტი. წინააღმდეგობის ერთიანი საფუძველი წინააღმდეგობის გადაწყვეტის შესაძლებლობასაც წარმოადგენს.

არსება რადგან მოვლენაშია, ამიტომ ყოველი მოვლენაც საწინააღმდეგოთია განსაზღვრული და დასაბუთებული; ბურჟუაზია პროლეტარიატის გარეშე არ არსებობს და პირიქით. ამიტომ დაბოლოებულის სფერო და დაუბოლოებელის სფერო არაა ორი ცალცალკე არსებული სფეროები, თუმცა შეცდომით მათი იმგვარად წარმოდგენა შეიძლება; ორი სფეროს უარყოფის დროს მაინც მათზე გვიხდება ლაპარაკი.

2) გამორიცხული მესამის კანონის შესახებ.

წინააღმდეგობის ბუნება, როგორც ჩანს, არსებითად უკავშირდება „მესამის“ შესახებ გარკვეულ თუ გაურკვეველ აზრს. ამიტომ წამოყენებული დებულებების უფრო ნათელყოფისათვის გავარ-

კვიოთ გამორიცხული მესამის კანონი და მისი მოხმარების ფარგლები სწორედ წინააღმდეგობის ბუნების გასაგებად.

ეს კანონი, როგორც ცნობილია, ამბობს შემდეგს: „რაიმე არის ან  $A$ , ან არა- $A$ , მესამე გამორიცხულია“. უნდა ითქვას, ჭერ ერთი, რომ ეს „კანონი“ უარყოფითი ხასიათისაა; აქ ლაპარაკია მესამის გამორიცხვა-შეუძლებლობაზე, ე. ი. ნათქვამია ის, თუ რა უნდა გამოირიცხოს, — რაა შეუძლებელი და არა ის, თუ რა უნდა იყოს ნამდვილად. კანონი კი სწორედ დადებითს უნდა გამოთქვამდეს და არა უარყოფითს; — იგი აუცილებელ კავშირს უნდა წარმოადგენდეს და არა იმას, რაც შეუძლებელია. უარყოფითი კანონი არ შეიძლება კანონად ჩაითვალოს, თუ იგი არადაქვემდებარებულ და ძირითად კანონად იქნება მიჩნეული.

შემდეგ უნდა აღინიშნოს, რომ როცა საწინააღმდეგო განსაზღვრულობების გამომთქმელ დებულებებზე ვმსჯელობთ, თანახმად გამორიცხული მესამის კანონისა, მაშინ არ არსებობს ნამდვილი ლოგიკური მდგომარეობა. საკითხი იმის შესახებ — ეკუთვნის  $A$  საგანს  $E$  თვისება თუ არა, არავითარ ლოგიკურ მდგომარეობას არ წარმოადგენს<sup>1</sup>; როცა უკვე დამტკიცებულია, რომ რაიმე თვისება რომელიმე საგანს მართლაც ეკუთვნის, ანდა დამტკიცებულია, რომ ის მას არ ეკუთვნის, — ორივე შემთხვევაში, — გაურკვევლობა მოხსნილია, ე. ი. გვაქვს გარკვეული ლოგიკური მდგომარეობა, მაგრამ, ასეთ შემთხვევაში, გამორიცხული მესამის კანონი აღარ მოიხმარება.

გამორიცხული მესამის კანონის არალოგიკური მდგომარეობა მის გაურკვევლობაშია, ეს გაურკვევლობა ან-ან-ის გაურკვევლობაა; ეს კანონი ორი საწინააღმდეგოდან ერთ-ერთს კი არ გამორიცხავს, ასეთ შემთხვევაში, მასსა და წინააღმდეგობის შეუძლებლობის კანონს შორის არაფერი განსხვავება არ იქნებოდა, არამედ იგი მესამის შესაძლებლობას გამორიცხავს; იგი ამბობს, რომ მესამეა გამორიცხული და არა ორი ერთიმეორის საწინააღმდეგო მხარეთაგან რომელიმე. არც ამ მხარეების აუცილებლობაა მიღებული, მაშინ მესამის გამორიცხვა შეუძლებელი იქნებოდა, პირიქით, წინააღმდეგობის აუცილებლობა მათი ერთიანობის და მაშასადამე, სრულიად გარკვეული აზრით აღებული, მესამის აუცილებლობაცაა. ან-ან-ი ორი, ერთიმეორისადმი საწინააღმდეგო დებულების შესაძლებლობას ემყარება, ერთიც შესაძლებელია და მეორეც,

<sup>1</sup> იხ. ამის შესახებ პროფ. ლ. გოციელი, სიმრავლეთა თეორიის დაფუძნების საკითხები, 1934, გვ. 24 — 40; შუალ. А. Гейттинг, Обзор исследований по основным математикой, стр. 25, 71 — 72, 1936.

მხოლოდ მესამეა შეუძლებელი, სახელდობრ, ისეთი მესამე, როგორცაა ერთიმეორის საწინააღმდეგო დებულებები, ე. ი. დაბოლოებული მესამეა შეუძლებელი და გამორიცხული, მაშინ როცა ერთიმეორის საპირისპირო და ამ დაწინააღმდეგებით ერთიმეორის დამბოლოებელი, — ორივე შესაძლებელია; ან-ან-ი, მაშასადამე, აღიარებს ორი ერთიმეორის საწინააღმდეგო დებულებების შესაძლებლობას, მაგრამ არა ორივეს სინამდვილეს. ან ერთია შესაძლებელი. ან მეორე, მაგრამ ნამდვილად მხოლოდ ერთი მათგანი იქნება ექმმარტი, თანახმად წინააღმდეგობის შეუძლებლობის კანონისა. გამორიცხული მესამის კანონი მერყევ მდგომარეობას გამოხატავს და ამიტომაც იგი არ არის გარკვეულობის, ლოგიკური მდგომარეობის კანონი. (ამიტომ გამორიცხული მესამის გაურკვეველობას წინააღმდეგობის შეუძლებლობის აზრი ხსნის).

ამავე დროს, ეს კანონი ლოგიკურ შეუძლებლობას და სიძნელესაც შეიცავს, რადგან საქმის ან-ან-ით დაწყება უკვე იმას ნიშნავს, რომ არჩევანი ორს ეხება და მესამე გამორიცხულია. როდესაც არჩევანი ან A-ს, ან არა- A-ს ეხება, ამით უკვე წინასწარაა გამორიცხული მესამე და ამიტომ ამის შემდეგ მესამის გამორიცხვაზე ლაპარაკი უკვე დაკვიანებული და ზედმეტია, ე. ი. უაზრობის შემქმნელია. როდესაც მე ვამბობ, რომ: ან A ან არა-A, ამით მესამე უკვე გამორიცხული მყავს და ბოლოს იმის თქმა, რომ: „ან A ან არა-A, მესამე გამორიცხულია“, გვაძლევს ტავტოლოგის: გამორიცხულია მესამე და ამიტომ მესამეა გამორიცხული.

ასეთ მდგომარეობაშია თვითონ გამორიცხული მესამის კანონი, რადგან იგი მხოლოდ დაბოლოებულს ეხება, რადგან იგი სწორედ დაბოლოებულის კანონს უნდა წარმოადგენდეს.

გარკვეულ დაბოლოებულ მდგომარეობას ან A წარმოადგენს, ან არა-A და არა თვითონ ან-ან. მაგრამ თუ ამ გარკვეულ მდგომარეობას გავცდებით, მაშინაც აზრი ეკარგება გამორიცხული მესამის კანონს; დაუბოლოებელის მიმართ იგი არაა გამოსადეგი. ამავე დროს უნდა ითქვას ისიც, რომ დაუბოლოებელის სხვადასხვა გაგება სხვადასხვანაირად ხსნის გამორიცხული მესამის კანონს და, ამასთან დაკავშირებით, დაპირისპირების ბუნებასაც სხვადასხვა ინტერპრეტაციას აძლევს.

მათემატიკური, ანუ, უკეთ, რიცხობრივი უსასრულობისადმი გამორიცხული მესამის კანონის გამოყენება შეუძლებელი ხდება. ცნობილია, ამ მხრით, ამ კანონის კრიტიკა ბროუერის მიერ. მისი აზრით, *tertium non datur*-ს გარკვეული აზრი აქვს მხოლოდ გარკვეულად სასრულოსათვის, სახელდობრ, იქ, სადაც გამოიყენება ალტერნატივა—A საგანს რაიმე თვისება აქვს ან არა აქვს. მაგრამ ეს



კანონი არ გამოიყენება მაშინ, თუ ხსენებული მდგომარეობა შეუძლებელია; თუ საქმე გვაქვს უსასრულობასთან, რჩება შესაძლებლობა: თვისება ეკუთვნის რომელიმე რიცხვს უსასრულობიდან, სახელდობრ, იმ რიცხვს, რომელიც ჭერ არაა მოცემული, მაგრამ მოსალოდნელია. გარკვეულობის დროს მოქმედებს გამორიცხული მესამის კანონი, მაგრამ იგი ძალაში არ არის, როცა საქმე გვაქვს უსასრულო მიმდევრობასთან, განვითარების, პროცესის, მოძრაობის უსასრულობასთან. ბროუერისათვის მესამე, რომელსაც ვერ სძლევს გამორიცხული მესამის კანონი, არის გაურკვეველობა. მისთვის დაბოლოებული გარკვეულია, დაუბოლოებელი კი — გაურკვეველი. მაგრამ „გარკვეულობის ცნება უფრო ზოგადი და ძირითადია, ვიდრე გამორიცხული მესამის კანონის გამოყენების შესაძლებლობა, რომელთანაც გარკვეულობის ცნება შეიძლება დაკავშირებული იყოს მხოლოდ იმ კერძო შემთხვევაში, როცა გვაქვს გარკვეულად სასრულო სიმრავლე“<sup>1</sup>.

მართლაც, როგორც ეს ზემოთ აღინიშნა, მხოლოდ მოძრაობისა და განვითარების დროს გვაქვს ნამდვილი გარკვეულობა, რომელიც გარკვეულ კანონში მდგომარეობს და არა რაიმე გარემოების ფიქსირებაში. დაბოლოებული გარკვეულია, მაგრამ სწორედ ისე და იმის გამო, რომ მისი არსება დაუბოლოებელია. მხოლოდ დაბოლოებული გაურკვეველობას წარმოადგენს, რადგან იგი, ამავე დროს, არ არის მხოლოდ დაბოლოებული, ის აუცილებლობით დაუბოლოებელს გულისხმობს. ნამდვილი გარკვეულობა არც მხოლოდ დაბოლოებულია და არც მხოლოდ დაუბოლოებელი, არამედ სწორედ მათი დიალექტიკური ერთიანობა.

ჩვენთვის აქ მთავარი ისაა, რომ გამორიცხული მესამის კანონი უსასრულობისათვის არ გამოდგება. მისი გამოყენება დაუბოლოებელის მიმართ შეუძლებელია; მაგრამ ეს იმას არ ნიშნავს, რომ დაუბოლოებელი გაურკვეველობაა და ამიტომაც გამორიცხული მესამის კანონი გამოუსადეგარი; არა, ეს „კანონი“ დაბოლოებულის სფეროს ერთი განსაზღვრულობის გამოთქმავა, სახელდობრ, იმ განსაზღვრულობისა, რომელიც ალტერნატივას წარმოადგენს. ამ „კანონისათვის“ დამახასიათებელია ის გაურკვეველობა, რომელიც დაბოლოებული სფეროს გაურკვეველობას წარმოადგენს. ბროუერის კრიტიკა გამორიცხული მესამის კანონისა სწორედ იმას მოასწავებს, რომ ნაგრძნობია დაუბოლოებელის სფეროში გადასვლის აუცილებლობა და ძველი ლოგიკის კანონების აქ გამოუსადეგრობა. მაგ-

<sup>1</sup> იხ. პროფ. ლ. გოციელი. სიმრავლეთა თეორიის დაფუძნების საკითხები, გვ. 101, და საერთოდ გვ. 91 — 112.

რამ თვითონ ბროუერის თვალსაზრისი ყალბია, რადგან მისთვის უსასრულობა ინტუიციას წარმოადგენს; იგი ცნებითი, დისკურსიული აზროვნების წინააღმდეგია.

ძველი ლოგიკა თვითონ ეჭვობს გამორიცხული მესამის პრინციპის ლოგიკურად გამართლებულობაში, მისი ლოგიკურობის სისრულეში. ამ გარემოების ნიმუშს, აგრეთვე, წარმოადგენს გამორიცხული მეოთხის კანონის მოთხოვნისა და მისი დასაბუთების ცდა. როცა ამბობენ, რომ ერთი ცნება მეორეს, როგორც სუბიექტს, ან აუცილებლობით მიეწერება, ან არ მიეწერება, ან შესაძლებელია მიეწეროს, მეოთხე გამორიცხულია<sup>1</sup>, მაშინ ან გაურკვეველობა მიაჩნიათ მესამედ, ასეთ შემთხვევაში, განმეორება გვექნებოდა იმ გაურკვეველობისა, რომელიც თვითონ გამორიცხული მესამის ან-ან-ში იგულისხმება და მისი სახით არსებობს<sup>2</sup>, ან — დაბოლოებული გარკვეულობა; ასეთ შემთხვევაში, საჭირო გახდებოდა გამორიცხული მეოთხისათვის გამორიცხული მეხუთე და ა. შ. უსასრულოდ<sup>3</sup>.

აქ ნათლად ჩანს გამორიცხული მესამის კანონის სიძნელე, თვით „მესამის“ ბუნებიდან გამომდინარე შეუძლებლობანი და სამნიშნა თუ პოლივალენტური ლოგიკის უაზრობა. არსებითად, ასეთ შემთხვევებში, მაინც გამორიცხული მესამის კანონით მოქმედებენ: ერთი ან სხვა შემთხვევები ერთად, მესამე გამორიცხულია. სიძნელის აღნიშვნა და გადაწყვეტა იმის საფუძველზე, რაც თვითონ სიძნელეს ქმნის, სიყალბის მეტს არაფერს არ იძლევა.

„მესამის“ შესაძლებლობას და მის გაურკვეველობას ემყარება თანამედროვე ფიზიკის ზოგიერთი წარმომადგენელი; ისინი აღნიშნავენ, რომ ორნიშნა ლოგიკა არაა დამაკმაყოფილებელი ქვანტური ფიზიკისათვის, აუცილებელია სამნიშნა ლოგიკა, სადაც განსაზღვრულია სამი ცნების დამოკიდებულება: მცდარი, ჭეშმარიტი და განუსაზღვრელი, და არა ორისა: მცდარი და ჭეშმარიტი, როგორც ამას ადგილი ჰქონდა ძველ ლოგიკაში. როგორც ბროუერის და ვასილიევის აზრი, ისე ეს გარემოებაც ძველი ლოგიკის საზღვრებს, მის არასაკმარისობასა და შეზღუდულობას მოასწავებს; ახალი ფიზიკა სწორედ დიალექტიკურ ლოგიკას მოითხოვს და არა „სამნიშნა“ ლოგიკას. „მესამის“ დაბოლოებულობა, ისე როგორც დაუბოლოე-

<sup>1</sup> ამ დებულების, კერძობითი მსჯელობების თავისებურ გაგებაზე დამყარებით, დასაბუთების ცდა მოცემული აქვს ვასილიევს, იხ. Н. А. Васильев. О частных суждениях о треугольнике противоположностей, о законе исключенного четвертого. Казань, 1910, стр. 42 და შემდეგ.

<sup>2</sup> იხ. ამის შესახებ, პროფ. ლ. გოკიელი. სიმრავლეთა თეორიის პარადოქსების საკითხისათვის, საქ. მეცნ. აკად. მოამბე, 1948, ტ. 9, № 1, გვ. 5.

<sup>3</sup> შეად. იქვე.

ბელის გაურკვეველობად მიღება (იმ გაურკვეველობად, რომელიც დაბოლოებულის გარკვეულობაზე დაბლა დგას), მოითხოვს პოლივალენტურ ლოგიკას<sup>1</sup>. თუ „მესამეს“, როგორც აღენიშნეთ, გარკვეულ დაბოლოებულად მივიღებთ, მაშინ საჭირო გახდება კიდევ სხვა „მესამე“ და ასე შემდეგ უსასრულოდ; გამოყენებული იქნება სწორედ ის — გამორიცხული მესამის კანონი, რომლის უარყოფასაც ლამობენ. ამავე საფუძველზე ზოგიერთი ლოგიკოსი ალბათობის ნიადაგზე დგება<sup>2</sup> და ჰქმნარიტება ალბათობის კერძო შემთხვევად ცხადდება, მაშინ როცა ალბათობას სწორედ ჰქმნარიტებით აქვს აზრი.

როგორც აღნიშნავდით, გამორიცხული მესამის კანონი წინააღმდეგობის შეუძლებლობის კანონის აზრს ემყარება; ერთსა და იგივე სუბიექტს არ შეიძლება კონტრადიქტორული პრედიკატები მიეწეროს<sup>3</sup>, მაშინ როცა გამორიცხული მესამის კანონი გვეუბნება, რომ ერთსა და იგივე სუბიექტს მიეწერება ან ერთი, ან მისი კონტრადიქტორული პრედიკატი, მესამე პრედიკატის მიწერა შეუძლებელია და გამორიცხული. მესამე პრედიკატის გამორიცხვას სწორედ წინააღმდეგობა მოითხოვს. სუბიექტს კონტრადიქტორული პრედიკატებიდან ერთ-ერთი მიეწერება, მესამე კი შეუძლებელი და გამორიცხულია, მაგრამ ეს მესამე უნდა იყოს პრედიკატი და არა სხვა რამე. თვითონ დებულებაში: „რაიმე არის ან B, ან არა-B, მესამე გამორიცხულია“, სახელდობრ, მესამე პრედიკატი გამორიცხული და არა ის მესამე, რომელიც ამ დებულებაში სუბიექტის („რაიმე“) სახით არის წარმოდგენილი. ეს ისეთივე მესამე კი არაა, როგორც საწინააღმდეგო პრედიკატები, მაშინ მივიღებდით „ტრიტოს ანთროპოს“-ს ან მეოთხის გამორიცხვას (ვასილიევი), ან პოლივალენტობას, ან გაურკვეველ მესამეს, არა, აქ „მესამე“ უღრის

<sup>1</sup> იხ. I. L. Destouches, *Notions de logique* (Cours de logique et Philosophie générale, Paris, 1944, chap. IV). Logiques polyvalentes. p. 73).

<sup>2</sup> იხ. H. Reichenbach, *Wahrscheinlichkeitslehre*, 1932.

<sup>3</sup> შემდარად უნდა ჩაითვალოს ის (მაგ., ბორელიუსის) აზრი, რომელიც ცდილობს დაამტკიცოს, რომ ჰეგელს არ ესმოდა წინააღმდეგობის შეუძლებლობის კანონი და უარყოფდა არა არისტოტელეს დებულებას, A არის B და A არ არის B — შეუთავსებელია, არამედ სხვა რამეს, სახელდობრ, A არის B და A არის არა-B — შეუთავსებელი, რადგან ორივე შემთხვევაში სუბიექტს მიეწერება კონტრადიქტორული პრედიკატები და ლაპარაკია ასეთი მიწერის შესაძლებლობაზე; ამიტომ უნდა ითქვას, რომ ჰეგელს სწორად ესმოდა არისტოტელეს დებულება და სწორადაც აკრიტიკებდა მას (იხ. ლენინის „ფილოსოფიური რვეულები“, 1947, რუს. გამოც., გვ. 112 იხ. Borelius, *Über den Satz des Widerspruchs und die Bedeutung der Negation*, Leipzig, 1881, S. 45. იხ. ამის შესახებ კ. ზაქარაძე, „ნისტემა და მეთოდი ჰეგელის ფილოსოფიაში“, გვ. 263 — 365).

პირველსაც და მეორესაც და არც ერთს, ე. ი. ის არის ერთიანობა დაპირისპირებულთა. ამიტომ უნდა ითქვას, რომ ჰეგელი სწორი იყო გამორიცხული მესამის კანონის კრიტიკაში.

რაციონალური მარცვალი ამ კრიტიკაში შემდეგია: Это (ჰეგელის მიერ გამორიცხული მესამის კანონის კრიტიკა. ს. წ.) остроумно и верно. Всякая конкретная вещь, всякое конкретное нечто стоит в различных и часто противоречивых отношениях ко всему остальному, ergo, бывает самим собой и другим<sup>1</sup>. მაშასადამე, ის გარემოება, რომ კონკრეტული რაიმე არის ესეც და სხვაც, — ისიც და მისი გამომრიცხველიც, ანგრევს გამორიცხული მესამის დებულებას.

შეიძლება თქვან, რომ გამორიცხული მესამის კანონის მიერ რაიმე, როგორც სუბიექტი, კი არაა მხედველობაში მიღებული, არამედ — გამოსარიცხი მესამე შესაძლებელი პრედიკატი. მაგრამ პრედიკატი იმას ჰქვია, რასაც სუბიექტი წარმოადგენს და სხვას არაფერს.

მხოლოდ უბრალო მსჯელობის აზრი რომ ავიღოთ, ისიც ნათელყოფს გამორიცხული მესამისა და წინააღმდეგობის შეუძლებლობის კანონების, როგორც ძირითადი კანონების, მცდარობას. ყოველი მსჯელობა, როგორც ამას მარქსიზმის კლასიკოსები აღნიშნავენ, დაპირისპირებულთა ერთიანობას წარმოადგენს; რაიმეს და მისგან განსხვავებულის აუცილებელი კავშირისათვის სრულიად არ არის საკმარისი ძველი ლოგიკის პირველი სამი კანონი, რადგან ასეთი კავშირი მხოლოდ იგივეობითა და წინააღმდეგობის შეუძლებლობით სრულიადაც ვერ აიხსნება.

გამორიცხული მესამის კანონის შესახებ ვ. ი. ლენინი გარკვევით ამბობს, რომ მისი გაგება ორნაირადაა შესაძლებელი: 1) თუ დებულებას — „რაიმე არის ან A, ან არა-A, მესამე არ არსებობს“ — გავიგებთ ისე, როგორც ეს ჩვეულებრივად ესმით, ე. ი. ისე, რომ ყველა პრედიკატიდან აღებულია ან ერთი, ან მისი არარსი, მაშინ ასეთი გაგება „ტრივიალურია“; სული... ტკბილია, არა ტკბილია? მწვანეა, არა მწვანეა? განსაზღვრება უნდა მიდიოდეს განსაზღვრულობამდე. ამ ტრივიალობაში კი ის არაფრამდე მიდის; 2) თუ გამორიცხული მესამის დებულებას გავიგებთ, როგორც იმის მაჩვენებელს, რომ „ყველაფერი დაპირისპირებულია“, ყველაფერს აქვს თავისი დადებითი და თავისი უარყოფითი განსაზღვრულობა, მაშინ ჩვენ ხსენებული დებულების სწორი გაგება

<sup>1</sup> В. И. Ленин, Философские тетради, стр. 112. იხ. ჰეგელის Wissenschaft der Logik, II, Lasson, S. 56 — 57, 493.

გვაქვს; ამ შემთხვევაში განსაზღვრება განსაზღვრულობას მოგვცემს და არა არაფერს, როგორც ამას პირველი გაგების დროს აქვს აღგული. ამიტომ დებულება: „რაიმე არის ან A, ან არა-A, მესამე შეუძლებელია“, უნდა გვესმოდეს ასე: მესამე არის სწორედ ის რაიმე, რომლის ორი ერთიმეორის გამომრიცხავი პრედიკატი შესაძლებელია; უკეთ: მესამე არის სწორედ ის, რომელსაც ერთიმეორის საპირისპირო პრედიკატები განსაზღვრავს. რაიმეს მისი პრედიკატები განსაზღვრავს, ამით ვლებულობთ განსაზღვრულობას, რომელსაც ერთიმეორის საპირისპირო მხარეები გააჩნია (სწორედ ამიტომაა იგი განსაზღვრულობა). ამიტომ ყოველი განსაზღვრული, ყოველი კონკრეტული რაიმე განსხვავებულ და წინააღმდეგობრივ დამოკიდებულებაშია ყველაფერ დანარჩენთან და თვითონ არის ის, რაც ის არის, და სხვაც<sup>1</sup>, ე. ი. — დაპირისპირებულთა ერთიანობა<sup>2</sup>.

რაიმე საგანი გარკვეული განსაზღვრულობის მქონეა, იგი არის კონკრეტული განსაზღვრულობა. როგორ შეიძლება გამოითქვას ეს კონკრეტული განსაზღვრულობა? შეიძლება თუ არა იგი გამოითქვას დებულებაში: იგი არის ან A, ან არა-A? არა, არ შეიძლება, რადგან ეს დებულება გაურკვეველობას გამოთქვამს და არა გარკვეულ განსაზღვრულობას. როცა ვამბობთ, რომ რაიმეს მიეწერება, ეკუთვნის ან ერთი, ან საპირისპირო, მაშინ აქ დაპირისპირება კი არ გვაქვს, არამედ დაპირისპირების როგორც განსაზღვრულობის, გაურკვეველობა. ამიტომ ეს დებულება ეწინააღმდეგება საგნის გარკვეულ ბუნებასაც და აზრსაც, რამდენადაც ეს უკანასკნელი უნდა გვესმოდეს, როგორც გარკვეული საგნის გარკვეული ასახვა.

გამორიცხული მესამის დებულებას აზრი აქვს, რამდენადაც

---

<sup>1</sup> Если этим (გამორიცხული მესამის დებულებით) указывается на то, что „все есть противоположное“, все имеет свое положительное и свое отрицательное определение, тогда хорошо. Но если понимать это, как обычно понимают, что из всех предикатов либо данный либо его небытие, тогда „тривиально“! Дух... сладкий, несладкий? зеленый, незеленый? Определение должно идти к определенности, а в этой тривиальности оно идет к ничему (Философские тетради, стр. 112).

<sup>2</sup> ამიტომ, თანახმად ლენინის ამ დებულებისა, არ არის სწორი, მაგ., ამხ. კედროვის აზრი, როცა ის ამტკიცებს, რომ, მარქსისტული დიალექტიკის თანახმად ან-ან-იდან ყოველთვის აღებულ უნდა იქნეს მხოლოდ ერთი მხარე, მეორე კი — უარყოფილი. ეს ხომ ისევ წინააღმდეგობის შეუძლებლობის აღიარებაა და არა მისი გადაწყვეტა; წინააღმდეგობის გადაწყვეტა კონკრეტულს უნდა გვაძლევდეს და არა ერთმხრივს და აბსტრაქტულს. ან-ან-იდან ერთი მხარის აღება შესაძლებელია გარკვეულ შემთხვევაში, რომელსაც შემდეგ შევხებით (იხ. კედროვის წერილი, 1951 წ., ჟურნალში Вопросы философии, № 4, გვ. 222).

აზრი გაურკვეველობასაც შეიცავს, როგორც მის ერთმხრიობას, და რამდენადაც თვითონ მოითხოვს იმას, რასაც ეს ერთმხრიობა ემყარება, სახელდობრ, კონკრეტულს, როგორც დაპირისპირებულთა ერთიანობას, რომელშიც, ცხადია, არსებობს მხოლოდ დაპირისპირების მომენტიც, რომელიც ერთიანობაშია შესაძლებელი, და პირიქით, ერთიანობა კი სწორედ დაპირისპირებულთა ერთიანობაა, გამორიცხული მესამის დებულება მოითხოვს საგნის გარკვეულობას; იგი მას ემყარება, მაგრამ თვითონ, ჩვეულებრივი გაგებით აღებული, გაურკვეველობას წარმოადგენს. მას შეიძლება აზრი ჰქონდეს მხოლოდ დაბოლოებულში, დაუბოლოებელის ერთმხრიობაში, როგორც გარკვეულობის მომთხოვნს, მაგრამ თვითონ გაურკვეველს.

ამიტომ უნდა ითქვას, რომ საგნის კონკრეტულობას, მის გარკვეულ განსაზღვრულობას მხოლოდ დაპირისპირებულთა ერთიანობა, სახელდობრ, საპირისპირო მსჯელობათა ერთიანობა, გამოთქვამს და არა ან-ანი, ან მისი მხოლოდ ერთი რომელიმე მხარე. ეს ასეა მაშინ, როცა ლაპარაკია საგნის არსებაზე და არა მის რომელიმე მხარეზე, მოვლენაზე, ანუ: როცა ერთიანის გაორებაზეა ლაპარაკი და არა ორი ურთიერთგამომრიცხავი პრინციპის შესახებ. ამ ორ უკანასკნელ შემთხვევაში გამოსადეგია ან-ან, მაგრამ არა ისე, რომ წინააღმდეგობაა უარყოფილი, არამედ სწორედ წინააღმდეგობის შედეგად უნდა იქნეს რომელიმე მისი მხარე დასაბუთებული (ამის შესახებ ცოტა ქვემოთ).

გამორიცხული მესამის კანონში, როგორც ითქვა, არსებითია სწორედ ის მესამე, რომლის გამორიცხვასაც ასე გულმოდგინედ ლაშობს თვით გამორიცხული მესამის დებულება. ისიც ნათელი ხდება, რომ ამ დებულების კრიტიკა შეიძლება წინააღმდეგობის ერთიანობის კანონის საფუძველზე, რასაც ერთი მხრით, ის უარყოფს, მაგრამ, ამავე დროს, მოითხოვს და ემყარება მას.

წინააღმდეგობის სფერო დაბოლოებულის სფეროა, წინააღმდეგობა საპირისპიროებს აბოლოებს; იგი (წინააღმდეგობა) მართლაც რიცხავს დაბოლოებულ მესამეს; აქაა გამოსადეგი გამორიცხული მესამის დებულება; ეს დებულება ასაბუთებს იმას, რომ წინააღმდეგობა დაბოლოებულის სფეროს ამოწურავს, გამორიცხავს რა მესამეს, როგორც ერთ-ერთ საწინააღმდეგოთაგანს, მაგრამ ცხადია, სრულიადაც არ გამორიცხავს იმას, რასაც იგი ემყარება, პირიქით, საკუთარი არსებობით ასაბუთებს იმ „მესამეს“, რომელიც ნამდვილად პირველია; ეს არის ერთიანობა დაპირისპირებულთა. ეს ერთიანობა წინააღმდეგობათა შეერთება კი არ არის კავშირით „და“, არამედ მათში (საწინააღმდეგოებში და წინააღმდეგობაში) არსე-

ბული დაუბოლოებელის მომენტი, როგორც არსება და საფუძველი დაბოლოებულისა, დაპირისპირება-წინააღმდეგობისა.

თუ დაპირისპირებულთა ამ ერთიანობას დაბოლოებულ მესამედ წარმოვიდგენთ, მაშინ საჭირო გახდება მეოთხე, ამასათვის კი მეხუთე და ა. შ. მივიღებთ ლოგიკურ სიყალბეს ან ისევ გამორიცხული მესამის კანონის გამოყენებას (აქაც ულოგიკობაა, რადგან მესამის გამორიცხვა სწორედ მესამეს ემყარება, მას მოითხოვს აუცილებლობით, მის საფუძველზეა იგი შესაძლებელი).

მაშასადამე, „მესამე“ არც გაურკვეველობაა და არც დაბოლოებული გარკვეულობა, არამედ ის არის ნამდვილი დაუბოლოებელი, წინააღმდეგობის ერთიანობა. სწორედ ამ დაუბოლოებელის მომენტით არის შეუძლებელი რეგრესი უსასრულობაში, იგი ხსნის ბოლოვადი აზრისათვის დამახასიათებელ უსასრულო რეგრესის საშიშროებას. ეს ასეა, თუ დაუბოლოებელს ცალკე, დაბოლოებულისგან მოწყვეტით არ წარმოვიდგენთ, ე. ი. არ უარვყოფთ მას, არამედ გავიგებთ, როგორც დაბოლოებულის და უსასრულოს ერთიანობას, სწორედ როგორც წინააღმდეგობის ერთიანობას.

ამიტომ სრულ სიყალბეს მივიღებთ, თუ ვიტყვი, რომ ერთიანობა, ანუ ის, რასაც წინააღმდეგობა ემყარება, სხვა, ცალკე არსებული სფეროა, წინააღმდეგობის სფერო კი სრულიად სხვა სფეროს წარმოადგენს, ე. ი. სიყალბეს მივიღებთ, თუ წინააღმდეგობის სფეროს ლოგიკურ სფეროდ წარმოვიდგენთ, მის საფუძველად მღებარეს კი მეტალოგიკურ სფეროდ. ის ერთიანობა, რომლის საფუძველზედაც წინააღმდეგობა-დაპირისპირებაა შესაძლებელი, არის სწორედ წინააღმდეგობის ერთიანობა და მის გარეშე მას არავითარი აზრი არა აქვს. ეს ერთიანობა სწორედ იმაში მდგომარეობს, რომ საპირისპირონი ერთიმეორეში გადადიან, ერთიმეორის განსაზღვრულობებს წარმოადგენენ და არა იმაში, რომ ერთიანობა ცალკე სხვა სფეროში არსებობდეს და წინააღმდეგობა კი სრულიად სხვა სფეროში; წინააღმდეგ შემთხვევაში, არც ერთს არ ექნებოდა აზრი, არც წინააღმდეგობას და არც ერთიანობას და, მეორე მხრით, მივიღებდით უაზრობას, კერძოდ, თვითონ ერთიანობის და წინააღმდეგობის დაპირისპირებას, რისთვისაც საჭირო გახდებოდა ახალი ერთიანობა და ა. შ.; თვითონ ერთიანობა დაპირისპირებულთა დაკარგავდა აზრს, რადგან იგი დაპირისპირების ერთ მხარედ გამოვიდოდა და არა მართლაც ერთიანობად.

ჩვენს წინააღმდეგ შეიძლება წამოაყენონ ასეთი დებულება: გამორიცხული მესამის კანონი წინააღმდეგობის ერთიანობის კანონის მიმართაც მოიხმარება, რადგან ხომ შეიძლება ითქვას, რომ რაიმე ან ექვემდებარება წინააღმდეგობის ერთიანობის კანონს, ან

არ ექვემდებარება, მესამე გამორიცხულია. მაგრამ საპასუხოდ უნდა ითქვას, რომ, ასეთ შემთხვევაში, წინააღმდეგობის ერთიანობა წინასწარვე იგულისხმება და თან ცალმხრივად წარმოიდგინება, ცდილობენ რა ის დაუქვემდებარონ მისსავე მომენტს, სახელდობრ, წინააღმდეგობის მომენტს; ამ მხრით, უსათუოდ ლოგიკურად ყალბ მდგომარეობასთან გვექნება საქმე.

წინააღმდეგობის ერთიანობა თავის თავში შეიცავს წინააღმდეგობას, როგორც მომენტს, რომელსაც აბსოლუტური ხასიათი აქვს, თანახმად ვ. ი. ლენინის ცნობილი დებულებისა; თუ წინააღმდეგობა, რომელიც წინააღმდეგობის შეუძლებლობასაც აძლევს აზრს, წარმოდგენილ იქნა იმ წინააღმდეგობის ერთიანობის საპირისპიროდ, სადაც წინააღმდეგობა აღარაა და, მაშ., არც მისი ერთიანობა, მაშინ მხოლოდ სიტყვების თამაშთან გვექნება საქმე და არა გარკვეულ აზრთან; აზრის მხრით მხოლოდ გაურკვეველობა და სიყალბე იქნება გაბატონებული. აქ ბოლოვადი ხელოვნურად იქნება მოცილებული დაუბოლოებელს და ამის შემდეგ მესამის გამორიცხვა და გამორიცხული მესამის დებულების გამოყენება ან სრულ სიყალბეს მოგვცემს, როგორც აღვნიშნეთ, ანდა იმას! დაგვიმტკიცებს, რომ ქეშმარიტება წინააღმდეგობის ერთიანობაშია და არა მის უარყოფაში, რადგან უარყოფის მომენტი აღრევე აქვს ნაგულისხმევი თვითონ წინააღმდეგობის ერთიანობას.

ნამდვილად, ბოლოვადი არის საგნის არსების, როგორც დაპირისპირებულთა ერთიანობის, ერთი მხარე, იგი მას ექვემდებარება; წინააღმდეგობის აუცილებლობას დაქვემდებარებული წინააღმდეგობის შეუძლებლობა, როგორც წინააღმდეგობის გამოხატულება, ვერ დაუპირისპირდება მას, გარეგანი დაპირისპირების აზრით, როგორც ამას გამორიცხული მესამის დებულება მოითხოვს, არამედ ეს დაპირისპირება შინაგანი იქნება და ამიტომ უაზრო ხდება ამ უარყოფის და უარყოფელის სრულიად სხვა სფეროდ წარმოდგენა. გარეგანი უარყოფა შინაგანს ემყარება, მასზეა დაქვემდებარებული, ამიტომ წინააღმდეგობის და გამორიცხული მესამის დებულებები დაქვემდებარებული ხასიათის არიან და ძირითად კანონებს არ წარმოადგენენ; ამდენად ისინი წინააღმდეგობის ერთიანობის მიმართ კანონებად, ცხადია, არ გამოდგებიან.

რომ წინააღმდეგობის ერთიანობის საწინააღმდეგო შეუძლებელია, ამას მისი შინაგანი მომენტი ამბობს, ამიტომ მას გარეგანი უარყოფა ვერ მოხსნის. როცა იტყვიან, რომ ან წინააღმდეგობის ერთიანობაა, ან მისი საპირისპირო, მაშინაც საფუძვლად მესამეს გულისხმობენ და ამიტომ ისევ წინააღმდეგობის ერთიანობას ექვემ-



დებარებიან. წინააღმდეგობის ერთიანობის უარყოფა სწორედ მას ამტკიცებს.

როდესაც ჩვენ ვამბობთ, რომ მოძრაობა გამორიცხავს უძრაობას და, პირიქით, უძრაობა — მოძრაობას, მაშინ ერთმხრიობებს, სწორედ მოძრაობის მომენტებს, მოძრაობის მხარეებს, რომელთაც შედარებითი მნიშვნელობა აქვთ, ვაძლევთ აბსოლუტურ მნიშვნელობას: მოძრაობას ვღებულობთ უძრაობის გარეშე და პირიქით; მაშინ როცა უძრაობა მოძრაობის მომენტია, მოძრაობა თვითონ არის ერთიანობა „არის“ და „არ არის“ მომენტების და ამიტომ შეუძლებელია და ყალბი მოძრაობისადმი მისი ერთი მომენტის ისე დაპირისპირება, რომ მათ ერთი და იგივე ძალა ჰქონდეთ. ამას გარდა: მოძრაობა არც არსებობს მისი რომელიმე მომენტის გარეშე და, პირიქით, მის მომენტს, ცხადია, მის (მოძრაობის) გარეშე არ ექნება აზრი.

სწორედ ასე ითქმის წინააღმდეგობის ერთიანობის და მისი უარყოფის შესახებაც. ის გარემოება, რომ წინააღმდეგობის ერთიანობისა და მისი უარყოფის დროს არ გამოდგება: გამორიცხული მესამის და წინააღმდეგობის შეუძლებლობის კანონები, ააშკარავენს ამ უკანასკნელთა ნაკლოვან ბუნებას, რადგან ისინი აქ წარმოადგენილი იქნებიან ყალბი მდგომარეობის გამომხატველებად, მაშინ როცა სწორედ ეს კანონები აცხადებენ პრეტენზიას აბსოლუტურ ჭეშმარიტებაზე.

როდესაც ვამბობთ, რომ ორი, ერთიმეორისადმი საწინააღმდეგო განსაზღვრულობებიდან ერთი არ არის მეორე და, პირიქით, მეორე არ არის პირველი, ანუ: ერთი არის სწორედ ის, რაც არ არის მეორე და პირიქით, მესამე — ასეთივე დაბოლოებული—შეუძლებელია და არ არსებობს, — უსათუოდ სწორ აზრს გამოეთქვამთ; ამ მხრივ, უსათუოდ სწორი იყო ძველი ლოგიკის დებულებანი, წინააღმდეგ შემთხვევაში, თვითონ განსხვავება, დაპირისპირება თუ წინააღმდეგობა არ იარსებებდა. მაგრამ სწორედ აქ აღნიშნულის გამო უნდა ითქვას კიდევ მეტი, ვიდრე აქ იყო ნათქვამი (აზრის მსვლელობა არ უნდა გავაჩეროთ ხელოვნურად, როგორც ამას ძველ ლოგიკაში აქვს ადგილი), სახელდობრ, ის, რომ ერთიმეორის საპირისპირო-საწინააღმდეგონი ერთიმეორის განსაზღვრულობას ქმნიან; ერთი განსაზღვრულობა არა მარტო ისაა, რაც არაა მეორე, არამედ სწორედ ამის გამოა იგი განსაზღვრული და ამიტომ ერთი განსაზღვრულობა არის ისიც, რაც მეორეა, რამდენადაც ერთი იმიტომაა, რომ მეორე არსებობს; ამიტომ აქვს მას ასეთი განსაზღვრულობა; ერთი არის ის, რაც არ არის მეორე, და სწორედ ამიტომ გულისხმობს მეორეს, რომლის გარეშეც ის არ იქნებოდა განსაზღვ-

რულობა, სწორედ გარკვეული განსაზღვრულობა. მაგ., წარმოების განსაზღვრულობა მისი უარყოფა — მოხმარებაა, თავისუფლეს განსაზღვრულობა მის საპირისპირო აუცილებლობაშია, ასე ითქმის მოძრაობის შესახებაც და სხვ.

წინააღმდეგობის და მისი ერთიანობის უარყოფა შეუძლებელია, რადგან ერთიმეორის საწინააღმდეგოთაგან ერთის უარყოფა და მეორის მიღება ამ უკანასკნელის უარყოფით განსაზღვრულობას ნიშნავს. ერთ-ერთი საწინააღმდეგოთაგანი თვითონ შეიცავს ნაკლს და უარყოფას თავის თავში, ე. ი. თვითონ წარმოადგენს წინააღმდეგობის თავისებურ ერთიანობას (რამდენადაც ერთი საპირისპიროთაგანი მეორეს მოითხოვს). ორი ერთიმეორის საწინააღმდეგო დებულებებიდან თითოეული შედარებითი მნიშვნელობისაა; თვითონ შედარებითობა წარმოადგენს დაპირისპირებულთა ერთიანობას. ყოველთვის ერთ-ერთი საპირისპიროს გაუქმება უსასრულო რეგრესში წაგვიყვანს, რადგან საწინააღმდეგოთაგან თითოეულს ყოველთვის ნაგულისხმევი აქვს მეორე საპირისპირო მხარე.

მიუხედავად ამისა, და სწორედ ამის გამო, წინააღმდეგობის სფერო და წინააღმდეგობის გადაწყვეტის სფერო სრულიადაც არ წარმოადგენენ ორ სფეროს, როგორც ჰეგელს გამოუდის<sup>1</sup>. წინააღმდეგობის „სფერო“ (ამ სიტყვის გარკვეული აზრით) დაბოლოებულის „სფერო“, საწინააღმდეგოთა ერთიანობა-გადაწყვეტის „სფერო“ კი — დაუბოლოებელის „სფერო“, მაგრამ ისე, რომ დაბოლოებულში არის დაუბოლოებელი, როგორც მისი არსება. წინააღმდეგ შემთხვევაში, როგორც ეს ზემოთ საკმარისად გაირკვა, დაუბოლოებელი საერთოდ მოიხსნებოდა, რადგან ორივე სფერო ერთიმეორის დაბოლოებელი იქნებოდა. მოიხსნებოდა დაბოლოებულიც. რადგან დაბოლოებულს აზრი არ აქვს დაუბოლოებელის გარეშე (ისე როგორც პირიქით). ჰეგელი დაბოლოებულს არარად აქცევს და ლებულობს წმინდა აბსოლუტს; ამით იგი გამოუყვალ წინააღმდეგობაშია თავის თავთან, რადგან იგი სწორედ იმას ცდილობდა, რომ დაბოლოებულის და დაუბოლოებელის ერთიანობა დაესაბუთებია.

ყოველი საგანი, როგორც კონკრეტული რაიმე, არსებად წინააღმდეგობას შეიცავს. რომ წინააღმდეგობა არ იყოს ერთიანობაში, თვითონ საგანში, ანუ უკეთ: რომ თვითონ საგანი არ წარმოადგენდეს წინააღმდეგობის ერთიანობას, მაშინ ის არც იარსებებდა, საწინააღმდეგონი ერთიმეორეს გააბათილებდნენ. ამ უკანასკნელ შემთხვევაში რომ საგანმა მაინც მოახერხოს არსებობა, ესეც სწორედ იმას გვეტყობდა, რომ იგი წინააღმდეგობის ერთიანობას წარმოადგენს. რომ დაუბოლოებელის მომენტი არ იყოს საგანში, მა-

<sup>1</sup> შტრ. ჰეგელი. W. d. L., II, S. 62.

შინ წინააღმდეგობა მხოლოდ არაარს მოგვეცემდა; ანუ უკეთ: წინააღმდეგობა რომ მოსპობას არ ნიშნავს, არამედ ერთიანობაშია, სწორედ ეს არის დაუბოლოებელის მომენტი, რომელსაც, ცხადია, წინააღმდეგობის, ე. ი. დაბოლოებულის, გარეშე არ ექნებოდა აზრი და არც იარსებებდა.

მაგრამ, როგორც ამას ზემოთ აღვნიშნავდით, ასეთ ერთიანობაში წინააღმდეგობის შესაძლებლობა და აუცილებლობა, ე. ი. მისი (წინააღმდეგობის) თვითონ საგანში შინაგანად არსებობა და ერთი საგნის წინააღმდეგობის გადაწყვეტა სხვა საგნის წარმოშობის გზით, სხვადასხვა რაიმეს წარმოადგენს; უკანასკნელ შემთხვევაში საგანი იხსნება და იქმნება ახალი საგანი, ე. ი. პირველს მეორე ანვითარებს, მაგრამ იმით, რომ მოხსნა მოსპობას არ უდრის, არამედ ის შენახვაცაა; ამიტომ აქ კიდევ უფრო ნათლად ჩანს დაუბოლოებელის მომენტი. ორივე შემთხვევაში წინააღმდეგობის ერთიანობის კანონი ბატონობს (როგორც ეს ზემოთ ფულიდან კაპიტალზე გადასვლის მაგალითზეც ნათელყავით).

თუ ვიტყვით იმას, რომ საწინააღმდეგონი ერთიმეორეს სპობენ, მაშინ, სწორედ ასეთ შემთხვევაში, გამოგვივა ჰეგელიანური აზრი, რომ დაბოლოებული არის არაარა და ნამდვილად არსებობს მხოლოდ დაუბოლოებელი<sup>1</sup> (წინააღმდეგობის ასეთი გაგება ისევ ძველი, ფორმალურ ლოგიკური იქნება და არის), მაგრამ ეს დაუბოლოებელის უარყოფას წარმოადგენს. თუ ვიტყვით, რომ საწინააღმდეგოთაგან მხოლოდ ერთი არის და მეორე, ამავე დროს, შეუძლებელია (როგორც ამას ძველი ლოგიკა აღიარებს), — სწორედ ამას ჰქვია წინააღმდეგობა, მაშინ გამოუვალ წინააღმდეგობაში ვკარდებით, რადგან, როგორც ეს ზემოთაც გავარკვეით, სწორედ საწინააღმდეგოს შეუძლებლობა არის რაიმეს განსაზღვრულობის სახით არსებობა და, მაშ., — უარყოფის შინაგან მომენტად ქონება მისთვის. განსაზღვრულობა სწორედ ამ წინააღმდეგობას შეიცავს და ამდენად მასზე არც დაიყვანება. წინააღმდეგობა ცვლის დაბოლოებულს, რადგან ის სწორედ მასშია, მისი მამოძრავებელია, მაგრამ ის (წინააღმდეგობა) რომ მის (დაბოლოებულის) სიკვდილს, მოსპობას წარმოადგენდეს, როგორც ეს პლატონის საფუძველზე ჰეგელს ესმის, მაშინ დაბოლოებული არაფერი იქნებოდა და ვერაფერს მოგვეცემდა, მასთან ერთად, — დაუბოლოებელიც, ე. ი. ყველაფერი მოიხსნებოდა; მაგრამ ეს უკანასკნელი აზრიც სიყალბეს წარმოადგენს, რადგან ყველაფერის უარყოფა წინასწარ ამ ყველაფერს გულისხმობს თავის საფუძველად.

<sup>1</sup> Hegel, W. d. L., II, S. 62.

ის გარემოება, რომ წინააღმდეგობის შეუძლებლობა თვითონ წინააღმდეგობით არის შესაძლებელი და რომ წინააღმდეგობა წინააღმდეგობის ერთიანობის მომენტი, ეხება არა მარტო ჩვენგან დამოუკიდებლად არსებულ სინამდვილეს, არამედ, როგორც ითქვა, ჩვენს აზროვნებასაც. წინააღმდეგობის ერთიანობის აზრობრივად არა ენთიმემური, არამედ ლოგიკურად სრულიად გარკვეული გამოთქმა მხოლოდ დაპირისპირებულ მსჯელობათა ერთიანობით, დიალექტიკური დასკვნითი ერთიანობით — შეუღობითი აუცილებელი კავშირით — უნდა იყოს შესაძლებელი.

მაგრამ ჩვენთვის აქ ჯერ ის არის კიდევ საბოლოოდ გასარკვევი, თუ როგორ და რა საზღვრებში შეიძლება მოაზრებულ იქნეს ძველი ლოგიკის გამორიცხული მესამის და წინააღმდეგობის შეუძლებლობის კანონი. ზემოთ თქმულიდან ის არ უნდა გამოვიყვანოთ, რომ თითქმის ეს კანონი საერთოდ უარყოფილი უნდა იქნეს, რომ იგი სიყალბეს წარმოადგენს. მართალია, ის, რაც აქამდე ითქვა, აქტივებს იმასაც, რომ გამორიცხული მესამის დებულება არ არის ძირითადი კანონი, რადგან მესამის გამორიცხვის მომენტი მართლაც მომენტი, დაქვემდებარებულია წინააღმდეგობის ერთიანობის უნივერსალურ კანონზე. მაგრამ ამით ისიც არის ნათქვამი, რომ მას გარკვეული აზრი აქვს, სახელდობრ, ის აზრი, რომელსაც შედარებით ხასიათი უნდა ჰქონდეს; ძველმა ლოგიკამ კი იგი აბსოლუტურად წარმოიდგინა, ამდენად (და მხოლოდ ამდენად) შეცდომაში ჩაეარდა. შედარებითის აბსოლუტურად წარმოდგენა შეცდომას წარმოადგენს.

3. ლოგიკურში დაპირისპირებულთა ერთიანობისათვის. როგორც ყოველდღიურ ცხოვრებაში, ისე მეცნიერებაში თითქმის ყოველთვის ვხვდებით ალტერნატიულ მდგომარეობას, ან-ან-ის მდგომარეობას, საიდანაც მხოლოდ ერთ-ერთი საპირისპიროთაგანი უნდა მივიჩნიოთ ჭეშმარიტად და მეორე კი მცდარად ან საერთოდ უარსაყოფლად. ავიღოთ რამოდენიმე მაგალითი.

როგორც ცნობილია, მატერიალიზმი და იდეალიზმი პრინციპულად განსხვავებულ, საწინააღმდეგო, ურთიერთგამომრიცხველ ფილოსოფიურ მიმართულებებს წარმოადგენენ. მათ შორის წინააღმდეგობა ისეთია, რომ მესამე მათგარი ძირითადი მიმართულება შეუძლებელია და გამორიცხული. მათი „შერიგება“, დუალისტური და ეკლექტიკური, იდეალიზმზე და მატერიალიზმზე „მაღლა მდგომი“ მიმართულებები, საბოლოო ანგარიშში, იდეალიზმზე დაიყვანებიან.

იგივე შეიძლება ითქვას დიალექტიკის და მეტაფიზიკის წინააღმდეგობის შესახებაც; მათი წინააღმდეგობა მესამეს გამორიცხავს. წინააღმდეგობა, რომელიც არსებობს იდეალიზმსა და მატერიალიზმს, დიალექტიკას და მეტაფიზიკას შორის, არა მხოლოდ გამო-

რიცხავს მესამეს შესაძლებლობას, არამედ წინააღმდეგობის მხოლოდ ერთი მხარის ქვეშარტებას და მეორე მხარის მცდარობას აუცილებლობით გულისხმობს.

დიდი ოქტომბრის სოციალისტური რევოლუციის წინ იბრძოდა ერთიმეორის საწინააღმდეგო თვალსაზრისები რუსეთის განვითარების გზების შესახებ: 1) რუსეთი უნდა განვითარდეს კაპიტალიზმის, ან 2) — სოციალიზმის გზით; ერთიმეორეს ებრძოდა ორი პრინციპი, რომელთაგან მხოლოდ ერთი — სოციალისტური გზით რუსეთის განვითარების პრინციპი — იყო ქვეშარტი, მეორე კი მცდარი, რაც საბოლოოდ დამტკიცდა ჩვენს ქვეყანაში სოციალიზმის გამარჯვებით. ამიტომ უნდა ითქვას, რომ პრინციპები იმარჯვებენ და არ რიგდებიან.

როდესაც ორი პრინციპი ერთიმეორეს ეწინააღმდეგება, ურთიერთს გამორიცხავს, მაშინ ცხადია, მესამე გამორიცხული იქნება. ეს გარემოება თვითონ წინააღმდეგობის დახასიათებაა; ცხადია, შეურიგებელი არ შეიძლება შერიგდნენ. შეურიგებელი წინააღმდეგობა, მით უმეტეს ანტაგონისტური, აუცილებლობით ქმნის იმას, რომ ერთ-ერთმა მოწინააღმდეგემ უნდა გაიმარჯვოს; იმარჯვებს, სახელდობრ, ის, რაც ახალია, რასაც მომავალი ეკუთვნის. ამიტომ არ შეიძლება ვილაპარაკოთ იდეალიზმისა და მატერიალიზმის, მეტაფიზიკისა და დიალექტიკის, ჰეგელის იდეალისტური დიალექტიკისა და მარქსის მატერიალისტური დიალექტიკის დიალექტიკურ მთლიანობაზე. დიალექტიკური მთლიანობა გამორიცხავს შერიგებას, რადგან ასეთ შემთხვევაში ნამდვილ წინააღმდეგობასთან აღარ გვექნებოდა საქმე, თვითონ წინააღმდეგობა შეუძლებელი იქნებოდა. წინააღმდეგობა, თვით ანტაგონისტურიც, გარკვეულ მომენტებამდე, არ ანგრევს მთელს, უკეთ: მთლიანობას, რომლის ნიადაგზე ის არის შესაძლებელი; მძაფრი კლასობრივი წინააღმდეგობა ერთიანი ეკონომიკის საფუძველზეა შესაძლებელი.

ის გარემოება, რომ წინააღმდეგობა შეურიგებელია, იმას ამტკიცებს, რომ ასეთი შეურიგებელი წინააღმდეგობა და საერთოდ წინააღმდეგობა შესაძლებელია, რომ მას ერთიანი საფუძველი აქვს, როგორც „მესამე“; ჩვეულებრივი გამოსარიცხი მესამის შესაძლებლობა ასეთ „მესამეზე“ დამყარებული. ერთიანი საფუძვლის ნიადაგზეა შესაძლებელი წინააღმდეგობა, სადაც მესამე, დაბოლოებული, მოწინააღმდეგეთა მსგავსი მესამე, გამორიცხულია. იმპერიალისტური ბურჟუაზიის და სოციალისტური პროლეტარიატის ინტერესები, ცხადია, ერთიმეორეს გამორიცხავენ ისე, რომ ყოველგვარი მესამე და შერიგება შეუძლებელია, მაგრამ ამ ინტერესთა წინააღმდეგობა თვითონ ერთიანი ეკონომიკის, ერთიანობის საფუძველზეა

შესაძლებელი. ეს ერთიანი ორდება, მაგრამ თვითონ არ არის ამ გაორების ერთ-ერთი მხარე. ასეთი ერთიანის უარყოფა, მაგ., კაპიტალისტებსა და პროლეტარებს შორის ყოველგვარი ეკონომიური კავშირის გაწყვეტა ნიშნავს ყოველგვარი წარმოების შეწყვეტას და თვითონ კლასების დაღუპვას, ე. ი. თვითონ წინააღმდეგობის შეუძლებლობას.

ბურჟუები და პროლეტარები ერთიანი კაპიტალისტური საზოგადოების ნაწილები არიან, ამიტომ უნდა ითქვას, რომ ისინი ცალკე ერთმხრივად გამოავლენენ იმ ერთიანობას, რომლის ნაწილებს და მხარეებსაც ისინი წარმოადგენენ. ამგვარი ურთიერგამომრიცხავი მოვლენების ასახვა წინააღმდეგობის დებულებას ემყარება. ასეთი წინააღმდეგობის შერიგება შეუძლებელი და შეცდომაა ლოგიკურად, პოლიტიკურად კი — შემრიგებლობა და ოპორტუნიზმი. ერთიანის გაორების დროს არ გამოდგება „ან-ან“, რადგან აქ სწორედ წინააღმდეგობის ერთიანობა გვაქვს, ერთიანის გაორება თვითონ წარმოადგენს ერთ გარკვეულ პრინციპს. დაპირისპირებულთა შეთანხმება-გაერთიანების სფეროში, დაბოლოებულის სფეროში გამოსადეგია „ან-ან“, ე. ი. შეუძლებელია ასეთი შეთანხმება-გაერთიანება, რადგან ეს უკანასკნელი წინააღმდეგობის უარყოფას წარმოადგენს. ბურჟუაზია და პროლეტარიატი ემყარება ერთსა და იმავე წარმოების წესს, მაგრამ არ შეიძლება ვთქვათ, რომ ის, რაც პროლეტარულია, ბურჟუაზიულიცაა, და პირიქით. „ან-ან“ გამოსადეგია ორი სხვადასხვა პრინციპის მიმართ; ნამდვილი წინააღმდეგობა, მით უმეტეს ანტაგონისტური, ცხადია, წინააღმდეგობაა, ე. ი. იგი პრინციპული ხასიათისაა. ამიტომ პრინციპები არ რიგდებიან, არამედ იმარჯვებენ.

ის გარემოება, რომ გარკვეულ ფარგლებში შეიძლება „ან-ან“-ი იქნეს და აუცილებლადაც უნდა იქნეს გამოყენებული, როგორც აღვნიშნეთ, სრულიადაც არ აუქმებს წინააღმდეგობის ერთიანობას, პირიქით, იგი მისი მომენტია. „ან-ან“, წინააღმდეგობის შეუძლებლობა და მესამის გამორიცხვა უნდა გვესმოდეს არა როგორც წინააღმდეგობის გაუქმება, მისი უაზრობად მიჩნევა, როგორც ამას ადგილი აქვს ძველ, ფორმალურ ლოგიკაში, არამედ როგორც წინააღმდეგობის მიღება, მისი დახასიათება, — როგორც წინააღმდეგობის ერთიანობის ძირითადი მომენტისა.

როგორც თვითონ წინააღმდეგობის აღიარება, ისე „ან-ან“-ის მიღება და თვითონ ერთი საპირისპირო მხარეთაგანის ბუნება დაქვემდებარებულია წინააღმდეგობის ერთიანობის კანონზე როგორც სინამდვილეში, ისე მის ამსახველ ლოგიკურშიც.

განვითარებაშია ან-ან-იც და მისი გადაწყვეტაც, ნამდვილი გა-

მოსავალიც. გადამწყვეტია ერთი მხარე, სახელდობრ, განვითარებაში მყოფი მთელის შინაგანი მხარე, რომელიც ახალია, მომავლის მქონეა, მაშასადამე, უძლეველია და რომელსაც განვითარებაში მყოფი ახალ თვისობრიობაში გადაყავს; სწორედ წინააღმდეგობის და ბრძოლის საშუალებით, ახალ თვისობრიობაში გადასვლით თავის თავსაც ხსნის, ე. ი. თვითონაც წინააღმდეგობის ერთიანობას ემყარება. ამ უკანასკნელი გარემოების ნათელყოფისათვის ავიღოთ პროლეტარიატის ცნება „წმინდა ოჯახიდან“.

პროლეტარიატი და სიმდიდრე, წერენ მარქსი და ენგელსი „წმინდა ოჯახში“, დაპირისპირებას წარმოადგენს; ორივე ერთ მთელს შეადგენს. ორივე საპირისპირო წარმოშობილია კერძო საკუთრებისაგან. იმის თქმა, რომ ეს საპირისპირონი ერთ მთელს წარმოადგენენ და ისინი ერთი მთელის მხარეები არიან, არ არის საკმარისი. საქმე იმაშია, თუ თითოეული მათგანი, თითოეული ამ ელემენტთაგანი რა ადგილს იკერს წინააღმდეგობაში<sup>1</sup>.

ამ დებულებებში, ჩვენი საკითხის თვალსაზრისით, აღსანიშნავია შემდეგი მომენტები: 1) დაპირისპირება გაგებულია როგორც წინააღმდეგობა, გარკვეულ სფეროში ისინი ერთიმეორეს უდრიან; 2) დაპირისპირებულნი ერთი საფუძვლიდან არიან წარმოშობილნი; 3) ისინი, როგორც სწორედ დაპირისპირებულნი, ერთ მთლიანობას შეადგენენ; 4) დაპირისპირებული მხარეები ერთი მთელის, ერთიანობის ელემენტებს წარმოადგენენ; 5) მთავარია ის, თუ ეს საპირისპირო ელემენტები რა ადგილს იკერენ წინააღმდეგობაში, როგორი გარკვეული მდგომარეობა აქვთ მათ იქ.

ამ უკანასკნელისათვის ის არის დამახასიათებელი, რომ იგი, ე. ი. საწინააღმდეგო ელემენტების გარკვეული მდგომარეობა წინააღმდეგობაში ამ უკანასკნელის (წინააღმდეგობის) დადებით და უარყოფით მხარეებს წარმოადგენენ და მას განსაზღვრავენ.

საქმე იმაშია, რომ კერძო საკუთრება, ამბობენ მარქსი და ენგელსი, როგორც სიმდიდრე, იძულებულია შეინახოს თავისი საკუთარი არსებობა; თავისი საკუთარი არსებობის შენახვა მას აიძულებს შეინახოს მისი საპირისპირო, სახელდობრ, პროლეტარიატი.

---

<sup>1</sup> „Пролетариат и богатство — это противоположности. Как таковые, они образуют некоторое единое целое. Они оба порождены миром частной собственности. Весь вопрос в том, какое определенное положение каждый из этих двух элементов занимает внутри противоположности. Недостаточно об'явить их двумя сторонами единого целого“.

К. Маркс и Ф. Энгельс, Соч. т. II, 1955, стр. 38.

В. И. Ленин, Философские тетради, 1947, стр. 12.

ეს არის წინააღმდეგობის დადებითი მხარე; ეს გარემოება არის თავის თავში დაკმაყოფილებული კერძო საკუთრება<sup>1</sup>.

მაშასადამე, ერთ-ერთი ელემენტი, მხარე წინააღმდეგობისა იძულებულია თავის საკუთარი თავის შენახვისათვის შეინახოს საპირისპირო; იგი იძულებულია თავის თავის შენახვაზე იბრძოდეს, ე. ი. დაუპირისპირდეს იმას, რაც მას ეწინააღმდეგება, მაგრამ, ამავე დროს, მან რომ ეს მოახერხოს, იძულებულია საპირისპიროც შეინახოს. ეს გარემოება არის წინააღმდეგობის დადებითი მხარე. დადებითი იმ აზრით, რომ ის ინახავს სწორედ წინააღმდეგობას. ეს არის ძველი, კონსერვატიული მხარე წინააღმდეგობაში.

მეორე საპირისპირო მხარე წინააღმდეგობისა, პროლეტარიატი, როგორც პროლეტარიატი, იძულებულია თავის თავი გააუქმოს და ამით გააუქმოს მისი გამპირობებელი საპირისპირო, კერძო საკუთრება, რომელიც მას პროლეტარიატად ჰქმნის. ეს არის წინააღმდეგობის უარყოფითი მხარე, მისი თავის თავში მოუსვენრობა, გაუქმებული და თავის თავის გამაუქმებელი კერძო საკუთრება<sup>2</sup>.

მაშასადამე, წინააღმდეგობის ერთი გარკვეული მხარე იძულებულია მოხსნას თავისი თავი და ამით მოხსნას მისი საპირისპირო, სახელდობრ ის, რომელიც მას ჰქმნის. წინააღმდეგობის ამ მხარის მიერ თავის თავის მოხსნა წინააღმდეგობის მოხსნაც არის (ამით მისი საპირისპიროც გამოდის, როგორც თავის თავის თავისებური მომხსნელი), ის მხარე წინააღმდეგობისა, რომელიც წინააღმდეგობას ხსნის, არის (წინააღმდეგობის) უარყოფითი მხარე. წინააღმდეგობის ის ელემენტი, რომელიც თავის თავს ხსნის, თავის მხრით თვითონ არის წინააღმდეგობის ერთიანობა (რომელიც აღნიშნული „დადებითი“ მხარით განისაზღვრება), რადგან იგი სწორედ თავის თავის უარყოფელია, თავის თავში თავის თავის უარყოფის შემცველია.

კერძო საკუთრებას თავისი თავი თვითგაუქმებამდე, თვითუარყოფამდე მიჰყავს იმით რომ თავისი ნების წინააღმდეგ და არაცნობიერად წარმოშობს პროლეტარიატს, როგორც ასეთს, როგორც სილა-

---

<sup>1</sup> „Частная собственность, как частная собственность, как богатство, вынуждена сохранить свое собственное существование и тем самым существование своей противоположности — пролетариата. Это — положительная сторона антагонизма, удовлетворенная в себе самой частная собственность“ (იქვე).

<sup>2</sup> „Напротив, пролетариат как пролетариат вынужден упразднить самого себя, и тем самым и обуславливающую его противоположность, — частную собственность делающую его пролетариатом. Это — отрицательная сторона антагонизма, его беспокойство внутри него самого, упраздненная и упраздняющая себя частная собственность“ (იქვე — გვ. 39).



ტაკეს. ეს სილატაკე, რომელიც შეიგნებს თავის სულიერ და ფიზიკურ სილატაკეს, თავის არაადამიანურობას, ამით აუქმებს მას, თავის ამ არაადამიანურობას. პროლეტარიატს სისრულეში მოჰყავს განაჩენი, რომელიც კერძო საკუთრებამ თავის თავს გამოუტანა, წარმოშვა რა პროლეტარიატი, რომელიც თავის თავის მიმართ გამოაქვს დაქირავებულ შრომას იმით, რომ აწარმოებს სხვის სიმდიდრეს და თავის სილატაკეს<sup>1</sup>.

წინააღმდეგობის დახასიათებისათვის აქ ის არის აღსანიშნავი, რომ წინააღმდეგობის მხარეები საპირისპიროს გაუქმებით თავის თავს ხსნიან და პირიქით, აუქმებენ რა თავის თავს, ხსნიან საპირისპიროს, რომელიც მხარის მიერ თავის თავის მოხსნა მეორის — საპირისპიროს შექმნით წარმოებს; თითოეული თავის თავს ხსნის იმით, რომ წარმოშობს თავის მომხსნელს. საპირისპირონი ერთი-მეორის დადგენით თავის თავს უარყოფენ, თავის თავის უარყოფისათვის ერთიმეორეს ჰქმნიან და აღგენენ.

ამ გარემოების მსჯელობებით და მათი (ამ მსჯელობათა) აუცილებელი ერთიანობით (დასკვნით) გამოხატვა, ე. ი. ლოგიკური ფორმით მისი გამოხატვა, შეუძლებელია დამყარებულ იქნეს ძველი, ფორმალური ლოგიკის „აზროვნების ძირითად კანონებზე“ და სხვა ცნობილ წესებზე; ეს უკანასკნელნი სრულიადაც არ არიან საკმარისი ასეთი შემთხვევისათვის. ის აზრი, როგორც გაგება, რომელიც წინააღმდეგობის ერთ მხარეს, ელემენტს ასახავს, გამოხატავს, ცხადია, დამყარებული იქნება იმ აზრზე, რომელიც მეორე, საპირისპირო მხარის გაგება და ასახვა იქნება, — სულ ერთია ენობრივად რა ფორმით იქნებიან ეს საპირისპირო აზრები გამოთქმული: ორივე დადებითი, თუ ერთი დადებითი და მეორე უარყოფითი ფორმის წინადადებებით (აზრის ფორმის წინადადების ფორმაზე დაყვანა ლოგიკის გრამატიკაზე დაყვანა იქნება და იდეალიზმს წარმოადგენს). ურთიერთდამდგენი და ურთიერთგამომრიცხავი ლოგიკურად ასეთივე ერთიანობაში უნდა იქნეს გამოხატული.

ის გარემოება, რომ ან-ან-ის საფუძველზე ერთის მიერ მეორე უნდა მოიხსნას, ახალმა და განვითარებაში მყოფმა ძველი, მოკვდავი და დრომოკმეული უნდა უარყოს, არ ნიშნავს იმას, რომ ეს ახალი აბსოლუტური მხარედ რჩება. მაგ., გამარჯვებული პროლეტარიატი არავითარ შემთხვევაში არ ხდება საზოგადოების აბსოლუტური მხარედ. პროლეტარიატის გამარჯვება. საბოლოოდ, იმას კი არ ნიშნავს, რომ იგი მის საპირისპიროს მოსპობს და თვითონ დარჩება, — დარჩება როგორც პროლეტარიატი. თუ ის მაინც ერთ მხარედ დარჩა, მაშინ

<sup>1</sup> იხ. К. Маркс Ф. Энгельс., Соч., т. XII, стр. 39.

უსათუოდ მეორე მხარეც უნდა დარჩეს, — აბსოლუტური მხარე კი არ შეიძლება მხარე იყოს; ის რაც ერთი მხარეა, არ შეიძლება აბსოლუტური იყოს და, რაც აბსოლუტურია, არ შეიძლება ერთმხრივი იყოს. პროლეტარიატის გამარჯვება იმას ნიშნავს, რომ ის ხსნის თავის თავსაც და თავის საპირისპიროსაც, მისი გამარჯვება ასეთი დაპირისპირების მოხსნაა, შესრულებული რევოლუციით, ანაღ თვისობრიობაში გადასვლის სახით. პროლეტარიატის გამარჯვებით იხსნება როგორც პროლეტარიატი, ისე მისი გამპირობებელი საპირისპირო — კერძო საკუთრება<sup>1</sup>.

ასეთი რამ ხდება მაშინ, როცა წინააღმდეგობა უკიდურესობამდეა მისული, როცა ამოწურულია ის დაბოლოებული, რომელსაც წინააღმდეგობა წარმოადგენს. რადგან საპირისპირო და საწინააღმდეგონი ერთიმეორეს მხოლოდ კი არ უარყოფენ, არამედ აღგენენ კიდევ, ე. ი. ერთიმეორეს ერთმხრიობებად განსაზღვრავენ, რათა შეავსონ და ჩამოაყალიბონ ის მთელი, რომლის მხარეებსა და ელემენტებსაც ისინი და მხოლოდ ისინი — ორი ურთიერთგამომრიცხავი საპირისპიროები შეადგენენ, ამიტომ ერთის მოხსნა მეორის მოხსნაცაა; ერთ-ერთი მათგანის მიერ მეორის უარყოფა მის უარყოფასაც ნიშნავს და მეორის მიერ თავის თავის უარყოფა საპირისპიროსაც უარყოფს.

წინააღმდეგობაში ერთ-ერთი მხარე თავის თავს ინახავს, ამით მის საპირისპიროსაც ინახავს, თავისი თავის შენახვისათვის ინახავს მეორეს: მას თავისი თავის შენახვა შეუძლია წინააღმდეგობის შენახვით; ეს მისთვის დადებითი მხარეა, მაგრამ, განვითარების არსების თვალსაზრისით, იგი უარყოფითი და რეაქციულია; ეს გარემოება ერთ-ერთი აუცილებელი პირობათაგანია თვითონ ამგვარ წინააღმდეგობის არსებობისათვის.

რომ ძველი, მომაკვდავი, ღრმობჭმული მართლაც ასეთი არ იყოს და ასეთად დარჩენას არ ისწრაფოდეს, მაშინ შეუძლებელი იქნებოდა თვითონ დაპირისპირება და წინააღმდეგობა; სწორედ ამიტომ დაპირისპირებულთა ბრძოლა განვითარების არსებას შეადგენს.

მაგრამ ისიც ცხადია, რომ ეს წინააღმდეგობა და ამიტომ განვითარება შეუძლებელი იქნება მეორე მხარის გარეშეც, ახალის, მხარ-

<sup>1</sup> Одержав победу, пролетариат низким образом не становится абсолютной стороной общества, ибо он одерживает победу, только упраздняя самого себя и свою противоположность. С победой пролетариата исчезает как сам пролетариат, так и обуславливающая его противоположность — частная собственность. К. Маркс и Ф. Энгельс. Соч., т. II, стр. 39; В. И. Ленин. Философские тетради, стр. 14.

დის და განვითარებადის გარეშე. ეს მეორე მხარე წინააღმდეგობაში, საბოლოოდ, თავის თავის უარყოფამდე მიდის და ამით იმავე წინააღმდეგობას სხვა ფორმებში კი არ ანვითარებს, არამედ ხსნის მას ახალი, სულ სხვაგვარი წინააღმდეგობის ერთიანობის დამყარებისათვის, სადაც არც ის იქნება და არც მისი საწინააღმდეგო. ამიტომ ეს მხარე არის თვითონ წინააღმდეგობის მომხსნელი, ის არის უძლეველობის ელემენტი წინააღმდეგობაში, ეს უძლეველი ქმნის ახალს, მომავალს; ის არის სწორედ შემოქმედი ახალი თვისობრიობისა სწორედ ძველთან დაპირისპირება-წინააღმდეგობის საფუძველზე.

დასრულებულ პროლეტარიატში დასრულებულია ადამიანობისაგან განყენებაც. პროლეტარიატის სასიცოცხლო პირობები არა-ადამიანურია, პროლეტარიატში ადამიანმა თავის თავი დაქარგა, მაგრამ ამასთანავე გაიგო მისი არაადამიანურობა, კიდევ მეტი, იძულებულია აღმოეთქვას ამ არაადამიანურობის წინააღმდეგ და არ სპირუებს თავის თავის შენახვას, არ არსებობს აუცილებლობა კიდევ თავისი თავის შენახვისათვის. ამიტომ მას შეუძლია და უნდა, გაანთავისუფლოს თავისი თავი. აქ თავისი თავის უარყოფა არის, ამავე დროს, თავისი თავის განთავისუფლება. პროლეტარიატი თავის თავს ინთავისუფლებს მხოლოდ საკუთარი სასიცოცხლო პირობების მოსპობით, თვითუარყოფით. მას შეუძლია მოსპოს საკუთარი ცხოვრების პირობები მხოლოდ იმით, რომ მოსპოს თანამედროვე საზოგადოების ყველა არაადამიანური ცხოვრების პირობები, რომლებიც მის მდგომარეობაშია კონცენტრირებული. ის ტყუილად არ გადის შრომის მკაცრ, მაგრამ გამომბრძმედ სკოლას. მთავარია ის, თუ რას წარმოადგენს პროლეტარიატი და რა უნდა გააკეთოს ისტორიული აუცილებლობით. პროლეტარიატის მიზანი ამ გარემოებას ემთხვევა. სუბიექტური და ობიექტური, ამ შემთხვევაში, ერთიმეორეს ემთხვევა. პროლეტარიატის სასიცოცხლო მდგომარეობა განსაზღვრავს აუცილებლობით მის მიზანს და მის ისტორიულ მისიას; ის ინთავისუფლებს თავის თავს და მთელ საზოგადოებას. ქმნის ნამდვილ, თავისუფალ ისტორიას<sup>1</sup>.

ნათქვამიდან ჩანს, რომ ის, რაც თავის თავს ხსნის, თვითუარყოფის შემძლეა და შემსრულებელი, არის არა თავის თავის მხოლოდ მომხსნელი, არამედ ამის საშუალებით, თავის თავის განმთავისუფლებელი; რადგან მასშია მთელი წინააღმდეგობა კონცენტრირებული, ამიტომ წარმოადგენს იგი წინააღმდეგობის მიწართ უარ-

<sup>1</sup> აბ. К. Маркс и Ф. Энгельс., Соч. т. II. стр. 39.

ყოფით ძალას, როგორც ნამდვილად მის უარყოფელ ნამდვილ დადებით ძალას.

ასეთი რაიმეს და საერთოდ ასეთი წინააღმდეგობის და მისი მოხსნის მიმართ, ცხადია, სრულიად გამოუსადეგარია ძველი ლოგიკის „აზროვნების ძირითადი კანონები“, რადგან ამ უკანასკნელთ აბსოლუტურად წარმოდგენილი აქვთ ის, რასაც მხოლოდ შედარებითი მნიშვნელობა აქვს, ძირითად კანონად გამოცხადებულია კანონის ერთი მხარე, სისრულედ მიჩნეულია ის, რაც მხოლოდ ერთმხრივია. როგორც ზემოთაც რამდენიმეჯერ აღინიშნა, შედარებითის და ერთმხრივის აბსოლუტურად და სრულად მიჩნევა აშკარა შეცდომასა და უაზრობას წარმოადგენს.

შეუძლებელია მხოლოდ ან-ან-ი გამოვიყენოთ იმის მიმართ. რაც თვითუარყოფით თავის თავს ანთავისუფლებს, თვითონ წინააღმდეგობის (რაშიც ერთ-ერთ მომენტს ან-ან-ი წარმოადგენს) საფუძველზე თვითონ ამ წინააღმდეგობას (და, მაშ., ან-ან-ს) ხსნის. შეუძლებელია ითქვას: პროლეტარიატი ან თავის თავს უარყოფს, ან არ უარყოფს თავის თავს (პირიქით, სწორედ უარყოფით მაღალ საფეხურზე აყავს თავის თავი, თავის თავს ანთავისუფლებს), მესამე გამორიცხულია. ან-ან-ი გამოდგება იმდენად, რამდენადაც წინააღმდეგობაში მისი მხარეები ერთი მეორეს გამორიცხავენ, ე. ი. რამდენადაც წინააღმდეგობა გვაქვს, მაგრამ არ გამოდგება იმდენად, რამდენადაც მხოლოდ წინააღმდეგობა და მხოლოდ ურთიერთგამორიცხვა არა გვაქვს.

ამიტომ შეუძლებელია მსჯელობათა. მაგ., აქ აღნიშნულ მსჯელობათა კავშირი მხოლოდ ან-ან-ს ექვემდებარებოდეს; ლოგიკური კავშირისათვის წინააღმდეგობა და ან-ან-ი მხოლოდ მომენტია, რადგან ლოგიკურ კავშირს და საერთოდ კავშირს განსხვავებულთა სინთეზური კავშირის გარეშე აზრი არა აქვს. მაშასადამე, ლოგიკური უნდა იყოს უსათუოდ დიალექტიკურ-ლოგიკური, იგი უნდა ექვემდებარებოდეს წინააღმდეგობის ერთიანობის კანონს. თვითონ სინამდვილე განსაზღვრავს იმას, რომ მისი გამომთქმელი აზრები წინააღმდეგობას აუცილებლობით უნდა შეიცავდეს, ე. ი. იყოს დიალექტიკური.

თვითონ წინააღმდეგობის შეუძლებლობის აღიარება წინააღმდეგობის უარყოფას წარმოადგენს; წინააღმდეგობის უარყოფა კი შესაძლებელია მხოლოდ და მხოლოდ წინააღმდეგობის ცნების წინააღმდეგობის სწორედ ამ ცნების საფუძველზე. წინააღმდეგობის უარყოფის დროს, ცხადია, თვითონ წინააღმდეგობის ცნებაა მოხმარებული და გამოყენებული. აქ „შეუძლებლობა“ მხოლოდ იმას უნდა ნიშნავდეს, რასაც წინააღმდეგობაში უარყოფა გამოხა-

ტავს; წინააღმდეგობაში ერთი მხარე მეორის უარყოფაა და მათი გაიგივება შეცდომას წარმოადგენს.

ამიტომ უნდა ითქვას, რომ წინააღმდეგობა მხოლოდ მოვლენებისა და დაბოლოებულის სფეროში მიუთითებს ლოგიკურ შეუძლებლობაზე, მაგრამ არა საერთოდ, რადგან ეს შეუძლებლობა თვითონ ემყარება წინააღმდეგობას; წინააღმდეგობა საერთოდ არ ნიშნავს ლოგიკურ შეუძლებლობას. სწორედ წინააღმდეგობის ერთიანობის დაპირისპირებულ მსჯელობათა ერთიანობით ლოგიკური გამოთქმა მოასწავებს ძველი ლოგიკის „აზროვნების ძირითად კანონთა“ დაქვემდებარებულ და შედარებით ხასიათს. როგორც ეს ზემოთ იქნა გარკვეული, არც დროის სხვადასხვაობა და არც სხვადასხვა მიმართებაში ყოფნა არ ნიშნავს წინააღმდეგობას, რადგან: სხვადასხვაობა დროის სხვადასხვა მომენტში და სხვადასხვაობა სხვადასხვა მიმართებით თვითონ არის შესაძლებელი ერთი და იმავეს თავის თავისადმი ერთდროული და ერთი გარკვეული მიმართებით არსებული დაპირისპირებით; სწორედ ეს გარემოება მოძრაობასა და განვითარებას ხდის გასაგებად (მოძრაობის და განვითარების კანონების გაგება კი მატერიის, მთელი სინამდვილის ბუნების გაგებას უდრის): ამ შემთხვევაში, ერთიანობა დაუბოლოებელის მომენტს შეიცავს. ამავე დროს, როგორც ენკელსის ზემოთ აღნიშნული დებულებიდან ნათლად ჩანს, დაპირისპირება ერთ და იგივეში, ამავე დროს, წინააღმდეგობას წარმოადგენს, არ არსებობს დაუბოლოებელი მესამე, ის გამორიცხულია სწორედ მესამის, როგორც დაუბოლოებელის მომენტის. საფუძველზე.

ამდენად უნდა ითქვას ისიც, რომ არა მარტო წინააღმდეგობის შეუძლებლობის დებულებაა ენთიმემური („ენთიმემური“ — არა, ჩვეულებრივი, სიტყვიერი, არამედ აზროვნებრივი, ლოგიკური გაგებით, როგორც სხვისი მომთხოვნი, სხვისი აუცილებლობით მოგულისხმე და არასაკმარისი და ერთმართივი) ხასიათის, არ მუდ გამორიცხული მესამის დებულებაც, რომელიც წინააღმდეგობის შესაძლებლობას ემყარება. გამორიცხული მესამის დებულება, გამორიცხავს რა მესამეს, სწორედ მესამეს ემყარება: გამორიცხავს დაბოლოებულ მესამეს და მესამეს, როგორც დაუბოლოებელის მომენტს, ემყარება; ამავე დროს, სწორედ იმის ცნებას მოიხმარს, რასაც გამორიცხავს. მესამის გამორიცხვა სხვას არაფერს არ წარმოადგენს, თუ არა წინააღმდეგობის შესაძლებლობას და აუცილებლობას და თვითონ წინააღმდეგობის დახასიათებას, მაგრამ ისე, რომ როგორც წინააღმდეგობის შეუძლებლობის დებულება, ისე მესამის გამორიცხვის დებულება ისეთი უარყოფითი ბუნების არიან, რომლებიც დადებითს ემყარებიან. მას გულისხმობენ: ამიტომ ნამდვილი სრული ლოგიკუ-

რი ამ დადებითისა და უარყოფითის ერთიანობას უნდა წარმოადგენდეს.

წინააღმდეგობა არა მარტო ერთიანზეა დამყარებული და მისით არის შესაძლებელი, არამედ იგი (წინააღმდეგობა) სწორედ ერთიანით წყდება და თითოეული მხარე, ელემენტი, მომენტი წინააღმდეგობისა თვითონ წარმოადგენს გარკვეული წინააღმდეგობის ერთიანობას (როგორც მეორე მხარით განსაზღვრულს), ე. ი. წინააღმდეგობას სწორედ წინააღმდეგობის ერთიანობით აქვს აზრი და გამართლება.

წინააღმდეგობის ერთი მხარე წინააღმდეგობის ერთიანობაში თვითონ არის წინააღმდეგობის ერთიანობა, რამდენადაც იგი სწორედ ერთმხრიობაა, და, მაშასადამე, დადებით-უარყოფითობის თავისებურ ერთიანობას წარმოადგენს. ამიტომ ის გარემოება, რომ აქ წინააღმდეგობის ერთი მხარე თვითონ არის წინააღმდეგობის ერთიანობა, არ უნდა წარმოვიდგინოთ ისე, თითქოს თვითონ ეს ერთმხრიობა წარმოადგენს სისრულეს და დამოუკიდებლობას, — ასეთი წარმოდგენა ყალბია, რადგან ამ ერთმხრიობის სისრულედ წარმოდგენა, მის ერთ მხარეს კიდევ სისრულედ, ამ აზრით, წინააღმდეგობის ერთიანობად წარმოვიდგინოთ და ასე შემდეგ უსასრულოდ (ამიტომაც არა გვაქვს გაორებაში უსასრულოდ წასვლა).

არა მარტო არსებაა წინააღმდეგობის ერთიანობა, არამედ იგი ერთი არსების მეორეში, როგორც ახალ თვისობრიობაში, გადასვლის „შინაგან შინაარსსაც“ წარმოადგენს. წინააღმდეგობის ერთიანობა საერთოდ კავშირის და, კერძოდ, ლოგიკური კავშირის არსებას შეადგენს; ყოველგვარ კავშირს მხოლოდ წინააღმდეგობის ერთიანობით აქვს აზრი; წინააღმდეგობის ერთიანობის უარყოფაც მას ემყარება და მისით არის შესაძლებელი. შეცდომასაც მხოლოდ კეშმარიტებით აქვს აზრი; ამას მოწმობს კეშმარიტება-შეცდომის დიალექტიკაც.

მაგრამ წინააღმდეგობის ის მომენტიც, რომელიც თავის თავის უარყოფით წინააღმდეგობას სწყვეტს, არის ის, რასაც შეიძლება დაუბოლოებელის მომენტი ეწოდოს, რადგან უკიდურესად განვითარებული წინააღმდეგობა არარაობის მიღების საშუალებას კი არა, არამედ სწორედ ახალ, მაღალ საფეხურზე აყვანის საშუალებას წარმოადგენს; ეს მომენტი უძლეველ მომენტად იწოდება მარქსიზმ-ლენინიზმის კლასიკოსების ნაშრომებში.

ამიტომ, როგორც ეს ზემოთაც გაიკვია, მცდარია ის აზრი, რომელსაც დაბოლოებულის და დაუბოლოებელის დამოკიდებულება წარმოუდგენია როგორც ერთის (დაბოლოებულის) მეორეში (დაუ-

ბოლოებელში) და პირიქით გადასვლა, რამდენადაც, ასეთ შემთხვევაში, დაბოლოებული და დაუბოლოებელი ცალ-ცალკე, ერთი მეორისგან მოწყვეტილად არიან წარმოადგენილი და შემდეგ ცდილობენ მათს ერთიმეორეში გადაყვანას.

დაბოლოებულისა და დაუბოლოებელის ერთიმეორეში გადასვლაზეც შეიძლება ლაპარაკი, რამდენადაც ისინი წინააღმდეგობის ერთიანობას შეადგენენ და, როგორც ამ ერთიანობის მხარეები, ერთიმეორეს ასაბუთებენ ურთიერთუარყოფის საშუალებით, ე. ი. ერთიმეორის განსაზღვრულობებს წარმოადგენენ, რამდენადაც ერთი არის ამავე დროს მეორეც. არადაბოლოებული დაბოლოებულში, და პირიქით, გადადის მათში არსებული დაუბოლოებელის საფუძველზე, ან უკეთ: დაბოლოებულ განსაზღვრულობათა მთლიანობა, საპირისპიროთა ერთიანობაა სწორედ დაუბოლოებელი.

ყოველი კონკრეტული საგანი დაუბოლოებელისა და დაბოლოებულის ერთიანობაა; ასეთი შინაგანი დაპირისპირება სცვლის მას (საგანს) და გადაჰყავს იგი სხვა, დაუბოლოებელის არსებად შემცველ დაბოლოებულში. მართალია, წინააღმდეგობის ერთიანობა, რომელსაც საგანი წარმოადგენს, დაუბოლოებელია, მაგრამ წინააღმდეგობის ის გადაწყვეტა, რომელიც საგანს ხსნის, სისრულით ავლენს დაუბოლოებელის მომენტს, რადგან თავის თავის დამძლევი და მაღალ საფეხურზე ამყვანი თვითმომძრავი უძლეველ ძალასაც შეიცავს.

როგორც აღვნიშნეთ, კაპიტალისტური წინააღმდეგობის, სახელდობრ, კაპიტალისტური კერძო საკუთრების წინააღმდეგობის „უარყოფით მხარეს“ პროლეტარიატი წარმოადგენს, რომელიც თავის თავის მოხსნით ამ წინააღმდეგობას ხსნის და თავის თავს ანთავისუფლებს; ამდენად იგი ნამდვილად დადებით მხარეს შეადგენს საზოგადოების განვითარებისათვის. ის არის ის ახალი, რომელსაც წინ მიჰყავს საზოგადოება, რადგან წინააღმდეგობა მას კი ვერ უარყოფს, პირიქით, იგი ხსნის ამ წინააღმდეგობას, ე. ი. იგი უძლეველ ძალას წარმოადგენს.

წინააღმდეგობის მომხსნელი, მისი „უარყოფითი მხარე“ გვაძლევს ახალს, რადგან თვითონაა ახალი წინააღმდეგობის მეორე მხარესთან შედარებით. ახალი მიმატებით კი არ მიიღება, არამედ უარყოფით, „ერთგვარი გამოკლებით“, „სხვაობით“; თვითონ მიმატებას, განვითარებას უარყოფის მომენტი იძლევა, სახელდობრ, ის უარყოფითი მომენტი, რომელიც, ნამდვილად, დადებით უძლევლობას, ამდენად, დაუბოლოებელის მომენტს წარმოადგენს.

სწორედ ასე ესმის მარქსს ისეთი განვითარებაც, რომელსაც მათემატიკაში აქვს ადგილი. მაგალითად, წარმოებულის მიღების

დროს. მარქსის მიერ წარმოებულის მიღება გაგებულა არა „ჯამის თვალსაზრისით“ (რომელიც მეტაფიზიკურ თვალსაზრისს წარმოადგენს), არამედ „სხვაობის თვალსაზრისით“, „განვითარების მეთოდით“ და არა „გამოთავისუფლების მეთოდით“<sup>1</sup>. ნაზრდი გამოიხატება ცვლადი სიდიდის სხვადასხვა მნიშვნელობათა სხვაობით, გაზრდამდე აღებულის და გაზრდილის სხვადასხვაობით და არა ცვლადის ნაწილების თავმოყრით, შეჯამებით; თვითონ ზრდა ცვლადისა ის სინთეზურობაა, რომელიც განსხვავებაზეა დამყარებული, განვითარება ამ სხვაობით გამოიხატება.

კაპიტალიზმის პირობებში მიმოქცევამ გარკვეული საქონლის ვაყიდვა-ყიდვით თვითმზარდი ღირებულება უნდა მოგვეცეს, მაგრამ მიმოქცევა მხოლოდ ეკვივალენტების გაცვლას წარმოადგენს. ეკვივალენტების გაცვლა მოგებას იძლევა გაცვლაში ჩაბმული ორივე მხარისათვის მხოლოდ სახმარი ღირებულების თვალსაზრისით, წინააღმდეგ შემთხვევაში, გაცვლა შეუძლებელი იქნებოდა, — არავინ არ გაცვლიდა თავის საქონელს. გაცვლა-გამოცვლის ორივე მხარე კერასოდეს ვერ მოიგებს საცვლელი ღირებულების მხრივ<sup>2</sup> თუ, საცვლელი ღირებულების მხრივ, გაცვლის ორივე მხარე მოიგებს, ეს მას ნიშნავს, რომ სწორედ ვერც ერთი ვერ მოიგებს.

საქონლის მიმოქცევაში ეკვივალენტების გაცვლასთან გვაქვს საქმე; ეკვივალენტების გაცვლა კი ზედმეტ ღირებულებას ვერასოდეს ვერ მოგვეცემს. არაეკვივალენტების გაცვლის დროს ვაყიდვაში მოგებულ ყიდვაში იქნება წაგებული, ამიტომ არც აქ გვექნება ზედმეტის მიღება, ნაზრდის მიღება. „თუ ერთმანეთზე ეკვივალენტები იცვლება, არავითარი ზედმეტი ღირებულება არ წარმოიშობა, ხოლო თუ არა-ეკვივალენტების გაცვლა ხდება, ასევე არავითარი ღირებულება არ წარმოიშობა. მიმოქცევა, ანუ საქონელთა გაცვლა, არავითარ ღირებულებას არ ქმნის“<sup>3</sup>.

თუ საქონლის მფლობელი დამოკიდებულებაშია მხოლოდ თავის საკუთარ საქონელთან, მაშინაც არ იქმნება ზედმეტი. საქონლის მფლობელს შეუძლია თავისი შრომით ღირებულება შექმნას, მაგრამ არა თვითმზარდი ღირებულება. ამიტომ „შეუძლებელია საქონელმწარმოებელმა მიმოქცევის სფეროს გარეშე, სხვა საქონელმფლობელთან ურთიერთობაში შეუსვლელად, გაადიდოს ღირებულება და ამიტომ ფული ან საქონელი კაპიტალად გადააქციოს“. ფულის მფლობელმა „საქონელი მისი ღირებულების მიხედვით უნდა იყი-

<sup>1</sup> კ. მარქსი მათემატიკური ხელნაწერები, 1948 წ., ქართ. გამოც., გვ. 69 — 70, 86 — 87, გვ. 152 — 153, 186 და შემდეგ.

<sup>2</sup> კ. მარქსი, კაპიტალი, ტ. I, გვ. 203.

<sup>3</sup> იქვე, გვ. 209.



დოს, მისი ღირებულების მიხედვით უნდა გაყიდოს და, ბოლოს, მიუხედავად ამისა, პროცესის დასასრულს მისგან მეტი ღირებულება მიიღოს, ვიდრე შიგ მოათავსა“<sup>1</sup>.

ეს მაშინ იქნება შესაძლებელი, ე. ი. აღნიშნული წინააღმდეგობა მაშინ იქნება დაძლეული, როცა ფულის მფლობელი ისეთი საქონლის მფლობელს შეხედება მიმოქცევაში, რომელიც თავის საქონელთან სრულიად თავისებურად არის დაკავშირებული, სახელდობრ ისე, რომ მისი საკუთარი საქონლის გასხვისებით, გაყიდვით უარს არ ამბობს თავის საკუთრებაზე ამ საქონლის მიმართ: ააეთი უცნაური საქონელმფლობელი საქონელი არის მისი საკუთარი სამუშაო ძალა. ღირებულების ცვლილება, მისი თვითზრდა შეიძლება მხოლოდ ასეთი საქონლის მოხმარებით, ე. ი. ღირებულების ცვლილება ასეთი საქონლის სახმარი ღირებულებიდან გამომდინარეობს. ფულის მფლობელმა უნდა „მიმოქცევის სფეროს ფარგლებში, ე. ი. ბაზარზე აღმოაჩინოს საქონელი, რომლის სახმარ ღირებულებასაც თვით ექნებოდა ის განსაკუთრებული თვისება, რომ იგი ღირებულების წყაროა, — ისეთი საქონელი, რომლის ფაქტიური მოხმარებია პროცესი. ამრიგად, თვით იქნებოდა შრომის გასაგნობრავებს პროცესი. მაშასადამე, ღირებულების შექმნის პროცესი“<sup>2</sup>.

იმის პირველი საფუძველი, რომ თვითმზარდი ღირებულება ვაცლა-გამოცვლაში არ იქმნება, არამედ წარმოებაში და მთვე დროს იგი არ შეიძლება ვაცვლა-გამოცვლის გარეშე შეიქმნას, არის ვაცვლა-გამოცვლის, როგორც წარმოების აუცილებელი (თუმცა მისი უარყოფელი) მომენტის, არსებობა

პროლეტარი თავისი სამუშაო ძალის, ე. ი. იმ საქონლის გასხვისებით, რომლის საკუთრებაზეც უარს არ ამბობს, ქმნის ღირებულებას, რომლის ნაწილიც მისი სამუშაო ძალის აღდგენაზე მიდის, ნაზრდი კი იმას რჩება. ვინც საწარმოო და საარსებო საშუალებათა მფლობელია და ბაზარზე თავისუფალი მუშისგან სამუშაო ძალას ყიდულობს, ასე იქმნება თვითმზარდი ღირებულება, მუშა თავისი სამუშაო ძალის გასხვისება-უარყოფით ქმნის ზედმეტ ღირებულებას. ნაზრდს, რომელიც უნდა გამოისახოს სხვაობით და არა ჯამით. ე. ი., რომელიც თვითონ წარმოადგენს სხვაობას.

ახლის შექმნა იმ ძალით ხდება, რომელსაც შეუძლია თავის თავის უარყოფა; თავის თავის უარყოფით განვითარების მოცემის შემძლე უძლეველია და იგი არის იმის შემძლე. რომ უარყოს, დასძ-

<sup>1</sup> ე. მარქსი. კაპიტალი, ტ. I, გვ. 213.

<sup>2</sup> იქვე, გვ. 214.

<sup>3</sup> იხ. ე. მარქსი. პოლიტიკური ეკონომიის კრიტიკისათვის, შესავალი.

ლიოს ის წინააღმდეგობა, რომელიც მას და მის სოციალტიკეს ქმნი-  
აბით, როგორც ეს ზემოთ გაიჩქეა, გაანთავისუფლოს თავის თავი.

ასეთი უნდა იყოს დიალექტიკური გადასვლები, დამყარებული  
წინააღმდეგობის ერთიანობაზე და ამ წინააღმდეგობის ერთიანობის  
გამომხატველი, მისი არსებად შემცველი უარყოფის საშუალებით.  
სახელდობრ, თვითუარყოფის საშუალებით, შესრულებული გადას-  
ლა ახლის წარმოშობას წარმოადგენს. აქ დაღებიოთის და უარყოფი-  
თის ერთიანობის ლოგიკურად სრული გამოხატვა მხოლოდ საპირის-  
პირო და ურთიერთგამომრიცხავი მსჯელობების ერთიანობით შეიქ-  
ლება, რომელიც, რადგან თავისში შეიცავს უარყოფას, თვითონ არ  
არის გარეგან უარყოფაზე დამოკიდებული, ამ აზრით არაა უარყო-  
ფითი.

აქვე უნდა აღინიშნოს ისიც, რომ აქ მხედველობაში გვაქვს საერ-  
თოდ წინააღმდეგობის ერთიანობის ბუნება და არა იმ პირობებას  
სხვადასხვაობა, რომლებიც მას განსხვავებულად წარმოადგენს. ეს  
ვანსხვავებულობანი თვითონ აიხსნებიან იმით, რის განსხვავებუ-  
ლობებსაც ისინი წარმოადგენენ. ანტაგონისტური და არაანტაგონ-  
ისტური წინააღმდეგობანი, ცხადია, თვითონ წინააღმდეგობის  
ერთიანობის კანონით აიხსნებიან; წინააღმდეგობის ერთიანობის  
კანონი უნივერსალურ კანონს წარმოადგენს.

ის, რაც უარყოფის, სახელდობრ თვითუარყოფის, საშუალებით  
ახალს წარმოადგენს და ახალს გვაძლევს, არის, როგორც აღვნიშნეთ,  
უძლეველი ძალა, და თვითონ წარმოადგენს წინააღმდეგობის ერთი-  
ანობას, დაუბოლოებელის მომენტს დაბოლოებულში. მისი გაგება  
არა მხოლოდ მისი გაგებაა, არამედ იმისაც, რის საფუძველზედაც  
ის შეიქმნა. იგი თავისი ისტორიის საფეხურებს თავის თავში შეი-  
ცავს; ეს საფეხურები მის ერთმხრიობებს წარმოადგენენ. როგორც  
მისი მომენტები; ეს საფეხურები მასში მოხსნილი სახით არსებობენ  
და ამიტომ წარმოადგენენ მის მომენტებს, იმ ელემენტებს, რომლებ-  
საც არა ძველი, არამედ ახალი მთელის კანონზომიერება ახასია-  
თებთ, ამდენად მთელსაც შეიცავენ, თუმცა მის უარყოფასაც, სა-  
ხელდობრ, შინაგან უარყოფასაც წარმოადგენენ. ამ გარემოების  
შესანიშნავ მაგალითს თვითკრიტიკა წარმოადგენს. თვითკრიტიკა  
შეიძლება ვაგებულ იქნას ოკვეარად, ფართო და ვიწრო მნიშვნე-  
ლობით.

ფართოდ ვაგებული თვითკრიტიკა გამოყენებულია კ. მარქსის  
შემდეგ სიტყვებში: „ეგრეთწოდებული ისტორიული განვითარება  
იმაზეა საერთოდ დამყარებული, რომ მერმინდელი ფორმა ადრინ-  
დელ ფორმებს თავის საფეხურებად განიხილავს და ყოველთვის  
ცალმხრივად ესმის, ვინაიდან მას ძალიან იშვიათად და მხოლოდ

სისრულიად გარკვეულ პირობებში შესწევს თვითკრიტიკის უნარი, — რა თქმა უნდა, აქ ლაპარაკია არა ისეთ ისტორიულ პერიოდებზე. რომლებიც თვითონ დაშლის ხანას წარმოადგენენ. ქრისტიანულ სარწმუნოებას მხოლოდ მაშინ აღმოაჩნდა უნარი ხელი შეეწყოს წინანდელი მითოლოგიის ობიექტური გაგებისათვის, როცა მისი თვითკრიტიკა რამდენადმე მზად იყო, ასე ვთქვათ, *dynamici*. ასევე ბურჟუაზიულმა ეკონომიამ მხოლოდ მაშინ მიაღწია ფეოდალური, ანტიური, აღმოსავლეთური საზოგადოების გაგებას, როცა ბურჟუაზიული საზოგადოების თვითკრიტიკა დაიწყო. რამდენადაც ბურჟუაზიული ეკონომია, მითოლოგიაში გადავარდნილი, თავის თავს პირწმინდად არ აიგივებდა წარსულთან, — მისი კრიტიკა წინანდელი, სახელდობრ ფეოდალური (საზოგადოებისა), რომლის წინააღმდეგ მას უშუალოდ ბრძოლა უხდებოდა, იმ კრიტიკას ჰგავდა, რომელსაც ქრისტიანობა წარმართობის მიმართ, ანდა პროტესტანტიზმში კათოლიციზმის მიმართ ეწეოდა<sup>1</sup>.

უკიდურესად განვითარებული, სისრულით წარმოდგენილი წინააღმდეგობა იმასაც გვაგებინებს, თუ როგორ შეიქმნა იგი, თუ რა უსწრებს წინ და იმასაც, თუ რა შეიქმნება მის შემდეგ. ეს გარემოება თვითკრიტიკაში შეღავნდება და კატეგორიათა სისტემის, ვარკვეული ურთიერთდადგენა-დაქვემდებარების საფუძველს და შინაარსსაც წარმოადგენს. „ბურჟუაზიული ეკონომიის კატეგორიები ყველა საზოგადოებრივ ფორმათათვის შეიცავს ქეშმარიტებას“<sup>2</sup>. „აღამიანის ანატომია მაიმუნის ანატომიის გასაღებია“<sup>3</sup>. მაგრამ ლოგიკურად, როგორც ისტორიულის ამსახველის, ეს მხარე, კატეგორიათა სისტემა სისრულით კი არ გვანტერესებს, არამედ ის, თუ რას ემყარება იგი; როგორც ისტორიულის, ისე ლოგიკურის არსებობას წინააღმდეგობის ერთიანობა უნდა წარმოადგენდეს და თვითკრიტიკა თვითუარყოფასთან ერთად თვითდადგენასაც გვაძლევს, მის საფუძველს და შინაარსს წარმოადგენს. ფართო და ზოგადი გაგებით, თვითკრიტიკაში არსებითი უნდა იყოს უძლეველობის და დაუბოლოებელის მომენტი.

ის, რაც დიალექტიკურად ვითარდება, დიალექტიკურადვე უნდა იქნეს გაგებული. დიალექტიკური სინამდვილის გაგება აზროვნების დიალექტიკურ წესს მოითხოვს.

ეს გაგება თვითონ არის გარკვეული და თავისებური ძალა, რომლის საშუალებითაც თვითკრიტიკის (ამ სიტყვის ვიწრო გაგე-

<sup>1</sup> კ. მარქსი. პოლიტიკური ეკონომიის კრიტიკისათვის, გვ. 284 — 290.

<sup>2</sup> იქვე, გვ. 288 — 289.

ბით) წარმოება ხდება და ამიტომ სინამდვილის გარდაქმნისათვის აუცილებელია.

თვითკრიტიკა დიალექტიკურია თავისი ბუნებით, იგი დიალექტიკის საუკეთესო ნიმუშია. ერთი შეხედვით, რადგან თვითკრიტიკა თავისუფლებას წარმოადგენს, ამიტომ დისციპლინას უნდა გამოერიცხადეს; დისციპლინა და თვითკრიტიკა, ისე როგორც აუცილებლობა და თავისუფლება, ერთიმეორის საპირისპირო ცნებებია. ერთი შეხედვით, თვითკრიტიკამ დისციპლინა უნდა დაარღვიოს და დისციპლინა თვითკრიტიკას უნდა აუქმებდეს, მაგრამ ნამდვილად ეს საპირისპირონი მთლიანობაში არიან: ნამდვილ დისციპლინას თვითკრიტიკას დროსა აქვს ადგილი და ნამდვილი თვითკრიტიკა დისციპლინას ამტკიცებს, რადგან დისციპლინა შეგნებული უნდა იყოს. ნამდვილი თავისუფლება შეგნებული აუცილებლობაა.

შემოქმედებითობა, ინიციატივა შესაძლებელია თვითკრიტიკის ააფუძველზე. თვითკრიტიკა არაანტაგონისტური წინააღმდეგობის ვადაწყვეტის ფორმაა, ის კანონია განვითარებისა იქ, სადაც თავისუფალი აღამიანების თავისუფალ ისტორიასთან გვაქვს საქმე. თუ კაპიტალიზმის დროს კონკურენცია თამაშობდა დიდ როლს განვითარებაში, ე. ი. დიდ როლს თამაშობდა ანტაგონისტური წინააღმდეგობა. ურთიერთგამანადგურებელი წინააღმდეგობა და კონკურენცია. — სოციალისტური რევოლუციის შემდეგ სწორედ თვითკრიტიკაა მთავარი; სოციალისტური შეჯიბრება სხვა არაფერია, თუ არა თვითკრიტიკის გამოხატულება.

თვითკრიტიკა ნამდვილი გაგებით დამახასიათებელია საზოგადოების სოციალისტური წყობისათვის, სადაც განვითარება ნამდვილ თვითგანვითარებას. ნამდვილ ისტორიას წარმოადგენს. სადაც დაძლეულია ყოველგვარი ისეთი წინააღმდეგობანი. რომლებიც წინა ისტორიას ახასიათებდნენ და ელისშემშლელნი იყვნენ ნამდვილ. თავისუფალ აღამიანთა შექმნის და ნამდვილი ისტორიის, თავისუფალი ისტორიის ჩამოყალიბებისათვის; ეს უკანასკნელი ძველის დაძლევის შედეგად შეიქმნა, თუმცა დასაძლევნი დაძლევის წარმოშობის პირობას წარმოადგენდა. წინააღმდეგობის ზემოთ დახასიათებული ორი მხარე, როგორც ძველი და ახალი ანტაგონისტურ საზოგადოებაში ანტაგონისტურ წინააღმდეგობას ქმნიდნენ, რომლის (ანტაგონისტური წინააღმდეგობის) გადაწყვეტა კატაკლიზმებით და აფეთქებებით ხდებოდა. სოციალისტურ საზოგადოებაში კი ძველსა და ახალს შორის ბრძოლა არ არის ანტაგონისტური ხასიათის, ეს წინააღმდეგობა წყდება არა კატაკლიზმების ფორმით არამედ კრიტიკისა და თვით-

კრიტიკის ფორმით. კრიტიკა და თვითკრიტიკა საბჭოთა საზოგადოების განვითარების ერთ-ერთ მამოძრავებელ ძალას წარმოადგენს.

საგნის განსაზღვრულობა ქმნის მისი ადექვატური ასახვის ლოგიკურ განსაზღვრულობას. თუ დისციპლინას როგორც ეს ზემოთ აღვნიშნეთ, ცალმხრივად გავიგებთ, მაშინ მისი ცნება (გაგება) ცალმხრივი იქნება, იგი გამორიცხავს თვითკრიტიკას. თუკი თვითკრიტიკას მის ცალმხრიობაში გავიგებთ, ის დისციპლინის გამომრიცხველი იქნება. თუკი იმას ვიტყვი, რომ თვითკრიტიკა, რომელიც დისციპლინისაგან განსხვავდება, თვითონ შეიცავს დისციპლინას და ამით ორივე — როგორც თვითკრიტიკა, ისე დისციპლინაც — გამართლებულია, მივიღებთ ისეთ გაგებას ამ საგნისა თუ გარემოებისა, როცა საპირისპირონი ერთიმეორეს ამტკიცებენ და ერთიმეორის გარეშე აზრს ჰკარგავენ.

მაშასადამე, თვითკრიტიკა არის შეგნებული დისციპლინა (ისე როგორც თავისუფლება არის შეგნებული აუცილებლობა). ამ წინადადების, ანუ უკეთ: ამ მსჯელობის აზრი რომ გავშალოთ, მივიღებთ საპირისპიროთა ერთიანობას, ეს მსჯელობა შედეგია საპირისპიროთა ერთიანობისა, ამ უკანასკნელის აზრს გამოთქვამს, თუმცა ისე, რომ ამ ერთიანობის გულისხმობის გარეშე მას კონკრეტულობა ეკარგება და ცალმხრივი ხდება.

კრიტიკის აზრი იმაშია, რომ ერთი მისგან განსხვავებულს, საპირისპიროს აკრიტიკებს; საპირისპიროს გარეშე არ არსებობს კრიტიკა. მაგრამ სიტყვა „კრიტიკაში“ არ ჩანს, არაა გამოთქმული საპირისპიროთა დადებითი კავშირი. თვითკრიტიკა კი ასეთ კავშირს წარმოადგენს. თვითკრიტიკის დროს გასაკრიტიკებელი და გამკრიტიკებელი ერთი და იგივეა, რომელშიც უარყოფის მომენტი კრიტიკის სახით არსებობს; ეს უარყოფა კი დიალექტიკურია, რადგან ის მხოლოდ უარყოფა კი არაა, არამედ წინწამყვანი დადებითი ძალა. ის, რასაც ვაკრიტიკებთ, ნაკლის შემცველია; ნაკლი არის უარყოფითი რამ; იგი უარყოფაა. ეს გარემოება შეიძლება გარკვეული მსჯელობის სახით გამოითქვას. ნაკლის უარყოფა, ე. ი. უარყოფის უარყოფა კი, რომელიც კრიტიკის შინაარსს წარმოადგენს, მეორე მსჯელობით უნდა გამოითქვას; თვითკრიტიკა კი ამ საპირისპირო მსჯელობათა ერთიანობა იქნება. თუ კრიტიკა უარყოფაა, მაშინ თვითკრიტიკის მიმართ არ შეიძლება მოხმარებულ იქნას „ან-ან“: ის ან უარყოფაა, ან არაა უარყოფა; არა, თვითკრიტიკა შეიცავს უარყოფას; ის უარყოფაცაა და არცაა უარყოფა, არამედ დადებითობას წარმოადგენს. თვითკრიტიკა წინააღმდეგობის ერთიანობის ბუნებისაა და მისი მომენტების დამოკიდებულებას შეიცავს.

ასეთივეა, მაგალითად, საბჭოთა კონტროლის პრინციპი: „ენ-

დუ და შეამოწმე“. ერთი შეხედვით, ეს პრინციპი წინააღმდეგობას, როგორც შეუძლებლობას შეიცავს: თუ ვინმეს ენდობი, მაშინ შე-სამოწმებელი არაფერია და თუ საჭიროა შემოწმება, მაშინ არ ენ-დობი; ასეთ შემთხვევაში უნდა ვთქვათ: ან ენდობი (მაშ., არ უნდა შეამოწმო), ან არ ენდობი (მაშინ უნდა შეამოწმო); ერთი შეხედვით ნდობა და შემოწმება ერთიმეორეს უნდა გამორიცხავდნენ. მაგრამ, ნამდვილად, ასეთ გამორიცხვას არა აქვს ადგილი, თუმცა ილნიშნულ კლებლებში („ენდე და შეამოწმე“) უარყოფის მოიხსტი, როგორც შედარებითი მომენტი, უსათუოდ არსებობს. „ენდე და შეამოწმე“— ღაპირისპირებულთა ერთიანობას წარმოადგენს. ის, ისე როგორც ოვითკრიტიკა არის დიალექტიკის შესანიშნავი ნიმუში.

მაშასადამე, თვითკრიტიკა არის წინააღმდეგობის ერთიანობა და გამოითქმის საპირისპირო მსჯელობათა ერთიანობით. ამიტომ ვამბობთ, რომ ლოგიკურის განსაზღვრულობა საგნის განსაზღვრუ-ლობის ასახვას უნდა წარმოადგენდეს და წარმოადგენს კიდევ.

რაიმეს ნაკლის გამოხატველი აზრი, ან რაიმეს უაიწყოფელის გამოხატველი აზრი უარყოფით დამოკიდებულებაში იქნება იმ აზრთან, რომელიც ამ ნაკლის უარყოფას. ე. ი. დადებითობას, წარ-მოადგენს; თვითონ რაიმე კი, როგორც შინაგანი უარყოფის მქონე, გამოითქმება საპირისპირო დებულებების ერთიანობით. თვითონ ღაპირისპირება დაძლეულ იქნება რაიმეს იმ საპირისპირო მხარით, რომელიც „ახალია“, „მზარდია“, რომელსაც მომავალი ეკუთვნის, პროგრესულია.

პრინციპულად განსხვავებული საწინააღმდეგონი, საწინააღმ-დეგო პრინციპები, ისეთ დამოკიდებულებაში, უკეთ, ისეთ წინააღმ-დეგობაში არიან ერთიმეორესთან, რომ მათი შერიგება სიყალბეს წარმოადგენს, თუმცა ეს გარემოება იმით არის გაპირობებული, რომ წინააღმდეგობა შესაძლებელია და არსებობს ერთიანობაში. აქ წინა-აღმდეგობის შეუძლებლობა საწინააღმდეგოთა გაერთიანების შე-უძლებლობას წარმოადგენს, ე. ი. თვითონ წინააღმდეგო-ბის. მართლაც წინააღმდეგობის დახასიათებას წარმოადგენს. რამდენადაც საწინააღმდეგონი ერთიმეორისაღმი, მართლაც, საწინააღმდეგონი არიან, ისინი ერთიმეორეს გამორიცხავენ და არც შეიძლება არ გამორიცხავდნენ. მიუხედავად ამისა, შე-საძლებელია ურთიერთგამომრიცხავი „ფორმულები“, „დასკვნე-ბი“ — ორივე კეშმარიტი იყოს ისე, რომ მათ კეშმარიტებას არა აბსოლუტური, არამედ შედარებითი მნიშვნელობა ჰქონდეს. შე-დარებითი კეშმარიტების მქონე დებულება მეორე ასეთივე დებუ-ლებას წინააღმდეგობის ერთიანობის საფუძველზე უპირისპირდება და თვითონაც იმ განონს ექვემდებარება.

შეიძლება საწინააღმდეგონი ერთდროულად იყენენ ქვეშარტი, როგორც ერთი მთელის ერთმხრივად გაოქსატეფი. საქონელი, სწორედ ერთდროულად, სახმარი ღირებულებაა და არცაა სახმარი ღირებულება. თრევე ეს საპირისპირო მსჯელობა ერთდროულად ქვეშარტია, რამდენადაც მათ შედარებითი მნიშვნელობა აქვთ და არა აბსოლუტური. კაპიტალი მიმოქცევიდან კიდევ წარმოიშვება და არც წარმოიშვება; აქ დაპირისპირებულნი ერთდროულად არიან ქვეშარტინი; საპირისპირო დებულების ცალ-ცალკე აღება შეცდომას წარმოადგენს და შეუძლებელს ქმნის ფულის კაპიტალად გადაქცევის გაგებას, ე. ი. იმას ვერ გამოხატავს, რაც ფაქტიურად სრულდება. და, რადგანაც სხვადასხვა დროს აღებული საწინააღმდეგო, ურთიერთგამომრიცხავი დებულებებიც შეიძლება ქვეშარტი იყოს, რადგან დროის განსხვავება დებულებათა შეფარდებითობას აღნიშნავს, ამიტომ დრო არ თამაშობს არსებით როლს წინააღმდეგობაში იმ აზრით, რომ იგი არ აუქმებს წინააღმდეგობას, როგორც ამას ძველი ლოგიკა აღიარებდა თავის „წინააღმდეგობის პრინციპში“. ცხადია, აქედან არ გამოდის, ის, რომ რაც მხოლოდ სხვადასხვა დროს არის ქვეშარტი, ერთდროულადაც შეიძლება ქვეშარტი იყოს.

ერთდროულად ქვეშარტი საწინააღმდეგო დებულებები შეიძლება ქვეშარტი იყენენ იმიტომ, რომ ისინი სხვადასხვა მიმართებით არიან აზრდებულნი. საქონლის სახმარი ღირებულება ღირებულება კი არ არის, არამედ მისი საპირისპირო, მაგრამ თვითონ მხოლოდ ღირებულების უარყოფა კი არაა, არამედ გარკვეული რამ, სახელდობრ, საქონლის საარგებლიანობა. მაგრამ, მიუხედავად ამისა, წინააღმდეგობა და ურთიერთდაპირისპირება-გამორიცხვა მაინც არსებობს: საქონელში ამ ორ საწინააღმდეგოს ერთიმეორით აქვთ აზრი.

დაპირისპირება წინააღმდეგობაცაა, თუ იგი ერთსა და იგივე საგანშია (იხ. ენგელსის ზემოთ განხილული მოსაზრება ამის შესახებ); ანდა, ავიღოთ უბრალო მაგალითი: ერთსა და იმავე დროს, შეიძლება დაბალია მამასთან შედარებით, მაგრამ მაღალია მეორე შეილთან შედარებით. ძველი ლოგიკა ამბობს, და სამართლიანადაც, რომ ის შეილი, რომელიც მამასთან შედარებით დაბალია, მეორე შეილთან შედარებით კი მაღალი, არის მაღალიც და დაბალიც სხვადასხვასთან მიმართებით, მაგრამ არავითარ შემთხვევაში ერთი და იგივე მიმართებით; ის არ შეიძლება მაღალიც იყოს და დაბალიც, მაგ., მამასთან დამოკიდებულებაში.

მოვლენას ერთი მხარე აქ სამართლიანად და ქვეშარტად არის გამოაქმული, მაგრამ იმ გამოთქმას შედარებითი აზრი აქვს და არა აბსოლუტური. შეილა, რომელიც დაბალია მამას მიმართ და მაღ-

ლია მეორე შვილის მიმართ, მაინც წარმოადგენს ერთდროულად სხვადასხვაობის ერთიანობას. სხვადასხვასთან სხვადასხვაობა ერთსა და იგივეს ახასიათებს. სხვადასხვაობა ერთიანობაშია. მთელი სიძნელეც სწორედ ამ ერთიანობაშია. შვილის მამასთან და მეორე შვილთან დამოკიდებულება, ცხადია, ერთი და იგივე არ არის, წინააღმდეგ შემთხვევაში არც სხვადასხვასთან მიმართება გვექნებოდა, მაგრამ სწორედ ამ სხვადასხვაობის ერთიანობა, რომელიც სხვადასხვა მიმართების არსებას წარმოადგენს, თვითონ არის სინთეზური ერთიანობა. — ერთის სხვადასხვაობა და ერთში სხვადასხვაობა.

ეს გარემოება, როგორც აღვნიშნავდით. იმაზე დაიყვანება, თუ როგორ არის შესაძლებელი ერთს მისგან განსხვავებული პრედიკატი მიეწეროს: ლოგიკის ისტორიაში, როგორც აღვნიშნა, გადაუწყვეტლად იყო დატოვებული მსჯელობის, როგორც განსხვავებულთა აუცილებელი სინთეზის, პრობლემა.

ერთი და იგივეს სხვადასხვაობა სხვადასხვა მიმართებით, ანუ წინააღმდეგობა სხვადასხვა მიმართებით. დამყარებულია ერთი და იგივეს თავის თავთან წინააღმდეგობაზე, წინააღმდეგობაზე თავის თავთან მიმართებაში. შინაგან წინააღმდეგობაზე. სხვასთან მიმართება შინაგანი წინააღმდეგობის მქონეს შეუძლია: მოვლენები სწორედ არსებას ემყარებიან. სხვადასხვასთან მიმართების საფუძველი თვითონ არ არის სხვადასხვასთან მიმართება, არამედ სწორედ მისი საფუძველია; მეორე მხრით, სხვადასხვასთან მიმართება თვითონ არის თავის თავში ასეთი და არ წარმოადგენს კიდევ სხვადასხვაობას მიმართებას. მაგალითად, ნამდვილი აუცილებლობა თვითაუცილებლობაა, ე. ი. თავისუფლება, ეს კი შინაგანი აუცილებლობაა. ერთი საგანი მოძრაობს მეორის მიმართ, ამაშია მოძრაობის შეფარდებობობა. მაგრამ მოძრაობა თვითონ არის წინააღმდეგობა.

მეორე მხრით, შვილი, რომელიც მამასთან შედარებით ახლა დაბალია, შეიძლება მომავალში მასზე მაღალი იყოს, ე. ი. თუ შვილს განვითარებაში განვიხილავთ (ასე უნდა იქნეს განხილული ყველაფერი), მაშინ იგი, ერთსა და იმავე დროს, სხვადასხვაობის ერთიანობას წარმოადგენს. შვილი, ერთსა და იმავე დროს, სხვადასხვა შესაძლებლობას აერთიანებს: მას შეუძლია და არის დაბალი მამის მიმართ, მაგრამ, იმავე დროს, მას შეუძლია იყოს მამის მიმართ მაღალიც სხვა დროს. ამ სხვადასხვაობის გაერთიანება კი არ შეიძლება, არამედ ერთიანობა, ე. ი. სხვადასხვაობა ერთიანობის საფუძველზეა შესაძლებელი. ის, რაც ერთიანობაშია ერთსა და იმავე დროს, გამოვლინდება სხვადასხვა დროს, წინააღმდეგ შემთხვევაში სხვადასხვა დროს მოვლენათა სხვადასხვაობა შეუძლებელი იქნებო-



და: მეორე მხრით, სხვადასხვასთან მიმართება თვითონ სხვადასხვაობას არ აუქმებს.

როგორც ცნობილია, კოლექტივიზაციამდე საშუალო გლეხობა ორმაგი ბუნებისა იყო: მშრომელი და მესაკუთრე. კერძო მესაკუთრეობა გლეხობის კაპიტალისტური ელემენტი იყო, — მშრომელობა კი — მისი საპირისპირო. ეს ორი — ერთიმეორის საპირისპირო ერთსადაიმევეში ერთიანდებოდა.

ამის შედეგად მუშათა კლასის გლეხობასთან კავშირი არ იყო მხოლოდ წმინდა, აბსოლუტური კავშირი, ე. ი. ისეთი კავშირი, რომელიც წინააღმდეგობას აუქმებდა; პირიქით, ნამდვილი კავშირი ისეთი იყო, რომელიც ემყარებოდა წინააღმდეგობას, ბრძოლას კაპიტალისტური ელემენტების წინააღმდეგ.

არც ის დებულებაა სწორი, რომელიც გლეხობასთან მტკიცე კავშირს აღიარებს და მასთან გარკვეულ ბრძოლას — წინააღმდეგობას უარყოფს, არც ის დებულებაა სწორი, რომელიც გლეხობასთან მტკიცე კავშირის წინააღმდეგია; ამიტომ ისიც შეცდომაა, რომ ამ ორი საპირისპირო დებულების საფუძველზე მესამე გამოიცილოს. ერთადერთი ჭეშმარიტი ის დებულებაა, რომელიც გლეხობასთან მტკიცე კავშირს აღიარებს მის, როგორც კაპიტალისტური ელემენტის მქონეს, წინააღმდეგ ბრძოლით.

ერთმხრიობის სრულად წარმოდგენა, როგორც აღინიშნა, შეცდომას წარმოადგენს; იგივე მდგომარეობასთან გვექნება საქმე, თუ მთელს მხოლოდ ერთი მხრით წარმოვიდგენთ, ე. ი. შევიმუშავეთ ცალმხრივ აზრს.

„რაიმეს“, „ერთგვარის“ „სრულად“ წარმოდგენა არ არის ის შეცდომა, რომელსაც ლოგიკაში „ცნების ნებადაურთველ გაფართოებას“ ეძახიან, ეს არ არის ჩვეულებრივი კერძოს ზოგადი წარმოდგენა, თუმცა აქ თავისებური კერძო თავისებურ ზოგადად წარმოიდგინება; აქ ზოგადობა მოცულობის მხრით კი არ არის გაგებული, არამედ შინაარსის მხრით. ერთმხრიობა შინაარსეულადაა კერძობა, ისე როგორც სისრულეა ზოგადობა არა მოცულობის, არამედ სწორედ შინაარსის მიხედვით; აქ „ზოგიერთის“ და „ყველას“ დაპირისპირება-არადაპირისპირებაზე კი არ არის ლაპარაკი, არამედ ერთმხრიობა-სისრულის ურთიერთობაზე.

მთელის, უკეთ, ერთიანობის და სისრულის ერთი რომელიმე მხარის უარყოფა არის მისი საპირისპიროს და მთელის უარყოფა. მეორე მხრით: მხოლოდ ერთ-ერთი ერთმხრიობის მიღება მისი სისრულედ წარმოდგენაა და ამიტომ უარყოფილი გამოდის ეს მხარეც, როგორც ასეთი, ამით — მისი საპირისპიროც და, ცხადია, მთელიც, რომელთა მხარეებსაც ისინი წარმოადგენენ. ნებს ორი

მხარე აქვს, რომლებიც ერთიმეორეს უპირისპირდებიან, კერძო ვაჭრობის სრული უარყოფის შესახებ გარკვეული აზრი უპირისპირდება აზრს, რომელიც კერძო ვაჭრობის სრულ თავისუფლებას უარყოფს, თუმცა, ამავ დროს, ეს ორი რამ, არსებითად, ერთი და იგივეს წარმოადგენს. ერთი მხრით, კერძო ვაჭრობის თავისუფლების დაშვებაა, მეორე მხრით, ამ თავისუფლების უარყოფა, როგორც შეზღუდვა, მისი გარკვეულ ჩარჩოებში ჩასმა, ე. ი. მისი არათავისუფლება.

ასეთი წინააღმდეგობრივი ბუნებისაა „ერთგვარი თავისუფლების“ ანუ ნების ცნება. იგი ურთიერთგამომრიცხავ განსაზღვრულობა-ნიშნებს აერთიანებს, ის არის მათი ერთიანობა, იგი არის ერთი, არაროგორც ჯამი მისი ერთმხრიობებისა, ასეთ შემთხვევაში ერთი და ერთიანობა არ გვექნებოდა, არამედ — მართლაც ერთი, მართლაც ერთიანობა. ერთი და იგივე არის ის, რაც კერძო ვაჭრობის სრულ უარყოფას უარყოფს და რაც კერძო ვაჭრობის სრულ თავისუფლებასაც უარყოფს. ასეთი რამ არის სახელმწიფოს მიერ ბაზრის მოწესრიგება, თავისუფალი კერძო ვაჭრობის არც სისრულით დაშვება, არც სისრულით უარყოფა, არამედ მისი განსაზღვრულად დაშვება. ეს უკანასკნელი თავის თავს კი არ უარყოფს (გარეგანი უარყოფის აზრით), არამედ თავის თავში შეიცავს უარყოფის მომენტს, — ისე როგორც წინააღმდეგობის ერთიანობა თავის თავს კი არ ეწინააღმდეგება, არამედ თავის თავში შეიცავს წინააღმდეგობას. ყოველი განსაზღვრულობა უარყოფის მომენტს შეიცავს, ეს, ცხადია, არ ნიშნავს იმას, რომ ის არის თავის თავის გაუქმება. დიალექტიკის განსაზღვრება ან თვითონ უარყოფის განსაზღვრება თავის თავს კი არ უარყოფს იმ აზრით, რომ იხსნება ეს განსაზღვრებანი, არამედ ისინი უარყოფას თავის თავში შეიცავენ და ამით ამტკიცებენ თავიანთ თავს. სწორედ ასეთ რაიმეს ჰქვია დაუბოლოებელი.

შეიძლება თქვან, რომ ზემოთ მოყვანილ მაგალითებში, ჯერ ერთი, დაპირისპირება გვაქვს და არა წინააღმდეგობა და, მეორე, თითქოს ჩვენ ერთიმეორეში ვურევდეთ ისეთ მსჯელობებს, სადაც კოპულა უარყოფითია, ისეთ მსჯელობებთან, სადაც კოპულა დადებითია და პრედიკატი კი — უარყოფითი, — თითქოს ერთიმეორისაგან ვერ ვანსხვავებდეთ უარყოფით და უსასრულო მსჯელობებს. მაგრამ საქმე იმაშია, როგორც ეს ზემოთ ნათელვყავით, რომ მოვლენაში განსხვავებული არსებაში შეიძლება არ იყოს ასეთი, წინააღმდეგ შემთხვევაში, მოვლენათა თავისებურება აღარ გვექნებოდა, მოვლენის და არსების განუსხვავებლობა კი ერთსაც დაუკარგავდა აზრს და მეორესაც.

ზოგიერთის აზრით, წინააღმდეგობის კანონის აზრი იმაშია, რომ არ შეიძლება ერთდროულად ჰქვამარიტი იყოს შემდეგი ორი მსჯელობა: A არის B და A არ არის B; ზოგიერთი კი ამ კანონის აზრს ასე წარმოადგენს: არ შეიძლება ერთდროულად ჰქვამარიტი იყოს შემდეგი მსჯელობები: A არის B და A არის არა-B. ჩვენ ვფიქრობთ, რომ მსჯელობები: A არ არის B და A არის არა-B ერთიმეორისაგან მხოლოდ მაშინ განსხვავდებიან, როცა მოვლენების სიმრავლესთან გვაქვს საქმე; ისინი არ განსხვავდებიან, როცა არსების შინაგან წინააღმდეგობას გამოვხატავთ.

ამასთანავე, პირველ შემთხვევაში საპირისპირო, უკეთ საწინააღმდეგო მსჯელობები შეუთავსებელი იქნებიან, მეორე შემთხვევაში კი შეუთავსებლობა წინააღმდეგობის დახასიათება გამოვა, წინააღმდეგობა კი აუცილებელი იქნება, ამით ორივე საწინააღმდეგო მსჯელობა, თავისგვარად, — ჰქვამარიტიც. ივანე არის ქართველი და ივანე არ არის ქართველი, ცხადია, შეუთავსებელი მსჯელობებია, მათგან შეიძლება ერთ-ერთი იყოს ჰქვამარიტი, მეორე კი მცდარი (თუკი, ცხადია, ივანე არსებობს). მაგრამ ივანე ცოცხალია და იგი, ამავე დროს, სიკვდილსაც შეიცავს, ამდენად არაცოცხალიცაა, — ორივე ჰქვამარიტია, რადგან ცოცხალი ორგანიზმის არსებიდან სიკვდილი გამომდინარეობს, ის მისთვის აუცილებლობაა. ცოცხალ ორგანიზმში სიცოცხლე და არა-სიცოცხლე და სიცოცხლის და სიკვდილის მომენტი ერთნაირ დამოკიდებულებაშია, რადგან იქ არა-სიცოცხლე და სიკვდილის მომენტი ერთი და იგივეა; — ისე როგორც წმინდად აღებულ კაპიტალიზმში არაბურჟუაზია და პროლეტარიატი ერთი და იგივეა; და საერთოდ ერთიანის გაორებაში, წინააღმდეგობის ერთიანობაში საწინააღმდეგო და საპირისპირო ერთი და იგივეა და ორივე აუცილებელია და, ამდენად — ორივე ჰქვამარიტი. შედარებითის, ერთმხრივის აბსოლუტურად წარმოდგენის დროს კი მხოლოდ ერთი შეიძლება იყოს ჰქვამარიტი; მაგრამ უნდა ითქვას, რომ შედარებითის აბსოლუტურად წარმოდგენა თვითონ წარმოადგენს შეცდომას.

რადგან არსებაში, არსების წინააღმდეგობაში, ერთიანის გაორებაში არა-A არის A-ს საწინააღმდეგოც და A-ს საპირისპიროც, ამიტომ ამ სფეროში ერთიმეორეს უღრის ორი შემდეგი მსჯელობა: A არის არა-B და A არ არის B. ორივე შემთხვევაში, სუბიექტს კონტრადიქტორული პრედიკატი მიეწერება, თუ, ცხადია, ეს მსჯელობები აღებული იქნება „A არის B“ მსჯელობასთან დაპირისპირებით. B პრედიკატთან შედარებით არა-B და „არ არის B“ ორივე კონტრადიქტორულია. „არ არის B“ იგივე „არა — B“-ა,

თუ B-ს საპირისპირო არა-B ერთადერთია და არ არის ერთ-ერთი სიმრავლიდან.

არსების წინააღმდეგობის გამომთქმელ მსჯელობებში არ არის განსხვავება იმაში, თუ რომელია უარყოფითი: კაპულა თუ პრედიკატი. პროლეტარიატი არის არა-ბურჟუაზია და პროლეტარიატი არ არის ბურჟუაზია ერთი და იგივეა (თუ კაპიტალიზმი თავისი წმინდა სახით არის აღებული, როგორც ამას მარქსი იტყვობდა). ვარდი არის არა-წითელი და ვარდი არ არის წითელი. — ამ ორ მსჯელობაში კი სხვადასხვა აზრია გამოთქმული: პირველში ნაგულისხმევია აზრი, რომ ვარდი არა წითელია, არამედ სხვა რომელიღაც ფერის; მეორეში კი: წითელია უარყოფილი ვარდის მიმართ და არ არის მითითება იმაზე, რომ ის რომელიღაც სხვაა.

მაგრამ მთავარი ის არის, რომ ზემოთ მოყვანილი მაგალითების მიხედვით, საპირისპირონი ერთიმეორესთან პირობით დამოკიდებულებაში, ურთიერთგანპირობებაში არიან. თვითკრიტიკა არ გამორიცხავს დისციპლინას; იგი აუცილებელია შრომის დისციპლინის განსამტკიცებლად; შრომის დისციპლინა უნდა იყოს შეგნებული, ე. ი. სწორია დებულება: თუ თვითკრიტიკა არის, მაშინ არის დისციპლინა, თუმცა ეს ორი რამ, ამავე დროს, საპირისპირონიც არიან. შეცდომა არის მათი მხოლოდ ურთიერთგამორიცხვაში აღება, ისე როგორც მათი აბსოლუტური გაიგივება. ქვეშარიტება დაპირისპირებულთა ერთიანობაშია.

აზროვნების დიალექტიკური წესი ერთადერთი ქვეშარიტრ წესია, რადგან საგანთა დიალექტიკა ქმნის ცნებათა დიალექტიკას (ლენინი, ენგელსი). საგანთა კავშირის წესი მის ამსახველ აზრთა კავშირის წესს განსაზღვრავს. აზროვნების დიალექტიკური წესი არის ლოგიკურის წესი და კანონი.

იმის ნათელსაყოფად, რომ საპირისპირონი ურთიერთგაპირობებულობაში არიან და რომ ეს გაპირობებულობა პირობითი მსჯელობებით, გაპირობებულობის აღმნიშვნელი მსჯელობებით გამოიხატება, ავიღოთ კიდევ სხვა მაგალითები.

როგორც ცნობილია, პროლეტარიატის დიქტატურა მიზნად კლასების მოსპობას ისახავს. ახლა საკითხავია, რისი შედეგი უნდა იყოს კლასთა მოსპობა — კლასობრივი ბრძოლის გაძლიერების შედეგი, თუ მისი ჩაქრობის შედეგი? მხოლოდ ანალიზური, წმინდა ანალიზური გზით თუ ვივლით, მაშინ ცხადია, რომ კლასთა მოსპობა შედეგია, უშუალოდ გამომდინარეობს კლასთა ბრძოლის თანდათან ჩაქრობიდან; ცხადია, კლასთა ბრძოლის მოსპობიდან კლასების მოსპობა გამოვა, თუ კლასებს შორის ბრძოლის მოსპობა კლასების გაუქმებას ნიშნავს; მაგრამ ეს ხომ კლასების მოსპობის კლასების მოსპობიდან გამოყვანაა?

მაგრამ რადგან გამოყვანას მხოლოდ განსხვავებულის გამოყვანის დროსა აქვს აზრი, ამიტომ აქ აღნიშნული არაა გამოყვანა, არამედ ერთიმეორის განმეორება: კლასთა ბრძოლა არის კლასთა ბრძოლა, — ეს უაზრობაა, ტავტოლოგიაა. მაგრამ საქმე ხომ სწორედ კლასთა შორის წინააღმდეგობისა და ბრძოლის მოსპობას ეხება? კლასების მოსპობის საფუძველი სხვაგან უნდა ვეძიოთ, თუ პეტიონ კლასების ერთიმეორესთან გარკვეულ დამოკიდებულებაში? თუ მხოლოდ ეს უკანასკნელია შესაძლებელი, მაშინ კლასთა მოსპობას კლასთა შორის ბრძოლის ჩაქრობა უნდა იწვევდეს. მაგრამ ეს ხომ კითხვაზე პასუხის გაცემა და მისი ახსნა არაა, როგორც ახლა აღვნიშნეთ? რჩება მხოლოდ ერთი გამოსავალი: კლასები შეიძლება მოისპოს მხოლოდ კლასობრივი ბრძოლის გზით. კლასების მოსპობა შედეგია არა კლასთა ბრძოლის და კლასთა წინააღმდეგობის შესუსტება-ჩაქრობისა, არამედ სწორედ მათი გაძლიერებისა. გაძლიერება მოსპობას იწვევს, ერთი არის მისი საწინააღმდეგოს პირობა და საფუძველი.

მაგრამ ეს არ ნიშნავს იმას, რომ უარყოფილია ევოლუციონურობა, განუწყვეტლობა; ჩვენ მხოლოდ იმას ვამბობთ, რომ მხოლოდ ევოლუციონურობის და განუწყვეტლობის აღიარებაა შეცდომა. თანახმად დიალექტიკის მესამე ძირითადი ნიშნისა, ევოლუცია ამზადებს თვისობრივად ახალს მიღებას. ასეა ყოველი საპირისპიროს მიღების დროს.

კლასების მოსპობის ცნება თვითონ არის დაპირისპირებულთა ერთიანობა, ის გამოხატულებაა იმისა, რომ მოსპობა გაძლიერების შედეგად ხდება და გაძლიერება მოსპობას ნიშნავს.

მაგრამ ამ წინააღმდეგობის ერთიანობის საწინააღმდეგო შემცდარი იქნება, რადგან ეს უკანასკნელი პირველის წინააღმდეგობრივი ბუნების მომთხოვნია. ამიტომ ან-ან-ის გზით ერთიმეორეს გამორიცხავს ორი დებულება: 1) კლასების მოსპობა შესაძლებელია კლასობრივი ბრძოლის გაძლიერების შედეგად, — ასეთია ლენინის დებულება კლასების მოსპობის შესახებ. 2) კლასების მოსპობა შესაძლებელია კლასობრივი ბრძოლის თანდათანობითი შესუსტების შედეგად, — ასეთ ყალბ თვალსაზრისზე იდგა ბუხარინი. ამ ორი დებულებას შორის არაფერი საერთო არ არის. ისინი ერთიმეორეს აბსოლუტურად გამორიცხავენ და მათგან მხოლოდ ერთია ქეშმარიტი, სახელდობრ, ლენინის დებულება.

აქ დებულებებზეა ლაპარაკი, სახელდობრ, სინამდვილის ამსახველ თუ არ ამსახველ დებულებებზე, ე. ი. გარკვეულ მსჯელობებზე,

რომელთა ბუნება ასახავი საგნის ბუნებით განისაზღვრება. ლენინს და დებულუბა დაპირისპირებულთა ერთიანობაა, როგორც ასახვა დაპირისპირებულთა ერთიანობისა თვით საგანში. ბუხარინის დებულუბა კი საგნის არსების ვერგაგებას მოასწავებს და ამის გამო თვით დებულუბაც ლოგიკურადაც მცდარი, სახელდობრ, ტავტოლოგიური გამოდის (როგორც ეს ახლახან აღვნიშნეთ). კლასების მოსპობა შედეგი უნდა იყოს კლასთა ბრძოლის გაძლიერების, რადგან მოსპობა ბრძოლას მოითხოვს, მოსპობა თვითონ არის ბრძოლა და მისი შედეგი. აქ ანალიზი სინთეზის საფუძველზეა შესრულებული და მასთან არის არსებითად დაკავშირებული.

ნათქვამში კიდევ უფრო დავრწმუნდებით, თუ გავითვალისწინებთ თვითონ კლასთა ბრძოლის გამწვავების ბუნებას; არა მარტო კლასთა ბრძოლის გაძლიერება-გამწვავება იწვევს კლასების მოსპობას, ე. ი. არა მარტო იქ არის წინააღმდეგობის ერთიანობის ის მომენტი, რომელიც დაპირისპირებულთა ურთიერთგაპირობებას წარმოადგენს, არამედ თვითონ გამწვავება კლასთა ბრძოლისა, თვითონ წინააღმდეგობის გაძლიერება კლასებს შორის წინააღმდეგობის ერთიანობის აქ ხსენებული მომენტის არსებობას ააშკარავებს და ნათელყოფს, რადგან იგი სწორედ მას წარმოადგენს.

საპირისპირო (და საერთოდ განსხვავებულიც) დებულუბები ერთიმეორესთან შედარებით უნდა იქნენ განხილული. ყოველ მსჯელობას სხვა მსჯელობასთან დამოკიდებულებაში აქვს აზრი. ასეთქმის არათუ საერთოდ ყოველი მსჯელობის შესახებ, არამედ მსჯელობის ყოველი ფორმის შესახებაც. მსჯელობის და დასკვნის ფორმები მხოლოდ ურთიერთკავშირში გაიგებიან<sup>1</sup>.

სოციალისტური სახელმწიფოს კვდომა უნდა მოხდეს ამ სახელმწიფოს გაძლიერების და არა შესუსტების შედეგად. გაძლიერების საფუძველზე უნდა შესრულდეს მისი საპირისპირო — კვდომა. მაგრამ მთელის ერთმხრივად წარმოდგენის და ამ ერთმხრიობის სისრულედ მიჩნევის დროს შეიძლება ასე იფიქრონ, რომ რამდენადაც ჩვენში ექსპლოატატორული კლასები მოსპობილია, დასათრგუნავი აღარავინაა, ამიტომ საჭირო აღარ არის სახელმწიფო და ჩვენ ხელი უნდა შევეუწყოთ მის შესუსტებას. ანდა კიდევ: ჩვენ თანდათანობით მივიღივართ კომუნისმისაკენ, სადაც, თანახმად სახელმწიფოს შესახებ მარქსისტული მოძღვრებისა, არავითარი სახელმწიფო არ იქნება, — ამიტომ ხელი უნდა შევეუწყოთ ჩვენი სოციალისტური

<sup>1</sup> ეს საკითხი სპეციალურ გამოკვლევას მოითხოვს. ლოგიკურის ბუნების ზოგადი დახასიათება ამ გამოკვლევის გასაღებს მოგვცემს.

სახელმწიფოს თანდათანობით კვდომას, მაგრამ ეს იქნებოდა საქმის არსების ანტიმარქსისტული გაგება.

ცალკეული დებულებების, როგორც დამოუკიდებლად აღებულის, გაგება, სრულიად არ ნიშნავს მათი დედაარსის, მათი არსების გაგებას, პირიქით, შეიძლება კიდევ ეწინააღმდეგებოდეს მას. ერთმხრიობისათვის აბსოლუტური მნიშვნელობის მიცემა ცალკეულს, როგორც ასეთს, როგორც ერთმხრიობას, აზრს უქარგავს, რადგან იგი გაგებულ უნდა იქნეს მისი არსების, მისი დედაარსის ერთმხრიობად და არა თავისთავად აღებული; ეს უქანასკნელი უპირისპირდება და აბსოლუტურად გამორიცხავს მის დედაარსს და ამიტომ თავის თავსაც უარყოფს, ე. ი. შეცდომას წარმოადგენს.

ცალკეული დებულებანი, შემუშავებულნი სხვადასხვა დროს და სხვადასხვა პირობებში, შეიძლება სრულიად ქეშმარიტნი იყვნენ, მაგრამ მხოლოდ თავიანთი დროისათვის და არა ყველა დროისათვის, — შედარებითად და არა აბსოლუტურად.

აქ ჩვენთვის, სხვათა შორის, ორი რამ არის აღსანიშნავი:

1) მხოლოდ ერთ ქვეყანაში გამარჯვებული სოციალიზმის დროს სახელმწიფო მოკვდება მხოლოდ ამ სახელმწიფოს გაძლიერების შედეგად და არა შესუსტების შედეგად. სახელმწიფოს უარყოფა, სიკვდილი თავისებურად უნდა გვესმოდეს. სოციალისტური სახელმწიფო (აღნიშნულ პირობებში) თუ შევასუსტეთ, მაშინ შეიძლება კაპიტალისტურმა გარემოცვამ მოსპოს იგი. საქმე ეხება არა ასეთ მოსპობას თუ სიკვდილს, არამედ ისეთს, როცა სახელმწიფო გაძლიერდება და თანდათანობით მოხსნის თავის თავს არა ძველი სახელმწიფოს აღსადგენად, არამედ სახელმწიფოსაგან განსათავისუფლებლად. მოხსნა, უარყოფა, სიკვდილი ხდება განთავისუფლებისა და ნამდვილი სიცოცხლისათვის. ამ შემთხვევაში, სინამდვილის ვითარების სწორედ ამსახველი საპირისპირო დებულებები და ფორმულები ერთიმეორესთან აუცილებელ კავშირში არიან, ერთიმეორისათვის საფუძველს წარმოადგენენ.

2) ზოგადი განყენებული დებულებიდან არ გამოიყვანება კერძო და კონკრეტული დებულება. ზოგადი დებულება არ შეიძლება ყოველთვის გავრცელდეს კერძო და კონკრეტულ შემთხვევაზე; მაშინ როცა ძველ, ფორმალურ ლოგიკას ყველაზედ უფრო სრულყოფილ დასკვნად ზოგადიდან კერძოს გამოყვანა, ზოგადის კერძოზე გავრცელება, სახელდობრ, სილოგისტური დასკვნა მიაჩნდა. თუ დანასკვნაში კერძოზეა ნათქვამი, განმეორებულია ის, რაც წინამძღვარში იყო, მაშინ არა გვაქვს სინთეზური აუცილებელი კავშირი, რასაც დასკვნა უნდა წარმოადგენდეს.

კერძოს თავისი თავისებურება აქვს, ამის გარეშე ის კერძოდ არ იქნებოდა. ამ თავისებურების იქიდან გამოყვანა, სადაც იგი გულ-

დავლ გამორიცხულია, მხედველობის გარეშეა დაყენებული, ცხადია, შეუძლებელია. ამიტომ იყო ძველ ლოგიკაში ზოგადი (მოცულობითი ზოგადი) ცნებიდან მისი სახის გამოყვანა შეუძლებელი, რადგან სახის თავისებურება გვარში გამორიცხული იყო, მისთვის იგი შემთხვევითად იყო მიჩნეული. ასე უნდა ითქვას ზოგადი დებულების კერძოზე გავრცელების შემთხვევაშიც, როცა ზოგადს კერძოს პრედიკატად ვაცხადებთ და ამით ამოვწურავთ მას.

მართალია, სოციალისტური სახელმწიფო უნდა მოკვდეს, მაგრამ მხოლოდ გაძლიერების შედეგად, რადგან აქ მხედველობაში გვაქვს კონკრეტული სახელმწიფო, ისეთი, რომელიც კაპიტალისტურ გარემოცვაში იმყოფება. კაპიტალისტურ გარემოცვაში მყოფი ჩვენი სოციალისტური სახელმწიფო უნდა გაძლიერდეს და, არავითარ შემთხვევაში, არ შესუსტდეს, რომ მან შეასრულოს თავისი სიკვდილი. სახელმწიფოს გაძლიერების შედეგად მისი სიკვდილის მიღება წინააღმდეგობრივია, მაგრამ ეს სინამდვილეში არსებული დიალექტიკური წინააღმდეგობრიობაა. დიალექტიკური სინამდვილის ასახვა, ე. ი. სინამდვილის დიალექტიკის ასახვა დიალექტიკურ აზროვნებაში, აზროვნების, ცნებათა დიალექტიკაში უნდა მოხდეს. იმის გაგება, რომ სახელმწიფოს გაძლიერება აუცილებლობით სახელმწიფოს თანდათანობით სიკვდილს იწვევს, და ამ გაგების გამოთქმა, ცხადია, თვითონ წინააღმდეგობის ერთიანობა იქნება; იგი იქნება ისეთი აზრი, რომელიც თავის თავში შეიცავს წინააღმდეგობას, და ამიტომ, ცხადია, თვითონ არ იქნება თავის თავის გარეგანად უარყოფელი, ე. ი. თვითონ არ იქნება თავის თავის უარყოფელი, არამედ უარყოფით (შინაგანი უარყოფით) თავის თავის დამსაბუთებელი დადებითობა იქნება.

ჩვენი სოციალისტური სახელმწიფოს სიკვდილიდან მისი შესუსტების საპირობების გამოყვანა ისევე მცდარია, როგორც — ამ სახელმწიფოს შესუსტებიდან სიკვდილის გამოყვანა, რადგან ორივე შემთხვევაში წმინდა ანალიზურობასთან გვექნებოდა სპექმი; ნამდვილი გამოყვანა მხოლოდ განსხვავებულის გამოყვანის დროსა გვაქვს. ასევე შეცდომა იქნებოდა ჩვენი, სოციალისტური სახელმწიფოს გაძლიერებიდან გამოგვეყვანა მისი საბოლოო განმტკიცება, სახელმწიფოს კვდომის უარყოფის აზრით; ეს სახელმწიფოს სოციალისტურობის გაუქმება იქნებოდა.

სოციალისტური სახელმწიფოს კვდომის შესახებ ზემოთ აღნიშნული ორი საწინააღმდეგო, ურთიერთგამომრიცხავი დებულებების ფორმულების შესახებ ძველი ლოგიკა იტყოდა ან (დასკვნის თვალსაზრისით) იმას, რომ ერთ-ერთი მათგანი უსათუოდ სწორია, მეორე კი უსათუოდ შემცდარი და სწორი ფორმულა უნდა ეხებოდეს



საერთოდ სოციალისტურ სახელმწიფოს, რადგან სწორედ მის შესახებ არის გამოთქმული ეს საწინააღმდეგო დებულებები, — ანდა („აზროვნების ძირითადი კანონების“ თვალსაზრისით) იმას, რომ აქ საერთოდ არ არის წინააღმდეგობა, რადგან ეს დებულებები სხვადასხვა დროს ეხებიან; — ისინი წინააღმდეგობრივი იქნებიან მაშინ, რომ ერთსა და იმავე დროს ეხებოდეს.

მაგრამ დრო არ აუქმებს წინააღმდეგობას. სხვადასხვა დროის მიმართ გამოთქმული საწინააღმდეგო დებულებები ერთიმეორეს გამორიცხავენ, მართლაც საწინააღმდეგონი არიან და არა მოჩვენებითად საწინააღმდეგონი.

მაშასადამე ასეთი საწინააღმდეგო დებულებები პირობითი და შედარებითი აზრით უნდა ავიღოთ და ამდენად ორივე ჭეშმარიტად გავიგოთ და მივიღოთ.

ყოველი მსჯელობა დანასკვს წარმოადგენს, რამდენადაც იგი არის განსაზღვრული ასახავი საგნის განსაზღვრულობით. ლოგიკურის ფორმა არის ასახვის ფორმა და გაპირობებულია ასახულის თავისებურებებით. ასახავის განვითარება მის ასახვას განსაზღვრავს. ასახვის ნაირობა ლოგიკურის ნაირობაა. ერთი და იგივეს განვითარების საფეხურები, რომლებიც მის განსაზღვრულობებს წარმოადგენენ, გამოითქმებიან კატეგორიებით და დებულებებით, რომლებიც ურთიერთკავშირსა და განვითარებაში არიან და უნდა იქნენ გაგებულნი. სოციალისტური სახელმწიფო ისე, როგორც ყველაფერი, განვითარებაში უნდა იქნეს განხილული. სოციალისტური სახელმწიფოს განვითარების ცნება უნდა იყოს ასახვა, ცხადია, განვითარებაში მყოფი სოციალისტური სახელმწიფოსი. ეს მხოლოდ მაშინ იქნება შესაძლებელი, როცა ცნება გაგებული იქნება, როგორც შედეგი და საერთო აზრი, არსების ამსახველი აზრი, — სახელდობრ, შედეგი დებულებათა და მათი კავშირისა. ენგელსის აზრით „რეალური დეფინიცია“ არის ასახვა განვითარების საფეხურებისა და არა მხოლოდ უახლოესი გვარისა და *differentia specifică*-ს აღნიშვნა<sup>1</sup>.

სოციალისტური სახელმწიფოს კვდომის შესახებ ზემოთ აღნიშნული დებულებები წინააღმდეგობის ერთიანობას შეადგენენ. ისინი გამორიცხავენ ერთიმეორეს, მაგრამ ერთიანობაშიც არიან, რადგან წარმოადგენენ ერთი და იგივეს, სახელდობრ, სოციალისტური სახელმწიფოს განვითარების ასახვას, ამ განვითარების განსაზღვრულობათა ასახვას მათ ერთიანობაში; წინააღმდეგ შემთხვევაში, მათი დაპირისპირებაც შეუძლებელი იქნებოდა, თვითონ წინააღმდეგობა

<sup>1</sup> ფ. ენგელსი, ანტი-დიურინგი, 1950, რუს. გამოც. გვ. 78, 321 — 322.

გამოირიცხებოდა; შინაგანი წინააღმდეგობა მხოლოდ ერთიანობის საფუძველზეა შესაძლებელი.

წინააღმდეგობის ერთიანობის ცალკეული მხარეები მის ერთ-მხრიობებს, ამ აზრით, მის მოვლენებს წარმოადგენენ. მოვლენა არა მარტო ისაა, რაშიც მოსავლენი მეორდება, ამგვარად გაგებული მოვლენები ერთი და იგივეს მის სიმრავლეს წარმოადგენენ, არამედ ისიც, რაც ერთმხრიობას წარმოადგენს იმისას, რის მოვლენასაც ის შეადგენს. ასეთი ერთმხრიობა, უკიდურესობამდე განვითარებული, ჰკარგავს მოსავლენს და მის აღსადგენად, მოითხოვს რა საწინააღმდეგოს, გადადის მასში. ერთმხრიობა, აღებული თავისთავად, თვითონ ეწინააღმდეგება თავის თავს. ამიტომ ამბობენ, რომ უკიდურესობამდე განვითარებული რაიმე თავის საწინააღმდეგოში გადადის. ეს კი იმას ნიშნავს, რომ 1) ერთმხრიობის მთელად აღება შეცდომაა; 2), ასეთი შეცდომა თვითონ ასაბუთებს დაპირისპირებულთა ერთიანობის აუცილებლობას.

ერთიმეორისაგან უნდა განვასხვაოთ ორი განსაზღვრულობა, სახელდობრ, — არსების და მოვლენის განსაზღვრულობა; უნდა განვასხვაოთ ეს ორნაირი განსაზღვრულობა, მაგრამ არც მეტი არც ნაკლები. მათი გათიშვა ისეთივე შეცდომაა, როგორც მათი გაიგივება. გაიგივება შეიძლება ორნაირად მოხდეს: 1) არსების მოვლენაზე დაყვანით და, მაშ., პირველის უარყოფით; და 2) მოვლენის მოხსნით და მხოლოდ არსების დატოვება-აღიარებით.

მოვლენის უარყოფა არსებას მისტიკურად ხდის და, ამავე დროს, მას მოვლენად აქცევს, რადგან, რასაც არსება წარმოადგენს, სწორედ ის არის მისი მოვლენა. არსების გარეშე აღებული მოვლენა, მხოლოდ მოვლენის აღიარება, მოვლენას აქცევს არსებად, რადგან, რასაც მოვლენა წარმოადგენს, ის არის მისი არსება, ის არის მოვლენა არსებითად (ორივე შეცდომის მაგალითები, როგორც ცნობილია, ფილოსოფიის ისტორიაში მრავლად მოიპოვება). ამრიგად, ორივე შემთხვევაში ერთი და იგივე ლოგიკური სიყალბე ვლინდება. უკიდურესობამდე განვითარებული მოვლენა თავის საწინააღმდეგოში გადადის. ასე ითქმის არსების შესახებაც. აბსოლუტური ვაიგივება იგივე გათიშვაა.

მხოლოდ მოვლენის აღიარება და არსების უარყოფა გვაიძულებს მოვლენის არსება მაინც ვეძიოთ, ანდა ავიღოთ ხელი ყოველგვარ შემეცნებაზე; მაგრამ ეს უკანასკნელიც, თუმცა უხეირო, მაგრამ მაინც გარკვეული შემეცნება იქნებოდა. მოვლენის უარყოფა და მხოლოდ არსების მიღებაც გვაიძულებს განვიხილოთ არსება, ამდენად ის უნდა მოგვევლინოს და თავისთავადაც მისი გარკვეული არსებობა სწორედ მისი მოვლენა იქნებოდა.

მეორე მხრით, არსებისა და მოვლენის განსაზღვრულობათა განსხვავება, მართალია, არის გარკვეული განსხვავება, მაგრამ, სწორედ ამიტომაც, არსებითად, ერთ და იგივესთან გვაქვს საქმე; უკეთ: არსება მხოლოდ მის განსაზღვრებებში, ე. ი. მოვლენებში, არსებობს და მოვლენების განსაზღვრებები სწორედ არსების, ამიტომ მისგან გამომდინარე, განსაზღვრებებია. არსებასა და მოვლენას შორის, როგორც ამას დიალექტიკური მატერიალიზმი გვასწავლის, დიალექტიკური მთლიანობა არსებობს; ისინი თავისებურნი და განსხვავებულნი, საპირისპირონი არიან, მაგრამ მათ მხოლოდ ერთიანობაში აქვს აზრი. არსებითი მათი ერთიანობაა, სადაც გარეგანდამწვდომი მომენტი არსების მომენტია (აქ შეიძლება ერთიმეორისაგან განვასხვაოთ არსება და არსების მომენტი, არსება და არსება კერძოდ, ანუ უკეთ: არსება და საკუთრივ არსება, როგორც, მაგ. წარმოება და საკუთრივ წარმოება).

ანუ სხვანაირად, არსებობენ ორგვარი განსაზღვრებანი: დაბოლოებულის და დაუბოლოებელის განსაზღვრებანი, არა მარტო სინამდვილეში, არამედ აზროვნებაშიც; აზრის განსაზღვრულობა მისი საგნის მოქმედების შედეგია. უფრო ზუსტად: ნამდვილად, ორგვარი კი არაა განსაზღვრულობანი, არამედ ერთი და იგივეს ორნაირი განსაზღვრულობა არსებობს, ისე რომ ერთი მეორის განსაზღვრულობას წარმოადგენს. დაუბოლოებელი განსაზღვრულობა, როგორც ვიცით, არის დაბოლოებულის შემცველიც და, პირიქით, დაბოლოებული დაუბოლოებელის განსაზღვრულობას შეიცავს; ცალკე აღებული დაუბოლოებელი დაბოლოებულია, ცალკე აღებული დაბოლოებული კი— დაუბოლოებელი, რადგან მას აბსოლუტური მნიშვნელობის მქონედ წარმოვიდგენთ. ამიტომ უნდა ითქვას, რომ არსებობენ დაბოლოებული განსაზღვრულობები, რომლებიც თავიანთ გამართლებას დაუბოლოებელში პოულობენ მხოლოდ იმ აზრით, რომ მათშივე აღმოჩნდება და არის მათი არსება და საფუძველი. დაუბოლოებელს მხოლოდ დაბოლოებული განსაზღვრებების სახით შეუძლია არსებობა, თუმცა მათზე არ დაიყვანება.

ერთი განსაზღვრულობა მეორისაგან განსხვავდება, მას უპირისპირდება და ეწინააღმდეგება; საწინააღმდეგონი ერთიმეორეს გამოირიცხავენ; უკიდურესად განვითარებული წინააღმდეგობა თითოეულ მხარეს დამოუკიდებლობას ანიჭებს, მას „ცალკეულ ზოგადად“ აქცევს. აი, ამ დამოუკიდებლობისას აღმოჩნდება, რომ იგი მხოლოდ პირობითადაა სწორი; „ცალკეული ზოგადი დებულება“ პირობითადაა ქეშმარიტი, უპირობოდ კი შეცდომას წარმოადგენს; ე. ი. ერთმხრიობის, წინააღმდეგობის ერთი მხარის უკიდურესად

განვითარება თვითონ აღმოაჩინეს იმას, რომ იგი საწინააღმდეგოთა გამსკვალული, მას საწინააღმდეგოთი აქვს აზრი, შეიცავს საწინააღმდეგოს, წინააღმდეგ შემთხვევაში, მისი დამოუკიდებლად წარმოდგენაც შეუძლებელიც იქნებოდა; დამოუკიდებლობა მას შეიძლება მივანიჭოთ მხოლოდ მაშინ, თუ მისი საწინააღმდეგოდან აბსოლუტურად განვასხვავებთ, თუ მისგან აბსტრაქციას ვახდენთ, მაგრამ ეს გარემოება მასზე დაყრდნობით არის შესაძლებელი. უკიდურესად განვითარებული წინააღმდეგობა ერთ-ერთ მხარეს თავის საწინააღმდეგოდ გადააქცევს. უკიდურესად განვითარებული, ვიმეორებო, თავის საწინააღმდეგოში გადადის. უკიდურესობა კი აბსოლუტური გაცალმხრივებაა, ერთმხრიობის თავისთავად აღებაა. დიალექტიკის კანონია „პოლარულ დაპირისპირებათა ურთიერთგამსკვალვა და ერთმანეთში გადასვლა, როდესაც ისინი უკიდურესობამდე არიან მისული...“<sup>1</sup>

მოვლენის და არსების, დაბოლოებული და დაუბოლოებელის კავშირის შესახებ აქ იმიტომ მოვიგონეთ და გავიხსენეთ, რომ ძველ ლოგიკაში გაგებული ლოგიკურის და მისი მომხსნელის დაპირისპირება შეგვეძლებოდა. ძველი, ფორმალური ლოგიკა არსებითად მოვლენათა და დაბოლოებულთა განსაზღვრულობის საფუძველზე დგას და არ არჩევს არსების შესატყვის ლოგიკურს. მოვლენათა რიცხობრივი განსაზღვრულობა, წარმოდგენილი „ყველას“-და „ზოგიერთის“ დაპირისპირება-კავშირით, არის ის, რაც ცნების განაწილების სახით სილოგისტურ დასკვნაში მოქმედებს. ძველი ლოგიკის არა მარტო ცნების მოცულობის, არამედ ცნების შინაარსის საფუძველად მიმღები თეორიებიც მოვლენათა ამ ერთმხრიობას ემყარებიან.

მოვლენის განსაზღვრულობა ბოლოვადი განსაზღვრულობაა, იგი სხვით განისაზღვრება; ბოლოვად განსაზღვრულობათა ურთიერთობაში, რომელიც უარყოფით სრულდება, ე. ი. ურთიერთგანსაზღვრაში კი სწორედ მათი არსება იჩენს აუცილებლობით თავს, რომელიც ამ უარყოფას და ბოლოვადობასაც შეიცავს თავის თავში, (ამიტომ) რომლის განსაზღვრულობაც თავის თავს ემყარება. არსება არის რაიმეს შინაგანი წინააღმდეგობა, მისი ასეთი განსაზღვრულობა, ასეთია ყოველი თვითმოდრავის არსება.

ამიტომ შეცდომად უნდა იქნეს მიჩნეული განსაზღვრულობათა იმგვარი დაყოფაც, როგორიც ჰეგელთანაა, სახელდობრ, განსაზღვრულობების დაყოფა არსის — გადასვლის, არსების — რეფლექსიის და ცნების — განვითარების განსაზღვრულობებად; ამ განსაზღვრულობათა ერთი და იგივეს საფეხურებად წარმოდგენა უსათუოდ

<sup>1</sup> ფ. ენგელსი. ბუნების დიალექტიკა. გვ. 3.

ყალბია, მისტიკური და იდეალისტურია; იგი შემეცნების პროცესის და არსის პროცესის გაიგივებას ემყარება; ამიტომ ეს ორივე გვარა პროცესი გაყალბებული გამოდის. ცნების არსის საფეხურად თუ უსაფუძვლოდ წარმოდგენა იდეალისტურია. ეს განსაზღვრულობები ერთი და იგივეს განსაზღვრულობებია და ამიტომ ერთიმეორის განსაზღვრულობებიც და არა არსებული საფეხურები. მათი ცალკე საფეხურებად განხილვა თითოეულს აზრს უკარგავს, მაკ, განვითარებას ანალიტურად აქცევს, ურთიერთგანსაზღვრას მოჩვენებად, გადასვლას კი შეუძლებელს, ლენინის სიტყვით რომ ვთქვათ, ბნელს, რადგან იგი (გადასვლა) სწორედ არსებაშია შესაძლებელი.

მაშასადამე, წინააღმდეგობაში მყოფი შესაძლებელია სხვის საფუძველზე, იგი დაბოლოებულია; წინააღმდეგობის მომხსნელი ერთიანობა, როგორც მისი საფუძველი, კი დაუბოლოებელია, მაგრამ — წინააღმდეგობის შემცველი, ე. ი. — დაბოლოებულისა და დაუბოლოებელის ერთიანობას წარმოადგენს; ის არის დადებითი ქეშმარიტი დაუბოლოებლობა და არა უარყოფითი დაუბოლოებლობა. ერთ-ერთი საპირისპირო მხარის დამოუკიდებლად წარმოდგენა, როგორც აღინიშნა, მეორის საფუძველზეა შესაძლებელი და იგი თავის საპირისპიროში გადადის. ამიტომ დაპირისპირებულთა ნამდვილი დამოუკიდებლობა მათ ერთმხრიობაში კი არაა, არამედ, პირიქით, საწინააღმდეგოთა ერთიანობაში. ყოველი დაბოლოებული ასეთია მხოლოდ სხვით, მას სხვაში აქვს საფუძველი, მაგრამ უკიდურესობამდე, თავის საზღვრამდე მისული დაბოლოებული, უპირისპირდება რა სხვას, სწორედ ამ მის საპირისპიროს ემყარება: საპირისპირო-საწინააღმდეგონი ერთიმეორეს აფუძნებენ, ამით უკვე აუცილებლობით აჩენენ ერთიანობას და ამიტომ გადადიან ერთიმეორეში, ერთიმეორის განსაზღვრულობებს წარმოადგენენ, ერთიმეორას უარყოფით ერთმანეთში არიან. ამ გარემოების ლოგიკური გამოხატვა და ამ ლოგიკურის დახასიათება, ჩვენი აზრით, არის ლოგიკის მეცნიერებისათვის არსებითი ხასიათის პრობლემა. თუ დაპირისპირებული მხარეები მსჯელობებით გამოითქმება, მაშინ მათი ერთიანობა დასკვნას, როგორც საპირისპირო მსჯელობათა აუცილებელ დადებით კავშირს, უნდა წარმოადგენდეს.

ცხადია, რომ ერთი დაბოლოებული, როგორც ასეთი, ერთი მოვლენა, როგორც ასეთი, არ არის მეორე დაბოლოებული და მეორე მოვლენა, როგორც ასეთი. ამდენად ვამბობთ, რომ დაბოლოებულ განსაზღვრებაში წინააღმდეგობის შეუძლებლობის კანონი მოქმედებს. მხოლოდ აბსტრაქციის გზით შეიძლება გამოვაცალკეოთ წინააღმდეგობის ერთი მხარე მეორისგან და მხოლოდ წინააღმდეგობა მხოლოდ ერთიანობისაგან. აქ „მხოლოდ“ აღნიშნავს იმას, რომ

აქ წარმოებულთან და მეორადთან გვაქვს საქმე (როგორც, მაგალითად, ჩვეულებრივ კერძობით მსჯელობაში „მხოლოდ“ წინასწარ გულისხმობს მეორე მსჯელობასაც, — მასში ორი მსჯელობა იგულისხმება და არა ერთი). „მხოლოდ“ გამოყოფას და წარმოებულობას ნიშნავს. ამ „წარმოებულში“ და მის მიმართ ბატონობს ძველი ლოგიკის „ძირითადი კანონები“, დებულებები. წინააღმდეგობის საფუძველში კი სწორედ წინააღმდეგობის ერთიანობა და აუცილებლობა ძევს. ანუ სხვანაირად: დაუბოლოებელში წინააღმდეგობის ერთიანობის კანონი მოქმედებს.

როგორც ითქვა, საწინააღმდეგონი ურთიერთმოთხოვნა-განსაზღვრების საკუთარ საფუძველს, როგორც ზოგად კავშირს და კანონს, აუცილებლობით გამოაჩენენ. ეს იმიტომ ხდება ასე, რომ წინააღმდეგობა უკვე საკუთარი შესაძლებლობის საფუძველს აუცილებლობით გულისხმობს და მას ემყარება. ეს საფუძველი მის მიმართ სხვა კი არაა ან სხვაგან კი არაა, არც მის ზევით დგას, არამედ სწორედ მასშია, წინააღმდეგ შემთხვევაში, ისევ წინააღმდეგობის კანონის აბსოლუტური გამოყენება გვექნებოდა, წინააღმდეგობის ერთიანობის კანონი კი გაუქმდებოდა როგორც სინამდვილის, ისე აზროვნების მიმართ.

როდესაც ჩვენ აქ ვამბობთ: „წინააღმდეგ შემთხვევაში“, ეს ნიშნავს, რომ გამოყენებულია წინააღმდეგობის შეუძლებლობის დებულება; იგი გამოყენებულია, მაგრამ როგორც დაქვემდებარებულ და წარმოებულ წინააღმდეგობის ერთიანობიდან. აქ, როგორც ეს ზემოთაც ითქვა, წინააღმდეგობის შეუძლებლობის დებულების გამოყენებით მხოლოდ ისაა ნათქვამი, რომ წინააღმდეგობის ერთიანობის საწინააღმდეგო შეუძლებელია. ეს ნიშნავს შემდეგს: 1) თუ წინააღმდეგობის ერთიანობას ცალკე წარმოვიდგენთ, მის აზრს დაბოლოებულად და ცალმხრივად ვაქცევთ, მაშინ, ცხადია, იგი, მოიხსნება, ე. ი. თუ მას მოვხსნით, იგი მოიხსნება; ასეთი უაზრობაა მისი მოხსნა. ამასთანავე, ერთიანობის ასეთი გამოყოფის დროს, თვითონ ერთიანობა დაუპირისპირდება წინააღმდეგობას და მათ საფუძველად ახალი ერთიანობის მოთხოვნა აუცილებელი, მაგრამ სიყალბის მომცემი იქნება; 2) წინააღმდეგობის ერთიანობის საწინააღმდეგოს შეუძლებლობა სწორედ წინააღმდეგობის ერთიანობის მიღებას წარმოადგენს; 3) წინააღმდეგობის ერთიანობის საწინააღმდეგოს შეუძლებლობა თვითონ წინააღმდეგობის ერთიანობით არის შესაძლებელი; 4) წინააღმდეგობის ერთიანობის საწინააღმდეგო შეუძლებელია, რადგან წინააღმდეგობა ერთიანობის საწინააღმდეგოა და ერთიანობა სწორედ ერთიანობაა წინააღმდეგობისა, რომელშიც ერთი მხარე სწორედ ეწინააღმდეგება მეორეს. წინააღმდეგობის შეუძლებლობა წინააღმდეგობის ერთიანობის მომენტია და მისი,

ამ მომენტის ცალკე გამოყოფა, ცხადია, წინააღმდეგობის ერთიანობას დაანგრევს; ეს დანგრევა შეცდომას წარმოადგენს და ამ აზრით თვითონ არის შეუძლებელი. წინააღმდეგობის ერთიანობის საწინააღმდეგოს შეუძლებლობა წინააღმდეგობისა და მისი ერთიანობის შესაძლებლობაა.

ამიტომ, როგორც ითქვა, ყოველი განსაზღვრება უარყოფისა და წინააღმდეგობის შემცველი და, როგორც ასეთი განსაზღვრება, თვითონ არ აბათილებს თავის თავს, თვითონ არ უარყოფს თავის თავს, რადგან ის სწორედ შინაგანი წინააღმდეგობის დადებით ერთიანობაში ყოფნას და ასახულებას წარმოადგენს.

მატერიალური საგნის არსების ანალიზი გვიჩვენებს, რომ მისი (არსების) ობიექტური განსაზღვრულობანი ურთიერთუარყოფით ერთიმეორეს დადებითად განსაზღვრავენ და ერთიანობაში არიან,— ამ განსაზღვრულობათა ამსახველი აზროვნებაც ურთიერთუარყოფადასტურით მიიღებინან, ამით არიან ისინი ერთიანობაში, თავიანთ ბუნებას ამ ერთიანობაში ნახულობენ აუცილებლობით, ე. ი. ერთიმეორეს ამართლებენ. მხოლოდ მატერიალისტურ ნიადაგზე შეიძლება წინააღმდეგობის ერთიანობის ნამდვილი გაგება.

ამ საკითხის ჰეგელისეული გაგების სიყალბე იმაშია, რომ იგი სუბიექტის რეფლექსიის უნარს ობიექტურ სუბსტანციად წარმოადგენს; ეს უნარი, საკუთარი თავის მოაზრების დროს, თავის უარყოფით საკუთარი თავის მიღებას და ამით ამ უნარის არსების აღმოჩენას წარმოადგენს. ეს კი დიალექტიკის მისტიფიკაციას იძლევა; აბსოლუტური წინასწარვე დაშვებული, როგორც წინააღმდეგობის შექმნის შემძლე და, ცხადია, მისი გადაწყვეტის უნარის მქონეც. აქ წინააღმდეგობის შექმნას წინ უსწრებს მისტიკური უნარის საშუალებით განვითარება, წინააღმდეგობის გადაწყვეტა კი საწინააღმდეგოთა შერიგებას და, საბოლოოდ, გაუქმებას წარმოადგენს. წინააღმდეგობა, როგორც ბოლოვადი საგნის არსება, გამოყენებულია მისი გასაუქმებლად. წინააღმდეგობის გაუქმებით იმ წმინდა აბსოლუტურს ღებულობს, რომელიც წინასწარვე იყო ნაგულისხმევი ყოველი წინააღმდეგობის მქონეს მიერ. წინააღმდეგობის და მისი მოხსნის, გაუქმების საშუალებით წინასწარ მიღებული მისტიკური დაუბოლოებელისაკენ წასვლა და მასთან, როგორც „ნამდვილ სინამდვილესთან“, მისვლის აღიარება, პლატონურ შეცდომას წარმოადგენს, რომლის წინააღმდეგაც ნაყოფიერ ბრძოლას არისტოტელეს ლენინი უქებდა.

ყალბია ჰეგელის აზრი წინააღმდეგობის შესახებ, რამდენადაც იგი წინააღმდეგობას განვითარების შედეგად სთვლის, განვითარებას კი უცნაური, მისტიკური უნარით „ასაბუთებს“, რამდენადაც

წინააღმდეგობა იგივეობიდან წარმოშობილად მიაჩნია, თუმცა მისთვის იგივეობა თვითონ უარყოფითობაა; სიყალბეა იმაშიც, რომ ასეთი წინააღმდეგობა მხოლოდ არსების სფეროშია და არა არსის სფეროშიც, ყალბია არსების არსისგან ასეთი დაცილება, მისი სხვა საფეხურად წარმოდგენა და არსის სფეროდან შინაგანი წინააღმდეგობის გამორიცხვა. ყალბია წინააღმდეგობის შერიგების თვალსაზრისი; წინააღმდეგობის შერიგება დიალექტიკის გაუქმებაა; დიალექტიკის მოთხოვნა წინააღმდეგობის მარადიულობისა და მისი გაუქმების აღიარება გამოუვალი, ყალბი წინააღმდეგობაა. არსის სფეროში მოთავსება დაბოლოებულის და დაუბოლოებელის დამოკიდებულებისა შეიძლება მხოლოდ მაშინ (წინააღმდეგ ჰეგელისა), თუ წინააღმდეგობის ერთიანობის კანონს სწორედ არსის კანონად მივიჩნევთ, არსებას კი — სწორედ არსის არსებად და არა მის მომხსნელად; დაუბოლოებელი კი თვითონ არის წინააღმდეგობის ერთიანობა და წინააღმდეგობის ერთიანობა არის დაუბოლოებელი. დაბოლოებულის არსებად დაუბოლოებელის მიჩნევის აუცილებლობა უნდა იყოს შინაარსი ნამდვილი ლოგიკურისა, სახელდობრ, დაუბოლოებელის ლოგიკურისა, რომელიც სრული სახით შეიძლება მხოლოდ დასკვნაში იქნეს მოცემული. მაშასადამე, წინააღმდეგობის ერთიანობის ბუნება ჰეგელთან იდეალიზმის საფუძველზეა გაყალბებული.

მატერიალური საგნის (ბუნების თუ საზოგადოების მოვლენის) განსაზღვრულობების გარჩევა-ანალიზი, როგორც აღინიშნა, აუცილებლობით მიგვიყვანს წინააღმდეგობის ერთიანობამდე, როგორც არსებამდე; ამით კი მონახული იქნება რეალური საფუძველი ლოგიკურისა, როგორც საგნის არსების ამსახველისა. შესაძლებელი გახდება გაგება იმისა, თუ როგორია ასახვის ის თავისებურებანი, რომლებიც საგნის ბუნებით არიან განსაზღვრული. ნათელი იქნება ისიც, თუ რაშია შეცდომის თავისებურებანი. ეს საქმიანობა პრაქტიკის ნიადაგზე სრულდება და მისივე საშუალებით მოწმდება. ლოგიკურის თავისებურებანი ნათლად მოსჩანს ჰეგელის ცოდნის ყოველ მაგალითზე.

თუ საგნის განსაზღვრულობის ამსახველი ლოგიკური საფუძველად ყოველთვის სხვას გულისხმობს და მხოლოდ გარეგან განსაზღვრულობათა კავშირის ნიადაგზე რჩება, ასეთ შემთხვევაში, ან: დასაბუთება უსასრულო რეგრესში მიდის, რადგან ყოველ აზრს გარეგანი საფუძველი დასჭირდება და ა. შ. უსასრულოდ; საბოლოოდ დასაბუთების შეუძლებლობას მივიღებთ, გარკვეულ ფარგლებში კი პირობით საფუძველებს ვემყარებით, ან: სოფისტიკას და ეკლექტიკას ვღებულობთ. გარეგან განსაზღვრულობათა აბსოლუტიზაცია და საკმარისად მიღება სოფისტიკასა და ეკლექტიკას მოგ-



ცემს. „ფორმალური ლოგიკა, რითაც კმაყოფილდებიან სკოლებში (და უნდა დაკმაყოფილდნენ კიდევ — ზოგიერთი შესწორებით — სკოლის დაბალი კლასებისათვის), იღებს ფორმალურ განსაზღვრებას, ხელმძღვანელობს რა იმით, რაც ყველაზე უფრო ჩვეულებრივია ანდა რაც ყველაზე ხშირად გვეცემა თვალში, და ამას ჭერდება. თუ ამასთანავე აიღებენ ორს ან მეტს სხვადასხვა განსაზღვრას და აერთებენ მათ სრულიად შემთხვევით (შუშის ცილინდრიც და სასმისი ჭურჭელიც), ჩვენ მივიღებთ ეკლექტიკურ განსაზღვრას, რომელიც საგნის სხვადასხვა მხარეს აღნიშნავს და სხვას არაფერს“ (ვ. ი. ლენინი).

მაშასადამე, ძველი ლოგიკა არკვევს იმ აზრთა კავშირს, რომლებიც ზერელე განსაზღვრულობებს ასახავენ; ზერელე განსაზღვრულობათა კავშირი ხშირად ეკლექტიკური გამოდის, რადგან არსება, მათი არსებითად დამაკავშირებელი არ არის გამოთქმული. თუკი ასეთ, შემთხვევით დასაკავშირებელ ზერელე განსაზღვრულობებს დავეყრდნობით და მათ საფუძველზე დასკვნების კეთებას დაიწყოთ, სოფისტიკას მივიღებთ.

ზერელე კავშირს სრულიად გარკვეული აზრი აქვს, თუ მას ნაგულისხმევი ექნება არსება და ამის მიხედვით შესრულება ეს კავშირი. გარეგანი და ზერელე კავშირები გაგებულნი უნდა იქნენ, როგორც არსების ზერელე და გარეგანი მხარეები და არა აბსოლუტურად, ასეთი კავშირებით სრულიადაც არ უნდა დაკმაყოფილდეთ.

საგნის ნამდვილი ცოდნის ლოგიკურობა უნდა ითვალისწინებდეს საგნის ყოველმხრიობას, ყველა კავშირსა და გაშუალებას. „რათა ნამდვილად გაიცნოთ საგანი, საჭიროა მოიცვათ, შეისწავლოთ ყველა მისი მხარე, ყველა მისი კავშირი და „გამეშვევება“<sup>1</sup>. ამ გარემოების შესრულება დიალექტიკური ლოგიკის ჩამოყალიბებას ნიშნავს, რომელიც არ კმაყოფილდება ელემენტარული, ფორმალური ლოგიკის სფეროთი და მიდის უფრო შორს. ფორმალურ ლოგიკასთან შედარებით, „დიალექტიკური ლოგიკა ჩვენგან უფრო მეტს მოითხოვს“ (Логика диалектическая требует того, чтобы мы шли дальше)<sup>2</sup>.

საგნის ყოველმხრიობის ამოწურვა და მისი (საგნის) შემეცნების ლოგიკური სახით წარმოდგენა არასოდეს სრული არ იქნება, მაგრამ ასეთი მოთხოვნა მიღწეულს შედარებითად წარმოიდგენს და არა აბსოლუტურად, ანუ უკეთ: აბსოლუტურის მარცვლებს შედა-

<sup>1</sup> ვ. ი. ლენინი, თხზ., ტ. 32, გვ. 102.

<sup>2</sup> იქვე.

რებიტობას არ დაუქარგავს, ამით უკვე ლოგიკურის თავისებურ გაგებას მივიღებთ.

ჩვენ აქ მხოლოდ ერთი რამ გვინტერესებს, სახელდობრ, ის, რომ შემთხვევითი ანუ გარეგანი კავშირები გარეგან საფუძვლებს ემყარებიან; მტკიცება-უარყოფა ყოველთვის გარეგანისა ზდება. საგნის განსაზღვრულობების ურთიერთგამორიცხვა და კავშირი არსებას უნდა ემყარებოდეს და გამოთქვამდეს; საგნის არსება მისი თვითმოდრაობის წყაროშია, რომელიც წინააღმდეგობის ერთიანობას წარმოადგენს; ამიტომ არსების შესატყვისი ლოგიკური არ უნდა იყოს სწორხაზობრივი, როგორცაა ძველი ლოგიკის დასაბუთების თეორიის მიერ გაგებული ლოგიკურის ხასიათი. წინააღმდეგობის ერთიანობის ამსახველი ლოგიკური წრიული და, უკეთ, სპირალური ბუნებისა იქნება, რადგან ამას მოითხოვს ურთიერთგანსაზღვრების „გარეგანამწვედომი“ მომენტით გამართლება. ლოგიკის ამოცანას უნდა წარმოადგენდეს არსების ასახვის ლოგიკური ფორმის გარკვევა.

თუ დაბოლოებულის ამსახველი აზრის კანონები მოვლენათა გარეგანი განსაზღვრულობის ასახვის კანონებს წარმოადგენენ, მაშინ არსების, დაუბოლოებელის ამსახველი აზრის კანონები უნდა იყოს პირველთა მომენტებად, მოხსნილი სახით შემცველი, წინააღმდეგ შემთხვევაში, აქაც დაბოლოებულობას მივიღებდით (— დაბოლოებულობას, რომელიც დაუბოლოებელით შეიძლება გამართლდეს), და არ უდრიდეს საგნის კანონს, მისი განვითარების კანონს, არამედ მხოლოდ მის ასახვას უნდა წარმოადგენდეს. არსის და ლოგიკურის კანონები არ არიან, ცხადია, ერთი და იგივე, რადგან არსის კანონები ლოგიკური კანონება სრულიადაც არ არიან, მაგრამ მათში აისახებიან. არსის და აზრის აბსოლუტური კანონი, რომელიც ორივე სფეროში თავისებური ხასიათისაა (აზრში ლოგიკური კანონია), მაინც ერთი კანონია, ეს არის წინააღმდეგობის ერთიანობის კანონი. არსის და ლოგიკურის კანონების ერთიმეორისაგან მოწყვეტა ლოგიკურის გაყალბებას მოგვცემს. დიალექტიკა სწორედ იმ კანონებს სწავლობს, რომელიც არსშიც (ბუნება, საზოგადოება) მოქმედებს და აზრშიც. ენგელსი სწორედ ამ აზრით ამბობდა, რომ არსსა და აზრს ერთი და იგივე კანონები აქვს<sup>1</sup>. ობიექტური დიალექტიკის ამსახველი აზრი თვითონაც დიალექტიკურია, სუბიექტური დიალექტიკა ასახავს ობიექტურ დიალექტიკას.

ბუნებაში მოქმედი მიზიდველობის კანონი, ან საზოგადოებაში მოქმედი კანონი, მაგ., საწარმოო ძალების ხასიათისადმი წარმოე-

<sup>1</sup> ფ. ენგელსი. ბუნების დიალექტიკა, გვ. 231, 275.

ბით ურთიერთობათა სავალდებულო შესაბამისობის კანონი, ცხადია აზროვნებაში არ მოქმედებენ, თუმცა ისინი აზროვნებაში აისახე- ზიან, მაგრამ დიალექტიკური ბუნებისაა როგორც ბუნების და სა- ზოგადოების, ისე აზროვნების კანონები; დიალექტიკის კანონები სინამდვილის და აზროვნების საერთო კანონებია, რომლებიც ყო- ველ სპეციფიკურ სფეროში თავისებურა სახით არსებობენ.

არსისა და აზრის დამოკიდებულებაში, როგორც ამას მარქსიზმ- ლენინიზმი გვასწავლის, არსია განმსაზღვრელი, აზრი კი მისგან განსაზღვრულია, მაგრამ აზრი, თავის მხრივ, სრულიადაც არ არის პასიური, ის აქტიურია, იგი გარდაქმნის სინამდვილეს; ამ ძალას იგი არსისაგან ღებულობს, ამიტომ ხსენებულ დამოკიდებულებაში, ცხადია, მხოლოდ ურთიერთმოქმედება არა გვაქვს, ეს უაზრობას მოგვცემდა, — არამედ ის, რომ არსი გარეგანმწველად მომენტს წარმოადგენს. თუ ეს მომენტი ცალკე სფეროდ წარმოვიდგინეთ, მივიღებთ ძველ მეტაფიზიკს, სახელდობრ, არისტოტელეს „პირვე- ლი ფილოსოფიის“ სფეროს მსგავსს და საბოლოოდ — თეოლოგიის სფეროს აღიარებას.

წინააღმდეგობის ერთიანობის კანონი (ისე როგორც დიალექ- ტიკის სხვა ნიშნები) როგორც არსის, ისე აზრის კანონია, იგი ორა- ვესათვის სავალდებულოა, მაგრამ არა იმ აზრით, რომ დიალექტი- კის ნიშნები მესამე სფეროს წარმოადგენდეს, არამედ იმ აზრით, რომ არსის კანონები გარეგანმწველობია, განსაზღვრავს აზრსაც (ცხადია, მაშინ, როცა აზრი არსებობს და არსთან გარკვეულ დამო- კიდებულებაში იმყოფება).

არისტოტელემ „პირველ ფილოსოფიაში“ გააჩნია ე. წ. „აზ- როვნების ძირითადი კანონები“, რადგან მას ისინი არსისა და აზრის მიმართ პირველად კანონებად მიაჩნდა. დიალექტიკის ნიშნებიც საერთოა აზრისა და არსისათვის, რამდენადაც, როგორც ითქვა, არსი გარეგანმწველობია. ის, რაც მხოლოდ აზრის კანონია, ვერ იქნება აზროვნების წესების სისრულით განმსაზღვრელი, რადგან თვითონაც ხამ აზრის კანონს წარმოადგენს, — გამოგვივა აზროვნების კანონე- ბის ორად ხელოვნური გაყოფა. თუ ვიტყვით, რომ არ არსებობს არსისა და აზრისთვის საერთო, ორივესათვის ერთნაირად სავალდე- ბულო კანონები, მაშინ: 1) ან უფსკრულს მივიღებთ მათ შორის; 2) ან მათი კავშირისათვის რაღაც მესამე და ა. შ. უსასრულოდ დაგვიკირდება; 3) ანდა გავაიგივებთ მათ, რადგან სინამდვილე, რო- გორც აზრის ლოგიკურად განმსაზღვრელი, თვითონ ლოგიკური გამოგვივა.

მაშასადამე, წინააღმდეგობის ერთიანობის კანონი (ისე რო- გორც დიალექტიკის სხვა ნიშნები) არის სინამდვილის ისეთი კანონი,

რომელიც აზრისათვის გარეგანდამწვდომია. იგი განსაზღვრავს აზრის სპეციფიკურ წესებს.

ჩვენ აქ გვაინტერესებდა წინააღმდეგობის ბუნება და მისგან გამოძინარე აზრი ლოგიკურის შესახებ. თუ იტყვიან, რომ სინამდვილის წინააღმდეგობრიობა არაწინააღმდეგობრივი აზრით აისახება, რომ სინამდვილეში ბატონობს დიალექტიკის კანონი, აზროვნებაში კი ფორმალური ლოგიკის ცნობილი კანონები, ამაზე უნდა ვუპასუხოთ (ზემოთ თქმულის თანახმად) შემდეგი: მხოლოდ წინააღმდეგობა არც სინამდვილეშია და არც ჭეშმარიტ და ლოგიკურ აზროვნებაში; აზროვნების არაწინააღმდეგობრიობა წინააღმდეგობის არარსებობა (და ამ მხრით სინამდვილეზე მალა დგომა) კი არაა, არამედ წინააღმდეგობის ერთიანობა; სინამდვილეში წინააღმდეგობა კი არაა მხოლოდ, არამედ წინააღმდეგობის ერთიანობა; შინაგანი წინააღმდეგობა, ცხადია, მხოლოდ ერთიანობაშია შესაძლებელი (გარეგანი წინააღმდეგობა კი შინაგანს ემყარება).

წინააღმდეგობის შეუძლებლობა და მისი უარყოფა, პირველ რიგში, სწორედ ლოგიკურადაა შეუძლებელი, რადგან წინააღმდეგობის უარყოფისათვის აღებული საწინააღმდეგო მსჯელობები, თავიანთი არსებობით, უკვე წინააღმდეგობას ქმნიან. ეს გარემოება კიდევ უფრო გაძლიერდება, თუ მხოლოდ ე. წ. ფორმალურ ჭეშმარიტებას, ე. ი. მხოლოდ „სისწორეს“, დავემყარებით და არა ჭეშმარიტებას. მხოლოდ ჭეშმარიტების თვალსაზრისით შეიძლება ორი საწინააღმდეგო მსჯელობიდან მხოლოდ ერთის მიღება (როგორც ჭეშმარიტისა) და მეორის უარყოფა. თუმცა ეს მომენტი, როგორც ზემოთ გაირკვა, ერთ-ერთი მომენტია თვითონ ჭეშმარიტების, რადგან ეს უკანასკნელი თვითონ არის წინააღმდეგობის ერთიანობა (ამაზე კიდევ ქვემოთ). სისწორის თვალსაზრისით ორი საწინააღმდეგო მსჯელობიდან ერთის მიღება და მეორის უარყოფა ჭეშმარიტებას უნდა დაემყაროს და არა თვითონ სისწორეს; ანდა მხოლოდ ან-ან-ის გაურკვეველობა დაგვრჩება, ანდა კიდევ: მხოლოდ პირობითობა: თუ პირობით მივიღებთ ერთს, სწორედ მეორე უნდა გამოვირიცხოთ, ან პირიქით, — მხოლოდ პირობითობა ლოგიკურის აზრს დაამახინჯებს, ვერ იძლევა ნამდვილ აუცილებლობას. მხოლოდ პირობითი აუცილებლობა აღარაა სრული აუცილებლობა.

4. ლოგიკური კავშირის ძირითადი კანონი. მეცნიერების კანონთა ბუნების გამოკვლევამ გვიჩვენა, რომ კანონი ობიექტური ბუნებისაა, სულერთია თუ რომელ სფეროში მოქმედებს იგი: ბუნებაში, საზოგადოებაში, თუ აზროვნებაში. როგორც აღინიშნა, აზროვნების ლოგიკური კანონების სპეციფიკურობა სრულიადაც არ უარყოფს მათ ობიექტურობას; წინააღმდეგ შემთხვევაში, ლოგიკა, როგორც

მეცნიერება, შეუძლებელი იქნებოდა. აზროვნების ლოგიკური კანონები ობიექტურია, რადგან: 1) სწორი აზროვნება არსებობს, როგორც ფაქტი, რომელსაც ლოგიკა იკვლევს, 2) აზროვნება მატერიალური სინამდვილის ასახვაა, ამიტომ ჰემმარიტი აზრის განსაზღვრულობა არ არის სუბიექტზე დამოკიდებული, არამედ ობიექტურად არსებული საგნისაგან არის შექმნილი. ჰემმარიტი აზრის განსაზღვრულობა თვითონ აზრისაგან დამოუკიდებელია (და არა დამოუკიდებლად არსებობს, როგორც ამას შემდეგაც ნათელეყოფთ). ზოგიერთი ლოგიკოსი (მაგ. ტაენეცი) ფიქრობს, რომ აზროვნების ლოგიკური კანონები, როგორც საგანთა კავშირების ასახვა, შინაარსით ობიექტურია, ფორმით კი სუბიექტური. ეს აზრი მხოლოდ ნაწილობრივია სწორი, სახელდობრ, იმ მხრივ, რომ აზროვნების კანონები, მართლაც, სინამდვილის კანონებით განისაზღვრებიან; მხოლოდ ამ შემთხვევაში არიან აზრის კანონები ობიექტური ხასიათის.

არ შეიძლება იმის თქმა, რომ აზრის შინაარსი საგანია პირდაპირი გაგებით. საგანი აზრს განსაზღვრავს, მაგრამ საგნის შინაარსის აზრის შინაარსთან გაიგივება, ცხადია, ობიექტურ-რეალისტური ან ვულგარულ-მატერიალისტური შეცდომაა. შეიძლება ითქვას, რომ აზრის შინაარსი საგანია მხოლოდ იმ გაგებით, რომ აზრის შინაარსი საგნით არის განსაზღვრული, რადგან ის მის ასახვას წარმოადგენს.

რა არის შინაარსი? მატერიალისტური დიალექტიკა გვასწავლის, რომ საგნის შინაარსი მისი ელემენტების ერთიანობაა. ფორმა კი ამ ერთიანობის გარკვეული წესია, წყლის შინაარსი წყალბადის და ჟანგბადის ერთიანობაა (თვითონ ელემენტები მასალაა და არა შინაარსი). მაგრამ ეს ერთიანობა გარკვეულად არის შესრულებული. ერთიანობის ამ გარკვეულობას ფორმა ჰქვია. არ შეიძლება არც იმის თქმა, რომ წყლის შინაარსი აზრის შინაარსია, რადგან აზრის შინაარსი არ შეიძლება იყოს წყალბადის და ჟანგბადის ერთიანობა. წყალს თავისი ფორმა გააჩნია. აზრის შინაარსი კი მისი საკუთარი ელემენტების ერთიანობაა, მაგრამ ისეთი, რომელიც საგნის ბუნებით არის განსაზღვრული, რადგან ის მის ასახვას, გაგებას წარმოადგენს. აზრის ფორმაც ობიექტურია, რადგან ეს ფორმა სხვა არაფერია, თუ არა აზრთა გარკვეული კავშირი, რომელიც საგნით, საგანთა კავშირით განისაზღვრება და უნდა განისაზღვრებოდეს. მაგ. ცნება, როგორც აზროვნების ფორმა, საგნის არსების ასახვაა. მსჯელობა, როგორც აზროვნების ფორმა, საგანთა კავშირით განისაზღვრება. ასე ითქმის დასკვნის შესახებაც. როგორც ამას ზემოთაც აღვნიშნავდით, სილოგიზმში ცნებათა დამოკიდებულება საგანთა დამოკიდებულებით განისაზღვრება. მაგ., Barbara სწო-

რია, რადგან მცირე ტერმინით გათვალისწინებული საშუალო ტერმინით გათვალისწინებულ საგნებში იგულისხმება, საშუალო ტერმინით გათვალისწინებული საგნები კი დიდი ტერმინით გათვალისწინებულ საგნებშია ნაგულისხმები, და სხვ.

ობიექტურია ე. წ. აზროვნების ძირითადი კანონებიც. იგივეობის კანონი მოითხოვს, რომ აზროვნებაში, მსჯელობის და დასკვნის პროცესში ყოველი ცნება იგივეობრივი მნიშვნელობით უნდა იხმარებოდეს, წინააღმდეგ შემთხვევაში, შეცდომას მივიღებდით, — სწორი აზროვნება შეუძლებელი იქნებოდა. მაგრამ ცნების იგივეობა ობიექტური ხასიათისაა, რადგან იგი საგნის იგივეობით არის განსაზღვრული. ეს იგივეობა ცვალებადობას არ უარყოფს. კაპიტალიზმი იცვლება, მაგრამ მას გარკვეული ნიშნები აქვს, რომლებიც ცნებაში აისახებიან. ცვალებადობას სრულიად გარკვეული ხასიათი აქვს; ეს გარკვეულობა კანონებშია მოცემული. ცნება როგორც არსების ასახვა, ცხადია, საგნის გარკვეულობით განისაზღვრება. ამიტომ ჭეშმარიტება განსაზღვრავს აზრის სისწორეს; წინააღმდეგ შემთხვევაში ამ სისწორეს ობიექტურობა არ ექნებოდა. წინააღმდეგობის შეუძლებლობის კანონიც ობიექტური ხასიათისაა, რადგან შეუძლებელია, მაგ., იმპერიალიზმის ცნება ესეც იყოს და მისი გაუქმებაც; ამ გარემოებას თვითონ საგანი, — ამ შემთხვევაში, იმპერიალიზმი განსაზღვრავს. იმპერიალიზმი მართლაც იმპერიალიზმია და არა მისი გაუქმება. იმპერიალიზმის ნიშნები, რომლებიც ვ. ი. ლენინმა დაგვიხასიათა, ის ნიშნებია, რომელთა შესახებ ცოდნა იმპერიალიზმის ცნებას გვაძლევს. შეუძლებელია იმპერიალიზმს გარკვეული ნიშნები ჰქონდეს, და ამავე დროს არც ერთი ამ ნიშანთაგანიც არ ჰქონდეს. ასე ითქმის გამორიცხული მესამის და საკმაო საფუძვლის კანონებზედაც.

მაშასადამე, აზროვნების ლოგიკური კანონები ობიექტურია არა იმ აზრით, თითქოს ისინი მატერიალური საგნების კანონებს წარმოადგენენ (ასეთ შემთხვევაში ობიექტურ იდეალიზმს მივიღებდით), არამედ იმ აზრით, რომ ისინი საგნებით და მათი კავშირებით განისაზღვრებიან. აზროვნების ლოგიკური კანონები ჩვენი ნება-სურვილებისგან დამოუკიდებელი კანონებია.

იდეალიზმსა და მატერიალიზმს შორის ბრძოლა, ამ შემთხვევაში, ეხება სწორედ აზროვნების კანონთა ობიექტურობას. სუბიექტური იდეალიზმი, როგორც ითქვა, საერთოდ მეცნიერების კანონთა ობიექტურობას უარყოფს; ეს გარემოება ყველაზედ უფრო ნათლად ლოგიკური კანონების შეფასებაში მქლავნდება.

სუბიექტური იდეალიზმი იძულებულია თავისებურად გაიგოს ობიექტურობა, რათა მეცნიერების უარყოფის უაზრობა მიჩქმა-

ლოს. როგორც ცნობილია, კანტი მეცნიერების კანონების ობიექტურობას აღიარებდა, მაგრამ ეს ობიექტურობა მხოლოდ იმას აღნიშნავდა, რომ კანონი გაგებულ იყო, როგორც ყველა ადამიანისათვის სავალდებულო რამ. კანონთა აპრიორულობა მისთვის ობიექტურობასაც აპირობებდა. კანტის აზრით, კანონები მხოლოდ აზროვნების კუთვნილებაა. ეს კი მისი სუბიექტურობის აღიარებაა და ობიექტურობის უარყოფა.

თანამედროვე ბურჟუაზიული მიმართულებები ლოგიკაში, მაგ., „სემანტიკური იდეალიზმი“ და „ლოგიკური პოზიტივიზმი“ (ა. აიერი, რ. კარნაპი და სხვ.) „ამტიციებენ“, რომ ლოგიკის კანონები არ არიან ობიექტური ხასიათისა, რომ ეს კანონები თვითნებურად დგინდება ადამიანების მიერ. ა. აიერი ამბობს, რომ ლოგიკის ცნობილი კანონების მიხედვით ვაზროვნებთ არა იმიტომ, რომ მათ თითქოს ობიექტური ხასიათი ჰქონდეთ, არამედ იმიტომ, რომ ასეთია ჩვენი ენის აგებულება. „ურთიერთ საწინააღმდეგო წინადადებებიდან, — წერს აიერი, — ერთერთი მცდარი უნდა იყოს, არა იმიტომ, რომ ქვეყანა ასეა მოწყობილი. ეს ასეა, რადგან ჩვენ ვაშენებთ ჩვენს ენას ისე, რომ საწინააღმდეგო წინადადებების შეერთება არ გამოიყენება აღწერის დროს“<sup>1</sup>.

სემანტიკური იდეალიზმის დიდი წარმომადგენელი რუდოლფ კარნაპი სასტიკად ებრძვის მატერიალისტურ ლოგიკას (მხედველობაშია არისტოტელეს ლოგიკა). არისტოტელეს ლოგიკა უარყოფილ უნდა იქნას, ამბობს კარნაპი, ენის ლოგიკური სინტაქსით. კარნაპის აზრით არისტოტელეს „ქეშმარიტი ლოგიკა“ წარმოდგენს ერთგვარ დაბრკოლებას, რომელიც დაძლეული უნდა იქნას და დაძლეულია „ენის ლოგიკურ სინტაქსში“, რომელიც იძლევა „განუსაზღვრელ შესაძლებლობათა გაშლილ ოკეანეს“<sup>2</sup>. „ლოგიკაში, — წერს კარნაპი, — არ არსებობს მორალი. ყველას აქვს უფლება ააშენოს თავისი საკუთარი ლოგიკა, ე. ი. ენის თავისი ფორმა — როგორც მას ჭყურს“<sup>3</sup>.

კარნაპი და მისი თანამოაზრენი ჰქმნიან „ლოგიკას“, რომელიც „დაასაბუთებს“ თანამედროვე იმპერიალისტების თავაშეებულობას, თვითნებობას, ავანტიურიზმს, „თავისუფლებას“ მოიქცენ ისე, როგორც სურთ.

თუ იმდენი ლოგიკის შექმნა შეგვიძლია, რამდენიც გვსურს, მაშინ არა მარტო ლოგიკა, არამედ ყოველგვარი მეცნიერება უარ-

<sup>1</sup> A. Ayer, The philosophy of science, იხ. კრებული — Scientific thought in the twentieth century, p. 9 — 10. 1951.

<sup>2</sup> R. Carnap, Logische Syntax der Sprache, S. VI, Wien, 1934.

<sup>3</sup> იქვე, გვ. 45.

ყოფილი გამოვა. მართლაც, ლოგიკური პოზიტივისტები ცდილობენ ლოგიკა გადააქციონ შემთხვევითობათა ქაოსის სფეროთ, ამით კი ლოგიკის მეცნიერების სრულ უარყოფამდე მიდიან. მათი აზრით უაზრობაში ვარდება ის, ვინც შეეცდება რეალობის აღწერას, ე. ი. ჩვენგან და ცდისაგან დამოუკიდებელი სინამდვილის შესწავლას<sup>1</sup>. ალფრედ აიერის ეს აზრი იმას მოასწავებს, რომ თანამედროვე ბურჟუაზია საერთოდ მეცნიერების უარყოფამდე მიდის.

ლოგიკის და საერთოდ მეცნიერების უარყოფას, როგორც ცნობილია, რელიგიის აღიარებამდე მივეყვართ. ვ. ი. ლენინი წერს: „მეცნიერებიდან კანონების განდევნა ნამდვილად მხოლოდ რელიგიის კანონების შემოპარებაა“<sup>2</sup>.

ბურჟუაზიულ ფილოსოფიაში გაბატონებული ალოგიზმი „ამტკიცებს“, რომ ლოგიკას არ შეუძლია მოძრავი ქვეყნის გაგება; მოძრავ, ცვალებად ქვეყანას „ღრმა აზრი“ აქვს, სახელდობრ, — მისტიკური აზრი. მაგ. ბერგსონი წერდა, რომ „...наша мысль, в своей чисто логической форме, не способна представить себе действительную природу жизни, глубокий смысл эволюционного движения“<sup>3</sup>. პრაგმატიკისტი უ. ჯემსი თავის შრომაში — „მსოფლიო პლურალისტური თვალსაზრისით“, — წერდა, რომ ლოგიკა არის მხოლოდ არავისთვის სავალდებულო „თამაში“. მე კი, — ამბობს ჯემსი, უარვყოფ ერთხელდასამუდამოდ ლოგიკას. მეორე პრაგმატიკისტი — შილერი კი პირდაპირ აცხადებს, რომ ლოგიკა რელიგიით უნდა შეიცვალოს. იგი წერს: „არ იქნება გადაჭარბებული თუ ვიტყვით, რომ *credo qua absurdum* არის საფუძველი მეცნიერებისა, ისე როგორც თეოლოგიის“<sup>4</sup>.

მაშასადამე, თანამედროვე ბურჟუაზიულ ფილოსოფიას ლოგიკა, ერთი მხრით, ენის სინტაქსზე, საბოლოოდ, სიმბოლოების თამაშზე დაყავს, მეორე მხრით კი — ლოგიკის და მეცნიერების ადგილზე რელიგიას სვამს. ორივე ეს გარემოება არსებითად ერთი და იგივეს წარმოადგენს. თანამედროვე ბურჟუაზია საერთოდ მეცნიერებას, კერძოდ კი ლოგიკას უარყოფს, რათა თავი გაინთავისუფლოს ყოველგვარი აუცილებლობიდან და თვითნებური საქმიანობა განახორციელოს.

ამრიგად, ლოგიკა, როგორც სხვა მეცნიერება, ობიექტურ კანონებს სწავლობს. აზროვნების ლოგიკური კანონები თავისებური

<sup>1</sup> A. Ayer, *Language, Truth and Logic*, p. 17, 1936.

<sup>2</sup> ვ. ი. ლენინი, *თხზ.* ტ. 20, გვ. 239.

<sup>3</sup> А. Бергсон, „Творческая эволюция“, *Собр. соч.* т. I, стр. 1.

<sup>4</sup> Schiller F. C. S., „Riddles of the sprinx. A study in the philosophy of Humanism, p. 58, 1912.



მაგრამ მაინც ობიექტური ბუნების არიან. ეს ობიექტურობა მხოლოდ მაშინ საბუთდება, თუ გავარკვევთ, რომ აზროვნების კანონები სინამდვილით არიან განსაზღვრულნი. წინააღმდეგ შემთხვევაში, გზა ეხსნება სუბიექტივიზმს ან რელიგიას, — უარყოფილი გამოდის არა მხოლოდ ლოგიკა, არამედ საერთოდ მეცნიერება.

როგორც აღინიშნა, მეცნიერების კანონის ბუნება ობიექტურობის ნიშნით არ ამოიწურება, რადგან ობიექტური მოვლენაცაა. მას აუცილებლობის ნიშანიც ახასიათებს. კანონი აუცილებელ კავშირს წარმოადგენს და არა შემთხვევით კავშირს. ეს უკანასკნელი სწორედ აუცილებლობის საფუძველზე უნდა იქნას ახსნილი და გაგებული. კანონის ნიშნები თვითონ არიან ერთიმეორესთან აუცილებლობით დაკავშირებული და ამიტომ შეადგენენ ერთი და იგივე კანონის ბუნებას. მაგ., აუცილებლობის ნიშანი ობიექტურობის ნიშნიდან გამომდინარეობს. როგორც აღინიშნა სუბიექტივიზმი კანონთა ობიექტურობის უარყოფაა, აუცილებელი კავშირი მაშინ არსებობს, თუ ის ობიექტურია, თუ იგი ჩვენი ნება-სურვილებისაგან დამოუკიდებლად არსებობს. ასე ითქმის ლოგიკის კანონების შესახებაც.

მაგ., ფორმალური ლოგიკის „იგივეობის კანონი“ აპრიორული კი არაა, არამედ ობიექტურია იმ აზრით, რომ იგი საგნის ობიექტური გარკვეულობით განისაზღვრება. აქედან გამომდინარეობს ის, რომ დასკვნაში აუცილებელი კავშირი იგივეობის არარსებობის დროს შეუძლებელია. იგივეობა აუცილებელია აზრთა ლოგიკური კავშირისათვის. აზრთა ლოგიკური კავშირი შეუძლებელია, თუ ეს კავშირი არ არის აუცილებლობის ბუნების. ლოგიკური კავშირი მაშინ შეიძლება განხორციელდეს, თუ აზრი თავის თავს არ აუქმებს, თუ არ ვარდება ისეთ წინააღმდეგობაში, რომელიც აბსურდს წარმოადგენს. ამ აზრით წინააღმდეგობის შეუძლებლობა აზრთა აუცილებელ კავშირს ახასიათებს. ასე ითქმის ლოგიკის სხვა კანონებსა და წესებზე.

ზემოთ საკმარისად გაირკვა, რომ ლოგიკური აუცილებელი კავშირის პრობლემა ურთულეს პრობლემად ითვლებოდა ლოგიკის ისტორიაში და ახლაც ასეთ პრობლემას წარმოადგენს. ლოგიკოსები და ფილოსოფოსები თავს იმტკრევდნენ იმის გადაწყვეტაზე, თუ როგორ არის შესაძლებელი კავშირი სინთეზურიც იყოს, ე. ი. ნამდვილ კავშირს და არა ერთი და იგივეს განმეორებას წარმოადგენდეს და აუცილებლობის ნიშანსაც შეიცავდეს. აუცილებელი სინთეზური ლოგიკური კავშირის გარეშე შეუძლებელია ლოგიკური კანონები და, მაშასადამე, თვითონ ლოგიკაც, როგორც მეცნიერება, არსებობდეს.

მაგრამ ისიც იყო გარკვეული, რომ ფორმალური ლოგიკის „აზროვნების ძირითადი კანონები“ არ არიან საკმარისი არც აზრის კეშმარიტებისათვის და არც ლოგიკური კავშირის განხორციელებისათვის.

აზრთა ლოგიკური კავშირი, როგორც ითქვა, მაშინ არის ობიექტური, თუ ის სინამდვილითაა განსაზღვრული, თუ ის ასახავს სინამდვილეს. ამ აზრით კეშმარიტება სისწორეს განსაზღვრავს. ამიტომ აუცილებელი სინთეზური ლოგიკური კავშირი უსათუოდ სინამდვილით უნდა იყოს განსაზღვრული. ასეთ კავშირს სისრულით ვერ ხსნის „აზროვნების ძირითადი კანონები“.

მართალია, თუ ცნებები, ან მსჯელობები დასკვნაში და დასაბუთებაში ერთი და იგივე მნიშვნელობით არ ვიხმარეთ, მაშინ უაზრობაში ჩავარდებით, — შეუძლებელი იქნება აზრთა ლოგიკური, აუცილებელი კავშირი. მაგრამ ლოგიკური აუცილებლობა შესაძლებელია მხოლოდ მაშინ, თუ რაიმედან განსხვავებული გამომდინარეობს. სინთეზურობის გარეშე აუცილებელ კავშირს საერთოდ ადგილი არა აქვს. იგივეობის კანონს კი სინთეზურობის ახსნა არავითარ შემთხვევაში არ შეუძლია.

როგორ შეიძლება მსჯელობიდან, ან მსჯელობებიდან აუცილებლობით მივიღოთ ახალი მსჯელობა? ამ კითხვაზე სრული პასუხი სრულიად შეუძლებელია, თუ მხოლოდ ე. წ. აზროვნების ძირითად კანონებს, მაგ., იგივეობის კანონს დავემყარეთ. ცნებები და მსჯელობები იგივეობრივი მნიშვნელობით უნდა იქნან მოხმარებული როგორც დასკვნაში, ისე დასაბუთებაში, მაგრამ განსხვავებულის მიღების აუცილებლობა იგივეობით, წინააღმდეგობის შეუძლებლობით სრულიადაც გაურკვეველი რჩება. თუ აზრი თავის თავს არ აუქმებს, მაშინ აზრი კი არის, მაგრამ შეიძლება მცდარი და არასწორი იყოს. მცდარი და არასწორი აზრიც იგივეა თავისთავთან, ის არ ეწინააღმდეგება თავის თავს. თუ თავისთავთან წინააღმდეგობა შეცდომაა, მაშინ ეს შეცდომა აღარ ეწინააღმდეგება თავის თავს, წინააღმდეგ შემთხვევაში, იგი სწორი აზრიც იქნებოდა, და არა მხოლოდ მცდარი.

არა სისწორე, ლოგიკური შეცდომა შეუძლებლობას, სახელდობრ, შეუძლებელ კავშირს ჰქვია, ე. ი. იმას, როცა კავშირი ნამდვილად არ ხორციელდება და სხვას არაფერს. სინთეზური აუცილებელი კავშირები რომ არ არსებობდნენ, მაშინ მეცნიერული აზროვნება საერთოდ შეუძლებელი იქნებოდა და ლოგიკას თავისი საკლავი საგანიც არ ექნებოდა. ასეთი კავშირები არსებობენ, მაგრამ „აზროვნების ძირითადი კანონები“ არ არიან საკმარისი, რათა ეს კავშირები სისრულით იქნან ახსნილი. სწორედ ამის გამო იყო ლოგი-

კა იძულებული სხვადასხვა დროს სხვადასხვა აქსიომები წამოეყენებინა.

როგორც გაირკვა, მეცნიერების კანონი უნდა იყოს შინაგანი აუცილებელი კავშირი. ეს კავშირი დადებითი ხასიათის უნდა იყოს. „აზროვნების ძირითადი კანონები“, როგორც აღინიშნა ან ზერელე კავშირზე მიუთითებენ, ან იმას აჩვენებენ, თუ კავშირი როგორი არ უნდა იყოს, და არა იმას, თუ როგორი უნდა იყოს.

შინაგანი, არსებითი კავშირი უნდა გვიხსნიდეს მართლაც არსებითს. ლოგიკური აუცილებელი კავშირის არსება იმაშია, რომ ის უნდა იყოს განსხვავებულთა კავშირი, რაც, როგორც ითქვა, იგივეობის, წინააღმდეგობის და გამორიცხულ მესამის კანონებისათვის სრულიად აუხსნელი რჩება.

მართალია, კავშირი, როგორც განსხვავებულთა ქვეშარიტი და სწორი კავშირი, იგივეა თავისთავთან, არ აუქმებს თავის თავს, მაგრამ ეს გარემოება ამ კავშირის გარეგან მხარეს ეხება. მთავარი ისაა, რომ ახსნილ იქნას კავშირში მოქცეული განსხვავებულობა; ამის გარეშე თვითონ კავშირსაც ეკარგება აზრი. მსჯელობა „ცუგა ძალლია“ ქვეშარიტია, ის არ აუქმებს თავის თავს, ამ აზრით არ ეწინააღმდეგება თავის თავს, მაგრამ ეს მსჯელობა ერთეულის და ზოგადის, ე. ი. დაპირისპირებულთა ერთიანობას წარმოადგენს<sup>1</sup>. მსჯელობაში იგივეობა რომ არ იყოს, მაშინ მსჯელობაც არ იქნებოდა, მაგრამ იგი ვერ იარსებებდა ვერც მაშინ, თუ, ამავე დროს, განსხვავებაც არ იარსებებდა; „ის ფაქტი, რომ იგივეობა შეიცავს განსხვავებას გამოხატულია ყოველ წინადადებაში, სადაც შემასმენელი ქვემდებარისაგან აუცილებლად განსხვავებულია. მთის შროშანა არის მცენარე, ვარდი არის წითელი, სადაც ან ქვემდებარეში, ან შემასმენელში არის ისეთი რამ, რაც შემასმენელის ან ქვემდებარის მიერ ვერ იფარება“<sup>2</sup>.

ასე ითქმის დასკვნების შესახებაც. თუ სილოგისტური დასკვნა წინამძღვრებთან შედარებით ახალს არ იძლევა, მაშინ ის არც არის დასკვნა, როგორც აუცილებელი გამომდინარეობა. თუ ინდუქციურ დასკვნებში ერთეულებიდან, მათგან განსხვავებული და საპირისპირო — ზოგადი არ იქნა აუცილებლობით მიღებული, მაშინ ასეთი დასკვნები აზრს დაკარგავენ. ამიტომ, როცა ლოგიკური კავშირის ერთ-ერთ მხარეს — ან იგივეობას, ან განსხვავებას ახასიათებენ, და რისთვისაც გარკვეულ კანონებს იყენებენ, მაშინ უნდა ითქვას. რომ ეს მხარეები, აღებული ცალ-ცალკე, და მათი ამხსნელი კანონებიც ზერელე, ნაკლებად არსებითი ხასიათის არიან. არსები-

<sup>1</sup> В. И. Ленин, Философские тетради, стр. 329.

<sup>2</sup> ფ. ენგელსი, ბუნების დიალექტიკა, გვ. 219.

თი ხასიათის კანონი სწორედ არსებას უნდა გვიხსნიდეს და არა მის ერთ რომელიმე მხარეს. ამიტომ ფორმალური ლოგიკის ე. წ. აზროვნების ძირითადი კანონები თვითონ საჭიროებენ ამხსნელს, უფრო ძირითად და არსებით კანონს; მით უმეტეს, რომ ზოგიერთ ამ კანონთა უარყოფითი ხასიათი (რომელიც ზემოთ იქნა დახასიათებული) შეიძლება მხოლოდ დადებითი კავშირის საფუძველზე იქნას ახსნილი.

როგორც ითქვა, კანონისათვის აუცილებელია ზოგადობის ნიშანი. ზოგადობის გარეშე არ არსებობს მეცნიერების არავითარი კანონი. რომ „აზროვნების ძირითადი კანონები“ ზოგადობის ბუნების არ იყვნენ, მაშინ ისინი კანონების როლს ვერ შეასრულებდნენ. ობიექტური, აუცილებელი, შინაგანი და არსებითი კავშირი არ იარსებებდა, რომ ზოგადობა არ არსებობდეს. ზოგადობის გარეშე არავითარი მეცნიერება არ იარსებებდა, რადგან იგი უსაგნო იქნებოდა.

იგივეობა ცნებებში, მსჯელობებში, რომლებიც დასკვნებში და დასაბუთებაში მონაწილეობენ, ზოგადობაა, საერთოა; ამ ზოგადობის გარეშე სწორი აზროვნება შეუძლებელია. ის გარემოება, რომ აზრი თავის თავს არ უნდა აბათილებდეს, ამ აზრით, წინააღმდეგობას რომ არ უნდა წარმოადგენდეს, საერთო და ზოგადია ყოველი კეშმარტი და სწორი აზრისათვის. რომ გარკვეულ შემთხვევებში სუბიექტს კონტრადიქტორული პრედიკატებიდან რომელიმე ამათგანი მიეწერება და მესამე პრედიკატთაგანი შეუძლებელია (რადგან წინააღმდეგობას მხოლოდ ორი მხარე აქვს), — ზოგადია კეშმარტი და სწორი აზროვნებისათვის. რომ ყველაფერს თავისი გარკვეული საფუძველი გააჩნია, — ესეც ზოგადობას წარმოადგენს.

მაგრამ ზოგადობა, რომელსაც ეს კანონები ემყარება და რომელსაც თვითონ წარმოადგენენ, თავისებური ხასიათისაა. ეს არის საერთო ნიშნის ზოგადობა და არა, ზემოთ დახასიათებული, შინაარსეული ზოგადობა, კონკრეტული ზოგადობა, ე. ი. ისეთი ზოგადობა, რომელიც განსხვავებულთა და დაპირისპირებულთა ერთიანობას წარმოადგენს.

საერთო ნიშნის ზოგადობა ერთეულთა სიმრავლეს ემყარება; ზოგადობა, რომელიც სიტყვით „ყველა“ გამოითქმება, სწორედ ერთეულთა სიმრავლეს წარმოადგენს. სწორედ ეს აზრია საფუძველად გამოყენებული სილოგისტურ და ინდუქციურ დასკვნებში. საერთო ნიშნის ზოგადობა ცნების მოცულობის ზოგადობაა, მოვლენათა სიმრავლის ზოგადობაა, რომელიც, თუმცა არ გამოსთქვამს,

მაგრამ წინასწარ გულისხმობს არსების ზოგადობას, იმას, რომელიც სიმრავლეში მეორდება. შინაარსეული, კონკრეტული ზოგადობა, რომელიც არსებითია ყოველი მეცნიერებისათვის, ჯერ ლოგიკას დასკვნებში არ გამოუყენებია, თუმცა ფორმალური ლოგიკა სიტყვიერად ცნებას განმარტავს, როგორც აზრს საგნის არსებითი ნიშნების შესახებ, — ცნებას წარმოადგენს, როგორც აზრს, რომელიც საგნის არსებას ასახავს.

მეორე მხრით, ისიც უნდა აღინიშნოს, რომ ფორმალური ლოგიკა მსჯელობის და დასკვნების ბუნებას წარმოადგენს ისე, რომ აუცილებელი ხდება შინაარსეული, კონკრეტული ზოგადის მიღება. მსჯელობა, როგორც კავშირი პრედიკატისა სუბიექტთან, მხოლოდ ის იგივეობრივი მომენტი კი არაა, რომელიც მსჯელობათა სიმრავლეში მეორდება, არამედ ის, როგორც გარკვეული კავშირი, ერთიანობაცაა. ასე ითქმის დასკვნის შესახებაც.

დასკვნა, რომელშიც არსებითი აუცილებელი კავშირია, იმ ზოგადობას შეიცავს, რაც ერთიანობას წარმოადგენს. დასკვნა სწორედ ასეთი კავშირია და იგი ასეთ კავშირს უნდა წარმოადგენდეს.

ცნებაც იმ ერთიანობას წარმოადგენს, რომელიც სხვადასხვა ნიშნებს აერთიანებს. ცნება ერთი აზრია, რომელიც განსხვავებულობას შეიცავს. მსჯელობაც ერთი აზრია, რომელიც განსხვავებულ ნაწილებს მოიცავს. დასკვნაც ხომ ასეთია? დასაბუთებაც ერთ გარკვეულ სისტემას უნდა წარმოადგენდეს, წინააღმდეგ შემთხვევაში, შეუძლებელი იქნებოდა საერთოდ მეცნიერება.

მაშასადამე, ზოგადობა იმ აუცილებელ კავშირშია, რომელიც არსებითია აზროვნების ლოგიკური ფორმებისათვის, და რასაც ლოგიკის მეცნიერება შეისწავლის. აუცილებელი კავშირი განსხვავებულთა აუცილებელი კავშირია, აუცილებლობის მქონე სინთეზური კავშირია. წმინდა ანალიზურობის დროს ასეთ კავშირს აზრი ეკარგება და ლოგიკის არსება პრობლემატიური ხდება, რასაც ლოგიკის ისტორია ნათლად მოწმობს.

მაგრამ ისიც უნდა ითქვას, რომ მსჯელობის და დასკვნის ერთიანობა ფორმალურ ლოგიკაში გაიგივებულია იგივეობასთან. მაგ., მსჯელობა — „ცუგა არის ძაღლი“ — სილოგისტური დასკვნას თვალსაზრისით, ე. ი. იმ აზრით, რა აზრითაც ეს მსჯელობა დასკვნებშია მოხმარებული, მხოლოდ იმას ნიშნავს, რომ ცუგას ძაღლის ნიშანი აქვს; — პრედიკატი „ძაღლი“ იგივეა, რაც ამ მსჯელობაში აღებული სუბიექტი — „ცუგა“. სუბიექტსა და პრედიკატს შორის განსხვავება კი არაა გამოთქმული, ის უგულებელყოფილია, მაშინ როცა „ცუგა“ ერთეულია, „ძაღლი“ კი მისი საპირისპირო — ზო-

გადი. თვითონ მსჯელობა — „ცუგა არის ძალი“ კატეგორიათა კავშირს — ერთეულის და ზოგადის კავშირს ემყარება და წარმოადგენს. მსჯელობა, ვ. ი. ლენინისა და ფ. ენგელსის თქმით (როგორც ეს ზემოთ აღვნიშნეთ), დაპირისპირებულთა ერთიანობას წარმოადგენს.

მაშასადამე, ერთიანობა, როგორც შინაარსეული ზოგადობა, დაპირისპირებას და განსხვავებულობას კი არ გამორიცხავს, როგორც ეს ფორმალურ ლოგიკას წარმოუდგენია, არამედ თავის თავში შეიცავს. ფორმალურ ლოგიკაში მსჯელობა, როგორც ერთიანობა, გულისხმობს განსხვავებულს, წინააღმდეგ შემთხვევაში, მას მხოლოდ ტავტოლოგიებთან ექნებოდა საქმე და არა სინთეზურ მსჯელობებთან, თუმცა ამ განსხვავებულს არ გამოსთქვამს, მის ლოგიკურ აზრს უყურადღებოდ სტოვებს.

დასკვნაც გარკვეულ ერთიანობას წარმოადგენს, მაგრამ აქაც განსხვავება მხოლოდ ნაგულისხმებია და არაა გამოთქმული ისე, რომ მას ლოგიკური მნიშვნელობა ჰქონდეს, — რომ იგი გარკვეულ ლოგიკურ როლს ასრულებდეს, რათა თვითონ ერთიანობა, როგორც აუცილებელი კავშირი, იქნას გამართლებული. ყველაზედ უფრო გარკვეული სახე დასკვნისა, კატეგორიული სილოგიზმის პირველი ფიგურის პირველი მოდუსი — Barbara — სისრულით ამართლებს კატეგორიული სილოგიზმის აქსიომას: ნიშნის ნიშანი საგნის ნიშანია. მაგ., ადამიანობის ნიშანი — მოკვდავობა სოკრატეს (როგორც ადამიანის) ნიშანიცაა. დასკვნაში: ადამიანი მოკვდავია, სოკრატე ადამიანია, მაშ., სოკრატე მოკვდავია, — ერთი და იგივე ნიშანია აღებული, სახელდობრ, მოკვდავობა, როგორც ადამიანების ნიშანი და სოკრატეს ადამიანობის ნიშანი, რამდენადაც ეს ნიშანი მოკვდავობას ნიშანს წარმოადგენს. განსხვავებულობა, მართალია, ნაგულისხმევია და სიტყვებით: სოკრატე, ადამიანი, მოკვდავი — სიტყვიერად გამოთქმულიცაა, მაგრამ არ არის ლოგიკურად გამოხატული — გამოთქმული; — განსხვავებულობა აქ არ ასრულებს გარკვეულ როლს, თუმცა მის გარეშე კატეგორიული სილოგიზმი, როგორც დასკვნა, შეუძლებელი იქნებოდა.

მაშასადამე, მსჯელობის და დასკვნის აზრი ფორმალურ ლოგიკაში გამოთქმულია არა სისრულით, არამედ ერთი მხრით, ამ აზრით, ზერელედ; აქ მსჯელობა და დასკვნა თავისებურ ენთიმემებს წარმოადგენენ. მსჯელობის, დასკვნის ბუნება კი მოითხოვს ამ ენთიმემურობის მოხსნას, ე. ი. მოითხოვს იმას, რომ მსჯელობა და დასკვნა წარმოადგენდნენ განსხვავებულთა და არსებითად დაპირისპირებულთა ერთიანობებს, შინაარსეულს, კონკრეტულს ზოგადს.

სწორედ ამ გარემოების შესრულება სისრულით წარმოადგენს იმას, რომ ლოგიკური ფორმები დიალექტიკური ბუნებისანი არიან.

მაშასადამე, ნამდვილი ლოგიკური აუცილებლობა, ნამდვილი სინთეზურ-ლოგიკური მხოლოდ მაშინ გვექნება, თუ შინაარსეულ, კონკრეტულ ზოგადს აზროვნების ლოგიკური ფორმები სისრულით წარმოადგენენ. ასეთი ლოგიკურისათვის „აზროვნების ძირითადი კანონები“ არ იქნებიან საკმარისი. ასეთი ლოგიკურის ამხსნელ ძირითად კანონს დაპირისპირებულთა ერთიანობის კანონი წარმოადგენს.

ჩვენი აქ გამოთქმული აზრი სხვანაირად შეიძლება ასე გამოითქვას: მეცნიერების კანონთა დამახასიათებელი არსებითი ნიშანი ზოგადობაში მდგომარეობს და ამიტომ მეცნიერება არ არსებობს ზოგადის გარეშე. პირველ რიგში ეს ითქმის ლოგიკის შესახებ. აზროვნების ლოგიკურ ფორმებს ზოგადობის გარეშე არავითარი აზრი არა აქვს. ამდენად, ძველი ლოგიკის განვითარება მხოლოდ იმის საფუძველზე შეიძლება, რომ ზოგადი სისრულით იქნას წარმოდგენილი, ე. ი. დაძლეულ იქნას ზოგადის ის არა სრული გაგება, რომელიც არისტოტელიდან დაწყებული დამახასიათებელი იყო ძველი ლოგიკისათვის.

თუ ლოგიკის განვითარებას ზოგადობის უარყოფის გზით მოვინდომებთ, რასაც ადგილი აქვს თანამედროვე ბურჟუაზიულ ლოგიკოსებთან, მაშინ არა მხოლოდ ლოგიკის მეცნიერების, არამედ საერთოდ მეცნიერების სრულ უარყოფას მივიღებთ. მაგალითისათვის ავიღოთ კარნაპის თვალსაზრისი, რომელიც დამახასიათებელია თანამედროვე რეაქციული ბურჟუაზიული ლოგიკოსებისათვის.

რუდოლფ კარნაპი, როგორც ეს ზემოთ აღინიშნა, ცდილობს უარყოს არისტოტელეს „კეშმარტი ლოგიკა“ და მოგვცეს ისეთი პრინციპი, რომლის მიხედვითაც ყველას შეეძლოს თავისი ლოგიკის შექმნა, ისე როგორც მას სურს. ეს წმინდა რელატივიზმი, რომელიც, როგორც ვ. ი. ლენინმა სრული სიცხადით დაასაბუთა თავის წიგნში „მატერიალიზმი და ემპირიოკრიტიციზმი“, სუბიექტური იდეალიზმის მეტს არაფერს არ წარმოადგენს, თავისი მიზნის განხორციელებას იმით ცდილობს, რომ უარყოს ზოგადის ობიექტურობა, ამით კი — საერთოდ ზოგადი.

კარნაპი მოითხოვს ყველა „უნივერსალური სიტყვის“ უარყოფას, რადგან ეს „უნივერსალური სიტყვები“ მიუთითებენ ზოგადის ობიექტურად არსებობაზე. კარნაპის აზრით, ასეთი უნივერსალური სიტყვებია: „საგანი“, „ობიექტი“, „თვისება“, „ფაქტი“, „მიმართება“, „პირობა“, „მოქმედება“, „სივრცე“, „რიცხვი“, „კლასი“,

და სხვ. ასეთი სიტყვების მოხმარებას გვაიძულებს, აღნიშნავს კარნაპი, მხოლოდ სატყვის ენის უსრულობა. სიტყვის ენა ყოველთვის ნაკლოვანია და მისი სრულყოფა — შეუძლებელი. საჭიროა ენის გადაკეთება. ყოველი ენა შეიძლება ისე გადაკეთდეს, ფიქრობს კარნაპი, რომ „შიგ აღარ შეგვხვდეს უნივერსალური სიტყვები“<sup>1</sup>.

რ. კარნაპი ცდილობს ლოგიკაში უარყოს მატერიალიზმი, შექმნას ლოგიკის სუბიექტურ-იდეალისტური „თეორია“ იმით, რომ მოახდინოს „ენის რეფორმა“. კარნაპი არ არის მარტო. მას მხარში უდგანან ალფრედ უაიტჰედ<sup>2</sup> (იხ. ჩარლზ მორისი<sup>3</sup>) და სხვ. ყველა ამ იდეალისტების აზრით ჩვენი ცოდნა ობიექტური რეალობის შესახებ „ფიქციას“ წარმოადგენს; ერთადერთი რეალობა, ამ იდეალისტების აზრით, მხოლოდ ჩვენი შეგრძნებათა რეალობაა, რომელიც ყოველგვარ ზოგადობასაა მოკლებული.

თანამედროვე ბურჟუაზიული ფილოსოფია უკეთებს რა ქვანტური ფიზიკის მიღწევებს ყალბ ინტერპრეტაციას, „ამტკიცებს“, რომ არ არსებობს მიზეზობრიობა. მაგ., რასელის აზრით, მიზეზობრიობის კანონში არ არის არც მიზეზი, არც „შედეგი, და საერთოდ კანონი სხვა არაფერია, თუ არა დიფერენციალური განტოლება. ვ. ი. ლენინი თავის შრომაში „მატერიალიზმი და ემპირიოკრიტიციზმი“ კი გვასწავლის, რომ მიზეზობრიობის უარყოფა, მეცნიერების კანონთა მათემატიკურ განტოლებებზე დაყვანა აშკარა იდეალიზმს წარმოადგენს.

თანამედროვე ბურჟუაზიულ ფილოსოფიას მეცნიერების კანონები, ობიექტური აუცილებლობა დაყავს ალბათობაზე და ლოგიკურ წესებზე, რომელთაც ობიექტურ რეალობასთან არავითარი კავშირი არ აქვთ. მეცნიერების კანონის და ობიექტური აუცილებლობის ალბათობაზე დაყვანა (ედინგტონი, შრედინგერი, იორდანი და სხვ.) ობიექტური ქვეშარიტების ალბათობაზე დაყვანაა, მაშინ როცა ყოველგვარ ალბათობას მხოლოდ ქვეშარიტებით აქვს აზრი. ქვეშარიტების ალბათობაზე დაყვანის უაზრობა მხოლოდ მეცნიერების უარყოფის „საბუთად“ გამოდგება.

იდეალისტ ედინგტონს ობიექტური აუცილებლობა დაყავს ვარაუდებზე და წინასწარ დაშვებაზე, ე. ი. ფორმალურ ლოგიკურ აუცილებლობაზე; მისთვის მეცნიერების ყოველი კანონი მხოლოდ ლოგიკურ კატეგორიას წარმოადგენს; ფიზიკური კანონები სხვა

<sup>1</sup> R. Carnap, *Logische Syntax der Sprache*, S. 220.

<sup>2</sup> A. Whitehead, *Process and Reality*, 1949.

<sup>3</sup> Ch. Morris, *Foundations of the Theory of signs*. *International Encyclopedia of unified science*, Chicago, 1938.



არაფერია, თუ არა დასკვნის წესები; მაგ., მიმზიდველობის კანონი დასკვნის წესია; ამ კანონიდან ვასკენით, რომ მაგ., 1999 წლის 11 აგვისტოს მოხდება მზის დაბნელება.

მაშასადამე, ძველი ლოგიკის განვითარება მხოლოდ ერთი გზით შეიძლება, ეს არის დიალექტიკური ლოგიკის გზა. მეორე შესაძლებელი გზა კი მათემატიკური ლოგიკის გზაა. მათემატიკური ლოგიკა მათემატიკის სპეციალური დარგია და ლოგიკას სრულიად არ წარმოადგენს. ვინც ძველი ლოგიკის განვითარებას მათემატიკური ლოგიკის გზით შეეცდება, ის, ლოგიკის უარყოფამდე მივა, როგორც ამას ადგილი აქვს თანამედროვე ბურჟუაზიულ დასავლეთში.

როგორც ითქვა, იდეალიზმს და მეცნიერების უარყოფას წარმოადგენს როგორც მატერიალური სინამდვილის კანონების ლოგიკურზე დაყვანა, ისე — ლოგიკური კანონების ობიექტური სინამდვილის კანონებისაგან აბსოლუტური მოწყვეტა. ნამდვილად კი აზროვნების ლოგიკური კანონები სინამდვილის კანონზომიერებით განისაზღვრება და, ამიტომაც, მათ ობიექტური მნიშვნელობა აქვთ. ეს გარემოება არა თუ არ უარყოფს, არამედ სწორედ ასაბუთებს აზროვნების ლოგიკური კანონების სპეციფიკურობას.

მეცნიერების კანონთა არსებითი ნიშნების და „აზროვნების ძირითად კანონთა“ ხასიათის ერთმანეთთან დამოკიდებულების ზემოთ წარმოებულმა განხილვამ ნათელყო ის, რომ „აზროვნების ძირითადი კანონები“ სისრულით ვერ ამართლებენ იმას, რასაც საერთოდ მეცნიერების კანონები მოითხოვენ, რაც მეცნიერების კანონთა არსებითი ნიშნებიდან აუცილებლობით გამომდინარეობენ. რომ „აზროვნების ძირითადი კანონები“ ობიექტურ ხასიათს მოკლებული იყვნენ, მაშინ ლოგიკის მეცნიერება არსებობას ვერ შესძლებდა. მაგრამ რომ ეს კანონები არასაკმარისი არიან საგნის არსების ამსახველი აზრისათვის, რომ ისინი სისრულით ვერ განსაზღვრავენ და ვერ გვიხსნიან სინთეზურ აუცილებლობას, რომ მათ საფუძველზე ბევრი რამ აუხსნელი რჩება შინაარსეული ზოგადის, კონკრეტული ზოგადის ბუნებიდან, ამიტომ თვითონ „აზროვნების ძირითადი კანონები“ დაქვემდებარებული ხასიათის არიან, არ წარმოადგენენ ძირითად კანონებს, და მოითხოვენ ძირითად კანონს, რომელიც ლოგიკური აუცილებლობის ბუნების ყოველი მხარის განმსაზღვრელი კანონი იქნება.

მცდარია თვითონ „აზროვნების ძირითადი კანონების“ ცნება, რადგან ძირითადი მხოლოდ ერთი კანონი შეიძლება იყოს და არა ერთზე მეტი — რამდენიმე კანონი. რამდენიმე ძირითადი

კანონის აღიარება თვითონ ძირითადი კანონის ცნებას ეწინააღმდეგება.

შეუძლებელია არსებობდეს რამოდენიმე ძირითადი კანონი, რადგან საგანს, საგნის განვითარებას მხოლოდ ერთი არსება აქვს, ძირითადი კანონი კი ისეთი კანონია, რომელიც განსაზღვრავს საგნის განვითარების ყველა მთავარ მხარეს, მის არსებას. არაძირითადი კანონი კი, როგორც ეს ზემოთ გაიჩვენა, განსაზღვრავს საგნის განვითარების ცალკეულ მხარეს, ცალკეულ პროცესებს.

სწორედ ამგვარად უნდა მივუდგეთ ამ საკითხის გადაწყვეტას, თუ რომელი კანონია აზროვნების ძირითადი კანონი და რომელი კანონი არ შეიძლება ასეთ კანონად ჩაითვალოს.

რადგან „აზროვნების ძირითადი კანონები“, როგორც აღვნიშნეთ, სისრულით ვერ გვიხსნის სინთეზური ლოგიკური აუცილებლობის ბუნებას, ამიტომ ისინი არ არიან „ძირითადი კანონები“. ძირითადი კანონი უნდა იყოს მხოლოდ ერთი კანონი და ისიც ისეთი, რომელიც ლოგიკურის არსებას გამოხატავს. ამიტომ აზროვნების ძირითადი კანონის გამოხატვის დროს უნდა გამოვიდეთ სწორედ ლოგიკური აუცილებლობის ბუნებიდან, სახელდობრ, სინთეზური ლოგიკური აუცილებლობის ბუნებიდან.

თუ მცდარია აზროვნების რამოდენიმე ძირითადი ლოგიკური კანონის აღიარება, მაშინ ხომ არ შეიძლება იმის თქმა, რომ „აზროვნების ძირითადი კანონები“, ერთად აღებული, სრულიად საკმარისია ლოგიკური აუცილებლობის ასახსნელად? ანუ: აზროვნების ძირითად ლოგიკურ კანონად ხომ არ გამოდგება ერთ-ერთი კანონი აზროვნების ძირითადი კანონებიდან? ამ ორ კითხვას უარყოფითი პასუხი უნდა გაეცეს. აქ აღნიშნულ მეორე კითხვაზე პასუხი მოგვცემს იმის საშუალებასაც, რომ ვუპასუხოთ პირველ კითხვასაც.

როგორც ითქვა, იგივეობის კანონი სრულიადაც არ არის საკმარისი ლოგიკური აუცილებლობის სინთეზური ბუნების გასაგებად. იგივეობის კანონი, როგორც ცნობილია, გამოითქმება ფორმულით „ყოველი ნივთი თავისთავს უღრის“<sup>1</sup>. ეს „ნივთი“ აღნიშნავს რაიმეს, სულერთია, ეს რაიმე საგანი იქნება, თუ აზრი ამ საგნის შესახებ. სწორედ იმის გამო, რომ ლოგიკურ აუცილებლობაში მხოლოდ იგივეობა არ არის, არამედ განსხვავებაც, ამიტომ იგივეობის კანონი შეიძლება იყოს დაქვემდებარებული, არაძირითადი კანონი, მაგრამ არავითარ შემთხვევაში — ძირითადი კანონი. იგივეობის კანონი, ძირითადი კანონის აზრით, არ არის კანონი, რომელიც ლოგიკურის სინთეზურ ბუნებას განსაზღვრავს.

<sup>1</sup> ფ. ენ გელსი, ბუნების დიალექტიკა, გვ. 220.

იგივეობა მხოლოდ მაშინ არის კეშმარიტი, კონკრეტული იგივეობა, თუ იგი თავის თავში შეიცავს განსხვავებას! „იგივეობაში განსხვავების ჩართვით“ მიიღება კეშმარიტი იგივეობა. მაგრამ, ზემოთ საკმარისად გაიჩვენა, რომ იგივეობა, რომელიც თავის თავში განსხვავებას, და არსებითად, დაპირისპირებას შეიცავს, უკვე ერთიანობაა და არა იგივეობა ფორმალურ-ლოგიკურ გაგებით.

აქედან ისიც ჩანს, რომ ლოგიკურის ძირითადი კანონი უნდა იყოს არა იგივეობის კანონი, არამედ დაპირისპირებულთა ერთიანობის კანონი.

ხომ არ შეიძლება ითქვას, რომ ლოგიკურის ძირითადი კანონი წინააღმდეგობის შეუძლებლობის კანონია, როგორც ეს არისტოტელეს ესმოდა? არისტოტელესათვის წინააღმდეგობის შეუძლებლობის კანონი, როგორც ეს ზემოთ გაიჩვენა, არსის და აზრის უზოგადეს კანონს წარმოადგენდა. ზემოთ აღნიშნულ დებულებებზე დაყრდნობით უნდა ითქვას, რომ წინააღმდეგობის შეუძლებლობის კანონი არ წარმოადგენს არა თუ არსის, არამედ — არც აზრის ძირითად კანონს, რადგან არც ეს კანონია ყოველი ლოგიკური აუცილებლობის ყოველი მხარის, მისი არსების ამხსნელი კანონი. წინააღმდეგობის შეუძლებლობა ვერ აგვიხსნის იმას, რაც განსხვავებულთა ერთიანობას უნდა წარმოადგენდეს, — ლოგიკური კავშირი კი სწორედ ასეთი უნდა იყოს.

თუ იმ სინთეზურ მომენტს, რომლის შესახებაც გვქონდა საუბარი, მხედველობის გარეშე დავტოვებთ, ფორმალური ლოგიკა ასეც იქცევა, მაშინ წინააღმდეგობის შეუძლებლობის კანონი იგივეობის კანონის უარყოფითი ფორმა იქნება, და, ცხადია, არსებობის ერთსადაიგივე მდგომარეობასთან გვექნება საქმე. ფ. ენგელსი აღნიშნავს რომ იგივეობის კანონი,  $a = a$ , „უარყოფითი ფორმით“ არის შემდეგი: „ $a$  არ შეიძლება ერთსა და იმავე დროს უდრიდეს და არც უდრიდეს  $a$ -ს“<sup>1</sup>. ამიტომ თუ იგივეობის კანონი აზროვნების ძირითად კანონად არ გამოდგება, მაშინ არც წინააღმდეგობის შეუძლებლობის კანონი წარმოადგენს აზროვნების ძირითად ლოგიკურ კანონს.

ეს არ ნიშნავს იმას, რომ წინააღმდეგობის შეუძლებლობის კანონი იმ აზრით, რა აზრითაც იგი დასკვნებში ჩვეულებრივ მოიხმარება, გარკვეული მნიშვნელობის არ იყოს. წინააღმდეგობა, საწინააღმდეგოთა შეურიგებლობა სწორედ იმას ნიშნავს, რომ რაც ერთზე ითქმის, ის მეორის — საწინააღმდეგოს მიმართ გამოირიცხულია

<sup>1</sup> ფ. ენგელსი, ბუნების დიალექტიკა, გვ. 220.

<sup>2</sup> იხ. იქვე, გვ. 218.

და პირიქით. მაგრამ შინაგანი წინააღმდეგობა, ამავდროს ერთიანობასაც გულისხმობს. რამდენადაც საწინააღმდეგონი აუცილებელ დანებებით კავშირში არიან ერთიმეორესთან, ამდენად წინააღმდეგობის შეუძლებლობა მოხსნილია. საგნის ბუნება აზრის ხასიათს განსაზღვრავს და ამიტომ უნდა ითქვას, რომ აზრი, რომელსაც წინააღმდეგობის შეუძლებლობის კანონი ატარებს, მხოლოდ დაქვემდებარებული, არაძირითადი უნდა იყოს.

ასე ითქმის გამორიცხული მესამის კანონის შესახებაც. როგორც აღინიშნა, მესამის გამორიცხვა თვითონ ემყარება იმ მესამეს, რომელსაც შეიძლება ორი საპირისპირო პრედიკატი ჰქონდეს. ამიტომ გამორიცხული მესამის კანონიც დაქვემდებარებული კანონია, არაძირითადი კანონია, რომელიც, წინააღმდეგობის შეუძლებლობის კანონთან ერთად, დაპირისპირებულთა ერთიანობის კანონს, როგორც ძირითად კანონს უნდა ექვემდებარებოდეს.

საკმაო საფუძვლის კანონი, როგორც ამას ქვემოთ ნათელვყოფთ, ფორმალური ხასიათისაა და ვერ ხსნის დასკვნის ბუნებას.

ის გარემოება, რომ „აზროვნების ძირითადი კანონები“ არ არიან საკმარისი დასკვნის ბუნების ასახსნელად, შემჩნეული იყო და არის ფორმალური ლოგიკის მიერ, რომელიც ამ ნაკლის ამოვსებას ცდილობდა და ცდილობს სხვადასხვა პრინციპების (მაგ. ბუნების ერთგვარობის პრინციპი და სხვ.) და იმ აქსიომების შემოტანით, რომელთა სიმრავლესაც, მაგ., თანამედროვე მათემატიკურ ლოგიკაში, ბოლო არ უჩანს.

მაშასადამე, საკითხი ძირითადი ლოგიკური კანონის შესახებ დღესაც პრობლემას წარმოადგენს, რომლის გადაწყვეტაც მხოლოდ მატერიალისტურმა დიალექტიკამ შესძლო და შეუძლია.

ჩვენ აქ არ შევხებით, აზროვნების კანონებზე სხვადასხვა, უამრავ შეხედულებას, რადგან ჩვენს საკითხს პირდაპირ არცერთი არ უპასუხებს. აღვნიშნავთ მხოლოდ იმას, რომ „აზროვნების ძირითადი კანონებიდან“ არცერთი არ არის ძირითადი კანონი, და, როგორც ზემოთქმულიდან ჩანს, არც ამ კანონების ერთობლიობა უნდა ჩაითვალოს საკმარისად სინთეზური ლოგიკური აუცილებლობის ბუნების გასაგებად.

მართლაც, „აზროვნების ძირითადი კანონებიდან“ ყველა კანონი უარყოფს იმას, რომ დაპირისპირება აზროვნებაში კეშმარტია, რომ დაპირისპირებულთა ერთიანობა შესაძლებელია; — კიდევ მეტი: ყველა ეს კანონი ლოგიკურის სინთეზურობის ახსნაში უძლეურია; თუ ასეთია თითოეული ამ კანონთაგანი, მაშინ მათი შეერთებაც ვერაფერს ახალს მოგვცემს.

აზროვნების კანონთა ურთიერთკავშირი (რომელსაც ფორმალური ლოგიკა არ განიხილავდა) მოითხოვს, რომ აღმოჩენილ იქნას ძირითადი კანონი, რომელიც „აზროვნების ძირითადი კანონების“ გამმართლებელიც იქნება და, ამასთანავე, ლოგიკური აუცილებლობის არსების განმსაზღვრელიც.

ასეთი კანონი დაპირისპირებულთა ერთიანობის კანონია, აღებული სპეციფიკური სახით, რამდენადაც იგი აზროვნებაში, ლოგიკურში მოქმედებს, როგორც ამ უკანასკნელის განმსაზღვრელა, თუმცა სინამდვილის განვითარების უნივერსალურ კანონსაც წარმოადგენს.

აზროვნების ძირითადი ლოგიკური კანონი, რომელიც ლოგიკური აზროვნების არსებას განსაზღვრავს, არ შეიძლება მხოლოდ აზროვნებაში არსებობდეს, რადგან აზროვნება საერთოდ მეორადი მოკლენაა, ის განსაზღვრულია მატერიალური, ობიექტური სინამდვილით.

მაშასადამე, აზროვნების ლოგიკური ძირითადი კანონი უნდა იყოს სპეციფიკური სახით აღებული ის კანონი, რომელიც სინამდვილისთვისაც ძირითად კანონს წარმოადგენს. ასეთი კანონი არის ის კანონი, რომელიც ყოველგვარი მოძრაობისა და განვითარების უნივერსალურ, უზოგადესს კანონს წარმოადგენს. ეს არის დაპირისპირებულთა ერთიანობის კანონი.

ზემოთ დაწვრილებით იქნა გარკვეული წინააღმდეგობის ერთიანობის მომენტები, როგორცაა იგივეობა, ერთიანობა, დაპირისპირება, წინააღმდეგობა და მისი მხარეები. ეს ცნებები გარკვეული იყო წინააღმდეგობის ბუნების გარჩევასთან დაკავშირებით. „აზროვნებას ძირითადი კანონების“ ბუნების განხილვასთან დაკავშირებით ისიც გამოიჩინა, რომ სინთეზურ-ლოგიკური აუცილებლობის გაგებისათვის აუცილებელია ისეთი ცნებების გარკვევა, რომლებიც „აზროვნების ძირითად კანონებს“ უძევს საფუძვლად; ასეთია — იგივეობის, ერთიანობის, წინააღმდეგობის, დაპირისპირების განსხვავების ცნებები, ე. ი. ის ცნებები, რომლებიც დაპირისპირებულთა ერთიანობის მომენტებს გამოხატავენ. ეს იმას ნიშნავს, რომ წინააღმდეგობის ერთიანობის კანონი მოიცავს იმას, რაც საჭიროა სრული ლოგიკური აუცილებლობის ბუნების ასახსნელად.

ამიტომ აზროვნების ძირითადი კანონის ბუნების დასახსნათებლად საჭიროა ზუსტად ჩამოყალიბდეს ის ცნებები, რომლებიც ამ კანონის მომენტებს გამოხატავენ, და რაც არსებითად ზემოთ იყო გარჩეული.

საბჭოთა ფილოსოფოსების ერთ ნაწილში დავა გამოიწვია იმან, თუ როგორ უნდა გვესმოდეს დაპირისპირებულთა ერთიანობის კა-

წონი. ზოგიერთის აზრით, აქ აღგილი არა აქვს ერთიანობას, რადგან ერთიანობა და იგივეობა ერთი მეორისაგან არ განსხვავდება. დაპა-  
ტისპირებულთა იგივეობა კი შეუძლებელია, რადგან დაპირისპირე-  
ბულთა იგივეობა საპირისპიროა. გაიგივებაა; მაგ., თუ ვიტყ-  
ვით რომ პროლეტარიატი და ბურჟუაზია დაპირისპირებულთა ერ-  
დიანობაში იმყოფებიან, მაშინ ამ ორ კლასს ერთიმეორისგან თით-  
ქოს არ ვანსხვავებთ; თუ ვიტყვით, რომ სიცოცხლე და სიკვდილი  
ერთიანობაშია, მაშინ ჩვენ მათ ერთიმეორესთან ვაიგივებთ და ამით  
შეცდომაში ვვარდებით, და სხვ.

უნდა ითქვას, რომ ასეთი აზრები დიალექტიკის სრულ გაუგებ-  
რობაზეა დამყარებული. მთავარი, ამ შემთხვევისათვის, ის არის,  
თუ როგორ უნდა გვესმოდეს ცნებები. იგივეობა, წინააღმდეგობა,  
და როგორია იგივეობის და წინააღმდეგობის ერთიმეორესთან დამო-  
კიდებულება.

არ არის სწორი, თითქოს „დაპირისპირებულთა ერთიანობა“ და  
„დაპირისპირებულთა იგივეობა“ „ჰეგელიანური ცნებები“ იყოს  
(როგორც ამას მ. როზენტალი აღიარებს)<sup>1</sup> და ამიტომ არ შეიძლე-  
ბოდეს მათი მატერიალისტურ დიალექტიკაში მოხმარება. არ არის  
სწორი არც „ერთიანობის“ და „იგივეობის“ ერთიმეორისაგან განუ-  
ხვავებლობა, თუმცა, როგორც ამას ვ. ი. ლენინი და მათ ძე-დუნი  
აღნიშნავენ, ორივე ტერმინი გარკვეული აზრით სწორია, და შეიძ-  
ლება ერთიმეორის მაგიერადაც ვიხმაროთ. გამოთქმები „დაპირის-  
პირებულთა იგივეობა“ და „დაპირისპირებულთა ერთიანობა“,  
მართლაც გამოთქმებია, რომლებსაც, მართალია, ჰეგელი ხმარობ-  
და გარკვეული აზრის გამოსათქმელად; ეს გამოთქმები ჩვენც შეიძ-  
ლება ვიხმაროთ, მაგრამ ეს არ ნიშნავს იმას, რომ ჩვენ ჰეგელის  
აზრს ვიმეორებთ. სიტყვა „დიალექტიკას“ დადებითი დიალექტი-  
კის აზრით ჰეგელიც ხმარობს (წინააღმდეგ კანტის უარყოფითი  
დიალექტიკისა), მაგრამ განა ეს იმას ნიშნავს, რომ ჩვენი დიალექ-  
ტიკა და ჰეგელის დიალექტიკა ერთი და იგივეა? ანდა განა რადგან  
ჰეგელი ხმარობდა სიტყვა „დიალექტიკას“, ამიტომ ჩვენ ეს სიტყვა  
არ უნდა ვიხმაროთ? ამ გზას რომ გაუყევთ, ე. ი. ჰეგელის დიალექტი-  
კის და მატერიალისტური დიალექტიკის მსგავსება იგივეობად რომ  
მივიჩინოთ (როგორც ამას მარქსიზმის რევიზიონისტები სჩადიოდ-  
ნენ); მაშინ მატერიალისტური დიალექტიკის უარყოფის გზას და-  
ვადგებით.

ტერმინი და ცნება, ცხადია, არ უნდა გავაიგივოთ. სწორედ  
ამიტომ ამბობს იქვე მ. როზენტალი, რომ „მარქსისტულ ტერმინო-

<sup>1</sup> იხ. Вопросы философии, № 4, 1953, стр. 28.

ლოგიაში ცნება (!) „ერთიანობას“ სრულიად სხვა აზრი აქვს“-ო. საკვირველია, რატომ ამ აზრით არ შეიძლება ეს ტერმინი ვიხმაროთ მაშინ, როცა „დაპირისპირებულთა ერთიანობაზე“ ვლაპარაკობთ? თვითონ მ. როზენტალმა დაწერა სპეციალური წერილი<sup>1</sup> იმის შესახებ, თუ როგორ ესმოდა კ. მარქსს დიალექტიკის მეოთხე ძირითადი ნიშანი<sup>1</sup>, სადაც ის აღნიშნავდა, რომ მარქსს „ერთიანობა“ წინააღმდეგობის გამწვავებად და არა შერიგებად მიაჩნდა, წინააღმდეგ შეტაფიზიკოსებისა, რომელთაც ერთიანობა წინააღმდეგობის შერბილებად, შერიგებად წარმოუდგენიათ. თუ მარქსს ასე ესმოდა ტერმინი „ერთიანობა“, რატომ ჩვენ უნდა გავიგოთ ეს ტერმინი ჰეგელიანურად? აქ გაუგებრობის მეტი არაფერია. საქმე სიტყვებში კი არაა, არამედ იმაში, თუ რა ცნებას გამოვთქვამთ ამ სიტყვებით. თუ ახალი სიტყვა ვერ მოგვინახავს ახალი ცნებისათვის, მაშინ ძველი სიტყვაც შეიძლება ვიხმაროთ მის გამოსახატავად, მაგრამ განვმარტოთ, თუ როგორ გვესმის ჩვენ იგი.

იგივეობის გაგება, როგორც ცნობილია, ორგვარია: ერთი — შეტაფიზიკური — მცდარი გაგება, მეორე დიალექტიკური — სწორი გაგება. შეტაფიზიკოსს იგივეობა (როგორც ეს ზემოთ გავარკვეით) ესმის წმინდა იგივეობად, ყოველგვარი განსხვავების გარეშე აღებული იგივეობად. დიალექტიკისათვის კი ქვეშარიტი, კონკრეტული იგივეობა, როგორც ამას ფ. ენგელსი ამბობდა, განსხვავებას შეიცავს თავის თავში. მართალია, „დაპირისპირებულთა იგივეობას“ „დაპირისპირებულთა ერთიანობა“ სჯობია, მაგრამ არცერთ ამ გამოთქმაში შეტაფიზიკურად გაგებულ იგივეობასთან არ შეიძლება გვეკონდეს საქმე, რადგან დაპირისპირებულთა გაიგივება ჯერ, არცერთ ჰკუაზე მყოფს არ მოსვლია თავში. ამ გამოთქმებს ხომ ვ. ი. ლენინი და მათ ძე-ლუნი ხმარობენ? ნუ თუ ლენინი, ეს ბუმბერაზი რევოლუციის, ამ გამოთქმების დაწერის დროს ერთამეორეს უიგივებდა რევოლუციას და რეაქციას, ომსა და ზავს, კაპიტალიზმს და სოციალიზმს, პროლეტარიატსა და ბურჟუაზიას? ეს ხომ ცილისწამება იქნებოდა ვ. ი. ლენინისადმი, როგორც ამას ზოგიერთი საბჭოთა ფილოსოფოსი სჩადის, ალბად, სრულიად შეუგნებლად.

მართალია, დიალექტიკის მეოთხე ნიშანი დაპირისპირებულთა ბრძოლის ნიშანია, მაგრამ ეს „ბრძოლა“ განა ერთიანობის გარეშე უნდა წარმოვიდგინოთ? თუ საწინააღმდეგოებს ერთიანობის გარეშე ავიღებთ, მაშინ მათ შორის ბრძოლა აღარ იქნება წყარო მოძრაობისა

<sup>1</sup> იხ. Вопросы философии, № 4, 1952.

და განვითარებისა. ბრძოლა ერთიანობის გარეშე დიურინგისეული ძალთა ანტაგონიზმია, სადაც საწინააღმდეგონი საგნებშია განაწილებული, როგორც ამას ფ. ენგელსი ამბობს (და რაც ზემოთ დაწვრილებით განვიხილეთ), და ამიტომ აღარც ნამდვილი, შინაგანი წინააღმდეგობა გვაქვს, ე. ი. ისეთი წინააღმდეგობა, რომელიც მოძრაობა-განვითარების წყაროს წარმოადგენს. გარეგანი წინააღმდეგობა, როგორც ცნობილია, არაა მოძრაობის წყარო. ის ხან ხელს უშლის, ხან ხელს უწყობს მოძრაობას. მხოლოდ საგნის დედაარსში არსებული წინააღმდეგობაა მისი მამოძრავებელი. შეუძლებელია შინაგანი წინააღმდეგობა ერთიანობაში არ იყოს. ერთსა და იგივე საგანში არსებული წინააღმდეგობა, ცხადია, ერთიანობაშია.

მართალია, დაპირისპირებულთა ბრძოლაა საგნის მამოძრავებელი, მაგრამ ბრძოლა ხომ წინააღმდეგობის სახეა? წინააღმდეგობა ხომ უფრო ზოგადია ბრძოლაზე? როგორ შეიძლება ჩვენ ვილაპარაკოთ, მაგ., მსჯელობაში სუბიექტის და პრედიკატის, ერთეულის და ზოგადის ბრძოლის შესახებ, მაშინ როცა მათ შორის დაპირისპირება უსათუოდ არსებობს? როცა ვ. ი. ლენინი ამბობს, რომ მსჯელობა „ცუგა არის ძალლი“ დაპირისპირებულთა ერთიანობაა, ნუთუ ის ამით ამბობდა, რომ ცუგა და ძალლი, სუბიექტი და პრედიკატი, ქვემდებარე და შემასმენელი ებრძვიან ერთიმეორეს? ყოველ შემთხვევაში, დაპირისპირებულთა ბრძოლა, წარმოდგენილი ერთიანობის გარეშე, ამ ცნების მექანიკური, მეტაფიზიკური და არადიალექტიკური გაგებაა, რასაც ცხადია, სასტიკად უნდა ვებრძოლოთ.

შეიძლება თქვან, რომ გამოთქმა „დაპირისპირებულთა ერთიანობა“ ჰეგელის მიერ ნახმარი გამოთქმაა და ამიტომ სჯობია, რომ ეს გამოთქმა შეეცვალოთ შემდეგით: „დაპირისპირებულთა აუცილებელი კავშირი“, რადგან დაპირისპირებულთა ერთიანობა თუ იგივეობა დაპირისპირებულთა აუცილებელი კავშირის აზრით უნდა გვესმოდეს მხოლოდ. ეს აზრი სწორია, მაგრამ არც ის არის მცდარი, რომ დაპირისპირებულთა აუცილებელი კავშირი კანტის გამოთქმაა; სწორედ კანტი თავის „ანტიანომიებში“ აღიარებს იმას, რომ საწინააღმდეგონი აუცილებელ კავშირში არიან. ნუთუ კანტის გამოთქმა სჯობია ჰეგელის გამოთქმას? ამასთანავე ისიც უნდა ითქვას, რომ დაპირისპირებულთა აუცილებელი კავშირი შეიძლება უარყოფითი აზრით იქნეს წარმოდგენილი, როგორც ეს კანტიც ესმოდა და ჰეგელმაც სწორედ კანტის წინააღმდეგ აირჩია გამოთქმა „ერთიანობა“, „იგივეობა“ იმისათვის, რომ დაპირისპირებულთა აუცილებელი კავშირი დადებითი აზრით გაეგო და ეს გაგება შესაფერისი ტერმინით გამოეთქვა.



როცა ვ. ი. ლენინი ხმარობდა გამოთქმას „დაპირისპირებულთა ერთიანობა“ თუ დაპირისპირებულთა იგივეობა“, მაშინ ამ გამოთქმით აღნიშნავდა იმას, რომ დაპირისპირებულები ერთიმეორესთან აუცილებელ დადებით კავშირში არიან: 1) ისინი ერთიმეორის გარეშე არ არსებობენ, და 2) დაპირისპირებულნი გარკვეულ პირობებში ერთიმეორეში გადადიან. ამის დასადასტურებლად მოვიყვანოთ და დაუკვირდეთ ლენინის შესატყვის დებულებებს. აი, ეს დებულებებიც: „Тождество противоположностей („единство“ их, может быть, вернее сказать? Хотя различие терминов тождество и единство здесь не особенно существенно. В известном смысле оба верны) есть признание (открытие) противоречивых, взаимоисключающих, противоположных тенденций в всех явлениях и процессах природы (и духа и общества в том числе)“<sup>1</sup>. ანდა კიდევ ავიღოთ ვ. ი. ლენინის აზრი დიალექტიკის, როგორც მოძღვრების შესახებ; ვ. ი. ლენინი წერს: „Диалектика есть учение о том, как могут быть и как бывают (как становятся) тождественными противоположности, — при каких условиях они бывают тождественны, превращаясь друг в друга“<sup>2</sup>.

ვ. ი. ლენინს გამოთქმები „იგივეობა“, „ერთიანობა“ ესმის აქ ისე, როგორც ეს ზემოთ აღვნიშნეთ და როგორც ეს განმარტებული აქვს მათ ძე-ლუნს შრომაში „წინააღმდეგობის შესახებ“. მათ ძე-ლუნს „იგივეობას“ („დაპირისპირებულთა იგივეობას“) შემდეგნაირად განმარტავს, ვ. ი. ლენინის აზრს შემდეგნაირად გადმოსცემს: „Тождество, единство, совпадение, взаимопроникновение, взаимопроизывание, взаимозависимость (или взаимообусловленность), взаимосвязь или взаимодействие — все это различные термины для одного и того же понятия, которое сводится к двум положениям: 1) каждая из двух сторон любого противоречия в процессе развития явлений предполагает существование другой, противоположной, ей стороны, причем обе стороны существуют в едином; 2) каждая из двух противоположных сторон в определенных условиях превращаются в свою противоположность. Это и называется тождеством“<sup>3</sup>.

მაშასადამე, დაპირისპირებულთა ერთიანობა (ცხადია, ეს გამოთქმა უმჯობესია გამოთქმაზე „დაპირისპირებულთა იგივეობა“) იმას ნიშნავს, რომ დაპირისპირებულნი ურთიერთს განაპირობებენ და გარკვეულ პირობებში ერთიმეორეში გადადიან.

<sup>1</sup> В. И. Ленин, Философские тетради, стр. 327.

<sup>2</sup> იქვე, გვ. 83.

<sup>3</sup> Мао Цзедун, Избр. произв. т. 2, стр. 451.

დაპირისპირება, წინააღმდეგობა აღებული ერთიანობის გარეშე დიალექტიკის უარყოფას გვაძლევს და არა დიალექტიკას. დიალექტიკა არსებითად სწორედ დაპირისპირებულთა ერთიანობაა. სწორედ ამას აღნიშნავდა ვ. ი. ლენინი, როცა წერდა, რომ მოკლედ განმარტებული დიალექტიკა დაპირისპირებულთა ერთიანობაა (Вкратце диалектику можно определить, как учение о единстве противоположностей. Этим будет схвачено: ядро диалектики; но это требует пояснений и развития)<sup>1</sup>. ამიტომაც დიალექტიკის მეოთხე ძირითადი ნიშანი განვითარების დედაარსი.

როცა მარქსი ამბობს, რომ საქონელი წინააღმდეგობრივია, რომ ის არის სახმარი ღირებულებაც და არასახმარი ღირებულებაც, ე. ი. ღირებულებაც, ნუთუ ეს დაპირისპირებულთა ერთიანობა არაა? ზემოთ წინააღმდეგობის ერთიანობის მაგალითები ბევრი განვიხილეთ; რამდენადაც იქ სწორედ წინააღმდეგობის ერთიანობა თავისი სრული აზრით იყო მოხმარებული. შეიძლება მის გამოსათქმელად სხვადასხვა სიტყვები ვიხმაროთ, მაგრამ ამას, როგორც ვ. ი. ლენინი ამბობს, არსებითი მნიშვნელობა არა აქვს. აზრი არ არსებობს სიტყვის გარეშე, მაგრამ ისიც სწორია, რომ აზრის სიტყვაზე დაყვანა იდეალიზმს წარმოადგენს. ერთი და იგივე აზრი სხვადასხვა სიტყვით შეიძლება გამოითქვას. ცხადია, საჭირო და აუცილებელია რომელიმე ცნების გამოსათქმელად შესაფერისი ტერმინი მოვნახოთ, მაგრამ სანამ უკეთესი ვერ მოგვიძებნია, მანამ იმას უნდა დავჯერდეთ, რაც გვაქვს. თუ უხერხულია „დაპირისპირებულთა იგივეობა“, მაშინ „დაპირისპირებულთა ერთიანობა“ მაინც უნდა ვიხმაროთ.

თვითონ ერთიანობა სხვადასხვა აზრით მოიხმარება მატერიალისტურ დიალექტიკაში; საჭიროა, ამ სხვადასხვაობის ნათლად წარმოდგენა, რათა სხვადასხვა აზრები ერთიმეორეში არ აგვერიოს და — შეცდომაში არ ჩავარდეთ.

ერთიანობის ერთი გაგება გვაქვს მაშინ, როცა ეს ერთიანობა გვესმის როგორც შედარებითი მყუდროობა, შედარებითი გაჩერებულობა (აბსოლუტურ მყუდროობას და გაჩერებულობას კი, როგორც ცნობილია, მატერიალისტური დიალექტიკა უარყოფს), საპირისპიროდ მოძრაობის აბსოლუტურობისა, საპირისპიროდ წინააღმდეგობისა. მოძრაობა თვითონ არის წინააღმდეგობა. ამიტომ მოძრაობა, რომელიც წინააღმდეგობას წარმოადგენს აბსოლუტურია; წინააღმდეგობა არის აბსოლუტური, ერთიანობა კი შეფარდებითი; ლენინის თქმით: „Единство (совпадение, тождество, равнодействие) противоположностей условно, временно, преходяще, релятивно.“

<sup>1</sup> В. И. Ленин. Философские тетради. стр. 104.

Борьба взаимноисключающих противоположностей, абсолютна, как абсолютно развитие, движение“<sup>1</sup>.

მაშასადამე, წინააღმდეგობის აბსოლუტურობა გაგებულ უნდა იქნას მოძრაობის აბსოლუტურობის აზრით.

მაგრამ ვინც აქედან იმას დაასკვნის, რომ ერთიანობა წინააღმდეგობას უარყოფს, რადგან შედარებითი გაჩერებულობა, სიმყუდროე მოძრაობის უარყოფას წარმოადგენს, იგი უსათუოდ მეტაფიზიკურ შეცდომას უშვებს. მოძრაობას აბსოლუტური უძრაობა უარყოფს და არა შედარებითი უძრაობა. მოძრაობის აბსოლუტურობა არ უნდა გვესმოდეს ისე, როგორც ეს ესმოდა კრატელს; რომელიც პერაკლიტეს უარყოფას და სოფისტიკის საფუძვლის მოშლას წარმოადგენდა. მოძრაობის აბსოლუტურობა არ ნიშნავს ისეთ აბსოლუტურობას, რომელიც შედარებითობას აუქმებს. დიალექტიკა სწორედ შედარებითის და აბსოლუტურის ერთიანობაში და არა მათ გათიშვაში მღვდომარეობს. ერთიანობა, როგორც შედარებითი მყარობა, მოძრაობას კი არ უარყოფს, არამედ, პირიქით, მოძრაობა არ არსებობს ასეთი მყუდროების გარეშე; შედარებითი გაჩერებულობის უარყოფა სწორედ მოძრაობის უარყოფასაც წარმოადგენს.

ვ. ი. ლენინი ზემოთ მოყვანილი ადგილის უშუალო გაგრძელებაში შემდეგს ამბობს: „Отличие суб’ективизма (скептицизма и софистики etc.) от диалектики, между прочим, то, что в (об’ективной) диалектике относительно (релятивно) и различие между релятивным и абсолютным. Для об’ективной диалектики в релятивном есть абсолютное. Для суб’ективизма и софистики релятивное только релятивно исключает абсолютное“<sup>2</sup>.

მაშასადამე, აბსოლუტური არ არსებობს შედარებითის გარეშე, ისე როგორც შედარებითი. — აბსოლუტურის გარეშე (ეს დებულება, როგორც ცნობილია, ასახვის ლენინური თეორიის ერთ-ერთი ფუძემდებელი დებულებაა); წინააღმდეგობა, როგორც აბსოლუტური, ერთიანობაშია — შედარებითშია. თუ ჩვენ შედარებითს (ამ შემთხვევაში — ერთიანობას) აბსოლუტურის (ამ შემთხვევაში — წინააღმდეგობის) გარეშე წარმოვიდგენთ, აბსოლუტურს კი შედარებითის გარეშე, მაშინ, თანახმად ვ. ი. ლენინის აქ მოყვანილი აზრისა, სუბიექტივიზმს, რელატივიზმს, სოფისტიკას და სკეპტიციზმს მივიღებთ, თუ რელატურს წმინდა რელატურად მივიჩნევთ და გამოვრიცხავთ აბსოლუტურს და თუ აბსოლუტურს წმინდა აბსოლუტურ-

<sup>1</sup> В. И. Ленин, Философские тетради, стр. 328.

<sup>2</sup> იქვე, გვ. 328.

რად წარმოვიდგენთ, მაშინ მეტაფიზიკურ შეცდომაში ჩავარდებით. ერთიანობას თუ წმინდა ერთიანობად ავიღებთ, წინააღმდეგობას კი — წმინდა წინააღმდეგობად, მაშინ სუბიექტივიზმსა და მეტაფიზიკას მივიღებთ. მაშასადამე, ერთიანობა არ არის წმინდა შეფარდებითი, არც წინააღმდეგობაა წმინდა აბსოლუტური. წმინდა შეფარდებითი და წმინდა აბსოლუტური არაფერი არ არსებობს, თანახმად ობიექტური დიალექტიკისა.

ამიტომ, რომ ყოველ თავისებურ წინააღმდეგობას თავისებური ერთიანობაც ახასიათებს. მართალია, მოძრაობა აბსოლუტურია და ამიტომაც წინააღმდეგობა აბსოლუტური, მაგრამ ეს არ ნიშნავს იმას, რომ წინააღმდეგობა მოძრაობის მთელ მანძილზე ერთი და იგივე იყოს და მხოლოდ ერთიანობა იცვლებოდეს. მართალია ერთიანობა, როგორც совпадение, равнодействие შეფარდებითია, დროებითია, მაგრამ ეს არ ნიშნავს იმას, რომ საერთოდ მხოლოდ ერთიანობა იცვლებოდეს და წინააღმდეგობა იგივე რჩებოდეს. კაპიტალიზმში არსებობდა წინააღმდეგობა, სოციალიზმშიც არსებობს წინააღმდეგობა, მაგრამ ეს იმას ნიშნავს, რომ ეს ორი წინააღმდეგობა ერთი და იგივეა? — რომ წინააღმდეგობა, იგივე დარჩა და მხოლოდ ერთიანობა შეიცვალა? არა! თუ კაპიტალიზმში წინააღმდეგობა ანტაგონისტური იყო (ასეთია, როგორც ცნობილია, წინააღმდეგობა ყველა ანტაგონისტურ ფორმაციაში), სოციალიზმში წინააღმდეგობა სრულიად სხვა ბუნებისაა, სახელდობრ, — არაანტაგონისტური. საწარმოო ძალებსა და წარმოებით ურთიერთობებს შორის წინააღმდეგობა კაპიტალიზმის დროს სხვა იყო, სოციალიზმის დროს კი — სულ სხვაა. ამიტომ ერთიანობაც სხვადასხვა ბუნებისაა ამ ფორმაციებში.

წინააღმდეგობას თვითონ ახასიათებს ერთიანობა, რადგან ეს უკანასკნელი სხვა არაფერია, თუ არა მოწინააღმდეგეთა აუცილებელი კავშირი. ამ აზრით წინააღმდეგობა რელატიურობის გარეშე არ არსებობს, როგორც რელატიურობა (ერთიანობა) წინააღმდეგობის (აბსოლუტურობის) გარეშე.

წინააღმდეგობა იმგვარად არ უკავშირდება ერთიანობას, შეფარდებითობას, თითქოს წინააღმდეგობა შეიძლება წარმოიშვას იქიდან, სადაც არ იყო წინააღმდეგობა, — სადაც მხოლოდ წმინდა ერთიანობა და იგივეობა იყო. ასეთი შეცდომა, როგორც ცნობილია, ჰეგელიანურია. ჰეგელისათვის ჯერ იგივეობა არსებობს და მხოლოდ შემდეგ წარმოიშობა წინააღმდეგობა. გამოდის, რომ წინააღმდეგობას წინ უსწრებდა ისეთი მოძრაობა, რომელშიც არ იყო წინააღმდეგობა, მაშინ როცა შინაგანი წინააღმდეგობა ყოველგვარი მოძრაობის წყაროს და დედაარსს წარმოადგენს. ჰეგელთან აბსოლუტის

მისტოკური უნარის გამო სწარმოებს ის მოძრაობა, რომელიც წინა-  
აღმდეგობას წარმოშობს. ამიტომ იყო მასთან დიალექტიკა მისტი-  
ფიცირებული. სწორედ ამის გამო ჰეგელმა წინააღმდეგობის შერი-  
გებაც აღიარა და ერთიანობა აბსოლუტური, წმინდა აბსოლუტური  
გამოუვიდა, წინააღმდეგ მასთან არსებული „რაციონალური მარცხ-  
ლისა“.

თუ აბსოლუტურს დამოუკიდებლად არსებულად, არაფრით  
განსაზღვრულად გავიგებთ, მაშინ წინააღმდეგობაც არ იქნება  
აბსოლუტური, რადგან ის, როგორც წყარო მოძრაობისა, როგორც  
შინაგანი წინააღმდეგობა, ერთიანობის გარეშე არ არსებობს. ერთი-  
ანობასაც წინააღმდეგობა ჰქმნის, რადგან ერთიანობა სწორედ საწი-  
ნააღმდეგოთა აუცილებელი კავშირია. ამ აზრით, წინააღმდეგობა  
ერთიანობის საფუძველზეა შესაძლებელი, ერთიანობა კი—წინააღ-  
მდეგობის საფუძველზე.

მაშასადამე, როგორც ეს ზემოთ საკმარისად გაიკვია, ნამდვი-  
ლი აბსოლუტურია არა წინააღმდეგობის ერთიანობა, არც წინააღ-  
მდეგობის ერთიანობა, არამედ წინააღმდეგობის ერთიანობა, რო-  
გორც კანონი ყოველგვარი მოძრაობა-განვითარებისა.

მაშასადამე, „ერთიანობა“, ნამდვილი გაგებით, იმას კი არ ნიშ-  
ნავს, რაც წინააღმდეგობას უარყოფს, ან — ანელებს, არამედ იმას,  
რაც წინააღმდეგობის ნამდვილ ბუნებას, ნამდვილ წინააღმდეგობას  
გვაჩვენებს, — ნამდვილ წინააღმდეგობას შესაძლებლად ხდის, რად-  
გან იგი (ერთიანობა) დაპირისპირებულთა აუცილებელი კავშირია.  
დაპირისპირებულთა ერთიანობა იმას ნიშნავს, როგორც აღინიშნა,  
რომ საწინააღმდეგონი ერთი მეორეს უარყოფენ (მათი შერიგება  
არ შეიძლება), მაგრამ ერთი მეორის საფუძველზეც არსებობენ, და,  
გარკვეულ პირობებში, ისინი ერთიმეორეშიც გადადიან.

ტერმინი „ერთიანობით“ იმასაც გამოვთქვამთ, რაც მამოძრავე-  
ბელ ძალას, სიძლიერეს წარმოადგენს, მაგ., ვამბობთ, რომ საბჭოთა  
ხალხების მორალურ-პოლიტიკური ერთიანობა ჩვენი საზოგადოების  
ერთ-ერთი მამოძრავებელი ძალთაგანია; — კომუნისტური პარტიის  
სიძლიერე მის ერთიანობაშია და სხვ.

ისიც უნდა ითქვას, რომ მოძრაობა, მართალია, წინააღმდეგო-  
ბაა, მაგრამ ის ერთიანობასაც წარმოადგენს. მოძრაობა თვითონ არის  
ერთიანობა მისი შინაგანი წინააღმდეგობისა, მისი საკუთარი შინა-  
განი საწინააღმდეგო მომენტებისა. არც შედარებითი გაჩერებულო-  
ბაა მოძრაობა და არც ამის საპირისპირო აბსოლუტური მოძრაობაა  
ნამდვილი მოძრაობა, — თუ მას შედარებით გაჩერებულობის გარე-  
შე ავიღებთ. მოძრაობა მხოლოდ ამ საპირისპირო მომენტების ერთი-  
ანობაშია. როცა ვამბობთ, რომ მოძრავი A საგანი B წერტილში

კიდევ არის და არც არის; მაშინ მოძრაობა სწორედ ამ საპირისპირო მომენტების ერთიანობაა.

ზოგადი, რომელიც მეცნიერების საგანს შეადგენს, სხვა არაფერია, თუ არა გარკვეული ერთიანობა 1) როგორც არსების მომენტებისა; ისე 2) მოვლენათა სიმრავლისა; ეს სიმრავლე, როგორც თქვა, საგნის განვითარების საფეხურების სახითაც არსებობს და ერთიმეორის გვერდით გაშლილი ერთი და იგივე არსების მქონე მოვლენათა სახითაც.

ერთიანობას წარმოადგენს მეცნიერების ყოველი კანონი; ზოგადობა და შედარებით იდენტურობა ხომ არსებითი ნიშნებია მეცნიერების ყოველი კანონისა? მაგ., — კაპიტალიზმის ძირითადი კანონისა, რომელიც კაპიტალიზმის მრავალფეროვან მოვლენათა ამხსნელია და, ამ აზრით, მათ ერთიანობას წარმოადგენს. ასე ითქმის სოციალიზმის თუ სხვა ფორმაციათა კანონების შესახებაც. მიმზიდველობის კანონს უსასრულოდ მრავალი მოვლენა ექვემდებარება, თვითონ კანონი კი მათ გარკვეულ ერთიანობას წარმოადგენს, და სხვ. ასეთი ერთიანობის გარეშე სინამდვილეში არაფერი არ არსებობს, რადგან სინამდვილე ერთ მთლიანობას შეადგენს, სადაც ობიექტური კანონზომიერება ბატონობს. ამიტომ, აღნიშნული ერთიანობის გარეშე შეუძლებელია მეცნიერების არსებობაც.

რამდენადაც დიალექტიკა ერთიანის გაორებაა, ამდენად ეს ერთიანი არ შეიძლება მართლაც ერთიანი არ იყოს, — არ შეიძლება წინააღმდეგობა ამ ერთიანს დასაწყისშივე სპობდეს.

გარკვეული ერთიანობა გარკვეული წინააღმდეგობის საფუძველსაც წარმოადგენს. მაგ., კაპიტალისტური ერთიანი ეკონომიკა, კაპიტალისტური წარმოების ერთი გარკვეული წესი ბურჟუაზიის და პროლეტარიატის შეურიგებელი ბრძოლის რეალურ საფუძველს წარმოადგენს.

ერთიანობა ერთი საგნის, ერთი თვისობრიობის მის საწინააღმდეგოში გადასვლასაც ნიშნავს. კაპიტალიზმი აფეთქების, რევოლუციის გზით ინგრევა და მის ნანგრევებზე სოციალიზმი მყარდება. საზოგადოების განვითარების ერთი საფეხურის მეორეში ასეთი გადასვლაც გარკვეული კავშირია, ამ აზრით, გარკვეული ერთიანობაა. ფორმაციები, მარქსის თქმით, საზოგადოების განვითარების პროგრესულ საფეხურებს წარმოადგენენ. გარკვეული ერთიანობის გარეშე ეს პროგრესულობა, ცხადია, არ იარსებებდა. ერთი თვისობრიობის მეორეში გადასვლა, როგორც ცნობილია, დიალექტიკის ერთ-ერთ ძირითად კანონს, ამ აზრით, ერთიანობას წარმოადგენს.

წინააღმდეგობა და ერთიანობა ისეთ კავშირშია, რომ უნდა ითქვას: წინააღმდეგობაც ერთია, ბრძოლაც ერთია; ისიც ერთია,

რის ირგვლივ ბრძოლა სწარმოებს. გარკვეული კავშირის გარეშე თვითონ ბრძოლა, თვითონ წინააღმდეგობაა შეუძლებელი.

ნამდვილად გაგებულნი ერთიანობა დიალექტიკის პირველ ძირითად ნიშანს წარმოადგენს. მოვლენათა ურთიერთკავშირში განხილვა მათ ერთიანობაში განხილვას ნიშნავს. ამიტომ ერთიანობა დიალექტიკის ერთი — პირველი ძირითადი ნიშანია და, ცხადია, დიალექტიკას არ ეწინააღმდეგება.

მატერიალისტური დიალექტიკის თვალსაზრისით (როგორც ეს ზემოთ გაიკრევა), უარყოფა, რომელიც არსებითია წინააღმდეგობაში, კავშირს და ერთიანობას კი არ აუქმებს, არამედ ჰქმნის. უარყოფა კავშირის გაუქმება კი არაა, არამედ სწორედ კავშირის მომენტია<sup>1</sup>.

ერთიანობას ქმნის უარყოფა, წინააღმდეგობა, რადგან შინაგანი წინააღმდეგობის მხარეები აუცილებელ კავშირში იმყოფებიან.

როგორც ზემოთ აღვნიშნავდით, წინააღმდეგობის დამძლევი, უძლეველი ძალა, მაგ., კაპიტალიზმში — პროლეტარიატი, გარკვეულ ერთიანობას წარმოადგენს, რომელიც ანგრევს ძველი წინააღმდეგობის მქონე თვისობრიობას და ჰქმნის ახალ თვისობრიობას, რომელიც თავისებური შინაგანი წინააღმდეგობით მოძრაობს და ვითარდება.

შინაგანი წინააღმდეგობის შემცველი საგანი, ცხადია, ერთი საგანია; მის შესახებ ცნებაც ერთია და ერთი უნდა იყოს. ცნების ყოველი ობიექტი, იქნება ეს ერთი თუ მრავალი საგანი, სწორედ ერთი ობიექტია (მსჯელობის საგნის შეცვლა, როგორც ცნობილია, შეცდომას წარმოადგენს), და, ამ აზრით, ერთიანობა აუცილებლად არსებობს.

თუ საგანს მხოლოდ ორ საპირისპირო მხარეთ გავითიშავთ და ერთიანობას უარყოფთ, მაშინ ერთი ერთის მაგიერ ორ ერთს მივიღებთ, და თუ ეს ერთეული საგნები კიდევ ორ-ორად გავყავით, მაშინ, ცხადია, სრულიად აშკარა ყალბ მდგომარეობაში ჩავარდებით.

ერთიანობის უარყოფა ისეთსავე უაზრობას წარმოადგენს, როგორსაც — წინააღმდეგობის უარყოფა. მათი კავშირი, როგორც კანონი, ყოველგვარი მოძრაობის ამხსნელი კანონია; იგი დაუბოლოებელია უსასრულო განვითარება-მოძრაობაში.

შინაგანი წინააღმდეგობაა ის აბსოლუტური, რომელიც მოძრაობის წყაროს წარმოადგენს და მის ერთ გარკვეულ კანონს შეადგენს. ამიტომ შინაგანი წინააღმდეგობის თითოეული მხარე შეფარდებითია, მათი აუცილებელი კავშირი, როგორც მართლაც დაპირისპირებულია კავშირი, როგორც ერთი გარკვეული კანონი კი აბსოლუტური, რადგან სწორედ შინაგანი წინააღმდეგობა არის წყარო

<sup>1</sup> В. И. Ленин, Философские тетради, стр. 197.

და ამხსნელი ყოველგვარი მოძრაობა-განვითარებისა როგორც ბუნებასა და საზოგადოებაში, ისე აზროვნებაშიც.

ახლა შესაძლებელია ჩამოვყალიბოთ ზუსტი განსაზღვრებანი იგივეობის, ერთიანობის, დაპირისპირების და წინააღმდეგობისა. გამოსავლად ავიღოთ განსხვავების ცნება, რომელიც განმარტების გარეშე დაეკოვოთ (ჩვენთვის აქ მხოლოდ ზოგიერთი ცნების განსაზღვრებაა აუცილებელი და საჭირო).

იგივეობა, როგორც აღინიშნა განსხვავებასთან არის აუცილებლობით დაკავშირებული, ამიტომ იგი განსხვავების საშუალებით უნდა განისაზღვროს. როცა ვამბობთ, რომ საგანი იგივეობრივია, ეს იმას ნიშნავს, რომ იგი არის ეს და არა სხვა. ეს საგანიც იგივეობრივია და სხვაც იგივეობრივს წარმოადგენს. ის კი, რაც ამ ორ რაიმეს განსხვავებს თვითონ არის იგივეობა, რომელიც იგივეობის კატეგორიაში, როგორც ცნებაში, აისახება. მაგ., წითელი განსხვავდება შავისაგან. რით განსხვავდებიან ისინი ერთიმეორისაგან? ისინი ერთიმეორისაგან განსხვავდებიან იმით, რაც საერთოა მათთვის. წითელისა და შავისათვის საერთო არის ფერი. წითელი და შავი ერთიმეორისაგან ფერით განსხვავდებიან. ასევე შეიძლება ითქვას მალალის და დაბალის განსხვავების შესახებ; მალალი და დაბალი ერთიმეორისაგან სიმაღლით განსხვავდებიან; სიმაღლეა მათთვის ის იგივეობა, რომლითაც ისინი ერთიმეორისაგან განსხვავდებიან. მაშასადამე, შეიძლება ითქვას, რომ იგივეობრივი არის ის, რითაც ორი ზამ ერთიმეორისაგან განსხვავდება. იგივეობა იგივეობრივზე დამყარებული დამოკიდებულებაა. იგივეობაც იგივეობრივია თავისთავთან, ასეა განსხვავებაც. განსხვავება შესაძლებელია საერთოს საშუალებით.

აღნიშნულ მაგალითში ის, რაც განსხვავებს ერთს მეორისაგან არის გვარი. წითელი და შავი ერთიმეორისაგან ფერით განსხვავდებიან; მალალი და დაბალი — სიმაღლით და სხვა. განსხვავება გვარის საშუალებით ხდება. მაგრამ, როგორც ზემოთ აღინიშნა, გვარისათვის სახის სპეციფიკური ნიშანი არ არის აუცილებელი, ის მისთვის არ არის არსებითი, — იგი შემთხვევითია (აქედან აბსტრაქტული იგივეობის მიღების შესაძლებლობა).

მაგრამ თუ ასეთი შემთხვევითობა არ არსებობს, ე. ი. თუ საერთოსათვის აუცილებელია განსხვავებულთა თავისებური ნიშნები, მაშინ ჩვენ საქმე გვაქვს არა უბრალო იგივეობასთან, არამედ ერთიანობასთან, რომელიც უბრალო განსხვავებასთან კი არ არის მარტო დაკავშირებული, არამედ წინააღმდეგობასთან. მაგ., წარმოება ერთიანობაა მისი საპირისპირო მომენტებისა, საქონელი ერთიანობაა მისი საპირისპირო მხარეებისა. წარმოების კაპიტალისტური წესი ერთიანობაა კაპიტალიზმისათვის - დამახასიათებელი შინაგანი წა-



ნაღმდევობისა. ზოგადად, ერთიანობა არის აუცილებელი კავშირი-განსხვავებულთა, დაპირისპირებულთა. ეს კავშირი, ცხადია, იგივე-ობაცაა ამ დაპირისპირებულთათვის; ამიტომ: ერთიანობა არის იგივეობის და უარყოფის კავშირი; უარყოფა კი არის ის, რაც განსხვავებას ჰქმნის. განსხვავება შესაძლებელია მხოლოდ უარყოფის საშუალებით, როცა ერთი საგანი მეორისგან განსხვავდება, მაშინ ვამბობთ, რომ ერთი არ არის მეორე. უარყოფა განსხვავების არსებას წარმოადგენს.

უარყოფა განსხვავებას ჰქმნის, მაგრამ განსხვავება შეიძლება იყოს არაარსებითი და არსებითი. არსებითი და არაარსებითი განსხვავების გაიგივება არ შეიძლება. მაგ., დღეს ჩვენში სოფელსა და ქალაქს შორის არსებობს არსებითი განსხვავება, რადგან არსებობს სოციალისტური საკუთრების ორი ფორმა—საკოლმეურნეო და სახალხო საკუთრება. ეს არსებითი განსხვავება მოიხსნება, როცა საკოლმეურნეო, ჯგუფური საკუთრება ამადღდება სახალხო საკუთრებად, რის შემდეგაც არაარსებითი განსხვავება ყოველთვის დარჩება ქალაქსა და სოფელს შორის.

მაშასადამე, უარყოფა, რომელიც არსებით განსხვავებას ჰქმნის, სხვაა, იიღრე უარყოფა, რომელიც არაარსებით განსხვავებას ჰქმნის. მოვლენებით, როგორც ერთი და იგივე არსების განმეორებანი და როგორც არსების მხარეები განსხვავდებიან ერთიმეორისაგან; ამ უკანასკნელ შემთხვევაში გვაქვს არსებითი განსხვავება. არსებითი განსხვავება კი არის ის, რასაც წინააღმდეგობა შეიძლება ეწოდოს. წინააღმდეგობაში, როგორც ითქვა, მხოლოდ უარყოფა კი არა გვაქვს, არამედ ურთიერთუარყოფა. ურთიერთუარყოფა არის წინააღმდეგობა.

ზემოთ ისიც იქნა გარკვეული, რომ არსებაში წინააღმდეგობა იგივეა, რაც დაპირისპირება, მოვლენებში კი ისინი ერთიმეორისგან განსხვავდებიან. დაპირისპირება არის ერთიდაიგივეთი არსებითი განსხვავება.

სიტყვა დაპირისპირება ანუ დაპირისპირებულობა ორი მნიშვნელობით იხმარება: 1) — ახლახან განმარტებული დაპირისპირება, რომელიც სინამდვილეში არსებობს და ლოგიკურში თავისებურად აისახება; 2) დაპირისპირებულობა ისეთი წინააღმდეგობაა, რომელიც კონფლიქტში გადადის, თვითონ კონფლიქტს წარმოადგენს, რაც საზოგადოებაში აფეთქებას იწვევს; ასეთ დაპირისპირებულობას ადგილი არა აქვს ლოგიკურში:

როდესაც ამბობენ, რომ „განსხვავება არის წინააღმდეგობა“<sup>1</sup>, მაშინ სწორედ არსებითი განსხვავება აქვთ მხედველობაში. მაგრამ :

<sup>1</sup> Мао Цзэ-дун, Собр, соч. т. 2, стр. 420.

როცა საერთოდ განსხვავებაზე ლაპარაკობენ და მას წინააღმდეგობას უკავშირებენ, მაშინ ამბობენ, რომ წინააღმდეგობა ჰქმნის განსხვავებას, ანუ განსხვავებაში ჩანერგილია (заложено) წინააღმდეგობა<sup>1</sup>.

როგორც ცნობილია, ფილოსოფიის ჩასახვიდანვე იდგა საკითხი იმის შესახებ, თუ როგორ იქმნება განსხვავებულობანი, რა საფუძველს ემყარება ბუნების მრავალფეროვნება. ისიც ცნობილია, რომ ეს საკითხი მხოლოდ მატერიალისტურმა დიალექტიკამ გადაწყვიტა იმით, რომ აღმოაჩინა მოვლენათა მოძრაობა-განვითარებას შინაგანი წყარო, რომ სხვადასხვაობა შედგება მოძრაობისა; მოძრაობა ჰქმნის სხვადასხვაობას, მოძრაობის წყაროს კი შინაგანი წინააღმდეგობა წარმოადგენს. ამიტომ ყოველგვარი განსხვავების არსება წინააღმდეგობაშია. განსხვავება არსებითად წინააღმდეგობაა; არსებითი განსხვავება წინააღმდეგობაა.

წინააღმდეგობის ერთიანობა კი ის დადებითობაა, რომელიც, როგორც ეს ზემოთ დაწვრილებით გაირკვა, შინაგანი წინააღმდეგობით, ურთიერთუარყოფით მიიღება. ის არის დაუბოლოებელი, ზოგადობა როგორც უძირითადესი კანონი უსასრულო მოძრაობა-განვითარებისა. აქა გვაქვს ჩვენ სრული აუცილებელი კავშირი.

აღნიშნული კატეგორიები (იგივეობა, ერთიანობა, განსხვავება, დაპირისპირება-წინააღმდეგობა) ერთი და იგივე მოძრავე საგნას სხვადასხვა მხრით დახასიათებაა. ისინი არსებითსაც აღნიშნავენ და არაარსებითსაც და თვითონ ერთიანობაში უნდა იქნან განხილული. ამიტომ ყალბია ჰეგელის აზრი: 1) თითქოს იგივეობის, განსხვავების, დაპირისპირების და წინააღმდეგობის კატეგორიები ერთი და იგივეს (სახელდობრ, აბსოლუტის) განვითარების საფეხურებს წარმოადგენდნენ; ასეთ შემთხვევაში: ა) ისინი მხოლოდ აბსოლუტური აზრებია და არა მატერიალური საგნის გარკვეულობათა ამსახველი კატეგორიები; ბ) ისინი როგორც საფეხურები, ერთიმეორისგან მოწყვეტილი არიან, — ე. ი. დაშვებულია მეტაფიზიკური შეცდომა: მაგ., იგივეობის „დროს“ წინააღმდეგობა არ არის და ა. შ., 2) წინააღმდეგობა, იგივეობის შედეგია, იგი შედეგია ისეთი განვითარებისა, რომელშიც არაა წინააღმდეგობა, მაშინ როცა დიალექტიკა სწორედ იმას მოითხოვს, რომ ყოველი მოძრაობა-განვითარება წინააღმდეგობით, როგორც მისი წყაროთი, აიხსნას. ჰეგელთან კი განვითარება ჯერ ხდება აბსოლუტის უცნაური, მისტიკური უნარის საშუალებით და მხოლოდ შემდეგ იქმნება წინააღმდეგობა. ეს მისტიფიკაციაა დიალექტიკის მართალია, შექმნილ წინააღმდეგობას წინ მიყავს მოძრაობა (აქაა

<sup>1</sup> Мао Цзэ-дун, Собр. соч. т. 2, стр. 420.

„რაციონალური მარცვალი“), მაგრამ ეს აზრი იდეალიზმის გამო, როგორც აღინიშნა, დამახინჯებულია, მისტიფიცირებულია; ამიტომ წინააღმდეგობა ჰეგელთან, საბოლოოდ, შერიგდება და გაუქმდება; ამით განვითარებაც დამთავრდება, და სისტემა მეთოდთან შეუსაბამო წინააღმდეგობაში ჩაეარდება.

მეცნიერული შემეცნება არ არსებობს, თუ შემეცნების პროცესში კატეგორიები არ იქნა გამოყენებული. აზროვნება მხოლოდ კატეგორიების გამოყენებითაა შესაძლებელი. შემეცნების პროცესში კატეგორიების გამოყენების აუცილებლობა იმასაც ნიშნავს, რომ კატეგორიები აუცილებელია ლოგიკურისათვის. უბრალო მსჯელობა, მაგ., ეს ვარდი ყვავილია, ცუგა არის ძაღლი და სხვა, არსებითად კატეგორიების კავშირს წარმოადგენს. ცუგა ერთეულია, ცალკეულია, ძაღლი კი ზოგადი; ამიტომ ამტიკებს ვ. ი. ლენინი, რომ აქ ერთეულის და ზოგადის — დაპირისპირებულთა ერთიანობა გვაქვს.

ერთ-ერთ უძნელეს საკითხს ფილოსოფიის ისტორიაში, როგორც ცნობილია, ერთეულის და ზოგადის დამოკიდებულების საკითხი წარმოადგენს; ამ საკითხზე არა მარტო არისტოტელე „იმტერევდათეს“, არამედ — ყველა დიდი მოაზროვნე. ერთეულის და ზოგადის კავშირის შესახებ პრობლემის მეცნიერული გადაწყვეტა, როგორც ცნობილია, მხოლოდ მატერიალისტურმა დიალექტიკამ შესძლო. ამიტომ უნდა ითქვას ისიც, რომ მსჯელობასა და დასკვნებში კატეგორიების გამოყენება, მსჯელობის და დასკვნის ბუნების ნამდვილი მეცნიერული ახსნა კატეგორიათა კავშირის საშუალებით მხოლოდ მატერიალისტურმა დიალექტიკამ შესძლო. კატეგორიები ძირითად ცნებებს წარმოადგენენ და მათი კავშირი, ცხადია, მხოლოდ ლოგიკური შეიძლება იყოს (და არა ფსიქოლოგიური თუ სხვა რამ), რომელიც რეალურ სინამდვილეში არსებულ კავშირთა ასახვას წარმოადგენს. მსჯელობის გაგება კატეგორიების კავშირად „უფრო შორს წასვლა“ მსჯელობის ფორმალურ-ლოგიკურ გაგებასთან შედარებით.

კატეგორიების მსჯელობა-დასკვნებში გამოყენების გარეშე ემპირიზმს მივიღებთ, რომლის გაგრძელება თანამედროვე „ლოგიკურ ემპირიზმამდე“ მოგვიყვანს, შინაარსეულ აზრთა კავშირის მაგიერ სიმბოლოების თამაშს მივიღებთ, ე. ი. — თვითონ ლოგიკისა და საერთოდ მეცნიერების უარყოფას მოგვცემს.

როდესაც აზროვნების ძირითადი ლოგიკური კანონების შესახებ ვლაპარაკობთ და მის ბუნებას ვარკვევთ, მაშინ, ცხადია, კატეგორიები უნდა გვექონდეს მხედველობაში; თვითონ კანონი ერთ-ერთი კატეგორიათაგანია და წინააღმდეგობის ერთიანობის კანონის მომენტებიც კატეგორიებს წარმოადგენენ, სახელდობრ, იმ კატეგო-

რიებს, რომელთა განმარტებების მოცემაც ზემოთ ვცადეთ. იგივეობა, ერთიანობა, დაპირისპირება-წინააღმდეგობა ის კატეგორიებია, რომლებიც აღნიშნული ძირითადი კანონის მომენტებს წარმოადგენენ.

ეს კატეგორიები, როგორც გაირკვა, ლოგიკურშიც მოქმედებენ. თვითონ წინააღმდეგობის შეუძლებლობის შესახებ აზრი, როგორც ეს ზემოთ გაირკვა, შესაძლებელია მხოლოდ წინააღმდეგობის კატეგორიის გამოყენების საფუძველზე. მსჯელობა „ცუგა არის ძალი“ ერთეულის და ზოგადის, როგორც დაპირისპირებულთა, ერთიანობა, ცხადია, გულისხმობს დაპირისპირების და ერთიანობის კატეგორიებს; აქვე ნაგულისხმევია, როგორც ითქვა იგივეობის კატეგორიაც.

მაშასადამე, ძირითადი ლოგიკური კანონის მომენტები უშუალოდ გამოიყენებიან ლოგიკურ კავშირში, ლოგიკურ ფორმებში. აი, სწორედ ამიტომ უნდა ითქვას, რომ დაპირისპირებულთა ერთიანობის კანონი მართლაც ძირითადი კანონია ლოგიკურისთვისაც, იგი მის სრულ ამხსნელს წარმოადგენს.

დაპირისპირებულთა ერთიანობის მომენტების გარკვეული მთლიანობით აიხსნება ისიც (და ეს ზემოთ საკმარისად გაირკვა), რომ „აზროვნების ძირითადი კანონები“ დაპირისპირებულთა ერთიანობის კანონზე დაქვემდებარებულ კანონებს წარმოადგენენ. „აზროვნების ძირითადი კანონები“, როგორც აღინიშნა, ძირითად კანონებს არ წარმოადგენენ; ისინი მხოლოდ დაქვემდებარებული კანონები არიან. იგივეობის კანონს დაპირისპირებულთა ერთიანობის ერთი მომენტით — იგივეობის მომენტით აქვს აზრი; თვითონ წინააღმდეგობა, რომელიც ამ კანონში არსებითია, განსაზღვრავს და იქვემდებარებს წინააღმდეგობის შეუძლებლობის აზრს, რომელიც წინააღმდეგობის შეუძლებლობის კანონის დასაყრდენს წარმოადგენს, და სხვ. „აზროვნების ძირითადი კანონების“ და საერთოდ ფორმალური ლოგიკის ნაკლი იმაშია, რომ ეს კანონები, ცალკე — ურთიერთკავშირისა და ერთიანობის გარეშე — წარმოიდგინებიან, მაშინ როცა თავიანთ ნამდვილ ბუნებას ერთიანობაში ააშკარავენ.

იგივეობის, წინააღმდეგობის და სხვ. ცალკე წარმოდგენა შეცდომას იძლევა და ამიტომ იყო, რომ აზროვნების მეტაფიზიკური წესი ფორმალურ ლოგიკას უშუალოდ და პირდაპირ იყენებდა. დიალექტიკისათვის არაფერია ერთიანობის და ურთიერთკავშირის გარეშე, ამიტომ იგი აზროვნების კანონებსაც ასე — დიალექტიკურად განიხილავს, რადგან თვითონ ეს კანონებია დიალექტიკური ბუნების (წინააღმდეგ შემთხვევაში, არადიალექტიკურის დიალექტიკური შემეცნება გვექნებოდა). ურთიერთკავშირი ამ კანონებისა სწორედ იმით.

არის შესაძლებელი და დასაბუთებული, რომ არსებობს ისეთი ძირითადი კანონი, რომელსაც „აზროვნების ძირითადი კანონები“ ექვემდებარებიან. დაპირისპირებულთა ერთიანობის კანონი სწორედ ასეთ კანონს წარმოადგენს.

ახლა საკითხი იმის დაპირისპირებულთა ერთიანობის, როგორც აზროვნების ძირითადი ლოგიკური კანონის სპეციფიკურობის შესახებ. ამბობენ, რომ წინააღმდეგობა მატერიალურ სინამდვილეშია და არა აზრთა ლოგიკურ კავშირში; წინააღმდეგობრივია სინამდვილე, მაგრამ წინააღმდეგობრივი სინამდვილის მოაზრება თვითონ არაა წინააღმდეგობრივი, რადგან წინააღმდეგობრივი აზრი მცდარი აზრია.

მამასადამე, მთავარი სადავო საკითხი ლოგიკურის დიალექტიკურობის საკითხია. ჩვენც ამიტომ სწორედ ამ საკითხს მივამოყვებით ყურადღება; და ვფიქრობთ, რომ ზემოთ მოყვანილი საბუთები საკმარისად ამტკიცებენ ლოგიკურის დიალექტიკურობას. თუ ლოგიკური კავშირის დიალექტიკური ბუნება დასაბუთებულია, მაშინ დიალექტიკის უძირითადესი კანონის — დაპირისპირებულთა ერთიანობის კანონის სპეციფიკურობა აზროვნებაში ადვილად წარმოსადგენია.

ვინც იმას ამბობს, რომ მატერიალური სინამდვილე წინააღმდეგობრივი ბუნებისაა, მის შესახებ აზრი კი არ შეიძლება წინააღმდეგობრივი იყოს, მას სიტყვა „წინააღმდეგობრივი“ ორაზროვნად აქვს ნახმარი: ერთ შემთხვევაში, წინააღმდეგობა დიალექტიკურ წინააღმდეგობად მიაჩნია, მეორე შემთხვევაში კი — უაზრო წინააღმდეგობად, სახელდობრ, ისეთ წინააღმდეგობად, რომელიც აზრის მიერ თავის თავის გაუქმებას მოასწავებს. მარქსიზმ-ლენინიზმის კლასიკოსები, როგორც ეს ზემოთ მოყვანილი გამოთქმებიდან ჩანს, ამ ორ წინააღმდეგობას ერთიმეორისაგან, ცხადია, აშკარად განასხვავებენ. ვინც მათ აურევს ერთიმეორეში, იგი საერთოდ წინააღმდეგობის, საერთოდ დიალექტიკის უარყოფელია.

ზემოთ საკმარისი არგუმენტები იქნა მოყვანილი იმის დასამტკიცებლად, რომ ნათელი ყოფილიყო შემდეგი: ვინც სინამდვილის დიალექტიკურობას აღიარებს, მან აუცილებლად აზროვნების დიალექტიკურობა უნდა მიიღოს, წინააღმდეგ შემთხვევაში იგი, ენაელსის თქმით, უაზრო წინააღმდეგობაში ჩავარდება. ვინც აზროვნებაში უარყოფს დიალექტიკურ წინააღმდეგობას, მან სინამდვილეშიც უნდა უარყოს იგი. წინააღმდეგობა, როგორც აზროვნების სიყალბე, ცხადია, სინამდვილეში არ არსებობს. მაგრამ დიალექტიკური წინააღმდეგობა არამხოლოდ სინამდვილეში არსებობს, არამედ აზროვნებაშიც, სახელდობრ, ლოგიკურ კავშირში. ყოველგვარი კავშირი, როგორც ითქვა, სინთეზურია და დიალექტიკური. ყოველ მსჯელო-

ბას, ყოველ დასკვნას აზრი აქვს მხოლოდ იმდენად, რამდენადაც ისინი განსხვავებულთა აუცილებელ კავშირს წარმოადგენენ.

თუ სინამდვილეში განსხვავება პირდაპირ არ უდრის წინააღმდეგობას, არამედ მხოლოდ არაპირდაპირ, რამდენადაც მხოლოდ წინააღმდეგობრივი მოძრაობა იწვევს განსხვავებებს, აზროვნებაში განსხვავება ლოგიკურად წინააღმდეგობით გამოითქმება. ყოველგვარი განსხვავების ლოგიკური გამოთქმა უარყოფის აღმნიშვნელი სიტყვით — „არა“-თი შეიძლება. მსჯელობები „ცუგა არის ძალი“; „ვარდი ყვავილია“, რამდენადაც განსხვავებულთა ერთიანობაა, ამდენად მათი აზრის სრული ლოგიკური გამოხატვა მარტო იმით კი არ ხდება, რომ სუბიექტს დადებითად მივაწერთ მის პრედიკატს, როგორც მის ნიშანს, არამედ ისიც უნდა გამოვთქვათ, რომ ერთს მიეწერება მეორე, რომელიც არ არის ის, რასაც იგი მიეწერება. სუბიექტის და პრედიკატის გაიგივება მხოლოდ ტავტოლოგიას მოგვცემს. ლოგიკაში ტავტოლოგია შეცდომის მეტს არაფერს არ წარმოადგენს.

თუ ეს ასეა, მაშინ ისიც უნდა ითქვას, როგორც ეს ზემოთ, ვფიქრობთ, საკმარისად დასაბუთდა, რომ წინააღმდეგობა სისრულით ურთიერთუარყოფას ნიშნავს და ეს უკანასკნელი დაპირისპირებული მსჯელობებით გამოითქმება. წინააღმდეგობათა ერთიანობა დაპირისპირებულ მსჯელობათა ერთიანობით გამოითქმება, — ლოგიკურად გამოიხატება.

მსჯელობა „ვარდი არის მცენარე“ დაპირისპირებულთა ერთიანობაა. ისეთი მსჯელობა, რომელიც ერთი შეხედვით არაა დაპირისპირებულთა ერთიანობა, მაგ., მსჯელობა „ვარდი წითელია“, რამდენადაც ვარდი და სიწითლე ერთიმეორეს არ გამორიცხავენ, არსებითად, ე. ი. რამდენადაც აქ კატეგორიები (ერთეული და ზოგადი) მოიხმარება, ამდენად აქაც დაპირისპირებულთა ერთიანობა გვაქვს.

ზოგიერთი ლოგიკოსი ფიქრობს, რომ სინამდვილეში არსებული წინააღმდეგობის ერთიანობის გამომთქმელი აზრის კანონის სპეციფიკურობა წინააღმდეგობის შეუძლებლობაში უნდა ვეძიოთ. — ეს აზრი არ არის სწორი, რადგან: 1) სწორი აზროვნება ფაქტია; იგი ფაქტიურად დაპირისპირებულთა ერთიანობას ექვემდებარება; 2) წინააღმდეგობის ერთიანობის სპეციფიკა წინააღმდეგობის უარყოფა არ შეიძლება იყოს; ეს სპეციფიკა სწორედ წინააღმდეგობის ერთიანობის სპეციფიკას უნდა წარმოადგენდეს, და არა მის გაუქმებას. წინააღმდეგ შემთხვევაში, მივიღებდით სინამდვილისა და აზროვნების აბსოლუტურ მოწყვეტას, რაც არა თუ ლოგიკას, არამედ ყოველგვარ მეცნიერებას აზრს დაუკარგავდა.

ვინც იმას იტყვის, რომ აზროვნების კანონი მხოლოდ წინააღმდეგობის შეუძლებლობის კანონი უნდა იყოს და არა წინააღმდე-

გობის კანონი, მან წინააღმდეგობის შეუძლებლობის კანონი სინამდვილის კანონადაც უნდა მიიჩნიოს. როგორც ცნობილია, ასეთ მდგომარეობას ადგილი ჰქონდა არისტოტელესთან და იქ, სადაც არისტოტელეს ლოგიკაა განმეორებული. აზრი საგნით განისაზღვრება, სამართლიანად ფიქრობდა არისტოტელე, მაგრამ ცდებოდა, როცა მან დიალექტიკა უარყო როგორც სინამდვილეში, ისე აზროვნებაში (თუმცა ეს უარყოფა სისრულით ვერ განახორციელა, ამიტომ ხშირად იძულებული იყო დიალექტიკას დაქვემდებარებოდა და ძალაუვნებურად გამოეკვლია კიდევ).

რომელიმე კანონის სპეციფიკურობას საგანი იწვევს. დიალექტიკის კანონები ბუნებაში, საზოგადოებაში და აზროვნებაში თავისებურად ვლინდებიან. კანონის ეს თავისებურება სწორედ მისი თავისებურებაა და არა მისი უარყოფა, — ასეთ შემთხვევაში თავისებურებასაც დაეკარგებოდა აზრი. თუ, მაგალითად, წინააღმდეგობის ერთიანობა ანტაგონისტურ საზოგადოებაში კლასთა ბრძოლის სახით არსებობს, იგი სოციალიზმის დროს ასეთ სახეს აღლებულობს; აქ ადგილი აქვს არა წინააღმდეგობის უარყოფას, არამედ თავისებურ წინააღმდეგობას.

თუ ბუნებასა და საზოგადოებაში არსებობს დაპირისპირებულთა ერთიანობა, მისი ამსახველი აზროვნება მას, ცხადია, უნდა გამოხატავდეს და არ უარყოფდეს. საზოგადოება ბუნებაში არსებობს, მაგრამ მას შედარებითი დამოუკიდებლობა აქვს, — ამიტომ გააჩნია მას თავისებური კანონები. ეს აზროვნებაზე კიდევ უფრო მეტად შეიძლება გამოითქვას, რადგან აზროვნებას, როგორც სინამდვილის ასახვას, კიდევ უფრო ნაკლები შედარებითი დამოუკიდებლობა გააჩნია. მაგრამ რადგან ასეთი დამოუკიდებლობა მას მაინც როგორღაც აქვს, იგი თავისი სპეციფიკური კანონების მქონე უნდა იყოს. მართლაც, ლოგიკური აუცილებლობა მატერიალურ სინამდვილეში არ არსებობს, ის მხოლოდ აზროვნებისთვის არის დამახასიათებელი; ამიტომ მას თავისებური კანონები უნდა განსაზღვრავდნენ. ამ თავისებურებას აზროვნება იწვევს. თუ, მაგ., წინააღმდეგობა საზოგადოების განვითარების რომელიმე მონაკვეთზე კლასთა ბრძოლაში გამოიხატება, — აზროვნებაში იგი ერთეულის და ზოგადის კავშირის გამომთქმელ მსჯელობაში, თუ დასკვნაში, როგორც დაპირისპირებულ მსჯელობათა აუცილებელ კავშირში, იქნება გამოხატულად. ეს სპეციფიკურობა ადვილი მისახვედრი და გასაგებია.

თუ დავას აზროვნების სპეციფიკური ძირითადი კანონის სახელწოდება გამოიწვევს, მაშინ უნდა აღინიშნოს შემდეგი. წინააღმდეგობის შეუძლებლობის კანონი, როგორც ცნობილია, წინააღმდეგობის კანონადაც იწოდება. ეს სახელწოდება უფრო ძველია, ვიდრე მისა

მეორე სახელწოდება. წინააღმდეგობის კანონის სახელწოდებით წინააღმდეგობის შეუძლებლობის აზრს გამოსთქვამდნენ; უფრო ბუნებრივი იქნება წინააღმდეგობის კანონის სახელწოდებით სწორედ წინააღმდეგობის აზრი გამოეთქვათ და არა მისი შეუძლებლობის. თუ არისტოტელესთან არსის და აზრის ერთი კანონი არსებობდა, მაგრამ მას სრულიადაც არ ჰქონდა მეტაფიზიკის და ლოგიკის სფეროები გაიგივებული, რატომ არ შეიძლება, რომ წინააღმდეგობის კანონი არსის კანონიც იყოს და აზრისაც და სპეციფიკურობა სწორედ ამ საერთოს საფუძველზე დავადგინოთ? სპეციფიკურობის დადგენა სწორედ ასეთი კანონის საფუძველზე შეიძლება. აზრის და არსის მოწყვეტა სწორედ სპეციფიკურობას აუქმებს და მათ გაიგივებას იწვევს.

მაშასადამე, აზროვნების ლოგიკური ძირითადი კანონი წინააღმდეგობის, უფრო ზუსტად: დაპირისპირებულთა ერთიანობის კანონია, ალებული მისი სპეციფიკურობით, ე. ი. რამდენადაც ის სწორედ აზროვნებაში მოქმედებს. არსებითად საქმის მდგომარეობა ასეა, სახელწოდების საკითხი კი მეორეხარისხოვანი საკითხია.

აზროვნების ძირითადი ლოგიკური კანონის ბუნების ზოგადი დახასიათების შემდეგ გარკვეული უნდა იქნას მისი განხორციელება. აზროვნების კანონების განხორციელების დახასიათება კი შესაძლებელია, უპირველეს ყოვლისა, იმის გამოკვლევით, თუ როგორია საფუძველ-შედგენის დამოკიდებულება, რაც ამ შრომის შემდეგ თავში იქნება გარკვეული.

შრომის მესამე თავის ძირითადი აზრი მოკლედ შეიძლება შემდეგნაირად გამოითქვას.

1. ლოგიკურის ძირითადი კანონი, რომელიც საერთოდ მეცნიერების კანონის ნიშნებს შეიცავს და რომლის მომენტებაც ლოგიკური კავშირის მომენტებს შეადგენენ, ამდენად, მის სრულ ამხსნელ კანონს წარმოადგენს, — არის დაპირისპირებულთა ერთიანობის კანონი.

2. „აზროვნების ძირითადი კანონები“ დაპირისპირებულთა ერთიანობის კანონისადმი დაქვემდებარებულ კანონებს წარმოადგენენ.

3. მატერიალური ღანამდვილისა და ლოგიკური აზროვნების საერთო კანონების არსებობა აზროვნების სპეციფიკურობას ასაბუთებს და სრულიადაც არ უარყოფს.



## საუბრე-მეღების კავშირის ბუნებისათვის

1. ლოგიკურის და ისტორიულის დამოკიდებულების საკითხისათვის. შრომის წინა თავებში გაირკვა, რომ არაეიოსის ისეთი კანონი, კანონები, რომლებიც არა მარტო სინამდვილეში მოქმედებენ, არამედ აზროვნებაშიც, ლოგიკურშიც. რომ მატერიალური სინამდვილის კანონები აზროვნების კანონებს არ განსაზღვრავდნენ, მაშინ ლოგიკური კანონების ობიექტურობა ვერასგზით ვერ დასაბუთდებოდა. ყოველგვარი მეცნიერული კანონის ობიექტურობა სწორედ იმას ნიშნავს, რომ კანონი ადამიანის ნებასურვილისგან დამოუკიდებელია. წინააღმდეგ შემთხვევაში მივიღებდით სუბიექტურ იდეალისტურ თვალსაზრისს: ან წმინდა ფსიქოლოგიზმს, ან აპრიორიზმს.

მაგრამ ისიც აღინიშნა, რომ სინამდვილის კანონებისა და აზროვნების ლოგიკური კანონების გაიგივება ყოვლად დაუშვებელია, ისეთი გაიგივება ან იდეალისტურ, ანდა ვულვარულ მატერიალისტურ შეცდომა-სიყალბეს მოგვცემს. როგორც დასკვნის წესები არ მოქმედებენ საგნებში, ასევე მიმზადებლობის, მიზეზობრიობის თუ სხვა კანონები — აზროვნებაში. ამიტომ, ლოგიკურის ბუნების გარკვევისათვის აუცილებელია ნათლად იქნეს წარმოდგენილი ისტორიულად და საერთოდ რეალურ-ობიექტურის ლოგიკურთან დამოკიდებულება მის არსებით მომენტებში.

თუ მატერიალური სინამდვილის კანონებზე აზროვნების კანონებს დავიყვანთ, მაშინ აზროვნების თავისებურებას გავაუქმებთ და ვერ ავხსნით ასახვის ბუნებას, პირველ რიგში, მის ლოგიკურობას. თუკი ლოგიკურს აბსოლუტურად გამოვაცხადებთ, მაშინაც იგივე ლოგიკურ შეცდომას დაუშვებდით, რადგან ლოგიკურის აბსოლუტურად წარმოდგენა მისი სინამდვილესთან გაიგივება იქნებოდა, ამით კი აზროვნებაც გაუქმდებოდა, მისი სინამდვილედ წარმოდგენის გამო, და სინამდვილედ გაყალბდებოდა, მისი აზრად გამოცხადების გამო. ერთადერთი გამოსავალი, ამ შემთხვევაში, არის ასახვის პრინციპი; აზროვნება ასახავს მისგან დამოუკიდებლად არსებულ სინამ-

დვილეს, როგორც მის რეალურ საფუძველს, რომელიც მას ლოგიკურად აქვს გადამუშავებულ-წარმოდგენილი, როგორც მასში არსებული მისგან დამოუკიდებელი; „იდეალური სხვა არა არის რა, თუ არა მატერიალური, მხოლოდ — ადამიანის თავში გადატანილი და გადამუშავებული“<sup>1</sup>. ამ დებულების მეორე ნახევარი იმას გვეუბნება, რომ აზრის შინაარსი თავისებურად გადამუშავებული სინამდვილის შინაარსია; აზრის თავისებურება, რეალურ-მატერიალურ სინამდვილესთან შედარებით, გარკვეულ წესებსა და კანონებში ჩამოყალიბდება. აზრის ლოგიკური კანონები და წესები სინამდვილის თავისებურ ასახვას, მის გონებრივ „რეპროდუქციას“<sup>2</sup> უნდა წარმოადგენდნენ, ისინი სინამდვილით უნდა იყვნენ განსაზღვრულნი, მაგრამ, ამავე დროს, შედარებით დამოუკიდებლობასაც არ უნდა ჰკარგავდნენ, წინააღმდეგ შემთხვევაში, მისი ახსნის მაგიერ, სწორედ მის გაუქმებას მივიღებდით.

აზრი ყოველთვის არის აზრი საგანზე, საგანი აზრს წინ უსწრებს აუცილებლობით. ეს რეალური წინწასწრება საგნისა ლოგიკური წინწასწრების საშუალებით მოიაზრება. წინააღმდეგ შემთხვევაში, არც გვექნებოდა აზრი ასეთის შესახებ და თვითონ აზროვნება უშუალობაში დაიკარგებოდა. ინტუიტივიზმი ლოგიკურის გაუქმებას წარმოადგენს; სწორად გაგებული ლოგიკური კი გვაჩვენებს მისგან დამოუკიდებლად არსებული საგნის აუცილებლობას.

რეალური წინწასწრების მოაზრება ლოგიკური წინწასწრების საშუალებით იმას ნიშნავს, რომ რეალური დამოკიდებულება ერთი საგნისა მეორესთან, ისე როგორც აზროვნებასთან, როგორც მის მიერ განსაზღვრულთან, იმის საშუალებით მოიაზრება, რასაც აზრთა შორის ლოგიკური კავშირი, ერთი აზრის მეორესთან აუცილებელი კავშირი წარმოადგენს. მაგალითად, მიზეზის მოქმედებასთან კავშირი საფუძველ-შედეგის დამოკიდებულებით გამოითქმება და წარმოიდგინება, რადგან მეორე პირველით განისაზღვრება, მაგრამ თავისებურებას სრულიადაც არ აუქმებს, პირიქით, ცხადყოფს, რადგან მოქმედების შესახებ აზრის საფუძველად გამოყენებაც შეიძლება, თუმცა ეს თავისებურება, საბოლოო ანგარიშში, რეალური კავშირით არის განსაზღვრული; მოქმედების შესახებ აზრის საფუძველად გამოყენება იმიტომ შეიძლება, რომ მოქმედება სწორედ მიზეზის მოქმედებაა.

ლოგიკური აზრი სინამდვილით განისაზღვრება, სინამდვილის და მისი საგნების განსაზღვრულობანი განსაზღვრავენ მათ ასახვას

<sup>1</sup> კ. მარქსი. კაპიტალი, ტ. I, ბოლოსიტყვაობა მეორე გამოცემისათვის.

<sup>2</sup> კ. მარქსი. პოლიტიკური ეკონომიის კრიტიკისათვის, გვ. 282.

აზროვნებაში, მათ ამსახველ აზრებს. ლოგიკური, მაგ., მისი ზოგადად წარმოდგენი ცნება, არ უნდა იქნეს წარმოდგენილი, როგორც ადამიანის სუბიექტური აზრის თავისუფალი შემოქმედების შედეგი, ამ აზრით ლაპარაკი ცნების გაკეთების თუ შექმნის შესახებ შეცდომას წარმოადგენს. მაგრამ აქედან ისეთი დასკვნის გამოტანა, რომ ლოგიკური, ცნება ობიექტური უნდა იყოს, ამიტომ სინამდვილის სუბსტანციულობას წარმოადგენს (ჰეგელიანური შეცდომა), ყოვლად გაუმართლებელია და, როგორც ითქვა, თვითონ საკითხის გაყალბებას მოასწავებს. მართალია, ლოგიკური, ცნება სუბიექტურია იმ აზრით, რომ იგი ადამიანური აზრია, მაგრამ იგი ობიექტურია იმიტომ, რომ საგნის არსებას ასახავს (ყოველ შექმნევაში, უნდა ასახავდეს, წინააღმდეგ შემთხვევაში თვითონ აზრი აღარ გვექნებოდა, რადგან იგი სწორედ საგნის შესახებ აზრია). ლოგიკური აზრის, ცნების შინაარსი ჩვენს ცნობიერებაშია, მაგრამ ამ ცნობიერებისაგან დამოუკიდებელია, ობიექტურია (და არა ობიექტურად, ჩვენგან დამოუკიდებლად არსებობს); ის არის ჩვენს ცნობიერებაში ასახული ობიექტური საგნის შინაარსი; ამ უკანასკნელის გარეშე ცნება და ლოგიკური საერთოდ არ არსებობს; იგი მას გულისხმობს აუცილებლობით.

მართალია, აზრის განსაზღვრულობა საგნის განსაზღვრულობის შედეგია, მაგრამ ეს აზრი და მისი განსაზღვრულობანი შეიძლება სხვადასხვანაირი იყოს საგნის განსაზღვრულობის იგივეობის პირობებში, რადგან აზრთა, ცნებათა წარმოშობა სოციალური პრაქტიკის, წარმოების ისტორიის ნიადაგზე ხდება, რაც აზრის უნარს და მის განვითარებას განსაზღვრავს. სოციალური პრაქტიკის საფუძველზე წარმოებს აზრის მიერ საგნის ასახვის და აზრის კანონთა, ლოგიკურ კანონთა ჩამოყალიბება. პრაქტიკა მილიარდჯერ განმეორების შედეგად ლოგიკურ ფორმებს, ფიგურებს აქსიომებად აქცევს. Практическая деятельность человека миллиарды раз должна была приводить сознание человека к повторению разных логических фигур, дабы эти фигуры могли получить значение аксиом<sup>1</sup>. თვითონ ეს გასამეორებელი ყალიბდება პრაქტიკის პროცესში როგორც ობიექტური სინამდვილის ასახვანი; ...логические формы и законы не пустая оболочка, а отражение объективного мира<sup>2</sup>. თვითონ პრაქტიკა ყალიბდება ადამიანის აზროვნებაში ფიგურების სახით; практика человека, миллиарды раз повторяясь, закрепляется в сознании человека фигурами

<sup>1</sup> В. И. Ленин, *Философские тетради*, стр. 164.

<sup>2</sup> იქვე, გვ. 155.

ლოგიკი<sup>1</sup>. თეორია ზოგადი სახით აღებული პრაქტიკაა. фигуры эги имеют прочность предрассудка, аксиоматический характер именно (и только) в силу этого миллиардного повторения<sup>2</sup>. საწარმოო პრაქტიკის საშუალებით საგანი მისი განსაზღვრულობებით აზროვნებაში აისახება.

გარკვეული კავშირები, რომლებსაც სინამდვილეში აქვთ აღვილი, აისახებიან აზროვნებაში და ამით ჩამოყალიბდება ლოგიკური კავშირებიც, თვითონ ლოგიკური, როგორც განსხვავებულთა აუცილებელი ერთიანობა. ნამდვილი კავშირი ურთიერთკავშირია, ეს კი განვითარებაში მდგომარეობს, გვასწავლის მატერიალისტური დიალექტიკა, სინამდვილის და ისტორიულის განვითარებას კი ლოგიკური განვითარება უნდა ასახავდეს; ანუ ზოგადად: სინამდვილეში არსებული კავშირი ლოგიკურ კავშირში უნდა გამოითქვას და აისახოს.

მაგრამ საკითხავია, ამ კავშირის თუ დაკავშირების დროს, რა უნდა იყოს გამოსაკალი: მარტივი თუ რთული, აბსტრაქტული თუ კონკრეტული?

რადგან ყოველი საგანი კონკრეტულია, კონკრეტული კი იმიტომაა კონკრეტული, რომ იგი მრავალი განსაზღვრების ერთიანობას წარმოადგენს (მარქსი), ამიტომ კონკრეტული არ შეიძლება გამოსავალი იყოს, რადგან იგი აზროვნებისათვის სწორედ შედეგად უნდა იყოს მიჩნეული; მრავალი განსაზღვრების ერთიანობა მხოლოდ შედეგი შეიძლება იყოს აზროვნებისათვის, მარტივი განსაზღვრულობა კი გამოსავალი. თუ კონკრეტულის ცნებიდან გამოვალთ, მაშინ აზრის პროცესი მხოლოდ ანალიზური იქნება, ეს იქნება კონკრეტულის დაშლის პროცესი, რის შედეგად მივიღებდით მთელის ქაოტიურ წარმოდგენას<sup>3</sup>.

საწინააღმდეგო გზა კი თუ ისე გავიგეთ, რომ რადგან აზროვნება მარტივიდან იწყებს და კონკრეტულს ღებულობს, კონკრეტული კი სინამდვილეა, ამიტომ სინამდვილე აზროვნების შედეგი ყოფილა, მაშინ ჰეგელივით ილუზიაში ვიქნებით ჩავარდნილი. აზრის გზა არის კონკრეტულის შემეცნების გზა და ეს გზა არ უნდა იქნეს გაიგივებული თვითონ სინამდვილის გზასთან<sup>4</sup>. „აბსტრაქტულიდან კონკრეტულზე ასვლის მეთოდი მხოლოდ წესია, რომლითაც აზროვნება კონკრეტულს შეითვისებს, კვლავ წარმოქმნის მას გონებრივად

<sup>1</sup> В. И. Ленин, Философские тетради, стр. 188.

<sup>2</sup> იქვე.

<sup>3</sup> ე. მარქსი. პოლიტიკური ეკონომიის კრიტიკისათვის, გვ. 281.

<sup>4</sup> იქვე, გვ. 282.

როგორც კონკრეტულს, მაგრამ არავითარ შემთხვევაში არაა თვით კონკრეტულის წარმოშობის პროცესი<sup>1</sup>.

მაგრამ, მეორე მხრით, მარქსი და ენგელსი გარკვევით ასახუ-  
თებენ, რომ „კანონები აბსტრაქტული აზროვნებისა, რომელიც  
მარტივიდან რთულზე გადადის, ნამდვილ ისტორიულ პროცესს  
შეესაბამება“<sup>2</sup>. „ისტორიაში, ისე როგორც მის ლიტერატურულ  
ასახულობაში, განვითარება საერთოდ და მთლიანად ისე მიმდინა-  
რეობს, რომ ადგილი აქვს უფრო მარტივიდან უფრო რთულ  
ღრთიერთობაზე გადასვლას“<sup>3</sup>, ანდა: „საიდანაც ისტორია იწყებს,  
იქიდან უნდა იწყებოდეს ახრთა მსვლელობაც...“<sup>4</sup>.

აქ, ჯერჯერობით, ორი რამ არის აღსანიშნავი: 1) აზრი, შე-  
მეცნების დროს, გამოდის კონკრეტულიდან, რადგან, რაც მან უნდა  
შეიმეცნოს, საგანი, სწორედ კონკრეტული საგანი, წინასწარ იგუ-  
ლისხმება, წინააღმდეგ შემთხვევაში, შესამეცნებელი არ გვექნე-  
ბოდა და შემეცნებას აზრი დაეკარგებოდა. ამ აზრით შემეცნება  
წარმოდგენებიდან და განპყრეტიდან იწყება და სრულიად საწი-  
ნააღმდეგო გზით მიემართება, ვიდრე თვითონ სინამდვილის განვი-  
თარება. „აზროვნება აღძიანთა ცხოვრების ფორმების შესახებ და,  
მამასაღამე, ამ ფორმების მეცნიერული ანალიზიც, საერთოდ ნამდ-  
ვილი განვითარების საწინააღმდეგო გზას ირჩევს. ეს აზროვნება  
იწყება post festum და ამიტომ განვითარების პროცესის დამთავრე-  
ბულ შედეგებს იღებს ამოსავალ წერტილად“<sup>5</sup>.

2) შემეცნების ბუნება ამით არ ამოიწურება, მისი მიზანი სწო-  
რედ სინამდვილის შემეცნებაა მის განვითარებაში. თუ აზრმა არ  
იცის რა გზით მიდის სინამდვილის განვითარება, თუ მას შემეცნე-  
ბული არა აქვს ეს განვითარება, მაშინ შემეცნების მიზანი არაა  
მიღწეული. შემეცნების დროს აზრი, კონკრეტულიდან გამოსული,  
იწყებს რა განპყრეტიდან, წარმოდგენებიდან, კონკრეტულის ანა-  
ლიზით აღმოაჩენს იმ მარტივს, „უჭრედს“, საიდანაც ყველა გან-  
საზღვრულობის ახსნა შეიძლება კონკრეტულში, რომელიც სინამ-  
დვილში სწორედ ამ „უჭრედლიდან“, უმარტივესიდან ვითარდება.  
კვლევა-ძიების წესი ნამდვილი განვითარების ამსახველი ლოგიკური  
დალაგების წესისაგან უნდა განსხვავდებოდეს. „რასაკვირველია,

<sup>1</sup> კ. მარქსი. პოლიტიკური ეკონომიის კრიტიკისათვის, გვ. 281 — 282.

<sup>2</sup> იქვე, გვ. 284.

<sup>3</sup> თრ. ენგელსის რეცენზია მარქსის წიგნზე „პოლიტიკური ეკონომიის კრი-  
ტიკისათვის“, თბ. იქვე, გვ. 310.

<sup>4</sup> იქვე, გვ. 311.

<sup>5</sup> კ. მარქსი. კაპიტალი, ტ. I, გვ. 100; კ. მარქსი, პოლიტიკური ეკონომიის  
კრიტიკისათვის, გვ. 281.

გადმოცემის წესი ფორმალურად უნდა განსხვავდებოდეს კვლევის წესისაგან. კვლევა-ძიებამ უნდა აითვისოს მასალა დეტალურად, ჭაუკეთოს ანალიზი მისი განვითარების სხვადასხვა ფორმას და აღმოაჩინოს მათი შინაგანი კავშირი. მხოლოდ ამ მუშაობის შესრულების შემდეგ შეიძლება ნამდვილი მოძრაობის სათანადო წესით გადმოცემა<sup>1</sup>. აქ „მასალის ცხოვრება“ მიიღებს თავის „იდეალურ ასახულობას“<sup>1</sup>.

ამრიგად, შეიძლება ითქვას, რომ ცოდნის ლოგიკური ბუნება არის სინამდვილის მარტივიდან რთულისაკენ განვითარების ასახვა. ამიტომ ვამბობთ, რომ რითაც იწყებს ისტორია, იმით უნდა დაიწყოს ლოგიკურმა; ლოგიკური ისტორიულის ასახვა<sup>2</sup>. „კანონები აბსტრაქტული აზროვნებისა, რომელიც მარტივიდან რთულზე გადადის, ნამდვილ ისტორიულ პროცესს შეესაბამება“<sup>3</sup>. მაშასადამე, უნდა ითქვას, რომ სინამდვილის განვითარება მარტივიდან რთულისაკენ აისახება ლოგიკურ განვითარებაში. შემეცნებაში ანალიზის მეთოდი აზრდებულთა ლოგიკურის, ე. ი. შემეცნების არსების ხსენებული სინთეზური მეთოდით. მარტივის სახით კონკრეტულის არსების აღმოჩენა და აქედან მთელის განვითარება ამოხსნურავეს შემეცნებისა და ცოდნის ბუნებას და გვაჩვენებს მის თავისებურებას. ამ მხრით, სანიმუშოა კ. მარქსის „კაპიტალი“.

რთულის ანალიზის გზა მის განსაზღვრულობათა ერთიმეორისაგან განსხვავება-გამოყოფა-გარჩევის გზაა; ეს გზა გვიჩვენებს, თუ როგორ განსაზღვრავენ ერთიმეორეს რთულის ერთმხრიობანი და, რაც მთავარია, თუ როგორ საფუძველს ემყარებიან ისინი: ე. ი. ერთმხრიობებს ამ გზით მივყევართ ერთიანობისაკენ, იმისკენ, რაც მათ აგვიხსნის. ეს გზა წინააღმდეგობის საშუალებით ერთიანობის, მარტივის მიღების გზაა. აქ ბატონობს წინააღმდეგობის ერთიანობის კანონი.

იგივე კანონი მოქმედებს ნამდვილი მოძრაობის აზროვნებაში რეპროდუქციის დროსაც. მარტივიდან რთულისაკენ გზა სწორედ წინააღმდეგობათა დაძლევის გზაა. საქონლიდან ფულზე და შემდეგ კაპიტალზე გადასვლა სწორედ ასეთია. სწორად წარმოებული ანალიზის გზა იგივეა, რაც სწორად ჩამოყალიბებული სინთეზის გზა, თუმცა ისინი ამ ერთსა და იგივე გზას სხვადასხვა მხრით გამოხატავენ. ლოგიკურისათვის არსებითია მარტივიდან რთულისაკენ სვლის გზა. ის ასახავს ნამდვილ განვითარებას. მარტივიდან რთულ-

<sup>1</sup> კ. მარქსი, „კაპიტალის“ ბოლოსიტყვაობა მეორე გამოცემისათვის, გვ. 22.

<sup>2</sup> კ. მარქსი. პოლიტიკური ეკონომიის კრიტიკისათვის, გვ. 310 — 311. (დნგელსის რეცენზია).

<sup>3</sup> იქვე, გვ. 284.

ზე გადასვლაც სინთეზური სვლაა, რომელშიც ანალიზიც მოქმედებს: საქონლის ანალიზი ფულს მოგვცემს, ფულისა კი კაპიტალს. ამიტომ სინთეზ-ანალიზი განუყრელია, მათი ერთიანობა თვითონ არის დაპირისპირებულთა ერთიანობა, რომელიც ორივე მათგანში მოქმედებს, მაშინაც კი, როცა ისინი ცალ-ცალკე განიხილებიან. ამიტომ მათში ერთი და იგივე ლოგიკურის ორმხრივობა უნდა დავინახოთ.

ხშირად აიგივებენ აბსტრაქტულს და მარტივს. თუ აბსტრაქტული მარტივია, რადგან იგი მრავალმხრივობის მხოლოდ ერთი მხარეა, ყოველი მარტივი არაა აბსტრაქტული. აბსტრაქცია აზროვნებითი საქმიანობაა და შესაძლებელია მხოლოდ კონკრეტულის ნიადაგზე; მხოლოდ კონკრეტულის რომელიმე მხარის აბსტრაქცია შეიძლება. შესაძლებელია მარტივი არსებობდეს ნამდვილად, არა როგორც აბსტრაქტული და აბსტრაქციის შედეგი, და აქედან განვითარდეს კონკრეტული. მარტივი, როგორც არააბსტრაქტული, კონკრეტულად არსებულა; მაგ., საქონელი გაცვლა-გამოცვლის დასაწყისში. ასეთი მარტივი აბსტრაქტულად გადაიქცევა, როცა მისგან განვითარებულ კონკრეტულში მას აზროვნებით გამოვყოფთ, მაგ., საქონელი კაპიტალის ბატონობის პირობებში. ამ უკანასკნელ შემთხვევაში ვამბობთ, რომ აბსტრაქტულიდან კონკრეტულიაქვენ გზა არის აზროვნების გზა და არა სინამდვილის განვითარების გზა<sup>1</sup>. რადგან „ასე წარმოიშვება საერთოდ ყველაზე ზოგადი აბსტრაქციები მხოლოდ მდიდარი კონკრეტული განვითარების პირობებში, სადაც ერთი და იგივე თვისება საერთოა ბევრისათვის, ან ყველა ელემენტისათვის“<sup>2</sup>. (ეს „ბევრი“, „ყველა“, ამ შემთხვევაში ბევრს, ყველა ერთეულ საგანს კი არ ნიშნავს, არამედ საგნის მხარეთა სიმრავლეს. მაგ., წარმოება საერთოა მისი მომენტების მიმართ; — აქ წარმოების ზოგადობა, როგორც ეს ზემოთაც გაიჩვენა, თავისებურია და განსხვავდება იმ ზოგადობისაგან, რომელსაც „ბევრი“, „ყველა“ წარმოება წარმოადგენს).

ამიტომ შეიძლება ითქვას, რომ აბსტრაქტულიდან კონკრეტულისაკენ სვლის გზა ის ლოგიკური გზაა, რომელიც სინამდვილის განვითარებას, მარტივიდან რთულისაკენ სვლას ასახავს, ისტორიულად არსებული შემთხვევითობების გარეშე. მარტივისა და აბსტრაქტულის და აზრისა და სინამდვილის განვითარების გზების გაიგივება ჰეგელიანურ შეცდომას წარმოადგენს.

მარტივი ისტორიულად აღრეა კონკრეტულზე, მაგ., ფული კაპიტალს უსწრებს წინ ისტორიულად, ასეა ლოგიკურადაც: ფულის კატეგორია კაპიტალის კატეგორიას უსწრებს წინ; მაგრამ შესაძლე-

1 კ. მარქსი. პოლიტიკური ეკონომიის კრიტიკისათვის, გვ. 281 — 282, 284.

2 იქვე, გვ. 287.

ბელია ისტორიაში ასეც მოხდეს: მაღალი ფორმები დაბალ საფეხურზე არსებობდნენ, მაგ., კოოპერაცია, შრომის განაწილება უფულოდ (მაგ., პერუში)<sup>1</sup>. ლოგიკური ასახავს ისტორიულს, მაგრამ მიავეულ-მოხვეულობების, შემთხვევითობების (რომელთა პირდაპირ მიყოლა აზროვნების პროცესს — თანმიმდევრობას — გასწყვეტდა)<sup>2</sup> გარეშე.

მარტივი ისტორიულად აღრეა რთულზე, მაგრამ მისი (მარტივის) კონკრეტულში განხილვა უმჯობესია, რადგან იგი განვითარებული სახით მხოლოდ კონკრეტულში არსებობს. მისი კონკრეტულში სხვა განსაზღვრულობებთან განხილვა იქნებოდა ლოგიკურიც და, ამავე დროს, ისტორიულიც. ისტორიულის ამსახველი ლოგიკური კონკრეტულის განსაზღვრებების ურთიერთკავშირის გამოხატულებას წარმოადგენს. კაპიტალიზმისათვის დამახასიათებელი უზოგადესი კატეგორიების ლოგიკური კავშირი და მათი კავშირში შესწავლა არის არა მარტო კაპიტალიზმის ასახვა, არამედ იმ კატეგორიების გაგება-განხილვაც, რომლებიც ისტორიულად აღრე არსებობდნენ, როგორც რთულის და კონკრეტულის პირობები<sup>3</sup>.

ისტორიაში აღრე არსებული განსაზღვრულობანი განვითარებული კონკრეტულის განსაზღვრულობანიცაა (ისინი იქ მოხსნილი სახით არსებობენ, დაქვემდებარებული არიან კონკრეტულის ბუნებას), აქ თავისებურად ექვემდებარებიან ერთი მეორეს, და ამ დაქვემდებარებაში ერთი განსაზღვრულობა და მისი ამსახველი კატეგორია არის გადამწყვეტი, მთავარი, გაბატონებული, „გარეგადამწყვდომი“, მაგ., კაპიტალი კაპიტალისტურ საზოგადოებაში. განვითარებულ კონკრეტულში განსაზღვრებათა, „ნიშანთა“ ურთიერთდაქვემდებარების გარკვევა ისტორიულის ასახვაცაა. ამიტომ ამბობს მარქსი, რომ აღამიანის ანატომია მაიმუნის ანატომიის გასაღებიაო<sup>4</sup>. მაგრამ ეს არ ნიშნავს იმას, რომ მხედველობიდან გაუშვით ისტორიული განსხვავებანი და ყოველი საფეხური უმაღლესთან გავაიგივოთ.

შემეცნება, გამოდის რა კონკრეტულიდან, იწყებს განჭირვრით და წარმოდგენებით, მიდის უმარტივეს და უზოგადეს განსაზღვრულობამდე, საიდანაც ვითარდება თვითონ კონკრეტული და რომლის ასახვიდანაც იწყება ლოგიკური პროცესი, კონკრეტულის განსაზღვრებათა ურთიერთკავშირის ამსახველი ლოგიკური. შემეცნება ეყრდნობა იმას, ყოველთვის მხედველობაში აქვს საფუძვლად

<sup>1</sup> კ. მარქსი, პოლიტიკური ეკონომიის კრიტიკისათვის, გვ. 284.

<sup>2</sup> იქვე, გვ. 310 — 311. ენგელსის რეცენზიიდან.

<sup>3</sup> კ. მარქსი, პოლიტიკური ეკონომიის კრიტიკისათვის, გვ. 284.

<sup>4</sup> იქვე, გვ. 288 — 289.



ის სუბიექტი, რომლის განსაზღვრებების ერთიანობა კონკრეტულობას წარმოადგენს<sup>1</sup>. ამგვარად, ერთგვარი რკალი კეთდება, დასაწყისი ბოლოში სრულყოფილად წარმოიდგინება<sup>2</sup>, ისტორიულად არსებული, განვითარებაში მყოფი სხვადასხვა განსაზღვრულობა ერთ კონკრეტულ საგნად ჩამოყალიბდება განვითარებული სახით და ყველა ნიშნის ურთიერთკავშირის მთლიანობა-ერთიანობის ასახვა მოგვცემს გარკვეულ ცნებას (მაგ., კაპიტალისტური მეურნეობის ცნება, წარმოების ცნება, ერის ცნება და სხვ.). ამიტომ ცნება ლოგიკურად ყოველთვის მსჯელობა-დასკვნის შედეგია და ისაა თვითონ ლოგიკური, აღებული ზოგადი სახით.

განვითარებაში მყოფი სუბიექტის საფეხურები კატეგორიებით გამოითქმება, ისინი მისი პრედიკატებია. კონკრეტულში, განვითარების უმაღლეს საფეხურზე სუბიექტი ამ პრედიკატთა ერთიანობას წარმოადგენს. ეს პრედიკატები მას ამოსწორავენ. ყოველ სუბიექტს, რომელიც ცნების სახით გამოითქმება, გარკვეული ძირითადი განსაზღვრებები აქვს, რომლებიც რიცხვითაც გარკვეულნი არიან. დიალექტიკის ცნებას ოთხი ძირითადი ნიშანი-განსაზღვრულობა ახასიათებს; ერის, როგორც ადამიანთა გარკვეული ერთობის, ცნებასაც ოთხი ძირითადი ნიშანი აქვს; წარმოების ცნებაც გარკვეული მომენტებით ხასიათდება. „კაპიტალ“-ში განხილული სუბიექტი გარკვეული კატეგორიებით არის მოცემული და ა. შ.

მარტივი მთელი ძალით, სრული სახით განვითარებულ, მაღალ საფეხურზე, ე. ი. კონკრეტულში, გამოდის; ამიტომ ისტორიულის ამსახველი ლოგიკური ასეთ კონკრეტულს, განსაზღვრებად დასასრულს, მათ ურთიერთდაქვემდებარებაში წარმოგვიდგენს. როგორც აღვნიშნეთ, აბსტრაქტული შესაძლებელია აქ, ასეთ განვითარებულში, სწორედ კონკრეტულში, და ზოგადობა ნამდვილი სახით მრავალმხრიობის ერთიანობაში არსებობს, რადგან მხოლოდ განვითარებულ კონკრეტულშია ერთი საერთო ბევრისა და ყველა-სათვის.

აქ კიდევ უნდა შევნიშნოთ, რომ ეს ზოგადობა სრულიადაც არ არის ძველი, ფორმალურ-ლოგიკური ზოგადობა, რომელიც ცნების მოცულობას, ერთგვარი საგნების ერთობლიობას ემყარება. კონკრეტულში, სადაც განვითარებულია მრავალი განსაზღვრება, ზოგადობა საერთოა არა ერთგვართა რიცხვის, არამედ თვისობრივად სხვადასხვა განსაზღვრულობისა, რომლებიც, როგორც ასეთ-

<sup>1</sup> ე. მარქსი. პოლიტიკური ეკონომიის კრიტიკისათვის, გვ. 280 — 282—283.

<sup>2</sup> იქვე, გვ. 292.

ნი — როგორც განსაზღვრულობანი, სწორედ შინაარსით არიან ერთმანეთთან თვითონ შინაარსეულ ზოგადში დაკავშირებული.

მრავალი განსაზღვრების კონკრეტულში აუცილებელი კავშირი შეიცავს შინაარსის ზოგადობას, რომელიც ცნებით გამოიხატება და, როგორც განსაზღვრებათა ურთიერთკავშირის შედეგი, მსჯელობა-დასკვნის შედეგს წარმოადგენს. განსაზღვრებანი და მათი ერთიმეორესთან კავშირი მსჯელობა-დასკვნით გამოითქმება. ერთი განსაზღვრულობა მეორის პრედიკატია, ყველა ერთად კი, რამოდენიმე მსჯელობის აუცილებელი კავშირით, ერთსა და იგივეს შინაგან ბუნებას გამოთქვამს. მაგრამ რადგან ერთი და იგივე კონკრეტულს განსაზღვრულობანი მისი განვითარების საფეხურებსაც წარმოადგენენ, ამიტომ არსებობს სრულიად გარკვეული შესაძლებლობა იმისა, რომ ერთი საფეხური მეორის შესახებ აზროვნებაში, როგორც პრედიკატი, გამოითქვას; და ამდენად, რეალური კავშირი განსაზღვრულობათა შორის და თვითონ განსაზღვრულობის ბუნება გარკვეულად აისახოს მსჯელობაში, რომლის სხვასთან, არსებითად, საპირისპირო მსჯელობასთან კავშირი დიალექტიკურ დასკვნას წარმოადგენს, სწორედ იმ დასკვნას, რომლის ზოგადი და ძირითადი აზრი ცნებას უნდა გვაძლევდეს, ცნებაში უნდა გამოიხატოს.

როდესაც ერთი მეორეში დიალექტიკურად, ე. ი. უარყოფის გზით, გადადის (სრულდება კავშირი უარყოფის საშუალებით), მაშინ მეორე შეიძლება პირველის პრედიკატად გამოვსახოთ. Диалектика вообще состоит в отрицании первого положения, в смене его вторым (в переходе первого во второе, в указании связи первого с вторым etc). Второе может быть сделано предикатом первого, მაგ., დაბოლოებული არის დაუბოლოებელი, ერთი არის მრავალი, ერთეული არის ზოგადი და სხვ.<sup>1</sup>

ამ აზრით უნდა იქნეს განხილული და გაგებული „კაპიტალ“-ში კატეგორიების კავშირი, გადასვლები, „წრებრუნვები“ და საერთოდ ყოველი საგნის, განვითარებაში მყოფი საგნის (განვითარების გარეშე კი არაფერია) არსების ძირითად ნიშანთა აუცილებელი კავშირის ამსახველი ცნებები. მხოლოდ აქ შეიძლება ნამდვილი ლოგიკურის, ისტორიის ამსახველი ლოგიკურის (ყველაფერი კი ისტორიულ განვითარებაშია) გარკვევა-ჩვენება; მხოლოდ უარყოფის საშუალებით კავშირი, ე. ი. დიალექტიკური კავშირი, იქნება ნამდვილი, ისტორიულის ამსახველი ლოგიკური.

ლოგიკურში, სადაც ერთი მომენტი, შინაარსის კონკრეტულობის გამო, მეორე მომენტზე უფრო ძლიერია, ერთი მეორის საფუძველია, მაგრამ ისეთი, რომელიც ხსნის და იქვემდებარებს (არა

<sup>1</sup> В. И. Ленин, Философские тетради, стр. 197.

ძველებური მოცულობითი დაქვემდებარების (აზრით) მეორეს; კონკრეტულის მიერ აბსტრაქტულის დაქვემდებარება არის ლოგიკური მოხსნა-შენახვა.

ისტორიულად, სინამდვილეში მოხსნა-შენახვა იმას ნიშნავს, რომ ერთი მეორეს უარყოფს — ხსნის და მისთვის აუცილებელსა და საჭიროს ინახავს (მაგ., სოციალიზმი კაპიტალიზმს); მოხსნილი, ამ შემთხვევაში, აღარ არსებობს, მისგან შენახული კი მის საპირისპირო ახალ კანონზომიერებას ექვემდებარება. ლოგიკურად ეს გარემოება აისახება ისე, რომ მოხსნილი მოვლენის არარსებობასთან ერთად მისი ცნება, ცხადია, სრულიადაც არ იკარგება, წინააღმდეგ შემთხვევაში, არც მეორე ცნება გვექნებოდა. მოხსნილის ცნება მომხსნელის წინ არსებობს ლოგიკურად, დროში კი ორივე ერთად არიან, წინააღმდეგ შემთხვევაში, მოხსნა-შენახვის ასახვა შეუძლებელი იქნებოდა. წარსული ისტორიული საფეხური უკვე აღარ არის, მაგრამ უშედეგოდ არ დაკარგულა და ამიტომ მასზე აზრი სრულიად არ იკარგება, იგი არსებობს როგორც შედეგის პირობა-საფუძველი; რომ ის იკარგებოდა, მაშინ ისტორიულობის შესახებ აზრი სრულიად შეუძლებელი იქნებოდა. ისტორიული მოხსნა-შენახვა ლოგიკურის რეალური საფუძველია. აქ გვაქვს ლოგიკურში ისტორიულის ასახვის შესაძლებლობა. ლოგიკური ისტორიულს ასახავს, მაგრამ, როგორც ითქვა, თავისებურებასაც შეიცავს.

ხსენებული გარემოება იმას კი არ ნიშნავს, რომ თითქოს შეუძლებელია საერთოდ მოხსნილი რეალურად არსებობდეს მომხსნელის გვერდით; არა, ლოგიკური მოხსნის კიდევ უკეთ გამმართლებელს და საუკეთესო მაგალითს წარმოადგენს ის, რომ ისტორიულად ადრე არსებული შეიძლება მაღალ საფეხურზე დაქვემდებარებული სახით არსებობდეს. კაპიტალისტურმა წესმა მოხსნა წინა წესი, მაგრამ საქონელი და ფული კი არ მოუსპია, საქონელი იხსნება ფულში, ეს კაპიტალში, მაგრამ ისინი ერთდროულადაც არსებობენ. კიდევ მეტი: სავაჭრო კაპიტალი თვითონ კაპიტალზე ადრე არსებობდა, მაგრამ მარქსის „კაპიტალში“ ის კაპიტალის კატეგორიაზეა დაქვემდებარებული; მარქსი კაპიტალს „კაპიტალის“ 1 ტომში განიხილავს, სავაჭრო კაპიტალს კი, როგორც კაპიტალზე დაქვემდებარებულს, მესამე ტომში.

მაშასადამე, ლოგიკურის მიერ ისტორიულის ასახვა, ლოგიკურის ისტორიულის ასახულობად გაგება იმას არ ნიშნავს, რომ ლოგიკური ისტორიული განვითარების ყოველმხრივი აღწერაა, არა, ასეთ შემთხვევაში ლოგიკური მოიხსნებოდა, ანუ, უკეთ, მის ადგილზე და მის მაგიერ სხვა, სახელდობრ, უბრალო აღწერილობა იქნებოდა წარმოდგენილი.

მატერიალურ სინამდვილეში განვითარებადი მოვლენები ურთიერთს განაპირობებენ; ერთი მოვლენა მეორის რეალური საფუძველია და ა. შ. მოვლენათა შორის რეალური საფუძველ-შედგის დამოკიდებულებაა, რომელიც ლოგიკურმა საფუძველ-შედგის დამოკიდებულებამ უნდა ასახოს. რეალური საფუძველ-შედგის დამოკიდებულება განსაზღვრავს ლოგიკურ საფუძველ-შედგის დამოკიდებულებას, მიუხედავად იმისა, რომ ამ უკანასკნელს თავისებურებანი გააჩნია, მაგ., ისეთი, რომ რეალური შედეგის შესახებ აზრი ლოგიკურ საფუძველად გამოიყენება, რათა იქიდან რეალურ საფუძველზე დავასკვნათ. ლოგიკური რეალურ საფუძველ-შედგის კავშირის არსების და თვითონ რეალური საფუძველის არსების ასახვას უნდა წარმოადგენდეს. ლოგიკური ისტორიულის არსების ასახვაა. ისტორიულის და განვითარებაში მყოფის არსებას, როგორც ამას მარქსიზმ-ლენინიზმი გვასწავლის, წინააღმდეგობის ერთიანობა წარმოადგენს. მაშასადამე, ლოგიკური არის წინააღმდეგობის ერთიანობის ასახვა.

მაგრამ საკითხავია, თვითონ წინააღმდეგობის ერთიანობის ასახვა თუ წარმოადგენს წინააღმდეგობის ერთიანობას? ამ საკითხზე უფრო კონკრეტულ (თქმულთან შედარებით) პასუხს კეშმარიტების დიალექტიკური ბუნების განხილვა მოგვცემს. თუ წინააღმდეგობის ერთიანობის ასახვა თვითონ არის წინააღმდეგობის ერთიანობა, მაშინ ცხადია, რომ ლოგიკური, რომელიც ისტორიულის არსებას, სახელდობრ, წინააღმდეგობის ერთიანობის ასახულობას, წარმოადგენს, თვითონ იქნება წინააღმდეგობის ერთიანობა და არა წინააღმდეგობის შეუძლებლობა, ან აბსტრაქტული იგივეობა და ხხე.<sup>1</sup>

2. კეშმარიტება როგორც დაპირისპირებულთა ერთიანობა და მისი შესატყვისი ლოგიკური. კეშმარიტების ბუნების საკითხი ასახვის ლენინური თეორიის უძირითადეს საკითხს წარმოადგენს. რა არის კეშმარიტება? ვ. ი. ლენინმა ზუსტი მეცნიერული დასაბუთებით ნათელყო, რომ კეშმარიტება უნდა გვესმოდეს, როგორც ადამიანისაგან დამოუკიდებელი, ობიექტური, მატერიალური სინამდვილის ჩვენს ცნობიერებაში ასახვა. ცნობიერება თვითონ არის ასახვა იმ სინამდვილისა, რომელიც ამ ასახვისაგან დამოუკიდებლად, თავისთავად არსებობს. კეშმარიტება არის აზრში ის, რაც აზრისაგან დამოუკიდებელია (და არა დამოუკიდებლად არსებობს); კეშმარიტება არის აზრისაგან დამოუკიდებელი აზრის განსაზღვრულობა, ე. ი. აზრის ის განსაზღვრულობა, რომელიც მისგან დამოუ-

<sup>1</sup> ისტორიულისა და ლოგიკურის დამოკიდებულება უფრო სრულად ამ თავის შემდეგ პარაგრაფებში ვაჩვენებთ.

კიდებლად არსებული საგნის ზემოქმედების შედეგია; ქვეშარიტება საგნის ასახვა — ცოდნა.

ა) ქვეშარიტებაში სუბიექტური სადაობი-  
ექტურის დამოკიდებულების შესახებ. ასახვა,  
ცხადია, განსაზღვრულია იმით, რის, ასახვასაც ის წარმოადგენს,  
იგი საგნით განისაზღვრება; ასახვა საგნის ასახვაა, მის შემეცნებას  
წარმოადგენს.

მაგრამ, მეორე მხრით, ასახვა სინამდვილისა შეუძლებელია  
იმის გარეშე, რაც ასახავს; ამსახველის გარეშე თვითონ ასახვას  
ეკარგება აზრი. ამრიგად, ასახვისათვის ორი მომენტი აუცილებელ-  
ლი: ობიექტი — ასახვა და სუბიექტი — ამსახველი. ასახვისათვის  
აუცილებელია ორივე მომენტი, იგი არ არსებობს არც ობიექტის  
გარეშე და არც სუბიექტის გარეშე; თითოეული ამ მომენტის უარ-  
ყოფა ასახვის უარყოფას გვაძლევს. მაგრამ ამ ორი მომენტის ცალ-  
ცალკე თუ ერთად აღიარება ასახვას ვერ მოგვცემს, თუ ისინი გარ-  
კვეულ ურთიერთკავშირში არ იქნა განხილული. ასახვას, როგორც  
ქვეშარიტებას, შეუძლია არსებობა მხოლოდ სუბიექტ-ობიექტის  
ურთიერთობის შედეგად; ქვეშარიტება იქმნება სწორედ ამ ორი  
მომენტის ურთიერთობაში; სუბიექტის მიერ ობიექტის ასახვა  
ქვეშარიტებას წარმოადგენს.

ქვეშარიტება სუბიექტის ობიექტთან მხოლოდ გარკვეულ დამო-  
კიდებულებაში იქმნება, მაგრამ ეს დამოკიდებულება გარკვეული  
პირობებით განისაზღვრება, იგი მხოლოდ გარკვეულ საფუძველზეა  
შესაძლებელი. მარქსიზმ-ლენინიზმში გვასწავლის, რომ ამ საფუძ-  
ველს ადამიანთა საწარმოო და საერთოდ სოციალური პრაქტიკა  
წარმოადგენს. შრომისა და წარმოების პროცესში ადამიანი ითვისებს  
ბუნებას, გარკვეულ დამოკიდებულებაშია მასთან და სხვა ადამიანებ-  
თან. ადამიანის ბუნებასთან საწარმოო დამოკიდებულება საფუძვე-  
ლია შემეცნებელის შესამეცნებელთან დამოკიდებულებისა, სუ-  
ბიექტ-ობიექტის შემეცნებითი დამოკიდებულებისა. სუბიექტის  
მიერ ობიექტის ასახვა შესაძლებელია ადამიანის ბუნების საგნებ-  
თან პრაქტიკული დამოკიდებულების შედეგად. პრაქტიკა არის  
საფუძველი შემეცნებისა, მეცნიერული ცოდნისა. ეს უკანასკნელი  
პირველის გარეშე შეუძლებელია.

საწარმოო პრაქტიკა არის ის საშუალება, რომლითაც საგანი  
შესაძლებელია შემეცნების ობიექტად გახდეს. ჩვენი ცოდნა, ჩვენი  
თეორია სხვა არაფერია, თუ არა ზოგადი სახით აღებული პრაქტიკა.

ისე, როგორც ჩვენი საწარმოო საქმიანობა წინასწარ გულის-  
ხმობს თავის საგანს, ასევე შემეცნება წინასწარ გულისხმობს მის  
ობიექტს. ცოდნა არის ცოდნა საგნის შესახებ. საგნის წინასწარება

ცოდნისადმი ორგვარია: ფაქტიური და ლოგიკური; პირველი მეორეში აისახება; ფაქტორად შეუძლებელია შემეცნება და ცოდნა, თუ მას საგანი არა აქვს. საერთოდ აზრია შეუძლებელი საგნის გარეშე, რომელიც მას წინ უსწრებს. ლოგიკურადაც ყოველი ცოდნა არის რაიმეს, როგორც მისი საგნის, შესახებ ცოდნა. ამიტომ საგანი პირველადია, ცოდნა კი მეორადი როგორც ფაქტიურად, ისე ლოგიკურადაც; ლოგიკური ხომ რეალურის და ისტორიულას ასახულობდა?

მეორე მხრით, აზრი, საერთოდ ცნობიერება, მეორადია წარმოშობითაც. იგი არის მატერიის განვითარების უმაღლესი პროდუქტის თვისება. პირველად კ. მარქსმა დაამტკიცა, რომ ცნობიერება საზოგადოებრივი ხასიათისაა, ის არის საზოგადოებრივი პრაქტიკის პროდუქტი. შემეცნების შესაძლებლობა სწორედ იმაშია, რომ შემეცნებელი შესამეცნებელის განვითარების შედეგია, აზრი მატერიალური სინამდვილის განვითარების უმაღლესი პროდუქტის, ტვინის გარკვეულ თვისებას წარმოადგენს.

ის, რაც აქ ითქვა, გარკვეულობას აძლევს იმ აზრს, რომ ქეშმარიტება, როგორც სინამდვილის ასახვა, სუბიექტ-ობიექტის დაშოკიდებულებაში იქმნება. ეს გარკვეულობა იმაში მდგომარეობს, რომ სუბიექტ-ობიექტის ურთიერთობა არ უნდა წარმოვიდგინოთ ისე, რომ სუბიექტი და ობიექტი ამ ურთიერთობაში თითქოს ტოლძალღვანი კომპონენტები იყვნენ. როგორც აღინიშნა, ობიექტი პირველადია, სუბიექტი — მეორადი.

ასახვის მარქსისტულ-ლენინური თეორია გვასწავლის, რომ სინამდვილე ვერასოდეს ვერ ამოიწურება შემეცნების მიერ, რადგან სინამდვილე ღრმად უსასრულოდ, უსასრულო განვითარებას განიცდის და სუბიექტიც ვითარდება საწარმოო პრაქტიკის განვითარებასთან ერთად. ეს, სხვათა შორის, იმას ნიშნავს, რომ შემეცნების ობიექტი ყოველთვის განსაზღვრულია, ერთი რომელიმე მხარეა სინამდვილისა, ე. ი. მთელი სინამდვილე და შემეცნების ობიექტი არ უდრის ერთიმეორეს. სინამდვილის ერთი მხარე ობიექტად იქცევა პრაქტიკის საშუალებით. ადამიანის ბრძოლა ბუნების წინააღმდეგ, საწარმოო პრაქტიკა სინამდვილის ერთ მხარეს გამოყოფს ობიექტად. ამოღანდ სინამდვილის გარდაქმნილი სუბიექტი განსაზოოირავს შემეცნების ობიექტს. ამიტომ სინამდვილეს „მხოლოდ ობიექტის ფორმაში ანუ განპყვრეტის ფორმაში“ კი არ უნდა ვუცქეროდეთ, როგორც ამას ადგილი ჰქონდა მარქსამდელ მატერიალიზმში, არამედ „პრაქტიკის ფორმაში“, „სუბიექტურად“<sup>1</sup>. ამავე დროს, ლოგიკურად, ობიექტის ცნება შესაძლებელია მხოლოდ სუბიექტის ცნების საშუ-

<sup>1</sup> იხ. კ. მარქსის პირველი თეზისი ფოიერბახის შესახებ.

ალებით, მის საფუძველზე, რადგან ობიექტი არის ის, რაც სწორედ სუბიექტის ობიექტია. მაგრამ თუ ეს აზრი ცალმხრივად და აძიტომ ნაწილობრივ მცდარად არ მივიჩნეოთ, მაშინ მისი განვითარებით სუბიექტურ იდეალიზმს მივიღებთ, რომლისთვისაც სუბიექტია პირველადი, ობიექტი კი მისგან გამომდინარე, მეორადი. იდეალიზმის გნოსეოლოგიურ ფესვს სწორედ ერთმხრივის აბსოლუტურად წარმოდგენა იძლევა.

ამიტომ, მეორე მხრით, თვითონ სუბიექტი არის ობიექტი, როგორც სინამდვილის ნაწილი. მოქმედი სუბიექტი, სწორედ ამ პრაქტიკული მოქმედების გამო, შემეცნებელი სუბიექტიც ხდება. იგი საკუთარ ძალას (როგორც მოქმედებისა, ისე შემეცნებისა) თვითონ სინამდვილიდანღებულადაც; სინამდვილისა და ობიექტის გარეშე სუბიექტი არაფერია. თუ ამ აზრს უკიდურესობამდე განვავითარებთ, მივიღებთ ან ვულგარულ მატერიალიზმს, რომელსაც არ ესმის აზროვნების და საერთოდ ცნობიერების თავისებურება და იგი პირდაპირ დაჰყავს მატერიაზე, აიგივებს მას მატერიის სხვა თვისებებთან, ან — ობიექტურ იდეალიზმს, რომელსაც ყველაფერი, მათ შორის ადამიანის აზროვნებაც, ღმერთზე, რაღაც მისტიკურ არსებაზე დაჰყავს და მასში თქვეფს.

მაგრამ აქედან გამოსავალს თუ იმაში დავინახავთ, რომ სუბიექტი და ობიექტი ტოლძალოვანი კომპონენტებია მათ დამოკიდებულებაში, თუ არც ობიექტი ექვემდებარება სუბიექტს და არც სუბიექტი ობიექტს, ე. ი. დავადგებით „პრინციპული კოორდინაციის“ თვალსაზრისს, რომელიც, როგორც ეს ლენინმა გარკვევით დაამტკიცა, იგივე სუბიექტურ იდეალიზმს წარმოადგენს,<sup>1</sup> მივიღებთ, აღნიშნულთან ერთად, სრულ ლოგიკურ სიყალბეს, სახელდობრ, შემდეგს: თუ სუბიექტი ისეა განსაზღვრული ობიექტისაგან, როგორც ობიექტი სუბიექტისაგან, მაშინ ამ ურთიერთობაში, კომპონენტების ერთგვარობის გამო, გაურკვეველი რჩება, რომელი რას წარმოადგენს, რომელია სუბიექტი და რომელი ობიექტი, ერთიც შობსნილი გამოდის და მეორეც, ისე რომ, ამავე დროს, ორივე უნდა დარჩეს; ამასთანავე, ერთი მეორით აიხსნება, ისე როგორც პირიქით, ე. ი. არც ერთი არ არის ახსნილი ამ ლოგიკურ წრეში. მხოლოდ ურთიერთმოქმედებაც საჭიროებს ახსნას და, ცხადია, უარყოფილ არ უნდა იქნეს.

ამიტომ იყო, რომ მიმართავდნენ რაღაც მესამეს, რომელიც აზროვნების და სინამდვილის დამოკიდებულებას ახსნიდა, ეძებდნენ აზრისა და არსისათვის პირველ საფუძველს, რომლის საუკეთესო

<sup>1</sup> ე. ლენინი, მატერიალიზმი და ემპირიოკრიტიციზმი, თბზ., ტ. 14, გვ. 71 და შემდეგ.

მაგალითსაც არისტოტელის „პირველი ფილოსოფია“ წარმოადგენს. მაგრამ თუ ამ მესამეს ცალკე სფეროდ წარმოვიდგენთ, მაშინ კიდევ უფრო მეტ სიძნელეში ჩავარდებით, რადგან სამი რამის ერთიანობისათვის საჭირო გახდება ახალ-ახალი მესამეები, მივიღებთ „ტრიტოს ანთროპოსს“. თუ ამ „მესამეს“ აბსოლუტურად წარმოვიდგენთ და მას აბსოლუტურ აზრად გამოვაცხადებთ, მაშინ ყველაფერს ისევ ღმერთში გავთქვეფთ და, რადგან აზრი სუბიექტის პრინციპს ექვემდებარება, ამიტომ ისევ სუბიექტურ იდეალიზმს მივიღებთ, ობიექტური და სუბიექტური იდეალიზმი ხომ არსებითად ერთ და იგივეს წარმოადგენს.

მამასადამე, ერთადერთი გამოსავალი ზემოთ აღნიშნული სიძნელიდან იმაშია, რომ სუბიექტ-ობიექტის დამოკიდებულება დიალექტიკურად გავიგოთ, ობიექტისა და სუბიექტის დამოკიდებულებაში ობიექტია „გარეგადამწვდომი“ (მარქსის გამოთქმით *Übergreifende*) მომენტი. სინამდვილე დაუბოლოებელია, სუბიექტი კი მისი ნაწილია, რომელიც სინამდვილეს პრაქტიკის საფუძველზე ობიექტად იხდის. შემეცნების უსასრულო პროცესი სწორედ სინამდვილის უსასრულობით და მისი ობიექტად გახდომის უსასრულობით არის ასეთი. თვითონ პრაქტიკა არის შემეცნების, როგორც სინამდვილის ასახვის, საფუძველი და დამქვემდებარებელი, ამხსნელი და შემმოწმებელი სუბიექტის შემეცნებითი საქმიანობისა.

თუ იმას ვიტყვი, რომ შემეცნება უფრო ვიწროა, ვიდრე საერთოდ აზროვნება, მაშინ კანტის აზრს გავიმეორებთ; დიალექტიკური მატერიალიზმისათვის აღქმაც ასახვაა და საერთოდ აზროვნებაც. მარქსიზმ-ლენინიზმი გვასწავლის, რომ არსებობს არაადექვატური ასახვა. სინამდვილის ადექვატური ასახვა ჭეშმარიტებაა, არაადექვატური ასახვა კი შეცდომა, რომელიც საბოლოო ანგარიშში, რაღაც ჭეშმარიტს ემყარება და სწორედ ჭეშმარიტით აიხსნება. რელიგიაც ასახვაა, სახელდობრ, ფანტასტიკური ასახვა. მაგრამ ჩვენთვის აქ საინტერესოა სწორედ ჭეშმარიტება, როგორც ადექვატური ასახვა, რომელიც იქმნება სუბიექტ-ობიექტის დამოკიდებულებაში, სადაც გარეგადამწვდომი ობიექტია.

საკითხავია, თუ როგორია სუბიექტურის და ობიექტურის დამოკიდებულება თვითონ ჭეშმარიტებაში, თვითონ ასახვაში, როგორც ჭეშმარიტ ცოდნაში? თუ აზრი ასახავს საგანს, ე. ი. მას გამოთქვამს, მასთან თანხმობაშია, მაშინ გვაქვს ჭეშმარიტება. მაგრამ ეს ასახვა ხომ თვითონ აზრია, როგორც სინამდვილის სურათი, გაგება? თუ ასახვა. ე. ი. ჭეშმარიტება აზრია, მაშინ შეუძლება თქვან, რომ ის სუბიექტურია; ასეთი უნდა იყოს აზრი, სულ ერთია ის სურათი



იქნება რაიმესი, თუ არა; მაშასადამე, შეიძლება დაასკვნან, როგორ  
ქვეყნობა მხოლოდ სუბიექტური ხასიათისაა!

ეს თვალსაზრისი ყალბია, რადგან ქვეყნობა არც აქ წარმო-  
იღვინება განსხვავებულთა თანხმობის გარეშე, და მას აქაც წარმო-  
იღვენენ როგორც აზრის აზრთან თანხმობას. ამიტომ ქვეყნობის,  
როგორც განსხვავებულთა თანხმობის, ასეთი წარმოდგენა მხოლოდ  
სიტყვიერად სწყვეტს საკითხს, ნამდვილად კი აქ არავითარ განსხვა-  
ვებას არა აქვს ადგილი, რადგან აზრის თავის თავთან თანხმობა  
ადიარებული. აზრის აზრთან თანხმობის დროს იგივეობა გვაქვს,  
განსხვავება (აზრისაგან განსხვავება) კი მოხსნილია. ამასთანავე უნ-  
და ითქვას ისიც, რომ ასეთი თვალსაზრისით, საკითხი ადგილს  
ინაცვლებს და იქმნება ისეთი მდგომარეობა, რომ იგი ვერასოდეს  
ვერ გადაწყდეს, რადგან ჩვენ საერთოდ აზრის ქვეყნობების სა-  
კითხი გვანტერესებს და არა რომელიმე აზრისა, რის ქვეყნობა-  
ბასაც იმ სხვა აზრთან თანხმობაში ვხედავთ, რომლის ქვეყნობაც  
თვითონ არის გამოსარკვევი. თავის თავთან თანხმობა კი ქვეყნობ-  
ების თავდები ვერ იქნება, რადგან შეცდომაც ეთანხმება თავის  
თავს. აზრის თავის თავთან თანხმობის საფუძველზე ქვეყნობას  
და შეცდომას ერთიმეორისაგან ვერ გავარჩევთ და სოფისტიკაში  
ჩავარდებით.

ყალბად უნდა ჩაითვალოს ის თვალსაზრისიც, რომლისთვისაც  
ქვეყნობა თვითონ არსებობს, როგორც ჩვენგან დამოუკიდებელი  
მატერიალური საგანი. ეს თვალსაზრისი, როგორც ცნობილია, ობი-  
ექტურ იდეალისტურია, რომლის ლოგიკური სიყალბეც შემდეგში  
მდგომარეობს: ობიექტურად, მატერიალური საგანივით არსებული  
ქვეყნობა მხოლოდ მაშინ იქნება სწორედ ქვეყნობა, თუ იქაც  
ობიექტთან თანხმობა გვექნება, მაგ., თანხმობა იდეასთან (პლატონ-  
ი), ან ერთი კატეგორიის მეორესთან და საბოლოოდ — იდეისა  
თავის თავთან (ჰეგელი); ე. ი. განსხვავებულთა ერთიანობა აქაც

---

<sup>1</sup> მაგალითად, თანამედროვე ამერიკული პრაგმატიზმის აზრით: ქვეყნობა  
სუბიექტურია, როცა რაიმე სიტყვიერი გამოთქმა ერთი ადამიანის მიერაა აღიარ-  
ებული; ქვეყნობა ობიექტურ-სუბიექტურია, როცა რაიმე გამოთქმა რამდენ-  
იმეს მიერაა აღიარებული; მაგრამ თუ ასეთ გამოთქმას ყველა აღიარებს, მაშინ  
ის არის ობიექტური. ეს აზრი ყალბია, რადგან, როგორც ვ. ი. ლენინმა თავის  
წიგნში „მატერიალიზმი და ემპირიოკრიტიციზმი“ დაამტკიცა. ქვეყნობა ობი-  
ექტურია, თუ აზრი საგანს ასახავს, სულ ერთია რამდენი ადამიანიც არ უნდა  
აღიარებდეს მას. შუა საუკუნეებში ღმერთს თითქმის ყველა აღიარებდა, მაგრამ  
ამით, ცხადია, მისი არსებობა არ მტკიცდებოდა. შესაძლებელია შეცდომაში  
ყველა ეთანხმებოდეს ერთი მეორეს. ქვეყნობა აზრის აზრთან თანხმობა კი  
არაა, არამედ აზრის საგანთან თანხმობა.

აუცილებელია ქეშმარიტების ბუნებისათვის, მაგრამ ობიექტური იდეალიზმისათვის აზროვნება და მისი საგანი, ორივე ღვთაებრივი ბუნებისაა, აზროვნება ჩვენგან დამოუკიდებელ საგნად არის გადაქცეული და განსხვავება აზრსა და არსს შორის ხელოვნური და მოჩვენებითია; ნამდვილად აქაც აზრის თავის თავთან თანხმობა გვაქვს. აქ საკითხი, გადაწყვეტის მაგიერ, მხოლოდ ადგილს იცვლის და გადადის წმინდა მისტიკურ სფეროში. მაშასადამე, ქეშმარიტების ობიექტურ-რეალურ საგნად გადაქცევის ცდაც აუცილებლობით მოითხოვს განსხვავებულთა ერთიანობას, მაგრამ ეს უკანასკნელი გაყალბებულია და მოხსნილია მისტიკის საფუძველზე.

აქ აღნიშნულის საფუძველზე უნდა ითქვას, რომ ობიექტური, რომელიც სუბიექტთან არავითარ კავშირში არ არის, არის არა ქეშმარიტება, არამედ თვითონ სინამდვილე, მისი რომელიმე საგანი. ქეშმარიტება ობიექტურის სუბიექტურ ასახვას წარმოადგენს; ამიტომ ასეთი ასახვა თვითონ ამ ასახვისაგან დამოუკიდებლად ვერ იარსებებს; წინააღმდეგ შემთხვევაში, მეორე ასახვის, სახელდობრ, წრადამიანური აზრის მიერ შესრულებული ასახვის დაშვებას მივიღებთ და ასე შემდეგ უსასრულოდ. ასეთ ყალბ მდგომარეობას მეცნიერებასთან არავითარი საერთო არ შეიძლება ჰქონდეს.

მეორე მხრით, ობიექტურის გარეშე სუბიექტური სრულიადაც არ წარმოადგენს ქეშმარიტებას; თუ სუბიექტურში არავითარი ობიექტური არაა, მაშინ მას არავითარი კავშირი არა აქვს ქეშმარიტებასთან, გარდა იმისა, რომ იგი შეცდომა იქნება, შეცდომაზე ლაპარაკი კი მხოლოდ ქეშმარიტებაზე დაყრდნობით არის შესაძლებელი. ამიტომ უნდა ითქვას, რომ ქეშმარიტება მხოლოდ ობიექტურია, რაც ქეშმარიტების სუბიექტურობას გამორიცხავს; მაგრამ, როგორც აღინიშნა, ობიექტური, რომელიც სუბიექტურობისაგან, აზრისაგან სრულიად დამოუკიდებლად არსებობს, შეიძლება იყოს მატერიალური საგანი და არა ქეშმარიტება. ეს უკანასკნელი, რამდენადაც იგი ასახვას წარმოადგენს, ე. ი. რამდენადაც საგანი აზრშია ასახული, აზრი ასახავს საგანს, — ამდენად და მხოლოდ ამ მხრით არის ის სუბიექტურიც.

მაშასადამე, მივიღეთ, ერთი შეხედვით, უაზრობა, — თითქოს გადაუწყვეტელი წინააღმდეგობა: ქეშმარიტება მხოლოდ ობიექტურია, მაგრამ იგი ამავე დროს არ არის მხოლოდ ობიექტური; ქეშმარიტება, რადგან იგი ასახვაა, როგორც ასეთი, სუბიექტურია; აზრი სუბიექტურია, მაგრამ, ამავე დროს, არ შეიძლება იგი სუბიექტური იყოს, რამდენადაც სწორედ ობიექტური საგნის ასახვას წარმოადგენს.

ეს ერთიმეორის საწინააღმდეგო დებულებები მხოლოდ მაშინ წარმოადგენენ უაზრობას, გადაუწყვეტელ წინააღმდეგობას, თუ თითოეულ მათგანს აბსოლუტური მნიშვნელობით ავიღებთ, — თუ თითოეულ აქ მოყვანილ მსჯელობაში ნაწილობრივ ჰქმნარიტებას არ დავინახავთ. შედარებითის აბსოლუტურად აღება შეცდომას წარმოადგენს. შეცდომაა ჰქმნარიტების როგორც სუბიექტურობის აღიარება, ისე მისი მხოლოდ ობიექტურობის, სუბიექტისაგან სრულიად მოწყვეტილი ობიექტურობის აზრით აღიარება. მსჯელობა — „ჰქმნარიტება სუბიექტურია“ და მსჯელობა — „ჰქმნარიტება არ არის სუბიექტური, ე. ი. ობიექტურია“ ერთიმეორის საწინააღმდეგო მსჯელობებია. თუ პირველ დებულებას ვაღიარებთ ჰქმნარიტად და მეორეს უარვყოფთ, მაშინ თვითონ ჰქმნარიტების უარყოფას მივიღებთ, რადგან, მართალია, ასახვა, ასახვის პროცესი აზროვნების პროცესია, ამდენად სუბიექტურობასთან გვაქვს საქმე, მაგრამ სწორედ იმიტომ, რომ ეს პროცესი ასახვა აზრისგან დამოუკიდებელი სინამდვილისა, ამიტომ მეორე მსჯელობის გულისხმობის გარეშე, მისი გამორიცხვის შედეგად თვითონ ჰქმნარიტებას წაერთმევა აზრი, არ გვექნება ასახვა. ჰქმნარიტება კი, როგორც ამას მარქსიზმ-ლენინიზმში გვასწავლის, ცნობიერების მიერ მისგან დამოუკიდებელი სინამდვილის ასახვას წარმოადგენს, იგი აზრის საგანთან თანხმობაა-შია. თუკი მეორე მსჯელობას ავიღებთ და პირველს უარვყოფთ და გამოვრიცხავთ, მაშინ ჰქმნარიტება კი არა, თვითონ საგანი დაკვრჩება, თუკი ეს მეორე მსჯელობა ენთიმემური ხასიათის არ იქნება, თუკი პირველ მსჯელობასაც არ ვიგულისხმებთ მისი შედარებითი მნიშვნელობით.

მაშასადამე, ამ მსჯელობათაგან მხოლოდ ერთის მიღება და მეორის უარყოფა თვითონ მას უკარგავს აზრს. ამდენად აუცილებელია აღნიშნულ საპირისპირო მსჯელობათა ერთიანობის აღიარება.

ერთი საპირისპიროთაგანი მეორეს — მის უარყოფელს გულისხმობს და ამიტომ ორივეს ენთიმემურობა წინააღმდეგობას არ ხსნის. ეს არის მათი დიალექტიკური ერთიანობა, რაც ჰქმნარიტებას წარმოადგენს. ჰქმნარიტება არის სწორედ ის, რაც ხსნის ხსენებული ერთმხრივი მსჯელობების აზრს და რაც მათ ერთმხრიობას ასაბუთებს. ჰქმნარიტება არის ის ობიექტური, რომელიც სუბიექტურში, აზრშია, და ის სუბიექტური, რომლის შინაარსსაც მისგან, აზრისაგან დამოუკიდებლად არსებული, მაგრამ მასში ასახული საგნის შინაარსი წარმოადგენს. ჰქმნარიტება ობიექტურია, რადგან იგი აზრში ასახული საგნის შინაარსია. ეს საგანი კი აზრისაგან სრულიად დამოუკიდებლად და მის განმსაზღვრელად არსებობს. ჰქმნარიტება ობიექტური სი-

ნამდვილის სუბიექტური სახეა, როგორც ამას ვ. ი. ლენინი სრულიად გარკვევით ასაბუთებს.

ერთიმეორისაგან უნდა განვასხვაოთ სიტყვა „ობიექტურის“ ორგვარი მოხმარება: 1) აზრი ობიექტურია, რამდენადაც ის მისგან დამოუკიდებელ საგანს ასახავს და არა იმ აზრით, თითქოს აზრი აზრის გარეშე არსებობდეს; 2) საგანი, მატერიალური საგანი აზრისაგან სრულიად დამოუკიდებლად არსებობს, ე. ი. ობიექტურად არსებობს. ანუ სხვანაირად: ერთიმეორისაგან უნდა განვასხვაოთ „ობიექტური“ და „ობიექტურად არსებული“. საგანი. ობიექტურად არსებობს, კეშმარიტება კი ობიექტურია, მაგრამ ობიექტურად არ არსებობს, როგორც მატერიალური საგანი. საგანი აზრს განსაზღვრავს. ეს განსაზღვრულობა აზრის საგანზეა დამოკიდებული, მას გამოხატავს და არაა აზრის აბსოლუტური შედეგი; იგი საგნით მიღებული განსაზღვრულობაა აზრის, ამიტომ აზრის ასეთი განსაზღვრულობა თვითონ აზრისაგან დამოუკიდებელია, ობიექტურია, მაგრამ აზრისაგან დამოუკიდებლად, ობიექტურად კი არ არსებობს, არამედ საგნის აზრში ასახვას წარმოადგენს.

ობიექტურ-რეალური საგანი თუ სუბიექტში არ არის ასახული — მის შინაარსად გადამუშავებულ-გადატანილ-გადაქცეული, მაშინ კეშმარიტებასთან არა გვაქვს საქმე. „იდეალური სხვა არაფერია, თუ არა მატერიალური, ადამიანის თავში გადატანილი და მასში გარდაქმნილი“<sup>1</sup>. საგნის ასე გადამუშავება აქცევს მას აზრის შინაარსად. თვითონ მატერიალური საგანი აზრის შინაარსი არ შეიძლება იყოს, მარქსის მიერ აღნიშნული გადამუშავების გარეშე. შინაარსი, როგორც ცნობილია, არის ელემენტთა ერთიანობა. წყლის შინაარსი მისი ელემენტების ერთიანობაა (ფორმა კი ამ ერთიანობის გარკვეული წესია). ცხადია, რომ წყლის ელემენტების ერთიანობა არ იქნება აზრის შინაარსი, აზრის ელემენტთა ერთიანობა. ეს უკანასკნელი, აზრის შინაარსი, საგნის შინაარსის ასახვა იქნება, საგნის შინაარსის აზრის შინაარსად გადამუშავება, ე. ი. სურათის, ასლის, ზუსტად, ასახვა-გაგება-ცოდნის ჩამოყალიბება. სწორედ ასე უნდა გავიგოთ ლენინის დებულება, რომ ობიექტური კეშმარიტება არის ადამიანის წარმოდგენებში ისეთი შინაარსი, რომელიც დამოკიდებული არ არის სუბიექტზე<sup>2</sup>. კეშმარიტება არის ობიექტურის სუბიექტური სახე. იგი სუბიექტურობის უარყოფელია, მაგრამ სუბიექტურობი-

<sup>1</sup> ვ. მარქსი. „კაპიტალი“-ს მეორე გამოცემის ბოლოსიტყვაობა, გვ. 23.

<sup>2</sup> ვ. ლენინი. თხზ., ტ. 14, გვ. 145.

საგან სრულიად მოწყვეტილად შეუძლებელია არსებობდეს; იგი არც ისეთ ობიექტურობას წარმოადგენს, როგორც მატერიალური საგანია. ქეშმარიტება ისეთი ობიექტურია, რომელიც სუბიექტურში არსებობს. იგი სუბიექტურის და ობიექტურის გარკვეულ (ახლახან აღნიშნულ) ერთიანობას წარმოადგენს.

საგანი განხილულ უნდა იქნეს არა მარტო ობიექტის ფორმაში, არამედ პრაქტიკის ფორმაშიც, სუბიექტურადაც<sup>1</sup>. შემეცნება ქეშმარიტია, ეს ნიშნავს: სუბიექტური ეთანხმება ობიექტურს (პრაქტიკის საშუალებით), უკეთ: აზრი ეთანხმება საგანს, ასახავს მას, გაგებული აქვს იგი, ამიტომაც ეს აზრი ობიექტური. სუბიექტი პრაქტიკულად მოქმედი, სოციალური, სინამდვილის რევოლუციური გარდაქმნელი სუბიექტია. ობიექტური საგანი პრაქტიკის საშუალებით იქცევა სუბიექტურის შინაარსად.

შემეცნებაში სუბიექტურობის უარყოფა ისტორიულობის უარყოფას წარმოადგენს. შემეცნებისა და ქეშმარიტების ისტორიულობისათვის არ არის საკმარისი ის, რომ სუბიექტისაგან დამოუკიდებელი მატერიალური სინამდვილე განვითარებაშია; მთავარია შემეცნებელი სუბიექტის სოციალურ-ისტორიული ხასიათი. ამგვარად გაგებული სუბიექტურისა და ობიექტურის ერთიანობა გვაძლევს ქეშმარიტებას, ობიექტურ-რეალური სინამდვილის ჩვენს ცნობიერებაში ასახვას. ეს ერთიანობა აუცილებელია, რადგან, როგორც აღვნიშნეთ, ამ ერთიანობის ორივე მხარე ერთიმეორეს მოითხოვს აუცილებლობით ქეშმარიტების მისაღწევად. სუბიექტურის ობიექტურთან თანხმობა ქმნის იმ ერთიანობას, რომელიც ქეშმარიტებას წარმოადგენს (ეს თანხმობა რომ არ არის სრული და ყოველთვის ნაწილობრივია, ამის შესახებ ქვემოთ). ეს დაპირისპირებულთა ერთიანობა არის ქეშმარიტება. რადგან ქეშმარიტება არის აზრში ის, რაც აზრისაგან დამოუკიდებელია, ამიტომ, და ამ აზრით, ქეშმარიტება თვითონაა წინააღმდეგობრივი, როგორც დაპირისპირებულთა ერთიანობა.

ქეშმარიტების არსება განვითარების უძირითადესი კანონის — დაპირისპირებულთა ერთიანობის კანონის — ბუნებისაა, რადგან სინამდვილის აზროვნებაში ასახვა, არსებითად, მისი განვითარების კანონის ასახვას ნიშნავს, როგორც ეს ზემოთ ისტორიულის და ლოგიკურის დამოკიდებულებების გარჩევის დროს იყო აღნიშნული. ასახავის ბუნება ასახვის ბუნებას განსაზღვრავს. საგნის არსება წინააღმდეგობის ერთიანობაა. ლოგიკური, როგორც საგნის არსების

<sup>1</sup> იხ. პირველი თეზისი მარქსისა ფოიერბახის შესახებ.

ასახულობა, როგორც კეშმარიტება, თვითონ არის თავისებური წინააღმდეგობის ერთიანობა.

ყალბ თვალსაზრისს, სახელდობრ, ჰეგელიანურ თვალსაზრისს მივიღებთ, თუ საგნის არსება, როგორც დაპირისპირებულთა ერთიანობა, და მისი ასახვა — კეშმარიტება, როგორც დაპირისპირებულთა ერთიანობა, ერთიმეორესთან გავაიგივეთ. ყოველგვარი მოძრაობა და განვითარება, ყოველი მოძრაევი და განვითარებადი საგნის არსება დაპირისპირებულთა ერთიანობაა, მაგრამ, ცხადია, ეს მათ ერთიმეორესთან გაიგივებას სრულიადაც არ მოასწავებს. საგნის არსების შინაგანი წინააღმდეგობა მხოლოდ აისახება, გაიგება იმ აზრში, რომელიც თვითონაც დაპირისპირებას შეიცავს, რადგან აზრი ობიექტურის ხუბიექტური სახეა. ეს ორი წინააღმდეგობა, ცხადია, სხვადასხვა ბუნებისაა, თუმცა საგანი აზრს განსაზღვრავს, და კეშმარიტება აზრის საგანთან თანხმობაშია.

ზემოთ აღნიშნული ორი საპირისპირო მსჯელობის ცალ-ცალკე წარმოდგენა, როგორც აღინიშნა, შეცდომას წარმოადგენს, კეშმარიტება მხოლოდ მათ ერთიანობაშია. სუბიექტურისა და ობიექტურის აღნიშნული ერთიანობა შეცდომათა ერთიანობა კი არაა და არც ორი — სხვადასხვა კეშმარიტების შეერთება, არამედ სწორედ ერთიანობაშია კეშმარიტება. როგორც ითქვა, სუბიექტური, ობიექტურისაგან დამოუკიდებლად აღებული, და ობიექტური, როგორც სუბიექტისაგან სრულიად დამოუკიდებელი, მასთან კავშირის არ მქონე, ცალ-ცალკე, არ წარმოადგენენ კეშმარიტებას.

ასეთ ერთმხრიობათა აბსოლუტურად წარმომდგენი, ე. ი. ცალმხრივი, შეცდომაზე დამყარებული თვალსაზრისები, როგორც ითქვა, შემცდარნი და ყალბნი არიან. კეშმარიტება, ცხადია, ამ სიყალბეთა გაერთიანება კი არაა, არამედ სწორედ მათი სრული უარყოფა; კეშმარიტება სუბიექტურისა და ობიექტურის ერთიანობას წარმოადგენს იმ აზრით, რომ სუბიექტური მისი შინაარსით არის ის, რაც მისგან დამოუკიდებელია, ობიექტურია.

სუბიექტური არის კეშმარიტება მხოლოდ მისი უარყოფელის (იმის, რაც არ არის სუბიექტური), ობიექტურის საშუალებით და ობიექტური არის კეშმარიტება მხოლოდ მისი უარყოფელის (იმის, რაც არ არის ობიექტური), სუბიექტურის საშუალებით; ე. ი. კეშმარიტება ობიექტურის სუბიექტური სახეა, როგორც ცოდნა. კავშირი და ერთიანობა უარყოფით სრულდება.

სინამდვილის ამსახველი სუბიექტი არა პასიურია, არამედ — აქტიური; იგი არა მარტო აითვისებს სინამდვილეს, არამედ გარდაქმნის კიდევც, — იგი სწორედ სინამდვილის გარდაქმნისათვის ბრძოლაში

ახერხებს მის ათვისება-ასახვას. სუბიექტურის და ობიექტურის ქვე-მარტივებაში ერთიანობას საფუძვლად, როგორც ზემოთ აღვნიშნეთ, სოციალური პრაქტიკა უდევს. მხოლოდ მისი საშუალებით მიიღწე-ვა ეს ერთიანობა, როგორც ქვემარტივება. ამიტომ მას ისტორიული ხასიათი აქვს და განვითარებას განიცდის.

ლენინი თავის „ფილოსოფიურ რვეულებში“ ამტკიცებს, რომ შემეცნება არის თანხმობა ცნებისა და ობიექტურობის; შემეცნე-ბა არის სუბიექტურობის მისგან განსხვავებულ ობიექტურობასთან თანხმობა; სუბიექტურობა არის მისწრაფება მოსპოს მისი ობიექ-ტისაგან გამოცალკეება. მაშასადამე, ქვემარტივი შემეცნება დაპირისპირებულთა ერთიანობაა<sup>1</sup>. ეს ითქმის არა მარტო საერთოდ შემეცნების, არამედ მისი პირველი საფეხურის — გრძნობადი შე-მეცნების შესახებაც. თვითონ „შეგრძნება არის ობიექტური სამყა-როს სუბიექტური სახე, სამყაროს *an und für sich*“<sup>2</sup>.

აზრი ქვემარტივია, რამდენადაც აზრის განსაზღვრულობა შე-დევია იმისა, რაც მისგან დამოუკიდებელია. საგანი რეალური საფუ-ძველია ამ განსაზღვრულობის, მაგრამ თვითონ ქვემარტივი აზრიც ორ მომენტს შეიცავს: 1) ის სუბიექტური სახეა; 2) ობიექტურის სახეა — ობიექტურია — სუბიექტურისგან დამოუკიდებელია; ეს და-მოუკიდებელი გარკვეულად არსებობს იქ, რისგანაცაა დამოუკი-დებელი, რასაც ის განსაზღვრავს, რის განსაზღვრულობასაც ის იძლევა.

რადგან ქვემარტივება დაპირისპირებულთა ერთიანობაა და, როგორც აღვნიშნეთ, იგი არის დაპირისპირებულ, ურთიერთგამომ-რიცხავ მსჯელობათა ურთიერთდასაბუთებაცე. ი. აუცილებელი ერ-თიანობა, ამიტომ უნდა ითქვას, რომ ქვემარტივების ბუნება დია-ლექტიკური დასკვნით, როგორც აზრთა აუცილებელი შუალობითი კავშირით, გამოიხატება და ამით ლოგიკისა და შემეცნების თეორი-ის ერთიანობაც შეიძლება დასაბუთდეს.

ბ) შეფარდებითისა და აბსოლუტურის დია-ლექტიკა ქვემარტივებში. ქვემარტივების დიალექტიკური ბუნება კიდევ უფრო ნათლად ჩანს შედარე-ბითი და აბსოლუტური ქვემარტივების დამოკიდებულების გან-ხილვის დროს. ქვემარტივების შეფარდებითობა და აბსო-ლუტურობა მისი, მაგრამ ერთიმეორისადმი საპირისპირო, ნიშნე-ბია. ამ გარემოებას ნათლად გაგვირკვევს პასუხი კითხვაზე: ჩვენს

<sup>1</sup> В. И. Ленин, Философские тетради, стр. 167.

<sup>2</sup> ვ. ლენინი. თხზ., ტ. 14, გვ. 141.

ცნობიერებას შეუძლია თუ არა მისგან დამოუკიდებელი სინამდვილე ერთბაშად, სავსებით, ყოველი პირობის გარეშე, აბსოლუტურად გამოხატოს, თუ მხოლოდ დაახლოებით, რელატიურად<sup>1</sup>.

ქეშმარიტება რელატიურია, რადგან ინდივიდუალური ადამიანი, რომელიც შეიმეცნებს ობიექტურ რეალობას, ყოველთვის განსაზღვრულია მრავალი მხრით: დროით, ადგილით, ისტორიული პირობებით, უნარით; მას არასოდეს არ შეუძლია ყოველად სრულ შეიმეცნებას მიაღწიოს. ადამიანური აზროვნება ყოველთვის განსაზღვრულია და ამიტომ მას რელატიური ქეშმარიტების მიღწევა შეუძლია. ერთეული ადამიანის აზროვნების განსაზღვრულობა ქეშმარიტებასაც განსაზღვრავს, რადგან სინამდვილის ასახვას ერთეული ადამიანის აზროვნება ახორციელებს.

მაგრამ ადამიანური აზროვნება. (სხვაგვარი აზროვნება კი არ არსებობს) ერთეული ადამიანის აზროვნებას ხომ არ უდრის? ამ კითხვაზე ენგელსი უარყოფითად პასუხობს<sup>2</sup>. — ის არ არის ცალკეული ადამიანის აზროვნება; ის საერთოდ აზროვნებაა. მაგრამ ასეთი „საერთოდ აზროვნება“ ნამდვილად არ არსებობს; იგი არსებობს მხოლოდ ინდივიდუალური აზროვნების სახით. ადამიანური აზროვნება არსებობს მხოლოდ როგორც წარსულის, აწმყოსა და მომავლის მრავალმილიონიან ადამიანთა ინდივიდუალური აზროვნება.

ამრიგად, ადამიანური აზროვნება არის ინდივიდუალური და ის არც არის ასეთი. იგი ინდივიდუალურის და არაინდივიდუალურის დიალექტიკური ერთიანობაა (და არა ინდივიდუალურის და არაინდივიდუალურის მექანიკური გაერთიანება); ინდივიდუალურის არსება არაინდივიდუალურია; ეს უკანასკნელი კი მხოლოდ პირველში და მისი სახით არსებობს; უკეთ: არსებითი სწორედ მათი ერთიანობაა. ეს ერთიანობა ზოგადობაა, მაგრამ არა მოცულობითი ხასიათის. ის არ არის გვარი (ჩვეულებრივი გაგებით) ერთეული და საერთოდ აზროვნებისადმი, როგორც სახეებისადმი; არა, მას აქვს ერთიანობის, სახელდობრ, დაპირისპირებულთა ერთიანობის ხასიათი. ასეთი ზოგადი, როგორც ითქვა, კონკრეტული, შინაარსეული ზოგადია; ის არის საპირისპირო განსაზღვრულობათა ერთიანობა, როგორც ინდივიდუალური აზროვნების არსება.

ქეშმარიტება რელატიურია, რადგან კაცობრიობა თავის განვითარებაში ვერასოდეს ვერ მიაღწევს იმ საფეხურს, როცა მას ექნება აბსოლუტურად სრული სურათი მთელი სინამდვილისა, ვინაიდან

<sup>1</sup> ვ. ლენინი. თხზ., ტ. 14, გვ. 145.

<sup>2</sup> Ф. Энгельс. Анти-Дюринг, 1948, стр. 81.



თვითონ ასეთი მთელი, დასრულებული სინამდვილის ცნებაა ყალბი. სინამდვილე დაუსრულებელ განვითარებაშია, ეს კი ჩვენმა აზროვნებამ უნდა ასახოს; დაუსრულებელ განვითარებაში მყოფი დაუსრულებელი სინამდვილის ასახვა თვითონ იქნება დაუსრულებელი. მეორე მხრით, სოციალური პირობების განვითარებისა და მიხედვით, დაუსრულებლად ვითარდება თვითონ ასახვის უნარიც, რომელმაც უნდა ასახოს დაუსრულებელი სინამდვილე, რომლის ყოველი ნაწილიც დაუსრულებლად რთულია. ამიტომ ქეშმარიტება რელატიურია და არა აბსოლუტური, მაგრამ ეს დებულება სწორია მხოლოდ ნაწილობრივ, ერთმხრივად. ეს იმას ნიშნავს, რომ ამის საპირისპირო დებულებაც ასევე ე. ი. ნაწილობრივია სწორი. ქეშმარიტება მხოლოდ მათ ერთიანობაში უნდა იყოს. ეს ერთიანობა კონკრეტულია. ქეშმარიტების დიალექტიკურობა მის კონკრეტულობას ნიშნავს.

რადგან მთელი სინამდვილე სისრულით არასოდეს არ აისახება ჩვენი აზროვნების მიერ, ე. ი. არასოდეს არ იქნება ძილებული აბსოლუტური ქეშმარიტება, სწორედ ამ უკანასკნელის მიუღწევლობის გამო ქეშმარიტება ყოველთვის რელატიური იქნება; მიღწეული ქეშმარიტება ყოველთვის რელატიურია. მაგრამ თუ ქეშმარიტება მხოლოდ რელატიურია, თუ ეს რელატიურობა თვითონ იქნა აბსოლუტური ქეშმარიტების აბსოლუტურად უარყოფელი, მაშინ თვითონ რელატიური გამოვა აბსოლუტური. წმინდა რელატიური ქეშმარიტების აღიარება იმას ნიშნავს, რომ დახვიდე სუბიექტივიზმამდე — რომ თქვა: არსებობს მხოლოდ ისეთი ქეშმარიტება, რომელიც, ამავე დროს, შეცდომას წარმოადგენს; — ერთი დროისთვის ქეშმარიტება მეორისთვის შეიძლება აბსოლუტური შეცდომა იყოს, ჩემთვის ქეშმარიტი სხვისთვის შეცდომა იქნება და ა. შ. ასეთ შემთხვევაში ქეშმარიტებას ობიექტური ხასიათი დაეკარგება, სუბიექტური ქეშმარიტება კი, როგორც ზემოთ გაიკვია, არ არის ქეშმარიტება. წმინდა რელატიური ქეშმარიტება არცაა ქეშმარიტება.

რელატიური ქეშმარიტების ცნება სრულიად ყალბი იქნება, თუ ვიტყვით, რომ რელატიური ქეშმარიტება მხოლოდ რელატიურია, — წმინდა რელატიურობას წარმოადგენს, როგორც ამას მახსოვრები სუბიექტური იდეალისტები აღიარებენ. შედარებითი ქეშმარიტება იმიტომ არის ქეშმარიტება, რომ ის ობიექტურია. ქეშმარიტება თუ ობიექტური არაა, მაშინ ის თავის თავს აუქმებს, — არცაა ქეშმარიტება. ობიექტური ქეშმარიტების აღიარება რელატიურობის უარყოფას სრულიადაც არ წარმოადგენს. ობიექტური ქეშმარიტება ყოველთვის რელატიურია, მაგრამ მისი მიღწევა იმას ნიშნავს,

27. ს. წერეთელი

რომ ის აბსოლუტურს როგორღაც შეიცავს. რელატიურს, შედარებითს მხოლოდ აბსოლუტურით აქვს აზრი, ჩვენ შემეცნებაში აბსოლუტურ ქვეშარიტებას რომ არ ვუახლოვდებოდეთ, მაშინ არავითარი ქვეშარიტება არ გვექნებოდა. „მარქსიზმის თვალსაზრისით, — ამბობს ლენინი, — ისტორიულად პირობითია ფარგლები ჩვენი ცოდნის მიახლოებისა ობიექტურ, აბსოლუტურ ქვეშარიტებასთან. მაგრამ უცილობელია ამ ქვეშარიტების არსებობა, უცილობელია, ის, რომ ჩვენ ვუახლოვდებით მას“<sup>1</sup>. აბსოლუტური ქვეშარიტების უარყოფა საერთოდ ქვეშარიტების უარყოფას წარმოადგენს. აბსოლუტური ქვეშარიტებაა ის, რომ ნაპოლეონი 1821 წლის მაისის 5 გარდაიცვალა, ამ ქვეშარიტების უარყოფა მომავალში უაზრობა იქნებოდა. სიგიჟე იქნებოდა უარყოფა მუდმივი ქვეშარიტებისა, რომ „პარიზი საფრანგეთში იმყოფება“, — ამბობს ლენინი<sup>2</sup>.

ეს არ ნიშნავს იმას, რომ ქვეშარიტება მხოლოდ აბსოლუტურია, რომ შეფარდებითი ქვეშარიტება საერთოდ არ არის ქვეშარიტება. „მატერიალიზმი რომ წინ წავეწიოთ, — ამბობს ლენინი, — ... უნდა შეგვეძლოს დიალექტიკურად დავსვათ და გადავწყვიტოთ საკითხი აბსოლუტური და შეფარდებითი ქვეშარიტების ურთიერთობის შესახებ“<sup>3</sup>.

ქვეშარიტების ბუნების ნამდვილი გაგება აბსოლუტურის და შეფარდებითის კატეგორიების სწორი მოხმარების გარეშე შეუძლებელია.

როგორც მხოლოდ აბსოლუტური ქვეშარიტების აღიარებაა შეცდომა, ისე — მხოლოდ შეფარდებითი ქვეშარიტებისა. აბსოლუტური და შეფარდებითი ქვეშარიტების დამოკიდებულება, გარკვეული მხრით და აზრით, ქვეშარიტების და შეცდომის დამოკიდებულებას წარმოადგენს. ეს გარემოება სრულიად გარკვეულად არას დასაბუთებული ენგელსთან და ლენინთან. „აზროვნების სუვერენობა ხორციელდება მთელ რიგ უალრესად არასუვერენულად მოაზროვნე ადამიანებში; შემეცნება, რომელსაც უცილობელი უფლება (незычное право) აქვს ქვეშარიტებაზე, — ხორციელდება მთელ რიგ შეფარდებითს (რელატიურ) შეცდომებში; არც ერთი, არც მეორე (არც აბსოლუტურად ქვეშარიტი შემეცნება, არც სუვერენული აზროვნება) არ შეიძლება საცხებით განხორციელდეს სხვა პირობებში, თუ არა კაცობრიობის დაუსრულებელი არსებობის დროს“. აქ წინააღმდეგობა გვაქვს, სახელდობრ, „წინააღმდეგობა ადამიანის აზროვნების ხასიათისა, რომელიც ჩვენ აუცილებლობის

<sup>1</sup> ვ. ი. ლენინი, თხზ., ტ. 14, გვ. 163.

<sup>2</sup> იქვე, გვ. 158.

<sup>3</sup> იქვე, გვ. 159.

ძალით აბსოლუტურად წარმოგვიდგება, და მის განხორციელებას შორის მხოლოდ შეზღუდულად მოაზროვნე ცალკეულ ადამიანებში. ეს წინააღმდეგობა შეიძლება გადაჭრილ იქნეს მხოლოდ ადამიანთა თაობის ისეთ თანმიმდევარ რიგში, რომელიც ჩვენთვის, პრაქტიკულად მაინც, დაუსრულებელია. ამ გაგებით ადამიანის აზროვნება იმდენადვე სუვერენულია, რამდენადაც არასუვერენული, და მისი შემეცნების უნარი იმდენადვე განუსაზღვრელია, რამდენადაც განსაზღვრული. იგი სუვერენული და განუსაზღვრელია თავისი ბუნებით (ანუ აღნაგობით, 'Anlage') მოწოდებით, შესაძლებლობით, საბოლოო ისტორიული მიზნით; არასუვერენული და შეზღუდულია გაცალკევებული განხორციელებით, ამა თუ იმ დროს მოცემული სინამდვილით". „სწორედ იგივე ითქმის მარადიულ ქვეშარიტებებზე“<sup>1</sup>.

ქვეშარიტება და შეცდომა გარკვეული ლოგიკური კატეგორიები; მათთვისაც ის არის დამახასიათებელი, რაც სხვა კატეგორიებისთვისაა საერთოდ არსებითი. „ქვეშარიტებას და ცდომილებას, ყველა ლოგიკური კატეგორიის მსგავსად, რომელიც პოლარულ წინააღმდეგობებში ტრიალებს, მხოლოდ მეტად შეზღუდულ სფეროს საზღვრებში აქვს აბსოლუტური მნიშვნელობა“... დიალექტიკა ყველა პოლარული წინააღმდეგობის უკმარობას არკვევს. როგორც კი დავიწყებთ ქვეშარიტების და ცდომილების წინააღმდეგობის ზემოაღნიშნული ვიწრო სფეროს საზღვრებს გარეშე გამოყენებას, ეს წინააღმდეგობა შეფარდებითად (რელატიურად) გადაიქცევა და, მამასადამე, უვარგისი გახდება ზუსტი მეცნიერული მეტყველებისათვის. ხოლო თუ ჩვენ შევეცდებით ეს წინააღმდეგობა აღნიშნული სფეროს საზღვრების გარეთ გამოვიყენოთ, როგორც აბსოლუტური, მაშინვე სრულ ფიასკოს განვიცდით: წინააღმდეგობის ორივე პოლუსი თავის წინააღმდეგობად გადაიქცევა, ე. ი. ქვეშარიტება ცდომილებად იქცევა, ხოლო ცდომილება — ქვეშარიტებად“<sup>2</sup>.

ფ. ენგელსი, თავის შრომაში „ლიღვიგ ფოიერბახი და კლასიკური გერმანული ფილოსოფიის დასასრული“, კიდევ უფრო გარკვევით გამოთქვამს აზრს იმის შესახებ, თუ რა დიალექტიკური კავშირია ქვეშარიტებას და შეცდომას შორის. იგი წერს: „იმას, რაც ახლა ქვეშარიტებად არის მიჩნეული, ფარული მხარე აქვს, რომელიც მომავალში გამოააშკარავდება, როგორც შეცდომა. ისევე როგორც ის, რაც ახლა შეცდომადაა აღიარებული, ქვეშარიტ მხარეს

<sup>1</sup> ვ. ლენინი. თხზ., ტ. 14, გვ. 160 — 161; ფ. ენგელსი, ანტი-დიურიჩი, გვ. 102 — 103.

<sup>2</sup> ვ. ლენინი. თხზ., ტ. 14, გვ. 161 — 162; ფ. ენგელსი, ანტი-დიურიჩი, გვ. 108.

შეიცავს, რომლის წყალობით იგი წინათ კეშმარიტებად შეიძლება და ჩათვლილიყო<sup>1</sup>.

მასასადამე, შეფარდებით და აბსოლუტურ კეშმარიტებებს შორის არსებობს დიალექტიკური მთლიანობა, ისე როგორც — კეშმარიტებასა და შეცდომას შორის. შეფარდებითობა კეშმარიტება-მცდარობის ერთიანობაშია და თვითონ, ცხადია, მცდარობას არ უდრის.

შეფარდებითი კეშმარიტება არ არსებობს აბსოლუტურის გარეშე. ყოველი შეფარდებითი კეშმარიტება ნაწილობრივ კეშმარიტებაა, ნაწილობრივ შეცდომასაც შეიცავს, ეს მცდარობა თვითონ ამ ნაწილობრიობას ნიშნავს. სწორედ შეფარდებითი კეშმარიტება არის კეშმარიტება-შეცდომის დიალექტიკური ერთიანობა.

შეფარდებითი კეშმარიტება აბსოლუტურს უპირისპირდება, მაგრამ მას არ გამოირიცხავს, შეფარდებითი აბსოლუტურსაც შეიცავს; წინააღმდეგ შემთხვევაში, შეფარდებითი კეშმარიტებისაგან აბსოლუტურის შედგენა შეუძლებელი იქნებოდა. „ბოგდანოვისთვის (როგორც ყველა მახისტისთვის), — ამბობს ლენინი, — ჩვენი ცოდნის შეფარდებითობის აღიარება გამოირიცხავს სულ მცირეოდენი აბსოლუტური კეშმარიტების დაშვებას. ენგელსის აზრით, შეფარდებითს კეშმარიტებათაგან შენდება აბსოლუტური კეშმარიტება. ბოგდანოვი რელატივისტია, ენგელსი კი დიალექტიკოსი“<sup>2</sup>.

მასასადამე, კეშმარიტების ბუნება წინააღმდეგობრივია. კეშმარიტება არც აბსოლუტურია და არც შეფარდებითი, რადგან ერთიც არის და მეორეც; უკეთ: რელატიურობა რომ აბსოლუტურობას და პირიქით აუქმებდეს, მაშინ საერთოდ კეშმარიტებასთან არ გვექნებოდა საქმე. რელატიურში რომ, ამავე დროს, აბსოლუტურის მარცვალაც არ იყოს მოცემული, მაშინ შეუძლებელი იქნებოდა საერთოდ კეშმარიტება. შეფარდებითისა და აბსოლუტურის დაპირისპირება მთლიანობაშია და სწორედ ეს მთლიანობა წარმოადგენს კეშმარიტებას.

ვინც აბსოლუტურ კეშმარიტებას უარყოფს და მხოლოდ წმინდა რელატიურ კეშმარიტებას აღიარებს, ის თავის თავს თვითონ იბათილებს, რადგან მას რელატიური აბსოლუტურად აქვს მიჩნეული; და საერთოდ კეშმარიტების უარყოფელს ეს უარყოფა მიაჩნია კეშმარიტებად. აბსოლუტურობის სრული უარყოფა შეცდომაა და იგი შეუძლებელიცაა. „ვინც (ჩერნოვი და სხვა მახისტები. ს. წ.) რელატივიზმს საფუძვლად უდებს შემეცნების თეორიას, იგი თავის

<sup>1</sup> კ. მარქსი, ფ. ენგელსი, რჩული ნაწერები, ტ. II, გვ. 466.

<sup>2</sup> ვ. ი. ლენინი, თხზ., ტ. 14, გვ. 161.

თავს გარდუვალად სწირავს ან აბსოლუტურ სკეპტიციზმს, აგნოსტიციზმს და სოფისტიკას, ან სუბიექტივიზმს. რელატივიზმი, როგორც შემეცნების თეორიის საფუძველი, არის არა მარტო ჩვენი ცოდნის შეფარდებითობის აღიარება, არამედ უარყოფა ყოველგვარი ობიექტური, კაცობრიობისაგან დამოუკიდებლად არსებული, საზოგადოებრივი ანუ მოდელისა, რომელსაც ჩვენი შეფარდებითი შემეცნება უახლოვდება“. შიშველი რელატივიზმი ყოველგვარ სოფისტიკას ამართლებს<sup>1</sup>.

მატერიალისტური დიალექტიკა შეიცავს რელატივიზმს, მაგრამ იგი, ამავე დროს, რელატივიზმის უარყოფაა. დიალექტიკა ამ უარყოფას საკუთარ, შინაგან მომენტად შეიცავს. „დიალექტიკა შეიცავს რელატივიზმს, უარყოფის, სკეპტიციზმის მომენტს, მაგრამ იგი რელატივიზმში როდია. მარქსისა და ენგელსის მატერიალისტური დიალექტიკა უეჭველად შეიცავს რელატივიზმს, მაგრამ რელატივიზმი კი არ არის, ე. ი. აღიარებს ყველა ჩვენი ცოდნის შეფარდებითობას არა ობიექტური კეშმარიტების უარყოფის აზრით, არამედ იმ აზრით, რომ ისტორიულად პირობითია ჩვენი ცოდნის საზღვრების მიახლოება ამ კეშმარიტებასთან“<sup>2</sup>. მატერიალ მუღმივ განვითარებაშია და შეგნებაც. აქ სტატიკასთან არა გვაქვს საქმე, როგორც ბოგდანოვს ჰგონია. „აქ ლაპარაკია არა საგნების უცვლელ დედარსზე და არა უცვლელ ცნობიერებაზე, არამედ შესატყვისობაზე ბუნების ამსახველ ცნობიერებასა და ცნობიერების მიერ ასახულ ბუნებას შორის“<sup>3</sup>.

როგორც აღვნიშნეთ, კეშმარიტების ობიექტურობა მის აბსოლუტურობასაც ნიშნავს. „ენგელსის თვალსაზრისით, — ამბობს ლენინი, — უცვლელია მხოლოდ ერთი რამ: ესაა — ასახვა ადამიანის ცნობიერების მიერ (როცა ადამიანის ცნობიერება არსებობს) მისგან დამოუკიდებლად არსებული და განვითარების პროცესში მყოფი გარეგანი სამყაროსი“<sup>4</sup>. მაგრამ, როგორც ითქვა, არ არსებობს აბსოლუტური კეშმარიტება შეფარდებითის გარეშე, იგი მხოლოდ შეფარდებითი კეშმარიტების სახით არის ყოველთვის მოცემული. თუ შეფარდებითი კეშმარიტება ობიექტური ხასიათის არაა, ე. ი. თუ იგი აბსოლუტურსაც არ შეიცავს, მაშინ უარყოფილი გამოდის კეშმარიტება საერთოდ. მეორე მხრით, ენგელსის და ლენინის დებულება, რომ შეფარდებითი კეშმარიტების გზით მივლივართ

<sup>1</sup> ე. ი. ლენინი, თხზ., ტ. 14, გვ. 164.

<sup>2</sup> იქვე, გვ. 165.

<sup>3</sup> იქვე.

<sup>4</sup> იქვე, გვ. 332.

აბსოლუტური კემმარიტებისავენ. იმას კი არ ნიშნავს, თითქოს აბსოლუტური კემმარიტება სადღაც არის, — ჩვენი მოქმედებისა და შემეცნების საზღვრებს იქით უსასრულოდ გადაკარგული და ჩვენ მხოლოდ ვუახლოვდებით მას, არა, ასეთ შემთხვევაში შემეცნება სრულიადაც არ იქნებოდა კემმარიტი, კემმარიტება ჩვენს შემეცნებაში სრულიადაც არ იარსებებდა.

აღნიშნულ მიახლოებას აზრი აქვს მხოლოდ მაშინ, როცა შემეცნება აბსოლუტურს ნაწილობრივ შეიცავს. აქ ასახვის მხოლოდ სისრულის გაფართოებასთან გვაქვს საქმე. „არ არსებობს გადაულახავი ზღუდე შეფარდებითსა და აბსოლუტურ კემმარიტებას შორის“<sup>1</sup>. „ისტორიულად პირობითია სურათის კონტურები, მაგრამ უცილობელია ის, რომ ეს სურათი გამოხატავს ობიექტურად არსებულ მოდელს. ისტორიულად პირობითია ის, თუ როდის და რა პირობებში მივედით საგნების დედაარსის შემეცნებაში იქამდე, რომ ალიზარინი აღმოვაჩინეთ ქვანახშირის კუპრში ან ელექტრონები ატომში, მაგრამ უცილობელია ის, რომ ყოველი ასეთი აღმოჩენა „აბსოლუტურად ობიექტური შემეცნების“ წინ გადადგმულ ნაბიჯს წარმოადგენს. ერთი სიტყვით, ისტორიულად პირობითია ყოველი იდეოლოგია, მაგრამ უცილობელია ის, რომ ყოველ მეცნიერულ იდეოლოგიას (წინააღმდეგ, მაგ., რელიგიურისა) ობიექტური კემმარიტება, აბსოლუტური ბუნება შეესაბამება, თქვენ იტყვიან: ეს განსხვავება შეფარდებითი და აბსოლუტური კემმარიტებისა გაურკვეველიაო. მე გიპასუხებთ: იგი „გაურკვეველია“ სწორედ იმდენად, რომ ხელი შეუშალოს მეცნიერებას დოგმად გადაიქცეს ამ სიტყვის ცუდი მნიშვნელობით, რაღაც მკვდარ, გაყინულ, გაქვავებულ რამედ, მაგრამ ამავე დროს იგი სწორედ იმდენად „გარკვეულია“, რომ გადაჭრით და სამუდამოდ გაემიჯნოს როგორც ფიდიეიზმსა და აგნოსტიციზმს, ისე ფილოსოფიურ იდეალიზმსა და პიუმბის თუ კანტის მიმდევრების სოფისტიკას. აქ არის მიჯნა, რომელიც თქვენ ვერ შეამჩნიეთ, და, რაკი ვერ შეამჩნიეთ, რეაქციული ფილოსოფიის ჭაობში ჩაეფალით. ეს არის მიჯნა დიალექტიკურ მატერიალიზმსა და რელატივიზმს შორის“<sup>2</sup>.

დებულება, რომ კემმარიტება ობიექტურია, იგი აბსოლუტურია, მაგრამ ამავე დროს შეფარდებითიცაა, ეკლექტიზმად ეჩვენებათ მხოლოდ იმათ, რომელთათვისაც უცხოა დიალექტიკა. მეტაფიზიკური თვალსაზრისისათვის შეუძლებელია ასეთი მტკიცება: კემმარიტება რელატიურიცაა და არცაა რელატიური, ე. ი. აბსოლუტურია.

<sup>1</sup> ვ. ი. ლენინი, თხზ., ტ. 14, გვ. 163.

<sup>2</sup> იქვე, გვ. 163 — 164.

აქ ორი რაიმეს შეერთება კი არა გვაქვს, არამედ ერთი და იგივეს ორი მხარე (თუ შეიძლება მათ „მხარეები“ ეწოდოს), ერთი და იგივეს ორი ნიშანი. ერთი და იგივე ქვეშაობაა რელატიურიც და აბსოლუტურიც, რელატიური აბსოლუტურის მარცვალს შეიცავს. რელატიურობის გარეშე აბსოლუტური ცარიელი მისტიკა იქნება, აბსოლუტურობის გარეშე რელატიური აღარც რელატიურია; ეს ისე, როგორც დაბოლოებულის გარეშე დაუბოლოებელი არ არსებობს და არც დაბოლოებულს აქვს აზრი დაუბოლოებულის გარეშე. აქ ნამდვილი დიალექტიკური ერთიანობა გვაქვს.

ორი შემდეგი დებულება: 1) „აბსოლუტური არაა რელატიური“ და 2) „აბსოლუტური რელატიურია“, — არაღიალექტიკოსისათვის ერთიმეორესთან შეუთავსებელი დებულებებია. ნამდვილად კი აქ ერთიმეორის გამომრიცხავნი ერთიმეორისაგან გამოცალკევებით აზრს ჰკარგავენ. ერთმნრივი დებულება აზრს ჰკარგავს და თავის თავს უარყოფს, თუ ის აბსოლუტურად იქნა მიჩნეული, ერთიმეორის გამომრიცხავი დებულებები, ასეთ შემთხვევაში, ერთიმეორეს ავსებენ მთლიანობამდე; ანუ სხვანაირად: ერთი და იგივეა ორმაგობის შემცველი და ამ ორმაგობის „მხარეები“ ერთიმეორეს გამორიცხავენ; ამ გამორიცხვით ისინი თავიანთ თავს ამოსწურავენ და ერთიმეორესაც ასაბუთებენ, ერთიმეორის საფუძველს წარმოადგენენ, ამით კი ქვეშაობა თვითონა შინაგანი საფუძველ-შედგენის გარკვეული კავშირი. საკუთარ აზრს მათ ერთიანობაში გულისხმობენ და გვაძლევენ.

ქვეშაობების რელატიურობა აბსოლუტური ქვეშაობების რელატიურობაა, წინააღმდეგ შემთხვევაში, მას აზრი დაეკარგებოდა, უარყოფილი გამოვიდოდა საერთოდ ქვეშაობა. მაგრამ საკითხავია, შეიძლება თუ არა აღამიანის აზროვნებაში რელატიურობის ელემენტის უარყოფა, ისე რომ ობიექტური ქვეშაობა ვცნოთ. უსათუოდ შეიძლება, წინააღმდეგ შემთხვევაში, რელატიურს და აბსოლუტურს, ასე ვთქვათ, მხოლოდ ურთიერთმოქმედება გვექნებოდა, რაც, ცხადია, შეცდომას და სიყალბეს წარმოადგენს. ობიექტური ქვეშაობა ყოველთვის შეფარდებითი ქვეშაობების სახით არსებობს, მაგრამ რელატიურობის უარყოფის შემდეგ ობიექტური ქვეშაობების ცნობა უსათუოდ შესაძლებელია, რადგან ობიექტური ქვეშაობა მის რელატიურობას აძლევს აზრს. ეს იმას ნიშნავს, რომ ობიექტური ქვეშაობა რელატიურია, მაგრამ ის არაა წმინდა რელატიური; ეს უკანასკნელი დაძლეულია მასში არსებული აბსოლუტურის მარცვლით, რომელიც ნამდვილ „გარეგადამწვდომ“ მომენტს წარმოადგენს. ამ მომენტის გარეშე ქვეშაობა საერთოდ გაუქმდებოდა. აბსოლუტური ქვეშაობების უარყოფა იგივეა, რაც

ობიექტური ქვემარტების უარყოფა, ე. ი. — ქვემარტების უარყოფა საერთოდ. „შეიძლება რელატივობის ელემენტი უარყო ადამიანის ამა თუ იმ წარმოდგენებში და ამავე დროს არ უარყო ობიექტური ქვემარტება, მაგრამ შეუძლებელია აბსოლუტური ქვემარტება უარყო, თუ არ უარყავი ობიექტური ქვემარტების არსებობა“<sup>1</sup>.

როგორც აღინიშნა, სინამდვილის ამსახველი აზრი ნაწილობრივ ქვემარტია, ნაწილობრივ კი — არაქვემარტით; იგი სისრულით ვერ ასახავს სინამდვილეს. არა მხოლოდ იმიტომ, რომ ადამიანის ცნობიერება პრაქტიკის საფუძველზე განიცდის განვითარებას, არამედ იმიტომაც, რომ თვითონ ასასახავი სინამდვილეც რთულია და არ ირის მყარი და სტატიკური; თვითონ სინამდვილე განიცდის განვითარებას, სადაც ყოველი შემდეგი საფეხური წარსულსაც მოხსნილი სახით შეიცავს და მომავალსაც შესაძლებლობის ან ჩანასახის სახით თავის თავში გულისხმობს; ამიტომ განვითარების რომელიმე საფეხურისათვის შესატყვისი ქვემარტება, მთლიანად აღებული, შეიძლება მეორე საფეხურისათვის შეცდომა იყოს და პირიქით. რა დებულებაც კაპიტალიზმის მიმართ ქვემარტებაა, ის სოციალიზმის მიმართ შეიძლება შეცდომა იყოს და პირიქით. რაც აღმავალი კაპიტალიზმის პირობებში ქვემარტია, ის იმპერიალიზმისა და პროლეტარული რევოლუციის პერიოდში შეიძლება შეცდომა იყოს და პირიქით.

ერთი ეპოქის ქვემარტებანი იხსნებიან მეორე ეპოქის ქვემარტების მიერ, ე. ი. წინა ეპოქის ქვემარტების მარცვლები შეინახებიან და ახალი ქვემარტების საფუძველს წარმოადგენენ. ამიტომ ე. ი. ლენინი მარქსისტული თეორიის საფუძველზე მივიდა ერთ ქვეყანაში სოციალისტური რევოლუციის გამარჯვების თეორიამდე.

წინა საფეხურის ქვემარტების მარცვლებს ემატება ახალი მარცვლები და ამ გზით მივიღვართ აბსოლუტური ქვემარტებისაკენ. ყოველი მოხსნილ-შენახული მარცვალი ახალი საფეხურის კანონზომიერებას ექვემდებარება. სოციალიზმი ხსნის კაპიტალიზმს, მაგრამ კაპიტალიზმის ელემენტებს კი არ ინახავს თავის თავში (აქ მხედველობის გარეშეა დატოვებული კაპიტალიზმის ნაშთები), არამედ ისტორიულ მონაპოვარს (მაგ., ტექნიკას, მეცნიერების მონაპოვარს) ახალ კანონზომიერებაში, ახალ თვისობრიობაში იქვემდებარებს.

ისტორიულის ამსახველი ლოგიკური ყოველთვის კონკრეტულია. ის გარემოება, რომ შეფარდებითი ქვემარტება აბსოლუტურის

<sup>1</sup> ე. ლენინი. თხზ., ტ. 14, გვ. 145.



მარცვალს შეიცავს, ქვეშარიტების კონკრეტულობას წარმოადგენს. შეფარდებითი და აბსოლუტური ქვეშარიტების ერთიანობა კონკრეტულია; თვითონ ქვეშარიტებაა კონკრეტული, რომელიც კონკრეტულის არსებას, მის კანონს — წინააღმდეგობის ერთიანობის კანონს — ექვემდებარება. არაფერია წინააღმდეგობის ერთიანობაზე კონკრეტული, რადგან წინააღმდეგობა დაბოლოებულის განსაზღვრულობას ამოსწორავს, დაპირისპირებულთა აუცილებელი კავშირი, ერთიანობა კი დაბოლოებულის არსებას წარმოადგენს.

თვითონ სინამდვილე, რომელიც მუდმივ ცვალებადობასა და განვითარებაში იმყოფება, რელატიურისა და აბსოლუტურის ერთიანობას წარმოადგენს. განვითარებაში მყოფი მოვლენები გარკვეულ კანონებს ემორჩილებიან, რომლებშიაც უძირითადესი წინააღმდეგობის ერთიანობის კანონია. განვითარება აღარ იქნებოდა განვითარება, რომ წინა საფეხური შემდეგის მიერ მხოლოდ იხსნებოდა და არაფერი მისგან არ ინახებოდა. სინამდვილეში არსებული რელატიურისა და აბსოლუტურის ერთიანობა უნდა იყოს ადექვატური ასახვის, ქვეშარიტების შინაარსი. ნამდვილი ასახვა ჩვენგან დამოუკიდებლად არსებული სინამდვილისა არის ასახვა, რომელშიც მოცემულია რელატიურისა და აბსოლუტურის ერთიანობა, რაც, როგორც აღინიშნა, საპირისპირო მსჯელობების გარკვეულ ერთიანობას წარმოადგენს; ამ სახით ლოგიკური ისტორიულს და რეალურს ასახავს. ასეთია ასახვის ლოგიკურის ბუნება, ასახვის ლოგიკა.

შეფარდებითის და აბსოლუტურის დაპირისპირება ორი ქვეშარიტების დაპირისპირება კი არაა, არამედ ნამდვილად ქვეშარიტება სწორედ მათ ერთიანობაშია. შეფარდებითი ქვეშარიტება ნაწილობრივ აბსოლუტურის შემცველიცაა, ნაწილობრივ კი შეცდომას, როგორც არააბსოლუტურობას, ქვეშარიტების ნაწილობრივ უარყოფასაც შეიცავს. ერთი მთლიანი აზრი, როგორც გარკვეული და კონკრეტული აზრი, ასეთი ორმხრიობის, დაპირისპირების შემცველია. ამიტომ ამბობდა ენგელსი, რომ ქვეშარიტება და შეცდომა განუწყვეტელ მთლიანობაში არიან<sup>1</sup>.

ქვეშარიტების აბსოლუტურობის ნიშნის ბუნების გასარკვევად აუცილებელია შეფარდებითსა და აბსოლუტურს შორის განსხვავების ხასიათის აღნიშვნა. ამის შესახებ ვ. ი. ლენინი პირდაპირ ამბობს, რომ დიალექტიკაში რელატიურსა და აბსოლუტურს შორის განსხვავება თვითონ არის შედარებითი და არა აბსოლუტური ხასიათის. სუბიექტივიზმის (სკეპტიციზმი, სოფისტიკა) დიალექტიკისაგან

<sup>1</sup> ე. ენგელსი, ანტი-დღურიზმი, გვ. 108 და კ. მარქსი, ფ. ენგელსი, რჩეული ნაწერები, ტ. II, გვ. 466.

განსხვავება, — ამბობს ლენინი, — სხვათა შორის, არის ის, რომ (ობიექტურ) დიალექტიკაში შეფარდებითია (რელატიურია) რელატიურსა და აბსოლუტურს შორის განსხვავება. ობიექტური დიალექტიკისათვის რელატიურში არის აბსოლუტური. სუბიექტივიზმისა და სოფისტიკისათვის რელატიური მხოლოდ რელატიურია და გამორიცხავს აბსოლუტურს<sup>1</sup>. მაშასადამე, დიალექტიკაში რელატიურსა და აბსოლუტურს შორის განსხვავების შეფარდებითობა მათ ერთიანობას მოაწვევებს. მათ შორის განსხვავების აბსოლუტურობა კი იმას ნიშნავს, რომ რელატიური და აბსოლუტური ერთიმეორისაგან აბსოლუტურად არის მოწყვეტილი. ასეთი აბსოლუტური მოწყვეტის უარყოფა და განსხვავების შეფარდებითობის აღიარება ერთიანობის, როგორც დაპირისპირებულთა ერთიანობის, როგორც უძირითადესი კანონის აბსოლუტურობის აღიარებაა.

ერთი შეხედვით გამოდის, რომ, შეფარდებითის და აბსოლუტურის ერთიანობაზე ლაპარაკის დროს, თითქოს ორგვარ აბსოლუტურზე ვლაპარაკობთ: ერთია ის აბსოლუტური, რომელიც რელატიურს უპირისპირდება და ამდენად თვითონაც რელატიურია (ამიტომ მისი აბსოლუტურად აღიარებით სიყალბეს ვღებულობთ), მეორე კი — ნამდვილი აბსოლუტურია, რომელიც ორივეს (რელატიურის და მის საპირისპირო აბსოლუტურის) ერთიანობას წარმოადგენს. ასეთი ორგვარი აბსოლუტურის აღიარება, როგორც ახლახან თქმულიდან ჩანს, უაზრობის აღიარება იქნებოდა. რელატიურის და აბსოლუტურის ერთიანობაში თვითონ ერთიანობა, სწორედ მათი ერთიანობაა აბსოლუტური; ანუ უკეთ: ამ ერთიანობაში აბსოლუტური, მარქსის გამოთქმა რომ ეისმართ, არის „გარე-გაღამწვდომი“ მომენტი.

წინააღმდეგობის ერთიანობის კანონი არა მარტო სინამდვილის კანონია, არამედ შემეცნების კანონიცაა. ერთიანის გაორება და მის დაპირისპირებულ ნაწილთა შემეცნება არის დიალექტიკის არსება<sup>2</sup>. ქეშმარიტების დიალექტიკურ-ლოგიკური ბუნება წინააღმდეგობის ერთიანობის ხასიათისაა და ამდენად ლოგიკური სწორედ ისტორიულის და რეალურის ასახვას წარმოადგენს.

ზემოთ გარკვეული, ვფიქრობთ, გვაძლევს საფუძველს დავასკვნათ, რომ ქეშმარიტების დიალექტიკურ-ლოგიკურის ბუნება ასეთია: ქეშმარიტ აზრს ორი განსაზღვრულობა აქვს: აბსოლუტურის მარცვალი და შეფარდებითობის განსაზღვრულობა. აბსოლუტური შეფარდებითია და შეფარდებითში აბსოლუტურია.

<sup>1</sup> В. И. Ленин, Философские тетради, стр. 328.

<sup>2</sup> იქვე, გვ. 327.

ისინი, ერთიმეორეს განსაზღვრავენ; ამდენად აქ გარკვეულ საფუძველ-შედგენის კავშირთანა გვაქვს საქმე. ქვეშარიტება ამ დაპირისპირებულთა ურთიერთკავშირსა და ერთიანობაშია, რომლის თითოეული მხარე, სწორედ ერთმხრიობის გამო, შეცდომასაც, არა-ქვეშარიტებასაც შეიცავს. ქვეშარიტება შეფარდებითია, მაგრამ იგი არ არის შეფარდებითი, ე. ი. აბსოლუტურია. ამ ორი მსჯელობის შეერთება მოგვცემს მათი საფუძვლის გამომთქმელ აზრს, სახელდობრ იმას, რომ ქვეშარიტება შეფარდებითისა და აბსოლუტურის ერთიანობაა, ე. ი. საპირისპიროთა ერთიანობაა.

მაშასადამე, ქვეშარიტების დიალექტიკური ბუნება გამოითქმება ორი ერთიმეორისადმი დაპირისპირებული მსჯელობის აუცილებელი ერთიანობით, რაც დიალექტიკური დასკვნის, როგორც დაპირისპირებულთა აუცილებელი დადებითი კავშირის, ბუნებისაა. ასეთი დასკვნა ხსნის მსჯელობათა ერთმხრიობას, მათ დაბოლოებულ ბუნებას და ინახავს კიდევ, რადგან იგი სწორედ მათი ერთიანობაა. თვითონ მსჯელობათა შეფარდებითობა ქვეშარიტების ბუნებიდან გამომდინარეობს. ამიტომ დიალექტიკური დასკვნა ქვეშარიტი დაუბოლოებელის ასახვაა; ქვეშარიტების დიალექტიკური ბუნება დაუბოლოებელის ლოგიკურად ამსახველი დიალექტიკური დასკვნით გამოიხატება. ამდენად შეიძლება ითქვას, რომ ლოგიკა და შემეცნების თეორია ერთი და იგივეა.

გ) დაბოლოებულისა და დაუბოლოებელის დიალექტიკა ქვეშარიტებაში. შეშეცნების, მეცნიერების საგანი მატერიალური სინამდვილეა, რომელიც ყოველმხრივად დაუბოლოებელია, იგი სრულს და ნამდვილ დაუბოლოებელს წარმოადგენს. საკითხავია, ვიმეცნებთ თუ არა დაუბოლოებელს, თუ მხოლოდ დაბოლოებულს? ასახვა, ქვეშარიტება დაუბოლოებელი ბუნებისაა თუ დაბოლოებულის? კითხვის ასეთმა დასამამ შეიძლება მცდარ პასუხამდეც მიგვიყვანოს, თუ კითხვის ასეთი დასმის დროს წინასწარ ვიგულისხმებთ, რომ ქვეშარიტების ბუნება ან ერთი ხასიათისაა (დაუბოლოებელის ბუნების), ან მეორე (დაბოლოებულისა), მესამე გამორიცხებულია. გამორიცხებული მესამის დებულება აქ მხოლოდ იმდენად გამოდგება, რამდენადაც დაბოლოებულის და დაუბოლოებელის დაპირისპირებაში, მართლაც, არ არსებობს მესამე საპირისპიროთაგანი. მაგრამ ნამდვილი „მესამე“ სწორედ ერთიანობაა, სახელდობრ, დაბოლოებულის და დაუბოლოებელის ერთიანობა. „მესამე“ თვითონ დაპირისპირებულთა აუცილებელი დადებითი კავშირია.

თუ დავუშვებთ, რომ კაცობრიობას შეუძლია ოდესმე ზიად-წიოს სრულ აბსოლუტურ ჭეშმარიტებას, ე. ი. დაუბოლოებელი სინამდვილის სისრულით ასახვას, მაშინ მივიღებდით სასწაულს, სახელობრ, უსასრულოს დათვლის სასწაულს, ეს იქნებოდა „დათკლილი ურიცხვის სახელგანთქმული სასწაული“<sup>1</sup>.

აქედან შეიძლება დავასკვნათ, რომ ჩვენ მხოლოდ დაბოლოებულის შემეცნება შეგვიძლია. „Wir können nur das Endliche erkennen etc“<sup>2</sup>. დებულება, რომ ჩვენ მხოლოდ ბოლოვადს შევამეცნებთ, უსათუოდ სწორია, რადგან ჩვენი შემეცნების სფეროში ხომ მხოლოდ ბოლოვადი საგნები ხვდებიან.

მაგრამ ხსენებული დებულება, ენგელსის თქმით, საჭიროებს დამატებას: „არსებითად ჩვენ შეგვიძლია შევიმეცნოთ მხოლოდ დაუბოლოებელი“ („Wir können im Grund nur das Unendliche erkennen...“). შემეცნება იმაში მდგომარეობს, რომ დაბოლოებულში დაუბოლოებელი, წარმავალში მარადიული შევიმეცნოთ, (— Wir das Unendliche in Endlichen, das Ewige in Vergänglichen auffinden und feststellen<sup>3</sup>).

ნამდვილი, ჭეშმარიტი შემეცნება იმაში მდგომარეობს, რომ ჩვენი აზრებში ერთეული აგვყავს განსაკუთრებულობამდე და ეს უკანასკნელი ზოგადობამდე, ზოგადობის ფორმა კი არის შინაგანი დასრულებულობის და ამით დაუბოლოებლობის ფორმა (Die Form der Allgemeinheit ist aber Form der Insichabgeschlossenheit damit Unendlichkeit)<sup>4</sup>. ის არის მრავალი ბოლოვადი საგნის დაუბოლოებელში შეერთება. ზოგადობის ფორმა კი არის კანონი. „ბუნების ყოველგვარი ჭეშმარიტი შემეცნება არის მარადიულის, დაუბოლოებელის შემეცნება და ამიტომ ის არსებითად აბსოლუტურია“ (Alle wahre Naturerkenntnis ist Erkenntnis von Ewigem, Unendlichem und daher wesentlich absolut)<sup>5</sup>.

ამ აბსოლუტურ შემეცნებაში, აღნიშნავს ენგელსი, სერიოზულ სიძნელეებთან გვაქვს საქმე. ისე, როგორც შესამეცნებელი მასალის დაუბოლოებლობა შედგება მხოლოდ ბოლოვადი საგნებისაგან, ასევე დაუბოლოებლობა აბსოლუტური შემეცნებელი აზროვნებისა შედგება ბოლოვად ადამიანურ თავთა უსასრულო სიმრავლისაგან, რომლებიც აკეთებენ ათასგვარ შეცდომებს, ცალმხრიობებს და არა-

<sup>1</sup> ფ. ენგელსი, ანტი-დიუინიზი, გვ. 103.

<sup>2</sup> ფ. ენგელსი, „ბუნების დიალექტიკა“, M. E. G. A.-ში, გვ. 475 — 476.

<sup>3</sup> იქვე, გვ. 475 — 476.

<sup>4</sup> იქვე.

<sup>5</sup> იქვე.

პირდაპირი ხაზით მიდიან ქვეშარიტებისაკენ, რომლის აღმოჩენასაც ხშირად ვერც კი ამჩნევენ. ასეთი შემეცნების გზა უსასრულოა. ამიტომ შეიძლება ითქვას, რომ დაუბოლოებელი ისევე შემეცნებადია, როგორც შეუმეცნებელი. ქვეშარიტება განვითარებას წარმოადგენს მისი არსება განვითარების უძირითადესი კანონია.

მაშასადამე, ორი ერთიმეორის გამომრიცხავი ერთმხრივი მსჯელობის, სახელდობრ, მსჯელობების: „შეიმეცნება მხოლოდ ბოლოვადი“ და „შეიმეცნება მხოლოდ დაუბოლოებელი“— აუცილებელი ერთიანობა, მათი ურთიერთგანსაზღვრა-კავშირი, ამ აზრით—საფუძველ-შედგის გარკვეული კავშირი, ლოგიკურად გამოთქვამს ქვეშარიტების ბუნებას. ქვეშარიტი შემეცნება არის დაბოლოებულისა და დაუბოლოებელის ერთიანობის შემეცნება, — დაბოლოებულში დაუბოლოებელის შემეცნება.

დაუბოლოებელი ბოლოვადის არსება, და, ამ აზრით, საფუძველია. ამ არსების გამომთქმელი აზრი ასეთივე საფუძველია მისი ერთმხრიობების გამომთქმელი მსჯელობებისა. მაგრამ ამ შედეგებიდან (საპირისპირო — ერთმხრივი მსჯელობებიდან) აუცილებლობით მიიღება, სწორედ წინააღმდეგობის და ურთიერთ-განსაზღვრების საშუალებით, ის, რაც მათ საფუძველს, ერთიანობას, წარმოადგენს.

აქ უნდა ვეძიოთ დედუქციის და ინდუქციის ურთიერთდამოკიდებულების საკითხის გადაწყვეტა. ასეთია ქვეშარიტების ბუნება და მისი ლოგიკური გამოზატულება — დასკვნა, როგორც საპირისპირო მსჯელობათა აუცილებელი ერთიანობა. ლოგიკის და შემეცნების თეორიის ერთიანობის საკითხის გადაწყვეტაც აქ უნდა ვეძიოთ.

დ) ქვეშარიტების კონკრეტულობის შესახებ. ქვეშარიტება განვითარება; ეს განვითარება უსასრულოა; მისი დაბოლოება უარყოფას წარმოადგენს<sup>1</sup>. ეს უარყოფა ქვეშარიტების შინაგანი მომენტია; იგი ქმნის მის განსაზღვრულობას და ამით ობიექტური საგნის განსაზღვრულობა აისახება. ქვეშარიტი აზრი არსებულის გამომთქმელი აზრია; არსებული კი უარყოფის მომენტს შეიცავს თავის თავში.

ფილოსოფიის ისტორიამ იცის ისეთი თვალსაზრისი, რომლის მიხედვითაც არსებულში არარსებულის მომენტი უარყოფილია. ამ თვალსაზრისით, არსებული და არარსებული აბსოლუტურის აზრით უნდა იქნეს აღებული და არა შეფარდებითისა. ამის საფუძველზე ამტკიცებდნენ, მაგ., ძველი ბერძენი სოფისტები, რომ არარსებულის გამომთქმა შეცდომაა, მაგრამ, რადგან არარსებული არ არსე-

<sup>1</sup> В. И. Ленин, Философские тетради, стр. 67.

ბოზს, ამიტომ ყოველი აზრი ქეშმარიტია. ამით კი ყოველი აზრის შემცდარობაც მტკიცდებოდა, რადგან ქეშმარიტი აზრის საწინააღმდეგოც, შეცდომაც ქეშმარიტებად იყო გამოცხადებული.

ნამდვილად კი საგნის განვითარების არსებობა-არარსებობის მომენტები შედარებითი ბუნებისად უნდა იქნეს გაგებული. მოძრაობის ბუნება მხოლოდ ამგვარად შეიძლება გავიგოთ. დადებითი და უარყოფითი მომენტები ერთიმეორეს მიმართ არიან ასეთნი, მათ შეფარდებითობით აქვთ აზრი. უარყოფის მომენტს თავისი დადებითი წინააღმდეგობა აქვს და იგი არსებითია განვითარებაში. უარყოფა წინააღმდეგობაში არსებითია. განვითარება წინააღმდეგობის ერთიანობის, დადებითის და უარყოფითის ერთიანობის გზით ხდება; ქეშმარიტი აზრი სწორედ ამ განვითარებას უნდა ასახავდეს. ამიტომაც ქეშმარიტება რელატიურია და აბსოლუტურია; აბსოლუტური ქეშმარიტება რელატიურის და მისი უარყოფელის შემცველის სახით არსებობს მხოლოდ. ეს აზრი ჰქონდა ენგელსის ზემოთ გარჩეულ დებულებას შეცდომისა და ქეშმარიტების მთლიანობისა და მათი ურთიერთში გადასვლის შესახებ.

შეცდომის, არაქეშმარიტების მომენტი ქეშმარიტ აზრში, ცხადია, უარყოფის მომენტია. ის გარემოება, რომ შეფარდებითი ქეშმარიტებით აბსოლუტურ ქეშმარიტებას ეუფალოვდებით, უარყოფის მომენტებს შეიცავს. ამ გზით ხდება ქეშმარიტების მიღებაც და განვითარებაც.

ქეშმარიტება პროცესს წარმოადგენს. შემეცნება არის მარადიული, დაუბოლოებელი მიახლოება აზროვნებისა ობიექტისადმი. ბუნების ასახვა ადამიანის აზროვნებაში უნდა გაგებულ იქნეს არა „მკვდარად“, არა „აბსტრაქტულად“, არა „მოძრაობის გარეშე“, არამედ „მოძრაობის მარადიულ პროცესში“, წინააღმდეგობის მარადიულ წარმოშობასა და გადაწყვეტაში<sup>1</sup>. შემეცნება არის პროცესი ბუნებაში შეჭრისა, რათა დაიმორჩილოს იგი. ქეშმარიტება არ არის მკვდარი სურათი, იგი არ არსებობს მოძრაობის გარეშე. აზრის ობიექტთან თანხმობა არის პროცესი. ქეშმარიტების მიღწევა ხდება სანამდვილის ყველა მხარის ერთობლიობის ასახვაში<sup>2</sup>.

ცალკეული საგნის, მოვლენის ერთი მხარის ასახვა არის ერთი მხარე ქეშმარიტებისა. ქეშმარიტებისათვის საჭიროა სანამდვილის მეორე მხარის გაგებაც; ეს მხარეები ჯერ დამოუკიდებელნი ჩანან, მაგრამ აქ გაჩერება შეცდომას მოგვცემს; მხოლოდ მათ ერთობლიობაში და დამოკიდებულებაში ხდება შესაძლებელი ქეშმარიტების მიღწევა. „Совкупность всех сторон явления, дей-

<sup>1</sup> В. И. Ленин, Философские тетради, стр. 168.

<sup>2</sup> იქვე, გვ. 169.

სტვითელობისა და მათი (ვзаимно) ობიექტები — ვაჲ იჲ სკლა-  
დებუა იჲსა“<sup>1</sup>. რომელიჲ სავნის (მაგ., ჰიქის) არა მხოლოდ  
ცალკეული მხარეების დამოუკიდებელი გაგება, არამედ სხვადასხვა  
განსაზღვრულობის, პირველ რიგში, არსებითი განსაზღვრულობის  
ყოველმხრივი კავშირის შემეცნება გვაძლევს ჰემმარიტებას, რო-  
მელიც კონკრეტულია თავისი ბუნებით. არ არსებობს აბსტრაქტუ-  
ლი ჰემმარიტება, იგი ყოველთვის კონკრეტულია<sup>2</sup>.

ჰემმარიტება კონკრეტულია. „კონკრეტული იმიტომაა კონკრე-  
ტული, რომ იგი მრავალ განსაზღვრებათა გაერთიანებას, ე. ი. მრავალ-  
სახეობის ერთიანობას წარმოადგენს“<sup>3</sup>. მატერიალური სინამ-  
დვილე ასეთ კონკრეტულობას წარმოადგენს, ამიტომ მისი ამსახ-  
ველი აზრიც იძლევა ობიექტურ, კონკრეტულ ჰემმარიტებას, რო-  
მელიც, როგორც ითქვა, მუდმივ განვითარებაში იმყოფება; ყოველი  
ჰემმარიტება, როგორც აღინიშნა, განვითარების სისტემაში გარ-  
კვეთილი ადგილის მქონეა, ე. ი. ის სწრაფ და ინახავს მის წინ არსე-  
ბულ ჰემმარიტების მარცვალს და თვითონ ასეთად გამოდგება  
მომავალი ჰემმარიტებისათვის, აბსოლუტური ჰემმარიტებისაჲც.  
მისწრაფების დროს. ჰემმარიტება ამ მოხსნა-შენახვა-დაქვემდებარე-  
ბაშია. როგორც სინამდვილეშია ასეთი დამოკიდებულება, ისე ჰემმა-  
რიტ შემეცნებაშიც. აქ ერთი ცნება, კატეგორია მეორესა ხსნის და იქ-  
ვემდებარებს და განსხვავებულთა ეს ერთიანობა არის კონკრეტული.  
მაგ., „კაპიტალ“-ში საქონელს ფული ხსნის და ინახავს, ფულს კი კა-  
პიტალი და ა. შ. (აქ, ცხადია, ისეთი მოხსნა-შენახვა არ არის, როცა  
ერთის არსებობის დროს მისი წინამავალი არ შეიძლება არსებობდეს).  
ლოგიკური კატეგორიები და აზროვნების ფორმები ასეთ ურთიერთ-  
კავშირში უნდა იყვნენ, როგორც ამას ენგელსი მოითხოვს. ლოგიკი-  
საოვის სწორედ ეს ურთიერთკავშირია დამახასიათებელი. მსჯელო-  
ბათა სახეებისა და დასკვნათა სახეების ასეთი სუბორდინაცია კონკ-  
რეტულია თავისი ბუნებით<sup>4</sup>.

კონკრეტული მრავალი განსაზღვრების ერთიანობაა. აქ არსე-  
ბითია წინააღმდეგობის, დაპირისპირებულთა ერთიანობა. დაპირის-  
პირება-წინააღმდეგობა ამოსწურავს დაბოლოებული განსაზღვრუ-  
ლობების დამოკიდებულებას და წინააღმდეგობის ერთიანობა და-  
ბოლოებულის და დაუბოლოებელის ერთიანობას წარმოადგენს. იგი  
ყველაზე უკონკრეტულესია. ჰემმარიტებაც, როგორც გავარკვიეთ,

<sup>1</sup> В. И. Ленин, Философские тетради стр. 169.

<sup>2</sup> В. И. Ленин, Соч., т. 32, стр. 72.

<sup>3</sup> კ. მ. ა. რ. ს. პოლიტიკური ეკონომიის კრიტიკისათვის. გვ. 281.

<sup>4</sup> ფ. ენგელსი, ბუნების დიალექტიკა. გვ. 229. (ეს საკითხი საქიროებს  
სპეციალურ გამოკვლევას. რომელიც, ვფიქრობთ, ამ შრომაში მიღებულ შე-  
დეგებს უნდა დაემყაროს).

დაპირისპირებულთა ერთიანობაა; ამაშია სწორედ მისი კონკრეტულობა. ამიტომია იგი საგნის არსების გამომხატველი და მას თავისებური და სრული ლოგიკური ბუნებაც გააჩნია. როგორც ვნახეთ, კონკრეტულ ჰეგელმარტივებას ერთმხრივად სწორი მსჯელობები კი არ გამოხატავენ, არამედ მათი გამმართლებელ-დამსაბუთებელი ერთიანობა, რომელიც დაუბოლოებელის ამსახველი აუცილებელი სინთეზური კავშირის, ამ აზრით, დასკვნის სახით არსებობს.

### 3. ცნებათა დიალექტიკის შესახებ.

ა) ცნებათა დიალექტიკის აუცილებლობა ჰეგელმარტივებისათვის. თუ აზროვნების ფორმებს შინაარსისაგან დამოუკიდებლად განვიხილავთ, მაშინ ისინი ვერ მოიცავენ ჰეგელმარტივებას; ასეთი ცარიელი ფორმები ყოველგვარი სოფისტის იარაღად გამოდგებიან<sup>1</sup>. ჰეგელმარტივების კონკრეტულობა იმაში მდგომარეობს, რომ საგანთა დიალექტიკა ცნებათა დიალექტიკაში აისახება; ვ. ი. ლენინი ამტკიცებს, რომ საგანთა დიალექტიკა ცნებათა დიალექტიკას ქმნის<sup>2</sup>. ცნებები უძრავნი არ არიან, არამედ თვითონ წარმოადგენენ გადასვლებს (...понятия не неподвижны; а—сами по себе, по своей природе=переход)<sup>3</sup>. ძველ ლოგიკაში კი საერთოდ არ არის გადასვლები; В старой логике перехода нет, развития (понятий и мышления), нет „внутренней необходимой связи“ всех частей и „перехода“ одних в другое<sup>4</sup>. ცნებათა გადასვლები მთავარი შინაარსია ლოგიკისა<sup>5</sup>. ცნებები მოქნილნი უნდა იყვნენ, მათი მოქნილობა უნდა მიდიოდეს და მიდრს დაპირისპირებულთა ერთიანობამდე<sup>6</sup> ამიტომ ცნებებში დიალექტიკურად აისახება ბუნება<sup>7</sup> და ლოგიკა არ არის მეცნიერება აზროვნების მხოლოდ გარეგან ფორმებზე<sup>8</sup>.

ფ. ენგელსი და ვ. ი. ლენინი სრულიად გარკვევით ასაბუთებენ, რომ თუ ძველი ლოგიკა აზროვნების ფორმებს აღწერს, დიალექტიკური ლოგიკისათვის ეს აღწერა სრულიადაც არ არის საკმარისი. იგი არა მარტო აღწერს, არამედ არკვევს აზროვნების ფორმების ურთიერთკავშირს, მათ განვითარებას, მარტივიდან რთულზე გადასვლას<sup>9</sup>. ვ. ი. ლენინი აღნიშნავს, რომ ამგვარი განხილვა აზროვნების

<sup>1</sup> В. И. Ленин, Философские тетради, стр. 67.

<sup>2</sup> იქვე, გვ. 169.

<sup>3</sup> იქვე, გვ. 196.

<sup>4</sup> იქვე, გვ. 71.

<sup>5</sup> იქვე, გვ. 169.

<sup>6</sup> იქვე, გვ. 84.

<sup>7</sup> იქვე, გვ. 266.

<sup>8</sup> იქვე, გვ. 66.

<sup>9</sup> ფ. ენგელსი, ბუნების დიალექტიკა, გვ. 229.



ნების ფორმებისა მათ კეშმარიტებასთან კავშირს წარმოადგენს“.  
„...Не только описание форм мышления..., но и соответствие с истиной... В таком понимании логика совпадает с теорией познания“<sup>1</sup>.

თუ ყველაფერი ვითარდება, როგორც ამას დიალექტიკა გვასწავლის, მაშინ ცნებებიც უნდა განვითარდნენ, ე. ი. უნდა გვექონდეს ცნებათა დიალექტიკა. ცნებათა დიალექტიკის შესაძლებლობის უარყოფელი კეშმარიტების ბუნების უარყოფელიცაა. ცნებათა დიალექტიკის უარყოფა მათი სინამდვილესთან კავშირის უარყოფას წარმოადგენს. სინამდვილესთან კავშირი სწორედ ცნებათა დიალექტიკის საშუალებითაა შესაძლებელი. თუ ცნებები არ მოძრაობენ, ე. ი. ერთიმეორეში არ გადადიან, მაშინ ისინი ვერ ასახავენ სინამდვილეს. ლენინი წერს: ...если все развивается, то относится-ли сие к самым общим понятиям и категориям мышления? — Если нет, значит, мышление не связано с бытием. Если да, значит есть диалектика понятий...<sup>2</sup>. და შემდეგ: Человеческие понятия не неподвижны, а вечно движутся, переходят друг в друга..., без этого они не отражают живой жизни...<sup>3</sup>

იმის დასადასტურებლად, რომ მატერიალისტური დიალექტიკა ცნებათა დიალექტიკას აღიარებს და, რომ ცნებათა დიალექტიკის მატერიალისტურ-დიალექტიკური ვაგება ჰეგელის ცნებათა დიალექტიკის სრულიად საწინააღმდეგოს წარმოადგენს (მარქსის დიალექტიკის და ჰეგელის დიალექტიკის მსგავსების იგივეობად მიჩნევა, როგორც ცნობილია, მარქსიზმის რევიზიონისტებისათვისაა დამახასიათებელი), მოვიყვანოთ ერთი ამონაწერი. ფ. ენგელსის „ლუდვიგ ფოიერბახი...“-დან: ფ. ენგელსი წერს: „ჰეგელის მიხედვით, ბუნებასა და ისტორიაში გამომქლავებული დიალექტიკური განვითარება, ე. ი. მიზეზობრივი კავშირი წინსვლისა, რომელიც, ყოველი გადახვევ-გაღმობხვევისა და დროებითი უკანდახვევის მიუხედავად, დაბალი საფეხურიდან მაღალზე ადის, მხოლოდ ცნების პროგრესიული თვითმოძრაობის ასახვას წარმოადგენს, ეს თვით-მოძრაობა დასაბამიდან ხდება, არაეინ იცის სად, მაგრამ ხდება, ყოველ შემთხვევაში, ჰავსებით დამოუკიდებლად ყოველი მოაზროვნე ადამიანის ტვინისაგან. საჭირო იყო ამ იდეოლოგიური უკუღმართობის გასწორება. ჩვენ ხელახლა მატერიალისტურად შევხედეთ ჩვენს თავში არსებულ ცნებებს, განვიხილეთ ისინი როგორც ნამ-

1 В. И. Ленин, Философские тетради, стр. 150.

2 იქვე, გვ. 239.

3 იქვე, გვ. 237.

დვილი საგნების ასახვა, იმის მაგივრად, რომ ნამდვილი საგნები აბსოლუტური ცნების ამა თუ იმ საფეხურის ასახვად მიგვეჩინია. ამათ დიალექტიკა გადაიქცა მეცნიერებად, როგორც გარეგანი სამყაროს, ისე ადამიანური აზროვნების მოძრაობის ზოგადი კანონების შესახებ; ესაა კანონების ორი რიგი, რომელნიც არსებითად იდენტურნი არიან, გამოხატულებით კი განსხვავდებიან მხოლოდ იმდენად, რამდენადაც ადამიანის გონებას მათი შეგნებულად გამოყენება შეუძლია, მაშინ როცა ბუნებასა და ღრმად უმეტესად თვით კაცობრიობის ისტორიაშიც ისინი შეუგნებლად, გარეგნული აუცილებლობის სახით, უსასრულო რიგის მოჩვენებით შემთხვევითობათა გარემოცვაში მოქმედებენ. ამრიგად, ცნებათა დიალექტიკა თვით გადაიქცა მხოლოდ ნამდვილი სამყაროს დიალექტიკური მოძრაობის ცნობიერ ანარეკლად (ხაზი ჩემია. ს. წ.), და ამით ჰეგელის დიალექტიკა ყირამალა გადატრიალდა, ანუ, უკეთ რომ ვთქვათ, ყირამალა გადატრიალებული ფეხზე დადგა“<sup>1</sup>.

ჩვენ აქ მხოლოდ ერთი გვინდოდა აღგვეჩინა, სახელდობრ, ის, რომ აუცილებელია ცნებათა დიალექტიკა, რათა ცნებებმა ასახოს სინამდვილე, ე. ი. ჰეგელიანების დიალექტიკურობა აუცილებელია, წინააღმდეგ შემთხვევაში, თვითონ ასახვა, ე. ი. ჰეგელიანობა, არ გვექნებოდა. მეორე მხრით, საგანთა დიალექტიკა ცნებათა დიალექტიკის, ცნებათა სუბორდინაცია-დაქვემდებარების, ე. ი. ლოგიკური საფუძველ-შედგენის გარკვეული დამოკიდებულების რეალურ საფუძველს წარმოადგენს<sup>2</sup>.

მაშასადამე, ჩვენ აქამდე სამი რამ გავარკვეით: 1) ლოგიკური ისტორიულის ასახვას წარმოადგენს; საერთოდ ისტორიულის და განვითარებაში მყოფის არსება წინააღმდეგობის ერთიანობა; ლოგიკურის მიერ ისტორიულის ასახვა მისი არსების ასახვას ნიშნავს, ლოგიკური წინააღმდეგობის ერთიანობის (როგორც საერთოდ საგნის არსების) ასახვას წარმოადგენს; 2) ეს ასახვა შესაძლებელია მაშინ, თუ თვითონ იგი (ასახვა), ე. ი. ჰეგელიანობა, არის წინააღმდეგობის ერთიანობის ბუნების, თუ ისიც, როგორც სინამდვილის ამსახველი, თვითონ ექვემდებარება წინააღმდეგობის ერთიანობის კა-

<sup>1</sup> კ. მარქსი, ფ. ენგელსი, რჩეული ნაწერები, ტ. II, გვ. 465.

<sup>2</sup> აღნიშნულის საფუძველზე უნდა გადაწყდეს, როგორც აქ მოყვანილი დებულებებიდან ჩანს, ფორმალური ლოგიკის და დიალექტიკური ლოგიკის დამოკიდებულება, მაგრამ ეს საკითხი აქ უშუალოდ არ იქნება ჩვენ მიერ გარჩეული, იგი თვისთვად ცალკე საკითხია, თუმცა გამომდინარე იქიდან, რაც აქ აღნიშნა. საკვრელია, თუ როგორ ახერხებს ზოგიერთი საბჭოთა ლოგიკოსი იმის თქმას, რომ ლოგიკური აზროვნება არაა დიალექტიკური, მაშინ როცა მათთვის ცნობილია ფ. ენგელსის და ვ. ი. ლენინის ზემოთ მოყვანილი დებულებები.

ნონს. 3) დიალექტიკური სინამდვილის ასახვა ცნებათა დიალექტიკას აუცილებლობით მოითხოვს.

აზრი, რომელიც საგნის არსებას ასახავს, არის ცნება; მაშასადამე, ზემოთ გარკვეულის საფუძველზე უნდა დავასკვნათ, რომ ცნება თვითონ არის ჭეშმარიტება, რომ შეიძლება, წინააღმდეგ არისტოტელის გაგებისა, ცნების ჭეშმარიტება-შეცდომაზე ლაპარაკი. ცნება, როგორც საგნის არსების ასახვა, არის ჭეშმარიტება. მაგრამ რადგან ჭეშმარიტება საპირისპირო მსჯელობათა ერთიანობაა, ამიტომ უნდა ითქვას, რომ ცნება მსჯელობა-დასკვნის შედეგს წარმოადგენს. მხოლოდ ამგვარად გაგებული ცნების ჭეშმარიტების შესახებ შეიძლება ლაპარაკი.

სინამდვილის ჩვენს ცნობიერებაში ასახვის, ე. ი. ჭეშმარიტების ბუნება, როგორც გავარკვიეთ, დიალექტიკურ-ლოგიკურია, საგანთა დიალექტიკის ასახვა მხოლოდ ცნებათა დიალექტიკით შეიძლება. ახლა საკითხავია, თუ როგორია დიალექტიკურ-ლოგიკურის ბუნება, რომელიც წინააღმდეგობის ერთიანობაში უნდა მღვდმარეობდეს? დიალექტიკურის მომენტები თვითონ თუ არიან დიალექტიკურ ერთიანობაში? როგორია თვითონ დიალექტიკის ცნება? უკეთ, როგორია დიალექტიკის ნიშანთა ურთიერთკავშირის ლოგიკური? ამ კითხვებზე პასუხი არსებითად სწორედ იმას გაგვირკვევს, თუ როგორ უნდა გვესმოდეს ცნებათა დიალექტიკური კავშირი — ცნებათა დიალექტიკა.

ბ) დიალექტიკის ცნების დიალექტიკურობა. სინამდვილე დიალექტიკურ განვითარებაშია. ყოველი საგნის და მისი განვითარების არსებას წინააღმდეგობის ერთიანობა წარმოადგენს. მისი ასახვაც, როგორც ვნახეთ, დიალექტიკურია, ე. ი. წინააღმდეგობის კანონს ექვემდებარება. სინამდვილის დიალექტიკა დიალექტიკურ-ლოგიკურით აისახება. თუ სინამდვილე დიალექტიკურია, მაშინ დიალექტიკის ამსახველი ცნებაც, სახელდობრ, დიალექტიკის ცნებაც (ცნება ლოგიკურის უზოგადესი ფორმაა) დიალექტიკური უნდა იყოს. დიალექტიკურ-ლოგიკურის თავისებურებას, პირველ რიგში, თვითონ დიალექტიკის ცნების ბუნების გარკვევა, ამ ცნების ლოგიკური ბუნების გაგება დაგვიხასიათებს. დიალექტიკის ცნების განსაზღვრების ბუნების გარჩევა გაგვაგებინებს ლოგიკურის ბუნებას, ცნების და მისი განსაზღვრების დიალექტიკურ-ლოგიკურ ხასიათს და მოგვცემს გასაღებს მსჯელობისა და დასკვნის ბუნების სრული მეცნიერული სახით წარმოდგენისათვის. ჩვენი შრომის მთავარი ამოცანის გადაწყვეტისათვის სწორედ ამ „გასაღების“ გარკვევაა მთავარი.

დიალექტიკის ცნება ობიექტური დიალექტიკის ჩვენს ცნობიერებაში ასახვათა თვისი უზოგადესი ლოგიკური ფორმით. დიალექტი-

კის ძირითადი ნიშნების დახასიათება სწორედ დიალექტიკის ცნების შინაარსის გარკვევაა. ცნების ნიშნები ცნების შინაარსია, რომლის გარკვევა, როგორც ცნობილია, ცნების განსაზღვრებას წარმოადგენს. დიალექტიკის ნიშნების გარკვევა დიალექტიკის ცნების განსაზღვრებას გვაძლევს.

თუ ჩვენ დიალექტიკის ცნების ნიშნებს ზერელედ წარმოვიდგენთ, ე. ი. მას ნიშანთა თავმოყრას, ჯამს, ნიშანთა ერთობლიობას გავუიგივებთ, მაშინ დიალექტიკის ცნების ფორმალურ-ლოგიკურ გაგებას მივიღებთ. ძველი, ფორმალური ლოგიკა ხომ ცნების განსაზღვრების დროს ამ ცნების ნიშნებს ჩამოთვლის და ამით კმაყოფილდება. ცნების ასეთი განსაზღვრება არ არის საკმარისი, იგი მის (ცნების) სრულ განსაზღვრებას არ წარმოადგენს. ცნების ნიშნების ამგვარი ჩამოთვლა აუცილებელია, მაგრამ არ არის საკმარისი. ცნების ნიშნების ჩამოთვლა თვითონ გულისხმობს ამ ნიშანთა ბუნების გარკვევას. ეს უკანასკნელი კი მხოლოდ იმას ნიშნავს, რომ, უპირველეს ყოვლისა, გაირკვეს ამ ნიშანთა ურთიერთკავშირი, რადგან ცნება ნიშნები კი არაა, არამედ ნიშანთა ერთიანობა; ნიშანი შეიძლება ბევრი იყოს, ცნება კი ერთია; ამავე დროს, თითოეული ნიშანიც ხომ ცნებაა? ამიტომ თუ ღრმად ჩავწვდებით დიალექტიკის ნიშნების ბუნებას, მაშინ ნათლად დავრწმუნდებით, რომ იგი ცნების შინაარსის და მისი განსაზღვრების თვისობრივად ახალი გაგების საფუძველს გვაძლევს. ეს კი დიალექტიკურ-ლოგიკურის თავისებურებას დაგვიხასიათებს.

ფორმალური ლოგიკა ყურადღებას არ აქცევს იმას, თუ როგორი კავშირია ცნების ნიშანთა შორის; მისთვის ცნების შინაარსი არსებით ნიშანთა ჯამს, უკეთ, მათ ერთობლიობას წარმოადგენს და მეტს არაფერს. თუმცა, ამავე დროს, ნაგულისხმევია მთავარი, სახელდობრ, ნიშანთა ერთიანობა, ერთი ცნების ერთი გარკვეული განსაზღვრულობა, ერთი გარკვეული შინაარსი. ყოველი ნიშანი განსაზღვრულობაა, მაგრამ ნიშნები ცნების ერთ განსაზღვრულობას უნდა ახასიათებდნენ. ძველ, ფორმალურ ლოგიკას ეს გარემოება ნაგულისხმევი აქვს, რადგან იგი სწორედ ერთი ცნების ერთი განსაზღვრულობის მოცემას ცდილობს. მაშასადამე, ცნების ფორმალურ-ლოგიკური განსაზღვრება თავისებური, სახელდობრ, ისეთი ენთიმემური ხასიათისაა, რომ აზრობრივად ნაგულისხმევი და ასევე გამოუთქმელი აქვს ის, რაც მთავარია, სახელდობრ, ნიშანთა ერთიანობა, რომელსაც ცნება წარმოადგენს. ძველი, ფორმალური ლოგიკა უყურადღებოდ სტოვებს ნიშანთა გარკვეულ ლოგიკურ კავშირ-თანამიმდევრობას, რომელსაც არსებითი მნიშვნელობა აქვს ცნების ლოგიკური ბუნების და საერთოდ ლოგიკურის ბუნების გაგებისათვის.

დიალექტიკის ცნების ნიშანთა შორის სრულიად გარკვეული ურთიერთკავშირი და თანმიმდევრობა არსებობს, რომლის გათვალისწინების გარეშე დიალექტიკის ცნება არ იქნება ბოლომდე მოაზრებული. დიალექტიკის ცნების ძირითად ნიშანთა კავშირი-თანმიმდევრობა თვითონ არის დიალექტიკური ხასიათის: 1) თვითონ ნიშანთა შორის არის გარკვეული ურთიერთკავშირი და გაპირობება; 2) ეს კავშირი ერთგვარ განვითარებას, ნამდვილ ლოგიკურ განვითარებას წარმოადგენს; 3) ყოველი ახალი ნიშანი წინა ნიშნიდან მიიღება, როგორც მართლაც ახალი, უფრო მაღალი, ღრმა და კონკრეტული, თავისებური თვისობრიობის მქონე ნიშანი; 4) ყოველი ნიშნის არსებას, და ამიტომ მთელი დიალექტიკის არსებას, წინააღმდეგობის ერთიანობა წარმოადგენს; ეს უკანასკნელი, არსებითად თვითონაა დიალექტიკა.

მართლაც, თუ დიალექტიკის პირველ ნიშანს ავიღებთ ცალკე, აბსტრაქტულად და ვიტყვი, რომ მოვლენათა შორის არის მკაცრი ურთიერთკავშირი, ურთიერთგაპირობება და ყველაფერი მკაცრი აუცილებლობით არის შეკრული, მაშინ მთელი მსოფლიო წარმოგვიდგება, როგორც მკვდარი, შებოჭილი, მოძრაობისა და განვითარების გარეშე მყოფი. ასეთ შემთხვევაში ჩვენ გვექნება უძრაობის და უცვლელობის მდგომარეობა, ე. ი. ვიდგომებით მეტაფიზიკურ თვალსაზრისზე. ამიტომ მოვლენები განხილულ უნდა იქნეს არა მარტო მათი ურთიერთკავშირის თვალსაზრისით, არამედ მათი მოძრაობის, განვითარების თვალსაზრისითაც.

ამრიგად, პირველი ნიშანი დიალექტიკის აუცილებელი ნიშანია, მაგრამ იგი სრულიადაც არ არის საკმარისი; მისი ცალკე წარმოდგენა, მისთვის აბსოლუტური მნიშვნელობის მიცემა დიალექტიკის უარყოფა იქნებოდა. მაშასადამე, დიალექტიკის პირველ ნიშანს ახასიათებს ისეთი რამ, რომლის აბსოლუტურად წარმოდგენა დიალექტიკას გააუქმებდა. დიალექტიკის პირველ ნიშანს, როგორც გარკვეულ განსაზღვრულობას, შინაგანი საწინააღმდეგო თვისება აქვს, რომელიც მის არასაკმარისობას, მის ნაკლს, უარყოფას წარმოადგენს. ამიტომ ამ ნაკლის მოხსნა შემდეგი, მეორე ნიშნით ხდება, ამით იგი გამართლებას პოულობს და დიალექტიკის პირველ ნიშანად წარმოსდგება.

ფილოსოფიის ისტორიამ იცის მრავალი შემთხვევა, როდესაც ერთისა და სიმრავლის დამოკიდებულების, მსოფლიოს მთლიანობისა და მოვლენათა ურთიერთკავშირის პრობლემის გადაწყვეტის ცდები, ყალბ ნიადაგზე დგომით, სრულიად უშედეგოდ დამთავრებულია. ნათელი გამხდარა, რომ მოვლენათა შორის ურთიერთკავშირი შეუძლებელია, თუ მრავალ მოვლენას ერთი რაღაც არ უძევს

საფუძვლად. მაგრამ ერთის და სიმრავლის ამ დამოკიდებულების გარკვევის დროს ან მხოლოდ ერთი იყო ნამდვილად არსებულად მიჩნეული, ან მრავალი; — ნათელი გამხდარა, რომ ურთიერთკავშირი შეუძლებელია განვითარების გარეშე, — გაჩერებულად მოცემულ ცალკეულ მოვლენათა დაკავშირება შეუძლებელია; სიძნელის გადასაწყვეტად ხშირად ან დმერთის ძალას მიმართავდნენ, ე. ი. საკითხის მეცნიერულად გადაწყვეტის შესაძლებლობას უარყოფდნენ, ანდა — ქვეყანას აგრეგატად წარმოიდგენდნენ, ე. ი. მთლიანობასრულიად უარყოფილი გამოდიოდა. შეუძლებელია ურთიერთკავშირი და მისი დასაბუთება, თუ იგი განვითარებით არ არის შესრულებული, — თუ იგი განვითარებაში არ მდგომარეობს.

თუ იმას ვიტყვი, რომ განცალკევებული მოვლენები აუცილებლობით უკავშირდება ერთიმეორეს რაღაც მათგან განსხვავებული საერთოს ძალით, მაშინ თვითონ ამ საერთოს და მოვლენების კავშირისათვის იქნებოდა ახალი საერთო მოსაძებნი და ა. შ. უსასრულოდ. თუ მოვლენები წინასწარ მოცემული აუცილებლობით, ფატალური აუცილებლობით არიან დაკავშირებული, მაშინ თვითონ მოვლენათა კავშირი სრულიად შემთხვევითი გამოგვივა. როგორც მატერიალისტური დიალექტიკა გვასწავლის, მხოლოდ აუცილებლობა იგივე შემთხვევითობაა და პირიქით.

მოვლენათა მთლიანობის აღიარება მხოლოდ მაშინ იქნება მეცნიერული, თუ ეს მთლიანობა თვითონ მოვლენების შინაგანი ბუნებიდან გამოდის. მოვლენათა შინაგანი კავშირი მხოლოდ მაშინ შეიძლება განხორციელდეს და არსებობდეს, თუ ერთი მოვლენა თავისი არსებით მეორე მოვლენად გადაიქცევა. ურთიერთკავშირი შესაძლებელია მხოლოდ მაშინ, როცა ერთი მოვლენა მეორესთან დაკავშირებულია იმით, რომ ერთი მოვლენა მეორეში გადადის; სწორედ გადასვლები წარმოადგენენ ურთიერთკავშირებს.

მაგრამ ეს გადასვლები უნდა წარმოდგენილ იქნენ არა როგორც ერთიმეორისაგან მოწყვეტილ მოვლენათა გადასვლები, რაც განუხორციელებელია, არამედ როგორც ერთი მოვლენის სხვა და საპირისპირო მოვლენად გადაქცევა, ერთის საპირისპიროდ გახდომა. მრავალი მოვლენის მთლიანობა იმით არის შესაძლებელი, რომ ერთი თავის საკუთარ განვითარებაში მრავალ საკუთარ საფეხურს დაადგენს. მაგალითად, საზოგადოების განვითარების წარმოების წესით განსაზღვრულ საფეხურებს აზრი აქვთ მხოლოდ ერთიმეორის შემდეგ და შედეგად; ისინი საზოგადოების განვითარების პროგრესულ საფეხურებს წარმოადგენენ<sup>1</sup>. ეს საფეხურები მხოლოდ ერ-

<sup>1</sup> კ. მარქსი. პოლიტიკური ეკონომიის კრატისათვის, გვ. 11.

თიმეორეში გადასვლით არიან ერთმანეთთან დაკავშირებული. ერთი მეორეს წარმოშობს, მეორე პირველს ხსნის დიალექტიკურად. სხვაგვარი კავშირი მათ შორის არ არსებობს. ბურჟუაზიულ-დემოკრატიული რესპუბლიკის მოთხოვნა 1905 წელს რუსეთში სრულიად მართებული იყო, რადგან იგი მოასწავებდა ნაბიჯს წინ, მას თვითონ ისტორია მოითხოვდა, სსრ კავშირის პირობებში მისი მოთხოვნა კი უაზრო და კონტრარევოლუციურია. ასე ითქმის ყოველ მოვლენაზე სინამდვილეში, რადგან ყველაფერი განვითარებაში იმყოფება.

ბუნება, სინამდვილე უსასრულო განვითარებაში მყოფ მოვლენათა სისტემას წარმოადგენს; ამ სისტემაში თითოეულ მოვლენას თავისი ადგილი აქვს; ყოველი მოვლენის შემეცნება არის იმ ადგილის მონახვა, რომელიც მას სხვა მოვლენებთან ურთიერთკავშირში უჭირავს. „თუ ჩვენ ცალ-ცალკე ერთმანეთს შევადარებთ... ორ უკიდურესად განსხვავებულ საგანს, — მაგალითად, რომელიმე მეტეორიტსა და რომელიმე ადამიანს, მაშინ ჩვენ მათ შორის ძალიან ცოტა რამეს აღმოვაჩინებთ საერთოს... მაგრამ ამ ორ საგანს შორის არსებობს ბუნების საგანთა და პროცესთა უსასრულო რიგი, რომლებიც ჩვენ ნებას გვაძლევენ შევავსოთ რიგი მეტეორიტიდან ადამიანამდე და რიგის თითოეულ წევრს თავისი ადგილი მივუჩინოთ ბუნების კავშირსა და სისტემაში და ამრიგად შევიმეცნოთ ისინი“<sup>1</sup>.

მაგრამ მოვლენათა ურთიერთკავშირის სისტემა თვითონ მოითხოვს ახსნას, რომელიც იმაში მდგომარეობს, რომ განვითარების პროცესში ერთის მეორეში გადასვლა თვითონ ქმნის ასეთ სისტემას, რომელიც უსასრულობას წარმოადგენს. ამიტომ უნდა ითქვას, რომ დიალექტიკის პირველ ნიშანს მხოლოდ მეორე ნიშნით აქვს აზრი, პირველი ნიშნის საფუძველი და შესაძლებლობა მეორე ნიშანშია. პირველი ნიშანი მეორე ნიშანშია მოხსნილი და შენახული. პირველი ნიშანი მეორე ნიშნის მხოლოდ ერთი მხარეა. რომელიმე მოვლენის ის მხარე, რომელიც ამ მოვლენის მოხსნასა და ახალში გადასვლას მოითხოვს და, მაშასადამე, კავშირის საფუძველს წარმოადგენს, არის ამ მოვლენის არსებითი და უძლეველი (თვით სხვის დამძლევი) მხარე. მაგ., პროლეტარიატი კაპიტალიზმში ასეთ უძლეველ ძალას წარმოადგენს.

შეიძლება თქვან, რომ დიალექტიკის ნიშნების გარჩევის დროს მოვლენათა ურთიერთკავშირზე ლაპარაკობენ და არა აზრთა ურთიერთკავშირზე, რომ აქ ლოგიკის პრობლემა სრულიადაც არ არის დასმული. ასეთი გაგება უსათუოდ ყალბი გაგებაა საქმის ვითარებისა. ასეთი გაგების შემთხვევაში ლოგიკას სინამდვილის შემსწავ-

<sup>1</sup> ფ. ენგელსი. ბუნების დიალექტიკა, გვ. 239.

ლელ მეცნიერებასთან არავითარი კავშირი არ ექნება. ნამდვილად კი დიალექტიკა თვითონ არის ლოგიკა და ერთადერთი ჭეშმარიტი ლოგიკა, რომელიც არა მარტო აზრის ფორმებს სწავლობს, არამედ ამ ფორმათა განმსაზღვრელ შინაარსს; ფორმისა და შინაარსის მოწყვეტა ერთსაც გაუგებარს გახდის და მეორესაც, რადგან ფორმა სწორედ შინაარსის ფორმაა. ჭეშმარიტი აზრის შინაარსი სხვა არაფერია, თუ არა ასახული მატერიალური სინამდვილე. დიალექტიკის ნიშნები უნივერსალური ნიშნებია ყველა მოვლენისათვის: როგორც ბუნებისა და საზოგადოების, ისე (და ამიტომ) აზროვნებისთვისაც. დიალექტიკა არის მეცნიერება ბუნების, საზოგადოებისა და აზროვნების განვითარების უზოგადესი კანონების შესახებ<sup>1</sup>.

აქ აღნიშნული გარემოება, როგორც ითქვა, სრულიადაც არ არის სინამდვილის და აზროვნების გაიგივება, პირიქით, აზროვნების და სინამდვილის კანონების ერთიმეორისაგან მოწყვეტა მიგვიყვანდა ასეთ გაიგივებამდე. თუ აზროვნებას სრულიად სხვა, აბსოლუტურად განსხვავებული კანონები აქვს, ვიდრე სინამდვილეს, მაშინ სრულიად გაუგებარი იქნებოდა სინამდვილე აზრისათვის და მხოლოდ აზროვნების კანონების სინამდვილის, ერთადერთი ჩვენთვის გასაგები სინამდვილის კანონებად გადაქცევა მოგვიხდებოდა. „ჩვენი სუბიექტური აზროვნება და ობიექტური სამყარო ერთსა და იმავე კანონებს ექვემდებარებიან...“<sup>2</sup>. „დიალექტიკის კანონები აბსტრაქტიზებულია ბუნებისა და ადამიანთა საზოგადოების ისტორიიდან. ისინი სწორედ სხვას არაფერს წარმოადგენენ, თუ არა ისტორიული განვითარების ამ ორივე ფაზის უზოგადეს კანონებს, ასევე თვით აზროვნების კანონებსაც“<sup>3</sup>.

ჰეგელის შეცდომა იმაში იყო, რომ მან დიალექტიკის კანონები „განავითარა თავისებური იდეალისტური მანერით როგორც მხოლოდ აზროვნების კანონები“<sup>4</sup>. ფ. ენგელსის „ანტი-დუჟინგში“ „დიალექტიკა განხილულია როგორც მეცნიერება ყოველგვარი მოძრაობის უზოგადესი კანონების შესახებ“<sup>5</sup>. დიალექტიკის კანონები არიან ისეთი კანონები, რომლებიც ბატონობენ ყველგან როგორც სინამდვილეში, ისე აზროვნებაში.

ეს არ ნიშნავს, ცხადია, სინამდვილის და აზროვნების გაიგივებას. მაგ., ურთიერთკავშირს ადგილი აქვს სინამდვილის მოვლენებშიც და აზროვნებაშიც; აზრების აუცილებელი კავშირია სწორედ

<sup>1</sup> ფ. ენგელსი, ანტი-დუჟინგი, გვ. 168.

<sup>2</sup> ფ. ენგელსი, ბუნების დიალექტიკა, გვ. 275.

<sup>3</sup> იქვე, გვ. 51.

<sup>4</sup> იქვე, გვ. 51.

<sup>5</sup> იქვე, გვ. 276.



ლოგიკის საგანი; ურთიერთკავშირი ორივე სფეროში არსებობს, მაგრამ სრულიად თავისებური სახით. მიმზიდველობა გარკვეული კავშირია მოვლენებს შორის, მაგრამ ეს კავშირი სრულიადაც არ არსებობს აზროვნებაში. ეს კი კავშირის აზროვნებაში უარყოფას სრულიადაც არ წარმოადგენს.

სინამდვილე განვითარებას განიცდის; განვითარებაშია აზროვნებაც, მაგრამ ლოგიკური განვითარება, რომელიც ისტორიულის არსებას ასახავს, ცხადია, სხვა ხასიათისაა. ასე ითქმის დიალექტიკის სხვა ნიშნების შესახებ. განსხვავება აზრსა და არსს შორის სრულიადაც არ აუქმებს მათ ერთიანობას, და, პირიქით, მათი ერთიანობა განსხვავების უარყოფას სრულიადაც არ წარმოადგენს.

სინამდვილეში არსებული ურთიერთკავშირი და სისტემა მოვლენებისა უნდა აისახებოდეს აზრთა ურთიერთკავშირში; ენგელსის აზრით, მოვლენის შემეცნება ხომ მისი მოვლენათა სისტემაში ადგილის „მიჩენას“ წარმოადგენს. დიალექტიკური ლოგიკა, წინააღმდეგ ფორმალური ლოგიკისა, აზროვნების ფორმებს ურთიერთკავშირსა და სუბორდინაციაში განიხილავს<sup>1</sup>. ობიექტური დიალექტიკის ნიშანთა კავშირი უნდა აისახოს სუბიექტური დიალექტიკის ნიშანთა კავშირში. დიალექტიკის ნიშანთა ჩამოთვლა ურთიერთკავშირის გარეშე დიალექტიკისადმი ფორმალურ ლოგიკური მიდგომა იქნებოდა. ლოგიკური არის ისტორიულის ასახულობა. დიალექტიკა „იღებს საგნებს და მათს გონებრივ ასახვას (ხაზი ჩემია. ს. წ.) უმთავრესად მათს ურთიერთკავშირში, მათს გადაბმაში, მათს მოძრაობაში...“<sup>2</sup> არა მარტო სინამდვილეშია ურთიერთკავშირი განვითარების გარეშე შეუძლებელი, არამედ აზრი პირველი ნიშნის შესახებ მხოლოდ მეორე ნიშნის შესახებ აზრით და ა. შ. აიხსნება და საბუთდება, რადგან აზრის შინაარსი ობიექტური ხასიათისაა — საგნის ამსახველია.

განვითარების გაგებით შეიძლება ნამდვილი ურთიერთკავშირის გაგება, რადგან ნამდვილი ურთიერთკავშირი მხოლოდ განვითარებაშია. ურთიერთკავშირის შემეცნება უფრო ნაკლები სიღრმისაა, ვიდრე განვითარების გაგება-შემეცნება; უკანასკნელი პირველს ასაბუთებს; განვითარების შემეცნებით უფრო ღრმად ვიმეცნებთ მოვლენებს, ვიდრე მხოლოდ ურთიერთკავშირის გაგებით განვითარების გარეშე. კავშირი, რომელიც დიალექტიკის პირველ და მეორე ნიშანს შორის არსებობს, არის ისეთი კავშირი, რომელიც ბატონობს როგორც სინამდვილეში, ისე მის შემეცნებაში და თვითონ ლოგიკურში — აზრთა აუცილებელ კავშირში. უნივერსალური და ძირითადია

<sup>1</sup> ე. ენგელსი ბუნების დიალექტიკა, გვ. 229.

<sup>2</sup> К. Маркс и Ф. Энгельс, Соч. т. XIV, стр. 23.

დიალექტიკის ნიშნები და მათ შორის კავშირი ყველა მოვლენისათვის, აზროვნებისა და აზრთა ერთიანობისათვის.

ასე ითქმის დიალექტიკის სხვა ნიშანთა კავშირის შესახებ. ცალკე წარმოდგენილი მეორე ნიშანი დიალექტიკისა არ აკმაყოფილებს დიალექტიკის მოთხოვნას. პირიქით, მისი აბსოლუტური გამოცალკეება დიალექტიკას გამოირიცხავს, ნამდვილ დიალექტიკას ეწინააღმდეგება. გაურკვეველობას მივიღებთ, თუ ცვალებადობა-მოძრაობა-განვითარების ნიშანი ცალკე, აბსტრაქტულად იქნა გაგებული. იგი ამ შემთხვევაში, უმთავრესად, განუწყვეტელ პროცესზე მიუთითებს. დიალექტიკის მეორე ნიშანი იმას ამბობს, რომ ურთიერთკავშირი განვითარებაში მდგომარეობს, მაგრამ გარკვეულად არ გამოთქვამს, თუ როგორია განვითარების არსება. თუ განვითარების მხოლოდ განუწყვეტლობას ვაღიარებთ, მაშინ ჩვენ გვექნება არა დიალექტიკური გაგება განვითარებისა, არამედ მეტაფიზიკური<sup>1</sup>. განუწყვეტელი განვითარება ზრდის პროცესია, სადაც გასაზრდელი თავიდანვეა მოცემული.

ეს თვალსაზრისი სრულიადაც ვერ ხსნის ნამდვილ განვითარებას, რადგან ვერ არკვევს სწორედ ახლის წარმოშობას. რაოდენობრივი ცვლილება არის არა ნამდვილი განვითარება, არამედ „განვითარება სიგანეზე“, რომელიც არსებითად განსხვავდება „სიღრმეში განვითარებისაგან“. მაგალითად, 1931 წლისათვის საკოლმეურნეო მშენებლობა ვითარდებოდა არა სიღრმეზე, არა ხარისხობრივად, არამედ სიგანეზე, კოლმეურნეობათა რაოდენობის გადიდების ხაზით. მაგრამ მთავარი თვითონ კოლმეურნეობის, როგორც ახლის, წარმოშობა იყო, რაც როგორც ცნობილია, რევოლუციას (და არა აფეთქებას) წარმოადგენდა ჩვენი საზოგადოების განვითარებაში.

მაშასადამე, დიალექტიკის მეორე ნიშანი აუცილებელია, მაგრამ სრულიადაც არ არის საკმარისი დიალექტიკის ბუნებას გამოსახატავად. მთავარია არა განვითარების უბრალო აღიარება, არამედ იმის გაგება, თუ როგორ ხდება ეს განვითარება. ამაზე დიალექტიკის მესამე ნიშანი პასუხობს. ნამდვილი განვითარება მაშინ კი არა გვაქვს, როცა წრისებური მოძრაობა და განმეორება ხდება, არამედ მაშინ, როცა განვითარება ძირეულ, თვისობრივ ცვლილებებს წარმოადგენს, როცა იგი ნახტომისებურია.

მაშასადამე, მეორე ნიშნის დედაარსი მესამე ნიშანშია, პირველი უკანასკნელის საფუძველზეა შესაძლებელი. უკეთ: დიალექტიკის მეორე ნიშანი განვითარებაა, მაგრამ იგი მხოლოდ მაშინ არის

<sup>1</sup> В. И. Ленин, К вопросу о диалектике (Философские тетради. стр. 327 — 328).

ნამდვილი, მხოლოდ მაშინ არსებობს თავისი ნამდვილი ბუნებით, როცა იგი ახალი თვისობრიობის წარმოშობას წარმოადგენს, როცა იგი ნახტომისებურია. ნახტომები კატასტროფებს და სასწაულებს კი არ წარმოადგენენ, არამედ სრულიად კანონზომიერი ხასიათის არიან, ისინი მზადდებიან თანდათანობითი ცვალებადობით, რიცხობრივად ზრდით, რევოლუცია ევოლუციით მზადდება. რევოლუცია ევოლუციას აგვირგვინებს. ნახტომები არა თუ კატასტროფებს, არამედ ყოველთვის არც აფეთქებას წარმოადგენს.

ეს გარემოება უკვე ახსნას მოითხოვს; საკითხავია, როგორ აიხსნება დიალექტიკის მესამე ნიშანი, რა არის არსება დიალექტიკის მესამე ნიშნისა? რის საფუძველზეა შესაძლებელი რაოდენობრივი ცვლილების თვისობრივ ცვლილებად გადაქცევა? დიალექტიკის მესამე ნიშნის არსების მონახვა და მისი ახსნა ერთი და იგივე იქნება. აუხსნელად დატოვებული თვისობრივად ახლის მიღება, ნახტომი სასწაულის დაშვება იქნებოდა და ისევე მეტაფიზიკის თვალსაზრისზე დავრჩებოდით; მისი ახსნა კი განვითარების ბუნების საბოლოო გარკვევა იქნებოდა, და ამიტომ აღარ დაისმება შემდეგი საკითხი დიალექტიკის კიდევ უფრო ღრმა ნიშნების შესახებ, იმ ნიშნის შესახებ, რომელიც სხვა, ახალი ამხსნელი საფუძველი იქნებოდა; განვითარების არსებას სხვა არსება არ სჭირდება; განვითარების ამხსნელი წყარო უკვე თავისთავადი იქნება; ყოველი სხვა შესაძლებელი ნიშანი მისით აიხსნება, მისი დახასიათება იქნება.

ნამდვილი განვითარების, თვისობრივი ცვალებადობის არსებასა და საფუძველს წინააღმდეგობის ერთიანობა (დიალექტიკის მკოთხე ძირითადი ნიშანი) წარმოადგენს. განვითარება ჰარმონიულად კი არ ხდება, არამედ ჰარმონიის უარყოფით, წინააღმდეგობის გახსნის წესით. შინაგანი წინააღმდეგობა შეადგენს განვითარების პროცესის არსებას. განვითარება არის დაპირისპირებულთა „ბრძოლა“<sup>1</sup>. მხოლოდ ასეთი განვითარებაა თვითგანვითარება, თვითმოძრაობა ე. ი. ისეთი მოძრაობა, როცა წყარო მოძრაობისა არაა გარეთ გატანილი (ღმერთში, სუბიექტში და სხვ.), არამედ შინაგანია<sup>2</sup>. საკუთარი აზრით დიალექტიკა არის შესწავლა წინააღმდეგობისა საგანთა თვით დედაარსში<sup>3</sup>. მოკლედ განმარტებული დიალექტიკა არის დაპირისპირებულთა ერთიანობა. Вкратце диалектику можно определить как учение о единстве противоположностей. Этим будет схвачено ядро диалектики...<sup>4</sup>. ერთიანის გაორება

<sup>1</sup> В. И. Ленин, Философские тетради, стр. 327.

<sup>2</sup> იქვე, გვ. 328.

<sup>3</sup> იქვე, გვ. 237.

<sup>4</sup> იქვე, გვ. 194.

და მისი საწინააღმდეგო ნაწილების შემეცნება არის დიალექტიკის არსება<sup>1</sup>. დიალექტიკა არის მოძღვრება იმის შესახებ, თუ როგორ არიან დაპირისპირებულნი ერთიანობაში, რა პირობებში გადადიან ისინი ერთიმეორეში, — რატომ არ უნდა აიღოს ადამიანის გონებამ ისინი, როგორც მკვდარი, გაყინული, არამედ როგორც ცოცხალი, პირობითი, მოძრავი, ერთიმეორეში გადაქცევადი<sup>2</sup>.

ის გარემოება, რომ დიალექტიკა არსებითად დაპირისპირებულთა ბრძოლა და ერთიანობაა, რომ მეოთხე ძირითადი ნიშანია უძირითადესი (ამიტომ შეიძლება ლაპარაკი სხვა ნიშნებზე, როგორც ძირითადზე), ეხება არა მხოლოდ საგნის არსებას, არამედ იმ ცნებასაც, რომელიც მის ასახვას წარმოადგენს. „რაში მდგომარეობს დიალექტიკა?“ — კითხულობს ლენინი და უპასუხებს: ცნებათა ურთიერთდამოკიდებულებაში, ცნებათა ერთიმეორეში გადასვლაში, ცნებებს შორის დაპირისპირების შეფარდებითობაში, ყოველი ცნების სხვებთან გარკვეულ დამოკიდებულებაში, ცნებათა შორის დაპირისპირებულთა ერთიანობაში<sup>3</sup>.

მაშასადამე, დიალექტიკის ძირითადი ნიშნები არიან უზოგადესი როგორც არსის, ისე აზრისათვის. რაიმეს მოძრაობაში განხილვა არის ამ რაიმეს განსაზღვრება; ნამდვილი, საბოლოო სახით, განსაზღვრება წინააღმდეგობის ერთიანობაა. ეს უკანასკნელია ნამდვილი განვითარების, თვისობრივი განვითარების ამხსნელი. შეიძლება მეტიც ითქვას: რიცხობრიობის თვისობრიობაში და პირიქით გადასვლა დაპირისპირებულთა ერთიანობის მაგალითს წარმოადგენს, როგორც ამას ვ. ი. ლენინი გარკვეულად ასაბუთებს.

ზემოაღნიშნულიდან ნათელი უნდა იყოს, რომ დიალექტიკის მეოთხე ძირითადი ნიშანი სხვა ნიშნების ტოლი ნიშანი კი არაა, არამედ ის კანონიცაა პირველი სამი ნიშნის, რადგან ის მათ ამხსნელ საფუძველს წარმოადგენს. დიალექტიკის ნიშნები, ამავე დროს, კანონებსაც წარმოადგენენ, მაგრამ ნიშნის და კანონის გაიგივება მაინც არ შეიძლება. დიალექტიკის ნიშნები მართლაც ნიშნებია, რადგან ისინი დიალექტიკას გვიხასიათებენ, დიალექტიკის ცნების ნიშნებს წარმოადგენენ; მაგრამ თითოეული მათგანი მოვლენათა

<sup>1</sup> В. И. Ленин, Философские тетради, стр. 327.

<sup>2</sup> Диалектика есть учение о том, как могут быть и как бывают (как становятся) тождественными противоположности, — при каких условиях они бывают тождественны, превращаясь друг в друга, — почему ум человека не должен брать эти противоположности за мертвые, застывшие, а за живые условные, подвижные превращающиеся одна в другую (В. И. Ленин. Философские тетради, стр. 83).

<sup>3</sup> იქვე. გვ. 170.

ახსნის დროს კანონის როლში გამოდის, იგი კანონს წარმოადგენს, როცა მის საფუძველზე სხვა აიხსნება, როცა რაიმე მას ახორციელებს და ექვემდებარება. ასე ითქმის თვითონ დიალექტიკის ნიშანთა ურთიერთკავშირის შესახებაც. ამ ურთიერთკავშირის არსება თვითონ დაპირისპირებულთა ერთიანობაა.

თუ ერთი მოვლენა მეორით აიხსნება, მაშინ ურთიერთკავშირი კანონია, რომლის მიხედვით მოვლენები აიხსნებიან; მოვლენებს მხოლოდ ურთიერთკავშირში არსებობა შეუძლიათ და ამიტომ მათი შემეცნებაც მათ ურთიერთკავშირში გაგებას უძღრის. თვითონ ურთიერთკავშირი ერთის მეორეში გადასვლა-განვითარებით აიხსნება; ამიტომ განვითარება თვითონ არის არსება და ამსახველი კანონი ურთიერთკავშირისა. განვითარებებს ამხსნელი კი თვისობრივად ახლის წარმოშობაა, რომელსაც, საბოლოოდ, დაპირისპირებულთა ერთიანობა გვირკევეს. ამიტომ მთელი დიალექტიკა არსებითად დაპირისპირებულთა ერთიანობაა. თუ კი დიალექტიკის სხვა ნიშნები არსებობენ, ისინი ამხსნელი კი არ იქნებიან მეოთხე ძირითადი ნიშნისა, არამედ სწორედ მასზე დამყარებული და მისით ახსნილი. წინააღმდეგობის ერთიანობა ყველაფრის ამხსნელია, განვითარების წყარო და უძირითადესი კანონია. იგი თვითონ არ საჭიროებს სხვა რაიმეს საფუძვლად (როგორც საფუძველსაც ჰეგელი აბსოლუტის უცნაურ უნარში ეძებდა და დიალექტიკის დედაარსს მისტიკაში ახვევდა: ჰეგელის აზრით, თვითონ წინააღმდეგობა არის შედეგი აბსოლუტის თვითშემეცნების მისტიკური უნარისა).

როგორც ეს წინააღმდეგობის ბუნების განხილვის დროს გავარკვიეთ, საწინააღმდეგონი ერთიმეორეს აბოლოებენ ისე, რომ დაბოლოებულის ბუნებას ამოსწურავენ და თვითონ ერთიანობა დაპირისპირებულთა დაუბოლოებელის მომენტს წარმოადგენს, ამიტომ წინააღმდეგობის ერთიანობა თავისთავადია; დაუბოლოებელი არის ის, რომლის შინაგანი უარყოფა მას ასაბუთებს. ამიტომ მის საფუძველად კიდევ სხვა რაიმეს აღიარება მისი დაბოლოება იქნებოდა და ასეთის ცდა შეუძლებლობის მეტს არაფერს არ მოგვეცემდა. ამრიგად, არ არსებობს დიალექტიკის ისეთი ძირითადი ნიშანი, რომელიც წინააღმდეგობათა ერთიანობის საფუძველი და ამხსნელი შეიძლება იყოს.

ეს არ ნიშნავს, ცხადია, იმას, რომ დიალექტიკას საერთოდ ოთხ ნიშანზე მეტი არ შეიძლება ჰქონდეს, არა, ეს მხოლოდ იმას ნიშნავს, რომ წინააღმდეგობის ერთიანობის ნიშანი ყველა შესაძლებელი ნიშნის ამხსნელია; იგი უძირითადესია ყველა ნიშანს შორის, რომელთაგან ოთხი ძირითადია (ამათში ერთი უძირითადესი), დანარჩენი არაძირითადი. როგორც ცნობილია, ძირითადს არაძირითადის გარეშე აზრი არა აქვს. ძირითადის დასახელება იმას ნიშნავს, რომ იგი არა-

ძირითადებისგან გამოგვიჩვენია, რომ — არსებობს არაძირითადიც.

ვ. ი. ლენინი დიალექტიკის სულ თექვსმეტ ნიშანს, ელემენტს (ნიშანი ელემენტია როგორც მთელის შემადგენელი) ახასიათებს, რომელთაგან ორი უკანასკნელი მე-9 ნიშნის მაგალითებს წარმოადგენენ.

ვ. ი. ლენინი დიალექტიკის შემდეგ ნიშნებს ანუ ელემენტებს აყალიბებს: 1) განხილვის ობიექტურობა, არა მაგალითები, არამედ თვითონ საგანი, რაიმე; 2) ამ საგნის, რაიმეს სხვებთან მრავალგვარ დამოკიდებულებათა ერთობლიობა მთლიანად; 3) ამ საგნის (რაიმეს) განვითარება, მისი საკუთარი მოძრაობა; 4) ამ საგნის (რაიმეს) შინაგანი საწინააღმდეგო ტენდენციები (და მხარეები); 5) საგანი როგორც დაპირისპირებულთა ერთიანობა; 6) ბრძოლა respective გაშლა, გახსნა ამ დაპირისპირებათა, მისწრაფებათა წინააღმდეგობრიობა; 7) ანალიზის და სინთეზის შეერთება; 8) თითოეული საგნის დამოკიდებულებანი არა მხოლოდ მრავალი განსხვავებულობის შემცველია, არამედ ზოგადია, უნივერსალურია. თითოეული საგანი დაკავშირებულია ყოველთან; 9) დაპირისპირებულთა არა მხოლოდ ერთიანობა, არამედ თითოეული განსაზღვრულობის, თვისობრიობის, ნიშნის, მხარის, თვისების გადასვლა ყოველ სხვაში, თავის საპირისპიროში; 10) ახალ მხარეთა და მიმართებათა გაშლის (раскрытие) უსასრულო პროცესი; 11) ადამიანის მიერ საგნის, პროცესების შემეცნებაში უსასრულო ჩაღრმავება მოვლენიდან არსები-საკენ, ნაკლებ ღრმა არსებიდან უფრო ღრმა არსებისაკენ; 12) თან-არსებობიდან კაუზალობისაკენ და კავშირის და ურთიერთდამოკიდებულების ერთი ფორმიდან მეორისაკენ, უფრო ღრმისაკენ, უფრო ზოგადისაკენ; 13) უმდაბლესის გარკვეული ნიშნების, თვისებების და სხვ. უმაღლეს სტადიაზე განმეორება და 14) თითქოს უკან-დაბრუნება (უარყოფის უარყოფა); 15) შინაარსის ფორმასთან და პირიქით ბრძოლა. ფორმის გადმოგდება (срассыивание), შინაარსის გარდაქმნა; 16) რიცხობრიობის თვისობრიობაში და პირიქით გადასვლა; (მე-15 და მე-16 მაგალითებია მე-9-სი)<sup>1</sup>.

დიალექტიკის ეს ელემენტები, ლენინის აზრით, შეიძლება სამ ელემენტად ჩამოვაყალიბოთ: 1) გაგებულ უნდა იქნეს თვითონ საგანი მის დამოკიდებულება-მიმართებაში და მის განვითარებაში; ე. ი. საგანი გაგებულ უნდა იქნეს თავის თავიდან, ცნება კი მისი ასახვა იქნება; 2) წინააღმდეგობრიობა თვითონ საგანში, წინააღმდეგობრივი ძალები და ტენდენციები ყოველ მოვლენაში; 3) ანალიზის და სინთეზის ერთიანობა<sup>2</sup>.

<sup>1</sup> В. И. Ленин, Философские тетради, стр. 192 — 193.

<sup>2</sup> იქვე, 83 192.

მაგრამ რა არის არსებითი ამ სამი ელემენტისათვის? ის, რომ ყოველი საგანი წინააღმდეგობის ერთიანობას წარმოადგენს; იგი განსხვავებულთა, საპირისპიროთა ერთიანობაა, რომელიც ანალიზურობა-სინთეზურობის ერთიანობას შეადგენს; საგანი საკუთარი განვითარების მქონეა.

საგნის შესახებ ცნების განსაზღვრება ამ საგნის თავის თავიდან განვითარების გაგებაა, სახელდობრ, იმის გაგება-ცოდნა, რაც არსებითია მასში, რაც წყაროა მისი განვითარების. ეს მისი ობიექტური გაგებაა. საგანი თავისი შინაგანი არსებით არის სხვა საგნებთან დამოკიდებულება-მიმართებაში. ეს დამოკიდებულება თვითონ საგნის განვითარებაა, მისი საკუთარი მოძრაობაა, რაც შედეგია საგანში არსებული შინაგანი საწინააღმდეგო ტენდენციებისა, ე. ო. საგანი თვითონ დაპირისპირებულთა ერთიანობას წარმოადგენს, სადაც სწორედ ბრძოლა დაპირისპირებულთა იწვევს სხვადასხვაობას და სხვასთან კავშირს; ამიტომ ყოველი საგანი ანალიზურობა-სინთეზურობის ერთიანობაა და მისი გაგებაც ანალიზ-სინთეზის მთლიანობას წარმოადგენს. ამ განსხვავებულთა ერთიანობაშია ზოგადობა, რომლითაც საგანი სხვებთან არის აუცილებელ კავშირში. ამიტომ შესაძლებელია ერთის სხვაში გადასვლა; დაპირისპირებულთა ერთიანობა გადასვლასაც წარმოადგენს. ეს გადასვლა შინაარსის და ფორმის ბრძოლაა, იგი შინაარსის გარდაქმნაა და ახალი ფორმის მიღება. ეს გადასვლაც არის რიცხობრიობის თვისობრიობაში და პირიქით გადასვლა. სწორედ წინააღმდეგობის ერთიანობის საფუძველზე შეიძლება ახალ მხარეთა და მიმართებათა გახსნა, უსასრულო პროცესა; სწორედ შინაგან წინააღმდეგობათა საშუალებით ვწვდებით საგნის არსებას, მივდივართ ნაკლებად ღრმა არსებიდან უფრო ღრმა არსებისაკენ; თვითონ საგნის განვითარებაც მისი არსების გამოაშკარავებაა უფრო მეტი და მეტი სიღრმით. თვითონ საგნის ბუნების გამომხატველი კანონები და კავშირები ერთიმეორეს ექვემდებარებიან, უფრო ღრმა უფრო ზერეულეს იქვემდებარებს; უფრო ღრმა, ამავე დროს, უფრო ზოგადია; ასეთია შინაარსეული, კონკრეტული და არა მოცულობითი ზოგადი. უფრო მაღალი და უფრო ღრმა საკუთარ აზრს დაკარგავდა, რომ ის, ამავე დროს, დაბალსაც მოხსნილი სახით არ შეიცავდეს, რომ მას თავისებურად არ იმეორებდეს; აქ არის თითქოს უკანდაბრუნება, უარყოფის უარყოფა, არა სწორხაზობრივი, არამედ რკალისებური — სპირალისებური განვითარება.

ასეთია, ჩვენი აზრით, დიალექტიკის ნიშნების ზოგადი დახასიათება, რომელიც ლენინის მოცემული აქვს დიალექტიკის 14 (თუ 16) ელემენტის სახით. აღსანიშნავია ის, რომ რიცხობრიობის თვისობრიობაში და პირიქით გადასვლა, უარყოფის უარყოფა, ურთი-

ერთკავშირის და განვითარების შესაძლებლობა დაქვემდებარებულია წინააღმდეგობის ერთიანობაზე, და ამიტომ დიალექტიკა მოკლედ განმარტებულია როგორც წინააღმდეგობის ერთიანობა. აღსანიშნავია ისიც, რომ ზოგადობა სიღრმეს ემთხვევა; მაშასადამე, ცნების ზოგადობის თავისებური გაგება დამახასიათებელია დიალექტიკისათვის. შემეცნებისათვის უფრო ღრმა უფრო ზოგადია ცნების (გაგება-ცოდნის) თვალსაზრისით. აქ ემთხვევა ერთიმეორეს შემეცნებითი და ლოგიკური, რაც საგნის შინაგანი თავისებურებით არის განსაზღვრული, რადგან იგი სწორედ მას წარმოადგენს და წარმოადგენს, — ცოდნის სახით წარმოგვიდგება საგნის ბუნება; ასეთია ასახვის ლოგიკური. მაშასადამე, აქ გვაქვს დიალექტიკის, შემეცნების თეორიის და ლოგიკის ერთიანობა.

დიალექტიკის ოთხი ძირითადი ნიშნის ურთიერთკავშირი გარკვეულ განვითარებას წარმოადგენს. რადგან წინააღმდეგობის ერთიანობა საფუძველი და დედაარსია დიალექტიკის მესამე ნიშნისა, ეს უკანასკნელი — მეორე ნიშნისა, მეორე კი პირველისა, ამიტომ წინააღმდეგობის ერთიანობა უძირითადესი ნიშანია, იგი ყველა ნიშნის განმსაზღვრელია. როგორც ვნახეთ, ყოველი ნიშანი, როგორც შინაგანი უარყოფის შემცველი განსაზღვრულობა, შინაგან წინააღმდეგობას შეიცავს და შემდგომი ნიშანი მისი ამხსნელია, თვითონ წინააღმდეგობის ნიშანი კი ყველაფრის ამხსნელს წარმოადგენს, იგი შინაგანი წყაროა განვითარებისა. ასეთია დიალექტიკის ცნების ნიშანთა ურთიერთკავშირი და მთლიანობა. ამრიგად, დიალექტიკის ცნების განსაზღვრება, როგორც ასახვა ობიექტური დიალექტიკისა, თვითონ არის დიალექტიკური.

მაგალითად, საზოგადოების განვითარების ფორმაციათა ნამდვილი გაგება მათ ურთიერთკავშირში გაგებას ნიშნავს; ეს ურთიერთ კავშირი განვითარებას წარმოადგენს; ფორმაციები პროგრესული საფეხურები არიან; ეს პროგრესულობა იმაში მდგომარეობს, რომ ყოველი ახალი ფორმაცია ახალ თვისობრიობას წარმოადგენს და გადასვლა ახალ ფორმაციაზე კანონზომიერი ნახტომით ხდება; ასეთი განვითარების დედაარსს კი წინააღმდეგობის ერთიანობა შეადგენს (ნახტომის ბუნება წინააღმდეგობის ერთიანობის ხასიათით განისაზღვრება), რომელიც თავისებური ხასიათისაა განვითარების ყოველ საფეხურზე და საზოგადოების თვითმოდრეობის წყაროს წარმოადგენს.

როდესაც რაიმე საგნის ცნების განსაზღვრების მოცემა გვსურს, ცხადია, საგნის არსებით თავისებურებებს ვახასიათებთ. როცა, მაგ., ადამიანის ცნებას განვსაზღვრავთ, მაშინ სწორედ ადამიანის არსებით ნიშნებს ვახასიათებთ, ვადგენთ მათ და ამით ვიმუშავებთ აზრს, ცნებას ადამიანის შესახებ, როგორც მისი არსების ასახვას. ასეთია



თვითონ დიალექტიკის ცნების განსაზღვრებაც, რადგან დიალექტიკის ცნება სწორედ ობიექტური დიალექტიკის ასახვას წარმოადგენს. მაგრამ თავისებურება მაინც არსებობს, რადგან დიალექტიკის ცნების განსაზღვრება სანიმუშო უნდა იყოს ყოველი საგნის ცნების განსაზღვრებისათვის.

რადგან ყველაფერი განვითარებაში იმყოფება, რადგან ცნება საგნის არსებას უნდა ასახავდეს, საგნის არსება კი შინაგანი წინააღმდეგობაა, წინააღმდეგობის ერთიანობაა, ამიტომ რაიმე საგნის ცნება, როგორც დიალექტიკის მაგალითი, არსებითად, წინააღმდეგობის ერთიანობის ნიშნის შემცველი უნდა იყოს. ისეთი ცნებები, რომლებიც ამ ნიშანს არ შეიცავენ, არა ცნებებს, არამედ წარმოდგენებს უნდა წარმოადგენდნენ. ამიტომ ცნების და მისი განსაზღვრების ბუნების გაგებისათვის დიალექტიკის განსაზღვრება თვისობრივად ახალ საფუძველს იძლევა.

მართალია, ყველაფრის არსებას წინააღმდეგობის ერთიანობა წარმოადგენს, მაგრამ, ცხადია, ეს არ ნიშნავს იმას, რომ დიალექტიკის ცნება და ყოველი საგნის ცნება ერთი და იგივე იყოს. თუ წინააღმდეგობის ერთიანობა ყველაფრის არსებაა, ეს სწორედ იმას ნიშნავს, რომ იგი, როგორც უსასრულო განვითარების წყარო, ყველაფერსა ქმნის, — ვლინდება უსასრულო განსხვავებებში. ერთი და იგივე დაუბოლოებელი ვლინდება უსასრულო სიმრავლეში. ამიტომ ყოველი საგნის არსება დიალექტიკას თავისებურად გამოავლენს. ის მისი მაგალითია.

მაგრამ ჩვენთვის ამ შრომაში ისაა საინტერესო, თუ რას წარმოადგენს დაუბოლოებელის, წინააღმდეგობის ერთიანობის შესატყვისი ლოგიკური. ლოგიკურის, როგორც შუალობითი აუცილებელი კავშირის, ამ აზრით, დასკვნის უძირითადესი წესისათვის ისაა სწორედ არსებითი, თუ წინააღმდეგობის ერთიანობა ლოგიკურად როგორ გამოიხატება, — რას წარმოადგენს მისი შესატყვისი ლოგიკური. ყველა სხვა საგნის არსებანი, როგორც მაგალითები წინააღმდეგობის ერთიანობისა, ლოგიკურად გამოიხატებიან სწორედ ისეთ დასკვნებში, რომლებიც ერთსა და იგივე უძირითადეს წესს ექვემდებარებიან. დიალექტიკის არსება ერთსა და იგივე წესს განსაზღვრავს ყველა თვითმოდრობას, თვითგანვითარებას დაქვემდებარებული საგნის არსების გამომხატველი ლოგიკურისათვის.

დიალექტიკის ნიშანთა და მათ შორის კავშირის დახასიათებიდან ნათლად ჩანს, რომ დიალექტიკის ცნების განსაზღვრება სრულიადაც არ წარმოადგენს ჩვეულებრივ, ფორმალურ-ლოგიკურ დეფინიციას, მაგრამ ეს არ ნიშნავს იმას, რომ განსაზღვრების ფორმალურ-ლოგიკური გაგება სრულიად უნდა იქნეს უარყოფილი.

ჩვეულებრივი გაგებით, დეფინიცია, როგორც ეს შრომის პირველ თავშიც გავარკვევით, ცნების არსებით ნიშანთა ჩამოთვლა-დადგენაა. არის თუ არა დიალექტიკის ცნების განსაზღვრების დროს ამ ცნების ნიშანთა ჩამოთვლა-დადგენა? რასაკვირველია, არის. როგორც აღვნიშნეთ, ჩამოთვლილი და დადგენილია დიალექტიკის ცნების ოთხი ძირითადი ნიშანი. მაგრამ დიალექტიკის ცნების განსაზღვრისათვის უმთავრესი სხვაა, სახელდობრ, ის, რის საფუძველზედაც შესაძლებელია ნიშნები და მათი ჩამოთვლა. დეფინიცია, როგორც ნიშანთა ჩამოთვლა, შედარებით ზერელე ხასიათისაა და თვითონ გულისხმობს იმ ღრმა საფუძველს, რომელიც თვითონ ნიშნებს აძლევს აზრს და საშუალებას იძლევა მათი ჩამოთვლისა. არსებითი სწორედ კავშირია ნიშანთა შორის, რომელიც (ნიშანთა შორის ეს არსებითი) დეფინიკიაში არაა გამოთქმული, მაშინ როცა თვითონ ჩვეულებრივი ლოგია მოითხოვს, რომ დეფინიციამ სწორედ საგნის არსება გამოთქვას.

ერთი ცნების ნიშნები, ცხადია, გარკვეულ ერთ მთლიან კავშირში უნდა იყვნენ, ფორმალური ლოგია ნიშნის ჩამოთვლის იქით არ მიდის, ე. ი. არ ასრულებს იმას, რასაც თვითონ მოითხოვს; მისთვისაც ცნება საგნის არსებას უნდა ასახავდეს. ფორმალური ლოგიკის ეს შეუპოვებელი წინააღმდეგობა მის არსებით ნაკლოვანებას ამჟღავნებს. საგნის არსება მისი შინაგანი წინააღმდეგობაა, ამიტომ ამ საგნის ცნების განსაზღვრების უარსებითესი ნიშანი სწორედ წინააღმდეგობის ერთიანობას უნდა წარმოადგენდეს, უკეთ: მას სისრულით ავლენდეს.

ენგელსი გარკვევით ამბობს, რომ ჩვეულებრივად დეფინიციისი ზოგადი და სპეციფიკური განმასხვავებელი ნიშნის ჩვენებაა მოცემული; იგი ხშირად სასარგებლოცაა, და აუცილებელიც, მაგრამ არაა საკმარისი, რადგან ვერ ამოსწურავს განსაზღვრებას, ე. ი. ვერ გამოხატავს განსაზღვრების არსებას: დეფინიციიდან არ უნდა მოვითხოვოთ იმაზე მეტი, რაც მას შეუძლია; მაგ., სიცოცხლის ბუნება დეფინიციით საკმარისად არ გამოიხატება; აქ ჩვეულებრივი დეფინიცია კი არა, არამედ სიცოცხლის ყველა ფორმის გამოკვლევა და ამ ფორმათა შორის ურთიერთკავშირის ჩვენებაა საჭირო. ჩვეულებრივ დეფინიციებს, მათი არასაკმარისობის გამო; უმნიშვნელო ღირებულება აქვთ მეცნიერებისათვის. ერთადერთი რეალური დეფინიცია, ამბობს ენგელსი, თვითონ საგნის არსების გახვითარებაა. მაგრამ ეს უკვე დეფინიცია არ არის<sup>1</sup>.

დიალექტიკის ცნება, რომელიც ამსახველია მატერიალური სინამდვილის განვითარების უზოგადესი კანონისა, შეიცავს ნიშ-

<sup>1</sup> ე. ენგელსი, ანტი-დუერინგი, გვ. 98, 408.

ნებს, რომლებიც თვითონ იმყოფებიან აუცილებელ ურთიერთკავშირში, და სწორედ ამით ხერხდება სინამდვილის განვითარების ზოგადი კანონზომიერების ასახვა. ამიტომაცაა დიალექტიკის ცნების განსაზღვრება სამაგალითო სინამდვილის ყოველი საგნის შემეცნებისათვის.

დიალექტიკის ნიშანთა ურთიერთკავშირი დიალექტიკურია და თვითონ წარმოადგენს განვითარებას, რადგან იგი ასახავს იმას, რაც არსებითია მატერიალური სინამდვილის განვითარებისათვის. დიალექტიკის პირველი ძირითადი ნიშანი უფრო მარტივი და აბსტრაქტულია, მეორე კი უფრო კონკრეტულია პირველთან შედარებით; ასევე, მეორე ნიშანი უფრო აბსტრაქტულია მესამესთან შედარებით და მეოთხე ნიშანი კი უკონკრეტულესი ნიშანია. პირველი ნიშანი უფრო გარეგანია სხვა ნიშნებთან შედარებით, მეოთხე ნიშანი კი შინაგანი არსებაა დიალექტიკისა და ამიტომ ყველა სხვა ნიშნის განმსაზღვრელი და „გარეგადამწვდომია“; იგი ხომ თვითნაძობის წყაროს წარმოადგენს? მოვლენათა შემეცნების დროს ურთიერთკავშირის გაგებას წინააღმდეგობის ერთიანობის აღმოჩენით ვამთავრებთ: საგნის შინაგანი წინააღმდეგობის, მისი მამოძრავებელი წყაროს და ძალის გაგება ყველაფრის ამხსნელია. წინააღმდეგობის ერთიანობა დაუბოლოებელის მომენტს შეიცავს და მისი უარყოფა და სხვა საფუძვლით ახსნის ცდა, როგორც ზემოთ გავარკვევთ, თვითონ მას ემყარება.

ახლაზან თქმულიდან იმ დასკვნის გაკეთება, თითქოს ლოგიკური თანმიმდევრობა და ისტორიული თანმიმდევრობა ერთი და იგივე იყოს, უსათუოდ ჰეგელიანური სიყალბეა. ლოგიკური, როგორც ვნახეთ, ისტორიულის არსების ასახვას წარმოადგენს. თვითონ ასახვას თავისი განვითარება და საფეაურები აქვს, მაგრამ სინამდვილის ისტორიული განვითარების საფეხურებთან მისი გაიგივება უსათუოდ შეცდომაა; ლოგიკური გარეგანად სინამდვილის არსებას, — ისტორიულს ასახავს მის არსებაში; ასახვა ხდება ჯერ პირველი რიგის არსების, შემდეგ მეორე რიგის და ა. შ. (ლენინი). განვითარებაში მყოფი საგნის ასახვის სისრულე შინაგანი წინააღმდეგობის, განვითარების წყაროს ასახვას წარმოადგენს. ამიტომ საკუთრივ დიალექტიკა განისაზღვრება, როგორც წინააღმდეგობათა ბრძოლა და წინააღმდეგობათა ერთიანობა. დიალექტიკის ნიშნები უნდა წარმოვიდგინოთ როგორც მომენტები, რომელთა შორის ერთ-ერთი უძირითადესია, „გარეგადამწვდომია“, დამქვემდებარებელია, ყველა სხვის ამხსნელია და თავის თავსაც ხსნის და განსაზღვრავს, იმასაც განსაზღვრავს, თუ სხვები მას როგორ განსაზღვრავენ (შეად. „წარმოების“ მომენტებს); ასეთია წინააღმდეგო-

ბის ერთიანობა. დიალექტიკის ცნების განსაზღვრება, როგორც სამაგალითო ყოველი სხვა ცნების განსაზღვრებისათვის, თვითონ არის დიალექტიკური ბუნებისა.

ყოველი საგანი დიალექტიკური ბუნებისაა; ამ საგნის ამსახველი ცნება თვითონ უნდა იყოს დიალექტიკური ბუნების, რადგან იგი სწორედ საგნის დიალექტიკური ბუნების ცოდნას, მის ცნებას უნდა წარმოადგენდეს; ეს ცნება და ლოგიკური, აღებული ზოგადი სახით, ერთი და იგივეა. მაგრამ როდესაც ჩვენ თვითონ დიალექტიკის ცნების დიალექტიკურობაზე ვლაპარაკობთ, ამით განვასხვავებთ რაიმეს ცნებას თვითონ ცნებისაგან; რაიმეს ცნების განსაზღვრება არ არის თვითონ ცნების, როგორც ასეთის, განსაზღვრება. მაგრამ, რამდენადაც რაიმეს ცნება არის სწორედ ცნება, ამდენად რაიმეს ცნება უნდა გვიჩვენებდეს თვითონ ცნების ბუნებას. რაიმეს დიალექტიკური ბუნება ასეთივე ცნებას, ლოგიკურს უნდა გვაძლევდეს და თვითონ დიალექტიკის დიალექტიკურობა ცნების ბუნებას წარმოგვიდგენდეს. საერთოდ ლოგიკურის ანუ ცნების ბუნება მხოლოდ მაშინ იქნება გარკვეული, თუ გვეცოდინება მისი (ცნების) მსჯელობასთან და დასკვნებთან კავშირი. კავშირი, რომელიც მსჯელობაშია მოცემული, და კავშირი, რომელსაც დასკვნა წარმოადგენს, უნდა გვაძლევდეს და წარმოადგენდეს იმ კავშირს, იმ ლოგიკურს, რომლის ბუნება, თავისი ზოგადი სახით, ცნებად უნდა იწოდებოდეს. ცნების, როგორც ცნების, განსაზღვრება მისი მსჯელობა-დასკვნასთან კავშირის განსაზღვრებას წარმოადგენს. ცნება, როგორც აზროვნების ფორმა, მხოლოდ ერთია; ამიტომ მისი კავშირი სხვასთან, ეს იქნება მისი კავშირი მსჯელობასთან და დასკვნასთან და არა მეორე ცნებასთან, რადგან ასეთი არ არსებობს. ლოგიკური კავშირის გასარკვევად საჭიროა ამ კავშირისათვის უარსებითუისის ბუნების გარკვევა, მისი ელემენტების საფუძველ-შედეგის დამოკიდებულების თვალსაზრისითაც.

დიალექტიკის ცნების ნიშნები ერთიმეორესთან დიალექტიკურ კავშირში იმყოფებიან. ეს გარემოება ცნებათა დიალექტიკის გასაღებს წარმოადგენს, რაც, უპირველესად, საფუძველ-შედეგის დამოკიდებულებაში შედევნდება. ცნებათა დიალექტიკის გაგება, არსებითად, ლოგიკური საფუძველ-შედეგის დამოკიდებულების გაგებას უდრის.

ვ) ლოგიკური გადასვლის შესახებ. ამბობენ, რომ კატეგორიების, ცნებების გადასვლების აღიარება ჰეგელიანურ შეცდომას წარმოადგენს. მაგრამ ეს აზრი ეწინააღმდეგება ვ. ი. ლენინის ზემოთ მოყვანილ დებულებას იმის შესახებ, რომ ცნებათა გადასვ-

ლები ლოგიკის მთავარ შინაარსს შეადგენს. ჰეგელიანური შეცდომა მაშინ გვექნება, თუ ცნებებს, ანუ ცნების განსაზღვრულობებს სინამდვილის განსაზღვრულობებს გავუიგივებთ, და ლოგიკურ პროცესს სინამდვილის პროცესისაგან არ განვასხვავებთ. თუ კი ცნებებს და მათ გადასვლა-კავშირებს მატერიალური სინამდვილის ამსახველად წარმოვიდგენთ, მაშინ სწორედ ჰეგელიანიზმს უარყოფთ და დიალექტიკური მატერიალიზმის პოზიციებზე ვიმყოფებით.

როცა ცნება-კატეგორიების გადასვლებზე ვლაპარაკობთ, მაშინ სიტყვა „გადასვლა“, ცხადია, არ უნდა გვესმოდეს პირდაპირი მნიშვნელობით; ამ სიტყვის პირდაპირი მნიშვნელობით არც საგნები გადადიან ერთი მეორეში. როცა, — მაგ., ვამბობთ, რომ კაპიტალიზმი სოციალიზმში გადადის, მაშინ ამ გადასვლის ქვეშ, ცხადია, არ გვესმის მექანიკური გადასვლა: — თითქოს კაპიტალიზმი სოციალიზმში გადადის და გადასვლის შემდეგ იქ იმყოფება.

სიტყვა „გადასვლა“ ორგვარი მნიშვნელობით უნდა გვესმოდეს: 1) გადასვლა მატერიალურ სინამდვილეში და 2) გადასვლა ერთი აზრისა მეორეში, როგორც მათი ლოგიკურად აუცილებელი კავშირი. მატერიალურ სინამდვილეში „გადასვლა“, იმას ნიშნავს, რომ რომელიმე საგნის, როგორც გარკვეული თვისობრიობის, განვითარება ამზადებს პირობებს და იწვევს მისი წიაღიდან ისეთი საგნის წარმოშობას, რომელიც მას უარყოფს და განვითარების უფრო მაღალ საფეხურს წარმოადგენს; მაგ. კაპიტალიზმი წარმოშობს სოციალიზმს, — ანუ სხვანაირად, კაპიტალიზმი გადადის სოციალიზმში. გადასვლა ძველიდან ახლის მიღებაა.

„გადასვლა“ ლოგიკურ სფეროში თავისებური ხასიათისაა. ლოგიკური გადასვლის თავისებურებებზე ზემოთ სხვადასხვა აღვსაზრებზე გვექონდა საუბარი, მაგრამ მთავარი ამ პარაგრაფში გაიჩვენა, როცა გარჩეულ იქნა დიალექტიკის ძირითად ნიშანთა ურთიერთკავშირი.

დიალექტიკის ნიშნები, როგორც ობიექტური დიალექტიკის ამსახველი ცნებები, ერთი მეორეში გადადიან, — ეს გადასვლა, რომელიც უარყოფის საშუალებით სრულდება, და რაც, საბოლოოდ, დიალექტიკის ცნების განსაზღვრებას იძლევა, დაბალის უფრო მაღალთან აუცილებელ კავშირს წარმოადგენს (და არა დაბალის გაუქმებას. ასეთი გაუქმება ყოველთვის არც სინამდვილეშია, მაგ., საქონელი ფულში გადადის, მაგრამ ფული საქონელს სრულიადაც არ აუქმებს; არც კაპიტალი აუქმებს ფულს: პირიქით, ისინი ერთდროულად არსებობენ კაპიტალიზმის პირობებში, და მათი დამოკიდებულება კატეგორიათა კავშირ-დაქვემდებარებით აისახება).

ლოგიკური გადასვლა, რომ შეუძლებელი იყოს, მაშინ ფორმალური ლოგიკაც ვერ ილაპარაკებდა საფუძვლიდან შედეგის მიღება-გადასვლია შესახებ. დახასკვის წახამილვრებიდან გაძომღანარობა ლოგიკური გადასვლის ერთ-ერთ სახეობას წარმოადგენს. A-დან B-ზე დასკვნა ლოგიკური გადასვლაა. ლოგიკური გადასვლის მაგალითებია: საფუძვლიდან შედეგის მიღება, შედეგიდან საფუძველზე გადასვლა, რომლის ერთ-ერთ სახეობას ინდუქცია, როგორც კერძოდან ზოგადის, როგორც საფუძვლის, მიღება შეადგენს; — ცნების განზოგადოება (მაგ., რიცხვის ცნებისა), კონკრეტულიდან აბსტრაქტულზე და პირიქით გადასვლა; შინაარსეული ზოგადის მიღება, და სხვ.

ლოგიკური გადასვლის ქვეშ უნდა გვესმოდეს აგრეთვე (ეს არის მთავარი), ერთი კატეგორიის მეორეთი განსაზღვრება-დაქვემდებარება: მაგ., ურთიერთმოქმედების კატეგორიის განსაზღვრება თვითმიზეზობრიობით იგივეა, რაც პირველის მეორეში გადასვლა. ფულის კატეგორიით საქონლის კატეგორიის განსაზღვრება საქონლის ფულში გადასვლას წარმოადგენს. რეალური საქონლის ფულში, ფულის კაპიტალში გადასვლები აისახებიან სათანადო კატეგორიების კავშირ-დაქვემდებარება-გადასვლების საშუალებით.

მაშასადამე, ლოგიკური გადასვლის ქვეშ უნდა გაეგმოდეს: გამოყვანა-გამომდინარეობა, როგორც ახლის მიღება, განსაზღვრა-დაქვემდებარება, განზოგადება (ძირითადად, შინაარსეული განზოგადება) და სხვ. ლოგიკური გადასვლა დაბალის მაღალთან აუცილებელი კავშირია, სახელდობრ, ისეთი კავშირი, რომელზედაც ფ. ენგელსი მიუთითებს, როცა იგი დიალექტიკური ლოგიკის ფორმალური ლოგიკისაგან განმასხვავებელ თავისებურებას ახასიათებს, როგორც აღინიშნა, ფ. ენგელსის აზრით, დიალექტიკური ლოგიკა აზროვნების ფორმებს და ამ ფორმათა სახეებს განიხილავს განვითარებაში მარტივიდან რთულისაკენ, — დაბალიდან უმაღლესისაკენ, — სუბორდინაციაში და არა კოორდინაციაში; დიალექტიკური ლოგიკა აზროვნების ფორმებს მხოლოდ კი არ აღწერს, არამედ მათ ახსნას აწარმოებს. ეს ახსნა იმაში მდგომარეობს, რომ იგი (დიალექტიკური ლოგიკა) აზროვნების ფორმებს ერთი მეორის გვერდით კი არ ალაგებს, არამედ არკვევს მათ ურთიერთკავშირსა და დაქვემდებარებას (სინთეზურ დაქვემდებარებას). მაშასადამე, ლოგიკური გადასვლა იგივე სინთეზური ლოგიკური კავშირია.

ყალბად უნდა ჩაითვალოს ჰეგელის თვალსაზრისი, რომლისთვისაც ლოგიკური კავშირი დაყოფილია საფეხურებად: გადასვლა, რეფლექსია და განვითარება (ჰეგელის ლოგიკა სხვა არაფერია, თუ არა მოძღვრება კავშირის ამ საფეხურებზე) და ეს საფეხურები სე-

ნამღვილის საფეხურებთანაა გაიგივებული. ნამღვილად კი გადასვლა, ამავე დროს, განვითარებაცაა და პირიქით; განვითარებაში მყოფი კი ერთი მეორის საპირისპირო, მაგრამ ურთიერთმოგულისხმე მხარეებსაც შეიცავს და თვითონ დაპირისპირებულთა ერთიანობას შეადგენს. ლოგიკური გადასვლის რეალურ საფუძველს მატერიალური სინამღვილის განვითარება წარმოადგენს. ცნებათა დიალექტიკა, სუბიექტურა, დიალექტიკა საგანთა, ობიექტურ დიალექტიკას ასახავს.

4. საფუძვლის და შედეგის დამოკიდებულებების არსება. დიალექტიკის ნიშნები ურთიერთკავშირში არიან; ამ კავშირის არსებას წინააღმდეგობის ერთიანობა წარმოადგენს. ამიტომ საჭიროა თვითონ წინააღმდეგობის ერთიანობის მომენტთა ურთიერთშორის კავშირის იმ მხარის გამორკვევა, რომელიც ზემოთ წინააღმდეგობის ბუნების გარკვევის დროს, ზოგადად აღინიშნა, სახელდობრ, უნდა გაირკვეს ამ მომენტების საფუძველ-შედეგობრივი დამოკიდებულება, რაც უფრო ახლო წარმოგვიდგენს ლოგიკურის, ლოგიკური აუცილებლობის ბუნებას. ზემოთ გაიხილული კავშირი დიალექტიკის მომენტებისა სწორედ ამას ისახავდა მიზნად და არა იმის განმეორებას, რაც პირველ თავში იყო თქმული ცნების განსაზღვრების ბუნების შესახებ.

როგორც ზემოთ ჭაირკვა, ლოგიკური ისტორიულს მის არსებაში ასახავს, ლოგიკური წინააღმდეგობის ერთიანობის ასახვაა; მაგრამ ლოგიკური, როგორც ასახვა და კენჭმარტება, თვითონ არის წინააღმდეგობის ერთიანობის ბუნების; დიალექტიკური ბუნების მქონე საგნის ასახვა თვითონ არის დიალექტიკური; მაგრამ თვით დიალექტიკის ნიშნებიც დიალექტიკურ კავშირში არიან და ემყარებიან წინააღმდეგობის ერთიანობას; ახლა უნდა გაირჩეს წინააღმდეგობის ერთიანობის მომენტების საფუძველ-შედეგითი დამოკიდებულება, რაც უფრო ნათლად წარმოგვიდგენს დიალექტიკის ცნების ნიშანთა ლოგიკურ კავშირს, მათ საფუძველ-შედეგობის დამოკიდებულებას და თვითონ ლოგიკურის არსებას საერთოდ. ამ გარემოების გარკვევის შედეგად დახასიათდება დიალექტიკური ზოგადის ბუნება, რომელიც ლოგიკურის ბუნების იქნება და რომელსაც, ამავე დროს, მსჯელობის და დასკვნის არსება წარმოადგენს. ზემოთ აღნიშნული ზოგადობა, რომელიც არსების სიღრმეს შეადგენს, სწორედ ამ გარემოების გამომხატველი იყო. დიალექტიკურ-ლოგიკური სწორედ ასეთი ზოგადობით ხასიათდება.

ა) ს ა კ მ ა ო ს ა ფ უ ძ ვ ლ ი ს შ ე ს ა ხ ე ბ. როგორც ზემოთ ბპეციალურად იქნა გარკვეული, აუცილებელი კავშირის ამხსნელად არ გამოდგება არც იგივეობის, არც წინააღმდეგობის შეუძ-

ლებლობის და არც გამორიცხული მესამის კანონები. იგივეობის გარეშე არ არსებობს არავითარი კავშირი, მაგრამ ეს უკანასკნელი პირველზე სრულიადაც არ დაიყვანება; კავშირი სინთეზური ბუნებისაა, ის სწორედ განსხვავებულთა კავშირია და ამიტომ მისი ახსნისთვის იგივეობა სრულიადაც არ არის საკმარისი. განსხვავებულთა და საპირისპიროთა აუცილებელი კავშირი, მართალია, თავის თავში დაპირისპირებას შეიცავს, და ამიტომ — შეუძლებლობას და წინააღმდეგობასაც, ე. ი. წინააღმდეგობის შეუძლებლობის და მესამის გამორიცხვის მომენტები მასში იგულისხმება, მაგრამ ამ მომენტებზე ეს კავშირი სრულიადაც არ დაიყვანება და ამიტომ სინთეზური კავშირის ამხსნელად არც წინააღმდეგობის შეუძლებლობის კანონი გამოდგება და არც გამორიცხული მესამისა. მაშასადამე, აზროვნების არისტოტელესეული სამი კანონი სრულიადაც არ არის საკმარისი ლოგიკურის, როგორც სინთეზური კავშირის, ახსნისათვის. ეს გარემოება კარგად იცოდა ძველმა ლოგიკამ, კერძოდ იგი კარგად გაიგო ლაიბნიცმა და ამიტომ ლოგიკაში საკმაო საფუძვლის კანონი შემოიტანა, ამით კი სინთეზური კავშირის, როგორც საფუძველ-შედგენის კავშირის, ახსნა სცადა.

არისტოტელესა და საერთოდ ძველი ლოგიკისათვის ლოგიკურის, აზრთა სინთეზური კავშირის სრულ სახეს დასკვნა, სახელდობრ, ყველაზე დამუშავებული და უნაკლოდ მიჩნეული დასკვნა — კატეგორიული სილოგიზმი, წარმოადგენს. არისტოტელესათვის (და საერთოდ ძველი ლოგიკისათვის) დასკვნა ის ლოგიკური კავშირია, ის ლოგიკური პროცესია, რომელშიაც, რადგან რაღაც დინდება, ამიტომ აუცილებლობით გამომდინარეობს რაღაც სხვა, ვიდრე დადგენილი, სწორედ ამ დადგენილის მეოხებით<sup>1</sup>. მაშასადამე, ლოგიკური აუცილებელი კავშირი, როგორც საფუძველ-შედგენის კავშირი, იმაში მდგომარეობს, რომ საფუძველიდან სწორედ მისი მეოხებით, მისგან განსხვავებული აუცილებლობით გამომდინარეობს. აქ გვაქვს, მაშ., განსხვავებულთა აუცილებელი კავშირი, ე. ი. სინთეზურ-ლოგიკური კავშირი. თუ საფუძველიდან განსხვავებული არ გამომდინარეობს, მაშინ შეუძლებელია, რომ ლოგიკური კავშირი, სახელდობრ, დასკვნა არსებობდეს, — აზრი არ ექნება არც გამოყვანას, არც იმას, რაც გამოდის, რადგან იგი არ განსხვავდება იმისაგან, რისგანაც იგი გამოდის, — არც ამ უკანასკნელს, რადგან მისგან განსხვავებული არ გამოდის. მსჯელობაც განსხვავებულთა ერთიანობაა, ამიტომ, როგორც ითქვა, კერძო მსჯელობას და ვერც დასკვნას (შუალობით აუცილებელ კავშირს) ვერ აგვიხსნის პირველი სამი კანონი „აზ-

<sup>1</sup> არისტოტელეს „პირველი ანალიტიკა“, თავი პირველი, 24b, 18.



როვნების ძირითადი კანონებიდან“. — ვერ აგვიხსნის იმას, თუ როგორ შეიძლება რაიმეს მისგან განსხვავებული დაუკავშირდეს, თუ როგორ შეიძლება რაიმედან განსხვავებული აუცილებლობით გამომდინარეობდეს. როგორც ცნობილია, ეს პრობლემა გადაუწყვეტელ პრობლემად ითვლებოდა ლოგიკის ისტორიაში (მაგ., მეგარელები, კანტი და სხვ.).

სწორედ ამიტომ იყო იძულებული ძველი ლოგიკა დასკვნების ასახსნელად ლოგიკაში შემოეტანა „სილოგიზმის აქსიომა“, „ბუნების ერთგვარობის კანონი“; თანამედროვე ლოგიკაში კი სხვა მრავალი აქსიომა და კანონი იქნა დასახელებული იმისათვის, რომ როგორმე ახსნილიყო დასკვნის ბუნება, ლოგიკური აუცილებლობის ბუნება. ისიც ნათელი გახდა, რომ „აზროვნების ძირითადი კანონებიდან“ არც „სილოგიზმის აქსიომა“ გამოიყვანებოდა და არც სხვა რომელიმე სპეციალური კანონი დასკვნისათვის და ვერც ამ უკანასკნელებმა მოახერხეს თავისი დანიშნულების გამართლება.

მიუხედავად იმისა, რომ საკმაო საფუძვლის კანონი აზროვნების პირველი სამი კანონის ნაკლოვანებათა შესაყვებად იყო წამოყენებული, შეიძლება ითქვას, რომ ჯერ არავის გაურკვევია, თუ როგორ შეივსო ეს ნაკლოვანება და მოახერხა კი საკმაო საფუძვლის კანონმა ასეთი რამ? ანღა რაში მდგომარეობს იმ ერთის ბუნება, რომელმაც მოხსნა ამ კანონთა ნაკლოვანებანი და მართლაც საკმაო საფუძველი გახდა ლოგიკურის ბუნების, სახელდობრ, დასკვნის ბუნების ასახსნელად?

წინასწარვე შეიძლება ითქვას, რომ საფუძვლის კანონი ისე ზერელედ იქნა წარმოდგენილი, რომ მას, როგორც დამოუკიდებელს, მიანიჭეს დასკვნის პრინციპის უფლება, რადგან იგი ზოგადად იმას გამოთქვამდა, რომ ყოველივეს თავისი საფუძველი აქვს და დასკვნა საფუძველ-შედგების დამოკიდებულებაა, რომ დასაბუთება რაიმე დებულებისა, ე. ი. მისი დანასკვად არსებობა, მისი საკმაო საფუძვლის დადგენას უდრის. ჩვეულებრივად გაგებული საკმაო საფუძვლის კანონი დასკვნის პრინციპის მართლაც ძალიან ზერელე გამოთქმად უნდა ჩაითვალოს, რადგან იგი დასკვნის შესაძლებლობას და მის არსებას კი არ გვიხსნის, არამედ ზოგადად ამბობს, რომ დასკვნა საფუძველიდან შედგების მიღებაა, მაგრამ ამ კანონიდან არ ჩანს, თუ რაშია ამ მიღების, ასეთი გამოყვანის თუ კავშირის არსება. იმის თქმა, რომ დასკვნა საფუძველიდან შედგება გამოყვანაა, ტავტოლოგიას წარმოადგენს; დასკვნა იგივეა, რაც საფუძველიდან შედგების გამოყვანა. სწორია საკმაო საფუძვლის კანონის მოთხოვნა, რომ ყოველივეს თავისი საფუძველი უნდა

მონახოს, რადგან ასეთი მას აქვს, მაგრამ საქმე იმაშია, თუ როგორია ეს საფუძველი და რა გზით უნდა იქნეს ის მონახული.

არაფერი არ არსებობს არც სინამდვილეში და არც აზროვნებაში, რომ იგი რაიმეს არ ემყარებოდეს, რაიმეთი არ იყოს გაპირობებული, დასაბუთებული ან უარყოფილი. ურთიერთკავშირში ყოფნა (— დიალექტიკის პირველი ძირითადი ნიშანი) სწორედ ამ გარემოებას აღნიშნავს; ყველაფერი ურთიერთკავშირსა და ურთიერთკავშირობებულობაშია. მოვლენათა ურთიერთკავშირის ასახვა-გაგებისათვის აუცილებელია აზრთა ურთიერთკავშირი; — დიალექტიკის პირველი ძირითადი ნიშანი აზროვნებაშიც ბატონობს, პირველ რიგში სწორედ ლოგიკურ სფეროში, რადგან ლოგიკური აუცილებლობა სწორედ აზრთა ურთიერთკავშირის აუცილებლობაა, რომელიც ურთიერთდაქვემდებარება-სუბორდინაციაში მდგომარეობს, ისე როგორც ურთიერთკავშირი — განვითარებაში. ამ მოთხოვნის განხორციელების ცდის გარეშე ძველი ლოგია ვერ იარსებებდა, თუმცა იგი მას ვერ ასრულებდა, რადგან, როგორც ენგელსი ამბობს<sup>1</sup>, ძველი, ფორმალური ლოგია აზროვნების ფორმებს, კერძოდ, მსჯელობის და დასკვნის ფორმებს ერთიმეორის გვერდით ათავსებდა, ჩამოთვლიდა და აღწერდა, მათ განიხილავდა არა სუბორდინაციაში, არამედ მხოლოდ კოორდინაციაში, მაშასადამე, მათ არ განიხილავდა განვითარებაში, მარტივიდან რთულზე, დაბალიდან მაღალზე ასვლის პროცესში, რასაც დიალექტიკური ლოგია ასრულებს.

ძველი ლოგია მოითხოვდა საკმაო საფუძველის კანონის აზრის განხორციელებას, მაგრამ იგი მას თვითონ არ ასრულებდა, მაშინ როცა იგი ამ მხრივ სწორედ მაგალითის მიმცემი უნდა ყოფილიყო. საფუძველ-შედეგის დამოკიდებულება ერთიმეორის დაქვემდებარებითი დამოკიდებულებაა. ძველი ლოგია აზროვნების ფორმებს სწავლობდა, მაგრამ ამ ფორმებს იგი საკმაო საფუძველის კანონის მოთხოვნის თანახმად არ განიხილავდა, ე. ი. არ აკეთებდა იმას, რაც უნდა გაეკეთებია, — იხლართებოდა წინააღმდეგობაში, რასაც დღეს ზოგიერთი ლოგიკოსი არა მხოლოდ ვერ ამჩნევს, არამედ ასეთი წინააღმდეგობის გადაჭრას, ყოველგვარი საბუთის გარეშე, ლოგიკის საქმედაც არა თვლის.

ლაიბნიცის მიერ საკმაო საფუძველის კანონი ფაქტიური ქეშ-მარიტების პრინციპად იყო გამოცხადებული. ყოველივეს თავისი საკმაო საფუძველი აქვს, წინააღმდეგ შემთხვევაში, არც იარსებებდა იგი. სწორედ საკმაო საფუძველით შეეცადა ლაიბნიცი ფაქტიუ-

<sup>1</sup> ე. ენგელსი. ბუნების დიალექტა, გვ. 229.

რისათვის გონიერი საფუძველი მოენახა და ამით ყველაფერი რაციონალისტურ-იდეალისტურად აეხსნა, ემპირიზმი მთლიანად დაეძლია. როგორც ყოველ არსებულს, ისე ყოველ აზრს თავისი საკმაო საფუძველი აქვს და იგი ამ საფუძველიდან გამომდინარეობს, ამ საფუძველით აიხსნება, ფიქრობდა ლიბნიცი.

ლოგიკურში საკმაო საფუძველის კანონი დასკვნის პრინციპის როლს ასრულებს. საკმაო საფუძველმა უნდა აგვიხსნას ის, თუ რატომ არის მისგან გამომდინარე ასეთი და არა სხვანაირი; ლოგიკურ გამომდინარეობას სწორედ ეს აზრი აქვს; საკმაო საფუძველი გაურკვევლობის უარყოფელი და სწორედ გარკვეულობის მომცემი საფუძველი უნდა იყოს.

მაგრამ თუ ყველაფერს თავისი საფუძველი აქვს, მაშინ შეცდომასაც ასეთი საფუძველი უნდა ჰქონდეს და საკმაო საფუძველი, ისე როგორც ის ძველ ლოგიკაში იყო გაგებული (როგორც საერთოდ საფუძველზე მოითება), თვითონ იქნება ნიმუში გაურკვევლობის მოცემისა, — მისი საშუალებით სრულიადაც არ გაირკვევა არც ნამდვილი აუცილებლობა და არც ქვეშარიტების შეცდომისგან განსხვავება, — პირველ რიგში სწორედ დასაბუთება დაკარგავს აზრს, რადგან გაურკვეველი დარჩება, თუ ნამდვილად როდის გვაქვს მსჯელობის გამართლება.

ის, რასაც საკმაო საფუძველად მიიჩნევდნენ, არ უნდა ჩაითვალოს ნამდვილ საფუძველად, რადგან, როგორც ჰეგელი, ამ შემთხვევაში, სრულიად სამართლიანად ამბობდა, ამ საფუძველით ცდილობდნენ გაემართლებიან ყოველი ბოროტება და ყოველი სოფისტიკა. ჭარისკაცს, რომელიც ბრძოლის დროს ფრონტიდან გამოიქცევა, ასეთი საქციელისათვის არა აქვს საფუძველი, ის არღვის მისი ფრონტზე ყოფნის საფუძველს და ამიტომ სჯიან მას. მაგრამ ჭარისკაცს ფრონტიდან გამოქცევის საფუძველი რომ არ ჰქონოდა, მაშინ ის იქიდან კი არ გამოიქცეოდა, არამედ სწორედ იქ დარჩებოდა.

ასეთი გაურკვევლობა საფუძველის ცნებაში ჰეგელმა კარგად შენიშნა, მაგრამ სამაგიერო ვერ გაარკვია სწორედ იდეალიზმის ნიადაგზე დგომის გამო: საფუძველის ცნება ვერ განიხილა წინააღმდეგობის ერთიანობაში (თუმცა ამას ცდილობდა, როცა წინააღმდეგობის შემდეგ საფუძველის კატეგორიას აყენებდა), რადგან მან წინააღმდეგობის ნამდვილი ერთიანობა ცნებაში გადაიტანა, არსებაში კი მხოლოდ რეფლექსურობა დატოვა.

დებულება, რომ ყველაფერს თავისი საკმაო საფუძველი აქვს, შეიძლება ყოველგვარი სოფისტიკის გამმართლებელ დებულებად გამოდგეს; შეიძლება იგი გამოყენებულ იქნეს, როგორც ეს ზემოთ

აღნიშნეთ, ყველაფრის გასამართლებლად; ყოველგვარი უკუღმართობის თუ შეცდომის გამართლებას სწორედ საკმაო საფუძვლით ცდილობენ და ამიტომ საკმაო საფუძვლის დებულება ყველაფრისადმი განურჩეველი გამოდის. ცარიელი საფუძვლის ძიებამ შეიძლება ყოველგვარ უსაფუძვლობამდე მიგვიყვანოს.

მიუხედავად იმ ნაკლისა და სიყალბისა, რომელსაც საფუძვლის შესახებ ჰეგელის თვალსაზრისი შეიცავდა, ის მაინც სწორი იყო საფუძვლის ფორმალისტური გამოყენების კრიტიკის დროს. სწორედ ჰეგელი ამბობდა, რომ „ყველაფერი, რაც ქვეყნად წახდა, საკმაო საფუძვლის ძალით წახდა“<sup>1</sup>.

როგორც ცნობილია, კაპიტალისტური წარმოების განვითარებამ აუცილებელი გახადა ბავშვთა შრომის ღამით გამოყენება, როგორც კაპიტალისტებისათვის ხელსაყრელი რამ. კაპიტალისტები ბავშვთა შრომის გამოყენებისათვის „საკმაო საფუძველს“, „საკმაო საბუთს“ აყენებდნენ, მაგ., შემდეგს: „ახალგაზრდებმა სიყრმითვე უნდა დაიწყონ მუშაობა, რომ საქმე შეისწავლონ. მოზარდების შრომის შეზღუდვა მართოდენ დღიური მუშაობით ამ მიზანს ვერ მიაღწევდა“<sup>2</sup>.

კ. მარქსი ამ კაპიტალისტს ეკითხება: „მერე რატომ? რატომ დღისით არ შეუძლიათ მოზარდებს თავიანთი ხელობის შესწავლა? თქვენი საბუთი?“ კაპიტალისტი პასუხობს: „იმიტომ, რომ მამაკაცები, რომელნიც კვირაგამოშვებით ხან დღისით მუშაობენ და ხან ღამით, და ამ დროის განმავლობაში დაშორებულნი არიან თავიანთი ცვლის მოზარდებს, დაკარგავდნენ იმ მოგების ნახევარს, რასაც მათ გამორჩებოდნენ. სახელდობრ, ის ხელმძღვანელობდა, რომელსაც ისინი მოზარდებს უწევენ, ამ უკანასკნელთა ხელფასის ნაწილად იანგარიშება და ამიტომ საშუალებას აძლევს მამაკაცებს იაფად შეიძინონ მოზარდების შრომა. თითოეული მამაკაცი თავისი მოგების ნახევარს დაკარგავდა“.

კ. მარქსი ამის შესახებ ამბობს: „სხვანაირად რომ ვთქვათ, ბ-ნი სანდერსონები იძულებული იქნებოდნენ მოზრდილ მუშათა შრომის ხელფასის სათანადო ნაწილი თავისი საკუთარი ჯიბიდან გაეღოთ, ნაცვლად იმისა, რომ იგი მოზარდების ღამის შრომით გადაეხადათ. ამ შემთხვევაში ბ-ნი სანდერსონების მოგება ცოტათი შემცირდებოდა და ეს კი სანდერსონებისათვის საკმაო საფუძველია

<sup>1</sup> „...alles, was in der Welt verdorben worden ist, das ist aus guten Gründen verdorben worden“. (Hegel, *Enz.* § 121, Zusatz, Bolland-ის გამოც. 83. 167).

<sup>2</sup> იხ. კ. მარქსი. „კაპიტალი“, გვ. 332. მარქსს მოეხსენიება ერთ-ერთი კაპიტალისტის — სანდერსონის სიტყვები.

ამისა, თუ რატომ არ შეუძლიათ მოზარდებს თავიანთი ხელობა დღისით შეისწავლონ“. აქ კ. მარქსს შენიშვნაში მოყავს ადგილი ჰეგელის ლოგიკიდან: „ჩვენს რეფლექსიით მდიდარ და რეზონანორულ ხანაში შორს ვერ წავა ის, ვინც ყოველ მოვლენას, რაც უნდა: ცუდი და უკუღმართი იყოს იგი, საკმაო საფუძველს ვერ გამოუნახავს. ყველაფერი, რაც ქვეყნად წახდა, საკმაო საფუძველის ძალით წახდა“<sup>1</sup>.

კაპიტალისტებსაც აქვთ თავისი საკმაო საფუძველი, რომ მუშათა კლასს გაუწიონ ექსპლოატაცია, წინააღმდეგ შემთხვევაში, ზედმეტი ღირებულება არ შეიქმნებოდა და დაინგროვდა კაპიტალისტური წარმოების წესი (რომელიც პროგრესულია ფეოდალური წარმოების წესთან შედარებით); მუშებსაც აქვთ სრულიად საკმაო საფუძველი იმისთვის, რომ იბრძოლონ კაპიტალისტების, ზოგორც მათი ექსპლოატატორების, წინააღმდეგ, — რომ დაანგრეონ კაპიტალისტური წესი, რომელმაც ადამიანის დამონება უმაღლეს წერტილზე აიყვანა, და შექმნან ნამდვილი თავისუფალი ისტორია თავისუფალ ადამიანთა. ფრონტზე თავდადებით მებრძოლ ჯარისკაცსაც აქვს თავისი მოქმედების გამართლებისათვის „საფუძველი“ და იმ ჯარისკაცსაც, რომელიც ფრონტიდან გამორბის; პირველ შემთხვევაში ჯარისკაცი ფრონტზე არ იბრძოლებდა, მეორე შემთხვევაში კი არ გამოიქცეოდა ფრონტიდან. ყველაფერს აქვს თავისი საფუძველი, მაგრამ საქმე იმაშია, თუ რას როგორი საფუძველი აქვს და როგორი უნდა ჰქონდეს, რომ შედეგმა თავის თავი გაამართლოს და საფუძველმაც — თავის თავი, ამით კი — ერთიმეორე.

როდესაც ერთმხრივს, არაარსებითს, გარეგნულს იმის საკმაო საფუძველად გამოვიყენებთ, რაც მრავალმხრივი და კონკრეტულია, საბოლოო ანგარიშით, სოფისტიკაში ჩავარდებით. ვ. ი. ლენინი შრომაში „II ინტერნაციონალის კრაზი“ წერს, რომ დიალექტიკოსისაგან განსხვავებით „სოფისტი ამოგლეჩს ხოლმე ერთ-ერთ „საბუთს“, და ჯერ კიდევ ჰეგელი ამბობდა სამართლიანად, რომ „საბუთები“ შეიძლება გადაჭრით ყველაფერს გამოუნახო ქვეყნადო. დიალექტიკა მოითხოვს ამა თუ იმ საზოგადოებრივი მოვლენის ყოველმხრივ გამოკვლევას მის განვითარებაში და გარეგნულის, მოჩვენებითის დაყვანას ძირითად მამოძრავებელ ძალებამდე“<sup>2</sup>. მაშასადამე, არსებითის „საბუთად“ გამოყენება, ცხადია, „უფრო შორს მიდის“, ვიდრე გარეგნულის „საბუთად“ გამოყენება.

1921 წელს ვ. ლენინი აკრიტიკებდა ბუხარინის შემდეგ მსჯე-

<sup>1</sup> კ. მარქსი „კაპიტალი“, ტ. 1, გვ. 332; 1932 წლის გერმანულ (მოსკოვის გამოც.), გვ. 272 — 273.

<sup>2</sup> ვ. ი. ლენინი, ტ. 21, გვ. 253 — 254.

ლობას: პროფკავშირები კომუნიზმის სკოლაა და წარმოების მართვის ადმინისტრაციულ-ტექნიკური აპარატიც; „მე ვერ ვხედავ ვერავითარ ლოგიურ საფუძვლებს, რომლებიც ამტკიცებდნენ, რომ სწორია არა პირველი და არა მეორე: სწორია ორივე ეს დებულება და შეერთება ორივე ამ დებულებისა“. ამაში, ამბობს ვ. ლენინი, მდგომარეობს ბუხარინის ძირითადი თეორიული შეცდომა, — მარქსისტული დიალექტიკის ეკლექტიზმით შეცვლა, რაც განსაკუთრებულად გავრცელებულია სხვადასხვა „მოდურ“ და რეაქციონულ ფილოსოფიურ სისტემათა ავტორთან.

ვ. ლენინი განსაკუთრებულ ყურადღებას აქცევს „ლოგიკურ“ საფუძვლებს, რომელზედაც ბუხარინი ლაპარაკობდა; ბუხარინის მსჯელობა, აღნიშნავს ლენინი, იმას აჩვენებს, რომ „იგი — აქ შეიძლება შეუკნებლად — დგას ფორმალური ანუ სქოლასტიკური ლოგიკის თვალსაზრისზე და არა დიალექტიკური ანუ მარქსისტული ლოგიკის თვალსაზრისზე“. ბუხარინი თავის აზრს ხსნიდა მარტივ მაგალითზე: ჭიქა არა მარტო შუშის ცილინდრია და არა მარტო სასმისი, არამედ ერთიც და მეორეც. ამ მაგალითით მას (ბუხარინს) უნდოდა პოპულარულად აეხსნა „ცალმხრიობის მავნებლობა“.

როგორც ზემოთ აღვნიშნავდით, დიალექტიკისათვის დამახასიათებელია ერთმხრიობის დაძლევა. აბსოლუტურად იმის წარმოდგენა, რაც ერთმხრივია, როგორც ვნახეთ, შეცდომაა. მაგრამ ერთმხრიობათა დაძლევა უნდა მოხდეს სრულიად გარკვეულ ლოგიურ საფუძველზე, ერთმხრიობის დაძლევის სრულიად საკმაო საფუძველი უნდა ჰქონდეს. ყოველნაირ ერთმხრიობათა დაკავშირებას კი არ გააჩნია ასეთი საფუძველი. ამიტომ ასეთი საფუძვლის გარეშე ერთმხრიობათა დაკავშირება ეკლექტიზმს იძლევა; არასაკმაო საფუძვლის გამოყენება, როგორც ცნობილია, ყოველთვის სოფისტიკას წარმოშობდა.

ვ. ლენინი იმავე ჭიქის მაგალითზე ნათელყოფს იმას, თუ რით განსხვავდება დიალექტიკა სოფისტიკისაგან და რომ ბუხარინი, ხსენებულ ცალმხრიობათა დაძლევის ცდის დროს, ეკლექტიკის საფუძველზე იდგა და მარქსისტულ დიალექტიკას უარყოფდა.

ჭიქა, ამბობს ვ. ლენინი, უდავოდ არის შუშის ცილინდრიც და სასმისიც. მაგრამ მას (ჭიქას) აქვს არა მხოლოდ ეს ორი თვისება თუ მხარე, არამედ უსასრულო თვისებები, მხარეები, ურთიერთდამოკიდებულებანი და „გაშუალებანი“ მთელს დანარჩენ ქიეყანასთან, ჭიქა არის მძიმე საგანი, რომელიც სასრულო ინსტრუმენტად გამოდგება. ჭიქა შეიძლება გამოყენებულ იქნეს, როგორც „პრეს-პაპიე“, როგორც ადგილსამყოფელი დაქერილ პეპელასათვის, ჭიქას

შეიძლება ღირებულება ჰქონდეს, როგორც საგანს მხატვრული სურათით, იმისგან დამოუკიდებლად ვარგა იგი სასმისად თუ არა, გაკეთებულია იგი შუშისაგან თუ არა, ცილინდრისებური ფორმა აქვს თუ არა და სხვადასხვა<sup>1</sup>.

როდესაც კიქა მკირდება, როგორც სასმისი, მაშინ ჩემთვის სულ ერთია, თუ რისგანაა ის გაკეთებული და რა ფორმა აქვს მ.ს, მთავარია ის, რომ ძირი გაბზარული არ ჰქონდეს, ასე ითქმის კიქის მრავალ სხვა თვისებაზე. ეს თვისებები, ეს განსაზღვრულობა იქიქისა, შეიძლება ერთიმეორის მიმართ სრულიად გულგრილნი იყვნენ. ამიტომ მათი დაკავშირება შემთხვევითი ხასიათის იქნება. ასეთია, მაგალითად, კიქის ორი თვისება-მზარის შეერთება, რომ ის შუშის ცილინდრია და სასმისიც, გამოთქმული მსჯელობაში: „კიქა არის შუშის ცილინდრიც და სასმისიც“. ეს არის ეკლექტიკური განსაზღვრება, რომელიც საგნის მხოლოდ და მხოლოდ გასხვავებულ მხარეებზე მიუთითებს.

ლენინის აზრით, სწორედ ასეთ ფორმალურ, გარეგან და შემთხვევითად დასაკავშირებელ განსაზღვრულობებს ემყარება ფორმალური ლოგიკა; იგი ასეთი განსაზღვრულობებით კმაყოფილდება. „ფორმალური ლოგიკა, — წერს ვ. ი. ლენინი, — რითაც კმაყოფილდებიან სკოლებში (და უნდა დაკმაყოფილდნენ კიდევ — ზოგიერთი შესწორებით — სკოლის დაბალი კლასებისათვის), იღებს ფორმალურ განსაზღვრებას, ხელმძღვანელობს რა იმით, რაც ყველაზე უფრო ჩვეულებრივია, ანდა რაც ყველაზე ხშირად გვეცემა თვალში, და ამას სჯერდება, თუ ამასთანავე აღებენ ორს ან მეტს სხვადასხვა განსაზღვრას და აერთებენ მათ სრულიად შენთხვევით (შუშის ცილინდრიც და სასმისი კურკელიც), ჩვენ მივიღებთ ეკლექტიკურ განსაზღვრას, რომელიც საგნის სხვადასხვა მხარეს აღნიშნავს და სხვას არაფერს“<sup>2</sup>.

მაშასადამე, ფორმალური ლოგიკა ვერ ასახავს საგნის არსებას, მასში მოცემული მსჯელობა-დასკვნები საგნის გარეგან განსაზღვრულობებს ემყარებიან; ანუ უკეთ: ფორმალური ლოგიკა არ არჩევს არსებით და არარსებით განსაზღვრულობებს. თუ ის, რაც ფორმალურ ლოგიკაშია მოცემული, ისე გამოვიყენეთ, რომ ყოველგვარ შემთხვევით კავშირებს არსებით კავშირებად. გავიგებთ, მაშინ ეკლექტიკას მივიღებთ.

ამ გარემოების თავიდან ასაცილებლად და ფორმალური ლოგიკისათვის გარკვეული საზღვრების დასასაბუთებლად, საჭიროა არსების ამსახველი ლოგიკურის გარკვევა, რაც, ჩვენის აზრით, ღიალექ-

<sup>1</sup> ვ. ი. ლენინი, თხზ., ტ. 32, გვ. 100—101.

<sup>2</sup> იქვე. გვ. 102.

ტიკური ლოგიკის საგანს შეადგენს; არსება კი ამხსნელია არარსებობის. არსებობს ერთი ლოგიკა, რომელიც დიალექტიკურია და იმ საკითხებსაც სწყვეტს, რასაც ძველად ფორმალური ლოგიკა არკვევდა, რადგან არსება მოვლენის, არსებითი — არაარსებითის, შინაგანი — გარეგანის ამხსნელია. ჩვენთვის აქ მხოლოდ ლოგიკური კავშირის ბუნების გარკვევაა არსებითი და არა ფორმალური და დიალექტიკური ლოგიკის დამოკიდებულების საკითხის სპეციალური განხილვა<sup>1</sup>.

თუ იმას იტყვიან, რომ ლენინი აქ ფორმალური ლოგიკის ნაკლები არ აკრიტიკებს, არამედ მეტაფიზიკურად გაგებულ ფორმალურ ლოგიკას, ესე იგი იმ ლოგიკას, რომელიც აზრის განსაზღვრებებს საგნებზე ავრცელებს, მაშინ ამ აზრს მოკლედ ასეთი პასუხი უნდა გაეცეს: აზრის, ლოგიკურის კანონების საგანზე გავრცელება მართლაც იდეალისტური შეცდომაა, მაგრამ იდეალისტური აზრია ისიც, თუ აზრის კანონებს არსის კანონებით განსაზღვრულად არ წარმოვიდგენთ და აზრის სფეროს სრულიად კარჩაკეტილად ჩავთვლით (ასეთ შემთხვევაში აპრიორიზმს ან ფსიქოლოგიზმს ვერ ავცდებით).

როგორც ზემოთ გავარკვიეთ, დიალექტიკის კანონები არსაბ და აზრის საერთო კანონებია, რომლებიც განსაზღვრავენ ორივე სფეროს სპეციალურ კანონებს და წესებს. მაგრამ მთავარი შემდეგია: თუ სინამდვილის კანონებით აზროვნების კანონების განსაზღვრას მეტაფიზიკად ჩავთვლით, მაშინ სიტყვა „მეტაფიზიკას“, პოზიტივისტური გაგებით ვხმარობთ. ყოველი დროის პოზიტივიზმი, პირველ რიგში კი თანამედროვე „ლოგიკური პოზიტივიზმი“, უარყოფს აზროვნების სინამდვილესთან კავშირს; ეს სუბიექტურ იდეალისტური თვალსაზრისი აზროვნებას სრულიად დამოუკიდებელ და ერთადერთ სფეროდ აცხადებს. მისთვის აზრის კანონები წმინდა აზრის კანონებია, რომლებიც საგანთა კანონებით არ განისაზღვრებიან; ეს უქანასკნელნი კი შეუშეცნებალად ან არაარსებულად არიან მიჩნეულნი. კიდევ მეტიც: „ლოგიკური პოზიტივიზმისათვის“ აზრის კანონები მართლაც აზრის კანონები კი არაა, არამედ ის სინტაქსის წესებია, რომლებიც ნებისმიერად დგინდებიან.

ლოგიკურის ბუნება მეცნიერულად მხოლოდ ასახვის ლენინური თეორიის ნიადაგზე გაიგება. მსჯელობის და დასკვნის კავშირები სინამდვილის კავშირების ასახვას წარმოადგენს; ორივე სფეროზე დიალექტიკა ბატონობს. ლოგიკური კავშირი საგნის არსებას, სახელობრ, განვითარებაში მყოფი საგნის არსებას, უნდა ასახავდეს. ყოველგვარი განსაზღვრულობა მეორე განსაზღვრულობას მხოლოდ

<sup>1</sup> ეს უქანასკნელი პირველის შედეგს წარმოადგენს; ლოგიკურის ბუნების გარკვევა არსებითად გადაწყვეტს ამ საკითხს.



განვითარებაში უკავშირდება ნამდვილი სახით, როგორც ეს ზემოთ — დიალექტიკის ძირითად ნიშანთა ურთიერთკავშირის გარკვევის დროს ნათელგვაყვით. განსაზღვრულობათა დაკავშირების მართლაც საკმაო საფუძველი მაშინ გვექნება, როცა ვიცით საგნის არსება, როგორც მისი ყოველგვარი განსაზღვრულობის ამხსნელი. ლოგიკური სწორედ მას უნდა გამოსთქვამდეს აზრთა აუცილებელი კავშირით. ამიტომ დიალექტიკურ-ლოგიკური ფორმალურ ლოგიკურზე უფრო შორს მიდის<sup>1</sup>.

დიალექტიკური ლოგიკა ფორმალურ ლოგიკაზე შორს მიდის. „დიალექტიკური ლოგიკა ჩვენგან უფრო მეტს მოითხოვს“<sup>2</sup>. (Логика диалектическая требует того, чтобы мы шли дальше) — ამბობს ლენინი.

თუ იმას ვიტყვით, როგორც ამას ზოგიერთები ფიქრობენ, რომ დიალექტიკა არაა ლოგიკა, ის სრულიად სხვა მეცნიერებაა, ლოგიკა კი — სხვა მეცნიერება, მაშინ ლენინის აქ მოყვანილ დებულებასთან სრულიად მოურიგებელ წინააღმდეგობაში ჩავვარდებით. იმის თქმა, რომ დიალექტიკური ლოგიკა ფორმალურ ლოგიკაზე შორს მიდის, იმას ნიშნავს, რომ აქ ერთი და იგივეს — სწორედ ლოგიკური გზის გაგრძელებასთან გვაქვს საქმე; აქ „უფრო შორს წასვლას“ თავისებური გაგრძელების ხასიათი აქვს და არა სრულიად ახალი მეცნიერების დაწყების ხასიათი; ამ უკანასკნელ შემთხვევაში „უფრო შორს წასვლაზე“ ლაპარაკი შეუძლებელიც იქნებოდა.

დიალექტიკური ლოგიკის ფორმალურ ლოგიკასთან შედარებით შორს წასვლა ნიშნავს იმას, რომ არ შევჩერდეთ საგნის გარეგნულ და შემთხვევითად დასაკავშირებელ განსაზღვრულობებზე, „ფორმალურ განსაზღვრულობებზე“, როგორც ამას ლენინი აღნიშნავს, არამედ წავიდეთ შორს, საგნის არსების გაგებისაკენ, საგნის ნამდვილი გაგებისაკენ.

საგნის ნამდვილი გაგება, ამბობს ლენინი, მისი ისეთი გაგებაა, რომელიც უფროს ყველა მხარის, ყველა კავშირის და „გამეშვებების“ ცოდნას. „ასეთ რამეს სისრულით ვერასოდეს ვერ მივაღწევთ, მაგრამ ყოველმხრიობის მოთხოვნა უზრუნველგვყოფს შეცდომებისა და გახევეებისაგან“, სახელდობრ, იმ შეცდომებისაგან, რომლებსაც ეკლექტიკა წარმოადგენს. ასეთი სრული კავშირის ცოდნის

<sup>1</sup> ეს ორი ლოგიკური მხოლოდ ისტორიულად განირჩევა ერთიმეორისაგან, ნამდვილად კი მხოლოდ ერთი ლოგიკური გვაქვს, სახელდობრ, დიალექტიკურ-ლოგიკური, რომლის ერთი მხარეც ადრე იქნა აღმოჩენილი და წარმოდგენილი ფორმალურ ლოგიკურის სახით სწორედ ძველი, ფორმალური ლოგიკის შიერ.

<sup>2</sup> ვ. ი. ლენინი, თხზ. ტ. 32, გვ. 102.

კლემენტები თვითონ არის ამგვარადვე სისრულით დაკავშირებული, ე. ი. მისი ლოგიკური ნამდვილად სრულია და არა ფორმალური.

აქედან ნათელია, რომ ვ. ი. ლენინს დიალექტიკური ლოგიკის და ფორმალური ლოგიკის დაპირისპირების საფუძვლად მოყავს არსებითი და არა არსებითი კავშირის დაპირისპირება. ლოგიკურისათვის სწორედ კავშირის ბუნებაა არსებითი. სინამდვილეში სხვადასხვა კავშირი ლოგიკურში სხვადასხვა კავშირის ბუნებას განსაზღვრავს. ამიტომ ლოგიკა და შემეცნების თეორია ერთიანობაშია.

სრული კავშირი, როგორც ზემოთ გავარკვეეთ, განვითარებაში ჰდგომარეობს. საგნის ნამდვილი ცოდნა არის საგნის ცოდნა მის განვითარებაში, მის თვითგანვითარებაში. ეს, ლენინის თქმით, დიალექტიკური ლოგიკის მეორე მოთხოვნაა.

კავშირთა სრული წარმოდგენა განვითარებაში შეიძლება, მაგრამ ჩვენ მას საბოლოოდ მაინც ვერ მივალწევთ. ეს გარემოება, ახვათა შორის, იმითაც განისაზღვრება (და შეიძლება ეს იყოს მთავარი), რომ საგანი და მისი მხარეები გვეძლევა პრაქტიკის საფუძველზე; ამიტომ საგნის ცნების განსაზღვრაში პრაქტიკა შედის, როგორც განმსაზღვრელი, როგორც ეს ზემოთაც აღინიშნა. პრაქტიკა არა მარტო საზომია ჰუმბარტების, არამედ იგი საგნის შესახებ ცოდნის განმსაზღვრელიცაა. ამიტომ ჰუმბარტება, საგნის ადექვატური ასახვა ყოველთვის კონკრეტულია და არა აბსტრაქტული. ეს უკანასკნელი პირველის მხოლოდ ერთ მხარეს წარმოადგენს.

„დიალექტიკური ლოგიკა, — წერს ვ. ი. ლენინი, — ჩვენგან უფრო მეტს მოითხოვს. რათა ნამდვილად გაიცნოთ საგანი, საჭიროა პოიცივათ, შეისწავლოთ ყველა მისი მხარე, ყველა მისი კავშირი და „გამეშვებება“. ჩვენ ვერასოდეს ვერ მივალწევთ ამას სავსებით, მაგრამ ყოველმხრიობის მოთხოვნა უზრუნველგვეყოფს შეცდომებისა და ვახევებისაგან. ეს ერთი. მეორეც, დიალექტიკური ლოგიკა მოითხოვს, რომ საგანი განვიხილოთ მის განვითარებაში, „თვითმოძრაობაში“ (როგორც ხანდახან ჰეგელი ამბობს), ცვალებადობაში. ჰიქის შესახებ ეს მყისვე ცხადი არ არის, მაგრამ არც ჰიქა რჩება უცვლელი, განსაკუთრებით კი იცვლება ჰიქის დანიშნულება, მისი ხმარება, მისი კავშირი გარემომცველ სამყაროსთან. მესამე, ადამიანის მთელი პრაქტიკა უნდა შევიდეს საგნის სრულ „განსაზღვრაში“, როგორც ჰუმბარტების კრიტერიუმიც და როგორც პრაქტიკული განმსაზღვრელიც საგნის კავშირისა იმასთან, რაც ადამიანს სჭირდება. მეოთხე, დიალექტიკური ლოგიკა გვასწავლის, რომ

„აბსტრაქტული ქეშმარიტება არ არსებობს, ქეშმარიტება ყოველთვის კონკრეტულია“<sup>1</sup>.

ყველაფერი ეს, ცხადია, იმას არ ნიშნავს, რომ დიალექტიკა მხოლოდ შემეცნების თეორიაა და ფორმალური ლოგიკა, რომელსაც ხშირად ეკლექტიკამდე მიეყავართ, ნამდვილი, ერთდერთი ლოგიკა. ის, რაც სკოლაში სასწავლო ლოგიკაა, არ მიგვიყვანს ეკლექტიკამდე. თუ მას აბსოლუტურად არ წარმოვიდგენთ და განვსაზღვრავთ იმით, რასაც დიალექტიკა მოითხოვს; ანუ სხვანაირად: — თუ ის თვითონ დიალექტიკის მოთხოვნით იქნება აზრდებული. დიალექტიკური ლოგიკა საგნის ნამდვილი ცოდნის ლოგიკაა. საგნის ნამდვილი ცოდნა ნამდვილი ლოგიკურის შემცველია, რადგან აზრთა კავშირი, ამ შემთხვევაში, საგნის რაც შეიძლება ყოველმხრივი და არსებითი (რაც განვითარებაში ჩანს) კავშირით იქნება განსაზღვრული. სინამდვილის დიალექტიკური კავშირები დიალექტიკურ-ლოგიკურ კავშირებს განსაზღვრავენ.

ცვალებადი სინამდვილე ცვალებადმა აზრმა უნდა ასახოს; თუ სინამდვილე იცვლება, აზრი კი უცვლელია, მაშინ ცვალებადობა აუსახავი დარჩება. აზრის ლოგიკურად ცვალება მხოლოდ იმას ნიშნავს, რომ აზრის ლოგიკური განსაზღვრულობანი ურთიერთკავშირში განიხილებიან და არა ერთიმეორისაგან მოწყვეტით, — ისინი შედარებითი მნიშვნელობის მქონენი არიან და არა აბსოლუტური მნიშვნელობის. მაგ., დადებითი და უარყოფით-მსჯელობები ერთიმეორესთან და სხვა მსჯელობებთან დამოკიდებულებაში არიან ასეთნი. ასე ითქმის ცნებების შესახებაც: ზოგადი და კერძო ერთიმეორესთან და სხვასთან დამოკიდებულებაში არიან ასეთნი. აზროვნების ფორმებს და მათ სახეებს მხოლოდ ურთიერთკავშირში აქვთ აზრი. მათი ეს აზრდება სუბორდინაციას მოასწავებს; ურთიერთდაქვემდებარებაში ჩანს დაბალი და მაღალი, მარტივი და რთული; ამიტომ ლოგიკურში განვითარება სწორედ დაქვემდებარებას, დასაბუთებას გვაძლევს, ამიტომ დასაბუთების სისტემა ლოგიკურ განვითარებას უნდა წარმოადგენდეს. სადაც ასახული იქნება რეალურის, ისტორიულის განვითარება. მისი არსების ასახვის სახით.

ყოველგვარ განვითარებაში ყოველი მომენტი შედარებითი ხასიათისაა. ამიტომ განვითარების ბუნების გაგება შედარებითის და აბსოლუტურის დამოკიდებულების ბუნების გაგებას უნდა უდრიდეს. სწორედ იქ იჩენს თავს ის, რაც დიალექტიკას სოფისტიკისგან განასხვავებს. ის, რაც მთავარი და არსებითია ამ განსხვავებისათვის, მოცემული აქვს ლენინს თავის „ფილოსოფიურ რვეულებში“, კერძოდ, შრომაში „დიალექტიკის საკითხისათვის“.

<sup>1</sup> ლ. ე. ლენინი. თხზ. ტ. 32. გვ. 102 — 103.

თუ მოძრაობას ისე გავიგებთ, რომ ყველაფერი იცვლება და არაფერზე არაფრის ტქმა არ შეიძლება, თუ მხოლოდ თითოთ ვაჩვენებთ და სიტყვის თქმასაც ვერ ვასწრებთ, თუ რა რას წარმოადგენს, საბოლოოდ კი თითოთ ჩვენებაც შეუძლებელია, რადგან ეს ჩვენებაც რაღაც გარკვეულს ნიშნავს, მაშინ უნდა ვთქვათ, რომ არაფერი არაა ქვეშარიტი; ეს იქნება მოძრაობიდან და საერთოდ დიალექტიკიდან მხოლოდ უარყოფითი დასკვნის გამოტანა. კრატილს სწორედ ასეთი დასკვნა გამოყავდა ჰერაკლიტეს დიალექტიკიდან. კრატილს ჰერაკლიტეს დიალექტიკა სოფისტიკამდე დაყავდა. ჰერაკლიტეს დიალექტიკა კი იმას გვეუბნებოდა, რომ ყველაფერში ქვეშარიტების მარცვალია; ცვალებადობა-განვითარებას მასთან გარკვეული და კანონზომიერი ხასიათი ჰქონდა. ლენინი პირდაპირ ამბობს: ...Кратил диалектику Гераклита доводил до софистики... говоря: ничто не истинно, ничего ни о чем сказать нельзя. Отрицательный (и только отрицательный) вывод из диалектики. У Гераклита же наоборот был принцип: „все истинно“, во всем есть (доля) истины. Кратил только „двигал пальцем“ в ответ на все, показывая, что все движется, ничего ни о чем сказать нельзя<sup>1</sup>.

სოფისტის რელატივიზმი იმაშია, რომ მისთვის ყველაფერი რელატიურია<sup>2</sup>; სოფისტიკა წმინდა რელატივიზმია. მაგრამ იმის თქმა, რომ ყველაფერი რელატიურია, არაფერი არაა აბსოლუტური, ამ წმინდა რელატიურობის აბსოლუტურად აღიარებაა; ამდენად აქ საკუთარი თავის უარყოფა გვაქვს, სახელდობრ ისეთი უარყოფა, რომელიც უაზრობას წარმოადგენს; — ეს არის უაზრო, გამოუვალ წინააღმდეგობაში ჩავარდნა. წმინდა რელატივიზმი, როგორც ამას ლენინი გვასწავლის<sup>3</sup>, სუბიექტივიზმია, ყველაფრის რელატიურად მიჩნევა იგივეა, რაც პროტაგორას დებულება, რომ ყველაფრის საზომი ადამიანია (რასაც თანამედროვე „ამერიკული ფილოსოფია“ — პრაგმატიზმი ემყარება); არაფრის ნამდვილ ქვეშარიტებად მიჩნევა, ამავე დროს, ყველაფრის ქვეშარიტებად მიჩნევაცაა. თუ ვიტყვით, რომ არ არსებობს ყველასათვის სავალდებულო ქვეშარიტება, მაშინ, რაც უფრო გულმოდგინედ მოვინდომებთ ამის დამტკიცებას, მით უფრო ნათელი გახდება, რომ გვსურს სწორედ ამ დებულების („არ არსებობს ყველასათვის სავალდებულო ქვეშარიტება“) ქვეშარიტების აბსოლუტურობის დამტკიცება, როგორც ეს ზემოთაც გავარკვიეთ.

<sup>1</sup> В. И. Ленин, Философские тетради, стр. 291.

<sup>2</sup> იქვე, გვ. 254.

<sup>3</sup> იქვე, გვ. 84, 328.

მოძრაობის ყალბად გაგებამ და ყოველ განსხვავებულთა ერთიანობის გაუგებრობა-სიძნელემ პროტაგორას სოფისტიკა, როგორც ცნობილია, მიიყვანა გორგიამდე, რომელიც ყველაფრის არსებობას უარყოფდა (თუმცა ამ უარყოფას აბსოლუტურ მნიშვნელობას აძლევდა და ყველაფრის მაგვირობას ასრულებინებდა). წინააღმდეგობის ერთიანობის არმძღობით ძენონმა უარყო მოძრაობის შესაძლებლობა.

არსებითი ზემოთ თქმულში ის არის, თუ როგორ გავიგებთ არსის და არარსის, ჰო-ს და არა-ს დამოკიდებულებას. თუ, როგორც ახლახან ითქვა, ყველაფერს არარსთან გავაიგივებთ, ყველაფერიდან არა-ს, უარყოფითს გამოვიყვანთ, ე. ი. ჰო-ს და არსს მოვწყვეტთ არა-ს და არარსს, მაშინ ყველაფრის ისეთ უარყოფამდე მივალთ, რომელიც თვითონ მოითხოვს ყველაფერს. ასეთი უაზრობა მიიღება მაშინაც, როცა მდგომარეობას შევებრუნებთ, ე. ი. როცა არა-ს მნიშვნელობას სრულიად გამოვრიცხავთ, როცა რელატიურობა სრულად იქნება გაუქმებული და მხოლოდ აბსოლუტური იქნება აღიარებული. როგორც ცნობილია, პარმენიდეს არსი, რომელიც არარსს აბსოლუტურად უარყოფდა, თვითონ იყო ნამდვილი არარა. წმინდა აბსოლუტურობა საკუთარ აზრს ჰკარგავს; აბსოლუტურს მხოლოდ რელატიურთან კავშირში აქვს სრულიად გარკვეული აზრი. არსის და არარას ერთიმეორისაგან მოწყვეტა, ამბობს ლენინი, სოფისტიკას წარმოადგენს და არა დიალექტიკას<sup>1</sup>.

შეცდომა გვექნება მაშინაც, როცა არარა-ს არსთან ერთად შედარებით მნიშვნელობას მივცემთ და ორივეს ვაღიარებთ ისე, რომ მათ ნარევეს და ერთიანობას ერთიმეორეს გავუიგივებთ. ასეთ შემთხვევაში ეს ნარევი თვითონ გამოცხადდება მოჩვენებად და საჭირო გახდება წმინდა არსის ნამდვილ არსად აღიარება (ამის საუკეთესო ნიმუშს იძლევა პლატონი, კერძოდ, მისი „სოფისტიკა“).

შინაგანი წინააღმდეგობა, როგორც ეს ზემოთ გავარკვიეთ, ერთიანობაშია შესაძლებელი; მასში „ჰო“ და „არა“ შედარებითი მნიშვნელობის არიან, მაგრამ მათი შედარებითობა კი არ ამოსწურავს ყველაფერს, ასეთ შემთხვევაში მათ ერთიმეორისაგან ვერ გავარჩევდით და მივიღებდით ახლახან აღნიშნულ სოფისტიკას, წმინდა რელატივიზმს, — არამედ თვითონ ეს შედარებითობა მასში არსებულ მოცემული აბსოლუტურობით არის აზრდებული. „ჰო“ და „არა“, არსი და არარსი, დადებითი და უარყოფითი ერთიანობის ერთმხრიობებს წარმოადგენენ.

<sup>1</sup> „Непонятность начала“ — если ничто и бытие исключают друг друга, но это не диалектика, а софистика (Философские тетради, стр. 81).

ასეთი მდგომარეობაა არა მარტო სინამდვილეში, არამედ ასეთი უნდა იყოს ლოგიკურიც. ამაში უნდა მდგომარეობდეს ცნების მოქნილობა. ცნებები მკვდარი მოჩანან, ამბობს ლენინი, მაგრამ ისინი ნამდვილად მოძრავნი არიან. ცნებათა უნივერსალური მოქნილობა წინააღმდეგობის ერთიანობამდე მიდის, ეს არის მისი არსება. ცნებათა მოქნილობას თუ სუბიექტურად გამოვყენებთ, მაშინ მივიღებთ ეკლექტიკას და სოფისტიკას; თუ ცნებათა მოქნილობა (ცნებათა მოქნილობა, რომელიც არსებითად წინააღმდეგობის ერთიანობაა) ობიექტურად იქნა გამოყენებული, მაშინ დიალექტიკას მივიღებთ. ცნებათა მოქნილობის ობიექტური გამოყენება კი ნიშნავს ერთიანობის, სახელდობრ, მატერიალური პროცესის ყოველმხრიობის და მისი ერთიანობის ასახვას. დიალექტიკა არის ქვეყნის მარადიული განვითარების სწორი ასახვა<sup>1</sup>.

მაშასადამე, არსებობს ცნებათა დიალექტიკა, როგორც მათი უნივერსალური მოქნილობა, რომელიც წინააღმდეგობის ერთიანობამდე მიდის, და მისი გამოყენება ორნაირადაა შესაძლებელი: ერთია მისი სუბიექტური გამოყენება, რომელიც ეკლექტიკას და სოფისტიკას გვაძლევს, მეორე კი ობიექტური გამოყენება, რაც დიალექტიკას წარმოადგენს. რადგან ცნებათა ეს მოქნილობა სინამდვილის მრავალმხრიობის ერთიანობის ასახვაა, ამიტომაც იგი კონკრეტულია.

ეს არ ნიშნავს, ცხადია, იმას, რომ ცნებათა მოქნილობა ისეთივე მოძრაობა იყოს, როგორც სინამდვილის მოძრაობა. მოძრაობის აზრით გამოსახვა მაინც მისი (მოძრაობის) გაუხეშება და სიმკვდარეა, მაგრამ ფორმულა, რომელიც მოძრაობის არსებას გამოხატავს, არის შემდეგი: ერთიანობა დაპირისპირებულა. ლენინი ამბობს: *Изображение движения мыслью есть всегда огрубление, омертвление, — и не только мыслью, но и ощущением, и не только движения, но и всякого понятия. И в этом суть диалектики. Эту-то суть и выражает формула: единство, тождество противоположностей*<sup>2</sup>. (აქ იგუვობა.

<sup>1</sup> Понятия, обычно кажущиеся мертвыми, Гегель анализирует и показывает, что в них есть движение. Конечный? Значит, двигающийся и сяд к концу! Нечто? — Значит, не то, что другое. Бытие вообще? — Значит, такая неопределенность, что бытие=небытию. Всесторонняя, универсальная гибкость понятий, гибкость, доходящая до тождества противоположностей, — вот в чем суть. Эта гибкость, примененная субъективно — эклектике и софистике. Гибкость примененная объективно, т. е. отражающая всесторонность материального процесса и единство его, есть диалектика, есть правильное отражение вечного развития мира (В. И. Ленин, *Философские тетради*, стр. 84.).

<sup>2</sup> იქვე, გვ. 243.

ცხადია, ერთიანობის, — სახელდობრ, დაპირისპირებულთა ერთიანობის აზრითაა გაგებელი).

ამ ფორმულაში გამოთქმულია ის, რაც ცვალებადობა-განვითარების უზოგადეს კანონს წარმოადგენს, რაც ამხსნელია ყოველივე განვითარებისა, რადგან ამ უკანასკნელის არსებაა, როგორც „თვით-მოძრაობის წყარო“, როგორც „გასაღები ნახტომებისა“, „განუწყვეტლობის წყვეტადობისა“, „საპირისპიროდ გადაქცევისა“, „ძველის მოსპობრა და ახლის წარმოშობისა“<sup>1</sup>.

ხსენებული ფორმულა გამოთქვამს იმ აბსოლუტურს, რომელიც რელატიურში არსებობს. ყოველი რელატიურის ეს აბსოლუტური კანონი რელატიურს შედარებითად ხდის, რადგან რელატიური, რამელიც აბსოლუტურს თავის არსებად შეიცავს, არ არის წმინდა რელატიური; თვითონ რელატიურის არსებად არსებული აბსოლუტური არ არის წმინდა აბსოლუტური, რელატიურის გარეშე არსებული აბსოლუტური. როგორც ეს ზემოთაც გაიჩვენა. აბსოლუტური, რომელიც რელატიურისაგან დამოუკიდებლად; წმინდად არის აღებული, აღარ არის აბსოლუტური, არამედ რელატიურია ე. ი. თავის თავს აბათილებს. ასევე, რელატიური, რომელიც წმინდად არის აღებული, ე. ი. აბსოლუტურად არის წარმოდგენილი, თვითონ უარყოფს თავის თავს. ეს ორგვარი შეცდომა საკუთარი თავის გაუქმებას მოასწავებს და, ცხადია, არა რელატიურის და აბსოლუტურის დიალექტიკურ ერთიანობას.

მაშასადამე, ერთმხრიობანი დაძლეულია და საქმე სისრულით არის წარმოდგენილი, როცა რელატიურის და აბსოლუტურის ერთიანობა გვაქვს. ამ ერთიანობა-სისრულის დარღვევა ერთმხრიობის სრულ საფუძვლად გამოყენებაა, რაც სკეპტიციზმს, სოფისტიკას და სუბიექტივიზმს წარმოადგენს. ამიტომ ამბობს ლენინი, რომ დიალექტიკისათვის რელატიურს და აბსოლუტურს შორის განსხვავება თვითონ არის შედარებითი, რაც იმას ნიშნავს, როგორც ეს ზემოთ გავარკვიეთ, რომ „რელატიურში არის აბსოლუტური“: სუბიექტივიზმა და სოფისტიკას მივიღებთ მაშინ, როცა რელატიური მხოლოდ რელატიურად, აბსოლუტურის გამომრიცხავად არის აღიარებული. ლენინის სიტყვებით: Отличие суб'ективизма (скептицизма и софистики) от диалектики, между прочим, то, что в (об'ективной) диалектике относительно (релятивно) и различие между релятивным и абсолютным. Для об'ективной диалектики в релятивном есть абсолютное. Для суб'ектив-

<sup>1</sup> В. И. Ленин, Философские тетради, стр. 328.

ზმა ი სოფისტიკი რელატიური თოლო რელატიური ი ისკლიოაქ აბსოლუტიოს<sup>1</sup>.

აქ „ობიექტური დიალექტიკა“ არის ის სუბიექტური დიალექტიკა, რომელიც სინამდვილეში არსებულ დიალექტიკას ასახავს, ე. ი. დიალექტიკა, რომელიც არ არის სუბიექტურად მოხმარებული<sup>2</sup>, როგორც ეს ახლახან გავარკვევთ.

რაიმეს ერთმხრიობის სრულად და აბსოლუტურად წარმოდგენა არის შეცდომა; სწორედ ამ ლოგიკურ შეცდომას ემყარება იდეალიზმი. ფილოსოფიური იდეალიზმი, ამბობს ლენინი, არის რაიმე ერთი ნიშნის, ერთი მხარის ცალმხრივი განვითარება. მისი ზედმეტად გაბერვა და აბსოლუტურად გადაქცევა; ...философский идеализм есть одностороннее, преувеличенное, Überschwengliches (Dietzgen) развитие (раздувание, распухание) одной из черточек, сторон, граней познания в абсолюте, оторванный от материи, от природы, обожествленный<sup>3</sup>. აქ აღნიშნული ერთი ნიშნის გაბერვა, ლოგიკურის თვალსაზრისით, არასაკმაო საფუძვლის გამოყენებაა, რაც ყოველთვის ცნების, საერთოდ ლოგიკურის ყალბ გაგებას გვაძლევს.

ლენინი გვასწავლის, რომ შემეცნება არ არის სწორი ხაზი, არამედ მრუდე, რომელიც სპირალს უახლოვდება და რომლის რომელიმე მონაკვეთი შეიძლება წარმოდგენილ იქნეს როგორც დამოუკიდებელი, როგორც მთელი, როგორც სწორი ხაზი. ასეთ შემთხვევაში ხეებს იქით ტყეს ვერ ხედავენ და ვარდებიან ქაობში, ხუცობაში. სწორხაზობრიობა და ცალმხრიობა იდეალიზმის გნოსეოლოგიურ ფესვებს წარმოადგენს<sup>4</sup>.

<sup>1</sup> В. И. Ленин, Философские тетради, стр. 328.

<sup>2</sup> იქვე, გვ. 84.

<sup>3</sup> იქვე, გვ. 330.

<sup>4</sup> Познание человека не есть (respectively не идет по) прямая линия, а кривая линия, бесконечно приближающаяся к ряду кругов, к спирали. Любой отрывок, обломок, кусочек этой кривой линии может быть превращен (односторонне превращен) в самостоятельную, целую, прямую линию, которая (если за деревьями не видеть леса) ведет тогда в болото, в поповщину (где ее закрепляет классовый интерес господствующих классов). Прямолинейность и односторонность, деревянность и окостенелость, суб'ективизм и суб'ективная слепота voilà гносеологические корни идеализма. А у поповщины (= философского идеализма), конечно, есть гносеологические корни, она не беспочвенна, она есть пустоцвет, бесспорно, но пустоцвет, растущий на живом дереве, живого, плодотворного, истинного, могучего, всепильного, объективного, абсолютного человеческого познания (იქვე).



ზემოთ წარმოებული მსჯელობანი ჩვენ აქ მხოლოდ იმ მხრით გვაინტერესებს, რომ საფუძვლის ცნება გავარკვევით. როგორც ახლახან აღვნიშნეთ, რაიმეს ერთი მხარის, ერთი ნიშნის, ერთმხრიობის სისრულედ წარმოდგენა, ე. ი. ცალმხრევი თვალსაზრისი შეცდომას წარმოადგენს. საერთოდ ლოგიკურის, ე. ი. ცნების (როცა ამ უკანასკნელს მსჯელობის და დასკვნის შედეგად განვიხილავთ; მისი ასეთი წარმოდგენა კი ჩვენ ერთადერთ სწორ წარმოდგენად მიგვაჩნია) მის ერთ ნიშანზე, მის ერთმხრიობაზე დაყვანა, ე. ი. ამ ერთმხრიობის დამოუკიდებელ მთელად წარმოდგენა სიყალბეს წარმოადგენს. ეს გარემოება, ამ შრომის პირველ თავში განხილული განსაზღვრების ბუნების საფუძველზე დგომით, ნათელეყოთ მაგალითით.

მაგ., ლენინიზმის ცნების გაყალბებას მივიღებთ, თუ მხოლოდ მას ერთ ნიშანს ავიღებთ, თუ ლენინიზმის ცნებას მის ერთ ნიშანზე დავუყვანთ, ე. ი. თუ მის ერთ ნიშანს მთელის მაგიერ მივიღებთ, თუ ერთ ნიშანს დამოუკიდებელ მთელად, სრულად გამოვაცხადებთ. თუ ვიტყვით იმას, რომ ლენინიზმი მარქსიზმის გამოყენებაა რუსეთის ვითარების თავისებური პირობების მიმართ, მაშინ ასეთი განსაზღვრება ყალბი იქნება, რადგან სიმართლის ნაწილი მთელ სიმართლედ იქნება გამოცხადებული. მასში მართლაც არის სიმართლის ნაწილი, მაგრამ იგი სრულიადაც ვერ ამოსწურავს მთელ სიმართლეს. ლენინმა ოსტატურად გამოიყენა მარქსიზმი რუსეთის თავისებური პირობების მიმართ, მაგრამ მისი ამ გამოყენებაზე დაყვანა მას ნაციონალურ ხასიათს მისცემს, მაშინ როცა იგი ინტერნაციონალური მოვლენაა, ამდენად უნდა ვთქვათ, რომ ეს განსაზღვრა ცალმხრივია. ამიტომ მისი სრულად მიღება ყალბ განსაზღვრებას, ლენინიზმის ყალბ გაგებას წარმოადგენს.

თუ იმას ვიტყვით, რომ „ლენინიზმი არის XIX საუკუნის 40-იანი წლების მარქსიზმის რევოლუციურ ელემენტთა აღორძინება...“, მაშინაც ყალბ განსაზღვრებას მივიღებთ, თუმცა უნდა ვთქვათ, რომ ამ, ასე ვთქვათ, სრულიად არაადამაქმყოფილებელ განსაზღვრაშიც კი მოიპოვება სიმართლის ნაწილი, რადგან ლენინმა მართლაც აღადგინა მარქსიზმის რევოლუციური შინაარსი, რომელიც დაასამარეს II ინტერნაციონალის თეორიტიკოსებმა. ეს მხოლოდ სიმართლის ნაწილია, მაგრამ სრულიადაც არ არის მთელი სიმართლე, რადგან ლენინიზმმა არა მარტო აღადგინა მარქსიზმი, არამედ აგრეთვე გადადგა ნაბიჯი წინ, — შემდგომ განვითარა მარქსიზმი კაპიტალიზმისა და პროლეტარიატის კლასობ-

ჩივი ბრძოლის ახალ პირობებში. ამრიგად, ლენინიზმის ცნების სრული განსაზღვრება იქნება ასეთი: ლენინიზმი არის იმპერიალიზმისა და პროლეტარული რევოლუციის ეპოქის მარქსიზმი. მაგრამ ეს განსაზღვრება ზოგადი განსაზღვრებაა; აქ ნათქვამია, რომ ლენინიზმი მარქსიზმია განსაკუთრებული ეპოქისა, რომ იგი მარქსიზმის განვითარებაა ახალ, განვითარებულ პირობებში, სახელდობრ, იმპერიალიზმის და პროლეტარული რევოლუციის პირობებში; მაგრამ არ არის ნათქვამი ის, თუ რას წარმოადგენს მარქსიზმი ამ ახალ პირობებში. ამიტომ ლენინიზმის უფრო ზუსტი განსაზღვრება იქნება შემდეგი: ლენინიზმი არის პროლეტარული რევოლუციის თეორია და ტაქტიკა საერთოდ, პროლეტარიატის დიქტატურის თეორია და ტაქტიკა განსაკუთრებით.

მაშასადამე, ერთმხრივის, ნაწილობრივის და შედარებითის აბსოლუტურად და მთელად წარმოდგენა შეცდომაა. ნამდვილი ცნება მრავალმხრიობის ერთიანობაში მდგომარეობს, ამიტომაა ცნება მოქნილი. მთელის ერთი მხარე, ერთი ნიშანი კერძობითობაა და არა ზოგადობა, როგორც ეს ძველ ლოგიკას ესმოდა (და როგორც ეს ზემოთაც გვაჩვენებდა); ეს კერძობა შინაარსეული ზოგადის ერთმხრიობაა (თუმცა მოცულობის თვალსაზრისით ზოგადობას წარმოადგენს). თუ ამ ერთმხრიობას წარმოვიდგენთ როგორც რიმესაგან განსაზღვრულს (სწორედ ამიტომაა ის ერთმხრივი) და არ ავიღებთ განმსაზღვრელ სრულ საფუძვლად. მაშინ გვექნება იგი ზუსტად გაგებულის, გაგებულის სწორედ მისი ნამდვილი ბუნების მიხედვით, როგორც მთელის ერთმხრიობა, როგორც ერთი და იგივეს ერთ-ერთი მრავალ განსაზღვრებათაგანი. მარქსიზმის რუსეთში გამოყენების ნიშანი ერთ-ერთი ნიშანთაგანია ლენინიზმისა, ამდენად ის განსაზღვრავს ლენინიზმს, მაგრამ თვითონ განსაზღვრულია იმით, რომ პროლეტარული რევოლუციის შესაძლებლობას რუსეთის, როგორც იმპერიალიზმის სუსტი რგოლის, თავისებურება ჰქმნიდა. ლენინიზმი არ იარსებებდა, რომ ის არ იყოს მე 19 საუკუნის 40-იანი წლების მარქსიზმის რევოლუციურ ელემენტთა აღორძინება. მაგრამ ამ ელემენტთა აღორძინება თვითონ არის შესაძლებელი იმით, რომ რევოლუციური მარქსიზმი განვითარდა, წინ წავიდა ახალი პირობების შესაბამისად. მარქსიზმის აღორძინება, მარქსიზმის აღდგენა მხოლოდ მისი განვითარებით არის შესაძლებელი. ნამდვილი მარქსიზმი მხოლოდ შემოქმედებითი მარქსიზმია.

როდესაც ლენინიზმს განვსაზღვრავთ, როგორც იმპერიალიზმისა და პროლეტარული რევოლუციის ეპოქის მარქსიზმს, მაშინ

არ იქნებოდა სწორი გვეთქვა, რომ აქ ჩვეულებრივი დეფინიციაა. სახელდობრ ისეთი დეფინიცია, რომელიც შესრულებულია უახლოესი გვარის და სპეციფიკური ნიშნის ჩვენებით, — იმ ნიშნის ჩვენებით. რომლითაც ერთი სახე მეორისაგან განსხვავდება. მარქსიზმი ლენინიზმის მიმართ რომ გვარი იყოს, ჩვეულებრივი გაგებით, ე. ი. ცნების მოცულობის გაგებით, მაშინ ლენინიზმის გვერდით მარქსიზმის მეორე სახის არსებობა უნდა დაგვეშვა. ხომ არ შეიძლება ვთქვათ, რომ არსებობს ორი სახის მარქსიზმი: ერთია რევოლუციური მარქსიზმი; მეორე II ინტერნაციონალის, ზომიერი მარქსიზმი. — ერთია დოგმატური და მეორე შემოქმედებითი მარქსიზმი? ამის თქმა შეიძლება მხოლოდ იმდენად, რამდენადაც დოგმატური მარქსიზმის მიმდევრები თავის თავს მარქსისტებად სთვლიდნენ და ჩენთვის საჭიროა მათი „მარქსიზმისაგან“ ნამდვილი მარქსიზმი განვასხვაოთ. „ზომიერი“ მარქსიზმის, II ინტერნაციონალის მარქსიზმის მიმდევრები თავიანთ თავს ორთოდოქსებად სთვლიდნენ, ნამდვილად კი საჭიროა მათი „მარქსიზმი“ ნამდვილი მარქსიზმისაგან განვასხვაოთ. აქ ორი სახე კი არა გვაქვს მარქსიზმისა, არამედ ერთია „მარქსიზმი“ და მეორე კი მართლაც მარქსიზმი განვითარებული სახით. უკეთ: ერთი არ არის მარქსიზმი, მეორე კი ნამდვილი მარქსიზმი. ის, რაც არ არის მარქსიზმი, არამედ მარქსიზმის შერყვნაა. მარქსიზმის სახეობად, ცხადია, არ გამოდგება.

ზოგიერთები ამბობენ რომ ლენინიზმი არის მე-19 საუკუნის 40-იანი წლების მარქსიზმის რევოლუციურ ელემენტთა აღორძინება შემდგომი წლების მარქსიზმისაგან განსხვავებით. როდესაც აგი თითქოს ზომიერი, არარევოლუციური გახდა. მარქსის მოძღვრების ამ ორ ნაწილად, სახელდობრ, „რევოლუციურ და ზომიერ ნაწილად“ გაყოფა ცნობილია, სულელურ და უგვანო გაყოფას წარმოადგენს. რომ მარქსიზმის რევოლუციური შინაარსი დაასამარეს II ინტერნაციონალის ოპორტუნისტებმა. ცხადია, ვერც ოპორტუნისტები ჩაითვლებიან მარქსისტებად. ისინი სწორედ მარქსიზმის მტრებს წარმოადგენენ, და ვერც „არარევოლუციური“ და „ზომიერი მარქსიზმი“ ჩაითვლება მარქსიზმად. აქ გვაქვს მარქსიზმის უარყოფა და არა ერთ-ერთი სახე მარქსიზმისა.

როდესაც ვამბობთ, რომ, მაგ., სამკუთხედს კუთხის ნიშნის მიხედვით სამი სახე აქვს, ეს სამი სახე (მართკუთხა, ბლაგვეკუთხა და მახვილკუთხა სამკუთხედები) მართლაც სამკუთხედებია და სამივე ერთი და იგივე „უფლებით“ არსებობს. ასე არ შეიძლება ვილაპარაკოთ მარქსიზმის ზემოთ აღნიშნული „სახეების“ შესახებ, რად-

გან მათგან მხოლოდ ერთია მარქსიზმი, მეორე კი არამარქსიზმი. ის „მარქსიზმი“, რომელმაც „მარქსიზმის რევოლუციური შინა-არსი... დაასაბარა“, ცხადია, მარქსიზმად ვერ ჩაითვლება. მარქსიზ-ში ყოველგვარი დოგმატიზმის მტერია, და მაშ., „დოგმატური მარქსიზმიც“ — მარქსიზმის მტერი.

როგორც ცნობილია, არსებობს „სახის“ მეორეგვარი გაგება, მისი გაგება განვითარების თვალსაზრისით. „სახის“ ასეთი გაგება ცნობილია ბუნებისმეტყველებაში დარეინის შემდეგ. განვითარების თვალსაზრისით სახე არის განვითარების ეტაპი, განვითარების საფეხური, მაგ., აკად. კომაროვი სახეს შემდეგნაირად განსაზღვრავს: „...вид есть определенный этап в процессе эволюций“, ანდა: „...вид есть этап на пути развития“<sup>1</sup>. მაგ., ადამიანი ცხოველის სახეა, როგორც განვითარების გარკვეული, მაღალი საფეხური, ეტაპი. (სახეს და სახესხვაობას, ნაირსახეობას ბიოლოგიური მეცნიერება, როგორც ცნობილია, ერთიმეორისაგან ზუსტად განასხვავებს).

მაშასადამე, არსებობს „სახის“ ორგვარი გაგება: 1) ფორმალურ-ლოგიკური გაგება, სადაც სახე განვითარების გარეშე წარმოადგინეს, — სადაც სახეები ერთიმეორის გვერდით არსებობენ; 2) სახის დიალექტიკური გაგება, მისი განვითარების თვალსაზრისით გაგება, როცა სახე გაგებულია, როგორც განვითარების საფეხური, ეტაპი. მაგ., იმპერიალიზმი კაპიტალიზმის განვითარების მაღალი ეტაპია, ფორმაციები საზოგადოების განვითარების საფეხურებია, რომლებიც განსხვავებული წარმოების წესით განისაზღვრებიან და სხვ.

შესაძლებელია, რომ განვითარების ორი (თუ მეტი) საფეხური ერთდროულადაც არსებობდეს სხვადასხვა ადგილზე, მაგ. კაპიტალიზმისტური და სოციალისტური საზოგადოება საზოგადოების განვითარების საფეხურებია, მაგრამ შეიძლება ისინი ერთიმეორის გვერდითაც არსებობდნენ, მაგ., დღევანდელ პირობებში. მაგრამ მთავარი განვითარებაა და არა ერთიმეორის გვერდით არსებობა; ამდენად დიალექტიკური ფორმალურ-ლოგიკურს განსაზღვრავს, როგორც არსებითი — შედარებით არაარსებითს.

ლენინიზმის, როგორც მარქსიზმის „სახის“, შესახებ ლაპარაკი შეიძლება და სწორია მხოლოდ „სახის“ თავისებური, დიალექტიკური გაგებით, არა ძველი, ფორმალურ ლოგიკური გაგებით. ლე-

<sup>1</sup> Комаров, Учение о выде у растений, 1944 г. стр. 244, 239. იხ. აგრეთვე, Креторович, Вопросы эволюции растительного мира, стр. 11, 12, 170, 1952; БСЭ. т. 8, стр. 16; ჟურნალი Вопросы философии, 1953, № 2, стр. 80; П. В. Таванец, Суждение и его виды, стр. 118; და სხვ.

ნიწიწში მარქსიწმის სახეა როგორც მისი განვითარების მალალი საფეხური; მარქსიწში იმპერიალიწმისა და პროლეტარული რევოლუციების ეპოქის პირობებში ლენიწიწმის სახით არსებობს.

იმპერიალიწმის და პროლეტარული რევოლუციების რთული პირობების შესაბამისად მარქსიწში უფრო კონკრეტული და განვი-თარებული გახდა, მან უფრო კონკრეტული და განვითარებული სახე მიიღო; მარქსიწმმა ახალი წიწნები შეიძინა, ის გახდა პრო-ლეტარული რევოლუციის თეორიად და ტაქტიკად საერთოდ და პროლეტარიატის დიქტატურის თეორიად და ტაქტიკად განსაკუთ-რებით. ახალი წიწნები, რომელიც ახალმა პირობებმა შექმწნა, არ არიან ისეთი წიწნები, რომლებიც ჩვეულებრივი, ტრადიციული ლოგიკის გაგებით, სახეს გეარისაგან განასხვავებს. ამ უკანასკნელ წმმთხვევაში სახის სპეციფიკური წიწანი, ცხადია, გეარში არ აულისხმება, წინააღმდეგ წმმთხვევაში, სახე და გეარი ერთიმეო-რისაგან განუსხვავებელი იქწბოდა, და არც იქიდან გამომდინარე-ობს; ქართულის წიწანი აღამიანობის წიწნად არ გამოდგება, იგი მისთვის სრულად შეწმთხვევითია. ლენიწიწმის სპეციფიკური წი-წანი თუ წიწნები კი მარქსიწმიდან პირდაპირ გამომდინარეობენ.

ლენიწიწში მარქს-წნგელსის მოძღვრების განვითარებუ-ლი სახეა (და არა ერთ-ერთი სახეთაგანი. ეს, რო-გორც აღიწწნა, შეცდომა იქწებოდა); თანახმად დია-ლექტიკის თეორიისა. ლენიწიწში შეიცავს ისეთ დებულე-ბებსაც, რომლებიც პირდაპირ ეწწინააღმდეგებიან მარქსის და ენგელსის მოძღვრების ცალკეულ დებულეებს, რადგან სწორედ მის განვითარებას წარმოადგენენ. მარქსიწში, როგორც მეცნიერება, ვითარდება და სრულქმწნილი ხდება, მდიდრდება ახალი გამოცდი-ლებით, მამსადამე, ცალკეული მისი ფორმულები იცვლება დროთა განმავლობაში. თუ მარქსი და ენგელსი ერთ ქვეყანაში პროლეტარული რევოლუციის შესაძლებლობას უარყოფდნენ, ლენიწიწში კი საწწინააღმდეგო დებულეებს ასაბუთებს სწორედ მარქსიწმის სა-ფუძველზე და ამით აწვითარებს მარქსიწმს. ვ. ი. ლენიწის თეორია ერთ ქვეყანაში პროლეტარული რევოლუციის მოწდენის შესახებ მარქსის და ენგელსის პროლეტარული რევოლუციის თეორიის განვითარებაა; ეა უკანასკნელი პირველის საფუძველია. საფუძ-ველი განსაზღვრავს შედეგს; მაგრამ შედეგი საფუძველს განსაზღვ-რავს, რამდენადაც საფუძველი შედეგის სახით არსებობს, მარქსი-წში ახალ პირობებში მხოლოდ ლენიწიწმის სახით არსებობს.

ბ) სა ფ უ ძ ვ ე ლ - შ ე დ ე გ ი ს კ ა ვ შ ი რ ი ს დ ი ა ლ ე ქ ტ ი -  
კ უ რ ო ბ ა და შ ი ნ ა გ ა ნ ი სა ფ უ ძ ვ ლ ი ს ც ნ ე ბ ა .

როგორც ცნობილია, ძველი ლოგიკისათვის ცნების ყო-ველი წიწანი ამ ცნების გეარად გამოდგება, რომელსაც

იგი ექვემდებარება, თუმცა მას, როგორც პრედიკატს, იგი, როგორც სუბიექტი, იქვემდებარებს. აქ ერთგვარი გაურკვევლობა არსებობს ამ ორგვარი დაქვემდებარების ურთიერთდამოკიდებულების გაგებაში. ამასთანავე, გასარკვევია — ერთი ნიშანი ცნებისა, როგორც მისი ერთ-ერთი განსაზღვრულობათაგანი, მისი ერთმხრიობა, რა აზრით შეიძლება იყოს კერძო და რა აზრით ზოგადი? ამ საკითხის გარკვევას, როგორც ზემოთ აღინიშნა. უდიდესი მნიშვნელობა აქვს ლოგიკური ბუნებისა გაგებისათვის, რადგან ერთმხრივის ზოგადი მნიშვნელობით მოხმარა შეცდომას წარმოადგენს. გასარკვევია თვითონ იმ ზოგადის ბუნებაც, რომლის მიმართ მისი ერთი ნიშანი კერძოა, ერთმხრიობაა (და არა ზოგადობა, სისრულის და მთელის თუ ერთიანის გაგებით).

აქ დასმული საკითხი, ზემოთ გარკვეული მასალის საფუძველზე და ჩვენი პრობლემისათვის საჭირო მხრით, შეიძლება შემდეგი სახით გაიხსნას. როცა ვამბობთ; ივანე ადამიანია, ივანე განსაზღვრულია როგორც ადამიანი, მაშინ ივანეს ერთი ნიშანი მისი განსაზღვრულია, ისე როგორც ეს ნიშანი სხვა ადამიანს განსაზღვრავს, ამიტომ ამბობენ, რომ იგი (ადამიანობის ნიშანი) ზოგადია, მეორე მხრით, ადამიანობა ივანეს ერთ-ერთი ნიშანთაგანია, იგი მისი პრედიკატია; პრედიკატი გამოსთქვამს იმას, რაც სუბიექტია, რასაც იგი წარმოადგენს. ამდენად იგი სუბიექტით არის განსაზღვრული, მასზე დაქვემდებარებული<sup>1</sup>. ასე ითქმის სუბიექტის ყოველ ნიშანზე. რაიმე სუბიექტის ერთი პრედიკატი მას ერთმხრივად გამოსთქვამს. ის, რაც სხვადასხვის ერთმხრიობებს აერთიანებს, არის ზოგადობა, როგორც მთელი, სისრულე, უკეთ: ერთიანობა, რომელზედაც დაქვემდებარებულია ყოველი მისი მხარე თუ ნიშანი. ეს უკანასკნელი, როგორც მთელის ერთმხრიობები, კერძობის ბუნების არიან; ერთიმეორისგან განსხვავდება საერთო ნიშნის, როგორც ერთმხრიობის. ზოგადობა იმ ზოგადობისაგან. რაიმე ერთმხრიობათა ერთიანობას წარმოადგენს. ისინი ამ ერთიანობაში ურთიერთს განსაზღვრავენ, ამდენად საფუძველ-შედევის დამოკიდებულებაში იმყოფებიან.

ერთმხრიობის ზოგადად, არაერთმხრიობად, სისრულედ წარმოდგენა, როგორც ზემოთ აღვნიშნეთ, შეცდომას იძლევა. როდესაც რაიმე ცნების ერთ ნიშანს თვითონ ცნების მაგიერობას გავაწევენ. მაშინ სიყალბეს მოვლენ (დამოუკიდებლად აღებული ერთი

<sup>1</sup> სწორედ ამ აზრით აკრიტიკებდა არისტოტელე პლატონს. პლატონის იდეას დამოუკიდებლობა არ შეიძლება ჰქონოდა, რადგან იგი ზოგადია და ამიტომ პრედიკატი ერთეულისა, პირველი სუბიექტისა, ე. ი. ისეთი სუბიექტისა, რომელიც არისტოტელეს აზრით, პრედიკატად არ გამოდგება.

ნიშანი ცნებისა, ცხადია, თვითონ იქნება ცნება, მაგრამ სხვა ცნება, როგორც ეს ჩვენ შრომის პირველ თავშიც გავარკვიეთ). როგორც ვიცით, ცნებისათვის არსებითია არა ის, თუ მოვლენათა რა სიმრავლეზე ვრცელდება იგი, — ეს მეორადი მნიშვნელობისაა, არამედ ის, თუ თვითონ რას წარმოადგენს. ერთადერთი საგნის შესახებ ცნებაც ხომ ისეთივე ცნებაა (როგორც ცნება), როგორც მრავალი მოვლენის მოგულისხმე ცნება?

ჩვენ აქ უშუალოდ არ გვინტერესებს არც მსჯელობის ბუნების გამორკვევა, არც საერთოდ ზოგადის ბუნების დახასიათება, არამედ ის, რომ ერთმხრიობა და სისრულე გავარჩიოთ ლოგიკურის ბუნების გაგებისათვის, რომ ერთმხრიობის სრულ საფუძვლად გამოყენება შეცდომას გვაძლევს. რაიმეს ერთმხრიობა იმით ირკვევა, რომ ის სხვით არის განსაზღვრული. როცა რაიმეს მხოლოდ საფუძვლად ავიღებთ ისე, რომ იგი მხოლოდ სხვას განსაზღვრავს და სხვით განსაზღვრულად არ წარმოიდგინება, მაშინ ერთმხრიობის სისრულედ წარმოადგენა, ე. ი. შეცდომა გვაქვს.

ცნების ნიშნები ერთიმეორეს უნდა განსაზღვრავდნენ, ერთიმეორის საფუძველ-შედგეს უნდა წარმოადგენდნენ; ამ შემთხვევაში, ლოგიკური რკალი თავიდან იქნება აცილებული იმით, როგორც ეს ზემოთ გავარკვიეთ, რომ საგნის არსებაში, როგორც წინააღმდეგობის ერთიანობაში, არის დაუბოლოებელის მომენტი, ისეთი მომენტი, რომელიც სხვებსაც განსაზღვრავს და თავის თავსაც; იგი იმასაც განსაზღვრავს, თუ როგორ განსაზღვრავენ სხვა მომენტები მას. ასეთი „გარეგადამწელომი“ მომენტია დადგენა და მისი ხასიათი არსებითია ლოგიკურისათვის. ასეთი მომენტია, როგორც ვნახეთ, მაგ., წარმოებაში თვითონ წარმოება საკუთრივ წარმოებისა, განაწილების და მონმარების მომენტების მიმართ. ჩვეულებრივი ცნებაც რომ ავიღოთ, იქაც ნათელია აქ აღნიშნულს აუცილებლობა. ადამიანის ცნების შინაარსი სხვადასხვა ნიშანს შეიცავს, მაგრამ უძირითადესი იარაღის მკეთებლობის ნიშანია. ეს ნიშანი განსაზღვრავს სხვა ნიშნებს, მაგალითად. გონიერება-აზროვნების ნიშანს და იმასაც, რომ გონიერება, თავის მხრივ, იარაღისმკეთებლობას განსაზღვრავს.

მაშასადამე, როცა A გამოიყენება B-ს საფუძვლად, როცა ამით შორის ისეთი მკვიდრო კავშირია, რომ B გამოდის A-დან, B განსაზღვრება A-თი, მაშინ შებრუნებითი დამოკიდებულებაც უნდა იყოს, რადგან A-ს, როგორც საფუძველს, სწორედ B-ს გამო უნდა ჰქონდეს აზრი. ურთიერთმომქმედებას კი აზრს აძლევს, როგორც ვამბობდით, დაუბოლოებელის მომენტი. ცნება ანუ ლოგიკური საერთოდ უნდა იყოს ის, რაც მსჯელობების და მათი აუცილებელი

ერთიანობის (დასკვნის და დასაბუთების) ზოგად აზრს, ამდენად შედეგს წარმოადგენს.

საკითხავია, თუ რა ნაკლი აქვს ძველ ლოგიკას საფუძვლის ცნების გაგებაში, აქ გარკვეული დებულების თვალსაზრისით. ჩვეულებრივი ლოგიკის სახელმძღვანელოები<sup>1</sup> რომ ავიღოთ, იქ ვნახავთ, რომ პირობით-კატეგორიული სილოგიზმის მაგალითებად მოყვანილია მაგალითები მიზეზობრიობის კავშირის შესახებ, რამდენადაც მიზეზის მოქმედებასთან აუცილებელი კავშირი განსაზღვრავს მიზეზის შესახებ აზრის შედეგის შესახებ აზრთან აუცილებელ კავშირს; რადგან ვიცით, რომ წვიმა ნიადაგის დასველებას აუცილებლობით იწვევს, ამიტომ წვიმის შესახებ აზრიდან ვასკვნი ნიადაგის დასველების შესახებ აზრზე. ცხადია, ეს იმას კი არ ნიშნავს, რომ წვიმის ცნებიდან ნიადაგის დასველების ცნება გამომდინარეობს, როგორც მიზეზიდან მოქმედება, არამედ იმას, რომ აზრი წვიმის მოსვლის შესახებ აუცილებელ კავშირშია ნიადაგის დასველების შესახებ აზრთან. ამიტომ მსჯელობიდან: „წვიმა მოვიდა“ აუცილებლობით გადავდივართ მსჯელობაზე, რომ „ნიადაგი დასველდება“, იმიტომ კი არაა, რომ პირველი მსჯელობა მეორის წინამძღვარია, არამედ, იმიტომ, რომ ვეყრდნობით მიზეზობრიობის კატეგორიას. სახელდობრ, წვიმის მოსვლას ნიადაგის დასველების მიზეზად ვთვლით. სხვანაირად: მიზეზობრიობას ვიყენებთ საფუძვლად, რათა გამოვთქვათ აზრი რაიმედან გამოსული სხვა რაიმეს შესახებ.

ჩვენ აქ მხოლოდ იმის აღნიშვნა გვინდა, რომ ფორმალური ლოგიკა არ ემყარება შინაგანი და გარეგანი მიზეზის განსხვავებას, როგორც ეს მატერიალისტურ დიალექტიკაში ვაქვს. ტრადიციული ფორმალური ლოგიკა მიზეზობრიობის მექანიკურ და მეტაფიზიკურ გაგებას ემყარება. მისთვის საბაბი, პირობა და მიზეზი ერთი და იგივე მნიშვნელობით არის მოხმარებული. სწორედ ამ გარემოების საფუძველზეა უარყოფილი პირობით-კატეგორიულ სილოგიზმში საფუძვლის უარყოფიდან შედეგის უარყოფა და შედეგის მტკიცებიდან საფუძვლის მტკიცება. უარყოფით-პროგრესული და დადებით-რეგრესული მოდუსების მცდარ მოდუსებად მიღება პირობით-კატეგორიული სილოგიზმის მიერ იმაზეა დამყარებული, რომ ერთ შედეგს მრავალი (ახლანახან აღნიშნული გაგებით) მიზეზი შეიძლება ჰქონდეს. რომელიმე მიზეზის არარსებობიდან, ცხადია არ გამომდინარეობს შედეგის არარსებობა და შედეგის არსებობიდან რომელიმე მიზეზის არსებობა, რადგან შესაძლებელია მას სხვა რომელიმე მიზეზი იწვევდეს. სხვადასხვა მიზეზის შესაძლებლობა. ცხადია, არ ნიშნავს რომელიმე მათგანის აუცილებლობას. სიმრავლიდან რომელიმე ერთის აუცილებლობით არჩევა შეუძლებელია იმდე-

<sup>1</sup> К. Ба к р а д з е, Логика, стр. 294.



ნად, რამდენადაც სხვადასხვაა შესაძლებელი. ამიტომ არსებობს მრავალი მიზეზის შემთხვევითობა, — შედეგიდან რომელიმე მათგანის მიღების შემთხვევითობა, თუმცა საერთოდ მიზეზი აუცილებელია. მაგ., ივანეს სიკვდილის მიზეზი მრავალი რამ შეიძლება იყოს, თუ მიზეზის ქვეშ მხოლოდ გარეგან მიზეზს ვიგულისხმებთ (ანდა არ გავარჩევთ შინაგან და გარეგან მიზეზს), მაგრამ ის შინაგანი მიზეზი, რომელიც ივანეს სიკვდილს იწვევს, არის მხოლოდ ერთი; ცოცხალი ორგანიზმი სიკვდილსაც შეიცავს. ორგანიზმის არსებიდან გამომდინარეობს სიკვდილი, იგი მისთვის აუცილებელია (სიცოცხლე თვითონ არის სიკვდილ-სიცოცხლის ბრძოლის პროცესი); სიკვდილის გარეგანი მიზეზები კი უამრავია. გარეგან მიზეზთა სიმრავლე შედეგის მიმართ ერთი არსების მქონეა; ივანეს ერთი შინაგანი მიზეზი ჰქვავს, რამდენადაც მოკვდავობა ივანეს, როგორც ცოცხალი ორგანიზმის, არსებიდან გამომდინარეობს, ე. ი. აუცილებელია; გარეგანი მიზეზები კი, რომლებიც პირობას წარმოადგენენ, ხელს უწყობენ ან ხელს უშლიან შინაგანი მიზეზის მოქმედებას.

პირობით-კატეგორიული სილოგიზმი ასახავს შედეგის გარეგან მიზეზთან, როგორც სხვადასხვა, და ამდენად, შემთხვევით მოვლენებთან კავშირს, შინაგანი, არსებითი მიზეზი კი ამ დასკვნას აუსახავი რჩება. რამდენადაც შედეგისათვის შინაგანი მიზეზი, როგორც არსება, ერთია, ამდენად შესაძლებელი უნდა იყოს შედეგიდან მიზეზზე დადებითი გადასვლა. აქ უნდა გადაწყდეს ინდუქციის პრობლემაც, შედეგიდან მიზეზის აღმოჩენა უნდა აისახოს დასკვნით, სრული ლოგიკური აუცილებლობით. ყოველ შემთხვევაში, როგორც ვხედავთ, პრობლემის დასმა და გადაწყვეტა მხოლოდ მატერიალისტური დიალექტიკის საფუძველზე უნდა მოხდეს; ძველი ლოგიკა, მხოლოდ გარეგანი მიზეზების მხედველობაში მიღებით, ზერელე კავშირის გამოხატვას ვერ შორდება. პირობით-კატეგორიული სილოგიზმი მოვლენებს ეხება და არსების გამომხატველ ლოგიკურს მხოლოდ მოითხოვს და ვერ ახორციელებს, თუმცა მის საფუძველზეა იგი შესაძლებელი. თუ რომელიმე დასკვნა მიზეზ-შედეგის დამოკიდებულების ასახვას ისახავს მიზნად და მას წარმოადგენს, რატომ მაინცდამაინც გარეგანი მიზეზებით უნდა შემოვიფარგლოთ და შინაგანი მიზეზები, მიზეზობრიობის დიალექტიკური გაგება უგულებელყვით?

პირობით-კატეგორიულ სილოგიზმში უარყოფით-რეგრესული მოდუსის სისწორე დადებით-რეგრესული მოდუსის შესაძლებლობასაც მოასწავებს, რადგან საერთოდ მიზეზი აუცილებელია და შინა-

31. ს. წერეთელი

განი მიზეზი, არსება მხოლოდ ერთი შეიძლება იყოს. დადებით-რეგრესული მოდუსის სისწორის ეს შესაძლებლობა გაურკვეველია ძველი ლოგიკისათვის.

უარყოფით-პროგრესული და დადებით-რეგრესული დასკვნების შესრულება იმიტომ არის, ძველი ლოგიკის თვალსაზრისით, შეუძლებელი (ჩვენი პრობლემისათვის სწორედ ესაა მთავარი), რომ 1) საფუძველ-შედეგის დამოკიდებულება ანალიზურია, 2) საფუძველი და შედეგი ერთმხრივად არის გაგებული.

ყოველი დასკვნის პრინციპი ზოგადად გამოითქმება ასე: თუ არის A, მაშინ არის B, ე. ი. თუ არის საფუძველი, მაშინ არის შედეგი. დებულება „თუ არის A, მაშინ არის B“ განსხვავებულთა აუცილებელ კავშირს წარმოადგენს, წინააღმდეგ შემთხვევაში, თვითონ ამ დებულებას არავითარი აზრი არ ექნებოდა: არაფრის მთქმელი იქნებოდა შემდეგი გამოთქმა: „თუ არის A, მაშინ არის A“. აბსტრაქტული იგივეობა დასკვნის ხსენებულ პრინციპს აზრს დაუკარგავდა. ამავე დროს, ცნობილია, რომ ლოგიკის ისტორიაში გაღუწვევებულ პრობლემად რჩებოდა რაიმესთან მისგან განსხვავებულის კავშირი, ანუ რაიმესგან მისგან განსხვავებულის გამოყვანა. იმიტომ ამ სხვადასხვაობის შემთხვევაში ამბობენ, რომ შეუძლებელია საფუძვლის უარყოფიდან შედეგი უარყოფით და შედეგის მტკიცებიდან საფუძველი ვამტკიცოთ.

რაიმე დებულების საფუძველი, ცხადია, ამ დებულებისაგან უნდა განსხვავდებოდეს, წინააღმდეგ შემთხვევაში, ის მისი განმეორება იქნებოდა და არა მისი საფუძველი, ის თვითონ იქნებოდა გასამართლებელი და ასახსნელი და არა გამმართლებელი და ამხსნელი; და პირიქითაც, შედეგი საფუძვლისაგან უნდა განსხვავდებოდეს, წინააღმდეგ შემთხვევაში, ერთსა და იგივეს განმეორებით, ორივეს აზრი დაეკარგებოდა: აღარც შედეგი იქნებოდა შედეგი და აღარც საფუძველი — საფუძველი. თუ დანასკვი ანალიზურად გამომდინარეობს წანამძღვრიდან, მაშინ იგი მას იმეორებს და არც დანასკვი იქნება შედეგი და არც წანამძღვარი — საფუძველი; ისინი თავის თავს ვერ გაამართლებენ. საფუძველი მაშინ ამართლებს თავის თავს, როცა იგი მისგან განსხვავებული შედეგის გამმართლებელია. შედეგიც მაშინ არის მართლაც შედეგი, როცა განსხვავებული საფუძველიდან, განსხვავებულიდან როგორც საფუძველიდან, აუცილებლობით გამომდინარეობს, მასთან აუცილებლობით არის დაკავშირებული.

საფუძველ-შედეგის სინთეზური კავშირის სიძნელე მთელი სისრულით პირველად კანტმა გამოაშკარავა და მთელი „წმინდა გონების კრიტიკა“ მის გარკვევას მონაწილეობდა, თუმცა, როგორც ცნო-

ბილია, ეს ცდა უშედეგოდ დამთავრდა, მან ისევ მეტაფიზიკას გაამარჯვებინა.

კანტის აზრით, ზოგადი ლოგიკის დასკვნა მხოლოდ ანალიზურია;<sup>1</sup> მხოლოდ ცნებების საფუძველზე მსჯელობაც ანალიზურია და დასკვნაც. მსჯელობის და დასკვნის სინთეზურობის პრობლემა ტრანსცენდენტალური ლოგიკის პრობლემაა. „წმინდა გონების კრიტიკამ“ მოინდომა კრიტიკულად გაერკვია სინთეზურ-ლოგიკურის ის ბუნება, რომლის შესახებ საკითხი კანტმა Versuch-ში დასვა: როგორ შეიძლება რაიმეს მისგან განსხვავებული მიეწეროს და რაიმესაგან მისგან განსხვავებული იქნეს გამოყვანილი.

კანტი ლოგიკურ საფუძველს განასხვავებს რეალური საფუძველისაგან; მისი აზრით, ლოგიკური შედეგი საფუძველიდან გამომდინარეობს თანახმად იგივეობის კანონისა, რადგან ცნების გაშლით ნათელი ხდება, რომ ის შედეგი უკვე საფუძველში იგულისხმება. მაგ., აუცილებლობა არის უცვლელობის საფუძველი, სირთულე გაყოფადობის საფუძველია და სხვ. აქ შედეგი საფუძველის ცნების ნაწილს ემთხვევა, ამდენად მასშივე იგულისხმება, ამიტომ იგი მისგან გამომდინარეობს შინაგანი შეთანხმებულობის წესის მიხედვით (nach der Regel der Einstimmung); ასეთი საფუძველი, ამბობს კანტი, არის ლოგიკური საფუძველი, რადგან მისი შედეგთან დამოკიდებულება შეიძლება გაგვიღებდეს იქნეს ლოგიკურად, სახელდობრ, შეიძლება სრულიად ნათლად იყოს გაგებული თანახმად იგივეობის კანონისა.

მაშასადამე, კანტისთვის ლოგიკური არის აზრთა ისეთი კავშირი, რომელიც იგივეობის გამართლებას წარმოადგენს; ლოგიკური საფუძველი კი შედეგს თავის თავში, როგორც თავის ნაწილს, შეიცავს და მისგან ანალიზურად გამომდინარეობს.

სულ სხვაა, კანტისათვის, რეალური საფუძველი. ეს უკანასკნელი არის ის, რომლისაგანაც რაღაც სხვა გამომდინარეობს ან იგივეობის კანონის მიხედვით. კანტი ამბობს, რომ ამ დამოკიდებულების გარკვევას სიამოვნებით მოვისმენდიო. თვითონ კი კმაყოფილდება საკითხის დასმით: როგორ შემიძლია მე გავიგო: რადგან რაღაც არის, ამიტომ რაღაც სხვაც არის (Wie soll iches verstehen, dass, weil etwas ist, etwas Anderes sei)?<sup>2</sup>

ამ საკითხს მეორე მხარეც აქვს: როგორ შეიძლება რაიმეს დადგენით სხვა რაიმე იქნეს უარყოფილი? ამდენად საფუძველ-შედეგის დამოკიდებულება წინააღმდეგობის ბუნებას უკავშირდება. ამ

<sup>1</sup> ob. Versuch, den Begriff der negativen Grössen in die Weltweishheit einzuführen და თვითონ „ლოგიკა“ (იქნეს გამოცემა).

<sup>2</sup> Kant's Werke, V, 1870, Kirchmann, S. 59.

საკითხების გადაწყვეტა კანტის მომავლისთვის აქვს გადადებული; მისთვის გასაგებია ლოგიკური დამოკიდებულება, რომელიც ანალიზურია, ხოლო სინთეზური დამოკიდებულება გაურკვეველად აქვს ჩათვლილი და „წმინდა გონების კრიტიკა“-ში სწორედ სინთეზის პრობლემას, როგორც არსებით პრობლემას, არჩევს.

მაშასადამე, კანტისათვის გადუწყვეტელი დარჩა არა მარტო რეალური საფუძვლის მის შედეგთან დამოკიდებულება, როგორც სინთეზური დამოკიდებულება, არამედ საერთოდ სინთეზური დამოკიდებულება, რადგან ლოგიკური კავშირი მხოლოდ ანალიზურად ჰქონდა მიჩნეული Versuch-ში, თუმცა „წმინდა გონების კრიტიკაში“ სწორედ სინთეზურ-აპრიორული მსჯელობის პრობლემის გადაწყვეტას ცდილობდა.

შეუძლებელია ლოგიკურში სინთეზურობის უარყოფა, რადგან თუ ვიტყვი, რომ საფუძვლის შედეგთან კავშირი ანალიზურია და ლოგიკური მხოლოდ ასეთი შეიძლება იყოს, მაშინ, რადგან შედეგის საფუძვლიდან გამოყვანა საფუძვლის ანალიზით ხდება, ამიტომ უნდა ვიკითხოთ, როგორ არის თვითონ საფუძველში სხვადასხვაობა გაერთიანებული, რომელიც ანალიზის შესაძლებლობას იძლევა, როგორია ლოგიკური კავშირი თვითონ საფუძველში? ამ კითხვაზე პასუხის გაცემას შეეცდებიან, ალბათ, ან იმით, რომ კიდევ სხვა საფუძველს აიღებენ, რომლის ანალიზიც პირველად გარჩეულ საფუძველს მოგვცემს და ასე შემდეგ უსასრულოდ, ანდა იძულებული იქნებიან პირდაპირ დასვან სინთეზურ-ლოგიკურის პრობლემა და სცადონ მისი ბუნების გამორკვევა. სწორედ ასე მოიქცა კანტი.

თუ ლოგიკურს ანალიზურად ჩავთვლით და აქ მოხსენებულ უსასრულობაში წასვლა აქსიომის შემოყვანით ვეცდებით ავიცილოთ, ე. ი. საანალიზო საფუძველს აქსიომად მივიღებთ, მაშინ, ერთი მხრით, შედეგის გამოყვანა სხვა არაფერი იქნება, თუ არა სიმბოლოების თამაში, რითაც თვითონ ლოგიკის უარყოფამდე მივალთ. მეორე მხრით კი, თვითონ აქსიომა გამოიწვევს რეგრესს უსასრულობაში, რადგან აქსიომა ყველაფერს წინასწარ გულისხმობს — სახელდობრ იმას, რომლისთვისაც აქსიომას საჭიროებენ<sup>1</sup>. ამის საუკეთესო ნიმუშს იძლევა თანამედროვე ბურჟუაზიული ლოგიკა, კერძოდ ლოგისტიკა, სიმბოლიური ლოგიკა. დიალექტიკური ლოგიკის უარყოფით ფორმალური ლოგიკის განვითარება მხოლოდ მათემატიკურ ლოგიკამდე მიგვიყვანს, სახელდობრ იმ „ლოგიკამდე“, რომელიც

<sup>1</sup> იხ. პროფ. ლ. გოციელის გამოკვლევა „К проблеме аксиоматизации логики“, 1947.

ლოგია კი არაა, არამედ — მხოლოდ ერთ-ერთი სპეციალური დარგი მათემატიკისა.

ლოგიურში სინთეზურობის პრობლემას „წმინდა გონების კრიტიკამ“, როგორც ცნობილია, ასეთი პასუხი გასცა: მსჯელობა შეიძლება სინთეზური იყოს და ამავე დროს აუცილებლობის ხასიათის მქონეც, თუ საფუძვლად აპრიორული ინტუიციის ფორმებს, გრძობადი ინტუიციის ფორმებს გამოვიყენებთ; მაგრამ დასკვნა შეუძლებელია იყოს სინთეზურიც და აუცილებლობის ბუნებისაც, რადგან დასკვნაში ინტუიცია არ მოქმედებს და მხოლოდ ცნებებთან გვაქვს საქმე. ინტუიცია დაბოლოებულს ეხება, სინთეზური დასკვნები კი დაუბოლოებელს უნდა ეხებოდნენ. მეცნიერება დაბოლოებულის შესახებაა შესაძლებელი და არა დაუბოლოებელის შესახებ. დაუბოლოებელის ლოგია მოჩვენების ლოგიკაა, ის არის შეცდომის ლოგია, რომელიც მიღის წინააღმდეგობის აუცილებლობასთან და ნეგატიურ დიალექტიკას წარმოადგენს.

სინთეზური დასკვნის შეუძლებლობიდან კანტმა მეტაფიზიკის, როგორც ჩვენგან დამოუკიდებელი სინამდვილის შესახებ მეცნიერების, შეუძლებლობა გამოიყვანა. ამ ნიადაგზე დგომით დასკვნის თეორია ვერც ერთმა ნეოკანტიანურმა სკოლამ, ჰუსერლმა და სხვებმა ვერ მოახერხა მოეცა. ჰეგელი, რომელმაც იდეალიზმს უკანასკნელი სიტყვა ათქმევინა ამ სპეციალურ საკითხშიც, შეეცადა მოეცა დადებითი დიალექტიკა და სინთეზური დასკვნის პრობლემა გადაეწყვიტა. მაგრამ მან სინთეზური დასკვნის ბუნება აბსოლუტის უცნაურ უნარს გაუიგივა და ამით ლოგიკურის, სახელდობრ, დიალექტიკურ-ლოგიკურის ბუნება გააყალბა, მოვიდა რა წინააღმდეგობაში თავის საკუთარი დიალექტიკის მოთხოვნასთან. ეს, ლოგიკის ისტორიაში გაღმწევეტელი, პრობლემა მხოლოდ მატერიალისტურ დიალექტიკაში წყდება; სწორედ მატერიალისტური დიალექტიკა გვაძლევს საფუძვლის ცნების ნამდვილ ლოგიკურ გაგებას.

როგორც გაირკვა, ნამდვილი საფუძველი მხოლოდ მისგან გახსნავებულის საფუძველი შეიძლება იყოს; აქ შედეგის ცნებაც თავისი ნამდვილი ბუნებით წარმოგვიდგება. საფუძველი განსაზღვრავს შედეგს. საფუძველი სწორედ განმსაზღვრელს ჰქვია; შედეგი არის ასეთი და არა სხვანაირი სწორედ საფუძვლის გამო. შედეგის გარკვეულობა მისგან განსხვავებულის გამოა ასეთი. მაგრამ თვითონ საფუძველიც გარკვეული რამ უნდა იყოს, წინააღმდეგ შემთხვევაში, ის ვერ შესძლებდა გარკვეული შედეგის მოცემას, მისგან შედეგის გარკვეულობის გამოყვანა შეუძლებელი იქნებოდა. თვითონ საფუძვლის გარკვეულობაც რაიმე საფუძველს ემყარება, ის, თავის

მხრივ, შედეგია სხვა საფუძვლისა, რომელსაც კიდევ შეიძლება სხვა საფუძველი ჰქონდეს, და ასე შემდეგ უსასრულოდ. მაგრამ საფუძვლის ხაზით უსასრულობაში წასვლა, როგორც ეს ძველმა სკეპტიკოსებმა („ახალი ტროპები“) გვიჩვენეს, არაფრის დასაბუთებას არ წარმოადგენს. დასაბუთების სათავეში თავისთავად ცხადი დებულების მოთავსება კი ამ დებულების საწინააღმდეგოს მის ადგილზე მოთავსების შესაძლებლობას სრულიადაც არ გამოორიცხავს, რადგან საცხადის საფუძვლად გამოყენება არაა ლოგიკური საფუძვლის გამოყენება, არამედ მხოლოდ ფსიქოლოგიურისა; — ანდა ყველაფერი პირობითობაზე იქნება დაყვანილი, რადგან პირველი დებულებები შეიძლება მხოლოდ პირობით იქნეს დაშვებული, როგორც აქსიომები, როგორც ყველაფრის საფუძველი და თვითონ უსაფუძვლო. ასეთი წმინდა პირობითობა თავის იმ გამმართლებელს გულისხმობს და ემყარება, რომელიც თვითონ პირობითი არ შეიძლება იყოს, წინააღმდეგ შემთხვევაში, პირობითს ვეღარ გაამართლებდა. ამიტომ მონახულ უნდა იქნეს გზა, რომელიც საფუძველ-შედეგის დამოკიდებულებაში დაბოლოებულის და დაუბოლოებელის ერთიანობას მოგვცემს და ამით დასაბუთების ბუნება სრული სახით იქნება წარმოდგენილი.

საფუძველი განსაზღვრავს შედეგს, იგი სწორედ მისი გარკვეულობის საფუძველია, მაგრამ, მეორე მხრით, რადგან საფუძველი სწორედ შედეგის საფუძველია, ამიტომ იგი შედეგითაც განისაზღვრება. არც ერთ მათგანს ერთიმეორის გარეშე, ცხადია, აზრი არა აქვს, ისინი დიალექტიკურ მთლიანობაში უნდა იქნენ განხილულნი. ეს მთლიანობა, ცხადია, იმას არ ნიშნავს, რომ შედეგიც ისეთივე საფუძველია თავის საფუძვლის, როგორც საფუძველი — თავისი „შედეგის მიმართ. ასეთ შემთხვევაში ლოგიკურ წრეს, სიყალბეს მივიღებდით და არა საფუძველ-შედეგის დამოკიდებულებას, თუშცა ურთიერთმოქმედების კატეგორია თავის ძალას ინარჩუნებს და სრულიადაც არ არის სიყალბის მომასწავებელი; მას მხოლოდ გამმართლებელი სჭირდება. აქ რომ მხოლოდ წრიულობა იყოს, ცხადია, საქმე წაგებულად უნდა მიგვეჩინა, მაგრამ „წრიულობა“ რომ არ იყოს და მხოლოდ სწორხაზობრიობა გვქონდეს, მაშინ ზემოთ აღნიშნულ არისტოტელესებურ სიძნელეს მივიღებდით, სახელდობრ, ისეთ სიძნელეს, რომელიც საერთოდ ძველი, ფორმალური ლოგიკის დასკვნას და დასაბუთებას ახასიათებს.

როგორც ითქვა, თუ საფუძველს სხვა, მხოლოდ გარეგან საფუძველზე დავამყარებთ და ასე შემდეგ უსასრულოდ, მაშინ საერთოდ დასაბუთება გახდება შეუძლებელი; ისიც აღინიშნა, რომ აქსიომის მოშველიებაც ვერ შევლის საქმეს, დასკვნაც, ასეთ შემთხვევა-

ში, მხოლოდ პირობითი ხასიათისაა, რომელსაც დასაყრდენი გამოც-  
ლილი აქვს. ლოგიკურში ეს შეუძლებლობა და შეცდომა იმაზეა  
დამყარებული, რომ რაიმეს ახსნისათვის გარეშე მიზეზს და გარეშე  
რეალურ საფუძველს ვეძებთ.

თუ ყველაფერს გარეშე მიზეზით დაუწყებთ ახსნას, მაშინ  
ქვეყნის გარეშე მიზეზამდე, ღმერთამდე მივალთ და არაფერს არ  
ეძებთ შინაგანი საფუძველი, შინაგანი კანონზომიერება; — საზოგა-  
დოებაც გეოგრაფიული გარემოთი უნდა ავხსნათ, ე. ი. უარყოფით  
მისი შინაგანი კანონზომიერება და ყველაფერი გარეგანზე დავიყუა-  
ნოთ. თუ წარმოებითი ურთიერთობის რეალურ საფუძველს და მი-  
ზეზს — საწარმოო ძალებს გარეგან მიზეზებს დავამყარებთ, მაშინ  
უნდა ვთქვათ, რომ მათ ასეთ მიზეზს წარმოადგენს ან გეოგრაფიული  
გარემო, ე. ი. დავადგებით „გეოგრაფიული მატერიალიზმის“ გზას,  
ან მეცნიერება, რომლის განვითარებასაც ტექნიკის განვითარების  
საფუძველად მივიჩნევთ, ე. ი. დავადგებით იდეალიზმის გზას საზო-  
გადოების გაგებაში. ასეთი კაუციკიანური შეცდომა ახსნის და დასა-  
ბუთების სწორხაზობრიობის მიღებას ემყარება და წარმოადგენს.  
მარქსიზმ-ლენინიზმი კი გვასწავლის, რომ საწარმოო ძალები გან-  
საზღვრავს წარმოებით ურთიერთობას, ეს უკანასკნელი კი უკუმოქ-  
მედებს თავის მიზეზზე, რეალურ საფუძველზე — საწარმოო  
ძალებზე. ამრიგად, წარმოებითი ურთიერთობა, როგორც საწარმოო  
ძალების შედეგი, თვითონ, მისი უკუმოქმედებით, მიზეზია საკუთარი  
მიზეზის; ამ აზრით, საწარმოო ძალები, როგორც მიზეზი წარმოე-  
ბით ურთიერთობათა, თვითონ ხდება შედეგი თავის შედეგისა. მათ  
შორის გარკვეული დაპირისპირება, დაპირისპირების ერთიანობა  
საზოგადოების ამხსნელია. აქ გარკვეული „წრიულობა“, არასწორ-  
ხაზობრიობა არსებობს; და წრიულობა დაძლეულია იმიტომ, რომ ის  
ძალა, რომლითაც წარმოებითი ურთიერთობა საწარმოო ძალებზე  
უკუმოქმედებს, თვითონ საწარმოო ძალებიდან არის მიღებული;  
ასე რომ ამ ურთიერთგანსაზღვრებაში საწარმოო ძალები წარმოად-  
გენენ „გარეგანდამწვდომ“ მომენტს. სწორედ ამ მომენტის გამოა,  
რომ უკუმოქმედება არ არის. საფუძველის შებრუნება.

ასე უნდა ვიმსჯელოთ საფუძველ-შედეგის დამოკიდებულება-  
ზეც; სწორხაზობრიობის დასაძლევად აუცილებელია გარკვეული  
„წრიულობის“ მიღება, მაგრამ — ამ წრიულობის დაძლევაც, სადაც  
დაძლევია, როგორც რამოდენიმეჯერ აღინიშნა, დაუბოლოებელის  
მომენტს წარმოადგენს. როგორც გაირკვა, საფუძველი, როგორც  
შედეგის განმსაზღვრელი და ამხსნელი, თვითონ არის შედეგით  
აზრდებული. ეს გარემოება ნამდვილია მაშინ, როცა იგი, ე. ი. ასეთი  
ლოგიკური ისტორიულს ასახავს.

ეს ისე არ უნდა გავიგოთ, თითქოს რეალურ სინამდვილეში, ისტორიაში შედეგი წინასწარ არსებობდეს და განსაზღვრავდეს მის საფუძველს. ასეთი უაზრობის გამო არ უნდა გადავარდეთ საწინააღმდეგო შეცდომაში; არ უნდა მივიღოთ წმინდა საფუძველის და წმინდა შედეგის ცნებები.

კაპიტალიზმი რეალური საფუძველია სოციალიზმის წარმოშობისათვის, სოციალიზმს მხოლოდ კაპიტალიზმი წარმოშობს და არა ფეოდალიზმი ან მონათმფლობელობა, მაგრამ ეს მხოლოდ იმიტომ, რომ კაპიტალიზმი თვითონ არის წინააღმდეგობრივი; ეს წინააღმდეგობა იმაში კი არაა, რომ სოციალიზმი კაპიტალიზმში იყოს და იგი ასეთ ნარევს წარმოადგენს; არა, კაპიტალიზმში არის მისი მესაფლავე, რომელიც, ანგრევს რა მას, სწორედ მის ნანგრევებზე აშენებს სოციალიზმს. წარმოების საზოგადოებრივი ხასიათი მოითხოვს შითვისების კერძო ფორმის გაუქმებას, რასაც სოციალისტური რევოლუცია ახორციელებს. საწარმოო ძალების განვითარება, მოითხოვს რა, რომ წარმოებითიურთიერთობა მას შეესატყვისებოდეს, ანგრევს მის შემაფერხებელ წარმოებით ურთიერთობას და ამით იქმნება ისეთი წარმოებითი ურთიერთობა, რომელიც საწარმოო ძალებთან სრულ შესატყვისობაშია. იმიტომ კაპიტალიზმი, ცხადია, სოციალიზმით არ განისაზღვრება, რადგან კაპიტალიზმში და მის წინ სოციალიზმი არ არსებობს, მაგრამ იგი (კაპიტალიზმი) განისაზღვრება იმით, რაც ჰქმნის სოციალიზმს. ამ აზრით განსაზღვრავს რეალური შედეგი საფუძველს. სოციალიზმი კაპიტალიზმიდან ანალიზურად კი არ გამოდის, — ისინი სწორედ ეწინააღმდეგებიან ერთიმეორეს, — არამედ გარკვეული შუალობითი სინთეზურობით. კაპიტალიზმს ნამდვილი აზრი აქვს იმით, რასაც ის წარმოშობს (ასე ითქმის ყველაფერზე, რაც განვითარებაში იმყოფება), სახელდობრ, სოციალიზმით. ვისაც ამგვარად არ ესმის კაპიტალიზმი, მას ის საერთოდ არ ესმის. პირველად მარქსმა გაიგო ამგვარად კაპიტალიზმი და იმიტომ პირველად მან გაიგო ის სწორად. იმიტომ მან ხსენებული რეალური დამოკიდებულების ცოდნის საფუძველზე სრულიად სწორი დიალექტიკური დასკვნა გააკეთა სოციალიზმის აუცილებლობის შესახებ. მარქსმა კაპიტალიზმის ანალიზით მიღებული ცოდნის საფუძველზე დაასკვნა სოციალიზმის აუცილებლობის შესახებ. ლოგიკურმა რეალური ასახა. მხოლოდ ასეთი ლოგიკურია ნამდვილი სრული ლოგიკური.

საფუძველ-შედეგის დამოკიდებულება იმას შეიცავს, როგორც ითქვა, რომ ერთი არის ის, რაც მეორე არ არის და პირიქით; ეს სინთეზური დამოკიდებულება განსხვავების საშუალებით, ანუ უკეთ, უარყოფის საშუალებით სრულდება. კიდევ მეტი: საფუძველი მისი



საპირისპიროს საფუძველია, შედეგი მისი საპირისპიროდან გამომდინარეობს; ეს ასეა, რამდენადაც არსებით დამოკიდებულებასთან და არა ზერელე კავშირთან გვაქვს საქმე.

როგორც ზემოთაც (წინააღმდეგობის ბუნების გარჩევის დროს) აღვნიშნეთ, საწინააღმდეგონი ერთიმეორეს აპირობებენ; ანუ უკეთ: რაიმე თავის საპირისპიროდან მიიღება. ეროვნებათა კულტურების განვითარება-აყვავების საფუძველზე შეიქმნება საერთო კულტურა, სადაც მოხსნილი იქნება ეროვნული განსხვავება. არა ეროვნებათა კულტურების შესუსტება იმისათვის, რომ შეიქმნას საერთო კულტურა, არამედ სწორედ მათი აყვავება; სწორედ ეს უკანასკნელი მოხსნის მათ მათი საპირისპიროს შექმნისათვის. ასეთი რამის მტკიცება მეტაფიზიკური აზროვნებისათვის უცნაურია.

ასეთივე ფორმულა გვაქვს სოციალისტური სახელმწიფოს განვითარების და კვდომის შესახებ: სახელმწიფო ხელისუფლების განვითარება სახელმწიფო ხელისუფლების კვდომისათვის პირობებას მომზადების მიზნით.

როგორც ვხედავთ, აქ ლაპარაკია სინამდვილის ამსახველ ფორმულებზე, რომლებიც ორ ნაწილს შეიცავენ: ერთია საფუძველი, მეორე — შედეგი. პირობითი მსჯელობის ანალოგიურად, თუმცა ხსენებულ ფორმულებში ჩვეულებრივი პირობითობა არ არსებობს, იქ აშკარად მოცემულია კატეგორიული დამოკიდებულება საფუძვლისა მის საწინააღმდეგო შედეგთან. სოციალისტური სახელმწიფოს განვითარება საფუძველია მისი კვდომისა. აქ, ამ კავშირში დიალექტიკური წინააღმდეგობა გვაქვს. ეს წინააღმდეგობა შინაგანი წინააღმდეგობაა, წინააღმდეგობა რაიმესი თავის თავის მიმართ ამ რაიმეს საკუთარი თავის სიკვდილისათვის იმიტომ, რომ იგი განვითარდეს და მაღალ საფეხურზე ავიდეს.

ანდა ავიღოთ ლენინის ფორმულა ეროვნული თვითგამორკვევებ შესახებ: „განცალკევება გაერთიანებისათვის“. ეს ფორმულა მარქსისტული დიალექტიკის ბრწყინვალე გამოხატულებაა.

ვინც იმას იტყვის, რომ აქ მხოლოდ სინამდვილის დიალექტიკაზეა ლაპარაკი და არა, ამავე დროს, აზრთა დიალექტიკაზე, სრულ გაუგებრობაშია ჩავარდნილი. აზრთა აქ აღნიშნული წინააღმდეგობა, ფორმულათა წინააღმდეგობა პარადოქსსა გავს, დიალექტიკის მოწინააღმდეგისათვის ის შეცდომა და პარადოქსია, დიალექტიკოსისათვის კი — სინამდვილის, ისტორიულის ამსახველი ლოგიკური.

თუ ლოგიკურს ანალიზურ-ლოგიკურად (რაც ლოგიკურს ნამდვილად სრულიადაც არ წარმოადგენს, რადგან ყოველი კავშირი, ასე ლოგიკურიც, აუცილებლად სინთეზური, განსხვავებულთა კავშირი უნდა იყოს) წარმოვიდგენთ, მაშინ, ცხადია, განცალკევებიდან

გაერთიანების მიღება, განვითარებიდან სიკვდილის მიღება სრულიად გაუგებარი რამ იქნება. აზრთა დიალექტიკა რომ უარყოფთ და სინამდვილის დიალექტიკა ვალიართ (ეს აღიარება ხომ აზრი იქნება), მაშინაც გაუგებარი იქნებოდა, როგორ არის შესაძლებელი რაიმედან მისი საწინააღმდეგოს მიღება; არა თუ საწინააღმდეგოს, არამედ განსხვავებულის მიღებაც გაურკვეველ პრობლემად რჩებოდა საერთოდ ფილოსოფიისა და კერძოდ ლოგიკის ისტორიაში, როგორც ეს ზემოთ ვაჩვენეთ.

მეორე მხრით, თუ სოციალისტური სახელმწიფოს გაძლიერება-განვითარება საფუძველია მისი კვდომისა, თუ ეროვნებათა განვითარება და განცალკევება მათი გაერთიანებისა და მათი მოხსნისათვის არის საფუძველი, და ამიტომ პირველთა აზრი მეორე აზრის საფუძველად გვაქვს გაგებული, რადგან ისინი ასახავენ რეალურ დამოკიდებულებებს, მაშინ უნდა აღინიშნოს ისიც, რომ შედეგები, როგორც ითქვა, თავისებურად განსაზღვრავენ. თავიანთ საფუძველებს, რამდენადაც საფუძველს შედეგი აძლევს აზრს. როგორც ზემოთ აღვნიშნეთ, კაპიტალიზმს აზრი აქვს იმდენად, რამდენადაც სოციალიზმს წარმოშობს (და რამდენადაც ფეოდალიზმს სძლევს), ე. ი. რამდენადაც თავის თავში შეიცავს თავის უარყოფელს. ამიტომ შეიძლება კაპიტალიზმის ანალიზის საფუძველზე დავასკვნათ სოციალიზმის აუცილებლობის შესახებ. აქ ანალიზი უშუალოდ სინთეზთან არის დაკავშირებული, როგორც ეს განსაზღვრების ბუნების გარკვევის დროს ნათელვყავით. წმინდა ანალიზის აზრი უარყოფილ უნდა იქნეს. რაიმე ანალიზი სინთეზისათვის უნდა ხდებოდეს, წინააღმდეგ შემთხვევაში მას აზრი ეკარგება; არსებითია ანალიზ-სინთეზის ერთიანობა და არა მათი მორიგეობა. ეს უკანასკნელი თვითონ არის მათი დიალექტიკური ერთიანობის საფუძველზე შესაძლებელი. კაპიტალიზმის შინაგანი უარყოფის მომენტი არის ის, რაც საფუძველის შედეგით განსაზღვრულობას წარმოადგენს.

აღნიშნულ მაგალითში — „განცალკევება გაერთიანებისათვის“ — გაერთიანება განსაზღვრავს განცალკევების, ამდენად ისიც (ეს შედეგიც) თავისებური საფუძველია თავისი საფუძველისა.

ეს მომენტი შედეგით საფუძველის განსაზღვრულობისა, არის იმ საფუძველ-შედეგის დამოკიდებულებაში, რომელიც მის ნიადაგზე ადამიანისათვის მიზნის შემუშავებას განსაზღვრავს. ვფიქრობთ, ლოგიკური თვალსაზრისით, ამგვარად უნდა აიხსნას მიზნის კატეგორია.

შინაგანი პოტენციის განვითარება გადადის თავის საწინააღმდეგოში. ერთის აზრი მეორეს ამართლებს და, თავისებურად, პირიქითაც. მხოლოდ „განცალკევების“ საფუძველზე შეიძლება განხორციელდეს „გაერთიანება“, მაგრამ მხოლოდ „გაერთიანება“ ამართლებს და აზრს აძლევს „განცალკევებას“. სოციალისტური სახელმწიფოს მხოლოდ განვითარების შედეგად შეიძლება მოკვდეს იგი და ეს სიკვდილი, სახელმწიფოს სიკვდილი ამართლებს ხსენებულ მის განვითარებას.

„განცალკევება“ „გაერთიანების“ საფუძველია, ის მას განსაზღვრავს, ის მისით არის შესაძლებელი, მაგრამ პირიქითაც — „გაერთიანება“, როგორც შედეგი „განცალკევებისა“, თვითონ განსაზღვრავს და აზრს აძლევს „განცალკევებას“ („გაერთიანების“ გარეშე მხოლოდ „განცალკევება“ ანტიმარქსისტული დებულებაა, ის შოვინიზმის აღიარებაა). ამრიგად, საფუძველი, როგორც განმსაზღვრელი, თვითონ არ არის მხოლოდ საფუძველი (ისე როგორც შედეგი — მხოლოდ შედეგი), არა, ის თავისი შედეგითაც არის განსაზღვრული, იგი თავისი შედეგის გარკვეული შედეგია.

აღნიშნულ მაგალითში „განცალკევების“ ნამდვილი გაგება, მისი ნამდვილი ცნება მაშინა გვაქვს, როცა გვესმის, თუ რისთვის ხდება იგი, როცა გვესმის „გაერთიანება“, როცა „გაერთიანების“ ნამდვილი ცნება გვაქვს და, პირიქით, „გაერთიანების“ შესახებ ნამდვილი აზრი მხოლოდ მაშინ გვაქვს, როცა „განცალკევების“ შესახებ ნამდვილ აზრს ვემყარებით. ერთი მეორის მიმართ არის საფუძველი და პირიქით; როგორც საფუძველს, ისე შედეგს შედარებითი აზრი აქვთ; ამიტომ ნამდვილი გაგება, ნამდვილი ცნება მხოლოდ მათი ერთიანობის ცნებაა; ცალ-ცალკე კი, თუ ისინი აბსოლუტურად ავიღეთ, შეცდომას წარმოადგენენ. აბსოლუტურად აღებული სახელმწიფოს განვითარება გამორიცხავს მის სიკვდილს, ასევე გაგებული ეს სიკვდილი სახელმწიფოს შესუსტებაზე მიუთითებს და არა გაძლიერება-განვითარებაზე.

მაგრამ სიძნელე იმაშია, თუ როგორ და რით განვასხვავოთ შედეგი, როგორც საფუძველის განმსაზღვრელი საფუძველი, საფუძველისაგან, რომელიც შედეგის საფუძველია. აქ ხომ ისეთი წრიულობა გვაქვს თითქოს, სადაც ერთიმეორისაგან ვერ განვასხვავებთ საფუძველს შედეგისაგან. ეს რომ ასე იყოს, აქ დიალექტიკურობა კი არა, არამედ მხოლოდ უაზრობა გვექნებოდა.

სხვანაირად რომ ვთქვათ, რეგრესულ-დადებითი (ისე როგორც პროგრესულ-უარყოფითი) დასკვნა შესრულდება მაშინ, თუ მოსახერხებელი იქნება ურთიერთგამომრიცხავ შედეგებიდან მათი ერთიანი საფუძველის მიღება. ასეთი დასკვნა (რომლის ბუნებაც დია-

ლექტიკურმა ლოგიკამ უნდა გაარკვიოს), როგორც ეს ზემოთ აღვნიშნეთ, პირობით-კატეგორიული სილოგიზმის სიძნელეს გადაგვიწყვეტს. პირობით-კატეგორიული სილოგიზმი ამ დასკვნას საფუძველად გულისხმობს, თავისი გამართლებისათვის მას მოითხოვს.

საფუძვლის ცნების და საფუძველ-შედეგის დამოკიდებულების კიდევ უფრო ნათლად წარმოსადგენად ავიღოთ კიდევ ერთი (რომელიც ზემოთ რამოდენიმეჯერაა განმეორებული) მაგალითი პროლეტარიატის და ბურჟუაზიის ურთიერთდამოკიდებულების შესახებ.

პროლეტარიატი საფუძველია თავის მოწინააღმდეგის, ბურჟუაზიის. ბურჟუები ვერ იცხოვრებენ დაქირავებული მუშების გარეშე. მაგრამ, მეორე მხრით, ბურჟუაზია თვითონ არის პროლეტარიატის საფუძველი. პროლეტარები ვერ იარსებებენ, თუ კაპიტალისტებს არ მიექირავენ. მაშასადამე, ერთი თავისი მოწინააღმდეგის საფუძველია. ისინი ერთმეორის საფუძველი არიან და ამიტომ ერთმეორის შედეგებიც.

პროლეტარიატის და ბურჟუაზიის რეალური დამოკიდებულება მათი ამსახველი აზრების დამოკიდებულებას განსაზღვრავს. რომ გაიგო, რა არის ბურჟუაზია (როგორც ამას ზემოთაც ვამბობდით), ე. ი. რომ გქონდეს ბურჟუაზიის ცნება, უნდა გამოდიოდე პროლეტარიატის ცნებიდან და პირიქით პროლეტარიატის ცნება ემყარება ბურჟუაზიის გაგებას, მის ცნებას<sup>1</sup>. (როგორც აღინიშნა, მარქსის აზრით, ცნება გაგებას, ცოდნას ნიშნავს). პროლეტარიატის შემეცნების და ცოდნის საფუძველი ბურჟუაზიის შემეცნება და ცოდნაა და პირიქით. აქ ლოგიკურის და შემეცნებითის ერთიანობა გვაქვს (ამას ემყარება ლოგიკის და შემეცნების ერთიანობა. ეს კი დიალექტიკასთან არის იგივეობრივი, რადგან სინამდვილის უზოგადესი კანონი აზრის უზოგადეს კანონსაც წარმოადგენს. ასე უნდა გვესმოდეს ლენინის დებულება დიალექტიკის, ლოგიკის და შემეცნების თეორიის იგივეობის შესახებ<sup>2</sup>, რაც სპეციალურ გამოკვლევას მოითხოვს).

თუ ბურჟუაზია პროლეტარიატის საფუძველია და პროლეტარიატი ბურჟუაზიისა, მაშინ ხომ აშკარა წრიულობა გვაქვს? აქ წრიულობა უსათუოდ არსებობს, მაგრამ რომ აქ გავჩერდეთ, რომ აქ მხოლოდ წრიულობა გვქონდეს, მაშინ ლოგიკური სიყალბის შეტს ვერაფერს მივიღებდით, ფაქტიურად კი პროლეტარიატს და ბურ-

<sup>1</sup> იხ. აგრეთვე კ. მარქსი და ფ. ენგელსი. კომუნისტური პარტიის მანიფესტი, 1952, გვ. 37, პროლეტარიატის და ბურჟუაზიის (ზემოთ მოყვანილი) განსაზღვრებების შესახებ.

<sup>2</sup> В. И. Ленин. Философские тетради, стр. 215.

ეუაზიას ერთიმეორისაგან ვერ გავარჩევდით. მაგრამ მათი გარჩევა (და არა მხოლოდ გარჩევა) შესაძლებელია იმით, რომ მათ შორის წინააღმდეგობა არსებობს, მაგრამ, როგორც ეს ზემოთ დაწვრილებით გავარკვეით, წინააღმდეგობის მიმართ ბურჟუაზია და პროლეტარიატი სხვადასხვა დამოკიდებულებაშია: მარქსის თქმით ერთი დადებით დამოკიდებულებაშია, ინახავს წინააღმდეგობას, მეორე — უარყოფით დამოკიდებულებაშია, თავის თავის უარყოფით წინააღმდეგობის უარყოფას ცდილობს და, საბოლოოდ, უარყოფს კიდევ; თუმცა თავის თავის უარყოფით თავის თავის განთავისუფლება ნამდვილი ერთიანობაა დაპირისპირებულთა.

ერთიმეორის საწინააღმდეგონი, მართალია, ერთიმეორეს უარყოფენ, არ არსებობს არავითარი შერიგება, მაგრამ ამ წინააღმდეგობით ერთიმეორეს კი არ სპობენ, არამედ სწორედ ერთიმეორეს ადგენენ; ერთიმეორის უარყოფით ერთიმეორეს განსაზღვრავენ, ერთიმეორეს არკვევენ. პროლეტარიატი არის ის, რაც ბურჟუაზიას უარყოფს და პირიქით, ისინი შეუერთებულ წინააღმდეგობაში არიან, მაგრამ სწორედ ერთიმეორეს ემყარებიან; პროლეტარიატი არ არსებობს ბურჟუაზიის გარეშე, არც ბურჟუაზია — პროლეტარიატის გარეშე.

ამ აზრთა და დებულებათა კავშირი რეალურ დამოკიდებულებას ასახავს. ლოგიკურის, სახელდობრ, დიალექტიკურ-ლოგიკურის ბუნების მეცნიერული გარკვევა მხოლოდ ასახვის ლენინური თეორიის ნიადაგზეა შესაძლებელი; დიალექტიკურ-ლოგიკური ასახვის ლოგიკურია, აზრის, როგორც ასახვის, ლოგიკურ კანონზომიერებას წარმოადგენს.

ურთიერთუარყოფით ურთიერთდადგენა შესაძლებელია იმით, რომ არსებობს ერთიანობის მომენტი, როგორც გარკვეული კავშირი, კანონის აზრით ამხსნელი საფუძველი წინააღმდეგობისა. არსებობს საფუძველ-შედგვის წინააღმდეგობრივი დამოკიდებულების ერთიანობა, როგორც გარკვეული საფუძველი, რომელიც მთლიანობას, გარკვეულ მთელს წარმოადგენს. პროლეტარიატი და ბურჟუაზია ერთმანეთთან ერთიანი ეკონომიკით არიან დაკავშირებული. ამ ერთიანობის უარყოფა წარმოებას შეწყვეტს, საზოგადოებას დაღუპავს და აღარც თვითონ ისინი, საწინააღმდეგონი იარსებებენ.

როგორც აღინიშნა, პროლეტარიატი საფუძველია ბურჟუაზიისა, ბურჟუაზია კი პროლეტარიატისა; წინააღმდეგობის ერთიანობაში ერთ-ერთი საწინააღმდეგოთაგანი მეორის საფუძველია და პირიქით. პროლეტარიატის და ბურჟუაზიის — ამ ერთიმეორის საწინააღმდეგოს საერთო საფუძველს კი ერთიანი ეკონომიკა, ერთი წარმოების წესი შეადგენს.

ამრიგად შეიძლება განვასხვაოთ სამნაირი საფუძველი და სამნაირი შედეგი: 1) მხოლოდ საფუძველი რაიმე შედეგისა, რომელიც თვითონ არ არის შედეგი მისი შედეგისა, არ განიზილება, როგორც მისი შედეგისგან განსაზღვრული. ეს არის ერთმხრივი საფუძველი, საიდანაც ანალიზურად გამოვა ის, რაც მასშია. ასეთი საფუძველი ჰქონდა მხედველობაში ძველ, ფორმალურ ლოგიკას, იგი, ზემოთ თქმულის გამო, ნამდვილ საფუძველს არ წარმოადგენს. მაგრამ ერთმხრივი საფუძველი, რამდენად იგი დაქვემდებარებულია სხვაზე, რამდენადაც იგი ენთიმემურია (დამქვემდებარებლის აზრობრივად მოგულისხმე), — რაღაც სხვას გამოუთქმელად გულისხმობს; ამიტომ იგი საფუძველის როლს ასრულებს და ამდენად ფორმალურ ლოგიკაში მოცემული დასკვნები გამართლებულია. 2) საფუძველი, რომელიც, ამავე დროს, შედეგიცაა თავისი შედეგის, ის საწინააღმდეგოს საშუალებით თავის თავის საფუძველია. ეს არის საფუძველი, რომელსაც ორმხრიობა ახასიათებს და შესაძლებელია 3) საერთო საფუძველით, როგორც დაპირისპირებულთა ერთიანობით, გარკვეული მთელით.

ანდა შეიძლება ორგვარ საფუძველზე ვილაპარაკოთ: დაბოლოებული საფუძველი — წინააღმდეგობის ერთიანობაში ერთ-ერთი საწინააღმდეგოთაგანი საფუძველია მისი საწინააღმდეგოსი და შედეგიცაა მისი, მისით არის დაბოლოებული; იგი დაბოლოებული საფუძველია. ურთიერთგამომრიცხავთა საერთო საფუძველი კი არ არის დაბოლოებული საფუძველი, — ერთ-ერთი მხარე წინააღმდეგობისა, ე. ი. უარყოფით დაბოლოებული რამ, არამედ თვითონ არის ამხსნელი და ამ უარყოფის თავის თავში შემცველი; ეს არის დაუბოლოებელის მომენტი, როგორც ნამდვილი საფუძველი შინაგანი, დიალექტიკური წინააღმდეგობისა. იგი წინააღმდეგობის გარეთ კი არაა, ასეთ შემთხვევაში იგი წინააღმდეგობის ერთი მხარე იქნებოდა, არამედ — მის შიგნით, მისი არსებაა. იგი საფუძველი და ამხსნელია უარსებითესი კანონის აზრით.

მაშასადამე, არსებობს: 1) საფუძველი, როგორც დაუბოლოებელის მომენტი დაბოლოებულში; 2) დაბოლოებული საფუძველი: ა) ერთმხრივი საფუძველი, ბ) ორმხრივი საფუძველი. უკანასკნელის ორმხრიობა განსხვავდება იმ ორმხრიობისაგან, რომელიც დაუბოლოებელის მომენტს, როგორც საფუძველს, ახასიათებს. ერთ-ერთი საწინააღმდეგოთაგანი (წინააღმდეგობის ერთიანობაში) საფუძველად არის და შედეგიც; ამდენადაა იგი ორმხრივი. წინააღმდეგობის ერთიანობა, როგორც დაუბოლოებელის მომენტი, არის ასეთ ორმხრივ საფუძველთა საფუძველი, რომელსაც სხვა საფუძველი არა აქვს, გარდა თავის თავისა, რადგან ეს თავისთავადი ერთიანობას და

მთლიანობას, მთელს წარმოადგენს და არა ცალკე საფუძველს ან შედეგს; იგი თავის თავის საფუძველიც არის და შედეგიც. ასეთი მთელი (და არა ისეთი მთელი, რომელიც ნაწილს უპირისპირდება) შეიძლება თვითსაფუძველად ანუ შინაგან საფუძველად იწოდოს, რადგან ის საფუძველსაც შეიცავს და შედეგსაც, რადგან იგი გარკვეული საფუძვლის და შედეგის ურთიერთ დამოკიდებულების მთლიანობაა. ამიტომ თვითსაფუძველის, შინაგანი საფუძველის ორმხრიობა, ცხადია, თავისებურია, ერთ-ერთ საწინააღმდეგოთაგანის, როგორც საფუძველის, ორმხრიობა კი თავისებური. თუ ორმხრიობის ამხსნელი თვითსაფუძველია, მაშინ ამ უკანასკნელის ორმხრიობას არ დასჭირდება კიდევ ახალი საფუძველი, რადგან იგი დაუბოლოებელია, რომელიც ორმხრიობის სწორედ ამხსნელია და არა გამაუქმებელი. ეს გარემოება სრულიად ნათელია, თუ გავიხსენებთ დაბოლოებულის და დაუბოლოებელის განსაზღვრებებს, რომლებიც ზემოთ სპეციალურად იქნა გარკვეული.

თვითსაფუძველი ანუ შინაგანი საფუძველი ეს ცალკე საფუძველი კი არაა, არამედ ის მთელია. ყოველი თვითმობრავი ასეთი თვითსაფუძველია, რადგან იგი დაპირისპირებულთა ერთიანობას წარმოადგენს, რომელშიც დაპირისპირებულნი ერთიმეორეს არა მარტო უარყოფენ, არამედ ადგენენ კიდევ და იმ მთლიანობაში არიან, რომელიც არსებითად უძირითადეს კანონს წარმოადგენს. თვითსაფუძველი არსებითად წინააღმდეგობის ერთიანობაა, როგორც კანონი, რომელიც სხვა კანონს არ საჭიროებს და რომლის გამომხატველი ლოგიკური, თუ იგი ზოგად ფორმაში იქნება აღებული, შინაგანი ლოგიკური კავშირია, რომელსაც გარეგანი საფუძველი არ სჭირდება, როგორც ეს მოვლენათა ამსახველი აზრისთვისაა აუცილებელი.

როდესაც ჩვენ ვამბობთ, რომ რაიმე თავისი შედეგით (ამ შემთხვევაში საწინააღმდეგო შედეგით) განისაზღვრება, მხედველობაში გვაქვს ორგვარი საფუძველი, ანუ უკეთ: საფუძველი და მისი შედეგი როგორც საფუძველი (თავისი საფუძველისა). საკითხავია (როგორც ეს ზემოთაც შევნიშნეთ), თუ როგორ შეიძლება შედეგი საფუძველი იყოს თავისი საფუძველისა? რით უნდა განვასხვავოთ აქ საფუძველი შედეგისაგან? ეს განსხვავება, საბოლოოდ, როგორც ითქვა. იმაში მდგომარეობს, რომ არა შედეგია საფუძველი თავისი საფუძველისა საერთოდ, არამედ ერთმეორის გამომრიცხავი შედეგები არიან საფუძველი საკუთარი არსების, როგორც საფუძველისა (როგორც დაუბოლოებელის მომენტისა), რამდენადაც სწორედ ისინი ქმნიან ერთიანობას; ე. ი. გვაქვს დაბოლოებული საფუძველი და

დაუბოლოებელის მომენტი, როგორც საფუძველი, რომელიც დაბოლოებულის არსებას, მის ამხსნელს წარმოადგენს. სწორედ ამით აიხსნება თვითონ დაბოლოებულ შედეგთა (დაუბოლოებელი შედეგი თავისი თავის საფუძველია, თავის თავის შედეგია) ერთმანეთთან აუცილებელი კავშირიც. სწორედ ეს აუცილებელი კავშირი, როგორც დაპირისპირებულთა ერთიანობა, როგორც მთელი არის თვით-საფუძველი. ამ უკანასკნელი გარემოების გასაჩვენებლად ავიღოთ დიალექტიკის ზემოთ გარკვეულ მომენტთა დამოკიდებულება საფუძველ-შედეგის კავშირის თვალსაზრისით. ამით ცნებათა, კატეგორიათა გადასვლებიც, მათი დიალექტიკაც დახასიათდება.

როგორც აღინიშნა, დიალექტიკის ცნების ნიშნები ისეთ ურთიერთკავშირში არიან, სადაც ერთი მეორეს იქვემდებარებს, როგორც საფუძველი შედეგს. საფუძველ-შედეგი წინააღმდეგობის საშუალებით არიან ერთიმეორესთან დაკავშირებული, სწორედ წინააღმდეგობის საშუალებით გადადის ერთი მეორეში, წინააღმდეგობის საშუალებით გამოდის შედეგი საფუძველიდან, წინააღმდეგობის საშუალებითაა საფუძველი ამხსნელი, ე. ი. სწორედ წინააღმდეგობის საშუალებით არის საფუძველი მართლაც საფუძველი, და, ბოლოს წინააღმდეგობის საშუალებით გადადის შედეგი თავის საფუძველში, თანახმად მათ შორის ურთიერთკავშირის კანონისა.

როგორც ზემოთ აღინიშნა, დიალექტიკის პირველი ძირითადი ნიშანი, ურთიერთკავშირი, რომელიც ერთნაირი ძალით ბატონობს როგორც სინამდვილეში, ისე აზროვნებაში (აზრთა ლოგიკური კავშირი მათი სწორედ ურთიერთკავშირი უნდა იყოს), საკუთარ ნაკლსა და უარყოფას თავის თავში შეიცავს. იგი არ არის ნამდვილი ურთიერთკავშირი, თუ არ არის დარღვეული მისი ერთმხრიობა. მოძრაობის და განვითარების გარეშე ურთიერთკავშირი ნამდვილად შეუძლებელია და არაა ურთიერთკავშირი, ან მისი მხოლოდ ზერელე წარმოდგენა. მაშასადამე, ურთიერთკავშირი თავის თავში შინაგან უარყოფას შეიცავს და ამ შინაგანი წინააღმდეგობის საშუალებით განვითარებაში, როგორც მის გამმართლებელში, გადადის. მოძრაობა-განვითარება საფუძველია ურთიერთკავშირისა; მოძრაობა-განვითარება ურთიერთკავშირის გამართლებაა, ის მისი არსებაა. აქ არსება და საფუძველი ემთხვევა ერთიმეორეს.

ურთიერთკავშირის გაგება კი მხოლოდ განვითარებაში, განვითარების ცნებაში, როგორც განვითარების გაგებაში, შეიძლება; რომ გვესმოდეს, თუ რა არის ურთიერთკავშირი, იგი უნდა გვესმოდეს როგორც განვითარება. ლოგიკური კავშირი რეალური კავშირის ასახვას წარმოადგენს.



მაგრამ ურთიერთკავშირის ცნებიდან განვითარების ცნებაზე გადასვლა იმასაც ნიშნავს, რომ გადასვლაში ურთიერთკავშირი საფუძველია, განვითარება კი — შედეგი, წინააღმდეგ შემთხვევაში, გადასვლაც არ გვექნებოდა; — იგი საერთოდ შეუძლებელი იქნებოდა. ამ გადასვლის საშუალება, როგორც აღინიშნა, შინაგანი წინააღმდეგობაა. მაგრამ გასარკვევი რჩება შემდეგი: თუ განვითარების ცნებაც და ურთიერთკავშირის ცნებაც საფუძველია, მაშინ ეს ორი საფუძველი რით განსხვავდებიან ერთიმეორისაგან? ამასთან დაკავშირებით, გასარკვევია, ორგვარი შედეგის ცნებაც; განსხვავებულა საფუძველების გაგება შედეგების განსხვავებასაც გაგვირკევებს.

ამ საკითხებზე არსებითად პასუხი უკვე გაცემულია, საჭიროა მისი უფრო ნათლად წარმოდგენა. ზემოთ ნათქვამი იყო, რომ თვითონ არსების, ერთიანის გაორებაში ამ გაორების ერთმხრიობანი გამოავლენენ ერთიანს, რომ აქ საფუძველ-შედეგის დამოკიდებულებაში არსების და მოვლენის დამოკიდებულება ვგაქვს: არა ისე, როგორც ეს არსების მოვლენათა სიმრავლის, ე. ი. ერთი და იგივე არსების განმეორების დროსაა, არამედ ისე, რომ ერთიანი გაორების, მთელი ერთმხრიობების სახით არსებობს; მთელი, ერთიანობა სწორედ ერთმხრიობათა გარკვეული დამოკიდებულებაა.

მართალია, დიალექტიკის ოთხი ძირითადი ნიშანი არსების მომენტებია, მაგრამ მათი ერთიმეორესთან საფუძველ-შედეგის დამოკიდებულება არსების და მოვლენის დამოკიდებულებაა; ისინი თვითონ ერთიმეორესთან არსების და მოვლენის დამოკიდებულებაში არიან. ურთიერთკავშირის ცნება განვითარების ცნებაში მართლდება, როგორც მის არსებაში. ამიტომ ვამბობთ, რომ ურთიერთკავშირი არსებითად განვითარებას წარმოადგენს; და განვითარება ნამდვილი ურთიერთკავშირია. ორი განსხვავებულის, უკეთ: საპირისპიროს აუცილებელი კავშირი (წინააღმდეგობის და უარყოფის საშუალებით შესრულებული) განვითარებითი, ერთის მეორეში გადასვლითი კავშირია. ურთიერთკავშირი შედეგი და მოვლენაა განვითარების. ამდენად განვითარება საფუძველია არსების აზრით, ურთიერთკავშირი კი საფუძველია მოვლენის აზრით. რადგან არა მარტო არსებაა განმსაზღვრელი მოვლენის (მოვლენა სწორედ არსების მოვლენაა), არამედ, პირიქით, მოვლენაც განმსაზღვრელია არსებისა, ამიტომ და ამდენად მოვლენაც საფუძველია არსებისა. სწორედ ამიტომ შეგვიძლია მოვლენის საფუძველზე დგომით არსებაზე გადავიდეთ ურთიერთკავშირის გარკვევით განვითარებაზე გადავიდეთ. ურთიერთკავშირის ანალიზი გვაჩვენებს მის არსებას, სახელდობრ იმას,

რომ ურთიერთკავშირი არსებითად განვითარება; ნამდვილი ურთიერთკავშირი შესაძლებელია განვითარების სახით. ამიტომ ურთიერთკავშირი, როგორც მოვლენა — შედეგი, თვითონ არის არსებაზე, მის გამმართლებელზე გადასვლის საფუძველი. რამდენადაც მოვლენაც არსების გამართლებაა, ამდენად ის საფუძველია, მაგრამ, როგორც ითქვა, თავისებური აზრით; ეს ასეა, რამდენადაც დაბოლოებული დაუბოლოებელს განსაზღვრავს.

მაგრამ, როგორც ეს ზემოთ გავარკვევთ, თვითონ მოძრაობა-განვითარების ნიშანი თავის გამართლებას მესამე ნიშანში ნახულობს, ე. ი. რადგან ნამდვილი განვითარება ახალი თვისობრიობის მიღებაა, ამიტომ დიალექტიკის მესამე ძირითადი ნიშანი მეორე ნიშნის საფუძველია, როგორც მისი არსება; მეორე ნიშანი კი მესამე ნიშნის საფუძველია, როგორც მოვლენა. მეორე ნიშანი, თავის მხრივ, არსებაზე გადასვლის საფუძველია. ასე ითქმის დიალექტიკის მესამე და მეოთხე ნიშნის შესახებაც. დიალექტიკის მეოთხე ძირითადი ნიშანი მესამე ნიშნის არსებაა, მისი გამართლებაა. ახლის წარმოშობა მხოლოდ შინაგანი წინააღმდეგობის საფუძველზეა შესაძლებელი.

ერთი შედეგი (მაგ., დიალექტიკის პირველი ძირითადი ნიშანი) საფუძველში (მეორე ძირითად ნიშანში) გადადის; ამ გადასვლის არსება, როგორც ითქვა, წინააღმდეგობაა; ასე გადადის მეორე ძირითადი ნიშანი მესამეში, მესამე — მეოთხეში; ამ ნიშანთა ასეთი ლოგიკური კავშირი, მაშასადამე, წინააღმდეგობის ერთიანობაა, ამიტომ როცა ეს წინააღმდეგობის საშუალებით გადასვლა მივა იმ ნიშანმდე, რომელიც თვითონ არის წინააღმდეგობის ერთიანობა, მაშინ, ცხადია, რომ იგი ახალ არსებას, სხვა საფუძველს აღარ მოითხოვს. როცა გადასვლა მის არსებამდე მივა, მაშინ იგი სისრულითაა ახსნალი და ამიტომ კიდევ ახალ საფუძველზე გადასვლა აღარაა საჭირო. გადასვლა, დასული თავის არსებამდე, ახალ გადასვლას აღარ მოითხოვს ამ გადასვლის ასახსნელად. ამიტომ დიალექტიკის მეოთხე ძირითადი ნიშანი ის საფუძველია, რომელიც ყოველნაირ გადასვლას ხსნის, და მას სხვა ამხსნელი საფუძველი აღარ სჭირდება წინააღმდეგ ჰეგელისა; იგი თავისთავადი საფუძველია, თავის თავსაც ხსნის და სხვასაც, იმასაც არკვევს, თუ როგორ განსაზღვრავენ სხვები მას (როგორც ეს, მაგ., წარმოების მის მომენტებთან დამოკიდებულების დროსა გვაქვს).

მაგრამ ეს თავისთავადი საფუძველი არის ყოველგვარი მოძრაობის და განვითარების უარსებითესი კანონი, რომელიც წინააღმდეგობათა ერთიანობას წარმოადგენს. წინააღმდეგობათა ერთიანობა არის შინაგანი საფუძველი, თვითსაფუძველი (და პირიქით), რომელ-

შიც, როგორც მთელში, დაბოლოებული საფუძველიცა გვაქვს და დაბოლოებული შედეგიც, მათი ურთიერთობაც გარკვეულად არის წარმოდგენილი.

დაუბოლოებელი შეიძლება წარმოვიდგინოთ როგორც შედეგი, მაგრამ არა მხოლოდ შედეგი, არამედ საფუძველიც, ამიტომ იგი არის ერთიანობა შინაგანი დაპირისპირებისა, იგი, ნამდვილად, საფუძველ-შედეგის ერთიანობაა, რომელიც თვითსაფუძველს წარმოადგენს.

თვითონ წინააღმდეგობის ერთიანობის მომენტთა დამოკიდებულება, რომელიც ზემოთ აღვნიშნეთ, საბოლოოდ გვირკვევს საფუძველ-შედეგის დამოკიდებულების აზრის სისრულეს. საწინააღმდეგო შედეგები ერთი და იგივე ერთიანობისა, როგორც საფუძვლისა, თვითონ არის საფუძველი, მაგრამ დაბოლოებული საფუძველი მათი არსების, დაუბოლოებელის მომენტის მიღებისა; წინააღმდეგობის საშუალებით აუცილებლობით მიიღება და აღმოჩნდება მისი (წინააღმდეგობის) ერთიანობა; შედეგთა ურთიერთგანსაზღვრება ურთიერთუარყოფით საკუთარ საფუძველს აუცილებლობით აღმოაჩენს. აქ დაბოლოებული საფუძველად არის გამოყენებული დაუბოლოებელის მისაღებად. დაბოლოებული, საპირისპირო შედეგებიდან, როგორც საფუძველიდან, მიიღება დაუბოლოებელის მომენტი, როგორც შედეგი. ეს გარემოება გასაგებია მხოლოდ დაუბოლოებელის ცნების საფუძველზე, აქ წყდება ინდუქციის პრობლემა: დაბოლოებულიდან, როგორც კერძოდან, წინააღმდეგობის საშუალებით მიიღება აუცილებლობით დაუბოლოებელი, როგორც ზოგადი, როგორც ერთიანობა. დაუბოლოებელიდან, როგორც საფუძველიდან, როგორც ერთიანობიდან საპირისპირო შედეგების გამოყვანა (ერთიანის გაორება) კი დედუქციის პრობლემას სწყვეტს. ამდენად ნამდვილი, სრული აზრით გაგებული დედუქცია და ასევე გაგებული ინდუქცია ერთმხრიობებია ერთი და იგივე აუცილებელი კავშირისა (ამის შესახებ კიდევ ქვემოთ).

მაშასადამე, ორგვარი საფუძველიდან ერთი დაბოლოებულია, მეორე — დაუბოლოებელი. მათი ერთიანობა საფუძველია ყოველგვარი დასკვნის: როგორც ინდუქციურის, ისე დედუქციურის. მათი ერთმხრივი დამოკიდებულება ერთმხრივ დასკვნებს და დასაბუთებას აგვისნის (რომლებსაც ფორმალური ლოგიკა განიხილავდა). წინააღმდეგობის და უარყოფის საშუალებით შესრულებული გადასვლა, გამომდინარეობა და ურთიერთკავშირი სრული სახით შესრულებული სინთეზური კავშირია.

ნათქვამიდან გამომდინარეობს, რომ არსების სფეროში ე. წ. პირობით-კატეგორიული სილოგიზმის ოთხივე მოდუსი სწორ მოდუსებად უნდა ჩაითვალოს. პროლეტარიატი და ბურჟუაზია, როგორც რამოდენიმეჯერ აღინიშნა, ორი ერთიმეორის გამომრიცხავი შედეგია ერთი და იგივე ეკონომიური საფუძვლისა. თუ არსებობს კაპიტალისტური წარმოების წესი, მაშინ აუცილებლად არსებობს პროლეტარიატი და ბურჟუაზია; თუ არსებობენ პროლეტარიატი და ბურჟუაზია, მაშინ აუცილებლად არსებობს ერთი ეკონომიური საფუძველი (წინააღმდეგობა ერთიანობის საფუძველზეა შესაძლებელი), კაპიტალისტური წარმოების წესი; თუ არ არსებობს კაპიტალისტური წარმოების წესი, მაშინ არ არსებობს არც პროლეტარიატი და ბურჟუაზია; თუ არ არსებობს პროლეტარიატი და ბურჟუაზია მაშინ არ არსებობს კაპიტალისტური წარმოების წესი.

ზოგადი წესი შეიძლება ასე ჩამოყალიბდეს: თუ არსებობს ერთიანობა, მაშინ არსებობს მისი ურთიერთგამომრიცხავი შედეგები; თუ არსებობენ ურთიერთგამომრიცხავი შედეგები, მაშინ არსებობს მათი ერთიანი საფუძველი; თუ არ არსებობს ერთიანობა, მაშინ არ არსებობს არც ურთიერთგამომრიცხავი შედეგები, (და საერთოდ ურთიერთგამორიცხვა); თუ არ არსებობენ ურთიერთგამომრიცხავი შედეგები, მაშინ არ არსებობს არც ერთიანობა.

მაშასადამე, ამ შემთხვევაში, საფუძვლის და შედეგის დამოკიდებულება, მათ შორის აუცილებელი კავშირი სრული კავშირია, რადგან თითოეული საფუძველი აუცილებელი და საკმარისია თავისი შედეგისათვის. ნამდვილი, სრული აუცილებლობა ისეთი აუცილებლობაა, რომელშიც საფუძველი არა მხოლოდ აუცილებელი ან საკმარისია, არამედ აუცილებელიცაა და საკმარისიც.

აქ, როგორც ჩანს, დარღვეულია ძველი ლოგიკის ფარგლები; დასაბუთებულია საფუძვლის უარყოფიდან შედეგის უარყოფის და შედეგის მტკიცებიდან საფუძვლის მტკიცების მოდუსები, მხოლოდ იმ აზრით, რომ აქ შედეგი კი არა გვაქვს, არამედ შედეგები, რომლებიც ერთიმეორეს გამორიცხავენ; წინააღმდეგობას ერთიან საფუძვლამდე მიყვავართ. აგრეთვე: აქ ვარჩევთ ორგვარ საფუძველს და ორგვარ შედეგს; ერთიანი საფუძვლის ურთიერთგამომრიცხავი შედეგები, რადგან ერთიმეორეს გამორიცხავენ, ამიტომ ერთიმეორეს აბოლოებენ, ესენი ბოლოვადი შედეგებია; მათგან ერთიანი საფუძვლის მიღება მათი არსების მიღებაა; ამ შემთხვევაში, ისინი სრულიად თავისებური საფუძვლის როლს თამაშობენ, ისე როგორც მათგან მიღებული მათი არსება თავისებური შედეგია. საპირისპირო შედეგები, როგორც საფუძველი, სრულიად განსხვავდება წინააღმდეგობის ერთიანობისაგან, როგორც საფუძვლისაგან.

ამიტომ დადებით-პროგრესული მოდუსი და დადებით-რეგრესული მოდუსი ერთიმეორეში არ აკვერევა და არ გაავივივდება.

ამასთანავე, ორივე ეს მოდუსი ურთიერთკავშირში უნდა იქნეს აღებულ-განხილული და არა ერთიმეორისაგან დაძოუკიდებლად; უკანასკნელ შემთხვევაში მათ ერთიმეორისაგან ვერ განვასხვავებდით, რადგან შედეგის საფუძვლად გამოყენება შედეგს აზრს დაუკარგავდა და დადებით-რეგრესული მოდუსის მაგიერ დადებით-პროგრესულ მოდუსს მივიღებდით. საპირისპირო შედეგებიდან ერთიანი საფუძვლის მიღება გულისხმობს ამ საფუძვლიდან. შედეგის მიღებას, რადგან დაუბოლოებელის მომენტი სწორედ დაბოლოებულის ამხსნელია. შედეგებიდან საფუძვლის მიღება, ცხადია, მართლაც საფუძვლის მიღებაა. ამრიგად, ერთგვარი წრიულობა გვაქვს და არა საფუძვლის და შედეგის ერთიმეორეში არევა. გამორიცხულია საფუძველთა სიმრავლე, რომელსაც ადგილი აქვს ძველ ლოგიკაში და რომელიც მხოლოდ ორი მოდუსის სისწორეს ხდიდა შესაძლებლად და სწორხაზობრიობას ემყარებოდა, მხოლოდ სწორხაზობრიობას ამართლებდა დასაბუთებაში. ასეთ შედეგს იძლევა მხოლოდ მოვლენათა ზედაპირზე დარჩენა.

ამდენად ერთიმეორისაგან უნდა განვასხვაოთ არსების ამსახველი ლოგიკური და მისი ერთმხრიობის — მოვლენის ამსახველი ლოგიკური. აქ ორი ლოგიკური კი არა გვაქვს, ეს ამკარა სიყალბე იქნებოდა, არამედ ერთი ლოგიკური და მისი ერთი მხარე.

აღნიშნული ოთხი მოდუსი არსებითად ერთი ლოგიკურის ერთმხრიობებს წარმოადგენენ. ერთი სრული ლოგიკური წინააღმდეგობის ერთიანობის მომენტთა მთლიანობაში მდგომარეობს. ლოგიკური, როგორც წინააღმდეგობის ერთიანობა, არის სრული ლოგიკური. იგი საპირისპირო, ურთიერთგამომრიცხავ მსჯელობათა ისეთი ერთიანობაა, რომელიც თვითმოდრავი საგნის არსებას ასახავს. ყოველგვარი სხვა დამოკიდებულებანი ამ ლოგიკურით, აიხსნებიან და მის ერთმხრეობებს წარმოადგენენ. რეალური საფუძველ-შედეგის დამოკიდებულება უნდა აისახოს დებულებათა საფუძველ-შედეგის დამოკიდებულებაში. რაიმე ცნება ან მსჯელობა არის რაიმეს გამომთქმელი აზრი; ამიტომ ისინი სიტყვებზე არ უნდა დავიყვანოთ. მსჯელობათა დამოკიდებულებების გარკვევის დროს ჩვენ ცნების ნიშანთა დამოკიდებულებასთან გვაქვს საქმე და არა ცარიელ სიტყვებთან. ცნების მისი შინაარსის გარეშე წარმოდგენა მისი სიტყვაზე დაყვანაა, მისი უარყოფაა. პროლეტარიატის ცნება ისეთ ნიშნებს შეიცავს შინაარსად, რომლებიც ბურჟუაზიის ცნების უარყოფელია და პირიქით.

ეს ურთიერთუარყოფა კი ერთიანობას ემყარება. აქ ერთიანობა ამ საპირისპირო მხარეთა ანალიზით და ურთიერთგანსაზღვრებით აღმოჩნდება, როგორც მათი აუცილებელი საფუძველი.

ამიტომ მოგვეყავდა ზემოთ მაგალითები რვა-რვა დებულების ურთიერთკავშირისა ერთიანის გარეების ბუნების გამოსახატავად. წარმოების და მოხმარების ერთ-ერთი პირობითი დამოკიდებულება, როგორც წინააღმდეგობის ერთიანობა, თუ სხვა ზემოთ განხილული მაგალითები სწორედ აქ აღნიშნულ დებულებას ამტკიცებენ; მაგრამ ისე, რომ „თუ“-სა და „მაშინ“-ს შორის კავშირი ნამდვილ კატეგორიულ კავშირს წარმოადგენს და არა ჩვეულებრივ „პირობითს“, რადგან მხედველობაში გვაქვს მხოლოდ საფუძველ-შედეგის დამოკიდებულება.

კატეგორიული სილოგიზმი, არსებითად, არ არის კატეგორიული კავშირის შემცველი, არამედ პირობითისა, რომელიც მისი (პირობითობის) გამმართლებლის გარეშეა აღებული. კატეგორიული სილოგიზმი არის ასეთი კავშირი: თუ არის საფუძველი, მაშინ არის შედეგი; საფუძვლის და შედეგის ცნებები ერთმხრივად არიან აღებული მათ სწორხაზობრივ კავშირში. ასეთი პირობითი კავშირი არ არის ნამდვილი აუცილებელი კავშირი, არამედ ასეთის მოგულისხმე ზერელე კავშირია. კატეგორიულ სილოგიზმში არა გვაქვს ნამდვილი შედეგის და საფუძვლის დამოკიდებულება, რადგან წანამძღვრების მცდარობის დროსაც სრულდება დასკვნა, რადგან მხოლოდ სუბიექტის საქმიანობასთან გვაქვს საქმე: სუბიექტი მიიჩნევს ჭეშმარიტად მცდარს და ამიტომ გამოყავს დანასკვი. ამიტომ ასეთი დასკვნა თვითონ მოითხოვს საფუძვლის ჭეშმარიტებას; პირობითობა თვითონ მოითხოვს გარკვეულ უპირობოს, როგორც დაუბოლოებელსა და ობიექტურს.

ფორმალურ ლოგიკაში გარჩეული დღემდე ცნობილი ყველა დასკვნის პრინციპი პირობითი მსჯელობით გამოითქმება: თუ არის A, მაშინ არის B,— თუ არის წანამძღვრები (საფუძველი), მაშინ არის დანასკვი (შედეგი). ჯერ კიდევ არისტოტელემ იცოდა, რომ ყოველი დასაბუთება არის დასკვნა, მაგრამ ყოველი დასკვნა არაა დასაბუთება, რადგან შეიძლება დასკვნა შესრულდეს ისე, რომ მისი წანამძღვრები მცდარი იყოს. მცდარი წანამძღვრებიდან, როგორც ცნობილია, შეიძლება გამოყვანილ იქნას როგორც ჭეშმარიტი დანასკვი, ისე მცდარიც (სწორედ ამ განურჩევლობით გვაქვს შეცდომასთან საქმე. რომ მცდარი წანამძღვრებიდან ყოველთვის მცდარი დანასკვი გამოდიოდეს, მაშინ შებრუნების გზით ყოველთვის ჭეშმარიტებას მივიღებდით). მაგრამ ისიც ცნობილია, რომ შეიძლება დასაბუთებაც იქნას შედგენილი მცდარ წანამძღვრებზე.

ასეთი მაგალითი ისტორიამ ბევრი იცის<sup>1</sup>. ამიტომ უნდა ითქვას, რომ ფორმალური ლოგიკისათვის დასკვნაც და დასაბუთებაც პირობითი ხასიათისაა, რადგან მასში ვანხილული ყოველი დასკვნა და ყოველი დასაბუთება ემყარება აზრს: თუ საფუძველი ჭეშმარიტია, მაშინ დანასკვიც ჭეშმარიტია. გამომდინარეობას მისი პრედიკატი — სისწორე (რომელიც სუბიექტს არ უნდა გაუიგივოთ) სწორედ ჭეშმარიტების საფუძველზე მიეწერება.

მანასადამე, უნდა ითქვას, რომ ფორმალურ ლოგიკას ჭერ არ მოუცია კატეგორიული დასკვნის თეორია. დასკვნის და დასაბუთების ახლა აღნიშნული პირობითობა იმის შესაძლებლობასაც იძლევა, რომ ყველაფერი პირობითზე დავიყვანოთ, — რომ მოხდეს ლოგიკის ფორმალიზაცია, ამით კი სუბიექტივიზმი „დასაბუთდეს“, რასაც ადგილი აქვს თანამედროვე „ლოგიკურ პოზიტივიზმში“<sup>2</sup>. სიმბოლური ლოგიკის, როგორც ახალი ლოგიკის, შექმნის ცდები, სწორედ ამ გარემოებას ამართლებს.

აქსიომატური მეთოდი ლოგიკაში, როგორც ეს ზემოთ აღინიშნა, ყველაფერს ათავსებს აქსიომებში, რომლებიც არსებითად პირობით არიან მიღებული და შემდეგ მათგან ანალიზური გამოყვანა სიმბოლოების თამაშამდე მიდის.

აღნიშნული პირობითობა უკიდურესობამდე მიჰყავს თანამედროვე სიმბოლიურ ლოგიკას, რომელიც თვითონ ლოგიკის უარყოფამდე მიდის, რადგან აზრის ზოგადობას და საერთოდ ზოგადობას უარყოფს, ყველაფერი სიმბოლოებზე დაჰყავს. როგორც ცნობილია, რეალიზმი (პლატონიდან დაწყებული) ლოგიკურად სრულიად ყალბ თვალსაზრისზე იდგა, რადგან ერთეულებისაგან გამოცალკევებული ზოგადის აღიარება თვითონ ამ ზოგადობის უარყოფას, მის ცალკეულად გადაქცევას წარმოადგენს. კონცეპტუალიზმმა განდევნა სინამდვილიდან ზოგადობა, იგი მხოლოდ აზროვნებაში მოათავსა, მხოლოდ ცნებად წარმოიდგინა, ძველმა ნომინალიზმმა კი აზრიდანაც განდევნა ზოგადობა, მხოლოდ სიტყვა და სახელი მიიჩნია ასეთად. სიმბოლიური ლოგიკა კი ნომინალიზმს უკიდურესად აწვითარებს; იგი სიტყვასაც უკარგავს ზოგადობას. ნამდვილ ენად სიმბოლოების ენას სთვლის და სიტყვის ენას კი უარყოფს.

ასეთი აზრი საბოლოოდ განადგურებულია მარქსიზმ-ლენინიზმის მიერ; დამტკიცებულია, რომ ერთადერთი ენა სიტყვების ენაა.

<sup>1</sup> В. Ф. Асмус, Учение логики о доказательстве и опровержении. стр. 9., 1954.

<sup>2</sup> იხ. მაგ., R. Carnap, Formalization of Logic. 1943.

ზოგადის უარყოფა შეუძლებელია. სიმბოლოების კავშირი ხომ გარკვეულ წესებს ექვემდებარება? ეს წესები ხომ ზოგადი უნდა იყოს? ზოგადობის ყოველნაირი უარყოფა თვითონ ზოგადობას ასაბუთებს. წინასწარ ყველაფრის აქსიომებში გათვალისწინება ფორმალისმს წარმოადგენს. ლოგიკური იქცევა სიმბოლოების თამაშად. სიმბოლოს აზრი აქვს იმით, რასაც ის აღნიშნავს. ამის გარეშე იგი არაფერია. სიტყვასაც აზრით აქვს მნიშვნელობა, აზრი კი უსაგნოდ არაფერია.

ინდუქციურმა ლოგიკამაც ვერ მოგვცა საფუძვლისა და შედეგის ნამდვილი დამოკიდებულება, რადგან ერთეულებიდან ამოიღო ზოგადობა და შემდეგ ყველა ერთეულის ჩამოთვლით ან ჩამოთვლილად გულისხმობით (ბუნების ერთგვარობის კანონი ამ გარემოებას გამოხატავს) შეეცადა მიეღო ზოგადობა, თუმცა ეს მიღება უზოგადეს კანონს წინასწარ გულისხმობს. ამიტომ აქ, ერთი მხრით, წინამძღვრები არაა საკმარისი დანასკვისათვის, მეორე მხრით კი ლოგიკურ რკალთან გვაქვს საქმე: ზოგადის მისაღებად იგი (ზოგადი) წინასწარაა დაშვებული, როგორც გამოსავალი.

არც სილოგიზმი და არც ინდუქცია (მით უმეტეს სიმბოლიურ-ლოგიკური) ისტორიულის ამსახველ ლოგიკურს სრულიადაც ვერ იძლევიან. განვითარებაში არც ზოგადი (ისე გაგებული, როგორც ამას სილოგიზმი გულისხმობს) და არც ერთეულები არ უსწრებენ ერთმეორეს წინ. არც ზოგადიდან კერძოს გამოყვანა ასახავს ისტორიულ განვითარებას, არც კერძოდან ზოგადის გამოყვანა. დედუქციის ამგვარი გაგებაც არ არის, როგორც ცნობილია, ზუსტი გაგება.

ნამდვილი, მართლაც კატეგორიული დასკვნების მომცემი ლოგიკა მხოლოდ ასახვის მარქსისტულ-ლენინური თეორიის პრინციპების საფუძველზეა შესაძლებელი. ნამდვილი ლოგიკური ისტორიულის ამსახველი ლოგიკურია, რომლის სისწორე პრაქტიკით გამართლებულ ქვეშარიტებას ემყარება.

მართალია, პრაქტიკა ქვეშარიტების საფუძველი და კრიტერიუმია, — ქვეშარიტებას პრაქტიკა ამტკიცებს, მაგრამ ეს გარემოება, ცხადია, იმას არ ნიშნავს, რომ პრაქტიკა ლოგიკურ საფუძველს წარმოადგენდეს; ასეთ შემთხვევაში პრაქტიკა ლოგიკურად გადაიქცეოდა; ეს კი იდეალიზმის მეტს არაფერს არ მოგვცემს. არც ის არის სწორი, თითქოს რადგან დებულებები შეიძლება პრაქტიკით შემოწმდეს. ამიტომ ლოგიკური დასაბუთება ზედმეტი იყოს; ასეთ შემთხვევაში მეცნიერება საერთოდ ზედმეტი იქნებოდა.

როგორც ზემოთ გავარკვიეთ, ლოგიკური ისტორიულს ასახავს და იმით იწყებს, რითაც იწყებს არსებითად ისტორიას. ამიტომაც საქონელი ისტორიულად პირველი ფულის და კაპიტალის მიმართ და



ლოგიკურადაც პირველია „კაპიტალის“ ლოგიკაში.<sup>1</sup> „მუშათა უფრო დიდი რიცხვის მოქმედება ერთსა და იმავე დროს, ერთსა და იმავე ადგილზე (ან, თუ გნებავთ, შრომის ერთსა და იმავე ასპარეზზე), ერთსა და იმავე სახის საქონლის საწარმოებლად, ერთი და იმავე კაპიტალისტის ბრძანებულებით, ისტორიულად და ლოგიკურად (historisch und begrifflich) კაპიტალისტური წარმოების ამოსავალ პუნქტს შეადგენს.“<sup>2</sup> მარტივიდან რთულისაკენ, კონკრეტულისაკენ სვლა ახასიათებს რეალურ განვითარებასაც და ლოგიკურ განვითარებასაც. ამიტომ ნამდვილი ლოგიკური არის რეალური განვითარების ამსახველი ლოგიკური. „დიალექტიკური ლოგიკა, წინააღმდეგ ძველი, წმინდა ფორმალური ლოგიკისა, არ კმაყოფილდება ამ უკანასკნელის მსგავსად იმით, რომ ჩამოთვალოს და ყოველგვარი კავშირის გარეშე ერთმანეთის გვერდით დააწყოს აზროვნების მოძრაობის ფორმები, ე. ი. მსჯელობათა და დასკვნათა სხვადასხვა ფორმები. მას, პირიქით, ეს ფორმები ერთიმეორიდან გამოჰყავს, იგი მათ შორის ნაცვლად კოორდინაციისა სუბორდინაციის დამოკიდებულებას ამყარებს და დაბალი ფორმებიდან უმაღლეს ფორმებს ანვითარებს.“<sup>3</sup> მთავარია ასეთი განვითარების არსების ამსახველი ლოგიკური ბუნების გაგება. ნამდვილი ლოგიკურის არსება არის რეალური განვითარების კანონის ამსახველი ლოგიკურის არსება; ეს არის წინააღმდეგობის ერთიანობის, როგორც ლოგიკურის კანონის და არსების, ბუნება, რომლიდანაც უნდა იქნეს ახსნილი მსჯელობად ასკენის ფორმები<sup>4</sup>.

რადგან ლოგიკურ-სინთეზური კავშირის არსება წინააღმდეგობის ერთიანობაა, ამიტომ მისი განხილვით, რაც ამ შრომაში იქნა მოხდენილი, გარკვეულია დასკვნისათვის არსებითი. ლოგიკურის ზოგადობა არის სწორედ კანონი, რომელიც მას (ლოგიკურს) განსაზღვრავს, როგორც მისი არსება (და არა როგორც წინამძღვარი). ნამდვილი ზოგადი არის კანონი და წესი, როგორც ეს ზემოთაც გაირკვა. გრამატიკა იღებს სიტყვათა ცვალებადობის და შეკავშირების საფუძვლად მდებარე ზოგადს და არკვევს გრამატიკულ წესებს და კანონებს. ეს წესები და კანონები აძლევენ აზრს სიტყვებს, ლექსიკურ შემადგენლობას, რომელიც მასალას წარმოადგენს.

ამრიგად, შეიძლება ითქვას, რომ ცნებებს არა აქვთ არავითარი

<sup>1</sup> В. И. Ленин, Философские тетради, стр. 215.

<sup>2</sup> К. Маркс, Das Kapital, I, S. 337, Moskau, 1932.

<sup>3</sup> კ. მარქსი. კაპიტალი. ტ. I, გვ. 409.

<sup>4</sup> ფ. ენგელსი. ბუნების დიალექტიკა, გვ. 229.

<sup>5</sup> ჩვენ სწორედ ამ არსებობის გარკვევას ვისახავდით მიზნად ამ შრომაში. თვითონ მსჯელობის და დასკვნის ფორმების სპეციალური განხილვა ცალკე უნდა იქნეს წარმოდგენილი.

აზრი, ისინი მხოლოდ სიტყვებს წარმოადგენენ, თუ არ იქნენ განხილული როგორც მსჯელობის და დასკვნის შედეგი, როგორც მათი ზოგადი აზრი, ე. ი. — ლოგიკური აზრი საერთოდ. ამიტომ ლოგიკურის ზოგადი ბუნების გარკვევა არსებითად ცნების ბუნების გარკვევაა. ცნების და ზოგადის, როგორც ცვალებადის და კერძოს კანონის და წესის, წარმოდგენა სრულიად თავისებური ბუნებისაა, ვიდრე ძველი, ფორმალური ლოგიკის ცნება, რომლის ზოგადობაც, უმთავრესად, მოცულობით ზოგადობას წარმოადგენს.

პირველად კანტმა გაუიგივა ცნება კატეგორიას, როგორც ერთიანობის წესს, მაგრამ მისმა აპრიორიზმმა გააყალბა ცნების ბუნება. ცნება უნდა წარმოადგენდეს მატერიალური მოვლენების ცვალებადანვითარების კანონის ასახვას ჩვენს აზროვნებაში. იგი სხვადასხვაობის და, არსებითად, საპირისპიროთა ერთიანობას უნდა წარმოადგენდეს.

როგორც გარკვევა, დაპირისპირებულთა ერთიანობის ზოგადობა „გარეგადამწვდომი“ მომენტშია, რომელიც აზროვნებაში საპირისპირო მსჯელობათა ერთიანობას წარმოადგენს, ე. ი. წარმოადგენს საგნის არსების ამსახველ ცნებას (მაგალითად, წარმოების ცნება წარმოების მომენტების ერთიანობის გარეგადამწვდომი მომენტის ასახვა). წარმოება არის მოხმარება, მაგრამ მოხმარება წარმოების უარყოფაა და პირიქით; მოხმარება წარმოების მომენტი, თუმცა მის შინაგან უარყოფას წარმოადგენს. ასე ითქმის განაწილებისა და გაცვლა-გამოცვლის, როგორც წარმოების მომენტების შესახებ. თვითონ წარმოება განსაზღვრავს მის მომენტებს, ამ მომენტთა ურთიერთუარყოფა-განსაზღვრას და იმასაც, რომ ეს მომენტები თვითონ წარმოებას განსაზღვრავენ. წარმოება არის „გარეგადამწვდომი“ მომენტი. წარმოების ცნება სწორედ ამ „გარეგადამწვდომის“ გაგება-ასახვას წარმოადგენს.

წარმოების მომენტებს შორის დამოკიდებულება არის ურთიერთუარყოფა-განსაზღვრა, რაც გარკვეულ პირობით დამოკიდებულებას წარმოადგენს; მაგალითად, წარმოების და მოხმარების დამოკიდებულება შემდეგი რვა პირობითი მსჯელობით ამოიწურება: 1) თუ არის წარმოება, მაშინ არის მოხმარება, 2) თუ არის მოხმარება, მაშინ არის წარმოება, 3) თუ არ არის წარმოება, მაშინ არ არის მოხმარება, 4) თუ არ არის მოხმარება, მაშინ არ არის წარმოება, 5) თუ არის წარმოება, მაშინ არ არის მოხმარება, 6) თუ არის მოხმარება, მაშინ არ არის წარმოება; 7) თუ არ არის წარმოება, მაშინ არის მოხმარება და 8) თუ არ არის მოხმარება, მაშინ არის წარმოება. თითოეული ამ პირობით დებულებათაგანი გარკვეული ერთმხრივი აზრის მქონეა.

ახლახან მოყვანილი რვა მსჯელობის შესახებ შეიძლება თქვან, რომ პირველი ოთხი მსჯელობა სწორია, მეორე ოთხი მსჯელობა კი მცდარი, და, ამავე დროს, უკანასკნელი ოთხი მსჯელობა პირველ ოთხს ეწინააღმდეგება და ამიტომ მთლიანად შეცდომას ვღებულობთ. ამის საპასუხოთ საკმარისია აღნიშნოს შემდეგი: 1) აქ აღნიშნული წინააღმდეგობა დიალექტიკურია და, ცხადია, შეცდომას არ წარმოადგენს. ვინც საერთოდ წინააღმდეგობას შეცდომად მიიჩნევს, მან დიალექტიკური წინააღმდეგობაც შეცდომად უნდა ჩათვალოს (როგორც ამას დიალექტიკის უარყოფელ მოაზროვნეებში ხშირად ჰქონია ადგილი). 2) აღნიშნულ მსჯელობათაგან მეორე ოთხი მსჯელობა შეცდომას წარმოადგენს, თუ თითოეული მათგანი აბსოლუტური მნიშვნელობით და სრულიად დამოუკიდებლად ავიღეთ და ასე გავიგეთ, ე. ი. თუ მოვიქცით ისე, როგორც ამას ფორმალური ლოგიკა მოითხოვს და რასაც ჩვენ ვეწინააღმდეგებით, როცა ვამბობთ, რომ მსჯელობას, რამდენადაც იგი დასკვნებში გამოიყენება, შედარებითი აზრი აქვს, როგორც ეს ზემოთ, ვფიქრობთ, საკმარისად გავარკვეით.

მართლაც, პირობითი მსჯელობა: „თუ წარმოება არის, მაშინ არ არის მოხმარება“ მცდარია, თუ იგი დამოუკიდებლად და აბსოლუტურად იქნა განხილული: მაგრამ იგი სწორია, რამდენადაც ამ მსჯელობით იმას გამოვთქვამთ, რომ წარმოება არ არის მოხმარება, — რომ ეს ორი რამ, როგორც ამას მარქსი გარკვევით ამბობს, ერთიმეორეს უპირისპირდება. წარმოება, მართლაც, წარმოებაა და არაა მოხმარება, მაგრამ წარმოება მისი საპირისპირო მოხმარებაცაა. ეს ორი რამ ერთიმეორისაგან დამოუკიდებლად არ უნდა წარმოვიდგინოთ, არამედ მხოლოდ მთლიანობაში, ე. ი. მსჯელობას ერთმხრივი აზრი უნდა მიეცეთ და არა სრული. ასე ითქმის დანარჩენ მსჯელობების შესახებაც. მოხმარება, თანახმად იგივეობის პრინციპისა, მოხმარებაა და არა მისი საპირისპირო. მაგრამ ეს აზრი მხოლოდ ერთმხრივია, მხოლოდ ერთ მომენტს შეადგენს იმისა, რომ „მოხმარება არის წარმოება“, სადაც მოხმარება და წარმოება ერთიმეორისადმი საპირისპიროა, მაგრამ ერთიანობაშიც იმყოფებიან და სხვ.

მაშასადამე, მოყვანილი რვა მსჯელობა ერთ აზრს გამოსთქვამენ, სახელდობრ, წარმოების და მოხმარების კავშირს და ამიტომ ისინი მხოლოდ მთლიანობაში უნდა იქნან განხილული. ამ მსჯელობებიდან დაპირისპირების გამორიცხვა წმინდა იგივეობამდე მიგვაყვანს, რაც დიალექტიკურობას გამორიცხავს, ე. ი. შეცდომას წარმოადგენს.

წარმოების მომენტებს შორის აღნიშნული დამოკიდებულება ააშკარავებს წარმოებას, როგორც „გარეგადამწვდომ“ მომენტს,

რომელიც ურთიერთგანსაზღვრას და პირობით დამოკიდებულებას ერთ გარკვეულ აზრს აძლევს; ამიტომაც იგი დაუბოლოებელის მომენტი დაბოლოებულში. სწორედ აქ არის მოცემული, როგორც ეს ზემოთ დაწვრილებით გაირკვა, ზოგადობის და ლოგიკური აუცილებლობის ნამდვილი გაგება. „გარეგადამწველში“ დაუბოლოებელის მომენტია. როგორც ვამბობდით, აქ რეალური თვითსაფუძვლის ლოგიკურ შინაგან საფუძველში — თვითსაფუძველში ასახვა გვაქვს.

5. ზოგადის და კერძოს ერთიანობა როგორც ლოგიკური კავშირის საფუძველი. მეცნიერების ისტორია არის ისტორია ერთეულ, კერძო მოვლენებში ზოგადის ძიებისა და ამ ზოგადის მხარეთა აღმოჩენისა. მეცნიერების ისტორია მოვლენათა შორის არსებული შინაგანი კავშირების, კანონების აღმოჩენის ისტორიაა. ასე უნდა გვესმოდეს ლოგიკის, როგორც მეცნიერების ისტორიაც. ლოგიკის ისტორია არის აზროვნებაში ლოგიკური კავშირების, სრული ლოგიკური კავშირის მხარეთა აღმოჩენის ისტორია.

აზრთა ლოგიკური კავშირის სხვადასხვა მხარეები სხვადასხვა ლოგიკურ თეორიებში ცალ-ცალკე აღმოაჩინეს და თითოეული მათგანი სრული ლოგიკური კავშირის აზრით იყო გაგებულ. ასე ჩამოყალიბდა დედუქციის, ინდუქციის და სხვ. თეორიები, რომლებიც ერთიმეორეს ებრძოდნენ სწორედ ლოგიკური კავშირის სხვადასხვაგვარი გაგების გამო.

აზრთა ლოგიკური კავშირის სხვადასხვა გაგებას საფუძვლად უძევს ზოგადის და კერძოს დამოკიდებულების სხვადასხვაგვარი გაგება, რომელიც არსების და მოვლენის დამოკიდებულების სხვადასხვანაირ გაგებას უდრის და წარმოადგენს. ზოგადის, არსების და კერძოს, მოვლენის დამოკიდებულების გაგების საფუძველზე ლოგიკური თეორიები ყოველთვის დაკავშირებული იყვნენ მეცნიერების მეთოდოლოგიასთან.

დედუქციური მეთოდი ერთერთი მეცნიერული მეთოდია, რომელიც დედუქციურ დასკვნებშია განსახიერებული. ინდუქციური მეთოდიც თავისებური მეცნიერული მეთოდია და განხორციელებულია ე. წ. ინდუქციურ დასკვნებში. დედუქციური და ინდუქციური მეთოდების სპეციალურ მეცნიერებებში გამოყენება სწორედ დედუქციურ და ინდუქციურ დასკვნებში ხორციელდება. ეს მეთოდები, როგორც ცნობილია, გარკვეულ ნაკლოვანებებს შეიცავენ. დედუქციური ლოგიკა, რომელიც დედუქციასზე მოძღვრებას წარმოადგენს, ინდუქციური ლოგიკის ნაკლს აღნიშნავდა, და პირიქით, ინდუქციური ლოგიკა, რომელიც ინდუქციური კვლევის მეთოდებზე მოძღვრებას უდრის, დედუქციურ ლოგიკას ებრძოდა. ამ ბრძოლაში გაირკვა ორივე მეთოდის ნაკლი, თითოეული მათგანის აბსოლუ-

ტურ მეთოდად წარმოდგენის შეუძლებლობა, და მეცნიერების განვითარებამ აუცილებლობით მოითხოვა დიალექტიკური მეთოდის შექმნა. ეს მეთოდი დედუქციის და ინდუქციის ნაკლოვანებებს ხსნის, და წარმოდგენს კვლევის თავისებურ, ერთადერთ სრულ მეთოდს, რომელიც ინდუქციას და დედუქციას მომენტებად შეიცავს.

მაშასადამე, თუ ინდუქციის და დედუქციის მეთოდები თავისებურ დასკვნებში ხორციელდება, მაშინ უნდა ვიფიქროთ, რომ დიალექტიკური მეთოდი, დიალექტიკური აზროვნების წესი შესაფერ დასკვნებში განხორციელდება.

დიალექტიკური მეთოდის აზროვნებაში გამოყენება იგივეა, რაც დიალექტიკის ნიშნების აზროვნებაში აღმოჩენა. მატერიალისტური დიალექტიკის ნიშნების აზროვნებაში აღმოჩენა დიალექტიკური ლოგიკის. როგორც ცნების, მსჯელობის და დასკვნის დიალექტიკური ბუნების შესახებ მეცნიერების ჩამოყალიბებას უდრის. ასახვის მარქსისტულ-ლენინური თეორიის საფუძველზე ლოგიკური პრობლემების განხილვა მათ არა მხოლოდ მატერიალისტურ, არამედ სწორედ დიალექტიკურ მატერიალისტურ გადაწყვეტას ნიშნავს და უნდა ნიშნავდეს.

არ არის სწორი მეთოდის და ლოგიკის გათიშვა. ფორმალური ლოგიკა არსებითად დედუქცია-ინდუქციას წარმოდგენს და ფორმალური ლოგიკის ნაკლი იგივეა, რაც დედუქციის და ინდუქციის ნაკლოვანებანი. ფორმალური ლოგიკა ისეთ კავშირშია დიალექტიკასთან, როგორც — დედუქცია-ინდუქცია დიალექტიკურ მეთოდთან, — დედუქციური და ინდუქციური კავშირები — დიალექტიკურ კავშირებთან, რამდენადაც ეს უკანასკნელი აზროვნებაში არსებობს.

ყველაფერი ეს, მოკლედ, იმას ნიშნავს, რომ ლოგიკური კავშირის ბუნება გარკვეულ უნდა იქნას ზოგადის და კერძოს, ერთეულის თუ ცალკეულის დამოკიდებულების მატერიალისტურ-დიალექტიკური გაგების საფუძველზე.

შემეცნება, როგორც ცნობილია, კერძო, ერთეული საგნების თავისებურებების გაგებიდან იწყება. ამიტომ მსჯელობის პირველი სუბიექტი ერთეული საგანია, როგორც ეს არისტოტელემაც კარგად იცოდა. რადგან მსჯელობის გამართლება, — როგორც ეს ზემოთ აღინიშნა, — მისი სინთეზურობის შემთხვევაში შეიძლება, ამიტომ ერთეულს, როგორც სუბიექტს, მისგან განსხვავებული პრედიკატი მიეწერება და უნდა მიეწეროს. ლოგიკურად და კატეგორიალური მნიშვნელობით, ერთეულისაგან განსხვავებული არის არა ისევ ერთეული, არამედ სწორედ არა-ერთეული; არაერთეული კი მხოლოდ ზოგადი შეიძლება იყოს (რამდენადაც კერძო, როგორც „ზოგიერთი“, არსებითად ერთეულია, ასეთია „ყველა“-ც). ამდენად მსჯე-

ლობა, არსებითად, უნდა გვესმოდეს, როგორც ერთეულისა და ზოგადის ერთიანობა.

ასე გაიგო არისტოტელემ ლოგიკურის, კერძოდ, მსჯელობითი კავშირის პრობლემა. იგი, მსჯელობის სწორედ ასეთი გაგების საფუძველზე დგომით, აწარმოებდა ბრძოლას პლატონის იდეათა თეორიის წინააღმდეგ. პლატონს ზოგადი ერთეულის საფუძველად მაჩინდა, არისტოტელემ კი, რადგან ზოგადი ერთეულის პრედიკატია, ამიტომ იგი ერთეულზე დამოკიდებულად წარმოიდგინა.

მამასადამე, ისტორიულად ლოგიკურის პრობლემა გაგებულ იქნა როგორც კავშირის, სახელდობრ, აუცილებელი კავშირის პრობლემა. ამ პრობლემის გადაწყვეტად მიჩნეული იყო პასუხი კითხვაზე, თუ როგორ არის შესაძლებელი რაიმეს მისგან განსხვავებული აუცილებლობით დაუკავშირდეს; ეს კი ერთეულის და ზოგადის აუცილებელ კავშირად წარმოიდგინეს.

აქ აღნიშნული საკითხი მოიცავს საკითხს იმის შესახებ, თუ განსხვავებულთა კავშირში რომელია განმსაზღვრელი და რომელი — განსაზღვრული, — ე. ი. რა რაზეა დამოკიდებული? ეს კი, სხვა სიტყვებით, შეიძლება ასეც გამოითქვას (და ასეც გამოითქმოდა): რა რისაგან გამომდინარეობს, — რომელია საფუძველი და რომელი — შედეგი? როგორც ცნობილია, ასე იქნა დასმული დასკვნის პრობლემა. ლოგიკურში განსხვავებულთა სრული აუცილებელი კავშირი დასკვნის სახით ჩამოყალიბდა და უნდა ჩამოყალიბდეს.

ამრიგად, მსჯელობის და დასკვნის პრობლემა, როგორც ლოგიკურის, ე. ი. ლოგიკური აუცილებელი კავშირის პრობლემა, ისტორიულად და არსებითად, კერძოსა და ზოგადის კავშირის პრობლემას უშუალოდ დაუკავშირდა; — ჩამოყალიბდა საკითხი: ერთეულიდან (კერძოდან) გამოდის ზოგადი, თუ პირიქით, ზოგადიდან — ერთეული? — რომელი მათგანია საფუძველი და რომელი შედეგი?

როგორც ცნობილია, ამ უკანასკნელმა საკითხმა განსაზღვრა ლოგიკურის სხვადასხვა გაგება. თუ აღნიშნულ საკითხს უპასუხებდნენ ასე: „ზოგადიდან გამოდის კერძო“, მაშინ ლოგიკური დედუქციურ ლოგიკურად წარმოედგინათ. თუ მოცემული კითხვის ნამდვილ პასუხად შებრუნებულ დებულებას მიიჩნევდნენ, მაშინ ინდუქციურ ლოგიკურს დებულობდნენ. თუ კი ლოგიკურს საფუძველზე დაყვანის თუ მიყვანის სახით წარმოიდგენდნენ, მაშინ ე. წ. რედუქციულ-ლოგიკურს დებულობდნენ და სხვა.

ერთი სიტყვით, ლოგიკურის ცნების საფუძველად გამოყენებული იყო კერძოსა და ზოგადის დამოკიდებულების სხვადასხვანაირი გაგება.

ა) კერძოს და ზოგადის სხვადასხვანაირი გა-

გ ე ბ ა. ლოგიკურის სხვადასხვა გაგების გასათვალისწინებლად საჭიროა ჯერ კერძოსა და ზოგადის ცნებების ისტორიულად მოცემული გაგებანი მოკლედ გავითვალისწინოთ.

არისტოტელედან დაწყებული დღემდე ფორმალურ ლოგიკაში გაბატონებულია ზოგადის და კერძოს ისეთი გაგება, რომელსაც სილოგისტური დასკვნა (კატეგორიული სილოგიზმი) ემყარება. როგორც ცნობილია, სილოგისტური დასკვნის წესები დამყარებულია ცნების განაწილებაზე, ე. ი. მხედველობაში მიღებულია ზოგადობა ცნების მოცულობის აზრით. აქ ზოგადი ნიშნავს „ყველას“ (ერთეულსაც), კერძო კი — „ზოგიერთს“. ზოგადობა, მოცულობის მიხედვით, ყველა იმ საგანს ითვალისწინებს, რომლებიც რაიმე ცნებით მოიაზრება, ზოგიერთი კი — ამ საგანთა ნაწილს. თუ ზოგადი არის აზრი მთელი კლასის შესახებ, მაშინ კერძო მისი (კლასის) რომელიმე ნაწილის შესახებ აზრი იქნება. ყველა ადამიანის და ყველა სტუდენტის ერთიმეორესთან დამოკიდებულება, კლასის და მისი ნაწილის — ზოგადის და კერძოს დამოკიდებულებაა, თუმცა ცალკე აღებული „ყველა სტუდენტი“ თვითონ არის ზოგადი, ისე როგორც ზოგადია „ყველა ადამიანი“.

მოცულობის აზრით აღებული ზოგადობა არა მარტო სილოგისტური დასკვნის საფუძველს წარმოადგენდა, არამედ იგი ფორმალური ლოგიკის მიერ ინდუქციური დასკვნის საფუძველდაც იყო მიჩნეული. ორივე შემთხვევაში კერძოთა, ერთეულთა საფუძველად მოთავსებული იყო ზოგადი როგორც „ყველა“; განსხვავება კი დანახული იყო ლოგიკური პროცესის — გამომდინარეობის მიმართულებაში: დედუქციას კერძო ზოგადიდან გამოყავდა, ინდუქცია კი — ზოგადის კერძოდან გამოყვანას ასაბუთებდა. ერთი სიტყვით, ინდუქციას და დედუქციას ზოგადის და კერძოს ცნებები ერთნაირად ესმოდა და ესმის; დედუქციური და ინდუქციური გზები განსხვავდებიან ერთიმეორისგან იმით, რომ ერთ შემთხვევაში საფუძველად ზოგადია აღებული და იქიდან კერძოა გამოყვანილი, მაშინ როცა მეორე შემთხვევაში საფუძველს კერძო წარმოადგენს, ლოგიკური გამოყვანის გზა კი კერძოდან ზოგადისაკენ მიდის.

ამ აზრის საწინააღმდეგოდ შეიძლება სთქვან, რომ, მაგალითად, არისტოტელეს მიერ გაგებული ზოგადი და მილის მიერ გაგებული ზოგადი სრულიად სხვადასხვა ბუნებისანი არიან: თუ არისტოტელესათვის ზოგადი საგნის არსება იყო, მილისათვის ზოგადი „ყველას“ უდრიდა, ე. ი. ზოგადი მილის მიერ გაგებული იყო, როგორც ერთეულთა ერთობლიობა, — ზოგადი მასთან ნომინალისტურად იყო გაგებული, მაშინ როცა არისტოტელეს მიერ ზოგადის გაგება სწორედ ნომინალიზმის წინააღმდეგ იყო მიმართული.

ამ შეხედულებების წინააღმდეგ უნდა ითქვას შემდეგი: მართალია, საერთოდ არისტოტელეს ზოგადი ესმოდა როგორც საგნის არსება (მაგ., „ადამიანობა“ და არა „ყველა ადამიანი“), მაგრამ მას ამგვარად გაგებული ზოგადი სილოგისტურ დასკვნაში ვერ გამოიყენა, და ის, რაც ასეთ დასკვნაში მის მიერ იყო გამოყენებული, სწორედ ნომინალისტურად გაგებულ ზოგადს წარმოადგენდა. სილოგისტური დასკვნის დასაყრდენს ცნების მოცულობაზე დამყარებული ცნების განაწილება წარმოადგენს; ცნების განაწილება მხოლოდ ნომინალისტურად გაგებულ ზოგადს, როგორც „ყველას“, გულისხმობს და ემყარება.

ფორმალური ლოგიკისათვის ზოგადი, ჩვეულებრივად, გაგებული იყო და არის, როგორც მრავლისათვის საერთო ნიშანი. ამიტომ ცნების მოცულობის ზოგადობის მეტ-ნაკლებობა სწორედ ნიშნის ბუნებაზეა დამყარებული. ნიშნის ცვლა სცვლის მოცულობასაც. განზოგადება სწორედ ნიშნის მოკლებაზეა დამოკიდებული. ნიშნის ზოგადობა სწორედ იმას ნიშნავს, რომ იგი მრავალზე ვრცელდება, მრავალს მოიცავს, მრავალს იქვემდებარებს. ამ შემთხვევაში, ნიშანი რამდენადაც აბსტრაქტულია, იმდენად უფრო ზოგადია. მაგრამ ეს სწორედ იმას ნიშნავს, რომ სიმრავლე განსაზღვრავს ზოგადობას. მაშასადამე, თუ ნიშანი სიმრავლეს იქვემდებარებს და ამიტომ და ამდენად ზოგადი, მეორე მხრით, ზოგადობა სწორედ სიმრავლით განისაზღვრება, რამდენადაც ზოგადი გაგებულია, როგორც საერთო სიმრავლისათვის. (აქ უსათუოდ არსებობს ერთგვარი შეუსაბამობა).

საერთო უნდა იყოს ზოგადი, რომელიც მრავალ ერთეულს იქვემდებარებს; მაგრამ საერთო ნიშანი შეიძლება სიმრავლისათვის შემთხვევითიც იყოს და ამიტომ მრავალს აუცილებლობით ვერ დაიქვემდებარებს. ამიტომ მხოლოდ საერთო არ შეიძლება იყოს ზოგადი, თუ კი ზოგადს სიმრავლის დაქვემდებარებულის ნიშანს მივაწერთ. მრავალს ის დაიქვემდებარებს, რომელიც არა მარტო საერთოა, არამედ არსებითიცაა ამ სიმრავლისათვის. ზოგადი საერთოცაა, მაგრამ ყოველი საერთო არაა ზოგადი. ამიტომ მთავარია იმის ბუნება, რომლის მიხედვითაც ჩვენ „ყველას“ მოვიაზრებთ. ზოგადისათვის არსებითობაა მთავარი.

ამიტომ აუცილებელია იმის გათვალისწინებაც, თუ რა სიმრავლის ზოგადს ვადგენთ; საჭიროა გავიგოთ ის, თუ რის სიმრავლესთან გვაქვს საქმე; საგნის არსების ცოდნა პირველი მნიშვნელობისაა, ასეთ საგანთა სიმრავლე, როგორც „ყველა“, მეორადია, არსების მოვლენაა, როგორც ეს ზემოთაც საკმარისად იყო აღნიშნული.

ფორმალურ ლოგიკაში გვარისათვის სახის და ერთეულის სპე-



ციფიკურობა შემთხვევითი და არაარსებითია. ადამიანობისათვის ქართულის ნიშანი შემთხვევითია; თუმცა გვარის ნიშანი ყველა ერთეულში მეორდება, მაგრამ ის გულგრილია ერთეულთა სპეციფიკურობისადმი. ეს სპეციფიკურობანი მისგან არ გამოდინან, ამდენად ზოგადიდან კერძო არ გამოდის.

ერთნაირ ერთეულთა სიმრავლის შესახებ აზრი, ე. ი. მოცულობითი ზოგადობა არ არის ნამდვილი ზოგადი, რადგან ერთის ნიშანი იგივეა, რაც დანარჩენის. თვითონ ნიშნის ბუნება სიმრავლეზე არაა დამყარებული (თუმცა, როგორც ითქვა, მოცულობის ზოგადობა სიმრავლეზე დაიყვანება, ე. ი. მას სიმრავლე განსაზღვრავს). თვითონ ნიშნის ბუნება სიმრავლის გამო არ იცვლება; ნიშნის სასრულოდ თუ უსასრულოდ განმეორება მას ვერ შეცვლის.

ამდენად, ცნების მოცულობის მიხედვით გაგებული ზოგადობა, როგორც ნიშნის ზოგადობა და ერთეული ნიშანი ერთიმეორისაგან არ განსხვავდებიან. ადამიანობის ნიშნისათვის სულერთია რამდენიმეზეა იგი გავრცელებული, თუ უსასრულო სიმრავლეზე. თუ სიმრავლე ნიშნის ზოგადობას არ ჰქმნის და ამიტომ მასზე არც გავლენას ახდენს, მაშინ ზოგადობასთანაც არა გვაქვს საქმე, რამდენადაც ნიშანი და სიმრავლე ერთიმეორესთან აუცილებელ კავშირში არ იმყოფებიან.

ამიტომ თუ ნომინალისტურად გაგებული ზოგადი, ე. ი. ზოგადი როგორც „ყველა“ დასკვნის საფუძველად იქნა გამოყენებული. ეს კი ასეა როგორც დედუქციურ ისე ინდუქციურ დასკვნებში, მაშინ არ უნდა მოველოდეთ, რომ ასეთ დასკვნაში ლოგიკური სისრულით იქნება მოცემული. თუ ყველას ნიშანი იგივე ნიშანია, რომელიც ზოგიერთს და ერთს ახასიათებს, მაშინ, ცხადია, ყველადან ზოგიერთის გამოყვანა განმეორებას მოგვცემს და არა განსხვავებულის აუცილებლობით მიღებას.

მაგრამ სიმრავლე შეიძლება ისეთი იყოს, რომ ერთი და იგივეს განმეორებით კი არ იყოს მიღებული, არამედ წარმოადგენდეს ერთიდაიგივეს სხვადასხვა განსაზღვრულობის, ერთიდაიგივეს სხვადასხვა მხარის სიმრავლეს, რომლებიც შეიძლება ერთიმეორეს კიდევ უპირისპირდებოდნენ. მაგალითად, კ. მარქსი ამბობს<sup>1</sup>, როგორც ეს ზემოთაც რამოდენიმეჯერ აღანიშნა, რომ ზოგადი არის საერთო ბევრისათვის: წარმოება არის საერთო და ზოგადი მისი მომენტებისათვის. აქ მხედველობაშია არა წარმოება, როგორც ყველა წარმოება, არამედ წარმოება მისი შინაგანი განსაზღვრულობებით, მისი ერთიმეორისადმი საპირისპირო შინაგანი მომენტებით: საკუთრივ წარმოე-

<sup>1</sup> კ. მარქსი, პოლიტიკური ეკონომიის კრიტიკისათვის. შესავალი.

ბით, განაწილებით, გაცვლით და მოხმარებით. თითოეული ამ მომენტ-  
თავანი არის ერთი მხარე ერთიანობისა თუ მთელისა, რომელსაც წარ-  
მოება წარმოადგენს. ამიტომ აქ კერძო იგივე იქნება, რაც ერთი-  
ანობის ერთი მხარე, ზოგადი კი — თვითონ ერთიანობა საკუთარი  
მომენტებისა, როგორც გარკვეული სიმრავლისა. ცხადია, ეს სიმ-  
რავლე სრულიად თავისებური ბუნებისაა, ვიდრე წარმოებათა სიმ-  
რავლე, რომლებშიც წარმოების ბუნება ერთნაირად მეორდება.

აქედან ნათელია, რომ ლოგიკური, რომელიც ამგვარ ზოგადს  
და კერძოს, ე. ი. არა მოცულობით, არამედ შინაარსეულ ზოგადს და  
კერძოს დაემყარება სრულიად სხვაგვარი ბუნების უნდა იყოს, ვიდ-  
რე ლოგიკური, რომელიც კატეგორიულ სილოგიზმში თუ ინდუქცი-  
აშია განხორციელებული. ნათქვამიდან ისიც ჩანს, რომ, აქ ორი  
ლოგიკური კი არა გვაქვს, არამედ ერთი სრული ლოგიკური და მისი  
ერთი მხარე. მაშასადამე, ლოგიკურის ბუნება იმით განისაზღვრება,  
თუ როგორაა მასში განხორციელებული ზოგადი და კერძო, და მა-  
თი კავშირი. საჭიროა ამ მხრით მოკლედ წარმოვადგინოთ ლოგი-  
კური კავშირის სხვადასხვა გაგება, რომელიც სხვადასხვა ლო-  
გიკის მიერ იყო საფუძვლად გამოყენებული და რომელთაც ფორმა-  
ლური ლოგიკა ითვალისწინებს.

ბ). დ ე დ უ ქ ც ი უ რ - ლ ო გ ი კ უ რ ი. როგორც ცნობილია,  
პირველი სახე ლოგიკურისა ის ლოგიკურია, რომელიც არისტოტე-  
ლეს კატეგორიულმა სილოგიზმმა წარმოადგინა. ეს არის დედუქ-  
ციური-ლოგიკური. გასარკვევია, თუ როგორია ეს ლოგიკური. რა თა-  
ვისებურებანი ახასიათებს ამგვარ ლოგიკურს; როგორია აქ ლოგი-  
კურის ცნება?

როგორც ითქვა, როცა ზოგადი გაგებულია, როგორც ჩვეულე-  
ბრივი გვარი, მაშინ კერძოს და ერთეულის მისგან გამოყვანა შეუძ-  
ლებელია, რადგან კერძოსათვის სპეციფიკური ზოგადში არ იგუ-  
ლისხმება, წინააღმდეგ შემთხვევაში, იგი ზოგადი, როგორც გვარი,  
არ იქნებოდა. ზოგადისათვის, როგორც გვარისათვის შემთხვევითი და  
არაარსებითია ის, რაც სპეციფიკურია სახისათვის და ერთეულისა-  
თვის. მაშასადამე, ზოგადი ცნებიდან ნაკლებ ზოგადი არ გამოიყვანე-  
ბა, თუმცა დედუქციური გამომდინარეობა სწორედ ზოგადიდან კე-  
რძოს გამოყვანაა მისი ჩვეულებრივი და არსებითი გაგებით.

მაგრამ არისტოტელემ დედუქციური გამომდინარეობა, რო-  
გორც ზოგადიდან იმავე ზოგადობის ან კერძოს, ნაკლებ ზოგადის  
გამოყვანა თავისებურად გაიგო; კატეგორიულ სილოგიზმში ერთი  
ცნებიდან მეორის გამოყვანა კი არა გვაქვს, არამედ მსჯელობებიდან,  
როგორც გარკვეული კავშირებიდან, ახალი მსჯელობის, როგორც ახა-

ლი კავშირის, გამოყვება; კატეგორიულ სილოგიზმში წანაძღვრები ცნებას კი არ წარმოადგენენ, არამედ მსჯელობებს, რომლებიც ერთიმეორესთან გარკვეულად არიან დაკავშირებული და ამიტომ მათგან ახალი კავშირი, როგორც დანასკვი გამომდინარეობს.

მაშასადამე, ან მსჯელობის და მსჯელობათა ზოგადობა, როგორც კავშირის ზოგადობა, თავისებურია ფორმალურ ლოგიკაში აღებული ცნების ზოგადობასთან შედარებით, ანდა სილოგიზმში სხვა თავისებურებასთან გვაქვს საქმე, რომელიც შესაძლებელს ხდის ზოგადიდან ნაკლებ ზოგადის გამოყვანის ლოგიკურ აუცილებლობას (ამის შესახებ შემდეგ).

არისტოტელემ ერთეულის არსებად ზოგადობა მიიჩნია, სახელდობრ, ის ზოგადობა, რომელიც პლატონს იღეად, სუბსტანციად, დამოუკიდებლად არსებულად მიიჩნდა; მაგრამ, როგორც ამას ვ. ი. ლენინი გარკვევით აღნიშნავს, არისტოტელემ ერთეულის და ზოგადის ერთიანობა ვერ გაიგო და ამ არსებითი საკითხის გადაწყვეტაში დაიბნა. მან ერთეული საგნის არსება, უსია, საბოლოო ანგარიშში, საგნის სულად წარმოიდგინა, და ამით მისტიკას ფართო გასაქანი მისცა.

არისტოტელესათვის საგნის არსების ცოდნა იქნება წარმოადგენს; ცნების დეფინიციამ სწორედ საგნის არსების ცოდნა უნდა მოგვცეს. დეფინიციის საშუალებით დადგენილი ცნება კი საფუძვლად უნდა დაედოს კატეგორიულ სილოგიზმს, — სწორედ მან უნდა შეასრულოს ლოგიკური აუცილებელი კავშირი, რადგან იგი გამოყენებულ უნდა იქნას დასკვნაში, როგორც საშუალო ტერმინი, — სწორედ მან უნდა დააკავშიროს ორი კიდურა ტერმინი, რომლებიც დანასკვის ტერმინებს წარმოადგენენ.

როგორ შეუძლია საშუალო ცნებას აუცილებლობით დააკავშიროს ის, რომლის თავისებურებაც მისთვის შემთხვევითია (მცირე ტერმინი, როგორც ნაკლებ ზოგადი) იმასთან, რომლისთვისაც თვითონ მისი თავისებურებაა შემთხვევითი (დიდი ტერმინისათვის შემთხვევითია საშუალო ტერმინის, როგორც ნაკლებ ზოგადის, თავისებური ნიშანი)? ეს შესაძლებელია იმით, რომ დეფინიციის მიერ მოცემული ცნება, რომელიც საშუალო ცნებად გამოიყენება, საგნის არსებას უნდა გამოხატავდეს, საგნის არსება, უსია კი თვითონ არის ის, რაშიაც ერთეული და ზოგადი ერთიანობაშია (ყოველ შემთხვევაში, უნდა იყოს). ამიტომ საშუალო ტერმინი თვითონ არის ერთიანობა კერძოსი და ზოგადის (დეფინიცია სწორედ ამას მიუთითებს), და ცხადია, მას შეუძლია დააკავშიროს კერძო და ზოგადი, როგორც დასკვნის კიდურები. მაგრამ აქ ლოგიკურ უნერბულობასთან გვაქვს საქმე: კერძოს და ზოგადს ის აკავშირებს, რაც თვითონ

წარმოადგენს ასეთ კავშირს. აქ არისტოტელესათვის თითქოს არსებობს ერთგვარი გამოსავალი: საგნის არსება არსებულა, ლოგიკური კი ის კავშირია, რომელიც საგნის არსებას გამოსთქვამს; ლოგიკური უნდა აკავშირებდეს ისე, როგორც ეს სინამდვილეშია.

აქ აღსანიშნავია შემდეგი: არისტოტელე ცდილობდა, რომ ლოგიკური ნამდვილად არსებულისათვის დაეკავშირებინა, სახელდობრ, საგნის არსება დეფინიციის საშუალებით მიღებული ცნების სახით დასკვნაში საშუალო ცნებად მოექცია. მაგრამ მან ასეთი კავშირი ვერ განახორციელა და შემდგომ ფორმალიზმს საფუძველი ჩაუყარა, რადგან: ა) უსია რალაც მისტიკურს წარმოადგენდა და მისი ცნებაში გამოთქმა შეუძლებელი გახდა, და ბ) ცნების ზოგადობა არისტოტელემ დასკვნაში ცნების მოცულობის აზრით გამოიყენა და ის, რაც ერთეულის და ზოგადის ერთიანობის, როგორც განსხვავებულთა, არსებითად დაპირისპირებულთა ერთიანობის სახით უნდა ყოფილიყო მოცემული, უარყოფილი ანდა მხოლოდ ნაგულისხმები რჩებოდა. კატეგორიულ სილოგიზმში არსებად მოქმედი ცნების განაწილება იმ დიალექტიკური მომენტის უარყოფას წარმოადგენდა, რომელიც არისტოტელემ მხოლოდ იგრძნო, ნამდვილად კი დასკვნის ბუნებისათვის საფუძველად უნდა დაედო, როგორც სწორედ დასკვნის არსება და არა მისი მხოლოდ წინასწარი პირობა. ამრიგად, დასკვნითი კავშირი, როგორც განსხვავებულთა და დაპირისპირებულთა ერთიანობა არისტოტელეს ლოგიკაში ვერ ჩამოყალიბდა.

დეფინიციის და დასკვნა-დასაბუთების კავშირი არისტოტელეს ანალიტიკას შემდეგნაირად ესმოდა: დეფინიციის საგნის ცოდნაა მოცემული, დასკვნა და დასაბუთება კი მხოლოდ სისტემას აკეთებს, მეცნიერებას აყალიბებს სისტემის, დალაგების მხრით. ეს გარემოებაც ფორმალიზმის მომენტი არისტოტელეს ლოგიკაში, რომელიც მომავალი ფორმალიზმისათვის სრულიად მყარ საფუძველად გამოდგა. ლოგიკის თანამედროვე ფორმალიზაცია (მაგ., სერიუსი, კარნაპი, რასელი და სხვ.) კი არისტოტელეს ლოგიკის უარყოფამდე მივიდა.

თქმულის საფუძველზე შესაძლებელია იმ ლოგიკურის ბუნების გამორკვევა, რომელიც კატეგორიულ სილოგიზმში, ამ ყველაზე უფრო სრულად დამუშავებულ დასკვნაშია განხორციელებული. ჩვენ, ამ შემთხვევაში, სწორედ იმ დედუქციურ-ლოგიკურის ცნება გვინტერესებს, რომელიც სილოგისტური დასკვნის არსებას შეადგენს.

ზემოთ აღნიშნული ის ზოგადობა, რომელიც მსჯელობებს, როგორც სილოგისტური დასკვნის წინამძღვრებს უნდა ჰქონდეთ, გან-

სხვაეებით ცნების ზოგადობისა, როგორც აღვნიშნეთ, თურმე ის არის, რომ იქ (მსჯელობებში, როგორც წანამძღვრებში) მხოლოდ ზოგადობა კი არა გვაქვს, არამედ მისი ერთეულთან, კერძოსთან კავშირი, ერთიანობა. ამიტომ ცხადია, რომ ზოგადიდან კერძო გამოიყვანება, რადგან იგი ზოგადთან კავშირშია წინასწარვე ნაგულისხმები. ამდენად, სილოგისტური დასკვნა მხოლოდ ანალიზური გამოყვანაა. ნამდვილი, სრული ლოგიკური მაშინ გვექნება, თუ მსჯელობებში და მათ კავშირში ნაგულისხმები განსხვავება-დაპირისპირება ლოგიკურ კავშირში გამოვლინდება, — ამ კავშირის სისრულის შექმნაში სრულიად გარკვეულ მონაწილეობას მიიღებს.

ანალიზური გამოყვანა არ არის ნამდვილი გამოყვანა, ნამდვილი დასკვნა, ნამდვილი გამომდინარეობა სწორედ ლოგიკური აზრით, რადგან, როგორც აღვნიშნა, გამოყვანას და გამომდინარეობას მხოლოდ მაშინ შეიძლება აზრი ჰქონდეს, როცა აუცილებლობით ახალი მიიღება, ე. ი. როცა გამომდინარეობა სინთეზურია, ახლის მიღებაა, როგორც ამას დასკვნის თვითონ არისტოტელესეული განსაზღვრება მოითხოვს: სილოგიზმი არის ისეთი გამოთქმა, რომელშიც რაიმეს დადგენიდან აუცილებლობით რაღაც განსხვავებული მიიღება სწორედ იმიტომ. რომ რაღაც არის დადგენილი (პირველი ანალიტიკა, 24 b).

თუ წანამძღვრებიდან დანასკვი, როგორც განსხვავებული, აუცილებლობით არ გამომდინარეობს, მაშინ აჩავეთარ გამომდინარეობასთან არ შეიძლება საქმე გვექონდეს. ანალიზური გამოყვანა მხოლოდ განმეორებაა და არა დასკვნა, როგორც სინთეზური კავშირი.

სილოგისტური დასკვნა მართლაც დასკვნას წარმოადგენს მხოლოდ იმდენად, რამდენადაც იგივეობას განსხვავება აქვს ნაგულისხმები; მაგრამ მისი ნაკლი იმაშია, რომ ის, რაც ნაგულისხმებია, მართლაც ნაგულისხმებია და ლოგიკურში არ მონაწილეობს.

დედუქციურ-ლოგიკურის ცნება, რომელიც ფორმალურ ლოგიკაშია მოცემული, უფრო ახლოს შეიძლება დახასიათდეს იმის ზოგადი დახასიათებით, თუ ცნობილ ფიგურებში როგორი დანასკვები გამოიყვანება გარკვეული წანამძღვრებიდან კატეგორიული სილოგიზმის მოდუსების მიხედვით.

კატეგორიულ სილოგიზმში ზოგად დანასკვს მხოლოდ მაშინ მივიღებთ, თუ ორივე წანამძღვარი ზოგადია, მაგრამ თუ ორივე წანამძღვარი ზოგადია, მაშინ ყოველთვის არ არის შესაძლებელი ზოგადი დანასკვის მიღება. მაგალითად, Barbara-ში ორი ზოგად-დადებითი წანამძღვარიდან ზოგად-დადებითი დანასკვი მიიღება, მაგრამ მესამე ფიგურის პირველ მოდუსში — Darapti და მეოთხე ფიგურის პირველ მოდუსში — Bramalip შესაძლებელია არა ზოგადი,

არამედ კერძობითი დანასკვი. ეს იმაზეა დამოკიდებული, თუ დანასკვის სუბიექტი რა ადგილზეა წანამძღვრებში; თუ იგი ზოგად-დადებითი მსჯელობის სუბიექტია, მაშინ იგი განაწილებულია და ამიტომ დანასკვიც შეიძლება მთელი მოცულობით იქნას აღებული; ამ შემთხვევაში, ზოგადიდან ზოგადი გამოდის. მაგრამ თუ დანასკვის სუბიექტი წანამძღვარში დადებითი მსჯელობის პრედიკატს წარმოადგენს (მესამე და მეოთხე ფიგურების პირველი მოდუსები), მაშინ წანამძღვრებში მისი გაუნაწილებლობა დანასკვის კერძობითობას გვაძლევს.

მაშასადამე, ერთ შემთხვევაში ზოგადიდან ზოგადი მივიღეთ, მეორე შემთხვევაში კი კერძოდან (წანამძღვარში გაუნაწილებელი ცნება) — კერძო; განსხვავებულის, როგორც ახალის მიღება, მაინც ვერ მოხერხდა, თუ მხედველობაში არ მივიღებთ იმას, რომ, სიტყვიერად, ზოგადმა წანამძღვრებმა კერძობითი დანასკვი მოგვცეს. მაგრამ ეს რომ აზრობრივადაც ასე იყოს, მაშინ განსხვავებულის ნამდვილი მიღება მაინც არ გვექნება; ზოგადიდან კერძოს მიღება, ნაწილის მიღებაა, გაღარიბებაა, და არა ახლის, მართლაც განსხვავებულის მიღება. აღნიშნულ შემთხვევაში, ნამდვილად, ზოგადი წანამძღვრებიდან ვერ მივიღეთ ზოგადი, რადგან დანასკვიც მხედველობაში გვაქვს ის გაუნაწილებელი ცნება, რომელსაც წანამძღვრებში ჰქონდა ადგილი, ე. ი. სინამდვილეში კერძო კერძოდან მივიღეთ და არა ზოგადიდან.

აქვე უნდა აღინიშნოს ისიც, რომ ზოგადს და კერძოს ერთიმეორესთან დამოკიდებულებაში აქვთ აზრი; ისინი შეფარდებითი ცნებებია. ზოგადი მხოლოდ კერძოსთან დამოკიდებულებაშია ასეთი; ასეა კერძოც. მაგ., ადამიანი ზოგადია სტუდენტთან დამოკიდებულებაში და არა თავისთავად, და არა ისევ იმგვარივე ზოგადთან დამოკიდებულებაში. ზოგადი ზოგადის მიმართ იგივე ერთეულია, მაგალითად, კაპიტალიზმი სოციალიზმის მიმართ და სხვ. კერძო იმგვარივე კერძოსთან დამოკიდებულებაში ერთეულის და არა კერძოს ხასიათისაა.

რაც ითქვა კატეგორიული სილოგიზმის ზოგიერთი მოდუსის შესახებ, ის ითქმის დანარჩენი მოდუსების შესახებაც. თუ კატეგორიულ სილოგიზმში ერთი წანამძღვარი კერძობითია, მაშინ დანასკვიც ასეთივე — კერძობითი მსჯელობაა (თუ დასკვნა საერთოდ შესაძლებელია). უარყოფითი წანამძღვარი დანასკვის უარყოფითობას განსაზღვრავს. კატეგორიული სილოგიზმის პირველი ფიგურის პირველი მოდუსის გარდა, — სხვა მოდუსებში შეიძლება წანამძღვრებში ორივე ზოგადი იყოს და დანასკვიც ზოგადი მხოლოდ მაშინ, თუ ერთი წანამძღვარი უარყოფითია და, მაშასადამე, დანასკვიც უარყოფითი, მაგ., მოდუსებში: *Cesare (I), Camestres (II), Camenes (IV)*;

ისიც შესაძლებელია, რომ ორივე წანამძღვარი ზოგადი იყოს და დანასკვი კერძობით-უარყოფითი მივიღოთ; ეს შესაძლებელია მაშინ, როცა ერთი წანამძღვარი უარყოფითია, მაგალ., Fesaro (IV).

მაშასადამე, როცა დასკვნა სრულდება ცნების მოცულობაზე დაყრდნობით, ე. ი. როცა ზოგადი და კერძო გაგებულია, როგორც „ყველა“ და „ზოგიერთი“, მაშინ, თანახმად ცნების განაწილებისა, დანასკვში ის მიიღება, რაც წანამძღვრებში იყო გათვალისწინებული; წანამძღვრებში მთელი მოცულობით აღებული ცნება ასევე რჩება დანასკვში, ნაწილობრივ აღებული მოცულობა ცნებისა დანასკვში კერძობის სახით მეორდება. მაშ., ახლის მიღება შეუძლებელი ხდება; გამოყვანა ანალიზურია და არა სინთეზური.

შეიძლება სთქვან, რომ სილოგისტურ დასკვნაში ახლის მიღება სხვა მხრით ხდება და არა იმ მხრით, რასაც ეხლა მივეუბნებით; ახალი კავშირია დანასკვში და არა რომელიმე ცნება თუ ამ ცნების სიფართოვე — ზოგადობა; ე. ი. შეიძლება სთქვან, რომ ახალი დანასკვში მიღებული კავშირია, რასაც წანამძღვრებში არ ჰქონია ადგილი, თუმცა მათგან აუცილებლობით გამომდინარეობს.

ამის შესახებ შეიძლება ითქვას შემდეგი: ჯერ ერთი, ის, რომ ზემოთ სწორედ მსჯელობებზე და დასკვნაში მათ კავშირზე გვექონდა ლაპარაკი; მსჯელობა თვითონ არის კავშირი, რომელიც ცნების ხასიათით განისაზღვრება. ზემოთ სწორედ იმაზე მივეუბნებით, თუ როგორი მსჯელობები როგორი მსჯელობებიდან გამომდინარეობენ.

შემდეგ. კატეგორიული სილოგიზმის წანამძღვრებში მცირე ცნება საშუალო ცნებასთან უშუალოდაა დაკავშირებული, რადგან პირველი მეორის სუბიექტს წარმოადგენს და ეს მსჯელობა, როგორც ცნობილია, აუცილებლად დადებითი უნდა იყოს (I ფიგურაში მცირე წანამძღვარი უსათუოდ დადებითი უნდა იყოს), — საშუალო ცნება უშუალოდ დაკავშირებულია დიდ ცნებასთან, როგორც სუბიექტი პრედიკატთან და, თუ Barbara-ს ავიღებთ სანიმუშოდ (როგორც ამას ადგილი აქვს ფორმალურ ლოგიკაში), მაშინ აქაც დადებითი კავშირი გვექნება. მაგრამ ეს ორი მსჯელობა, როგორც ორი უშუალო კავშირი (რამდენადაც მსჯელობაში უშუალო კავშირია შესაძლებელი), თვითონ უნდა იყვნენ ერთიმეორესთან დაკავშირებული, წინააღმდეგ შემთხვევაში, ისინი წანამძღვრებად არც გამოდგებოდნენ. ისინი, მართლაც, კავშირში არიან იმით, რომ მათში ერთი და იგივე ცნება მეორდება, სახელდობრ, საშუალო ცნება. სწორედ ამ ცნებით არიან მცირე და დიდი ტერმინი წანამძღვრებში დაკავშირებული, წინააღმდეგ შემთხვევაში, წანამძღვრები საერთოდ არ იარსებებდა და საერთოდ დასკვნა შეუძლებელი გახდებოდა. მაშასადამე, მცირე და დიდი ტერმინი უშუალო-

ბითაა დაკავშირებული, — იქ შუალობითი კავშირი გვაქვს; იგი, სწორედ ეს კავშირი, აღებული შუალობის გარეშე, ე. ი. იღებული უშუალოდ განმეორებულია დანასკვეში.

ახლის შთაბეჭდილებას ისა ჰქმნის, რომ წანამძღვრებში შუალობით დაკავშირებული დანასკვეში უშუალო კავშირის სახითაა წარმოდგენილი. მაგალითად, წანამძღვრებში ნათქვამია, რომ სოკრატე ადამიანია, ეს ადამიანი კი მოკვდავია, დანასკვეში კი შემდეგს ვღებულობთ: სოკრატე მოკვდავია.

კატეგორიული სილოგიზმი, როგორც ცნობილია, სხვებთან შედარებით ყველაზე უფრო დამუშავებული და უნაკლო შუალობითი დასკვნაა ძველ ლოგიკაში. საკითხავია რაშია აქ შუალობა? თვით წანამძღვრებში, თუ წანამძღვრებიდან დანასკვის მიღებაში, ე. ი. დასკვნაში? პირდაპირ უნდა ითქვას, რომ აქ შუალობა თვითონ წანამძღვრებშია — საფუძველშია და არა დასკვნაში. წანამძღვრებში მცირე ტერმინი დიდ ტერმინს საშუალოს მეოხებით უკავშირდება და ეს შუალობითი კავშირი, როგორც ერთი გარკვეული მთლიანობა, წარმოადგენს საფუძველს, საიდანაც უშუალოდ გამომდინარეობს დანასკვი, მსჯელობა, რომელიც მცირე და დიდი ტერმინის კავშირს წარმოადგენს; საფუძვლიდან შედეგი უშუალოდ და პირდაპირ მიიღება.

კატეგორიულ სილოგიზმში რას საშუალებით გამოიყვანება დანასკვი საფუძვლიდან? არ არსებობს ასეთი საშუალება. დანასკვი იმის ერთ მხარეს გამოსთქვამს, რასაც წანამძღვრები წარმოადგენს; დანასკვი უშუალოდ უკავშირებს ერთიმეორეს იმას (მცირესა და დიდს ტერმინს), რაც წანამძღვრებში შუალობით არის დაკავშირებული. თუ კატეგორიული სილოგიზმი დასკვნაა, როგორც შუალობითი კავშირი, მაშინ ეს შუალობითი კავშირი სწორედ თვითონ საფუძვლის და შედეგის კავშირი უნდა იყოს.

თუ იმას ვიტყვით, რომ ახალ დანასკვეში თვითონ კავშირია. ე. ი. დანასკვეში სამი მომენტი უნდა გავარჩიოთ: მცირე ტერმინი, დიდი ტერმინი და მათ შორის კავშირი, რომელთაგან პირველი ორი წანამძღვრებშია, მესამე კი ახალია წანამძღვრებთან შედარებით, ამრიგად ამ ახალს გამოყოფილად (სწორედ როგორც ახალს) წარმოვიდგენთ, მაშინ უნდა ითქვას, რომ: 1) ეს კავშირი წანამძღვრებშიც იყო, როგორც ითქვა (ე. ი. ის არ არის ახალი) მხოლოდ უფრო სრული სახით, სახელდობრ, შუალობითი სახით წარმოდგენილი; 2) თუ დანასკვეში სამ მომენტს გავარჩევთ, რომელთაგან ერთი ახალია, და კავშირისათვის ყოველთვის მესამეს მოვითხოვთ, მაშინ უაზრობაში ჩავარდებით, რადგან სამის დაკავშირებას ორი ახალი მესამე დასჭირდება და ა. შ.



შუალობითი კავშირის მოთხოვნა არ ნიშნავს ისეთი მესამის მოთხოვნას, რომელიც დანარჩენ ორთან იმგვარად იყოს დაკავშირებული, როგორც ეს ორი ერთიმეორეს უკავშირდება; მაგრამ არც იმას ნიშნავს, რომ შუალობითი კავშირი და უშუალო კავშირი ერთი და იგივე იყოს. შუალობითობა უშუალობას შეიცავს და ისინი ერთიმეორის დამოუკიდებლად არ უნდა წარმოვიდგინოთ. ჩვენ ზემოთ იმას ვამბობდით, რომ კატეგორიულ სილოგიზმში საფუძვლის და შედეგის კავშირი არ არის შუალობითი, არამედ უშუალოა; ანუ სხვანაირად: მათ შორის კავშირი არ არის სინთეზური ხასიათის, არამედ ანალიზურია: წანამძღვრებიდან უშუალოდ გამოიყვანება ის, რაც იქ არის მოცემული და არა — რაღაც ახალი, მაშინ როცა გამოყვანას და გამომდინარეობას, როგორც ითქვა, მხოლოდ ახლის გამოყვანის დროსა აქვს აზრი, და არა იგივეს სრულ თუ ნაწილობრივ განმეორებისას. შუალობითი კავშირი განსხვავებულთა კავშირია, რომლის ერთ მომენტსაც უშუალობა წარმოადგენს.

თვითონ კატეგორიული სილოგიზმის წანამძღვრებში ზემოთ აღნიშნული შუალობითი კავშირი, არსებითად, იგივეობას და არა შუალობით კავშირს წარმოადგენს. Barbara-ს აზრი იმაშია, რომ ნიშნის ნიშანი საგნის ნიშანია. ეს იმას ნიშნავს, რომ საშუალო ცნების ნიშანი — დიდი ცნება იგივეა, რაც საშუალო — მცირე ცნებისათვის. სოკრატეს კავშირი მოკვდაობასთან ადამიანის საშუალებით, როგორც ეს კატეგორიულ სილოგიზმში წარმოიდგინება, ისეთია, რომ მოკვდაობის ნიშანი ადამიანში და ადამიანის ნიშანი სოკრატეში იგივეობრივი მხრით, სახელდობრ, მოკვდაობის ნიშნის აზრით არის აღებული. მაგრამ კატეგორიული სილოგიზმი მაინც გარკვეული დასკვნაა მხოლოდ იმიტომ, რომ სამ ცნებას შორის იგივეობრივი კავშირი განსხვავებასაც გულისხმობს; ამ განსხვავების გარეშე იქ არავითარი კავშირი არ იარსებებდა, და თვითონ იგივეობასაც აზრი დაეკარგებოდა. მაგრამ ეს განსხვავება მხოლოდ ნაგულისხმევია და დასკვნაში არაა გამოთქმული, ე. ი. აღნიშნული კავშირი თავისებურ ენთიმემას წარმოადგენს. ნამდვილი დასკვნითი კავშირი ამ ენთიმემურობას უნდა ხსნიდეს, ე. ი. აზრს სისრულთ, ყოველი მხრივ გამოჩენით უნდა გამოსთქვამდეს. ამას მოთხოვს სილოგისტური დასკვნა, თუმცა იგი მას არ ანხორციელებს. აქაა მისი ნაკლიც.

კატეგორიული სილოგიზმი, როგორც ცნობილია, კატეგორიულ კავშირს უნდა წარმოადგენდეს. დაუშვათ, რომ ეს კავშირი სინთეზურია და გავარჩიოთ კატეგორიული სილოგიზმის კატეგორიულობა. როგორც ზემოთაც აღინიშნა, კატეგორიულ სილოგიზმში წანამძღვრები ყოველთვის პირობითადაა აღებული; აქ ისეთი

პირობითობა გვაქვს, როგორც პირობითი მსჯელობებით გამო-  
ითქმება; პირობითი მსჯელობა ასე გამოითქმება: თუ არის საფუძ-  
ველი, მაშინ არის შედეგი. კატეგორიული სილოგიზმისათვის წა-  
ნამძღვართა დასაბუთება და ჭეშმარიტება არ არის აუცილებელი  
იმ აზრით, რომ დასკვნა მაშინაც სრულდება, როცა წანამძღვრები  
მცდარია. კატეგორიული სილოგიზმის წანამძღვართა ჭეშმარიტება  
ყოველთვის პირობითად არის აღებული (ამიტომ სისწორეს ჭეშ-  
მარიტება აძლევს აზრს).

დასკვნა დასაბუთებას ემსახურება; იგი დასაბუთების აზრს  
უნდა ანხორციელებდეს. დასკვნა, არსებითად, დასაბუთებას უნდა  
წარმოადგენდეს. ეს გარემოება კი კატეგორიულ სილოგიზმში არ  
ხორციელდება, რადგან მასში წანამძღვრები ყოველთვის პირობი-  
თადაა აღებული. ამიტომ კატეგორიულ სილოგიზმს, როგორც პი-  
რობითს, აზრი აქვს იმდენად, რამდენადაც ასეთი პირობითობა  
ლოგიკურ აზროვნებაში გარკვეულ მომენტს წარმოადგენს. წანამ-  
ძღვართა პირობითობის მოხსნა ახალ წანამძღვრებს მოითხოვს და  
ა. შ. უსასრულოდ. ეს გარემოება კი დასაბუთების და დასკვნის  
კატეგორიულობას შეუძლებლად ხდის.

უსასრულობაში წასვლის აქსიომით შეჩერება სიძნელებს  
შეიცავს. თუ აქსიომა გაგებულია, როგორც თავისთავად ცხადი  
დებულება, მაშინ დასაბუთების საფუძველად სუბიექტურობაა გა-  
მოყენებული, რაც, როგორც ითქვა, დაუშვებელია. თუ აქსიომის  
ჭეშმ ესმით ის დებულება, რომელზე დაყრდნობით ამა თუ იმ მეც-  
ნიერებაში ყველაფერი საბუთდება და თვითონ ეს დებულება კი  
ამ მეცნიერების ფარგლებში არ საბუთდება, მაშინ ასეთი დებულე-  
ბის გამოყენება ლოგიკის მიმართ ერთგვარ დოგმატიზმს შეიცავს,  
რომლის განვითარება წმინდა ფორმალიზმამდე მივა. თანამედროვე  
ფორმალიზაცია ლოგიკისა აქსიომატურ მეთოდს ემყარება; აქსიო-  
მებში ნაგულისხმებია ყველაფერი, რომელთა მათგან გამოყვანა  
სიმბოლოების თამაშამდე და ლოგიკის უარყოფამდე მიდის.

როგორც აღენიშნავდით, კატეგორიული სილოგიზმი არ არის  
მართლაც კატეგორიული დასკვნა, რადგან ფორმალური ლოგი-  
კისათვის ყოველი დასკვნის, მათ შორის კატეგორიული სილოგიზ-  
მის, პრინციპს შეადგენს „დებულება“: თუ არის A (საფუძველი),  
მაშინ არის B (შედეგი); საფუძველიდან შედეგი აუცილებლობით  
გამომდინარეობს; ეს აუცილებელი გამომდინარეობა არის ის, რა-  
საც ლოგიკურ კავშირს ეძახიან; ამ ლოგიკურ კავშირს, როგორც  
სისწორეს, განასხვავებენ ჭეშმარიტებისაგან. შეიძლება საფუძ-  
ველი-წანამძღვრები და დანასკვიც მცდარ დებულებებს წარმოად-  
გენდნენ, მაგრამ ლოგიკური აუცილებლობა მაინც უნაკლო რჩება.  
ე. ი. ლოგიკური აუცილებლობა არ არის ჭეშმარიტება და არც

ქეშმარიტებაზე დამყარებული. ლოგიკას საქმე აქვს სისწორესთან და არა ქეშმარიტებასთან, ამტკიცებს ეს თვალსაზრისი.

ჩვენ ვფიქრობთ, რომ სისწორე და ქეშმარიტება, მართლაც, შეუძლებელია გაიგივებულ იქნას; მაგრამ ქეშმარიტების გარეშე აღებული აზრთა აუცილებელი კავშირი პირობითი ხასიათისაა: თუ დაუშვებთ გარკვეულ წანამძღვრებს, აუცილებლობით უნდა მივიღოთ შედეგიც. ეს იმას ნიშნავს, რომ წანამძღვრები პირობითად არის მიღებული როგორც ქეშმარიტი, და სწორედ ეს ქეშმარიტება გვაძლევს საბუთს ქეშმარიტ სისწორეზე ვილაპარაკოთ. მაგ., მცდარი წანამძღვრებიდან: „ქვა არის ცხოველი“ და „ცხენი არის ქვა“, აუცილებლობით გამომდინარეობს ქეშმარიტი დანასკვი: „ცხენი არის ცხოველი“. აქ გამომდინარეობაც, სისწორეც უნაკლოა და დანასკვიც ქეშმარიტია. მაგრამ თუ ავიღებთ შემდეგ დასკვნას: „ქვა არის ცხოველი, ფიჭვი არის ქვა, მაშასადამე, ფიჭვი ცხოველია“, მაშინ ნათელი იქნება, რომ ამ დასკვნის წანამძღვრებიც და დანასკვიც მცდარი დებულებებია, მაგრამ გამომდინარეობა, სისწორე განხორციელებულია. ორივე შემთხვევაში, ლოგიკური აუცილებლობა დამყარებულია იმაზე, რომ წანამძღვრები პირობით არის მიღებული, ე. ი. ლოგიკური აუცილებლობა, დასკვნა განხორციელებულია, რადგან მცდარი წანამძღვრები ქეშმარიტად არის მიჩნეული (ეს იმას კი არ ნიშნავს, რომ ამ დებულებებს ჩვენ ვანიჭებთ ქეშმარიტებას, არამედ მხოლოდ იმას, რომ ჩვენ ისინი ქეშმარიტ დებულებებად გვაქვს მიღებული): თუ დაუშვებთ იმას, რომ ქვა ქეშმარიტად არის ცხოველი და ცხენი კი ქეშმარიტად სწორედ ქვას წარმოადგენს, მაშინ, ცხადია, აქედან აუცილებლობით მივიღებთ, რომ ცხენი ცხოველია; — ანდა, მეორე შემთხვევაში, — „ფიჭვი არის ცხოველი“.

ამიტომ უნდა ითქვას, რომ სისწორე ქეშმარიტებაზეა დამყარებული, სისწორეს მხოლოდ ქეშმარიტება აძლევს აზრს. მართლაც, ფიჭვი მხოლოდ მაშინ და მხოლოდ იმ პირობით იქნება ცხოველი, თუ ფიჭვი არის ქვა (ან სხვა რაიმე) და ეს ქვა (რაიმე) კი ცხოველია.

მაშასადამე, სისწორე დასაბუთების აზრით, იგივე პირობითობაა და თუ პირობითობას ლოგიკისათვის და საერთოდ აზრთა ლოგიკური კავშირისათვის (რომლის გარეშე არავითარი მეცნიერული და საერთოდ ნორმალური აზროვნება არ არის შესაძლებელი) აბსოლუტურ პრინციპად ავიღებთ, მაშინ წმინდა პირობითობას, წმინდა რელატივიზმს და სუბიექტივიზმს მივიღებთ.

აქ სუბიექტივიზმი იმაში მდგომარეობს, რომ წანამძღვრები პირობითად ქეშმარიტ დებულებებად არის მიჩნეული, ე. ი. დანასკვი გარკვეული თვალსაზრისით არის გამართლებული. თუ მცდარს

სწორად მივიჩნევთ, მაშინ სწორედ ამ თვალსაზრისით რაიმე გამართლება მხოლოდ თვალსაზრისს ემყარება, რომლის ობიექტურობაც სრულიადაც არ არის დასაბუთებული, არამედ მხოლოდ მიღებულია.

ამიტომ ცდილობენ წანამძღვრების სხვა წანამძღვრებით გამართლებას, — დასკვნის დასაბუთებაში გამართლებას; სწორედ ამიტომ არ დაყავთ დასკვნა დასაბუთებაზე (მაგ. არისტოტელეს, რომლისთვისაც ყოველი დასაბუთება არის დასკვნა, მაგრამ ყოველი დასკვნა არ არის დასაბუთება)<sup>1</sup>. სწორედ აღნიშნულის გამო ეძებენ სხვადასხვა, ახალ-ახალ გარეგან წანამძღვრებს.

მაგრამ ამ გზით სიარული, როგორც ცნობილია, იწვევს უსასრულობაში რეგრესს, რაც დასაბუთებას და დასკვნას აზრს უკარგავს.

არისტოტელე ფიქრობდა, რომ აქ უსასრულობაში რეგრესის საშიშროება არ არსებობს, რადგან დასაბუთების საფუძვლად აქსიომები უნდა იქნან გამოყენებული. ეს აქსიომები არ საბუთდებიან, არამედ აღმოჩნდებიან გონებით, რომელიც ინდუქციაზეა დამყარებული<sup>2</sup>; მხოლოდ ინდუქცია, რომელიც დასაბუთებას არ წარმოადგენს, არ იძლევა საშუალებას მიღებულ იქნან დასაბუთების პირველი საფუძვლები, თუ გონებამ არ დაინახა ისინი. გონებას ინდუქცია სჭირდება, რადგან მის საფუძვლზე შეიძლება დანახულ იქნან დასაბუთების უპირველესი დებულებები. არისტოტელის აზრით, დასაბუთების დასაწყისი უფრო ცნობილია, ვიდრე თვითონ დასაბუთება; ყოველი მეცნიერება, მეცნიერული ცოდნა საბუთდება, დასაბუთების დასაწყისი კი არაა დასაბუთება და მეცნიერების დასაწყისი არაა მეცნიერება. მაგრამ რადგან არაფერიც მეცნიერებაზე ქეშმარიტი, გარდა გონებისა, ამიტომ აღნიშნული დასაწყისი შეიძლება გონების საგანი იყოს. ამრიგად, მეცნიერების დასაწყისი გონება შეიძლება იყოს<sup>3</sup>. ეს კი დასაბუთების საფუძვლად ინტუიციის გამოყენებას ნიშნავს.

ინტუიციასზე დასაბუთების და მეცნიერების დამყარება, რომელიც თანამედროვე რეაქციულ ბურჟუაზიულ ფილოსოფიაშია მიღებული და გაბატონებული, საბოლოო ანგარიშში, ნამდვილად დასაბუთების და მეცნიერების უარყოფას წარმოადგენს. ინტუიცია ვერ იქნება იმის უზრუნველყოფელი, რომ მის მიერ მიწოდომილი დებულება უსათუოდ ქეშმარიტია.

აქსიომების დასაბუთების საფუძვლად გამოყენება, როგორც

<sup>1</sup> იხ. არისტოტელეს „ანალიტიკები“. 25B 16 — 25B 37.

<sup>2</sup> აქვე, გვ. 100B 16 — 100B 17.

<sup>3</sup> აქვე.

ცნობილია, სასტიკად იყო გაკრიტიკებული ძველი სკეპტიკოსების მიერ („ახალი ტროპები“), მაგრამ ამ კრიტიკიდან ის კი არ უნდა დაეხსენებინათ, რასაც სკეპტიციზმი (მაგ. აგრიპა თუ ენეზიდემი) მოითხოვს, სახელდობრ, თვითონ დასაბუთების და მეცნიერების უარყოფა, არამედ, პირიქით, უნდა ვეძიოთ მყარი დასაყრდენი, — სწორი მეთოდი იმისა, რომ გამართლდეს დასაბუთება და მეცნიერება.

არისტოტელეს მიერ დასაბუთების აქსიომებზე დამყარება თავისებურადაა გამოყენებული მათემატიკურ ლოგიკაში და თანამედროვე ბურჟუაზიული ფილოსოფიის მიერ<sup>1</sup>. ამ უკანასკნელის სამაგალითოდ ავიღოთ დინგლერის თვალსაზრისი, რომელიც ვოლუნტარიზმს ქადაგებს და ამით „ასაბუთებს“ იმპერიალისტთა ავანტიურისტულ პოლიტიკას.

დინგლერი თავის შრომაში „Der Zusammenbruch der Wissenschaft“, ამბობს, რომ ყოველი ფილოსოფია regressus in infinitum-ის პრობლემის წინაშე დგას, რადგან ფილოსოფია და მეცნიერება სხვა არაფერია, თუ არა დასკვნების ჯაჭვი, რომელიც გარკვეულ პრინციპებს ემყარება. მაგრამ პრობლემას წარმოადგენს ის, თუ რატომ ვემყარებით ამ და არა სხვა პრინციპებს. პრინციპები მოითხოვენ კრიტერიუმს, მაგრამ ეს კრიტერიუმი თვითონ მოითხოვს დასაბუთებას და ა. შ. უსასრულოდ. უსასრულობაში სვლა რომ თავიდან ავიცილოთ, ამიტომ საჭიროა სადმე შევჩერდეთ, რომ დებულება მივიღოთ უკანასკნელ დებულებად; ეს გარემოება კი გადაწყვეტას მოითხოვს (decernere — გადაწყვეტა, აქედან დეცერნიზმი). ასეთ გადაწყვეტას ადგილი აქვს რომელიმე დებულების აქსიომად მიღების დროს. გადაწყვეტას კი ნებისყოფა ახდენს. მაშასადამე, მხოლოდ ნებისყოფაზეა დამოკიდებული მთელი დასაბუთება და მეცნიერება. ყოველი ფილოსოფია სხვა არაფერია, თუ არა ვოლუნტარიზმი<sup>2</sup>. ასეთია დინგლერის დასკვნა.

ეს წმინდა სუბიექტურ-იდეალისტური თვალსაზრისი ფილოსოფიის და მეცნიერების უარყოფას წარმოადგენს, რადგან საერთოდ მეცნიერული ცოდნა სწორედ იმას ემყარება, რაც ნებისყოფისაგან დამოუკიდებელია, რაც ობიექტურად, ჩვენგან დამოუკიდებლად არსებობს. დინგლერის აზრით კი არ არსებობს კრიტერიუმი, რომლითაც მეცნიერების ძირითადი დებულების სისწორე დასაბუთდეს.

<sup>1</sup> იხ. მაგ., Тарский, Введение в логику и методологию дедуктивных наук, 1948, стр. 163 და სხვ.

<sup>2</sup> იხ. H. Dinger, Der Zusammenbruch der Wissenschaft, München, 1926, S. 74.

მართალია, თეორიის საბოლოო დასაბუთებისა და გამართლებისათვის საფუძვლად თვითონ თეორია არ გამოდგება, მაგრამ ასეთი კრიტერიუმი უსათუოდ არსებობს. ეს არის პრაქტიკა. მარქსიზმ-ლენინიზმმა, პრაქტიკის თეორიის საფუძვლად გამოცხადებით, ადამიანური ცოდნა გამოიყვანა კრიზისიდან, რომელშიც იგი იდეალიზმმა და მეტაფიზიკამ მოაქცია.

თანამედროვე ბურჟუაზიულ დასავლეთში მთელი მიმართულება არსებობს, რომელიც მეცნიერული ცოდნის სრულ პირობითობას აღიარებს; ეს მიმართულება იწოდება კონვენციონალიზმად<sup>1</sup>, რომელიც (ა. პუანკარე, ე. ლერუა, ჰ. დინგლერი, კ. აიდუკევიჩი და სხვ.) ამტკიცებს, რომ მეცნიერული ცოდნის საფუძველს კონვენციები (შეთანხმებები) წარმოადგენს, და რომ ჩვენს ცოდნას ობიექტური საფუძველი არ გააჩნია; შეთანხმებაზეა დამოკიდებული, თუ რომელ მეცნიერულ სისტემას მივიჩნევთ ჭეშმარიტად; არ არსებობს არავითარი ჭეშმარიტება, რომელსაც ობიექტური ხასიათი ჰქონდეს და აბსოლუტურ ჭეშმარიტებას შეიცავდეს.

ამბობენ, რომ თუ მეცნიერული ცოდნის საფუძვლად მდებარე დებულებები შეთანხმებით იქნება გამართლებული, მაშინ არსებობს საფუძველი, რომლითაც შეიძლება დასაბუთდეს, მისაღები არის თუ არა, მაგ., ევკლიდეს გეომეტრია. ჯერ კიდევ პუანკარე ამბობდა, რომ მათემატიკური აქსიომები არც ცდისეული არიან და არც აპრიორული, ისინი პირობითი, შეთანხმების შედეგად მიღებული დებულებებია და ამიტომ არც ჭეშმარიტნი არიან და არც მცდარნი (თუ ჭეშმარიტებად იმას არ მივიღებთ, რაშიდაც შეთანხმებული ვართ). გეომეტრიული აქსიომების არჩევა, ამტკიცებდა პუანკარე, შეიძლება ვაწარმოთ თავისუფლად; ერთადერთი აუცილებლობა, რომელიც შეიძლება აქ არსებობდეს, ეს არის ის, რომ თავიდან ავიცილოთ წინააღმდეგობა. ამიტომ შეიძლება ითქვას: „ერთი გეომეტრია არ შეიძლება უფრო ჭეშმარიტი იყოს, ვიდრე მეორე; ის შეიძლება იყოს მხოლოდ უფრო ხელსაყრელი“<sup>2</sup>.

სემანტიკური იდეალიზმის გავლენით განვითარებული კონვენციონალიზმი, ე. წ. „რადიკალური კონვენციონალიზმი“ კ. აიდუკევიჩისა აღიარებს, რომ „ჭეშმარიტება“ არის ენის ნებისმიერი არჩევის ფუნქცია; სხვადასხვა ენის საფუძველზე საწინააღმდეგოდებულებები თანასწორუფლებიანი დებულებებია. აიდუკევიჩის

<sup>1</sup> იხ. А. Шафф. Некоторые проблемы марксистско-ленинской теории истины, стр. 284 — 350.

<sup>2</sup> იხ. А. Пуанкаре, Наука и гипотеза, 1904, стр. 60 — 61.

აზრით, შესაძლოა დებულების კეშმარიტება მხოლოდ „ჩვენს ენაზე“<sup>1</sup>.

მაშასადამე, კონვენციონალიზმი განვითარდა იმ გზით, რომ აზრებში შეთანხმება დაყვანილ იქნა სიტყვებში, ტერმინოლოგიაში შეთანხმებამდე, რადგან აზრები აუცილებლობით მიუთითებენ იმაზე, რის აზრებსაც ისინი წარმოადგენენ; სიტყვები და მათი კავშირები კი შეიძლება სიმბოლოების კავშირად იქნან წარმოდგენილი. სწორედ ეს გზა აირჩია „ლოგიკურმა პოზიტივიზმმა“.

ცოდნის აბსოლუტური პირობითობა უკიდურესად განვითარებული სახით გამოთქმულია რ. კარნაპის დებულებაში, რომ „ლოგიკაში არავითარი მორალი არ არის“<sup>2</sup>.

„შემწყნარებლობის პრინციპი“, რომელიც სემანტიკური იდეალიზმის უკანასკნელი სიტყვის — „ლოგიკური პოზიტივიზმის“ სულსა და გულს გამოხატავს, იმას ამბობს, რომ „თვითუღს შეუძლია ააშენოს თავისი ლოგიკა, ე. ი. თავისი ენის ფორმა, როგორც მას სურს“ (იქვე გვ. 44: „In der Logik gibt es kein Moral. Jedes tag seine Logik, d. h. seine Sprachform, aufbauen, wie er will“)<sup>3</sup>.

მაგრამ ეს ხომ წმინდა სუბიექტივიზმია, რომელიც ნამდვილ ზოგადობას უარყოფს. ზოგადობას მოკლებული პრინციპი ხომ შემთხვევითი რამაა და არა, მართლაც, პრინციპი? ასეთ შემთხვევაზე და წმინდა სუბიექტივიზმზე დამყარებული სისტემა სწორედ სისტემის უარყოფა იქნება და არა სისტემა მეცნიერული გაგებით. როდის ირის რომელიმე დებულება კეშმარიტი? — მაშინ, როცა იგი სისტემას ეთანხმება. ამბობს Neurath-ი შრომაში *Sociology in Physicalism*<sup>4</sup>. აქ კეშმარიტება დაყვანილია სინაწორეზე. სისტემაში აუცილებელ კავშირზე, რომელიც აბსოლუტურ პირობითს, სუბიექტურს და შემთხვევითს ემყარება.

მართალია, კეშმარიტების სისწორეზე დაყვანა ფორმალისტური შეცდომაა, მაგრამ სისწორის კეშმარიტებისაგან მოწყვეტაც იგივე შეცდომას წარმოადგენს. სისწორე, როგორც ლოგიკური აუცილებლობა, კეშმარიტებით განისაზღვრება, წინააღმდეგ შემთხვევაში, ობიექტურობა გამოდის უარყოფილი და გზა ეხსნება სუბიექტივიზმს, წმინდა პირობითობას, რაც ლოგიკის უარყოფას იძლევა და არა მის დასაბუთებას.

<sup>1</sup> იხ. А. Шафр, Некоторые проблемы марксистско-ленинской теории истины, стр. 333 — 334.

<sup>2</sup> R. Carnap, *Logische Syntax der Sprache*, S. 8, 44, 45, 117.

<sup>3</sup> იხ. ამის შესახებ Л. П. Гокнели, К проблеме аксиоматизации логики, 1947, стр. 56.

<sup>4</sup> იხ. М. Корнфорт, Наука против идеализма, 1948, стр. 230.

მეცნიერება გარკვეული სისტემაა, რომელიც განსაზღვრული მატერიალურ მოვლენებში არსებული ობიექტური კანონზომიერებით. „ლოგიკური პოზიტივიზმის“ თვალსაზრისით გაგებული სისტემა კი, ეს არის სიმბოლოების სისტემა, — სემანტიკური წესებით განსაზღვრული სისტემა<sup>1</sup>. ეს წესები, თავიანთი ბუნებით, იგივეა, რაც თამაშის წესები, რომლებიც არც ქვემარტია და არც მცდარი, არამედ მხოლოდ ხელსაყრელი.

თუ კანტმა, მრავალგვარი სიძნელის (მაგ., ანტინომიების სიძნელის) თავიდან ასაცილებლად, საგნებისათვის დამახასიათებელი კავშირები, კანონზომიერება ცნობიერებაში გადმოიტანა, კარნაპმა და საერთოდ „ლოგიკურმა პოზიტივიზმმა“ სიძნელეების, გადაწყვეტის მაგიერ, ისინი თავიდან მოიცილა, ანუ უკეთ: მათ გაექცა იმით, რომ ლოგიკის და ფილოსოფიის პრობლემატიკა მნიშვნელობას მოკლებულ სიტყვათა კავშირებზე, სიმბოლოების თამაშზე დაიყვანა, — ამით კი მოიქცა ისე, როგორც ერიგენა, რომელმაც, ხედავდა რა მის გარშემო მყოფ ადამიანთა გარყვნილებას, თავი დაისაპურისა.

ასეთი შინაარსისაგან დაცლილი ლოგიკა და ფილოსოფია გასანადგურებლადაა განწირული იმ ბრძოლაში, რომელსაც იგი პროლეტარიატის მსოფლმხედველობის, დიალექტიკური მატერიალიზმის წინააღმდეგ ეწევა.

დასაბუთების სათავეების სრული დაუსაბუთებლობის აღიარებაც შეცდომას წარმოადგენს, რადგან, ასეთ შემთხვევაში, ყველაფერი პირობითი, მხოლოდ შეფარდებითი გამოდის, მაშინ როცა შეფარდებითს აბსოლუტურით აქვს აზრი (აბსოლუტური კი ასეთია მხოლოდ შეფარდებითთან დამოკიდებულებაში). დასაბუთების სათავეების დასაბუთების ცდაც შეცდომაა, თუ დასაბუთებას მხოლოდ გარეგანი საფუძვლის მონახვას გავუვიგებთ.

დასაბუთების სათავეების ისეთი ლოგიკური დასაბუთება, რომელიც ლოგიკურ შეცდომას არ იწვევს, სხვადასხვა გზით არის შესაძლებელი. ასეთი გზებია: 1) ჰიპოთეზის გზა, რომელსაც სხვათა შორის, ორი რამ ახასიათებს: ა) ფაქტებიდან გამოსვლით წინდაშეება, თავისებური უკან-დასკვნა, როგორც ზოგადი დებულების წამოყენება იმისათვის, რათა მოცემული ფაქტები იქნან ახსნილი; ბ) ამ ზოგადი დებულების გამმართლებელი (და უარყოფელი) ფაქტების ძებნა, და მონახული ფაქტებით გამოსავალი ზოგადი დებულების, როგორც საფუძვლის (ჰიპოთეზის), გამართლება;

<sup>1</sup> იხ. R. Carnap, Introduction to semantics, Harvard University Press, 1926, p. 140.

<sup>2</sup> R. Carnap, Meaning and Necessity, Chicago, 1947, p. 10.



2) გამოსავალი დებულების გამართლება სისტემატური დალაგების საშუალებით, როგორც ერთი გარკვეული მომენტი დასაბუთებაში; და 3) წინააღმდეგობის შემცველი შედეგით (ანუ საწინააღმდეგო შედეგებით) საფუძვლის მიღება, ამ აზრით საფუძვლის დასაბუთება, რომელიც ინდექციის აზრს თავისებურად ამართლებს. ამ უკანასკნელის შესაძლებლობა წინამდებარე შრომაში ირკვევა და დიალექტიკური კავშირის ერთ მხარეს წარმოადგენს. შედეგიდან საფუძვლის დასაბუთების შესრულება გადაწყვეტს დასაბუთების უსასრულო რეგრესში წასვლის შესახებ პრობლემას.

დასაბუთება უნდა ემყარებოდეს პრაქტიკას, რომელშიც მართლდება არა მარტო გამოსავალი დებულებები, არამედ მთელი ჩვენი ცოდნა. მაგრამ, როგორც ითქვა, პრაქტიკა არ უნდა იქნას გაგებული როგორც ლოგიკური რამ, წინააღმდეგ შემთხვევაში, იდეალიზმს მივიღებდით. პრაქტიკის გამოყენება არ უნდა ნიშნავდეს დასაბუთების შესუსტებას. პრაქტიკა ამოწმებს ლოგიკურად მკაცრად დასაბუთებულ ცოდნას.

როგორც ითქვა, არა მარტო საფუძველი განსაზღვრავს შედეგს, არამედ, პირიქით, შედეგიც განსაზღვრავს, ამ აზრით, თავის მხრივ ასაბუთებს საფუძველს. ამიტომ შეიძლება გამოსავალი დებულება დასაბუთების პროცესში გამართლდეს, ე. ი. თვითონაც დასაბუთდეს ისე, რომ გარეგან საფუძველს არ საჭიროებდეს. განვითარების ძირითადი კანონის შესახებ აზრი, როგორც ამ კანონის ასახვა, როგორც ეს ზემოთ გაირკვა, ისეთი მთლიანი აზრია, რომელიც თვითსაფუძველს წარმოადგენს, და რომლის გამართლება მეცნიერების პროცესში ხდება; ამ პროცესს და მთელ ცოდნას რეალური საფუძველი პრაქტიკაში და, ამის საშუალებით, მთელ მატერიალურ სინამდვილეში აქვს.

მაშასადამე, არ არის სწორი დასაბუთებაში ყოველთვის გარეგანი ლოგიკური საფუძვლის მოთხოვნა და დასაბუთების სწორხაზობრიობის გამართლების ცდა, რასაც ადგილი აქვს ტრადიციულ დედუქციურ ლოგიკაში.

გ) დასკვნის და დასაბუთების გზების შესახებ. დედუქციურ-ლოგიკურის ისტორიულად შემუშავებული ცნების ნაკლი კიდევ უფრო ნათლად წარმოგვიდგება მაშინ, თუ დასკვნის და დასაბუთების გზებს ერთიმეორეს შევადარებთ, და დასაბუთების გზის ლოგიკურობას მოვითხოვთ.

თუ მივიღებთ, რომ კატეგორიული სილოგიზმის გზა მოცემული წინამძღვრებიდან დანასკვის აუცილებელი მიღების გზაა და თუ ეს გზა ნამდვილ ლოგიკურ გზას წარმოადგენს, მაშინ დასაბუთების გზა, რამდენადაც იგი დასკვნის გზისაგან განსხვავდება, ე. ი. რამდენადაც იქ მოცემული თეზისიდან საფუძვლის მონახვის გზა

გვაქვს, ამდენად აქ სრულიად არ არის ლოგიკური გზა, ამ ცნების ძველი ლოგიკური გაგებით, არამედ არის მხოლოდ ძიების გზა; იგი უფრო ფსიქოლოგიურია, ვიდრე ლოგიკური.

დასაბუთებაში მოცემულია თეზისი, დასაბუთებელი დებულება, ეძებენ საფუძვლებს ამ დებულების გასამართლებლად. რამდენადაც დასაბუთებაში საფუძვლიდან შედეგის გამოყვანა გვაქვს, იმდენად აქ იგივე დასკვნასთან გვაქვს საქმე; ამ აზრით დასაბუთება და დასკვნა ერთიმეორისგან არ განსხვავდებიან. მაგრამ რამდენადაც დასაბუთებაში თეზისის დამსაბუთებელ საფუძველს ეძებენ, იმდენად შებრუნებულ გზასთან და არაპირობითი, არამედ კატეგორიული საფუძვლის მიღების მოთხოვნასთან გვაქვს საქმე.

თუ ფორმალურ ლოგიკაში საფუძვლიდან შედეგის მიღება გარკვეული ლოგიკური გზაა, თეზისიდან (შედეგიდან) საფუძვლის მიღების გზა კი არ არის ლოგიკური<sup>1</sup>, ის შემეცნებითი ძიების და ნახვის გზაა. შეიძლება ითქვას მეტიც: შედეგიდან საფუძვლის მიღების ცდა ლოგიკურ შეცდომას წარმოადგენს პირობით-კატეგორიული სილოგიზმის თვალსაზრისით.

თუ დებულება დასაბუთებას მოითხოვს და ამ მოთხოვნის შესრულება საფუძვლის მონახვაა, მაშინ საფუძვლის მიღება უნდა იყოს შედეგიდან საფუძველზე აუცილებელი გადასვლა, — სწორედ ლოგიკური გზა, რათა დასკვნა თვითონ გამართლდეს დასაბუთებაში, რამდენადაც აუცილებელია დასკვნის წმინდა პირობითობის მოხსნა აზრთა იმ კავშირის კატეგორიულობის მისაღებად, სადაც მთლიანობაში, კავშირში მყოფნი ერთიმეორის მიმართ აუცილებელი საფუძველიც იქნება და საკმარისიც.

რამდენადაც ეს გარემოება ძველ ლოგიკაში შეუსრულებელი იყო, იმდენად დასკვნის გზა, როგორც ლოგიკური გზა კვლევადიების გზას, როგორც არალოგიკურ გზას უპირისპირდებოდა. ისინი სულ სხვადასხვა გზებს წარმოადგენდნენ. არისტოტელესთან კვლევადიების გზა, ეს ინდუქციის გზა იყო, იგი დასაბუთების პირველი საფუძვლების მონახვის ფსიქოლოგიურ თუ საერთოდ ძიებით გზას წარმოადგენდა. ინდუქციის აუცილებლობა შედეგიდან საფუძვლის მიღების აუცილებლობაშია. რამდენადაც ფორმალური ლოგიკა შედეგიდან საფუძვლის მიღების ცდას მცდარად სთვლის და, ამავე დროს, ინდუქციის გამართლებასაც მოითხოვს, ამდენად იგი წინააღმდეგობაშია ჩაეარდნილი.

დედუქცია თვითონ ემყარება ინდუქციით მიღებულს, რადგან

<sup>1</sup> В. Ф. Асмус, Учение логики о доказательстве и опровержении, стр. 86.

დედუქციის ზოგადი წანამძღვრები ინდუქციის გზით მიიღებიან. დედუქციის აზრით ზოგადია კერძოს საფუძველი, მას კერძო ზოგადიდან გამოყავს (ცდილობს გამოიყვანოს, მაგრამ, როგორც ითქვა, ამ ცდას ვერ ანხორციელებს); ინდუქციის აზრითაც ზოგადია კერძოს საფუძველი; იგი ცდილობს კერძოდან (შედგვიდან) ზოგადი (საფუძველი) მიიღოს.

რადგან კერძო და ზოგადი დიალექტიკურ მთლიანობაში არიან (ერთიმეორეს გარეშე ისინი აზრს ჰკარგავენ), ამიტომ ზოგადიდან კერძოს მიღების გზა და კერძოდან ზოგადის მიღების გზა ერთ მთლიანობას უნდა შეადგენდნენ, თავისთავად კი ერთმხრივი გზები არიან; ეს ორი გზა ერთიმეორეს უნდა ავსებდნენ დიალექტიკურ მთლიანობამდე, — რათა გაამართლონ ის, რასაც ისინი ემყარებიან და რასაც ერთმხრივად წარმოადგენენ, — სახელდობრ, — კერძოს და ზოგადის ერთიანობა (ამ კატეგორიების კავშირი ინდუქციის და დედუქციის საფუძველია).

მაშასადამე: 1) დასკვნა დასაბუთებაში უნდა გამართლდეს; დასაბუთების გზა, როგორც თეზისიდან საფუძველის მიღების გზა, ლოგიკური უნდა იყოს; ამ გზის გამართლებას ინდუქციური ლოგიკა ისახავს მიზნად; 2) დედუქცია ინდუქციას აუცილებლობით მოითხოვს, რამდენადაც: ა) მისი გზა ერთმხრივია, და ბ) რამდენადაც იგი მის მონაპოვარს ემყარება. 3) ნამდვილი სრული ლოგიკური უნდა იყოს ის, რომელიც კერძოს და ზოგადის მთლიანობას წარმოგვიდგენს; კერძოს და ზოგადის აუცილებელი კავშირი თვითონ არის თავისებური და ისიც სრული დასკვნითი კავშირი, რომელიც ინდუქციას და დედუქციას მომენტებად შეიცავს. შეცდომა მთელის ერთმხრიობად და ერთმხრიობის მთელად წარმოდგენა. ამ შეცდომას შეიცავს როგორც ინდუქციური ლოგიკა, ისე დედუქციური ლოგიკა. ერთადერთი ჭეშმარიტი ლოგიკა დიალექტიკური ლოგიკაა, რომელშიც ისეთი ლოგიკური განიხილება, რომელიც დედუქციურს და ინდუქციურს მომენტებად შეიცავს, ამდენად მათ კიდევ ამართლებს.

კვლევა-ძიების გზა, რომელსაც არისტოტელე ინდუქციის გზას ეძახდა, არ უნდა ემყარებოდეს შემთხვევებს, ან ინტუიციურ მიზვედრებს, რამდენადაც ეს გზა ლოგიკურ გზას უნდა წარმოადგენდეს. სწორედ ამ გარემოებას მოითხოვს ინდუქციური ლოგიკა, მაგალითად, ფ. ბეკონის და ჯ. ს. მილის ლოგიკები. ინდუქციურ-ლოგიკურის ცნება მთავარი ცნებაა ინდუქციურ ლოგიკაში; ამ ცნების გამართლების გარეშე ინდუქციური ლოგიკა ვერც არსებობას შესძლებს.

დ) ინდუქციურ-ლოგიკური. ინდუქციურ-ლოგიკურის ცნების გარკვევის დასაწყისშივე წამოიჭრებიან საკითხები: არის თუ

არა კერძოდან ზოგადის ინდუქციური მიღების გზა ლოგიკური? თუ ეს გზა ლოგიკურია, მაშინ ეს ლოგიკური ხომ არ განსხვავდება დედუქციურ-ლოგიკურისაგან? თუ აქ განსხვავება არსებობს, მაშინ არცერთი არ ყოფილა სრული ლოგიკური და საკითხავია, თუ რაში მდგომარეობს ამ სრული ლოგიკურის ბუნება?

ინდუქციის გზა, არისტოტელეს აზრით, აღმოჩენის, როგორც ძიების, გზას წარმოადგენს. მაგრამ ეს გზა, მისი აზრით, არ არის ლოგიკური ხასიათისა, რადგან ძიება და ნახვა სუბიექტური საქმიანობაა და დამოკიდებულია შემთხვევებზე და ინტუიციანზე, მიხვედრაზე. (როგორც ითქვა, არისტოტელესათვის დასაბუთების დასაყრდენის მისაღებად ინდუქცია არ იყო საკმარისი; თვითონ გონება ინდუქციაზე დამყარებით უშუალოდ უნდა მისწვდომოდა დასაბუთების სათავეებს).

ამგვარად გაგებული ინდუქციური გზა, ცხადია, არ არის ლოგიკური გზა. სწორედ ამიტომ არისტოტელე ინდუქციას დასაბუთების ლოგიკურ გზად არ სთვლიდა. მისთვის აღმოჩენის და დასაბუთების გზები სრულიად სხვადასხვა გზებს წარმოადგენდნენ.

ეს პრობლემა, არსებითად ყოველთვის პრობლემად რჩება, სანამ ინდუქციის და დედუქციის მთლიანობა არ არის დასაბუთებული. ეს მთლიანობა უნდა გვესმოდეს არა როგორც ინდუქციის და დედუქციის მორიგეობის საჭიროება თუ აუცილებლობა, არამედ ისეთი რამ, რომლის მომენტებსაც ინდუქციური და დედუქციური წარმოადგენენ.

ფ. ბეკონიც ინდუქციის გზას აღმოჩენის გზად სთვლიდა, მაგრამ იგი ცდილობდა, რომ ინდუქცია იგივე დასაბუთების მეთოდიც ყოფილიყო. ინდუქციის მეთოდი, როგორც მართლაც გარკვეული მეთოდი, ასეთი შეიძლება იყოს მხოლოდ ლოგიკური ბუნების გამო. ბრმა ძიება, ცხადია, არავითარ გარკვეულობას არ წარმოადგენს, და მას მეცნიერება შემთხვევით თუ მოიხმარს. შეიძლება გარკვეული ლოგიკური მეთოდი შეუგნებლად იყოს მოხმარებული; ეს შეუგნებლობა, ცხადია, თვითონ მეთოდის გაურკვეველობად არ უნდა მივიჩნიოთ. შეუგნებლად აღმოჩენაც რალაც გარკვეულ გზას ემყარება. გასაგები სწორედ ამ გზის ბუნებაა.

რის აღმოჩენას ცდილობენ ინდუქციის გზით? ინდუქციის მიზანი, როგორც ცნობილია, ზოგადის აღმოჩენაა, სახელდობრ, იმ ზოგადისა, საიდანაც დედუქცია გამოდის, ე. ი. ინდუქციის მიზანი დედუქციის საფუძვლის აღმოჩენაში მდგომარეობს.

რის საფუძველზე ეძებენ ამ ზოგადს? ზოგადი მხოლოდ და მხოლოდ იმის საფუძველზე შეიძლება ეძიო, რაც, ცხადია, თვითონ ზოგადს არ წარმოადგენს. ზოგადის ძიება ისევ ზოგადის საფუძველ-

ზე, ლოგიკურად შეცდომას წარმოადგენს, რადგან, ასეთ შემთხვევაში, საძიებელი უკვე მოცემული გვაქვს.

როგორ ზოგადს ეძებს ინდუქცია? უმთავრესად იმ ზოგადს, რომელიც კატეგორიული სილოგიზმის გამოსავლად არის გამოყენებული. ეს ზოგადი მოცულობითი ზოგადია, სახელდობრ, „ყველა“, რომელსაც „ზოგიერთი“ უპირისპირდება. კატეგორიულ სილოგიზმში მომქმედი განაწილება ცნებისა სწორედ ასეთ ზოგადს გულისხმობს, როგორც ეს ზემოთაც გავარკვეეთ. მაშასადამე, ინდუქციის მიზანი „ზოგიერთიდან“ „ყველას“ აღმოჩენაშია.

მაგრამ საკითხავია, შეიძლება თუ არა ზოგადის, როგორც „ყველას“ მიღება „ზოგიერთიდან“? ნათელია, რომ ასეთი მიღება აღმოჩენა ზოგიერთ შემთხვევაში შეიძლება, უმრავლეს და არსებით შემთხვევებში კი სრულიად შეუძლებელია, სახელდობრ, — მაშინ, როცა საქმე საგანთა არა სასრულო, არამედ უსასრულო სიმრავლესთან გვაქვს. ზოგადი სწორედ უსასრულოდ მრავალი მოვლენის ზოგადია და ინდუქციის მიზანს შეადგენს. ამიტომაც მეცნიერული არასრული ინდუქცია ინდუქციის მთავარი სახე.

უსასრულო სიმრავლის შემთხვევაში ზოგიერთიდან ზოგადს ვერასოდეს ვერ მივიღებთ, თუ. ცხადია, ზოგადი ნომინალისტურად, ე. ი. ისე გავიგეთ, როგორც ეს ძველი ინდუქციის თეორიას ესმოდა. ასეთ შემთხვევაში, ზოგიერთის საფუძველზე ზოგადს ვერასგზით ვერ აღმოვაჩინებთ, რადგან, სიმრავლის უსასრულობის გამო, ყოველთვის ზოგიერთის საფეხურზე ვიქნებით, ვერასოდეს ვერ მივალწვეთ მართლაც „ყველას“, რამდენადაც ეს ყველა უსასრულოა.

მაშასადამე, რასაც ამ — აქ აღნიშნული გზით მივალწვეთ, ის ყოველთვის ზოგიერთი იქნება. ზოგიერთი კი რამდენიმე ან ბევრს (ეს ორი რამ ერთი და იგივეა) ერთეულს უღრის. აქ ზოგიერთი არის ერთეულთა ჯამი: „ყველაც“ ხომ ასეთია? მრავალი და უსასრულო ერთეულის ბუნების გაგება და ერთი ერთეულის ბუნების გაგება, არსებითად, ერთი და იგივეა. ამრიგად, „ყველა“ და „ზოგიერთი“, არსებითად, იგივე ერთეულია.

ამრიგად, ინდუქციის მოთხოვნა, ზოგადის აღმოჩენისა შესრულდება მაშინ, თუ ერთ ერთეულში აღმოვაჩინებთ ზოგადს, და არა ერთეულებს შევაჯამებთ უსასრულობამდე, რაც, როგორც იტყვა: განუხორციელებელია.

სანამ იმას აღვნიშნავდეთ. თუ როგორ შეიძლება ინდუქციის მოთხოვნა — ერთეულში ზოგადის აღმოჩენა — შევასრულოთ, მანამ გავარკვეით, აღვნიშნულს გარდა, ის ნაკლი, რომელიც ინდუქციის ძველ გაგებას ახასიათებს (ეს ნაკლი დიდი ხანია, რაც ცნობილია).

ინდუქცია, ძველი გაგებით, ემყარება ბუნების ერთგვარობის კანონს, რომელიც, შეიძლება ითქვას, ყველაზე უფრო ზოგადია. ინდუქცია ყოველი კანონის აღმოჩენას სწორედ ამ კანონზე დამყარებით ცდილობს. ინდუქცია, რომელიც კერძოზე დამყარებით ზოგადს ეძებს, ზოგადს თვითონ ემყარება. ინდუქცია ვერ აღმოაჩენს ზოგადს, თუ თვითონ ზოგადსვე არ დაემყარა. ინდუქცია, რომელიც კერძოებიდან, ერთეულებიდან გამოსვლით ზოგადის მიღებას ცდილობს, ვერ ახერხებს, საკუთარი საშუალებით, ისეთი ზოგადი მიიღოს, როგორცაა ბუნების ერთგვარობის კანონი, თუ ისევ ამ კანონს არ დაემყარა. ეს კი, როგორც ცნობილია, აშკარა შეცდომას წარმოადგენს. ასეთია ინდუქციის ერთი ნაკლი.

თუ ეს ნაკლი ინდუქციის აბსოლუტურ ნაკლად წარმოვიდგინეთ, მაშინ ინდუქციის შესაძლებლობა საერთოდ უნდა უარყოფთ და ამით მხოლოდ დედუქცია ვალიართ. მაგრამ, როგორც აღინიშნა, მხოლოდ დედუქცია ინდუქციას თვითონ მოითხოვს, უძისოდ იგი ნაკლოვანი მეთოდია.

ინდუქციის აქ აღნიშნული ნაკლი, ჩვენი აზრით, მის (ინდუქციის) სრულ შეუძლებლობას კი არ წარმოადგენს, არამედ მხოლოდ იმას, რომ ინდუქცია განუხორციელებელია დედუქციის გარეშე, იგი დედუქციას აუცილებლობით მოითხოვს. ინდუქცია საერთოდ ზოგადს ემყარება, რომ შემდეგ თავისი როლი განახორციელოს, — ერთეულების საფუძველზე გარკვეული ზოგადები მიიღოს.

ახლა პასუხი გავცეთ იმას, თუ როგორ შეიძლება, მხოლოდ ერთ ერთეულზე დამყარებით, განუხორციელოთ ინდუქციის მიზანი, ე. ი. — ერთეულში ზოგადი აღმოვაჩინოთ. თუ როგორ ხორციელდება ეს მიზანი, ამის გასაგებად საკმარისია მოვიყვანოთ ერთი ადგილი ფ. ენგელსის „ბუნების დიალექტიკიდან“, სადაც განხილულია საკითხი: „ინდუქცია და ანალიზი“.

ფ. ენგელსი წერს: „თერმოდინამიკა იძლევა იმის დამაჯერებელ მაგალითს, თუ რამდენად უსაფუძვლოა ინდუქციის პრეტენზია იმის შესახებ, რომ იგი მეცნიერული აღმოჩენის ერთადერთი ან თუნდაც უპირატესი ფორმა იყოს: ორთქლის მანქანამ მოგვცა გადამწყვეტი საბუთი იმისა, რომ სითბოდან შეიძლება მივიღოთ მექანიკური მოძრაობა. 100.000 ორთქლის მანქანამ ეს იმაზე უფრო დამაჯერებლად როდი დაამტკიცა, ვიდრე ერთმა მანქანამ, ისინი მხოლოდ სულ უფრო მეტად აიძულებდნენ ფიზიკოსებს ეს აეხსნათ. სადი კარნო პირველი იყო, რომელმაც მას სერიოზულად მოჰკიდა ხელი; მაგრამ არა ინდუქციის გზით. მან შეისწავლა ორთქლის მანქანა, მისი ანალიზი მოახდინა; აღმოაჩინა, რომ მასში ძირითადი პროცესი წმინდა სახით არ მიმდინარეობს, არამედ მრავალგვარი პარალელური პროცესით არის დაფარული; მოაცილა ეს, არსებითი პროცესისა-

თვის უმნიშვნელო მეორეხარისხოვანი გარემოებანი და ააგო იდეალური ორთქლის მანქანა (ანუ აირის მანქანა), რომელიც, მართალია, ისევე განუხორციელებელი რამ არის, როგორც, მაგალითად, გეომეტრიული ხაზის ან გეომეტრიული სიბრტყის განხორციელება, მაგრამ რომელიც თავის კვალობაზე იმავე სამსახურს გვიწევს, რასაც ეს მათემატიკური აბსტრაქციები: იგი პროცესს წმინდა, დამოუკიდებელი, გაუყალბებელი სახით წარმოადგენს. და იგი პირდაპირ მიადგა სითბოს მექანიკურ ეკვივალენტს (იხ. მისი C ფუნქციის მნიშვნელობა), რომელიც მან ვერ დაინახა და ვერ აღმოაჩინა მხოლოდ იმიტომ, რომ სითბომ ბადი სწამდა. ამაშიც ჩანს ყალბი თეორიების მნიშვნელობა<sup>1</sup>.

მაშასადამე, აქედან ჩანს, რომ ინდუქციის მიზანს ანალიზი ასრულებს; სწორედ ანალიზი არის ის, რითაც ზოგადს ერთეულში აღმოვაჩენთ. საკითხავია, თუ რას წარმოადგენს და როგორია ეს ანალიზი?

მატერიალისტური დიალექტიკის თვალსაზრისით, ცხადია, ანალიზი დიალექტიკური უნდა იყოს. ეს იმას ნიშნავს (როგორც ეს ზემოთ გაიჩვენა), რომ ანალიზი დიალექტიკური აბსტრაქციით უნდა შესრულდეს. აბსტრაქციის როლი ანალიზში გარკვეულად არის აღნიშნული ფ. ენგელსის ახლა მოყვანილ დებულებებში. აბსტრაქციის როლის და მნიშვნელობის გაგებისათვის გავიხსენოთ კ. მარქსის სიტყვები „კაპიტალის“ პირველი გამოცემის წინასიტყვაობიდან. „ეკონომიური ფორმების ანალიზის დროს,—წერს კ. მარქსი,—ერ შეიძლება არც მიკროსკოპის და არც ქიმიური რეაქტივების გამოყენება. ორივეს მაგნიტობა უნდა გასწიოს აბსტრაქციის ძალამ“<sup>2</sup>.

რომ უფრო ზუსტად გავაგოთ ანალიზი, რომლითაც ჩვენ ზოგადს აღმოვაჩენთ, მოვივინოთ კ. მარქსის ანალიზი, რომლის შესახებაც ზემოთ ვილაპარაკეთ და რომლითაც მარქსმა კაპიტალიზმის „უჩრდილი“ — საქონელი აღმოაჩინა, და რაც მან კვლევა-ძიების გზისა და ლოგიკური დალაგების გზის შესახებ აღნიშნა.

კ. მარქსი „კაპიტალის“ „ბოლოსიტყვაობაში მეორე გამოცემისათვის“ ამბობს, რომ „რასაკვირველია, გადმოცემის წესი ფორმალურად უნდა განსხვავდებოდეს კვლევა-ძიების წესისგან. კვლევა-ძიებამ უნდა აითვისოს მასალა დეტალურად, გაუკეთოს ანალიზი მისი განვითარების სხვადასხვა ფორმას და აღმოაჩინოს მათი შინაგანი კავშირი. მხოლოდ ამ მუშაობის შესრულების შემდეგ შეიძლება

<sup>1</sup> ფ. ენგელსი, ბუნების დიალექტიკა, გვ. 235.

<sup>2</sup> კ. მარქსი, კაპიტალი, ტ. I, გვ. 4.

ნამდვილი მოძრაობის სათანადო წესით გადმოცემა<sup>1</sup>. ანდა კიდევ: „აზროვნება ადამიანთა ცხოვრების ფორმების შესახებ და, მაშასადამე, ამ ფორმების მეცნიერული ანალიზიც საერთოდ ნამდვილი განვითარების საწინააღმდეგო გზას ირჩევს. ეს აზროვნება იწყება post festum და ამიტომ განვითარების პროცესის დამთავრებულ შედეგებს იღებს ამოსავალ წერტილად“<sup>2</sup>.

აქ ორი — ერთიმეორის საწინააღმდეგო — გზაა აღნიშნული, უკეთ, აქ აღნიშნულია ერთი და იგივე გზის ორი საწინააღმდეგო მიმართულება (რომლებიც სხვადასხვა შედეგებს იძლევიან): 1) შედეგიდან მიმავალი მიმართულება განვითარების მარტივი დასაწყისისაკენ, და 2) ამ დასაწყისიდან, როგორც „უჯრედიდან“, დაწყებული „დალაგების“ ლოგიკური გზა. პირველი ინდუქციის მაგიერობას ასრულებს, მეორე კი — დედუქციის მაგიერობას, — მაგრამ მათი გაიგივება მაინც შეუძლებელია, რადგან ნამდვილი გზა განვითარების გზას წარმოადგენს. ლოგიკური, ამ შემთხვევაში, ისტორიულის არსებობის ამსახველია და არაა ისეთი, როგორც ინდუქციას და დედუქციას საფუძვლად უძევს; არც დედუქცია და არც ინდუქცია არ წარმოადგენს ისტორიულის ასახვას. ე. ი. მათ განვითარება არ უძევს საფუძვლად.

ინდუქცია, ძველი გაგებით, შეუძლებელი იქნება, თუ მას განვითარებაზე დავაფუძნებთ. რადგან განვითარებაში ახლის წარმოშობა და ბუნების ერთგვარობის კანონის მიხედვით მოქმედება ერთიმეორის სისრულით არ ეთანხმება. შემდეგ, ინდუქციის გზა არ არის ისტორიულის ამსახველი ლოგიკურის გზა. ისტორია, განვითარება არ მიდის კერძოდან (თუ ეს სიტყვა ძველი გაგებით იქნა მოხმარებული) ზოგადისაკენ, არამედ მარტივიდან რთულისაკენ. ანალიზის, როგორც კვლევა-ძიების გზა კი რთულიდან მარტივისაკენ სვლის გზაა, ე. ი. ეს გზა ისტორიულის შებრუნებული გზაა. ჩვეულებრივი ინდუქცია, როგორც ცნობილია, არც ასეთი გზით სვლის მეთოდია.

არც დედუქციის გზაა ისტორიულის ამსახველი ლოგიკური გზა, რადგან არც ზოგადიდან კერძოს მიღება წარმოადგენს ისტორიულის ასახვას, რადგან არც ისტორიაშია ისეთი განვითარება, რომელიც ზოგადიდან კერძოსაკენ მიდის (თუ, ცხადია, სიტყვებს: „ზოგადი“, „კერძო“ ისე გავიგებთ, როგორც ეს ფორმალურ ლოგიკაში იხმარება).

მარტივი, როგორც ზოგადი, განვითარების დასაწყისია, მაგრამ ეს ზოგადი სრულიად თავისებურია მოცულობით. ზოგადთან შედარებით; იგი არსების, შინაარსეულ ზოგადს წარმოადგენს, რის განვი-

<sup>1</sup> კ. მარქსი, კაპიტალი, ტ. I, გვ. 22.

<sup>2</sup> იქვე, გვ. 100.



თარება კონკრეტულს, ამ აზრით, რთულს იძლევა, სადაც ზოგადი კიდევ უფრო სრულად (მრავალი მხარის დამქვემდებარებლად) არის წარმოდგენილი.

განვითარების ამსახველი ლოგიკური არც ჩვეულებრივი დედუქციაა და არც — ჩვეულებრივი ინდუქცია; ის არის დიალექტიკურ-ლოგიკური, რომელიც ორ მხარეს შეიცავს: დიალექტიკური აბსტრაქციით შესრულებულ ანალიზს და „დალაგებას“. ანუ უკეთ: დიალექტიკურ-ლოგიკური ორმხრივია: ანალიზის საშუალებით სინთეზი სრულდება; იგი ანალიზის და სინთეზის ერთიანობაა თვითონ „დალაგების“ პროცესშიც, როგორც ეს ზემოთ, ვფიქრობთ, საკმარისად გაირკვა.

დიალექტიკურ-ლოგიკური, თავისი მიმართულებით, არ არის სწორხაზობრივი, იგი ერთგვარ რკალს — სპირალს წარმოადგენს, რომლის მხარეებიც თუ სწორხაზობრივად წარმოვიდგინეთ, მაშინ ისინი ჩვეულებრივი დედუქციის და ინდუქციის გზებზე ჩამოყალიბდებიან, რომლებიც, ცნების მოცულობის საფუძველზე დგომით, მოვლენებს შეეხებიან და არა არსებებს, რომლის ამსახველ ლოგიკურსაც დიალექტიკურ-ლოგიკური, განვითარების არსების ამსახველი ლოგიკური წარმოადგენს, რის შესახებაც ზემოთ გვქონდა ლაპარაკი და შემდეგშიაც დაუმატებთ.

დიალექტიკური ანალიზის ბუნების და დიალექტიკაში დედუქცია-ინდუქციის მომენტებად გარკვევამდე, საჭიროა აღინიშნოს ლოგიკურის კიდევ ერთი თავისებური გაგება, რომელიც ინდუქციის და საერთოდ მეცნიერების მეთოდების პრობლემების გადაწყვეტას ლოგიკურის თავისებური გაგების საფუძველზე ცდილობს. ეს არის ლოგიკურის, როგორც რედუქციულ-ლოგიკურის, გაგება.

ე) რ ე დ უ ქ ც ი უ ლ - ლ ო გ ი კ უ რ ი . რედუქციის თეორიები (ზიგვარტის რედუქციის თეორია, პაულერის ფორმალურ-ლოგიკური რედუქცია, ჰუსერლის ფენომენოლოგიური რედუქცია, აქაიობატური მეთოდი თანამედროვე სიმბოლიურ ლოგიკაში და სხვ.); სწორედ იმიტომ შეიქმნენ, რომ ფორმალური ლოგიკა გარკვეულ ნაკლს შეიცავდა და საჭირო იყო მისი დაძლევა. რედუქციის თეორიები თვითონ მოწმობენ ფორმალური ლოგიკის ნაკლოვანებათა არსებობას.

ლოგიკურის რედუქციულ-ლოგიკურმა გაგებამ ერთიმეორისაგან განსხვავა ორი მეთოდი: მეცნიერების მეთოდი (მეთოდები) და ფილოსოფიის მეთოდი. მეცნიერების მეთოდებად მიჩნეულია დედუქციის და ინდუქციის მეთოდები, ფილოსოფიის მეთოდად კი რედუქციის, საფუძველზე მიყვანის და დაყვანის მეთოდი; ცდისეული მეცნიერება ინდუქციას ემყარება, რასაც არ შეიძლება ფილო-

სოფია დაემყაროს. არც დედუქციის მეთოდი წარმოადგენს ფილოსოფოსობის მეთოდს; იგი დედუქციურ მეცნიერებათა მეთოდია. არსებობს მეცნიერების მეთოდები და — შესატყვისი მეცნიერების ლოგიკა; არსებობს ფილოსოფიის მეთოდი და „ფილოსოფიის ლოგიკა“.

რაში მდგომარეობს რედუქციულ-ლოგიკურის თავისებურება, თუკი ასეთი ლოგიკური საერთოდ შესაძლებელია? ამ კითხვაზე მოკლე პასუხი შეიძლება შემდეგნაირად წარმოვიდგინოთ. რედუქციულობა, როგორც უკან — საფუძველზე მისვლა, სრულიად განსაზღვრავს ინდუქციას, რომლისთვისაც, როგორც ითქვა, ზოგადი კერძოს საფუძველია, და რომელიც სწორედ კერძოდან ზოგადის მიღებაში მდგომარეობს. დიალექტიკურ-ლოგიკურიც, როგორც აღინიშნა, არაა სწორხაზობრივი და უკანდაბრუნების მომენტს შეიცავს. მაგრამ რედუქცია, რომელსაც რედუქციის თეორიები აღიარებენ, სულ სხვაგვარი ბუნებისაა; რედუქცია, მათთვის, შედეგის საფუძველზე დაყვანა, მიყვანაა.

თანახმად რედუქციის თეორიებისა, დასაბუთება შედეგის საფუძველზე მიყვანაა და არა საფუძველიდან შედეგის გამოყვანა. საფუძველიდან შედეგის მიღებას აწარმოებენ არაკდისეული მეცნიერებანი; შედეგის საფუძველში გამართლებას კი ფილოსოფიური აზროვნება ეწევა, ამბობს რედუქციის თეორია (თეორიები). ის გარემოება, რომ ცდისეული მეცნიერება ინდუქციის გზით მიღის საფუძველამდე, რომელიც ერთგვარ რედუქციას წარმოადგენს, იმას აჩვენებს, რომ თვითონ მეცნიერების მეთოდიც მოითხოვს რედუქციას.

რედუქცია, როგორც შედეგის საფუძველში გამართლება, შედეგიდან საფუძველის მიღებას უნდა წარმოადგენდეს, ე. ი. უნდა ასრულებდეს იმ ოპერაციას, რომელიც ფორმალური ლოგიკისათვის შეცდომას ნიშნავს, რამდენადაც მიჩნეულია, რომ, მიზეზთა სიმრავლის გამო, რეგრესულ-დადებითი მოდუსის გამართლება პირობით-კატეგორიულ სილოგიზმში შეუძლებელია. მაგრამ მიზეზი თუ საფუძველი მაინც არსებობს, წინააღმდეგ შემთხვევაში, შედეგიც არ იარსებებდა, ამიტომ რედუქცია მოითხოვს, რომ როგორმე გამართლებულ იქნას შედეგიდან საფუძველზე გადასვლა, შედეგიდან საფუძველის მიღება თუ შედეგის საფუძველზე მიყვანა.

ლოგიკის ფორმალიზაცია, რომელიც აქსიომატური მეთოდის აბსოლუტურ გამოყენებას ემყარება, რედუქციის ისეთ გაგებას იძლევა, როცა საფუძველად აღებულია აქსიომები, რომლებშიც ყოველი შედეგია წინასწარ ნაგულისხმები და ლოგიკური ოპერაციები,

რომლებიც შედეგთა საფუძველში გამართლებას ისახევენ მიზნად, დაიყვანება წმინდა ანალიზურ ოპერაციებზე, საბოლოოდ, — სიმბოლოების თამაშზე. ამით კი — არა მარტო ლოგიკა გამოდის უარყოფილი, არამედ მეცნიერებაც საერთოდ.

ახერხებს თუ არა რედუქცია თავის მიზნის განხორციელებას, შედეგის საფუძველზე მიყვანას? შედეგიდან საფუძველის გამოყვანას? არის კი ეს გზა ლოგიკური? ამ კითხვაზე პასუხი მოკლედ შემდეგნაირად შეიძლება ჩამოყალიბდეს: აქ საქმე გვაქვს მისტიკასთან და ლოგიკური გამორიცხულია. რედუქციის თეორიებმა ვერ შესძლეს გაერკვიათ შედეგიდან საფუძველის მიღების გზის ლოგიკურობა, რადგან თვითონ წმინდა რედუქციულობა სიყალბეს წარმოადგენს: რედუქციას შედეგი საფუძველზე მიყავს, შედეგიდან საფუძველი გამოყავს, ისე რომ საფუძველიდან შედეგის გამოყვანა წინასწარვე აქვს ნაგულისხმევი; თუ საფუძველიდან შედეგის მიღება გარკვეული ხასიათისაა, აღნიშნული უკან დაბრუნება სრულიად გაურკვეველია, რადგან იგი სრულდება უკვე ნაგულისხმევი საფუძველის საშუალებით. როცა რაიმეს ცნება რაღაც სხვას გულისხმობს საფუძველად და ამით იგი მასზეა მიყვანილი, ამით თვითონ ეს მიყვანა ლოგიკურად გაურკვეველია, ის არ არის დასკვნითი გზა. როცა ამბობენ, რომ წანამძღვრებიდან დანასკვის გამოყვანა ეს ნამდვილად შედეგის წანამძღვრებში გამართლება, შედეგის საფუძველამდე მიყვანაა, მაშინ ეს მიყვანა და გამართლება არ არის გარკვეული, მით უმეტეს, თუ აღნიშნულ გამოყვანას უგულებელვყოფთ. აშკარა მისტიკასთან გვაქვს საქმე, როცა რედუქცია ესმით, როგორც მოვლენათა „ფრჩხილებში ჩასმა“, მათი სრული გამორიცხვა იმისათვის, რომ მიღებულ იქნას წმინდა არსება, წმინდა ცნობიერება (ჰუსერლი).

რამ გამოიწვია რედუქციის საჭიროება? რატომ დაადგა ლოგიკა რედუქციის შექმნის გზას? ეს იმიტომ მოხდა, რომ ინდუქცია ვერ იძლეოდა შედეგიდან საფუძველის აღმოჩენის გარკვეულ გზას, თუმცა მას სხვა არაფერი ევალებოდა; დედუქცია კი ასეთ გზას შეცდომათ სთვლიდა, — რეგრესულ-დადებითი მოღუსი მცდარ მოღუსად მიაჩნდა, მაშინ როცა მეცნიერება სწორედ საფუძველის და მიზეზის აღმოჩენას წარმოადგენს.

ამიტომ რედუქციის წარმოშობა იმით კი არ იყო გაპირობებული, რომ ფილოსოფიური აზრისათვის, განსხვავებით მეცნიერებისა, თითქოს რაღაც სხვა მეთოდი იყო საჭირო, ამით კი ფილოსოფია გაგებულ იქნა როგორც მეცნიერებათა მეცნიერება, არამედ რედუქციას ითხოვდა მეცნიერება, რამდენადაც იგი შედეგიდან საფუძველის აღმოჩენის ლოგიკურად გამართლებას და დასაბუთებას მოით-

ხედა, რაც ლოგიკას უნდა შეესრულებია. ამდენად, უნდა ითქვას, რომ რედუქციას მოეთხოვებოდა ის გაემართლებია, რასაც ინდუქცია ვერ იძლეოდა; ამიტომ ამბობდნენ, რომ ინდუქცია რედუქციის სახეობააო (ზიგვარტი). სხვანაირად: რედუქციის წარმოშობა არის ძველი ლოგიკური მეთოდების ნაკლოვანებათა გამომქლავება და იმის ნათელყოფა, რომ მეცნიერული აზროვნებისათვის სრულიად არ არის საკმარისი დედუქცია-ინდუქციის მეთოდები; ეს გარემოება ახალი მეთოდის მოთხოვნას ნიშნავს.

დედუქციურ და ინდუქციურ დასკვნებს გარკვეული ლოგიკური ხასიათი აქვთ; რედუქციის, როგორც გარკვეული დასკვნის, გარკვევა რედუქციის ვერცერთმა თეორიამ ვერ მოახერხა. ლოგიკამ ჯერ არ იცის რედუქციული დასკვნის ბუნება. რედუქციის თეორიები კმაყოფილდებოდნენ გარკვეული მითითებით საფუძველზე მისვლის შესახებ; ეს მისვლა კი რაღაც მისტიკური ხასიათის რჩებოდა და რჩება.

ვ) დ ი ა ლ ე კ ტ ი კ უ რ - ლ ო გ ი კ უ რ ი. როგორც აღინიშნა, დედუქცია და ინდუქცია ერთიმეორეს აუცილებლობით მოითხოვენ, ისინი ერთიმეორის ნაკლს ამქლავებენ და ამიტომ ისეთ ლოგიკურს ემყარებიან, რომელიც დედუქციურ-ლოგიკურს და ინდუქციურ-ლოგიკურს თავის თავში, როგორც მომენტებს, როგორც ერთმხრიობებს შეიცავს. ამ გარემოებას ადასტურებს ისიც, რაც ზემოთ დიალექტიკური ანალიზისა და ლოგიკური „დალაგების“ გზის შესახებ ითქვა; სწორედ აქ აღმოჩნდა ის, რომ განვითარების ამსახველი ლოგიკური მხოლოდ დიალექტიკურ-ლოგიკური შეიძლება იყოს.

მართალია, რედუქციის მეთოდი მცდარი-მეთოდია, მაგრამ ეს არ ნიშნავს იმას, რომ დიალექტიკურ-ლოგიკური გარკვეულ „რედუქციულ“ მომენტს არ შეიცავდეს. ამ მომენტის გარკვევა, ეს იქნება პაუზი შემდეგ კითხვაზე: როგორ შეიძლება შედეგიდან საფუძველი მივიღოთ? როგორ არის შესაძლებელი დიალექტიკური აბსტრაქციის საშუალებით ანალიზი შევასრულოთ ისე, რომ ასეთ ოპერაციას დასკვნის, ე. ი. ლოგიკური აუცილებლობის ბუნება ჰქონდეს? — სხვანაირად, ძველი ლოგიკის ენაზე ეს საკითხი ასე გამოიხატება: როგორ შეიძლება შესრულდეს რეგრესულ-დადებითი მოდუსი, როგორც სწორი მოდუსი?

როგორც ცნობილია, პირობით-კატეგორიული სილოგიზმის როგორც რეგრესულ-დადებითი მოდუსი, ისე პროგრესულ-უარყოფითი მოდუსი შეუძლებელ მოდუსებად, მცდარ მოდუსებად არიან მიჩნეული სწორედ იმიტომ, რომ საერთოდ ლოგიკურის ძველი გაგება მოვლენათა სიმრავლეს ემყარება; დედუქციურ-ლოგიკური

და ინდუქციურ-ლოგიკურიც ხომ ცნების ზოგადობით, როგორც მოცულობითი ზოგადობით განისაზღვრებიან? თუ შინაგან მიზეზს უარყვოფთ და მხოლოდ გარეგან მიზეზებს ვაღიარებთ, მაშინ, ცხადია, შედეგიდან რომელიმე მიზეზზე აუცილებლობით დასკვნას ვერ შევასრულებთ; ასეთ შემთხვევაში, ისიც შეუძლებელი იქნება, რომ ერთი გარკვეული საფუძვლიდან მხოლოდ ერთ შედეგზე აუცილებლობით დავასკვნათ, რადგან შეიძლება, როგორც ეს ზემოთ ითქვა, ერთი და იგივე საპირისპირო შედეგებს იწვევდეს; მაგ. წარმოების ერთი და იგივე კაპიტალისტური წესი ბურჟუაზიასაც ჰქმნის აუცილებლობით და მის საპირისპირო პროლეტარიატსაც. მაგრამ, როგორც ითქვა, აქ სრულიად სხვა მდგომარეობასთან გვაქვს საქმე.

აქ საკმარისია აღინიშნოს ის, რომ: თუ შინაგან მიზეზს, არსებას ავიღებთ, მაშინ მიზეზიც ერთი იქნება და შედეგიც, ამიტომ შესაძლებელი ხდება როგორც შედეგიდან მიზეზზე — რეალურ საფუძველზე დასკვნა, ისე საფუძვლის არარსებობიდან შედეგს არარსებობაზე დასკვნაც, — ამით კი სრულდება ოთხივე მოდუსი, როგორც სწორი მოდუსი. მაშასადამე, არსების საფუძველზე ოთხი მოდუსია შესაძლებელი, მოვლენების საფუძველზე კი — მხოლოდ ის ორი მოდუსი, რომლის სისწორესაც ძველი ლოგიკა იცავდა პირობით-კატეგორიული სილოგიზმის მოძღვრებაში.

მაგრამ სიძნელე სწორედ იმაშია, თუ როგორ შეიძლება შედეგიდან მიზეზზე დავასკვნათ ისე, რომ რეგრესულ-დადებითი მოდუსი მივიღოთ და არა ისევ პროგრესულ-დადებითი, რადგან, ასეთ შემთხვევაში, შედეგი ხომ საფუძვლად იქნება გამოყენებული? როგორც ეს ჩვენ უკვე გავარკვეეთ, რეგრესულ-დადებითი მოდუსი იმით არის შესაძლებელი, რომ შედეგი ორი ერთიმეორის საპირისპირო შედეგის სახით არის აღებული (რაც არსების საფუძველზეა შესაძლებელი და სადაც დაპირისპირება დაბოლოებულის ბუნებას ამოსწორავს) და იქედან გამოსვლით, ამ შედეგთა ურთიერთგამორიცხვის და ურთიერთგანსაზღვრის საშუალებით, ვასკვნით, ე. ი. აუცილებლობით ვღებულობთ მათ ერთიან საფუძველს. პროლეტარიატის და ბურჟუაზიის, როგორც საპირისპირო შედეგთა, ანუ ამ დაპირისპირების შემკველი შედეგის საფუძველზე ჩვენ შეგვიძლია კაპიტალისტური წარმოების წესამდე, როგორც მათ საფუძველამდე, მივიდეთ აუცილებლობით, ისე როგორც პირიქითაც. თუ არსებობს ბურჟუაზია და პროლეტარიატი, მაშინ არსებობს წარმოების კაპიტალისტური წესი, და თუ არ არსებობს წარმოების კაპიტალისტური წესი, მაშინ არ არსებობს ბურჟუაზია და პროლეტარიატი; აქ უარყოფის და წინააღმდეგობის მომენტი იძლევა საშუალებას საფუძველი და

შედგეი ერთიმეორისაგან განვასხვავოთ და მართლაც შევესარულოთ რეგრესულ-დადებითი და პროგრესულ-უარყოფითი მოდუსები, როგორც სწორი მოდუსები.

თუ უარყოფის საშუალებით კავშირს შევესარულებთ, მაშინ შეიძლება ერთი შედეგიდანაც მივიღოთ მისი საფუძველი, ისე როგორც საფუძვლის უარყოფით შედეგიც უარყოფით. მაგ., თუ წარმოება არ არის, მაშინ არ არის არც მისი საპირისპირო მოხმარება, და თუ მოხმარება არის, მაშინ არის მისი საპირისპირო წარმოება. ეს გარემოება კი სრულად წარმოსდგება მაშინ, თუ წარმოების და მისი ურთიერთ საპირისპირო მომენტების დამოკიდებულებას ყოველმხრივ გავარჩევთ. ასევე შეიძლება ითქვას ისეთი წინააღმდეგობის მხარეების დამოკიდებულებაზე, როგორიცაა პროლეტარიატის და ბურჟუაზიის დამოკიდებულება; თუ არ არის პროლეტარიატი, არ არის არც ბურჟუაზია და თუ არის ბურჟუაზია, მაშინ აუცილებლად არის პროლეტარიატი, და სხვ.

მაგრამ ასეთ შემთხვევებში ჩვენ შინაარსეულ ზოგადს და კერძოს, როგორც მის ერთ მხარეს, ვემყარებით და არა მოცულობით ზოგადს და კერძოს.

ღიალექტიკური აბსტრაქციის გზით შესრულებული ანალიზი, როგორც დაპირისპირების შემცველი შედეგიდან მისი ამხსნელი საფუძვლის, როგორც უფრო ზოგადის, მიღების გზა უნაკლოდ არის განხორციელებული კ. მარქსის „კაპიტალში“, რომელიც, ამ აზრით, სპეციალური გამოკვლევების საგნად უნდა გადაიქცეს, რათა შესაძლებელი გახდეს ღიალექტიკურ-ლოგიკურთან დაკავშირებული ყოველი საკითხი ყოველმხრივ გაირკვეს.

როგორც ცნობილია, საქონლის ანალიზი, საიდანაც „კაპიტალი“ იწყება, არის გარჩევა საქონელის საპირისპირო მხარეებისა; ეს მხარეებია სახმარი ღირებულება და ღირებულება; ეს წინააღმდეგობა გადაწყვეტას მოითხოვს, წინააღმდეგ შემთხვევაში, სასაქონლო მეურნეობა შეუძლებელი იქნება. არც აღნიშნული წინააღმდეგობის გარეშე შეიძლება არსებობდეს სასაქონლო მეურნეობა და არც წინააღმდეგობის გადაწყვეტის გარეშე.

საქონლის წინააღმდეგობიდან აუცილებლობით გამომდინარეობს ის, რაც გადაწყვეტს წინააღმდეგობას; ეს არის საყოველთაო ეკვივალენტი, ფული, როგორც ზოგადობა, რომელზედაც ყველა საქონელი იცვლება და რომელშიც ყველა საქონელია წარმოდგენილი და გაერთიანებული.

თუ საქონელი, მოცულობის მიხედვით, ზოგადია ფულთან შედარებით (უჭული განსაკუთრებული საქონელია), ფული საქონლის მიმართ ზოგადია შინაარსეულობის აზრით, ე. ი. როგორც შინაარსე-

ული ზოგადი. საქონელი შინაარსეული ზოგადია, როგორც დაპირისპირებულთა ერთიანობა, მაგრამ ყველა საქონელი ფულის მიმართ მოცულობითი ზოგადია.

თუ ზოგადიდან კერძოს გამოყვანა არის დედუქცია, მაშინ ყველა საქონლების შესახებ დებულებებიდან გამოვა დებულება ფულის, როგორც განსაკუთრებული საქონლის შესახებ. თუ ინდუქცია კერძოდან ზოგადის მიღებაა, მაშინ დიალექტიკურად გაგებული „ინდუქცია“ (რომელიც აღარაა ჩვეულებრივი ინდუქცია) იქნება საქონლიდან, დიალექტიკური ანალიზის საშუალებით, იმ სინთეტურობის მიღება, რომელიც ფულის ზოგადობას წარმოადგენს. მაგრამ დიალექტიკური პროცესი საქონლის, როგორც კატეგორიის, ფულზე, როგორც კატეგორიაზე გადასვლისა ანალიზ-სინთეზის და, შესატყვისად, დედუქცია-ინდუქციის მომენტებს თავის თავში აერთიანებს.

ასე ითქმის ფულის კაპიტალზე გადასვლის შესახებაც. კაპიტალის კატეგორია უფრო ზოგადია ფულზე, რამდენადაც კაპიტალი ფულს (და ყველაფერს კაპიტალისტურ საზოგადოებაში) იქვემდებარებს. ფული კერძოცაა და ზოგადიც კაპიტალის მიმართ, სხვადასხვა გაგებით, ისე როგორც პირიქით.

როგორც ეს ზემოთ რამოდენიმეჯერ იქნა ხაზგასმით აღნიშნული, კერძოს — (ანუ ცალკეულის, რაც, არსებითად, იგივე ერთეულია) და ზოგადის კავშირი აუცილებლობის ხასიათისაა. ზოგადი და კერძო ერთიმეორის გარეშე არ არსებობს; ასეთივე კავშირია ზოგადის და კერძოს ცნებებს შორის. მაგ., ადამიანობა არ არსებობს კერძო ადამიანების გარეშე. ადამიანობის, როგორც ასეთის, კერძო, ერთეული ადამიანობისაგან დამოუკიდებლად წარმოდგენა (რასაც ადგილი ჰქონდა პლატონთან და მის მიმდევარ რეალისტებთან) და იმის აღიარება, რომ ნამდვილად მხოლოდ ზოგადი არსებობს და კერძო კი მისი მხოლოდ მოჩვენებაა, — ე. ი. მხოლოდ ზოგადის აღიარება ნამდვილად ზოგადის უარყოფას წარმოადგენს, რადგან განცალკევებული ზოგადი უკვე ცალკეულია და არა ზოგადი; მხოლოდ ზოგადის აღიარება სწორედ ზოგადის უარყოფაა. ეს იმას ნიშნავს, რომ კერძოს, ცალკეულის უარყოფა სწორედ კერძოს, ცალკეულს ასაბუთებს. აქ უსათუოდ არსებობს დაუბოლოებელის მომენტი და მისი შესატყვისი ლოგიკური აუცილებლობა.

ასევე, ზოგადის უარყოფა და მხოლოდ კერძოს, ცალკეულის, ერთეულის აღიარება, ან ყველაფრის უარყოფამდე მიღის და ცოდნის, სწორედ ჰემმარტი ცოდნის, ჰემმარტიების შეუძლებლობას აღიარებს, ან იძულებულია ზოგადი როგორღაც მაინც მიიღოს. ამ გარემოებას ამტკიცებს ნომინალიზმი და მისი განვითარება თანამედროვე რეაქციულ თვალსაზრისით — „ლოგიკური პოზიტივიზ-

მით“ (რასელი, ვიტგენშტეინი, კარნაპი) დამთავრებული. თუ ადრე ნომინალიზმი ზოგადს უარყოფდა, იგი იძულებული იყო სიტყვის ზოგადობა და სიტყვის გარკვეული მნიშვნელობა მაინც აღიარებინა; თანამედროვე „ლოგიკური პოზიტივიზმი“ (მაგ., კარნაპის თეალსაზრისი) კი სიტყვის ყოველგვარ მნიშვნელობას უარყოფს და მთელი ჩვენი ცოდნა სიმბოლოების თამამამდე დაყავს; მაგრამ სიმბოლოთა გარკვეული კავშირები ამ კავშირთა წესების ზოგადობას აუცილებლობით მოითხოვს. ეს წესები მართალია, „ლოგიკური პოზიტივიზმისათვის“ შეთანხმების (კონვენციონალიზმი) შედეგია (ამით მათ ნამდვილი ზოგადობის აზრი წართმეული აქვთ), მაგრამ თავისებურ ზოგადობებს მაინც უნდა წარმოადგენდნენ. ყოველგვარი ზოგადობის უარყოფა ჰემმარიტი ცოდნის, ჰემმარიტების უარყოფას იძლევა. მაგრამ ჰემმარიტების უარყოფა თვითონ უნდა იყოს ჰემმარიტება, წინააღმდეგ შემთხვევაში, თვითონ უარყოფასაც აზრი დაეკარგება. ამასთანავე, ზოგადის უარყოფა და მხოლოდ კერძოს, ერთეულის აღიარება ამ უკანასკნელს აძლევს ზოგადობის მნიშვნელობას. მაშასადამე, აქაც არსებობს დაუბოლოებელის მომენტი და მისი შესატყვისი აუცილებლობა.

ამრიგად, კერძოს უარყოფა ისევ კერძოს ასაბუთებს; ზოგადის უარყოფა კი სწორედ ზოგადს, როგორც საფუძველს, ასაბუთებს, მას მოითხოვს აუცილებლობით; კერძოს აღიარება ზოგადის აღიარებას იწვევს აუცილებლობით, რადგან კერძო სწორედ ზოგადის კერძოა. ზოგადის დაშვება კი აუცილებლობით უშვებს კერძოს. მაშასადამე, ზოგადი და კერძო ერთი მეორის საპირისპირო ცნებებია, მაგრამ აუცილებელ ერთიანობაშიც იმყოფებიან.

ზოგადის და კერძოს ეს დიალექტიკური კავშირი სინამდვილის ამსახველი ლოგიკური, დასკვნითი კავშირია, რომელიც ვფიქრობთ, ყოველგვარ ლოგიკურ კავშირს განსაზღვრავს. ზოგადის და კერძოს კავშირი, რომლის გაგებაზეც ისტორიაში „თავს იმტერევენენ“ უდიდესი მოაზროვნეები, სხვადასხვა მხარეს შეიცავს; ეს მხარეები სხვადასხვა დროს, სხვადასხვა სააზროვნო სისტემებში აღმოჩნდნენ, და ამით მომზადდა ნიადაგი ზოგადის და კერძოს დიალექტიკური კავშირის აღმოჩენისა და მეცნიერული დასაბუთებისათვის.

ზოგადის და კერძოს დიალექტიკური კავშირი, ერთიანობა, როგორც დაპირისპირებულთა ერთიანობა დამსაბუთებელი და შემცველია შემდეგი სხვადასხვა ლოგიკური კავშირის როგორც მისი მხარეებისა:

1) თუ არის ზოგადი, მაშინ არის კერძოც. ამ დებულებას უნდა ემყარებოდეს კატეგორიული სილოგიზმი, რამდენადაც ეს დასკვნა ზოგადიდან კერძოს გამოყვანას უნდა წარმოად-



გენდეს. მაგრამ ამ გამოყვანის მოთხოვნას, როგორც აღინიშნა, კატეგორიული სილოგიზმი ვერ ასრულებს, რადგან მასში კერძობითი დანასკვი იმ კერძობით განისაზღვრება და მას იმეორებს, რომელსაც საფუძველში — წინამძღვრებში აქვს ადგილი.

ამ დებულებას ისიც ემყარება თუ ა) როგორ მიიღება მარტივიდან კონკრეტული, სახელდობრ, მარტივი კატეგორიიდან — უფრო კონკრეტული კატეგორია, და ბ) კერძო, როგორც ერთმხრივი — როგორ უკავშირდება შინაარსეულ ზოგადს.

2) თუ არის ზოგადი, მაშინ არ არის კერძო. ეს ერთმხრივი დებულება პირველ დებულებას უპირისპირდება, და ხორციელდება, მაგ., კატეგორიული სილოგიზმის იმ მოდუსებში, სადაც ზოგადიდან ზოგადი გამოდის და არა კერძო; საერთოდ, ზოგადის მიღება კერძოს გამორიცხავს, რამდენადაც კერძო ზოგადის საპირისპიროა. თუ არის ზოგადი, მაშინ, მართლაც, ზოგადია და არა კერძო.

მაგრამ, როგორც აღინიშნა, ზოგადი ზოგადის მიმართ იგივე ერთეულია, ამიტომ აღნიშნულ დებულებას ემყარება ერთეულიდან ერთეულის მიღებაც. ამიტომ სწორია დებულება:

3) თუ არის კერძო, მაშინ არ არის ზოგადი. კერძოს მიღება სწორედ კერძოს მიღებაა და არა ზოგადის. ეს დებულება მართლდება კატეგორიული სილოგიზმის იმ მოდუსებში, სადაც კერძო სწორედ კერძოს საფუძველზე მიიღება. მეორე და მესამე დებულებებს ამართლებს ე. წ. არასილოგისტური დასკვნები, სადაც ერთეულები ერთეულებს უკავშირდებიან; თვითონ ეს კავშირები კი ზოგადს ემყარებიან და მას წარმოადგენენ.

4) თუ არ არის ზოგადი, მაშინ არ არის კერძო. ეს დებულება პირველი დებულების შებრუნებული დებულებაა. თუ არის ზოგადი, მაშინ არის კერძოც, ამიტომ თუ არ არის ზოგადი, არც კერძო არის. აქ უარყოფითადაა გამოთქმული კერძოს ზოგადთან კავშირი. მაგრამ თუ არ არის ზოგადი, მაშინ არ არის კერძო, — ამიტომ:

5) თუ არ არის კერძო, მაშინ არ არის ზოგადი, ეს დებულება, უარყოფითად გამოსთქვამს კერძოდან ზოგადის მიღებას, რომლის დადებითი გამოთქმა იქნება დებულება:

6) თუ არის კერძო, მაშინ არის ზოგადიც. ეს დებულება, რომელიც კერძოსა და ზოგადის კავშირის მხოლოდ ერთ მხარეს გამოთქვამს, წარმოადგენს ინდუქციური დასკვნების საფუძველს, რამდენადაც ინდუქცია გაგებულება, როგორც კერძოდან ზოგადის გამოყვანა; როგორც ითქვა, ინდუქცია სრული ლოგიკური აუცილებლობით ვერ ასრულებს ამ მეექვსე დებულების მოთხოვნას, — ამდენად ინდუქციური დასკვნა ალბათური ხასიათისაა.

კერძოდან ზოგადის მიღების შესახებ დებულება საფუძვლად უქვეს ისეთ გამოყენებასაც, რომელიც დიალექტიკური ანალიზით უნდა შესრულდეს, რის შესახებაც ზემოთ გეჭონდა საუბარი.

7) თუ არ არის ზოგადი, მაშინ არის კერძო. ეს დებულება თავისთავად ცხადია, რამდენადაც ზოგადის უარყოფა კერძოს გვაძლევს. ამ დებულებებზე დამყარებული დასკვნები რომ შეუძლებელი იყვნენ, მაშინ ზოგადის უარყოფელი თვალსაზრისები არც იარსებებდნენ. ეს მცდარი თვალსაზრისები აბსოლუტურად წარმოადგენენ იმას, რაც კერძოს და ზოგადის დამოკიდებულების მხოლოდ ერთ მხარეს შეადგენს.

8) თუ არ არის კერძო, მაშინ არის ზოგადი. ეს დებულება საფუძვლად გამოიყენება მაშინ, როცა კერძოს უარყოფით ზოგადს დებულობენ. კერძოს უარყოფელი თვალსაზრისები, როგორც ითქვა, ყალბია, მაგრამ ზოგადის კერძოსადმი დაპირისპირება, რომელიც გარკვეულ უარყოფას შეიცავს, ერთი მომენტი თვითონ ზოგადის და კერძოს აუცილებელი კავშირისა.

ზოგადის და კერძოს დიალექტიკურ ერთიანობაში კერძო ზოგადს უარყოფს და ზოგადი კერძოს, მაგრამ ისინი ერთიმეორის გარეშეც არ არსებობენ, — ერთი მეორეს ასაბუთებენ, ე. ი. ერთიანობაში იმყოფებიან<sup>1</sup>.

აქ ჩამოთვლილი რვა დებულებიდან: პირველი და მეორე, მესამე და მეექვსე, მეოთხე და მეშვიდე, მცხუთე და მერვე დებულებანი, საფუძვლის შედეგთან კავშირის აზრით, ერთიმეორისადმი საპირისპირო დებულებებს წარმოადგენენ. ხოლო: პირველი და მეოთხე, მეორე და მეშვიდე, მესამე და მერვე, მცხუთე და მეექვსე დებულებები ერთი მეორის მიმართ შებრუნებულ დებულებებს შეადგენენ. მაგრამ ასეთი დებულებანი ერთი მეორეს კი არ აბათილებენ (თუმცა, უარყოფის გამო, ნაწილობრივ გაბათილებას უსათუოდ აქვს ადგილი), არამედ ერთი და იგივე კავშირის საპირისპირო მხარეებს გამოხატავენ. აღნიშნული დებულებები ალებული უნდა იქნას არა აბსოლუტურად, არამედ შეფარდებითად, — ურთიერთკავშირში, თუ ჩვენ გვსურს სრულად წარმოვიდგინოთ ის, რასაც ლოგიკური კავშირი წარმოადგენს.

აღნიშნული დებულებები ცალკეულ მხარეებს გამოხატავენ იმისა, რაც ზოგადის და კერძოს სრულ კავშირს წარმოადგენს. აქ მხარეები ფორმალურად სრულად არის ჩამოთვლილი, შინაარსურად კი აღნიშნული დებულებები ღრმად იჭრება და ამოსწორავს

<sup>1</sup> ჩვენ აქ ვკმაყოფილებით დასკვნათა კლასიფიკაციის პრინციპის აღნიშვნით; თვითონ დასკვნათა კლასიფიკაცია კი სპეციალურად უნდა იქნას გამოკვლეული.

სრულ კავშირს, რომელიც უარყოფის მომენტს თავის თავში შეიცავს.

აღნიშნული დებულებებიდან თითოეული გარკვეული დასკვნის პრინციპად გამოიყენება. ამ დებულებების საფუძველზე შესაძლებელი დასკვნები გარკვეულ გამომდინარეობას წარმოადგენენ. ყოველი გამომდინარეობა არის კავშირი, მაგრამ არა სრული კავშირი. ეს უკანასკნელი თვითონ არ არის გამომდინარეობა, მაგრამ ყოველგვარ გამომდინარეობას უძევს საფუძველად. ასეთ სრულ კავშირს წარმოადგენს ზოგადის და კერძოს დიალექტიკური ერთიანობა, რომელიც გარკვეულ ლოგიკურ, დასკვნით კავშირს წარმოადგენს. ზოგადის და კერძოს, როგორც კატეგორიების, კავშირი, მთა დიალექტიკური ერთიანობა თვითონ არის სრული დიალექტიკურ-ლოგიკური კავშირი.

ზოგადი, როგორც ცნობილია, არ არსებობს კერძოს გარეშე, რადგან ცალკე წარმოდგენილი ზოგადი ზოგადი კი არაა, არამედ სწორედ ცალკეულია. კერძოც არ არსებობს ზოგადის გარეშე, რადგან კერძო სწორედ ზოგადის კერძოს წარმოადგენს. ზოგადი და კერძო ერთმეორის საპირისპირო ცნებებია, რომლებიც ერთმეორის გარეშე აზრს ჰკარგავენ. ზოგადს და კერძოს მხოლოდ ერთმეორესთან აუცილებელ კავშირში აქვთ აზრი და გამართლება. ამრიგად, ზოგადის და კერძოს დიალექტიკური ერთიანობა, როგორც დაპირისპირებულთა აუცილებელი კავშირი, არის ის მთელი, ის ერთიანობა, რომელიც უარყოფას, როგორც არსებითს, თავის თავში შეიცავს. ამ ერთიანობის მხარეები ერთი მეორის მიმართ აუცილებელი და საკმაო საფუძველია; ასეთია სრული ლოგიკური კავშირი.

როგორც ახლა აღინიშნა, ზოგადის უარყოფა ისეთ კერძოს გვაძლევს, რომელიც აუცილებლობით ზოგადს მოითხოვს; კერძოს უარყოფა ისეთ ზოგადს გვაძლევს, რომელიც ცალკეულს და კერძოს წარმოადგენს. ამიტომ ზოგადის და კერძოს კავშირი შინაგანი უარყოფით დაფუძნებული აუცილებელი დადებითი კავშირია, რაც დაუბოლოებელის ზემოდ განხილულ ბუნებას, როგორც ერთეულის არსებას, წარმოადგენს.

ზოგადის და კერძოს (ერთეულის) დიალექტიკური ერთიანობის მხარეები როგორც ითქვა, არამარტო ცალკეული დასკვნების პრინციპებს წარმოადგენენ, არამედ როგორც პირობითს, ისე კატეგორიულ მსჯელობებსაც შეადგენენ. მსჯელობის „ცუგა არის ძალი“ აზრი, ვ. ი. ლენინის თქმით, მდგომარეობს დებულებაში: „ერთეული არის ზოგადი“. მსჯელობათა ერთიანობა კი დასკვნებს, გარკვეულ ლოგიკურ შუალობით კავშირებს წარმოადგენს, მაგრამ ამ

კავშირთა ზოგადი აზრი, როგორც ითქვა, ცნებას გვაძლევს. ასეა დაკავშირებული ერთიმეორესთან აზროვნების ლოგიკური ფორმები, რომელთა ზოგადი ბუნება, როგორც ლოგიკური, ჩვენი გამოკვლევის საგანს შეადგენს.

წინააღმდეგობის ერთიანობის, როგორც ლოგიკურის უზოგადესი კანონის, გარკვევა საფუძველს მოგვცემს დიალექტიკური დასკვნის, როგორც აუცილებელი კავშირის, სპეციალური წესები იქნეს განხილული. როგორც ვხედავთ, ერთ-ერთი ასეთი წესთაგანი იქნება წესი, რომ დასკვნა უსათუოდ უარყოფით ელემენტს უნდა შეიცავდეს, ძველი ლოგიკის ენით რომ ვთქვათ, — დიალექტიკური დასკვნის ერთ-ერთი „წინამძღვარი“ უსათუოდ უარყოფითი უნდა იყოს, ე. ი. დადებითი სინთეზური კავშირი უარყოფის საშუალებით უნდა შესრულდეს (უარყოფითობა აზრის ელემენტი იქნება და არა წინააღმდეგობის გრამატიკული ფორმა; ლოგიკურის სინტაქსზე დაყვანა კარნაპის იდეალიზმს მოგვცემს).

ამასთანავე, ნათელია, რომ არსების ამსახველ ლოგიკურში ორი სახის მსჯელობა მოქმედებს, სახელდობრ, დადებითი და უარყოფითი მსჯელობები, რომელთაც შედარებითი მნიშვნელობა აქვთ (ამ შედარებითობაშია შედარებით-ლოგიკურის ბუნებაც). სწორედ აქ გაირკვევა ცნების, როგორც საგნის არსების ამსახველის, აუცილებელი კავშირი მსჯელობა-დასკვნებთან (ძველმა, ფორმალურმა ლოგიკამ კი ასეთი კავშირი ვერ მონახა; მან ცნებაში არსებითი ნიშნების მოცემა მოინდომა, მსჯელობასა და დასკვნაში კი წარმოდგენას ისე ხმარობდა როგორც ცნებას, და არსების და არაარსების შესატყვისი ლოგიკური და მისი მხარე ერთიმეორისგან ვერ გაარჩია). ამ კავშირისათვის არსებითია ამ შრომაში გარჩეული დიალექტიკური აბსტრაქციის ბუნება. ასეთი აბსტრაქციის საფუძველზე კერძობა გაგებულ უნდა იქნეს როგორც ერთმხრიობა, სახელდობრ, საპირისპიროთა ერთმხრიობა, ზოგადობა კი როგორც ერთიანობა, როგორც კონკრეტული, შინაარსეული ზოგადი (და არა მოცულობითი ზოგადი, რომელიც შინაარსეულის შედგენილი და ერთეული მოვლენების სიმრავლეს ემყარება), — და სხვა, მაგრამ ეს და საერთოდ ლოგიკური ფორმების და მათი სახეების შესახებ საკითხები სპეციალურ შრომაში უნდა გაირკვეს, რომლის შესავალსაც ანუ პირველ ნაწილს წინამდებარე ნარკვევი წარმოადგენს.

ამ შრომის უკანასკნელი თავის მთავარი აზრი შეიძლება შემდეგ დებულებებში ჩამოვაყალიბოთ:

1. ლოგიკური კავშირი რეალურ-ისტორიულის არსების ასახვას

წარმოადგენს. ლოგიკური ქვეშარიტებით განისაზღვრება; ორივე დაპირისპირებულთა ერთიანობას წარმოადგენს.

2. სრული ლოგიკური წარმოადგენს საფუძვლის და შედეგის ერთიანობას, რომელიც მოძრაობა-განვითარების არსებას ასახავს.

3. ყოველგვარი დასკვნითი კავშირი ზოგადის და კერძოს ერთიანობას ემყარება. ზოგადის და კერძოს ერთიანობა თვითონ არის თავისებური დასკვნა, როგორც დაპირისპირებულთა აუცილებელი დაღებითი კავშირი, რომლის მხარეებსაც სხვადასხვა გვარი ლოგიკური გამომდინარეობანი შეადგენენ.

მთელი შრომის აზრი შეიძლება შემდეგი წინადადებით გამოითქვას: მოძრაობა-განვითარებაში მყოფი საგნის არსების ამსახველი აზრთა ლოგიკური კავშირი არის დაპირისპირებულ მსჯელობათა ერთიანობა, რომელიც დასკვნით კავშირს წარმოადგენს, რის ზოგად აზრსაც ცნება შეადგენს.

ზოგადობის უარყოფა, წმინდა სიმბოლოების თამაშის აღიარება, ლოგიკაში აქსიომატური მეთოდის გამოყენება, მეტალოგიკურზე დაყრდნობა და სხვ., რომლებიც გაბატონებულია თანამედროვე ბურჟუაზიულ ლოგიკურ მოძღვრებებში, შედეგად ლოგიკის მეცნიერების უარყოფას გვაძლევს.

---



## РЕЗЮМЕ

### О ДИАЛЕКТИЧЕСКОЙ ПРИРОДЕ ЛОГИЧЕСКОЙ СВЯЗИ

Марксистско-ленинская философия как качественно новое мировоззрение, освещающее трудящимся массам путь к социализму и коммунизму, подняла на новую ступень науку вообще и науку логики в частности. Высшей ступенью развития логики является диалектическая логика, как революционный и полностью объективный метод, и опирающееся на этот метод учение о формах мышления — понятии, суждении, умозаключении и доказательстве. С точки зрения диалектического материализма, проблема логического есть проблема диалектико-логического.

Один из главных спорных вопросов науки логики — вопрос о соотношении формальной логики и логики диалектической. Дискуссия по этой проблеме, проведенная журналом «Вопросы философии» в 1950 — 1951 г. и фактически продолжающаяся до сих пор, выявила, что среди советских логиков по этому вопросу имеется в основном два мнения.

Одна группа советских логиков считает, что существует одна единственная логика — логика формальная, которая изучает формы, законы и правила правильного мышления; диалектическая же логика есть теория познания, метод познания и преобразования действительности, а не учение о логических формах мышления (понятии, суждении, умозаключении).

По мнению второй группы, кроме формальной логики, отображающей простые отношения предметов и явлений и применяемой на низшей ступени познания, существует и диалектическая логика, соответствующая высшей ступени познания. Сторонники этого мнения утверждают, что подлинно научная логика — это марксистская, диалекти-

ческая логика; она, как наука о формах мышления, «непочатый край роботы» для советских логиков.

Обе группы советских логиков пытаются опереться на положения классиков марксизма-ленинизма. Именно эта общая основа дает гарантию того, что советские логики разрешат спорную проблему и придут к одному определенному, правильному результату.

Но надо отметить и то, что этот результат пока не виден. Спор все еще продолжается, так как: 1) спор пока не пошел дальше цитирования работ классиков марксизма-ленинизма, т. е. пока еще никто не попытался творчески разработать и решить вопрос и 2) пока нет однозначного, для всех советских философов и, в частности, логиков приемлемого понимания положений классиков марксизма-ленинизма о логике.

Мы ставим себе целью осветить один основной вопрос диалектической логики и внести этим посильный вклад в дело разработки этого вопроса; цель нашей работы заключается не в исчерпывающем рассмотрении всех вопросов, обнимаемых проблемой отношения формальной и диалектической логики, а только в общей характеристике природы логической связи. Мы считаем, что логическая связь по своей природе диалектична и должна изучаться диалектической логикой, формальная же логика учитывает только одну сторону этой связи.

Для подтверждения того, что логическая связь имеет диалектический характер и что исследование должно вестись именно в этом направлении, можно привести соответствующие положения из работ классиков марксизма-ленинизма, такие, например, как: 1) Диалектика прорывает «узкий горизонт формальной логики»<sup>1</sup>; 2) Ошибаются, когда «результаты, добытые в диалектической области, хотят доказать посредством формальной логики»<sup>2</sup>; 3) «Логика диалектическая требует того, чтобы мы шли дальше»<sup>3</sup>. «Прорвать узкий горизонт», «пойти дальше» значит не начать, как это иногда думают, другую, новую науку, а продолжить путь, создать более совершенную логику; в противном случае «идти дальше» не имело бы смысла; 4) «Диалектическая логика, в противоположность

<sup>1</sup> Ф. Энгельс, Анти-Дюринг, 1950, стр. 127.

<sup>2</sup> Там же.

<sup>3</sup> В. И. Ленин, Соч; т. 32, стр. 72.



старой, чисто формальной логике, не довольствуется тем, чтобы перечислить и без всякой связи поставить рядом друг возле друга формы движения мышления, т. е. различные формы суждений и умозаключений. Она, наоборот, выводит эти формы одну из другой, устанавливает между ними отношение субординации, а не координации, она развивает более высокие формы из нижестоящих<sup>1</sup>. Это значит, что логические формы мышления должны быть рассмотрены диалектически, т. е. в развитии; 5) «Если все развивается, то относится ли сие к самим понятиям и категориям мышления? — Если нет, значит мышление не связано с бытием. Если да, значит есть диалектика понятий и диалектика познания, имеющая объективное значение»<sup>2</sup>; 6) «Человеческие понятия не неподвижны, а вечно движутся, переходят друг в друга, переливаются одно в другое, без этого они не отражают живой жизни. Анализ понятий, изучение их, «искусство оперировать с ними» (Энгельс) требует всегда изучения движения понятий, их связи, их взаимопереходов»<sup>3</sup>; 7) «Диалектика вещей создает диалектику идей, а не наоборот»<sup>4</sup>; 8) Законы диалектики являются и «законами диалектического мышления»<sup>5</sup>; 9) Диалектика является «наиболее высшей формой мышления»<sup>6</sup>; 10) Каждое суждение, например, «Иван человек», «Жучка—собака» есть единство противоположностей<sup>7</sup> и др.

На основе положений классиков марксизма-ленинизма мы пытаемся обосновать, что подлинно логическое есть необходимая связь мыслей, отражающих материальную действительность; подлинно научное понимание природы логической связи возможно только на основе марксистско-ленинской теории отражения.

Рассмотреть формы мышления на основе материалистической диалектики — значит подчинить их принципу отражения и пойти в логической связи черты диалектики, так как марксистско-ленинская теория отражения, в противоположность мета-

---

<sup>1</sup> Ф. Энгельс, Диалектика природы, 1950, стр. 177.

<sup>2</sup> В. И. Ленин, Философские тетради, 1947, стр. 239.

<sup>3</sup> Там же, стр. 237.

<sup>4</sup> Там же, стр. 169.

<sup>5</sup> Ф. Энгельс, Анти-Дюринг, стр. 14, 24.

<sup>6</sup> Там же, стр. 312.

<sup>7</sup> В. И. Ленин, Философские тетради, стр. 329.

физически-материалистической, есть именно диалектико-материалистическая теория.

В работе используются данные таких наук, как политическая экономия, математика и др.; во исполнение завета В. И. Ленина, рассмотрены вопросы логики «Капитала»; с целью выяснения природы логической связи в работе специально рассматриваются, с использованием некоторых категорий материалистической диалектики, следующие вопросы: 1) значение определения для понимания природы логического, 2) определение логической необходимости, 3) основной логический закон и 4) природа осново-следственного отношения, т. е. те вопросы, исследование которых должно лечь, по нашему мнению, в основу специальных исследований о суждении и умозаключении.

Работа содержит ответ на вопрос: каково диалектико-логическое? Этот вопрос в сущности равнозначен следующему: если для формально-логического характерна, в основном, невозможность противоречия, то как следует понимать логическое, которое характеризуется диалектическим внутренним отрицанием, внутренним противоречием? Если логическое диалектично, то оно должно характеризоваться внутренним отрицанием, внутренним противоречием, так как диалектика есть, в сущности, внутреннее противоречие. Надо ответить и на следующий вопрос: как связано внутренне противоречивое, заключающее в себе внутреннюю противоположность логическое с тем логическим, которое исключает противоречие? Этот вопрос в сущности тождественен проблеме синтетически-логического, проблеме, которая на всем протяжении истории логики, из-за метафизического подхода к ней, оставалась нерешенной.

При рассмотрении основных вопросов в работе раскритикованы ограниченность формальной логики, немарксистские теории по специальным вопросам логики; особое внимание уделяется критике соответствующих мест логики Гегеля и различного рода современных субъективно-идеалистических теорий.

## 1. О ЗНАЧЕНИИ ОПРЕДЕЛЕНИЯ ДЛЯ ПОНИМАНИЯ ЛОГИЧЕСКОГО

Особенности логического, логической связи мыслей определяются предметом, существующим объективно, независимо

от мысли и отражаемым в мышлении; форма логического определяется его содержанием; этим и обусловлен объективный характер логических форм, законов и правил логической связи мыслей. Природу логической связи определяет закономерность материальной действительности.

Признаки, определенности, характеризующие предмет, выражаются мыслью, поэтому определенности предмета определяют содержание мысли, отражающей их. Содержание мысли — это какая-либо определенность (или определенности) высказываемого ею предмета. Содержание предмета есть его определенность, а именно то, что представляет он из себя. Определенность мысли есть так же то, что она представляет собою. Мысль же является пониманием-отражением предмета.

Например, одна определенность розы — это то, что она — растение; эта определенность розы высказывается суждением: «роза растение». Так же обстоит дело и в других случаях. Империализм характеризуется признаками: концентрация капитала, создание монополий, вывоз капитала, паразитизм и др., современный капитализм характеризуется стремлением к максимальной прибыли, социализм же — стремлением к удовлетворению материальных и культурных потребностей всего общества на базе преимущественного развития производства средств производства и т. д. и т. п. Мысль определяется тем, что отражается ею.

Говорят, что логическое есть только форма, которая равнодушна к содержанию. Это, в сущности, кантианская и безусловно ложная мысль, так как: 1) мысль и связь мыслей определяются предметами и их связями, так как первые являются отражением последних. 2) если, например, одна и та же положительная форма суждения высказывает различные содержания, то и здесь положительная связь, существующая в предмете и предметах, есть то содержание, которое определяет указанную форму логического. Хотя суждения — «роза — цветок», «Жучка — собака», «человек смертен», «социализм характеризуется неантагонистическими противоречиями» высказывают различные содержания, в то время как все эти высказывания осуществлены в форме положительного суждения, однако несмотря на это, форма мысли определяется все-таки содержанием, так как в данных случаях положительная форма суждения опре-

деляется тем, что во всех указанных примерах мы имеем положительную связь. Положительная связь между явлениями, как перенесенное и переработанное в мышлении содержание, определяет логическую форму мысли, в данном случае положительную форму суждения.

Следовательно, содержание и форма мысли и отличаются друг от друга и находятся в единстве, а именно — содержание определяет форму. Положительные и отрицательные связи, существующие в действительности, определяют такие же связи мыслей.

3) Сама логическая форма мысли имеет свое содержание<sup>1</sup>. Понятие, суждение, умозаключение имеют свое собственное содержание. То, что представляет собою понятие, и есть его содержание; то же можно сказать о суждении и умозаключении. Определение есть именно высказывание содержания.

Следовательно, не существует чистой формы; форма есть определенность содержания и, понятно, определяется им.

Из вышесказанного непосредственно следует, что диалектико-материальная действительность определяет диалектическое мышление, диалектический способ и форму этого мышления.

Диалектичность материальной действительности заключается в том, что она постоянно движется и развивается. Движение материи, — учит диалектический материализм, имеет множество форм. Каждая из этих форм есть предмет той или иной науки. Предмет определяет науку. Мысль определяется предметом.

Природа движения определяет высказывающую ее мысль. Движение, как известно, противоречиво. Это полностью выявляет и простейшая форма движения — механическое движение. Каждый движущийся предмет и находится в данной точке и не находится. Здесь в противоречивой форме высказана противоречивая природа движения. Тот, кто считает мысль, заключающую противоречие ошибкой, отрицает и движение (напр. Зенон и его последователи). Противоречивая природа движения вынуждает нас высказывать его такой, заключающей противоречие, мыслью, которая будет именно истиной, а не заблуждением.

---

<sup>1</sup> К. Марх, *Das Kapital*, 9<sup>o</sup>, 21, 1867.

Следовательно, определенность предмета диалектична и поэтому логическое мышление является и должно быть таковым. Диалектическая определенность необходимо представляет собою синтетическую связь.

Каждый предмет имеет две стороны — существенную и несущественную, сущность и явление. Мысль, отражающая сущность предмета, называется понятием. Ввиду того, что каждый предмет движется и развивается, понятие того или иного предмета должно быть логическим отражением сущности предмета в ее развитии<sup>1</sup>; иначе: определение понятия должно быть установлением мысли, отражающей сущность развивающегося предмета. Материалистическая диалектика учит, что сущность движущегося и развивающегося предмета есть характеризующее его внутреннее противоречие.

Сущность предмета, как внутреннее противоречие, выражается в понятии, в мысли, которая устанавливается единством противоположных суждений. Напр., механическое движение предмета означает то, что он в одно и то же время и находится и не находится в одном и том же месте. Движение содержит в себе и покой, оно есть единство движения и противоположного ему (покоя), жизнь содержит в себе смерть; процесс жизни есть единство жизни и смерти; свобода не исключает необходимости, а содержит ее в себе, поэтому свобода определяется как внутренняя и осознанная необходимость, хотя эта последняя и противоположна ей.

Определение, высказанное в предложении «человек есть животное, делающее орудия», есть, по смыслу, единство двух противоположных суждений: 1) «человек есть животное» и 2) «это животное делающее орудия», т. е. не есть животное. Способность делать орудия выделило человека из мира животных; эта способность в человеке есть также и отрицание животности. (Правда, каждое суждение высказывается в предложении, без языка мысль не существует, но сводить суждение к предложению, мысль к слову, значит допускать семантико-идеалистическую ошибку). Это говорит и о том, что понятие есть результат суждений. Понятие, взятое вне суждений, есть не понятие, а бессодержательное, пустое слово.

Все это доказывает, что определение понятия имеет синте-

---

<sup>1</sup> См. Ф. Энгельс, Анти-Дюринг, стр. 78, 322.

тическую природу. Определение понятия есть не простое разъяснение слова, а мысленное высказывание сущности предмета, как единства его различных, — в сущности противоположных сторон; поэтому оно необходимо синтетично.

Синтетичность определения понятия отрицают на том основании, что в определении «определяющее» повторяет «определяемое», напр. «делающее орудия» есть тот же «человек»; однако определение есть высказывание именно природы определяемого, которое само и является единством различных и противоположных. Синтетичность надо искать не в объединении двух частей предложения, высказывающих одну и ту же мысль, а в природе определяемого.

Синтетичность определения требуется и тем способом определения, который принят в формальной логике (способом определения через указание ближайшего рода и специфического отличия). Определение понятия также и согласно этому способу представляет собой синтетическое единство двух признаков — рода и специфического отличия.

Но то обстоятельство, что какой-либо предмет входит в группу других предметов (напр. человек в группу животных) зависит от того, что представляет собою предмет. Природа самого предмета первична, род же вторичен, поскольку: 1) от природы предмета зависит, в какую группу он войдет и 2) признак рода есть именно признак предмета, как субъекта, и зависит от него (общее зависит от единичного); следовательно, главное, что должно отразить понятие, есть специфика предмета. Поэтому определение должно быть определением именно специфики. Требование старой логики о внесении в определение специфического признака и отражения в понятии сущности предмета нужно развить в этом направлении.

Понятие, как известно, общо по своей природе. При характеристике определения понятия следует исходить из того общего, что высказывается, выражается понятием. Понятие и его определение определяются природой общего.

Если общность понятия понимать в смысле объема последнего (именно такое общее лежит в основе как силлогических, так и индуктивных умозаключений в формальной логике), то способ определения понятия, применяемый старой логикой, надо считать правомерным. Однако в этом случае, как известно, определять можно только те понятия, которые находятся в ро-

до-видовых отношениях; такие же мысли, как единичные понятия и категории, остаются неопределимыми; поэтому сам способ определения не имеет общего характера.

С другой стороны, объемное общее выражается словом «все», которое противостоит «некоторым». Но сущность всех людей такова же, как и одного человека. «Все люди» — это множество людей, имеющих одну и ту же природу. «Все люди!» — это распространение на множество признака человека, это явление того, что представляет собой сущность человека. Распространение какого-либо признака на множество опирается на природу самого признака, который подчиняет себе множество предметов. Сама определенность, распространяющаяся на множество единичных предметов, должна иметь природу общего.

Поэтому от объемного общего следует отличать общее содержания, сущности. Например, «всякое производство», как общее, выражающее весь класс производств, отличается от «производства», как общего представляющего собой единство (das Übergreifende — «охватывающий» момент) моментов производства — собственно производства, распределения, обмена и потребления<sup>1</sup>.

Здесь мы имеем не два общих, а одно — общее содержания и его проявление — «объемное общее» (формальная логика учитывает только это последнее).

Общее содержания — это общность закона. Например, закон тяготения есть единство притяжения и отталкивания. Основной закон современного капитализма есть единство капиталистического производства, как основания, и максимальной прибыли, как следствия; основной закон социализма — единство социалистического производства, как основания и удовлетворения материальных и культурных потребностей всего общества, как следствия. Закон — это существенная связь, объединяющая определенные стороны предмета и повторяющаяся в явлениях. Закон есть форма всеобщности<sup>2</sup>.

Наиболее общее из всех общих — это закон внутреннего противоречия, примером которого может служить закон, выражающий сущность любого движущегося предмета. Внутреннее

<sup>1</sup> К. Маркс. К критике политической экономии. Введение.

<sup>2</sup> Ф. Энгельс, Диалектика природы, стр. 186.

противоречие, или единство противоположностей — это единство, необходимая связь двух противоположных сторон предмета. Поэтому постичь общность закона можно только особым способом, путем диалектического анализа предмета, путем отыскания противоположных сторон предмета и установления их связи.

Этот способ, позволяющий находить общее, выполняет роль индукции. Путь к сущности предмета лежит в анализе этого предмета, а не в рассматривании множества предметов (как это представляет себе старая индукция). Например 100.000 машин доказывают переход тепловой энергии в механическую отнюдь не больше, чем одна машина. Анализ отличает существенное от несущественного, выделяет существенное и представляет основной процесс в чистом, самостоятельном, неизвращенном виде<sup>1</sup>.

Именно путем анализа обнаружил К. Маркс простейшую «клеточку» капитализма — товар, представляющий в зародыше всю диалектику капитализма. Анализируя товар, Маркс вскрывает в нем зародыши всех противоречий капитализма, обнаруживает в нем общее в развитии капитализма — то противоречие, которое сопутствует капитализму на всем его пути в качестве его сущности.

Понять сущность предмета, его противоречивую природу, т. е. составить о нем понятие можно путем его анализа.

Но анализ, собственно, диалектический анализ (внутреннее подразумевающий синтез) возможен — поскольку он постигает существенное, отвлекаясь от несущественного — только посредством диалектической абстракции.

